ზაზა ანჩაბაძე

ევროპული საქართველო

ევროპული ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ

თბილისი 2015

წიგნში მოყვანილია ცნობები საქართველოს, როგორც ევროპის შემადგენელი ნაწილის, ისტორიის შესახებ იმ სახით, როგორც ისინი გამოქვეყნებულია ევროპულ წყაროებში.

ავტორის და წიგნის ფეისბუკის გვერდზე იხილეთ დამატებითი მასალა.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

© ზაზა ანჩაბაძე, 2015

ISBN 978-9941-0-7879-8

ქართველები

დასავლური ცნობარების მიხედვით, ქართველები მსოფლიოში დაახ-ლოებით 5 მილიონია. 3 მილიონამდე ქართველი ცხოვრობს საქართველოში (მოსახლეობის 80%), 800 ათასი რუსეთში, 500 ათასი შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებში. 1 მილიონამდე ქართული წარმოშობის ხალხი თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს; 50 ათასი ირანის ტერიტორიაზეა (ფერეიდანის რაიონი Fereydoon Shahr), 16 ათასი აზერბაიჯანში (საინგილო, ბელაქანი და ზაქათალის რაიონი Ingilo, Belokani and Zakatala).

ქართველების ეთნოგრაფიული ჯგუფები საქართველოში არიან: იმერლები, მეგრელები, ქართლელები, კახელები, გურულები, სვანები, ლაზები, აჭარლები, მესხები, ლეჩხუმელები, რაჭველები, ხევსურები, თუშები, ფშავლები და აფხაზები. ოსები ირანული წარმოშობის ხალხია. Imeretians, Megrels, Kartlis,

ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი, აშშ-ის სამხედრო შტაბის უფროსი 1993-7 წწ.

ქართული ტრადიციული სამოსი

პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი

ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი

Kakhetians, Guruls, Svans, Lazs, Ajarians, Meskhs, Lechkhums, Rachvels, Khevsurs, Tushs, Pshavs, Abkhaz, Ossetians.

საქართველოში რამდენიმე ენაა: ქართულ ენაზე მოსახლეობის 90% საუბრობს; მეგრულად – სამეგრელოს მოსახლეობის 300 000 მოსაუბრე; ლაზურად (ან ჭანურად) Lazuri or Chanuri – აჭარაში 30 000 და თურქეთში – 90 000 მოლაპარაკე; სვანურად (ლუშნუ) Svan (Lushnu) – სვანეთის 40 000 მოსახლე.

ქართველები ამაყობენ თავიანთი კულტურით, ენით, ისტორიითა და ტრადიციებით. მათ განსაკუთრებული წარმატებები აქვთ მუსიკის, თეატრის, კინემატოგრაფიის, სახვითი ხელოვნების, ლიტერატურის, სპორტის, მეცნიერებისა, სამხედრო და სხვა დარგებში. საქართველოს ჰყავს 24 ოლიმპიური ჩემპიონი და 300 მსოფლიო ჩემპიონი.

ქართული ენა და დამწერლობა



ამჟამად მსოფლიოში 3 ათასი ენაა, მაგრამ აქედან მხოლოდ 14 მათგანს აქვს დამწერლობა და მხოლოდ ქართველებმა შეძლეს შეექმნათ საუკუნეების მანძილზე სამი ანბანი სხვადასხვა სტილითა და ფორმით: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. ქართული დამწერლობა არის უნიკალური, როდესაც ბგერა ერთ ასოს გამოხატავს. არ არის გრძელი ბგერები ან უბგერო ასოები, დიფთონგები ან რაიმე ნიშანი. ქართული ენა ერთ-ერთია იმ 75 ენიდან, რომლითაც რომის პაპი ვატიკანში ყოველ წელს ულოცავს დამსწრეებს შობას.

ქართული დამწერლობის ნიმუშები მეოთხე საუკუნიდან არის შემორჩენილი. პირველი წარწერები წმინდა ჯვრის მონასტერში Monastery of the Holy Cross), პალესტინაში, ბეთლემში, ასევე თბილისის სამხრეთით, ბოლნისის სიონში გვხვდება.



ქართული წარწერა ბოლნისში, 478 წ.

ბიბლია ითარგმნა მეხუთე საუკუნეში. ამავე საუკუნეშია დაწერილი იაკობ ცურტაველის „წმ. შუშანიკის წამება“. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქართული დამწერლობა ქრისტიანობის ეპოქამდე არსებობდა, რადგან მეხუთე საუკუნეში უკვე იყო შექმნილი მაღალი დონის ლიტერატურული ტექსტები.

პირველი წიგნი, რომელიც ქართული ასოებით დაიბეჭდა ევროპაში, იყო ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომელიც სტეფანე პაოლინიმ Paolini გამოსცა რომში 1629 წელს.

მსოფლიოში სულ რამოდენიმე ენაზე იქმნებოდა ოპერა და მათ შორის იყო ზაქრია ფალიაშვილის “აბესამ და ეთერი” (1013-19).

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია

ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, ანდრია პირველწოდებულმა Apostle Andrew იქადაგა სვიმონ კანანელთან Simon Canaan ერთად, რომელიც დაკრძალულია აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ჩვენი წელთაღრიცხვით 303 წელს წმინდა ნინო კაბადოკიელმა Saint Nino of Cappadocia ქრისტეს მოძღვრება იქადაგა საქართველოს სამეფო იბერიაში, სადაც 317 წელს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს იბერიის მეფე მირიან II-მ King of Iberia Mirian და დედოფალმა ნანამ. წმინდა გიორგი ქართველთა მფარველ წმინდანად ითვლება.

მეხუთე საუკუნეში ანტოქიის პატრიარქმა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას მიანიჭა ავტოკეფალიის სტატუსი. სამოციქულო ეკლესიას მართავს საქართველოს პატრიარქი. 1811 წელს ავტოკეფალიის სტატუსი გააუქმა რუსეთის ხელისუფლებამ, აღდგა 1989 წელს.

მსოფლიოს კულტურის ძეგლებს შორის მოიხსენიება ქართული ტაძრები: ჯვრის მონასტერი (იერუსალიმში კნესეტის შენობის სიახლოვეს), ივერიის მონასტერი ათონის მთაზე საბერძნეთში (ცნობილი „სასწაულმოქმედი ივერიის ღვთისმშობლის ხატი“ დაბრძანებულია ამ მონასტერში), ქართული ეკლესიები ტაო-კლარჯეთის ისტორიულ პროვინციაში (თურქეთის ნაწილია მე-16 საუკუნიდან), პეტრიწონის ქართული მონასტერი ბულგარეთში და მონასტრები საქართველოში: ბაგრატის ტაძარი, გელათის და იყალთოს სამონასტრო კომპლექსი და აკადემია, სვეტიცხოვლის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი დავით გარეჯში. ყველაზე დიდი ტაძარი, სამება, თბილისში ახლახან აშენდა Monastery of the Cross near Knesset in Jerusalem, the Iveron monastery on Mount Athos in Greece, Georgian churches in Tao-Klarjeti in Turkey, the Georgian Petritsoni

Monastery in Bulgaria, and monasteries in Georgia: Bagrati Cathedral, Gelati and Ikalto Monastery complex and Academy, Svetitskhoveli Cathedral, monastic complex at Davidgareja, Sameba Church in Tbilisi.

კლდოვანი არქიტექტურის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლია ვარძია Vardzia. მღვიმეში მდებარე მიძინების ტაძარი თარიღდება მეთორმეტე საუკუნით, კერძოდ, 1180 წლით, თამარ მეფისა და პოეტ შოთა რუსთაველის ოქროს ხანით. აქ გვხვდება მნიშვნელოვანი ფრესკების მთელი სერიები. ასევე საინტერესოა უფლისციხე Uplistsikhe, უძველესი, კლდეში გამოკვეთილი ქალაქი გორთან, რომელსაც არქეოლოგები მიიჩნევენ ერთ-ერთ უძველეს პრეისტორიულ ურბანულ დასახლებად საქართველოში.

წმინდა ანტონის მასწავლებელი, რომელმაც დააარსა კიევ-პეჩორას ლავრა Kiev-Pechora Lavra, იყო ქართველი, წმ. გიორგი მთაწმინდელი St. George Mtatsmindeli. პეტრიწონის ლავრა Petritsoni Lavra დააარსა გრიგოლ ბაკურიანისძემ Grigol Bacurianisidze, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ბულგარეთისა და სერბეთის გაქრისტიანებაში. ბიბლია რუმინულ ენაზე თარგმნა ვლახეთის მიტროპოლიტმა ანთიმოზ ივერიელმა Vlach Metropolit Anton Iverieli, წარმოშობით ქართველმა.

ქართველი მეფეები

ბაგრატიონების ქართული ფეოდალური ოჯახი მოდის საქართველოს ისტორიული პროვინციიდან სპერიდან Speri. ისფირი Ispiri ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა. ამ ოჯახის პირველი წარმომადგენელი იყო გუარამ I კურაპალატი, ქართლის პირველი ერისმთავარი დიდი თავადი ჩვ. წ. 575-590 წლებში. სამეფო დინასტიის დამაარსებელია აშოტ I კურაპალატი, ტაო-კლარჯეთის მეფე Ashot I Kurapalate, a King of Tao-Klarjeti 809-826 წლებში. ბაგრატიონების სამეფო დინასტია მეფობდა ათასწლეულზე მეტხანს (809-1810 წწ.). მათი დასაბამი მოდის იუდეველთა მეფე დავითის (King David) შტოდან.

დედოფალი თამარის (Queen Tamar) სიკვდილის შემდეგ (1213 წ.) ამ უძველეს დინასტიაში მამრობითი სქესი ფაქტობრივად გადაშენდა. თამარს შთამომავლები, რომლებიც ოსეთის უფლისწულისგან, დავით სოსლანისგან (Ossetian prince David Soslan) ჰყავდა, კვლავ ბაგრატიონის გვარზე რჩებოდნენ. ეს საგვარეულო ხაზი დღემდე მომდინარეობს. მეთხუთმეტე საუკუნეში დინასტია გაიყო სამ მამრობით ხაზად, რომლებიც მეფობდნენ ქართლში, კახეთსა და იმერეთში. უკანასკნელი ბაგრატიონი მონარქი იყო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1744-1798 წწ.) და იმერეთის მეფე სოლომონ II (1789-1810 წწ.).

თანამედროვე ბაგრატიონები წარმოდგენილია სამ ძირითად შტოდ: ქართლის ბაგრატიონ-მუხრანელის (Prince Mukhrani), კონსტანტინე II-ის შთამომავლები, და კახეთის ბაგრატიონ-გრუზინსკის (Prince Gruzinsky), ერეკლე II-ს შთამომავლები, გაერთიანდნენ და 2011 წლიდან საქართველოს ჰყავს კანონიერი უფლისწული გიორგი ბაგრატიონ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონ-მუხრანელისა და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ვაჟი. იმერეთის შტო – ბაგრატიონ-იმერეტინსკები (Prince Imeretinsky), სოლომონ II-ის შთამომავლები – ვერ აგრძელებს დინასტიას. მუხრანელების შტოს, ირაკლი ბაგრატიონის და, ლეონიდა ბაგრატიონი (Leonida Bagrationi), არის ვლადიმირ კირილოვიჩის (Vladimir Kirillovich), რუსი რომანოვების იმპერიის ოჯახის უფროსის, მეუღლე. შესაბამისად, რუსეთის პრინცს, გიორგი რომანოვს (George Romanov) ქართველი ბაგრატიონ-მუხრანელი ბებია ჰყავს.

ქართული დროშა

საქართველოს სახელმწიფო დროშა არის შუა საუკუნეების სამხედრო დროშა, რომლითაც ქართველი მხედრობა შედიოდა მუსლიმურ იერუსალიმში, სადაც ქრისტიანულ ადგილებს საქართველოს მეფე უწევდა პატრონაჟს.

ქართული კულტურა

ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი ბოკაჩოს, პეტრარკასა და დანტეს (Bocaccio, Petrarka and Dante) წინ იყო, XII საუკუნეში, თავის ეპიკურ პოემაში ის წერს სიყვარულსა და ღმერთზე. ევროპაში სამგანზომილებიანი ხატწერა მე-13 საუკუნეში იღებს სათავეს ჯოტოს (ჟოტტო) შემოქმედებაში. მე-15 საუკუნეში მას განავითარებენ მაზაჩო და ფილიპო ბრუნელესკი (Masaccio and Filippo Brunelleschi). რაც შეეხება ქართულ სამგანზომილებიან ხატწერას, X-XIII საუკუნით თარიღდება. XII საუკუნემდე (გოთიკურ არქიტექტურამდე) ქანდაკებები ევროპაში აკრძალული იყო, მაგრამ საქართველოში უკვე VII-X საუკუნეებში აგებდნენ ქანდაკებებს. ფრანგი მწერალი ბაჯა (Baja) წერდა, რომ ლეონარდო და ვინჩი (Leonardo Da Vinci) ეგვიპტეში ცხოვრობდა ქართველ მამლუქებთან, სადაც მან მხატვრობის უძველესი საიდუმლოებები შეისწავლა.

რობერტ ბლაიხშტაინერის Robert Bleichsteiner აზრით, ევროპაში რაინდობის ტრადიცია საქართველოდან მოდიოდა. ქალის, მშობლების, მოხუცების პატივისცემის კულტი, ოჯახისა და ბავშვების დაცვა, განსაკუთრებით, პატივი ომის ტრადიციებისადმი და სხვა, უძველესი დროიდან დღემდე უწყვეტად არსებობს კავკასიაში. ეს ტრადიციები ადგილობრივ ჩამოყალიბდა. გვარებს პატივს სცემდნენ არა მარტო დიდებულები, არამედ მთელი მოსახლეობა. თითოეული მამაკაცი ვალდებული იყო დაეცვა ღირსება, მშობლები, მეუღლე და შვილები.

ქართული სიმღერები უნიკალურია თავისი მრავალხმიანობით. მკვეთრი თავისებურებით გამოირჩევა ქართული ეროვნული ქორეოგრაფია. ხალხური

სიმღერა „ჩაკრულო“ 1977 წელს კოსმოსში გაგზავნა აშშ-ის კოსმოსურმა ხომალდმა „Voyager“-მა. სტვირი პოპულარული იყო არა მარტო შოტლანდიაში, არამედ საქართველოშიც.

ქართული მეცხვარის ძაღლი (Georgian Shepherd), იგივე „ნაგაზი“ (Nagazi), არის უძველესი აბორიგენული ჯიშის ძაღლი კავკასიის ქართული მთებიდან. უზარმაზარი (75-85 სმ სიმაღლის და 65-85 კგ წონის) ქართული „მეცხვარე“ არის ერთ-ერთი უდიდესი ძაღლი პლანეტაზე. ფიზიკურად ძლიერკუნთიანი, ათლეტური, მამაცი და ფხიზელია. საბჭოთა პერიოდში ეს ჯიში გადაშენების პირას იყო, მაგრამ ახლა „მეცხვარე“ ყველა „ჩემპიონატს“ იგებს.

საქართველოს უძველესი ევროპული წყაროები და რუკები

ქართველები ევროპის უძველესი ერია ებრაელებთან, ბერძნებთან, სომხებთან ერთად. ცხოვრობენ ქრისტიანული და მუსლიმური სამყაროს საზღვრებთან.

ქართველები წარმოშობით კავკასიიდან არიან, ესე იგი, ავთოქთონური მოსახლეობაა, რაც ევროპასა და აზიაში საკმაოდ იშვიათია.

მეცხრამეტე საუკუნის ევროპელი ისტორიკოსები, ანთროპოლოგები, არქეოლოგები და ლინგვისტები, მაგალითად, ჰუმბოლდტი, კრეჩმერი, ბლუმენბახი (Humboldt, Krettschmer, Blumenbach), ისევე, როგორც ქართველი მეცნიერები, თვლიდნენ რომ პროტოქართველები ეთნიკურად, ლინგვისტურად და კულტურულად უკავშირდებიან ევროპელ აბორიგენებს – პრე-ინდოევროპელებს, პრე-არიელებს, პრე-კელტებს (pre-Indo-European, pre-Aryan, pre-Celtic), მათ შორის, ეტრუსკებს, პელასგებსა და პროტო-ბასკებს (Etruscans, Pelasgians and Proto-Basques). ძველი ბერძნები და რომაელები ამ უპირველეს ევროპის მცხოვრებლებს ეძახდნენ იბერიელებს (Iberians). ცნობილმა ეთნოლოგმა ნიკო მარმა (N. Marr), წარმოშობით ქართველ-შოტლანდიელმა, გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული ტომი იყო ნოეს ვაჟის, იაფეტის (Japheth) შთამომავალი და წარმოადგენს ევროპაში იბერიის ინდიგენურ მოსახლეობას, რომელიც მოგვიანებით შეუერთდა კელტებს. ამის შედეგად კელტ-იბერიელები გახდნენ და მოგვიანებით გაერთიანდნენ გოთებთან, გერმანულ ტომებთან.

სტრაბონი (Strabo) თავის „გეოგრაფიაში“ (Geography) აღნიშნავს, რომ შავი ზღვის ბერძნულ პორტში, დიოსკურიაში (აფხაზეთი), „70 ტომი გაერთიანდა



სავაჭროდ და ყველა მათგანი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა, რადგან ისინი ცხოვრობდნენ მთებში ყოველგვარი კავშირის გარეშე“. შესაბამისად, პროტო-ქართული ტომების სახელი სხვადასხვანაირად ითქმის სხვა ენებზე, ესენია:

Iberia – Tabal, Tubal, T-Iberen, Tirenien, Tabar and Hiberia – Hibernia;
Meskh – Meshekh, Mosokh (Hebrew), Musk, Mosinik (Greek), Mushen (Egypt);
Klarjet – Katarja (Urartu), Kotardzene (Greek);
Javakh – Jabakha, Zabakha (Urartu);
Laz – Lusha, Losa (Urartu);
Taokh – Danian (Assyrian), Diaokhi (Urartu);
Samtzkhe – Odzraku, Vidzerokhi (Urartu);
Sharsheti – Shesheti;
Chan – Chanik;
Dval – Tali, Valil, Urali;
Abkhazia – Abasgia;
Imeria – Imeri – Imereti, Imer-Iber, Imeri-Iberi;
Egrisi – Megreli, Margali, Macrones;
Iron (Ossetia) – Irian – Iran – Arian;
Etc.

ქართველი ავტორების მიხედვით, ევროპაში ცხოვრობდა რამდენიმე უძველესი ტომი, რომლებიც იბერიელი წინაპრებისა და იბერიელ-კავკასიელი ოჯახების ენებზე საუბრობდნენ: პელასგები, ეტრუსკები, ბასკები, ჰატები,

ელამიტელები, მედესები, ქალდეველები, ჰურიტები, ურარტუელები, კასკასები, კარდუშები, გუთიელები, ჰალიძონები, ბიძერსები, ჰალიტუ-ჰალიძონელები, ლულიბიანები, ჰიკსოსები, სასპერები, სუბარელები, მაკრისები, მაკრონები, დოლიონები და სხვები (Pelasgian, Etrusc, Basque, Hattian, Elam, Medes, Chaldeans, Hurrite, Urartu, Kaskas, Karduhs, Gutians, Alidzones, Bidzers, Halitu-Halidzo, Lulubians, Pahhuwa, Hyksos, Saspero, Subarians, Macrisians, Makrones, Doliones, etc).



სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ასახულია ყველაზე მნიშვნელოვან უძველეს რუკებზე: პტოლემი, სალუსტი (ქრისტეს შობამდე 86-34), ლუკანი (ქრისტეს შობიდან 61-65), წმინდა ჯერომე (V საუკუნე), პაულუს ოროსიუსი (V საუკუნე), ბედე (VII საუკუნე), რავენა (VII საუკუნე), ლიებანას ბოტუსი (730-798), კოსმასი (VII-VIII საუკუნეები), ალ-მუქადასი (945-1000), ალ-იდრისი (1154), გოტიე და შატილიონი (XI საუკუნე), ისიდორე (XII საუკუნე), თორნის სააბატო (XII საუკუნე), არნშტაინი (XII საუკუნე), იბნ-საიდი (1213-1286), ანგლო-საქსების რუკა (1050), რიპოლი (1055), სოვლი (1110), იმაგო მუნდი (1180), ლიბერ ფლორიდუსი (1180), ვერჩელი (1191), ებსტორფი (1232), მეთიუ (1200-1259), პსალტერი (1265), ჰეარფორდი (1290), ვესკონტე (1321), რამსის სააბატო (1342), და სხვ. Ptolemy, Sallust (86-34 BC), Lucan (61-65 AD), Saint Jerome (5th century), Paulus orosius (5th century), Bede (7th century), Ravenna (7th century), Beatus of Liebana (730-798), Cosmas (7-8th century), Al-Muqaddasi (945-1000), Al-Idrisi (1154), Gautier de Chatillion (11 century), Isidore (12th century), Thorney Abbey (12th century), Arnstein (12th century), Ibn-Said (1213-1286), Anglo-Saxon Cottonian map (1050), Ripoll (1055), Sawley (1110), Imago Mundi (1180), Liber Floridus 1180, Vercelli 1191, Ebstorf 1232, Matthew (1200-1259), Psalter 1265, Hereford 1290, Vesconte 1321, Ramsey Abbey 1342, etc. ისინი ასევე შეტანილია შუა საუკუნეების რუკაზეც, ორ ზღვას – პონტოსა და კასპიის (Euxinus Pontus and Mare Caspium) – შუა და დარიალის ხეობის რკინის კარამდე (Daryal Pass' Iron Gate).

სომხეთი (Armenia) ყველა რუკაზე აღინიშნება, რადგან ის იყო უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე უძველესი ქრისტიანული ერი, რომელიც არარატის მთით (Mount Ararat) და ნოეს კიდობანით (Noah's Ark) იყო გამოსახული. რუკების უმრავლესობაზე ჩანს აგრეთვე კოლხეთი და იბერია Colchis and Iberia

(Hiberia), საქართველოს წინამორბედები, ისევე, როგორც კავკასიის ალბანეთი (Albania) – ეწოდებოდა გურჯისტანი Gurjistan და არანი Arran მუსლიმური რუკების შესაბამისად. კოლხეთი (Colchis) გამოსახულია ხომალდ არგოს (Argo) და ოქროს საწმისის სახით (Golden Fleece), რომელიც ცხვრის ტყავით იყო გამოსახული. დასავლური რუკების თანახმად, იბერიისა და კოლხეთის (Colchis and Iberia) გაერთიანება დაიწყო მე-11-12 საუკუნეებში და უკვე მე-13 საუკუნეში რუკაზე ჩნდება საქართველო (Georgia).

საინტერესოა, რომ საქართველოს უკავია დაახლოებით იგივე ტერიტორია, რომელიც ეკავა შუა საუკუნეებში. სომხეთი მკვეთრად შევიწროვდა (მთა არარატიც კი თურქეთის ტერიტორიაზეა). ალბანელები თითქმის გაქრნენ (ამჟამად ალბანეთის ტერიტორიაზე აზერბაიჯანია). ძველი ქრისტიანული ალბანეთი ძველ წყაროებში აღწერილია ორი სხვადასხვა მახასიათებლით: მოსახლეობა გამოირჩევა მკვეთრად თეთრი კანითა და ღია ფერის თმით; ძაღლები ისეთი დიდი და სასტიკნი არიან, რომ ხარებს ძირს სცემენ და ლომებს ამარცხებენ.

ევროპის ბიბლიოთეკებში შენახულ ისტორიულ რუკებზე კავკასიის სამეფოები, როგორც წესი, აზიის სხვა სახელმწიფოებთან ერთად ჩნდება. ეს სახელმწიფოებია: პალესტინა, სირია, არაბეთი, ჰირკანია, მიდია, ამაზონი, სპარსეთი, ბაქტრია, სარმატია, სკვითები, გოგი და მაგოგი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა. მცირე აზია: კაბადოკია, ფრიგია, ბითვინია, გალათია, ლიდია, კილიკია და სხვ. (Palestine, Syria, Arabia, Hyrcania, Media, Amazones, Persia, Bactria, Sarmatia, Scythia, Gog and Magog, India, China, etc, in Asia Minor: Cappadocia, Phrygia, Bithynia, Galatia, Lydia, Cilicia, etc); ევროპიდან: ილირიკუსი, თრაკია, მაკედონია, იტალია, გერმანია, გალია, ვასკონესი, ესპანეთი, იბერია, ბრიტანეთი, ჰიბერნია და სხვ. (Illiricus, Thracia, Macedonia, Italia, Germania, Gallia, Vascones, Spania, Iberia, Britannia, Hibernia, etc); აფრიკიდან: ეგვიპტე, ეთიოპია, ლიბია, ნუმიდია, მავრიტანია და სხვ. (Egypt, Ethiopia, Libia, Numidia, Mauritania, etc); წმინდა ქალაქები: იერუსალიმი ყოველთვის ცენტრში, ასევე რომი, კონსტანტინოპოლი, კართაგენი და ტროა Jerusalem, Rome, Constantinople, Cartago and Troia).

ძველი ისტორიკოსები და მოგზაურები საქართველოს შესახებ



ჰეროდოტემ **Herodotus** (ძვ. წ. 480-427 წწ.), ისტორიის მამამ, პირველმა მოგვცა მსოფლიოს სისტემური ისტორია. მის „ისტორიაში“ Histories (II, 103-105) ვკითხულობთ, რომ ძვ. წ. მე-19 საუკუნეში კოლხეთი დაიპყრო ეგვიპტელმა ფარაონმა სესოსტრის III-მ (Sesostris) და რომ კოლხი ხალხი ეგვიპტელების შთამომავალია.

ქსენოფონტე Xenophon (ძვ. წ. 427-355 წწ.), ბერძენი მეთაური და სოკრატეს მოსწავლე, მსახურობდა სპარსეთში დაქირავებულ ჯარისკაცად და მონაწილეობდა ახალგაზრდა კიროსის ლაშქრობაში. ომში დამარცხების შემდეგ (ძვ. წ. 401-400 წწ.) ქსენოფონტემ ხელმძღვანელობა გაუწია ათი ათას ჯარისკაცს, რომლებიც სომხეთისა და საქართველოს გავლით მიდიოდნენ შავი ზღვის ნაპირისაკენ, საიდანაც საბერძნეთში აპირებდნენ გაცურვას ნავებით. ქსენოფონტე „ანაბაზისში“ (ჰარვარდის უნივერსიტეტის პრესა, კემბრიჯი) „Anabasis“ (Harvard University Press, Cambridge) წერს, რომ ერთ-ერთი ჯარისკაცთაგანი იყო მონა და მან იცოდა ამ ხალხის ენა. ადგილობრივები აცხადებდნენ, რომ ისინი „მაკრონები“ (Macronians) იყვნენ. მაკრონები ეხმარებოდნენ ბერძნებს ხეების მოჭრასა და გზის გაყვანაში, რათა კოლხეთის საზღვრამდე მისულიყვნენ. შემდგომში ბერძნებმა ტრაპიზონამდე (Trapezus) განაგრძეს გზა. ტრაპიზონი იყო ბერძნების დასახლებული ქალაქი ევქსინის ზღვასთან (Euxine Sea). მსვლელობის დროს ქსენოფონტე შეხვდა და აღწერა პროტოქართული ტომები: ხალიბები, ტაოელები, ფასიანები და მოსინიკები (Chalybes, Taochi, Phasian and Mossynoecians).

სტრაბონი (**Strabo**) (ძვ. წ. 63-18 წწ.) „გეოგრაფიაში“ (Geography) საქართველოს შესახებ წერს: „ეს მთები (იგულისხმება კავკასიონი) კედელივით არის აღმართული კასპიისა და პონტოს ზღვებს შუა. ის არის საზღვარი ალბანეთისა და იბერიისა სამხრეთით, ხოლო ჩრდილოეთით სამარტაეს ვაკეები“.

ყველა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს, რადგან გაბნეულად ცხოვრობენ და არ აქვთ ურთიერთობა ერთმანეთთან. ყველა მათგანი კავკასიელია (Caucasii). ქვეყანას აქვს არაჩვეულებრივი პროდუქტი, მხოლოდ თაფლი არის ცოტა მწარე. დიდი ყურადღება ექცევა გემთმშენებლობას. ხალხი დაკავებულია თეთრეულის, კანაფისა და ცვილის დამზადებით. მათმა სელის პროდუქციამ სახელი შორს და ფართოდ გაითქვა; ეს პროდუქცია გაჰქონდათ ექსპორტზე;



დიდი სახელი ჰქონდა ამ ქვეყანას მითებში, რომელიც ეხებოდა იაზონის ექსპედიციას. ამჟამად მოსხების (Moschian) სახელმწიფო გაყოფილია სამ ნაწილად: ერთი ნაწილი უჭირავთ კოლხებს, მეორე იბერიელებს და მესამე სომხებს“.

მარკო პოლომ (Marco Polo) (1254-1324 წწ.) საქართველოში 1293 წელს იმოგზაურა, რაც თავის „მოგზაურობებში“ „The Travels“ აღწერა: „ქართველები სიმპათიური რასაა, რომელთა შორის არიან მამაცი მეომრები და კარგი მშვილდოსნები. ისინი ქრისტიანები არიან და ბერძნული ბიზანტიური ეკლესიის წესებს იცავენ. მრავლადაა ქალაქები და სოფლები. დიდი რაოდენობით იწარმოება აბრეშუმი. ულამაზესი ნაქსოვი ტანსაცმელი მზადდება აბრეშუმის ფაბრიკებში. საკმაო რაოდენობაა ყველაფრის მარაგის, წარმოების და ვაჭრობის აღმავლობის თვალსაზრისით. ამ ქვეყანაში არის შედარებით დიდი დასახლების ქალაქი – თბილისი, გარშემორტყმული ქალაქებითა და გარეუბნებით. მოსახლეობა ქრისტიანული რელიგიის არიან (ასეთებია ქართველები და სომხები), გარდა ამისა, ცოტა სარაცინები და ებრაელები, თუმცა არც ისე ბევრი. ეს ის ქვეყანაა, რომლითაც ალექსანდრე მაკედონელმა ვერ შეძლო ჩრდილოეთში გადასვლა, რადგან გზა ძალზე ვიწრო და სახიფათოა. ერთ მხარეს არის ზღვა, ხოლო მეორე მხრიდან გარშემორტყმულია მაღალი მთებით. ტყეები ცხენებისთვის გაუვალია. ალექსანდრემ აქ კოშკი და ციხე ააგო, რათა მოსახლეობის თავდასხმა აეცილებინა თავიდან. ამას ერქვა რკინის კარიბჭე Iron Gates.

საქართველოს ისტორიის ძირითადი საფეხურები:

მტკვარ-არაქსის კულტურა – ძვ. წ. IV-II ათასწლეული

არგონავტები (კოლხები) და ტროას ომი – ძვ. წ. 1200 წ.

პროტოქართული ტომების გაერთიანება (მუშკები, დიაოხები, კოლხები და სხვ.), ალექსანდრე დიდი მაკედონელი – ძვ. წ. 356-325 წწ.

ქართული ანბანის წარმოშობა, ფარნავაზი – პირველი წლები ქრისტეს შობიდან

გაქრისტიანება – ჩვ. წ. მე-4 საუკუნე

ბიზანტიელები და სპარსელები საქართველოში – მე-4-6 საუკუნეები

არაბები და თურქ-სელჯუკები საქართველოში – მე-8-11 საუკუნეები

ქართული „ოქროს ხანა“ – მე-11-13 საუკუნეები

მონღოლები და ჩინგიზები საქართველოში – მე-13-14 საუკუნეები

ოსმან-თურქები საქართველოში – მე-15-18 საუკუნეები

ირანელები საქართველოში – მე-16-18 საუკუნეები

რუსები საქართველოში – მე-19-20 საუკუნეები

Mtkvari-Araxes culture – 4-2 thousand years BC

Argonauts (Colchis) and Trojan War – 1200 BC

Unification of proto-Georgian tribes (Mushki, Diaochi, Colchis, etc), Alexander the Great Macedonian – 356-325 BC

Introduction of Georgian alphabet, Pharnavaz – beginning AD

Christianization – 4 c.

Byzantines and Persians in Georgia – 4-6 c.

Arabs and Seljuk Turks in Georgia – 8-11 c.

Georgian „Golden Age“ – 11-13 c.

Mongols and Chingizides in Georgia – 13-14 c.

Ottoman Turks in Georgia – 15-18 c.

Iranians in Georgia – 16-18 c

Russians in Georgia – 19-20 c.

უძველესი პროტოქართული ტომები

მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურამ კავკასიაში აყვავება დაიწყო ძვ. წ. 4000 წლიდან 2000 წლამდე. მელორის JP Mallory მიხედვით, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო „მეტალურგიის განვითარება“. მარტო სამეგრელოში დაახლოებით 400 უძველესი პირველყოფილი ღუმელებია აღმოჩენილი. ათასობით ულამაზესი 4-6 ათასი წლის წინანდელი ოქროსა და ვერცხლის სამკაული, ასევე ეტლის ბორბლები, იარაღი და ინსტრუმენტები, რომლებიც საქართველოს მუზეუმში ინახება. ეს ცივილიზებული ქალაქები უფრო ძველი იყო, ვიდრე შუმერების მიერ ბლოკებით აგებული შენობები. „კემბრიჯის უძველესი ისტორიის“ მიხედვით (კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 1970-1975 წწ.) „The Cambridge Ancient History“ (Cambridge University press, 1970-1975), კავკასიაში ცივილიზაცია მომდინარეობს ძვ. წ. IX-V ათასწლეულიდან, სანამ ის შუამდინარეთამდე მიაღწევდა. ქართველი მეცნიერების აზრით, ღვინის ფერმენტაცია სწორედ აქედან იღებს სათავეს, ადამიანებს განუვითარდათ ტოლერანტობა ალკოჰოლის მიმართ, რაც კავკასიელებს დღემდე ახასიათებთ.

ქართველების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა იყო დასაბამი ბრინჯაოს და მეტალურგიის ხანისა, აქვე აღსანიშნავია ღვინის წარმოება, მარცვლეულის შერჩევა, ცხენების მოშინაურება და ბორბლის გამოგონება (ბუნებრივია, ამ ყველაფერს სხვა მეზობელი და უცხო ერებიც ამტკიცებენ). ასეთი სახის მიღწევები პროტოკავკასიელებს აძლევდა სამხედრო საბრძოლო და კულტურულ უპირატესობას. ისინი აღმავლობას განიცდიდნენ 2 ათასი წლის განმავლობაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განწირულნი იყვნენ იმისათვის, რომ ებრძოლათ მომთაბარე დამპყრობლების უზარმაზარი არმიების წინააღმდეგ და საბოლოოდ განადგურდნენ კიდეც.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1200 წელს ევრაზიაში მოხდა დიდი ისტორიული კატასტროფა – ტროას ომი (***Trojan War***), უძველესი „მსოფლიო ომი“ (იხილავთ მომდევნო თავებში), იმ დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე სამი ძირითადი ქვეყანაა ცნობილი:

1. იბერია (აღმოსავლეთ საქართველო)
2. კოლხეთი (დასავლეთ საქართველო)
3. მუშკი-თუბალი (***Mushki-Tubal***) და დიაოხი (***Diaochi***) – სამხრეთ საქართველო-ანატოლია.

ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, სომხეთი და ალბანეთი.

იბერიის **Iberia** სახელის წარმოშობის შესახებ ბევრი მოსაზრება არსებობს, რომელთაგან ყველაზე მეტად მისაღებია დასავლელი მკვლევრების მოსაზრება, რომ არის ტომი ტიბერიანი T-Iberani (ასურელი მეფეების წყაროებიდან გამომდინარე) ან თუბალ-კაინი (Tubal-kain), საიდანაც თითქოსდა იბერიელების

კოლხეთი და იბერია (ძვ. წ. 600 – ჩვ. წ. 500 წწ.)

(Iberoi) სახელი მიიღება. ძველი ბერძენი ავტორები მიიჩნევენ, რომ ქართველ ტომებს ჰქვიათ იბეროი, პლუტარქეს რომაულ წყაროებზე დაყრდნობით. ადგილობრივი იბერიელები თავიანთ სამეფოს ეძახდნენ ქართლს და თავიანთ ეროვნებას – ქართლელებს, მითიური მთავრის ქართლოსის მიხედვით. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში იბერიის დედაქალაქი იყო მცხეთა.

ჰეროდოტე Herodotus გვამცნობს, რომ ტიბარენებმა, მოსინიკებმა, მაკრონებმა, მოსხებმა Tibarenes, Mossinikoi, Macrones, Moschi და სხვა იბერიელმა ტომებმა (ძველ არიანელებთან ერთად) შექმნეს სპარსეთის სატრაპიები მიდია Medes და აქემენია.

მუშკები **Mushki** – (ძვ. წ. II ათასწლეული) ანატოლიის „რკინის“ ხალხი იყო, როგორც ასურული წყაროები გვამცნობენ, და მოსხოი Moschoi, იგივე მესხები Meskhetians, მიას Mia ტომები ეთაყვანებოდნენ ცნობილ ფრიგიელ მეფეს მიდასს Phrygian King Midas, რომელმაც ფრიგიული ანცირა Ancyra (ამჟამად ანკარა) აღმოაჩინა.

იოსებ ფლავიუსმა Josephus Flavius მოსხი Moschoi წარმოადგინა ბიბლიურ მეშექთან ერთად. მეშექი Meshech იყო იაფეტის Japheth ვაჟი. დაბადება 10:2 და 1 ნეშტთა 1:5. ჰეკატოსი (Hecataeus) (ძვ. წ. 550-496 წწ.) მოიხსენიებს მოსხებს (Moschoi), როგორც კოლხებს, ჰურიანების (Hurrians) გვერდით მცხოვრებთ. სტრაბონი Strabo მოსხების ადგილმდებარეობად მიიჩნევს შავიზღვისპირეთს. პროკოპი Procopius კი აცხადებს, რომ ისინი იბერიელები იყვნენ. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ ჯეიმს რ. რასელის James R. Russell თქმით, ქართულად სომეხი (Somekhi) ძველი სახელწოდებაა და მუშკიდან (Mushki) მომდინარეობს. ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში მოსხი ცნობილია, როგორც კაბადოკიელების შთამომავალი (ევსევი Eusebius).

მუშკები ცხოვრობდნენ ურარტუს მეზობლად და ჰურიანებისა და კასკასის (Hurrians and Kaskas) მოკავშირეები იყვნენ. ძვ. წ. 1160 წელს შეიჭრნენ ასურეთის პროვინციებში, მაგრამ მალევე დამარცხდნენ. ქრისტეს შობამდე მე-8 საუკუნეში კასკასებთან ერთად სახელი გაითქვეს თაბალებმა (თაბალ) პოსტ-ხეთური (Hittite) სახელმწიფოებრივი წყობით. მუშკები, თაბალებთან და ქარჩემიშთან (Carchemish) (ამჟამად სირია) ერთად, გაერთიანდნენ ანტი-ასურულ ალიანსში. ალიანსი მალე ასურელმა სარგონმა დაამარცხა და ქარჩემიში დაიპყრო.

ქართველი მეცნიერებისა და ლეგენდების თანახმად, ქრისტეს შობამდე მე-6 საუკუნეში პალესტინის მუშკი მოსახლეობის ნაწილი ებრაელებთან ერთად საქართველოში მოვიდნენ (თავშესაფარი ნაბუქოდონოსორის Nebuchadnezzar შემოსევის შემდეგ მიიღეს) და დასახლდნენ მცხეთასა და მის შემოგარენში. ქართული ანუ მუშკური ენა, მეგრულ და სვანურ ენებთან ერთად, შუმერულ ენასთანაა დაკავშირებული (ძველი ჩალდინი), რომელიც მშობლიური იყო აბრაჰამის შთამომავლობისთვის.

თუბალის **Tubal** (Tabal) და მეშეხის (მოსოხი/მესხი) (Meshekh (Mosokh/Meskhi)) ძველი ქართული ტომები მიიჩნევიან მეტალურგიის დარგის ფუძემდებლებად, ასევე სპილენძისა და ბრინჯაოს პირველმწარმოებლებად. მეშეხები და თუბალები იწოდებიან გოგის და მაგოგის სამთავროებად (ეზეკიელი 38:2 და 39:1). იმ დროს ყველამ იცოდა, რომ თაბალის ქვეყანაში, ტაროს მთების ჩრდილო-აღმოსავლეთით ანატოლიაში, მოიპოვებოდა ვერცხლი. თუბალი (-კაენი) Tubal(-cain) ბიბლიაში მოხსენიებულია, როგორც „სპილენძისა და რკინის ინსტრუქტორი“ (დაბადება 4:22, ეზეკიელი 38:1-43) და მიიჩნევა მასონური მოძრაობის სულიერ წინამორბედად. ბერძნები ამ ტომს უწოდებდნენ თიბერანებს, რომელმაც შესაძლოა ბიძგი მისცა იბერიის სახელის წარმოშობას T-Iberian ან სუბარელებს Subarian, რა სახელითაც იცნობდა კლასიკური მსოფლიო საქართველოს. ფლავიუსი წერს, რომ „თობალები ცნობილნი არიან როგორც იბერიელები“.

დიაოხი, დიაეი **(Diaochi, Diaei (Taochi, Tao))** იყო უძველესი ქვეყანა ანატოლიაში, ევფრატის მიდამოებში, ძვ. წ. მე-12-8 საუკუნეებში. ის იყო ძლიერი საგვარეულო გაერთიანება, რომელმაც გაილაშქრა ასურეთის, ურარტუსა და კოლხეთის წინააღმდეგ. ძვ. წ. მე-8 საუკუნეში, დიაოხი ანექსირებული იყო კოლხების მიერ. ამის შემდეგ მალევე დაიწყო ბრძოლა ურარტუსა და კოლხეთს შორის, ქრისტეს შობამდე 750-748 წლებში.

კოლხეთი (ლაზიკა რომაელებისთვის, ეგრისი იბერიელებისათვის) **Colchis (Qolha) (Lazica, Egrisi)** წარმოადგენდა საქართველოს დასავლეთ ნაწილს ძვ. წ. მე-15 საუკუნეში და ბიზანტიის იმპერიამდე ქრისტეს შობიდან ადრეულ წლებში. აქ მეტალის დნობა და ჩამოსხმა დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში. ბერძნულ მითოლოგიაში ის იყო უაღრესად მდიდარი მიწა, აიეტის და მედეას Ayetes and Medea სახლი და არგონავტების Argonauts

საბოლოო დანიშნულების პუნქტი. ბერძნებმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1000-დან 550 წლებში სანაპირო ზოლზე დააარსეს სავაჭრო კოლონიები, მათ შორისაა ნაესუსი Naessus, პიტიუსი Pitiys (ახლა ბიჭვინთა), დიოსკურია Dioscurias, გონიო Guenos, ფასისი Phasis (ახლა ფოთი), აფსაროსი Apsaros და რიზოსი Rhizos (ახლანდელი რიზე თურქეთში).

ჰეროდოტე თავის „ისტორიაში“ წერს, რომ ძვ. წ. მე-19 საუკუნეში კოლხეთი დაიპყრო ეგვიპტის ფარაონმა სესოსტრიმ Sesostris, რის შედეგადაც იქ ეგვიპტელი მოლაშქრეები დასახლებულან. მისი მტკიცებით, კოლხები სწორედ მათი შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც ეგვიპტელებთან და ეთიოპიელებთან ერთად შემოიღეს მამაკაცის წინადაცვეთის ტრადიცია.

აპოლონიოს როდოსელის Apollonius Rhodius ცნობით, კოლხეთში მცხოვრებ ეგვიპტელებს კარგად ჰქონდათ დაცული ხის დაფები, სადაც ზღვები და გზატკეცილები განსაკუთრებული სიზუსტითაა ასახული. ის წერდა, რომ „კოლხებისა და ეგვიპტელების ცხოვრების წესი და სალაპარაკო ენა ერთი იყო“. „მხოლოდ მათ თუ შეეძლოთ სკვითების, სპარსელების, კართაგენელების, კელტების, იბერიელებისა და ტრასიელების ტომების მსგავსად დალევა. ყველა მებრძოლი ცნობილი მეომარია“. ის ასევე წერდა, რომ „კავკასიის მთებზე სხვადასხვა ტომი დასახლდა: კოლხები, სასპერები, ხალიბები, მაკრონები, მეშეხები, ტიბერები, მოსინიკები და სხვ.“. Colchians, Saspero, Chalybs, Macronians, Meshekh, Tibarians, Mosinichians, Marina's.

ლიკროფონი Likrofon წერდა, რომ კოლხები, ეგვიპტელების მონათესავე ტომი, შავგვრემანი ხალხია, ტალღოვანი თმით. მათ ლაზებსაც უწოდებენ. „მხოლოდ კოლხები მუშაობენ მიწაზე ეგვიპტელების მსგავსი მანერებით“.

დონალდ რეიფილდი თავის წიგნში „იმპერიის კიდეებთან. საქართველოს ისტორია“ (2012 წელი) Donald Rayfield „Edge of Empires. A history of Georgia“ წერდა, რომ საბერძნეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც დარიუს Darius დიდი და ქსერქსე Xerxes უძღვებოდნენ, ცნობილი გახდა, რომ კოლხ ჯარისკაცებს თავიანთი ოფიცრების გვერდით უნდა ებრძოლათ.



ლაზიკა (კოლხეთი-ეგრისი), (ძვ. წ. 150 – ჩვ. წ. 600 წწ.)

მუდმივად ბრძოლაში ყოფნით, კოლხებმა მოა-

ხერხეს აეღოთ დიაოხი Diaochi ძვ. წ. მე-8 საუკუნეში, მაგრამ სკვითებმა და კიმერიელებმა Cimmerians and Scythians მალევე ააოხრეს, და გადავიდა აქემენიდური სპარსეთის იმპერიის მფლობელობაში ქრისტეს შობამდე მე-6 საუკუნეში, რის გამოც სპარსეთში 5 წელში ერთხელ 100 ბიჭი და 100 გოგო უნდა გაეგზავნათ.

კოლხეთი არასდროს ყოფილა ალექსანდრე დიდის იმპერიის ან სხვა ელინისტური ქვეყნის ნაწილი. თუმცა ძველი ქართული სახელმწიფოები ბერძნული კულტურის დიდ გავლენას განიცდიდნენ. კოლხეთის ქალაქებში ბერძნულად ლაპარაკობდნენ, იბერიაში კი არამეული Aramaic უფრო მნიშვნელოვანი იყო.

ძვ. წ. 101 წელს კოლხეთი (ეგრისი) დაიპყრო პონტოს მეფე მითრიდატე VI-მ Mithridates. ქრისტეს შობამდე 65 წელს მითრიდატე რომაელებმა დაამარცხეს, კოლხეთი ამჯერად პომპეუსმა General Pompey დაიკავა. ახ.წ. 63 წელს იმპერატორმა ნერონმა Nero კოლხეთი და პონტო გააერთიანა ლაზიკაში, გალათიის რომაულ პროვინციაში, მოგვიანებით კი კაბადოკიასთან, რომელიც რომაელების მიერ იმართებოდა. ქრისტეს შობიდან 562 წელს ის ბიზანტიის იმპერიის დაქვემდებარებაში გადავიდა.

ლაზი კაცი და ქალი
Arhavi, Turkey

ლაზები ანუ ჭანები **Laz or Chan** არის ეთნიკური ჯგუფი, რომელიც თურქეთისა და საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რეგიონებში სახლობენ და თავს მიიჩნევენ ძველი კოლხეთ-ეგრისელთა შთამომავლებად. ისინი მეგრული და ქართული ენის მონათესავე ენაზე საუბრობენ. ცნობილი იყვნენ მეზღვაურობით.

1461 წელს ლაზეთი ოსმალებმა დაიპყრეს. 1851 წელს ლაზმა კოლხებმა ჩამოაყალიბეს ახალი იმპერია – ლაზისტანი, მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შედეგად, კოლხი ხალხის მიწა გაიყო და გადანაწილდა საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე.

ამჟამად თურქეთში მცხოვრები ლაზები თავიანთ თავს თურქებს უწოდებენ. დასავლური წყაროების მიხედვით, ბევრი ლაზი გამოირჩევა ლამაზი კანითა და ღია ფერის თმით. ლინგვისტ ჰანის Hann თქმით, როდესაც ლაზები თურქულად საუბრობენ, განსხვავებული ლაზური აქცენტი აქვთ. ლაზების უმრავლესობა არ არის აგრესიული და მშვიდობიანად ცხოვრობენ თურქეთის შორეულ სოფლებში (ვილსონი და დონანი Wilson & Donnan, 2000 წ.). ლაზები, ძველი კოლხები, ხასიათდებიან, როგორც მეგობრული და გულღია ხალხი,

თუმცა, მიუხედავად ამისა, თურქეთის ომებში მათი საკმაოდ ეშინოდათ: წლების განმავლობაში შავებში გამოწყობილი ლაზი მეომრები ათათურქის პირად დაცვაში იყვნენ.

ნეილ აჩერსონი Neil Ascherson (1996 წ.) თავის წიგნში „შავი ზღვა“ *Black Sea* წერს გერმანელ ინტელიგენტზე, ვოლფგანგ ფოიერშტაინზე Wolfgang Feuerstein, რომელიც ცდილობდა ლაზები ასიმილაციისგან გადაერჩინა. ეს მეცნიერი პირველად ლაზეთს ესტუმრა 1960 წელს თურქეთის პორტ ტრაპიზონში, და ისწავლა ლაზური ენა. მან აღმოაჩინა, რომ ის ქრისტიანების ენაა, კავკასიური და ქართული წარმოშობისა. მან პირველმა შექმნა ლაზური ანბანი ლათინურ ენაზე (საქართველოში ლაზებს ქართული დამწერლობა აქვთ), რასაც სამწუხაროდ ძალიან ცოტამ თუ დაუჭირა მხარი. რატომ? იმიტომ, რომ ლაზები პასიური ხალხია და არ აქვთ ინტერესი მშობლიური ენის მიმართ.

ფოიერშტაინი დაიჭირეს, სცემეს და გადაასახლეს. 1991 წელს თურქეთში იურიდიულად მოიხსნა აკრძალვა ლაზურად საუბარზე თურქეთში, და ახლა შესაძლებელია ლაზურად ნაწერი წიგნებისა და გაზეთების შეძენა. მიუხედავად ამისა, 2001 წელს თურქული ანტიტერორისტული კანონმდებლობის მე-8 მუხლის თანახმად, აიკრძალა სიტყვების „ლაზისტანისა“ და „ქურთისტანის“ ხმარება. ეროვნული უშიშროების საბჭოს დადგენილებით, თურქეთში ნებადართული იყო სხვადასხვა უცხოური ენის სწავლება, რომელთა შორის არ იყო ლაზური.

კასკები (კასკიანები ან გასგები) **Kaska** (**Kaskians** or **Gasgas**) ანატოლიის ბრინჯაოს ხანის ხალხი იყო, რასაც ხეთური Hittite წყაროები გვამცნობენ. ისინი ცხოვრობდნენ ხეთის რეგიონსა და შავ ზღვას შუა. ძვ. წ. მე-13 საუკუნეში კასკებმა ჰატუსა Hattusa გაათავისუფლეს. ერთ დროს მათ ბრძოლაში 800 ეტლის გამოყვანა შეეძლოთ. ასურელების მიერ მათი დამარცხების შემდგომ ხეთები და კასკები საერთოდ გაქრნენ ისტორიიდან.

ხალიბები (ჩალიბები) **Chalybs** (Khalib) (ხალიბი ბერძნულად ნიშნავს „შერბილებულ რკინას, ლითონს“) იყო ტომი, რომელთაც რკინის წარმოება დაიწყეს. ისინი ჩრდილოეთ ანატოლიაში დასახლდნენ, შავი ზღვის ნაპირებთან ახლოს და დაკავშირებული იყვნენ ხეთებთან და ჰურიანებთან. ხალიბის აღმოსავლეთ ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდა მონათესავე ხალხი ხალდი/კარდუ Khaldi/Kardu. ხალიბები და ხალდები Khalib and Khaldi დაკავშირებულნი იყვნენ ხეთებთან. ქართველ ისტორიკოსებს თუ დავუჯერებთ, ისინი პროტოქართული წარმოშობის არიან, თუმცა, ბუნებრივია, ამავეს სხვა ხალხებიც ამტკიცებენ.

ლიკოფრონი Likofron წერდა, რომ „ჩალიბებს Chalybs“ აქვთ ყველაზე კარგი რკინა, რადგან მათი აღმოჩენილია“. იმავეს წერდა კალიმაქე (Kalimak). ბერძენი ესქილეც Eskhil წერს თავის ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“, რომ სწორედ „ჩალიბების Chalybs აღმოჩენილია რკინა“. ბერძნული სიტყვა „რკინა“ – „ჩალიბ“ (chalyb) მოდის რკინის აღმომჩენების სახელიდან. რკინა კოლხეთში გამოჩნდა ძვ. წ. მე-14 საუკუნეში. სტრაბონი წერს: „ვფიქრობ

ჩალდინებს (იმავე ჩალიბებს) Chaldeans (or Chalybs) ჰომეროსმა სახელად როგორც ალიძონები Alidzons დაარქვა“. ასევე, იგი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ალიძონები იბერიული ტომი იყო. იმხანად კავკასიაში ბევრი პატარა ძველი ტომი დასახლდა, როგორც ამას რომაული და ბერძნული წყაროები გვამცნობენ. ბიძერები Bidzers პომპეუსთან ერთად იბრძოდნენ. ჰომეროსის „ილიადაში“ Homer’s „Iliad“ (იხილავთ მომდევნო თავებში) ჩვენ ვკითხულობთ, რომ ტროას ომში იბრძოდნენ ქართული ტომები – ალიძონები და მაკრინესები.

კაბადოკიელები **Cappadocians**. წმ. გიორგი და წმ. ნინო კაბადოკიელები იყვნენ. ბერძენი სტრაბონიც კაბადოკიიდან იყო. კაბადოკიაში დაახლოებით 200 მიწისქვეშა ქალაქია, 18 სართულითა და 40 მეტრის სიღრმით, მთელი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი, სადაც შეიძლება 30 ათასი ადამიანი დასახლდეს. ის მსგავსია სხვა კლდეში გამოკვეთილი ქალაქებისა, როგორებიცაა – ვარძია და უფლისციხე.

პელასგები Pelasgians. ვიდრე ბერძნები (ინდოევროპელები) საბერძნეთის ტერიტორიაზე გაფართოვდებოდნენ, იქ უკვე არსებობდა კულტურულად მოწინავე ქართული ტომი ტროას, კრეტას და მიკენის Troy, Crete and Mycenae ცენტრში. ბერძნებმა მათგან გადაიღეს დამწერლობა, სოფლის მეურნეობა, ნაგებობები და რელიგიაც კი, რომელთაც პრეოლიმპიურ ღმერთებს უწოდებდნენ და რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დიონისე.

პელასგები იყვნენ პირველი ევროპელები, რომელთაც ბოსფორის სრუტე გადაკვეთეს და დასახლდნენ ევროპის, მომავალი საბერძნეთის, ტერიტორიაზე. ჰუმბოლდტი წერს პელასგელ ემიგრანტებზე, რომლებიც ევროპაში გადასახლდნენ, როგორც იბერიელები **Iberians**. პლუტარქე Plutarch დასძენდა, რომ სწორედ მათ აღმოაჩინეს რომი. კელტო-იბერიელები დასახლდნენ ბრეტონსა და პროვანსში. ბასკო-იბერიელები გადასახლდნენ იბერიის ნახევარკუნძულზე. სწორედ ამიტომ პელასგების მიერ მიტოვებული ტერიტორია დაიკავეს ინდოევროპელმა ბერძნებმა ჩრდილოეთიდან, ძვ. წ. მე-8 საუკუნეში.

პროტოქართველების გაერთიანება იბერიის სახელმწიფოში

შუა საუკუნეების ქართული წყარო „მოქცევაი ქართლისაი“ „Moktsevai Kartlisai“ („Conversion of Kartli“) გვიყვება აზოსა Azo და მისი ხალხის შესახებ, რომელიც არიან-ქართლიდან იყო – პროტოიბერიელების თავდაპირველი სამშობლოდან, და რომელიც იყო მიდიური და მოგვიანებით აქემენიდური სპარსეთი. რა თქმა უნდა, ალექსანდრე დიდის მიერ საბერძნეთის აქემენიდური იმპერიის განადგურებამ შანსი მისცა იბერიელებს განესაზღვრათ საკუთარი ბედი. კიდევ ერთი ქართული ქრონიკა „ქართლის ცხოვრება“ („ქართლის ისტორია“) „Kartlis Tskhovreba“ („History of Kartli“) გვამცნობს, რომ აზო

იყო წარმოშობით არიან-ქართველი და რომ გახლდათ ალექსანდრე დიდის ოფიცერი. როგორც წყარო იუწყება, მან ამოხოცა ადგილობრივი მმართველის ოჯახი და დაიპყრო ტერიტორია, რომელიც მის მფლობელობაში იყო, სანამ ძვ. წ. მე-4 საუკუნეში ადგილობრივმა მმართველმა მეფე ფარნავაზმა Pharnavaz არ დაამარცხა.

პლუტარქე წერს, რომ „იბერიელები არასდროს ყოფილან დაპყრობილნი მიდიელების ან სპარსელების მიერ, ისინი მუდმივად თავს აღწევდნენ ალექსანდრე დიდს“. მანამდე, ძვ. წ. 401-400 წლებში ცნობილი ბერძენი გენერალი დაიძრა 10 000 ჯარისკაცთან ერთად მცირე აზიიდან და ოქროს კოლხეთიდან, რომელიც ასევე კარგად იყო ცნობილი საბერძნეთში არგონავტებამდე. როგორც ქართული წყაროები გვამცნობენ, ალექსანდრე არასდროს შესულა კავკასიაში როგორც დამპყრობელი, რადგან სულიერი და ეზოთერული შედეგების შიში ჰქონდა.

სხვათა შორის, ალიანსმა ქსენოფონტესთან ერთად თავი დააღწია სპარსეთის ბატონობას და ძვ. წ. 331 წელს, მას შემდეგ, რაც ალექსანდრე დიდმა დაამარცხა დაროუს III, ჩამოყალიბდა გაერთიანებული საქართველოს მონარქია.

ფარნავაზ I **Pharnavaz** ძვ. წ. 302-237 წლებში იყო იბერია-ქართლის პირველი მეფე, რომელმაც დააარსა ქრისტიანობამდელი დინასტია. ის მიიჩნევა ქართველების მითიურ აღმომჩენად. ფარნავაზის სახელის ნაწილი სპარსული ძირისაა, რაც „ღვთაებრივ სიკაშკაშე“-ს ნიშნავს. როგორც სპარსეთის უძველესი მითებიდან ვიგებთ, ფარნავაზის დედა სპარსელი იყო. მან თავისი და შერთო ცოლად ეგრისის (კოლხეთის) მმართველს და იბერია და ეგრისი გააერთიანა მონათესავე სახელმწიფოებად. გამოიწვია აზონი, რომელმაც დაუხოცა წინაპრები, და მოკლა ბრძოლაში. გაერთიანებულ სახელმწიფოში, მცხეთასთან ახლოს, ააშენა ციხე, რომელსაც უწოდა არმაზციხე და დაადგინა არმაზის მთვარის კერპი. განახორციელა ქართული ენის რეფორმა და შექმნა ქართული ანბანი, რომელმაც ჩაანაცვლა არამეული დამწერლობა, რასაც ქრისტიანობამდელი არქეოლოგიური დოკუმენტები მოწმობს.

ასე რომ, აღმოსავლეთის იბერია-ქართლი-თუბალი-მეშეხი Iberia-Kartli-Tubal-Meshekh და დასავლეთის დიაოხი-კოლხეთი-ეგრისი Diaochi-Colchis-Egrisi გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოდ, რომელსაც ბედისწერად ერგო ებრძოლა გადარჩენისთვის ორ ძლიერ სახელმწიფოსთან: მიდიან-სპარსეთ-ირანელებთან და რომაელ-ბიზანტიელებთან (მოგვიანებით თურქეთი).

იბერიელი მეფეები თავისივე მიწებზე წარმოშობით იყვნენ ირანელები, სომხები, აფხაზები, ოსები, დურძუკები Dzurdzurks (ჩეჩნები ან ინგუშები). იბერიელი მეფეები ტოლერანტები იყვნენ და თავიანთ მიწებს უთმობდნენ ემიგრანტებს, რათა დასახლებულიყვნენ, მაგალითად, ებრაელებს მცხეთის ზანავის მეოთხედი. ამავე დროს, იბერიელები მიგრაციაში მიდიოდნენ ინტენსიურად, რათა უკეთესი ადგილი ეპოვათ საცხოვრებლად (პელასგების

„პომპეუსის ხიდი“ მცხეთაში, აშენებული პომპეუსის ლეგიონერების მიერ

სახელით) და ასე დაარსდა დასავლეთ იბერია. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე სასტიკი ომები იყო, იბერიელები მონაწილეობდნენ იმ დროის ყველა ბრძოლასა და კატაკლიზმებში. კავკასიის სამი ქვეყანა – იბერია, სომხეთი და ალბანეთი – ებრძოდა ერთმანეთს ან მეზობელ ქვეყნებს – ირან-პართიას, რუმინეთს, სილუსიდის იმპერიას, პონტოს, სკვითებსა და სხვ.

ძვ. წ. 66 წელს პონტოს იმპერიის დამარცხების (პონტოს მეფე მითრიდატე VI)[1] შემდეგ, რომაელმა გენერალმა გნუს პომპეუსმა Gnus Pompeus დაიწყო საომარი მოქმედებები სომხეთის, ალბანეთისა და იბერიის წინააღმდეგ. სომხეთის მეფის ტიგრანის დამარცხების შემდეგ, პომპეუსი დაიძრა ქართლისა და ალბანეთისკენ. ძვ. წ. 65 წელს მეფე არტაგი (იგივე არტოსი ძვ. წ. 78-63 წწ.) იძულებული გახდა დანებებოდა. სტრაბონისა და პლუტარქეს ცნობებით, იბერიის მეფეს პომპეუსისთვის ძღვნად მიურთმევია მასიური ოქროსგან დაზადებული საწოლი, მაგიდა და სამეფო ტახტი, რაც შესაძლებელია პროტოქართველების მიერ წამოღებული იქნა ბაბილონის დაცემის შემდეგ. პლუტარქეს თანახმად, იმავე წელს პომპეუსი შეიჭრა ალბანეთში და ალბანეთის მეფე დაამარცხა. პლუტარქე ასევე დასძენდა, რომ „პომპეუსი ბრძოლის შემდეგ კასპიის ზღვისკენ გაემართა, მაგრამ 3 დღეში უკან მობრუნდა, რადგან ბევრი ადამიანი დაიღუპა ქვეწარმავლის ნაკბენით, სომხეთთან მან უკან დაიხია“. ძვ. წ. 63 წელს პომპეუსმა სამხრეთისკენ, სელევკიდების ქვეყნებისკენ გადაინაცვლა, შემოიერთა სირია და დააარსა იუდეის პროტექტორატი, სადაც იესო დაიბადა.

ალბანეთი, კავკასიის მესამე სამხრეთ სახელმწიფო, რომელიც ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. „ალბანეთი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „მთიან მიწას“. კავკასიელი ალბანელები იყვნენ იბერო-კავკასიელი ხალხი.

[1] როდესაც რომისთვის ბრძოლაში იულიუს კეისარმა პომპეუსი დაამარცხა, პონტოს მეფე მითრიდატე, პომპეუსის მიერ დასმული, აჯანყდა, მაგრამ კეისარმა აჯანყება ჩაახშო. ის თავის ცნობილ მოხსენებაში წერდა: „Veni, vidi, vici...“

რომაული სკულპტურა მეფე ფარსმან II-ის ჯარისკაცისა, ანტიკვარიატის მუზეუმი, რომი

რომაული წარწერა, რომელიც ნაპოვნია ალბანეთში (ახლანდელი აზერბაიჯანი)

სტრაბონი, პტოლემეოსი და პლინიუსი წერდნენ კავკასიურ ალბანეთზე (აღვანია) (Albania (Aghbania, Aghvania)), რომელიც ძვ. წ. მე-4-3 საუკუნეებში აღმოაჩინეს. ქრისტეს შობამდე პირველ საუკუნეში სტრაბონი წერდა: „მეფეები თავიანთი წესებით მართავდნენ ტომებს, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ“.

კავკასიური ქვეყნებიდან ალბანეთი პირველია, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა მე-4 საუკუნეში და პირველი კიშის ქრისტიანული ტაძარი ააგო ჩ.წ-ით პირველ-მეორე საუკუნეებში. „წმინდანთა ოქსფორდის ლექსიკონის“ მიხედვით, ბართლომე, ერთ-ერთი 12 მოციქულთაგანი, რომელიც სომხეთსა და ალბანეთში ქადაგებდა ქრისტიანობას, აწამეს და შემდეგ დაკრძალეს დერბენტში, კასპიის ზღვასთან. ალბანეთის ეკლესია წმინდა მიწაზე ეკლესიების გარკვეულ რაოდენობას ფლობდა. ალბანური ანბანი აღებული იყო ქართული დამწერლობიდან, რომელიც 1937 წელს ხელახლა აღმოაჩინა ქართველმა მეცნიერმა ილია აბულაძემ.

ალბანეთში (ახლანდელი აზერბაიჯანი) ცხოვრობდა და ქადაგებდა ზარატუსტრა Zoroaster (Zarathustra) (ძვ. წ. 660-583 წწ.), რომელიც „ავესტას“[1]

---

[1] ზოროასტრიზმი დიდი გავლენით სარგებლობდა საქართველოშიც ქრისტიანობის მიღებამდე. ქარველებსაც დიდი როლი აქვთ ამ რელიგიის ჩამოყალიბებაში. ინდური და სპარსული ენების სპეციალისტი, ევროპული ორიენტალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საფრანგეთის შორეაღმოსავლური ინსტიტუტის იდეის დამფუძნებელი, ავესტას ფრანგულ ენაზე პირველად მთარგმნელი აბრაჰამ-ჰიასინტე ანკეტილ დუპერრონი (1731-1805) Abraham Hyacinthe Anquetil-Duperron ამტკიცებდა ქართულ და ზანდურ ენების მსგავსებას. ზანდური ენა წარმოადგენს ძველ ავესტანის ენას, რითიც დაწერილია ზოროასტრიზმის საკრალური ტექსტები – ავესტა. ინდოეთში ეს ენა ენათსავება შემდგომ ვედურ

ავტორი იყო, მაგრამ მოგვიანებით მოკლეს 77 წლის ასაკში, ავღანეთში, თურქებსა და სპარსელებს შორის ბრძოლაში. ქრისტეს შობიდან მე-3 საუკუნეში, ომის შემდეგ, კავკასიურ ალბანეთს სათავეში ჩაუდგა ჯერ ზოროასტრე სასანიანი Zoroaster Sasanians, შემდეგ არაბები და ბოლოს სასანიანის მტრები – თურქ-მონღოლ-სელჩუკები.

ძვ. წ. 36 წელს, ანუ 19 წლის შემდეგ, რომაელები სირიის მიმართულების სარდლის ლუციუს იულიუს მაქსიმუსის Lucius Julius Maximus მეთაურობით 1000 მძიმედ შეიარაღებულ ლეგიონერთან და 500 ცხენოსან ჯართან ერთად დაიძრა და მეფე ფარნავაზ II-ს (ძვ. წ. 109-30 წწ.) მოსთხოვა შეერთებოდა მათ ალბანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასე რომ, გაერთიანებულმა ქართულ-რომაულმა არმიამ მიაღწია კასპიის ზღვის ნაპირებს, რომაული იმპერიის ყველაზე შორეულ არმოსავლეთ ნაწილს.

ქრისტეს შობიდან 83 წლიდან 93 წლამდე, რომაელი იმპერატორის დომიციანეს Domitian მეფობის დროს, ლეგიო XII ფულმინატა Legio XII Fulminata გაგზავნილ იქნა კავკასიაში, რათა დახმარებოდა იბერიის მოკავშირე სამეფოებს და ალბანეთს პართიასთან ბრძოლაში. გობუსტანთან Gobustan აღმოჩენილი წარწერა (ბაქოს სამხრეთით 69 კმ-ში) ადასტურებს რომაული გარნიზონის არსებობას ამ მხარეში.

ძველი ავტორების გადმოცემის მიხედვით იმპერატორი ნერონი (ძვ. წ. 54-68 წწ.) და ლეგიონი ალექსანდრე მაკედონელი იკრიბებოდნენ გერმანიაში, ლეგიონ ფულმინანტასთან ერთად, რომელიც 58-68 წლებში ჩართული იყო რომაელ-პართულ ბრძოლაში, სომხეთის მეთაურობით, რისი მიზანიც იყო მიეღწიათ კასპიის ზღვის ნაპირებამდე, თუმცა იგი 68 წელს მოკლულ იქნა შეთქმულებისას (ან თავი მოიკლა) და შემდეგმა იმპერატორმა გალბამ Galba, გადაწყვიტა შეეცვალა მიმართულება და გაემართა ცივი ბრიტანეთის დასა-პყრობად.

რომაელებმა არჩიეს ქართლ-იბერია მოკავშირედ გაეხადათ და არა დაქვემდებარებულ სახელმწიფოდ. რომაელმა იმპერატორმა ვესპასიანემ Vespasian (69-79 წწ.) მცხეთაში კედელი აღმართა, ძვ. წ. 75 წელს. კედელზე გაკეთებული იყო წარწერა, რომ იბერია-ქართლის მეფე მითრიდატე (58-106 წწ.) არის „კეისრის მეგობარი“ და „რომაელ მეფეს უყვარდა იბერიელები“.

სანსკრიტს, რითიც დაწერილია ჰინდუიზმის საკრალური ტექსტები და ჰიმნები ვედა და რიგვედა. ზენდურ ენას ზვიად გამსახურდია მიიჩნევდა იაფეტურ (პროტოქართულ, პროტოევროპულ, პროტოარიულ) ენად. ამის დადასტურება ამჟამად შეუძლებელია, რადგან ყველა ზანდური ტექსტი კავკასიაში ალექსანდრე მაკედონელის და მისი სარდლის აზოს მიერ იქნა განადგურებულ. ზოროასტრიზმი შენარჩუნდა, მაგრამ ფეჰლეურ (სპარსულ) ენაზე. ანეტილის ინდოსტანში მოგზაურობამ აჩვენა, რომ ინდოსტანელი ზოროასტრი მოგვები სპარსული წარმოშობისანი არიან და ავესტურ-ზენდურ ენას უკვე აღარ ფლობდნენ.

იმპერატორმა ადრიანემ Hadrian (117-138 წწ.) მეფე ფარსმან II-ს აჩუქა საომარი სპილო 500 სამხედროსთან ერთად. იმპერტორ ანტონიუს პიუსის Antoninus Pius (138-161 წწ.) მიწვევით მეფე ფარსმან II Parsman თანხლებ პირებთან ერთად ჩავიდა რომში. მას სამეფო მიღება მოუწყვეს და მისცეს უფლება, რომ კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირათ. დიო კასიუსის Dio Cassius მიხედვით, რომში ცხენზე შემჯდარი მეფე ფარსმანის ქანდაკება აღმართეს ბელონას Bellona ტაძარში, მარსის Mars მოედანზე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სხვა ქვეყნის მმართველს ხვდა ასეთი პატივი. სამწუხაროდ, ქანდაკება გატყდა, როდესაც რომი დაარბიეს ვანდალებმა ძვ. წ. 143 წელს.

სანამ რომაელები და პართელები ერთმანეთს ებრძოდნენ, საქართველო სამი საუკუნის განმავლობაში (ძვ. წ. 240 – ჩვ. წ. 226 წწ.) ინარჩუნებდა რომის მტკიცე მოკავშირის სტატუსს. 230 წელს ძლიერი სასანიდური იმპერია (ახალი ირანული დინასტია, სპარსეთის გაისლამებამდე მე-7-8 საუკუნე) დაარსდა პართას იმპერიის ნანგრევებზე. 253 წელს ოსტგოთებმა Ostrogoths გამანადგურებლად დაარბიეს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი. რომაულ გარნიზონებსა და მშვიდობიან მოქალაქეებს აიძულებდნენ, რომ დაეტოვებინათ იქაურობა (რომაელმა გარნიზონებმა მხოლოდ აფხაზეთში, პიტიუს-პიცუნდაში აიცილეს თავიდან გოთები). ეს იზიდავდა სასანიდი ირანის არმიას, რომ გეზი აეღოთ შავი ზღვისკენ. რომაელი იმპერატორი ვალიერიანე ირანელებთან ბრძოლისას ტყვედ ჩავარდა 260 წელს. რომაელი მწერალი იულიუს კაპიტოლინუსი წერს, რომ იბერიელები შუამავალნი იყვნენ, რათა გამოესყიდათ ვალერიანე. 298 წელს სასანიდებმა ხელი მოაწერეს რომაელებთან ნიზიბინის ზავს Peace of Nisibis. ხელშეკრულება მოიცავს იურისდიქციას ქართლში და მეფე **მირიან III ფარნავაზიანი** (284-361 წწ.) აღიარებულ იქნა იბერიის მეფედ (საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში).

მირიანი წარმოშობით სპარსელი პრინცი იყო. როდესაც ქართველი მეფე აფსაგური Afsagur გარდაიცვალა, სპარსელებმა მირიან მეფე აირჩიეს იბერიის მეფედ და მიათხოვეს აფსაგურის ქალიშვილი, ამგვარად, მირიანი ფარნავაზიანი გახდა. მისი ძმა სპარსეთის მეფე გახლდათ და თავისი თავი თვითონ გამოაცხადა სპარსეთის ტახტზე. 7 წლის ასაკში მირიანი იბერიის მეფე გახდა და უკვე 15 წლისა იბრძოდა ხაზართა და სხვა მომთაბარეების წინააღმდეგ. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მუდმივ ომში, მირიანი ეცადა დათმობაზე წა-

იბერიის პირველი ქრისტიანი
მეფე მირიან III და დედოფალი ნანა

სულიყო და შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა. მან შექმნა ისეთი ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც სპარსეთი და ბიზანტია ანგარიშს უწევდნენ.

რომაელების გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა, როდესაც იმპერატორმა კონსტანტინემ დედაქალაქი 330 წელს გადაიტანა ბიზანტია-კონსტანტინოპოლში, სადაც, როგორც რომში, აქაც უფასოდ ეძლეოდა მოსახლეობას საკვები.

301 წელს სომხეთმა, 325 წელს ნიკეის მსოფლიო საელესიო კრებამ Council of Nicaea რომსა და ბიზანტიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. 326 წელს იბერიამ და ბოლოს კავკასიურმა ალბანიამაც წარმართულ რელიგიაზე და სპარსეთის ზოროასტრიზმზე უარი თქვეს კონსტანტინოპოლის ქრისტიანობის სასარგებლოდ. თავდაპირველად მეფე მირიან III-ის მეუღლე, დედოფალი ნანა, და შემდეგ უკვე სხვებიც ახალგაზრდა მონაზონ ნინო კაბადოკიელის მიერ მონათლულ იყვნენ. 487 წელს იბერიულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო და ინარჩუნებდა ამ სტატუსს, სანამ რუსულ ორთოდოქსულ ეკლესიას არ შეუერთდა 1811 წელს. იბერიაში ქართულმა ანბანმა და ლიტურგიამ გაქრისტიანობას შემდეგ მალევე შეცვალა არამეული. კოლხეთში (ლაზიკაში) ერთადერთი დამწერლობითი ენა იყო ბერძნული. ბიბლია ითარგმნა ქართულ ენაზე[1] და საეკლესიო მსახურებიც ქართულ ენაზე გადავიდნენ, რაც გამაერთიანებელი ძალა იყო ორი ქართული სახელმწიფოსთვის და რამაც საბოლოოდ გააერთიანა კიდეც ისინი.

როგორც რომაელი ისტორიკოსი ტირანიუს რუფინუსი Tyrannius Rufinus წერს, იმპერატორმა კონსტანტინემ იბერიის მეფის სამეფო კარზე გაგზავნა ეპისკოპოსებისა და მღვდლების დელეგაცია. კონსტანტინე დიდმა იერუსალიმში იბერიულ ეკლესიას ადგილი გამოუყო და მისცა ნაკვეთი ქართლის მეფე მირიან III-ის მისი სამეფოს ქრისტიანულად მოქცევის შემდგომ 326 წელს[2]. ზოგ წყაროზე დაყრდმობით, მეფე მირიანი ეწვია კონსტანტინოპოლს და შეხვდა კონსტანტინე I-ს, გაემგზავრა იერუსალიმში და მოინახულა ქართული ეკლესია. მან აღმოაჩინა მცხეთაში ეკლესია იმ ადგილას, სადაც საბოლოოდ სვეტიცხოვლის მონასტერი იქნა აშენებული. მეფე მირიანი დედოფალ ნანას გვერდით არის დაკრძალული მცხეთაში და მათი საფლავების ხილვა სამთავროს მონასტერში არის შესაძლებელი.

---

[1] იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ქართული მოზაიკური წარწერა 430 წლით თარიღდება.

[2] ლეგენდის თანახმად, ჯვრის მონასტერი აღდგენილ იქნა იერუსალიმში მე-11 საუკუნეში სწორედ იმ ადგილას, სადაც ადამის თავი იყო დამარხული, სადაც ამოვიდა ხე და ამ ხით გაკეთებულ ჯვარზე გააკრეს ქრისტე. ჯვრის მონასტერი დააარსა მეფე ბაგრატ IV-ის ზეობის დროს, ქართველმა გიორგი-პროხორემ, შავშეთიდან. მონასტრის ბიბლიოთეკა ბევრ ქართულ ხელნაწერს ინახავს. მონასტერი ახლა თანამედროვე ისრაელში კნესეთთან ახლოს მდებარეობს. ვალების გამო მონასტერი გირაოთი საბერძნეთს გადაეცა 1685 წელს. თუმცა არსებობდა დოკუმენტი, რომ ვალი დროულად იქნა გადახდილი, მაგრამ მონასტერი უკან არასდროს დაბრუნებულა და ამ საკითხზე დავა დღემდე გრძელდება.

დაიწყო ხალხთა დიდი ევროპული გადასახლება. 375 წელს ჰუნებმა დაიწყეს გოთების განდევნა ევროპაში. ანგლო-საქსები ბრიტანეთში გადავიდნენ. 330 წელს რომის იმპერიის დედაქალაქი იმპერატორმა კონსტანტინემ რომიდან კონსტანტინოპოლში გადაიტანა. 395 წელს იმპერია გაიყო აღმოსავლეთ იმპერიად – ბიზანტიად და დასავლეთ რომის იმპერიად. ამ უკანასკნელმა არსებობა 476 წელს შეწყვიტა. ეს იყო კლასიკური ანტიკური მონობის სისტემის დასასრული მსოფლიოში და დაიწყო ფეოდალიზმის ხანა.

321 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ კვირა დღე დააწესა დასვენების დღედ მთელს იმპერიაში. 350 წელს ბიბლია ითარგმნა გოთურ ენაზე. 381-391 წწ-ში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა მთელ რომის იმპერიაში და გოთური არიანიზმი აკრძალულ იქნა. 537 წელს აშენდა აია სოფიას ტაძარი.

ქაღალდი აღმოაჩინეს ჩინეთში და ის გავრცელდა არაბების მიერ მე-8 საუკუნეში, ხოლო ევროპაში უკვე მე-13 საუკუნეში.

378 წელს, მირიანისა და კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, იბერია კვალავ სასანიდების (Sassanid) სამფლობელოდ იქცა. მე-4-მე-6 საუკუნეებში (და მას შემდეგ) ქართველი ხალხი იბრძოდა სპარსეთისა და ბიზანტიელი დამპყრობლების წინააღმდეგ, რათა შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა.

მეფე ვახტანგ I გორგასალი **Vakhtang I Gorgasali** ანტიირანულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა, იბერიას აღუდგინა სახელმწიფოებრივი სტატუსი და 447 წელს მეფედ გამოაცხადა თავი. ის იყო 2მ და 40 სმ სიმაღლის, ძალზედ ძლიერი და მტერს შიშის ზარს სცემდა. სპარსელები ვახტანგს გორგასალს ეძახდნენ („მგელის თავა“) მისი მუზარადის ფორმის გამო, რომელსაც ატაებდა. როდესაც მან ცოლად შეირთო სპარსეთის პრინცესა ბელენდუხტი Balundukht, მონაწილეობა მიიღო სპარსეთის ლაშქრობაში ინდოეთში, შესაძლებელია შაჰ პეროზის Peroz ომში, ასევე ჰუნების წინააღმდეგ ომში ცენტრალური აზიის მომთაბარე ტომების კონფედერაციის წინააღმდეგ, რომლებიც ჩინეთის დიდი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობდნენ 474-476 წწ-ში. 491 წელს ის ჭრილობებით გარდაიცვალა. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

ვახტანგ გორგასალი,
მეტეხის ეკლესია თბილისში

ვახტანგმა საბოლოოდ გააერთიანა ეგრისი და იბერია, დაიქვემდებარა ახლანდელი საქართველოს საზღვრები. ოსები, ჩეჩნები, ჰუნები და ალანები დამხმარე ძალა იყო ქართულ არმიაში. აფხაზეთი რჩებოდა ბიზანტიური მმართველობის ქვეშ. ის ასევე თბილისის დამაარსებლად არის ცნობილი და მან საქართველოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში[1] გადაიტანა. მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ საჭირო გახლდათ, წარმართული ქალაქის ადგილას[2] შექმნილიყო ახალი ქრისტიანული დედაქალაქი. არსებობს ლეგენდა, თუ როგორ დაარსდა ქალაქი. მცხეთასთან ახლოს მეფე ვახტანგი ტყეში ნადირობდა. მისი შევარდენი დაედევნა ხოხობს. ჩიტი ცხელ წყაროში ჩავარდა და როდესაც ძაღლმა ის მეფეს მიუტანა, უკვე მოხარშული იყო. ის გაოცდა ამ სასწაულით გასცა ბრძანება, გაეშენებინათ ქალაქი ამ ადგილას და დაარქვა თბილისი, ქართულად „თბილი წყალი“. როდესაც მარკო პოლომ თბილისი გაიარა, აღმოაჩინა, რომ ქალაქი საკმაოდ „კოხტა“ იყო.

არაბები საქართველოში

ისლამის დამაარსებელი, მოჰამედი დაიბადა მექაში 570 წელს. მისი სიკვდილის შემდეგ, 632 წელს პირველად ხალიფა აბუ ბაქარმა მუსლიმ არაბებთან ერთად დაიპყრო მთელი ახლო აღმოსავლეთი (638 წელს იერუსალიმი) და ჩრდილოეთ აფრიკა (642 წელს კაირო, კარტახენა 698 წელს). 710 წელს მათ გადაკვეთეს გიბრალტარი და დაიპყრეს იბერიის ნახევარკუნძული (ტოლედო) და მხოლოდ ფრანკების მიერ იქნენ გაჩერებული პუატიეს ბრძოლაში, 732 წელს. სირიაში არაბმა ომაიდებმა (Omayyad) დამასკოში დააარსეს შიიტური სახელმწიფო. სირიელმა არაბებმა შემოიღეს „0“ და ათწილადი რიცხვები.

ვიკინგებმა ჩრდილოეთ ევროპაში დაიწყეს სასტიკი შეტაკებები. 860 წელს ვიკინგმა რიურიკმა დააარსა პირველი სახელმწიფო ნოვგოროდში და მისმა დინასტიამ რუსეთში იმეფა 1598 წლამდე. ოლეგმა (რიურიკმა) გააერთიანა ნოვგოროდი და კიევი და მიიღო ქრისტიანობა. დაარსდა შემდეგი ქვეყნები:

---

[1] ზოგი მწერლის მიხედვით, მეფე ვახტანგი და მისი არქიეპისკოპოსი ძლიერ დაობდნენ, რადგან ვახტანგს უნდოდა იბერიელ მეფეს და არა კონსტანტინოპოლის პატრიარქს, დაენიშნა მღვდლები. გარდა ამისა, მეფე მხარს უჭერდა დიოფიზიტობას (ბიზანტიასთან ალიანსის დეკლარაცია), რაც აღიარებს ქრისტეს ორ ბუნებას, ღვთაებრივს და ადამიანურს, უარყოფდა მონოფიზიტობას (შემოღებულ იქნა სპარსეთის ზოროასტრიზმის გავლენით), „სომხებმა უარი თქვეს თავიანთ ბედზე“. 608 წელს სომხეთის კათალიკოსმა აკრძალა ყოველგვარი კავშირი იბერიასთან და ალბანელებთან. რათა თავი აერიდებინა მშფოთვარე ეპისკოპოსებისთვის, ვახტანგმა თბილისი დაადგინა იბერიის ახალ დედაქალაქად.

[2] ახლა მცხეთა, ძველი საქართველოს დედაქალაქი (მე-5 საუკუნემდე), არის თბილისთან მდებარე ტურისტული ადგილი.

დანიის, შვედეთის, შოტლანდიის, ხორვატიის, სერბეთის, ბულგარეთის და უნ-გრეთის.



მე-7 საუკუნეში ბიზანტიურ-ირანული მეტოქეობა იბერიაში[1] დასრულდა არაბების მიერ რეგიონის დაპყრობის დაწყების გამო. წინასწარმეტყველის სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ერთი თაობის მანძილზე არაბების მიერ დაპყრობების სისწრაფემ განაცვიფრა სპარსელები და ბიზანტიელები.

იბერია-ქართლისა და ლაზიკის მმართველები მიხვდნენ, რომ არაბები მორჩილ სახელმწიფოებს კარგად ეპყრობოდნენ, ხოლო ვინც წინააღმდეგობას უწევდა, ძალზედ სასტიკად: ჰაბიბ იბნ მასლამასთან Habib ibn Maslama გაგზავნილი დესპანები დანებებას სთავაზობდნენ და ითხოვდა ვასალის სტატუსს. ჰაბიბი ეწვია თბილისს და დააწესა ჯიზია, გადასახადი ქრისტიანებისთვის. არაბები შემწყნარებლები აღმოჩნდნენ ქრისტიანობის მიმართ: ისლამის მიღება გახდა ნებაყოფლობითი, თუმცა ხალიფატი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მისი ადმინისტრაციული მოხელეები ყოფილიყვნენ მუსლიმები და მოემარაგებინათ ჯარისკაცები არაბების ომებში. რა თქმა უნდა, არაბების გავლენა კავკასიაში ძალაუფლებაზე არც თუ ისე ძლიერი იყო და მთელი მე-7 საუკუნის განმავლობაში ტრანსკავკასია გახლდათ ბრძოლის ველი, სადაც არაბები ებრძოდნენ ბიზანტიელების მიერ მოწვეულ ხაზარებს და ადგილობრივ ამბოხებულებს.

735 წელს არაბმა ხალიფამ ბაღდადიდან გაგზავნა 120 000 კაციანი სადამსჯელო არმია მარვან იბნ-მოჰამედის Marwan Ibn-Mohamed მეთაურობით

[1] 570-600 წწ-ში ბიზანტიელმა იმპერატორმა ჰერაკლემ რუსეთის სტეპის ხაზარების ლაშქრის დახმარებით გარკვეულწილად გააერთიანა კოლხეთ-ლაზიკა-ეგრისი, როგორც ვასალური სახელმწიფო, აფხაზეთის პატრიკიოსით სათავეში patrikioi of Abkhazia (აფხაზური ანჩბას Anchba ოჯახი).

(ცნობილი იყო როგორც მურვან ყრუ), რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა დაეპყრო კავკასია და თბილისი, სადაც არაბული საამირო დააარსა. მურვანმა ეთნიკური წმენდა ჩაატარა ქართლ-კახეთში, სადაც ისლამზე მოქცეული ხაზარები დაასახლა. 850 წელს ბაღდადის ხალიფას არმიამ, ბუღა თურქის Bugha Turk მეთაურობით მხოლოდ თბილისში 50 ათასი ადამიანი მოკლა. არაბებმეს იერიში მიიტანა და მიწასთან გაასწორეს ლაზიკა და აფხაზეთი.

აქტიურობდნენ ასევე სხვა მტრებიც. 760 წელს ულამაზესმა პრინცესა შუშანმა უარი თქვა ცოლად გაჰყოლოდა ხაზარების ჰაკანს Khazar Khagan და საქართველოში ხაზარების არმია შეიჭრა. შუშანი შეიპყრეს და ჰაკანთან გაგზავნეს, თუმცა მან თავი მოიკლა. ხაზართა არმიის წინამძღოლი ჰაკანმა სიკვდილით დასაჯა.

მიუხედავად ამისა, ევროპის (ესპანეთი), ჩრდილოეთ აფრიკის და აზიის ყველა ქვეყანაში, სადაც შევიდა არაბთა ჯარი, მუსლიმური რელიგია დააწესეს, გარდა საქართველოსი. მე-9 საუკუნეში ქვეყანა აღდგა მურვანის დამანგრეველი ლაშქრობები შემდგომ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბაღდადი გაანადგურა შიდაარეულობამ 813 წელს. არაბებმა მოახერხეს ქრისტიანობა აეკრძალათ ქართლში, აფხაზეთ-ეგრისში, სომხეთსა და ალბანეთში (ახლა მას არანს უწოდებენ). არაბები არ შესულან საქართველოს მაღალმთიან სოფლებში. ადგილობრივი დიდებულები თბილისის საემიროში თანაარსებობდნენ. თბილისი გახდა ის საერთაშორისო გზაჯვარედინი, რომელზეც ბევრი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა გადიოდა.[1]

მე-9 საუკუნეში ბაგრატიონების ახალმა დინასტიამ ისარგებლა არაბების შესუსტებით და წარმოადგინეს თავი ტაო-კლარჯეთის მთავრებად. ახლა სამხრეთ-დასავლეთის ისტორიული ნაწილი თურქეთის ტერიტორიაზეა. 813 წელს მეფე (ერისმთავარი) აშოტ I, ბაგრატიონების ოჯახიდან, ტაო-კლარჯეთის მმართველი, სათავეში ჩაუდგა არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში. აღიარა ბიზანტიის პროტექტორატი და დააარსა ქართველების სამთავრო ბიზანტიის ტერიტორიაზე, როგორც იბერიის კურაპალტმა Kuropalate of Iberia. ამავე დროს, დასავლეთ საქართველოში, მრავალსაუკუნიანი გამანადგურებელი ომების შემდგომ, ეგრის-ლაზიკის პოლიტიკურმა ცენტრმა გადაინაცვლა აფხაზეთში, სადაც აჩბას Achba აფხაზური საგვარეულო (ლეო I (736-77 წწ.), ლეონ II (766-811 წწ.) ბიზანტიელების მხარდაჭერით სამეფო დინასტიად ჩამოყალიბდა (ქართველები მათ ანჩაბაძეებს Anchabad უწოდებდნენ – ანჩაბაძე/ანჩაფაძე/ამჩაბაძე. აფხაზმა მეფეებმა ტერიტორია გაწმინდეს არაბებისგან, ხაზარებისგან, ბიზანტიელებისგან და დედაქალაქი დააარსეს ქუთაისში. მე-13 საუკუნეში

[1] თბილისის შედარებით აყვავება, როგორც მუსლიმების სავაჭრო ცენტრისა, მეორე იყო დერბენტის შემდგომ კავკასიაში, სადაც ამირები ხარჯავდნენ ფულს ფუფუნებაში და უკვე აღარ გადასცემდნენ ბაღდადს, რაც ძალზედ იზიდავდა ზოგ დამპყრობელს, როგორც ბუღა თურქს, რომელიც შემოვიდა თბილისში 50 ათას კაციანი არმიით. ისინი თავს დაესხნენ და მოკლეს მუსლიმი ამირა.

ქართლში დამკვიდრებულ მათ შთამომავლებს დაერქვათ მაჩაბელი, კახეთში – აფხაზი.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ქართული იყო სახელმწიფო ენა, საეკლესიო ენად ბერძნული რჩებოდა. მალე, მე-10 საუკუნის დასაწყისში, ეკლესიაც მიჰყვა ამ მდგომარეობას და მიმართული გახდა აღმოსავლეთისკენ: ლაზიკის მოძღვრებმა, აფხაზეთმა და ჯიქეთმა შეიცვალეს ეს დამოკიდებულება კონსტანტინოპოლთან და დაიწყეს ბერძნულის ნაცვლად, ქართული ენის ხმარება ლიტურგიებში.

საქართველოს მყარი დეფინიცია წარმოადგინა მწერალმა გიორგი მერჩულემ Giorgi Merchule მე-9 საუკუნეში შემდეგნაირად: „ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ ეს ქვეყანა როგორც დიდი საქართველო, სადაც მასა და მლოცველები საუბრობენ ქართულად“.

დავით III ბაგრატიონ კურაპალატმა (961-1001 წწ.) **Kuropalate David III Bagrationi** გაძლიერებული ჯარი გაგზავნა ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II-თან Basil მაკედონიელების დინასტიიდან, მას ასევე იცნობდნენ როგორც ბულგარეთ მმუსვრელს Bulgar-Slayer (958-1025 წწ.). ჯარის სათავეში დაინიშნა იოანე-თორნიკე ერისთავი, რომელიც გადადგა საქართველოში გენერლის თანამდებობიდან და ცხოვრობდა ბერ-მონაზვნული წესით ათონის მთაზე. ამ ჯარით საქართველო ეხმარებოდა კეისრის სარდალს ბარდა ფოკას Bardas Phocas[1], რათა დაემარცხებინა მეამბოხე ბიზანტიელი სარდალი ბარდა სკლიაროსი (978-9 წწ.). 1200-მა ქართველმა მხედარმა მნიშვნელოვანი როლი ითამაში 979 წლის ბრძოლაში.

მხარდაჭერისათვის გამარჯვებულმა ბერ-მონაზონმა სარდალმა საჩუქრად მიიღო 1200 ფუნტი ოქრო, რამაც საშუალება მისცა ქართველებს აეგოთ საკუთარი ტაძარი Iveron Monastery ათონის მთაზე, კუნძულზე ეგეოსის ზღვაში. თუმცა ახლა იგი ბერძნებითაა დასახლებული და დღემდე ცნობილია ივერონის-„იბერიელების“ სახელით. ასევე, ქართველი მეფე დაჯილდოვდა

[1] ბიზანტიაში გარკვეული რაოდენობის წარმოშობით ქართველ-სომეხთა ოჯახი სახლობდა, ისეთი როგორც ბაკურიანი, თორნიკიოი, ფოკადესი, სკლეროი და დალასენოი Pakourianoi (Bakuriani), Tornikioi, Phokades, Skleroi and Dalassenoi. გრიგოლ ბაკურიანოსი Gregory Pakourianos აღნიშნავდა, რომ „იბერიელები სისხლით ახლოს არიან ჩვენთან“. როგორც ოსტროგორსკი Ostrogorsky დასძენს, ბაკურიანოს, მიუხედავად შესანიშნავი კარიერისა საიმპერიო სამსახურში, თავს გაუცხოებულად გრძნობდა ბიზანტიურ წრეებში და ბერძნებს ეჭვის თვალით უყურებდა. გრიგოლ ბაკურიანოსმა (Bakuriani ბაკურიანიძე) ბულგარეთში, თავის მიწაზე, 1081 წელს 50 ქართველი ბერ-მონაზონი გადმოასახლა და დააარსა პეტრიწონის მონასტერი. მან ასევე მიიღო მონაწილეობა ათონის მთაზე ივერიის მონასტრის დაარსებაში. მონასტრის ტიპიკონში აღნიშნულია, რომ ბერძენი ბერ-მონაზვნები არ უნდა იყვნენ დაშვებულნი. ყველა ბერს უნდა შეძლებოდა წაეკითხა და დაეწერა ქართულად.

სომხების პროვინციებით ვანის ტბამდე, რამაც შემდგომ ბევრი გაუგებრობა და გართულება გამოიწვია.

975 წელს საქართველოს ყველა მიწის გაერთიანების სურვილის გამო დავით კურაპალატმა იშვილა ბაგრატი, თავისი დისწული, აფხაზეთის პრინცი, აფხაზი მეფეების დისშვილი. მართალია, დავით კურაპალატს არ ჰყავდა საკუთარი შვილი, მაგრამ საბედნიეროდ, არც სხვა მეზობელ სამ აფხაზ მეფეს ჰყავდა მემკვიდრე.

1008 წელს, დავით III კურაპალატის სიკვდილის შემდეგ, მისი ნაშვილები მეფე ბაგრატ III **Bagrat**, 300 წლიანი აფხაზ აჩბას დინასტიის წარმომადგენელმა, გააგრძელა ქართველ ბაგრატიონთა დინასტია და გახდა ქართველებისა და აფხაზების, სრულიად საქართველოს „all-Georgia“ სახელმწიფოს (აფხაზეთი, ეგრისი/სამეგრელო, იმერეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, აჭარა, ქართლი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, მესხეთი და ჯავახეთი Abkhazia/Abasgia, Egrisi/Samegrelo, Imereti, Svaneti, Racha-Lechkhumi, Guria, Ajaria, Kartli, Tao, Klarjeti, Shavsheti, Meskheti and Javakheti) მეფეთ მეფე. ამიერიდან იგი ცნობილი იყო როგორც საქართველო. შემდეგ ბაგრატს კვლავ ჰქონდა პრეტენზიები კახეთის მიმართ და 1010 წელს 2 წლიანი ბრძოლის და აგრესიული დიპლომატიის შემდეგ შემოიერთა კიდეც. სომხეთის მეფესთან კავშირი ბაგრატმა წარმატებით გამოიყენა აზერბაიჯანის შაჰის წინააღმდეგ. და ბოლოს და ბოლოს, ის ატარებდა „აფხაზების, ქართველების, ჰერების და კახელების მეფის“ ტიტულს თბილისის საამიროს გამოკლებით. არაბებმა თბილისს კომერციული აყვავება მოუტანეს. როგორც მუსლიმი მოგზაურები და ვაჭრები იუწყებიან, მუსლიმური მეჩეთები და ქრისტიანული ტაძრები თავისუფლად თანაარსებობდნენ და რომ მოსახლეობა ცნობილია სტუმართმოყვარეობით.

ბაგრატმა უამრავი ეკლესია-მონასტერი ააგო ყველგან, მათ შორისაა ქუთაისში, ქვეყნის დედაქალაქში, ბაგრატის ტაძარი, ასევე აფხაზეთში ბედიის მონასტერი, და რაჭაში ნიკორწმინდის ტაძარი, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილებია საქართველოში. ბაგრატ III დაკრძალულია ბედიის მონასტერში, ახლანდელ აფხაზეთში.

500 წლის შემდეგ საქართველო გაერთიანდა ცენტრალიზებული და უცხოელების ბატონობისგან განთავისუფლებული. ეს მიღწევები შესაძლებელი იყო იმის გამო, რომ ბიზანტიელების იმპერია ბრძოლების შედეგად წინასწარ

იყო ოკუპირებული ბულგარელების მიერ და არაბთა ხალიფატის ახლად გამოჩენილი თურქი მომთაბარენი დაესხნენ თავს.

ამასობაში ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები გართულდა. სამწუხაროდ, მეფე დავითმა განაახლა კავშირი გენერალ ბარდა ფოკასთან[1] Bards Phocas, მას შემდეგ რაც ამ უკანასკნელმა დაიწყო აჯანყება იმპერატორ ბასილი II-ის წინააღმდეგ. ფოკას უკვე დაპყრობილი ჰქონდა მთელი ბიზანტიის ტერიტორია მცირე აზიაში. დავითის გადაწყვეტილება, რომ დახმარებოდა 10 000 კაცით, პოლიტიკური ელფერის მატარებელი იყო იმ ხანად. მაგრამ ამ შემთხვევაში ბასილ II-მ სთხოვა კიევის რუს მეფეს ვლადიმერს, მიეცა ჯარი, რათა რუსების და ვარანგების (ვარიაგების: ნორმანების და ვიკინგების) გაქრისტიანებით დაემარცხებინათ ბარდა ფოკა. ამის გამო დავითი იძულებული იყო მიეღო ბასილ II, მისი სამეფოს სიუზერენად. წარმოიშვა საკამათო ტერიტორია – იბერიის თემა Theme of Iberia დედაქალაქით თეოდოსიპოლით (ერზერუმით) Theodosioupolis (Erzerum), ბერძნული დასახელებით, ან ტაოს ტერიტორია ქართული დასახელებით. დავითის გარდაცვალების შემდგომ, ბასილმა 1008 წელს ეს მიწა და ვანის ტბა შეუერთა ბიზანტიის იმპერიას.

ეს ანექსია დავითის ვაჟს, მეფე ბაგრატ III-ს არ მოსწონდა, რის გამოც დაიწყო ძმათაშორისი ომი. 1014 წელს ბაგრატ III-ის ვაჟმა **გიორგი I ბაგრატიონმა** (1014-1027 წწ.) მიიღო აფხაზეთის, კახეთის, ქართლის ტერიტორიები მემკვიდრეობით, და ტაოს ტერიტორია, რომელზეც ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო მოთხოვნა, რაც ბიზანტიელების ხელში იყო. ამის გამო მან თავისი 7 წლიანი მეფობა გაატარა სისხლიან და უშედეგო ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში ბიზანტიასთან. სომხების დახმარებით,

---

[1] ქართული ფოკას Phokas კლანის სამხედრო ლიდერები საუკუნეების მანძილზე კონკურენციას უწევდნენ ბიზანტიელ იმპერატორს. 602 წელს მათ კონფლიქტს მოულოდნელი შედეგები მოჰყვა: სპარსეთის სასანიდმა მეფე ხოსრომ II Khosrau (590-628 წწ.) სამეფო ტახტი მოიპოვა იმპერატორ მაურიცის Maurice (582-602) მხარდაჭერით. სამაგიეროდ მან ძალაუფლება სომხეთზე, იბერიასა და ლაზეთზე ბიზანტიას გადაულოცა. 602 წელს ბიზანტიის ეს იმპერატორი მოკლულ იქნა გენერალ ფოკას მიერ, რამაც ხოსროს შურისძიება გამოიწვია და მან იერიში მიიტანა ბიზანტიის წინააღმდეგ. თუმცა აშკარა იყო მისი მეორე მიზანიც, რომ ანექსირებული ყოფილიყო ბიზანტიის რაც შეიძლება მეტი ტერიტორია. მისმა ჯარმა 614 წელს მთელი ანატოლია, სირია, იერუსალიმი და ეგვიპტეც კი აიღო, მაგრამ არაბები არ გაუნადგურებია, რადგან ამის აუცილებლობა არ იყო. არაბები იმ დროს შეუმჩნევალად იყვნენ. ისლამი სწორედ ამ დროს აღმოცენდა. ცნობილია მუჰამედის წერილი ხოსროს სახელზე, მას ზოროასტრიანიზმის სანაცვლოდ ისლამის რელიგია ერწმუნა. მალე ფოკას მემკვიდრემ, ჰერაკლემ Heraclius შეკრიბა ჯარი და 629/360 წ.-ში ბრძოლა წამოიწყო მთელი დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, მაგრამ 620 წელს მუჰამედს საოცარი მოგზაურობა ჰქონდა იერუსალიმში ანგელოზ გაბრიელთან ერთად, როდესაც ალ-აქსას მეჩეთი Al-Aqsa Mosque აღმართეს ებრაული ტაძრის ნანგრევებზე, რის გამოც ის დღესაც დავის საგანია.

ახალგაზრდა და ამბიციურმა მეფემ, გიორგი I-მა კვლავ დაიპყრო ტაო 1015-1016 წლებში. ის შევიდა ალიანსში ეგვიპტის ფატიმ ხალიფთან და ალ-ჰაკიმთან Al-Hakim (996-1021 წწ.). რამაც ბასილი რთულ სიტუაციაში ჩააყენა. იგი იძულებული იყო, თავი შეეკავებინა მწვავე რეაქციისგან გიორგისგან მიყენებულ შეურაცხყოფებზე.

ბიზანტიელები მუდმივად ომობდნენ ბულგარელებთან, რათა შეეზღუდათ მათი ქმედებები. ბასილს ბულგართა მმუსვრელს უწოდებდნენ მისი შეუბრალებელი სისასტიკის გამო. მან 15 000 ბულგარელი ტყვე დააბრმავა, 100-დან მხოლოდ ერთს უტოვებდა თვალებს, რათა უკან წასულიყო თვალებდათხრილ ტყვეებთან ერთად. მაგრამ, როგორც კი ბულგარეთი დაიპყრეს, ხალიფ ალ-ჰაკიმი მოკლეს და ჯარს სათავეში ჩაუდგა ბასილი, გააძლიერა ვარანგების არმია Varangian Guards, რათა ებრძოლათ საქართველოსა და სომხეთის წინააღმდეგ 1021 წელს. დამქანცველი ომი ორ წელს გაგრძელდა, რომელიც ბიზანტიის გამარჯვებით დასრულდა. მეფე დავითმა ტაო, კოლა, არტაანი, ჯავახეთი და ჩვილი ვაჟი ბაგრატი მძევლად გადასცა ბასილს 1022 წელს[1].

საბედნიეროდ, უგუნური ბრძოლა თანაქრისტიანებს შორის დასრულდა. კონსტანტინოპოლმა დააფინანსა სვეტიცხოვლის მონასტრის რეკონსტრუქცია, მცხეთის მთავარი საკათედრო ტაძარი. 1027 წელს მეფე გიორგი I მოულოდნელად გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა დედაქალაქ ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში. გიორგი I ორჯერ იყო დაქორწინებული – პირველად სომხეთის პრინცესაზე მარიამ ვასპურაკანზე, რომელთანაც ჰყავდა ვაჟი, უფლისწული ბაგრატი, ხოლო მეორედ ალანების პრინცესაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბასილ II-მ მიიტაცა საკამათო ტერიტორიები, ქართველმა მეფეებმა შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა და გააერთიანეს ქართული მიწები. მამის სიკვდილის შემდეგ ბაგრატი ბიზანტიის ტყვეობიდან დაუბრუნდა სახლს, რათა გამხდარიყო საქართველოს მეფე **ბაგრატ IV** (1027-1072 წწ.), რომელსაც ცოლად ჰყავდა ალანელი ბორენა, ვინც დააფინანსა იერუსალიმში სიონის მთაზე მდებარე ქართული მონასტრის რეკონსტრუქცია.

მისი ქალიშვილი მარია (მარიამი) მითხოვდა ორ ბიზანტიელ იმპერატორს, რომელთაც გაუჩინა ბიზანტიის ტახტის მემკვიდრე. იმ დროს ეს იშვიათი შემთხვევა იყო ბიზანტიის ისტორიაში, რადგან ჩვეულებრივ, მხოლოდ ბერძნებს ირთავდნენ ცოლად. მარია და მისი დედა ბორენა გავლენიანი ქალბატონები იყვნენ მათი პოლიტიკური და საქველმოქმედო საქმიანობის გამო, ათონის მთაზე მდებარე ივერონის მონასტრისათვის შეწირულობების გაგზავნის ჩათვლით. ანა კომნენის (Komnene) მიხედვით, მარიამი ისეთი

[1] ნორვეგიის მომავალმა მეფემ, ჰარალდ ჰარდრადამ, Harald Hardrada, როგორც ვარანგმა დაქირავებულმა მებრძოლმა, ქართველებთან ერთად გაილაშქრა კასპთან ახლოს, სასირეთში, ტაოს დასაბრუნებლად.

ლამაზი იყო, რომ მნახველს მეტყველების უნარს დაუკარგავდა და ადგილზე გააშეშებდა. მას პატივს სცემდნენ ქართველებიც, რის გამოც მატულობდა ქორწინებები ქართველ და ბიზანტიელებს შორის, რაც აძლიერებდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს. მარიას ეპყრობოდნენ როგორც თანასწორს, მიიღო უამრავი მიწა და ქონება. თუ შორს წავალთ, მისმა ძმამ, საქართველოს მეფემ გიორგი II-მ კეისრის წოდება მიიღო, რაც ადასტურებდა მის ახლო კავშირს საიმპერატორო ოჯახთან. დედოფალი მარია, მიწის მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელი გახდა, რაც გენერალ ალექსიოს კომნენოსის დამსახურება გახლდათ, რომელზეც დადიოდა ჭორები, თითქოს მისი საყვარელი იყო, ქმრის საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, მან შეთქმულების მოწყობის მიზნით, ალექსიოსი იშვილა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 5 წლით იყო მასზე უფროსი. ბოლოს ალექსიოსმა, პროქართულ კლანებთან ერთად, რომლებიც ითვლებოდნენ ყველაზე უფრო მებრძოლებად ბიზანტიურ არმიაში, იმპერატორი იძულებული გახადეს ტახტიდან გადამდგარიყო და 1081 წლიდან თვითგამოცხადებული მეფე იყო (14 წლის ასაკში ის მზად იყო შეეთავაზებინა ევროპიდან ჯვაროსნების შემოსვლა). ალექსიოსმა მარიას ვაჟი, კონსტანტინე ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა და მოგვიანებით მისი ქალიშვილი ანა კომნენოსიც დაანიშნინა,რომელსაც მარიას ყურადღების ქვეშ ზრდიდნენ კონსტანტინესთვის. თუმცა ეს ვეღარ მოხდა, რადგან კონსტანტინემ მიიღო იმპერატორთან თანამშრომლობის სტატუსი 1074-1087 წლებში.

როგორც ყოველთვის, რეალური მუქარა მოდიოდა აღმოსავლეთიდან. 1054 წელს თურქ სელჩუკებმა დაამარცხეს ბიზანტიის, სომხეთის, საქართველოს, ფრანკების, ნორმანების, ვარანგების, თურქებისა და ბულგარეთის სახელმწიფოების გაერთიანებული ძალები, მანაზკერთის (Manzikert) ბრძოლაში და ტყვედ აიყვანეს იმპერატორი.

რათა დაეცვათ აღმოსვლეთის საზღვრები, ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა ტაო ფორმალურად დაუბრუნა (იბერიის თემა)[1] **გიორგი II** ბაგრატიონს (1072-1089 წწ.), აგრეთვე მიანიჭა ბიზანტიის კეისრის წოდება, გადასცა ყარსის ციხესიმაგრე და დააყენა იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების პასუხისმგე-

[1] ისტორიულად, ტაო საქართველოს ტერიტორიად რჩებოდა, სანამ ოსმალები დაიპყრობნდნენ 1551 წ. აქ გატარდა ისლამიზაციის პოლიტიკა და ბევრი ქრისტიანული ტაძარი გადაკეთდა მეჩეთად. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ 1877-1878 წწ. ყოფილი ტაო-კლარჯეთის უმეტესი ტერიტორია თურქებმა დაუთმეს რუსეთის იმპერიას, მაგრამ 1918 წელს თურქებმა უკან დაიბრუნეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შედეგად. შუა საუკუნეების საქართველოს არქიტექტურის რამდენიმე მონუმენტი – მიტოვებული ან გადაკეთებული ეკლესიები, მონასტრები, ხიდები და ციხესიმაგრეები – დღემდე მიმოფანტულია ტაოს ტერიტორიაზე. ამათგან ყველაზე ცნობილია ხახულის მონასტერი, ოშკის ტაძარი, იშხანი, ბანა, პარხალი, დოლისყანა, ოთხთა ეკლესია, ოპიზა და ტბეთი Oshki, Ishkhani, Bana, Parkhali, Doliskana, Otkhta Eklesia, Opiza and Tbeti.

ბლად. ეს ადგილი იქცა ქართველ-სელჩუკების ბრძოლის ველად. მალე გიორგი II იძულებული გახდა გადამდგარიყო მისი ვაჟის, **დავით IV**-ის სასარგებლოდ.

თურქ-სელჩუკები საქართველოში

1060-70 წლებში საქართველოში სიტუაცია დაიძაბა თურქ-სელჩუკების გამოჩენით, რადგან მათმა შემოსევებმა ქვეყანა ძლიერ დააზარალა. „დიდი თურქული დაპყრობები“ 1080 წელს დაიწყო. როდესაც ისინი ბიზანტიისკენ მიდიოდნენ, სპარსეთი და სომხეთიც მიიტაცეს. მიწები, სადაც მომთაბარეებმა გაიარეს საძოვრებად იქცა.

რომის პაპმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ერთმანეთი დაწყევლეს. განხეთქილება 1054 წელს დასრულდა. იერუსალიმი 1099 წელს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდგომ, განთავისუფლდა მუსლიმებისგან. ამავე დროს დაიწყო Reconquista ნავარას და არაგონის Navarre and Aragon განთავისუფლების შედეგად იბერიის ნახევარკუნძულის განთავისუფლებაც. ტოლედომ 1085 წელს მიიღო დამოუკიდებლობა. ვესტმინსტერის სააბატოს მშენებლობა ინგლისში 1042 წელს დაიწყო. ნორმანებმა დაიპყრეს სიცილია და დააარსეს სამეფო 1130 წელს. პორტუგალიის სახელმწიფო 1139 წელს დაარსდა. მეორე გამანადგურებელი ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო ედესის (ურფა) Edessa (Urfa) დაცემის შემდგომ, 1144 წელს და მესამე წარუმატებელი ლაშქრობა 1187 წელს ეგვიპტელი სალადინის Saladin მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდგომ. ევროპაში პირველი უნივერსიტეტი 1158 წელს ბოლონიაში დაარსდა.

16 წლის მეფე **დავით IV აღმაშენებელი** ბაგრატიონი (1089-1125 წწ.) გახდა უდიდესი მონარქი საქართველოს ისტორიაში. მან შექმნა 40 000 კაციანი ჯარი აზნაურებისგან და გლეხებისგან. ამის გამო მოსახლეობის უმეტესობა მიწათმოქმედებას მოწყდა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად დავით IV-მ ჩრდილოეთ კავკასიის ველებიდან დაიქირავა 40 000 ყივჩაყი თავისი არმიისთვის და დაასახლა თავის ოჯახებთან ერთად. თურქ-ყივჩაყებს იყენებდა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგი ისტორიკოსი (ზურაბ კაცელაშვილი) თვლის, რომ ეს დავით აღმაშენებლის შეცდომა იყო. ყივჩაყთა საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ შიდააშლილობები უფრო გამწვავდა.

1095 წელს ჯვაროსნული ლაშქრობები დამასკოში დაიწყო, ხოლო 1099 წელს იერუსალიმში, რაშიც ქართველებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ, მაგრამ ისტორიული ცნობები ვატიკანის არქივიდან არ არის გამოქვეყნებული. ევროპელი ქრისტიანების შემოსევების შედეგად მუსლიმები იძულებულნი გახდნენ, კონცენტრაცია მოეხდინათ სირიისა და პალესტინის დაცვაზე და თავი დაენებებინათ ტრანსკავკასიისთვის. 1099-1101 წწ-ში მეფე დავითი თავად ედგა სათავეში თავის ჯარებს და თანდათანობით გააძევა კიდეც თურქ-სელჩუკები

ქართლიდან, კახეთიდან და ჰერეთიდან. ასევე მან შეძლო შეეწყვიტა ხარკის გადახდა.

ბოლოს ამ ქმედებებმა სელჩუკების მთავრების ყურადღება მიიპყრო. სულთან მაჰმუდ ბ. მუჰამედმა Mahmud b. Muhammad (1118-1131 წწ.) საქართველოში გაგზავნა კოალიციური ძალები, მისი საუკეთესო სარდალის, ნეჯმ ად-დინ ილღაზის Regina Al-Din Ilguzi მეთაურობით, რომელიც ცნობილი იყო ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლებით. 1121 წლის 12 აგვისტოს მეფე დავითმა დიდგორთან ახლოს გამართა ბრძოლა ჯვაროსან ლეგიონთან ერთად, რომელშიც მან მრავალრიცხოვან მტერზე ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. მუსლიმების მაშინდელი რიცხვი ახლაც სადავოა, რადგან მერყეობდა შემდეგნაირად, 600 000 კაციდან (Walter the Chancellor's Bella Antiochena, Matthew of Edessa), 400 000 კაცამდე (Smbat Sparapet's „Chronicle"), ხოლო ქართველების რაოდენობა მერყეობს დაახლოებით 180 000-დან 250 000 კაცამდე, ქურთების, სომხების, თურქების და ირანელების ჩათვლით. ქართული არმია შედგებოდა 30-50 000 მხედრისგან, 10 000 ქვეითი ჯარისგან, 15 000 ყივჩაყისგან, 500 ოსისგან და 100 დასავლეთ ევროპის ჯვაროსნისგან. 200 ქართველმა, თავი მოაჩვენა თითქოსდა მოღალატეები იყვნენ, შეაღწია კოალიციის ჯარის შტაბში და ყველა გაანადგურა. მთელი სელჩუკების ჯარი პანიკას მიეცა. ამ გამარჯვების შემდგომ დავითმა 1122 წელს გაათავისუფლა თბილისი და დედაქალაქიც ქუთაისიდან სწორედ აქ გადმოიტანა.

მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავს, რომ „ჯვაროსნული ომების დასავლეთის (ევროპული) მწერლები (მათ შორის სამეფო კარზე მყოფი ვატიკანის წარმომადგენლები) დიდგორის ომს ისე დაწვრილებით აღწერენ, როგორც ამას აღმოსავლეთის მწერლები ვერ ახერხებენ".

ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო დიდი ინტერესი გაუჩინა თურქებს. შემდეგ 1123 წელს ნახევარი მილიონი დაბანაკდა შირვანის დედაქალაქში, რომლებიც მზად იყვნენ იერიშისათვის. 50 000-მა ქართველმა ალყაში მოაქცია ქალაქი და თურქული არმია დანებდა, რათა მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ იქ, საიდანაც მოვიდნენ – ბაღდადში.

ის იყო, რომ დავით აღმაშენებლის სახელში უკვე გამოჩნდა სახელწოდება „მესიის მახვილი": მისი წოდება ესეთი იყო: „უმაღლესი მეფე დავითი, უფლის სურვილით, მეფეთ მეფე, აფხაზების, ქართველების, რანების, კახელების, სომხების, შირვანშაჰის და შაჰანშაჰის, მთელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, მესიის მახვილი".

ქართულ წყაროებზე დაყრდნობით (მაგრამ არ არის დადასტურებული სხვა წყაროების მიერ) არის ლეგენდა, რომ მეფე დავითმა მონაწილეობა მიიღო იერუსალიმის გათავისუფლებაში და მას გადაეცა გრაალის თასი Grail vessel, რაც გამოსახულია ქართულ დროშაზე 1099 წლიდან. იერუსალიმის დროშა ბოლო საუკუნეების მანძილზე იყო ქართველების საბრძოლო ალამი, ხოლო ახლა კი სახელმწიფო დროშაა. ქართველებს ახლო ურთიერ-

თობა ჰქონდათ ტემპლარებთან (ან ტამპლიერებთან ფრანგულ ორიგინალში) Templars (Templiers), რომლებმაც დააფინანსეს იერუსალიმში ჯვრის მონასტრის აშენება. ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, იერუსალიმის ჯვაროსანი მეფე ბალდუინი Baldwin, საქართველოს ეწვია 1119-21 წლებში.

ბიზანტიის იმპერიასთან ახლო კავშირი ბევრად უფრო რთული და სახიფათო იყო. როგორც მეზობლები, მათი კულტურა და იდეოლოგია გავლენას ახდენდა ერთმანეთზე, მაგრამ ტერიტორიებისათვის მუდმივად ომობდნენ. მე-13 საუკუნემდე, როდესაც ჯვაროსნებმა დაარბიეს ივერონის მონასტერი, ქართველებს უფრო კარგი ურთიერთობა ჰქონდათ კათოლიკეებთან, ვიდრე ბიზანტიელებთან.

დავით აღმაშენებელი 1125 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა გელათის მონასტერში. დავითს ცოლად ჰყავდა რუსუდანი, სომეხი პრინცესა, და შემდეგ გურანდუხტი, ყივჩაყი მთავრის ათრაქის ქალიშვილი. მას სამი შვილი ჰყავდა, ვაჟი დემეტრე და ორი ქალიშვილი, თამარი, რომელიც მისთხოვდა შირვანშაჰს და კატაი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორს მისთხოვდა.

მისი მემკვიდრეების მეფობის დროს (**დემეტრე I** (1125-1155 წწ.), **დავით V** (1155 წ.), **გიორგი III** (1156-1184 წწ.)) საქართველოს საზღვრებმა გადაინაცვალა ნიკოფსიიდან (ქალაქი ახლანდელ სოჭსა და ტუაფსეს შუა) დარუბანდამდე (კასპიის ზღვა) და ოსეთიდან (ჩრდილოეთ კავკასია) სომხეთის არარატის მთამდე.

მეფე დავით IV-ის შვილიშვილის **თამარის მეფობის** დროს (1184-1213 წწ.) საქართველოს სახელმწიფომ პოლიტიკური შესაძლებლობების მწვერვალს მიაღწია და ტერიტორიები გააფართოვა. ოფიციალური სახელი მეფე თამარისა მიუთითებს მის ძალაზე: „თამარ ბაგრატიონი, უფლის ნებით დასმული, მეფეთა მეფე და დედოფალთა დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახელთა, სომეხთა, შარვანშაჰა და შაჰინშაჰი, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მფლობელი, მსოფლიოს დიდება და რწმენა, მესიის მახვილი“.

საქართველო თამარ მეფის დროს

1185 წელს მეფე თამარი ცოლად გაჰყვა იური ბოგოლუბსკის, სუზდალის დიდი მთავრის ვაჟს. იური ამორალური და მსმელი პიროვნება აღმოჩნდა და ორ წელში თამარმა თავისი ქორწინება დაარღვია.

1189 წელს ის ოსთა მეფის შვილს დავით სოსლანს მისთხოვდა, დედით ქართული სამეფო ოჯახის, ბაგრატიონების შთამომავალს.

მე-12 საუკუნის ბოლოს დავით სოსლანმა თავის თავზე აიღო გადამწყვეტი შეტევა თურქების წინააღმდეგ. 1192 წელს სოსლანი აზერბაიჯანში და ერზერუმში შევიდა. ეს რეიდები დაშინება უფრო იყო, ვიდრე დაპყრობა. თურქ-სელჩუკებმა იჩივლეს ბაღდადში ხალიფასთან. მან უბრძანა ყველა მუსლიმან მთავარს დაეწყო ჯიხადი საქართველოს წინააღმდეგ. კოალიციას ხელმძღვანელობდა აზერბაიჯანის ათაბაგი, აბუ ბაქრი. 1195 წელს სოსლანი, „მოქმედებდა როგორც აქილევსი", კოალიციას შამქორის ბრძოლაში შეებრძოლა, ხოლო ბასიანთან 1202 წელს. ეს იყო ტრიუმფი დიდგორის ბრძოლის შემდგომ, რომლიდანაც 74 წელი იყო გასული. 1201-1203 წწ-ში ქართველებმა განჯა დაიკავეს, ასევე სომხეთის ქალქები ანი, დვინი და ყარსი. დავით სოსლანს ისე სწრაფად შეჰყავდა ძალები და ამან აბუ ბაქრის ისეთი დემორალიზაცია მოახდინა, რომ მან აუკრძალა მრჩევლებს ქართველების შეტევების ცნობების მოხსენება და დაიწყო სმა, სანამ არ გარდაიცვალა.

როდესაც ეგვიპტის სულთანმა სალადინმა დაიპყრო იერუსალიმი, თამარის უპირველესი მიზანი იყო იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის უსაფრთხოება და სალადინთან ორი მისია გაიგზავნა, რათა დაეცვათ ქართველი პილიგრიმების უფლებები, იმ პირობით, რომ თამარი არც ერთ ბრძოლას არ გამართავდა სალადინის ტერიტორიაზე.

როდესაც 1204 წელს კონსტანტინოპოლი ჯვაროსნებმა ჩაიგდეს ხელთ, ქართველები, რომლებიც იბრძოდნენ რეგიონალური ზესახელმწოფოს სტატუსისათვის, დაწინაურდნენ დასავლეთისკენ და აიღეს ტრაპიზონი, სამსუნი, სინოპი და ჰერაკლია და დააარსეს დამოუკიდებელი სახელმწიფო ტრაპიზონი, შავი ზღვის სამხრეთ ნაპირზე, ლაზების (ჭანები) ქართული ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე, რომელსაც კომნენოსების ოჯახის შთამომავლები მართავდნენ.[1]

საქართველო ძალზედ სწრაფად ფართოვდებოდა. ბაღდადისა და რუმის სასულთნოს სელჩუკებზე გამარჯვების შემდგომ არ არსებობდა ძალა (ბიზანტია დამარცხებულია), რომელიც შეაჩერებდა ქართველთა კავალერიას. საქართველო იმ დროს გადაჭიმული იყო 1000 კილომეტრზე დასავლეთიდან

---

[1] ტრაპიზონის იმპერიის პირველი მმართველი, ალექსი I მეგას კომნენოსი ლეხიოს I ეგას კომნენოს, იყო თამარის დისშვილი, რუსუდანის ვაჟი. ალექსი საქართველოში გაიზარდა და ბერძნულს სწავლობდა როგორც უცხო ენას. 1258 წელს მონღოლ ჰულაგუ ყაენის მიერ ბაღდადის განადგურების შემდგომ, ტრაპიზონი გახდა აბრეშუმის გზის მთავარი მაგისტრალი. ქალაქი საგრძნობლად გამდიდრდა აბრეშუმის გზის ვაჭრობით მონღოლების დაცვის ქვეშ. მარკო პოლო, ევროპაში ტრაპიზონის გავლით დაბრუნდა 1295 წელს. ქალაქი 250 წლის მანძილზე იყო მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო ადგილი, კომნენოსების მმართველობის დროს, ოსმალების საბოლოო გამარჯვებამდე.

აღმოსავლეთისკენ. საქართველომ გარისკა დაერღვია აიუბიდის გეგმები, რომლებიც ასევე გეგმავდნენ ესარგებლათ ბიზანტიის სისუსტით და დაეპყროთ შავი ზღვის ნაპირები. 1208 წელს აიუბიდები შევიდნენ ხლათში და ვანის ტბასთან ორი ძალა შეხვდა ერთმანეთს. საქართველომ თავი შეიკავა მტერთან საომარი მოქმედებებისგან, რომელთანაც თამარმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, და პირველად მსოფლიოში გაჩნდა ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის ორივე მხარეს აღიარებული საზღვარი.

ქართულმა ძალებმა აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლეს. ისინი ღრმად შევიდნენ კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილში, ირანში და ხორეზმში. ქართველთა ლაშქრობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ქალაქმა თავრიზმა კარი გაუღო და ხარკიც გადაუხადა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ქართული არმიის მთავარი პრობლემა იყო ნადავლის ტრანსპორტირება უკან საქართველოში. თანამედროვეები საგონებელში იყვნენ ჩავარდნილნი, რადგან მათმა არმიამ დაიპყო ადგილები „რომელზეც არასდროს არაფერი სმენიათ“.

ცენტრალურმა სამეფო ხელისუფლებამ წვლილი შეიტანა ქალაქების გაძლიერებაში, განსაკუთრებით თბილისსა და ქუთაისში. მე-11-მე-12 საუკუნეებში საქართველო სახელგანთქმული იყო ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის სიმდიდრით. ბროლისა და შუშისაგან ჭურჭელსაც აკეთებდნენ. საქართველოს ჰქონდა რეგულარული სავალუტო სისტემა და ჭრიდნენ მეტალის ფულს. ლეგალური ვაჭრობა იმ ხანად ოქროთი, ვერცხლითა და სპილენძის ფულით ხდებოდა. საქართველოს სოფლის მეურნეობა იმ პერიოდში აღმავლობისკენ მიდიოდა. რგავდნენ ხორბლეულ და პარკოსან მცენარეებს. ასევე კარგად იყო განვითარებული მეღვინეობა.

მე-11-მე-12 საუკუნეებში ფართოდ იყო განვითარებული ფეოდალური საქართველოს კულტურა – ფილოსოფია, ისტორიოგრაფია, ფილოლოგია, მწერლობა, არქიტექტურა, მონუმენტური მხატვრობა, მინიატურული ნაკეთობების შექმნა, მეტალზე მუშაობა და სამეთუნეო წარმოება. მუსლიმი, ებრაელი, სუფიური მოსახლეობის მიმართ ადამიანთა მოპყრობა სტანდარტულად ჩამოყალიბდა მულტიეთნიკურ სახელმწიფოში. ათონის მთაზე ივერონის მონასტერი, შავ მთაზე ივერიის მონასტერი, წმინდა ჯვრის მონასტერი პალესტინაში, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში, გელათი და ვარძია – ყველა მათგანი საქართველოს ცენტრი იყო, სადაც მუდმივად სამეცნიერო და კულტურული სამუშაოები მიმდინარებოდა.

საქართველოს საზოგადოების ერთ-ერთი ცნობილი რეფორმის მცდელობა წამოიწყო იოანე პეტრიწმა, რომელიც იყო მე-11-მე-12 საუკუნეების ნეოპლატონელი ფილოსოფოსი. გადმოცემით ვიგებთ, რომ ის დაიბადა სამცხეში, არისტოკრატიულ ოჯახში და განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში. მისი სახელი პეტრიწი მომომდინარეობს ბულგარეთში პეტრიწონის მონასტრის სახელიდან. მან თარგმნა უამრავი ფილოსოფიური ნაშრომი, უფრო მეტად კი ნეოპლატონური, რათა შეეთავსებინა კლასიკური იდეები ქრისტიანობის

იდეოლოგიასთან. მისმა ფილოსოფიურმა ფართო თვალსაზრისმა შეაჯახა ქართულ მართლმადიდებლობასთან, სანამ მეფე დავით IV-მ არ მიიწვია გელათის აკადემიაში. მან თარგმნა არისტოტელე, პროკლე, ნემესიუსი, ამონიუს ჰერმაე, ბიბლიის კომპონენტები, ჰაგიოგრაფია და სხვა Aristotle, Proclus, Nemesius, Ammonius Hermiae.

შოთა რუსთაველმა თავისი დიდებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მეფე თამარს მიუძღვნა. ჰომეროსის და სხვა მსოფლიოს ეპიკური პოემებისგან განსხვავებით, ვეფხისტყაოსანი არ იყო პოემა ომის შესახებ, არამედ ამბავი სიყვარულზე, როდესაც ქალსაც და მამაკაცსაც თანასწორი უფლებები აქვთ.

სიუჟეტი მარტივია. როსტევანი, რომელმაც გადასცა არაბეთის გვირგვინი თავის ქალიშვილს თინათინს, ერთ დღეს ნადირობდა სარდალ ავთანდილთან ერთად, როდესაც მან შენიშნა მომტირალი, არაჩვეულებრივი გარეგნობის მქონე ყმაწვილი, გამოწყობილი ვეფხის ტყავში. მეფემ ბრძანა უცნობის შეპყრობა, თუმცა მოგვიანებით ამ უკანასკნელის გაუჩინარებით იგი დიდ მწუხარებაში ჩავარდა. თინათინმა დაავალა თავის სატრფოს ავთანდილის მოეძებნა. სამი წლის მანძილზე ვეფხის ტყავში გამოწყობილი მამაკაცის ძებნის დროს ავთანდილს უამრავი თავგადასავალი გადახდა. აღმოჩნდა, რომ უცნობ მამაკაცს ტარიელი ერქვა, რომელიც ინდოეთის მეფის ასულზე ნესტან-დარეჯანზე იყო შეყვარებული. ეს ნაწარმოები ძირითადად აღწერს სიმამაცეს, სამართლიანობას, ერთგულებასა და სიყვარულს, რასაც დასავლეთ ევროპის ლიტერატურაშიც აღწერდნენ, მაგრამ ეს იყო საოცარი ასეთ პატარა ქვეყანაში მე-12 საუკუნეში, რომელიც მარტო არსებობდა დამპყრობელი აზიური ტომებით გარშემორტყმული.

პოემაში ბევრი უცხო ქვეყანაა წარმოდგენილი, მაგრამ საოცარია, რელიგიები არ არის ხსენებული, ყველა ერთი ღმერთის ქვეშაა. ყველა მათგანისთვის ქალის პატივისცემა პირველ ადგილას იყო. ამ ქალაქების მმართველი გმირები კეთილშობილური გზით მიდიოდნენ, როგორც ჭეშმარიტი რაინდები. რაინდობა არ არის ისეთი რამ, რაც მხოლოდ ელიტარულ წრეებში გვხვდება, როგორც ეს ევროპაში ხდება, არამედ ეს ადამიანის ცხოვრების წესია. ისეთი ხრიკები, როგორც მაგალითად ტროას ცხენია, ძალზედ სამარცხვინო იქნებოდა. ნამდვილ გმირს ემოსა ვეფხის ტყავი და არა ლომისა, რაც ისლამის სიმბოლოა. ბუნებაში ლომი და ვეფხვი ერთმანეთის მტრები არიან. ვეფხვი არის მთის ცხოველი, რომელიც სიმბოლოა მდედრობითი ბუნებისა, ხოლო ლომი სავანის ბინადარია, რომელიც მამრობით ბუნებას გამოხატავს. ჰერაკლე ლომის ტყავს ატარებდა.

XI – XIV საუკუნეები (1021-1225 წწ. და მოგვიანებით 1337-1387 წწ.) საქართველოში ოქროს ხანა იყო. ეს იყო რეგიონში საქართველოს ჰეგემონობის მწვერვალი. მონღოლების შემოსევებამდე და მათი გასვლის შემდგომ საქართველო მთელი რეგიონის ზესახელმწიფო იყო, არ არსებობდა უფრო ძლიერი ძალა. საქართველოს არმია, განსაკუთრებით კი კავალერია,

დაუმარცხებელი იყო, რადგან ქართველები, სომხები, ალბანელები და სხვა კავკასიელი ხალხი ფიზიკურად უფრო ძლიერნი იყვნენ და ხმლით ბრძოლებში ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიოდნენ, მაგრამ თოფისწამლისა და ზარბაზნის გამოგონების შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. საუკუნეების მანძილზე არ ყოფილა მშვიდობიანი პერიოდი რეგიონში, როდესაც შეიქმნებოდა საკუთარი ზარბაზნები.

1213 წელს დედოფალი თამარი გარდაიცვალა. იგი საიდუმლო ადგილას დაკრძალეს. ტახტი მან დაუტოვა თავის მემკვიდრეს, **ლაშა-გიორგის IV** (1213-1222 წწ.). სამეფო გარშემორტყმული იყო ხარკის გადამხდელი ქვეყნებით, რამაც უხვად გაზარდა ხაზინა. 1220 წელს პაპმა ჰონორიუს III-მ, იმ იმედით, რომ იქნებოდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა, გიორგის მისწერა დამიეტას პრელატის პელაგიუსის ხელით, შეერთებოდა ლათინებს იერუსალიმის მუსლიმებისგან განთავისუფლებაში. მეფე გიორგი გეგმავდა შეერთებოდა ჯვაროსნებს პალესტინასთან. სწორედ მან მისწერა წერილი დამასკოში, სადაც აფრთხილებდა, რომ არ განეხორციელებინათ არაბების განზრახვა, რათა დაენგრიათ იერუსალიმის კედელი, რასაც საკმაო ყურადღება მიექცა. მის დედას, თამარს სურვილი ჰქონდა იერუსალიმში დაეკრძალათ და გიორგი მზად იყო ამის შესასრულებლად, თუმცა, როდესაც მონღოლები შემოესივნენ საქართველოს, ლაშა-გიორგი თავად დაიჭრა ბრძოლაში და გარდაიცვალა 1222 წელს.

მონღოლები საქართველოში

1220 და 1230 წლებში მონღოლთა ლაშქარი გამოჩნდა კავკასიაში მას შემდეგ, რაც დაიპყრეს ცენტრალური აზია და ჩინეთმა გააძლიერა კედელი და დედაქალაქი გადაიტანა ბეიჯინგში (პეკინში Beijing) 1226 წელს. მონღოლები შესახედაობით დაბალი, ყვითელი ფერის კანითა და წვრილი თვალებით ხასიათდებოდნენ: მეტრნახევარი სიმაღლით პატარა ზომის ცხენებით მოძრაობდენენ, იშვიათად თუ შეამჩნევდით მათ თავიანთი პონებიდან გადმოსულს.

ჩინელი სამხედრო სპეციალისტების უდიდესი ნაწილი მიჰყავდათ მონებად, რათა შეექმნათ ბაზა მონღოლების წარმატების მისაღწევად. დასავლური წყაროების მიხედვით, იყო ინფორმაცია, თითქოს, მონღოლები წვრთნას გადიოდნენ ტამპლიერებთან, სადაც იმუშავებდნენ გეგმას მუსლიმების დასამარცხებლად ჯვაროსნული ლაშქრობის დროს.

ამასობაში ჯვაროსნული ბრძოლები გრძელდებოდა. პირველი პარლამენტი ინგლისში 1295 წელს შეიქმნა. გერმანელმა ქრისტიანებმა 1231 წელს წამოიწყეს ომი წარმართული პრუსიის წინააღმდეგ. ვენეციელი მარკო პოლო ჩინეთში გაემგზავრა მონღოლთა მმართველობის დროს, 1298-99 წწ-ში. 1347-50 წწ-ში მთელი ევროპა (და საქართველო) იტანჯებოდა შავი ჭირის ეპიდემიით, როდესაც სიცილიიდან ნორვეგიამდე ძლიერად შემცირდა ევროპის მოსახლეობა.



ჩინეთის დაპყრობის შემდგომ, მონღოლთა ლიდერმა ჩინგიზ ყაენმა **Genghis (Chingis) Khan** 1211-1215 წწ-ში ცენტრალური აზიისა და ხვარაზმისკენ გადაინაცვლა. ხვარაზმელები, რომელთაც ჯალალ-ედ-დინი Jalal-ad-Din ხელმძღვანელობდა, მონღოლებმა აიძულეს დასავლეთისკენ წასულიყვნენ და ისინი თავს დაესხნენ ირანსა და საქართველოს 1225 წელს. ისინი მეტ საფრთხეს წარმოადგენდნენ, ვიდრე წარმართი მონღოლები, რადგან ფანატიკოსი მუსლიმები იყვნენ. როდესაც თბილისი დაეცა, ერთადერთი მოთხოვნა იყო, უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე და ფეხით გადაევლოთ ხატზე. ეს არის ერთადერთი შემთხვევა ისტორიაში, როდესაც ერთდროულად 100 000-მა ადამიანმა თავი შესწირა იესოს და მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ ყველა მათგანი წმინდანად შეირაცხა. ეს იყო დიდი საქართველოს დასასრული. იმ დროს ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ევროპის ქალაქები, რომელთა მოსახლეობა 5 000 ადამიანს შეადგენდა, დიდ ქალაქად ითვლებოდა.

5 წლის განმავლობაში საქართველო ნადგურდებოდა ხვარეზმელების მიერ, მაგრამ 1230 წელს მონღოლები მოადგნენ კავკასიას და თბილისი დაიკავეს. **დედოფალმა რუსუდანმა** (1222-1245 წწ.) სამეფო ტახტი ქუთაისში გადაიტანა. მონღოლებს ჯალალ-ედ-დინიც კი გაექცა, რომელიც მთებში მოკლა ქურთების ოჯახმა მისი მდიდრული საბრძოლო იარაღის გამო. ხვარაზმელებმა გადაინაცვლეს სამხრეთით და 1244 წელს მე-6 და მე-7 ჯვაროსნული ლაშქრობის დროს შტურმით აიღეს იერუსალიმი.

1240 წელს მონღოლმა ბათუ ყაენმა დააარსა ოქროს ურდო რუსეთის ტერიტორიაზე და მისმა მტრულად განწყობილმა მეტოქემ, ჰულაგუ ყაენმა Hulagu Khan ამიერკავკასიასა და სპარსეთში შექმნა ილხანთა Ilkhan ურდო. ამ სიტუაციით ქართველებმა წარმატებით ისარგებლეს. არავის უნდოდა მებრძოლი კავკასიელები მტრად ეგულებიათ, არამედ პირიქით, უნდოდათ მოკავშირედ ჰყოლოდათ ქართველთა სასტიკი ცხენოსანთა ჯარი.

საქართველო ვალდებული იყო, ხარკი ეხადა მონღოლებისთვის, სამაგიეროდ ისინი არ ერეოდნენ შიდა საქმეებსა და რელიგიაში. ჩინგიზ ყაენმაც კი თავიდან აიცილა ეკლესიის საკუთრების განადგურება და მე-13 საუკუნეში იგი მიიჩნეოდა საქართველოში დიდ პოლიტიკურ ფიგურად. ჩინგიზ ყაენმა თავის ამალას უბრძანა: „მონღოლებმა უნდა პატივისცემა გამოხატოთ ყველა ღმერთის წინაშე“. ქართველები იძულებულნი იყვნენ, ებრძოლათ მონღოლებთ-

ან ერთად ისე, რომ ნადავლიც ჰქონოდათ, და მართლაც, მათ მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე ბრძოლაში მონღოლების მხარეს. 1258 წელს ბაღდადისა და ეგვიპტელი მამლუქების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ქართული ცხენოსანთა ჯარი მონღოლების არმიის წინა ფლანგზე იყო (შეიძლება ითქვას, რომ ქართველები მამლუკებთან ბრძოლაში ორივე მხარეს იბრძოდნენ, რასაც შემდეგი თავებიდან შევიტყობთ). ერთხელ მონღოლთა არმიას სათავეში ედგა მართლმადიდებელი, ქართველი კახა თორელი. როდესაც ირანი ალყაში იყო მოქცეული, ქართული ჯარი შვიდი წლის განმავლობაში იმყოფებოდა იქ. 1262 წელს დიდ ბრძოლაში ოქროს ურდოსა და ილხანთა ურდოს შორის, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ილხანთა ურდომ გაიმარჯვა და საჩუქრად მიიღო ქალაქი ერზერუმი.

ქართველებს მონღოლები დიდ პატივს სცემდნენ და მოუხსნეს ბაჟის გადახდა კომერციულ ვაჭრობაში. იერუსალიმში ქართული იურისდიქცია დააწესეს მონღოლებმა (შემდეგ ეს ტრადიცია ქართული წარმოშობის ეგვიპტელმა მამლუქებმა გაამყარეს). მონღოლებმა უსაფრთხო გახადეს „აბრეშუმის გზა“, რომელიც ქართულ მიწებზე გადიოდა, რასაც ადგილობრივებისთვისაც მოჰქონდა სარგებელი. თუმცა ეს ყველაფერი დასრულდა მონღოლთა შიდა არეულობის და „აბრეშუმის გზით“ „შავი ჭირი“ გავრცელების გამო.

ამავე დროს საქართველო მუდმივად უწევდა მონღოლებს წინააღმდეგობას და ბოლოს აჯანყებული ლიდერები 1247 წელს დაიჭირეს. როდესაც ეს შეიტყო აფხაზეთის უფლისწულმა, დადიანმა, ის თავისსავე ნებით შეუერთდა ტყვედ ჩავარდნილ მეგობრებს. მონღოლების ბელადი იმდენად იყო გაოგნებული, რომ ყველა მათგანი გაათავისუფლა და სახლებში დაბრუნების უფლება მისცა.

1243 წელს დედოფალ რუსუდანსა და მონღოლებს შორის ხელშეკრულება დაიდო. რუსუდანი თბილისში დაბრუნდა და თავისი ვაჟი გაამეფა. დასამტკიცებლად ის გაგზავნილ იქნა მონღოლეთის დედაქალაქ ყარაყორუმში, მაგრამ გარკვეული წლების მანძილზე არ გამოჩენილა. ამასობაში დედოფალი რუსუდანი გარდაიცვალა და დიდებულებმა სხვა მეფე აირჩიეს, რომელიც ასევე ყარაყორუმში გაგზავნეს. მონღლებმა ბოროტი განზრახვით ორივე დაამტკიცეს და 1249 წელს უკან დააბრუნეს, თუმცა 1259-1260 წწ-ში ორივე მეფე გაერთიანდა მონღოლების წინააღმდეგ.

სპარსელი ისტორიკოსი აბუ ალ-გაზი ბაჰადური Abu al-Ghazi Bahadur (1606-1663 წწ.) აღწერს იესუგეის Yesugei ოჯახს, ჩინგიზ ყაენის მამა ლამაზი სახის იყო, რომელსაც ჰქონდა ლურჯი მონაცისფრო თვალები. მის ვაჟს და ამავე დროს მემკვიდრეს ოგედეის Ogedei ჰქონდა ნაცრისფერი თვალის ფერი და წითელი თმა; მის შვილიშვილს კი წითური წარბები და მოწითალო-მოყავისფრო წვერი. მის შვილიშვილს ბათუს, რომელიც პირველი ყაენი იყო ოქროს ურდოსი, ჭორფლიანი კანი ჰქონდა. ჩინგიზ ყაენის სახელგანთქმულ

შვილიშვილს, ყუბლაი Kublai ყაენს (1215-1294 წწ.) მუქი ფერის თმა ჰქონდა, რომელიც დედისგან გამოჰყვა, რომელიც მეზობელი თურქული ტომის პრინცესა იყო. რაშიდ ალ-დინ თაბიბი Rashid al-Din Tabib (1247-1318 წწ.), ებრაული წარმოშობის სპარსელი ექიმი და ისტორიკოსი, თავის ქრონიკებში წერდა, რომ ჩინგიზი იყო შეძრწუნებული, როდესაც ნახა, რომ მის შვილიშვილს ყუბლაის არ ერგო მემკვიდრეობით მისი წითური თმა. ჩინგიზ ყაენის სხვა მემკვიდრეს, თამერლანს (1336-1405 წწ.) ოჯახის მემკვიდრეობითი მახასიათებლები გამოჰყვა. არაბი, რომელიც ტყვედ ჩაიგდო თამერლანმა, აჰმედ იბნ არაბშაჰი Ahmed ibn Arabshah (1392-1450 წწ.) წერდა, რომ თამერლანი იყო მაღალი და ძლიერი, ფართო მხრებით, მოგრძო თავითა და მაღალი შუბლით. მას ჰქონდა თეთრი კანი და მძიმე წვერი, ღაჟღაჟა სახის ფერით". ეს აღწერილობა დადასტურდა, როდესაც 1941 წელს მისი საფლავი გახსნეს. აშკარად ჩანდა, რომ ის მაღალი ტანის იყო, მოყავისფრო-მოწითალო ულვაშით, რომელიც ჯერ კიდევ ეტყობოდა მის თავის ქალას.

ჩინგიზ ყაენმა (1162-1227 წწ.) შექმნა მონღოლთა იმპერია, რომელმაც დაიპყრო ცენტრალური აზია და ჩინეთი. როგორც მოთვალეს, მონღოლებმა 40 მილიონი ადამიანი დახოცეს. გარდაცვალების წინ, ჩინგიზმა მონღოლეთი გაუნაწილა ვაჟებსა და შვილიშვილებს სამ ძირითად ნაწილად – ხუანის იმპერია ჩინეთში, ოქროს ურდო და ილხანატი.

1271 წელს ყუბლაი ყაენმა (1215-1294 წწ.) მთელი ჩინეთი დაიპყრო და დააარსა იუანის დინასტია, რასაც მიაწერენ ჩინეთის ხელახალ გაერთიანებას. ის შორს გაიჭრა ვიეტნამში, ტაილანდში, ბირმაში, სახალინში, მაგრამ იაპონიასთან საზღვაო შეტაკებაში დამარცხდა, როდესაც „ღვთაებრივმა" ქარმა („კამიკაძე") დაანგრია და ჩაძირა მონღოლთა ჩინური ფლოტი.

ბათუ ყაენმა (1207-1255 წწ.) 1240 წელს დააარსა ოქროს ურდო ახლანდელ რუსეთისა და ყაზახეთის ტერიტორიაზე, გაიჭრა შორს ევროპაში და ალყაში მოაქცია ვენა და პეშტი (ბუდაპეშტი), ხოლო უკან 1241 წელს დაბრუნდა, როდესაც დიდი ოგედეი ყაენი მონღოლეთში გარდაიცვალა, რათა პაექრობა გაეწია ტახტის მემკვიდრეობის მიღებაზე. ოქროს ურდო თანდათანობით თურქეთის მფლობელობაში გადადიოდა, დაკარგა მონღოლების წეს-ჩვეულებები და ბათუს ძმის, ბერქა ყაენის ბრძანებით 1257 წელს მიიღო ისლამი. ევროპელები მათ თათრებს უწოდებდნენ. რუსული მწერალი ლევ გუმილევი წერდა, თითქოსდა ურდომ და რუსებმა შექმნეს ალიანსი ტევტონური რაინდებისა და ლიტველების წინააღმდეგ. მონღოლები მხარს უჭერდნენ ნოვგოროდელებს, ალექსანდრე ნეველის მეთაურობით, რომელიც იყო ბათუ ყაენის ძმადნაფიცი ჯვაროსან ტევტონელებთან ბრძოლის დროს.

1251 წელს ჰულაგუ ყაენმა (1256-1265 წწ.) დააარსა ილხანების სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა ირანს, ერაყს, კავკასიას, ცენტრალურ აზიას, თურქეთსა და პაკისტანს. ილხანის ხანები ირანში იყვნენ, რელიგიით ნაწილობრივ ბუდისტები, ქრისტიანები, ნესტორიანელები, რომლებიც სასტიკი

ბათუ ყაენის ქანდაკება თურქეთში

მტრები იყვნენ ისლამისა და ქრისტიანები და ჯვაროსნები ოქროს ურდოსა და მამლუქებთან ერთად იბრძოდნენ. ჰულაგუს დედა, მეუღლე, უახლოესი მეგობარი და სარდალი კიტბუქა Kitbuqa, ნესტორიანელი ქრისტიანები იყვნენ. ის 1264 წელს შეხვდა სომეხ ისტორიკოსს ვართან არეველთსის Vartan Areweltsi და უთხრა, რომ დაბადებიდან ქრისტიანი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ბერქას ისლამზე მოქცევის ამბავი, ჰულაგუმ მაინც დაარბია ისლამის მიმდევარი ორი ცენტრალური ქალაქი – 1258 წელს ბაღდადი და 1260 წელს დამასკო. ჰულაგუს მიერ ბაღდადის დარბევა შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ბაღდადის დანგრევის შემდგომ მონღოლთა ძალები გაერთიანდა იმ რეგიონის ქრისტიან ვასალებთან, ისეთი როგორიც იყო კილიკიის სომხეთის არმია ჰეტოუმის Hetoum მეთაურობით და ანტიოქიელი ფრანკების ჯარი ბოჰემონდ VI-ის Bohemond მეთაურობით, დაიპყრეს მუსლიმური სირია, აიუბიდის Ayyubid დინასტიის სამფლობელო. მათ შეძლეს ორი ქალაქის, დამასკოსა და ალეპოს ერთდროულად აღება მონღოლი კიტბუქას მეთაურობით 1260 წელს. ბევრი ისტორიკოსი აღწერს ამ ამბავს, თუ როგორ შევიდა დამასკოში სამი ქრისტიანი მბრძანებელი (კიტბუქა, ბოჰემონდი და ჰეტოუმი) ერთდროულად ტრიუმფით და დიდი ქრისტიანული დღესასწაულიც გაიმართა. როგორც ქართველთა ავტორები იუწყებიან, ყველა ამ ომში ქართველი ცხენოსანთა ჯარი აქტიურად მონაწილეობდა.

მე-13-მე-14 საუკუნეებში ბევრს ეცადნენ ჩამოეყალიბებინათ ალიანსი დასავლეთ ევროპისა და მონღოლების სამეფო კარს შორის. გაერთიანდნენ მუსლიმების წინააღმდეგ (ძირითადად ეგვიპტელი მამლუქები), ილხანებმა და ევროპელებმა კვლავ ვერ შეძლეს გაეერთიანებინათ ძალები პალესტინაში. ჰულაგუს ჯარი ეგვიპტისკენ მიემართებოდა ჯვაროსნებთან ერთად, თუმცა 1260 წელს შეჩერდნენ პალესტინაში აინ ჯალუტის ბრძოლაში დიდი დამარცხების გამო ეგვიპტელ მამლუქებთან, ასევე ბერქასთან მტრული დამოკიდებულების გამო, რომელიც ემუქრებოდა ილხანატს ზურგიდან.

ბერქა განრისხებული იყო ჰულაგუს გამძვინვარებული ბრძოლით მუსლიმების წინააღმდეგ და მათი ხოცვა-ჟლეტით. მან ჰულაგუ ხანს უჩივლა მონღოლეთის დიდი ყაენისთვის მიწერილ შეტყობინებებშიც. თავისი დისწული ნოღაი ყაენი აამხედრა, იერიში მიეტანა პოლონეთზე 1259 წელს, რათა მოეგროვებინა ფინანსები ომისთვის. პოლონეთის რამდენიმე ქალაქი გაძარცვეს, კრაკოვის ჩათვლით. 1261 წელს ბერქამ გააყალბა ალიანსი, რომელშიც იყვნენ ეგვიპტელი მამლუქები, სულთანი ქუთუზი Qutuz და მოგვიანებით სულთანი ბაიბარსი Baibars, და მხარი დაუჭირა ქართული სახელმ-

წიფოს აჯანყებას ჰულაგუს მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში 1259-1260 წლებში. ამ პერიოდში ჰულაგუ ყაენი განსაკუთრებულად კეთილგანწყობილი იყო ქართველი მეფეების მიმართ იმ მიზნით, რომ მიეღო მათი მხარდაჭერა ჩრდილოელ მეტოქესთან ბრძოლაში. ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის ომმა 1262 წელს იფეთქა, არსებითად კი აღსანიშნავი იყო გაერთიანებული მონღოლთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი, რომელიც ერთი საუკუნის შემდეგ, 1340-60 წლებში დეზინტეგრირებული იყო შავი ჭირით.

მამაი Mamai (1380 წ.), თათართა წინამძღოლი, ცდილობდა აღედგინა ძალაუფლება რუს მეამბოხეებზე, რათა ჩაეხშო მათი აჯანყება. იგი გახდა მოკავშირე ლიტველი ჯოგაილას Jogaila პრინცისა და რუსი უფლისწული ოლეგისა, რომლებიც მოსკოველი დიმიტრის დაუძებელი მტრები იყვნენ. მამაიმ თავისი კარავი მდინარე დონის ნაპირთან დადგა მოკავშირეთა – ლიტვისა და რიაზანის არმიების მოლოდინში. ტროიცკო-სერგიევის ლავრაში დიმიტრი შეხვდა წმ. სერგი რადონეჟელს, რომელმაც დალოცა რუსული არმია კოლომნასთან ბრძოლის დროს. დიმიტრიმ გადაწყვიტა სასწრაფოდ დასხმოდა თავს მამაის, სანამ გაძლიერდებოდა. 1380 წლის 7 სექტემბერს რუსებმა გადაკვეთეს დონი და კულიკოვოს ბრძოლაში, სამი საათის შემდეგ, გაიმარჯვეს კიდეც. მამაი ყირიმში გაიქცა, მაგრამ გენუელებმა იგი მოკლეს, რადგან არ აპატიეს გენუელი მშვილდოსნების განადგურება, რომლებიც დახოცეს რუსებმა.

მამაის დამარცხების შემდეგ თოხთამიშმა Tokhtamysh წარმატებული ლაშქრობა მოაწყო 1382 წელს რუსეთის წინააღმდეგ, რათა სამაგიერო გადაეხადა კულიკოვოს დამარცხებისთვის. 6 წელში თოხთამიშმა შეძლო გაეერთიანებინა ოქროს ურდო ყირიმიდან ბალხაშის ტბამდე. მან 1382 წელს ალყაში მოაქცია მოსკოვი. ამ დროს რუსეთის ისტორიაში პირველად, მოსკოველებმა გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი. აგვისტოში თოხთამიშის მხარდამჭერებმა: სუზდალელმა დიმიტრიმ, რიაზანელმა ოლეგმა, ნიჟნი ნოვგოროდის ჰერცოგმა სემიონმა დაარწმუნეს მოსკოველები, გაეხსნათ ქალაქის კარიბჭე, იმ პირობით, რომ მებრძოლი ძალები არ დააზიანებდნენ ქალაქს. თოხთამიშის არმიამ გადაწვა და გაანადგურა მოსკოვი და დახოცეს 24 000 ადამიანი. რუსეთს გადარჩენის შანსი მიეცა აზიური ურთიერთქიშპობის გამო, როდესაც თოხთამიში გაანადგურა თემურ ლენგმა სულ რამდენიმე წლის შემდეგ, 1390 წელს. თოხთამიში, როგორც თემურ ლენგი, იმედოვნებ-და ჩინგის ყაენის მსგავს წარმატების მიღწევაზე და 50 000 კაციანი არმიით კაცკასიის გავლით გადავიდა სამხრეთში, შეიჭრა სპარსეთში და 1385 წელს აიღო თავრიზი, რომელიც 1383 წელს უკვე იყო დაპყრობილი თურქ-მონღოლთა ახალი ამბიციური სარდლის თემურ ლენგის მიერ. როდესაც თოხთამიში კავკასიიდან უკან გადავიდა ჩრდილოეთში, თემურ ლენგმა 1386 წელს ისევ დალაშქრა სპარსეთი, საქართველო და აზერბაიჯანი. დაბოლოს, 1391 წელს თემურ ლენგი თავს დაესხა ოქროს ურდოს. თოხთამიში სასტიკად

დამარცხდა და თემურ ლენგმა დაიპყრო დედაქალაქი სარაი ბერქე. მაგრამ თემურ ლენგმა არ აიღო მოსკოვი და დაბრუნდა მონღოლეთში, ერთ-ერთი მონღოლელი ყაენის გარდაცვალების გამო. მიუხედავად ამისა, მას არასდროს დავიწყებია დაემთავრებინა თავისი შურისძიება. მოგვიანებით დამარცხებული თოხთამიში მოკლულ იქნა ტიუმენში 1406 წელს თემურ ლენგის მსახურთა მიერ. შესაბამისად, დაიწყო ოქროს ურდოს დაშლა და მოსკოვის სახანოს გაძლიერება. 1427 წელს „ოქროს ურდოს“ ყირიმის სახანო გამოიყო, ხოლო 1432 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი ყაზანის სახანო.

მეფე დემეტრე II **Demetre** ბაგრატიონმა (1270-1289 წწ.) სამეფო გვირგვინი მემკვიდრეობით მიიღო 1270 წელს, როდესაც 11 წლის იყო. 1277-1281 წწ-ში მან მონაწილეობა მიიღო, მონღოლ ჰულაგუსთან ერთად, ეგვიპტელი მამლუქების წინააღმდეგ ბრძოლაში და ძალზედ გამოიჩინა თავი მეორე ბრძოლაში, ჰომსში Homs 1281 წელს, სადაც თითქმის 3 000 ქართველი ცხენოსანთა ჯარი დაიხოცა.

მეფე დემეტრეს პიროვნებაზე ბევრს კამათობენ. რადგან ის ქრისტიანი იყო, ძალზედ აკრიტიკებენ მონღოლების მსგავსად მრავალცოლიანობის გამო. ერთი შეხედვით, მას სამი ცოლი ჰყავდა: ტრაპიზონის მეფის ქალიშვილი, მონღოლეთის მინისტრის ბუღას Bugha ქალიშვილი და ქართველი ცოლი. 1288 წელს მონღოლთა ყაენმა გამოააშკარავა ძლევამოსილი მონღოლი ბუღას შეთქმულება, რომელიც დემეტრეს სიმამრი იყო. ბუღა და მისი ოჯახი ამოჟლიტეს და ქართველი მეფე ეჭვიტანილად ითვლებოდა, რადგან ჩართული იყო ამ შეთქმულებაში და მონღოლეთის დედაქალაქში ჩასვლა უბრძანეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას საქართველოს აოხრებით ემუქრებოდნენ. დემეტრემ თავიდან რომ აეცილებინა სადამსჯელო ექსპედიცია თავის ქვეყანაში, ამჯობინა თავად წასულიყო, რათა მოეკლათ და თავი მოჰკვეთეს კიდეც. იგი საქართველოში, მცხეთაში დაკრძალეს. იგი საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და ისტორიაში ცნობილია როგორც დემეტრე თავდადებული.

გიორგი V ბრწყინვალე **George the Brilliant** (1313-1346 წწ.), დემეტრეს ვაჟი, ბრძენი, მოქნილი პოლიტიკით, მიზნად ისახავდა მონღოლების ბატონობის სრულ გადაგდებას, რათა აღედგინა საქართველოს გაერთიანება ომის გარეშე, მაგრამ ელოდებოდა შესაფერის მომენტს, როდესაც ილხანატი და ოქროს ურდო, ერთმანეთის მოსისხლე მტრები, თვით განადგურდებოდნენ. ამ დროს კი საქართველომ 1335 წელს შეწყვიტა ხარკის გადახდა. 1328 წელს მეფე გიორგიმ შეკრიბა ამბოხებული დიდგვაროვნები სამეფო საბჭოში და სასტიკად გაანადგურა. 1329 წელს მეფემ შემოიერთა დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი-იმერეთი, ქუთაისი) და 1334 წელს – სამცხის სამთავრო. მთელმა საქართველომ მონღოლთა ბატონობისაგან თავი გაინთავისუფლა, მთელი მომდევნო 30 წელი. მან ცენტრალიზება გაუკეთა სამეფო ხელისუფლებას, აღადგინა ეკონომიკა და დაამყარა ახლო, საერთაშორისო კომერციული კა-

ვშირები, უფრო მეტად ბიზანტიასთან, მაგრამ, ამავე დროს, ვენეციასა და გენუასთან. მან მოჭრა ქართული ფული „თეთრი“. ქართული დინასტია აღდგენილ იქნა ტრაპიზონში. თითქმის მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ტომები იყვნენ ქართველთა ბატონობის ქვეშ. პარადოქსულია, მას დიდი ბრძოლები არ ჰქონია, მაგრამ ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ ისტორიაში შევიდა, როგორც იმ დროის ჰეგემონი (თურქებისა და მონღოლების შემოსევების შუა პერიოდი). შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო „საქართველოს რენესანსის“ მეორე პერიოდი. 1329 წელს პაპი იოანე XXII თავის გიორგი V-სადმი მიწერილ წერილში, თბილისს ახასიათებს, როგორც „ძალიან მნიშვნელოვან, მჭიდროდ დასახლებულ და მდიდარ ქალაქს“. თბილისში გაძლიერდა კათოლიკური მისია, ფრანცისკანელი ან დომენიკელი ეპისკოპოსების თავმჯდომარეობით რამდენიმე საუკუნის მანძილზე.

გიორგი V-მ ასევე გააფართოვა დიპლომატიური ურთიერთობები ეგვიპტელი მამლუქების ბაჰრის Bahri დინასტიასთან. ეგვიპტელი სულთანი ბეიბარი Beibar განსაკუთრებული სიმპათიით იყო განწყობილი ქართველი მეფეების მიმართ, რომელმაც სოლიდარობის გამოსახატავად, განაახლა და დაუბრუნა ქრისტიანული სახე იერუსალიმის ჯვრის მონასტერს Monastery of the Cross, რომელიც მეჩეთად იყო გადაქცეული. ასევე დააბრუნა წმინდა საფლავი Church of the Holy Sepulcher და სხვა ადგილები. ქართველ პილიგრიმებს უფლება ჰქონდათ შესულიყვნენ იერუსალიმში, რომლებსაც არაბი ელჩები ესკორტით აცილებდნენ ქალაქ ალეპოდან. ქართველები იყვნენ პატრონები იერუსალიმში ქრისტიანული ადგილებისა. გიორგი V-მ ეგვიპტის სულთანთან გაგზავნა დესპანი და სამხედრო დახმარება შესთავაზა. ამის სანაცვლოდ გიორგის გადასცეს ქრისტეს საფლავის გასაღები, დაიბრუნეს ნამდვილი ჯვრის ნაწილი და ნება დართეს იერუსალიმში თავისუფლად შესვლისა მფრინავი ბანერებით და იძულებულნი აღარ იყვნენ ევლოთ უნაგირით. იმ ხანად საქართველოს ცხენოსანთა ჯარი უდავოდ ითვლებოდა მსოფლიოში ყველაზე ძლიერად. ქართველი მეცნიერის, გიორგი გაბისკირიას მიხედვით, ხუთჯვრიანი ქართული დროშა გიორგის მეფობის დროს შეიქმნა, რომელიც ახლანდელი ეროვნული დროშაა. გიორგი ბრწყინვალე 1346 წელს გარდაიცვალა და ქუთაისთან ახლოს, გელათის მონასტერში დაკრძალეს.

თურქ-მონღოლები OSMAN (OR OTTOMAN) TURKS საქართველოში

თურქ-მონღოლების იმპერიის განადგურების შემდეგ მათმა მმართველმა კლანმა – თურქებმა დაიწყეს შეტაკებები და თემურ ლენგის პირველი, 8 შემოსევიდან, საქართველოში მოხდა 1386 წელს, რომელიც მოჰყვა საშინელ შავ ჭირს (საქართველოსა და ევროპაში 1366 წელს), დაამსხვრია იმის იმედები, რომ კიდევ გაგრძელდებოდა საქართველოში ოქროს ხანა, რაც გიორგი V-მ დაისახა მიზნად. 2000 წელზე მეტხანს საქართველო იძულებული იყო, ებრძოლა

ალექსანდრე დიდთან, პართელებთან, რომაელებთან, ჰუნებთან, სასანიანთა ირანთან, ბიზანტიასთან, სკვითებთან, ჩრდილოეთ კავკასიელებთან, არაბებთან, თურქ-სელჩუკებთან და თურქ-ოსმალებთან, ხვარაზმელებთან, მონღოლებთან, ყიზილბაშებთან, ყირიმელ თურქებთან, თურქმენებთან და რუსებთან. თუმცა ყველაზე გამანადგურებელი თემურ ლენგის შემოსევები იყო.

თემურ ლენგი *Tamerlane (Timurleng or Timur) (1336-1405 წწ.), იყო თურქ-მონღოლი დამპყრობელი. მისი სახელი თემურ ლენგი, ნიშნავს „რკინას“ ჩაღატაის Chagatai მშობლიურ ენაზე, მაგრამ მის იმპერიაში სპარულ ენას იყენებდნენ. ის არ იყო ჩინგიზიდების სამეფო გვარის და თავის თავს ყაენს არ უწოდებდა, მხოლოდ ამირს, ანუ სარდალს. იგი მუსულმანი იყო, რაც მას არ აჩერებდა, მოეკლა მილიონობით მუსლიმანი. თემურ ლენგი სამხედრო გენიოსი იყო და არც ერთი ბრძოლა არ წაუგია. ის ერთდროულად ებრძოდა შიიტებს, სუნიტებს, მართლმადიდებლებს, მონოფიზიტებს, მონღოლებს, კავკასიელებს, ინდოელებს, თურქებს, ირანელებს და ბოლოს, ვერ მიაღწია ჩინეთამდე. ის არასდროს ცდილობდა რაიმე აეშენებინა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მხოლოდ აოხრებდა ადგილებს და ხოცავდა ხალხს. ის იყენებდა პროპაგანდას, მის კამპანიას წინ უსწრებდა ჯაშუშების შეყვანა, რომელთაც ევალებოდათ ინფორმაციების მოპოვება და ავრცელებდნენ პანიკურ ხმებს თემურ ლენგის არმიაზე, რომ ძალიან სასტიკნი და მრავალრიცხოვანნი იყვნენ. ასეთი დეზინფორმაციები მოსახლეობას მორალურად ანადგურებდა და პანიკაში აგდებდა. მიუხედავად ასეთი ერთგულებისა თემურ ლენგის მიმართ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იგი თავის არმიას არ აძლევდა ანაზღაურებას. მათი წახალისება მხოლოდ დაკავებული ადგილების ძარცვით შემოიფარგლებოდა. იგი თავის ლაშქრობებს წლებით ადრე გეგმავდა, ასევე ცხენების საჭმელ ქერის დათესვასაც 2 წლით ადრე ადგენდა.*

1370-1380 წწ-ში, თემურ ლენგი დაეხმარა თოხთამიშს Tokhtamysh ოქროს ურდოზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აეღო და დაერბია მოსკოვი, მაგრამ თოხთამიშს ტერიტორიული ამბიციები ჰქონდა ასევე სპარსეთსა და ცენტრალურ აზიაზე. მას შემდეგ, რაც 1383 წელს თემურ ლენგი შემოვიდა შუა აზიიდან და დაიპყრო სპარსეთი, თოხთამიშმა მისი მოკავშირის წინააღმდეგ ანტითემურ ლენგის ალიანსი შეკრა საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის მონაწილეობით და 1385 წელს მათ ერთად აიღეს სპარსეთის ქალაქი თავრიზი. ამან საფრთხეში ჩააგდო თემურ ლენგი და მომდევნო წელს მან კავკასიაში გადაინაცვლა. იმ დროს ზამთარი იყო და ოქროს ურდოს არ შეეძლო დახმარებოდა კავკასიელ მოკავშირეებს. 1386 წელს საქართველოს არმია განადგურებული იყო, თბილისი დანგრეული, ბაგრატი ტყვედ ჩავარდა, ყივჩაყები მთლიანად ამოიხოცა. თემურ ლენგი იყენებდა არტილერიას, ჯარისკაცები ლითონის ფურცლებით იყვნენ დაფარული და აბჯარი მთლიანად

ჰქონდათ ასხმული. შემდეგ 1387 წელს თემურ ლენგი კიდევ ერთხელ შემოიჭრა საქართველოში, მაგრამ თოხთამიშ ყაენმა იმ მიზნით, რომ დაეცვა კავკასია, თავს დაესხა თემურ ლენგის მშობლიურ რეგიონს ცენტრალურ აზიას და იგი იძულებული შეიქნა, უკან, აზიისკენ დაეხია. გადამწყვეტი ბრძოლა თოხთამიშსა და თემურ ლენგს შორის რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა 1391 წელს, როდესაც ოქროს ურდო დამარცხებულ იქნა თემურ ლენგის 200 000 კაციანი არმიის მიერ. იგი მიჰყვა და დაარბია აზოვი, ასტრახანი, რიაზანი, მაგრამ მოსკოვთან სასწულებრივად გაჩერდა და აზიაში დაბრუნდა.

1398 წელს ის ლაშქრობდა ინდოეთში, სადაც აიღო ლაჰორი, პენჯაბი და დელი, ასობით და ათასობით ინდოელი მოსახლეობის გამუდმებული სისხლისღვრის შედეგად. 1399 წელს თემურ ლენგი სირიაში შეიჭრა, გაანადგურა ალეპო და დამასკო, მამლუქების არმიის დამარცხების შემდგომ ქალაქის მცხოვრებლები ამოჟლიტა, ხელოსნების გარდა, რომლებიც გააგ-ზავნეს სამარყანდში. ამის გამო თემურ ლენგი აღიარებულ იქნა, როგორც ისლამის მტერი.

1400 წელს თემურ ლენგი კვლავ შემოესია საქართველოსა და სომხეთს. თოხთამიშმა კიდევ ერთხელ სცადა დახმარებოდა კავკასიის სახელმწიფოს, მაგრამ წარუმატებელი აღმოჩნდა და უკან დაიხია მოსკოვისკენ. თემურ ლენგი 1401 წლის ივნისში შეიჭრა ბაღდადში. 20 000 მოსახლე, მუსლიმების ჩათვლით, ამოხოცილ იყვნენ. მისი ბრძანება იყო, რომ თითოეული მეომარი უნდა დაბრუნებულიყო, მინიმუმ, ადამინისთვის მოკვეთილი ორი თავით, რათა ეჩვენებინათ მისთვის.

1402 წელს მან დაამარცხა ოსმანთა იმპერია და როდესაც ჩინელმა მინგის Ming დინასტიამ იუანის Yuan ჩინგიზიდი მონღოლები გამოდევნა ჩინეთიდან, თემურ ლენგმა დაიწყო სამხედრო მოქმედებები სამაგიეროს გადახდის მიზნით. იგი დაავადდა და დაიღუპა ჩინეთისკენ ლაშქრობის გზაზე 1405 წელს. იმ დროს იყო ყველაზე მკაცრი ზამთარი: როგორც ჩანაწერებიდან ვიგებთ, ჯარისკაცებს უნდა გაეთხარათ 5 ფუტის სისქის ყინული, რომ სასმელ წყლ-ამდე მიეღწიათ. მისი საფლავი კვლავ მშობლიურ სამარყანდშია.

ის ბატონობდა იმპერიაში, რომელიც მოიცავდა თურქეთს, სირიას, კუვეითს, ირანს, ცენტრალურ აზიას ყაზახეთთან ერთად, თურქმენისტანს, უზბეკეთს, ყირგიზეთს, ავღანეთს, პაკისტანს, სომხეთს, აზერბაიჯანს, საქარ-თველოს, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთს და ჩინეთამდეც კი მიაღწია. მდინარე ვოლგიდან სპარსეთის ყურემდე და ჰელესპონტიდან მდინარე განგამდე. მისმა სახელგანთქმულმა მემკვიდრემ, ბაბურმა, დააარსა მუგალის თემურიდების იმპერია ჩრდილოეთ ინდოეთში.

თემურ ლენგის მემკვიდრეობა ძალზედ წინააღმდეგობრივია. მანამ ცენ-ტრალური აზია მისი ბატონობის დროს ყვაოდა, სხვა ადგილები, ბაღდადი, დამასკო, დელი და სხვა არაბული ქვეყნები, ირანი, სირია, სპარსეთი, კავკა-სიისა და თურქეთის ქალაქები დარბეულ იქნა და მილიონობით ადამიანი დაიღ-

უზბეკეთის ეროვნული გმირის
თემურ ლენგის ქანდაკება ტაშკენტში

უპა. ისპაჰანისა და ალეპოს ქალაქებში მან ბრძანა აეშენებინათ პირამიდები 40 000 თავის ქალისგან, რომლებიც მისი არმიის მიერ იყო თავმოკვეთილი. თემურ ლენგმა ჯოგად წამოიყვანა ათასობით მცხოვრები დამასკოდან მეჩეთის კათედრალში, სანამ ცეცხლის ალში გაახვევდა, და ტიკრიტსა და ბაღდადში ასობით ათასობით ადამიანს თავი მოკვეთეს. შესაძლოა ამ შემოსევის დროს 17 მილიონი ადამიანი დაიღუპა.

თემურ ლენგს თავისუფალ დროს ჭადრაკის თამაში უყვარდა, რათა ახალი ტაქტიკა შეემუშავებინა. მან თემურ ლენგის ჭადრაკიც კი შექმნა, რომელსაც უფრო დიდ დაფაზე თამაშობდა და სადაც დამატებითი ფიგურები იყო, აქლემი, საალყო ქვემეხები, ჟირაფი და სხვა. ცნობილი იყო, რომ თემურ ლენგს დაპყრობილი ადგილებიდან სამარყანდში ჩამოჰყავდა ნიჭიერი ხელოვანები და საშუალებას აძლევდა, თავისუფლად წარმოედგინათ არტისტიზმი. ყველა ადგილიდან მას მოჰქონდა ბიბლიოთეკები თავის ქვეყანაში, რათა ყველაზე კარგი განათლების მიღება სწორედ აქ ყოფილიყო შესაძლებელი და სამარყანდი „მსოფლიოს ცენტრად აქცია“. და ეს გეგმა საგულდაგულოდ შეიმუშავა კაცმა, რომელსაც არც წერა შეეძლო და არც კითხვა.

თავის მემუარებში ის წინაპრებზე შემდეგ ინფორმაციას გადმოგვცემდა: „მამაჩემი მეუბნებოდა, რომ ჩვენ აბუ-ალ-ათრაქის (თურქების მამა) შთამომავლები ვიყავით, იაფეტის ვაჟის“.

რუსეთი ერთადერთი იყო, ვინც ისარგებლა თემურ ლენგის გამარჯვებით თოხთამიშზე, ოქროს ურდოზე. მონღოლების მიერ რუსების ოკუპაცია 3 საუკუნე გაგრძელდა და რუსი ისტორიკოსების მიხედვით, რუსებმა მონღოლებს თავი დააღწიეს მე-15 საუკუნეში. რუსეთი მონღოლებმა გააერთიანეს. მოსკოვის სახანო ნაბიჯ-ნაბიჯ ყაზანიდან დაიწყო 1552 წელს და მიიერთა ასტრახანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ციმბირი და მოგვიანებით (1783 წელს) ყირიმის სახანო.

მუსლიმი რუსი (თათრები) ავტორები ამტკიცებდნენ, რომ მოსკოველი მთავრები ქრისტიანები არ იყვნენ, არამედ მონღოლი ჩინგიზიდებს შთამომავლები, კანონიერი მონღოლი მმართველები, რომლებზედაც გადავიდა ოქროს ურდოს ძალაუფლება მონღოლეთის შესუსტების შემდეგ მონღოლების მემკვიდრეობითი წესების სრული დაცვით, რაც შემდგომში დამტკიცდა ყველა მონღოლი ოქროს ურდოს ხანების მოსკოვის ყაენისთვის დამორჩილების გამოცხადებით. უფლისწული გლინსკი, მონღოლების შთამომავალი, ძალზედ

გამოჩენილი ოჯახიდან იყო: რუსი მეფის, ივანე მრისხანეს დედა, ელენა გლინსკაია, მონღოლი გენერლის, მამაის დისწული იყო. მალუტა სკურატოვმა ცარის სამეფო კარზე მეორე თათარი, ბორის გოდუნოვი მიიყვანა. ბორის გოდუნოვი მალიუტა სკურატოვის დაზე იყო დაქორწინებული. ივანეს ჭკუასუსტი შვილის ფიოდორის გამეფებისა და სიკვდილის შემდეგ, ბორისი მეფე გახდა 1598-1605 წლებში.

ჩინგიზ ყაენის სხვა პირდაპირი მემკვიდრე რუსების მიერ იყო ასიმილებული: უფლისწული უხთომსკი, ბელოზერსკი, ვალიხანოვი, დონდუკოვი, შახოვსკოი, ლვოვი, პროზოროვსკი, გალიცინი, ხოვანსკი, კურაკინი და იუსიფოვი. სწორედ ამიტომაც არ მომხდარა „უღელში“ არანაირი აჯანყება სამი საუკუნის განმავლობაში, მხოლოდ „სამეფო კარის გადატრიალება“ რამდენიმე სეპარატისტის მიერ სამხედრო კამპანიით (კულიკოვოს ბრძოლაში და სხვა).

ასიმილაციის პოლიტიკა ყოველთვის ერთნაირი იყო. ყაენის მემკვიდრეები სახლდებოდნენ რუსეთში და რუსულ გვარს იღებდნენ. სიბირსკის ოჯახი იყო უკანასკნელი ციმბირელი ხანების, ჩინგიზიდის ოჯახის შთამომავალი. უკანასკნელი ციმბირელი ყაენის ვაჟი ტყვედ კაზაკებმა აიყვანეს და მოსკოვში წაიყვანეს, სადაც ისინი იაროსლავში დასახლდნენ და ენიჭებოდათ უფლება, ციმბირელი მეფის ცხოვრების სტილი ჰქონოდათ. მთელი ოჯახი ქრისტიანად მოექცა და საბოლოოდ კი რუსეთის თავადაზნაურობაც აითვისა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სახელი იყო ვასილ აბულგაიროვიჩი, მის ვაჟს ერქვა რომან ვასილიევიჩი, რომელსაც რუსების მშობლიურ სახელისგან ვერ გამოარჩევდით[1].

თემურ ლენგის სხეული ექსჰუმირებული იყო 1941 წელს საბჭოელი ანთროპოლოგისტის მიხეილ გერასიმოვის მიერ. მისი ძვლებიდან ნათლად ჩანდა, რომ იგი მაღალი და ფართობეჭებიანი კაცი იყო, ძლიერი ყვირმლის ძვლებით. ასევე ირკვევა, რომ ის ნამდვილად კოჭლი იყო, მისი ბარძაყის ძვლის დაზიანების გამო. გერასიმოვმა ასევე აღმოაჩინა, რომ მისი სახის მახასიათებლები ემთხვეოდა მონღოლებისთვის დამახასიათებელ დეტალებს.

მის საფლავის ქვაზე გამაფრთხილებელი წარწერა იყო, თუკი ვინმე მის საფლავს შეეხებოდა, ომი დაიწყებოდა. თემურ ლენგის საფლავის ექსჰუმაციიდან სამ დღეში გერმანია შეიჭრა საბჭოთა კავშირში. ამჟამად თემურ ლენგი ოფიციალურად გამოცხადდა თანამედროვე უზბეკეთის ეროვნულ გმირად. მისი მონუმენტი დგას სწორედ იმ ადგილას, სადაც მანამდე ლენინის ძეგლი იდგა.

---

[1] 1686 წელს მეფემ ასეთივე ბრძანება გასცა სხვა შემთხვევებშიც: კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, მაგ., იმერეთის მეფის დინასტია, ციმბირის პრინცებთან ერთად, რუსეთის თავადაზნაურების გენიალოგიის წიგნში შევიდნენ და დაიკარგნენ რუსეთის უსასრულობაში. ეს წარმატებული ტაქტიკა, ქორწინებები სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის ეფექტიანად მუშაობდა საუკუნეების მანძილზე.

1386 წელს თემურ ლენგმა აიღო თბილისი და ტყვედ ჩაიგდო ქართველი მეფე ბაგრატ V **Bagrat (**Barged). იგი მანამ იბრძოდა, სანამ თემურ ლენგმა ზარბაზანი არ გამოიყენა კავკასიაში. თბილისის მთელი მოსახლეობა ამოჟლიტეს, გარდა პროფესიონალებისა: არქიტექტორების, მსახიობების, ოქრომჭედლების, მწერლების, რომლებიც გადაასახლეს სამარყანდში, სამეფო ბიბლიოთეკასთან ერთად, რომელიც შეიძლება დღემდე იყოს დამალულად შემონახული. იმ დროისთვის დაწერილი საქართველოს ისტორია განადგურებული იყო. ბაგრატმა თავის ვაჟს აუწყა გადაადგილების მარშრუტის შესახებ, სადაც მოეწყო ჩასაფრება და მონღოლთა 12 000-იანი არმია ამოხოცილი იყო 1387 წელს. განთავისუფლებულმა ბაგრატმა, თავისი მოკავშირე თოხთამიშის ოქროს ურდოსთან ერთად, აიძულა თემურ ლენგი უკან, აზიაში დახეულიყო. საქართველომ რამდენიმე წელში წინანდელი ძალები აღიდგინა.

1393 წელს, ბაგრატის სიკვდილის შემდგომ, მისი ვაჟი მეფე გიორგი VII სათავეში ჩაუდგა თემურ ლენგის წინააღმდეგ ბრძოლას. სანამ ის უკანასკნელი 1399 წლამდე იმყოფებოდა ინდოეთში, მეფე გიორგი თავს დაესხა აზერბაიჯანს და ალყა შემოარტყა ალინჯეს კლდეს, სადაც გადაარჩინა ერაყის მმართველის ქალიშვილი, რომელიც იქ ჰყავდათ დაჭერილი. მეფემ უარი შეუვალა თემურ ლენგს დაებრუნებინა მძევლები, რაც ახსნა იმით, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა კავკასიურ ქრისტიანულ ტრადიციებს და თემურ ლენგმა დაიწყო მზადება საქართველოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად. 1400 წელს მან ყოველი 10 ჯარისკაციდან აიყვანა 3 კაცი, რამაც 100 000 მებრძოლი შეადგინა. მან გაჩეხა ტყე გზის გასაკვლევად და უცბად აღმოჩნდა კახეთის რეგიონის შუაგულში. მიუხედავად ძლიერი წინააღმდეგობისა, მან ამოხოცა მთელი მოსახლეობა, გაჩეხა ვენახები და ხეები, რითიც ცდილობდა მოესპო საქართველოს კულტურა და ეკონომიკა.

მაგრამ მეფე გიორგი მტკიცედ იდგა და თემურ ლენგმა უკან დაიხია, რათა ზამთარი ყარაბაღში გაეტარებინა. გიორგი VII ისეთი მამაცი იყო, რომ მან მტერი ბრძოლაში გამოიწვია. ქართული და ჩრდილოეთ კავკასიის არმია თემურ ლენგს სევანის ტბის ნაპირებთან შეხვდნენ. მთელი დღის განმავლობაში საქართველოს არმია წარმატებით იბრძოდა. ქართული ჯარი ისეთ პოზიციებზე იდგა, რომ მტერს მტვერი პირდაპირ თვალებში ეყრებოდა, თემურ ლენგი თავადაც კი ჩაერთო ამ ბრძოლაში. სახელმწიფო ღალატის გამო ბრძოლა წააგო საქართველომ, მაგრამ არმიამ უკან დაიხია ბრძანებით და მოსახლეობა ევაკუირებული იყო მთებსა და მღვიმეებში. მტერმა აიღო თბილისი და ყველა სხვა ქალაქი.

მეფე გიორგი VII ორჯერ იყო სხვადასხვა სასახლეში, რადგან თემურ ლენგმა ალყაში მოაქცია. მაგრამ, როდესაც არტილერიით ანგრევდნენ კედლებს, ქართველი მეფე წარმატებით ახორციელებდა კონტრშეტევას, რადგან აზიელები არ იყვნენ ფიზიკურად ისეთი ძლიერნი, რომ გამკლავებოდნენ ხანჯლებით ბრძოლას. ერთხელ თემურ ლენგი შემთხვევით შეხვდა ტყეში პატარა ქართულ რაზმს ამირეჯიბის მეთაურობით, რომლებიც თავს დაე-

სხნენ. მდგომარეობა ძალზედ რთული იყო თემურ ლენგის არმიისთვისაც კი, რომლებმაც დაიპყრეს ინდოეთი წინა წელს და იმ მიზნით, რომ ნაძარცვი მიეღო თავისი ჯარისთვის, გადაწყვიტა, სადმე წასულიყო და შემდეგ 1401 წელს შევიდა ბაღდადში, სადაც თითქმის მთელი მუსლიმი მოსახლეობა გაანადგურა.

მეფე გიორგიმ ისარგებლა ამ მოკლე პერიოდით, როდესაც მონღოლები არ იყვნენ მის ქვეყანაში და მოახერხა თავისი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, ამოჟლიტა ყველა თავისი მოღალატე ლიდერები და გაანადგურა მონღოლების გარნიზონები. თუმცა, ამავე დროს, წამოიწია თურქ-ოსმალებმა, რომლებიც შეიჭრნენ ანატოლიასა და ევროპაში. ამის გამო თემურ ლენგი სასწრაფოდ დაბრუნდა და რადგან არ შეეძლო ორივესთან, ქართველებთან და თურქ-ოსმალებთან ერთდროულად ბრძოლა, გადაწყვიტა, სამშვიდობო ხელშეკრულება გაეფორმებინა საქართველოს მეფესთან. 1402 წელს თემურ ლენგმა დაიპყრო ანატოლია და დაამარცხა ოსმალეთის იმპერიის სულთანი ბაიაზიდ I ანკარასთან მომხდარ ბრძოლაში.[1] ბაიაზიდი ტყვედ აიყვანეს და იგი ტყვეობაში გარდაიცვალა. თემურ ლენგს ამოქმედებდა მოტივაცია, რომ გაელაშქრა ოსმალების წინააღმდეგ, რაც აღადგენდა სელჩუკების რეპუტაციას. თემურ ლენგი განიხილავდა სელჩუკებს, როგორც ანატოლიის სამართლებრივ მმართველებს, რადგან მონღოლი ჩინგიზიდები კანონიერად იყვნენ დატოვებული მმართველებად (ზუსტად ისევე, როგორც მოსკოვის ყაენები). თუმცა თემურ ლენგის სიკვდილის შემდეგ ჩინგიზიდებთან ერთად ჩამოყალიბდა მეორე თურქ-მონღოლური სამეფო თიმურიდების დინასტია.

თურქებზე ეს გამარჯვება ევროპელებმა სიხარულით მიიღეს და ყველა ქრისტიანულმა მეფემ გამოუგზავნა თემურ ლენგს მისალოცი წერილი, რადგან მათთვის თურქები გაცილების საშიში იყვნენ. ელჩები იგზავნებოდნენ იმ მიზნით, რათა გაერთიანებულიყვნენ თურქების წინააღმდეგ. მაგრამ საქართველოს მეფე არ მივიდა ოსმალებზე გამარჯვების მისალოცად, რის გამოც თემურმა გადაწყვიტა მისი დასჯა და წამოიწყო ბოლო, მერვე შემოსევა საქართველოში. თბილისი და 700 ქალაქი და სოფელი აოხრებულ იქნა და მისი მცხოვრებლები ამოხოცილი. მიუხედავად ამისა, იგი იძულებული იყო, საქართველო ეღიარებინა ქრისტიანულ ქვეყნად. 1405 წელს იგი დაიძრა ჩინეთისკენ, თუმცა ამავე წელს დაიღუპა არტარში ისე, რომ ვერ მიაღწია ჩინეთის საზღვრამდე.

---

[1] თემურ ლენგის აზრით, თურქ-ოსმალები იყვნენ სელჩუკების მცირე ვასალები. ოსმალები იყვნენ ადგილობრივი თავადები ან ერთ-ერთი აზიელი ემირატის ბეგები „beg“. ოსმალები (ოტომანები), რომლებიც გამოაძევეს მონღოლებმა ხორასანიდან, მოვიდნენ რუმში თურქ-სელჩუკებთან სამსახურში, რომლებმაც ისინი დაასახლეს ძველი ფრიგიის ტერიტორიაზე. თუმცა მალე ოსმალების რიცხვი გაიზარდა და დომინანტები გახდნენ ანატოლიაში, რადგან სელჩუკები მონღოლებთან ბრძოლით უკვე დაქანცულნი იყვნენ.

ეს იყო საქართველოს ცივილიზაციის ტოტალური დასასრული. მთელი საუკუნის მანძილზე მონღოლების მბრძანებლობამ საქართველოზე გამოიწვია სახელმწიფოს დანაწევრება და თანდათანობითი დაკნინება. 1465 წელს სამეფო დაიშალა შემდეგ პოლიტიკურ ნაწილებად: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, სამცხის, ოდიშის, სვანეთის, გურიის და აფხაზეთის სამთავროები, რომლებიც გამუდმებით ებრძოდნენ ერთმანეთს. მოსახლეობის 1/3 განადგურებული იყო. ეს იყო „დიდი საქართველოს“ დასასრული. ყველა საერთაშორისო სავაჭრო გზა („აბრეშუმის გზა“) ახლიდან გაიყვანეს კავკასიისგან დამოუკიდებლად. იერუსალიმის მმართველობა, რომელიც ეგვიპტის მამლუქ სულთანებისგან გადაეცათ, დაკარგეს.



თურქ-ოსმალები საქართველოში

1453 წელს თურქებმა დაიპყრეს კონსტანტინოპოლი სულთან მეჰმედ II-ის Mehmed II მეთაურობით. ამას ასევე ახლდა ეკონომიკური მიზეზი – ბიზანტიანებას აძლევდა მეჰამედ II-ს, რომ გადაეკვეთა სრუტე, ერთი დუკატის ფასად თითო ჯარისკაცზე, რათა იერიში მიეტანათ კათოლიკე ქვეყნებზე (უნგრეთი) და ხელში ჩაეგდოთ ძვირფასი ნადავლი. გადასახადი მაინც საკმაოდ ძვირი ეჩვენებოდა მეჰამედს და იგი მიუბრუნდა თვით კონსტანტინოპოლს. ახლა უკვე უნგრელების დახმარებით მან გამოადნო მსოფლიოში იმ დროისათვის ყველაზე დიდი ქვემეხები, რომლებიც სულ რამდენიმე გასროლას უძლებდნენ, მაგრამ ეს საკმარისი იყო კონსტანტინოპოლის აქამდე აუღებელი კედლების

დასანგრევად. გარდა ამისა, ჩინეთიდან თოფისწამალის შემოტანა გახდა შესაძლებელი და ბიზანტიამ დაკარგა თავისი 1000-წლიანი საიდუმლო იარაღზე – „ბერძნული ცეცხლი“.

ამის შემდეგ ევროპელები და განსაკუთრებით რომის პაპი გააქტიურდნენ, რათა შეექმნათ ალიანსი თურქების წინააღმდეგ და მოეწყოთ ჯვაროსნული ომი საქართველოსთან, სომხეთთან, თემურ ლენგთან და სხვა მუსლიმ ქვეყნებთან ერთად, მაგრამ ამაოდ. ევროპელებმა დაიწყეს თავინთი ქალაქების აღდგენა, ქვის შენობებისა და მონასტრების აგება და აღარ სურდათ კვლავ ომი. ვასკო და გამას Vasco da Gama აღმოჩენის შემდეგ 1498 წელს „აბრეშუმის გზამ“[1] „Silk road“ გადაინაცვლა ზღვაზე (აფრიკიდან ინდოეთისკენ). პირველმა პორტუგალიელმა იაპონიასაც მიაღწია 1543 წელს. ამერიკა აღმოაჩინა გენუელმა ქრისტეფორე კოლუმბმა Christopher Colombo 1492 წელს და ამავე წელს გერმანელმა მარტინ ბეჰეიმმა Martin Beheim შექმნა პირველი გლობუსი. ევროპაში დაიწყო ტექნიკური რევოლუცია. ლეონარდო და ვინჩი Leonardo Da Vinci, მსოფლიო უნივერსალური გენიოსი, დაიბადა 1470 წელს. ლაიბნიცმა და ნიუტონმა Leibnitz and Newton შექმნეს თანამედროვე მათემატიკური გაანგარიშება. იოჰანეს გუტენბერგმა Johannes Gutenberg 1454 წელს დაბეჭდა ბიბლია. ევროპას არ სჭირდებოდა ომი სავაჭრო გზისთვის. უფრო მეტიც, ტექნიკური უპირატესობით და სამხედრო ძლიერებით გამორჩეული დასავლეთ ევროპის პროტესტანტი ქვეყნები და თურქები კათოლიკე ძალების წინააღმდეგ გაერთიანდნენ და მათთან ბრძოლა უფრო საინტერესო იყო მათთვის, ვიდრე სხვა შორეულ ქვეყნებთან.

ამავე დროს, 1480 წელს მოსკოვის ყაენი აუჯანყდა მონღოლებს, რაც შიდა ომებისგან შესუსტების გამო მოხდა, და შეწყვიტა ხარკის გადახდა. ეს ფული მოხმარდა 100-წლიანი ევროპული პროტესტანტ-კათოლიკური ომის ვეტერანების დაქირავებას და მათი მხარდაჭერით პერიფერიული სახანოების დამორჩილებას (თათრეთიდან ციმბირამდე) და მონღოლური იმპერიის ცენტრმა გადაინაცვლა მოსკოვში.

მონღოლებისა და თემურ ლენგის გაუჩინარების შემდეგ დაიწყო თურქ-ოსმალების შემოსევები. 1453 წელს მათ მეჰმედ II მურადის Mehmed II Murad მეთაურობით იანიჩარის ჯართან ერთად აიღეს კონსტანტინოპოლი და ბოლოს ბიზანტიის იმპერია და ტრაპიზონიც დაარბიეს 1461 წელს. 1475 წელს ყირიმის სახანო გახდა თურქეთის ვასალი. საქართველო ახლა პრაქტიკულად

[1] აბრეშუმის გზაზე მხოლოდ ევროპელები მოძრაობდნენ. არც ერთ ჩინელს დასავლეთისკენ არ უმოგზაურია. არც მუსლიმები მოგზაურობდნენ ევროპის არამუსლიმურ ქვეყნებში, ვინაიდან არც ჩინელებისა და არც მუსლიმანისათვის ევროპაში არაფერი იყო საინტერესო, მონების გარდა.

ჩამოშორდა საერთაშორისო სავაჭრო გზას და დაკარგა შესაძლებლობა დაემყარებინა პირდაპირი კავშირი ევროპულ ქვეყნებთან.[1]

თურქები არარეგულარულად, მაგრამ სასტიკ შემოსევებს აწარმოებდნენ, თურქმენები ხორასანიდან (შუა აზიიდან): „შავბატკნიანები“ 1407-1440 წწ-ში და „თეთრბატკნიანები“ 1480-1500 წწ-ში. საბოლოოდ ისინი გამოძევებულ იყვნენ საქართველოდან, მაგრამ შემდეგი ბრძოლა თურქებთან მომდევნო სამი საუკუნე გრძელდებოდა. ირანმა და თურქებმა დაიწყეს ბრძოლა რეგიონალური ძალაუფლებისთვის და საქართველო იქცა მათი ბრძოლის ველად.

ქართველი მეფეები მუდმივად იბრძოდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ ამიერიდან ერთი მტრის მხარეს მეორე მტრის წინააღმდეგ. ყველა მეზობელმა მუსლიმმა მმართველმა იცოდა, რომ სახიფათო იყო სათანადოდ ვერ შეეფასებინათ საქართველოს არმია და ამიტომ ყოველთვის ერჩივნათ მოლაპარაკებოდნენ და მათ მხარეს ებრძოლათ. განსაკუთრებული ბრძანებულებით, 1520 წელს თურქმა სულთან სულეიმან დიდებულმა გადასცა ყველა უფლება იერუსალიმზე ქართველ მეფეს, შეიძლება იმიტომ, რომ ის ჩართული იყო ავსტრიელებთან და უნგრელებთან ბრძოლაში და არ სურდა, რომ ჰქონოდა პრობლემები ზურგს უკან. 1480 წლიდან, დასავლეთ ევროპელი მოგზაურის ბრეიდანბახის მიხედვით, ქართველები იერუსალიმში, დამასკოსა და ბაღდადში შედიოდნენ ცხენებზე ამხედრებულნი და თავიანთი გაშლილი დროშით.

1555 წელს თურქ-ოსმალებმა და სეფიანთა სპარსელებმა დადეს ამასიის ზავი და საქართველოს დასავლეთი გადაეცა თურქებს, აღმოსავლეთი კი ირანს მომდევნო სამი საუკუნის განმავლობაში, რუსეთთან გაერთიანებამდე. მე-18 საუკუნეში. ირანისა და თურქების შემოსევები პერმანენტულ სახეს იღებდა.

თურქეთის იმპერია

მე-11 საუკუნეში მომთაბარე თურქებმა, ცნობილია როგორც სელჩუკები Seljuks, ცენტრალური აზიიდან გადაინაცვლეს სპარსეთსა და ერაყში, სადაც ისინი კარგად მიიღო აბასიდმა ხალიფამ Abbasid Caliph, გადაიყვანა მუსლიმთა რელიგიაზე და დაარქვა მეთაურს სულთანი. არაბებმა დაიპყრეს სირია და პალესტინა, რამაც ჯვაროსნული ომი გამოიწვია. როდესაც სელჩუკებმა სომხეთში გადაინაცვლეს, 1071 წელს ბიზანტიის იმპერატორი რომანუს დიოგენესი დაამარცხა სელჩუკმა სულთანმა ალფ არსლანმა Alp Arslan, მანაზ-

[1] ბოლო შანსი კონსტანტინოპოლს დაცემამდე 1438 წელს ჰქონდა, როდესაც ოსმალების საპასუხოდ, პაპმა ევგენიუს IV-მ Pope Eugenius IV ფერარაში, ფლორენციაში, მოიწვია მსოფლიო საეკლესიო კრება Ecumenical Council of Bishops in Ferrara, Florence, მაგრამ ბერძნებმა, რუსებმა და ქართველმა დელეგატებმა უარი თქვეს ხელი მოეწერათ გაერთიანების ხელშეკრულებაზე.

კერტის Manzikert ბრძოლაში (ვანის ტბასთან). ამ პერიოდში კონსტანტინოპოლში მოაღწია კარგმა ცნობებმა აღმოსავლეთიდან ჯვაროსნებისთვის, ხოლო ცუდმა ამბებმა თურქებისთვის. მონღოლმა თემურ ლენგმა გაანადგურა თურქ-ოსმალები ანკარასთან ახლოს ბრძოლაში 1402 წელს, რადგან იგი მხარს უჭერდა სელჩუკებს და არა ოსმალებს. ეს ყველაფერი დამთავრდა 1453 წელს, როდესაც მეჰმედ დამპყრობელმა 53 დღის ალყის შემდეგ აიღო კონსტანტინოპოლი. მართლმადიდებელი მოსახლეობა და პატრიარქი შეეგუენ თურქულ მმართველობას, როგორც უფრო მისაღებს, ვიდრე იყო ვენეციური პრინციპები.

სულთანმა სელიმ I-მა Selim (1512-1520 წწ.) მკვეთრად გააფართოვა ოსმალების იმპერიის საზღვრები სეფევიდ სპარსეთის შაჰ ისმაილის დამარცხებით, დაამკვიდრა ოსმალეთის ხელისუფლება ეგვიპტეში და შექმნა წითელი ზღვის საზღვაო ფლოტი. ოსმალების ასეთი გაძლიერების შემდეგ, პორტუგალიისა და ოსმალეთის იმპერია ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა ყოფილიყვნენ რეგიონის მთავარი ძალა და ეკონტროლებინათ სავაჭრო გზა.

კოლუმბმა Columbus აღმოაჩინა ამერიკა, პორტუგალიელებმა აღმოაჩინეს იმედის კონცხი და დაბანაკდნენ არაბეთში, რაც მექას და მედინასაც ემუქრებოდა. საპასუხოდ ოსმალებმა დაიპყრეს სირია და ეგვიპტე, ჩრდილოეთ აფრიკის ნაპირი (ალჟირი ბარბაროსი Barbarossa ძმების მიერ 1515 წ., ტუნისი ჰაირადინ ბარბაროსას Hayreddin Barbarossa მიერ 1533 წ., ლიბია თურგუტ რეისის Turgut Reis მიერ 1551წ., მაროკო დაცვის მიზნით აიღეს 1578 წ.) თურქული ფლოტის მიერ.

ოსმალები აგრძელებდნენ შემოსევებს ევროპაში – სერბია (ბელგრადი, 1526 წ.), ხორვატია, ბოსნია, საბერძნეთი, ალბანეთი, მონტენეგრო, რუმინეთი, უნგრეთი 1526 წელს. სულთანმა სულეიმანმა პირველად ვენას ალყა შემოარტყა 1529 წელს. თურქებმა იტალიის ნახევარკუნძულის ტერიტორიის ნაწილი დაიკავეს (ოტრანტო და აპულია, 1480 წ.).

ერჰან აფიუნსი თავის წიგნში „ოსმალების იმპერიის გახსნა“ „Ottoman Empire Unveiled“ Erhan Afyoncu, წერს, რომ თურქეთის დასავლეთ ნაწილის პოლიტიკა საკმაოდ ლიბერალური იყო. თუკი მოსახლეობა გადაიხდიდა გადასახადებს, მათ ცხოვრებაში არ ერეოდნენ და აღმოსავლეთ ქრისტიანული რელიგიები (რომაელი კათოლიკეებისგან განსხვავებით) კარგად იყო დაცული. ბალკანელი მოსახლეობა ოსმალ სულთანს თავისი ნებით იხმობდა, რათა დახმარებოდა ადგილობრივი დესპოტისგან განთავისუფლებაში, რომლებიც მათ ეპყრობოდნენ უფრო ცუდად, ვიდრე უსასტიკესი თურქები. ბულგარეთის, სერბეთის და საბერძნეთის ქვეყნები აყვავდა და გაფართოვდა მას შემდეგ, რაც თავი დააღწიეს ადგილობრივ ფეოდალურ ომებს. მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, როდესაც რუსეთი სასტიკად მოექცა თავის მუსლიმანურ ჩრდილო-კავკასიურ მოსახლეობას და მილიონობით დახოცა და დანარჩენი გახიზნა თურქეთში, სადაც მათ იანიჩარების რაზმებში საპასუხო სისასტიკით

„გამოიჩინეს“ თავი. ამის საპირისპიროდ, მალტაში ქრისტიანული წესრიგი ძალზედ აღიზიანებდა სულთანს, რადგან ქვეყანის რაინდები იმონებდნენ მუსლიმებს.

ტოპკაპის სასახლის არქივებში აღმოაჩინეს ლეონარდო და ვინჩის თხოვნა, რომ ჩასულიყო სტამბოლში და შეესრულებინა სამშენებლო სამუშაოები სულთანისთვის (ბაბინგერი, 1958 წ. Babinger).

როდესაც 1492 წელს ებრაელები გამოდევნეს ესპანეთიდან, თურქებ-მა ოსმალეთის იმპერიაში კარგად მიიღეს, რამაც მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გარდაქმნა გამოიწვია ტექსტილის ინდუსტრიაში, იარაღის წარმოებასა და სხვა სფეროებში. კიდევ უფრო მოგვიანებით, ახალგაზრდა თურქმა რევოლუციონერებმა მოიწვიეს კიდევ უფრო მეტი ებრაელი, რათა დასახლებულიყვნენ ოსმალთა მიწებზე, რომ დაცული ყოფილიყვნენ არაბებისგან. რუსეთის მეფის ანტისემიტიზმის გამო მსოფლიო ებრაელობა, ტრადიციულად, პროთურქული იყო. და დღემდე თურქეთსა და ისრაელს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ.

ოსმალეთის ხელისუფლება სისტემატურად უჭერდა მხარს ლუთერანებსა და კალვინისტებს მთელ ევროპაში (ჰალილ ინალჩიკი „თურქეთისა და ევროპის ისტორია“, 2006 წ. Halil Inalcik „Turkey and Europe in History“). ოსმალების ბრძანებით კალვინიზმი თავისუფლად ვრცელდებოდა უნგრეთსა და ტრანსილვანიაში. ოსმალები კალვინისტებსა და უნიტარიანებს მხარს უჭერდნენ, სადაც კი შეეძლოთ. სულთანი პირადად აქებდა კალვინისტების სიმამაცეს, რომლებიც იბრძოდნენ თავიანთ, თეთრი ლაბადებითა და პულოვერებით. ის ამბობდა: „ეს თეთრებში ჩაცმული ხალხი, ჩემი მმართველობის ქვეშ რომ იყვნენ, მსოფლიოს დავიპყრობდი და ვერავინ შემაჩერებდაო“.

1502 წელს გამოიცა პირველი გაზეთი ვენაში „ნოიე ცაიტუნგი“ „Neue Zeitung“, რათა ახალი ამბები გაეგოთ თურქებზე, სადაც ეწერა: „საუკეთესო საქციელი იქნებოდა ქრისტიანული მსოფლიოსთვის, რათა თავი დაეხარათ და ხარკი გადაეხადათ ძლევამოსილ სულთანისთვის. ჩვენ შეგვიძლია ვენდოთ მას, რომ მართავდა ქვეყანას სამართლიანად და დიდსულოვნად“. თავის ტრაქტატს უწოდა „Libellus de ritu et moribus Turcorum“ 1530 წელს. ლუთერანები თურქებს ქრისტიანებს ადარებდნენ და მიღებულნი იყვნენ, როგორც თავმდაბლური ღირსებებით აღსავსეს, რომლებიც უბრალო და პატიოსანი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ლუთერანები ნათარგმნ ყურანს კითხულობდნენ და ამბობდნენ, რომ სამხრეთ ევროპის გლეხობის ცხოვრების პირობები იმდენად მძიმე იყო, რომ თურქებს მხსნელად მიიჩნევდნენ. ცნობილია, რომ ზალცბურგსა და ვურცბურგში მცხოვრები სოფლელები თურქეთის მხარეს გადადიოდნენ და ბევრი გერმანელი ჯარისკაცი ოსმალების არმიას უერთდებოდა. მაგრამ 1529 წელს ვენის ალყამ ღრმა შეშფოთება გამოიწვია ლუთერანებზე და დაიწყეს ევროპული ქვეყნების გაერთიანების მხარდაჭერა თურქების წინააღმდეგ. გერმანელმა პროტესტანტებმა აგრეთვე თავიდან უარი თქვეს დახმარებოდნენ

ფერდინანდს სულეიმანის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ვენაზე ოსმალების ალყის შემდეგ, 1529 წლის ზაფხულში, იძულებულნი იყვნენ, სამხედრო დახმარება გაეწიათ ჩარლზ V-სთვის Charles V.

ოსმალების გავლენა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო პროტესტანტიზმის გავრცელებისთვის ევროპაში. პროტენსტანტიზმის გავრცელება დიდ სარგებლობას მოუტანდა ოსმალებს ჰაბსბურგებთან Habsburg ბრძოლაში. ოსმალებმა გერმანიაში ჰაბსბურგების დინასტიის გერმანული შტო დასვეს და პროტესტანტიზმს საშუალება მიეცა გავრცელებულიყო ქვეყანაში. ოსმალებმა გერმანელებს პირობა მისცეს, რომ გაამხნევებდნენ ჰაბსბურგების წინააღმდეგ აჯანყებებში. 1494 წელს, როდესაც საფრანგეთში, ჩარლზ VIII ემზადებოდა იტალიაში შესაჭრელად, პაპის ქვეყნებიც კი ელოდებოდნენ ოსმალებისგან დახმარებას. ჰენრი II იძულებული იყო, ესესხა ებრაელი ბანკირის მარანო მენდესის Marrano Mendes ოჯახის მეშვეობით (ვინც აკონტროლებდა სანელებლებით ვაჭრობას ევროპაში და დასახლდა ოსმალების დედაქალაქში 1550 წელს) დიდი რაოდენობით ფული ოსმალებისგან, რათა დაეფინანსებინა საფრანგეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა. და კვლავ, ფრანგ პრინცს, ვალუას დინასტიიდან, ჰენრის ჰქონდა შესაძლებლობა მოეპოვებინა პოლონეთის სამეფო ტახტი 1573 წელს მხოლოდ ოსმალების ძლიერი მხარდაჭერით, რომლებიც მოწინააღმდეგენი იყვნენ ჰაბსბურგის მიერ მხარდაჭერილი მეტოქის.

უფრო მეტიც, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და ინგლისის მონარქიების არსებობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოსმალებს კათოლიკე ჰაბსბურგების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც უკვე აკონტროლებდნენ ავსტრიას, გერმანიას (ჰოჰენცოლერნებთან ერთად Hohenzollerns), ესპანეთს და იტალიას. ოსმალებმა საფრანგეთი გააძლიერეს ჰაბსბურგების წინააღმდეგ მეომრებითა და ფულით. როდესაც ინგლისის დედოფალ ელიზაბეტ I-ს Elizabeth (1558-1603 წწ.) ემუქრებოდა ესპანეთის არმადა, ის ცდილობდა გაეძლიერებინა ოსმალების საზღვაო ფლოტის მოქმედება ხმელთაშუა ზღვაში ესპანეთის წინააღმდეგ. ვინ დაეხმარა ინგლისს, როდესაც ემუქრებოდა ჰაბსბურგების დინასტიის ესპანელი შტოს არმადა? ამის პასუხი შემდგომში ბრიტანულ „გარდიანში“ დაიბეჭდა: „რატომ გვყავს ბრიტანელებს თურქები და არა დრეიკები, რომ მადლობა გადავუხადოთ არმადას დამარცხებისთვის“. ახსნა-განმარტება ძალზედ უბრალოდ იყო დაწერილი და ახსნილი იყო სტამბოლში ინგლისის ელჩის მიმართ მიწერილ წერილში, რომელიც ფიქრობდა ეთქვა ყველაფერი სულთნისთვის და მიეღო დახმარება ესპანეთთან ბრძოლის დროს: „ესპანელებს ხელში ეჭირათ ევროპის უდიდესი ნაწილი. როდესაც ინგლისთან ბრძოლა დასასრულს მიუახლოვდებოდა (ან თუკი ინგლისი დამარცხებული იქნებოდა კათოლიკე ესპანეთის მიერ), ევროპაში ქრისტიანები გაერთიანდებოდნენ სულთნის წინააღმდეგ“. ქართველები ამ მომენტს საუკუნეების მანძილზე ელოდნენ, მაგრამ ამაოდ. თურქებისა და ინგლისელების საბედნიეროდ, ხოლო სამწუხაროდ აღმოსავლეთის ქრისტიანებისა, ესპანურმა

არმადამ ვერ შეძლო ბრიტანეთის დაპყრობა და პროტესტანტობის დარბევა ანგლო-ოსმალების კავშირის გამო, რომელთაც შუამავლობდა ელიზაბეტი.

მე-15 საუკუნეში ოსმალებმა დახმარება გაუწიეს ყირიმში გირეის, თოხთამიშ Tokhtamysh ყაენის შვილიშვილს – მოსკოვის ღერძი ლიტვის Jagellon წინააღმდეგ – ოქროს ურდოს კოალიცია. ოსმალ-ყირიმელების თანამშრომლობა 1492-1532 წწ-ში იყო კრიტიკული მოსკოვის გაძლიერებისთვის, რომელიც იგნორირებულია რუსულ ისტორიოგრაფიაში (ჰალილ ინალჩიკი „თურქეთისა და ევროპის ისტორია", 2006 წ. Halil Inalcik „Turkey and Europe in History"). მოსკოვმა მისცა თავშესაფარი ჩინგიზიდის დისიდენტებს და თათართა კლანებს თავიანთ უზარმაზარ და მწირად დასახლებულ ტერიტორიაზე და მოგვიანებით გამოყენებულ იქნენ ოქროს ურდოზე პრეტენზიისათვის. ყირიმელი გირეებმა დროებით წარმატებით ხელახლა დააკისრეს მოსკოვს ხარკი და ოსმალი სულთანი ეჭვით უყურებდა გირეის იმპერიულ ამბიციებს; ამავე დროს, რუსეთის მეფემ დაიპყრო ყაზანი 1552 წელს და პრეტენზიას გამოთქვამდა ოქროს ურდოს იმპერიის მემკვიდრეობით მიღებაზეც. ყაზანის სახანო ოქროს ურდოს წინააღმდეგ თემურ ლენგის ბრძოლების შემდეგ ავტონომიური გახდა და ახლა მოსკოვს ჩაუვარდა ხელში. ოსმალ-ყირიმელების კამპანია, რათა გადაერჩინათ ასტრახანი, უკვე ძალზედ გვიანი იყო. ახლა ყირიმის სახანო თვითონ აღმოჩნა რუსების შემოსევების მსხვერპლი. მეფე ივანემ დაიწყო ირანის შაჰისთვის ძალზე მნიშვნელოვანი არტილერიის გაგზავნა ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც სამწუხაროდ, საქართველოს წინააღმდეგაც გამოიყენეს რუსეთ-საქართველოს ქრისტიანული სოლიდარობის მიუხედავად.

რატომ დართეს ნება ოსმალებმა მოსკოვს, თავისი ძლიერების ზენიტში, ჩაენაცვლებინა ოქროს ურდო Golden Horde? ოსმალების უზენაეს საბჭოში იყო ძლიერი ფრაქცია, რომელიც ასაბუთებდა, რომ ჩრდილოეთში ბრძოლა ძვირი დაჯდებოდა, მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთის ქვეყნები ძალზედ ღატაკი იყო. საბჭომ საბოლოოდ გადაწყვიტა, შეტევა მოეწყო კვიპროსზე 1570 წელს. ასევე, რუსეთის მეფემ ფრთხილად აიცილა თავიდან მონაწილეობა მიეღო ანტიოსმალურ კოალიციაში 1686 წლამდე, როდესაც პეტრე დიდმა გადაწყვიტა, შეერთებოდა საღვთო კავშირს Holly League. როდესაც 1637 წელს კაზაკებმა აიღეს აზოვი და შესთავაზეს ის რუსეთის მეფეს, მან ბრძნულად თქვა უარი შეთავაზებაზე და კაზაკები 1642 წელს იძულებულნი იყვნენ დაეცალათ ადგილი. რუსების ასეთი დათმობები თურქების ყურადღებას აოკებდა. ასევე უმოქმედო პოზიცია დაიკავა თურქეთმა მოსკოვურ-ყირიმული ალიანსის მიმართ ჯაგელონის Jagellons და ოქროს ურდოს კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც პეტრე პირველის პერიოდში სამხედრო აღმავლობით გაგრძელდა. დაბოლოს, სტალინმა ატომური ბომბის მეშვეობით გლობალურ ძალად აქცია.

ირანელები საქართველოში

სულეიმან II-ის შეტაკებები დასავლეთ ევროპაზე, 1529 წელს ვენის პირველად ალყაში მოქცევიდან, ბოლოს და ბოლოს 1683 წელს დასრულდა იოჰან სობეისკის Johann (Jan) Sobieski ხელმძღვანელობით პოლონელი ჰუსარების მამაცური შეტევით.

1517 წელს მარტინ ლუთერმა Martin Luther გამოსცა პაპისა და ეკლესიის ავტორიტეტის საწინააღმდეგო თეზისები, რასაც 1526 წლიდან მოჰყვა რეფორმიზმი Reformation, კალვინიზმი Calvinism და ანგლიკანიზმი Anglicanism. ნიკოლას კოპერნიკი სიკვდილით დაისაჯა ჰელიოცენტრული იდეების გამო, მაგრამ ეს თეორია ასტრონომიული კი არა, მეტაფიზიკური იყო. ფლემიშ ანდრეას ვესალიუსმა Andreas Vesalius 1543 წელს რედაქტირება გაუკეთა პირველ ანატომიის წიგნს. ჰოლანდიაში 1581 წელს ჩამოყალიბდა უტრეხტის გაერთიანება. ესპანური არმადა 1588 წელს დამარცხდა. ესპანელმა მიგელ დე სერვანტეს საავედრამ Miguel de Cervantes Saavedra 1605 წელს გამოსცა წიგნი „დონ კიხოტი“. 1616 წელს გარდაიცვალა უილიამ შექსპირი William Shakespeare. ჰოლანდიელმა რემბრანტ ჰარმენზ რეჯინმა Rembrandt Harmensz van Rjin 1642 წელს შექმნა თავისი საუკეთესო ნამუშევრები. 1747 წელს ბერლინელმა ქიმიკოსმა ანდრეას მარგრაფმა Andreas Marggraf შაქარი დაამზადა.

პეტრე დიდი რუსეთის ხელისუფლებაში 1689 წელს მოვიდა და 1703 წელს დააარსა პეტერბურგი. რუსეთის სამსახურში მყოფი დანიელმა მეზღვაურმა ვიტუს ბერინგმა Vitus Bering გამოიკვლია ალასკა 1741 წელს. 1608 წ. ფრანგებმა ამერიკაში დააარსეს ქვებეკი, ახალი ამსტერდამი 1626 წ. ჰოლანდიელებმა და ნიუ იორკი 1664 წ. ინგლისელებმა. 1776 წლის 4 ივლისს თომას ჯეფერსონმა Thomas Jefferson ბრიტანეთის 13 კოლონიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1789 წელს დაიწყო საფრანგეთის რევოლუცია და დაკარგა კოლონიები ამერიკაში.

მე-16 საუკუნის დასაწყისში ირანის ისტორიაში დაიწყო ახალი ხანა: თურქმენებმა დააარსეს ძლიერი სახელმწიფო – ყიზილბაშური ირანი Qizilbash (Kizilbash), რომელსაც მართავდა სეფევიდთა (სეფიანთა) Safavid დინასტია (1501 წ-დან 1722 წ-მდე). ისინი იყვნენ მონღოლების შთამომავალნი და ირანელებისთვის (სპარსელებისთვის) უცხოელები. სამწუხაროდ, 641 წ-დან 1979 წ-მდე ირანის მმართველი ეთნიკურად ირანელი არ ყოფილა. ეს დინასტია შიიტური Shia იყო და დაუნდობლად დევნიდნენ სუნიტებს.

საქართველო განიცდიდა შეტევას სამი მხრიდან: სუნიტური თურქეთის, შიიტური სეფიანთა ირანისა და იმპერიალისტური მართლმადიდებლური რუსეთიდან. იგი იქცა ადგილად არა მარტო წმინდა ომებისთვის, არამედ ასევე ექსტრემალურად რთული დიპლომატიისთვისაც, რათა გამოეყენებინათ მეზობელთან ბრძოლაში.

1502 წელს აზერბაიჯანელმა ყაენმა ისმაილმა Khan Ismail, შემდგომში ირანის საფიანთა იმპერიის დამაარსებელმა (მამით ქურთი, წმინდა სუფის შთამომავალი და დედით პონტოელი ბერძენი, ტრაპიზონის იმპერატორის იოან IV-ის ქალიშვილის ვაჟი) სთხოვა ქართველებს დახმარებოდნენ ირანელ ყიზილბაშებთან Qizilbash ბრძოლაში და გადამწყვეტ ბრძოლაში დაიღუპა 9000 ქართველი და 7000 აზერბაიჯანელი. თურქმენები დამარცხდნენ და ისმაილი გახდა ირანის უზარმაზარი ტერიტორიის მმართველი.

შესაბამისად, საქართველოს მეფეების, ქართლისა და კახეთის და სამცხის მთავართა ურთიერთობა ირანთან მომდევნი 3 საუკუნის განმავლობაში (1500-1800 წწ.) შემდეგნაირად წარიმართა: ყიზილბაშები არ ერეოდნენ შიდა საქმეებში, როდესაც ქართველები უხდიდნენ გარკვეულ ხარკს; ომის შემთხვევაში, ისინი გამოიყვანდნენ თავიანთ ჯარს.

ამავე დროს, დაიწყეს ტყვედ ჩავარდნილი ქართველების სეფევიდთა ირანში გადაყვანა. ბევრი თავის ნებით გადადიოდა ირანში. თუ ისლამის რელიგიაზე მოექცეოდნენ, ქართველ თავადაზნაურობას ჰქონდათ უფლება ღვინის დალევისა. ქალებისა და ბავშვების უდიდესი ნაწილი შაჰის ჰარემში მოხვდა. ასე რომ, ელიტამ დაიწყო ირანის შიდა და სამხედრო საქმეების კონტროლი.

შაჰ ისმაილი დიდი რაოდენობით ალკოჰოლის მიღების გამო 1524 წელს გარდაიცვალა. ირანის ტახტი მემკვიდრეობით გადაეცა 10 წლის შაჰ თამაზს (თაჰმასფს) I-ს Tahmasp (1524-76 წწ.). მის 9 მეუღლეს შორის, 4 ქართველი იყო. სწორედ მან დაიწყო სპარსული ხალიჩის წარმოება ქვეყნის მასშტაბით.

ამავდროულად, მუდმივი ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის გრძელდებიდა. **დავით X**-მ (1505-1525 წ.) უარი თქვა ისლამის მიღებაზე. იგი არ ეახლა შაჰ ისმაილს და დაიწყო ომისთვის მზადება. 1521 წელს შაჰმა გაგზავნა დიდძალი არმია ქართლის დასაპყრობად, აიღო საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ირანელებმა ალყა შემოარტყეს ციხესიმაგრეს, რომელსაც ნარიყალას ეძახდნენ, რომლის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილია. შიდა ბრძოლაში გამარჯვებულმა მეფე დავითმა იმავე წელს დაიბრუნა თბილისი და თავი დააღწია შაჰის ტყვეობას.

ლუარსაბ I (1527-1556 წწ.), ქართლის მეფე, საქართველოს ისტორიაში ცნობილია, როგორც დაუღალავი მებრძოლი თავისუფლებისათვის. მე-17 საუკუნის ირანელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში წერს, რომ ლუარსაბი გამორჩეული იყო ქართველ მეფეებს შორის მამაცობითა და გაბედულობით. 1555 წელს, მისი მეფობის დროს, ამასიაში დადო ზავი Peace of Amasia. საქართველო გაიყო ირანსა და თურქეთს შორის. მაგრამ თბილისი კვლავ დაიკავეს ირანელებმა მომდევნო 2 საუკუნე.

როდესაც ლუარსაბი გმირულად დაეცა ირანთან ბრძოლის დროს, ქართლის სამეფო გვირგვინი მისმა ვაჟმა **სიმონ I**-მა (1556-1600 წწ.) დაიდგა სვეტიცხოველში, 19 წლის ასაკში. იგი დიდი სიმამაცით აგრძელებდა თავისუფლებისთვის

ბრძოლას. მეფემ, კახეთის ჯართან ერთად, ალყა შემოარტყა თბილისს 1561 წელს და გარკვეული მიზეზების გამო დამარცხდა. 9 ძმა ამილახვარი იბრძოდა ამ ომში.

სიმონის უფროსი ძმა (დავით XI-დაუდ ხანი David XI-Daud Khan) წავიდა ირანში და გადავიდა ისლამის რელიგიაზე. ირანის შაჰმა იგი იშვილა და დაბრუნდა თბილისში, როგორც ქართლის მეფე 1562-78 წწ. საქართველო გაიყო ორ ბანაკად, მებრძოლებად და მომხრეებად. მეტოქე ძმები ერთმანეთს ბრძოლის ველზე რამდენჯერმე შეხვდნენ. ბოლოს და ბოლოს სპარსელები გაბატონდნენ, 1569 წელს სიმონი შეიპყრეს და ბორკილებით გაგზავნეს ალამუტის ციხესიმაგრეში. მან უარი თქვა ისლამის მიღებაზე და ამავე ციხესიმაგრეში იყო დაპატიმრებული.

ამავე დროს, 1547 წელს ივანე IV მრისხანემ მიიღო მეფის – კეისარის ტიტული Tsar („Caesar“) და მიიღო ბიზანტიის ორთავიანი არწივი, როგორც გერბი, რომელზეც მემკვიდრეობა მოითხოვა. 1567 წელს მან გაგზავნა 500 რუსი ჯარისკაცი საქართველოში. ყირიმის ყაენი და თურქეთის ვასალი აღშფოთებულნი იყვნენ რუსეთის მოქმედებებით და 1571 წელს მოსკოვი აიღეს. ყირიმელ თათრებთან ერთად უკრაინელებმა ატამან დაშკევითჩის მეთაურობით, მონაწილეობა მიიღეს მოსკოვზე ლაშქრობაში.

კათოლიკური ძალების მიერ ოსმალების დამარცხება მალტაზე 1565 წელს, ვენასთან 1529 წელს და ლეპონტოს ბრძოლაში 1571, რომელსაც მეთაურობდა ესპანელი ფილიპე II, იყო საშინელი დარტყმა ოსმალების უძლეველობის მითზე. თუმცა ოსმალებმა სწრაფად განაახლეს გემები, გამოცდილი საზღვაო ოფიცრებისა და მეზღვაურების შევსება ვეღარ მოხერხდა. პორტუგალიელების მიერ კეთილი იმედის კონცხისა აღმოჩენა 1488 წელს გამოწვეული იყო ევროპის ძალისხმევით, რათა აელაგმათ ოსმალთა მონოპოლია სავაჭრო გზებზე, როგორიც იყო აბრეშუმის გზა. საბოლოოდ, ესპანური ვერცხლის უზარმაზარმა შემოდინებამ ამერიკიდან, გამოიწვია ოსმალური ვალუტის მკვეთრი გაუფასურება და იმპერიის დასუსტება.

1578-1590 წწ-ში, თურქეთის იმპერია ძირითადად საქართველოში აწარმოებდა ოსმალ-სეფევიდების ომებს. ყველა მნიშვნელოვან ბრძოლაში თურქეთის ჯარებს ხელმძღვანელობდა ლალა მუსტაფა ფაშა, ალბანელი წარმოშობის დიდი ვეზირი. ლალა მუსტაფა ფაშას არმიამ გადაწყვიტა საქართველოს აოხრება და გადაწვა თბილისის ციხესიმაგრე. დაუდ ხანმა საქართველოს მმართველობა გადასცა თურქებს და სტამბოლში გაიქცა, სადაც იგი კარგად მიიღეს და სწორედ იქ შეადგინა ორი სამედიცინო წიგნი და ქართულად გადათარგმნა.

თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად ირანელებმა დაიწყეს ჯარის მეთაურის ძებნა. მეფე სიმონი პატიმრობაში იყო და ალკოჰოლზე დამოკიდებული გახდა. ქართველმა დიდგვაროვანმა შალიკაშვილმა, ირანელი შაჰ ჰეიდარ ალის დედამ, მას გაუგზავნა ხანჯალი მოთხოვნით, აერჩია ან

ბრძოლა ან სიკვდილი. მეფე სიმონი, 5000 კაციან ირანელ ჯართან ერთად, შეიჭრა საქართველოში 1578 წელს იმხანად ყველაზე ძლიერი იმპერიის დასამარცხებლად. თურქეთის სულთანმა 20 000 ჯარისკაცი გაგზავნა დამასკოდან თბილისში. სიმონი კი დაუხვდა ციხესიმაგრისკენ ლაშქრობის დროს და თითქმის ყველა მათგანი ამოხოცა. თურქი ჯარის სარდალიც ქართველი მუსტაფა (მანუჩარი) იყო. მან თავის 50 მეგობართან ერთად გადაწყვიტა საქართველოსკენ ხმლით გაეკაფა გზა. ის კვლავ ქრისტიანად მოექცა და იბრძოდა თურქების წინააღმდეგ.

1582 წელს სიმონმა გაათავისუფლა თბილისი. თურქებმა კიდევ ერთხელ გაგზავნეს საქართველოში ჯარი. 30 000 თურქი ჯარისკაცი განლაგებული იყო თბილისთან ახლოს, როდესაც ქართული მისია მივიდა დასაზავებლად. თურქები კმაყოფილნი და გახარებულები იყვნენ. ეს სიმონის დასაზვერი მისია იყო. ღამით, ცხენოსანთა 4000 ჯართან ერთად, იგი შეიჭრა ბანაკის შტაბში და სარდალი თურქები ამოხოცა.

მეფე სიმონს რომის პაპი კლემენტი VIII დიდ პატივს სცემდა, ისევე როგორც რომის იმპერიის მეფე რუდოლფ II და ესპანეთის მეფე ფილიპე II. ის პირველი იყო, რომელმაც თურქების დამარცხება შესძლო (სობესკის მიერ ვენის ალყის გარღვევამდე). სიმონ I-ს ინტენსიური მოლაპარაკებები ჰქონდა ევროპელ მეფეებთან, რათა შეექმნათ ახალი ანტიმუსლიმური გაერთიანება, იმ მიზნით, რომ დაეხსნათ იერუსალიმი, მაგრამ კათოლიკე ევროპელებმა უფრო პრაქტიკული გზა აირჩიეს, რომ გამხდარიყვნენ ირანის მოკავშირე და გაელაშქრათ თურქების წინააღმდეგ. ამ დროს თურქებმა შექმნეს სამხედრო ალიანსი საფრანგეთთან, ინგლისის პროტესტანტ სამეფოსთან, გერმანიის სამეფოებთან ერთად კათოლიკე ჰაბსბურგების ესპანეთის, იტალიის, ჰაბსბურგთა ავსტრიის წინააღმდეგ. მაგრამ ნამდვილი სიმდიდრე (ასევე ამერიკის ოქრო) და ძალაუფლება კათოლიკეების ხელში იყო. პროტესტანტები საფრთხეში იყვნენ. 1598 წელს სიმონმა ქართლში და კათოლიკეებმა უნგრეთში წამოიწყეს თურქების საწინააღმდეგო კამპანია ერთდროულად, მაგრამ სამწუხაროდ, ორივე გალაშქრება წარუმატებელი აღმოჩნდა.

1599 წელს 63 წლის მეფე სიმონი ტყვედ ჩავარდა, როდესაც ნახიდურთან ბრძოლის დროს მხედარი შეეჯახა და ცხენთან ერთად გადავარდა კლდიდან. ამას 3 დღის განმავლობაში ზეიმობდა თურქეთის იმპერია. იგი ჯაჭვებშეკრული გაამგზავრეს კონსტანტინოპოლში, სადაც 2 წელიწადში, 1600 წელს ციხეში გარდაიცვალა. ქართველებმა გამოისყიდეს მისი ცხედარი და გმირი მეფე დაკრძალულ იქნა მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

საქართველო მუდმივად საფრთხის ქვეშ იყო, მაგრამ განსაკუთრებით ამ პერიოდში, მე-16 საუკუნეში, როდესაც ფართოდ გავრცელდა მუშკეტები და არტილერია, რაც ნიშნავდა საქართველოს სამხედრო უპირატესობის უდავო დასასრულს. ქართველ ცხენოსანთა არმია ისტორიის მანძილზე დაუმარცხებელი იყო ხმლით ბრძოლაში.

საქართველოს გმირულმა ბრძოლამ თურქების წინააღმდეგ განაპირობა ირანში გამაჰმადინებული ქართველების აღმავლობა. ისინი თანდათან კონსოლიდირებას უკეთებდნენ პოზიციებს და სეფევიდების სამეფოში თანდათანობით დიდი გავლენა მოიპოვეს. ბევრ კანდიდატსა თუ შაჰს ჰყავდა ქართველი დედა და ცოლი (იხილეთ ასევე თავი მამლუქებზე).

1587 წელს ირანის სამეფო გვირგვინი გადაეცა 16 წლის შაჰ აბას I-ს, რომელიც იყო ოთარ შალიკაშვილის ქალიშვილის შვილიშვილი. ქართულ წყაროებზე დაყრნობით, იგი ტახტზე აიყვანა მანვე და ქართული ენა მისთვის მშობლიური იყო. მეჰერაფროზე მირზა ჰაბიბის (ქართული საგა: კავკასიიდან ინდოეთამდე, ოქსფორდი, 2005 წელი) მიხედვით, „არაოფიციალური ენა, რომელითაც სპარსეთის სამეფო კარზე საუბრობდნენ, ქართული იყო“. მას 4 ქართველი ცოლი ჰყავდა, ელენეს ჩათვლით, რომელიც კახეთის მეფის, თეიმურაზ I-ის და იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი დასმული იყო ყიზილბაშების მხარდაჭერით, აბასი მარიონეტი არ იყო. მან შეამცირა ყიზილბაშ-თურქმენების გავლენა და მომავალში გაზარდა ქართველების რიცხვი სპარსეთში და ჩამოაყალიბა ქართულ-კავკასიური „ახალი არისტოკრატია“. მის შეტაკებებს უზბეკების წინააღმდეგ, ხორასანში, ხელმძღვანელობდა მანუჩარი, სამცხის ათაბაგი, ქართლის მეფის, სიმონ I-ის სიძე.

ქართველთა გავლენის პერიოდი დაიწყო სამეფო ჰარამხანაში, სადაც კავკასიელი ქალები, უმეტესად ქართული წარმოშობის, ძალზედ ცნობილები გახდნენ. ჯონ ფრაიერის მიხედვით, ირანელი დედა დედოფალი მე-17 საუკუნეში ყოველთვის ქართველი იყო. ქართველ ქალს მნიშვნელოვანი როლი ეკავა სამეფოს ქორწინებების პოლიტიკაში. დიდი ინგლისელი მეცნიერი ჩარლზ დარვინი წერდა, რომ არ არის არც ერთი არისტოკრატი ოჯახი სპარსეთში, რომელსაც არ ჰქონდეს ქართული ან ჩერქეზული წარმოშობა.

ქართველებმა მიაღწიეს გარკვეულ პოზიციებს სპარსეთის სამეფო კარზე, განსაკუთრებით სამხედრო საქმეში. მეფე სიმონ I 1587-1600 წწ. დროს ქართველები პირველად შევიდნენ ირანელთა ჯარში, ხოლო შემდეგ უნდილაძის ქართულ-ფეოდალურ სახლს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სეფევიდთა ირანის პოლიტიკასა და სამხედრო არენაზე.

ალავერდ ხან უნდილაძე ირანის არმიის მეთაური იყო 15 წელზე მეტი (1595-1613 წწ.) და ეს პოზიცია ქართველებს ეკავათ მთელი საუკუნის განმავლობაში. შაჰ აბას I-ის მეფობის დროს, ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ჯარისკაცების უმეტესობა იყვნენ ქართველები (დელა ვალე, 1663 წ. I, გვ. 760; კაემფერი. გვ. 273). 30 000 ქართველი მსახურობდა შაჰ აბასის არმიაში (დელა ვალე, 1663, გვ. 8). მან 1590 წ. შექმნა გულამი, მონების კორპორაცია, რომელიც შედგებოდა ჩერქეზების, ქართველებისა და სომხებისაგან. შაჰ აბას I-ის დაცვა, რომელთაც ერქვათ „ქული ჯარი“ (Quli troops), ძირითადად ქართველებით იყო დაკომპლექტებული.

ქართველების ძალის გამოყენებით შაჰის ბრძოლა ქართველების წინააღმდეგ დამანგრეველი იყო. 1613-25 წწ., მან აყარა მოსახლეობა და დაასახლა ისინი ირანის შიდა რეგიონებში იმ მიზნით, რომ „აემაღლებინა ირანელების მოსახლეობის დონე“, ამგვარად შეიქმნა „ფერეიდანის“ დასახლება. დღემდე მათ ახსოვთ მშობლიური ენა, სიმღერები და ცდილობენ, აღადგინონ ისტორიული ურთიერთობა თავიანთ ძველ სამშობლოსთან.

1603 წელს ირანმა გამოაცხადა თურქების წინააღმდეგ ბრძოლა და მიიწვია ქართველი მეფეები, რათა მონაწილეობა მიეღოთ ერევანზე ლაშქრობაში. ქართლის და კახეთის მეფეებმა ითავეს შეტევა და შევიდნენ კიდეც ქალაქში. ორივე მეფემ ჯილდო მიიღო. მაგრამ სამშვიდობო შეთანხმება თურქებთან ვერ დადეს, რადგან თურქეთის დელეგაციის ხელმძღვანელი იყო ცნობილი ქართველი ქალი დიპლომატი, ქართველი მეფის ქალიშვილი. ის დაჟინებით ითხოვდა, რომ საქართველოზე მმართველობა ჰქონოდა თურქებს, ამბობდა, რომ ამ შემთხვევაში „თურქ-ქართველები“ უფრო უკეთ დაიცავდნენ საქართველოს მოსახლეობას. არავის უნდოდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქართველოს დაკარგვა.

მოულოდნელად, 1609 წელს 60 000 ყირიმელ თათართა არმია, რომელმაც გადაწვა მოსკოვი 1571 წელს, საქართველოში ჩრდილოეთიდან შემოიჭრა. 1609 წელს ტაშისკარის ბრძოლაში გიორგი სააკაძემ, თბილისის 40 წლის მოურავმა, ყირიმელი თათრებისა და თურქების კოალიცია დაამარცხა. მადლიერების ნიშნად, ირანელმა შაჰმა გაიყვანა თავისი გარნიზონი თბილისიდან და დაუბრუნა ქალაქი ქართველ **მეფეს თეიმურაზ** I-ს (1589-1663 წ.), ბაგრატიონთა დინასტიიდან. მაგრამ 1612 წელს ირანსა და თურქეთის შორის ხელშეკრულებაზე ხელი იქნა მოწერილი და საქართველო კიდევ ერთხელ გაიყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად ირანელების და თურქების მეშვეობით. მოულოდნელად ქართველებმა აჯანყება დაიწყეს და შაჰი გაუსწორდა მათ.

1614-1617 წწ-ში კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის აჯანყების საპასუხოდ, შაჰ აბასმა, ყიზილბაშ-თურქმენებთან ერთად, შეტევა განახორციელა კახეთზე 4-ჯერ, ააოხრა ის იმ განზრახვით, რომ დაემთავრებინა „გურჯისტანის პრობლემა“ (სპარსულად ქართველს გურჯს ეძახიან). შაჰმა მოითხოვა მეფის დედა და შვილები და მძევლებად აიყვანა ისინი. მეფემ უარი თქვა პირადად გამოჩენილიყო და დასავლეთ საქართველოში გაიქცა, სადაც თურქების კონტროლი იყო. შაჰმა გაანადგურა კახეთი, 80 000 კვლავ გადაასახლა და 500 000 კი დახოცა. როდესაც რუსეთის მეფემ მიხეილ ფიოდოროვიჩმა გაგზავნა დესპანი კახეთის მეფესთან, მან იგი ტყეში მიიღო.

1612 წელს ქართველ მეფე თეიმურაზთან დავის შემდგომ გიორგი სააკაძე ირანში გაემგზავრა თავშესაფარის სათხოვნელად და ისლამი მიიღო. მან ირანშიც გაითქვა სახელი როგორც საუკეთესო სარდალმა. მისი მეთაურობით ირანელთა ჯარმა წარმატებით დაიპყრო ერაყი (მან აიღო ბაღდადი), ავღანეთი (ქართველ მხედრებთან ერთად, რომლებიც პირველები შევიდნენ ქანდაღარში 1623 წელს) და ინდოეთიც კი. მისი ავტორიტეტით, ალავერდ ხან უნდილაძის შვილიშვილი, ხოსრო-მირზა (როსტომ ხანი), დანიშნული იყო ისპაჰანის (ირანის დედაქალაქი) მმართველად 1618 წელს. 1625 წელს სააკაძე გაგზავნილ იქნა აეჯანყებული ქართველების წინააღმდეგ 30 000 ირანის სადამსჯელო ექსპედიციასთან ერთად. მისი ვაჟი პაატა შაჰ აბასმა მძევლად დაიტოვა. მაგრამ მან დაამყარა საიდუმლო კავშირი საქართველოს მეფე თეიმურაზ I-თან, მის „მტერთან“, ყიზილბაშ ირანელების წინააღმდეგ. 1625 წლის 25 მარტს ქართველთა პატარა რაზმმა შეუტია ირანელებს და ამ დროს გიორგი სააკაძემ, თავის 4 თანამებრძოლთან ერთად დაიწყო ირანის მთავარ ბანაკში მეთაურების დახოცვა. არაორგანიზებული ირანული არმია დამარცხდა. 30 000 არმიიდან, 27 000 მოკლული იყო. ამ გამარჯვებისთვის გიორგი სააკაძემ თავისი ვაჟი პაატა მსხვერპლად შესწირა. მან სრულად გაანადგურა ჩასახლებული მომთაბარე თურქმენები და კვლავ ქართველები ჩაასახლა.

რამდენიმე თვეში, 40 000-იანი ირანელი ჯარი იქნა გაგზავნილი აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლი და კახეთი) დასასჯელად. დასავლეთ საქართველო თურქების მმართველობის ქვეშ იყო. არმიას ხელმძღვანელობდა საქართველოს განდგომილი ხოსრო-მირზა (როსტომ ხანი), სააკაძის ფორმალური პროტეჟე და ქართველი პოეტის სულხან საბა ორბელიანის დიდი ბაბუა. მეფე თეიმურაზ ბაგრატიონი, გიორგი სააკაძე, ცნობილი დიდგვაროვნები: ერისთავი, ბარათაშვილი, ბაგრატიონ-მუხრანბატონი, ციციშვილი, ჩოლოყაშვილი, ჯანდიერი, ხერხეულიძე, მაჩაბელი და ჯაყელი გაერთიანდნენ საქართველოს არმიაში. მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსებიც მოხალისეებად ჩაეწერნენ, რათა ებრძოლათ ამ მნიშვნელოვან მომენტში. ირანელებს 12 000 მუშკეტი და არტილერია ჰქონდათ და ძალიან ცხელი ამინდებიც მათთვის ხელსაყრელი იყო.

1625 წლის 1 ივლისს ბრძოლა დაიწყო მარაბდაში. მეფე თეიმურაზ I, სააკაძე, არისტოკრატები და ეპისკოპოსები, ყველა ხანჯლებითა და ისრებით

იბრძოდნენ. 9 000 ქართველი და 14 000 ყიზილბაში დაიღუპა ამ დღეს. 9 ძმა ხერხეულიძე, 9 მაჩაბელი და 7 ჩოლოყაშვილი იქნა მოკლული ამ ბრძოლაში. ირანელებმა მოიგეს, მაგრამ ისეთი დანაკარგით, რომ ისინი შეეშვნენ თავიანთ მიზანს, გაეჟლიტათ ქართველები და მოლაპარაკების წარმოება ამჯობინეს. ირანელებმა აიღეს თბილისი, სააკაძე კი წარმატებით განაგრძობდა პარტიზანულ ომს. ამ პატარ-პატარა ბრძოლებში ირანელებმა დაკარგეს 60 000 ჯარისკაცი (შაჰ აბას I-ის პროფესიონალი მებრძოლების ნახევარი). ყველა მმართველი თუ რაზმი, რომელიც მონაწილეობას იღებდა მარაბდის ბრძოლაში, ბოლოს გაანადგურეს ქართველმა პარტიზანებმა. სააკაძე აგრძელებდა ბრძოლას მოღალატე ქართველებთან და საბოლოოდ ქვეყანა განთავისუფლდა. მან დაიწყო მოლაპარაკებები თურქებთან ირანის წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ მარაბდის ბრძოლიდან 2 დღეში სააკაძის ვაჟი იორამი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა თურქ სულთანს, რათა შეეთავაზებინა საერთო ლაშქრობა ირანის დედაქალაქ ისპაჰანისკენ. შესაძლოა ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ სულთანი დათანხმდა, რადგან კარგად იცოდა ქართველების პოტენციალი, და მართლაც, რამდენიმე თვეში საქართველო მთლიანად განთავისუფლდა.

საუკუნეების მანძლზე ქართველები იგებდნენ ბრძოლებს აღმოსავლეთიდან შემოსეულ ტომებთან, მაგრამ აგებდნენ ომებს. კიდევ ერთხელ დაიწყო შიდაბრძოლები, სააკაძე დაუპირისპირდა კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს და დამარცხდა ბაზალეთთან ბრძოლაში 1626 წელს. მან თურქეთს შეაფარა თავი, სადაც მიიღო სუნიტების ისლამი და სულთანს მხარდაჭერა სთხოვა, მაგრამ სულთანმა ამჯერად უარი უთხრა და დაინიშნა როგორც მოურავ ფაშა, ანატოლიის კონიას ფაშა. მან დააარსა თარხან მოურავის საგვარეულო. მის სიკვდილამდე 1629 წელს, მიიღო მონაწილეობა თურქულ არმიასთან ერთად ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ბევრი ოსმალი გააღიზიანა, განსაკუთრებით კი მისი ქრისტიანული ღვინის სმის ჩვევამ, და ამავე წელს მასზე ეჭვი მიიტანეს და თავი მოჰკვეთეს ალეპოში (სირია) 40 თანამებრძოლთან ერთად. ეს ის ადამიანი იყო, რომელმაც 3-ჯერ შეიცვალა რელიგია, საქართველოში გამოჩენილი ადამიანი იყო, ასევე თურქეთსა და ირანში. ის კარგად იყო ცნობილი ევროპასა და აზიის ქვეყნებშიც.

ირანში დაიწყო ანტიყიზილბაშური მოძრაობა და შაჰ აბასი ცდილობდა ბზარი გაეჩინა ყიზილბაშების (თურქმენ-მონღოლ-აზიელი) ბატონობისთვის და ჩაენაცვლებინა ქართველ-კავკასიელებით. ბევრი ირანის პროვინცია იყო ქართველების ადმინისტრაციული კონტროლის ქვეშ. პირველი ქართველი, რომელმაც დაიკავა მთავარი პროვინციის გამგებლის თანამდებობა იყო ალავერდ ხან უნდილაძე, რომელიც 1595-96 წწ-ში მართავდა ფარსს. მის ვაჟს, იმამ-ყული ხანს მემკვიდრეობით გადასცა ფარსის მმართველობა და ამ პროვინციას მართავდა, სანამ შაჰ სეფი მას და მის ოჯახს სიკვდილით დასჯიდა 1633 წელს. იმამ-ყულის ძმა, დაუდ ბეგი, მართავდა განჯას და ყარაბაღს 1625-30 წლებში. თუ უნდილაძის ოჯახი ძალაუფლების მწვერვალს აღწევდა, და შემდეგ იტანჯებოდა შაჰის სასტიკი შემოტევით, სხვა ქართველი ოჯახები,

ისეთი როგორიც ბაგრატიონებია, უფრო დიდ წარმატებას აღწევდნენ და პირიქით.

საქართველოს უფლება ჰქონდა სათავეში ქართველი ჰყოლოდა, რომელიც ისლამს მიიღებდა, და სანაცვლოდ შეეძლო ემართა როგორც *wal* და მის ვაჟს უნდა ემასახურა ისპაჰანში, როგორც ტარუღა *daruga*. პირველი ქართველი, რომელმაც დაიკავა დედაქალაქის ტარუღას პოზიცია 1618-58 წლებში იყო ხოსრო მირზა (როსტომ ხანი), დაუდ ხანის ვაჟი, დავით XI-ის შვილიშვილი, რომელიც დანიშნული იყო გიორგი სააკაძის ავტორიტეტით. ქართველები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ეს პოზიცია სეფევიდთა მმართველობის ბოლო დღეებამდე.

შაჰ აბასის სიკვდილის შემდეგ, 1629 წელს პროქართული და ანტიყიზილბაშური ძალა გაძლიერდა. ცნობილია, რომ შაჰ აბასის სიკვდილის დროს 92 მთავარ თანამდებობიდან 22 ქართველებს ეჭირათ, და 37 დიდი ემირიდან 23 ქართველი იყო. ეს, რა თქმა უნდა, უფრო მეტი იყო, ვიდრე ქართველები სტალინ-ბერიას ადმინისტრაციაში, მაგრამ ორივე შემთხვევაში საბოლოო შედეგი იგივე იყო – პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში ყველაფერი წაიშალა და დავიწყებას მიეცა.

სიკვდილამდე შაჰ აბასმა მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი შვილიშვილი სეფი, აბასის უმცროსი ვაჟის შვილი ქართველი დედისაგან, იმის გამო, რომ უფროსი ვაჟი აბანოში მოკლეს, მისივე ბრძანებით, რადგან 1614 წელს, საქართველოში ყოფნის დროს, შაჰთან მივიდა ხმები, თითქოს შეთქმულებას აწყობდა მის წინააღმდეგ. 1629 წელს, როდესაც შაჰ-აბასი კვდებოდა, უბრძანა **როსტომ ხანს** Rostom Khan (Known as Iran's Georgian kingmaker) დაეცვა მისი შვილიშვილი სეფი, მომავალი შაჰი, მრავალრიცხოვანი მტრისგან. შაჰ სეფის ჰყავდა ქართველი მეუღლე თინათინი, კახეთის მეფის, თეიმურაზ I-ის ქალიშვილი.

ქართველების ორი ჯგუფი იბრძოდა ირანში სამეფო კარზე გავლენისათვის: უნდილაძის ოჯახი და ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტო, რომელთაც მხარს უჭერდა სააკაძე.

მიუხედავად იმისა, რომ აბასის მიერ უკვე დანიშნული იყო სეფი შაჰი, ძალაუფლების მნიშვნელოვანი რგოლი ეკავა როსტომ ხან ბაგრატიონს (ისპაჰანის თავს), გიორგი სააკაძის პროტეჟეს. როდესაც ხოსრო მირზამ გაიგო შაჰ აბასის სიკვდილის შესახებ, სწრაფად დაკეტა დედაქალაქის კარიბჭე, მობილიზება გაუწია ქართველებისგან შემდგარ ერთგულ ძალებს, გააძლიერა სახაზინოსა და შაჰის სასახლის დაცვა და გამოაცხადა შაჰ სეფი I მმართველად (1629-1642 წწ.). სწორედ ამიტომ ხოსრო მირზა დოკუმენტებსა თუ საჯაროდ მიჩნეული იყო შაჰ სეფის მამად.

ყიზილბაშების მასობრივი ხოცვა-ჟლეტვის შემდგომ სეფი შაჰმა განამტკიცა ქართველების პოზიციები, ბიუროკრატია და სამხედრო ძალები. შაჰის პირველი ხაზინადარი იყო ქართველი წარმოშობის. ისპაჰანის *daruga-ს* პოზიცია ქართველებს ეჭირათ მთელი საუკუნის მანძილზე, ხოლო მდივანბეგის

dvanbeg (სასამართლოს ხელმძღვანელი) და სპასალარის *sepahsalar* (სამხედრო მმართველი) პოზიციები მონოპოლიზებული იყო ქართველების მიერ.

სპარსეთის არმიის მმართველობის შემდგომ, რომელმაც დაამარცხა ოსმალების ძალები, აიღეს ბაღდადი 1630 წელს (8 წელიწადში ისევ დაკარგეს), 1633 წელს როსტომ ხანი გაგზავნილ იქნა საქართველოს მმართველად ქართლში 1658 წელს 67 წლის ასაკში. ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოს არ ჰყოლია ქრისტიანი მეფე, რადგან ბაგრატიონებმა ისლამი მიიღეს. ირანის ხელისუფლება თვალს ადევნებდა საქართველოს სამეფო ტახტს, რადგან ინიშნებოდნენ საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები, იმის გამო, რომ მათ ისლამი მიეღოთ. ეს გაგრძელდა თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე, 1633-1744 წწ., იყო მშვიდობა, მაგრამ სასტიკად ამორალური, რამაც დააზიანა საქართველოს მენტალიტეტი მეტად, ვიდრე სამხედრო თვალსაზრისით. ცხოვრების ყველა სფეროში აზიური სტილი შემოვიდა: მექრთამეობა, მავნე ჩვევები, ჰომოსექსუალები, მონური მორჩილება, აზიური მუსიკა და სხვ. არ იყო სპეციალური მოთხოვნა ისლამის მისაღებად, ამასთანავე როსტომის მეუღლე ქრისტიანი იყო და უამრავი რესურსი დახარჯა ქრისტიანული მონასტრების აღსადგენად. ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა. თუმცა, თუკი ისლამს არ მიიღებდი, ვერასდროს მიაღწევდი რამეს. ფულისა და კარიერის გამო ქართველებმა სწრაფად დაივიწყეს ის, რაც ომით ვერც ერთმა მტერმა ვერ მიაღწია – უცხო, აზიური ზნე-ჩვეულებების გაბატონება და გადაგვარება. ქართველები ქრისტიანობას ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ, მაგრამ ბიბლია არასდროს სჭერიათ ხელში, და ქრისტიანი მეფე თეიმურაზი მთაში იყო გახიზნული. მომრავლებული იყო სომეხი ვაჭრები იმ მიზნით, რომ არ მიეცათ ქართველებისთვის გამდიდრების საშუალება. ტყვეებით ვაჭრობა ძალზედ პოპულარული გახდა არა მარტო მტრებთან, არამედ ქართველებშიც. ისინი იტაცებდნენ მეზობლებს, ბავშვებს, ახალგაზრდა ქალებს და ყიდდნენ ირანის, თურქეთის და ეგვიპტის ბაზრებში.

მე-17 საუკუნის შუახანებში ირანელებმა ისევ დაიწყეს აზიური ტომების – ელების დასახლება კახეთში, მალე რეგიონში საყოველთაო უკმაყოფილება დაიწყო. 1659 წელს კახეთში დიდი აჯანყება დაიწყო ირანის წინააღმდეგ, როდესაც მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელი გააუპატიურეს ყიზილბაშებმა. სპარსეთის გარნიზონების დამარცხების შემდეგ ქართველებმა შეტევა განახორციელეს თურქმენებზე და ერთ ღამეში კახეთში ათასობით მათგანი იქნა განადგურებული. რა თქმა უნდა, ეს საფრთხეს უქმნიდა ირანთან ურთიერთობას. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და რათა საფრთხე თავიდან აეცილებინათ, აჯანყებულთა ოთხი მეთაური მივიდა შაჰთან და მოწამეობრივად აღესრულნენ.

საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები ირანთან დასაბამიდან მტკიცე იყო. სავაჭრო გზები გადიოდა საქრთველოს ტერიტორიაზე, რომლითაც აბრეშუმი, ხარისხიანი ღვინო, ხილი, კახური ნიგოზი (ყოველწლიური რენტა 4000 აქლემის წონის ნიგოზი გადიოდა ექსპორტზე კახეთიდან), სხვადასხვა ბოსტნეული, ბეწვეული და ენდრო ექსპორტზე გაჰქონდათ ირანსა და

თურქეთში. კახეთიდან „გურჯის“ სახელით ცნობილი ცხენები (გურჯი არის საქართველოს სახელი თურქულად და სპარსულად) ექსპორტზე გაჰქონდათ ირანში. ფართო მოხმარების საგნები შემოდიოდა ირანიდან საქართველოში, ძირითადად ტანსაცმელი. ეს პარადოქსი იყო, სანამ ქართული პოლიტიკა იბრძოდა ირანისა და სხვა მუსლიმი სახელმწიფოების წინააღმდეგ, პოეზია და ხელოვნება სულიერად აერთიანებდა ქართველებსა და სპარსელებს, რაც სიყვარულს თესავდა სიძულვილის ნაცვლად. როსტომი დაკრძალეს ყუმში, თავისი სიუზერენი აბას I-ის გვერდით.

მომავალი მეფე **ვახტანგ V** შვილად ჰყავდა აყვანილი უშვილო როსტომ ხანს და მემკვიდრეობით გადაეცა ქართლის გვირგვინი (1658-75 წწ.), რადგან მუხრანის შტომ ისლამზე მოაქცია ბაგრატიონები. ახალი შაჰი სულეიმან I (1666-94 წწ.) დადებითად იყო განწყობილი ქართველების მიმართ, ცოლად შეირთო ვახტანგ V-ის ქალიშვილი და მისი ვაჟი გახდა ისპაჰანის ტარუღა *daruga* 1667 წელს. ჩარდინი წერდა, რომ შაჰ სულეიმანი ქართველებს მაღალ თანამდებობეზე ნიშნავდა. ფრაერი ამტკიცებდა, რომ 1677 წელს საქართველო 40 000 ჯარისკაცით დაეხმარა სპარსეთის არმიას.

გიორგი XI ან **გურგინ ხანი**, იყო გამაჰმადიანებული ქართველი მეფე (1676-1709 წწ.), რომელიც 1699 წელს გახდა ქერმანის მმართველი, იმ მიზეზის გამო, რომ შეეჩერებინა ბალუჩი ავღანის თავდასხმები ავღანეთიდან. მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ ავღანელი ტომების დამარცხება. 4 წლის შემდეგ შაჰმა იგი კანდაჰარის ბეგლერბეგად beglerbeg და ვალად *wal* დანიშნა. მისი ძმა, ლევანი დანიშნული იყო ისპაჰანის მდივანბეგად dvanbeg 1700 წელს ქერმანში ბალუჩიზე გამარჯვების შემდგომ. ის დაინიშნა კანდაჰარის პროვინციის მეფისნაცვლად და 1704 წელს სპარსეთის არმიის მმართველად. ლევანის ვაჟი, ქაიხოსრო ხანიც მდივანბეგად მსახურობდა 1709 წელს და დაჯილდოვდა ისპაჰანში ტარუღას პოზიციით, და ამავე წელს სეფასლარად და აგრეთვე საქართველოს ვალად. იგი მოკლულ იქნა ავღანეთში ექსპედიციის დროს გუილზ ავღანის (Pashtuns) წინააღმდეგ.

რუსეთი პოლონეთის, შვედეთის და თურქეთის წინააღმდეგ

გერმანელი რაინდი პოპელი Popel 1486 წელს თავის იმპერატორს ატყობინებდა, რომ მოსკოვის ახლოს ტყეში იყო, რის შემდეგაც მან აღმოაჩინა რუსეთი. ასე რომ, რუსეთიც და ამერიკაც ევროპელებმა ერთად აღმოაჩინეს. მალე, 1486 წელს ტვერი და 1478 წელს ნოვგოროდი, ჰანზის Hanseatic (გერმანია, ჰოლშტეინი Holstein) სავაჭრი პარტნიორი, დაიპყრო არსაიდან უეცრად გამოჩენილმა მოსკოვის პრინცმა ივანე III-მ და შესაბამისად, იგი პირველად იქცა ევროპის ინტერესების საგნად.

რუსები 1480 წელს გამოჩნდნენ, ოქროს ურდოს თვითგანადგურების შემდგომ, და დაიწყეს გარშემო ყველა მეზობელთან ბრძოლა – შვედებთან,

პოლონელებთან (ლიტველებთან) და ყირიმელებთან (თურქებთან). ის კვლავ ველურ ქვეყნად რჩებოდა, რომელსაც საზღვრები არ ჰქონდა დადგენილი. დამოუკიდებლობის დღე 4 ნოემბერი არის გარკვეული აღიარება, რომ მანამდე რუსეთი იყო პოლონელების მმართველობის ქვეშ და მხოლოდ მათი გაძევების შემდეგ, 1612 წელს რუსეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა. რომანოვების დინასტია გამეფდა 1613 წელს. პოლიტიკური ინტერესების პერიფერიაში ყოფნა, ყველა მათი დამარცხების შემდგომ, რუსეთს ყოველთვის აძლევდა საშუალებას ჰქონოდა 16-20 წელი, რათა გამოეზარდა ახალი თაობის ჯარისკაცი. რუსეთის ჯარის პირადი შემადგენლობის შეუზღუდავი შევსება გამორიცხავდა ნებისმიერი დამპყრობლის (მონღოლები, ფრანგები, გერმანელები და სხვ.) მათზე გამარჯვებას.

მთელი მე-17 საუკუნე გავიდა პოლონეთთან ბრძოლაში სლავთა შორის პირველობისთვის უკრაინასა და ბელორუსიაში. მოსკოვის ძალები დამარცხებულ იქნა რამდენჯერმე უკრაინელი კაზაკების, პოლონელების, თათრების ან მათი კოალიციის მიერ (მათ შორის კონოტოპაში). თითქმის შეუძლებელი იყო ანთროპოლოგიურად პოლონელი, მოსკოველი ან სხვა სლავის განსხვავება, მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლონელები კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანდნენ 1595 წელს იეზუიტების შუამავლობით, სლავები გაიყვნენ. უკრაინელი კაზაკები, რომელთაც ხმელნიცკი ხელმძღვანელობდა, ასევე გაიყო პრორუსულ და პროთურქულ ნაწილებად. რუსი ისტორიკოსის მიხედვით, ბოგდან ხმელნიცკის Bohdan Khmelnitsky მამა იყო სასმელი სახლის მფლობელი („ხმელ“ რუსულად „სმას“ ნიშნავს), რომელიც ებრაელების საქმიანობის სფერო იყო, მაგრამ ეს თეორია უარყვეს უკრაინელმა ისტორიკოსებმა.

1654 წელს რუსეთმა გადაწყვიტა ვიაზმაში ბრძოლა გაემართა პოლონეთთან. რუსეთის არმიას წინ უძღვოდა ქართული „Georgian, Грузинской“ ღვთისმშობლის ხატი ათონის მთიდან (როგორც ამას წერდა ძველი რუსი ავტორი კ. ვალიშევსკი თავის წიგნში „პირველი რომანოვები“ 1911 წელს. ის ვერც წარმოიდგენდა, რომ ამ ხატს ივერიის „Iberian, Иверской“ უწოდებდნენ მოგვიანებით, თანამედროვე პოლიტიკური რეალობის გამო). რამდენიმე დამარცხების შემდეგ უკვე პოლონეთმა შეწყვიტა არსებობა, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. მამაცი სობიესკი, რომელიც ცნობილი იყო ვენაში თურქებზე გამარჯვებით, 1683 წელს იძულებული იყო ხელი მოეწერა შეთანხმებაზე რუსეთთან ოფიციალურად შეეწყვიტა კიევზე გავლენა და სლავთა შორის პირველობისთვის ბრძოლა. ვინაიდან უკრაინაში ძმათა შორის ომს გაუკაცრიელება მოჰყვა და ვინაიდან რუსეთმა შესძლო და ჩაახშო სტენკა რაზინის აჯანყება, იგი (რუსეთი) გახდა სლავური სამყაროს ჰეგემონი. პეტრე პირველის დროიდან არსებობდა კიდევ ორი პრობლემა – შვედეთი და თურქეთი.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რუსი ელჩები გაემგზავრნენ ევროპის დედაქალაქებში, რადგან იზოლირებულად ამ ორ პრობლემას ვერ

მოერეოდნენ. ევროპული წყაროები აღნიშნავენ მათ მიერ გამოწვეულ საშინელ შიშს და სუნს, *რადგან რუსებს* ტრადიციულად სჩვეოდათ აბანოში ყოფნა და ტანსაცმლის გამოცვლა წელიწადში მხოლოდ ორჯერ. მათი ქცევები იმდენად ველური იყო, რომ ხალხი მალავდა თავიანთ ბავშვებს, გოგოებს და ასევე ბიჭებსაც. პირველი დიპლომატიური კავშირი აღმოსავლეთთან იყო მიამიტური წერილი სპარსელი შაჰ აბასის მიმართ, რომელსაც იწვევდნენ გადასულიყო ის და მისი ოჯახი მართლმადიდებელ ქრისტიანობაზე. 1648-50 წლებში ციმბირში ლაშქრობდნენ რუსი ბანდიტები, კაზაკები, სანამ არ შეხვდნენ ჩინელ მესაზღვრეებს.

ეს ის დრო იყო, როდესაც ევროპელი ჯარისკაცები პირველად იყვნენ მიწვეულნი მოსკოვში, რომ რუსეთის ჯარში ემსახურათ. 30-წლიანი ომი ევროპაში დასრულდა (1618-1648 წწ.) და ევროპელი ჯარისკაცების უმეტესობა მოსკოვში გადმოვიდა. დაქირავებული იყო 5 000 გერმანელი და შოტლანდიელი მეომარი. ცნობილმა შოტლანდიელმა ოფიცერმა გორდონმა, რომელმაც დატოვა თავისი თავგადასავლის დეტალური აღწერა, დიდი დახმარება გაუწია შექმნილიყო „ახალი“ რუსული არმია, „სტრელცების“ მაგივრად. იგი პირადად ხელმძღვანელობდა აჯანყებულ სტრელცებზე იერიშს 1698 წელს, როდესაც ათასობით იყო დახოცილი და სიკვდილით დასჯილი, რომელსაც თავად ესწრებოდა პეტრე დიდი. ცნობილი რუსი პოეტი ლერმონტოვი იყო ლეარმონტის Learmonth შთამომავალი, შოტლანდიელი დაქირავებული ოფიცრისა, რომელიც მსახურობდა პოლონეთის მეფესთან და შემდეგ ცართან. ინგლისის გავლენა რუსეთზე ძალზედ ძლიერი იყო, რადგან 1588 წელს ინგლისმა უძლეველი არმადა დაამარცხა და პროტესტანტული ინგლისი და ჰოლანდია გაბატონებულნი იყვნენ საზღვაო ხაზზე. მაგრამ ოლივერ კრომველის რევოლუციის და მეფე კარლ I-ის 1648 წელს სიკვდილით დასჯას დიდი რეაქცია მოჰყვა მოსკოვში და მათ შეწყვიტეს სავაჭრო კავშირი ინგლისთან. ამავე დროს, ჰოლანდია (განსაკუთრებით პეტრე დიდის დროს), პროტესტანტი, მაგრამ ინგლისთან საომარ მდგომარეობაში მყოფი, იქცა რუსი მოგზაურების უპირატეს ადგილად.

ასევე დამყარდა რომანოვების კავშირები ჰოლშტეინების დინასტიებთან. პირველი რომანოვი, მეფე მიხეილი, სასოწარკვეთილად ეძებდა შესაძლებლობას, განემტკიცებინა რომანოვების დინასტიის ლეგიტიმაცია ნებისმიერი ისეთი ევროპელი მონარქიის წარმომადგენელზე ქორწინებით, რომელთანაც არ ჰქონდა რუსეთს საზღვრები[1]. ივანე მრისხანემ ელჩები გაუგზავნა დასაქორწინებლად ელიზაბეტსაც კი ინგლისში. 1641 წელს დანიის პრინცი ეწვია მოსკოვს, რათა ეშუამავლა ჰოლშტეინებისათვის Holstein

[1] თუმცა ივანე მრისხანე საკუთარ თავს გერმანული წარმოშობის (რიურიკების დინასტიის) მეფედ თვლიდა, მაგრამ არა მარტო მას, არამედ თვით რომანოვებთანაც არც ერთი მმართველი ევროპული დინასტია არ დანათესავებულა.

თავისუფლად გასულიყვნენ სპარსეთსა და ინდოეთში, რადგან ზღვით გადასვლის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. რუსეთის მეფემ გადაწყვიტა, ქალიშვილი ირინა მისთვის მიეთხოვებინა. ეს ადვილი არ იყო. ირინას თითქმის ერთადერთი დადებითი მხარე ის იყო, რომ არ სვამდა ბევრ არაყს. უფლისწულმა კატეგორიული უარი თქვა, ამიტომ დაატყვევეს, მაგრამ დაცვის მოკვლის შემდეგ გაქცევა მოახერხა. დანიაში პრინცთან გაგზავნილ იქნენ დიპლომატები მოსალაპარაკებლად და ჰოლშტეინის კამპანიაზე უფლებებით მას შანტაჟი მოუწყვეს. დაპირდნენ, რომ რელიგიის შეცვლა აუცილებელი არ იყო, მხოლოდ ბავშვები უნდა ყოფილიყვნენ მართლმადიდებლები. 1643 წელს უფლისწული გაემგზავრა 300 მხლებელთან ერთად რუსეთის საზღვარზე, სადაც იგი პირველივე დღეს გაქურდეს. ამ დროიდან დინასტიებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოყალიბდა და ყველა რომანოვის მეუღლე ოლდენბურგის ჰოლშტაინის ოჯახიდან იყო.

კარლოს XII-მ Charles (Karl) შვედეთის სამეფო გვირგვინი მიიღო 1697 წელს 15 წლის ასაკში. 3 წელში, 1700 წელს დანიის, რუსეთისა და პოლონეთის კოალიციამ იერიში მიიტანა შვედეთზე. მაგრამ კარლოსმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ჯერ დანია, შემდეგ პოლონეთი და რუსეთი. რუსეთმა ძალზედ სასტიკი დამარცხება იწვნია, როდესაც მან დატოვა მთელი თავისი არტილერია ქართველ უფლისწულ ალექსანდრესთან ერთად. კარლოს XII-მ გაანთავისუფლა ყველა რუსი ტყვე, იმის სადემონსტრაციოდ, რომ არ სცემ-და პატივს რუსეთის არმიას, გარდა უფლისწულ ალექსანდრესი. 1707 წელს შვედეთისა და ოსმალეთის იმპერიამ შექმნეს ალიანსი და კარლოსი შეიჭრა რუსეთში. შვედეთმა დიდი დანაკარგი განიცადა რუსეთში ზამთრის დროს, რომელიც ასევე ფატალური აღმოჩნდა ნაპოლეონისა და ჰიტლერისთვის, და დაჭრილი კარლოს XII დამარცხდა პოლტოვას ბრძოლაში 1709 წელს. იგი თავის დარჩენილ მეომრებთან ერთად გადავიდა შორეულ სამხრეთში და ოსმალეთს შეაფარა თავი. რუსულმა არმიამ დაარღვია თურქეთთან დადებ-ული ხელშეკრულება და გადაკვეთა საზღვარი შვედების დევნის დროს. ისინი აზოვის ზღვის ნაპირებზე მიადგნენ შვედებს და მათი დიდი ნაწილი ამოხოცეს. შვედეთის მეფემ შეძლო თავის გადარჩენა და სტამბოლში წავიდა, სადაც იგი პატივსაცემო სტუმარი იყო და ყველა მისი ხარჯი ოსმალეთის იმპერიის ხაზინიდან იფარებოდა. კარლოს XII იქ 5 წელი დარჩა და 1714 წელს, 15 ოფი-ცერთან ერთად, შვედეთში დაბრუნდა, სადაც მას დახვდა განადგურებული სახელმწიფო. ასე რომ, ყველაზე სასტიკ მტრად რუსეთისთვის ოსმალეთის იმპერია იქცა.

პეტრეს სტრატეგიული გეოპოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რომ გაჭრილიყო ზღვისკენ (ყველაზე ახლოს ბალტიის ზღვა იყო) და მის ნაპირზე დაეარსებინა საპორტო ქალაქი პეტერბურგი (გერმანული ჟღერადობის პეტერბურგი პატრიოტულად გადარქმეულ იქნა 1914 წელს რუსულ პეტროგრადად, რადგან „ბერგ“ „ქალაქი“ იყო გერმანული სიტყვა, ხოლო

„გრად“ რუსული). ამის გარეშე რუსეთი მოკლებული იყო შესაძლებლობას იმპერიის სტატუსი მოეპოვებინა. შემდეგი ბუნებრივი სტრატეგიული სვლა იყო გაეჭრა გზა თბილი სამხრეთ ზღვებისკენ. სამწუხაროდ, აზოვის ზღვიდან ოკეანეში გასასვლელი ბოსფორი კონტროლდებოდა თურქების მიერ. სამხრეთისკენ სვლა ითვლებოდა პეტრესშემდგომი იმპერიის ოფიციალურ პოლიტიკურ დოქტრინად.

ძლევამოსილი ზაპოროჟიეს კაზაკები გაანადგურა ეკატერინე II-მ 1775 წელს. რუსულმა არმიამ, პიტერ ტეკელ პოროვიჩის Peter Tekel-Porovitch (წარმოშობით სერბი) მეთაურობით, იერიში კაზაკებზე შუაღამეს მიიტანა და გასაოცრად, ისინი წინააღმდეგობის გარეშე ჩაბარდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმეტესობა მოკლულ იქნა. მათი ატამანი კალნიშევსკი და მისი ლეიტანენტები დააპატიმრეს და ის სავარაუდოდ 112 წლის გარდაიცვალა სოლოვეცკის მონასტერში. დანარჩენი განაიარაღეს და ნება დართეს, თურქეთში წასვლის და შემდეგ ჩუმად დაბრუნდნენ.

რუსეთი და საქართველო

პირველად რუსები საქართველოში მე-15 საუკუნეში გამოჩნდნენ, როდესაც კახეთის მეფეებმა გაგზავნეს ელჩები ივანე მრისხანესთან მოსკოვში, რომელმაც საქართველოში პირველი რაზმი გამოგზავნა. მაგრამ ქართველი მეფე, ირანის ზეგავლენით, იძულებული იყო, ეთხოვა რუსეთის ჯარისთვის, რომელიც განლაგდა კახეთის ციხესიმაგრეში, დაეტოვებინათ ქვეყანა.

1594 წელს რუსულმა ჯარმა, ხვოროსტინის მეთაურობით, თერგისა და შამხალ ტარკოვსკის წინააღმდეგ გაილაშქრა. ფიოდორ ივანოვიჩმა, რუსეთის უკანასკნელი რიურიკელმა მეფემ (1584-1598 წწ.), თავისი სახელი ასე შეამკო „ივერიის მიწის ხელმწიფე, ქართველი მეფე და ყაბარდო, ჩერქეზი და მთის უფლისწული“, თუმცა სიმბოლურად, მაგრამ მოგვიანებით ფაქტობრივად.

მეფე თეიმურაზ I-მა, კახეთის მეფემ, რომელსაც ირანის წინააღმდეგ ბრძოლის დროს წამებით მოუკლეს დედა და სამი ვაჟი, მისი ერთადერთი გადარჩენილი შვილიშვილი გაგზავნა მოსკოვში 1653 წელს. იგი ცნობილი იყო, როგორც ცარევიჩ ნიკოლას დავიდოვიჩი (ნიკოლოზ დავითისძე) (ერეკლე I).

უფლისწული ნიკოლოზი დედასთან ერთად ჩავიდა მოსკოვში მეფე ალექსეი მიხაილოვიჩთან 1653 წელს. მას დიდი პატივით დაჰვდნენ, როგორც ქრისტიანული ქვეყნის წარმომადგენელს, რომელიც რუსეთისგან ათასობით მილის დაშორებით საუკუნეების მანძილზე ებრძოდა მახმადიანურ ირანსა და თურქეთს. მან ისწავლა რუსული, მთელ დროს კრემლში ატარებდა და საზოგადოებრივ ღონისძიებებზე რუსეთის მეფის გვერდზე ჩნდებოდა. ლიტვის და პოლონეთის წინააღმდეგ ლაშქრობას 1654 წელს წინ უძღვოდა ქართულ-იბერიული ღვთისმშობლის ხატი. უფლისწულმა ნიკოლოზმა მონაწილეობა

მიიღო რუსეთისა და უკრაინის გაერთიანებაში. მას უკვირდა, რომ რუსეთის მეფე არასდროს იღებდა მონაწილეობას ბრძოლებში, ეს კი უფლისწულის ხასიათისთვის შეუსაბამო იყო. მალე მისი ბაბუა თეიმურაზ I იძულებული იყო ემიგრირებულიყო რუსეთში და 1658 წელს ისიც ასევე დიდი პატივით და სიხარულით მიიღეს მოსკოვში. მას დაპირდნენ ჯარით მხარდაჭერას, როგორც კი პოლონეთის ომი დასრულდებოდა. როდესაც თეიმურაზმა დაასკვნა, რომ მისი შანსები სამეფო გვირგვინის დაბრუნებისა რუსეთის ჯართან ერთად ნულის ტოლი იყო, დაბრუნდა ირანში, სადაც შაჰ აბასმა დააპატიმრა და 1663 წელს იგი გარდაიცვალა. ნიკოლოზი აგრძელებდა წარმატებულ ცხოვრებას რუსეთის დედაქალაქში და დიდი სიყვარულით სარგებლობდა რუსეთის სამეფო კარზე. იგი იყო მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის მეჯვარე, როდესაც 1671 წელს ცოლად შეირთო ნატალია ნარიშკინა. მხოლოდ მას ჰქონდა პატარძლის ოთახში შესვლის ნება. შემდეგ წელს კი მომავალი პეტრე დიდი დაიბადა. ცნობილი ლეგენდის თანახმად, სწორედ იგი იყო პეტრე დიდის ნამდვილი მამა. ამით დამთავრდა რომანოვების დეგენერაცია და „კავკასიური გარეგნობის ადამიანი“ გამოჩნდა[1].

რამდენიმე რუსი მწერლის მიხედვით, კრემლში ჩამდინარე წყლებმა გამოიწვია რომანოვების მოწამვლა და ბავშვები იბადებოდნენ მუნჯები და ფიზიკურად სუსტები. მართლაც, საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, მეფეების საფლავის ექსგუმაციის დროს, შეიმჩნეოდა მოწამვლის კვალი. ალექსეი მიხაილოვიჩი იყო პირველი რომანოვის, მიხაილ ფიოდოროვიჩის ვაჟი, რომელიც უკვე ავად იყო სისხლძარღვოვანი დაავადებით, რაც არ აძლევდა განძრევის საშუალებას. თავიდან ალექსეი მიხაილოვიჩი ძალზედ ჯანმრთელი იყო, მაგრამ 40 წლის ასაკში, როდესაც მისი პირველი ცოლი მილოსლავსკაია გარდაიცვალა, იგივე დაავადება აღმოაჩნდა მასაც და იგი ხანშიშესულს დაამსგავსა. 40 წლის ასაკში 5 ვაჟი ჰყავდა, მაგრამ ყველა მათგანი უნარწართმეული, მენტალურად ჩამორჩენილი და სისხლძარღვოვანი დაავადებით იყვნენ ავად. უცნაური იყო ისიც, რომ მისი 10 ქალიშვილიდან არც ერთი არ გათხოვილა. 1671 წელს პატრიარქმა ნიკონმა და ბოიარებმა გადაწყვიტეს, სხვა ცოლი შეერთოთ მისთვის, რადგან არავინ იყო ჯერ მზად მემკვიდრეობით მიეღოთ სამეფო გვირგვინი. ახალ დედოფლად არჩეულ იქნა ნატალია ნარიშკინა. ქართველი უფლისწული და ნატალია ერთმანეთს მანამ იცნობდნენ, სანამ მეფეზე მიათხოვებდნენ. მისი მშობლები მზადაც კი იყვნენ ქალიშვილი მიეთხოვებინათ უძველეს ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლისთვის. ყველამ იცოდა მათი ინტიმური კავშირის შესახებ, მაგრამ ეს ისეთივე შემთხვევა იყო, როდესაც ეკატერინეს არ შეიძლებოდა

[1] ინგლისურ ვიკიპედიაში პეტრე პირველზე სტატიაში წერია, რომ პოპულარული ლეგენდის მიხედვით, პეტრე დიდის ბიოლოგიური მამა იყო კახეთის მეფე ერეკლე I (ცარევიჩ ნიკოლას დავიდოვიჩი).



პეტრე I

იმერეთის მეფე სოლომონ I ბაგრატიონი, ნიკოლოზ ბატონიშვილის ნათესავი (საოცარი მსგავსება პეტრე I-თან)

მემკვიდრე ჰყოლოდა პეტრე III-სგან, ბოიარებმა მას ულტიმატუმი წაუყენეს, რომ ან შვილი ეყოლებოდა, ან ქორწინება ჩაიშლებოდა და მას შესთავაზეს სამი კანდიდატი დასაწყისისთვის – ნარიშკინი, სალტიკოვი ან პონიატოვსკი.

პეტრე დიდი ქორწინებიდან 14 თვეში დაიბადა და ტიპიური „კავკასიური იერის“ იყო. ფიზიკურად ძალზედ ძლიერს, ინტოქსიკაციის გარეშე შეეძლო დაელია დიდი რაოდენობის არაყი, რაც რუსებისთვის თითქმის შეუძლებელია, ხოლო სამხრეთ საქართველოს ხალხისთვის ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენაა. ის ძალზედ ჰგავდა მის „მამას“ არჩილს და „ძმას“ ალექსანდრეს, ხოლო აბსოლუტურად განსხვავებული იყო მისი რომანოვი მამისა და ბაბუისგან. პეტრე ქართველ მეფე ვახტანგ VI-ს წერდა: „მიმიღე როგორც საკუთარი შვილი“.

1698 წელს საბედისწერო რამ მოხდა, როდესაც მეფის დაცვა აჯანყდა და პეტრეს და ნარიშკინას მოკვლა სცადეს. რუსულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი, რომ პეტრეს მეტოქემ სოფიამ ამბოხებულები წააქეზა და უთხრა, რომ სამეფო გვირგვინი უნდა გადასცემოდა „უკანონო“ შვილს. სხვა წყაროები გვაცნობს, რომ მან უთხრა, გვირგვინი „ბუსურმანინს“, ანუ მუსლიმანს, გადაეცემოდა. ტოლსტოიმ ოფიციალურ ბიოგრაფიაში „პეტრე დიდი“ კონსულტაცია გაიარა სტალინთან და მან აუკრძალა გამოექვეყნებინათ ინფორმაცია მისი ქართული წარმოშობის შესახებ.

არავინ იცის, თუ რა მოუყვა დედამ პეტრეს, მაგრამ ცნობილია, რომ, როდესაც ქართველმა მეფემ არჩილმა სთხოვა ნებართვა ცოლად შეერთო მისი ქალიშვილი რომელიმეს პეტრეს ოჯახიდან, მან უარი განაცხადა, რადგან პეტრეს უკვე ერქვა „ქართველი მეფე“, მაგრამ ასევე ამბობენ, რომ მას არ სურდა ნათესავზე დაექორწინებინა. ეს ამბავი მოყვა დიდმა რუსმა კომპოზიტორმა ალექსანდრე ბოროდინმა, ოპერის „პრინც იგორი“-ს ავტორმა.

იგი იყო ნახევრად ქართველი, თავად გედევანიშვილის უკანონო შვილი. 1711 წელს პეტრე დიდმა დონსკოის მონასტერი ქართველებს გადასცა და ქართველ ბაგრატიონთა ოჯახის უფლისწულები და სამეგრელოს თავადები, დადიანები, სწორედ იქ არიან დაკრძალულნი.

ერთხელ ბოიარებთან დავის დროს პეტრეს წამოსცდა, რომ ის ძველი სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იყო. უდავოა, რომ ის ვერ იგულისხმებდა რომანოვების დინასტიას, რადგან გვირგვინი ერთი საუკუნის წინ, 1613 წელს გადაეცათ, ხოლო მანამდე საერთოდ არ იყვნენ ცნობილი. ქართველი აკადემიკოსი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერდა, რომ მან 1950 წელს ნახა ნარიშკინას მიერ მიწერილი წერილი ნიკოლოზისთვის, სადაც ის პეტრეს ახსენებდა როგორც „ჩვენი ბავშვი“, მაგრამ ეს წერილი მას შემდეგ გაქრა. მეჰმედ ზილი Mehmed Zilli (1611-1682 წწ.), ცნობილი როგორც Evliya Çelebi, თურქ-ოსმალო, რომელმაც იმოგზაურა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე და მეზობელ მიწებზე 40 წლის მანძილზე, წერდა პეტრე დიდზე, როგორც საქართველოს მიწის დადიანების შთამომავალზე.

რუსი ხალხისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუკი მეფე რუსების ინტერესებს ემსახურებოდა, როგორც, მაგალითად, გერმანელი ეკატერინე, ქართველი სტალინი და სხვა. ეკატერინე II-ს სახელს ჰქონდა პატივი წარმოდგენილი ყოფილიყო ვალხალაში, საპატიო სახლში რეგენსბურგში, დუნაის სანაპიროზე ბავარიაში, რაც გერმანიის ისტორიაში მნიშვნელოვან პერსონებს ხვდა წილად. მას რუსული სისხლის წვეთიც არ ჰქონდა, მაგრამ ძალზედ უყვარდათ რუსებს პოლონეთის, ყირიმის, შავი ზღვის რეგიონის, ჩრდილოეთ კავკასიის, ყაზახეთის, ალასკის, სახალინის და სხვ. მიერთების გამო. მისტიკური იყო ის, რომ მეფეები, რომლებიც ტერიტორიებს აფართოებდნენ, რუსებს ძალზედ უყვარდათ, დესპოტებიც კი, როგორიც იყო პეტრე და სტალინი. ყველაფერ დანარჩენს პატიობდნენ.

1673 წელს, პეტრე დიდის დაბადების შემდეგ წელს ნიკოლოზმა მოულოდნელად გადაწყვიტა, წვეოდა ირანის შაჰს[1], სადაც მან საპყრობილეში ორი წელი გაატარა, დაიწყო დალევა, მიიღო ისლამი და დაკარგა რუსეთთან კავშირი. მას არ უნდოდა ყოფილიყო მოწმე პატრიარქ ნიკონის Patriarch Nikon მასობრივი რეპრესიებისა რასკოლნიკების წინააღმდეგ 1673 წელს, მაგრამ, ამავე დროს, ის აიძულეს დაეტოვებინა რუსეთის სამეფო კარი იმ მიზეზით, რომ პრობლემები არ შეექმნა. ალექსეი მიხაილოვიჩის დახმარებით, პატრიარქმა ნიკონმა დაიწყო რუსული საღვთისმეტყველო წიგნების შესწორება თანამედროვე ბერძნულის მიხედვით და შეცვალა რამდენიმე რიტუალი (ორი თითით პირჯვრის გადაწერა ჩაანცვლა სამი თითით, ალილუია, ორის ნაცვლად

[1] გზაზე ის კახეთში ესტუმრა მეფე არჩილს, რომელიც ბედისწერით 10 წელიწადში თვითონაც იძულებული გახდა, გადასახლებულიყო რუსეთში. ამავე დროს დაიბადა არჩილის ვაჟი ალექსანდრე, რომელიც პეტრე დიდის მომავალი მეგობარი გახდება.

სამჯერ წარმოითქმეოდა და სხვა). 1654 წელს პატრიარქმა ნიკონმა მოიწვია სინოდი, სადაც გადაწყვიტეს, რომ „ბერძნულს (ხატები, ცერემონიები, წირვა-ლოცვის წიგნები) უნდა მიმსგავსებოდა უფრო, ვიდრე ჩვენს ძველებურს“. ამ ინოვაციებს წინააღდეგობა შეხვდა ხალხისგანაც და სამღვდელოებისგანაც. პროტოპოპი ავაკუმი Avvakum შუამდგომლობდა მეფის ორი თითით პირჯვრის გადაწერაზე და ღვთისმეტყველების დროს თავის დახრაზე, ასევე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ბერძნული სტანდარტები წაბილწავდა წმინდა რწმენას, რადგან ბერძნულმა ეკლესიამ ძველი ღვთისმოშიშობის გზიდან გადაუხვია და რომ საღვთისმეტყველო წიგნებს ისინი კათოლიკურ სტამბაში ბეჭდავდნენ, ასევე ამბობდნენ, თითქოს ისინი დაუცველნი იყვნენ კათოლიკე რომაელების გავლენისგან. ნიკონის მიმდევრების რაზმები სასტიკად გაუსწორდნენ ყველას, ვინც არ ეთანხმებოდა მათ. კარდაკარ დადიოდნენ ჯარისკაცები იმ მიზნით, რომ ყველა სახლში გაენადგურებინათ ერეტიკული ხატები და წიგნები. კარვის მსგავსი ეკლესიის შენობები (კარგი მაგალითია წმინდა ვასილი ნეტარის კათედრალი Saint Basil's Cathedral) სასტიკად აკრძალული იყო და არაკანონი-კური ეკლესიების უმეტესობა დანგრეულ იქნა. კონფლიქტი ნიკონსა და ძველი რწმენის დამცველებს შორის მძაფრდებოდა და მალე, 1682 წელს, ავაკუმი და მისი მიმდევრები სიკვდილით დასაჯეს. ძველი რწმენის მხარდამჭერებმა მონაწილეობა მიიღეს სტეფან რაზინის სისხლიან და სასტიკ აჯანყებაში 1670-1671 წწ-ში, თუმცა თავად სტეფან რაზინს მკვეთრი, ანტიეკლესიური შეხედულებები ჰქონდა. ეს კონფლიქტი, ბევრი მწერლის აზრით, მიიჩნეოდა ძალზედ მნიშვნელოვან მოვლენად, რადგან მასობრივი სიკვდილით დასჯის ტრადიცია და ძალადობა იდეოლოგიურ ბაზისზე, მილიონობით მსხვერპლით, რომელიც მოგვიანებით განვითარდა რუსეთში, ამ პერიოდის გაგრძელებაა.

1686 წელს ავსტრიის ელჩი იან სობიესკი, პოლონეთის მეფე, ვენეციელები, რომაელები და სხვები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ რუსეთი, რათა გაელაშქრა თურქეთის წინააღმდეგ, როგორც საღვთო კავშირის წევრს. ამ დროს პეტრე დასუსტებული იყო, მაგრამ ცდილობდა სამხრეთით წასულიყო. ყირიმზე პირდაპირი დარტყმის ნაცვლად, პეტრემ ფოკუსირება მოახდინა აზოვის ზღვაზე, მდინარე დონზე თურქულ ციხესიმაგრეზე. 1694-95 წწ-ში მისი ქვეითი ჯარი დაეშვა მდინარე დონისკენ, მაგრამ აზოვის ალყა უშედეგო იყო, რადგან მომარაგება ზღვიდან ვერ უზრუნველყოფდა ჯარს. მან ვარონეჟში შეკრიბა პატარა სანაოსნო და 1696 წელს მეორე შეტევა მოაწყო აზოვზე და პეტრემ პირველად გაიმარჯვა ტრიუმფით. მაგრამ მას უფრო დიდი ფლოტი სჭირდებოდა. მან 1700 წელს დააარსა საადმირალო და რუსები საზღვრებს გარეთ გაუშვა სასწავლებლად.

პეტრე პირველი (1682-1725 წწ.) იყო მეფე, რომლის ტიტულში ოფიციალურ დოკუმენტებში გამოისახებოდა – „ივერიის მეფე“. მთლიანი ტიტულატურა ბოლო რომანოვის, ნიკოლოზ II-ისა იყო: „ჩვენ უფლის ნებით, მთელი რუსეთის ავტოკრატიის და იმპერატორის, მოსკოვის, კიევის, ვლადიმირის, ნოვგორო-

დის, ... ყაზანის, ასტრახანის, პოლონეთის, ციმბირის, საქართველოს ცარი... ფინეთის დიდი კნიაზი... ივერიის, კარტალინიის, კაბარდინიის და სომხეთის ტერიტორიის სუვერენი; ჩერქეზეთის და მთის უფლისწულის მმართველი და ლორდი; თურქეთის ლორდი, ნორვეგიის მემკვიდრე, ჰოლშტეინის დიდებული, სტორმარნი, დიზმარშენი, ოლდენბურგი და ა.შ.". თუმცა დამაბნეველი იყო ერთი და იგივე ტერიტორიაზე სამი სახელის ხილვა: „საქართველოს მეფე, ივერიის სუვერენი და კარტალინიას მონარქი", როდესაც სომხეთი ნახსენებია როგორც ტერიტორია[1].

ნიკოლოზის მიერ რუსეთის სამეფო კარის დატოვებისთანავე, 1685 წელს მოსკოვში ჩამოვიდა მისი ტახტის მეტოქე იმერეთის და კახეთის მეფე არჩილ II ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად, სადაც ვსესვიასტსკოეს მიწა (ახლა გრუზინსკაია ქუჩა მოსკოვში) საჩუქრად გადაეცა. ალექსანდრე და დიდი პეტრე ბავშვობაში მეგობრები იყვნენ და ერთად დააარსეს ევროპული ტიპის პრეობრაჟენსკის და სემიონოვსკის გვარდიის პოლკები. ჯარისკაცებმა (დიდწილად ქართველებისგან შემდგარი, 1,80 სიმაღლის) თოფის ნაცვლად ხის ჯოხებით დაიწყეს, მაგრამ როგორც კი პეტრე პირველი მმართველობაში მოვიდა, აღმოჩნდა, რომ მას პატარა, მაგრამ კარგად გაწვრთნილი არმია ჰყავდა. ნარიშკინსა და მილოსლავსკის ოჯახებს შორის ბრძოლა ზენიტში იყო, როდესაც 1686 წელს ალექსანდრემ შეირთო მილოსლავსკების ოჯახის ასული, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია ნარიშკინების ოჯახში, მაგრამ ამ დროსაც კი პირადი ერთგულება და მეგობრობა პეტრესა და ალექსანდრეს შორის კითხვის ქვეშაც არ დამდგარა. ქორწილი პომპეზურად ჩატარდა და მონაწილეობდნენ ყველა ბანაკის წარმომადგენლები.

პეტრეს „ძმა", ქართველი უფლისწული ალექსანდრე თან ახლდა მას ევროპაში მოგზაურობის დროს და გაწვრთნილ იქნა, როგორც არტილერისტი. კენიგსბერგში შნაიტნერ ფონ სტერნფელდმა Schneitner von Sternfeld ორივეს ასწავლა დაბომბვის და ფორტიფიკაციის თეორია და შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილმა სწავლა განაგრძო ჰააგასა და უტრეხტში იან გოშკასთან Ian Goschka. 1688 წელს პეტრესთან, მენშიკოვთან და შაფსკისთან ერთად გაემგზავრა ინგლისში, რათა შეესწავლათ გემთმშენებლობა. პეტრე, ალექსანდრესთან ერთად, ეწვია მეფე უილიამ III-ს და სხვა სამეფო წარმომადგენლებს, ნახეს მონეტების დამამზადებელი ფაბრიკა და სამეფო სამეცნიერო საზოგადოება ისააკ ნიუტონის მეთაურობით. ევროპაში ალე-

[1] სომხეთის მეფის წოდება (სილიციის სომხური სახელმწიფო, ქვეყანა ჩამოყალიბდა შუა საუკუნეეში სომეხი ემიგრანტების მიერ, ვინც თავი დააღწია სელჩუკების შემოსევას სომხეთში) დათმობილ იქნა ლუსინიანების დინასტიის მიერ სავოის სახლისთვის 1485 წელს. უკანასკნელი იტალიის იმპერატორის ვიქტორ ემანუელ III-ის (1900-1946 წწ.) სრული წოდება შეიცავდა „...კვიპროსის, იერუსალიმის, სომხეთის მეფე..."

ქსანდრეს ქართული ნაციონალური ტანსაცმელი ეცვა და ეძახდნენ „პრინცი იმერეთინსკი – პეტრეს ძმა“.

ამსტერდამში პეტრემ შეუკვეთა კირილიცას ახალი ანბანი (ძველი სლავური ანბანი), ალექსანდრემ ნიკოლას ვიტსენს Nicolaas Witsen, მსოფლიოს წამყვან ტიპოგრაფს, დაუკვეთა სამივე ქართული ანბანის შრიფტი. ვიტსენმა კონსულტაცია გაიარა უნგრელ-ვალახიელ მბეჭდავთან, მიკლოს მიშტოდფალუსთან Miklos Misztodfalusi და 1689 წელს გამოადნო ქართული ტიპოგრაფიული შრიფტი. ამგვარად, პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა მოსკოვში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თვით ვალახეთში ბეჭდვა დანერგა ქართველმა ემიგრანტმა ანთიმოზმა (ანტონ იბერიელმა), რომელიც რიმნიკის მღვდელი იყო, ვისი მოსწავლეც იყო მიკლოსი. 1705 წელს ანთიმოზმა მიკლოსი (მიხეილი) თბილისშიც კი გაგზავნა, რათა დახმარებოდა პირველი ბეჭდური სახლის დაარსებაში, სადაც სახარებები იბეჭდებოდა. ასე რომ, რომში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნის მერე, 1620 წელს შემდეგი დაბეჭდილი წიგნი მოსკოვში გამოჩნდა 1703 წელს და ბოლოს, თბილისში 1709 წელს.

პეტრეს მოგზაურობის პოლიტიკური მიზეზი იყო ევროპის გაერთიანება თურქეთის წინააღმდეგ. პეტრემ იცოდა, რომ რუსეთი მარტო ვერ შეერკინებოდა ოსმალეთის იმპერიას და გაემგზავრა ევროპაში, რათა მონარქებისთვის დახმარება ეთხოვა, მაგრამ ამჯერად მისი იმედები ვერ გამართლდა. პეტრემ ძალზედ უდროოდ შეარჩია მომენტი; იმ დროისთვის ევროპელები უფრო მეტად დაინტერესებულნი იყვნენ, ვის გადაეცემოდა მემკვიდრეობით უშვილო ესპანეთის მეფის ჩარლზ II-ის სამეფო გვირგვინი (ესპანეთის მემკვიდრეობისთვის ბრძოლა 1701-1714 წწ.) და პროტესტანტ-კათოლიკეების ომზე, ვიდრე ოსმალ სულთანთან ბრძოლაზე. რუსეთი მარტო დარჩა თურქეთის პირისპირ.

პეტრეს 1698 წლის ვიზიტი ხანმოკლე იყო, რადგან იძულებული გახდა, დაბრუნებულიყო სტრელცების აჯანყების გამო. აჯანყება მალე ჩაახშო მეფის „ახალმა“ არმიამ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პეტრეც უმოწყალოდ მოქმედებდა მეამბოხეების მიმართ. 1200 მათგანი ნაწამები და მოკლული იყო და ბრძანა მათი სხეულები სახალხოდ გამოეფინათ, მომავალში მეამბოხეების გასაფრთხილებლად.

პეტრემ მიანდო სამხედრო მშენებლობა ალექსანდრეს და 1700 წელს ის გახდა პირველი რუსი სამხედრო გენერალი და მმართველი 20 წლის ასაკში. ამავე წელს კარლოს XII-მ შეტევა განახორციელა ნარვაში რუსეთის ჯარზე და რუსი მთავარსარდალი კნიაზი დე კრონი Herzog de Cron დანებდა. ალექსანდრე სამხედრო მოქმედებების დროს დაიჭრა და პრინც რაშელდის Prince Rashield ბრძანებით ტყვედ აიყვანეს. კარლოსმა ეტაპობრივად ყველა 700 დატყვევებული ოფიცერი გაათავისუფლა, მაგრამ ალექსანდრე დაიტოვა. მისი სამეფო კარი ეპყრობოდა ალექსანდრეს როგორც სამეფო ოჯახის წარმომადგენელს და მოსთხოვეს 10 ტონა ფურა ოქრო გამოსასყიდად.

პეტრემ მისწერა წერილი ალექსანდრეს ამ გეგმის შესახებ, მაგრამ უკანასკნელმა სასტიკი უარი განაცხადა ამხელა გამოსასყიდის გადახდაზე. მან მისწერა პეტრეს, რომ „ეს დიდად დააზარალებდა ეკონომიკურად და ხელს შეუშლიდა იმ მიზნების მიღწევაში, რაც ორივემ ერთად შეიმუშავა რუსეთთან დაკავშირებით“. 1710 წელს ალექსანდრე გაათავისუფლა შვედეთმა, მაგრამ რიგაში დაიღუპა თირკმელში კენჭის გამო. მეფე არჩილი, ალექსანდრეს მამა, დონის მონასტრის მმართველად დაინიშნა, სადაც არის დაკრძალული. 1721 წელს პეტრემ არჩილის სახლში აღნიშნა შვედეთზე გამარჯვება.

1708 წელს კარლოს XII-მ თავისი საბოლოო ფატალური შეცდომა დაუშვა, როდესაც ლიტვაში ყოფნის დროს, ნაცვლად პირდაპირ მოსკოვის დასალაშქრად წასვლისა, გადაინაცვლა უკრაინის სამხრეთით, რათა დახმარება ეთხოვა კაზაკების მეთაურ ივან მაზეპასთვის Ivan Mazeppa. შვედური ჯარის მომარაგების გზა პეტრემ გადაჭრა და შვედი მეომრები იხოცებოდნენ სიცივისა და სნეულებებისგან. ასე რომ, 1709 წლის გაზაფხულზე, კარლოსმა, რომელიც მაინც დარწმუნებული იყო მისი 25 000 გამოცდილი მებრძოლის უპირატესობაში 40 000 რუს მეომარზე, გადაწყვიტა საბოლოო ბრძოლა მოეწყო პოლტავაში, სტოკჰოლმიდან 1000 მილში. ათასობით შვედი დაიღუპა და მხოლოდ სულ ცოტამ თუ შეძლო თავი შეეფარებინა თურქეთის სამხრეთ ტერიტორიისათვის. ბრძოლისგან დაუძლურებულ რუსებს აღარ შეეძლოთ მაშინვე უკან დადევნებოდნენ. მართალია, ბრძოლა გადამწყვეტი არ იყო, მაგრამ ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, თუ სხვა შედეგით დამთავრდებოდა, პეტრე ვერ შესძლებდა რეფორმების გატარებას და რუსეთი ვერ გახდებოდა იმპერია. შვედეთის მფლობელობაში მყოფი ბალტიისპირა ტერიტორიები დომინოსავით წაიქცა.

წარმატებით გამხნევებულმა პეტრემ 1711 წელს გაგზავნა 40 000-იანი არმია მოლდოვეთში 130 000 თურქული ჯარის წინააღმდეგ, რაც სრული მარცხით დამთავრდა[1]. აზოვიც კი დაიკარგა. მაგრამ ჩრდილოეთში საქმე კარგად მიდიოდა და 1713 წელს რუსეთმა დაიპყრო ფინეთი.

როდესაც პეტრემ გააღრმავა რეფორმები და დაიწყო ადმინისტრაციის რესტრუქტურიზაცია, ხოლო ქვეყანა გაყო 8 დიდ გუბერნიად და დააარსა კოლეგიები – „სამინისტროები“, პეტრემ გამოიყენა შვედი ტყვეები ამ

[1] მდინარე პრუტის გადაკვეთის შემდეგ პეტრე დიდის ჯარი დაამარცხეს თურქებმა 1711 წელს ბალტაჩი მეჰმედ ფაშას Baltacı Mehmet Pasha მეთაურობით. პეტრემ შედარებით ხელსაყრელი პირობები მხოლოდ თავისი მეუღლის ეკატერინე I-ის და კარის ქალბატონების დახმარებით მიიღო. ამ ქალბატონებმა თურქეთის გამარჯვებული მხედართმთავრის ბალტაჩი ფაშას კარავში რამდენიმე ღამე გაატარეს და სამშვიდობო შეთანხმების პირობებზე მეფის სახელით აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. როგორც წერდა ვოლტერი თავის წიგნში „პეტრე დიდი“ ამასთან ერთად ყველა ქალბატონმა მოიხსნა სამკაულები ქრთამის სახით გადასაცემად. ამ მიზეზის გამო სულთანმა მოხსნა ფაშა თანამდებობიდან და გადასახლებით დასაჯა.

სამინისტროებში სამუშაოდ, როგორც უფროსებად, უფროსის მოადგილეებად ან მრჩევლებად.

1714 წელს კარლოს XII დაბრუნდა თურქეთიდან შვედეთში და მოწადინებული იყო, გაეგრძელებინა რუსეთთან ომი, მაგრამ 1718 წელს მას თავში ესროლა თავისივე მეომარმა, შვედეთ-ნორვეგიის ომის დროს. ასე რომ, 1721 წელს ნიშტადტის მშვიდობის ზავის Nyshtad Peace შემდეგ, როდესაც ფინეთი დაუბრუნდა შვედეთს, პეტრე დიდი როგორც იქნა შემობრუნდა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ.

ამ მიმართულებით რუსეთმა ორი საუკუნით ადრე წამოიწყო თამაში 1552 წელს ყაზანის და 1557 წელს ასტრახანის შემოერთების შემდგომ. 1587 წელს რუსეთმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ყაბარდოსა და დაღესტანთან და თერგამდე მიაღწია. მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, ოსმალებ-მა და ყირიმელებმა ძლიერი რეაგირება მოახდინეს სასტიკი იერიშის მიტა-ნით ყაბარდოზე, რომელიც რუსეთის ახლო მოკავშირე იყო, და გადმოიბირეს დაღესტანი, როგორც თურქეთის მხარდამჭერი ქვეყანა. 1604 წელს ბორის გოდუნოვმა წამოიწყო შეტევა დაღესტანის გავლით, რათა გაერთიანებულიყო ირანთან, თურქეთის წინააღმდეგ, რაც სამხედრო კატასტროფით დასრულდა და რუსეთმა დროებით ევროპისკენ იცვალა გეზი.

ახლა პეტრე ინფორმირებული იყო გაგარინის მიერ შუა აზიის ხივის დაუჯერებელი სიმდიდრის შესახებ, თითქოს ოქრო თავისუფლად მოიპოვება არალის ზღვაში ჩამდინარე მდინარის ოქროს ქვიშებიდან. პეტრე I-ს უკიდურესად ესაჭიროებოდა ოქრო. 1716 წელს 7000 კაციანი არმია გაიგზავნა ჩერქეზი უფლისწულის ბეკოვიჩის Cherkess Prince Bekovich (Giray) მეთაურობით ცენტრალურ აზიაში, თურქმენეთში, სამომავლო გეგმით, რომ დაემყარებინა პირდაპირი სავაჭრო კავშირი ინდოეთთან, მუგალის იმპერიასთან. უფლისწული ალექსანდრე ბეკოვიჩ-ჩერკასკი, წარმოშობით ჩერქეზი-ყაბარდოელი, იყო რუსების ოფიცერი, რომელიც დაბადებიდან მუსლიმი იყო, მერე მოექცა ქრისტიანობაზე და დაიწყო რუსეთში სამსახური. 1707 წელს პეტრე I-მა დაავალა ნავიგაციის განხრით განათლება მიეღო ევროპაში. ახლა რუსების ჯარმა წინ წაიწია ხივაში და ადგილობრივი ხანის 24 000 ჯარი ვერ უწევდა წინააღმდეგობას. მაგრამ მოგვიანებით ხანმა თავი მოაჩვენა, თითქოს ნება დართო რუსებს შემოსვლაზე და დაარწმუნა ისინი, გაყოფილიყვნენ 5 დამოუკიდებელ რაზმად, რათა სხვადასხვა ქალაქში დაბინავებულიყვნენ. ხიველებმა იერიში მიიტანეს ხუთივე ქალაქზე მიყოლებით, ამოხოცეს რუსების უმეტესობა, სხვები მონებად გაყიდეს და სიკვდილით დასაჯეს ყველა რუსი ოფიცერი, უფლისწულ ჩერკასკის ჩათვლით. პეტრე დიდმა ვერაფერი გააკეთა შურისძიებისთვის, ვინაიდან ჩაბმული იყო ჩრდილოეთის ომში. მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ განაახლეს რუსებმა სამხედრო ექსპედიცია ცენტრალურ აზიაში.

6 წლის შემდეგ, 1722 წელს პეტრემ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო კამპანია კავკასიაში იმ მიზნით, რომ „დაეცვა სპარსეთის შაჰი ავღანელებისგან“.

პეტრე მეუღლესთან ერთად ხელმძღვანელობდა კავკასიისკენ მიმართულ 22 000-იანი ქვეითი ჯარის ექსპედიციას, ვეტერანებს, რომლებიც მთელი იმ ხნის მანძილზე იბრძოდნენ შვედეთის ომში, 9000 დრაგუნს, 7000 კაზაკს, ყალმუხებს და თათრებს. მახაჩკალას ეწოდა პეტროვსკი, ამ კამპანიის აღსანიშნავად. ასტრახანიდან მისმა ჯარმა კასპიის ფლოტით დერბენტში გადაინაცვლა. მხედრების ნაწილი გამოეყო, რათა დაეპყროთ ენდერის Enderee სოფელი, მაგრამ ჩეჩნებმა ისინი უკუაგდნენ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთის შეიარაღებულ ძალებმა ამ ტომთან იქონია ურთიერთობა. პეტრემ გადაწყვიტა გაეგრძელებია წინსვლა და აგვისტოში მისი ჯარი შევიდა დერბენტში, რომლის ხანის ძალაუფლება თარიღდება დაღესტანში არაბების ბატონობიდან, მე-8 საუკუნედან, ანუ ათას წელს აღემატებოდა. მეფის დერბენტში შესვლის დროს მცირე მიწისძვრა მოხდა და პეტრემ დაიყვირა „კედლებიც კი უნდა ცახცახებდნენ ჩემი ძალის წინაშე!“ მაგრამ კასპიის ზღვის შტორმის შედეგად, რომელმაც რუსული ფლოტი გაანადგურა, შეწყდა მომარაგება და ჯარი გაეცალა იქაურობას. 13 დეკემბერს პეტრეს ჯარი ტრიუმფით შევიდა მოსკოვში.

კავკასიაში პეტრემ ნახა კავკასიის დიდი კედელი. ისეთი როგორიცაა კალედონიის კედელი ბრიტანეთში და ჩინეთის კედელი, რომელიც აღმართული იყო კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, იმ მიზნით, რომ დაეცვა ცივილიზებული სამხრეთის მოსახლეობა ჩრდილოეთის ველური ხალხისგან. სამწუხაროდ, ამჟამად ეს კედელი თითქმის დანგრეულია და მხოლოდ ცოტამ თუ იცის მისი არსებობის შესახებ. ალექსანდრე დიუმამ მოინახულა ეს ადგილი კავკასიაში ვიზიტის დროს, სანამ ბოლომდე განადგურდებოდა, და მოხიბლული იყო ასეულ კილომეტრიანი კედლით, რომელიც ააშენეს ადგილობრივებმა, აქამენიდელი სპარსელების (ან ალექსანდრე დიდი მაკედონელის) მეთაურობით, ორი ათასი წლის წინ.

მაგრამ უკან დახევამდე, პეტრემ ნოემბერში გაგზავნა პოლკონიკი შეპოფი Colonel Shepoff ექსპედიციასთან ერთად კასპიისკენ და ალიანსის ხელშეკრულება ქართველების მიმართ კარგად განწყობილი ახალგაზრდა შაჰ თასმასფთან Shah Tahmasp ერთად ხელმოწერილ იქნა, რათა დაეცვათ ავღანელი დამპყრობლებისგან და გაეძლიერებინათ იგი ტახტის შესანარჩუნებლად. მომდევნო 1723 წელს გენერალმა მათიუშკინმა აიღო ბაქო, შირვანის სპარსეთის პროვინციები, გილანი, მაზანდრანი და ასტრაბედი. მაგრამ ნადირ შაჰის გადატრიალების წყალობით სპარსეთი კვლავ მტრად იქცა. ათი წლის შემდეგ, 1732 წელს იმპერატრისა ანამ მოულოდნელად დაუბრუნა სპარსეთს ყველა დაპყრობილი ტერიტორია მტკვრიდან სამხრეთით, ბაქოს ჩათვლით, დერბენტიც და დაღესტანიც კი, რეშტისა და განჯის ხელშეკრულების მიხედვით Resht and Ganja treaty 1735 წელს. ამან შესაძლებლობა მისცა ნადირს იერიში მიეტანა ინდოეთსა და კანდაჰარზე 1738 წელს.

რუსეთის შეტევა სამხრეთისკენ

ვახტანგ VI იყო ბაგრატიონთა ქრისტიანი წარმომადგენელი 1703-24 წლებში, როდესაც გამაჰმადიანებული მმართველები (მისი ბიძა გიორგი XI-გურგენ ხანი George XI-Gurgin Khan და მისი ძმა ქაიხოსრო Kaikhosrow) ირანის სამსახურში იყვნენ ან ირანში, ან ავღანეთში. ამ წლების განმავლობაში მან ფართო რეფორმები გაატარა, გამოაცოცხლა ეკონომიკა და კულტურა. იეზუიტი ორიენტალისტი, მამა თადეოზ კრუსინსკი Father Tadeusz Krusinski, მოღვაწეობდა როგორც სამეფო მდივანი, რომელიც ეხმარებოდა ვახტანგ VI-ს. მაგრამ 1711 წელს შაჰმა დაიჟინა, რომ ვახტანგს უნდა მიეღო ისლამი, რათა დაემტკიცებინათ ქართლის მეფედ. მან უარი თქვა ამაზე, ამიტომ დააპატიმრეს და მისმა ისლამის მიმდევარმა ძმამ დაიკავა მისი ადგილი.

6 წლიანი ტყვეობის მანძილზე ვახტანგმა დახმარება ითხოვა ქრისტიანი ევროპელი მონარქებისგან. მან გაგზავნა თავისი ბიძა და მასწავლებელი, სულხან საბა ორბელიანი, ლუი XIV-თან საფრანგეთში. მოგვიანებით, პაპ ინოკენტ XIII და ჩარლზ VI-თვის მიწერილი წერილები თარიღდება 1722 წლის 29 ნოემბრით, ვახტანგმა გამოააშკარავა, რომ იგი ფარულად კათოლიკე იყო, მაგრამ სახალხოდ აღიარება არ შეეძლო. მისი მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა, ამიტომ ვახტანგი იძულებული გახდა, მიეღო ისლამი 1716 წელს. ის ცოტა ხანს მსახურობდა როგორც სპარსეთის არმიის მეთაური და აზერბაიჯანის გამგებელი. იგი მთელი ჩრდილოეთ ირანის არმიის სარდალი გახდა. მას მხარს უჭერდა სომხეთი იმ იმედით, რომ შეძლებდა სომხეთის სახელმწიფოს აღდგენას.

1721 წელს სეფიანთა სპარსეთი სრულ ქაოსში აღმოჩნდა, დედაქალაქი ისპაჰანი Esfahān (Isfahan) ალყაში იყო მოქცეული და იბრძოდა ავღანელებთან, რომლებმაც მოკლეს ვახტანგის ბიძა გიორგი XI და მისი ძმა ქაიხოსრო. მაგრამ ქართლის მეფემ უარი თქვა დაეხსნა ისპაჰანი 7-თვიანი ავღანელების ალყიდან. მიუხედავად ამისა, შაჰს არჩევანი აღარ ჰქონდა და ახლა ბაკურს, ვახტანგის ვაჟს დაავალა ირანის დედაქალაქის დაცვა და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ემუდარებოდა დახმარებას. შაჰმა იცოდა, რომ მხოლოდ ამბავი, რომ ქართველები სპარსეთისკენ დაიძრნენ, საკმარისი იყო ავღანელების უკან დახევისთვის, რადგან მათ ახსოვდათ და პატივს სცემდნენ გიორგი XI-სა და ქაიხოსროს, ამიტომ ალყაში მოაქციეს ისპაჰანი იმ პირობით, რომ ქართველები ამ კონფლიქტში არ ჩაერეოდნენ. ვახტანგ VI-სა და ბაკურის მხრიდან დამხმარე ჯარის გაგზავნაზე უარის თქმით, დედაქალაქი ისპაჰანი დაკარგული იყო

და იგი ავღანელებმა დაიკავეს. მაჰმუდ ავღან ხანმა Mahmud Afghan Khan, რომლის მამამ მოკლა გიორგი XI, 1722 წელს თავი ირანის მმართველად გამოაცხადა. მას ძალზედ ეშინოდა ქართველების და დაუმორჩილებლობის ნაცვლად ქართველებს უფლებები შესთავაზა. შაჰის უმცროსი ვაჟი თაჰმასფი Tahmasp გადარჩა ისფაჰანის ალყაში მოქცევისას და მან აგრეთვე გაუგზავნა ვახტანგსა და ბაკურს მდიდრული საჩუქრები იმ იმედით, რომ მათგან მიიღებდა დახმარებას.

ამავე დროს, ოსმალებმა შესთავაზეს ვახტანგს გაერთიანებულიყვნენ სპარსეთის წინააღმდეგ, მაგრამ მან არჩია რუსების მხარე დაეკავებინა. პეტრეს დაპირებამ, რომ მიაწოდებდა კავკასიელ ქრისტიანებს სამხედრო დახმარებას, დიდი ეიფორია გამოიწვია ქართველებსა და სომხებში, რადგან ორივეს უნდოდა ყოფილიყო რუსეთის მფლობელობაში. 1722 წლის სექტემბერში ვახტანგი 40 ათასიან ქართულ-სომხურ არმიასთან ერთად დაბანაკდა განჯაში, რათა შეერთებოდნენ რუსების ექსპედიციას. ეს იყო პირველი სამხედრო კამპანია კავკასიაში, რომელიც პეტრე დიდმა წამოიწყო 1722 წლის ივლისში, როდესაც მან აიღო დერბენტი და გენერალმა მათიუშკინმა დაიკავა ბაქო. მიუხედავად ამისა, პეტრემ შეაჩერა თავისი კამპანია სენატიდან მიღებული ცუდი ამბების გამო და დაბრუნდა ასტრახანსა და შემდეგ პეტერბურგში. ვახტანგი მიტოვებულ იქნა რუსი მოკავშირისგან და 1722 წლის ნოემბერში თბილისში დაბრუნდა.

თუმცა კავკასიაში ყველაზე დიდი ქრისტიანული არმია შეიქმნა, მაინც ვერაფრის გაკეთება შეძლეს. ამ სიტუაციით ისარგებლა თურქეთმა, რომელიც კახეთის მუსლიმი მეფის მოკავშირე იყო, ვინც დაღესტნიდან დაიქირავა ლეკები და თავს დაესხა ქართლს. 1723 წელს დაკავებულ იქნა თბილისი და 3 დღის განმავლობაში ძარცვავდნენ მას. კონსტანტინოპოლის Constantinople (Kucuk Kainarka) Tractate 1724 წლის ტრაქტატის მიხედვით, თურქეთმა კასპიის ზღვის ნაპირი დაუთმო პეტრეს, საქართველოსა და სომხეთის მფლობელობის სანაცვლოდ. 12 წელი ბატონობდა თურქეთი კახეთსა და ქართლში.

დასავლეთ საქართველო თურქეთის კონტროლის ქვეშ იყო მეფე სიმონთან ბრძოლის შემდეგ. ისევე როგორც მეფე ვახტანგ VI, სიმონიც მთლიანად რუსი პეტრეს იმედზე იყო. პეტრემ სამხედრო ფლოტი ააშენა მდინარე დონზე და დაიკავა აზოვის პორტი. რუსეთი მხოლოდ დღეებით იყო მოშორებული სამეგრელოს, აფხაზეთსა და იმერეთს. გავრცელდა ჭორები ბრიტანელებისა და რუსების შავ ზღვაზე წინ წაწევისა, შვედეთის ციხიდან განთავისუფლებული ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით. დასავლეთ საქართველომ დაიწყო უარის თქმა ოსმალებისთვის ხარკის გადახდაზე, მაგრამ ვახტანგის ფიასკოს შემდგომ თურქების თავდასხმებმა მალე ჩაახშო ეს ურჩობა[1].

[1] ოსმალებს არ უნდოდა დასავლეთ საქართველოს ოფიციალური ანექსია და მოსახლეობის ისლამიზაცია; თუკი ამას გააკეთებდნენ, ვეღარ მიიღებდნენ

თურქეთსა და სპარსეთს შორის ომებში, საქართველოს მოსახლეობის სამი-მეოთხედი ნაწილი განადგურებული იყო და მეფე ვახტანგ VI-მ დედოფალ რუსუდანთან (წარმოშობით ჩერქეზი), მთელ ოჯახთან და 1200 კაციან თანმხლებ ამალასთან ერთად 1724 წელს გადაკვეთა კავკასია რუსეთის მიმართულებით. მათ რუსეთში ჩაიტანეს წმინდა ნივთები, მათ შორის „ლურსმანი“, რომლითაც იესო ჯვარზე გააკრეს. ეს ნივთი ქართველ მეფეს მე-13 საუკუნეში გადაეცა საჩუქრად ბიზანტიის იმპერატორისგან, რომელიც ახლა რუსეთის რომელიღაც მუზეუმში ინახება.

პეტრე გაშმაგებული იყო იმ ფაქტით, რომ ვახტანგმა ქვეყანა ასეთ დროს დატოვა და არ დართო ნება პეტერბურგში დარჩენისა. მეფე არჩილის ქალიშვილს დარეჯანს ძალზედ ახლო ურთიერთობა ჰქონდა პეტრე დიდთან და მოაგვარა პეტრეს და ვახტანგის შეხვედრა, მაგრამ დიდი ტრაგედია იყო მეფისთვის, როდესაც შეიტყო პეტრეს გარდაცვალების ამბავი 1725 წელს. „პაპუნა ორბელიანის ქრონიკების“ „Chronique de Papouna Orbeliani“ მიხედვით, პეტრეს უკანასკნელი სიტყვები იყო „საქართველო იმედდაკარგულია, დაიცავით ის რწმენის გულისათვის და გაგზავნეთ ჯარები ჩემი ხარჯებით“, „Georgia is desperate, protect it in sake of our faith, send the troops on my expenses“. რამდენიმე ხნის წინ განრისხებულმა პეტრემ მოკლა თავისი ვაჟი ალექსეი (ისევე როგორც ივანე მრისხანემ) და აღარ ჰყავდა მემკვიდრე (დანარჩენი 6 ვაჟი ყრმობის ასაკში დაიღუპა). 1722 წელს მან გადაწყვიტა, რომ მემკვიდრე მხოლოდ მეფის არჩევანი იყო და არა გენიალოგიის საკითხი. 1724 წელს მან თავისი მეორე ლიტველ-პოლონელი მეუღლე ეკატერინე I (მართა ჰელენა სკოვრონსკა) Catherine I (Marta Helena Skowronska) გამოაცხადა თანამმართველად და მან იმეფა პეტრეს გარდაცვალების შემდეგ 2 წლის მანძილზე, თუმცა მემკვიდრე არ დაუტოვებია.

ეკატერინე I (1725-1727 წწ.) ეცადა დახმარებოდა სტუმრებს საქართველოდან და გაუგზავნა მნიშვლოვანი თანხა და გადასცა მიწის ნაკვეთი (მათი ვაჟები გახდნენ ცნობილი რუსი გენერლები, ბოროდინოს ბრძოლის გმირი, თავადი პეტრე ბაგრატიონის ჩათვლით, ს. ლაშქარევი (ლაშქარიშვილი) მსახურობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, როგორც თურქული დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სხვა), მაგრამ გეოპოლიტიკურად შეუძლებელი იყო საქართველოს დახმარება ასეთ რთულ პერიოდში. ისიც კი შესთავაზეს, რომ ყველა კახელი დაესახლებინათ რუსეთის დაუსახლებელ

გადასახადებს ურწმუნოებისაგან და ვერ მიიღებდნენ საუკეთესო მონა-მებრძოლებს. მხოლოდ ჩერქეზები დარჩებოდათ. ამასთან, თურქებს გაუჩნდებოდათ ზედმეტი პასუხისმგებლობა ადგილობრივი მუსლიმანების სოციალური უზრუნველყოფისათვის. ასე რომ, მე-18 საუკუნის განმავლობაში სამეგრელო, იმერეთი, აფხაზეთი, გურია და რაჭა ძირითადად ებრძოდნენ ერთმანეთს, რათა რაც შეიძლება მეტი მონა გაეყიდათ ოსმალეთში.

ტერიტორიაზე მდინარე თერგთან, მაგრამ შეთავაზებაზე უარი ითქვა ქართველებისთვის გასაგები მიზეზის გამო.

ეკატერინე I-ის სიკვდილის შემდეგ გვირგვინი გადაეცა არა დედოფლის ქალიშვილს, არამედ ალექსეის ვაჟს პეტრე II-ს (1727-1730 წწ.), რომელიც ძალზედ ავად იყო და მისი სიკვდილის შემდეგ, რომანოვების დინასტიის მამრობითი სქესის პირდაპირი ხაზი დამთავრდა და მეფეს აღარ დარჩა რეალური მემკვიდრე. უზენაესმა საბჭომ აირჩია პეტრეს ძმისწული ანა ივანოვნა, როგორც რუსეთის იმპერატორი 1730 წლიდან 1740 წლამდე. ანა გათხოვებისთანავე დაქვრივდა, ამიტომ შვილები არ ჰყავდა. მან სასიყვარულო კავშირები გააბა ფონ ბირონთან von Biron და ბურქარდტ ქრისტოფ მიუნიხთან Burchardt Christoph Munnich ესპანეთის მემკვიდრეობის ომის ვეტერანთან, რომელიც განათლებით ინჟინერი იყო, მსახურობდა ომის კოლეჯის პრეზიდენტად, და წარმატებით დაასრულა პეტრეს ევროპული (პრუსიული) სტილის სამხედრო რეფორმა, დააარსა მძიმე ჰუსართა ნაწილები და გრენადერები. მისი მთავრობა იმართებოდა გერმანელების მიერ. 1734 წელს იმპერატორმა ანამ ვახტანგ VI-ც კი გაგზავნა სპარსეთში, როგორც დესპანი, მაგრამ სპარსეთი უკვე გაერთიანებული იყო ნადირ შაჰის მიერ და მისია შეჩერებულ იქნა. თურქეთთან ომის მზადების გამო ანამ აღუდგინა სპარსეთს დაპყრობილი ტერიტორიები კასპიის ზღვის გაყოლებით, ბაქოს და დერბენტის ჩათვლით. 1735 წელს რუსეთმა ომი გამოაცხადა ოსმალების წინააღმდეგ, მიუნიხის ამბიციური გეგმების შესაბამისად, რომელიც გეგმავდა კონსტანტინოპოლის აღებას, მაგრამ ეს გეგმა გადაიდო, სანამ გადაწყდებოდა აზოვისა და ყირიმის თემა. რუსეთის ძირითადი ძალები მიუნიხის მეთაურობით დაეშვა დნეპრისკენ, დაიპყრო აზოვი, მაგრამ ყირიმში დამარცხდა.

1740 წელს, ანას სიკვდილამდე 2 კვირით ადრე, მან შვილად აიყვანა პრინც ბრიუნსვიკ-ლუნებურგისა და მეკლენბურგის დედოფლის Prince Brunswick-Lüneburg and Duchess of Mecklenburg 8 კვირის ვაჟი, რომელიც თავის მემკვიდრედ დაასახელა, მეფე ივანე VI. მაგრამ ერთ წელში, 1741 წელს ელისაბედ პეტროვამ, პეტრე I-ის კანონიერმა ქალიშვილმა, გამოიყენა რუსების შოვინისტური გრძნობები შეძლო უბრალო ხალხის კეთილგანწყობა მოეპოვებინა და გვარდიელების მხარდაჭერაც მიიღო, ამით კი ხელში ჩაიგდო გვირგვინი. პრეობრაჟენსკის პოლკი ზამთრის სასახლისკენ დაიძრა, სადაც დააპატიმრეს ჩვილი იმპერატორი და მისი ოჯახი გრაფ მიუნიხთან ერთად. ეს აღმოჩნდა გაბედული სვლა, რომელმაც სისხლისღვრის გარეშე ჩაიარა. მიუნიხი და გერმანელი მსახურები დაპატიმრებულ იყვნენ ღალატისთვის, რომელთაც უნდა აერჩიათ ან სიკვდილი, ან ციმბირში გადასახლება. ანტიუცხოური გრძნობები, პრაქტიკულად ანტიგერმანული, საკმაოდ შორს წავიდა. ფრანგები, რევოლუციებისა და ნაპოლეონის დროსაც კი, პოპულარულნი გახდნენ.

ჩვილი მეფე 25 წლით დააპატიმრეს და როდესაც იმპერატორ ეკატერინე II-ს წინააღმდეგ შეთქმულებმა მოითხოვეს მეფე ივანეს განთავისუფლება,

საიდუმლო ინსტრუქციების შესაბამისად, ციხის ზედამხედველებმა სასწრაფოდ მოკლეს იგი. ივანეს დედმამიშვილები, რომლებიც ციხეში დაიბადნენ, გაგზავნეს მამიდასთან, დანიის დედოფალთან, რათა მეურვე ყოფილიყო და დასახლდნენ იუტლანდიაში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე ეკატერინეს ხარჯით.

იმპერატორი ელისაბედი (1741-1762 წწ.) მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მონარქად მისი მტკიცე ანტიპრუსიული პოლიტიკის გამო და ასევე იმით, რომ მისი მეფობის დროს არც ერთი ადამიანი არ დაუსჯიათ სიკვდილით. გარდა ამისა, იგი ასევე ცნობილი იყო რუსეთის იმპერიის ულამაზეს მმართველად. მაგრამ ის იმპერატრიცა იყო და უყოყმანოდ ჩაება ორ ძირითად კონფლიქტში ევროპაში: ავსტრიის მემკვიდრეობისთვის ომი (1740-8 წწ.) და შვიდწლიანი ომი (1756-63 წწ.), რამაც იმპერიის უზარმაზარი გაფართოება გამოიწვია ყველა მიმართულებით.

მაგრამ არც ელისაბედს ჰყავდა შვილები. მისი მამის, პეტრე დიდის მიერ ორგანიზებული ნიშნობიდან რამდენიმე დღეში, მისი მეუღლე პრინცი ჰოლშტეინ-გოტორფი Prince of Holstein-Gottorp გარდაიცვალა. ელისაბედს მთელი თავისი დარჩენილი სიცოცხლე უყვარდა უკრაინელი გლეხი რაზუმოვსკი, რომელიც ერთ-ერთ უკრაინულ სოფელში ეკლესიაში მგალობელი იყო, სადაც იმპერატრიცა შემთხვევით შევიდა და წირვას დაესწრო. მაგრამ მასზე ქორწინება შეუძლებელი იყო და ამიტომ გაუთხოვარმა და უშვილო დედოფალმა მემკვიდრედ დაასახელა თავისი დისწული კარლ პეტრე ულრიხი Karl Peter Ulrich Duke of Holstein-Gottorp. ელისაბედმა 14 წლის დისწული დაპატიჟა სანქტ პეტერბურგში, სადაც იგი მოექცა ორთოდოქს-ქრისტიანულ ეკლესიაში და დინასტიის გასამტკიცებლად ელისაბედმა პრინცესა სოფია Princess Sophie of Anhalt-Zerbst დანიშნა თავის დისწულის საცოლედ. რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მოქცევის შემდგომ სოფიას სახელი შეუცვალეს და ელისაბედის დედის პატივსაცემად ეკატერინე დაარქვეს (მოგვიანებით იმპერატრიცა ეკატერინე II).

ასე რომ, ელისაბედის სიკვდილის შემდეგ, 1762 წელს, 6 თვის განმავლობაში სამეფო ტახტი დაკავებული ჰქონდა კარლ-პეტრე ულრიხ ჰოლშტეინ გოტორფს პეტრე III-ის სახელით. ამით ჰოლშტეინ-გოტორფის დინასტიის შტო იღებს სათავეს რუსეთში. ჰოლშტეინი პატარა საჰერცოგო იყო ჩრდილოეთ გერმანიაში, რომლის დედაქალაქიც იყო კილი, გოტორფის შტოს მეთაურობით ოლდენბურგის ოჯახიდან. ეს ოჯახი დიდი ხნის განმავლობაში იყო რომანოვების დინასტიასთან დაახლოებული და ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ეკავა რუსეთის ადმინისტრაციაში. ყველა რომანოვი მეფის ცოლი ჰოლშტეინ-გოტორფის ოლდენბურგის ოჯახიდან იყო. ეკატერინეს დედაც ასევე ამ ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ. სწორედ ამის გამო ოლდენბურგები პრივილეგიით სარგებლობდნენ რომანოვების რუსეთის იმპერიაში. საერთოდ პარადოქსულია, რომანოვები პირდაპირ არ დაქორწინებულან არც ერთ მმართველ (რა თქმა უნდა, არამეზობელ) ევროპულ დინასტიის წარმომადგენელზე.

პეტრე III-ს სძულდა რუსები და საჯაროდ აცხადებდა, რომ არა იმპერატორის სტატუსი, სიამოვნებით გახდებოდა პრუსიელი გენერალი და ირგვლივ შემოიკრებდა ჰოლშტეინებს. ერთადერთი ომი, რაც პეტრეს, როგორც ჰოლშტაინის გრაფს, აინტერესებდა დანიის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, რათა დაებრუნებინა თავისი საგრაფოსთვის შლეზვიგი (Schleswig). მისმა ცოლმა ეკატერინემ (Anhalt-Zerbst)ოსტატურად გამოიყენა ეს სიტუაცია და შოვინისტურ გრძნობებზე დაყრდნობით, პეტრეს ბრალი დასდო არაპატრიოტული ომის წამოწყების დაგეგმვაში. ეკატერინეს იმდენად ბევრი ინტიმური თაყვანისმცემელი ჰყავდა გარემოცვაში და გვარდიაში, რომ შეთქმულების მოწყობა მისი ქმრის წინააღმდეგ რთული არ იქნებოდა. ეს დამთავრდა იმით, რომ გვარდიელებმა ორლოვის მეთაურობით მოკლეს პეტრე ეკატერინეს პირადი სურვილის გამო 1762 წელს.

მაგრამ ეკატერინე II (1762-1796 წწ.) მისი ურიცხვი და ტალანტით დაჯილდოებული თაყვანისმცემლების მეშვეობით გახდა ძალზედ წარმატებული მმართველი[1] და დაიწყო საგარეო საქმიანობის აღორძინება, კავკასიის პოლიტიკის ჩათვლით.

ვახტანგ VI გარდაიცვალა 1737 წელს, როდესაც სპარსეთში არჩასული ასტრახანიდან ბრუნდებოდა უკან. მან დატოვა ცნობილი სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. ის ავტორი იყო კარგად ცნობილი წიგნისა „ქიმია“. სწორედ მან ვლახეთის ქართველი მეუფე ანთიმოზის archbishop of Walachia Anthim დახმარებით დააარსა პირველი ტიპოგრაფია საქართველოსა და მთელს კავკასიაში, 1712 წელს.

მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველო განაგრძობდა თურქებთან ბრძოლას[2]. მაგრამ ამ დროს ირანმა დაიწყო გაძლიერება. 1726 წელს ქრისტიანი გივი ამილახვარი თურქების მიერ მმართველად იყო დანიშნული. მას მიეცა შესაძლებლობა ფარულად ემუშავა ქართველების გაერთიანებაზე. 1734 წელს გამოჩნდა მიზეზი, როდესაც თამაზ ყული ხანი (მოგვიანებით ნადერ-ნადირ შაჰი) Tamaz Kuli Khan (later Nader-Nadir Shah), ირანის ერთ-ერთი ტომის მმართველი, აჯანყდა თურქების წინააღმდეგ. ამილახვარმაც ისარგებლა შემთხვევით და აიღო თბილისი. 1735 წელს თამაზ ყული ხანი თბილისში შევიდა როგორც მოკავშირე, მაგრამ, როდესაც ამილახვრის ქალიშვილი მოიტაცეს ყიზილბაშებმა ნადირ შაჰის მეთაურობით იმ მიზნით, რომ შეერთო მისი ვაჟისთვის, ბრძოლა გაჩაღდა მათ შორის და ამილახვარი დატყვევებულ იქნა. 1736 წელს სეფევიდების (სეფიანთა) დინასტიის ბოლო ირანის შაჰი მოკლეს ნადირის მეთაურობით და ახლა იგი აირჩიეს შაჰად. მისი პოზიციები კონსოლიდირებულ იქნა. რუსებმაც კი (იმპერატორი ანა) დააბრუნეს ბაქო და დერბენტი 1732-34 წწ-ში.

---

[1] მისი მეუღლე, პეტრე III, არასდროს ლაპარაკობდა გამართული რუსულით, როცა ეკატერინე II წერდა რუსულად პოემებსა და ლიბრეტოებსაც კი.

[2] თუმცა ნადირ შაჰი წარმოშობით თურქი იყო.

როდესაც 1737-38 წწ-ში ნადირ შაჰმა დაიწყო შეტევა ავღანელებზე, არავინ დარჩა, რათა ეხელმძღვანელა ირანის არმიისთვის, გარდა ქართველი ამილახვრისა. ქართველი დიდგვაროვანი გაათავისუფლეს და დაინიშნა ირანის ძალების ხელმძღვანელად ავღანელების წინააღმდეგ. მადლიერების ნიშნად მისი წარმატებისა ავღანეთში, ის დააბრუნეს საქართველოში მმართველად 1741 წელს. 1744 წელს ის აჯანყდა ირანელების წინააღმდეგ. მეფე თეიმურაზ II და მისი ვაჟი ერეკლე II ქართულ და ირანელ ჯართან ერთად გაემართა პრორუსული ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამილახვარს ალყა შემოარტყეს სურამის ციხეში, მაგრამ არ დანებებულა. ნადირ შაჰი მიხვდა, რომ იგი დაუმარცხებელი იყო და კომპრომისი შესთავაზა: თუ იგი დანებდებოდა, შაჰი დათანხმდებოდა მიეღო თეიმურაზ II და მისი ვაჟი ერეკლე II როგორც ქრისტიანები. მაღალი ეროვნული ინტერესის გამო იგი დათანხმდა საქართველოს მეფესა და დედოფლის წინაშე დანებებას. დასჯის მიზნით ნადირ შაჰმა შესთავაზა ან დაბრმავება, ან ირანში დაბრუნება. ამილახვარმა დაბრმავება აირჩია, მაგრამ ბოლო მომენტში ის გაგზავნილ იქნა ირანში, მიიღო ისლამი და კვლავ დაინიშნა ირანული არმიის მეთაურად.

შეპირებისამებრ, 1744 წელს ნადირ შაჰმა თეიმურაზი ქართლის და მისი ვაჟი ერეკლე კახეთის ქრისტიან მეფეებად დანიშნა, რამაც შესაძლებელი გახადა მომავალში ეს ორი ქართული სამეფო გაერთიანებულიყო. ნადირ შაჰმა მის დისწულს, რომელიც შემდეგ მისი მემკვიდრე გახდა როგორც ადელ შაჰი, შერთო თეიმურაზის ქალიშვილი. 1745 წელს ქრისტიანი მეფე **თეიმურაზ II** (1744-1762 წწ.), საუკუნენახევრის შემდეგ, ირანელი ოფიცრების თანდასწრებით, პირველად ეკურთხა სვეტიცხოველში მეფედ. მხოლოდ ძველი წიგნები აძლევდა კათალიკოს ანტონს შესაძლებლობას განეახლებინა მეფედ კურთხევის ტრადიცია. მეფე თეიმურაზმა და ერეკლემ მოგვიანებით აჩვენეს თავიანთი უდიდესი პატრიოტიზმი.

1747 წელს ქართველი მეფეები თეიმურაზ II და ერეკლე II აჯანყდნენ ირანის წინააღმდეგ. ერთხელ, როდესაც მეფე თეიმურაზის ოჯახი ალყაში ჰყავდათ მოქცეული ყიზილბაშებს ოლთისში, ადგილობრივმა ებრაელებმა აიღეს იარაღი და დადგნენ ქართველების გვერდით, რათა დაეცვათ მეფის ოჯახი. ნადირ შაჰმა კვლავ დანიშნა ამილახვარი (რომელმაც დაამარცხა ნადირ შაჰი თითქმის 10 ბრძოლაში) 30 000 კაციანი ირანის არმიის სათავეში ქართველების წინააღმდეგ. მაგრამ 1747 წელს შაჰის მკვლელობამ და მომდევნო არეულობამ ირანში, ქართლ-კახეთში ლაშქრობა ჩაშალა. მთელმა ირანულმა გარნიზონმა დატოვა ქართლ-კახეთი (აღმოსავლეთ საქართველო). 1749 წელს ამილახვარმა შეკრიბა გადარჩენილი ქართველები ირანში და უკან საქართველოსკენ გამოიჭრა ბრძოლით. იგი ეახლა თეიმურაზს და ერეკლეს და კვლავ ქრისტიანობა მიიღო. თეიმურაზმა იგი დანიშნა თბილისის მოურავად, 1748 წელს 207 წლის ოკუპაციის შემდეგ. ამილახვარმა ააგო თბილისში ტაძარი ქაშვეთი, სადაც არის დაკრძალული.

ერეკლე II

ერეკლე II ბაგრატიონი კახეთის მეფე იყო 1744 წლიდან 1762 წლამდე და მამის, თეიმურაზ II-ის სიკვდილის შემდეგ, ქართლის და კახეთის მეფე 1762 წლიდან 1798 წლამდე, რამაც სამი საუკუნის შემდეგ გააერთიანა საქართველო პოლიტიკურად. მან კარგად იცოდა, რომ სამი ძირითადი ძალა ირანი, თურქეთი და რუსეთი იბრძოდა ამიერკავკასიაში უპირატესობის მოსაპოვებლად. საქართველო იძულებული იყო, არჩევანი გაეკეთებინა ამ სამი სახელმწიფოდან. და არჩეულ იქნა რუსეთი. რუსეთი იყო საქართველოს კარი ევროპისკენ.

ადრეულ წლებში ერეკლე ირანის დედაქალქში ნადირ შაჰის კარზე იზრდებოდა, სადაც მიიღო განათლება და ყოველთვის იცმევდა სპარსულ სტილში. 1737 წელს 80 000 ირანელმა აიღო კანდაღარი. ერეკლე ბატონიშვილი და გივი ამილახვარი ხელმძღვანელობდნენ 8000-იან ქართულ კავალერიას. ამის შემდეგ ნადირმა განაგრძო თავისი კამპანია და წაიყვანა ერეკლე თავის 1000 კაციან კავალერიასთან ერთად ინდოეთისკენ ლაშქრობაში 1737-40 წწ-ში (Brosset, pp. 206-7). გზაზე სინდეში ნადირი მივიდა სვეტთან, სადაც იყო წარწერა, რაც იუწყებოდა, რომ სიკვდილი ელოდა, ვინც ამ სვეტის მიღმა გაივლიდა. ერეკლე იმ დროს 19 წლის იყო და მარტივად მოაგვარა პრობლემა, ბრძანა სვეტი გადაეტანათ სპილოს ზურგზე, რომელიც ჯარის წინ იყო. ერეკლე ძალზედ მდიდრულად დააჯილდოვეს.

დიდი მოგოლის იმპერია განადგურდა და დელი და ლაჰორი გაძარცვულ იქნა. დელის არმიას ჰყავდა ასობით სპილო, მაგრამ ნადირმა მათ წინააღმდეგ ცეცხლწაკიდებული აქლემები გამოიყენა. სპილოები შეშინებულები გაიქცნენ და გადათელეს თავიანთი არმია. ლეგენდის მიხედვით, პირველი, ვინც დელიში შეიჭრა იყო 19 წლის ქართველი გოგია ქამხაძე. თავიდან ნადირ შაჰი არ იყო მკაცრი დელის მოსახლეობის მიმართ და მიზნად დაისახა პრინცესა ცოლად შეერთო მის ვაჟს, რათა მისი დინასტია ლეგიტიმურად აღიარებული გამხდარიყო. მაგრამ ქორწინებაზე სწორედ ამ მიზეზის გამო ეთქვა უარი, რადგან ის არ წარმოადგენდა სამეფო დინასტიის ოჯახს. შაჰი ისე განრისხდა, რომ თავის ჯარისკაცებს უბრძანა გაეძარცვათ და დაერბიათ ქალაქი. გაძარცვული ქალაქის სიმდიდრე 13 000 ტომრით გაიტანეს, კოხინორის ბრილიანტისა[1] და მოგოლების ტახტის ჩათვლით. დაახლოებით ერთი წელი

[1] ეს ალმასი ერთი საუკუნის შემდეგ ხელში ჩაიგდო ავღან შაჰმა, როდესაც ის დაბრუნდა პენჯაბის მაჰარაჯაში, ლაჰორში (ახლა ის დედოფალ ელისაბედის გვირგვინს ამშვენებს).

დასჭირდა, რათა გადაეზიდათ ყველაფერი ირანში. ირანის მოსახლეობა სამი წლის განმავლობაში გათავისუფლებული იყო გადასახადებისგან. ინდოეთის კამპანიის შემდეგ ნადირი მოუბრუნდა თურქესტანს და დაიპყრო ბუხარა.

ერეკლე ხანი დაჯილდოვებულ იქნა ინდოეთში წარმატებული ბრძოლისთვის (შაჰისგან მდიდრული საჩუქრები მიიღო). ერეკლემ მიიღო სამხედრო მმართველის ტიტული და მიჩნეულ იქნა, როგორც ნადირ შაჰის მოსწავლე საბრძოლო ხელოვნებაში.

უძველესი იმპერიული ტრადიციების შესაბამისად, ნადირ შაჰი ეცადა დაეარსებინა ზესახელმწიფო მრავალი რელიგიით. მან ბრძანა წმინდა ბიბლიისა და თალმუდის თარგმნა. თუმცა რელიგიური შიიტის მოვალეობა აიძულებდა, რომ თავს დასხმოდა თურქეთს და გაეთავისუფლებინა ბაღდადი და კერბელა, მან ბრძანა პატივი ეცათ სუნიტებისთვის. ნადირზე ამბობენ, რომ იგი ინდიფერენტული იყო რელიგიების მიმართ და ფრანგი იეზუიტი, რომელიც მისი პერსონალური ექიმი იყო, ამბობდა, რომ ძალზედ ძნელი იყო გარკვევა, თუ რომელ რელიგიას მისდევდა, ხოლო სხვები ამბობდნენ, რომ იგი საერთოდ არ იყო რელიგიური.

1741 წელს ნადირი გაემართა დაღესტანში 100 000 კაციან არმიასთან ერთად, რათა შური ეძია მისი ძმის სიკვდილზე და დაედანაშაულებინა რუსეთთან და თურქეთთან კავშირის გამო. დერბენტი მან უპრობლემოდ აიღო, მაგრამ მომდევნო პარტიზანული ომის დროს ტყეებში, დიდი დანაკარგის გამო უკმაყოფილო დაბრუნდა. სიცოცხლის ბოლო წლებში ნადირ შაჰი ჭკუიდან შეიშალა და ბრძანა თვალები დაეთხარათ მისი უფროსი ვაჟისთვის, ივანე მრისხანეს მსგავსად, და მოგვიანებით მან დააბრმავა მთელი მისი სამეფო კარის მსახურნი, რადგან მათ ხელი არ შეუშალეს საკუთარი ვაჟის დაბრმავებაში. მისი უახლოესი მსახურები შეშინებულნი იყვნენ, რადგან განიზრახა მათი სიკვდილით დასჯა და ამიტომ შეთქმულება მოაწყვეს შაჰის წინააღმდეგ. 1747 წელს იგი მოკლულ იქნა ხანჯლით დაცვის უფროსის მიერ. ნადირ შაჰის იმპერია განუკითხაობამ მოიცვა.

თეიმურაზი ირანში გაემგზავრა, საიდანაც ეფექტიანად აკონტროლებდა სიტუაციას. ადელ შაჰი, ნადირის შთამომავალი, იყო სწორედ ის, ვინც დაგეგმა შეთქმულება და რომელსაც ცოლად ჰყავდა თეიმურაზ II-ის ქალიშვილი. ამ უკანასკნელს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მეტოქეებთან და გავლენის მოხდენაც კი შეეძლო ირანის გარე და შიდა პოლიტიკაზე, მათ შორის ქართლ-კახეთის სასიკეთოდ. სომხეთის ერევნის, აზერბაიჯანის ქიზიყისა და განჯის სახანოები ქართლ-კახეთის მფარველობის ქვეშ იყვნენ. ერეკლე II-სა და მამამისს ირანის ყველა მოწინააღმდეგესთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ და ძალზედ გავლენიანნიც იყვნენ. ვერც ერთი ირანელი შაჰი ვერ დაკანონდებოდა მათი მხარდაჭერის გარეშე.

ერთხელ, ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ, ანარქიის დროს, ერთ-ერთი იმ შაჰებიდან, რომლებიც მხოლოდ ცოტა ხნით იკავებდნენ ტახტს, გაძარცვულ

იყო მისი პირადი მცველების მიერ. მათ წაიღეს შაჰის პირადი ხმალი, სკიპტრა, გვირგვინი, სამეფოს ყველა სიმბოლო და გადავიდნენ თურქმენ ტომთან ერთად სასომხეთში. ერეკლე II დახვდა მათ სომხეთში, ამოჟლიტა ყველა მათგანი და ძვირფასეულობა ტრიუმფით დაბრუნდა სპარსეთში.

1748-60 წწ-ში თეიმურაზმა დააყენა ახალი შაჰი შაჰრუხ აფშარი Shahrukh Afshar, რომელიც რეგულარულად უგზავნიდა მას საჩუქრებს. თეიმურაზი და მისი ვაჟი ერეკლე დანიშნა მთელი ირანის არმიის მთავარსარდლად, რაც ტრაგიკულად დასრულდა, როცა შაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს და დააბრმავეს ხალხის საყოველთაო უკმაყოფილების გამო. ეს ძირითადად გამოწვეული იყო მისი ქართველი ფავორიტის რასულ ბეგის Rasul Beg თავგასული ქცევით მისი სიუზერენის ჰარამხანაში.

1760 წელს თეიმურაზმა გაგზავნა 4 000 ქართველი მხედარი აზად ხანის Azad Khan მხარდასაჭერად (წარმოშობით ავღანელი[1]). ერეკლეს მეგობარი იყო, რომელთან ერთადაც იბრძოდა დელიში ნადირ შაჰის მეთაურობით, ირანის სამეფო გვირგვინის მოსაპოვებლად. აზად ხანს ცოლად ჰყავდა ქართველი მეუღლე, თეიმურაზის შვილიშვილი. როდესაც იგი დაამარცხა ქერიმ ხან ყაჯარმა Karim Khan Kajar, თეიმურაზს მოუწია საქართველოში დაბრუნება 1761 წელს. თეიმურაზს ქერიმ ხანმა მოსთხოვა, რომ აზად ყაენი დაებრუნებინა ირანში, მაგრამ ქართული ტრადიციების გამო, მან უარი თქვა ამის გაკეთებაზე. 1762 წელს აზადი დაბრუნდა ირანში როგორც საპატიო პენსიონერი.

1752 წლის 2 თებერვალს რუსულ გაზეთში „სანქტ-პეტერბურგ ნოვოსტი“-ში დაიწერა შემდეგი რამ: „სპარსეთი დანაწევრებულია 16 პროვინციად, რომელთაც ცალ-ცალკე ჰყავთ მმართველად შაჰები. ქართველი პრინცი ერეკლე ყველაზე წარმატებულია, რომელსაც ჰყავს თავისი არმია ისპაჰანის მახლობლად და მოსალოდნელია, რომ ის გახდეს მთელი ირანის შაჰინ შაჰი“. 22 მარტს რუსული „ვედომოსტი“ წერდა, რომ „პრინც ერეკლეს მიღწევებით შეშინებული დაუდ შაჰი გაიქცა და თან წაიღო წმინდა ოქროსგან დამზადებული გვირგვინი“. ნეპლიუევმა Neplyuev, რუსეთის ელჩმა თურქეთში, აღიარა ერეკლე როგორც „სრულუფლებიანი მმართველი“. ირანში ერეკლეს გამარჯვებები რუსეთის შეშფოთებას იწვევდა, ვინაიდან რუსეთს კავკასიაზე და საქართველოზე საკუთარი გეგმები ჰქონდა და არ იყვნენ დარწმუნებული, როგორ მოიქცეოდა ერეკლე, თუ თავის პოზიციებს გაიმაგრებდა რეგიონში, მით უმეტეს, თუ შაჰად გამოცხადდებოდა. ამიტომ დიპლომატიური გზით ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ქართველების წინსვლას.

---

[1] მიუხედავად იმ ტრაგიკული ამბებისა, რომ ავღანეთში მოკლეს ქართველი გურგენ ხანი Gurgin Khan, ქართველ- ავღანელების საერთო ინტერესი იყო ირანის ცენტრალური ძალის წინააღმდეგ ბრძოლა, რისი შედეგიც გახლდათ ქართველების მიერ ავღანეთის დამოუკიდებლობის მხარდაჭერა და მე-18 საუკუნიდან ჩამოყალიბებული ურთიერთპატივისცემა.

ერეკლე ამას ხედავდა, მაგრამ არჩევანი არ ჰქონდა: პროევროპული ქრისტიანული მიმართულება რუსეთზე გადიოდა[1]. თეიმურაზი იძულებული იყო, წასულიყო რუსეთში იმპერატრიცა ელისაბედთან ფულადი დახმარების სათხოვნელად 1760 წელს, სადაც ის 1762 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა ასტრახანში, ქართველი მეფის ვახტანგ VI-ის გვერდით.

ახლა ერეკლე აგრძელებდა ირანის წინააღმდეგ ბრძოლას. ეკატერინე II ცნობილ საუბრებში ვოლტერთან Voltaire ერეკლე II-ზე ამბობს: „ქართველები იბრძვიან თურქებთან. ერეკლე მამაცი და ძლიერია. მისი მეშვეობით, სპარსელებმა ნადირ შაჰის მეთაურობით შეძლეს დაეპყროთ ინდოეთი“. მთელი ამ დროის განმავლობაში თურქებთან ბრძოლა არასდროს შეწყვეტილა. ერეკლემ გააძლიერა აღმოსავლეთ საქართველო. 1752 წლიდან დასავლეთ საქართველოში იმერეთში ტახტზე ავიდა წინდახედული და ენერგიული მეფე სოლომონ I. მან გააძლიერა სამეფო ძალა და დაამარცხა თურქები რამდენიმე ბრძოლაში, ასევე აკრძალა მონებით ვაჭრობა. მათ ხელი მოაწერეს საერთო სამხედრო ხელშეკრულებას. ევროპაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმაც ხელი შეუწყო ამ საერთო გეგმების განხორციელებას[2].

ამ დროს რუსეთ-პრუსიის ომი 1764 წელს დასრულდა ზავით, რომელიც რუსეთსა და პრუსიის მიერ პოლონეთის დაყოფის ნიადაგს ამზადებდა და ამ მიზნით (კონკურენტის ჩამოშორების მიზნით), საიდუმლო შეთანხმებით, პრუსია გადაიხდიდა ყოველწლიურად 400 000 ოქროს, თუკი რუსეთი დაიწყებდა ომს მათ საერთო მტერთან თურქეთთან. ომის მიზეზიც მალე გამოჩნდა. 1768 წელს თურქეთმა მოითხოვა პოლონეთის დამოუკიდებლობა (მათ უნდოდათ სათავეში თავისივე წარმომადგენელი ყოფილიყო) და გამოუცხადა რუსეთს ომი. მთელი ევროპა ცდილობდა რუსეთის ყურადღება მიემართათ სამხრეთისკენ.

---

[1] ერეკლე II-სა და სოლომონ I-ის მცდელობა, რომ გამოეყენებინათ რუსეთის ჯარები რუსეთ-თურქეთის ომში 1768-1774 წწ-ში ჩაიშალა რუსი გენერლის ტოტლებენის General Totleben (or Todtleben) მუხანათური ქმედებების გამო, რადგან ძლიერი და გაერთიანებული საქართველო არასდროს შედიოდა რუსეთის ინტერესებში.

[2] სამწუხაროდ, ეს მიმართულება რუსეთის მიერ ეფექტიანად აღმოჩნდა დაბლოკილი. უფრო მეტიც, რუსეთი თავის თავის გაევროპელებასაც წინააღმდეგობას უწევდა და ახლაც უწევს. მას შემდეგ, რაც მოიპოვა დიდი წარმატება სამამულო ომში ანგლო-საქსონური მხარდაჭერით ან სოციალიზმის დანგრევის შემდეგ იგივე ანგლო-საქსონების დახმარებით ეკონომიკური კრიზისი გადაიტანეს, მაინც ურჩევნიათ იცხოვრონ გაჭირვებულად, მაგრამ ძალ-ღონეს არ იშურებენ პარადოქსულად და მანიაკალურად ანგლო-საქსონებთან ბრძოლაში. ეს ტიპიური ხაფანგია შექმნილი ბიუროკრატიის მიერ, რათა გამართლდეს მისი უზომო არსებობა. ასეთივე რიტორიკა იყო აღმოსავლეთ გერმანიაში დასავლეთის შესახებ, საერთოდ აღმოსავლეთ ევროპაში დასავლეთის, კომუნისტურ ვიეტნამში კაპიტალიზმის, კომუნისტურ ჩინეთში ტაივანის და ჰონგ კონგის შესახებ. მაგრამ მათი შერიგების შემდგომ ყველა შიში გაქრა და ისინი ბედნიერად ცხოვრობენ. მხოლოდ ჩრდილოეთი კომუნისტური კორეის მოსახლეობა არის დარწმუნებული, რომ დაიხოცებიან სამხრეთთან გაერთიანების შემთხვევაში.

ეკატერინე II იძულებული გახდა, მიბრუნებოდა კავკასიელ ქრისტიანებს და ქართველი ოფიცერი ქობულოვიც Kobulov გაგზავნა დასაზვერი მისიით.

გენერალი გოტლიე-კურტ ჰაინრიხ ფონ ტოტლებენი General Count Gotlieb-Kurt Heinrich von Totleben დაინიშნა რუსეთის ამიერკავკასიური საექსპედიციო ძალების მეთაურად. ის რუსულ ძალებში დაქირავებული მეომარი იყო პრუსიასთან ომის დროს და 1760 წელს მიაღწია წარმატებას ბერლინის მოულოდნელად აღებით, მაგრამ, რადგან მას ურთიერთობა ჰქონდა პრუსიის მეფე ფრედერიკ II-სთან, მოღალატედ ჩაითვალა და დაკავებულ იქნა თავისივე ოფიცრების მიერ. ტრიბუნალის შემდეგ გადაწყვეტილი იყო მისი სიკვდილით დასჯა. მაგრამ ეკატერინემ შეამსუბუქა სასჯელი, ბრძანა წაერთმიათ ქონება და 1763 წელს გააძევა რუსეთიდან. მან 1769 წელს შეწყალება სთხოვა ეკატერინეს, მოუბოდიშა და ის გაიგზავნა კავკასიაში, რათა აღედგინა მისდამი დაკარგული ნდობა. ყველა მისი ოფიცერი იყო გერმანელი და აგრეთვე რამდენიმე ქართველი ემიგრანტი. ექსპედიციის მიზანი იყო ძალზედ მარტივი, დაერწმუნებინა ერეკლე და სოლომონი დაეწყოთ საომარი მოქმედებები თურქეთის წინააღმდეგ, რათა შეემცირებინათ თურქეთის ძალები ევროპაში. ქართველი თავადი მოურავოვი Mouravov დანიშნულ იქნა კამპანიის პოლიტიკურ მრჩევლად და რეგულარულად უნდა ეგზავნა საიდუმლო რაპორტები. როდესაც ტოტლებენის 480 კაზაკმა გადმოკვეთა კავკასია 1769 წელს მათი მოქმედებები იმდენად უყურადღებო და მტრული იყო, რომ გამოიწვია ადგილობრივებთან კონფლიქტი (ოსები, ლეკები, კახელები და სხვა) და მხოლოდ ქართველმა ოფიცერმა რათიანოვმა Ratianov შეძლო კონფლიქტის მოგვარება.

რუსეთის მეფეს ამცნეს, რომ: „ოსებმა Ossetians წინააღმდეგობა გაუწიეს ქრისტიანობის მიღებაზე. კონვერტების რაოდენობა კი უფრო მეტი იყო, ვიდრე მოსახლეობა. ეს ფაქტი კი იმან გამოიწვია, რომ საჩუქრებით მოხიბლულნი იყვნენ რუსეთის მთავრობის მხრიდან და ეს ნივთები იყო ვერცხლის რუბლი და ვერცხლის ჯვარი, ამიტომ რამდენჯერმე ცხადდებოდნენ ნათლობაზე, მით უმეტეს, რომ რუსი მღვდლები თავიანთ რეგისტრს ძალზედ დაუდევრად აწარმოებდნენ. სვანები Souanians მაღლები და ძლიერები არიან, რომელთაც ბევრი ლაშქრობის ატანა შეუძლიათ. არეულობების დროს ისინი ყაჩაღობენ და ყიდიან მათ შვილებს, როგორც მონებს. მათ ძალზედ სუსტი რელიგიური გრძნობა აქვთ, საერთოდაც თუ აქვთ. ისინი თავიანთ ცოლებს საიმედოდ მალავენ და მრავალცოლიანობა აკრძალულია, მაგრამ ყველა კაცი ვალდებულია ცოლად შეერთო მისი ძმის ქვრივი მეუღლე. ყარაჩაები Karatchai აღიარებენ, რომ ისინი მადიარების Magyars შთამომავლები არიან. მაგრამ მათი ენა ისევე განსხვავდება უნგრელებისგან, როგორც ოსური. რაც შეეხება ქართველებს, ისლამი ვერასდროს გაიდგამდა ფესვებს მათთან, რადგან განსაკუთრებული სიყვარული აქვთ ღორის ხორცისა და ღვინის“.

ტოტლებენის ვიზიტის დროს სოლომონთან და ერეკლესთან, ერეკლეს ძალზედ ანცვიფრებდა ის ფაქტი, რომ ევროპელი ოფიცრებიდან ვერც ერთი ვერ საუბრობდა რუსულად. თავად ტოტლებენმაც არ იცოდა რუსული ენა, ამიტომ

პეტერბურგში მოხსენებებს ფრანგულ ენაზე გზავნიდა. იტალიელი კაპუცინები იყვნენ თარჯიმნები, რადგან რომაელი დომინიკელები მეფე ერეკლეს ნდობით სარგებლობდნენ, რათა დაემყარებინა ცივილიზებულ დასავლეთ ევროპასთან კავშირი (მოგვიანებით რუსების მიერ იტალიელი კათოლიკეები ჩაანაცვლეს გერმანელმა პროტესტანტებმა, რომელთაც ენდობოდა გერმანული წარმოშობის რომანოვები). ტოტლებენი თურქეთის დესპანს თბილისის ქუჩებში შეხვდა და გადაწყვიტა გაეტაცებინა იგი. ეს გეგმა მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც რუსი კაზაკები დათვრნენ ჩასაფრებაში. ერეკლე ძალზედ გააბრაზა ტოტლებენის ასეთმა ქმედებამ. ტოტლებენი ყოველგვარი სამხედრო წარმატების გარეშე დაბრუნდა მოზდოკში, რათა გაძლიერებულიყო და 1200 რაზმთან ერთად შეუერთდა ერეკლეს, რომ აეღოთ ახალციხე 1770 წელს. მაგრამ მან მალე უკან დაიხია და ერეკლე მიატოვა მარტო 3000 ქართველ მებრძოლთან ერთად 10 000 თურქის წინააღმდეგ. საბედნიეროდ, ერეკლე წარმატებული აღმოჩნდა ამ ბრძოლაში, მაგრამ რუსეთის მეფეს გაუგზავნა საჩივარი წერილი, რომ ტოტლებენმა შეთქმულება მოუწყო მას და თურქებთან მარტო დატოვა.

შურისძიების მიზნით რუსეთის რაზმში მყოფმა ქართველმა ოფიცრებმა მოაწყვეს შეთქმულება, რათა ტოტლებენი დაეპატიმრებინათ ისევე, როგორც ეს მოხდა პრუსიაში. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ მოურავოვი, ჩოლოკოვი, შალიკაევი, ქობულოვი, რატიანი და ტომსკის პოლკიც კი. მაგრამ ერეკლემ შეთქმულება არ მოიწონა და ისინი იყვნენ დაპატიმრებული და რუსეთში გაგზავნილი. ამასთანავე, ტოტლებენი საიდუმლოდ ფრანგულად მიწერილ წერილში რუსეთის იმპერატორს ეკატერინეს ურჩევდა, რომ დაეთხოვა ყველა ქართველი ოფიცერი მისი არმიიდან, რადგან ეთნიკურად ქართველი ჩოლოკოვ-ჩოლოყაშვილი, ოფიცერ-არტილერისტი, და ასევე თარხანმოურავი, ეხმარებოდნენ ერეკლე მეფეს ქვემეხების ადგილობრივი წარმოების მოგვარებაში. რუსულმა იმპერიამ ისინი ტიპიურად დასაჯა, ჩამოაქვეითა სამხედრო წოდებაში, მაგრამ რამდენიმე წელში სიმამაცისთვის კვლავ დაუბრუნა წოდება. ურჩი ოფიცრებისთვის მუდმივად იყო ადგილი რუსეთის იმპერიის სამსახურში თავგანწირვისთვის, მაგრამ შთამომავლობა ვერასოდეს გაიგებს მათ ბედს იმპერიის უსასრულობაში.

არტილერიის წარმოების პირველი მცდელობის განმავლობაში, 1766 წელს ერეკლემ რუსეთიდან მიიწვია ქართველი პაატა ანდრონიკაშვილი და დანიშნა კახეთის არტილერიის მმართველად. მან თავის მეომრებთან ერთად ენერგიულად დაიწყო ბოდბეში მშენებლობა, რამაც გაზარდა ადგილობრივად ჯარისკაცების საკვების გადასახადი. ამან გამოიწვია კონფლიქტი ადგილობრივ გაუნათლებელ მოსახლეობასთან და არტილერისტებმა უარი განაცხადეს მშენებლობის გაგრძელებაზე. ერეკლემ მშენებლობა თავისი ხარჯებით გააგრძელა, მაგრამ მალე ესეც შეჩერდა და ზარბაზნების არარსებობის გამო ამ ხალხის უმრავლესობა სოცოცხლეს გამოესალმა.

ამასობაში იმერეთის მეფემ სოლომონმა აიღო შორაპანი, ხოლო ქუთაისი[1] ალყაში მოაქცია 1770 წელს. ტოტლებენი სასოწარკვეთილი გადავიდა დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, რათა აქ მაინც რაიმე სახის სამხედრო წარმატება მოეპოვებინა. ყველაფერი კვლავ კატასტროფით დასრულდა. თავიდან სოლომონი მოხარული იყო ამ გაძლიერებით, მაგრამ როცა დაინახა კაზაკების ინტერესი მხოლოდ მარადიორობა იყო, მოლაპარაკება აწარმოა თურქ ფაშასთან, და სავარაუდოდ, გამოსასყიდის ნაცვლად, ღამით ნება დართო დაეცალათ ქალაქი. გაშმაგებულმა ტოტლებენმა სოლომონს „თურქი“ უწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისი დაკარგეს, თურქები საზღვართან დაბანაკდნენ იმის იმედით, რომ რუსები მალე დატოვებდნენ ტერიტორიას. ამავე დროს სოლომონ I იძულებული იყო დათანხმებულიყო ტოტლებენის მუხანათურ გადაწყვეტილებას და ნება დართო, აეფეთქებინათ იმერეთის ყველა ციხესიმაგრე, რადგან თურქები ვერ ახერხებდნენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის კლასიკურ ოკუპაციას. ისინი მხოლოდ ძარცვავდნენ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს და სოფლის ტერიტორიები არ აინტერესებდათ. საუკუნეების განმავლობაში მალარიის გამო იმერეთი და სამეგრელო საერთოდ სასიკვდილო ადგილი იყო ყველა დამპყრობლისთვის. კვახი და წაბლი ერთადერთი კალორიული საკვები იყო იმერეთში. ნიადაგის მომზადება ხორბლის და ცერცვის დასათესად იმ დროს არ იცოდნენ, ხოლო სიმინდი, ლობიო, კარტოფილი და პომიდორი (ამერიკიდან) ჯერ არ იყო შემოსული.

სოლომონისა და ერეკლეს ურიცხვი საჩივრის შემდეგ, როგორც იქნა, ეკატერინემ ტოტლებენი ჩაანაცვლა სხვა, შეუპოვარი გენერლით, სუხოტინით. ტოტლებენი გაგზავნილ იქნა პოლონეთში, სადაც იგი დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ სუხოტინი გაფრთხილებული იყო, არ დაეწყო ბრძოლა ცხელ სეზონში, მან მაინც მიიტანა იერიში შავი ზღვისპირა ფოთზე და მეომრების უმეტესობა მალარიით დაეხოცა. მან თავი მოაჩვენა თითქოს ავად იყო და დაბრუნდა თბილისში. ფოთში წარუმატებლობისა და მუდმივი საჩივრების გამო 1772 წელს ეკატერინემ ბრძანა რუსეთის ძალების უკან გაწვევა. 1774 წელს რუსეთს თავად გაუჩნდა პრობლემები, როდესაც პუგაჩოვის ბანდებმა დაიკავეს ყაზანი. კავკასიაში რუსეთის არმიის ყოფნის მთავარი შედეგი იყო,

[1] ქუთაისის ციხესიმაგრეში გაისლამებული გიორგი ყიფიანის ვაჟი შეიპყრეს და პეტერბურგში გაგზავნეს. ახალგაზრდა „თურქი“ შეიწყალა მეფე პავლე I-მა და მისი პირადი მდივანი გახდა ქუთაისოვის სახელით, ადგილით, სადაც იგი ტყვედ შეიპყრეს. მისმა შვილებმა სიმამაცე გამოიჩინეს ფრანგებთან ბრძოლაში და ამიტომ დაინიშნენ არტილერიის მმართველად ბოროდინოს ბრძოლაში 1812 წელს. მათ შესანიშნავი კარიერა გაიკეთეს რუსეთის ადმინისტრაციაში, როგორც გენერალ-მმართველი ნიჟნი ნოვგოროდსა და ირკუტსკში. დღეს ყველა რუსულენოვან ცნობებში თავადი ქუთაისოვის князь Кутаисов წარმოშობა ერთი სიტყვით აღინიშნება – თურქი.

რომ ქართველებმა დაინახეს პროფესიული ჯარის ეფექტიანობა. ამან უბიძგა ერეკლეს შეექმნა 5000-იანი მორიგე ჯარი თავისი ვაჟის მეთაურობით.

1768-1774 წწ-ში რუსეთ-თურქეთის ომში ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის მონაწილეობის ერთადერთი შედეგი იყო ის, რომ 1774 წლის კუჩუკ-კაინარჯის Küçük Kaynarca (Kuchuk-Kainarj) ხელშეკრულებაში არ იყო მოხსენიებული აღმოსავლეთ საქართველო, რაც ნიშნავდა იმას, რომ პორტა არ გამოთქვამდა პრეტენზიას აღმოსავლეთ საქართველოზე, დასავლეთ საქართველოსგან იმერეთისგან განსხვავებით. სოლომონის იმერეთი მიიჩნეოდა, როგორც თურქეთის ვასალი. რუსეთმა დაიბრუნა აზოვი და რუსეთის ფლოტმა მიიღო პირდაპირი გასვლა შავ ზღვაზე. ხელშეკრულება ასევე ოფიციალურ სტატუს აძლევდა რუსეთის იმპერიას ყოფილიყო ოსმალეთში მყოფი ქრისტიანი ხალხის დამცველი, რამაც კარი გაუხსნა მისი ტერიტორიის მომავალ გაფართოებას. ქართველები უკმაყოფილოები იყვნენ და თავად რუსებისთვისაც გახდა ცნობილი საქართველოში მოარული ჭორები, თითქოს რუსეთმა გაგზავნა ჯარი კონსტანტინოპოლის დაცემიდან სამი საუკუნის შემდეგ, რათა საბოტაჟი მოეწყო მუსლიმ-ქართველების ურთიერთობისთვის და დახმარებოდა თურქებს იმერეთის მითვისებაში.

დასავლეთი ევროპა ყველანაირად ეხმარებოდა რუსეთს თურქეთთან ბრძოლაში. 1790 წელს ევროპელები (გრაფი რიშელიეს ჩათვლით) აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სუვოროვის მიერ ისმაილის აღებაში. 1792 წელს ჰადჯიბეი, თურქეთის ციხე, აღებულ იქნა იმპერატრიცა ეკატერინესთვის ესპანური წარმოშობის გენერალ დონ ჟოზეფ დე რიბას Joseph de Ribas მიერ და დაარქვეს ოდესოსი Odessos, მეზობელი ბერძნული კოლონიის მსგავსად. მაგრამ ეკატერინემ ამცნო, რომ რადგან ქალაქი აღებული იქნა ქალის მიერ, მას მდედრობითი სქესის სახელი ერქმეოდა. ასე რომ, დაარსდა ოდესა, რომლის ერთ-ერთ ქუჩას დაერქვა დერობასოვსკაია, დე რიბას სამახსოვროდ. უცხოელებმა ააშენეს ეს ქალაქი და გადასცეს რუსეთის იმპერიას. არქიტექ-ტორები იტალიელი და ფრანგები იყვნენ და ამიტომ იტალიური გახლდათ ძირითადი სავაჭრო ენა. მხოლოდ 1822 წელს იქნა დანიშნული პირველი რუსი გუბერნატორი გენერალი, მიხეილ ვორონცოვი. ოდესას სიტუაცია გაუარესებისკენ წავიდა, როდესაც ევროპულ ბაზარზე ამერიკული პური გამოჩნდა. ცნობილი ებრაელი აქტივისტები – ისააკ ბაბელი, ლეონ ტროცკი, და ვლადიმირ ჟაბოტინსკი ოდესიდან იყვნენ.

თავადი რიშელიე, ოდესის გუბერნატორი, 1803 წელს გახდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი 1815 წელს ვატერლოოში ნაპოლეონის დამარცხებიდან 3 თვეზე ნაკლებ დროში, და მისმა მეგობრულმა დამოკიდებულებამ რუსეთის მეფესთან დაეხმარა 3 წლის შემდეგ, 1818 წელს სრულად გაეყვანა პარიზიდან მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარები.

რუსების შემდეგი ნაბიჯი ყირიმის ანექსია იყო. საჰინ გირეი ყირიმის ბოლო ხანი იყო. იგი საბერძნეთსა და ვენაში სწავლობდა. როდესაც 20 წლის იყო, მისმა ბიძამ, ყირიმის ხანმა მიიხმო თავისთან და ნოღაის ურდოს

მმართველად დასვა. 1770 წელს რუსეთმა მოულოდნელად იერიში მიიტანა ყირიმზე და აიძულა ხანი, გაეგზავნა დესპანები პეტერბურგში, რათა მოეთხოვათ მშვიდობა. ამ მისიის განმავლობაში ეკატერინე შეხვდა საჰინ გირეის და მასზე დაწერა: „ყირიმის პრინცი ყველაზე მშვიდი თათარია, ვისაც კი ოდესმე შევხვედრილვარ. იგი განათლებული, სიმპათიურია, და ასევე კარგად გამოსდის პოეზიის წერა. მას ყველაფრის ნახვა და შესწავლა სურს“. 1776 წელს საჰინ გირეიმ თავისი ბიძას მემკვიდრეობა მიიღო და ყირიმის მმართველი გახდა. ეკატერინეს ფავორიტის, პოტიომკინის გაუსაძლისი ზეწოლის შემდეგ იგი დათანხმდა გაერთიანებულიყო რუსეთის იმპერიასთან 1783 წელს. იგი პეტერბურგში ცხოვრობდა შინაპატიმრობაში. მოგვიანებით რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიამ ნება დართეს თურქეთში დაბრუნებულიყო. მაგრამ თურქი მმართველები მასში კონკურენტს ხედავდნენ. საბოლოოდ იგი სტამბოლში დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს. მისმა ახალგაზრდა ვაჟმა პროტესტანტიზმი მიიღო და ცოლად შეირთო შოტლანდიელი არისტოკრატი ქალი.

მნიშვნელოვანი როლი ყირიმის (შემდეგ საქართველოს) ანექსიაში ითამაშა ქართული წარმოშობის რუსმა დიპლომატმა ლაშქარევმა (ბიბილური) Lashkarev (Bibiluri). 1783 წელს ზუსტად ის გაგზავნეს ეკატერინე II-მ და პოტიომკინმა ყირიმში, რათა აეძულებინა საჰინ გირეი მიეღო რუსეთის პროტექტორატი და დასახლებულიყო რუსეთში. ლაშქარევმა რუსეთის ყველა დავალება შეასრულა. მისი ფანტასტიკური წარმატების აღსანიშნავად, ლაშქარევმა მიიღო 12 000 რუბლი საჩუქრად, ბრილიანტით გაწყობილი სპეციალური მედალი, ბეჭედი ბრილიანტით, მიწები რუსეთსა და ყირიმში. იგი თან ახლდა ცნობილი მოგზაურობის დროს ეკატერინესა და პოტიომკინს, როდესაც გახდა „პოტიომკინის სოფლები“. იგი ახლო მეგობარი იყო სუვოროვისა და პოტიომკინისა. მისი ვაჟი გენერალი გახდა და მონაწილეობა მიიღო 1812 წლის ომში.

1786 წელს ლაშქარევი გაგზავნილ იქნა კონსტანტინოპოლში[1], რათა დახმარებოდა ელჩს ბულგაკოვს სულთანთან მოლაპარაკებაში საქართველოზე რუსეთის პროტექტორატობაზე. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში 1801 წლის 8 აგვისტოს საქართველოს თემაზე. სწორედ იგი უნდა გამომგზავრებულიყო საქართველოში რუსეთის პროტექტორატობაზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ ქართველი მეფის სიკვდილმა სიტუაცია არია. 1807 წელს იგი დანიშნულ იქნა მოლდოვეთისა და ვლახეთის მმართველად და 1791 წელს ხელი მოაწერა იასიის სამშვიდობო ხელშეკრულებას. ეკატერინე II-მ იგი დანიშნა საგარეო საქმეთა დეპარტამენტში

[1] სტამბოლში ლაშქარევმა ცოლობა სთხოვა შვედეთის ელჩის დურანტის ქალიშვილს, მაგრამ უარი მიიღო არასაკმარისი ქონების გამო. იმპერატორი ეკატერინე პირადად გამოესარჩლა მას და ქორწილი ძალზედ პომპეზური გამოვიდა ისე რომ თავად სულთანიც კი ესწრებოდა ცერემონიას.

აზიის მიმართულების მმართველად. განსაკუთრებულად დაფასებული იყო იგი იმპერატორ პავლე I-ის მიერ, რომელმაც პირადად შექმნა მისი ოჯახის ჰერალდიკური გერბი საქართველოს საბრძოლო მახვილით ხელში. იგი მსახურობდა როგორც კიევის, პოდოლსკის და სხვა რეგიონების გენერალ-გუბერნატორი.

ახლა, ყირიმის ანექსიის შემდგომ, 1789 წელს რუსეთს ხელები გაეხსნა და თავისი ინტერესი მიმართა ჩრდილოკავკასიელი ტომების მიმართ. დონის კაზაკების მეზობლები იყვნენ თურქული წარმოშობის ნოღაელები, მათ უკან მთებთან იყვნენ ყაბარდოელები და ჩერქეზები. ეკატერინე მეორემ გამოსცა მანიფესტი ყირიმის, ყუბანისა და ტამანის მიერთების შესახებ და ნოღაელებს განუწესეს ურალისკენ გადასახლება. ეს ამოცანა დაევალა სუვოროვს, შვედური წარმოშობის რუს გენერალს. სუვოროვმა სახელი მოიხვეჭა რუსეთ-თურქეთის ომის დროს დუნაის ჯართან ერთად ისმაილის აღებით 1787 წელს. ნოღაელ ბელადებთან შეხვედრაზე იეისკში, აზოვის ზღვის ნაპირზე, სუვოროვმა მათ წაუკითხვა მანიფესტი, რომლის მიხედვითაც აუწყა, რომ ყირიმის ხანი გადადგა და გადასცა ყირიმის და ჩრდილოეთ კავკასიის სუვერენიტეტი ეკატერინე II-ს. ნოღაელი მთავრები პარალიზებულნი იყვნენ. ცუდი ამბავი ძალზედ სწრაფად გავრცელდა. უკან დაბრუნებული თავადები ხალხმა სიმხდალის გამო დახოცა. მაგრამ სუვოროვი და დონის კაზაკები მზად იყვნენ საქმის ასეთი განვითარებისათვის და ძალის გამოყენებით აიძულეს ნოღაელები აყრილიყვნენ თავიანთი ადგილებიდან.

სუვოროვმა პირადად დასახა მარშრუტი და ასობით ათასი ნოღაელი დაიძრა ურალისკენ. არიერგრადში კოლონას მიჰყვებოდა სუვოროვის ჯარი. მაგრამ მალე ნოღაელები აჯანყდნენ და შემობრუნდნენ სამხრეთისკენ. 1783 წლის 1 აგვისტოს მოხდა რუსულ ჯართან შეტაკება. სუვოროვის შეტყობინების შემდეგ პოტიომკინმა უბრძანა სუვოროვს განეხილა ნოღაელები არა როგორც რუსეთის მოქალაქეები, არამედ როგორც მტრები. შესაბამისად, სუვოროვის ჯარი 1 ოქტომბრის ღამით თავს დაესხა მშვიდობიან ნოღაელებს და დაიწყო მათი სრული ამოხოცვა. უმწეო, სასოწარკვეთილი მოსახლეობა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ქალები და ბავშვები მდინარეში გადაყარეს. რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის გვამი დარჩა მინდვრებში. რუსი ისტორიკოსების შეფასებითაც კი სუვოროვმა სულ მოახერხა 500 ათასი მომთაბარე თურქი ნოღაელის განადგურება. მან ასეთი კამპანიისთვის წმ. ვლადიმირის ორდენი მიიღო. დარჩენილი 700 ათასი ნოღაელი გადასახლდა თურქეთში. ეს იყო დეპორტაციის პირველი ტალღა. ნოღაელი ეთნოსი მოისპო. მალე განადგურდნენ ყირიმის თათრებიც.

რუსები პირისპირ გავიდნენ კავკასიელი ხალხების წინაშე. 1787 წელს რუსეთის გენერალმა ტეკელიმ გაანადგურა ადიღები. ჩერქეგები, რომლებსაც შეეძლოთ 200 ათასიანი ჯარის გამოყვანა, ვერ გაერთიანდა და განადგურდნენ.

ახლა კავკასიისკენ მიმავალი გზა თავისუფალი იყო. 1783 წლიდან რუსეთის ჯარის მეთაური კავკასიაში გახდა გენერალი პავლე პოტიომკინი, ეკატერინეს

ფავორიტის ნათესავი. მისი პირველი საფიქრალი იყო, რომ აეშენებინა მცირე ზომის ციხესიმაგრე ვლადიკავკაზი და გაეყვანა გზა (საქართველოს სამხედრო გზა), რაც ადვილს გახდიდა თბილისში ტვირთის გადატანას. მან 1783 წელს საქართველოს მეფე ერეკლე II-სთან ერთად მოაწერა ხელი გეორგიევსკის ტრაქტატს.

პოტიომკინის კარიერა წარმატებული ჩანდა, მაგრამ რაღაც დღემდე უცნობი საშინელება მოხდა. როდესაც აღა მაჰმად ყაჯარ შაჰმა თავი სპარსეთის მეფედ გამოაცხადა, მან სთხოვა შუამავლობა ქართველ მეფე ერეკლეს, რათა მიეღო რუსეთის მხარდაჭერა ირანზე რუსეთის პროტექტორატის გამოცხადების სანაცვლოდ. ეს თხოვნა უარყოფილი იყო, რადგან მისი ძმა ალი-მურად-*ხანი დაჰპირდა, რომ ირანს გახდიდა რუსეთის გუბერნიად. მაგრამ* ალი-მურად-*ხანი* დამარცხდა და თავშესაფარს ეძებდა ამ სისხლისმსმელი ტირანისგან თავდასაღწევად. *ის გაიქცა რუსეთისკენ და* მიადგა თერგის ნაპირს. მაგრამ რუსმა მეომრებმა დაკვეთით ან გაუთვალისწინებლად მოკლეს უფლისწული თავის თანმხლებ პირებთან ერთად, რომელთაც დიდი რაოდენობის ძვირფასეულობა მოჰქონდათ. რუსულ ისტორიოგრაფიაში წერია, რომ ალი-მურად-*ხანი უბრალოდ „დაიღუპა“. არ არის ცნობილი,* თუ რა როლი ითამაშა ამ საქმეში პოტიომკინმა, მაგრამ მან ასევე თავი შეირცხვინა, როდესაც მკვლელები სათანადოდ არ დასაჯა და ამ ფაქტის საიდუმლოდ შენახვა სცადა. ეს არის მიზეზი, რის გამოც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მან სარგებელი ნახა ამ საქმიდან. მალე მან დატოვა კავკასია და 1790 წელს გუდოვიჩის მემკვიდრე გახდა.

ამასობაში, საქართველო სამხედრო თვალსაზრისით ძალზედ დაწინაურდა და თურქები იძულებულნი იყვნენ სპარსეთისთვის შუამდგომლობა ეთხოვათ, რომ მშვიდობა ჰქონოდათ საქართველოსთან და ერეკლე აურაცხელ საჩუქრებს იღებდა, ასევე გაანთავისუფლეს ტყვეები. მან ვასალად აქცია ისეთი მეზობელი პროვინციები, როგორიცაა განჯა, ყარაბაღი, ერევანი, ყარსი, აზერბაიჯანი, შუშა და სხვა. შიდა პოლიტიკაში ის ძალზედ სასტიკი იყო და ბრძანა მოღალატე ამბოხებულების მოკვლა, შექმნა ძლიერი სამხედრო დაზვერვის და კონტრდაზვერვის სამსახური, ასევე დაამყარა კანონიერება სახელმწიფოში. რუსი მწერლების მიხედვით (ა. შიროკორიადი), 1782 წელს მიღებულ იქნა კანონი, ქართველებსა და ოსებს შორის ქორწინების აკრძალვაზე.

თურქეთი და ირანი პატივს სცემდნენ საქართველოს სუვერენიტეტს იმ პირობით, რომ რუსეთი არ შევიდოდა საქართველოში (ზუსტად ისევე, როგორც ახლა რუსეთი ითხოვს, რომ დასავლეთი არ შემოვიდეს საქართველოში, თუმცა ორივე შემთხვევაში ეს ისტორიულად შეუძლებელი იყო). რუსმა იმპერატრიცამ ეკატერინე II-მ სასწრაფოდ გაგზავნა მოსალაპარაკებლად აგენტები (რეინეგი, საიდუმლო დესპანი რუსი თავადი პოტიომკინისგან) მეფე ერეკლესთან და ყოველნაირად ცდილობდნენ, რათა მას მიეღო რუსეთის პროტექტორატი.

იაკობ რეინეგი საქართველოში ცხოვრობდა 1778-1781 წწ-ში და მოხსენებებს სწერდა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინეს. 1797 წელს მან გამოსცა პეტერბურგში წიგნი „Allgemeine historish-topographische Beschreibung

des Kakasus.“ მან აღწერა საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სხვადასხვა ხალხი და აღნიშნა ზოგი ტომის წარმოშობა. მაგალითად, იგი წერდა, რომ სვანები (ან აბაზგები), რომლებიც მდინარე კოდორის ნაპირებზე ცხოვრობენ, ეგვიპტიდან მოდიან და მის დროშიც კი ზოგი ახალგაზრდა მებრძოლი მიდიოდა იქ, რათა ემსახურათ მათი უფლისწულებისთვის ან სულაც თვითონ ხდებოდნენ მმართველები. მან აღწერა ლაზები, როდესაც ისინი ლაზიკას ედგნენ სათავეში, შავი ზღვის სამხრეთ ნაპირებზე, ცენტრით ტრაპიზონში. ის აღწერს მეგრელებს, კოლხებისა და ეგრისელების პირდაპირ შთამომავალთ. ასევე იმერეთი წარმოდგენილი იყო, როგორც ძველი კოლხეთისა და იბერიის ნაწილი. რეინეგი წერდა, რომ იმერლები საქართველოში ყველაზე ლამაზი ხალხი იყო, განსაკუთრებით კი მამაკაცები. ის ასევე აღნიშნავდა, რომ სწორედ მათ მიაჩნდათ თავი ნოეს შთამომავლებად, რომელმაც წყალდიდობის შემდეგ დააარსა სამყარო. მათ ასევე სჯეროდათ, რომ ისინი ესპანეთიდან მოდიოდნენ მეტალის მოსაპოვებლად და სწორედ ამიტომ აქვს ორივე ქვეყანას ერთი ძირი – იბერია.

რეინეგი აღნიშნავდა მთის თუშ (ხევსურ) ხალხს, რომელიც 2000 ოჯახისგან შედგებოდა და რომლებიც ძალზედ მამაცი ქრისტიანი მეომრები იყვნენ მეფის სამსახურში და წარმოადგენდნენ მის დაცვას ბრძოლების დროს. მათი რწმენით, ისინი „ევროპიდან“ მოვიდნენ. მართლაც, რეინეგის თქმით ისინი ყველა სხვა მეზობლებისგან განსხვავდებოდნენ, ისხდნენ სკამებზე და ეძინათ ლოგინებში, როდესაც სხვები იძინებდნენ და სხდებოდნენ იატაკზე (იხილეთ თავი „ჯვაროსნები“).

1671 წელს ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა აღწერა თბილისი, როგორც ულამაზესი ქალაქი აღმოსავლეთში. 1700 წელს ტურნეფორმა ეს ქალაქი სასახლეების გარეშე ნაკლებად მომხიბვლელად აღიქვა. 1795 წელს თბილისი უკვე ნანგრევებად იყო ქცეული.

საქართველომ და რუსეთმა ისარგებლეს ირანის დრობითი დასუსტებით, როდესაც ის კვლავ დაიპყრეს ავღანელებმა 1782 წელს და 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ტრაქტატს მოაწერეს ხელი. ტერმინი „გრუზია“ და „გრუზინ“ პირველად იყო რუსების მიერ გამოყენებული ოფიციალურ დოკუმენტში. ხელშეკრულების მიხედვით, ერეკლემ აღიარა რუსეთის პროტექტორატი ერეკლესი და მისი დინასტიის დაცვის სანაცვლოდ. იმერეთის მეფემაც გამოთქვა სურვილი შეერთებოდა ამ ხელშეკრულებას ზავით, მაგრამ რუსები არ დასთანხმდნენ, ვინაიდან ირღვეოდა ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თურქეთის უფლებები იმერეთზე.

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის[1] ხელმოწერის შემდეგ, 1800 კაციანი რუსეთის ორი ბატალიონი პოლკოვნიკ ბურნაშევის მეთაურობით შევიდა

[1] ტრაქტატით, პირობა ეძლეოდათ, რომ ერეკლე და მისი მემკვიდრეები სამუდამოდ იქნებოდნენ მონარქები და რუსეთი არ ჩაერეოდა მათ შიდა საქმეებში. რუსეთს უნდა დაებრუნებინა ქართლ-კახეთისთვის ისტორიული ტერიტორიები თურქეთიდან. სამწუხაროდ, მერვე პუნქტში ეკლესიის ავტოკეფალიის მიუხედავად საქართველოს პატრიარქი დაექვემდებარა რუსეთის სინოდს, რანგით მერვე ადგილზე ტობოლსკის შემდეგ.

საქართველოში, მაგრამ 1787 წელს რუსეთ-საქართველოს ლაშქრობის დროს განჯაში, ბურნაშევმა ბრძანება მიიღო, რომ გაბრუნებულიყო კავკასიიდან. ამავე წელს იწყებოდა თურქეთ-რუსეთის მეორე ომი და ვინაიდან რუსეთის მიერ საქართველოს ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობა არ იყო, ამჯობინეს მუსლიმი მეზობლებისთვის გამაღიზიანებელი ძალის სცენიდან გაქრობა.

თავიდან ამას ჰქონდა შედეგი, მაგრამ მალე თურქებმა და ირანელებმა ცდუნებას ვერ გაუძლეს და 1789 წელს იერიში მიიტანეს საქართველოზე, ხოლო რუსეთი ამ ყველაფერს შორიდან უყურებდა. რუსი დიპლომატებისთვისაც კი უჩვეულო იყო გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ ასეთი შეურაცხყოფა.

მაგრამ ერეკლემ მუსლიმებთან ბრძოლა საკმაოდ წარმატებულად წარმართა. სწორედ მას სთხოვა შაჰ აღა მაჰმად ხანმა შუამავლობა რუსეთ-თან, რათა ირანში მიეღო სამეფო გვირგვინი 1786 წელს, სამაგიეროდ ერეკლეს შეჰპირდა მთელ აზერბაიჯანის სახანოს. მაგრამ ერეკლემ არასწორი არჩევანი გააკეთა და დაეხმარა მის ძმას, რომელიც დაჰპირდა რუსეთს ქვეშევრდომობას. ერეკლე არ დაესწრო აღა მაჰმად ხანის კორონაციას და მან შურისძიება გადაწყვიტა. 1791 წლისთვის მან დაიქვემდებარა საქართველოს ყველა მეზობელი მუსლიმი ვასალი. ერეკლე კვლავ იძულებული იყო რუსეთისგან ეთხოვა დახმარება, მაგრამ ეკატერინემ 1792 წელს მისწერა, რომ არ გაგზავნიდა საქართველოში დამხმარე ჯარს. რუსეთის ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიხედვით, მეფე ერეკლეს ღალატის გამო, ვინაიდან მან ხელი მოაწერა თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას თურქეთთან 1787 წელს ბულგარეთში რუსეთ-თურქეთის ომის დროს.

1795 წელს მეფე ერეკლე იძულებული იყო დაპირისპირებოდა ქართლ-კახეთში 70 000 სპარსელის შემოსევას შაჰ აღა მაჰმად ხანის მეთაურობით. ერეკლეს ულტიმატუმი წაუყენეს გეორგიევსკის ტრაქტატის დენონსირების შესახებ: „თქვენო უდიდებულესობავ, იცით რომ ბოლო 100 თაობა ექვემდებარებოდით ირანს; ახლა კი თქვენ მიეჯაჭვეთ რუსეთს“. ამას გარდა, ხანს პირადი მიზეზებიც ჰქონდა, რომ სძულებოდა მეფე ერეკლე, რადგან აღა მაჰმად ხანის მამა მოკლეს და მისი 5 წლის ვაჟი დაასაჭურისეს ადილ შაჰის ბრძანებით, რომელიც იყო ერეკლე მეფისა და ირანში მყოფი ქართული კლანის ნათესავი და ახლობელი.

მცხეთა დაიპყრეს და გადაწვეს, მაგრამ ცნობილი ტაძარი გადარჩა, ნახიჩევანის ხანის მოთხოვნით, რომ დაუშვებელია გმირი ქართველი მეფეების საფლავების შებილწვა.

კრწანისის ბრძოლის ველზე 5000 ქართველი დაამარცხა 35 000 ირანელმა. 300 არაგველი ამ ბრძოლაში მამაცურად დაეცა. აღა მაჰმად ხანმა სამჯერ დაიხია და იძულებული გახდა უფრო მეტი რეზერვისტი მოეხმო. მან დააყენა თურქმენები მისი ჯარის უკან და უბრძანა ყველას მოკვლა, ვინც უკან დაიხევდა. 1795 წლის 11 სექტემბერს აღა მაჰმად ხანის არმიამ აიღო თბილისი და ის უკანასკნელად გაანადგურა. ეკლესიები მიწასთან იყო გასწორებული.

მცხოვრებლები თავიანთ სახლებშივე იყვნენ ამოხოცილი. თბილისი სასტიკად იყო დანგრეული (მაშინდელი ნანგრევები დღემდეა შემონახული) და მოსახლეობა შეუბრალებლად ამოჟლეტილი. მაგრამ ეს „ცარიელი“ გამარჯვება იყო. დამხმარე რუსეთის ბატალიონი გუდოვიჩის მეთაურობით მხოლოდ 1 ოქტომბერს გამოჩნდა, 18 დღეში თბილისის განადგურებიდან, და 6 ოქტომბერს თბილისი განთავისუფლებული იყო. სამწუხაროდ, ქვეყნის მოსახლეობა განახევრდა.

რათა აღედგინათ პრესტიჟი, 1796 წელს რუსეთმა ოფიციალურად გამოაცხადა ომი „არალეგიტიმური“ აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ, რომ დაეცვათ ქართველი ქრისტიანები. თუმცა ეკატერინეს გეგმა იყო აგრეთვე დაემყარებინა ინდოეთთან სავაჭრო გზა, რითიც კონკურენციას უწევდა ბრიტანულ ძალას. 13 000 რუსი ჯარისკაცი 24 წლის ვალერიან ზუბოვის მეთაურობით გაგზავნილ იქნა ყაჯარის დასახმარებლად. რუსეთის ჯარმა დატოვა კიზლიარი 1796 წლის აპრილში და თავს დაესხა დერბენტს მაისში. ზუბოვის ჯარებმა დიდი წინააღმდეგობის გარეშე დაიპყრეს ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია, 3 ძირითადი ქალაქის ჩათვლით – ბაქო, შემახა და განჯა. ნოემბერში ისინი უკვე განლაგდნენ სპარსეთის საზღვრებთან იმ განზრახვით, რომ დაეპყროთ ირანის სახელმწიფო. მთავარსარდალმა ზუბოვმა დასახა გეგმა, რომელიც იმპერატრიცამ მოიწონა, შეტევა განეხორციელებინა კონსტანტინოპოლზე და აელორძინებინათ საბერძნეთი რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. მოფიქრებული იყო დედაქალაქის ახალი სახელწოდება ცარგრადი ან ეკატერინენბურგი.

მაგრამ ამავე თვეში, 1796 წლის ნოემბერში, რუსეთის იმპერატრიცა გარდაიცვალა. მის ვაჟს იმპერატორ პავლეს (1796-1801) დედამისი სძულდა, რადგან ეკატერინე აპირებდა მოეწყო წვეულება და გამოეცხადებია, რომ პავლეს მაგივრად მისი საყვარელი შვილიშვილი (შემდეგ იმპერატორი ალექსანდრე I) მიიღებდა გვირგვინს. მაგრამ ეკატერინე ინსულტით გარდაიცვალა, სანამ განცხადებას გააკეთებდა. პავლეს სძულდა ეკატერინეს ყველა რუსი გენერალი ზუბოვის ჩათვლით, სძულდა ყველა რუსი და მართლმადიდებელი, და ჯარებს უბრძანა უკან, რუსეთში დაბრუნებულიყვნენ. 1797 წელს ზუბოვის ყველა დაპყრობილი ტერიტორია მიტოვებული იყო ვლადიკავკაზის ჩათვლით. ამ ცვლილებამ წარმოშვა იმედგაცრუება და მტრობა ძლევამოსილ ზუბოვსა და სხვა ოფიცრებში: მათ შორის იყვნენ ის მეომრები, რომლებმაც პავლე მოკლეს 5 წლის შემდეგ[1].

---

[1] მეფე პავლეს სხვა გეგმები ჰქონდა. ჰერცოგმა გიულიო რენატო დე ლიტამ Count Giulio Renato de Litta (მისი ქალიშვილი გახდა ცნობილი ქართველი გენერლის პეტრე ბაგრატიონის მეუღლე) გადასცა იმპერატორ პავლეს წმინდა იოანეს იერუსალიმის ჰოსპიტალიერების მალტას რაინდების ორდენის დიდი მასტერის Grand Master of the Knights St. Joan Jerusalem Hospitaller წოდება, რაც უცნაური იყო, ვინაიდან ორდენი კათოლიკური გახლდათ. *ორდენი უძველესი (შეიქმნა ტამპლიერებთან ერთად* და მონაწილეობდა ჯვაროსნულ ომებში) და გავლენიანი იყო, მაგრამ 1798

ასე რომ, გეორგიევსკის ტრაქტატი ფაქტობრივად ანულირებული იყო. ერეკლე II თბილისში დაბრუნდა, ახლიდან რომ აეშენებინა ქალაქი. მან რუსეთს სთხოვა ერთი მილიონი მაგნიტი რეაბილიტაციისთვის, მაგრამ უარი მიიღო. ამავე დროს ეს სესხი თურქებმა შესთავაზეს, მაგრამ გარკვეული ყოყმანის შემდეგ ერეკლემ უარი განაცხადა.

სპარსეთიც აქტიურობდა ქართველების კვლავ დასამეგობრებლად. აღა მაჰმად ხანმა ერეკლეს გამოუგზავნა წერილი, სადაც პირდებოდა ყველა

წელს მალტა დაიკავა „სატანა“ ნაპოლეონმა, როდესაც ეგვიპტეში მიდიოდა. ორ წელიწადში, 1800 წელს, უარესი მოხდა და კუნძული ოკუპირებულ იქნა ბრიტანელი პროტესტანტების გემების მიერ ადმირალ ნელსონის მეთაურობით.

პავლემ გადაწყვიტა, მალტის ორდენი გადაეყვანა საქართველოში. ამისათვის მან ნაპოლეონი გაიხადა მოკავშირედ და ბრიტანეთი მტრად გამოაცხადა. 1800 წელს ინგლისის გემებს რუსეთის წყლებში ემბარგო შეეხო, ყველა ბრიტანული გემი რუსეთის პორტში დაექვემდებარა კონფისკაციას და ეკიპაჟი დატუსაღებული იყო. მომდევნო ზამთრის განმავლობაში რუსეთმა მოამზადა ბალტიკის ბლოკადა ბრიტანეთის წინააღმდეგ. ბრიტანეთმა მყისიერად გააცნობიერა საშიშროება და 1801 წლის მარტში ბრიტანული ფლოტი დანიაში გაიგზავნა. კოპენჰაგენი დაიბომბა და იძულებული გახდა, დანებებულიყო. ბრიტანეთის ფლოტი მზად იყო გაეგრძელებია მარში პეტერბურგისკენ, მაგრამ ამ დროისთვის პავლე შეთქმულების დროს უკვე მოკლული იყო და როდესაც ალექსანდრემ მოიპოვა სამეფო გვირგვინი, მალევე გამოაცხადა მშვიდობა.

ამავე დროს, 1801 წელს, საიდუმლო პროექტი, დაგეგმილი ინდოეთის ლაშქრობა, მოკავშირე რუსულ-ფრანგული ექსპედიცია ინდოეთში მდებარე ბრიტანეთის სამფლობელოების წინააღმდეგ, კვლავ გრძელდებოდა. მოიაზრებოდა, რომ ფრანგი მეომრები წასულიყვნენ დუნაის და შავი ზღვის გავლით, სამხრეთ რუსეთის მეშვეობით და შეერთებოდნენ რუსეთის ძალებს. შემდეგ გაერთიანებულ რუსულ-ფრანგულ რაზმს უნდა გადაეკვეთა კასპიის ზღვა და ირანის ჰერათისა და კანდაჰარის გზით, მიეღწია ინდოეთამდე. 1801 წლის იანვარს, დონის კაზაკების ატამანმა ვასილ ორლოვმა მიიღო ბრძანება, რათა გაელაშქრათ 20 000 კაზაკით და 24 ზარბაზნით (რუკის გარეშე!) ბუხარისა და ხივას გავლით ინდოეთის მდინარემდე. ინდოეთის ლაშქრობა, ნაპოლეონის ეგვიპტის ექსპედიციას ჰგავდა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მხატვრები, ინჟინრები და მეცნიერები. როდესაც კაზაკების კონტინგენტმა მაისში მდინარე ვოლგას მიაღწია, მათ მიიღეს ცნობა იმპერატორის მკვლელობის შესახებ. ინდოეთის ლაშქრობა შეჩერდა და მალე კაზაკებმა მიიღეს უკან დაბრუნების ბრძანება. ბრიტანელებმა ამ ინციდენტის შესახებ წლების შემდეგ შეიტყვეს, რამაც მათში რუსეთის მიმართ ხანგრძლივი უნდობლობა და ეჭვი გამოიწვია.

ეს მენტალური ტრავმა უტოლდებოდა ბრიტანელების მიერ რუსეთისთვის მიყენებულ ტრავმას, როდესაც მათ თავიანთ მეფეს, პირველად ევროპის ისტორიაში, სიკვდილი მიუსაჯეს (და არა უბრალოდ მოკლეს) 1649 წელს. ეს იყო წარმოუდგენელი ცოდვა რუსული ორთოდოქსული მართლმადიდებლური მენტალიტეტისთვის, რადგან რუსეთში, ბიზანტიის ტრადიციის შესაბამისად, ნებისმიერი მმართველი ღვთაების მიერ ბოძებულ მოვლენად აღიქმებოდა (დასავლეთ ევროპაში რომის პაპი და მონარქები გაყოფილი იყვნენ, ხოლო ბიზანტიაში 1000 წლის განმავლობაში კეისარი მეფეც იყო და პატრიარქიც).

ძვირფასეულობის და ტყვეების დაბრუნებას, თბილისში ყველა დანგრეული შენობის აღდგენას, ქრისტიანული საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას, ყველა აზერბაიჯანული სახანოს დაბრუნებას, ამასთანავე უძველესი ტრადიციის აღდგენას, როდესაც ქართველი მეფეები ხმლით ესწრებოდნენ შაჰის ტახტზე ასვლას, თუ ერეკლე უარს იტყოდა რუსეთთან მოკავშირეობაზე და გახდებოდა სპარსეთის მოკავშირე. თავის წერილში შაჰი წერდა, რომ რუსები ცნობილნი იყვნენ კარგი ტექსტილის ვაჭრობით და არა როგორც მებრძოლები, რომ როგორც კი ირანის დროშას ხედავდნენ, მაშინვე გარბოდნენ, რომ ირანის შაჰს მხოლოდ კეთილი განზრახვა ჰქონდა, ხოლო რაც თბილისში მოხდა, მხოლოდ ერეკლეს ბრალი იყო და ა.შ. მაგრამ ერეკლე, რუსეთის დიპლომატიის გასაოცრად, ლოიალურობას ინარჩუნებდა.

შაჰმა დაიწყო თავისი არმიის მობილიზაცია საქართველოს საბოლოოდ მოსპობის მიზნით, მაგრამ საბედნიეროდ, აღა მაჰმად ხანს თავისივე მცველებმა ძილის დროს თავი მოჰკვეთეს (ერთ-ერთი მათგანი იყო მუსლიმი ქართველი ანდრეა მცხეთელი Andrea Mtskheteli (or Sadeq-Andrea)) შუშაში 1797 წლის ივნისში.

ახლა ერეკლეს ჯერი იყო გასწორებოდა მოღალატე დიდებულებს, რომელთაც უარი თქვეს დახმარებოდნენ კრწანისის ბრძოლაში და მან ყველა მათგანი ამოახოცინა. მაგრამ ერეკლე უკვე 78 წლის იყო. მან უხელმძღვანელა 100 ბრძოლას და 90 მათგანიდან გამარჯვებული დაბრუნდა. პრუსიის მეფე ფრიდრიხ II წერდა: „მსოფლიოში ორი უძლიერესი მმართველია – დასავლეთით მე, ხოლო აღმოსავლეთით ერეკლე“ („Moi en Europe, et en Asie l'invincible Hercule, roi de Georgie“). სამწუხაროდ, ეს მხოლოდ მორალური მხარდაჭერა იყო, რადგან ყველა ევროპელის ყურადღება საფრანგეთის რევოლუციისკენ იყო მიმართული. ერეკლე ავად იყო და მისმა ვაჟმა მირიანმა, რუსეთის გენერალმა, წამოიყვანა დასავლეთიდან ექიმი, ძალზედ ჩქარობდა, მაგრამ დაგვიანებით ჩამოვიდა.

მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ, 1798 წლის იანვარში, სიტუაცია ძალზედ კრიტიკული იყო. 600 წლის წინ, XII-XIII სს-ში, მონღოლი აღმწერელის მიხედვით, ერთად აღებული მხოლოდ 1 მილიონი რუსი, უკრაინელი და ბელორუსი იყო, და 5 მილიონი ქართველი, როცა მე-19 საუკუნეში მხოლოდ 750 000 ქართველი გადარჩა. უფრო მეტად შეირყა მორალი – ბოლო ბრძოლისთვის ერეკლემ მობილიზება გაუკეთა მხოლოდ 5000 მებრძოლს, ხოლო მის დაკრძალვაზე 20 000 კავალერია იყო წარმოდგენილი. თუმცა გაცილებით მეტ ხალხს ელოდნენ, მაგრამ დაკრძალვა 40 დღით გადაიდო, ვინაიდან ქვეყანაში შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა.

ამასობაში რუსეთი საქართველოში ტრადიციულად მოქმედებდა. ლაშქარევი, რუსეთის დიპლომატი, წარმოშობით ქართველი[1], დაინიშნა, რომ ორგანიზება გაეწია საქართველოს მიეღო რუსეთის პროტექტორატი, როგორც

[1] ასევე პოლონეთში, საგარეო საქმეების სპარსეთის მიმართულება 1650-1700 წწ-ში მინდობილი იყო ცნობილ, საქართველოში დაბადებულ დიპლომატს ბოგდან გურძიეცკის Bogdan Gurdziecki.

ეს ყირიმში გაკეთდა. იმპერატორ პავლეს გეგმა იყო, ბაგრატიონ მეფეს ემართა რუსეთის კანონების მიხედვით, საქართველოს ყველა შემოსავალი რუსეთის იმპერიას გადაეცემოდა, მეფე კი ხელფასს მიიღებდა, რუსეთის ჯარები განთავსდებოდნენ საქართველოს ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში, რაც იმპერიაში პრივილეგირებულ რეგიონს ნიშნავდა.

1798 წლის ოქტომბერში გიორგი XII რუსეთის მეფისთვის მიწერილ წერილში ითხოვდა ქართლ-კახეთის მეფობაზე დამტკიცებას, ხოლო მისი ვაჟის მემკვიდრედ აღიარებას, რაზედაც თანხმოდა მიიღო კიდეც. პრობლემა იმაში იყო, რომ დაბერებასთან ერთად მეფე ერეკლე სულ მეტად ავადმყოფობდა და საქმეები მიუშვა. 1750 წელს მან ითხოვა მესამე ცოლი, სამეგრელოს მფლობელის ასული დარეჯანი. დასუსტებული მეფე ვერ შეეწინააღმდეგა მეუღლის ზეწოლას და ხელი მოაწერა კანონს, რომ მემკვიდრე გიორგის შემდეგ ხდებოდა არა გიორგის უფროსი შვილი დავითი, არამედ მისი ძმა, დარეჯანის შვილი ალექსანდრე, რაც ტრადიციას ეწინააღმდეგებოდა. დაიწყო ცივი ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ, რასაც ჩრდილო მეზობელი ოსტატურად აღვივებდა. ყველა ძმა ძმის შიშით ქირაობდა ლეკების ჯარს პირადი დაცვისთვის. ეკონომიკა ამას ვერ უძლებდა. ჩაერთო ეროვნული თვითგანადგურების მექანიზმი. გიორგის ავადმყოფობის გამო მისი ძირითადი ამოცანა გახდა მისი შვილის დავითის და არა რომელიმე ძმის გამეფება. ამავე დროს დარეჯანი ფარ-ხმალს არ ყრიდა და გიორგის ფიზიკური სისუსტის ფონზე სულ მეტ და მეტ მომხრეებს იბირებდა თავის მხარეს. ომი ყოველ წუთს შეიძლება დაწყებულიყო. გიორგი მიხვდა, რომ მხოლოდ რუსეთისთვის ძალაუფლების სრულად გადაცემა უზრუნველყოფდა მისი შვილის ტახტზე ასვლას და რუსების ხიშტებით იქ გამაგრებას თუნდაც ნომინალურად. 1799 წლის 7 სექტემბერს მეფე გიორგი რუსეთის მეფესთან გაგზავნილ წერილში საერთოდ უარს ამბობდა მეფობაზე და მხოლოდ რამდენიმე სოფელს ითხოვდა რუსეთში, რათა დასახლებულიყო, ოღონდ მისი შვილი გამეფებულიყო ძმების ჯინაზე[1] და მიაღწია კიდეც პირველ მანიფესტში მის მემკვიდრედ დავითის მოხსენიებას.

რუსეთმა ამ სისუსტით სრულად ისარგებლა. ტრადიციულად, მათ არ დაუჭირეს მხარე არც ერთ მოწინააღმდეგე მხარეს და შუღლს პირიქით აღვივებდნენ ფუჭი დაპირებებით და ჭორების გავრცელებით. დაბოლოს, 1800 წლის 15 ნოემბერს პავლემ გასცა საიდუმლო წერილობითი განკარგულება გენერალ კნორინგზე, რომ შესულიყო ჯარებით საქართველოში იმის გარანტიით, რომ გიორგი XII-ს წყალმანკით (ანგინა) გარდაცვალების შემდეგ არავინ გამოაცხადებდა თავს ქართლ-კახეთის მეფედ, რადგან საქართველო

[1] საბჭოთა ისტორიკოსების დროს გიორგის მიერ ტახტზე უარის თქმას და რუსეთში მისი სამეფოს სრული ანექსიის მოთხოვნას ტომები ეძღვნებოდა, მაგრამ მიზეზი სინამდვილეში უმარტივესი და უკვე დამონებული ქვეყნისთვის ტიპური იყო.

მთლიანად ანექსირებული იქნებოდა რუსეთის იმპერიის მიერ. შედეგად ამ „წარმატებული დიპლომატიისა“, ერთი გასროლის გარეშე, სამეფო გაქმდა ისე, რომ ნომინალურადაც საქართველოს მეფის ტიტუტლი არავის არ გადაეცა. ათასწლიანი დინასტია გაუქმდა! გადაჰყვა ტრადიცულ კავკასიურ შუღლს.

მაგრამ კნორინგმა ვერ ჩაასწრო. ამავე წლის 28 დეკემბერს მეფე გიორგი გარდაიცვალა და მისმა შვილმა დავითმა დაიყოლია იქ მყოფი რუსი გენერალი გულაკოვი ის მემკვიდრედ გამოეცხადებინა. ყველა ელოდა რუსეთის მეფის გადაწყვეტილებას. პავლე იძულებული იყო პოზიცია გაემკაცრებინა და 1800 წლის დეკემბერში ხელი მოაწერა პირველ მანიფესტს, რომელიც გამოაცხადა გენერალმა კნორინგმა თბილისში 1801 წლის იანვარში, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოები გაუქმებულია, ქართველი მეფის, გიორგი XII-ს სურვილის თანახმად, რომ არ იქნებოდა ახალი მეფე, ქართლი და კახეთი მთლიანად შეუერთდა რუსეთის იმპერიას. ამან გამოიწვია საქართველოს დამოუკიდებლობის შეწყვეტა და ბაგრატიონების დინასტიის მილენიუმის ხანის დასასრული. საქართველოს სამეფო გვირგვინი და კვერთხი, რომელსაც უკანასკნელი მეფე ატარებდა, რუსეთში, კრემლში ინახება, თუმცა დამოუ-კიდებელი საქართველოს კუთვნილებაა.

საქართველოს სახელმწიფო რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ისევე როგორც კურლანდია იყო ინკორპორირებული პოლონეთიდან 1796 წელს. 1801 წლის 1 იანვარს ირლანდია და გაერთიანებული სამეფო შეერთდა. 1798 წელს ელზასი და ჟენევა საფრანგეთს მიუერთდა. ამავე დროს, როდესაც სიუზერენი ვეღარ იცავს თავის ვასალს, მას უფლება აქვს უარი თქვას ვასალობაზე და სხვა პატრონი მონახოს, როგორც ჰოლანდიამ თქვა უარი გერმანიასთან კავშირზე, რადგან ამ უკანასკნელმა ვერ დაიცვა იგი კათოლიკე ესპანეთისაგან, ან როგორც ლუცერნი მიტოვებულ იქნა ავსტრიისგან და შევიდა შვეიცარიის კონფედერაციაში.

მალე, ორ თვეში, 1801 წლის მარტში, მეფე პავლე I მოკლულ იქნა თავისივე საძინებელ ოთახში, წმინდა მიქაელის ციხესიმაგრეში, გენერლების ზუბოვის, ჰანოვერიან ბენიგსენისა და ქართველი წარმოშობის ვლადიმერ იაშვილის მიერ Generals Zubov, Bennigsen and Vladimir Yashvili. პავლეს მემკვიდრემ ალექსანდრე I-მა, გადატრიალების მხარდამჭერმა, იაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა. იმის გამო, რომ არ ჰქონდა უფლება წასულიყო მოსკოვსა და პეტერბურგში, მან მომდევნო რამდენიმე წელი იძულებით გაატარა რუსეთის შორეულ სოფელში.

საქართველოში რუსი გენერალი ლაზარევი სრულიად ვაკუუმში აღმოჩნდა. მას არანაირი მითითება არ ჰქონდა, თუ რას უპირებდა რუსეთის მეფე და მთავრობა საქართველოს. დავითმა ენერგიულად დაიწყო თავის რეჟიმის განმტკიცება. დაიწყო მიწების წართმევა და ლოიალური თავადებისთვის გადაცემა. დაიწყო კანონების შემოღებაც, რისი უფლება მანიფესტის შესა-ბამისად უკვე გიორგისაც არ ჰქონდა.

ახალი მეფე ალექსანდრე I (1801-1825 წწ.) ფრიად შეშფოთებული იყო საქართველოსთან დაკავშირებით განვითარებული სიტუაციით. საქართველოს ანექსიის ბევრი საკითხი საეჭვოდ ეჩვენებოდა. ალექსანდრე სასტიკი წინააღმდეგი იყო სხვა უცხო მიწებთან ანექსიისა. მან მოითხოვა გამართულიყო სახელმწიფო საბჭო 1801 წლის 11 და 15 აპრილს და განეხილათ საქართველოს ანექსიის საკითხი. ალექსანდრე განცვიფრებული იყო, როგორ შეეძლო მამამისს ასე შეებღალა მემკვიდრეობის გადაცემა სამეფო დინასტიაზე, როგორც ბაგრატიონების შემთხვევაში, რაც ნებისმიერი სახელმწიფოსთვის შეიძლებოდა ომის მიზეზი გამხდარიყო. ალექსანდრე არ კითხულობდა, თუ რა სარგებლობა ჰქონდა საქართველოს ანექსიას, არამედ აფიქრებდა სამეფო დინასტიის ტახტიდან ჩამოგდების ამბავი, რომელიც მეზობელ სახელმწიფოს მართავდა. ალექსანდრე განსაკუთრებულად მგრძნობიარე იყო, რადგან საფრანგეთის რევოლუციის მაგალითი აჩვენებდა, თუ რაოდენ სახიფათო იყო მეფეების ასეთი გადაყენება. აღშფოთებული ქართველი თავად-აზნაურობა ალექსანდრეს წერდნენ, რომ აპირებდნენ რუსეთთან შეერთებას მეფე ბაგრატიონთან ერთად და რომ ისინი არ იყვნენ რევოლუციონერები და არ უნდოდათ დაენგრიათ 1000 წლიანი დინასტია, როგორც ეს მოხდა საფრანგეთის შემთხვევაში. სიტუაცია კრიტიკული იყო. ალექსანდრე I გრძნობდა, რომ საქართველოს საქმეებში რაღაც არასწორი იყო, ამიტომ ამის გარკვევა გენერალ კნორინგს დაავალა. გენერალი კნორინგი თბილისში გაგზავნილ იქნა 1801 წლის მაისში გამოსაძიებელი მისიით. მან და გრაფმა მუსინ-პუშკინმა შეადგინეს საიდუმლო მოხსენება ანექსიის სარგებელზე. საქართველოს ელჩი რუსეთში, გარსევან ჭავჭავაძეც კი არ იყო ამ ქმედების საქმის კურსში.

1800 წლის 18 დეკემბერს პავლეს №1 მანიფესტი
28 დეკემბერს მეფე გიორგი გარდაიცვალა
1801 წლის 16 თებერვალს №1 მანიფესტი წაიკითხეს სიონში,
17 თებერვალს სომხურ ეკლესიაში
12 მარტს მეფე პავლე მოკლეს
11 და 15 აპრილს ალაექსანდრეს სახელმწიფო №1 თათბირი გადაწყვეტილების გარეშე
22 მაისი საქართველოში გაიგზავნა კნორინგი
8 აგვისტოს სახელმწიფოს №2 თათბირი და კნორინგის მოხსენების განხილვა
12 სექტემბერს №2 მანიფესტს ხელი მოეწერა
1802 წლის 12 აპრილს №2 მანიფესტი წაიკითხეს სიონში
კნორინგმა ჩამოიტანა ნინოს ჯვარი.

3 და 4 ივნისს საბჭომ განიხილა დავითის, გიორგი XII-ს ვაჟის, წერილი, რომელსაც პავლეს პირველი მანიფესტის მიუხედავად, რუსეთის დასტურის

გარეშეც თავი მემკვიდრედ მიაჩნდა და მხოლოდ დამტკიცებას ითხოვდა. განსაკუთრებულმა წარმომადგენლებმა მუსინ-პუშკინმა და აკადემიკოსების მთელმა ჯგუფმა წარმოადგინა მოხსენება საქართველოს რუსეთთან ანექსიის სარგებლობის შესახებ. საბოლოო სახელმწიფო საბჭო საქართველოს საკითხზე დაინიშნა 1801 წლის 1 აგვისტოს, სადაც მუსინ-პუშკინი, როსტოპჩინი, საგარეო პოლიტიკის მმართველი, და ლაშქარევი (ბიბილური), ქართველი წარმოშობის დიპლომატი, კნორინგი, ზუბოვი მხარს უჭერდნენ ანექსიას, ვინაიდან დამოუკიდებელ საქართველოში გაჩაღდებოდა შიდა ომები და ამ ქვეყნის რუსეთის საერთაშორისო მიზნებისათვის გამოყენება შეუძლებელი გახდებოდა. მეორე ჯგუფი კი (ვორონცოვი, კოჩუბეი და სხვები) ეწინააღმდეგებოდნენ ამას, რადგან, მონარქისტული პრინციპებიდან გამომდინარე, მეზობელი სამეფოს ანექსია უსამართლო იქნებოდა, საერთაშორისო კანონებს დაარღვევდა და არევდა ბრიტანეთთან ურთიერთობას. ლაშქარევი ანექსიას ემხრობოდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ თავდაპირველად ჩრდილო კავკასიელი მონინააღმდეგე ტომები უნდა დაეპყროთ. სახელმწიფო საბჭოს სამდივნოს სამხედრო დეპარტამენტის მმართველიც ქართველი დიდგვაროვანი გენერალი ციციანოვი იყო, მეფე ალექსანდრეს ბავშვობის მეგობარი. 1801 წლის 12 სექტემბერს კნორინგის მოხსენებაზე დაყრდნობითა და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა (თავისივე მეფედ კურთხევამდე 3 დღით ადრე (!), რომელიც 15 სექტემბერს იყო დაგეგმილი) მეორე მანიფესტს საქართველოს ანექსიის შესახებ, რათა თავიდან აეცილებინა შიდა დაპირისპირება, რომ დაეცვა ივერია სპარსეთისგან მოსალოდნელი სისხლისღვრისგან და გაეგრძელებინა ეკატერინე II-ის მიზნები. ამ მანიფესტში აღწერილია მიერთების უპირატესობები მოსახლეობისათვის და გარე საფრთხეები, მხარს უჭერდა პავლეს გადაწყვეტილებას, რითიც დასრულდა ალექსანდრეს ორჭოფობა კავკასიაში ქრისტიანული პოლიტიკის გატარების მიმართულების შესახებ.

საქართველოს მეფის, გიორგი XII-ის ვაჟების საკითხიც ჩვეულებრივ იყო გადაწყვეტილი. ჩამოსულმა კნორინგმა ჩამოაშორა დავითი ყველა საქმიანობას. კნორინგმა დააარსა პოლიცია თბილისში და ადგილობრივი მთავრობა. განაწყენებულმა დავითმა გენერლის ბოძებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებ პატაკი დაწერა, რომელიც მეფემ არ დააკმაყოფილა. დავითს ნება დართეს, ჰქონოდა ქართლ-კახეთის მეფის წოდება, მაგრამ ეს წოდება მემკვიდრეობითი არ იყო, მისი შვილები ჩვეულებრივი პრინცები იქნებოდნენ და შემდეგ თაობებში ასიმილებულნი. ტრადიციულად, გიორგი დანიშნულ იქნა რუსეთის სენატში, ჰქონდა რუსი გენერლის ტიტული და მისი ან მისი შთამომავლობის საქმიანობის შესახებ არაფერია ცნობილი საქართველოში. მათი დუმილი მოსყიდული იყო ისევე, როგორც ეს სხვა კოლონიებში პრიმიტიულ აბორიგენებში ხდებოდა.

ბაგრატიონთა დინასტიის თითქმის რევოლუციური გზით გადაყენების ფაქტის ჩაჩუმების მიზნით ყველა ქართველი თავად-აზნაური შეყვანილი იყო რუსეთის თავადების რეესტრში და წარმოუდგენლად ბევრი მათგანი გახდა უზარმაზარი იმპერიის არისტოკრატიის წევრი. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენლებიც შეყვანილი იყვნენ არა როგორც სამეფო წარმომავლობის უფლისწულები, არამედ როგორც ჩვეულებრივი თავადები[1]. თუმცა საქართველო, ინგლისის მსგავსად, და განსხვავებით რუსეთისა და გერმანიისგან, არასდროს აიძულებდა უფლისწულს, ცოლად შეერთო სამეფო ოჯახის წარმომადგენელი დედოფალი, რათა გადაეცათ სამეფო სტატუსი მათი შვილებისთვის. ფრანგი მეფეები საერთოდ არ თვლიდნენ, რომ სხვაგან არსებობდა სხვა რომელიმე თანატოლი სამეფო დინასტია.

საქართველოს ანექსია მხოლოდ მეფე გიორგის ძმამ, დარეჯანის შვილმა, ალექსანდრემ გააპროტესტა. მას მოღალატეობაში დასდეს ბრალი და თავი სპარსეთს შეაფარა. უფლისწული რამდენჯერმე შეეცადა საქართველოს რამდენიმე პროვინციაში წარუმატებელი ანტირუსული ამბოხი მოეწყო. ალექსანდრემ ცოლად შეირთო სომხეთის მმართველის ქალიშვილი. ორივეს, ალექსანდრესაც და სპარსეთის ხელისუფლებასაც, იმედი ჰქონდათ, რომ ეს ხელს შეუწყობდა სომხებისგან მხარდაჭერის მიღებას რუსების წინააღმდეგ. მისი ბრძოლა უშედეგო აღმოჩნდა. იგი დაკრძალულია სომხურ ეკლესიაში თეირანში, ირანში. მისი შვილიშვილები მოჰამედ თაგი ბაჰარი და ჰაჯ შეიხ

[1] ეს ამბავი 1911 წელს გაგრძელდა, როდესაც რუსეთის სამეფო ოჯახის წევრს, პრინცესა ტატიანა რომანოვს (რუსეთის დიდი მთავრის კონსტანტინეს ქალიშვილი) შეუყვარდა ქართული დინასტიის ოჯახის წევრი, უფლისწული კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი, მოგვიანებით, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის სამხედრო ადიუტანტი. ტატიანას მშობლებმა აუკრძალეს დაქორწინება უთანასწორობის გამო. წყვილისთვის ეს ტრაგედია იყო. იმპერატორმა ნიკოლოზმა და იმპერატრიცა ალექსანდრამ პირადად უთხრა დიდ მთავარ კონსტანტინეს, რომ „ტატიანას ბაგრატიონთან ქორწინებას არასდროს შეხედავდნენ მარგინატიკულად, რადგან ის ოდესღაც სამეფო დინასტიის შთამომავალი იყო“. ბუნებრივია, პატარძალს ასევე სთხოვეს, უარი ეთქვა თავის უფლებაზე რუსეთის სამეფო ტახტზე, რაც ტრადიციულად ხდებოდა, როდესაც რუსეთის სამეფო ოჯახის გოგონა ცოლად მიჰყვებოდა უცხო (მით უმეტეს, მეზობელი ქვეყნის) უფლისწულს. ქორწინებას სამეფო ოჯახი დაესწრო. 1911 წლის ამ ქართულ-რუსული ქორწინების ერთა-დერთი ვაჟი იხსენებს, რომ იმპერატორი ნიკოლოზი აზრს გამოთქვამდა, რომ სასიძოს საქორწინო მოწმობაზე მოეწერა ხელი, როგორც „საქართველოს უფლისწული“ „Prince of Georgia“. მიუხედავად მისი პირადი საუბრებისა მთავარ კონსტანტინესთან, მეფეს არ გამოუცია რაიმე ფორმალური დადგენილება, რომ მათი ქორწინება თანაბარუფლებიანი იყო. 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და უფლისწული ბაგრატიონი ბრძოლის დროს დაიღუპა ფრონტზე 1915 წელს. ორ წელზე ნაკლებ დროში კი რომანოვები გადაყენებულ იყვნენ სამეფო ტახტიდან. ტატიანა მეორედ აღარ გათხოვილა და იერუსალიმის მონასტერში გარდაიცვალა.

აჰმად ბაჰარი Mohammad-Taghi Bahar and Haj Sheikh Ahmad Bahar, ორივე ირანელი მწერალი, პოეტები და პოლიტიკოსები იყვნენ.

XXI საუკუნის ყირიმის ოპერაციის მსგავსად, მართლაც, სიტუაცია დროის მხრივ უნიკალური იყო, რადგან იყო შესაძლებლობა ანექსია მომხდარიყო უზარმაზარი სტრატეგიული ტერიტორიებისა, რომელზეც დასახლებული იყო ქრისტიანი მოსახლეობა ისე, რომ არ დაღვრილიყო არც ერთი წვეთი სისხლი. რამდენიმე წელიწადში ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან სპარსეთი და თურქეთი შეიძლება გაძლიერება, და ასევე ინგლისელმა და ფრანგმა ემისრებმა დაიწყეს იმ ქვეყნებში ინფილტრაცია, მაგრამ ზუსტად იმ დროს შორეული საქართველო ევროპაში არავის ადარდებდა. რამდენიმე წელში, 1807 წელს ნაპოლეონის ემისარმა ჯუბერტმა Jaubert უკვე მოამზადა ნიადაგი საფრანგეთსა და სპარსეთს შორის სტრატეგიული კავშირის ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად და მხოლოდ ტილზიტის სამშვიდობო შეთანხმებამ არ მისცა ნაპოლეონს შესაძლებლობა კავკასიაში ირანის მხარეს ჩარეულიყო. ამ სიტუაციით ისარგებლეს ინგლისელმა ემისრებმა და ირანში ფრანგები ჩაანაცვლეს. გულისტანის სამშვიდობო შეთანხმებაში Gulistan peace საქართველო უკვე ფორმალურადაც აღიარებულ იქნა რუსეთის მფლობელობაში.

ზუსტად ამ დროს ბრიტანელები ინდოეთშიც იმავეს აკეთებდნენ, მაგრამ განსხვავებულად. ინდური პატარა სახელმწიფოები იმართებოდა ადგილობრივი უფლისწულების მიერ და ისინი ინახავდნენ ინგლისელ ჯარებს თავიანთი ხარჯებით. მაგრამ ეს მხოლოდ ინტელექტუალურ ბრიტანულ ადმინისტრაციას შეეძლო სხვადასხვა პატარა სახელმწიფოსა და გარემოებების გათვალისწინებით მართვა, რუსულ ადმინისტრაციას შეეძლო ემუშავა მხოლოდ სრული კონტროლის პირობებში, თუნდაც საკუთარი უზარმაზარი ხარჯით.

ამავე დროს, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები უფრო ნაკლებად მეგობრული, ან, მით უმეტეს, რაიმე სახის წინააღმდეგობა ყოფილიყო და მთელი ეს სიტუაცია განხილულიყო საერთაშორისო კანონის შესაბამისად და არა როგორც შიდა ძმური ქრისტიანული საქმეები, ანექსია ამდენი საერთაშორისო კანონების დარღვევით შეუძლებელი იქნებოდა. სიტუაციას ამძიმებდა ის გარემოებაც, რომ საქართველოც არ იყო ინტელექტუალურად მზად თანამედროვეობისათვის. მას ჰყავდა გმირი მეფეები, მაგრამ არ ჰყავდა მოდერნიზებული ადმინისტრაცია. რუსებს არ შეეძლოთ იმ მეფესთან მოლაპარაკების გამართვა, რომელიც ცხენზე ამხედრებული უძღვებოდა ბრძოლებს. ქართველი მეფე ვერ იჯდებოდა ფურცლებით მაგიდასთან და განათლებული კადრები არ იყო. მთელი ქვეყნის მიერთებისთვის ერთი მანიფესტიც საკმარისი აღმოჩნდა.

ალექსანდრე პირველის პირადი განწყობა იმპერიის არარუსული მოსახლეობის მიმართ პოზიტიური იყო. ალექსანდრეს სძულდა ყველაფერი რუსული, არ ლაპარაკობდა რუსულად, პარიზის ოკუპაციის დროს უკრძალავდა

რუს ოფიცრებს ქალაქში გამოჩენას. ის იძლებული გახდა, პავლეს გეგმის შესაბამისად, მოეხდინა საქართველოს ანექსია, მაგრამ ამას თვითონაც უსამართლოს უწოდებდა. მან მაშინვე გაათავისუფლა კავკასიის მთავარი მმართველი კნორინგი[1] **Knorring**, როდესაც შეიტყო ქართველებისგან, რომ კორუფციაში სდებდნენ ბრალს და 1802 წლის მარტს ჩაანაცვლა იგი ქართველი დიდგვაროვანი ციციანოვით Prince Tsitsianov, მისი პირადი მეგობრით. რვა წლის შემდეგ, 1809 წელს ალექსანდრემ ფინეთი განსხვავებული, მეტად ლიბერალური პირობებით შემოიერთა. საერთოდ წარმოუდგენელი რამ, მან პოლონეთს კონსტიტუცია უბოძა.

1802 წელს მნიშვნელოვანმა ტრაგიკულმა ფაქტმა გაანადგურა მუსლიმური სამყაროს ინტერესი კავკასიისადმი, როდესაც ბაღდადში სუნიტმა ვახაბიტმა არაბებმა კერბელაში დაარბიეს შიიტების საკრალური საფლავი, მოკლეს ათასობით ადამიანი და ერაყელი სუნიტი თურქი მმართველი მათ დახმარებაში იყო დადანაშაულებული შიიტი სპარსელი შაჰის მიერ. ამის შემდეგ საქართველო სამუდამოდ გათავისუფლდა მუსლიმების სტარტეგიული სამიზნედ ყოფნისაგან.

დიტრიხ-კრისტოფ ვან რომელი Dietrich-Christoph von Rommel, გერმანელი ლინგვისტი და ეთნოგრაფი, საქართველოს ესტუმრა და 1808 წელს გამოსცა წიგნი ვაიმარში „კავკასიელი ხალხი“ „Caucasian people“. ის ყოველთვის ხაზს უსვამდა კავკასიის ბუნების სილამაზეს, ჩერქეზი და ქართველი ქალების მშვენიერებას. ამ ყველაფერთან ერთად ის ასევე აღნიშნავდა აქაური ხალხის სიმამაცეს, სტუმართმოყვარეობას, იარაღის სიყვარულს, მოხუცებისა და ქალებისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობას. მან აღწერა კავკასიელი და ავღანელი ტომების მსგავსება; კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასა და სლავების შორის, ავარებსა და ჰუნებს შორის, ასევე უნგრელებსა და ფინელებს შორის; ლეკური და ფინური ენების მსგავსება კუბაჩის და ვენეციურ და გენუის ენებს შორის. მან აღნიშნა ჩერქეზების კავშირი ეგვიპტელებთან, როდესაც ჩერქეზები და ქართველები ეგვიპტეში მსახურობდნენ მამლუქებად. შედეგად, მონობით ვაჭრობა კავკასიელი ტომებისთვის დამანგრეველი იყო. დარიოს დიდის დროიდან კოლხების ხარკი არ იყო ოქრო და სხვა ძვირფასეულობა, არამედ რეგულარული გადაცემა 100 ბიჭისა და გოგოსი, რაც დიდად ფასობდა სპარსეთის სამეფო კარზე. შურისძიებისა და ძმათაშორის ბრძოლამ, რასაც აქეზებდნენ გარე ძალები, რეგიონის შიდა სიძლიერე დაასრულა. მან შეაჯამა კავკასიის ტრაგიკული ბედი, ადგილი, საიდანაც წამოვიდა თანამედროვე ევროპის ყველა ნაცია, როგორც თავდაპირველად,

[1] გენერალი კნორინგი და ლაზარევი გერმანულად ურთიერთობდნენ და წერილებში ქართველებს მოიხსენიებდნენ, როგორც „die hiesigen Dummkopfe“ „ეს გამოთაყვანებულები“, რაც ქართველების ინტელექტის დონის მკვეთრ ჩამორჩენაზე მიუთითებდა ევროპულ აზროვნებასთან შედარებით.

ასევე სატრანზიტო კუთხითაც. მან აღნიშნა, რომ კავკასია იყო სამოთხის ადგილას, და რომ აქედან იმოგზაურა ნოემ, აბრაჰამის შთამომავალმა, შუმერში მესოპოტამიაში. მას სჯეროდა, რომ ბიბლიაში აღნიშნული წყალდიდობაც სწორედ აქ მოხდა, კავკასიაში. ასევე სწამდა, რომ იბერიელები და ებრაელები ნათესავები არიან. მით უმეტეს, რომ ბაგრატიონების დინასტია არის მეფე დავითის შთამომავალი. სწორედ ამიტომ ხდებოდა, რომ როდესაც ებრაელებს დევნიდნენ, ისინი კავკასიაში მოდიოდნენ ყოველგვარი წინასწარი ნებართვის ან წინააღმდეგობის გარეშე, ისე თითქოს სახლში ბრუნდებოდნენ. როგორც ეს მოხდა ძვ. წ. 721 წელს, როდესაც ისრაელი დაარბია ასურეთმა და ძვ. წ. 588 წელს იუდეაში ნაბუქოდონოსორის შემოსევამდე. შესაბამისად, 10 დაკარგული ტომი კავკასიაში უნდა ეძებათ. ის წერდა, რომ მისის გუტიე თავის წიგნში „1795-1796 წლის მოგზაურობის დროს თავრიდში“ Mrs. Guthrie „A tour performed in the year 1795-1796 through the Tauriden“ წერდა, რომ ამაზონელები გაიფანტა კავკასიელებთან ერთად თანამედროვე ტრაპიზონის ტერიტორიაზე. იგი აღნიშნავდა, რომ მიულერი „Sammlungen Russ. Geschichte IV“ წერდა, რომ ავღანელები Agvans, რომლებიც ცხოვრობდნენ კანდაჰარის Kandahar რეგიონში, არ იყვნენ ავღანელები, არამედ ბაქოსა და დერბენტს შორის ტერიტორიიდან გადმოსახლებული ალბანელები Albans. რომელს მიაჩნია, რომ ევროპული ალპების სახელი მოდიოდა ფუძიდან „ლპ“ კავკასიელი ალბანელებისგან.

საქართველო რუსეთში

რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის თავისუფლებისადმი დაუოკებელი ლტოლვა და კავკასიელების ფიზიკური ძალა, საუკუნეების მანძილზე დიდ როლს თამაშობდა უცხოელი დამპყრობლებისგან ადგილობრივების გადარჩენაში. მაღალი მთები აღმოსავლეთ საქართველოში მშვენიერი თავშესაფარი იყო, ვინაიდან ყველა მოსული დამპყრობელი მომთაბარე სტეპებისა და უდაბნოების მცხოვრები იყო და მთაში ვერ ადიოდა. ხოლო დასავლეთ საქართველო უცხოელებისთვის სასიკვდილო ადგილი იყო სინესტისა და მალარიის გამო. მხოლოდ ადგილობრივებს ჰქონდათ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული იმუნიტეტი. რუსული (ან სხვა) გარნიზონები დასავლეთ საქართველოს ყველა დასახლებაში ფაქტობრივად ნახევრდებოდნენ ყოველ 5 წელიწადში მალარიის გამო. მხოლოდ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დროს დააშრეს კოლხეთის დაბლობის ჭაობები. კავკასიელი ხალხები: სომხები, ალბანელები და ქართველები არასოდეს წასულან საომრად კაკვკასიიდან შორეულ მიწებში, კავკასიის საზღვრებს გარეთ მათ არ ეგულებოდათ რაიმე ღირებული, არც მიწა, არც მონები, არც სიმდიდრე, არც კულტურა, თუმცა ყველა დამპყრობელი, რაც ცნობილია ისტორიიდან, ცდილობდა საქართველოში ლაშქრობას, მაგრამ არა დაპყრობას, ვინაიდან იცოდნენ

კავკასიელების ბრძოლის შესაძლებლობები და ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ წინააღმდეგობა, კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ იმ ნადავლით, რასაც დატოვებულს იღებდნენ. პრობლემა ის იყო, რომ ვინაიდან იცოდნენ, რომ დროებით იყვნენ, ხშირად ყველაფერს ძირეულად ანგრევდნენ და სპობდნენ.

მე-17-მე-18 საუკუნეებში თურქეთისა და სპარსეთს შორის გაყოფილი საქართველო საკმაოდ კომფორტულად ცხოვრობდა. როგორც ყოველთვის, გამოჩენილი ქართველი წარჩინებულები ორივე ქვეყნის სამხედრო თუ სხვა სფეროს სამსახურებში იყვნენ. მშვიდობის ერთადერთი პირობა იყო, რომ საქართველოს არ მოეწყო რუსებთან ერთად მუსლიმების წინააღმდეგ შეთქმულება. ირანი და თურქეთი იმაზედაც ხუჭავდნენ თვალებს, რომ ქართველები და ქართველი მეფეები არ ღებულობდნენ ისლამს (თუმცა ეს პრაგმატული იყო, ვინაიდან სხვაგვარად მუსლიმანებს მოუწევდათ ადგილებზე ადმინისტრაციის დაარსება და გაქრებოდა მონებით ვაჭრობის და იანიჩარების რეკრუტირების შესაძლებლობა). ინტერნეტის და კომუნიკაციების არარსებობის პირობებში მხოლოდ ევროპულ სანათესაოსკენ გენეტიკური ლტოლვით თუ აიხსნება ხალხის ჩრდილოეთ-დასავლური მისწრაფება. რომ არა ეს 2 საუკუნის წინ ქართველების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, დაეტოვებინათ ირანი, ჩვენ ახლა ვიქნებოდით ირანის ერთ-ერთი უცნობი პროვინცია. თანამედროვე ტემპების გათვალისწინებით, ჩვენ რუსეთში ასიმილაცია უკვე ორ თაობაში გველოდებოდა.

ზოგადად, ქართველებს რუსეთში ძალზედ აფასებდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ზრდიდა ასიმილაციის სიჩქარეს. რუსეთში ქართველებს არ იწვევდნენ ჯარში, მხოლოდ თავადები მსახურებდნენ, როგორც ოფიცრები, ყველა ადგილობრივი ატარებდა იარაღს და მოიაზრებოდნენ კავკასიაში სამხედრო სამსახურში მთელი რუსეთ-თურქეთისა და სპარსეთის ომების განმავლობაში. ქართველი ოფიცრობა მეფის მიერ აღიარებული იყო როგორც რუსი ოფიცრობა და მათ შეეძლოთ მიეღწიათ უმაღლესი პოზიციებისთვის და საუკეთესოდ დაქორწინებულიყვნენ.

რუსეთის მეფის გვარდიის ნაწილებისგან ჩამოყალიბებული იყო კავკასიის პოლკი კავკასიელი მოხალისეებისაგან და დაფასებულები იყვნენ მეფისა და მეფისწულებისგან, მაგრამ შეეძლოთ მიეღწიათ მხოლოდ პოლკოვნიკის წოდებამდე. სამხედრო აღლუმების დროს მათ ეცვათ კავკასიური უნიფორმა – ჩერქესკა.

კავკასიელი გრენადერების დივიზია პირველ გრენადერთა ბრიგადას მოიცავდა, რომელიც შედგებოდა სამხრეთ კავკასიელებისაგან;

მე-13 ლეიბ-გრენადერთა ერევნის პოლკი (უძველესი და დაფასებული სამხედრო დანაყოფი, დაარსებიდან ბუტირსკის ნაწილი, პეტრე დიდის მიერ შექმნილი, შოტლანდიელი ოფიცრის, გორდონის მეთაურობით);

მე-14 ლეიბ-გრენადერთა საქართველოს პოლკი (ასევე უძველესი რუსული არმიის სამხედრო დანაყოფი, ჩამოყალიბებული გორდონის მეთაურობით);

მე-15 ლეიბ თბილისის დანაყოფი, დაარსებული მეფე პეტრე დიდის სპარსული კამპანიის დროს;

მე-16 ლეიბ მეგრული დანაყოფი, 1834 წელს შექმნილი;

კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადა და კავკასიის გრენადერთა კავალერიის დივიზია.

რუსეთმა საქართველო შემოიერთა 1801 წელს, მაგრამ უკვე 1812 წელს 12 ქართული წარმომავლობის გენერალი მონაწილეობდა ბოროდინოს ბრძოლაში, ხოლო ქართველი გენერალი პეტრე ბაგრატიონი რუსეთის ეროვნულ გმირად არის დღემდე აღიარებული, როდესაც ის საყვედურობდა მიხაელ ანდრეას ბარკლაი დე ტოლს Michael Andreas Barclay de Tolly რუსი ჯარის მუდმივი უკან დახევის გამო, ერთხელ გაბრაზებულმა უწოდა: „ნემეც – გერმანელო“. თუმცა ის შოტლანდიური წარმოშობის ბალტიისპირელი გერმანელი იყო და მისი სახელი მოხსენიებულია ვალჰალაში, დიდების დარბაზში, სადაც პატივს მიაგებენ გერმანიის ცნობილ ადამიანებს, რომელიც აშენებულია დუნაის ნაპირზე რეგენსბურგის აღმოსავლეთით, ბავარიაში. ამაზე დე ტოლიმ უპასუხა: „ტო ჟე მნე რუსკი – ეს ხომ არის რა რუსი“.

ყველაზე მნიშვნელოვანს, რასაც საქართველოსა და კავკასიაში რუსეთის ადმინისტრაცია აკეთებდა, იყო, რომ ისინი მთელი სისასტიკით წინ აღუდგნენ და გაანადგურეს შურისძიების პრაქტიკა (ვენდეტა) (როგორც ევროპაში დუელი) და მონებით ვაჭრობა, განსაკუთრებით, როცა ქართველებს ქართველი ყიდდა.

ამიერკავკასიის კამპანია, ჩრდილოკავკასიისაგან განსხვავებით, არ იყო კოლონიზაცია, როგორც კლასიკური ტრადიციული რუსული პოლიტიკა. ჯონ სტეინბეკი „რუსულ გაზეთში“ (ნიუ იორკი, 1948 წ. გვ. 150) John Steinbeck „A Russian Journal“ (New York, 1948, p.150) წერდა, რომ „მართლაც, ჩვენ დავიწყეთ დაჯერება, რომ რუსებს იმედი ჰქონდათ, თუკი კარგი და სათნო ცხოვრებით იცხოვრებდნენ, როდესაც მოკვდებოდნენ სამოთხის ნაცვლად საქართველოში აღმოჩნდებოდნენ“. კავკასიის კამპანიას გარკვეული მისტიკური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის. როდესაც შამილი, ჩეჩენი მეამბოხე ლიდერი, დაპატიმრებულ იქნა და თვეების განმავლობაში მიჰყავდათ პეტერბურგში, იგი შოკირებული იყო და პირველი კითხვა, რომელიც მან რუსეთის მეფეს დაუსვა იყო – თუ რაში სჭირდებოდა მისი ასეთი პატარა სამშობლო, როდესაც ამდენი ცარიელი ადგილი ჰქონდა . ვერც ერთი რუსი ვერ ბედავდა და ვერ ბედავს მთიან კავკასიის რეგიონში დასახლებას.

მისტიკურად, არა მხოლოდ იმპერიის ადმინისტრაცია, არამედ „პროგ-რესულად“ მოაზროვნე „ინტელიგენცია“, რევოლუციონერები და დეკამბ-რისტებიც ერთი იდეის ქვეშ ერთიანდებოდნენ – კავკასია ანექსირებული

უნდა ყოფილიყო ნებისმიერ ფასად. 1833, 34, 40 წლებში, რუსეთში სასოფლო-სამეურნეო კატასტროფისა და შიმშილობის გამო ათასობით გლეხი დაიღუპა, მაგრამ ათასობით ჯარისკაცი გაგზავნილი იყო კავკასიაში ყოველგვარი უკმაყოფილების გამო, მთელი იმ წლების განმავლობაში, მიუხედავად დანაკარგის, შიმშილობისა და ყველა იმ სიძნელისა, შუა საუკუნეების მსგავს ომებში რაც ხდებოდა! საუკუნეების მანძილზე რუსეთი ამყოფებდა ჯარის საუკეთესო მეომარ ნაწილებს, ყველაზე ნიჭიერ და ქმედით გენერლებს და ოფიცრებს კავკასიაში. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი ქრისტიანული საქართველოსა და სომხეთის დახმარებისა იყო ფაქტორი, მაგრამ ამით ყველაფრის ახსნა ძალიან ძნელია.

დეკაბრისტმა პესტელმა თავის დოქტრინაში, 1824 წელს აშკარად დაგეგმა კავკასიელი ტომების ციმბირში გადასახლება, ხოლო რუსების დასახლება მათ ადგილას. ეს კი მეტისმეტი იყო რუსი იმპერიალისტებისთვისაც კი. ცნობილი რუსი დეკამბრისტი და მწერალი ბესტუჟევ-მარლენსკი 1831 წელს დამწუხრებული იყო ფაქტით, რომ, რადგან იგი კავკასიის არმიაში მსახურებდა, არ ჰქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში. ის მოკლულ იქნა ჩერქეზებზე სასიკვდილო შეტაკების დროს. პუშკინმა, ტოლსტოიმ, ლერმონტოვმა და სხვებმა ამ ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა, ჰუმანიზმზე ყოველგვარი კითხვების გარეშე. ლერმონტოვმა სახელი გაითქვა თავისი სიმამაცით მთიელებთან ბრძოლაში და წერდა, რომ მას სულ უფრო მეტად მოსწონდა ომი და სისხლი. რუსი „ჰუმანისტი“ დოსტოევსკი მსოფლიოში გახდა ცნობილი რუსი მოხუცი ქალის მკვლელის გაკიცხვით, მაგრამ მის ნაწარმოებებში ვერსად შეხვდებით რუსეთის სისასტიკის დაგმობას ან აღწერას კავკასიაში ბრძოლის დროს: გადამწვარი სოფლები, ჩამომხრჩვალი ადამიანები, გაუპატიურებული ქალები, მოკლული ბავშვები, ასიათასობით მოკლული ხალხი. კავკასიაში კონკისტადორებივით ქცევამ არ გამოიწვია რუს ინტელექტუალებში მორალური პრობლემები. რუსი კლასიკოსი გრიბოედოვი იყო გენერალ ერმოლოვის, ყველაზე სასტიკი „გმირი“ კავკასიასთან ბრძოლაში, დიპლომატიური მდივანი ყოველგვარი ჰუმანური შენიშვნების გარეშე. მაგრამ არის ასევე სხვა მაგალითი, გენერალმა რაევსკიმ სამხედრო მინისტრს მისწერა, რომ ის წინააღმდეგია კავკასიაში საბრძოლო მოქმედებებისა და რომ ტოვებდა რეგიონს: „ჩვენი მოქმედებები კავკასიაში ჰგავს ამერიკის ესპანელი დამპყრობლების პისაროს ან კორტესის საშინელ მოქმედებებს“.

რუსეთის იმპერიული პოლიტიკა და კავკასიური ტრადიციები ძალზედ შეუთავსებელია ერთმანეთთან. ერთხელ რუსმა გენერალმა გადაწყვიტა, შეეჩერებინა ეს გიჟური ძალადობის ჯაჭვი და აეხსნა მთიელებისთვის აშკარა სიმართლე, ამაო წინააღმდეგობა მრავალმილიონიანი რუსეთის წინაშე. იგი უიარაღოდ შევიდა მთებში და არ იყო მყისიერად მოკლული და მტერიც კი,

დაარწმუნა, 2 საათი ჩუმად ესმინა, შემდეგ კი მთიელებმა გამოაცხადეს, რომ იგი ჭკუაზე არ იყო და მარტო დატოვეს. მუსლიმური ტრადიციის მიხედვით, ცოდვა იყო რაიმეს დაშავება უნარწართმეული ადამიანისთვის.

ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ვანო ნანუაშვილი წერდა რუსეთის როლზე კავკასიაში: „1722-1723 წლებში რუსეთმა და საქართველომ ერთად წამოიწყეს ომი სპარსეთის წინააღმდეგ; შემდეგ რუსეთმა ცალკე მშვიდობა გამოუცხადა და საქართველო დატოვა მარტო მტრის მოწყალების იმედად. პეტრე დიდიც ზუსტად ესე მოიქცა მონტენეგროსთან 1711 წელს, პრუტის ექსპედიციის დროს. პეტრე დიდის ეს მანევრი გაიმეორა ეკატერინე II-მ რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1768-1774 წლებში. რუსეთმა საქართველოსთან დადო ხელშეკრულება და პატარა რაზმი გაუგზავნა გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. ბრძოლის საღამოს, მტრის დასანახად, ტოტლებენმა მიატოვა ქართველების ბანაკი. მისი მიზანი იყო, რომ ქართული არმია გაენადგურებინა თურქებს და უმწეო ქვეყანა თავად მოექცია ოკუპაციაში“. ეს რუსების საყვარელი პოლიტიკური მანევრია. ესეთი რამ კიდევ ერთხელ იქნა გამოყენებული საქართველოს წინააღმდეგ 1795 წელს (სპარსეთის მიერ თბილისის აღების დროს), ასევე პოლონეთის წინააღმდეგ 1945 წელს ვარშავაში ამბოხის დროს.

ისტორიულად, საქართველომ დაკნინება დაიწყო ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის შემდეგ, რადგან ქართველები და კავკასიელები ორთაბრძოლაში მომხდურ მომთაბარეებზე გაცილებით ძლიერნი იყვნენ. საქართველოს ძალზედ აკლდა ქარხანა, რათა ეწარმოებინათ შაშხანები და ქვემეხები. მაგრამ შაშხანის იმპორტი შესაძლებელი იყო, ხოლო ქვემეხები კი ძალზედ „მძიმე“ იყო. ირანი და თურქეთი ჩასაფრებული იყვნენ ყურადღებით, რათა აღეკვეთათ ეს შესაძლებლობა. ასე რომ, არტილერისტებზე დიდი მოთხოვნა იყო საქართველოში. ჩვენ შეგვიძლია ახლა მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ რატომ უნდოდა ალქსანდრეს, პეტრეს ძმას, ესწავლა და გამოსულიყო არტილერისტი. ფაქტია, რომ რუსული არმიის ეთნიკურად ქართველი ოფიცრების გარკვეული ნაწილი ეკატერინესა და სხვა რუს მეფეებს უგზავნიდნენ წერილებს თხოვნით, რომ გაეშვათ საქართველოში, რათა ემსახურათ, რაზეც მუდმივად უარს იღებდნენ. აშკარად რუსეთსაც არ სურდა საქართველოს გაძლიერება და რომ არ ყოფილიყო დამოკიდებული რუსეთის სამხედრო მხარდაჭერაზე. მსგავსი მიზეზის გამო რუსეთი ხელს უშლიდა ბულგარეთს და საბერძნეთს ისე გაძლიერებულიყვნენ, რომ კონსტანტინოპოლი რუსეთის გარეშე აეღოთ, ან პირდებოდა დახმარებას სომხებს, მაგრამ ბოლოს მარტოდ ტოვებდა.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია კარგადაა აღწერილი დევიდ მარშალ ლანგის წიგნში „თანამედროვე საქართველოს ისტორია“/1962 წელი/NY.

კავკასიის რუსი გენერალ-გუბერნატორები ქ. თბილისში იყვნენ:

კარლ ფონ კნორინგი	Karl von Knorring	1801-1802
პავლე ციციანოვი	Pavel Tsitsianov	1802-1806
ივან გუდოვიჩი	Ivan Gudovich	1806-1809
ალექსანდრე ტორმასოვი	Alexander Tormasov	1809-1811
ფილიპ პაულუჩი	Philip Paulucci	1811-1812
ნიკოლაი რტიშჩევი	Nikolay Rtishchev	1812-1816
ალექსეი ერმოლოვი	Aleksey Yermolov (Ermolov)	1816-1827
ივან პასკევიჩი	Ivan Paskevich	1827-1831
გრეგორ ფონ როზენი	Gregor von Rosen	1831-1838
ევგენი გოლოვინი	Yevgeni Golovin	1838-1842
ალექსანდრე ნეიდგარტი	Aleksandr Neidgart	1842-1844
მიხეილ ვორონცოვი	Mikhail Vorontsov	1844-1854
ნიკოლაი მურავიოვ-ამურსკი	Nikolay Muravyov-Amursky	1854-1856
ალექსანდრ ბარიატინსკი	Aleksandr Baryatinsky	1856-1862
გრიგოლ ორბელიანი	Grigol Orbeliani	1862
დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლაევიჩი	Grand Duke Mikhail Nikolayevich	1862-1882
ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი	Aleksandr Dondukov-Korsakov	1882-1890
სერგეი შერემეტიევი	Sergei Sheremetyev	1890-1896
გრიგორი გოლიცინი	Grigori Golitsin	1896-1904
ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი	Illarion Vorontsov-Dashkov	1904-1916
დიდი მთავარი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი	Grand Duke Nikolay Nikolayevich	1916-1917

სანამ მეფე პავლე ცოცხალი იყო, კავკასიელი გენერლები უსამსახუროდ იყვნენ. და უეცრად, 1801 წელს ალექსანდრე I-ის გამეფებით, ყველაფერი შეიცვალა. ეკატერინეს დროის ოფიცრები აღადგინეს, ხოლო ალექსანდრე I-ის ბავშვობის მეგობარი, გენერალი ციციანოვი (ციციშვილი), ქართული არისტოკრატიული ოჯახის შთამომავალი, დანიშნულ იქნა კავკასიის ხაზის მთავარსარდლად. იმპერიის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად, ქართველი გენერლები იბრძოდნენ პოლონეთში, ხოლო პოლონელი და უკრაინელი გენერლები იბრძოდნენ კავკასიაში. 1794 წელს ქართველი ციციანოვი იბრძოდა პოლონეთში ამერიკის რევოლუციის მონაწილის, თომას ჯეფერსონის მეგობრის ტადეუშ კოსტიუშკოს აჯანყების ჩასახჩობად. ვარშავის შტურმის შემდეგ სუვოროვმა თავის ბრძანებაში მიუთითა ჯარისკაცებს, რომ „ებრძოლათ როგორც მამაცი ციციანოვი“. ეკატერინე მას ეძახდა „ჩემს გენერალს“. ის მონაწილეობას იღებდა ვალერიან ზუბოვის, რომელიც ასევე მონაწილეობდა პოლონელების წინააღმდეგ ომში და პირადად აწამებდა ხალხს, სპარსეთისკენ ლაშქრობაში 1796 წელს როგორც გამოცდილი სამხედრო მრჩეველი.

რათა მოეძებნა გამოსავალი საქართველოში ქაოსის დროს, ციციანოვი მიხვდა, რომ ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ადგილობრივი სამეფო ოჯახის ქვეყნიდან მოშორების შემთხვევაში. „შიში და გაუმაძღრობა, ეს ის ორი ძირითადი მიზეზია იმ უმსგავსობისა, რაც აქ ხდება“ – წერდა ციციანოვი იმპერატორ ალექსანდრე I-ს. მან ნებართვა მიიღო, რომ ქართული ყოფილი სამეფო ოჯახი გადაესახლებინა რუსეთში.

მაიორი-გენერალ ლაზარევი, რუსეთის არმიის მმართველი თბილისში, მივიდა დედოფალ მარიამთან, მეფე გიორგი XII-ის ქვრივთან, რათა იგი და მისი შვილები გაეცილებინა რუსეთში. დედოფალი მარიამი გენერალ ციციანოვის ნათესავი იყო, მისი ქალიშვილობის გვარი იყო ციციშვილი. როდესაც ლაზარევი მარიამის ოთახებში შევიდა, მან ნახა დედოფალი ტახტზე მჯდომი თავის 7 მძინარე ბავშვთან ერთად გარშემორტყმული. როდესაც მას უთხრეს, რომ დრო იყო გამგზავრებისა, დედოფალმა იშიშვლა ხანჯალი, ლაზარევს გულმკერდში ჩაარტყა და უთხრა: „აი, ასე კვდებიან ისინი, ვინც ცდილობენ შეურაცხყოფა დაამატონ ჩემს უბედურებას!“ ჯარისკაცები მივარდნენ დედოფალთან და გააგდებინეს ხმალი. მათ გამოიყვანეს დედოფალი სახლიდან, სადაც სისხლით იყო ყველაფერი დასვრილი, სასწრაფოდ ჩასვეს ბავშვებთან ერთად ეტლში და გაამგზავრეს ძლიერ დაცვასთან ერთად. თაგაური ოსები Tagaur Ossets ამაოდ ეცადნენ, დაეხსნათ დედოფალი მარიამი. რუსეთში ჩასვლისთანავე იგი დააპატიმრეს შვიდი წლით ვორონეჟის დედათა მონასტერში, შემდეგ მოსკოვში და 1850 წელს დაკრძალეს თბილისში. ეს საზარელი ამბავი სწრაფად გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიაში და მეზობელ მუსლიმანთა შორის, რაც ზრდიდა წინააღმდეგობას ფანატიკურად. მოგვიანებით, 1857 წელს სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა მოკლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი.

ციციანოვმა გააერთიანა სამეგრელო (მთავარი დადიანი) და იმერეთი (მეფე სოლომონი) საქართველოს სასარგებლოდ 1804 წელს. 4 საუკუნის წინ დამსხვრეული უძველესი იბერია როგორც იქნა გააერთიანა ციციანოვმა ალექსანდრე I-ის სამეფო კვერთხის ქვეშ. ამავე 1804 წლის იანვარს გენერალმა ციციანოვმა შტრუმით აიღო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე განჯა და უწოდა მას ელიზავეტპოლი, მეფე ალექსანდრეს მეუღლის პატივსაცემად. მოგვიანებით, 1804 წელს, როდესაც ციციანოვმა 10 000-კაციანი ჯარითა და 20 ზარბაზნით გაილაშქრა ერევნისკენ, სპარსეთის ფატი ალი შაჰ ყაჯარი, თავის ვაჟ აბას მირზასთან ერთად, 140 000 არმიით შეხვდა ერევანთან ახლოს. რუსები ღონეგამოცლილები იყვნენ და იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. ეს კი სპარსეთის უდიდეს გამარჯვებად გამოცხადდა.

1806 წლის იანვარში ციციანოვმა გაილაშქრა ბაქოზე. მისი ულტიმატუმი ყოველთვის მოკლე და აგრესიული იყო. ის მტერს სწერდა: „ამ წერილის წერის დროს ძალზედ გაშმაგებული ვარ. მე არ გამოვგზავნი ჩემს არმიას, არამედ თავად მოვალ და თქვენს მიწას სისხლით გავავსებ... გადავწვავ ყველაფერს,

მოვკლავ თქვენს შვილებსა და ცოლებს... თქვენ ფიქრობთ, რომ ვარ ქართველი, მაგრამ მე ვარ რუსი და თავს ვერ შემაცოდებთ. როგორ ბედავთ, რომ შეწყალებას მთხოვთ“. ბაქოს ხანმა გადაწყვიტა, ქალაქის გასაღები გადაეცა. ციციანოვი სომეხმა ვაჭრებმა გააფრთხილეს, რომ მახეს უგებდნენ, მაგრამ მან ასე უპასუხა: „ისინი ვერ გაბედავენ“ და წავიდა ხანთან შესახვედრად. სპარსეთის სამსახურში მყოფმა მოღალატე მუსლიმმა ქართველებმა ესროლეს მას. ციციანოვის მოკვეთილი თავი და ხელები ტრიუმფით გააგზავნეს თეირანში, ხოლო სხეული დამარხეს ბაქოს კედლების ქვეშ. რამდენიმე წელიწადში იგი გადმოასვენეს თბილისის სიონის ტაძარში.

დასავლელი თანამედროვე ისტორიკოსები წერენ, რომ „მან სამ წელიწადში ამიერკავკასიის რუკა მთლიანად შეცვალა“. მან გააერთიანა საქართველო (ქართლი, კახეთი, იმერეთი და სამეგრელო) და დაიპყრო ყველა სახანო, რაც საქართველოს ერტყა გარს, ესენი იყო – ბაქო, შირვანი, შაქი, ყარაბაღი, განჯა, ერევანი, ახალციხე, ლეზგინების ტერიტორია, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე თურქული ციხესიმაგრეები, გარდა ფოთისა და ბაქოსი. ფაქტობრივად, მან დაიპრო მთლიანად ის ტერიტორია კავკასიაში, რასაც რუსეთი ფლობდა საბჭოთა კავშირის დროსაც. შემდეგ წლებში ბრძოლები თითქმის მხოლოდ ამ ტერიტორიების შენარჩუნებისთვის იმართებოდა.

ციციანოვის მემკვიდრეები ერმოლოვამდე და პასკევიჩამდე არ იყვნენ ტალანტით დაჯილდოვებულნი და დაკარგეს თითქმის მის მიერ დაპყრობილი მთელი ტერიტორიები. მომდევნო უკრაინელმა გენერალ-გუბერნატორმა გუდოვიჩმა, პედანტმა გენერალმა, რომელმაც განათლება მიიღო ლაიფციგსა და კენიგსბერგში, როგორც შემდგომ ერმოლოვი წერდა, დაკარგა ყველაფერი, რაც კი „დიდმა გენერალმა“ ციციანოვმა დაიპყრო. თუმცა ბაქო და დერბენტი 1806 წელს ანექსირებულ იყო (ისინი სასტიკად იყვნენ შეშინებულნი ციციანოვის მკვლელობის შემდეგ).

გუდოვიჩმა გადაწყვიტა გაერისკა და იერიში მიეტანა ერევანსა და ნახჩევანზე 1808 წლის ნოემბერში, მაგრამ ყველაფერი მარცხით დამთავრდა. დასავლეთ საქართველოში რუსებმა გენერალ გუდოვიჩის მეთაურობით აიღეს თურქებისგან შავი ზღვის პორტი ანაკლია 1807 წელს და ფოთი 1809 წელს.

კავკასიის ახალმა გენერალ-მმართველმა ტორმასოვმა **Tormasov** 1809 წელს გაგზავნა დესპანები ირანის შაჰთან მშვიდობის შესათავაზებლად, მაგრამ შაჰმა სერ ჰარფორდ ჯონს-ბრიჯის წააქეზებით უარი თქვა მოლაპარაკებაზე. სამწუხაროდ, ტორმასოვი ყველგან წარმატებული იყო, გარდა საქართველოში.

1810 წელს საქართველოს უკანასკნელი პატრიარქი გარდაიცვალა. ახალი პატრიარქის ასარჩევად შეკრებილი სინოდი რუსეთის სამხედრო რაზმებმა დაარბიეს და ორი ქართველი მიტროპოლიტი მოკლეს და ოჯახს „ერთმორწმუნე“ ეკლესიამ გვამებიც არ დაუბრუნა (იმედია, უცნობ ადგილას, მაგრამ დამარხეს მაინც). დამოუკიდებლობა ეკლესიისა, რომელსაც არაბები, მონღოლები, სპარსელები და თურქებიც პატივს სცემდნენ, „მოძმე“ ეკლესიამ გააუქმა.

საქართველოსთვისა და რუსეთის უმძიმესი მდგომარეობისდა მიუხედავად ირანის და თურქეთის არმიის დამარცხება კავკასიაში რუსი ჯარისა და ქართულ-სომეხი პარტიზანების მიერ ნაპოლეონის შემოსვლისას და მოსკოვის აღების დროსაც 1812 წელს არ გაჩერებულა. ეს უზარმაზარი მსხვერპლის და სიმამაცის ხარჯზე ხდებოდა. ირანი და თურქეთი სასოწარკვეთილ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ვინაიდან ევროპაში დიდი ომის მიუხედავად, რუსულ-ქართულ-სომხური ჯარები წარმატებული იყვნენ. მხოლოდ უცხოურმა ჩარევამ შეძლო თურქეთ-ირანის გადარჩენა.

ინგლისელებისა და ფრანგების მიერ ირანისა და თურქეთის ურთიერთბრძოლის მხარდაჭერა

დასავლეთის ემისრები კავკასიაში უკვე 1801 წლიდან განსაკუთრებით გააქტიურდნენ. უპირველეს ყოვლისა, ინგლისი ცდილობდა დაეცვა ინდოეთის მიმართულება ირანის შაჰის გაძლიერებით რუსეთ-საფრანგეთის გავლენის საპირისპიროდ. ბრიტანელები დაეხმარნენ ირანის შაჰს, დაესვა ავღანეთის მმართველი, რომელმაც შეაჩერა ინდოეთზე გალაშქრების მუქარა. ინგლისელმა ელჩმა მალკოლმა Ambassador Malcolm გადაიხადა 2 მილიონი რუპია შაჰისა და ელიტის მოსაქრთამად. გასაკვირი არ არის, რომ ფატ ალი შაჰ ყაჯარს[1] Fat'h Ali Shah Qajar ჰყავდა 300 ცოლი, 700 საყვარელი, 200 შვილი და 600 შვილიშვილი. შაჰმა სერიოზული სამხედრო მხარდაჭერა მოსთხოვა ინგლისს, მაგრამ 1805 წელს ინგლისს თავად სჭირდებოდა რუსეთის დახმარება ევროპაში ანტინაპოლეონის საქმეებისათვის. ბრიტანელმა დიპლომატებმა სიხარულით აუწყეს მეფე ალექსანდრეს სასიამოვნო ამბავი, რომ ბრიტანეთმა შეწყვიტა ანტირუსული აქტიურობა კავკასიაში. ინგლისისგან ზურგის გამაგრების გარეშე სპარსეთი კვლავ განიცდიდა დამარცხებას. 1807 წელს სპარსელები საფრანგეთის იმედად დარჩნენ.

საფრანგეთიდან ელჩები (Pierre Amédée Jaubert) იყვნენ გაგზავნილი სპარსეთში, რის შედეგადაც შედგა საიდუმლო შეთანხმება სომეხი ვაჭრის მეშვეობით (დაუდ შაჰნაზარიანი Daud Shakhnazarian) ნაპოლეონსა და ირანის შაჰს შორის ფინკენშტეინის სასახლეში Finckenstein Palace 1807 წელს, სადაც აღიარებულ იქნა ირანის უფლებები საქართველოზე, ამის სანაცვლოდ სპარსეთი უფლებას აძლევდა ფრანგებს ინდოეთისკენ მისი ტერიტორიით გაევლოთ. 150 ინჟინრითა და სპეციალისტით დაკომპლექტებული დელეგაცია

[1] ჰარფორდ ჯონ ბრიჯისი „მისი უდიდებულესობის მისიის საქმის წარმოების ანგარიშში სპარსეთის სამეფო კარისადმი 1807-11 წწ-ში“, ლონდონი, 1834, გვ. 341, Harford Johns Brydges „An account of the Transactions of His Majesty's mission to the court of Persia in 1807-11“, London, 1834, p 341, წერდა, რომ ფატ ალი შაჰის 100 კაციანი დაცვა ძირითადად შედგებოდა ქართველი წარჩინებულებისგან.

გენერალ გარდანის General Gardanne ხელმძღვანელობით გაგზავნილ იქნა ირანში 1807 წელს იმ მიზნით, რომ ისინი ჩაანაცვლებდნენ ყველა ინგლისელ სპეციალისტს და შეუერთებოდნენ მომავალ ფრანგულ ექსპედიციას ინდოეთში. ჩარლზ ნიკოლას ფაბიერს Charles Nicolas Fabvier დაევალა შეექმნა არტილერიის სკოლა და არსენალი ისპაჰანში Esfahān (Isfahan, Ispahan), სადაც მან 1808 წლამდე დაამზადა 20 ქვემეხი. უკანასკნელი ქართველი მეფის, გიორგი XII-ს ორი ვაჟი, ალექსანდრე და თეიმურაზი იმ დროს ირანში იმყოფებოდნენ და კავშირი ჰქონდათ ფრანგებთან. რუსეთი სასწრაფოდ შეეცადა ორივეს გადმობირებას, მაგრამ ალექსანდრემ უპასუხა, რომ იგი დაპატიჟებული იყო ნაპოლეონთან საფრანგეთში, ხოლო თეიმურაზი ხელმძღვანელობდა აბას მირზას არმიის არტილერიას აზერბაიჯანში, მაგრამ დაბრუნდა საქართველოში თავის მამასთან და ძმასთან, დავითთან.

საუკეთესო, ფრანგების მიერ გაწვრთნილი, 12 000-კაციანი ჯარი ორგანიზებული იყო ირანულ ერაყში, რომელსაც სათავეში ედგა იოსებ ხან გურჯი Josef Khan Gurji, ეროვნებით ქართველი, რომელმაც გაიკეთა კარიერა და გახდა ერთ-ერთი გავლენიანი ვეზირი. მისმა ვაჟმა ცოლად შეირთო ფატ ალი შაჰის Fat'h Ali Shah 22-ე ქალიშვილი. აზერბაიჯანში იყო კიდევ ერთი დიდი არმია, რომელთაც ფრანგები წვრთნიდნენ და მათ ხელმძღვანელობდა შაჰის ვაჟი აბას მირზა, მაგრამ ის უფრო ნაკლებად ორგანიზებული და ეფექტიანი აღმოჩნდა.

ორ თვეში, 1807 წლის ივლისში, ტილზიტის სამშვიდობო ხელშეკ-რულებაზე ხელი მოაწერეს ნაპოლეონმა და მეფე ალექსანდრემ, რამაც ისინი მოკავშირეებად აქცია, და ეს მოკლევადიანი საფრანგეთ-ირანის თანამშრომლობა დასრულდა. რუსეთის მეფემ თურქეთს წაუყენა ულტიმატუმი, რომ დაეთმო ვლახეთი, მოლდოვა, სერბეთი და მთლიანად ამიერკავკასია. ტილზიტის სამშვიდობო ხელშეკრულებაში, ერთ-ერთ თავში ეწერა, რომ თუკი თურქეთი არ დათანხმდებოდა ამას, თურქეთი გაიყოფოდა საფრანგეთსა და რუსეთს შორის. მხოლოდ ინგლისის კიდევ ერთხელ ჩარევამ გადაარჩინა თურქეთი და ინგლისმა გააფორმა სამოკავშირეო ხელშეკრულება თურქეთთან.

რაც შეეხება ირანს, ტილზიტის შეთანხმების შემდეგ, გენერალი გარდანი დაბრუნდა თეირანში 1807 წლის დეკემბერში უკვე სხვა ამოცანებით. ნაპოლეონს სურვილი ჰქონდა, გაეგრძელებინა საფრანგეთ-სპარსეთის თანამშრომლობა ბრიტანეთის ინდოეთზე საბოლოო ლაშქრობის მიზნით, მაგრამ ამჯერად რუსების დახმარებით. თუმცა სპარსეთმა დაკარგა მთავარი მოტივაცია მოკავშირეობაზე, საქართველოს და აზერბაიჯანის აღდგენა რუსეთისგან არც იყო ხსენებული ტილზიტის ხელშეკრულებაში. სპარსეთის შაჰი კვლავ მიუბრუნდა ბრიტანეთის მრჩევლებს. 1808 წელს ბრიტანეთმა გაგზავნა ორი მისია ირანში – სერ ჰარფორდ ჯონს-ბრიჯისი ლონდონიდან და სერ ჯონ მალკომი (შოტლანდიელი ოფიცერი) კალკუტადან Sir Harford Jones-Brydges from London and Sir John Malcolm from Calcutta. ფრანგი დესპანი, ნაპოლეონის

გენერალი გარდანი, ცდილობდა აეცილებინა შაჰის შეხვედრა ინგლისელ ატაშეებთან, მაგრამ ინგლისური მდიდრული ქრთამი (ერთ-ერთი უზარმაზარი ბრილიანტი საჩუქრად) ირანელ დიდებულებზე ძალზედ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, რევოლუციონერული იდეოლოგიის ფრანგებისგან განსხვავებით, რომლებიც ჩვეულებრივად იცვამდნენ, ვერ იტანდნენ აბსოლუტიზმს და რაიმე სახის ქრთამს. გარდა ამისა, ინდოეთთან ვაჭრობა, სადაც ინგლისი მთავარი ძალა იყო, ირანისთვის ძალზედ მომგებიანი იყო.

ელჩი მალკოლმის მიხედვით, „სპარსეთის მეფე უსმენდა ბონაპარტეს მოლაპარაკებებს იმ იმედით, რომ საშუალებას მისცემდა აღედგინა საქართველო“, მაგრამ ამას მოჰყვა ნაპოლეონის ევროპაში წარუმატებლობა. 150 სპეციალისტისგან შემდგარმა საფრანგეთის დელეგაციამ საბოლოოდ დატოვა ირანი.

ახლა ინგლისმა დაიწყო ირანის არმიის გაწვრთნა და მალკოლმა შემოიტანა ინდოეთიდან დიდი რაოდენობით ზარბაზნები და ტყვია-წამალი. ინგლისელი სპეციალისტები აკრიტიკებდნენ ფრანგული წარმოების ზარბაზნებს და ბრძანეს მათი განადგურება. თავიდან ზარბაზნები შემოჰქონდათ ინდოეთიდან, მაგრამ მოგვიანებით ბომბეიდან მივლინებულმა სპეციალისტებმა აღადგინეს ფაბიერის ქარხანა და ყოველ წელს ადნობდნენ 50 ქვემეხს.

უცხოლებთან კავშირი ირანში ალექსანდრე ბატონიშვილზე, მეფე ერეკლე II-ს ვაჟზე, იყო მინდობილი, ხოლო თურქეთში იმერეთიდან ემიგრირებულ მეფე სოლომონზე. ალექსანდრე არ იყო წინააღმდეგი ქრისტიანი ევროპული მიმართულებისა, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის უსამართლობას, რომელთაც დაარღვიეს გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი მამის სამეფო ოჯახი გაანადგურეს. ალექსანდრე ასე აღწერა თანამედროვე ბრიტანელმა მოგზაურმა – „უფლისწული, რომლის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებული სული მთლიანად ეწინააღმდეგებოდა რუსეთთან კავშირს“. მოგვიანებით, როდესაც იგი გარდაიცვალა 1844 წელს 74 წლის ასაკში, დაკრძალეს ქრისტიანულ ტაძარში თეირანთან ახლოს. მისი ქალიშვილი მისთხოვდა რუს დეზერტირს, სამსონ მიაკინცევს, შაჰის პირადი დაცვის უფროსს, და მათი ვაჟი და ალექსანდრეს შვილიშვილი, იყო შაჰის პირადი ადიუტანტი.

იმერეთის მეფე სოლომონ II თურქეთში 1810 წელს მოხვდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა ულტიმატუმი წაუყენა, რომ მას იმერეთის ქალაქ ქუთაისში უნდა ეცხოვრა თითქმის შიდატყვეობაში რუსეთის ზედამხედველობის ქვეშ. მეფემ უარი განაცხადა, მაგრამ მალე იგი დაატყვევეს და თბილისში გაამგზავრეს. რამდენიმე კვირაში მან შეძლო გაქცევა და თავი თურქეთს შეაფარა. მეფე სოლომონი დახმარებას სთხოვდა არა მარტო თურქეთის სულთანს, არამედ ირანის შაჰსაც და ნაპოლეონ ბონაპარტსაც. სოლომონი 1811 წელს საფრანგეთის იმპერატორს წერდა, რომ მოსკოვის მეფემ იგი უსამართლოდ და არალეგალურად მოაცილა თავის სამეფოს: „შეიძლება, თქვენო უდიდებულესობავ თქვენს სახელს დავუმატო აზიის იმპერატორი!

შეიძლება თქვენ კეთილი ინებოთ და გამანთავისუფლოთ მე, მილიონობით ქრისტიანთან ერთად, მოსკოვის უმოწყალო იმპერატორისაგან!“. მაგრამ ისე შემოტრიალდა ყველაფერი, რომ ნაპოლეონს საკუთარი დიდი არმიის გადარჩენაც კი არ შეეძლო. ძალების აღდგენის გარეშე, გადასახლებაში მყოფი სოლომონი დაიღუპა 1815 წელს და დაკრძალეს ტრაპიზონში წმ. გრეგორის სახელობის ტაძარში.

რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ აერთიანებდა საქართველოს ტერიტორიებს. 1803 წელს სამეგრელო (დადიანი-ჩიქოვანის დინასტია), 1811 წელს რუსებმა შეიპყრეს გურიის მმართველი მამია გურიელი.

რუსეთის ჯარის კავკასიაში გამოჩენისას (ფლოტის არარსებობის პირობებში სანაპირო გზა რუსებისათვის დაკეტილი იყო, ვინაიდან მტრული ტომებით იყო დასახლებული და ამიერკავკასიაში მხოლოდ ვლადიკავკაზის მთებიდან გადმოდიოდნენ), ქართლ-კახეთის 1801 და სამეგრელოს 1803 წელს რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ აფხაზეთის მმართველი ქელეშ ახმედ-ბეი Kelesh Ahmed-Bey შეშფოთდა. თურქეთმა მას 2 საუკუნის განმავლობაში ოკუპირებული სოხუმის ციხესიმაგრე გადასცა და პირადი დაცვა დაუნიშნა. მაგრამ მისმა უფროსმა ვაჟმა ასლან-ბეიმ Aslan-Bey მოკლა მამა 1809 წელს, მალე დამარცხდა რუსეთთან, დაკარგა სოხუმი და გაიქცა თურქეთში. 1810 წლის აგვისტოში რუსეთის ფლოტი, კაპიტან დოდტის მეთაურობით, სებასტოპოლიდან წავიდა და დაბომბა სოხუმი. სოხუმი და აფხაზეთი ანექსირებული იყო რუსების მიერ 1810 წელს. საფარ ალი ბეი (კონვერსიის შემდეგ შერვაშიძე/ჩაჩბა) Safar Ali Bey (Shervashidze/Chachba) აფხაზეთის მთავარი, შევიდა რუსეთის მფარველობაში. ყველა პროთურქული თავადები ამოხოცილი იყვნენ (შიროკორადი, 2009 წელი)[1].

---

[1] შერვაშიძის ამბავს გაგრძელება აქვს. 1855 წლის ყირიმის ომის განმავლობაში თურქი გენერლი ომარ ფაშა (ეთნიკურად მართლმადიდებელი სერბი ან ხორვატი, ასევე იჩემებდა ქართველობას) 20 000-კაციან რაზმთან ერთად ბრიტანული ფლოტით გაემგზავრა ყირიმიდან ბათუმსა და სოხუმში. ადგილობრივმა რუსმა გენერალმა მიხეილ შერვაშიძემ სასწრაფოდ აირჩია თურქეთის მხარე და ისლამი მიიღო. ყირიმის ომის შემდეგ შერვაშიძე შეიწყალა მეფე ალექსანდრე II-მ, მაგრამ 1864 წელს მეფემ ჯარები შეიყვანა აფხაზეთში და მოახდინა მისი ანექსირება. მთავარი შერვაშიძე დააპატიმრეს და შიდაპატიმრობით ტრადიციულად გადაასახლეს ვორონეჟში, სადაც იგი, ყველასათვის უცნობი, გარდაიცვალა. თუმცა შერვაშიძის სხვა წარმომადგენლები აგრძელებდნენ რუსეთის მეფის სამსახურში ყოფნას. ერთ-ერთი მათგანი, გიორგი შერვაშიძე დანიშნული იყო თბილისის გუბერნატორად. 1898 წელს იგი გაგზავნილ იქნა პეტერბურგში, სადაც მსახურობდა იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნას სამეფო კარზე. გარკვეული დროის განმავლობაში იგი მისი მორგანული მეუღლეც კი იყო (რუსი მეფე ალექსანდრე III-ს ქვრივთან).

თუმცა აფხაზეთი ანექსირებული იყო 1864 წელს, 1877-78 წლებშიც კი, რუსეთ-თურქეთის ომში, მუსლიმი აფხაზები (ქრისტიანი მეგრელებისგან განსხვავებით) იბრძოდნენ რუსების წინააღმდეგ და თითქმის მთლიანად გადასახლებულნი

კავკასიის ფრონტი ნაპოლეონთან ომის დროს

კავკასიის ახალ გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა მარკუს ფილიპ პაულუჩი Marquis Philip **Paulucci**, რომელიც გადმოვიდა საფრანგეთის სამსახურიდან. კავკასიაში სიტუაცია ძალზედ დაძაბული იყო. სამწუხაროდ, რუსეთის საქართველოში ყოფნის პირველ წლებში მოსახლეობის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, როგორც გამანთავისუფლებელისადმი, ძალზედ შეიცვალა. კახეთის სოფელ ახმეტას გლეხები აჯანყდნენ. თიანეთში რუს ოფიცერს ბრალი დასდეს ქართველ ქალზე ძალადობაში და მასთან ერთად მყოფ კაცებთან ერთად ნაწილებად აკუწეს. ასევე დედაქალაქ თბილისშიც დაიწყო პრობლემები და თავადმა ორბელიანმა გააფრთხილა გუბერნატორი პაულუჩი, რომ პასუხს ვერ აგებდა ქალაქის უსაფრთხოებაზე. ოსებიც აჯანყდნენ. კახელებმა განსაკუთრებული სისასტიკით დახოცეს სიღნაღის გარნიზონი და ალყა შემოარტყეს კახეთის დედაქალაქს თელავს. პაულუჩის ულტიმატუმზე აჯანყებულებმა განაცხადეს: „ჩვენ ვიცით, თუ რამდენად ცოტანი ვართ რუსებთან შედარებით და როგორ შეუძლებელია მათი დამარცხება. ამას გვირჩევნია საერთოდ გაგვჟლიტონ. ჩვენ ვეძებდით დახმარებას რუსებთან და ღმერთის წყალობით მივიღეთ კიდეც, მაგრამ მისი მსახურების სისასტიკემ და უსამართლობამ ჩვენი მოთმინების ფიალა აღავსო. ჩვენ დიდხანს ვითმენდით!“ მეამბოხეები რუსებმა დაამარცხეს, მათი ლიდერი თავადი ქაბულოვი შეიპყრეს და რუსეთში გაგზავნეს.

1811 წელს მხოლოდ ბედისწერამ გადაარჩინა ქრისტიანული კავკასია. საფრთხე უფრო დიდი იყო, ვიდრე ოდესმე. თურქეთისა და სპარსეთის მმართველებმა, ინგლისის მითითებებით, მზადყოფნა გამოაცხადეს, ერთობლივი შეტევისთვის რუსეთზე, ქართველი ქრისტიანების აჯანყების „მხარდაჭერის“ მიზნით. თურქეთის ჯარში მონაწილეობდა სოლომონი და ირანის ჯარში – ალექსანდრე. სპარსეთისა და თურქეთის ჯარები ერთმანეთს ბრძოლის წინ შეხვდნენ. მაგრამ სასწაული მოხდა. მისალმების აღლუმში მონაწილე ქურთმა, რომელსაც სძულდა თურქები (ეს დღემდე ასეა), გვერდზე მდგომ ერზერუმის სერაკირს (მეთაურს) იარაღი დააცალა. ისედაც დაძაბული სუნიტურ-შიიტური დაპირისპირება მკვეთრად გაძლიერდა.

გაცილებით მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა საზღვრებზე. 1811-12 წლებში პაულუჩის გენერლები კოტლიაროვსკი და ორბელიანი General Kotliarevsky with Prince Orbeliani რამდენჯერმე შეებრძოლენ აბას მირზას, შაჰის ვაჟს, ახალციხეში, ახალქალაქში, დაღესტანში, ერევანში და ა.შ. 1812 წელს აბას მირზამ მოახერხა, მაიორი დჯინის Major Djini მეთაურობით რუსების

იყვნენ თურქეთის ტერიტორიაზე (მუხაჯირობა). ჩერქეზებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ტომებისგან განსხვავებით, რომელთაგან ერთ მილიონამდე ადამიანი დაიღუპა, აფხაზები გადარჩნენ გიორგი შერვაშიძესა და მისი მეუღლის მარია ფიოდოროვნას, რუსეთის იმპერატორის ქვრივის, პირადი თხოვნის შედეგად.

რაზმის დამარცხება ყარაბაღის შუშაში. დანაყოფის დროშები სპარსელებს ჩაუვარდათ ხელში, ფაქტი თითქმის უპრეცენდენტოა კავკასიის ომების ისტორიაში. მონტეის Monteith ცნობებით, ამ ბრძოლაში სპარსელების წარმატება განპირობებული იყო ბრიტანელი ოფიცრის დარსი ტოდის D'Arcy Todd ხელმძღვანელობით.

1812 წლის ოქტომბრის ყველა პრობლემის მიუხედავად, რუსებმა ქართველი გენერლის ორბელიანის ხელმძღანელობით დაამარცხეს ალექსანდრე და მისი დაღესტნის ურდო სიღნაღში. რამდენიმე დღეში რუსმა გენერალმა კოტლიარევსკიმ გადაკვეთა მდინარე არაქსი და საბოლოოდ დაამარცხა სპარსეთის მთავარი არმია ასლანდუზში, სადაც ბრძოლის ველზე 10 000 გვამი დარჩა. 11 ინგლისური ქვემეხი ჩაუვარდათ ხელში, რომელსაც ჰქონდა წარწერა „შაჰთა შაჰს მეფეთა მეფისგან". სპარსეთში მოღვაწე ორი ბრიტანელი ოფიცერი მაიორი კრისტი და არტილერისტი კაპიტანი ლინდსი Major Christie and artillery Captain Lindsey ამ ბრძოლაში დაიღუპნენ. დაჭრილი მაიორი კრისტი დილით იპოვა რუსმა ოფიცერმა, რომელმაც დახმარება შესთავაზა, მაგრამ მან გადაწყვიტა, რომ არ ჩაბარებულიყო ცოცხლად და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. სანამ კაზაკი მას ესროდა, მოკლა 6 კაცი, იუწყება მონტეი. ბრიტანეთის მედიაში კრისტის სიკვდილის ლორდ კერზონის მიერ აღწერა, რომ ის იყო „მოკლული რუსი ოფიცრის მიერ, როდესაც დაჭრილი იწვა მიწაზე", თუმცა ჭეშმარიტ სიმართლეს წარმოადგენდა, სინამდვილეში მაინც სხვაგვარად იყო. კოტლიარევსკი რამდენჯერმე იყო დაჭრილი მომდევნო ბრძოლაში ლენკორანთან 1812 წელს. ციხესიმაგრე ახალი აღდგენილი იყო ინგლისელი ინჟინრების გეგმის მიხედვით. დაჭრილი გენერალი თადარიგში გავიდა და თბილად იყო მიღებული მეფის მიერ პეტერბურგში.

ამის შემდეგ პაულუჩი გადავიდა რუსეთის დასავლეთ არმიაში, მაგრამ კვლავ გადაინაცვლა ფინეთის გენერალ-გუბერნატორის პოსტზე ბარკლაი დე ტოლისთან უთანხმოების გამო. მან მომავალში დატოვა სამსახური რუსეთში და რამდენიმე ხნის განმავლობაში იყო გენუას მმართველი.

ევროპაში ნაპოლეონთან ომმა დიდი მოთხოვნა გააჩინა რესურსებზე, რაც კავკასიაში დიდი ძალების განლაგებას შეუძლებელს ხდიდა. შესაბამისად, ახალი გენერალ-გუბერნატორი რტიჩშევი **Rtischev,** რომელმაც ძირითადი სამხედრო კარიერა გაიკეთა ბალტიის რეგიონში, გულწრფელი და მიამიტი პლიტიკოსი იყო და ბრიტანეთს სთხოვა შუამავლობა ირანთან მშვიდობის დამყარებაზე. ინგლისელებს სჭირდებოდათ რუსეთის მხარდაჭერა ევროპაში და უშუამდგომლა კავკასიაში მშვიდობას. ირანელები ბლოკირებულნი იყვნენ. გარდა ამისა, რუსების საბედნიეროდ, ხორასანში დიდი აჯანყება დაიწყო ჩინელი „მეომარი ჯარისკაცის" მეთაურობით, რაც ირანის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილის კავკასიის ფრონტიდან გადანაცვლებას იწვევდა.

მიღწეულ იქნა გულისტანის (1813 წ.) სამშვიდობო ხელშაკრულება და შეთანხმების მიხედვით რუსეთს დაუკანონდა აზიური სახანოები – ყარაბაღი,

განჯა, შაქი, შირვანი, დერბენტი, ყუბა, ბაქო, თალიში, ლენკორანი, დაღესტანი და მთლიანი საქართველო სამეგრელოსთან, იმერეთთან, გურიასა და აფხაზეთთან ერთად. ხევსურებმაც კი ნახეს რუსები სიმონოვიჩის მეთაურობით 1813 წლის გაზაფხულზე, რომელმაც შეაღწია შატილში, მათ ციხესიმაგრეში. სამწუხაროდ, ამ ნუსხაში ვერ მოხვდა სომხეთი, თუმცა სომხებს მიეცათ შესაძლებლობა, მუსლიმურ ტერიტორიებიდან გადმოსახლებულიყვნენ დაბრ-კოლების გარეშე (სამწუხაროდ, ამან სასიკვდილო გავლენა იქონია რუსი მწერლის გრიბოედოვის პირად ბედზე). ტექსტი მოამზადა ბრიტანელმა დიპლომატმა სერ ჯორ ოსლიმ Sir Gore Ouseley, რომელმაც მოიპოვა დიდი გავლენა სპარსეთის სამეფო კარზე. რუსეთი საპასუხოდ ჰპირდება, რომ მხარს დაუჭერს აბას მირზას, როგორც სპარსეთის სამეფო გვირგვინის მემკვიდრეს, ფატ ალი შაჰ ყაჯარის Fat'h-Ali Shah Qajar სიკვდილის შემდგომ.

1816 წელს მეფე ალექსანდრე I-მა, ევროპაში დიდი გამარჯვებით შთაგონებულმა, გადაწყვიტა ცივილიზაცია და საბოლოო მშვიდობა შეეტანა ველურ კავკასიაში და კუტუზოვისა და ბაგრატიონის შემდეგ გაეგზავნა კავკასიაში მისი საუკეთესო გენერალი ალექსეი ერმოლოვი **Yermolov** (Ermoloff) ნაპოლეონის ომების ერთ-ერთი გმირი, აუსტერლიცისა და ბოროდინოს ბრძოლების მონაწილე, დანიშნული იყო პროკონსულად საქართველოში 1816-დან 1827 წლამდე. მან თავისი კარიერა დაიწყო სუვოროვის დროს, რომელმაც მიანიჭა წმ. გიორგის ჯვარი გმირული საქაციელისთვის ვარშავის შტურმის დროს, 16 წლის ასაკში. შემდეგ ის წავიდა იტალიაში და მსახურობდა ავსტრიის რაზმში ფრანგების წინააღმდეგ. 1796 წელს მონაწილეობა მიიღო სპარსეთის ომში ზუბოვის მეთაურობით დერბენტის აღების დროს. მაგრამ იმპერატორმა პავლემ ის დააპატიმრა, რადგან ეჭვმიტანილი იყო სამხედრო შეთქმულების მოწყობაში და პეტერბურგის ციხესიმაგრეში პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს კოსტრომაში. მაგრამ მალე, მეფე ალექსანდრეს დროს, 1805 წელს მან მონაწილეობა მიიღო აუსტერილიცის ბრძოლაში და მოიპოვა ბარკლი დე ტოლის შტაბის უფროსის თანამდებობა 1812 წლის სამამულო ომის დროს. 1814 წელს რუსმა და პრუსიელმა გვარდიელებმა მისი მეთაურობით დაიკავეს პარიზი. 1816 წელს იგი დაინიშნა საქართველოში 56 000-კაციანი არმიის მეთაურად.

ერმოლოვი იყო ნაპოლეონის ანტიმონარქისტული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, მისი წოდება „პროკონსულიც" ნიშანდობლივი იყო. ნაპოლეონმაც თავისი კარიერა დაიწყო ეგვიპტის პროკონსულის ტიტულით. არავინ იცოდა, თუ როგორ შეიძლებოდა სიტუაცია ჰიპოთეტურად განვითარებულიყო დეკამბრისტ ანტიმონარქისტების აჯანყების გამარჯვების და „რუსი ნაპოლეონის" მოთხოვნის შემთხვევაში. იმ დროს, ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ბევრი რუსი ახალგაზრდა გენერალი ოცნებობდა მონაწილეობა მიეღო ბალკანეთზე რევოლუციურ ქმედებებში და მოგვიანებით კი თვით რუსეთში. ბაირონი იბრძოდა საბერძნეთში. პუშკინიც ოცნებობდა საბერძნეთში გამგზავრებაზე.

მეფე ალექსანდრე I ბევრს სძულდა რუსეთში, მისი წინააღმდეგობის გაწევის გამო, რომ გაგზავნილიყო დამხმარე ჯარი საბერძნეთში ადგილობრივი დესპოტი მონარქის წინააღმდეგ. ერმოლოვმა გადაწყვიტა, თავისი კარიერა გაეკეთებინა აღმოსავლეთში, რადგან ევროპის დასავლეთ ნაწილში ძალზედ არეული სიტუაცია სუფევდა. და მან კავკასია დაინახა, როგორც მისი უზარმაზარი ენერგიის ფართო ასპარეზი. განსწავლული რუსი ოფიცერი, ევროპის განმათავისუფლებელი, გაიგზავნა, რომ ებრძოლა თურქეთსა და სპარსეთში, რომელიც უფრო დესპოტური იყო, ვიდრე რუსეთი (მით უმეტეს, რომ ეს მართლაც ასე იყო).

ერმოლოვი იყო განსაკუთრებული სიმამაცის მქონე, წარმოსადეგი შესახედაობის, უბადლო ფიზიკური ძალის პატრონი, უანგაროდ პატიოსანი, ზნე-ჩვეულებით სპარტანელი, და მისი ჯარი მას აღმერთებდა. ის იჩემებდა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ჩინგიზ ყაენობას, როგორც მისი მემკვიდრე. სინამდვილეში, მისი წინაპარი მურზა-ასლან-ერმოლა Murza-Aslan-Ermola ჩამოვიდა მონღოლთა ურდოდან და მოინათლა 1506 წელს. იგი შოვინისტი იყო და სარკასტული ენა ჰქონდა. ერთ დღეს მას ჰკითხეს, რას ისურვებდა, რაზეც მან უპასუხა: „რომ გავხდე გერმანელი, ავიხდენ ყველაფერს, რაც მსურს“. სხვა შემთხვევაში, იმპერატორის გენერლების მიმართულებით მან დასვა კითხვა, „თუ შეიძლება, ბატონებო, მიპასუხეთ, რომელიმე თქვენგანი რუსულად ლაპარაკობს?“ ოფიციალური ბანკეტის დროს მეფე ალექსანდრემ იხუმრა, რომ ერმოლოვი მაგიდასთან იჯდა როგორც ქვეყნის პირველი პირი, მაგრამ მან სარკასტულად უპასუხა, რომ მოხარულია იყოს მეორე ასეთი მეფის, ალექსანდრეს შემდგომ.

რუსი ნაციონალისტებისაგან განსხვავებით, ადვილია იმის შემჩნევა, რომ საქართველოში ომობდნენ ევროპელი გენერლები: კნორინგი, ჰერმანი, ნიბოლსინი, ბენკერდორფი, გილენშმიდტი, ოსტენ-საკენი, ფესე, ფუკსი, ჰესე, ჰოფმანი, თაუბე, ემანუელი, ბარონი როზენი, ბარონი ტორნაუ, ბარონი ზასი, ალბრანტი, ბრუმერი, გრაბე, ვრანგელი, პულო, ფრეიტაგი, ლუდერსი, ნეიდგარტი, ფოკი, შვარცი, ბენკერდორფი, ჰასფორდი, რედი, კემფერტი, ვაის-ადმირალი გრეიგი და მარკუს პაულიჩი Knorring, Hermann, Niebolseen, Benkendorf, Gillenschmidt, Osten-Sacken, Fese, Fucks, Hesse, Hoffmann, Taube, Emanuel, Baron Rosen, Baron Tornau, Baron Zass, Albrandt, Brummer, Count Grabbe, Wrangel, Pullo, Freitag, Luders, Neidgart, Fok, Schwartz, Count Benckendorff, Hasfort, Read, Kempfert, Vice-Admiral Greig and Marquis Paulicci. რა თქმა უნდა, ცნობილი რუსების მონაწილეობით: გენერლები გუდოვჩი, ტორმაზოვი, რტიშჩევი, კოტლიარევსკი, ველიამენოვი, კრასოვსკი, ვადბოლსკი, რაევსკი, მენშიკოვი, პანკრატიევი, ბეკოვიჩი, სტრეკალოვი, ბარიატინსკი, ლანსკოი, გოლოვინი, ვოლჟინსკი, ვორონცოვი, გურკო, სლიეფცოვი, ნესტეროვი, ვრევსკი Generals Gudivch, Tormazov, Rteeshtcheff, Kotliarevsky, Veliameenoff, Krasovsky, Vadbolsky, Rayevsky, Menshikov, Pankratiev, Bekovitch, Strekalov, Baryatinsky, Lanskoi,

Golovin, Golitsine, Volzhinsky, Vorontsov, Gourko, Slieptsov, Nesterov, Vrevsky. ასევე ადგილობრივი გენერლები[1] უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ: ილია ორბელიანი, იასონ ჭავჭავაძე, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, დადიანი, ლევან მელიქოვი, ბებუთოვი, მოურავოვი, მალხაზ ანდრონიკოვი Ilia Orbeliani, Jason Chavchavadze, Ivane Bagrationi-Mukhraneli, Dadiani, Levan Melikov, Bebutov, Mouraviov, Malkhaz Andronikov.

რუსეთის ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში ქართულ-სომხური მოხალისე შენაერთების მნიშვნელობა მუდმივად დაკნინებული იყო[2]. მაგრამ ევროპულ ნაწილში 250-ათასიანმა საფრანგეთის არმიამ რუსეთის იმავე ოდენობის არმიის წინააღმდეგ მოსკოვამდე მრავალმილიონიანი ქვეყანა თითქმის წინააღმდეგობის გარეშე მარშით გაიარა (ბოროდინოზე შეჩერებით). იქ ომის სხვა კანონები იყო. კავკასიაში თითო ადამიანი და თითო გოჯი მიწა ფასობდა, ხოლო მოსკოვში კუტუზოვმა ნაპოლეონს ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაუტოვა 20 000 დაჭრილი ჯარისკაცი. ეგვიპტეში ნაპოლეონი აღფრთოვანებული იყო მამლუქების გამბედაობით, მაგრამ რუსეთში იგი დეპრესიაში ჩავარდა და არც კი უცდია რაიმე რეფორმის გატარება, რასაც ყველა ქვეყანაში ატარებდა (ყმების განთავისუფლება, პროგრესული კანონების შემოღება და ა. შ.).

რუსეთის იმპერატორი და უმაღლესი იმპერიული წრეები გადამწყვეტ როლს ანიჭებდნენ კავკასიის ომის ისტორიის დაწერას, რაც უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, ვიდრე აქტუალური სამხედრო ოპერაციები. რუსი ისტორიკოსის იაკობ გორდინის თანამედროვე ნაშრომში „300-წლიანი ომი. კავკასიური ატლანტიდა“, კავკასიის ომის ისტორიაში მოყვანილია მხოლოდ რუსი გენერლების სახელები, თუმცა წიგნში „კავკასიის დაპყრობა

---

[1] იმპერიული პოლიტიკის მიხედვით, ქართველი გენერლები მონაწილეობდნენ ევროპის ომებში, მაგ., 12 ქართველი გენერალი მონაწილეობდა ბოროდინოს ბრძოლაში რუსეთში. ალექსანდრე ჭავჭავაძე მონაწილეობას იღებდა როგორც ბარკლი დე ტოლის შტაბის თანაშემწე, ნაპოლეონ I-ის წინააღმდეგ ბრძოლის დროს საფრანგეთში და დაიჭრა პარიზის აღების დროს 1814 წელს. იგი ამ ქალაქში ორი წლის განმავლობაში დარჩა, როგორც რუსეთის კონტინგენტის წარმომადგენელი და მონაწილეობდა ბურბონების დინასტიის აღდგენაში, ვინც ეს დაუფასა საპატიო ლეგიონის Légion d’honneur ორდენის მიანიჭებით.

[2] რუსი დეზერტირების პრობლემა დიდი ხნის განმავლობაში მტკივნეული თემა იყო. ერმოლოვი მტკიცედ ეუბნებოდა სპარს მინისტრებს, რომ არ გამოეყენებინათ რუსი დეზერტირები რუსების წინააღმდეგ ომში, მაგრამ უშედეგოდ. ის წერდა: „შეგვიძლია ჩვენ ქვეყანა მეგობრულიდ მივიჩნიოთ, როდესაც ის აიარაღებს რუს დეზერტირებს და რუსულ ბატალიონს უწოდებს?“ 1820 წელს მაზაროვიჩი იუწყება: „ჩვენი ჯარისკაცები დეზერტირობენ ადრე უპრეცედენტო რაოდენობით“. თვითმხილველთა ცნობით, ჰამზად ბეკის, მეორე იმამის, მთელი დაცვა რუსი დეზერტირებისგან შედგებოდა, როგორც ეს იყო თავრიზში აბას მირზას შემთხვევაში.

რუსეთის მიერ“, რომელიც დაწერა თვითმხილველმა ბრიტანეთის მოკავშირე ოფიცერმა ბედლიმ, არ არის მოხსენიებული რუსული სახელები და კავკასიის ომის ისტორია იკითხება, როგორც ომის ისტორია სადმე ჰოლშტაინში ან სილეზიაში. ომის მონაწილის და არა დღევანდელი აგიტატორის წიგნის წაკითხვისას აშკარა ხდება, რომ ქართველებმა მადლობა ინგლისელებს, შოტლანდიელებს, ირლანდიელებს, ფრანგებს, გერმანელებს, იტალიელებს, შვედებს, პოლონელებს და ბალტიელებს უნდა გადაუხადოთ. შესაბამისად, ჩვენ მადლობა პროტესტანტებს უნდა გადაუხადოთ.

რუსული კავკასიური ჯარი 50-დან 200 ათას ჯარისკაცამდე ითვლებოდა, მაგრამ მთლიანად კავკასიის ადმინისტრაცია და ჯარი ძალზედ ძვირი ჯდებოდა – 1850 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 1/6, რაშიც შედიოდა ტრადიციული კორუფციის თანხები და სახსრები მოწინააღმდეგე მეთაურების მოსასყიდლად. პირველად კავკასიის ხარჯები რუსეთის ბიუჯეტში აისახა 1777 წლიდან. ასეთ პირობებში მეფის არმიისათვის იოლი უნდა ყოფილიყო კავკასიის განადგურება, მაგრამ ისტორიამ საპირისპირო დაამტკიცა. კავკასიისა და ყირიმის ომები მეფე ნიკოლოზ I-სთვის ფინანსური კატასტროფით დასრულდა, რამაც გამოიწვია მომავალი რეფორმები.

ომი განსხვავდებოდა ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთის საზღვრებზე. ერმოლოვმა გამოაცხადა ომი სიკვდილამდე ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმების წინააღმდეგ. მან დაიწყო სოფლების ძარცვა, მოსავლის გადაწვა, მამაკაცების და ქალების მოსპობა. მან აირჩია სამხედრო ოპერაციების სადისტური გზა, ეკონომიკის დანგრევა და მოსახლეობის შიმშილით ამოხოცვა, რაც გენოციდის ტოლფასი იყო. მისი ველური წინაპრების მსგავსად, ის უხდიდა ფულს ყველა რუს ჯარისკაცს, ვინც მთიელის მოჰკვეთილ თავს მოუტანდა. მან გამოაცხადა: „მე მსურს, რომ შიშმა ჩემი სახელის ხსენებაზე უფრო მეტად დაიცვას საზღვრები, ვიდრე ციხესიმაგრების ჯაჭვმა“. საშინელი გოლიათი „იარმული“ დღემდე არსებობს ჩეჩნების ლეგენდებში. ეს სისასტიკე რუსეთის მეფის უკმაყოფილებასაც კი იწვევდა. მეფე ალექსანდრე I-მა უარი თქვა ორდენი მიენიჭებინა თავად ბეკოვიჩ-ჩერკასკისთვის, რადგან ყუბანის რეიდის დროს აული მთლიანად განადგურებული იყო ბავშვებისა და ქალების ჩათვლით. „16 უდანაშაულო დაიღუპა ერთი საცხოვრებლის აფეთქების დროს“, წერდა მეფე ალექსანდრე ერმოლოვს, „ამან ძალზედ მატკინა გული“. რაზეც მისი ერთგული ლეიტენანტი შეეპასუხა: „სხვა გზა არ არსებობდა არამზადას დასამარცხებლად“. როგორც კავკასიის ექსპერტი ჩარლზ კინგი Charles King თვლის: „ერმოლოვი პასუხისმგებელი იყო, გაეტარებინა სახელწიფო პოლიტიკა, რაც გამოცხადებული იყო, როგორც ბნელ კავკასიელებში ცივილიზატორული მისიის განხორციელება, მაგრამ დღეს ამას თავისუფლად შეგვიძლია დავუძახოთ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტერორიზმი“.

საინტერესოა, რუსები არასოდეს აგზავნიდნენ მისიონერებს მუსლიმურ კავკასიაში, მხოლოდ ინგლისელი ნახევრად მისიონერები, ნახევრად ჯაშუშები ცდილობდნენ შეემცირებინათ ფანატიზმი, მაგრამ ამაოდ.

ამ პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას აგრეთვე აძლევდა ამერიკელების მსგავსი პოლიტიკა აბორიგენული ტომების წინააღმდეგ, ბრიტანელების პოლიტიკა ინდოეთში, ფრანგების პოლიტიკა აზიაში, პორტუგალიელების ზანგებით ვაჭრობა, ყველა ევროპელი სახელმწიფოს ოპიუმის ომები ჩინეთში და ა.შ. მაგრამ ცივილიზებულმა ერებმა ეს ეპიზოდები სწრაფად გადალახეს, დაგმეს და მოინანიეს, ხოლო რუსეთი დღემდე არ აღიარებს ფაქტებს.

სხვა ქვეყნების ისტორიასთან შედარებით იყო ერთი სერიოზული განსხვავება, რასაც ერმოლოვი წერდა, რომ „მთის ხალხი მრავალმხრივად უკეთესია, ვიდრე რუსეთის კავალერია ან კაზაკები. ზაფხულის დღეს შეეძლოთ ცხენით გაევლოთ ასი მილი განთიადის მზის ჩასვლამდე, რაც ევროპისთვის, რა თქმა უნდა, დაუჯერებელი იქნებოდა“. მსგავსი შემთხვევა მხოლოდ ადრეულ შუა საუკუნეებში გვხდება, როდესაც ინგლისი ომობდა მათზე უპირატეს აბორიგენ კელტ-იბერიელების შთამომავლებთან, შოტლანდიელებთან, ირლანდიელებთან და უელსელებთან.

რუსი გენერლები სწავლობდნენ ნაპოლეონის ბრძოლის ხერხებს მამლუქების წინააღმდეგ ეგვიპტეში, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ თავად ნაპოლეონმაც ვერ მოძებნა პარტიზანული ომის წინააღმდეგ რაიმე ეფექტიანი ხერხი. რუსი იმპერატორის საყვარელი იდეა იყო, რომ ჩამოეგდო უთანხმოება, რათა წაექეზებინა მოსახლეობა ებრძოლათ ერთმანეთთან და ხშირად ოქროზე მომუშავე რუსი კუმიკები იბძოდნენ ჩეჩნების წინააღმდეგ, ჩეჩნები ყაბარდოელების, ეს უკანასკნელი ტრანს-ყუბანის ნოღაელების, ესენი კი აბაზგებისა და შაფსუნგების წინააღმდეგ. ამ პოლიტიკის მიხედვით, ერმოლოვი ხშირად ქირაობდა ადგილობრივ კავალერიას მეზობელი ტერიტორიის დასალაშქრად „მე არ მჭირდება ეს არამზადები, მაგრამ მინდა, რომ მათ შორის დავთესო შუღლი და განხეთქილება მოვუტანო, რაც მომავალში შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს“. ასეთი პოლიტიკა კავკასიაში კი ყოველთვის ეფექტიანი იყო. ამას ემატებოდა რუსეთის ევროპიდან იმპორტირებული ტექნიკური უპირატესობა, ადგილობრივებს არასდროს გაეგონათ ქვემეხის ხმა. თუმცა ყველას ჰქონდა იარაღი, მაგრამ ამ დროს რუსეთის არმიაში ბრტყელლულიანი მუშკეტების ნაცვლად ევროპიდან შემოვიდა ღარებიანი შაშხანები, რაც მეტად უპირატესი იყო სროლის მანძილით, გადატენვის სიჩქარით და მიზნის სიზუსტით, ეს კი გადამწყვეტი იყო მთებში დაპირისპირებისას.

ერმოლოვი აფასებდა ქართველების საბრძოლო შესაძლებლობებს. ის იცნობდა და პატივს სცემდა ქართველ გენერალ ციციანოვს ზუბოვის დერბენტში ლაშქრობიდან 1796 წელს, როდესაც თავად ერმოლოვი 19 წლის ოფიცერი იყო. იმ დროს კავკასიაში ძირითადად მხოლოდ საქართველოს გააჩნდა სახედრო ძალა. თუმცა მისი ზოგადი აზრი ქართველებზე იმპერიალისტური იყო (ისევე როგორც ციციანოვის აზრი), რომ ქართველები არიან ზარმაცები, ხარბები,

გაუნათლებლები, წარმოშობის სიამაყით დაავადებულნი, თანდაყოლილი სწრაფვა აქვთ ანარქიისადმი, მაგრამ იყვნენ გულმართალი ხალხი. და ბოლოს, ისინი საკმარისად არ იმსახურებენ რუსების დაცვას. ერმოლოვი წერდა, რომ ევროპა კმაყოფილი უნდა იყოს ებრაელებით, რადგან მათ მეტად ჰქონდათ პოზიტიური თვისებები სომხებთან შედარებით, ვისთანაც მას საქმე ჰქონდა კავკასიაში.

ერმოლოვმა აწარმოა წარმატებული დიპლომატიური მისია სპარსეთის სამეფო კარზე 1817 წლის ივლისში. იგი შეხვდა ფატ ალი შაჰ ყაჯარს სულთანიეში და მის ვაჟს აბას მირზას თავრიზში. რუსეთმა დატოვა ყველა დაპყრობილი მიწა, გულისტანის ხელშეკრულება კვლავ დადასტურდა და ერმოლოვი ტრიუმფით დაბრუნდა თბილისში. ამჟამად მან ხელი მოჰკიდა საქართველოს ადმინისტრირებას და გაზარდა შიდა წესრიგი და უსაფრთხოება. თბილისში შეიქმნა პოლიცია. ლეკების მარადიორი ბანდები ვეღარ ბედავდნენ სოფლების აოხრებასა და ვაჭართა ტრანსპორტის ძარცვას. სამხედრო და საფოსტო გზები დაიგო, გაუმჯობესდა ვაჭრობა და კომუნიკაცია. ერმოლოვმა თბილისის რამდენიმე ქუჩა ქვით დააგო და გადახურა ბაზარი. ევროპული ტიპის საზოგადოებრივი შენობების აგებამ შეცვალა ქალაქის იერსახე. იგივე ღონისძიებები ტარდებოდა იმერეთის ძველ დედაქალაქ ქუთაისში.

1818 წელს ერმოლოვმა წამოიწყო კამპანია ლეკების წინააღმდეგ და დაღესტანში გაგზავნა პოლკოვნიკი პესტელი Colonel Pestel ორ ბატალიონთან ერთად. პესტალი დამარცხდა და შერცხვენილი უკან გააგზავნეს რუსეთში. 1820 წელს კამპანია გააგრძელა გენერალ-მაიორმა მადატოვმა, წარმოშობით ყარაბაღიდან, რომელმაც სახელი გაითქვა ნაპოლეონის ომებში. მადატოვმა დაპატიჟა დაღესტნის დიდგვაროვნები, რომლებიც კარგად და თბილად მიიღეს. ღამით, მთებში დაბრუნებისას, უხუცესებმა საგანგებო თათბირი გამართეს. დაბრუნებულები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის ჯარები რიცხვით ცოტანი იყვნენ და დაღესტნელებმა მშვიდად დაიძინეს. მაგრამ, სინამდვილეში, რუსეთის ჯარის ძირითადი ნაწილი კარავიდან მოშორებით ჩუმად იყო მობილიზებული. ხოლო იმავე ღამით გაჰყვა უკან მტერს, ავიდა მთებში და დაარბია ისინი. ერმოლოვმა მადლობა გადაუხადა მადატოვს შესანიშნავი მისიისთვის და უპატაკა იმპერატორს, რომ „დაღესტნის დამორჩილება, რომელიც გასულ წელს დაიწყო, ახლა ბოლომდე შესრულებულია“.

რუსეთის ეს წარმატება ამიერკავკასიაში განაპირობა იმ კინკლაობამ, რომელიც ჰქონდათ სპარსელებს, ავღანელებს და თურქებს ერთმანეთში. 1821 წელს კინაღამ ომიც კი დაიწყო თურქეთსა და სპარსეთს შორის. სპარსეთის უფლისწულს აბას მირზას გააჩნდა ინგლისელების მიერ გაწვრთინილი არმია ინგლისელების მიერ შექმნილ არტილერიასთან ერთად და დიდი სურვილი თავისი სამფლობელოს გაფართოებისა. მან თვალი თურქეთს დაადგა. ბრიტანელ ოფიცრებს აკრძალული ჰქონდათ გადაეკვეთათ თურქეთის საზღვრები (ვინაიდან თურქეთშიც ინგლისელი ოფიცრები მსახურობდნენ) და

აბას მირზას ბანაკიდან უკან დაიხიეს. მაგრამ აბას მირზა ვერ გააჩერეს და მისმა ჯარმა თურქეთის ბაიაზიდისა და ყარსის პროვინციები ააოხრა. ამით სპარსეთის ძალები რუსეთის საზღვარს სახიფათოდ მიუახლოვდა. ალექსანდრე I ცდილობდა, თავიდან აეცილებინა ასეთი სიტუაციები და ბრიტანეთს შუამავლობა სთხოვა. სპარსეთის არმია გაეცალა რუსეთის საზღვრებს. მეფემ მადლობის წერილი გაუგზავნა ბრიტანელ დიპლომატებს.

1821 წლის ოქტომბრის, მეფე ალექსანდრეს ბრძანებულებით, საქართველოში რუსულ და უცხოურ ფირმებს მიენიჭა სპეციალური საბაჟო შეღავათები ათი წლის მანძილზე. ეს გეგმა შეიმუშავა რუსმა მწერალმა გრიბოედოვმა Griboedov, რომელიც იყო ქართველი დიდგვაროვანი ეკატერინე ჭავჭავაძის Princess Ekaterina Chavchavadze მეუღლე. ამ გეგმის მიხედვით, უნდა შექმნილიყო სახელმწიფო სამხრეთ კავკასიის კომპანია 100 მილიონი რუბლის კაპიტალით, რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე დიდი. ის უნდა შექმნილიყო ინდოეთში ბრიტანული ოსტ-ინდური კომპანიის East India Company მსგავსად, რომელიც მართავდა მთელ ინდოეთის სუბკონტინენტს სუფთა ეკონომიკური და არა უხეში პოლიტიკური მეთოდებით. აქციონერები უნდა ყოფილიყვნენ გენერალ-გუბერნატორები, რუსი და ქართველი გენერლები, სომეხი ვაჭრები და იმპერატორის მიერ დანიშნული სხვა დამსახურებული პიროვნებები (როგორც ახლაა რუსეთში სახელწიფო ფირმები – გაზპრომი, ხადაკოვსკისთვის წართმეული როსნეფტი და სხვა). მხოლოდ მუსლიმები იყო გამონაკლისი. რუსეთს ეს დიდ მოგებას მოუტანდა სოფლის მეურნეობიდან, ვაჭრობიდან, აბრეშუმიდან, ბაქოს ნავთობიდან და ა.შ. თბილისი და ბაქო გახდებოდნენ ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქები, რადგან ყველა გზა აზიიდან ევროპისკენ, კავკასიაზე გადიოდა. თბილისის ვაჭრებმა დაიწყეს კავშირის დამყარება მარსელთან, გერმანიასთან და ტრიესტთან, რათა სპარსეთში დიდი რაოდენობით გაეტანათ ევროპული ნაწარმი. ბრიტანული, ფრანგული, შვეიცარიული კომერციული სახლები დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ მზარდი ბაზრისადმი.

მაგრამ ყველაფერი 1832 წელს დასრულდა, როდესაც სამმა ბერძენმა ვაჭრის ოჯახმა კონსტანტინოპოლიდან მოისყიდა რუსეთის იმპერატორის კართან დაახლოებული მოსამსახურე პეტერბურგში და გადასახადებისგან გათავისუფლება გაუქმდა. გრიბოედოვის გეგმა არ განხორციელდა. რუს-მა შოვინისტებმა რამდენიმე სტატია გამოაქვეყნეს რუსულ პრესაში, რომ ამ გეგმის მიხედვით, შეიძლებოდა შექმნილიყო მეორე ამერიკის შეერ-თებული შტატები, ამჯერად კავკასიაში. ბარონი როზენი, იუკოვსკი, ფინანსთა მინისტრი კანვინი Baron Rosen, Jukovski, Kanvin იჩემებდნენ, რომ კავკასია იყო კოლონია და რომ კოლონიური პოლიტიკა უნდა გან-ხორციელებულიყო. გადასახადები გაიზარდა და საზღვრები ჩაიკეტა. ეს იყო კავკასიის დასასრული. ადგილობრივი წარმოებაც კი აკრძალული იყო. ყველა სავაჭრო გზა ახლა გადიოდა კონსტანტინოპოლზე. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკა იყო ცენტრალიზებული იმპერიისათვის, არ აძლევდა საშუალებას

თავის პროვინციებს გამდიდრებულიყვნენ, თუნდაც ამის გამო მტერი გამდიდრებულიყო.

ხორციელდებოდა მხოლოდ ადგილობრივი აგრარული პროექტები. საფრანგეთის კონსულს, შევალიერ დე გამბას Chevalier de Gamba, მიენიჭა კონცესია იმერეთის ტყის რესურსებზე და ბამბის პლანტაციების მოშენებაზე. მან გამოსცა წიგნი: „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში 1820-24 წწ-ში“ „Travel in South Russia and Caucasus in 1820-24“ მდიდრული ილუსტრაციებით. მთლიანად რუსეთში პროტესტანტი გერმანელების ჩასახლების პოლიტიკის ფარგლებში 1818 წელს 500 გლეხის ოჯახი გადმოსახლდა ვუტერბერგიდან საქართველოში. კახეთში ვითარდებოდა აბრეშუმისა და ღვინის წარმოება, რითიც ეს პროვინცია ყოველთვის სახელგანთქმული იყო.

არასწორი იქნება, რომ ვიფიქროთ, თითქოს რუსეთი საქართველოს კოლონიზაციით ფინანსურ სარგებელს ნახულობდა. 1825 წელს მისი მთლიანი შემოსავალი ქვეყნიდან შეადგენდა 580 000 რუბლს, რაც ვერ დაფარავდა ადგილობრივი რუსული გარნიზონებისა და ადმინისტრაციის ხარჯებს. საქართველოს ოკუპაცია რუსეთის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ხარჯს წარმოადგენდა. 1811 წელს, მაგალითად, 1 მილიონი ვერცხლის რუბლი დაიხარჯა ჯარსა და მომსახურე პერსონალზე. მაგრამ მაინც, ქვეყნის სტრატეგიული ღირებულების გადაჭარბება შეუძლებელი იყო.

ჩრდილოეთ კავკასიაში კვლავ მძიმე მდგომარეობა იყო. კავკასია იყო ჰიდრასავით მრავალთავიანი, ხოლო ერმოლოვი აშკარად არ იყო ჰერკულესი. ჩეჩნები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, როდესაც დაინახეს ერმოლოვის სისასტიკე და 1824 წელს საბოლოო საყოველთაო აშკარა აჯანყება წამოიწყეს. ამბოხებულმა დახოცეს, ვინც რუსებთან თანამშრომლობდა და უახლოესი რუსული ციხესიმაგრეები დაარბიეს, მოკლეს ორი გენერალი – გრეკოვი და ლისანიევიჩი Grekoff and Lissanievitch.

გროზნო 1818 წელს აშენდა და 6 წლის შემდეგ ბრძოლების ეპიცენტრი გახდა. ერმოლოვი სასტიკად დაემუქრა, რომ „დაანგრევდა აულებს, ჩამოახჩობდა მძევლებს და ამოხოცავდა ბავშვსა თუ ქალს“. იმპერატორი ძალზედ შეშფოთებული იყო ვითარებით ჩეჩნეთში და 1825 წლის აგვისტოში ერმოლოვს წერდა, რომ კავკასიაში 60 000 შეიარაღებული ჯარისკაცი იყო, და იმედოვნებდა, რომ ეს საკმარისი იქნებოდა წესრიგის აღსადგენად. წესრიგი ჩეჩნეთში სამაგალითო სისასტიკით აღდგა. გენერალმა დვიდოვმა Dvueedoff შეიპყრო ბევრი ჩეჩენი ქალი და ერთ რუბლად ყიდდა მათ.

მაგრამ 1825 წლის დეკემბერში ერმოლოვის კარიერა და ბედი ფატალურად შეტრიალდა. მეფე ალექსანდრე I მოულოდნელად გარდაიცვალა 1825 წელს ტაგანროგში (წყაროები აღნიშნავენ, რომ სინამდვილეში ის ბერად აღიკვეცა და ციმბირში ცხოვრობდა ასკეტურად). დაიწყო შიდა ინტრიგები, თუ ვინ იქნებოდა შემდეგი მეფე – დიდი მთავარი კონსტანტინე, პოლონეთის ლიბერალური მმართველი, თუ რექციონერი ნიკოლოზი.

იმ პერიოდში, 1812-14 წწ. ომის შემდეგ ევროპიდან დაბრუნებულ არმიაში, რომელმაც დაინახა ცივილიზებული ქვეყნების ცხოვრების წესი, რუს ოფიცრებში გავრცელდა ლიბერალიზმი. დაიწყო უმართავი პროცესები. ქვეყანაში რეფორმები იყო საჭირო, კონსტიტუციას უნდა შეეზღუდა აბსოლუტიზმის დესპოტიზმი. 1821 წლიდან რუსულ არმიაში აიკრძალა ყველა საიდუმლო ორგანიზაცია და მასონური ლოჟები, მაგრამ გვიან იყო. 1825 წლის 26 დეკემბერს, როდესაც მიმდინარეობდა იმპერატორ ნიკოლოზ I-სთვის ფიცის დადება, 2000 გვარდიელი ჯარისკაცი პეტერბურგში სენატის შენობასთან ყვიროდა „კონსტანტინე და კონსტიტუცია“ „Constantine and Constitution“ (ჯარისკაცებს ეგონათ, რომ „კონსტიტუცია“ ნიშნავდა კონსტანტინეს ცოლის სახელს). პეტერბურგის სამხედრო მმართველი მოკლული იყო. ამ აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, გარდა საერთო მასების გაუნათლებლობისა, იყო ის, რომ რევოლუციის მომავალი „დიქტატორი“, თავადი ტრუბეცკოი Prince Trubetskoy, ფრიმასონი[1], სამი სათნოების ლოჟის Lodge of the Three Virtues წევრი, ჩრდილოეთ საზოგადოების Northern Society ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი, ქართველი თავადის, ალექსანდრე გრუზინსკის Alexander Gruzinsky ქალიშვილის ვაჟი, არ გამოცხადდა მოედანზე. იგი დაიმალა ავსტრია-უნგრეთის დესპანის სახლში, რომელიც მისი ნათესავი იყო და სადაც იგი დააპატიმრეს.

დეკაბრისტებთან კავშირის გამოძიების შედეგად გამოვლინდა ძალზედ ცნობილი პიროვნებების სახელები, რომელთა შორისაც იყო ერმოლოვი. გარდა ამისა, მან შეცდომა დაუშვა და პირველად კონსტანტინე გამოაცხადა მეფედ. შეცდომა სასწრაფოდ გამოასწორა, მაგრამ ეჭვები დაბადა. დეკაბრისტი კუხელბეკერი Kukhelbecker თბილად იხსენებდა, რომ ერმოლოვთან ბევრი

---

[1] საინტერესო, რომ მასონური ლოჟის ერთ-ერთი დამაარსებელი ციმბირში იყო სიბირსკში დაბადებული და გაზრდილი ქართველი ბარათაევი (ბარათაშვილი) M. P. Barataev (Baratashvili), რომელმაც მოიხვეჭა ცოდნა ევროპის სამხედრო კამპანიის დროს 1806-7 წლებში. ის დაკავშირებული იყო უცხოელ მასონებთან და ახლო ურთიერთობა ჰქონდა დეკაბრისტებთან. თუმცა დეკაბრისტების გეგმები ეროვნული უმცირესობების მიმართ ძალზედ სასტიკი და მარტივი იყო: მათი რუსიფიკაცია ან განადგურება. 1825 წელს ბარათაშვილი დააპატიმრეს, მაგრამ 3 კვირაში გაათავისუფლეს. 1844 წელს იგი საქართველოში მსახურობდა და გამოსცა ძალზედ საინტერესო პუბლიკაცია: „ნუმიზმატიკური ფაქტები საქართველოს სამეფოს შესახებ“ „Numismatic facts of Georgian Kingdom“. ეს ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომი აღმოჩნდა, რომ იგი აირჩიეს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად French Academy of Science. გასაკვირია, მაგრამ ასეთი აღიარება რუსეთის იმპერიულ აკადემიაში არც ერთს არ მიუღწევია. ამასთანავე იგი გახდა ბერლინისა და კოპენჰაგენის აკადემიების წევრი. მან მიიღო პრუსიის, ჰოლანდიისა და სხვა მონარქებისგან ოქროს მედალი. რუსეთში იგი აირჩიეს არა მარტო აკადემიის, არამედ სამხატვრო აკადემიის წევრადაც. მისი კოლექცია ინახებოდა სიბირსკში (სადაც დაიბადა და სწავლობდა ლენინი), მის პატარა პირად მუზეუმში.

მომავალი და გასამართლებული დეკაბრისტი მსახურობდა კავკასიის ჯარში. მაგრამ იმის გამო, რომ ერმოლოვის წინააღმდეგ არ იყო რაიმე კონკრეტული მტკიცებულება, თავის პოსტზე დარჩა, თუმცა ამის შემდეგ ახალი მეფე ნიკოლოზ I (1825-1855) მის მიმართ კეთილგანწყობას არ გამოხატავდა.

ერმოლოვის წარუმატებლობა გრძელდებოდა. 1826 წელს ყარაბაღში სპარსეთის 60 000-კაციანი არმიის შემოსევის დროს, აბას მირზას მეთაურობით, ინგლისელი ოფიცრების მონაწილეობით (მაგ., დოუსონის Dawson, სამეფო არტილერიის სერჟანტი), რუსეთის ჯარი სრულებით მოუმზადებელი აღმოჩნდა. პამბაკი, შურაგელი და ბორჩალო Pambak, Shuraghel, and Borchalo აოხრებული იყო, ალექსანდროპოლი და ელიზავეტპოლი (განჯა) Alexandropol (Goumri) and Elizavetpol (Ganja) – დაპყრობილი. ბაქო ალყაში იყო მოქცეული. ლენკორანი მიტოვებული იყო. ქურთებმა დაანგრიეს თბილისთან მდებარე ეკატერინფილდის გერმანელების კოლონია. თავად თბილისი იყო საფრთხის ქვეშ. ერმოლოვი ფაქტობრივად უმოქმედოდ იყო. იგი რჩებოდა ქალაქში და ბრძანებებს გასცემდა. ამიერკავკასიაში მის განკარგულებაში 35 000-კაციანი არმია იყო, მაგრამ ის რუსეთიდან სასწრაფო დახმარებას ითხოვდა. ნიკოლოზ I-მა, პირიქით, ერმოლოვს კატეგორიულად მოსთხოვა შეეკრიბა 15 000-კაციანი რაზმი და შეეტია ერევნის მიმართულებით. მთავარსარდალმა ერმოლოვმა ეს შეუძლებლად მიიჩნია და გადადგა. გაბრაზებულმა მეფემ პასკევიჩს შესთავაზა სახელის მოხვეჭა და ენერგიული შეტევის დაწყება.

პასკევიჩი

გენერალი პასკევიჩი, ეროვნებით უკრაინელი, კავკასიის არმიის ხელმძღვანელად დაინიშნა 1827 წელს და მალე მან მთლიანად დაამარცხა სპარსელები. მისი როლი რუსეთის ისტორიაში, ერმოლოვთან შედარებით, ძლიერ არის დაკნინებული მისი წარმოშობის გამო, რასაც ყველა დასავლელი ისტორიკოსი აღნიშნავს[1].

გენერალი პასკევიჩი, ერმოლოვის მსგავსად, საკმაოდ სასტიკი იყო, მაგრამ მისგან განსხვავებით არასდროს აგებდა ბრძოლებს კავკასიასა და პოლონეთში. ახლა უკვე საკმაოდ მკაცრი მმართველი ნიკოლოზ I იყო გაოგნებული კავკასიის ომის სისტაკით და 1928 წლის 29 ივლისს, გაბრაზებული

[1] პასკევიჩის ერმოლოვთან ურთიერთობა ძალზედ რთული იყო და იგი ბრალს დებდა ინტრიგებში და მისთვის ხელის შეშლაში, დაბოლოს, განაცხადა, რომ ან ის, ან ერმოლოვი უნდა დაბრუნებულიყო რუსეთში. ნაწყენმა ერმოლოვმა დაუწერა წერილი მეფეს, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. როდესაც იგი რუსეთში მიდიოდა, ეწვია ტაგანროგს, სადაც ალექსანდრე I იყო დაკრძალული – „ვისთან ერთადაც დაიმარხა მთელი ჩემი ბედ-იღბალი“. მან მოკრძალებული პენსიონერული ცხოვრება ორიოლში გაატარა.

ბრძანა, რომ ტრიბუნალს გადაეცეს ყველა დამნაშავე იმ სისასტიკისთვის, რაც ხორციელდებოდა ჩერქეზების მიმართ.

ჩამოსვლისთანავე, 1827 წელს პასკევიჩმა გაილაშქრა ირანისკენ. ქალაქები ერევანი, თავრიზი, ნახიჩევანი და არდებილი აღებული იყო. 600-კაციანი ქართული კავალერია გენერალ რომან ბაგრატიონის, ბოროდინოს გმირის, პეტრე ბაგრატიონის ძმის მეთაურობით, პირველი შეიჭრა ერევანში. თემურ ლენგის ხმალი, ძალზედ ძვირფასი ნივთი, საჩუქრად გაეგზავნა რუსეთის იმპერატორს. პასკევიჩის გვარს ერევანსკი დაემატა. ქართველმა გენერლებმა – გიორგი ერისთავმა და მოურავოვმა George Eristavi and Mouravoff აიღეს ირანში თავრიზი, ზოროასტრიზმის დაბადების ადგილი. ადგილობრივ მეჩეთში ფასდაუდებელი ბიბლიოთეკა, დაცული, პეტერბურგში გადაიგზავნა, იმ პირობით, რომ როგორც კი წარწერის ასლი გაკეთდებოდა, უკან დააბრუნებდნენ. ზედმეტია იმის თქმა, რომ ნივთები კვლავ პეტერბურგში ინახება. გრიბოედოვმა თავრიზიდან 1828 წლის 30 ოქტომბერს მისწერა პასკევიჩს: „ჩემ სიმამრს (Chavchavadze) ბაიაზიდში ხელში ჩაუვარდა აღმოსავლური ხელნაწერები. ილოცე, რომ არ იყოს გაგზავნილი იმპერიის ბიბლიოთეკაში, სადაც არავინ არ არის, ვსაც მხოლოდ წერა-კითხვაზე მეტი შეეძლოს, მაგრამ სამეცნიერო აკადემიაში მას ყველაზე კარგად გამოიყენებენ პროფესორები ფონ ფრანი და სენკოვსკი von Frahn and Senkovski, რომლებიც მსოფლიო ცოდნას ამით გაამდიდრებენ“.

ინგლისელი დიპლომატების – მაკნეილისა და მაკდონალდის McNeil, Macdonald ჩარევის შემდეგ, 1828 წელს თურქმანჩაის Turkmanchai რუსეთ-ირანის ხელშეკრულებაზე ხელი იქნა მოწერილი, და საზღვარი დაწესდა მდინარე არაქსზე.

ირანთან მშვიდობის დამყარებამ პასკევიჩს თურქეთთან ძალების კონცენტრაციის შესაძლებლობა მისცა. მისი მოხსენებების მიხედვით, თურქეთის სამხედროები ირანელებზე უკეთესები იყვნენ და რაოდენობრივად მეტი. ამოცანა, რაც კავკასიის არმიას ეკისრა, ორმხრივი იყო: დაეცვა კავკასია და გადმოეტანა თურქეთის ძალები დუნაის ევროპის თეატრიდან. ეს იმ დროს, როდესაც ევროპაში რუსეთის არმია ნახევარ მილიონს და მეტს აღწევდა, კავკასიაში არმია არასდროს ყოფილა 25 000 კაცზე მეტი და იშვიათად 12 000 კაცზე მეტი მონაწილეობდა უშუალოდ ბრძოლებში.

1828 წელს პასკევიჩმა გაილაშქრა ცნობილ ციხესიმაგრე ყარსზე, რომელიც მან ივნისში შტურმით აიღო. იქ არანაირი ხოცვა-ჟლეტა ან ყაჩაღობა არ მომხდარა. პასკევიჩმა საჯაროდ გამოაცხადა: „ომის კანონები აძლევენ უფლებას გამარჯვებულებს შტურმის შემდეგ დასაჯონ ქალაქის მცხოვრებლები, მაგრამ დიდი მეფე პატიობს მოსახლეობას და სთავაზობს რუსების მიერ დაცვას“. ინგლისელი გენერალი მონტეი Monteith წერდა: „მე შემიძლია დავადასტურო პირადი გამოცდილებით თავად პასკევიჩის მკაცრი სამართლიანობა და შესანიშნავი დისციპლინა დაცული რუსეთის არმიის ყველა

დონეზე“. მომდევნო თვეში ქართული ქალაქები – ხერთვისი და ახალქალაქი ჩაუვარდათ ხელში რუსებს, ასევე სამკვირიანი ბლოკადის შემდეგ დაიკავეს შავი ზღვის პორტი ფოთი. აგვისტოში ახალციხე დაიკავეს ღამის შეტაკების შედეგად. ახლა რუსი ჯარისკაცები არ ავლენდნენ რაიმე მოწყალებას და, უპირველეს ყოვლისა, რუსი დეზერტირების მიმართ, რომლებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი. ერთ მეჩეთში 400 კაცი ცოცხლად დაწვეს. თურქების დანაკარგი შეადგენდა არა ნაკლებ 5000 კაცს, 1800 ლაზიდან 1300 მოკლული იყო. მაგრამ პასკევიჩი ამტკიცებდა, რომ ქალების მიმართ მოწყალება გამოიჩინეს (ისინი მხოლოდ მოკლეს). ამის შემდეგ არდაჰანი და აწყური ყოველგვარი ბრძოლის გარეშე ჩაბარდა. ქართული პოლკი პირველი შევიდა ქალაქში და ფაშას რეზიდენციაში 250-წლიანი ოკუპაციის შემდეგ აღმართეს ქართული დროშა. 1828 წლის სექტემბერში ქართველმა თავადმა და პოეტმა გენერალმა ჭავჭავაძემ Chavchavadze დაიპყრო ბაიაზიდის საფაშო Bayazid pashalik მთა არარატით. როგორც პასკევიჩი იმპერატორს წერდა: „ევფრატის დასაწყისში ფრიალებს თქვენი უდიდებულესობის დროშა“. სექტემბერში რუსეთის ექსპედიცია შევიდა გურიაში და ეს მშფოთვარე ქვეყანა ოკუპირებული იყო ყოველგვარი ბრძოლის გარეშე.

ასეთ ტალღაზე დაიწყო 1828-29 წლების ზამთარი. შემდეგი გეგმა იყო შავი ზღვის სანაპიროზე 6-8 ათასი რუსი ქვეითი ჯარის გადასხმა ფოთიდან და ტრაპიზონისკენ მოძრაობა, ამავე დროს, ლაშქრობა ერზურუმსა და სომხეთის მთებში, შემდეგ კი ანატოლიის მიმართულებით და თუკი ყველაფერი კარგად წავიდოდა, შესაძლებელი იქნებოდა კონსტანტინოპოლზე შეტევა, ერზურუმიდან 1000 მილის დაშორებით. ამ გეგმით პასკევიჩი ეწვია რუსეთის მეფეს პეტერბურგში, სადაც იგი დიდი პატივით მიიღეს.

მაგრამ 1829 წლის ზამთარში უეცარმა ტრაგიკულმა შემთხვევამ ყველა გეგმა ჩაშალა. 1829 წლის იანვარს მოკლეს რუსი ელჩი ირანში, ცნობილი მწერალი გრიბოედოვი. ირანისკენ მიმავალმა გრიბოედოვმა ცოლად შეირთო ქართველი ეკატერინე ჭავჭავაძე და დაიწყო წიგნის წერა თბილისში „ვაი ჭკუისაგან“. თავრიზში აბას მირზასთან მოლაპარაკების შემდეგ, გრიბოედოვმა დატოვა თავისი ახალგაზრდა მეუღლე და მარტო გაემგზავრა თეირანში შაჰთან ცერემონიალური ვიზიტით. ის იყო ტოვებდა დედაქალაქს, როდესაც მირზა-იაკობმა Mirza-Yakoub, წარმოშობით სომეხი, რომელიც 15 წელი მუშაობდა შაჰის ჰარემის ხაზინდრად, გამოთქვა სურვილი დაეტოვებინა თეირანი. გრიბოედოვი გარკვეული ყოყმანის შემდეგ დათანხმდა, რადგან არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ქრისტიანი სულის გადარჩენაზე, მაგრამ შაჰის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ის ფლობდა შაჰის ინტიმურ საიდუმლოებებს. ამან აღავსო ირანელების მოთმინება და ათასობით ადამიანი თავს დაესხა რუსეთის საელჩოს, წალეკეს კაზაკების პატარა დაცვა და ყველა მათგანი მოკლეს. გრიბოედოვი ხელში მახვილით დაეცა და მისი სხეული

ქუჩებში სამი დღის განმავლობაში ათრიეს. პუშკინი[1] შეხვდა გლეხებს, რომელთაც გრიბოედოვის სხეული თბილისში გადმოასვენეს, რომელიც მისი მეუღლის გვერდით დაკრძალეს თბილისში, ეროვნულ პანთეონში. 37 რუსიდან მხოლოდ ერთი გადარჩა, რომელიც დაიმალა და პასკევიჩს ყველაფერი მოუყვა. რუსებმა ირანის შაჰისგან პატიების თხოვნით მსოფლიოში ყველაზე დიდი ბრილიანტი მიიღეს[2].

პასკევიჩმა მყისიერად ეს ამბავი ბრიტანელებს დააბრალა. მაგრამ გადარჩენილი მდივნის მოხსენების მიხედვით, ყველა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიზეზი გრიბოედოვის უტაქტო გადაწყვეტილება იყო. მართლაც, ბრიტანეთის დიპლომატიის მოქცევა ამ ინციდენტში კეთილგანწყობილად ჩაითვალა რუსეთის ოფიციალური პოლიტიკით. მკვლელობის შემდეგ მაკდონალდი პასკევიჩს სწერდა: „საწყალი მადამ გრიბოედოვა იტანჯება შესანიშნავი და ერთგული ქმრის დაკარგვით. მაგრამ ახლა ის ჩვენთან ცხოვრობს და თქვენო აღმატებულებავ, გარწმუნებთ თქვენ და მის მშობლებს, რომ ის იღებს სათანადო ყურადღებას და სრულებით უსაფრთხოდ არის“.

1920 წლის საომარი გეგმა თურქეთის წინააღმდეგ ჩაიშალა. იმპერატორი სთხოვდა გალაშქრებას თავრიზის ან თეირანის მიმართულებით, მაგრამ პასკევიჩი იმპერატორს წერდა, ერთდროულად თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ ომის წამოწყების შეუძლებლობაზე. მოულოდნელად აჭარლები, 15 ათასი კაცის რაოდენობით, გამოჩნდნენ ახალციხესთან. მათ დაბლოკეს რუსების გარნიზონი ქალაქის ციხესიმაგრეში, ხოლო ქალაქი გაძარცვეს და გაიქცნენ.

გეგმის განხორციელება გვიან ზაფხულში დაიწყო და 1829 წლის ივნისში პასკევიჩმა წამოიწყო ლაშქრობა თურქეთის ერზერუმისკენ. როგორც

---

[1] 1829 წელს პუშკინი კავკასიაში ეწვია პასკევიჩის ჯარს, რომელიც ერევანს იღებდა. მან გამოაქვეყნა თავისი ლექსები და მოთხრობა „მოგზაურობა არზრუმში“, მაგრამ ძირითადად ის იყო სპეციალური სამხედრო-სადაზვერვო მისია. ამით აიხსნება, რომ მისი მეგობრობა დეკაბრისტებთან არანაირად არ აისახა უარყოფითად მის კარიერაზე. ასეთივე სპეციალური აგენტი იყო მისი კოლეგა გრიბოედოვი. რუსეთის ცენტრალური ტელევიზია დღესაც აჩვენებს გრიბოედოვის საფლავს სხვა ადგილას და არა თბილისში, სადაც ის უბრალოდ არ დაბრუნდა.

[2] როდესაც თითქმის იმავე დროს ირანის ელჩი იყო მოკლული ბრიტანეთის ინდოეთში და ბრიტანეთმა შაჰს ძვირფასი საჩუქრებით ბოდიში მოუხადა, გაკვირვებულმა შაჰმა უპასუხა, რომ ასეთი შესანიშნავი საჩუქრების შემდეგ ბრიტანელებს შეეძლოთ მოეკლათ იმდენი ირანელი, რამდენსაც მოისურვებდნენ. მართლაც, ინციდენტი ძალზედ შემთხვევითი იყო. ირანის ელჩი დიდი პატივით მიიღეს და მას 200 ადგილობრივი მსროლელი იცავდა. ერთ ჯარისკაცს შემთხვევით გაუვარდა ტყვია და მას იქვე სიკვდილით დასჯას უპირებდნენ. ირანელები ცდილობდნენ დაეცვათ საწყალი ჯარისკაცი და სთხოვდნენ, რომ ეპატიებინათ მისთვის, მაგრამ რადგან არ იცოდნენ ენა, ყველაფერი ქაოსით დასრულდა, როდესაც კიდევ ერთმა შემთხვევითმა ტყვიამ ელჩი მოკლა.

დაგეგმილი იყო, ჯარი 18 000 კაცისა და 70 ზარბაზნისგან შედგებოდა. ქალაქის შესასვლელთან ბრძოლა მოხდა. ახლად ჩამოყალიბებული მუსლიმთა კავალერია მამაცურად იბრძოდა და ერთმორწმუნეები ისე გაანადგურეს, რომ რუსებს უძნელდებოდათ ტყვეების აყვანა. ამ ბრძოლის შემდეგ ანატოლიის დედაქალაქი ერზერუმი Erzurum ბრძოლის გარეშე დანებდა. ქალაქის ფარგლებში, სულ ცოტა 5 საუკუნის მანძილზე, ბიზანტიის შემდეგ, არავის დაუნახავს ქრისტიანი ჯარისკაცი. მათ შორის, ვინც ტრიუმფით შევიდა ქალაქში, იყო პოეტი პუშკინი. ბაიბურტი და ყარსი Baiburt and Kars სივასკენ Sivas მიმავალ გზაზე აიღეს. მაგრამ შემაშფოთებელი ახალი ამბების გამო, რომ ერთიანდებოდა მტრების ძალები ჯარის ზურგში, პასკევიჩი იძულებული იყო, უარი ეთქვა შემდგომ გადაადგილებაზე, განსაკუთრებით ტრაპიზონისკენ Trebizond, რადგან იმედი არ ჰქონდა, რომ მოუგებდა მეომარ ლაზებს.

თურქებთან ადრიანოპლის შეთანხმების Treaty of Adrianople მიხედვით, 1829 წლის სექტემბერში, აწყურის, ახალქალაქის და ახალციხის Adsquri, Akhalkalaki, Akhaltsikhe ციხესიმაგრეები, ასევე ფოთისა და ანაპის Poti and Anapa პორტები, რუსეთის მფლობელობაში გადავიდა. მაგრამ ამის სანაცვლოდ, ერზერუმი, ბაიაზიდი, ყარსი, არდაჰანი, ბათუმი და გურია Erzurum, Bayazid, Kars, Ardahan, Batumi and Guria თურქეთს დაუბრუნდა. იმპერატორისგან პასკევიჩმა უფლება მიიღო, ასევე უკან წაეყავანა სომხები და შეცბუნებული იყო ამდენი ლტოლვილით. 90 000 მეტი ადამიანი გადმოსახლდა.

25 000 ქართველი იბრძოდა რუსეთის არმიაში. თუმცა ქართველი გლეხები არ მიჰყავდათ რუსეთის ჯარში, ისინი მუდმივად იარაღით ხელში ბრძოლისთვის მზადყოფნაში იყვნენ. ქართველი გლეხიც კი ინახავდა ან თან ატარებდა იარაღს მიწაზე მუშაობის დროსაც კი (ხმალი, ფარი, შაშხანა, რევოლვერი). მოკლე ხანჯალი ქართული ნაციონალური ტანსაცმლის განუყოფელი ნაწილი იყო საუკუნეების მანძილზე.

ასე რომ, კავკასიის ფრონტის წარმატების შემდეგ შესაძლებელი გახდა სერბეთისა და საბერძნეთის ავტონომია და ქრისტიანი ლოდოვისა და ვალაჩიას განთავისუფლება.

5 წლის განმავლობაში (1827-31 წ.-ში) პასკევიჩმა დაიპყრო შემდეგი ქალაქები: ერევანი, ნახიჩევანი, ახალციხე, ახალქალაქი, ფოთი, ანაკლია, სოხუმი, ბიჭვინთა, სუჯუკი, ანაპა და შავი ზღვის სანაპირო Erevan, Nakhichevan, Akhaltsikhe, Akhalkalaki, Poti, Anaklia, Sukhum, Pitsunda, Sudjuk, Anapa, Black Sea coast. ამ ეფექტურმა კამპანიამ ხელი შეუწყო საქართველოს, გამხდარიყო მნიშვნელოვანი ქვეყანა. დაიწყო ინტელექტუალური გამოცოცხლება, თბილისი კოსმოპოლიტურ ცენტრად იქცა. კარბონარების მოქმედებებმა ნეაპოლში, საბერძნეთში განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, დეკამბრისტების წარუმატებელმა აჯანყებამ, 1830 წლის პარიზის რევოლუციამ, ვაშინგტონის პატრიოტულმა ომმა და ეროვნულმა აჯანყებამ პოლონეთში გავლენა იქონიეს

რუსეთისა და საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებაზე. ამასთანავე, მეფე იყენებდა კავკასიას უფრო მსუბუქ ალტერნატივად დეკაბრისტების გაციმბირებასთან შედარებით და ბევრი მათგანი მსახურებდა პასკევიჩის არმიაში.

1831 წელს პასკევიჩი გადაიყვანეს ევროპაში, და როგორც პოლონეთის გენერალ-გუბერნატორმა ჩაახშო პოლონელებისა და უნგრელების აჯანყებები. იგი გარდაიცვალა ძველი საბრძოლო ჭრილობებისგან ზუსტად ყირიმის ომის დაწყებამდე. პასკევიჩის ადგილას დაინიშნა ბარონი როზენი Baron **Rosen.** ამავე წელს მან დაიპყრო აფხაზეთის სანაპირო ბომბორამდე, დააშოშმინა ჯარო-ბელოკანი და დაამყარა რუსეთის მტკიცე ხელისუფლება ოსეთის ორივე, ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში.

პასკევიჩთან შედარებით ბარონი როზენი უფრო ნაკლებად წარმატებული და განათლებული იყო. თურქეთთან და ირანთან საზღვრები გამაგრებული იყო და დესპოტი მეფის ნიკოლოზ I-ის დავალებით ძირითადმა სამხედრო მოქმედებებმა გადაინაცვლა კავკასიის ჩრდილოეთით, სადაც მეტი წინააღმდეგობა შეხვდა მთიელი ხალხისგან, ვიდრე თურქებისა ან ირანელებისგან. შიდასახელმწიფოებრივი პროგრესი ყველამხრივ შეჩერებული იყო. დაიწყო რექციული ბნელი ხანა, რომლის შედეგად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხი თითქმის განადგურდა.

შამილი

მიურიდიზმი **Muridism** (ან ეზოთერული კავკასიური სუფიზმი Sufism) ჩრდილოეთ კავკასიაში (ჩეჩნეთსა და დაღესტანში) შემოვიდა შიიტური Shiite სპარსეთიდან, სადაც სუფისტები არა მარტო დიდი პოეტები იყვნენ, არამედ ბევრი მმართველიც, მაგრამ პოლიტიკურად სუნიტური Sunnite თურქეთი უფრო მეტად აქტიური იყო ამ რეგიონში. ისინი რუსებს მიიჩნევდნენ, როგორც მავნე პარაზიტებს, რომლებიც ჯანსაღ ხეს მთლიანად ედებიან. მიურიდიზმი გულისხმობდა ყველა რუსის მოკვლას[1].

[1] რუსებსაც გაცნობიერებული ჰქონდათ ჩეჩნებისგან საფრთხე და წარმოუდგენელ რამესაც არ თაკილობდნენ. მათ არაცივილიზებული ყალმუხი ტომებიც კი გადმოასახლეს სარატოვიდან კავკასიაში 1770 წლიდან, რათა მუდმივად დაეშინებინათ ჩეჩნეთი და დაღესტანი, დეზორგანიზაცია შეეტანათ მათ ეკონომიკურ ცხოვრებაში და გაეწირათ მათი არსებობა. ძალიან მალე, 1771 წელს, ყალმუხების უმეტესობამ დაინახა რუსეთის რეალური მიზანი და საერთოდ მოსცილდნენ იქაურობას. თავი შეაფარეს ჩინეთს. მხოლოდ პატარა ნაწილი დასახლდა ჩრდილოეთ კასპიის ზღვის ნაპირებზე, სადაც მათი შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ. კომუნისტი რევოლუციონერი ლიდერი ლენინი წარმოშობით იყო ყალმუხის, შვედის, გერმანელის და ებრაელის ნარევი.

ზოგადად, შამილის მიურიდიზმი ვერ მოიკიდებდა ფეხს, რომ არა რუსეთის ძალადობა და მასთან ბრძოლა, რადგან კავკასიელი მუსლიმები არ მისდევდნენ ისლამის ყველა ტრადიციას, ისეთი, როგორიც იყო ღვინის სმა, ღორის ხორცის ჭამა ან წინადაცვეთა. უფრო გავრცელებული იყო ადათები, კავკასიური ტრადიციები, სისხლის აღება. ჩეჩნებს არ ჰქონდათ ყმა-თავადობის ტრადიცია (გარკვეულ „დემოკრატიას“ იყვნენ მიჩვეული) და მიურიდების ბრძანებების დამორჩილება უჭირდათ, მით უმეტეს, რომ მეფე თამარის დროს ან უფრო ადრე მთის ტომები იყვნენ ქრისტიანები, რადგან იქ შემორჩენილია ქრისტიანული ტაძრები, გუმბათები და საფლავები ჯვრით, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში შეიცვალა მონღოლებისა და არაბების შემოსევების შემდეგ.

პირველმა იმამმა ყაზი მოლამ Kazi (Ghazi) Moulla 1829 წელს საღვთო ომი გამოაცხადა. მისი გეგმა იყო: „როდესაც ჩვენ გავყრით გიაურებს კავკასიიდან და ავიღებთ მოსკოვს, სტამბოლში წავალთ!“ როდესაც მეორე იმამ ჰამზად ბექვენს Hamzad Bekwhen შეატყობინეს შეთქმულების შესახებ, თქვა: „რაც ღმერთისგან გადაწყვეტილია, მისი თავიდან აცილება შეუძლებელია, თუკი ხვალ მე უნდა მოვკვდე, მე ხვალ მოვკვდები“, ამიტომ მან არაფერი გააკეთა და მეორე დღეს ის მეტოქეებმა მოკლეს.

მესამე იმამი შამილი Imam Shamil, უზარმაზარი ტანის, არაბუნებრივი ფიზიკური ძალის პატრონი, იბრძოდა რუსებთან ჩეჩნეთსა და დაღესტანში (ავარიის ჩათვლით) 30 წლის განმავლობაში 1837 წლიდან 1859 წლამდე. იგი ნამდვილი აღმოსავლური დესპოტის მსგავსად გადაადგილდებოდა დაცვით, რომლებიც ატარებდნენ გრძელტარიან ნაჯახს, და სულ მცირე ღალატის ეჭვის გამოც კი აჭრიდნენ თავებს და ხელებს[1].

ჩრდილოეთ კავკასიის ომი განსაკუთრებული სისასტიკით გაჩაღდა, როდესაც რუსეთის დესპოტი მეფე ნიკოლოზ I მოვიდა ხელისუფლებაში: 1830 წელს ყაზი მოლამ ილაშქრა ანდეში, როდესაც, იმპერატორ ნიკოლოზის სასირცხვილოდ, ერევნის პოლკის ორივე ბატალიონი პანიკამ მოიცვა და უკან დაიხია; შემდეგ ყაზი მოლამ ჩაატარა რეიდი დაღესტნიდან ჩეჩნეთში 1832 წელს; გენერალ როზენის General Rosen საპასუხო სადამსჯელო ექსპედიცია

[1] შამილის მამა ლოთი იყო. შამილი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, როცა მამამისს უთხრა, რომ თუკი კიდევ ერთხელ დაინახავდა, რომ ის დალევდა, ხანჯალს ჩაირტყამდა, რათა მის თვალწინ მომკვდარიყო. ამ მუქარამ კარგად იმოქმედა და სიცოცხლის ბოლომდე მამამისს სასმელი არ გაუკარებია.

ნაზრანიდან ჩეჩნეთში 1832-33 წლებში (80 აული მიწასთან იყო გასწორებული); გენერალ კლუგენაუს General Klugenau ექსპედიცია ავარიაში, გერგებილის და გოტსალის აღება 1834 წელს; გენერალ ფესეს General Fese ექსპედიცია აშილტასა და ტილიტლის წინააღმდეგ 1837 წელს, როდესაც მხოლოდ ერთ აულში 600 სახლი დაქუცმაცებული იყო რუსეთის არტილერიის მიერ. 1836 წელს შამილი კავკასიურ წინააღმდეგობას ჩაუდგა სათავეში. პირადი შეხვედრის დროს გენერალი კლუგენაუ ცდილობდა, დარწმუნება შამილი წინააღმდეგობის უაზრობაში. როდესაც რუსმა გენერალმა ხელი გაუწოდა, რომ დამშვიდობებოდა, მიურიდებმა შეაჩერეს შამილი, რადგან ურჯულოსთვის ხელის მიკარება მკრეხელობა იქნებოდა. რუსეთის მეფე დათანხმდა საიდუმლო ოპერაციაზე და 1838 წელს შამილის თავის სანაცვლოდ დააწესა ჯილდო 1000 ჩერვონცი. 1840 წელს შხამიც კი ჩამოიტანეს პეტერბურგიდან.

სიტუაცია საქართველოშიც გაუარესდა. საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართული ნაციონალიზმის სულს ინარჩუნებდა ოქროპირ ბაგრატიონი, მეფე გიორგი XII-ის და გმირი დედოფლის მარიამის უმცროსი ვაჟი, და მისი ბიძაშვილი უფლისწული დიმიტრი. ოქროპირი და დიმიტრი კრიბავდნენ ქართველ სტუდენტებს მოსკოვსა და პეტერბურგში, შთააგონებდნენ მათ პატრიოტიზმის გრძნობას. ფარული საზოგადოება შეიქმნა თბილისში, რათა ახლიდან დაეარსებინათ დამოუკიდებელი სახელმწიფო ბაგრატიონების მეთაურობით. ოქროპირი საქართველოს 1830 წელს ესტუმრა, სადაც მან საუბრები გამართა ძირითად კონსპირატორებთან, რომლებიც თავად ორბელიანისა და ერისთავის სახლის წევრები იყვნენ, და აგრეთვე კონსტანტინე შერვაშიძესთან, აფხაზეთის მმართველი სახლის შთამომავალთან. თბილისში საფრანგეთის საკონსულოს მდივანი ლეტელიე Letelie, რომელიც ქართულად შესანიშნავად საუბრობდა და დაწერა რამდენიმე წიგნი, და თბილისის გუბერნატორი ზავილეისკი Zavileisky, წარმოშობით პოლონელი, ამ პატრიოტული შეთქმულების აქტიური მონაწილენი იყვნენ 1832 წელს.

მათი შემუშავებული გეგმა უფრო მელოდრამა იყო, ვიდრე პრაქტიკული. თბილისის დიდ წვეულებაზე უნდა დაეპატიჟებინათ გენერალი-გუბერნატორი ბარონი როზენი. როდესაც მიიღებდნენ სიგნალს, შეიპყრობდნენ მას. შეთქმულების მონაწილეები შემდეგ ჩაკეტავდნენ დარიალის ხეობას, რათა თავიდან აეცილებინათ რუსეთიდან დამხმარე ძალის შემოსვლა. უფლისწული ალექსანდრე ბაგრატიონი, რომელიც ჯერ კიდევ სპარსეთში ცხოვრობდა, დაბრუნდებოდა, რათა საქართველოს მეფედ გამოეცხადებინათ. ეს ძალზედ ველური პროექტი შეთქმულების სხვა წევრებისათვის მიუღებელი იყო. ბევრ ქართველ დიდებულს ჰყავდა ცოლები, მეგობრები ან ნათესავები რუსეთში. კატეგორიული წინააღმდეგი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე ალექსანდრე ბაგრატიონის ან სპარსელების დახმარებაზე, რომელთაც მოკლეს მისი სიძე გრიბოედოვი.

საბოლოოდ, ხელისუფლებამ შეთქმულება გამოააშკარავა. დაიწყო დაპატიმრებები. მიუხედავად იმისა, რომ ათ მათგანს სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, შეიწყალეს და დროებით რუსეთის პროვინციებში გადაასახლეს, ზოგი კი რუსეთის არმიაში ჩაწერეს. ორივე შემთხვევაში, ეს როგორც სიკვდილის დროს, საქართველოსთვის მათი სამუდამო დაკარგვას ნიშნავდა. მაგრამ, ამავე დროს, იმპერატორმა ნიკოლოზმა დაიწყო უკმაყოფილების მიზეზების გამოძიება და შეთქმულებაში მონაწილე ბევრი შეიწყალა და ნება დართო გაეგრძელებინათ თავიანთი ოფიციალური კარიერა. ერთ-ერთი მათგანი, თავადი გრიგოლ ორბელიანი თბილისის გუბერნატორი გახდა და ერთ დროს სრულიად კავკასიის გენერალ-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელიც იყო. ალქსანდრე ჭავჭავაძე 4 წლით რუსეთში, ტამბოვში გადაასახლეს.

მეფე ნიკოლოზ I-ს მიაჩნდა საქართველო, როგორც „უძვირფასესი ბრილიანტი რუსეთის სამეფო გვირგვინზე“ და 1837 წელს ესტუმრა მას (თბილისი, ქართლი, კახეთი). მან სამი დღე სამეგრელოში გაატარა, ზუგდიდში, დადიანის სასახლეში. ის წერდა „მე ყველაზე კარგად ახლა ვხვდები სიტყვებს სახარების „გენეზისიდან“, უფალმა თქვა, იყოს სინათლე, და გაჩნდა სინათლე“. შეთქმულების მონაწილეები კვლავ ციხეში იყვნენ, მაგრამ უამრავი საზეიმო ცერემონია და წვეულება გაიმართა რუსი მეფის პატივსაცემად. დიდუბის აღლუმში მონაწილეობა მიიღო ლერმონტოვმა. მეფეს გააცნეს ულამაზესი ქართველი მანდილოსანი მაიკო ორბელიანი და, ჭორების მიხედვით, სამარცხვინო ფაქტიც მოხდა. მას მეფესთან ერთად ეძინა.

სამაგიეროდ ადმინისტრაციისადმი უკმაყოფილების და უსამართლობის გამო მეფემ რამდენიმე მაღალი წოდების ოფიცერი გაათავისუფლა. დაინიშნა ახალი გენერალ-გუბერნატორი. გენერალი გოლოვინი **Golovin** და ბარონი როზენი კორუფციის ბრალდებით გაუშვეს[1]. უფრო მეტიც, ვ. ტოლსტოის ცნობებით როზენი და ორივე მისი შვილი სოდომისტები იყვნენ, ხოლო ფრანგული გაზეთების ცნობებით, მისი მეუღლე თბილისში „არაპების“ მიმართ დაუოკებელი ლტოლვით იყო ცნობილი.

ჩრდილოეთ კავკასიაზე ამან არ იმოქმედა და იქ ახალი შეტევები დაიწყო. გენერალი პავლე გრაბე[2] Grabbe, ბალტიელი ლუთერანი, ნაპოლეონის

---

[1] ძირითადად ეს ქართველი სიძის ერევნის პოლკის მეთაური დადიანის ბრალი იყო, რომელიც ცნობილი ბანქოს მოთამაშე და მფლანგველი გახლდათ.

[2] გრაბე აბსოლტურად უნიჭო აღმოჩნდა. თუმცა ის იჯდა ციხეში მასონ დეკაბრისტებთან კავშირის გამო, მაგრამ მალე გაათავისუფლეს და გააგზავნეს მოლდავეთში 1829 წელს. იქ ბუქარესტში მან ითხოვა ახალგაზრდა ლამაზმანი, რომელიც თავის მოხუცებულ ქმარს გამოექცა. ეს მოლდაველი ქალი მუდმივად ღალატობდა გრაბეს და ის მუდმივად დაცინვის საგანი იყო, როდესაც მთელ ღამეებს ატარებდა მისი მეუღლის საძინებლის ფანჯრების ქვეშ ორი პისტოლეტით. მის მიერ განხორციელებული საბრძოლო მოქმედებები საშინელი კატასტროფა იყო უამრავი უაზრო მსხვერპლით.

ომის გმირი, 1838 წელს გაგზავნეს კავკასიაში აგრესიული მოქმედებების ინსტრუქციით. გენერალმა პულომ Pullo, წარმოშობით ბერძენმა, შტურმით აიღო აულები არგუანი და ახულგო Arguani and Akhulgo 1839 წელს, სადაც შამილს ალყა შემოარტყეს. წინააღმდეგობა იყო სასტიკი და უიმედო. დედები თავიანთ შვილებს ქვებით კლავდნენ და თავად უვარდნებოდნენ ხიშტებს. 3 000 რუსი ჯარისკაცი იყო მოკლული 4 კვირიანი ალყის და საბოლოო შეტევის დროს, მაგრამ რუსების რეზერვები უსასრულო იყო. დაბოლოს, ინგლისელებისა და პოლონელების მიერ აშენებული ახულგოც აიღეს. მაიორი მარტენოფი Marteenof, რომელმაც 2 წელიწადში (1841 წ.) მოკლა დუელში პოეტი ლერმონტოვი, მონაწილეობას იღებდა ამ შტურმში. რუსული ტრიუმფი დროებითი აღმოჩნდა. შამილი სასწაულებრივად გაუჩინარდა, ხოლო მომავალ 1840 წელს შამილმა სისხლიანი დამარცხება მიაყენა რუსეთს და მთლიანად დაიპყრო დაღესტანი, ყველა რუსული გარნიზორი დარბეული იყო, ხოლო მიურიდიზმმა იზეიმა ვლადიკავკაზიდან კასპიამდე.

ევროპიდან ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის წევრების მონაწილეობა კავკასიის საქმეებში

1830 წლის პოლონეთის აჯანყების დაუნდობელი ჩახშობის შემდეგ პოლონეთის, ევროპის და ბრიტანელი თავისუფლებისთვის მებრძოლი ადამიანების ყურადღებამ კავკასიისკენ გადაინაცვლა. 4000 პოლონელი გადასახლდა ამიერკავკასიაში როგორც ადმინისტრატორები, ექიმები, ინჟინრები, რამაც დააჩქარა საქართველოს განვითარება (ზდანევიჩები, ვოლსკიები, სხვ.). კავკასია იმ დროისთვის იყო თურქების, შამილის, კავკასიელი ქრისტიანების (ქართველები, სომხები), ჩრ. კავკასიელი მუსლიმების, რუსების, ინგლისელების, ფრანგების, სპარსელების და სხვათა ინტერესების კაკაფონია. 1842 წელს არტურ კონოლიმ Arthur Conolly, ბრიტანელი დაზვერვის ოფიცერმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში განვითარებული სიტუაცია აღწერა „დიდი თამაშის“ „the Great Game“ კონცეფციაში.

ჯონ ბრედლი თავის წიგნში „რუსების მიერ კავკასიის დაპყრობა“ (1908 წელი) „The Russian Conquest of the Caucasus“ (1908), John F. Baddeley, დაწერა, რომ „ყოველგვარი გარე მხარდაჭერისა და არტილერიის გარეშე... თუმცა უნებლიედ ისინი (დაღესტნელები, ჩეჩნები) იდგნენ ინდოეთში ბრიტანეთის დასაცავად“. სერ ჰენრი რევლინსონი Sir Henry Rawlinson აღნიშნავდა: „ასე რომ, სანამ მთიელები უწევდნენ წინააღმდეგობას, ისინი ქმნიდნენ ეფექტიან ბარიერს შემდგომი დაპყრობებისათვის. როდესაც ერთხელ ისინი განადგურდებიან, არ არსებობს არავითარი სამხედრო ან ფიზიკური ბარიერი, რაც გააჩერებდა რუსების ლაშქრობას არაქსიდან ინდოეთამდე“.

შესაბამისად, მთიელების ბრძოლამ მიიპყრო ბრიტანული სპეცსამსახურების ყურადღება. ახალგაზრდა შოტლანდიელი მებრძოლი დავით ურკვარტი

დავით ურკვარტის მიერ შექმნილი ჩერქეზული წინააღმდეგობის დროშა, დღემდე რუსეთის ადიღეის რესპუბლიკის ოფიციალური დროშა

David Urquhart, ჩერქეზების მეგობარი, სადაზვერვო მისიით გაიგზავნა თურქეთსა და კავკასიაში, სადაც ის ეკონტაქტებოდა პოლონელ ოფიცრებს. მან დაამყარა კავშირი ჩერქეზ უფლისწულთან 1833-35 წწ-ში. რუსეთის კონტრდაზვერვა ამ ინგლისელ ჯაშუშებს კონსტანტინოპოლიდან დაედევნა.

ურკვარტმა ლონდონს აცნობა, რომ ასობით ჩერქეზი მზად იყო გაელაშქრათ მოსკოვზე. ის 1843 წელს წერდა პათეტიკურ წერილებს მცირე რაოდენობის მთიელი ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ და კავკასიაში ბრიტანეთის ინტერესების დაცვის მნიშვნელობაზე. მან პირადად დააბრალდებულა ლორდი პალმერსტონი, Lord Palmerston, საგარეო საქმეთა მინისტრი, მოგვიანებით კი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, წარმოშობით ირლანდიელი, ღალატში და რუსული ფულით მოსყიდვის გამო. ბევრი სხვა პარლამენტარი მას უჭერდა მხარს. თვითონ პალმერსტონი ამ პოლიტიკას ამართლებდა იმით, რომ ინდოეთის დაცვის მიზნით, მხოლოდ ერთიან თურქეთს შეეძლო არ დაეშვა რუსები ბოსფორზე და ფრანგები ნილოსზე. შესაბამისად, კავკასიის გარდა, ის ყველგან აქტიურ ანტირუსულ პოლიტიკას ატარებდა.

კარლ მარქსიც კი წერდა ენგელსისთვის მიწერილ წერილში იმ სკანდალური სიტუაციის შესახებ, როდესაც პალმერსტონი ეჭვმიტანილი იყო ღალატსა და რუსებისგან ქრთამის აღებაში. ურკვარტის მიერ აგორებულმა სკანდალმა რუსეთი გააღიზიანა, რუსმა მეფემ ბრიტანელ ელჩთან შეხვედრის დროს თქვა, რომ „როდესაც ის რევოლუციონერი აუცილებლად ჩაუვარდებოდათ მათ ხელში, მას სუფთად და მარტივად მოკლავდნენ“. ასე რომ, პოლონიუმისლუგოვოის შემთხვევას დიდი ისტორია აქვს.

მთიელები იმდენად გულუბრყვილონი იყვნენ, რომ გააფრთხილეს რუსი გენერლები, რომ უჩივლებდნენ „ინგლისელ მეფესთან“ და ის „დაიცავდა“ მათ. რუსი მეფე თავის დეკლარაციებში ხშირად აფრთხილებდა მთიელებს, რომ დანებებულიყვნენ და არ ესმინათ „უცხოელებისთვის“, აშკარაა, რომ ბრიტანელი ოფიცრები იგულისხმებოდა. ჩერქეზების სამხედრო მრჩევლები იყვნენ პოლონელი ოფიცრები თეოფილე ლაფინსკის მეთაურობით Theophile Lapinski.

ინგლისელებს სჭირდებოდათ რაიმე დასაყრდენი შავი ზღვის ჩრდილოეთ კავკასიის სანაპიროზე, რათა ორგანიზება გაეწიათ მეამბოხეების სრულმასშტაბიანი მომარაგებისთვის. 1840 წელს მთიელებმა განახორციელეს შავი ზღვის სანაპიროს შტურმი რუსებისთვის კატასტროფული შედეგებით. რუსებმა დაკარგეს ბოლო წლების მანძილზე მოპოვებული ყველა პოზიცია. საბრძოლო

მასალითა და იარაღით სავსე ფრეგატები გადმოტვირთული იყო ჩერქეზთა სანაპიროებზე. კურიოზია, რომ ჩერქეზებისთვის ყველაზე მეტად აუხსნელი ფაქტი იყო, რომ ბრიტანულ წარმოებას არ შეეძლო დაემზადებინათ შარვლები, რომელთაც ჩერქეზი მამაკაცები გამოიყენებდნენ. მაგრამ ეს გამარჯვება ძალზედ მცირეხნიანი აღმოჩნდა. 1837 წლის შემდეგ, ჩერქეზთა მეგობრის, ბრიტანელი მეფის უილიამ IV-ს William სიკვდილის შემდეგ ჩერქეზთა მხარდაჭერა შემცირდა.

მიუხედავად ამისა, 1839 წელს ბრიტანელებმა მართლაც გადაარჩინეს კავკასია ძალზედ საშინელი ფატალური ტრაგედიისაგან, როდესაც ამავე წელს ფანატიკოსი ალბანელების, ეგვიპტის მუჰამედ ალი ფაშას Muhammad Ali, მამლუქების მკვლელთა ჯარი შეიჭრა აზიურ თურქეთში სამხრეთიდან, გადაკვეთა ტაურუსის მთები, დაამარცხა თურქები და სამხრეთ კავკასიამდე მიაღწია. 1833 წელს რუსეთმა უკვე გაგზავნა ჯარები კონსტანტინოპოლში, რათა თავიდან აეცილებინათ იმავე ფაშას მიერ ოსმალი სულთნის ტახტიდან ჩამოგდება. ამჟამად ყველაფერი გაცილებით რთულად იყო. ფაშა დაღესტანს დაემუქრა: „ახლა მე ჩემი არმია მივმართე რუსეთის წინააღმდეგ. გპირდებით, რომ მალე გამოგიგზავნით ჩემი ძალების ნაწილს. ვინც არ დაემორჩილება ჩემს ბრძანებებს, თავს მოვკვეთავ, როგორც ყველა ურწმუნოს“. ამ ფანატიკოსი ეგვიპტელის შეჩერება კავკასიაში უზარმაზარ მსხვერპლს მოითხოვდა. საბედ-ნიეროდ, ინგლისელების სწრაფმა მოქმედებებმა სირიის ნაპირებზე, ეგვიპტური ჯარის ზურგში, თავიდან ააცილა კავკასიელ ქრისტიან მოსახლეობას საშინელი ბრძოლა და ხოცვა.

1841-2 წწ-ში ათასობით დაღუპული რუსის ხარჯზე გენერალმა გოლოვინმა და ფესემ გარკვეულად აღადგინეს დაკარგული პოზიციები, მაგრამ 1843 წელს შამილმა კვლავ შეუტია და ათასობით რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი იქნა მოკლული. ამავე დროს, შამილმა ნება დართო ლეიტენანტ ანოსოვს, მეთაურს, შეენარჩუნებინა მისი ხმალი, სიმამაცისადმი პატივისცემის ნიშნად. მართლაც, ეს წელი რუსეთისთვის კატასტროფიული იყო.

ერთადერთი დამარცხება შამილმა საქართველოში, ხევსურეთში იგემა, როდესაც ხევსურული ციხესიმაგრე შატილი Shatil მამაცურად დაიცვეს და მესამე დღეს, როდესაც შამილის საუკეთესო ოფიცერი სასიკვდილოდ დაჭრეს, მიურიდები გაეცალნენ ორ ტყვესთან ერთად, რომელნიც ლიდერის საფლავზე მსხვერპლად შესწირეს. ხევსურები რუსეთის მთავრობამ დააჯილდოვა წმ. გიორგის ჯვრით, მედლებით, ხორბლით, თოფისწამალითა და ტყვიით. ნაბრძანები იყო, აულისთვის სქელი კედელი შემოერტყათ, რომელზეც სპეცია-ლური წარწერა იქნებოდა.

თუში მეომრები, ქართული წარმოშობის ქრისტიანები, ცნობილნი იყვნენ მიურიდებთან ბრძოლით. თავისი ძველი ჩვეულებით, ისინი აჭრიდნენ მტერს მარჯვენა ხელს. სახელგანთქმულ თუშ მებრძოლს, შატეს Shate, არანაკლებ 70 ასეთი მონაპოვარი ჰქონდა კედელზე მიჭედებული.

1842 წელს შამილი 10 000 მხედართან ერთად თავს დაესხა ავარიას. გენერალმა გრაბემ Grabbe უიმედოდ შეუტია შამილს იმ მიზნით, რომ გადაერჩინა თავისი კარიერა და სიტუაცია. მან მთებში წაიყვანა 10 000 მებრძოლი. მთებში ლაშქრობის დროს, თუკი რუსი ჯარისკაცი დაიღლებოდა ან დასუსტდებოდა, მას ართმევდნენ იარაღს, საბრძოლო მასალას, ჩანთას, ასევე ღილებსაც და შემდეგ მარტო ტოვებდნენ. მას უნდა თვითონ აერჩია, ან სიკვდილი, ან ბრძოლა მტერთან, ან თავის პოლკში დაბრუნება. მთელი ეს რუსის ჯარი განადგურდა. ეს იყო ძალზედ დამამცირებელი დამარცხება კავკასიაში. გენერალი გრაბე და მთლიანად კავკასიის გენერალ-გუბერნატორი გოლოვინი სასწრაფოდ იყვნენ გათავისუფლებულნი.

1842 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა დაასახელა ახალი გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრე ნეიდგარტი Alexander **Neidgart**, წარმოშობით გერმანელი. 1825 წელს, პეტერბურგში დეკაბრისტების აჯანყების დროს, გენერალი ხელმძღვანელობდა ლეიბგვარდის შტაბს, რომლებიც ძალზედ გადაუწყვეტელად მოქმედებდა, როდესაც გენერალი გოლოვინის მხედრები ძალზედ აგრესიულად და სწრაფად იბრძოდნენ დეკაბრისტების წინააღმდეგ.

კავკასიის არმია გაძლიერდა 22 000 მეომრით და ახალ ხელმძღვანელს მიეცა 12 თვე, რათა აღედგინა მშვიდობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ გეგმას, რომ ტომებს შორის დაეთესათ სიძულვილი და თავიდან აეცილებინათ მათი გაერთიანება რუსეთის წინააღმდეგ – divide et impera დაყავი და იბატონე. რამდენიმე უშედეგო ბრძოლისა და მრავალრიცხოვანი მსხვერპლის მიუხედავად სიტუაცია კვლავ სავალალო იყო.

1844 წელს გენერალი ნეიდგარტი ჩაანაცვლა მიხეილ ვორონცოვმა **Mikhail Vorontsov** (Woronzoff), რომელიც ასევე დასახელებული იყო, როგორც მეფისნაცვალი. ლონდონის საიმპერატორო მიღებების (სადაც მისი მამა დესპანი იყო) და ოდესასა და ყირიმში სამსახურის შემდგომ, იგი თბილისში დაინიშნა 63 წლის ასაკში. ვორონცოვი ინგლისში დაიბადა და განათლებაც სწორედ იქ მიიღო. გრაფის სახელი და რეპუტაცია ხიბლავდა პეტერბურგისა და მოსკოვის არისტოკრატებს და ისინი კავკასიაში წამოჰყვენ: უფლისწული ალექსანდრე ჰესე-დარმსტადი, უფლისწული ვიტგენშტეინი, ვარშავის პრინცი, Prince Hesse-Darmstadt, Prince Wittgenstein, Prince of Warsaw და სხვა სახელოვანი ოჯახის შთამომავალნი. მის დაცვაში იყვნენ ქურთები, თვალწარმტაც ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილნი (ნაპოლეონის მსგავსად). ყველა წინადადებას ის ამ სიტყვებით იწყებდა: „Ecoutez, mon cher!“ „მომისმინეთ, გეთაყვა“.

ეპიკური შტურმი დარგოზე, შამილის აულზე, დაიწყო 1845 წელს იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მეფე ნიკოლოზმა შეიმუშავა იმ მიზნით, რომ ერთი შეტევით, ეფექტიანად დაესრულებინა კავკასიაში ომი. კიდევ ერთხელ შეეხიზნა რუსეთის 10 000 კაციანი არმია კავკასიის მთებს. ბევრ პეტერბურგელ თავადაზნაურს ჰქონდა სურვილი, მიეღო მონაწილეობა ბრძოლაში და მოეპოვებინათ გარკვეული ორდენები და მედლები, რომელთაც არც დაუშვიათ

საბოლოო კატასტროფა. ივნისში მოულოდნელად გაუარესდა ამინდი და ასობით მეომარი სასიკვდილოდ გაიყინა მთებში. ყველა სოფელი გადამწვარი იყო და ყოველგვარი რესურსი – განადგურებული. ერთ-ერთი სოფლის შესასვლელში რუსებმა დაინახეს შამილთან შეგზავნილი რამდენიმე მზვერავის მოკვეთილი თავი. ჩეჩნებმა დარგო დატოვეს გადამწვარი და ცარიელი. რუსულ ჯარში შიმშილი და პანიკა დაიწყო. გავრცელდა საიმედო ამბავი, რომ გენერალი კლუგე ფონ კლუგენაუ Kluege von Klugenau იყო გამოგზავნილი 3 000 ჯარისკაცით, რათა დახმარებოდა მათ. კლუგენაუმ მხოლოდ მიცვალებულთა სხეულები და ცარიელი ეტლები ნახა. ვორონცოვი სასოწარკვეთაში ჩავარდა. კამპანიის საბოლოო შედეგი ის იყო, რომ დაკარგეს სამი გენერალი, ასობით ოფიცერი და ათასობით ჯარისკაცი. ეს ყველასთვის კარიერის დასასრული იქნებოდა, მაგრამ ვორონცოვმა იცოდა, როგორ დაეწერა მოხსენება, ამ ანგარიშთან დაკავშირებით მას იმპერატორმა ნიკოლოზმა მისწერა: „წავიკითხე დიდი ინტერესით და პატივისცემას გამოვხატავ ამ დიდებული და მამაცი რაზმის მიმართ“ (!).

მომავალ 1846 წელს შამილმა ახალი სტრატეგიული სვლა გააკეთა და ყაბარდოში შეიჭრა, რომ ამით ამბოხი გადაეტანა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის ნაპირებზე. ინგლისური დაზვერვაც უკვე დიდი ხანია მუშაობდა ჩერქეზებთან და ყაბადოელებთან. ყაბარდოში ცხოვრობდა მეომარი ხალხი, ისინი ნათესაურად დაკავშირებულნი იყვნენ ჩერქეზებთან, რომლებიც 1822 წელს დანებდნენ რუსეთის კანონს, მაგრამ ახლა, შამილის ფენომენალური წარმატებიდან გამომდინარე, დაიწყო აჯანყებები. შამილმა 14 000 კაცთან ერთად ჩუმად გადაკვეთა სუნჯა და სერიოზულად დაემუქრა რუსეთის ძალებს დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიის ამბოხებულთა გაერთიანებით, რომლებიც გაჭრიდა სამხედრო გზას კავკასიის მთებში და რუსეთის კავკასიის არმიას ხაფანგში გააბამდა. შამილის არმია დღეში 70 მილს ფარავდა. მაგრამ გენერალ ფრეიტაგის Freitag სწრაფი და მამაცური მოქმედებების გამო, რომელმაც ყველა გააფრთხილა მოსალოდნელი ხიფათის შესახებ, მოხდა ძალების მობილიზება, რათა თავიდან აეცილებინათ გარდაუვალი კატასტროფა. რუსები გადარჩნენ და იმპერატორმა აღიარა, რომ მთავარი წარმატება ფრეიტაგს ეკუთვნოდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ოსებმა ლოიალობა გამოიჩინეს რუსეთის ამ კამპანიის დროს, რაც მნიშვნელოვანი იყო მათი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. ამის შემდეგ რუსეთი პრივილეგიას ოსებს ანიჭებდა, თუკი მიმდინარეობდა რაიმე ტერიტორიული დავა.

1847 წლის ივნისში გრაფმა ვორონცოვმა უხელმძღვანელა კიდევ ერთ შეტევას გერგებილზე, აულზე, რომელიც გამაგრებული იყო ინგლისელი და პოლონელი ინჟინრების მიერ. რუსებმა 2000 კაცი ამაოდ დაკარგეს. შემდგომ 1848 წლის ივნისში ვორონცოვმა გაგზავნა გენერალი არგუტენსკი-დოლგორუკოვი 10 000 კაცთან ერთად, რათა აეღოთ იგივე აული, რომელიც

მცველებმა დატოვეს 46 ზარბაზნით 23 დღიანი გაუჩერებელი დაბომბვის შემდეგ. 22 000 ჭურვი და ტყვია იყო გასროლილი. აშკარა იყო, რომ არტილერიის გარეშე კავკასიელი და რუსი მებრძოლის შედარება არ შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა, 10 წელი 1846-56 წწ-ში (ყირიმის ომამდე), შამილი ფლობდა დაღესტნისა და ჩეჩნეთის უდიდეს ნაწილს, ავარიის ჩათვლით.

ეკონომიკური განვითარება ვორონცოვის დროს

1845-დან 1854 წლამდე მეფისნაცვალ ვორონცოვის დროს (ყირიმის ომამდე) საქართველოში მოხდა ეკონომიკური და ინტელექტუალური აღორძინება. ვორონცოვმა განათლება იტონის სამეფო კოლეჯში Eton College (ინგლისი) მიიღო. მან თავისი შესაძლებლობები და ენერგია მთლიანად მოქალაქეების ადმინისტრაციულ რეფორმებს შეალია. მან ნება მისცა, შეექმნათ ქართული თეატრი, საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა, გამომცემლობა, სიმღერები, ცეკვები, იტალიური ოპერაც კი.

პირველი 700 მაყურებლიანი ოპერა (ქარავან-სარაი Caravan-Sarai) თბილისში 1851 წელს ააშენა ტამაშევმა, 24-კაციან გუნდთან ერთად, რომლებიც იტალიიდან ჩამოიყვანა. ალექსანდრე დიუმა Alexander Dumas თავის წიგნში „Le Caucase“ წერდა, რომ ეს თეატრი საუკეთესო იყო, რაც ცხოვრებაში ოდესმე უნახავს. მოგვიანებით აქ იტალიელები დასახლდნენ, ააწყვეს ბიზნესი, დაიწყეს ქართული სიმღერების შესრულება, ასევე იტალიიდან იწვევდნენ ოპერის ქალ მომღერლებს. მოდა (ქუდები, კაბები) პარიზიდან თბილისში 2 კვირაში აღწევდა, რამაც ძალზედ გააოცა ალექსანდრე დიუმა. სამწუხაროდ, 1874 წელს თეატრი დაიწვა და მის ადგილას სხვა შენობა ააშენეს. ინგლისელი მოგზაური ვაილბრეშემი Wailbrechem აღნიშნავდა, რომ 1837 წელს მან თბილისში ნახა 1831 წელს გამოცემული ვიქტორ ჰიუგოს წიგნი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, რომელიც იმ დროისთვის მისთვის უცნობი იყო.

ცნობილი ფრანგი ლინგვისტი მ. ბროსე M. Brosse თბილისს ეწვია 1848 წელს. ლინგვისტი შეგრენი Shegren საქართველოს 1835 წელს ესტუმრა, შეისწავლა ოსეთის თაგაურისა და დიაგორის Tagaur and Digor დიალექტები და შექმნა ოსური ენის გრამატიკა და ანბანი.

საქართველოს სამხედრო გზაზე აიგო პირველი გვირაბი. პირველი სარკინიგზო გზა თბილისი-ფოთი ინგლისელმა სპეციალისტებმა 1871 წელს გაიყვანეს და ამიერკავკასიის ყველა ქალაქი ერთმანეთს ტელეგრაფით დაუკავშირდა 1870 წელს. ლუიჯი ვილარი Luigi Villari წერდა, რომ ამიერკავკასიის სარკინიგზო გზის თავისებურება იყო ის, რომ აურაცხელი ადამიანი მგზავრობდა უბილეთოდ. კითხვაზე: „გაქვთ ბილეთი?“ პასუხი იყო: „არა, მაგრამ მე მაქვს რევოლვერი და უზარმაზარი დანა“. დაანგარიშებულ იქნა, რომ მგზავრების 30 პროცენტი უბილეთოდ დადიოდა, მაგრამ, სამაგიეროდ ამას სახელმწიფო იხდიდა, ამიტომ ყველა ბედნიერი იყო.

საქართველოდანაც ბევრი რამ წაიღეს. განსაკუთრებული მაღალი ხარისხის ფოლადის დამუშავების საიდუმლოს ქართველები მე-19 საუკუნამდე ფლობდნენ. ეს საიდუმლო ქართველმა მეფოლადემ ყარამან ელიაზარიშვილმა 1828 წელს რუსეთის მეფის ნიკოლოზ I ბრძანების საფუძველზე გააცნო მასთან ზლატოუსტის მეტალურგიული ქარხნიდან მივლინებულ პირებს – რუს იუჟკოვს და გერმანელ ვოლფერცს. ქართველმა მეფოლადემ მათ ასევე შეასწავლა ქართული ფოლადისაგან ე.წ. „ბულატის“ ხმლის დამზადების ტექნოლოგია. ყოველივე ამისთვის რუსეთის იმპერატორმა ის დააჯილდოვა ოქროს მედლითა და 1000 ოქროს „ჩერვონეცით“. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ, რუსეთმა უზრუნველყო, რომ ადგილობრივად ეს ცოდნა სამუდამოდ გამქრალიყო. ამგვარად, დაიკარგა კავკასიელების ფიზიკური ძალის და ხმლის განთქმული ფოლადის კომბინაცია, რომელიც მომაკვდავი იყო ყველა მტრისთვის.

1851 წელს მეფე ნიკოლოზ I-მა აკრძალა მთელ რუსეთში პოპულარული მუშტი-კრივის ბრძოლა, მაგრამ ეს საქართველოში ნებადართული იყო გუბერნატორის ვორონცოვის მიერ ქალაქის ფარგლებს გარეთ, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, რადგან (როგორც მეფის რეზოლუციაში წერია): „ეს ძალზედ სასარგებლოა, რომ განვითარდეს ქართველების განთქმული საბრძოლო უნარები“.

1914 წელს მეფე ნიკოლოზმა აკრძალა ჩაის კულტივაცია დასავლეთ საქართველოში, რადგან ვერ წამოედგინა, რომ კოლხ ქალს ასე მონურად ემუშავა. მხოლოდ კომუნისტების დროს გახდა საქართველო ჩაის ქვეყანა. უაზრო გადაწყვეტილება იყო 1841 წლის ბრძანება, რომ დასავლეთ საქართველოს გლეხებს მხოლოდ კარტოფილი დაემუშავებინათ ადგილობრივი პირობების მიუხედავად.

რუსი პოეტები და ნოველისტები აქ პოულობდნენ სტუმართმოყვარე გარემოს. როგორც რუსმა კრიტიკოსმა ბელინსკიმ დასძინა „კავკასია ჩვენ ბედმა გვარგუნა, როგორც ჩვენი პოეტური ტალანტების აკვანი, ჩვენი პოეტების სამშობლო“. დიდმა პუშკინმა, აბრამ განიბალის, პეტრე პირველის ეთიოპიელის შთამომავალმა, საქართველოში 1829 წელს იმოგზაურა. იგი ზეიმით მიიღეს თბილისში და მან დაწერა რამდენიმე ლექსი საქართველოზე. მისი ბიუსტი ახლა თბილისის ცენტრალურ მოედანზეა დადგმული. დიდმა რუსმა პოეტმა ლერმონტოვმა, შოტლანდიელი მეომრების Earls of Learmont შთამომავალმა, თავისი საუკეთესო ლექსები საქართველოში დაწერა. გორკიმ (პეშკოვი) და მაიკოვსკიმაც თავიანთი ლიტერატურული პუბლიკაციები სწორედ აქ გამოსცეს. მაიაკოვსკი თავის ბიოგრაფიაში ყოველთვის უთითებდა, რომ ეროვნებით ქართველი იყო და ქართულად საუბრობდა, როგორც მშობლიურ ენაზე. ცნობილმა დრამატურგმა გრიბოედოვმა ცოლად ქართველი ჭავჭავაძე შეირთო.

ელენა ვან ჰანიმ Helena von Hahn (გერმანელი ვან კრუსეს von Krause შთამომავალი) თავისი ბავშვობა, ბიძაშვილთან, რუსეთის მომავალ პრემიერ-მინისტრთან ვიტესთან Witte ერთად თბილისში გაატარა, სადაც მამამისი იყო მეფისნაცვლ მიხეილ ვორონცოვის იმპერიის კანცლერი. ოჯახი ცხოვრობდა დიდებულ სასახლეში, რომელიც მანამდე თავადი ჭავჭავაძის სახლი იყო. აქ მან დაიწყო ეზოთერიკული წიგნების კითხვა და დაინტერესდა ჯადოქრობით. 1849 წელს იგი მისთხოვდა ერევნის ვიცე-გუბერნატორ ნიკიფორე ბლავაცკის Blavatsky, რომელიც გაცილებით უფროსი იყო ელენაზე. ქორწინებიდან დიდი დრო არ იყო გასული, როდესაც ელენა გამოიქცა ქმრისგან და თავის ნათესავებთან დაბრუნდა. მოგვიანებით მან დაიწყო მოგზაურობა ეგვიპტეში, ინდოეთში, ტიბეტში, ამერიკაში და სხვა. 1849 წლიდან 1875 წლამდე, მსოფლიოს გარშემო სამჯერ იმოგზაურა. 1875 წელს ბლავაცკაიამ გურჯიევთან Gurjiev ერთად დააარსა თეოსოფიური საზოგადოება Theosophical Society.

ქართველი გლეხები არ მსახურობდნენ რუსეთის ჯარში, მაგრამ თავადობა ნებაყოფლობით მსახურობდა და პირველ მსოფლიო ომში 155 000 ქართველი მონაწილეობდა.

საქართველოს უნიფიკაცია დასრულდა მე-19 საუკუნეში: ქართლ-კახეთი (1801 წ.), 1810 წელს იმერეთი, გურია (1829 წ.), სამეგრელო (1857 წ.), სვანეთი (1858 წ.) და აფხაზეთი (1864 წ.). საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია და გადაკეთდა რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ბერძნების საკუთრება გახდა.

არა მარტო სამხედრო სამსახურში, არამედ რუსეთის ადმინისტრაციაში ქართველებს უმაღლესი პოზიციები ეკავათ: მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტების ხელმძღვანელები (ზანდუნოვი/ზანდუკელი, გრუზინოვ / ნამჭევაძე/, ჩუბინოვ /ჩუბინაშვილი/, სულაკაძევი, წერეთელი). დავიდოვი, რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო 1852-63 წწ-ში; სარატოვის გენერალ-გუბერნატორი ა. ფანჩულიძე, მისი ერთი ვაჟი იყო პენზას გუბერნატორი, მეორე ჩორნიგოროდის; ბარათაევები იყვნენ ყაზანის გუბერნატორები (მოკლა პუგაჩოვმა) ორენბურგსა და უფაში; ბაგრატიონი იყო ტვერის და ბალტიის გენერალ-გუბერნატორი 1870-5 წწ-ში. გენერალი იმერეთინსკი იყო სამხედრო პროკურატურის და სამხედრო სასამართლოს უფროსი 1878-90 წწ., შემდეგ ვარშავის გენერალ-გუბერნატორი 1896-1900 წწ. როდესაც 1812 წლის ომის დროს მოსკოვი იყო გადამწვარი და სპეციალური კომისია იყო შექმნილი პორტლანდ ცემენტის ქართველი გამომგონებლის ჩელიევის Cheliev ხელმძღანელობით (თუმცა ასპდინმა Aspdin დააპატენტა ის 1824 წელს). ქვის კრემლი სწორედ ჩელიევმა ააგო 1817-22 წწ-ში.

სალომე დადიანი მისთხოვდა ჩარლ-ლუის-აჩილ-ნაპოლეონ მიურატს Charle-Luis-Achil-Napoleon Murat (1847-1895 წწ.), ნაპოლეონის მარშლის შვილიშვილს. პარიზიდან მისი დაბრუნების შემდეგ, ნაპოლეონისა და მიურატის ბევრი პირადი ნივთი ახლა ინახება ზუგდიდის მუზეუმში.

როდესაც ახალი ტალღა ქართველი ინტელექტუალებისა (მაგ., ი. ჭავჭავაძე[1] (1837-1907 წწ.) და აკაკი წერეთელი (1840-1915 წწ.)) დაბრუნდნენ რუსეთის უნივერსიტეტებიდან ახალი სოციალური აქტივობის სულისკვეთებითა და დემოკრატიული იდეალიზმით, ისინი გახდნენ ლიდერები და ახალი სულიერი მამები. 1890 წელს საქართველოს ინტელექტუალებმა შემოიტანეს მარქსიზმი თავის მშობლიურ მიწაზე.

ალექსანდრე დიუმამ Alexander Dumas იმოგზაურა კავკასიაში 1858 წელს და თავის წიგნში „კავკასია“ „Le Caucase“ წერდა, რომ განსხვავება რუსებსა და ქართველებს შორის იყო ის, რომ თუ რომელიმე გლეხი რუსეთის გზაზე ნელა იმოძრავებდა, რათა ცხენისთვის გზა გაეთავისუფლებინა, შეგეძლო დაგერტყა და ის არასდროს გააპროტესტებდა ამას. კავკასიაში კი ეს სავსებით შეუძლებელი იყო, რადგან შეიძლება თავისუფლად მოეკალი ვინმეს ასეთი უხეში მოპყრობისთვის.

ის წერდა, რომ კავკასიელი ჩერქეზები ყველაზე ლამაზი ხალხია მსოფლიოში. მაგრამ ქართველები გაცილებით სიმპათიურები არიან. ის ქართველ უფლისწულს აღწერს როგორც მამაცი, სტუმართმოყვარე, კეთილშობილი და ლამაზი. „კავკასიელი ქალები მსოფლიოში ყველაზე მშვენიერები არიან და განსაკუთრებით კი კოლხი ქალები, ასევე მეგრელები, ქერათმიანები, შავი თვალებით და შავგვრემნები ლურჯი თვალებით – ყველაზე ლამაზი ქმნილებები მსოფლიოში“. ის ამბობს, რომ „ქართველი ერი არის ლამაზი, ნიჭიერი, პატიოსანი, მამაცი, დიდსულოვანი და მებრძოლი,“ „ქართველები არა მარტო ლამაზი ხალხია, არამედ ჩაცმულობაც შესანიშნავი აქვთ“. ის დარწმუნებული იყო, რომ „კავკასია კაცობრიობის აკვანი იყო“. რა თქმა უნდა, დიუმას ყველაფერი მაღალფარდოვანი სიტყვებით არ აქვს აღწერილი, მაგალითად, ის აკრიტიკებს ქართველებს, რომ ძალიან ბევრ ღვინოს სვამენ (მიუხედავად იმისა, რომ ძნელად თვრებიან) და არ არიან კარგი ბიზნესმენები (სომხებისგან განსხვავებით), რომ არიან მფლანგველები და სწორედ ამიტომ არ წყალობთ ბედი, ძირითადად უმეტესობა ეკონომიკურად გაჭირვებულია.

ალექსანდრე დიუმა თავისივე წიგნში წერს, რომ თუშებს და ხევსურებს ჰქონდათ სწორი ხმლები, ჯავშანი, ჩაფხუტი და ფარი, ასევე წითელი ჯვარი მკერდზე, როგორც ჯვაროსნებს, რომელთაც აიღეს კონსტანტინოპოლი და იერუსალიმი.

დიუმამ კავკასიური შთაბეჭდილებების მიხედვით, შექმნა თავისი საუკეთესო გმირი – დ’არტანიანი Comte d’Artagnan – გასკონიელი ძველი იბერიული ფესვებით.

გერმანელი მოგზაური მორიც ვაგნერი Moriz Wagner თავის წიგნში „Reise nach Kolchis und nach den deutschen Colonien jenseites des kaukasus“ წერდა 1843-46 წწ-ში მეფე ალექსანდრეს პოლიტიკის შესახებ, რაც იყო რომანოვების პოლიტიკის გაგრძელება ეკატერინე II-დან, რათა აემაღლებინა რუსი

[1] 1895 წელს ილია ჭავჭავაძე შეხვდა ჯუღაშვილს და მისი რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა.

მოსახლეობის შესაძლებლობები და შემოეყვანა გერმანელი კოლონისტები. *პროტესტანტებს მუდმივად იცავდა მეფე (ისევე როგორც თურქები), რადგან ისინი ორივენი რომაული კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგები იყვნენ* (კავკასიაში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ კათოლიკე მისონერებთან ერთად მოგზაური იტალიელი კაპუცინები კაზაკებმა ძალით შეკრიბეს და უკან, იტალიაში გაამგზავრეს). *გერმანიაში ფრიდრიხ I*-ის დროს რთულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პირობებმა გამოიწვია ის, რომ ხალხმა ირწმუნა აპოკალიფსის მოახლოება. გერმანელები მასობრივად მიემგზავრებოდნენ იერუსალიმში, *რომ* იქ შეხვედროდნენ მეორედ მოსვლასა და განკითხვის დღეს. გერმანიაში რუსეთიდან სპეციალური წარმომადგენლები მხარს უჭერდნენ და აქეზებდნენ ამ მოძრაობას. როგორც კი გერმანელები უკვე რუსეთის ტერიტორიზე შემოდიოდნენ, რუსეთის მთავრობა პირიქით, მოძრაობის შეჩერებას და ადგილზე დარჩენას ითხოვდა. ამის გასამართლებლად რუსებმა გერმანელების ჯგუფიც კი გაგზავნეს პალესტინაში 1843 წელს, რომლებიც დაბრუნდნენ გადაწყვეტილებით, რომ სამუდამოდ რუსეთში, უკრაინაში, საქართველოში დარჩენილიყვნენ, რადგან პალესტინაში ცხოვრება შეუძლებელი იყო.

ექვსი დასახლება (მარინფელდი, ალექსანდერფელდი, პეტერსდორფი, ელიზაბეტალი, კატერინერფელდი *Marienfeld, Alexanderfeld, Petersdorf, Elisabethtal, Katherinerfeld* და სხვა.) გაჩნდა თბილისთან ახლოს, ხოლო ორი ჯგუფი აზერბაიჯანში (ჰელენფელდი *Helenenfeld* განჯასთან). 1818 წლიდან გერმანელები კავკასიაში (საქართველოში ძირითადად შვაბები, ბავარიელები *Swabs, Bavarians* და სხვა სამხრეთელი გერმანელები) მოიაზრებოდნენ სტიმულის მიმცემად ქართველებისა და სომხებისთვის, რათა ადგილობრივებს უფრო პროდუქტიულად ემუშავათ. გერმანელები ძალზედ პრივილეგირებულნი იყვნენ რუსეთში. ისინი იხდიდნენ ნაკლებ გადასახადებს. არ იხმობდნენ რუსეთის არმიაში (არც ქართველებს, არც სომხებს), *და*, ამავე დროს, ყველა თანამდებობაზე ოფიცრები სწორედ გერმანელები იყვნენ. მათ ჰქონდათ ამიერკავკასიაში ყველაზე მდიდრული სოფლები. ისინი თბილისს ამარაგებდნენ ახალი რძითა და ყველით. გერმანელმა მოსახლეობამ პოპულარული გახადა კარტოფილის მოყვანა. ისინი მხოლოდ გერმანულ ენას სწავლობდნენ და 1870 წელს რუსეთის ხელისუფლებამ გერმანული სკოლები აიძულა, ესწავლათ რუსული ენაც.

ყირიმის ომი

ყირიმის ომამდე, ჩრდილოეთ კავკასიისგან განსხვავებით, რუსებმა ქართველ და სომეხ მილიციასთან ერთად მრავალი წარმატება მოიპოვეს თურქებთან ბრძოლაში. არ იყო გამონაკლისი 1853 წელი, როდესაც 37 000-კაციან ძლიერ არმიას, სელიმ ფაშას მეთაურობით, სრული მარცხი აგემა 10 000 რუსმა მეომარმა თავადების ბებუთოვისა და ანდრონიკაშვილის

ხელმძღვანელობით. ამავე წელს ადმირალმა ნახიმოვმა თურქეთის ფლოტს დარტყმა მიაყენა სინოპში.

1853 წელს მეფე ნიკოლოზ I-მა კითხვით მიმართა ელჩს: „რა მოხდება, თუკი ავადმყოფი კაცი ბოსფორზე (თურქეთი) დაიღუპება?“ ეს იყო გამაფრთხილებელი ნიშანი საფრანგეთისა და ინგლისისთვის რუსეთის გაძლიერების შესახებ, რასაც მოულოდნელი კატასტროფული განვითარება მოჰყვა.

ყირიმის ომის ოფიციალური მიზეზი იყო, თუ ვინ იქნებოდა იერუსალიმის ქრისტიანული სიწმინდეების დამცველი – რუსეთი თუ საფრანგეთი. ნაპოლეონ III-მ გაგზავნა დესპანი ოსმალეთის იმპერიაში, რათა საფრანგეთი გამოეცხადებინათ წმინდა მიწის პროტექტორად. პრინცი მენშიკოვი სასწრაფოდ მიავლინეს კონსტანტინოპოლში, რათა განეხილათ თურქებთან ერთად რუსეთის მიერ მართლმადიდებლების დაცვის საკითხი პალესტინაში. ფრანგი და ინგლისელი ელჩების მხარდაჭერით, სულთანმა უარი თქვა პრივილეგია მიენიჭებინა რუსეთისთვის. ნაპოლეონმა უპასუხა გემის გაგზავნით შავი ზღვის ხაზზე, რათა ეჩვენებინა საკუთარი ძალები. როდესაც რუსეთი საფრთხეს უქმნიდა მოლდოვეთსა და ვალახეთს ევროპაში, ბრიტანეთის ფლოტიც იქნა გაგზავნილი თურქეთის მხარდასაჭერად რუსეთის თავდაჯერებული გაძლიერების საპირისპიროდ. როდესაც ფლოტმა მიაღწია დარდანელის სრუტეს, ამინდი გაუარესდა და ფლოტი ვიწრო სრუტეებს დაერიდა. რუსეთმა ეს სისუსტედ ჩათვალა და 1854 წელს გენერალმა გორჩაკოვმა 80 000-კაციან არმიასთან ერთად გადაკვეთა მდინარე პრუტი და შევიდა მოლდოვასა და ვალახეთში.

თურქეთმა, დასავლეთის მხარდაჭერით, ნიკოლოზ I-ს მოსთხოვა ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსი ჯარების გამოყვანა. რუსეთი, რა თქმა უნდა, ელოდა საფრანგეთის და ინგლისის წინააღმდეგობას, მაგრამ 1855 წელს იგი ძალიან ახლოს იყო კატასტროფასთან, როდესაც ავსტრიამაც წაუყენა ულტიმატუმი, მიეღო ინგლის-საფრანგეთის მშვიდობის შეთავაზება თურქეთის ომში, ვინაიდან სულ რამდენიმე წლის წინ, ავსტრიის თხოვნით, მან გააგზავნა ჯარები უნგრეთში ამბოხების ჩასახშობად. 1848 წელს პასკევიჩმა გადაარჩინა ავსტრიის ჰაბსბურგები უნგრელების აჯანყებისგან. თუ ავსტრია შეუერთდებოდა ომს, რუსეთის დამარცხება გარდაუვალი იქნებოდა არა მარტო ყირიმში, არამედ მთელს კავკასიაში და მომავალში კი აზიაში. 1855 წლის მარტში ნიკოლოზ I დაიღუპა ნერვიული შოკისგან, რომელიც ომის გამო მიიღო და მემკვიდრედ გამოცხადდა მისი ვაჟი ალექსანდრე II (1855-1881), რომელსაც მშვიდობის დამყარება სურდა[1]. მიუხედავად ამისა, ლორდ

[1] ზუსტად მან გააუქმა ბატონყმობა 1861 წელს, მიყიდა ალასკა ამერიკას 7 მილიონ დოლარად 1867 წელს და სამაგიეროდ ამერიკელების ტექნოლოგიების დახმარებით სწრაფად დაიწყო რკინიგზების მშენებლობა, გააძლიერა ფინეთის ავტონომია 1863 წელს და ხელი შეუწყო ფინური ენის ჩამოაყლიბებას შვედური ენის საწინააღმდეგოდ, მაგრამ, ამავე დროს, დაამტკიცა ცნობილი ემსის

პალმერსტონს სწამდა, რომ სევასტოპოლი შეიძლებოდა აეღოთ და ასე ბრიტანეთი საუკეთესო პოზიციაზე იქნებოდა მოლაპარაკებების დროს. პორტის კოალიციის 400 სამხედრო გემი და დასავლეთის ძალები (საფრანგეთი, ბრიტანეთი და იტალიის სარდინიას სახელმწიფო) შევიდნენ შავ ზღვაში და დარტყმა მიაყენეს სევასტოპოლს, რითიც დაიწყო ყირიმის ომი 1854-56 წწ-ში. ფაქტობრივად ეს იყო მსოფლიო ომი.

რუსეთი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ყირიმის უკან ჩრდილოეთ კავკასიაში შამილის მიერ კონტროლირებული უზარმაზარი ტერიტორია იყო, შემდეგ უსასრულო აზია და საზღვრებზე თურქეთისა და სპარსეთის არმიები. ყირიმიდან უკან დახევა, ასევე ბიძგს მისცემდა ამიერკავკასიიდანაც გასვლას, თურქეთის მიერ ცენტრალური აზიის თურქ ხალხზე კონტროლის დამყარებას და რუსეთისგან ციმბირის ნატურალური რესურსების მოწყვეტას, რის გარეშეც რუსეთი ვერ იარსებებდა. რუსმა გენერლებმა უკვე გააფრთხილეს მეფე, რომ ამიერკავკასია და ჩრ. კავკასია შეიძლება გაკონტროლებულიყო მხოლოდ იმ პირობით, რომ ვერც ერთი ევროპული ძალა ამ სივრცეში ეფექტიანად ვერ შევიდოდა. ისინი წერდნენ, რომ მდგომარეობა უიმედო გახდებოდა, თუ ადგილობრივ მეომრებს მხარს დაუჭერდნენ ტექნიკურად განვითარებული ფრანგი და ინგლისელი ოფიცრები. მით უმეტეს, რუსეთმა ფაქტობრივად გამოიყვანა ჯარი ამიერკავკასიიდან და ყირიმში გადაიყვანა. ადგილზე მხოლოდ ქართულ-სომხური მილიცია დარჩა.

საერთოდ რუსეთის ასეთი ძალისხმევის მიზეზი კავკასიის დაპყრობის დროს ლიტერატურაში ყოველთვის საკამათო იყო, მაგრამ გულწრფელად არასდროს თქმულა. ქრისტიანი ქართველებისა და სომხების დაცვა ვერ ახსნიდა ამხელა მსხვერპლს და ძალზედ გულუბრყვილო საქციელი იქნებოდა, რომ ეს გადამწყვეტ ფაქტორად მიგვეჩნია (თუმცა გასათვლისწინებელია, რომ ხალხის უმრავლესობას იმ დროს ღმერთი სწამდა). სიმართლე კი ის იყო, რომ რუსეთი ევროპის ძალებს ებრძოდა საკუთარი თავის გადასარჩენად. რუსეთმა ყოველთვის იცოდა, თუ რა სუსტი და არაორგანიზებული იყო ევრო-

---

ბრძანება Ems Ukaz 1876 წელს, რის მიხედვითაც აიკრძალა უკრაინული ენა, ასევე ჩაახშო პოლონეთის აჯანყება და პოლონეთის დაყოფის დაკანონების სანაცვლოდ აღიარა გერმანიის პრუსიის გარშემო გაერთიანება შემდგომ საუკუნეში სავალალო შედეგებით. საბოლოო ჯამში, მას ისევ მოუწია ომი თურქეთის წინააღმდეგ 1877-78 წწ., როდესაც გათავისუფლდა ბულგარეთი, მაგრამ ამ შემთხვევაში დასავლეთის პარტნიორები მას ენდობოდნენ და სოლიდარულები თუ არა ოფიციალურად ნეიტრალურები იყვნენ. სამაგიეროდ, რუსეთის ჯარი გაჩერდა სტამბოლიდან რამდენიმე კილომეტრში და ვერ გაბედა დედაქალაქის აღება დასავლელი პარტნიორების ნებართვის გარეშე.

საქართველოში ვიზიტის დროს მეფე ალექსანდრე ეწვია ქუთაისში რუსეთ-თურქეთის ომის გმირს, თავად მიქელაძეს, რათა გამოეხატა თავისი პატივისცემა მისადმი. მას ორივე ხელი ამპუტირებული ჰქონდა და სადილის დროს, ლეგენდის მიხედვით, რუსეთის იმპერატორი პირადად მოემსახურა მას.

პელ ძალებთან შედარებით. მუდმივად იყო იმის შეგრძნება, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ევროპა ჯობნიდა და გაცილებით მდიდარი იყო (ინდოეთში ინგლისელ ჯარისკაცებს უხდიდნენ იმდენს, რასაც რუსები თავიანთ კაპიტანს უხდიდა), ამიტომ რუსეთი ყოველთვის ეძებდა პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას არა განათლების, ტექნიკური განვითრების, კულტურული მიღწევების გზით, არამედ გეოგრაფიული გაფართოების გზით მონღოლური ტრადიციების შესაბამისად. ეს მიიჩნეოდა ყველაზე იოლ გზად სტაბილურობისთვის. ქვეყანა არასდროს იყო ბოლომდე დასახლებული, მაგრამ იბრძოდნენ ტერიტორიული გაფართოებისთვის და მხოლოდ ეს აძლევდათ მათ ხმის უფლებას საერთაშორისო პოლიტიკასა და დიპლომატიაში. არანაირი მათი მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიკურ ან ტექნოლოგიური გამოფენაზე არავის შეუმჩნევია. ხოლო ავტომანქანების, კომპიუტერების, ტელეფონების ან სხვა ელექტრონიკის რომელიმე გამოფენაზე მონაწილეობა ყველაზე მოკლე ანეკდოტია.

ახალგაზრდა და მოაზროვნე ოფიცრების ენერგია პირდაპირ მიემართებოდა ჯარში. რუსეთმა იცოდა, რომ არავინ მისცემდა უფლებას, დასავლეთით გაფართოებაზე. შესაბამისად, უკვე პეტრე დიდის დროიდან სამხრეთ-აღმოსავლეთი არჩეული იყო, როგორც მიმართულება გასაფართოებლად. რუსეთმა ყოველთვის იცოდა, რომ მიუხედავად ათასობით მსხვერპლისა, მათი კავკასიისა და აზიის კონტროლის შესაძლებლობა მაინც ინგლისის და ფრანგების სურვილზე იყო დამოკიდებული. სპარსეთი და თურქეთი ადვილად შეიძლებოდა გაერთიანებულიყო საფრანგეთისა და ინგლისის გავლენით, რაც სასიკვდილო დარტყმა იქნებოდა არა მარტო კავკასიისთვის, არამედ სამხრეთ რუსეთისთვისაც. კონსტანტინოპოლის აღებით რუსეთი ძალზე ძლიერდებოდა, რითიც შესაძლებელი იქნებოდა ევროპის პოლიტიკური რუკის შეცვლა. ეს შეუძლებელი იყო ყოვლისშემძლე სტალინის დროსაც კი ორი პატარა ქრისტიანი ერის – ქართველების და, რა თქმა უნდა, სომხების სამწუხაროდ. რუსეთს შეეძლო დაეპყრო ის, რის უფლებასაც მისცემდნენ, რათა არ გაძლერებულიყო მისი მტერი. იქმნებოდა ბალანსი. ყირიმის გადარჩენით რუსეთი ინარჩუნებდა კავკასიას. ხოლო შეუძლებელი იყო კავკასიის კონტროლი კასპიის ზღვის კონტროლის გარეშე, ეს კი მოითხოვდა აღმოსავლეთ ნაპირების კონტროლს, ცენტრალური აზიის ჩათვლით, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ არ იქნებოდა მუქარა ბრიტანეთის ინდოეთში ინტერესებისათვის.

1854 წელს დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე თურქეთისთვის ორი მიმართულებიდან შეტევის შესაძლებლობა იყო: აჭარა-გურია და აფხაზეთი. კავკასიის გუბერნატორმა ვორონცოვმა მოახსენა პეტერბურგს, რომ ევროპელების საზღვაო დესანტის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა წესრიგის შენარჩუნება და რუსეთის ადმინისტრაციამ საევაკუაციო მომზადება დაიწყო.

თურქმა ომარ ფაშამ Omar Pasha (სხვადასხვა წყაროებით იგი იყო ავსტრიელი, სერბი, ხორვატიელი, პოლონელი და ქართველიც კი) შეტევა განახორციელა ბათუმიდან გურიის გავლით ქუთაისისკენ 100 000-იან ანატოლიის არმიასთან ერთად ინგლისის ხელმძღვანელობით. ინგლისელებმა ძალზე მკაცრად ბრძანეს, გამორიცხულიყო ქრისტიანი მოსახლეობის შევიწროება. მართლაც, მთელი კამპანიის დროს თურქები ზედმიწევნით კორექტულები იყვნენ და გურიის ბაზრები გაივსო იაფიანი ინგლისური საქონლით. უცნობი მიზეზის გამო საფრანგეთისა და ბრიტანეთის ძალები არ გადმოსხეს ბათუმის მიწაზე, რაც უდავოდ გამოიწვევდა რუსეთის არმიის უკან, ჩრდილოეთის მთებში გადასვლას. თავადი ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) წერდა, რომ, თუ თურქეთის ჯარი მარტოა, ქართველებს მათი დამარცხება შეეძლოთ, მაგრამ, თუ მათ ინგლისელი ან ფრანგი ძალები თან ახლავდათ, დაცვა ჩაიშლებოდა, და მან ბრძანა გურიიდან გასვლა და მოსახლეობის ევაკუაცია.

მალე დადგინდა, რომ მხოლოდ თურქები შემოვიდნენ და დაიწყო კონტრშეტევა. მხოლოდ ქართული მილიცია იცავდა დასავლეთ საქართველოს და მათი მამაცი ქმედებები უკვირდათ რუს გენერლებს, რომლებიც არ ელოდნენ ასეთ აქტიურ მხარდაჭერას ქართველი მოსახლეობისაგან, რადგან მათ ჯერ კიდევ ახსოვდათ სამეფო დინასტიის გაუქმება, რამდენიმე აჯანყებისშემდგომი რეპრესიები და არაეფექტიანი ეკონომიკური ადმინისტრაცია.

ანდრონიკაშვილი ქუთაისიდან დაიძრა ოზურგეთისკენ და თურქები ბრძოლის გარეშე გავიდნენ. 1854 წლის ივნისში თავადმა ანდრონიკოვმა მოიპოვა მტერზე გამარჯვება მდინარე ჩოლოქზე. ქართველი ოფიცრები მიწვეულნი იყვნენ პეტერბურგში, მეფემ ისინი პირადად დააჯილდოვა ორდენებითა და მედლებით. მომდევნო თვეში თავადმა ბებუთოვმა (ბებუთაშვილი) 18 000-კაცთან ერთად 3-ჯერ უკუაგდო თურქეთის არმია მუსტაფა ფაშას Mustafa Pasha მეთაურობით, ფრანგ მრჩეველ გენერალ გიუონთან და ინგლისელ პოლკოვნიკ მეფეოსთან ერთად General Giuon and colonel Mefeo. 3000 თურქი მოკლული იყო ბრძოლის ველზე, ტყვედ ჩავარდა 2000 კაცი და დატოვეს 15 ზარბაზანი. მეფემ დაწერა მოხსენება: „ბებუთოვმა ამ გამარჯვებით გამაოგნა და მე მას გავაოგნებ ჩემი საჩუქრით“.

თურქეთის არმიის მეორე ნაწილი აფხაზეთში სოხუმ კალეში გადავიდა. ამ შენაერთს ხელმძღვანელობდა ჩერქეზი დიასპორის უფროსი თურქეთში. საღვთო ომი გამოცხადდა რუსების წინააღმდეგ. ძირითადი სამხედროები უბიხი ტომები იყვნენ. თურქებმა შესთავაზეს აფხაზ მთავარს შერვაშიძეს და სამეგრელოს დედოფალს დადიანს პროტექტორატი, მნიშვნელოვანი ჯილდოსა და ფორმალური დამოუკიდებლობის სანაცვლოდ რუსების მიერ აფხაზეთის მთავრისადმი გენერალ-ადიუტანტის წოდების მინიჭებისა და შესაბამისი ჯამაგირისა, ამას ხელი მაინც არ შეუშლია რუსებისთვის ღალატისთვის ომარ ფაშას გამოჩენისთანავე. ოქტომბერში თურქეთის არმიამ აფხაზეთიდან სამეგრელოში გადაინაცვლა, მაგრამ დადიანის პარტიზანებმა, იმერლებმა და გურულმა მილიციამ წინააღმდეგობა გაუწია და დაახევინა უკან.

გაუთვალისწინებელი მოვლენები ხდებოდა ყველა მხრიდან. თურქთა ჯარებს არავინ ეხმარებოდა კავკასიაში, რადგან არავის მოსწონდა მათი დესპოტიზმი. ირანი უმოქმედო იყო. ჩერქეზებმა უარი თქვეს ებრძოლათ მათი ტერიტორიის გარეთ. აფხაზეთის მიერ თურქების მხარდაჭერა იზოლირებული შემთხვევა იყო. სინამდვილეში სიტუაციაზე ქარიშხალის წინ სიმშვიდეს ჰგავდა. მთიელები ყურადღებით აკვირდებოდნენ სიტუაციის განვითარებას. ხვდებოდნენ, რომ თურქეთი მარტო ვერ გაუმკლავდებოდა რუსეთს და ყველა ელოდა სულ მცირე ნიშანს მხარდაჭერისა ევროპული ალიანსისგან, მაგრამ ისინი არ იყვნენ დაინტერესებულნი ერთი მხარის სრული გამარჯვებით და ელოდებოდნენ რუსეთთან მოლაპარაკებებს, რათა ეიძულებინათ ევროპული ტერიტორიების დათმობა (პოლონეთი, ბალტიისპირეთი, ბალკანეთი და სხვა).

მომდევნო, 1855 წელს სევასტოპოლი დაეცა, მაგრამ კავკასიაში სამხედრო ოპერაციები კვლავ წარმატებით მიმდინარეობდა. 1855 წელს თურქეთის ყარსს თავს დაესხა რუსეთი გენერალ მურავიოვის მეთაურობით. მეჰმედ ვასიფ ფაშა გურჩუ Mehmet Vasıf Pasa Gürcü იყო ოსმალების ფელდმარშალი და ანატოლიის ჯარის მთავარსარდალი, რომელსაც ეხმარებოდა ბრიტანელი გენერალი უილიამ უილიამსი William Williams. ნიკოლაი მურავიოვის მემუარების მიხედვით, ვასიფი იყო საქართველოს პროვინცია გურიიდან, დაბადებული იყო ჩოხლათში Chokhlati და მისი ნამდვილი გვარი გუჯაბიძე Gudjabidze გახლდათ. 16 000 ყარსის მცველი ჩაბარდა რუსებს. გენერალი უილიამსი და სხვა უცხოელი ოფიცრები გაათავისუფლეს. თურქი ოფიცრებიც კი ხმლებით დარჩნენ. ისინი ევაკუირებულნი იყვნენ ტრაპიზონში. იმავე 1855 წელს მოხუცმა ვორონცოვმა ავადმყოფობის გამო დატოვა კავკასია.

ყირიმის ომის კატასტროფის მიუხედავად, კავკასიაში მიღწეული წარმატების და ევროპაში დათმობის ხარჯზე, რუსეთმა მიაღწია მშვიდობას. მეფე ალექსანდრე II-მ დაიწყო რეფორმების გატარება. მან გააუქმა ბატონყმობა 1858-9 წწ-ში, მაგრამ რუსმა ტერორისტებმა მოაწყვეს მასზე 8 შეტევა და მოკლეს იგი 1881 წელს, რამაც გამოიწვია რეაქცია. ქვეყანას ტერორიზმის ტალღამ გადაუარა.

1866 წელს დიმიტრი კარაკოზოვმა, სტუდენტმა, ცეცხლი გახსნა, როდესაც მეფე სეირნობდა საზაფხულო ბაღში პეტერბურგში. 1867 წელს პარიზში მას თავს დაესხა პოლონელი სტუდენტი ბერეზოვსკი, რომელმაც რამდენჯერმე ესროლა, მაგრამ ააცდინა. ნაპოლეონ III-მ, რომელიც ამ დროს მასთან ერთად ეტლში იჯდა, მეფეს სპეციალური კონსტრუქციის ეტლი აჩუქა, რამაც შემდეგ მეფე თითქმის გადაარჩინა. 1879 წელს მეფე ალექსანდრე, როდესაც სეირნობდა მოედანზე შეხვდა ალექსანდრე სოლოვიევს, ისიც სტუდენტი იყო და მეფეს ხუთჯერ ესროლა. იმპერატორმა თავი დააღწია ზიგზაგისებური გადარბენებით. იმავე წელს ნაროდნაია ვოლიამ მოაწყო აფეთქება ლივადიიდან მოსკოვამდე მომავალი რკინიგზის ლიანდაგზე, მაგრამ მათ ააცდინეს იმპერატორის მატარებელს. 1880 წელს სტეფან ხალტურინმა, რომელიც ასევე

ნაროდნაია ვოლიას წევრი იყო, ასაფეთქებელი დააყენა ზამთრის სასახლის სასადილო ოთახში. მაგრამ, რადგან იმპერატორმა დაიგვიანა, გადარჩა; თუმცა 11 სხვა ადამიანი იქნა მოკლული, ხოლო 30 დაჭრილი. დაბოლოს, 1881 წელს ნაროდნაია ვოლიას წევრმა, ნიკოლაი რუსაკოვმა, ბომბი ესროლა ალექსანდრეს ეტლს პეტერბურგის ქუჩებში. აფეთქების დროს დაიღუპა ერთ-ერთი კაზაკი და სხვები სერიოზულად დაშავდნენ. მეფე არ დაშავებულა, რადგან ეტლი დაცული და ტყვიაგაუმტარი იყო, რომელიც საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-სგან მიიღო საჩუქრად. რუსაკოვი მაშინვე შეიპყრეს. მცველები აიძულებდნენ იმპერატორს, რომ დაეტოვებინა ადგილი, მაგრამ ის მაინც მიბრუნდა დაჭრილებისთვის ნუგეშის სიტყვების სათქმელად. იმპერატორი ღმერთს მადლობას სწირავდა მისი და დაჭრილების გადარჩენისთვის. მეორე ტერორისტმა, იგნატი გრინევიცკიმ, რომელსაც ხელში ეკავა ასაფეთქებელი, იმპერატორს დაუძახა: „ძალზედ ადრეა, რომ მადლობა შესწირო ღმერთს“. მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ ბრბოში კიდევ იდგა ივანე ემელიანოვი, მესამე ბომბით ხელში, რომელიც მზად იყო ესროლა, თუკი წინა ორი არ გაამართლებდა.

ამ ტერორისტული შეტაკებებისა და პოლონეთის აჯანყების შემდგომ, რომელიც პარადოქსულად დაიწყო იმიტომ, რომ პოლონელი გლეხები გათავისუფლდნენ ბატონყმობისგან, მაგრამ პოლონელმა მიწათმფლობელებმა მიმართეს აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ, ალექსანდრე III-მ (1881-1894) შეწყვიტა რეფორმები და დაამკვიდრა დესპოტიზმი (თუმცა იყო გამონაკლისი მეფე, რომელსაც არავითარი საგარეო ომი არ უწარმოებია).

შამილის მძევლები

ასე რომ, 1854 წელს, ყირიმის ომის დროს, შამილი ძალაუფლების მწვერვალზე იყო. ინგლისი, საფრანგეთი და თურქეთი ერთად იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. სპარსეთი უნდა შეერთებოდა კოალიციას, როდესაც გაურკვეველი მიზეზების გამო ნეიტრალურ პოზიციაზე დარჩა. გასაოცარია, მაგრამ შამილმა დაუწყო დავა ომარ ფაშას, თურქეთის კავკასიის არმიის მეთაურს, და შამილმა დადო აღთქმა, რომ თურქეთთან აღარ დაიჭერდა კავშირს, ამით კი დაკარგა შესაძლებლობა, მიეღო ოფიციალური მხარდაჭერა და ლეგიტიმაცია დასავლეთის ძალებისგან. ამასთან ზუსტად ამ დროს მან დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა, რის გამოც მთელი ცივილიზებული დასავლური სამყარო მასგან მიტრიალდა. 1854 წლის ივლისში, როდესაც თურქები გადმოვიდნენ აჭარასა და აფხაზეთში, მან თავისი თამაში წამოიწყო და შეიჭრა კახეთში. დამპყრობლები მალე იყვნენ უკუგდებული თავად დავით ჭავჭავაძემ რაზმის მიერ, მაგრამ შამილის ვაჟის გაზი მოჰამედის ხელმძღვანელობით მცირე ნაწილმა შეაღწია წინანდალში, ჭავჭავაძის

რეზიდენციაში, და მძევლად აიყვანეს მისი მეუღლე ანა 5 შვილთან ერთად და მისი და, გენერლ ილია ორბელიანის ქვრივი ბარბარუ, ერთადერთ 7 თვის ვაჟთან და რამდენიმე მსახურთან ერთად, რომლებიც ვედენოში გახიზნეს. თავად-ასულების უბედურებას თანაგრძნობა გამოუცხადა არა მარტო რუსეთმა, არამედ მთელმა ცივილიზებულმა დასავლურმა სამყარომ. ევროპული პრესა რეგულარულად აქვეყნებდა სიახლეებს ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით. გენერალმა უილიამსმაც კი, თურქეთის არმიაში ინგლისელმა წარმომადგენელმა, შამილს მისწერა ყარსიდან და მკაცრად აფრთხილებდა ქალებისა და ბავშვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ქართველი მწერლების მიხედვით, ამ ამბავს სხვაგვარი ახსნაც ჰქონდა. ეს ქალები ერეკლე II-ს შთამომავლები იყვნენ, გიორგი XII-ის მამის, რომელიც საქართველოს უკანასკნელი მეფე იყო. გიორგის ძმა და ერეკლეს მეორე ვაჟი, ალექსანდრე, გადავიდა ისლამზე, და განახორციელა რამდენიმე შემოსევა დაღესტნისა და სპარსეთის არმიის მეშვეობით, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა, იმ მიზნით, რომ კიდევ ერთხელ მოეპოვებინა სამეფო გვირგვინი რუსებისგან. ასე რომ, საქართველო 1854 წელს ახალი რეალური საფრთხის წინაშე იყო სამი მხრიდან: ჩრდილოეთიდან დაღესტანი, სამხრეთიდან სპარსეთი ალექსანდრეს ხელმძღვანელობით და თურქეთი ომარ ფაშას მეთაურობით. ქრისტიანი ქართველების მძიმე ბედი ოკუპაციის შემთხვევაში შამილისთვის ნათელი იყო. რამდენიმე ვერსიის მიხედვით, ამ სიტუაციაში შამილმა გადაწყვიტა, დაეცვა ერეკლეს შთამომავლები და ისინი ძალითაც კი წაიყვანა მთებში. არსებობს ცნობები, რაც მიუთითებს, რომ შამილი ქართველ მეფეს დაჰპირდა მისი მემკვიდრეების დაცვას, რადგან იგი თვითონ შეიძლებოდა ყოფილიყო ერეკლე მეორეს არაკანონიერი ვაჟი.

მაგრამ დანამდვილებით ეს არავინ იცის. ის კი ნამდვილად ვიცით, რომ მძევლებს პატივით ეპყრობოდნენ და ისინი შამილის სახლში (ქალების ნახევარში) ცხოვრობდნენ ვედენში. 8 თვიანი საშინელი გაურკვევლობის შემდეგ, იმპერატორი დათანხმდა შამილის ვაჟი ჯამალ-ედდინი Djamal-Eddine დაებრუნებინა, რომელიც რამდენიმე წლის წინ მძევლად აიყვანა და პეტერბურგში თავის კარზე რუს ოფიცრად ზრდიდა. 1855 წლის მარტში მდინარე მიჩიკის ნაპირზე განხორციელდა გაცვლა. შამილის ვაჟს, ახლა ულანის ლეიტენანტს, თან ახლდა თვით დავით ჭავჭავაძე. იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ რაიმე სახის პროვოკაცია ან გაუგებრობა, შამილმა და რუსმა გენერალმა ბარონმა general Baron გადაწყვიტეს წარმოედგინათ საკუთარი თავები და ხილულად მდგარიყვნენ მტრის წინაშე. შამილის ვაჟი იძულებული იყო თავისი ლეიტენანტის უნიფორმა დაეტოვებინა ნაპირზე და ჩერქესკა ჩაეცვა, შემდეგ გადაკვეთა მდინარე და ოთხით ავიდა იმ მთაზე, სადაც შამილი იჯდა, მიურიდებით გარშემორტყმული, ლურჯი ბამბის ქოლგის ქვეშ. მას ლამაზად ეცვა (როგორც ალბათ თვითონ თვლიდა), უზარმაზარი ჩალმით და ყვითელი ფეხსაცმელებით. როდესაც მისი ვაჟი გამოჩნდა, მან

გულში ჩაიკრა და ქვითინებდა. ორივე მხარეს ნაბრძანები ჰქონდა წარმატების ნიშნად ჰაერში არ ესროლათ, რადგან შეიძლებოდა იქ მყოფ ბავშვებსა და ქალებს შეშინებოდათ.

შამილის ვაჟის ბედი მართლაც სამწუხარო იყო. მიუხედავად შარიათის მკაცრი კანონისა, ნებადართული იყო, რომ ჰქონოდა რამდენიმე რუსული წიგნი, მაგრამ ახლა იგი მამამისისთვის უცხო ადამიანი გახლდათ და ასევე მისთვის უცხო იყო მთაში მცხოვრები ხალხი. რუსეთში ყოფნისას ჯამალ-ედდინს შეუყვარდა ელიზავეტა ოლენინა, რუსეთის იმპერიის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის ქალიშვილი. ის მთაში არასდროს დაქორწინებულა და ჰქონდა საიდუმლო კავშირი ელიზავეტას ძმასთან, რომელიც კავკასიის არმიაში მსახურებდა. იგი დაუძლურდა და 3 წელში გარდაიცვალა „მელანქოლიით“, 27 წლის ასაკში. 1858 წელს შამილის წარმომადგენელი მთიდან მივიდა ხასავიურთში რუსი ექიმის სათხოვნელად, მაგრამ უკვე ძალზედ გვიანი იყო. ასეთი თხოვნა უჩვეულო შემთხვევა არ იყო, რადგან ნარკოზის გამოგონების შემდეგ მთიელები ეძახდნენ რუს ექიმებს, რომ ფულზე გაეკეთებინათ მათთვის ამპუტაცია. ხან კი პირიქით ხდებოდა. ადგილობრივი მკურნალების მიერ ჭრილობების კარგად განკურნება იმდენად ცნობილი იყო, რომ რუსი ოფიცრები ხშირად პატიჟებდნენ მათ იმ ჭრილობების სამკურნალოდ, როდესაც რუსი ქირურგები უძლურნი იყვნენ.

ყველაზე ცნობილი ეპიტაფია ამ თემასთან დაკავშირებით, ეკუთვნის ალექსანდრე დიუმას, რომელიც კავკასიას 5 თვეში ეწვია: „შამილმა მისი ვაჟი იპოვნა მხოლოდ იმისთვის, რომ მეორეჯერ კვლავ დაეკარგა“. დამთხვევით მოხდა ისიც, რომ რუსეთის მეფე ნიკოლოზი, ავტოკრატი, „ევროპის ჟანდარმი“, ყირიმის ომისგან დაუძლურებული, ძალიან ნერვიულობდა ამ ისტორიის გამო და ამის შედეგად გარდაიცვალა პნევმონიით ზუსტად გაცვლის დროს. ევროპული პრესის დაინტერესება ამ უჩვეულო ისტორიით ძალზე დიდი იყო. ბევრი პოლონელი ოფიცერი და დეზერტირი მსახურობდა მთიელებთან ერთად და უგზავნიდნენ ცნობებს ევროპის რედაქციებს ბარბაროს რუსებთან ბრძოლის შესახებ. განსაკუთრებით ყირიმის ომის შემდეგ, ინტერესი ჩეჩნეთის დიდი იმამისადმი სულ უფრო მატულობდა. 1854 წელს პარიზის თეატრში პიესა „შამილი“, დავითის ბრძოლა გოლიათის წინააღმდეგ, დიდი ანშლაგით მიდიოდა.

საბოლოოდ არანაირი პოლიტიკური შედეგი კავკასიისთვის არ დამდგარა. 1856 წლის პარიზის შეთანხმებაში არც ერთი პუნქტი არ შეიცავდა რაიმე შემსუბუქებას კავკასიის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. პირიქით, კავკასია დე ფაქტო რუსეთის მფლობელობაში ითვლებოდა. სამხრეთ საზღვრებზედაც მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. პარიზის კონფერენციის მიხედვით, ტერიტორიები, რომლებიც დაიპყრო ქართულმა და სომხურმა მილიციამ – ყარსი და ბაიაზიდი, მთა არარატთან ერთად, გაცვალეს სევასტოპოლისა და ევროპის სხვა რეგიონებზე.

შამილის დასასრული

ყირიმის ომის შემდეგ რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გადაწყვიტა, არ დაეკარგა დრო და მალე მოეგვარებინა კავკასიის პრობლემა ტრადიციული რუსული მეთოდით – თითქმის ყველა ევროპული წარმოშობის გენერალი ჩანაცვლებული იყო რუსი ოფიცრით. ამას უმძიმესი შედეგები მოჰყვა კავკასიისთვის, რადგან ომი გადაიქცა სრულ ხოცვა-ჟლეტად ყოველგვარი შეწყალებისა და ცივილიზაციის ნიშნის გარეშე. ამას დაემატა ის გარემოება, რომ რუსეთის არმია ამ წელს შეიარაღებული იყო ახალი შაშხანებით, რაც საშუალებას აძლევდა მთებში ბრძოლის დროს უფრო ეფექტიანად გაეხსნათ ცეცხლი ქვევიდან ზევით დამიზნებით.

კავკასიის ახალი გენერალ-გუბერნატორი და მეფისნაცვალი ბარიატინსკი Baryatinsky დაინიშნა 1856 წელს. ის იყო „კავკასიელი“, დაიწყო ყველაზე დაბალი რანგიდან და მიაღწია უმაღლესს. მისი თანამებრძოლები იყვნენ დიმიტრი მილუტინი, მოგვიანებით რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი, და გენერალი ევდოკიმოვი. 1856-57 წლებში ბარიატინსკიმ გააძლიერა შეტევა ჩრდილოეთ კავკასიაში. ხეების დიდი მასივი გაჩეხილი და ტყეები გაჩანაგებული იყო, სოფლები გადამწვარი, მასობრივად ამოჟლიტეს მცხოვრებლები ზოგი იარაღით, ზოგი კი შიმშილით და საბოლოოდ კი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიები ნაბიჯ-ნაბიჯ იქნა ოკუპირებული. დაიწყო სომხების გადაბირება, რამაც ჩაკლა ვაჭრობა ჩრდილოეთ კავკასიაში. ამას დაემატა მარილის და დენთის მიწოდების ბლოკადა. ჩეჩნეთიდან მიურიდები განდევნეს. შატოე, დარგო-ვედენო (სადაც თავადის ასულები ტყვეობაში იყვნენ) და აჩხოი 1858 წელს აღებულ იქნა და შამილმა დაღესტანში დაიხია. 1859 წელმა რუსეთს მოულოდნელი წარმატება მოუტანა. რუსეთის 40 000 კაციანმა ჯარმა მიაღწია შამილის თავშესაფრამდე გუნიბში.

გენერალმა ვრაგლერმა, თავადმა ბარიათინსკიმ და გენერალმა მელიქოვმა General Wragler, Prince Baryatinsky, General Melikov დაიწყეს ალყის შემორტყმა. მიუხედავად იმისა, რომ ციხესიმაგრე გამაგრებული იყო ინგლისელი და პოლონელი ინჟინრების მიერ, დიდხანს მაინც ვერ დაიცავდნენ მას. ასობით მიურიდი ებრძოდა რუსებს და გმირულად იბრძოდნენ სიკვდილამდე. ეს იყო უმოწყალო ხოცვა-ჟლეტვა. და ბოლოს, ეთნიკურად ქართველი პოლკოვნიკი ლაზარევი Lazarev (ლაზარიშვილი), რომელიც პირადად იცნობდა შამილს, ავიდა მის ადგილსამყოფელში, შეხვდა მას და ურჩია დანებებულიყო. დანებებული შამილის დანახვაზე რუსმა ჯარისკაცებმა სიხარულის ზარი შემოკრეს. 1859 წლის 28 აგვისტოს შამილი მიიყვანეს მარშალ ბარიატინსკთან და მილუტინთან. შამილმა გადასცა ბარიათინსკის ხმალი, რომელიც ქართველმა ოსტატმა გიორგი ზარაშვილმა დაუმზადა და რომელიც რუსეთის მუზეუმიდან რევოლუციის დროს გაუჩინარდა. შამილი თბილისში ჩამოიყვანეს, სადაც მას შეეძლო ქუჩაში ესეირნა დაცვის გარეშე. მოგვიანებით ის ხარკოვში გააგზავნეს

იმპერატორთან. იმპერატორმა ყველა ეტიკეტი დაარღვია და ათასობით რუსი ჯარისკაცის მკვლელს მიმართა: „მოხარული ვარ აქ რომ გხედავთ, რუსეთში, სამწუხაროა, უფრო ადრე რომ არ ჩამოხვედით. არ ინანებთ. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ვიმეგობ-რებთ“. იმავე დღეს ხარკოვში მოეწყო აღლუმი და საღამოს სამეფო მეჯლისი. ფრანგი ელჩი მარკუს მონტებელო Marquis Montebello მოწმე იყო, რომ შამილმა ირგვლივ ქალები შემოიკრიბა: „მოხარული ვარ, რომ პირადად გხედავთ, თავი სამოთხეში მგონია, რადგან სწორედ ეს არის, რასაც ჩვენი წინასწარმეტყველები გვპირდებოდნენ სიკვდილის შემდეგ“.

არა მარტო შამილი, არამედ მისი ნაიბების უმრავლესობა, რომლებიც ცოტა ხნის წინ ხელს არ აკარებდნენ გიაურებს, დანებდნენ და მიიღეს რუსული მმართველობა, ტიტულები, საჩუქრები, ფული და განაგრძეს თავის ადგილას მმართველობა.

თვეების განმავლობაში რუსეთის ტერიტორიაზე მოგზაურობის შემდეგ, შამილი შოკირებული იყო, რომ იმპერატორი, ამდენი უზარმაზარი ტერიტორიის მფლობელი, ათასობით ადამიანს მსხვერპლად წირავდა ისეთი პატარა ტერიტორიის დასაპყრობად, როგორიცაა დაღესტანი. მოსკოვში ის შეხვდა ძველ „დემონს“ ერმოლოვს და შამილმა უთხრა, რომ იგი „ცუდი“ კაცი იყო. შამილი ცხოვრობდა სამსართულიან სახლში კალუგაში და მოგვიანებით კი კიევში. მან მიიღო დიდი პენსია მეფისგან და მის შვილებსაც საკმაოდ მაღალი ხელფასი ჰქონდათ. შამილის მეზობელი იყო ბარიატინსკი, რომელმაც დაატუსაღა იგი და რომელიც გაცილებით პატარა სახლში ცხოვრობდა. მათ ბევრი საღამო გაატარეს ერთად ჩაის სმაში. ერმოლოვსაც კი უფრო მცირე ზომის სახლი ჰქონდა ორიოლში. როგორც ყოველთვის, მადამ ჩიჩიგოვა შამილის საუკეთესო კომპანიონი იყო კალუგაში. თუ რისთვის დააჯილდოვეს იგი ამგვარად, დღემდე უცნობია. მისი პირადი ინფორმაცია ასევე დღემდე საიდუმლოდ ინახება ინგლისური დაზვერვის მიერ. 1870 წელს შამილი გარდაიცვალა მექაში მგზავრობის დროს.

შამილს 8 ცოლი ჰყავდა, ისლამის შესაბამისად, რომელთაც სამართლიანად ექცეოდა და თითოეულს ერთ კვირას უთმობდა. ყველაზე მეტად კი სომეხი ქალი ხიბლავდა, რომელიც მოზდოკის რეიდის დროს ტყვედ აიყვანა. ის ქრისტიანობიდან ისლამზე გადავიდა და მართლაც ძალიან უყვარდა შამილი. როდესაც მისმა ძმამ, მდიდარმა ვაჭარმა, 10 000 რუბლი შესთავაზა გამოსასყიდად, შამილმა უპასუხა, მილიონიც რომ მიეცათ, არ დათანხმდებოდა.

ჩრდილოეთ კავკასიის განადგურება

სამწუხაროდ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისთვის, 1855 წელს, სევასტოპოლის დაცემის შემდეგ, პაექრობა გაჩაღდა საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის სუეცის არხის მშენებლობასთან დაკავშირებით და კავკასიის საკითხმა უკანა პლანზე გადაინაცვლა. პარიზის სამშვიდობო შეთანხმების ბრიტანეთის მისიის ხელმძღვანელი ლორდ კლარენდონი lord Clarendon უკმაყოფილო წერილებს წერდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ პალმერსტონს Palmerston, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ნაპოლეონ III-ის ფრანგი წარმომადგენლები არაფერს აკეთებდნენ გარდა რუსეთისა და ბრიტანეთის დელეგაციებს შორის ვაჭრობისა, განსაკუთრებით ჩერქეზების და შავი ზღვის „ნეიტრალიზაციის“ საკითხებში. კლარენდონი აცხადებდა, რომ ერჩივნა მარჯვენა მოეჭრათ მისთვის, ვიდრე ასეთ შეთანხმებაზე მოეწერა ხელი. ბრიტანეთის პარლამენტში მთავრობას მკაცრად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მან „მოისროლა ჩერქეზი ხალხი, როგორც გაწურული ლიმონი“. მაგრამ მთავრობა ხისტად პასუხობდა: „შეუძლებელია მუსლიმზე მეტი მუსლიმი იყო“. თავის პირად წერილებში პალმერსტონი სინანულს გამოთქვამდა, რომ ჩერქეზთა მხარდაჭერა ნაადრევად იქნა დასრულებული.

ინგლისის მიერ ჩერქეზების ღალატი შეიძლება აიხსნას 1861 წლის ხორბლის მოსავლის ნაკლებობით ევროპაში. რუსი ისტორიკოსები სარკასტულად აღნიშნავდნენ, იმ დროის გაზეთები წერდნენ, რომ კავკასია გაიცვალა კრუასანებზე ინგლისის საფუნთუშოებში. შოვინისტი რუსი ტელეპუბლიცისტი ლეონტიევი დღევანდელ დღეს რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე პირდაპირ აცხადებს, რომ ჩერქეზები ბრიტანელმა აგენტებმა მოატყუეს და მათ ინტერესებს შეეწირნენ, როდესაც თითქმის მილიონი ჩერქეზი მოკლეს რუსმა ჯარისკაცებმა, და რომ იგივე დაემართებათ ჩეჩნებს XXI საუკუნეში, თუ ჭკუას არ მოეგებიან.

კავკასიური ცხოვრების წესი აბსოლუტურად განსხვავდებოდა რუსეთის საზოგადოებრივი წყობისგან. თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ინდივიდუალიზმი, რაინდული ქცევა, უფროსების პატივისცემა, სიმამაცე, სტუ-



Политические и военные лидеры убыхов и абхазов. Второй слева — сочинский владетель Али Ахмет Абогагу. 1841 г. Долина реки Сочи. Художник Г.Г. Гагарин

მართმოყვარეობა და ა. შ. რუსებისათვის სრულიად უცნობი იყო. მსგავსი არაფერი მათ ადრე არასოდეს ენახათ. ნებისმიერი რუსი ოფიცრისთვის საოცნებო იყო მთიელის გარეგნული მსგავსებისთვის მიეღწია. ყველა რუსი ოფიცერი მთიურ ჩოხას ატარებდა. კავკასიური ომის დროს გაჩნდა მტრების ერთმანეთისადმი პარადოქსული პატივიცემა. როდესაც ბაზარში რუს ჯარისკაცებსა და ჩერქეზებს შორის კონფლიქტი ხდებოდა, ხშირად სხვა რუსი ჯარისკაცები ჩერქეზებს უჭერდნენ მხარს. ჩერქეზები არ კადრულობდნენ ვაჭრობას, მაგრამ ამაყობდნენ ნაყაჩაღევი დოვლათით. ისინი იყვნენ ევროპული რაინდული სულის ბოლო წარმომადგენლები. არ იყო ქალაქები. არ იყო არტილერია, მხოლოდ კავალერია. არ იყო თავადები, მხოლოდ ავტორიტეტები და უხუცესები. სხვაგვარად იყო აღმოსავლეთ კავკასიაში (ჩეჩნეთში და დაღესტანში). რაც მთავარია, მონობა და ბავშვებით ვაჭრობა. მონობის შენარჩუნების სურვილი იყო ძირითადი მიზეზი რუსეთში ხელისუფლების ქვეშ ცხოვრების შეუძლებლობისა.

პატიმარი შამილის ბრძანებით ყველა მუსლიმ კავკასიელს უნდა შეეწყვიტა წინააღმდეგობა და მასობრივად გადასახლებულიყო თურქეთში. ეს იყო წარმოუდგენელი დასასრულის დასაწყისი. 200 ათას კაციანი რუსული არმია მეთოდურად უტევდა ბარიდან მთების მიმართულებით. დაიწყო შიმშილი. რუსი ჯარისკაცები ყველას კლავდნენ, მათ არ შეეძლოთ პატიმრები თან წაეყვანათ, რადგან ისინი დატვირთულნი იყვნენ ნაძარცვით. მილუტინი წერდა, რომ კავკასიელი აბორიგენები ინდიელებივით უნდა დაეხოცათ. გენერალ-გუბერნატორმა ბარიატინსკიმ დაგეგმა 75 000 კაზაკი მამაკაცის გადასახლება რუსეთიდან და ცოლად უნდა შეერთოთ ადგილობრივი ქალები, წინასწარ კი მათ ქმრებს დახოცავდნენ. თითქმის ოფიციალურად იყო მიღებული გადაწყვეტილება, ბალკანეთიდან გადმოეყვანათ მონტენეგროელები, მაგრამ ბოლო მომენტში უარი თქვეს, რადგან ბალკანეთში მათი ყოფნა რუსეთისთვის სტრატეგიულად ხელსაყრელი იყო.

ტოტალური ხოცვა-ჟლეტა დაიწყო 1860 წელს. ყველაფერი რუსი ჯარის-კაცებისა და ოფიცრების ხელით კეთდებოდა. არანაირი ინფორმაცია გარეთ არ ჟონავდა. მაგრამ შედეგები აშკარა იყო და ერთეული პროტესტიც გამოვლინდა. გენერალმა ფილიპსონმა Philipson გააპროტესტა რუსების ქმედება, რადგან ეს ძნელი სანახავი იყო ცივილიზებული ერის წარმომადგენლისთვის. კოტცებუემ Kotzebue პეტერბურგს ამცნო, რომ ბარიატინსკი კავკასიას უპირებდა უდაბნოდ გადაქცევას. რუსეთის მეფეც კი იყო შეშფოთებული ამ ინფორმაციით და ბარიატინსკი იძულებული იყო, დაერწმუნებინა მეფე, რომ ეს ცნობები გადაჭარბებული იყო და სიმართლეს არ შეეფერებოდა. სინამდვილეში გადასახლების იდეა ჩაიშალა, რადგან რუსეთს არ ჰქონდა ამ უზარმაზარი პროექტის დაფინანსების შესაძლებლობა, მაგრამ განადგურება გრძელდებოდა იაფად და ეფექტიანად.

ბოლო შანსი იყო მეფე ალექსანდრე II-ს შეხვედრა ჩერქეზ უფლისწულებთან 1861 წელს, რათა რაიმე სახის მშვიდობა დაემყარებინათ. სოჭთან ახლოს

რუსეთის მეფესთან შეხვედრის ორგანიზატორი იყო იმ დროს თბილისის გენერალ-გუბერნატორი გრიგოლ ორბელიანი[1], რომელიც შემდეგ, 1862 წელს სრულიად კავკასიის გენერალ-გუბერნატორი გახდა. მაგრამ ბარიატინსკიმ და ევდოკიმოვმა ფარულად გაგზავნეს ემისრები ჩერქეზ თავადებთან პროვოკაციური იდეებით, რათა არარეალურად ბევრი მოეთხოვათ რუსეთის მეფისგან. მართლაც, მეფე არ იყო კმაყოფილი მთიელების პოზიციით და პროვოკაციამ გაჭრა. მეფემ, რეფორმატორმა, დაამტკიცა ბარიატინსკის გეგმა ჩერქეზების გადასახლების ან განადგურების შესახებ. ასობით ათასმა ჩერქეზმა შავი ზღვის ნაპირს მიაშურა იმ მიზნით, რომ გემზე მოხვედრილიყვნენ თურქეთში გასამგზავრებლად. სამი წლის განმავლობაში ეს სანაპირო სოჭსა და ტუაფსეს ირგვლივ გაივსო ათასობით მთიელის საფლავით. ერთი ცხენის საფასური 1 სიგარეტს უდრიდა, გოგონები იყიდებოდნენ ერთი ღამისთვის, კაცებმა გადაყარეს თავიანთი ძვირადღირებული იარაღი მდინარესა თუ ზღვაში, იქაურობა სნეულებებმა და შიმშილმა მოიცვა. ლტოლვილებით სავსე გემიდან მათ გადმოყვანაზე თურქეთის ნაპირებზე უარს აცხადებდნენ და ადამიანებს, რომლებიც შიმშილისა და სნეულებისგან იღუპებოდნენ, უბრალოდ წყალში ყრიდნენ. წყალში და ნაპირზე ტივტივებდნენ მიცვალებულთა სხეულები. ვინც გადმოვიდა გემიდან, კაცები თურქეთის არმიაში მიჰყავდათ, ხოლო ქალები და გოგონები – პირდაპირ ადგილობრივ ჰარამხანებში. ევროპაში სისასტიკით ცნობილი ბაში-ბუზუკებიც სწორედ მათგან ჩამოყალიბდნენ. თურქებმა დაბომბეს რუსეთის საელჩო იმ მოთხოვნით, რომ შეეჩერებინათ დეპორტაციები, რადგან მათ არ შეეძლოთ ამ რაოდენობის ლტოლვილთა მიღება.

---

[1] გრიგოლ ორბელიანი წინააღმდეგობრივი ფიგურა გახლდათ. ის პოეზიაში მისტიროდა საქართველოს დაკარგულ წარსულს და დამოუკიდებელ მონარქიას. ამავე დროს, მან ათწლეულები დაჰყო რუსეთის სამხედრო სამსახურში, მიაღწია უმაღლეს პოზიციებს კავკასიის იმპერიის ადმინისტრაციაში. 1833 წლის მარტში, ახალგაზრდობაში, იგი დაპატიმრებულიც კი იყო რუსეთის პოლიციის მიერ როგორც 1832 წლის ქართველი დიდებულების შეთქმულებაში მონაწილე, რომ მოეკლათ რუსი ჩინოვნიკები და დაებრუნებინათ საქართველოსთვის დამოუკიდებლობა. მაგრამ მალე იგი გაათავისუფლეს ავლაბრის ციხიდან და ისევე, როგორც ბევრ სხვა შეთქმულებაში მონაწილე ქართველ არისტოკრატს, მასაც მიეცა შესაძლებლობა გაეგრძელებინა თავისი სამხედრო კარიერა რუსეთის ჯარში კავკასიაში. ეს რუსეთის იშვიათი პრაგმატული გადაწყვეტილების მაგალითი იყო, ვინაიდან ციხეც და ციმბირიც იმდროინდელ კავკასიასთან შედარებით უფრო უსაფრთხო ადგილი იყო. თვით რუსეთიდან დამნაშავეებს აქ აგზავნიდნენ საომრად სასიკვდილო განაჩენის მაგივრად. ომში ორბელიანმა განსაკუთრებული სიმამაცე და უნარები გამოავლინა და რუსეთის ადმინისტრაციაში 1862 წელს მაქსიმუმსაც მიაღწია და კავკასიის გენერალ-გუბერნატორის გახდა. 1871 წელს იმპერიის ადმინისტრაციამ მოაწყო მისი სამხედრო სამსახურში 50-წლიანი მოღვაწეობის იუბილე, რომელსაც პირადად ეწვია მეფე ალექსანდრე II და დააჯილდოვა გენერალი იმპერიაში უმაღლესი წმ. ანდრიას ორდენით.

1864 წელს გადასახლებულ ჩერქეზებს თურქეთის მთავრობა დაპირდა მიწებს ბულგარეთში. მას უნდოდა კაზაკების მსგავსი სამხედრო დასახლებების შექმნა ქრისტიანულ მიწებზე. 400 ათასი დეპორტირებული ჩერქეზი, გამწარებული ქრისტიანული რუსეთის მოპყრობით, უზარმაზარ პრობლემას ქმნიდა სამხრეთ ევროპაში, რამაც საბოლოოდ კატასტროფა გამოიწვია[1].

1867 წელს თურქეთში ემიგრაციით გამოწვეულ ჩრდილოეთ კავკასიის გაუკაცრიელებამ კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია, რამაც აიძულა რუსეთის მეფე სრულად აეკრძალა დეპორტაცია. საინტერესოა, რომ არც რეემიგრაციას მიესალმებოდა, მაგრამ ყველა, ვინც დაბრუნდა ინდივიდუალურად თავისი ხარჯით ხმელეთით საქართველოს გადაკვეთით, მიიღეს მიწა და დაკანონდნენ. 1873 წელს უეცრად ბჟედუგებმა (ჩრდილოეთ კავკასიის რაჭველები) გადაწყვიტეს თურქეთში გადასახლება. ზოგი ავტორი ამას ხსნის მათი ბუნებრივი დაგვიანებული რეაქციით. რუსებმა ისინი მალე დააშოშმინეს განცხადებით, რომ მსურველებს გადაასახლებენ, ოღონდ თურქეთში კი არა, ციმბირში.

ამ განადგურების დროს ნახევარი მილიონიდან ერთ მილიონამდე მთიელი დაიღუპა. სოჭთან ახლოს, შავი ზღვის ნაპირებზე, ერთ მილიონამდე ბავშვი, ქალი და მოხუცი განადგურდა, ეს ჩერქეზთა მუხაჯირი მოსახლეობის გენოციდი იყო. ამ ტრაგედიის შემდეგ ჩერქეზების დარჩენილი ნაწილი დამონებული და უმოქმედონი გახდნენ, ყოველგვარ სიამაყეს მოკლებულნი. ნებისმიერ კაზაკს ან ბავშვს შეეძლო დაერტყა მათთვის ყოველგვარი პროტესტის ნიშნის გარეშე. ზუსტად ესე დაემართათ ინდიელებსა და აფრო-ამერიკელებს. იმ დროიდან თბილისში გერმანელი კარტოგრაფისტების მიერ გამოცემულ რუკაზე დასავლეთ კავკასია მონიშნულია, როგორც „Unbewohnt“ „Unpopulated“ „დაუსახლებელი“. ჩრდილოეთ კავკასია მოკვდა.

კავკასიის ომის შემდეგ ჩერქეზთა ტრაგედია აქტუალური იყო დასავლურ მედიაში. 1856 წელს ნიუ იორკ თაიმსმა The New York Times გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ჩერქეზთა ქალებით საშინელი ვაჭრობა – შვილების მკვლელობა თურქეთში“ – „Horrible Traffic in Circassian Women – Infanticide in Turkey“, სადაც აღწერილი იყო, რომ რუსების დაპყრობების შედეგად, კონსტანტინოპოლის მონების ბაზარზე დიდი რაოდენობით ლამაზი ჩერქეზი ქალები გაჩნდნენ. ამან უბედურად იმოქმედა შავკანიან ქალებზე, რომლებიც ჩაანაცვლეს თეთრმა ჩერქეზებმა. შესაბამისად, ბავშვებს, რომლების იბადებოდნენ შავკანიანი ქალებისაგან, მასობრივად კლავდნენ. ეს აშკარა იყო, რომ კონსტანტინოპოლში დიდი რაოდენობით შავკანიანი ქალი ცხოვრობდა, მაგრამ იშვიათად თუ ნახავდით მულატ ბავშვს. მარკ ტვენი თავის ნაწარმოებში „უდანაშაულოები საზღვარგარეთ“ Mark Twain „The Innocents Abroad“ (1869 წ.)

[1] იმავე მიზეზის გამო, 60-70-იან წლებში საბერძნეთში ანტიკომუნისტური „შავი პოლკოვნიკების“ გადატრიალების მომწყობი სამხედროები იყვნენ შავი ზღვის სანაპიროს ბერძნების ნათესავები და ყაზახეთიდან სამშობლოში დაბრუნებულების შვილები, რომელთაც სძულდათ სიტყვა კომუნიზმი.

გვამცნობს, რომ „ჩერქეზ და ქართველ გოგონებს დღემდე ყიდიან მშობლები კონსტანტინოპოლში, მაგრამ არა საჯაროდ“.

უკანასკნელი გადარჩენილი მოწინააღმდეგე ტომი იყო მებრძოლი უბიხები Ubikhs. 1864 წელს მათ მიიღეს ულტიმატუმი გენერალ გუემანისგან Gueiman, რომ დაეყარათ იარაღი და გადასახლებულიყვნენ თურქეთში, როგორც ჩაფსუგი და აბაძინესი Chapsug and Abadzines. პასუხი კი ის იყო, რომ ისინი ცხოვრობდნენ ელბრუსთან ახლოს და სხვაგან არსად მიდიოდნენ. იმავე წლის მაისში რუსეთის ჯარმა, რომელსაც პირადად მართავდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლაევიჩი (1862-1882), მეფე ალექსანდრე II-ს ძმა, აიღო უკანასკნელი მოწინააღმდეგე სოფელი[1]. 1864 წელს კავკასიის ომი დამთავრდა კრასნაია პოლიანაზე რუსული ჯარის აღლუმითა და ჩერქეზების გენოციდით.

რუსეთი აზიაში

ამ დროს დაიწყო ცენტრალური აზიის დაპყრობა. 1842 წელს არტურ კონოლმა Arthur Conolly, ბრიტანეთის დაზვერვის ოფიცერმა ბუხარაში, კავკასიისა და ცენტრალური აზიის სიტუაციიდან დაკვირვებით შემოიღო კონცეფცია, „დიდი თამაში“ „The Great Game“. პეტრე პირველის დროს თავად ბეკოვიჩის ხივას წინააღმდეგ 1717 წლის ლაშქრობას და მეფე პავლეს ბრძანებით კაზაკების ინდოეთის მიმართულებით ლაშქრობის მუხანათურ გეგმას ბრიტანელების ხისტი პასუხი მოჰყვა. 1839 წელს ბრიტანელები შევიდნენ ავღანეთში ათასობით მეომრით და აიღეს ქაბული. დასაწყისში არ არსებობდა არავითარი წინააღმდეგობა, მაგრამ მალე აჯანყება დაიწყო და 16 000-იანი ბრიტანეთის არმიიდან მხოლოდ ერთი ადამიანი გადარჩა. 1842 წელს ინგლისელებმა სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარეს და თითქმის მთელი მოსახლეობა ამოხოცეს. განსაკუთრებულად განადგურებული იყო ქაბული. ამის მერე ამ ქვეყანაში ნებისმიერ ძალისთვის ლაშქრობა უაზრო იყო და ბრიტანელებიც დაბრუნდნენ ინდოეთში.

ომებს შორის რუსეთის დამყრობლური ტაქტიკა, ზუსტად ისევე როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, წარმატებით ეფუძნებოდა ასიმილაციას, ყველა პატარა ანექსირებულ ტერიტორიის ნაწილზე, სულ რამდენიმე წელში, ჩნდებოდა ოჯახები ადგილობრივი მამაკაცებით და რუსი ქალებით. პარადოქსულად, მამაკაცები, რომლებიც იღუპებოდნენ რუს აგრესორებთან ბრძოლაში, მოგვიანებით იცმევდნენ მათ უნიფორმებს, რათა ხალისით მიეღოთ მონაწილეობა მეზობელი ტერიტორიების დაპყრობაში. ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო ცივილიზებული ერისთვის. ბრიტანელ ქალებს არ ჰქონდათ უფლება დაკავშირებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მთელი

[1] 1944 წელს, ორი კვირის განმავლობაში, ვაგონებით მილიონამდე დარჩენილი ჩრდილოკავკასიელი იყო გადასახლებული შუა აზიაში.

კოლონიზაციის პერიოდის განმავლობაში, ყველა დროს ბრიტანელები ინდოეთში არა უმეტეს 150 000 ადამიანი იყო. რუსებისგან განსხვავებით მათი უპირატესობა ტექნოლოგიებში აისახებოდა.

აზიის დაპყრობის დაჩქარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ ამერიკის რევულიციის შემდეგ, 1850 წელს, ევროპაში ბამბის დეფიციტი გაჩნდა. და რუსეთი თურქესტანის ბამბისკენ ილტვოდა. 1864 წელს თურქესტანი და ტაშკენტი ანექსირებულ იქნა. 1887 წელს ტაშკენტში დაფუძნდა თურქესტანის გენერალ-გუბერნატორი კაუფმანი Kaufmann, რომელიც თავის ოფიცრებს შემდეგ განკარგულება აძლევდა: „ამ ექსპედიციის დროს არ განირჩევა სქესი თუ ასაკი. მოკალით ყველა“. ცენტრალურ აზიაში მხოლოდ 1887 წელს შეჩერდა რუსეთის ექსპანსია, როდესაც მეორე მხრიდან მათ დახვდათ ბრიტანული ჯარები (და ჩინეთის იმპერიის ჯარისკაცები) და საზღვარი დაფიქსირდა ავღანეთის ჩრდილოეთ საზღვარზე.

1880 წელს მეფე ალექსანდრე II-მ გაგზავნა გენერალი სკობელევი, რომელმაც ცოტა ხნით ადრე გაათავისუფლა ბულგარეთი თურქებისგან, 7 000 ქვეით და ცხენოსან ჯართან ერთად მილიონობით თურქმენის წინააღმდეგ საბრძოლველად. ალხინავომა, მოგვიანებით, 1905 წელს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა, აიღო ხივა (ხორასანი), კუშკა, მერვი Khiva (Khorasan), Kushka, Merv 1885 წელს და მიადგა ბრიტანეთის დანაყოფებს. შუა აზია (ბუხარა და ხივა) ანექსირებული იყო. ევროპული ტექნიკური ორგანიზაციის გარეშე რუსეთს არ შეეძლო ავღანეთის გადალახვა. ბრიტანეთის ჩართვა გარდაუვალი გახდა და ავღანელის გარეშე ბრიტანულ-რუსულმა კომისიამ დაადგინა ახალი რუსეთ-ავღანელის საზღვარი და იგი გახდა ბუფერული სახელმწიფო ბრიტანეთის ინდოეთსა და რუსეთის იმპერიას შორის. რუსეთის სამხრეთით გაფართოება შეჩერდა 1886 წელს. კუშკა იყო რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ყველაზე სამხრეთი დასახლება.

შემდეგი რუსული ინიციატივა აზიაში 1908 წელს იყო რუსი გენერლის მანერჰეიმის Mannerheim ექსპედიცია ჩინეთსა და პამირში. ანგლო-ბურების ომში Anglo-Boer War ინგლისის დამარცხებამ დიდი სიხარული და აჟიოტაჟი გამოიწვია რუსულ პრესაში და, რაც ყველაზე სავალალოა, დიდი სურვილი, ბრიტანეთთან ძალების დემონსტრაციისა თუნდაც ინდოეთის მიმართულებით მაინც. შედეგი კი იყო რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხება 1905 წელს. ბრიტანელი ოფიცრები წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც დამკვირვებლები იაპონიის ყველა სამხედრო გემზე. დამარცხებამ ასევე რუსეთისთვის ფინანსური კრედიტის საჭიროება გამოიწვია, რაც საფრანგეთმა მიაწოდა – მსოფლიოში უმსხვილესმა რანტიემ, ვინაიდან ამერიკელმა როტშილდებმა უარი განაცხადეს რუსეთის ანტისემიტური პოლიტიკის გამო. ამავე დროს, ირანი გაიყო რუსეთმა და ბრიტანეთმა 1907 წელს. შესაბამისად, მოგვიანებით, ამ ურთიერთკავშირების ბაზაზე ჩამოყალიბდა ანტანტა გერმანიის წინააღმდეგ, მიუხედავად რუსეთისა და გერმანიის მონარქების ახლონათესაური კავშირებისა.

რუსეთის ომი თურქეთთან ევროპის ფრონტზე

რუსეთის თურქეთის წინააღმდეგ შეტევის შემდგომი ეტაპი დაიწყო 1876 წელს, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში ომის დასასრულმა მოულოდნელი და სერიოზული შედეგები გამოიწვია. რუსეთიდან გაძევებული, გაწამებული, ცოლ-შვილდახოცილი მამაკაცები (ბაში-ბუზუკები) შეესიენ ევროპელ ქრისტიანებს და ბულგარეთსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში დაიწყო აჯანყება. ევროპულ პრესაში იბეჭდებოდა სულისშემძვრელი სტატიები ევროპელი ქრისტიანების ტანჯვის შესახებ. ეს საშინელებები იწვევდა შეწყალებას და პატრიოტულ სიმპათიას რუს მწერლებში, მაგრამ არც ერთ მათგანს ათასჯერ მეტი ტანჯვა ჩრდილოეთ კავკასიაში მილიონობით მსხვერპლით თავის ნაწარმოებებში არც უხსენებია (დოსტოევსკი, ტურგენევი და სხვა). ამისდა მიუხედავად, ამ ძალადობისთვის ბოლო უნდა მოეღოთ და ამჯერად, დასავლეთის თანხმობით, ყირიმის ომის შემდეგ, ევროპელების ნეიტრალიტეტის პირობით 1877-78 წწ-ში გაჩაღდა თურქეთ-რუსეთის ომი ევროპაში მყოფი ქრისტიანების გათავისუფლების მიზნით.

1874 წელს მეფის განკარგულების თანახმად, ახალი ომის მოლოდინის პირობებში, რუსეთში დაწესდა საყოველთაო გაწვევა ყველა ხალხისთვის, ქართველებისთვისაც კი, მაგრამ ეს გეგმა საქართველოში ისევ გადაიდო, რადგან რუსეთის რეგულარული ჯარი გაცილებით ნაკლებ ბრძოლისუნარიანი იყო, ვიდრე ადგილობრივი მილიცია. 1877 წელს მთლიანად 40 000 მოხალისე მილიციის რაზმები (მოსახლეობის კაცების 20%), იმავე რაოდენობის რუსული რეგულარული ჯარი და სომეხი მილიცია იყო მზად ბრძოლისთვის კავკასიაში. თურქეთის ანატოლიის არმია შედგებოდა 300 000 კაცისგან, ინგლისელი კოლმანის Colman მეთაურობით. 700 ინგლისელი ოფიცერი მსახურობდა თურქეთის არმიაში და 300 მეზღვაური თურქეთის ფლოტში. ასევე ფრანგი აგენტებიც ძალზედ აქტიურნი იყვნენ. ამასთან, თურქეთს რამდენიმე მილიარ-დი ვალი ჰქონდა ამერიკის. რამდენიმე პოლონელი მოხალისე ოფიცერი და ინჟინერიც მსახურობდა თურქეთის არმიაში. კავალერიას სათავეში ედგა რენეგატი რუსი გენერალი კარდუხოვი.

პირველი შეტევა 1877 წელს ბულგარეთში დაიწყო. 200-300 ათასი რუსი (რუმინელებთან, სერბებთან, ბულგარელებთან და ფინელებთან ერთად) მეფის ძმა დიდი მთავარი ნიკოლაი ნიკოლაევიჩის ხელმძღვანელობით, თავს დაესხა ოსმან ნური ფაშას Osman Nuri Pasha 160-200 ათას თურქს.

1877 წლის ივლისში რუსმა გენერალმა ნიკოლაუს ფონ კრუდენერმა Nicolaus von Krudener ხანგრძლივი და მრავალმსხვერპლიანი შეტევა განახორციელა პლევნაზე. ბულგარეთში რუსეთის არმიის კავალერიის მეთაური იყო ქართველი გენერალი მ. ლაშქარაშვილი General M. Lashkharishvili. რუსეთისა და რუმინეთის არმიის შტაბის უფროსი, რომელმაც პლევნა აიღო, იყო ქარ-

თველი გენერალი ალექსანდრე იმერეთინსკი[1] General Alexander Imeretinsky. შიპკის უღელტეხილისა და პლევენის დაცემის შემდეგ, დაჭრილი თურქი მეთაური ოსმან ფაშა ჩაბარდა ქართველ კაპიტან დადეშქელიანს[2], რომელმაც ტყვე მიუყვანა მეფეს პეტერბურგში. როდესაც მეფე ალექსანდრე II-მ ჰკითხა ოსმან ფაშას, თუ რატომ არ დანებდა უფრო ადრე, ფაშამ უპასუხა: „ჩემმა სახელმწიფომ ეს იარაღი მომცა საბრძოლველად, და არა მტრის დანახვაზე დასაყრელად“. მეფემ დაუბრუნა ოსმანს ხმალი პატივისცემის ნიშნად. როდესაც იგი ტყვეობიდან დაბრუნდა სტამბოლში ომის შემდეგ, იგი დაინიშნა სამხედრო მინისტრის პოსტზე.

ბალკანეთთან შედარებით, კავკასიაში ომი გაცილებით უფრო წარმატებით მიმდინარეობდა და პარიზის 1856 წლის კონფერენციის შედეგად დაკარგული ყველა ტერიტორია ახლიდან იქნა დაპყრობილი. 1877 წელს რუსეთის არმიამ გენერალ ლორის-მელიქოვის მეთაურობით და ზ. ჭავჭავაძის General Loris-Melikov, Z. Chavchavadze კავალერიასთან ერთად აიღო ერზერუმი, არტაანი, რამდენიმე დღეში – ყარსი და მოგვიანებით ბაიაზიდი მთა არარატითურთ. ბათუმის მიმართულებით ოზურგეთის მილიცია დაწინაურდა ქობულეთამდე. Erzerum, Artaan, Kars, Bayazid with Mt Ararat, Van, Tsikhisdziri, Batumi, Kobuleti, Adjara, Shavsheti, Olti Sarikamish.

ერთადერთი ადგილი, სადაც სიტუაცია გართულდა, კვლავ აფხაზეთი იყო. თურქეთის ძალების მნიშვნელოვანი დესანტის შემდეგ, ქართულმა და რუსმა ჯარებმა სოხუმიდან უკან დაიხიეს სოჭამდე და სამურზაყანომდე მდინარე კოდორთან. მაგრამ შეტაკებები 1878 წელს კვლავ განახლდა და მუსლიმი მოსახლეობისგან მიტოვებული სოხუმი Sukhumi აიღეს. 25 000 მუსლიმანი აფხაზი თურქეთში ლტოლვილად იქცა. სან-სტეფანოს San-Stefano შეთანხმებისა და ლორდ ბიკონსფილდის Lord Beaconsfield[3] გეგმის მიხედვით,

---

[1] მოგვიანებით იგი მართავდა ვარშავას და იყო რუსეთის სამხედრო პროკურორი, რომელიც პასუხისმგებელი იყო გამოძიებასა და იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის ორგანიზატორების დასჯისა.

[2] ან რუმინელ პოლკოვნიკს, ვიკიპედიის მიხედვით.

[3] ბენჟამინ დიზრაელმა Benjamin Disraeli (Earl of Beaconsfield) შეიცვალა სარწმუნოება და გახდა ქრისტიანი 13 წლის ასაკში. ის იყო იმ ებრაელების შთამომავალი, რომლებიც გამოძევებულ იყვნენ ესპანეთიდან 1492 წელს და გადავიდნენ ოსმალეთის იმპერიაში, შემდეგ იტალიაში, ჰოლანდიაში და საბოლოოდ ინგლისში. არანაირი წინააღმდეგობა არ იყო მისთვის, რომ გამოეყენებინა ბრიტანეთის გავლენა და ძალა, როგორც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, რათა მხარი დაეჭირა ებრაელთა ინტერესებისთვის, რომ დახმარებოდა ოსმალეთის იმპერიას ანტისემიტური რუსეთის სამეფო იმპერიის წინააღმდეგ. დიზრაელი იცავდა თავის ებრაელობას შემდეგი სიტყვებით: „დიახ, მე ვარ ებრაელი, და როდესაც მეტად პატივცემული ჯენტელმენების წინაპრები იყვნენ ჩვეულებრივი ველურები სრულიად უცნობ კუნძულზე, ჩემი წინაპრები სოლომონის ტაძრის მღვდლები იყვნენ“.

ამიერკავკასიაში ბუფერული ტერიტორია უნდა დაარსებულიყო (ყარსის ოლქი Kars Oblast).

გრაფი შუვალოვი გაემგზავრა ლონდონში ლორდ სოლსბერთან Lord Salisbury. საიდუმლო შეთანხმება დასრულდა 1878 წლის მაისში, რის მიხედვითაც, რუსეთი დააბრუნებდა ერზურუმსა და ბაიაზიდს, მთა არარატთან ერთად, მაგრამ დაიტოვებდა ბათუმსა და ყარსს. ბულგარეთი გაიყო. ამის სანაცვლოდ ბრიტანეთმა მიიღო თურქეთისგან კვიპროსი. რუსეთი ახალი ოკუპირებული ტერიტორიების (ბათუმი და ყარსი) მიმართ ძალზედ უმოწყალოდ მოიქცა. სასწრაფოდ იქნა მეფის ადმინისტრაციის მიერ შეგროვებული 2 წლის გადასახადები და ათასობით ადგილობრივი წავიდა თურქეთში, სადაც მიიღეს პირობა, რომ 6 წელი ბეგარისგან გათავისუფლდებოდნენ.

მოულოდნელად რუსეთის ჯარებმა წარმატებას მიაღწიეს თურქეთის ევროპულ ფრონტზე და თურქეთის წინააღმდეგობა სრულიად დაირღვა. რუსის ჯარი დაუცველი კონსტანტინოპოლის მისადგომებში აღმოჩნდა. ბრიტანეთის ფლოტი დაიძრა კონსტანტინოპოლის მიმართულებით, რათა დაეცვათ თურქეთის დედაქალაქი. ყირიმის ომის გაკვეთილის გათვალისწინებით რუსეთის ძალები 1878 წლის 20 იანვარს შეჩერდნენ სან-სტეფანოში, კონსტანტინოპოლის მისადგომებთან, რომელსაც რუსები უკვე უწოდებდნენ „ცარგრადს“.

მაგრამ 1878 წლის ივლისში, ბისმარკის მიერ ორგანიზებულ ბერლინის კონგრესზე, რუსეთის დიპლომატია დამარცხდა. სან-სტეფანოს შეთანხმება გადაიხედა. ბათუმთან დაკავშირებითაც ლორდ სოლსბერისა და ბეკონსფილდის შეთანხმება შეიცვალა. ბათუმი გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ „თავისუფალ ქალაქად“, თუმცა რუსეთის ადმინისტრაციით. შესაბამისად, აგვისტოში რუსებმა ჩაიბარეს ბათუმის ადმინისტრაცია და სექტემბერში ერზერუმი გადაეცა თურქებს.

სომხეთის საკითხი კონგრესმა უარყოფითად განიხილა. ის მხოლოდ დაკმაყოფილდა სულთნის დაპირებით, რომ არ განახორციელებდა თურქეთის ქრისტიანულ მოსახლეობაზე ზეწოლას, რაც მოგვიანებით გენოციდში გადაიზარდა.

ყველა ამ არეულობას დაემატა დიდი მთავრის ნიკოლაი ნიკოლაევიჩის ძალზედ აშკარად გამოხატული უკმაყოფილება, რომ ის არ იყო დასახელებული ბულგარეთის მოსახლეობის მიერ ერთადერთ მეფედ, მაგრამ კონსტიტუცია იყო გამოცხადებული. ამის შემდეგ ბულგარეთი ორივე მსოფლიო ომის დროს იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსეთმა დაუწესა ბულგარეთის ახალ მთავრობას სამხედრო მოქმედებების დროს გაწეული ხარჯების ანაზღაურება. გაჭირვებული ბულგარელები ამას უწოდებდნენ: „საოკუპაციო ვალს“ და ბოლშევიკურ რევოლუციამდე იხდიდნენ. ზუსტად ამ არეულობამ გამოიწვია პირველი მსოფლიო ომი, როდესაც ნაციონალისტმა სლავებმა მოკლეს ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდი.

ოლივერ ვარდროფი Oliver Wardrop (მოგვიანებით ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი საქართველოში British High Commissioner in Georgia) თავის წიგნში „საქართველოს სამეფო. ჩანაწარები ქალების, ღვინისა და სიმღერების მიწაზე“ (ლონდონი, 1888 წ.) „The Kingdom of Georgia. Notes of travel in a land of women, wine, and song“ (London, 1888) წერდა: „უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მიმზიდველობა განპირობებულია მისი ხალხით; ქართველები მხოლოდ კარგი შესახედავი კი არ იყვნენ, არამედ მოსიყვარულე, გულგახსნილი, გონებამახვილი, პატიოსანი და სპეტაკი. თბილისში უმეტესობას ევროპული კაბები აცვია. ყოველ საღამოს ქუჩები სავსეა ეტლებითა და ცხენოსნებით; ლამაზი სახეები, გემოვნებიანი ტანისამოსი, ბრწყინვალე უნიფორმები, ყველა ერთად მომხიბვლელ სურათს ხატავდა.

როდესაც ვამბობ (ქართველების) სტუმართმოყვარეობაზე, არ ვიყენებ ამ სიტყვას ჩვეულებრივი მნიშვნელობით; ქართველი თავის სტუმარს ექცეოდა ისეთი თავაზიანობითა და სიკეთით, რაც ევროპელებისთვის უცხოა.

არასოდეს მინახავს ქართველი მათხოვარი, მიუხედავად იმისა, რომ ხალხში დიდი გაჭირვება იყო.

თამარ მეფის მეორე მეუღლე ოსი იყო და იმის მერე მოკავშირედ რჩებიან. ერეკლე მეფეს დაცვა სწორედ ოსებისგან შედგებოდა. მათ შესახებ ამბავი, თითქოს ტევტონები არიან აბსურდია, მაგრამ ფიზიკურად და გარეგნობით სიმპათიურები არიან. ოსები თავიანთ თავს ირ ან ირანელებს Ir or Iran ეძახიან.

არის ვარაუდი, რომ ხევსურები არიან ჯვაროსნების ნაწილის შთამომავალნი, რომელთაც დაკარგეს სახმელეთო გზა ევროპაში დასაბრუნებლად“.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ იმ დროს ვარდროფი თავის გაკვირვებას ვერ მალავს და მოჰყავს ჩვეულებრივი რუსი გლეხი ქალის სიტყვები, რომ მას სჯერა, „რომ არ გვყოლოდა დიდი არმია, ინგლისელები მოვიდოდნენ და ყველა ჩვენგანს დაიმონებდნენ“.

ამიერკავკასიის ხანმოკლე ეკონომიკური ბუმი

სამხრეთ კავკასიაში, როგორც იქნა, მშვიდობამ დაისადგურა. თურქებისა და ირანელების ომი საქართველოს ტერიტორიაზე საუკუნეების შემდეგ დასრულდა. გენერალ-გუბერნატორი მთავარი მიხეილი მუდმივად თბილისის ქუჩებში სეირნობდა დაცვის გარეშე, მიდიოდა ადგილობრივ ბაზარში და ძალზედ უყვარდა მათთან საუბარი. მისი გერმანელი მეუღლე ოლგა (ბადენის დედოფალი სესილია, ბადენის დიდი ჰერცოგის ლეოპოლდის და შვედელი სოფიას ქალიშვილი Princess Cecily of Baden, daughter of Leopold, Grand Duke of Baden, and Sophie of Sweden, ორთოდოქსული სახელით ოლგა ფედოროვნა) ძალზედ თავმდაბალი და ჭკვიანი ქალი იყო, რომელიც ყურადღებას აქცევდა

გადმოსახლებულ შვაბებს Swabs და ეხმარებოდა მათ დაბინავებაში. მთელი თბილისი მარაგდებოდა გერმანელებისგან რძითა და ყველით.

მიხაილ ნიკოლაევიჩი ოცი წლის განმავლობაში იყო კავკასიის მეფის-ნაცვალი. მისი შვილები კავკასიის პატრიოტებად იზრდებოდნენ. ოჯახი იზოლირებული იყო დანარჩენი რუსეთისგან. მისი შვილის ალექსადრეს (სანდროს) მემუარებიდან ცნობილია, რომ ოჯახში სუფევდა კავკასური პატრიოტიზმი და პეტერბურგიდან ჩამოსულ ოფიცრებს უნდობლობით უყურებდნენ. ხუთივე დედმამიშვილი ყოველდღე ოცნებობდა კავკასიის რუსეთიდან გამოყოფაზე.

თურქეთის დასუსტების შედეგად, კავკასია არა მარტო გასაღები გახდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზისთვის, არამედ საუკეთესო გზა იყო გეოსტრატეგიული მანევრებისთვისაც. 1854 წელს აღმოაჩინეს ნავთის კრეკინგის მეთოდით გადამუშავება და გაჩნდა ბენზინი. 1873 წელს ძმებმა ნობელებმა Nobel ბაქოში დაიწყეს ნავთობის ბიზნესი და ბათუმიდან დაიწყო ტანკერების მოგზაურობა ევროპისკენ. გერმანელი მეცნიერების სიმენსების ოჯახი მოღვაწეობდა საქართველოში. ბაქო გახდა ელდორადო. 1893 წელს ბელგიელებმა ნავთობი აღმოაჩინეს ჩეჩნეთშიც. ბაქოში მუშაობდა როტშილდი Rothschild, დაარსდა როკფელერის სტანდარტ ოილი Standard Oil of Rockefeller, 1907 წელს დაარსდა გაერთიანებული ბრიტანულ-ჰოლანდიური Royal Dutch Shell, ანგლო-სპარსული British Petroleum დაარსდა ირანში და ერაყში და გალუსტ გულბეკიანის Calouste Gulbenkian კომპანია თურქეთში. ბაქო მსოფლიოს ინტერესს იწვევდა.

რკინიგზა ბაქოსა და ბათუმს შორის ინჟინრებმა ბუნგმა და პალაჩოვსკიმ Bunge and Palachkovski დააპროექტეს. როტშილდებმა Rothschild დააფინანსეს ამ გზის მშენებლობა. პირველი რკინიგზა სამხრეთ კავკასიაში ფოთი-თბილისი, გაიყვანეს 1872 წელს. 1883 წელს პირველი მატარებელი გაემგზავრა ბათუმიდან ბაქოში. ნობელმა Nobel მიიღო გამოწვევა და დაიწყო მილსადენების გაყვანა, რაც იყო მსოფლიოში პირველი, ასეთი სიგრძის. ძმების დინამიტი ძალზედ სასარგებლოდ გამოიყენებოდა ამ მშენებლობის დროს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში ყველაზე მეტი მილიონერი ბაქოში ცხოვრობდა. მაგრამ იაპონიისა და ჩინეთის ომის გამო რუსეთში დაიწია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დონემ, ბაქოში ყაჩაღობა და ანარქია დაიწყო, რამაც შეამცირა ნავთობის იმპორტი. ასევე ნორვეგიელებმა დაიწყეს გამანთავისუფლებელი ბრძოლა შვედეთისგან, რამაც გამოიწვია ნობელის კომპანიის გაყოფა. არაფერი უშლიდა ხელს ბაქოს მდიდარი მაგნატების რამდენჯერმე გატაცებას გამოსასყიდის სანაცვლოდ. ამ შემთხვევებში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი რევოლუციონერები, ისეთი როგორიც იყო სტალინი და კამო. გარდა ამისა, ეთნიკური კონფლიქტი სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის საშინელი ფაქტორი იყო. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო ყველა უცხოურ ქონებასა და ინვესტიციას.

არასტაბილურობა კავკასიაში

1896 წელს თავადი გოლიცინი **Golitsin** დაინიშნა კავკასიის გენერალ-გუბერნატორად და მეფისნაცვალად, რის შემდეგაც მან ენერგიულად დაიწყო რუსიფიკაციის პროგრამის დანერგვა, განსაკუთრებით კი სომხებში. 1901 წელს მან ბრძანა ყველა სომეხი ლტოლვილის დაბრუნება თურქეთის ტერიტორიიდან და 1903 წელს კი სომხეთის ეკლესიისთვის მიწის ჩამორთმევა. საქართველოს ეკლესიის მიწა და სხვა ქონება გადაცემული იყო რუსეთის ეკლესიისთვის 1869 წელს. სომხური ენა, წიგნები და სკოლები აკრძალული იყო, ისევე როგორც ქართული 1855 წელს. ის ცინიკურად ხუმრობდა, რომ ერთი სომეხი კაცი და ქალი უნდა დაეტოვებინათ მხოლოდ მუზეუმისთვის. როდესაც თავადი გოლიცინი მეუღლესთან ერთად თბილისიდან გაემგზავრა კოჯრის აგარაკზე 1903 წელს, სამმა გლეხმა გააჩერა ეტლი და მოულოდნელად მათ გენერალს დანა დაარტყეს. ისინი იყვნენ სომეხი დაშნაკსუტუნის Dashnaktsutun წევრები. სომხებს კაზაკები ერთ საათში დაეწიენ და ადგილზე ამოხოცეს. გენერალი გადარჩა, რადგან ჯავშანი ეცვა უსაფრთხოების მიზნით. ის დაბრუნდა პეტერბურგში და უკან არასდროს მობრუნებულა. 1905 წელს ნიკოლოზ II-მ გააუქმა კანონი ქონებაზე ყადაღის დადებისა. უფრო მეტად ჭკვიანი და კულტურული გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი **Vorontsov-Dashkov** დაინიშნა გენერალ-გუბერნატორად 1905 წელს 1915 წლამდე, როდესაც მთელ რუსეთში ტერორი და არასტაბილურობა სუფევდა.

მან დაიწყო სომხების შემორიგების პოლიტიკა. მისი ცოლი განსაკუთრებულად პროსომხური განწყობის იყო. 1915 წელს, როდესაც ევროპულ დასავლეთის ფრონტზე სიტუაცია კატასტროფული იყო, კავკასიის არმია ახორციელებდა რეიდებს ღრმად თურქეთის შიდა ტერიტორიებში, რაც ეწინააღმდეგებოდა გენერალური შტაბის გეგმებს, და მხოლოდ ერთი მიზეზს ემსახურეობდა – გადმოესახლებინათ რუსეთის ტერიტორიაზე რაც შეიძლება მეტი სომეხი. გენერალ-გუბერნატორის დაცვის მეთაურის ბიგაევის გადმოცემით: „პეტერბურგში მინისტრთა საბჭოზეც კი დასმული იყო კითხვა, თუ ვინ იყო კავკასიის არმიის მეთაური, გრაფი თუ მისი მეუღლე“.

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვის დახმარებით ჩატარდა პირველი კონფერენცია თათარ-სომხების პერმანენტულ სისხლიან კონფლიქტებზე. ათეულობით მეცნიერი და სასულიერო პირი ჩავიდა თბილისში ორივე რეგიონიდან, მაგრამ არავის შეეძლო იმის გახსენება, თუ რა იყო ზუსტი მიზეზი, როდესაც დაიწყო ეს კონფლიქტი. კონფერენცია უშედეგოდ დასრულდა.

1915 წელს, როდესაც თურქეთის არმია დროებით შემთხვევით გამოჩნდა თბილისის სიახლოვეს, გენერალი და მისი მეუღლე იყვნენ სწორედ ისინი, ვინც პანიკაში არ ჩავარდნენ და არ დაუშვეს სასახლის ევაკუაცია, მოიწონეს ქართველების დარჩენა ადგილებზე, მათი მზადება წინააღმდეგობისთვის და დაგმეს სომხების და ზოგი რუსი მაღალჩინოსნის გაქცევა თბილისიდან.

პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის საძირკველის ჩაყრის იდეა ეკუთვნოდა ვორონცოვ-დაშკოვს, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხდა, ვინაიდან ქართველები იჩემებდნენ უნივერსიტეტის საბურთალოზე აშენებას, სადაც ძირითადად ცხოვრობდნენ ქართველები, ხოლო სომხები ამტკიცებდნენ, რომ ნავთლუღში უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომაა, რომ უნივერსიტეტი საბოლოოდ აშენდა ვაკეში, მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში 1918 წელს.

1905 წლის ქაოსი

პროგრესული აზროვნების ნებისმიერ გამოვლინებას მთავრობა რეპ-რესიებით პასუხობდა. ალექსანდრე II-ის მკვლელობამ 1881 წელს რუსეთი გარდაუვალად კატასტროფისკენ გააქანა. მისი გარდაცვალების დღეს, დილით ადრე, უკვე განწირულმა მონარქმა ფართო რეფორმების ჩატარების გეგმას მოაწერა ხელი, რომელიც შედგენილი იყო რუსეთის ლიბერალი შინაგან საქმეთა მინისტრის ლორის მელიქოვის მიერ (სომეხ-ქართველი გენერალი, გაზრდილი და დასაფლავებული თბილისში). რეფორმების განხორციელების იმედი დასამარდა ალექსანდრე II-სთან ერთად.

ალექსანდრე II-ის სიკვდილის შემდეგ რუსეთის პოლიტიკაში უეცრად ჩაერთო ნიკო ნიკოლაძე Niko Nikoladze (1843-1928 წწ.). 1864 წელს ის იყო პირველი, რომელმაც მიიღო დოქტორანტობა ევროპულ უნივერსიტეტში, უფრო კონკრეტულად კი ციურიხში (1868 წ.), სადაც მან დაამყარა კავშირი დასავლეთის მემარცხენე მოაზროვნეებთან. ნიკოლაძე შეხვდა ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, ალექსანდრ ჰერცენს და კარლ მარქსს, რომელმაც შესთავაზა გამხდარიყო ინტერნაციონალის ამიერკავკასიის წარმომადგენელი. როგორც ცნობილი პატივსაცემი პუბლიცისტი, მას ნაროდნაია ვოლიას მებრძოლი ტერორიტებიც ენდობოდნენ. ამავე დროს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ლორის-მელიქოვი და სამეფო ოჯახის რამდენიმე სხვა წარმომადგენელი თუ მაღალჩინოსანი ახლოს იყვნენ კავკასიასთან. ვორონცოვ-დაშკოვი, კავკასიის მომავალი მეფისნაცვალი, 1881 წელს იყო ახალი მეფე ალექსანდრე III-ის დაცვის უფროსი და საიდუმლო მონარქისტული ორგანიზაციის „სვიაშჩენაია დრუჟინას“ დამფუძნებელი. წყაროების ცნობებით, ნიკოლაძე იყო იდეალური შუამავალი ნაროდნაია ვოლიასთან, რათა მათ ხელი აეღოთ მეფის მოკვლაზე, ამნისტიების და რეფორმების სანაცვლოდ. ნიკოლაძეს და ვორონცოვ-დაშკოვის მოლაპარაკებების შედეგი იყო, რომ ნაროდნაია ვოლიას ლიდერის ვერა ფიგნერი გადარჩა ჩამოხრჩობას, და ჩერნიშევსკის გადარჩენა.

მაგრამ ალექსანდრე III რეაქციონერულ პოლიტიკას აგრძელებდა. დემოკრატია აკრძალული იყო, ხოლო ავტოკრატია და მართლმადიდებლობა გაძლიერდა. მას განათლება მისცა შოვინისტ-რეაქციონერმა სლავოფილმა, წმინდა სინოდის პროკურატორმა პობედონოსცევმა. სლავოფილები ამტ-კიცებდნენ, რომ რუსეთში არეულობა მოწყობილი იყო გარკვეული რასე-

ბის მიერ. ებრაელებზე დაიწყო სასტიკი დევნა. პოლონელებიც ძალზედ იტანჯებოდნენ. ყველა არამართლმადიდებელი იდევნებოდა: ფინელი პროტესტანტები, გერმანელი ლუთერანები, პოლონელი კათოლიკეები, ებრაელები და მუსლიმები. მათ ეკრძალებოდათ ტაძრების აგება, შვილებს არ შეეძლოთ მიეღოთ განათლება, იძულებით ასწავლიდნენ მართლმადიდებლურ სკოლებში. ქართული ეკლესიის ქონება და მიწა საბოლოოდ ჩამორთმეული იყო. ბალტიის ქვეყნებსა და კავკასიაში აკრძალული იყო რუსულის გარდა სხვა ენის გამოყენება, ქართული და სომხური ენების გამოყენება სკოლებსა და ადმინისტრაციაში აიკრძალა.

მეფე ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟი ნიკოლოზ II Nicolas (1894-1917) კიდევ უფრო რთული საშინაო და საგარეო პრობლემების წინაშე დადგა. მისი მამისგან განსხვავებით, ნიკოლოზ II ბუნებით უფრო მეტად სუსტი იყო. გაძლიერდა ანტისემიტიზმი. შინაგან საქმეთა მინისტრი, ფონ პლევე, აცხადებდა, რომ აპირებდა „რევოლუცია ჩაეხშოთ ებრაელების სისხლში“, ხოლო პობედონოსცევი პოგრომებით, შიმშილითა და სიღატაკით უპირებდა მათ განადგურებას. რუსმა შოვინისტებმა გამოაცხადეს ლოზუნგი: „მოვკლათ მოაზროვნეები და ებრაელები!“

1904 წელს დაიწყო იაპონიასთან ომი. ამ დროს რუსეთის მოსახლეობა 3-ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე იაპონიის და წლიური ბიუჯეტი შეადგენდა 2 მილიარდს, როცა იაპონიის იყო 60 მილიონი, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. კორუფციამ უმაღლეს დონეს მიაღწია. 1905 წლის იანვრის მოულოდნელმა ცეცხლის გახსნამ მეფის სასახლესთან 500-ზე მეტი ადამიანი დაღუპა. მეფემ თავისი ჯიბიდან გაიღო ოჯახების დასახმარებლად 50 000 რუბლი, მაგრამ ეს უკვე იყო დასასრულის დასაწყისი.

მონარქიის დასასრული გადაავადა გრაფმა სერგეი ვიტემ Witte, ფინანსთა და პრემიერ-მინისტრმა 1889-1905 წლებში, ლუთერანი ბალტიელი გერმანელი, რომელმაც თავის მემუარებში აღწერა ეს მოვლენები. მისი კარიერა დაიწყო სარკინიგზო ინჟინრობიდან. მან გააფრთხილა, რომ რუსეთის მეფე ალექსანდრე III და მისი ოჯახი პეტერბურგიდან ყირიმში და უკან მატარებლით ძალზე მაღალი სიჩქარით მოძრაობდა. და მართლაც, ხარკოვთან 1888 წელს მოხდა კატასტროფა, ათობით ადამიანი დაიღუპა და დაშავდა. ავარიის დროს სამეფო ოჯახი სასადილო კაბინაში იყო. მისი ჭერი ჩამოიშალა და მეფე ალექსანდრე მხრებით იჭერდა, როდესაც მისი ოჯახი თავს აღწევდა. ამის გამო დაემართა თირკმლის უკმარისობა, რამაც მოგვიანებით მისი სიკვდილი გამოიწვია. სერგეი ვიტე დააწინაურეს და მეფის ნდობით სარგებლობდა. ავარიაში საჯაროდ დაადანაშაულეს გზის მშენებლები: „ეს გზა ხარვეზიანია, რადგან ის არის ებრაელების გზა“. ალექსანდრეს ბრძანებით 30 000 ებრაელი გამოასახლეს მოსკოვიდან.

ამ უეცარმა სასწაულმა (მეფის გადარჩენა და ვიტეს პრემიერ-მინისტრად დანიშვნამ) სრულიად შეცვალა რუსეთი. ვიტემ რუსულ რუბლზე დააწესა ოქროზე სტანდარტი, დაამკვიდრა სახელმწიფო მონოპოლია ალკოჰოლზე,

რაც გახდა რუსეთის მთავრობის ძირითადი შემოსავლის წყარო, ააშენეს ციმბირის რკინიგზა. ცხადი იყო, რომ, როგორც 21 საუკუნის დასაწყისში, მე-20 საუკუნის დასაწყისშიც რუსეთმა, როგორც კი მიიღო ეკონომიკური შეღავათი, კვლავ შეკრიბა მილიონიანი არმია და დაიწყო ექსპანსიისთვის მზადება – განხილვა მიმდინარეობდა ორ მიმართულებაზე, ეს უნდა ყოფილიყო ან ჩინეთი, ან ბოსფორის სრუტე. გენერალური შტაბის ოფიცრები კიდევაც ეწვივნენ საიდუმლოდ კონსტანტინოპოლსა და ბოსფორს. მაგრამ არჩევანი შეჩერდა აღმოსავლეთ მიმართულებაზე გარეთა ფაქტორების გამო. ჩინეთში იფეთქა აჯანყებამ Boxer Rebellion და ქვეყანა ნანგრევებად იქცა. პეკინის ოკუპაცია რვა ერის გაერთიანებით (ავსტრია-უნგრეთი, ბელგია, ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, იაპონია, ჰოლანდია, რუსეთი, ესპანეთი და შეერთებული შტატები) გახდა „პისაროს Pizarro შემდეგ უზარმაზარი ძარცვის ექსპედიცია“. მისიონერი ლუელა მინერი Luella Miner წერდა, „რუსი ჯარისკაცების საქციელი სასტიკი იყო, ფრანგები არ იყვნენ უკეთესები, ხოლო იაპონელები ძარცვავდნენ და წვავდნენ ყოველგვარი შეწყალების გარეშე“. დედაქალაქ ბეიჯინგზე Beijing იერიში მიიტანა და გაძარცვა რუსების არმიამ ლინევიჩის Linevitch მეთაურობით (კავკასიის ომის გმირი) 1900 წელს. საიმპერატორო სასახლე გაიძარცვა და ყველა ღირებული ქონება რუსმა ოფიცრებმა სახლებში წაიღეს.

ამის საკომპენსაციოდ გერმანელმა იმპერატორმა ვილჰელმმა Wilhelm მეფე ნიკოლოზ II-ს პროვოკაციული კითხვა დაუსვა: „წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ ჩვენ ავიღოთ ჩინეთის პორტი ჩიაო-ჩაო Chiao-Chao, თქვენ მაინც ვერ იყენებთ მას“. ნიკოლოზ II-ს ძალზედ ცივი ურთიერთობა ჰქონდა გერმანელ ჰოჰენცოლერნ Hohenzollern იმპერატორთან, რადგან დედამისი იყო დანიელი პრინცესა და პრუსიის მიერ შლეზვიგ-ჰოლშტაინის Schleswig-Holstein ანექსია დანიის სამეფოდან 1863 წელს ძალზედ მტკივნეული იყო. რუსი მეფეების ყველა ცოლი იყო შლეზვიგ-ჰოლშტაინიდან და დინასტიაც კი ეწოდებოდა – რომანოვ-ჰოლშტაინი Romanov-Holstein. მხოლოდ ბოლო ორი იმპერატრიცა იყო დანიური Dagmar დინასტიის წარმომადგენელი. ჩინეთში წარმატებული ოპერაციის შემდეგ, რუსეთის სამხედრო იმპერიალისტური ელიტა გამდიდრების მოლოდინში უკვე შეუჩერებელი იყო. ის აზრი, რომ გერმანია ან ვინმე სხვა დაასწრებდა ნაძარცვის აკრეფაში აზროვნების უნარს სრულიად ახშობდა. კიდევ ერთი მიზეზი შორეულ აღმოსავლეთში ომის დაწყებისა იყო ძალზედ პირადული და საიდუმლო, რაც იცოდა მხოლოდ ვიტემ, როგორც პრემიერ-მინისტრმა. იაპონიაში ვიზიტის დროს მეფე ნიკოლოზზე განხორციელდა წარუმატებელი თავდასხმა. ამის შემდეგ მას ცუდი მოგონებები ჰქონდა იაპონიაზე.

ვიტე კორეის ომის სასტიკი წინააღმდეგი იყო, მაგრამ მისი პოზიციები შესუსტდა მას მერე, რაც ცოლად შეირთო მატილდა ლისანევიჩი Lisanevich, ებრაელი ქალი, რამაც სკანდალი გამოიწვია რუსეთის არისტოკრატიაში.

პორტ არტურის Port Arthur განადგურების შემდეგ, 1905 წელს ცარიზმი დასრულდა, მაგრამ ვიტემ ეკონომიკურად და სტოლიპინმა სამხედრო გზით კიდევ ერთხელ გადაარჩინეს მდგომარეობა. იაპონიასთან სამშვიდობო მოლაპარაკებაზე აშშ-ში გაემგზავრა პრემიერ-მინისტრი ვიტე და ბარონი რომან როზენი Baron Roman Rosen, რუსეთის იმპერიის ელჩი აშშ-ში, ბალტიისპირელი გერმანელი, რომელსაც ჰყავდა ქართველი დედა, ელისაბედ სულხანიშვილი Elizabeth Sulkhanishvili. შედეგად პორტსმუტის ხელშეკრულება Treaty of Portsmouth რუსეთისთვის ძალზედ ხელსაყრელი პირობებით აღიარეს, როგორც დიპლომატიური ტრიუმფი.

ცარიზმი რომ ეკონომიკურად გადაერჩინა, ვიტემ დაგეგმა საფრანგეთის ბანკისგან აეღო სესხი რუსეთის მთავრობისთვის, ისტორიაში უპრეცედენტო რაოდენობით 2,7 მილიარდი ფრანკით. ეს ვალი დიდი პრობლემა იყო საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირის დროსაც მეორე მსოფლიო ომამდე. ებრაულმა ბანკებმა უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ, რადგან მათ ჰქონდათ პირობა, რომ შემწყდარიყო პოგრომები და გაზრდილიყო ებრაელი მოსახლეობის უფლებები. ეს პირობები ვიტესთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. ამ სესხმა გადაავადა რომანოვების დინასტიის დასასრული, მაგრამ უამრავი შეცდომის გამო დასასრული 1917 წელს უფრო საშინელი იყო, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო 1905 წელს.

ვიტე წერდა, რომ მას თავი კავკასიელად მიაჩნდა, ვინაიდან დაბადებული იყო თბილისში და იქ ცხოვრობდა მისი ოჯახი. მისტიკური ეზოთერიკი ქალბატონი ბლავატსკაია Madame Blavatsky იყო მისი ბიძაშვილი და ერთად გაიზარდნენ ბებიასთან თბილისში. მისმა მეგობარმა გენერალმა ლორის-მელიქოვმა, მანამდე თბილისის გუბერნატორმა და ახლა მთელი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, პირად საუბარში ამცნო, რომ საქართველოში ვიტეს ოჯახისადმი პატივისცემის გამო რევოლუციონერები, და მათ შორის კავკასიელი ავტორიტეტები, მასზე ტერორისტულ აქტებს არ გეგმავდნენ. და მართლაც, იმ ტერორისტულ პერიოდში ვიტეზე თავდასხმის არანაირი მცდელობა არ ყოფილა.

მისგან განსხვავებით, მეფის ჯალათი სტოლიპინი იყო მუდმივი სამიზნე, თუმცა ვიტესგან განსხვავებით უზარმაზარი დაცვით გადაადგილდებოდა. 1866 წელს ალფრედ ნობელის მიერ დინამიტის აღმოჩენამ ხელი შეუწყო დაბომბვის აქტივობას. ყველაზე ძლიერი დინამიტი გამოიყენეს ესერებმა რუსი პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის წინააღმდეგ 1906 წელს, როდესაც მისი აგარაკი ააფეთქეს და ასობით ადამიანი დაიღუპა და დაშავდა, თუმცა სტოლიპინი გადარჩა. საბედნიეროდ, „სემტექსი“ „Semtex“ (მაგიური მარმარილო) გამოიგონა ჩეხოსლოვაკიელმა სტანისლავ ბერბერამ Stanislav Berbera ერთი საუკუნის შემდეგ, 1966 წელს.

3 წლის მანძილზე 1906-09 წლებში რევოლუციური ტერორის დროს 6091 პოლიციისა და ადმინისტრაციის თანამშრომელი დაიღუპა. ახალმა პრემიერ-

მინისტრმა სტოლიპინმა დუმას დაამტკიცებინა დაჩქარებული სასამართ-ლოების კანონი და იმავე პერიოდში 2815 ადამიანი სიკვდილით დასაჯეს. სახრჩობელას იმ დროიდან დაარქვეს „სტოლიპონის ჰალსტუხი“. ზოგი კი წერს, რომ ამან ჩაახშო მძვინვარე აჯანყება და ანარქია, რა თქმა უნდა, დროებით. ეს მისთვის პირადად ძალზედ მძიმედ დასრულდა. 1911 წელს, როდესაც ის ესწრებოდა წარმოდგენას კიევის ოპერაში მეფის და მისი ორი უფროსი ქალიშვილის თანდასწრებით, სტოლიპინს ესროლა დიმიტრი ბოგროვმა (მორდეხაი გერშკოვიჩი Mordekhai Gershkovich). სტოლიპინის ბოლო სიტყვები იყო: „მე ბედნიერი ვარ, რომ მეფის გულისთვის ვკვდები“ და მეფე ნიკოლოზ II-ს პირჯვარი გადასახა დალოცვის მიზნით. მეორე დილით მეფემ დაიჩოქა დატანჯული სტოლიპინის საწოლთან და იმეორებდა სიტყვებს: „მაპატიე“. ბოგროვი მეფის ბრძანებით ჩამოახრჩვეს და მისი თავი სპირტიან ჭურჭელში მოათავსეს ყველას დასანახად.

რუსეთი ჩაიძირა ტერორისტულ აქტებში: რისაკოვმა და გრინევიცკიმ Risakov and Grinevitski მოკლეს მეფე ალექსანდრე II 1881 წელს; ვერა ზასულიჩმა დაჭრა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი ტრეპოვი 1878 წელს; 1902 წელს სიპიაგინს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ესერმა ბალმაშევმა ესროლა თავის კაბინეტში; ახალ შინაგან საქმეთა მინისტრს, ფონ პლევეს, რომელიც პასუხისმგებელი იყო კიშინოვის პროგრამაზე, ესერმა იგორ საზონოვმა ბომბი ესროლა ეტლის ბორბლებში 1904 წელს. მოკლული იყო შემდეგი უმაღლესი რანგის პირები: 1903 წელს უფის რეაქციონერი გუბერნატორი გრეგორი გერშუნი, 1904 წელს ფინეთის გუბერნატორი ბორიკოვი, განათლების მი-ნისტრი კარპოვიჩის მიერ 1902 წელს, უფის გუბერნატორი 1903 წელს, მოსკოვის გუბერნატორი 1905 წელს, ჩერნიგოვის 1906 წელს, ტამბოვის მარია სპირიდონოვას მიერ. მეფის ძმა, დიდი მთავარი სერგეი ალექსანდროვიჩი, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, ვინც ბრძანა 1891-2 წწ-ში ებრაელი მოსახლეობის გაძევება მოსკოვიდან, მოკლულ იქნა ესერების საბრძოლო ორგანიზაციის წევრის ივან კალიაევის მიერ კრემლთან ახლოს, ეტლზე ბომბის სროლის შედეგად 1905 წელს და დიდი მთავარი ადგილზე დაიღუპა. მისმა მეუღლემ კალიაევი ციხეში მოინახულა და ჯვარი გადასცა, თუმცა რევოლუციონერი არ ნანობდა და მომხდარი თავის მოვალეობად მიიჩნია. 1907 წელს ესერებმა ბომბი ესროლეს მოსკოვის გუბერნატორს გერშელმანს Gershlman. მისი ცხენები დაიხოცა, მაგრამ ცივი ამინდის გამო ასაფეთქებელი ნივთიერების ძალა შესუსტებული იყო და გენერალი გადარჩა. ამისდა მიუხედავად, ბომბის მსროლელი ალექსანდრა სევასტიანოვა, მედდა, მაშინვე ჩამოახრჩვეს. ცოტა ხნის შემდეგ ებრაელმა ანარქისტმა მოიშე თოკარმა Moishe Tokar ესროლა გერშელმანს, როდესაც ის ეტლში იჯდა. გერშელმანი ისევ უვნებელი გადარჩა, თოკარი კი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

1905 წელს ბომბი ესროლეს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს ვიცე-ადმირალ დუბასოვს. ესროლეს პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორს

ფონ დერ ლაუნითს von der Launits. სევასტოპოლის კომენდანტი გენერალი ნაპლიევი ბომბით ააფეთქეს. მფრინავი აპარატიც კი დააპროექტეს, ძმები რაიტების Wright brothers მსგავსად, რათა ბომბი ჩაეგდოთ მეფის პეტერბურგის სასახლეში, მაგრამ ტექნიკურად იმ დროს ეს ჯერ შეუძლებელი აღმოჩნდა. 1908 წელს რუსეთის მეფე ეწვია შოტლანდიის ნავსაშენს გლაზგოში, სადაც რუსებისთვის კრეისერი „რიურიკი“ აშენდა. ესერების ორმა ტერორისტმა მიიღო სავინკოვისგან რევოლვერი მეფეზე სუიციდური თავდასხმის განსახორციელებლად, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ გაისროლა.

1881-87 წწ-ში რუსეთში 22 ტერორისტს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ 1907 წელს უკვე 3 000 ტერორისტული აქტი იყო ჩადენილი, რაც გულისხმობდა ყოველდღიურად 18 ადამიანის სიკვდილს.

პოლიციის გადამდგარმა უფროსმა ლოპუხინმა საიდუმლოდ აცნობა ესერებს, რომ მათი ტერორისტების საიდუმლო ჯგუფის დამაარსებელი და მრავალი აქტის ორგანიზატორი აზეფი Azef სინამდვილეში იყო პოლიციის ჯაშუში. სავინკოვის მეთაურობით ჩატარდა შიდაგამოძიება და სასამართლო. დაზუსტებით ვერაფერი დადგინდა. აზეფი საქმიანობას ჩამოაშორეს. მოგვიანებით სტალოპინიც ჩაება თამაშში და აღიარა აზეფის პოლიციასთან თანამშრომლობა, მაგრამ სიმართლე იყო ეს თუ არა, დღემდე უცნობია.

რევოლუციური და კონტრრევოლუციური ექსტრემიზმი იმდენად ძლიერი იყო, რომ ილია მეჩნიკოვი Ilia Machnikov, ცნობილი რუსი მეცნიერი, ვიტესთან პირად საუბრებში ურჩევდა მას მოსკოვში შეეგროვებინა ყველა რევოლუციონერი ორი თვის მანძილზე და ერთბაშად დაეხვრიტა ყველა მათგანი.

გენერალი ივანე დუმბაძე (1851-1916 წწ.) და მისი სამი გენერალი ძმა ცნობილი მონარქისტები იყვნენ. ის გუბერნატორი იყო იალტაში, ყირიმში, მეფის ამალის წევრი და დაჯილდოებულ იქნა სტოლიპინის მიერ, როგორც მონარქიზმის ყველაზე აქტიური მხარდამჭერი. იყო რევოლუციონერების რამდენიმე მცდელობა მისი მოკვლისა. ის თავის ოფიციალურ წერილებშიც კი ითხოვდა რასპუტინის ლიკვიდაციის უფლებას.

რუსეთის ადმინისტრაცია საქართველოშიც სრულიად დეზორგანიზებული გახდა. 1905 წლის რუსეთის რევოლუციამ საქართველოშიც მოაღწია, განსაკუთრებით 22 ოქტომბერს, როდესაც რუსეთის შოვინისტების დემონსტრაცია გადაიზარდა სროლაში და იყო 43 მოკლული, ხოლო 88 დაშავებული.

1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ადგილობრივ სიტუაციას ამძიმებდა სომხურ-თათრული კონფლიქტი. ტოტალური განუკითხაობის თავიდან ასცილებლად გენერალ-გუბერნატორ ვორონცოვ-დაშკოვს არჩევანის საშუალება არ ჰქონდა და მან 500 თოფი დაარიგა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ისიდორე რამიშვილისა და სილიბისტრო ჯიბლაძის Isidore Ramishvili and Silibistro Jibladze უკან დაბრუნების ზეპირი დაპირების საფუძველზე. რუსეთის მეფე ნიკოლოზ II-მ გენერალს მისწერა: „იუსტიციის მინისტრისგან შევიტყვე,

რომ რევოლუციონერებს 500 თოფი გადაეცით, რომლებიც ახლა პოლიციის მაგივრად იცავენ ქალაქს. არ მსურს დავიჯერო ეს გაუგონარი ახალი ამბავი!“ მართლაც, ამ იარაღის ნახევარი უკან დააბრუნეს.

1905 წლის ქაოსის გამო მთელი ძალაუფლება გადაეცა სამხედრო რეჟიმს, რომელსაც სათავეში ედგა გენერალი გრიაზნოვი. მშვიდობის აღდგენას თან ახლდა მასობრივი სროლები. სოციალ-დემოკრატებმა სილიბისტრო ჯიბლაძეს უბრძანეს გენერალ გრიაზნოვის მოკვლა და მან ამ საქმისთვის მოიწვია პროფესიონალი ტერორისტი არშაკ მეგრაბიანცი. 1906 წელს გრიაზნოვი თბილისში ააფეთქეს. 1905 წელს ააფეთქეს პოლკოვნიკი მარტინოვი, თბილისის პოლიცმაისტერი.

ანტიქართული ქმედებების გამო თბილისის რეზიდენციაში 1908 წელს მოკლულ იქნა ეგზარხოსი ნიკონი Egzarkhos Nikon (Exarch, Archbishop). მაგრამ რუსეთის ეკლესიის საწინააღმდეგო ყველაზე ცნობილი აქტი მოხდა 1886 წელს, როდესაც თბილისის სემინარიის რექტორი პაველ ჩუდეცკი Pavel Chudetski დანით იქნა მოკლული ოსი ლაგიევის მიერ (სხვა წყაროების მიხედვით, ლალიაშვილი) Lagiev (Laliashvili). ის არა მარტო კრძალავდა ყველაფერ ქართულს, არამედ ასევე ამორალური კაცი იყო. მას ჰყავდა ცოლად მარიამ მანჯელიუ Menjelieu, რომელიც ეგზარხოსის საყვარელი იყო, და ის ყოველ საღამოს აცილებდა მის ცოლს ეტლამდე, რათა ის მისულიყო თავის საყვარელთან. ასეთი სამარცხვინო საქციელი შეიძლებოდა აეტანათ სადმე სხვაგან, მაგრამ არა კავკასიაში. ჩუდეცკის დაკრძალვაზე ეგზარხოსმა დასწყევლა საქართველო, რაც სასტიკი პროტესტის მიზეზი გახდა. დიმიტრი ყიფიანი, ყველაზე აქტიური პუბლიცისტი, გადაასახლეს სევასტოპოლში და იქ მოკლეს „შემთხვევით“. ის თბილისში დაკრძალეს, როგორც გმირი. ლაგიევი ციმბირში 20 წლით გაგზავნეს. მაგრამ მან მოახერხა სახალინიდან იაპონიაში გაქცევა და 1890 წელს დასახლდა სან ფრანცისკოში. ეგზარხოსი გადაიყვანეს ყაზანში, სადაც მან ჩუდეცკის ქვრივიც წაიყვანა.

საქართველოში პოლიტიკაში, რა თქმა უნდა, ჩაერია კრიმინალიც. საქართველო ცნობილი იყო „ექსპროპრიაციებით“, ანუ ბანკების ძარცვით. და ეს ყოველთვის სახელმწიფო ბანკი იყო, რადგან კერძოები რეგულარულად „ეხმარებოდნენ“ რევოლუციონერებს. პირველი უზარმაზარი ძარცვა მოხდა ყვირილაში და 200 000 რუბლი გაიტაცეს 1905 წელს. ამ ფულით კამომ Kamo (Ter-Petrosian), ცნობილმა სოციალ-დემოკრატ ტერორისტმა, სტალინის მეგობარმა, იყიდა იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერება რუმინეთში და ფოთში ჩამოიტანა. 1906 წელს დახვეწილი ოპერაცია განახორციელეს ქართველმა ფედერალისტებმა. ტერორისტებმა მისწერეს ცრუ წერილი, სადაც ბრძანებდნენ სამხედრო დაცვის გაყვანას დეშეთის სახელმწიფო ბანკის ფილიალიდან. ყალბ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კოლა კარგანოვი Kola Karganov შევიდა პირდაპირ ადგილობრივ შტაბში და გადასცა სამხედრო მეთაურს ეს ბრძანება, რომელმაც გასცა ბრძანება, გაეყვანათ დაცვა. ღამით

ტერორისტები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ ბანკში და 315 000 რუბლი გაიტაცეს.

ამ საქმისთვის დააპატიმრეს იოსებ დავრიშევი Josef Davrishev, ქართველი კათოლიკე, მაგრამ ღამით 25 ტუსაღმა გაამტვრია თბილისის მეტეხის ციხის კედელი და გაიქცნენ. შემდეგ, 1907 წელს, ქართველების ჯგუფი, დავრიშევის ჩათვლით, დააკავა შვეიცარიის პოლიციამ ბაქოდან ბიზნესმენის რეკეტისათვის. მათი ბინებიდან 87 თოფი ამოიღეს. ის გამოაძევეს შვეიცარიიდან და დასახლდა საფრანგეთში, გახდა მფრინავი და მიიღო მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში. ჭრილობის შემდეგ ის მსახურობდა ლაბურჟეს Labourge აეროპორტში და თანამშრომლობდა რამდენიმე საიდუმლო სამსახურთან, საბჭოთა კავშირის ჩათვლით. ის იცნობდა მატა ხარის Mata Khari და სხვა ცნობილ ჯაშუშებს. საოცარია, რომ სტალინმა დაპატიჟა იგი საქართველოში დასაბრუნებლად. დავრიშევი თავის მემუარებში წერდა, რომ სტალინი მისი ნახევარძმა იყო, რადგან მისი მამა, უბნის პოლიციის უფროსი, ხშირად სტუმრობდა სტალინის მამას მისი ლოთობის გამო და კავშირი გააბა მის დედა კეკესთან.

ექსპროპრიაციის სხვა წევრი, ლეო კერესელიძეც Leo Kereselidze, შვეიცარიაში ემიგრაციაში წავიდა. რუსეთის მთავრობამ მოითხოვა მისი დეპორტაცია. სასამართლოს მიერ ეს საქმე გადაიგზავნა ბელგიაში საერთაშორისო სამართლის ექსპერტთან ადვოკატ ერნესტ ნისთან Ernst Niss, რომელმაც შეისწავლა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და დასძნა, რომ საქართველო ოკუპირებული იყო და ქართველების მიერ რუსების წინააღმდეგ ჩადენილი ყველა ქმედება არის „კანონიერი პოლიტიკური მოქმედება“. 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში, ლეო კერესელიძე იყო თურქეთში საქართველოს ლეგიონის Georgian Legion მეთაური, რომელიც გერმანელებმა შექმნეს და რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა. აქვე აღსანიშნავია, რომ მისმა უფროსმა, გენერალმა იოსებ გედევანიშვილმა მიიღო ოქტომბრის რევოლუცია და გახდა ერთ-ერთი პირველი წითელი გენერალი, მოგვიანებით კი – თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი.

I ინტერნაციონალის სესია ლოზუნგებით ინგლისურ, ქართულ და სომხურ ენებზე

1907 წელს ლონდონის მეხუთე სოციალ-დემოკრატიული კონგრესის სხდომამ დაადგინა, რომ უნდა დაგმობილიყო ექსპროპრიაციები, რადგან ეს სისხლის სამართლის დანაშაული იყო. ირონიულია, რომ ამ კონგრესის დასაფინანსებლად ლენინმა სამხედრო ჯგუფს სთხოვა

ექსპროპრიაცია[1]. სტალინ-კომოს ჯგუფმა 1907 წელს ერევნის მოედანზე თბილისში დაბომბა ბანკი და გაიტაცეს 300 000 რუბლი. მხოლოდ ქაღალდის ფული აიღეს, რომელიც სახლებში დამალეს და მხოლოდ თვეების შემდეგ გაუგზავნა კამომ ლენინს ფინეთში. ერევნის მოედნის შემთხვევა მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი. ბევრს ეცადნენ, რათა გამოევლინათ ეჭვმიტანილი. პოლიციის დეტექტივი ბალაბანსკი გაგზავნეს პეტერბურგიდან, რომელიც დეპრესიაში ჩავარდა და თავი მოიკლა. 1908 წელს პილსუდსკიმ Pilsudski (მოგვიანებით პოლონეთის პრეზიდენტი) იგივენაირად ააფეთქა ვარშავა-მოსკოვის მატარებელი.

სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია პირველად გურიაში გავრცელდა. რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი წერდა, რომ „გურულები არიან რუსეთის რევოლუციის მოწინავეები“. იგივე აღნიშნა ლენინმა, ტროცკიმ, პლეხანოვმა. გურია საქართველოს ყველაზე განათლებული მხარე იყო, ვინაიდან უმუშევრობის გამო მამაკაცების უმეტესობა იძულებული იყო, რუსეთში წასულიყო. იტალიელმა მოგზაურმა, ლუგიო ვილარმა დაწერა, რომ „გურიის შორეულ სოფლებშიც კი გაზეთები რეგულარულად იგზავნებოდა თბილისიდან, ბათუმიდან და რუსეთიდან“. 1905 წელს გამოცხადდა გურიის რესპუბლიკა პრეზიდენტ ჩხიკვიშვილის მეთაურობით. გენერალი ალიხანოვ-ავარსკი[2] General Alikhanov-Avarski 1906 წელს ჯართან ერთად გაემართა, რათა წესრიგი აღედგინა რეგიონში. სისასტიკისა და ასობით დახვრეტილის გამო მას რევოლუციონერებმა სიკვდილი მიუსაჯეს და რამდენიმე მცდელობის შემდეგ ის მოკლა გურულმა ვანო ალიხანაშვილმა ალექსანდროპოლში, სომეხ ტერორისტებთან თანამშრომლობით – ცნობილი კამო და მომავალი ცნობილი სომეხი გენერალი დრო General Dro.

საქართველოს დელეგატები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას რუსეთის სამი მოწვევის დუმაში. განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. ნოე ჟორდანიამ, კარლო ჩხეიძემ, აკაკი ჩხენკელმა, კაკი წერეთელმა, ნოე რამიშვილმა Noe Jordania, Karlo Chkheidze, Akakai Ckhenkeli, Kaki Tsereteli, Noe Ramishvili დელეგაციის ლიდერობა ითავეს, სადაც ისინი რუსეთის დელეგაციასთან ერთად იყვნენ იმ დროს, როდესაც ებრაელები, სომხები,

---

[1] სოციალისტი რევოლუციონერების საზღვარგარეთ ცხოვრება და თეორიული მსჯელობები საკმაო თანხებს მოითხოვდა, რამაც შეჩვევა გამოიწვია. რევოლუციის შემდეგ ლენინი ჩიოდა, რომ მოსახლეობა უკმაყოფილია, რომ „ძველი“ რევოლუციონერები მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდნენ და არა „მშრომელთა“ ხალხის გვერდით.

[2] გენერალი დაღესტანში პატივსაცემ პიროვნებად ითვლებოდა, როგორც უფლისწული, წარმოშობით ავარი, ცნობილი მწერალი რუსულ ენაზე, ყურანის მცოდნე, პოლიტიკურად შამილის მტერი. ცარიზმის ეროვნული პოლიტიკა უცვლელი იყო – ეროვნული უმცირესობის ერთი წარმომადგენელი იბრძოდა მეფის ინტერესებისათვის მეზობელ ეროვნულ უმცირესობასთან და პირიქით. კავკასიელები ბალტიისპირეთში, უკრაინელები კავკასიაში და ა. შ.

ბალტიისპირელები და პოლონელები თავის საკუთარ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას აყალიბებდნენ. ამავე დროს, სოციალ-რევოლუციურ პარტიას, რუსეთში უძლიერესს, საქართველოში მიმდევრები არ ჰყავდა. ანარქისტების გამოჩენილი წევრი, რომელთაც ბაკუნინი ხელმძღვანელობდა, იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც პირველად გასამართლდა კარაკაზოვის მიერ მეფე ალექსანდრე II-ს წინააღმდეგ ორგანიზებული წარუმატებელი თავდასხმის მოწყობის გამო 1882 წელს. ილია ჭავჭავაძე, საქართველოს ეროვნული ლიდერი, იყო დამოუკიდებელი წევრი. სოციალ-დემოკრატების მიერ მისი მოკვლის შემდგომ, გასაოცრად, იმავე ხალხმა აირჩია თავადი ერისთავი, ადამიანი, რომელმაც უარი თქვა ქართულად წერა-კითხვაზე, დაპატიმრებული იყო რამდენჯერმე კრიმინალური დანაშაულის გამო და გახდა რუსი შოვინისტური პარტიის წევრის, პურიშკევიჩ-მარკოვის მეგობარი.

რუსეთის იმპერიაში ყველგან აირია ეროვნული პოლიტიკა. ბალტიის ქვეყნებში თავადები იყვნენ გერმანელები და ჰქონდათ ფართო წვდომა საიმპერატორო კარზე, აკრძალული იყო ბიბლიის გადათარგმნა უკრაინულ ენაზე, თავს დაესხნენ ფინეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას და საბოლოოდ გაუქმდა კიდეც, ფინელების გაწვევა დაიწყო არა ეროვნულ გვარდიაში, არამედ რუსეთის ჯარში. ბუხარის საემირო მთლიანად იქნა ასიმილებული. ციმბირი შეგნებულად რჩებოდა ინფრასტრუქტურის გარეშე და აუთვისებელ მხარედ, რადგან აშკარა იყო, რომ ეს სტიმულირებას მისცემდა ჩინეთის ძალების შემოდინებას. ებრაელთა პოგრომები და უფლებების შეზღუდვა გრძელდებოდა. როდესაც ნიკოლოზის მეუღლე ეწვია დედულეთს, დარმშტადში სამკურნალო აბაზანების მისაღებად, ნეიროფსიქიატრიული დაავადებისათვის, ებრაელ ექიმებს არ ჰქონდათ უფლება ემკურნალათ მისთვის.

1917 წლის სიტუაციისგან განსხვავებით, 1905 წელს პოლიტიკური ვითარება დამშვიდდა სამხედრო ძალის გამოყენებით, რადგან არმია წარმოადგენდა რუსეთის პატრიოტული არისტოკრატიის გაწვრთნილ, ორგანიზებულ ნაწილს, ხოლო 1917 წელს პროფესიონალი სამხედროები და ენთუზიასტი სამხედრო თავადაზნაურობა მთლიანად დახოცილი იყო პირველი მსოფლიო ომის პირველი ორი წლის განმავლობაში (2 მილიონი დახოცილი სამხედრო 1914-1916 წწ.) და არმიის მასა შედგებოდა გაუწვრთნელი, გაუნათლებელი გლეხებისგან, რომელთათვისაც უცნობი იყო პატრიოტიზმის ცნება, როგორც ეს ხდებოდა ფრანგი ნაპოლეონის შემოსვლის დროს, როდესაც ისინი იბრძოდნენ მხოლოდ საკუთარი სოფლებისთვის და ტყის გადაღმაც კი არ მიდიოდნენ, რაც საუკუნეების მანძილზე აკრძალული ჰქონდათ მათი ბატონ-პატრონების მიერ.

გერმანიის პოლიტიკა კავკასიაში და პირველი მსოფლიო ომი

პრუსიელი ბისმარკის Bismarck მიერ ორგანიზებული გერმანიის გაერთიანების შემდეგ, 1871 წელს თითქმის ყველა მეზობელი ქვეყანა მისი მტერი გახდა. ამავე დროს, ყველა ევროპელი ერი იბრძოდა გაფართოებისა და კოლონიებისათვის, რომ გამხდარიყო მსოფლიო პოლიტიკის ნაწილი. დაიწყო გერმანიის ინტერესის ზრდა კავკასიის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის მიმართულებით.

ნაპოლეონის ომებისა და ყირიმის ომის 1853-6 წწ. შემდეგ, თურქეთისთვის მიდიოდა დავა საფრანგეთსა და ინგლისს შორის. 1878 წლის იანვარში დამაფიქრებელი გამაფრთხილებელი ფაქტი მოხდა, თურქეთ-რუსეთის ომის დროს, როდესაც რუსეთი გაიჭრა ძალზედ შორს, სან-სტეფანომდე San Stefano (ახლანდელი ათათურქის აეროპორტამდე). ბრიტანეთის კონსერვატორი პრემიერ-მინისტრები ვიკონტი პალმერსტონი The Viscount Palmerston, ბენჯამინ დიზრაელი Benjamin Disraeli და მარკიზი სოლსბერი The Marquess of Salisbury ეხმარებოდნენ თურქეთს რუსეთთან მოლაპარაკებების დროს, რათა დაებრუნებინათ დაპყრობილი ტერიტორიების ნაწილი, მაგრამ 1880 წელს ხელისუფლებაში მოვიდა ლიბერალი უილიამ გლადსტონი William Gladstone (შემდეგ David Lloyd George), ცნობილი თავისი ანტითურქული განწყობით. ეს დაემეტა ბრიტანეთის მიერ კვიპროსის ანექსიას 1878 წელს და დასრულდა ბრიტანეთის ურთიერთობა პორტასთან. და როდესაც ბრიტანეთი და საფრანგეთი (კავკასიისა და შუა აზიის გაყოფის შემდეგ) სტრატეგიულად გაერთიანდნენ რუსეთთან გერმანიის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელებმა გადაწყვიტეს, შეეღწიათ მუსლიმურ სამყაროში. გერმანიის მტრების ყველა მტერი მათი მეგობარი იყო. მათ შორის იყვნენ თურქები და 300 მილიონი მუსლიმი მთელ მსოფლიოში. გერმანელები მათ ჩართულობას მომავალ ომებში მიიჩნევდნენ, როგორც გადამწყვეტ ფაქტორს წარმატებისთვის და ძალზედ სერიოზულად იხილავდნენ.

1889 და 1898 წწ-ში კაიზერი ვილჰელმ II Kaiser Wilhelm II კონსტანტინოპოლში ესტუმრა სულთან აბდულ ჰამიდს Sultan Abdul Hamid, გემით „ჰოჰენცოლერნი“ Hohenzollern და მას დიდი სიხარულით დახვდნენ. 1898 წელს კაიზერი პრუსიის მარშლის უნიფორმით, ამხედრებული, ტრიუმფით შევიდა იერუსალიმში. მან განიზრახა გაეყვანა რკინიგზა ბერლინი-ბაღდადი-ბასრა, მოგვიანებით კი ავღანეთსა და ბრიტანეთის ინდოეთში, რათა კონკურენცია გაეწია რუსეთისთვის, ხოლო ბრიტანეთს დამუქრებოდა. როგორც ბრიტანელებმა იანგარიშეს, რუსეთმა უკვე გაიყვანა ბაქომდე 2 000 კილომეტრიანი რკინიგზა და ახლა მხოლოდ 900 კმ დარჩა ინდოეთამდე (პაკისტანამდე).

გერმანელი ინჟინრები, ვილჰელმ ვან პრესელის Wilhelm von Pressel ხელმძღვანელობიით, და ათასობით თურქი მუშა შეუდგა მუშაობას 1903 წელს, მაგრამ ყველაფერი დაბლოკა რუსეთმა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა

ალექსანდრე იზვოლსკიმ, რომელიც ირანის მიმართულებით რკინიგზის მშენებლობას განიხილავდა, როგორც საომარ საფრთხეს casus beli. ეს რუსეთის არა მარტო ანტიგერმანული პოლიტიკის გამოვლინება, არამედ მისი მუდმივი პოლიტიკა იყო, ხელი შეეშალა ისლამის ქვეყნების განვითარებისთვის და შემდეგ ესარგებლა მათი პოლიტიკური და ეკონომიკური სისუსტით.

1912 წელს კიდევ უფრო მოულოდნელი რამ მოხდა, ვიდრე 1878 წელს, როდესაც რუსები სან-სტეფანოში აღმოჩნდნენ. 1912 წელს ბულგარეთის არმია დაწინაურდა ისე ახლოს ოსმალეთის დედაქალაქთან, რომ ამან რეალური საფრთხე შექმნა რუსი ორთოდოქსების ოცნებისა „მესამე რომის“ შესახებ. რუსეთი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რომ ბულგარელებს აეღოთ კონსტანტინოპოლი და სრუტეები რუსეთის ბატონობის გარეშე. თურქეთში რუსეთის ელჩის მ. გირსის M. Girs ბრძანებების მიხედვით, რუსეთის სამხედრო ფლოტი ოდესაში საგანგაშო მდგომარეობაზე გადავიდა, რაზეც ნიკოლოზ II დათანხმდა, იმ მიზნით, რომ შესაძლოა საჭირო ყოფილიყო „ანარქიის“ ჩახშობა კონსტანტინოპოლში, თუკი ბულგარელები ძალზედ ახლოს მივიდოდნენ. მაგრამ ბალკანელი ერის კოალიცია (ბულგარელები, სერბები, ბერძნები, რუმინელები და სხვა), რომელთაც მოულოდნელად დაამარცხეს თურქები, განადგურდა, როდესაც ბულგარელები თავს დაესხნენ თავის მოძმე კოალიციაში მყოფ სლავებს, რათა რაც შეიძლება მეტი თურქეთის ტერიტორია დაეპყროთ, მაგრამ ძალები ვერ გათვალეს და იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ კონსტანტინოპოლიდან. რუსეთი, როგორც ყოველთვის, ყველას წინააღმდეგ ამღვრევდა წყალს. 1914 წელს სლავური კონკურენტის დასუსტების მიზნით რუსმა საზონოვმა დაიწყო პროვოკაციები, რათა დაებრუნებინა ალბანეთი ოსმალებისთვის, რის გამოც სერბეთი კარგავდა ადრიატიკის სანაპიროზე გასასვლელს.

მსოფლიო პოლიტიკური სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ 1914 წლის ივნისში, ავსტრიელი ჰერცოგის ფრანც ფერდინანდის Archduke Franz Ferdinand მკვლელობა გერმანიის გენშტაბმა მიიჩნია, როგორც „საჩუქარი მარსიდან“ „a gift from Mars“.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყველგან დაიწყო აგენტების გაგზავნა. წყალქვეშა ნავები გაიგზავნა ირლანდიაში, რათა აჯანყება მოეწყოთ ბრიტანეთის წინააღმდეგ. რუსეთში გაგზავნეს რევოლუციონერები (ლენინი და სხვები) დალუქული ვაგონით. ებრაელებს ჰპირდებოდნენ თეოდორ ჰერცლის Theodor Herzl სიონისტური იდეების განხორციელებას. მექსიკას – ტეხასის და არიზონას დაბრუნებას. 1917 წელს გაგზავნილი ციმერმანის ცნობილი ტელეგრამა Zimmermann's telegram ბრიტანეთის დაზვერვამ ჩაიგდო ხელში, მაგრამ მისი პირდაპირ პრეზიდენტ ვილსონისთვის გადაცემა მიუთითებდა, რომ ბრიტანეთმა შეძლო კოდის გაშიფრვა და ტელეგრამის ტექსტი პრესას გადასცა. შემდგომში არტურ ციმერმანმა შინაარსი დაადასტურა, რამაც გამოიწვის აშშ-ის ომში ჩართვა.

რამდენიმე განსაკუთრებული აგენტი გაგზავნეს მუსლიმურ ქვეყნებში:

ალბერტ ოპენჰეიმი Albert Oppenheim ეგვიპტეში წავიდა. იგი პირადად იცნობდა ჰოჰენცოლერნ კაიზერს, როდესაც მსახურობდა არისტოკრატთა გვარდიის ულანის პოლკში. შემდგომში მან ვერ ააწყო კარიერა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში და გაიგზავნა ეგვიპტეში ჯიხადის პროპაგანდისთვის. ოპენჰეიმები იყვნენ ებრაელები, მაგრამ მისი დედა კათოლიკე იყო და იგი მოექცა ქრისტიანად. ბუტროს გალიმ, ეგვიპტის კოპტურ ქრისტიანმა პრემიერ-მინისტრმა, მომავალში გაეროს გენერალური მდივნის ბაბუამ, გააპროტესტა ოპენჰეიმის ისლამური ინტრიგები და იგი მოკლულ იქნა ახალგაზრდა მუსლიმი ფანატიკოსის მიერ. 1937 წელს ოპენჰეიმი დააჯილდოვეს საპატიო ჯვრით, ფიურერის სახელით და, მიუხედავად იუდაიზმის მემკვიდრეობისა, მიიღო „საპატიო არიელის“ სტატუსი. ოპენჰეიმმა შეახვედრა ჰიტლერი იერუსალიმის მუფტის, ალ-ჰუსეინს Al-Husseini, რასების მკვლელობების პიონერს. ლევანტელი არაბებისგან განსხვავებით, მას ჰქონდა ქერა თმა და ცისფერი თვალები, და იგი ჰიტლერის მეგობარი გახდა.

ოსკარ ვან ნიდერმაიერის Oskar von Niedermayer, ტევტონური ტიპის მეომრის, მისია ავღანეთში 1915 წელს უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან ავღანელი ემირ ჰაბიბულაჰი თანახმა იყო, ებრძოლა ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ არარეალური თანხის – 10 მილიონი სტერლინგის სანაცვლოდ. დღევანდელ ამერიკულ დოლარზე ეს იქნებოდა 5 მილიარდი დოლარი. დაბრუნებისას ზუსტად ნიდერმაიერმა პირადად შეადგინა რაპალოს შეთანხმება Rapallo Treaty 1922 წელს, რითიც ეკონომიკურად გადაარჩინა საბჭოთა კავშირი და დაამყარა განსაკუთრებული ურთიერთობა გერმანია-საბჭოთა კავშირთან, როდესაც გუდერიანის ტანკები და გერმანული თვითმფრინავები იქმნებოდა ყაზანსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

ბავარიელი ლეიტენანტ-პოლკოვნიკი კრეს ფონ კრესენშტეინი Lieutenant Colonel Kress von Kressenstein გაგზავნეს, რათა მოემზადებინა ოსმალეთის მე-4 არმია სირიაში, რომ იერიში მიეტანათ სუეცის არხზე. 1915 წელს პოლკოვნიკმა კრესმა 20 000 კაციანი არმია წაიყვანა სინაის უდაბნოს გავლით. არმიის შემადგენლობაში იყვნენ თურქები, გერმანელები, არაბი ბედუინები, ქურთები და ჩერქეზთა ცხენოსნები. მაგრამ მუსლიმთა სოლიდარობა მოჩვენებითი აღმოჩნდა ბრძოლის ველზე და მხოლოდ გამოიხატებოდა ყვირილში „Allahu Akbar“. ზოგიერთი ეგვიპტელი პირდებოდა, რომ კაიროს ციხესიმაგრეზე ასწევდნენ ეგვიპტის დროშას, მაგრამ თანხის გადაცემის შემდეგაც ისინი უდაბნოში გაუჩინარდნენ. მარცხი აშკარა იყო. მორალი შენარჩუნებული იყო მხოლოდ ფონ კრესის შესანიშნავი სიმშვიდის შედეგად. გერმანია-ოსმალეთის მარშმა ეგვიპტეზე სრული კრახი განიცადა.

გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკა მარცხით დასრულდა. საღვთო ომის გამოცხადება ყველა ევროპელის წინააღმდეგ, გარდა ავსტრიისა, უნგრელებისა და გერმანელებისა, თეოლოგიურადაც აბსურდი იყო. ჯიხადის ცნების მიხედვით, ზოგიერთი ქრისტიანის და არა ყველა მათგანის წინააღმდეგ ბრძოლა უაზრო იქნებოდა. მეორე მხრივ, ურწმუნოების დაცვის მიზნით

ბრძოლის შესაძლებლობა მკაცრად არის აღწერილი ისლამის კანონებში და საჭიროებს დაცვის თანხის გადახდას: „There is no such thing as a free lunch for infidels in the Islamic word“. ბრიტანელების ფინანსური შესაძლებლობები გაცილებით მეტი იყო. ლოურენს არაბიელი Lawrence of Arabia იმავე პერიოდში მრავალ მილიონ ფუნტ სტერლინგს ხარჯავდა ისლამის სამყაროში, რაც დღევანდელ ფასებში მილიარდებს უტოლდება.

გერმანიის პოლიტიკა თურქეთშიც კი ახლოს იყო კატასტროფასთან. პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალთა არმიამ 500 000 კაცი დაკარგა და ყველა ადანაშაულებდა გერმანელებს. და ეს იმ დროს, როდესაც თურქ ოფიცრებს არ შეეძლოთ სროლა, ვინაიდან სულთანს პარანოიალურად ეშინოდა თავდასხმისა და ის უკრძალავდა ოფიცრებს სროლაში ვარჯიშსაც კი. ოსმალთა არტილერიის ოფიცრებს არათუ წერა, კითხვაც არ შეეძლოთ, რაც მომავალში შეუძლებელს ხდიდა კრუპის Krupp უახლესი ზარბაზნების ინსტრუქციის გაგებას. შესაბამისად, გერმანელი ინსტრუქტორების (1916 წელს 10 000-მდე) გამოჩენამ უკმაყოფილება გააჩინა. გერმანელ ოფიცრებს სთხოვდნენ, ჩაეცვათ თურქული უნიფორმა, გამოჩნდა ანტი-გერმანული ბროშურები „ქვეყნის გერმანიის კოლონიად გადაქცევის“ შესახებ, დაიწერა, „რომ თურქებმა გერმანელებს იგივე უნდა გაუკეთონ, რაც სომხებს უქნეს“.

გერმანიიდან თურქეთის ბიუჯეტში სუბსიდიებმა შეადგინა დღევანდელი კურსით 1 მილიარდი დოლარი ოქროში ყოველთვიურად, ამას ემატებოდა გერმანიის ბანკის გრანტი ბაღდადის რკინიგზის მშენებლობისათვის (ჯამში 1914-18 წწ-ში, დღევანდელი კურსით 125 მილიარდი დოლარის ეკვივალენტი), რის გასტუმრების არანაირი შანსი არ არსებობდა. ეს იყო თურქეთის ომში მონაწილეობის ფასი – ომის საქმე კი ცუდად მიდიოდა.

რუსებმა რეგიონში პატივისცემა დაიმსახურეს აზიური მენტალიტეტისთვის უფრო გასაგები მკაცრი და აშკარა ქმედებების გამო. იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოეხადათ ისტორიულად ისლამთან დაკავშირებულ შეურაცხყოფებზე, დიდმა მთავარმა ნიკოლოზმა უბრალოდ გაგზავნა კაზაკები თეირანში Teheran 1915 წელს და 25 000 კაციანი ჯარი ენზელში Enzeli. გზად მათ დაიკავეს ჰამადანი, კერმანშაჰი, ისპაჰანი და ქომი Hamadan, Kermanshah, Isfahan and Qom. იმ ირანისა და თურქეთის მუსლიმების გასაგონად, ვინც ჯერ კიდევ ვერ გაიგო ვინ არის რეგიონის ბოსი, 1916 წელს რუსეთის კავკასიის არმია მთელი ფრონტით გადავიდა თავგანწირულ შეტევაზე ოსმალეთის მესამე არმიის წინააღმდეგ. რუსებმა აიღეს ერზურუმის Erzurum ციხესიმაგრე 1916 წლის თებერვალში, აპრილში აიღეს ტრაბზონი Trabzon გენერალ შვარცის General Swartz მეთაურობით.

რუსეთი პირველ მსოფლიო ომში

1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, როგორც ისტორიაში პირველი ნამდვილი ეროვნული და პატრიოტული ომი. თუმცა ყველა ევროპელი მეფე ერთმანეთის ან ბიძა იყო, ან ბიძაშვილი. ეს იყო პირველი ომი, როდესაც ჯარისკაცებს სადა უნიფორმა ეცვათ, რაც განსხვავებული იყო წინა ბრძოლებისგან, როდესაც მეომრებს ემოსათ მკვეთრი ფერის უნიფორმები. დიდი სამედიცინო საოცრება იყო, რომ არ გავრცელდა ჭირი, რადგან, სადაც ჯარისკაცები ცხოვრობდნენ, ვირთხები გვამებს ჭამდნენ, მაგრამ ესპანურმა გრიპმა 20 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა, უფრო მეტი, ვიდრე ბრძოლებში დაიხოცა.

პირველ მსოფლიო ომამდე, 1914 წლის ნოემბერში მეფე ნიკოლოზ II თბილისს ესტუმრა. მას თბილად დახვდნენ მოქალაქეები და ადგილობრივი არისტოკრატია. გამართეს წვეულებების მთელი სერია, სადილები და პარადები, ერთი მხრივ ქართველებმა და მეორე მხრივ სომხებმა.

1915 წელს რუსეთის არმიის მეთაური პირველ მსოფლიო ომის დროს დიდი მთავარი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, იმპერატორ ნიკოლოზ II-ს ბიძაშვილი, დანიშნულ იქნა კავკასიის ახალ გენერალ-გუბერნატორად. 1905 წლის გამოსვლების დროს, დიდმა მთავარმა ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სრულიად რუსეთში სიტუაციის სტაბილიზაციაში და მისმა ენერგიულმა და მკაცრმა ქმედებებმა შეაჩერა ქაოსი. როდესაც მეფე მერყეობდა, გაეტარებინა პრემიერ-მინისტრის ვიტეს მიერ შეთავაზებული რეფორმები, თუ დაემყარებინა სამხედრო დიქტატურა და დიქტატორობა დიდ მთავარ ნიკოლაი ნიკოლაევიჩს შესთავაზა. ზამთრის სასახლეში ემოციური სცენის დროს, ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა დაიმიზნა იარაღი თავში და დაემუქრა, რომ ისროდა, თუ მეფე არ დათანხმდებოდა ვიტეს გეგმას. ეს გადამწყვეტი იყო მეფე ნიკოლოზისთვის და დაარსდა სახელმწიფო დუმა და გატარდა

დიდი მთავარი
ნიკოლაი ნიკოლაევიჩი

მეფე ნიკოლოზ II და უფლისწული ალექსი ნიკოლაევიჩი

წარმატებული რეფორმები. გასაკვირი არ იყო, რომ 1914 წელს 57 წლის დიდი მთავარი ნიკოლოზი რუსეთის ჯარის მთავარსარდლად დაინიშნა და მან პასუხისმგებლობა აიღო ბრძოლის ველზე ისტორიაში ყველაზე დიდი არმიის მართვაზე. 1915 წელს რუსეთის არმიის სტრატეგიული უკან დახევის შემდეგ იგი საპატიოდ გადააყენეს და კავკასიის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა.

ჩამოსვლისთანავე მან მოინახულა ქართული სიონის ეკლესია, შემდეგ სომხური ვანის ტაძარი, შია და სუნის მეჩეთები. ნიკოლოზი ნაციონალისტი, ძალზედ მორწმუნე კაცი იყო. მას ყოველთვის ეცვა კავკასიურ ჩერქეზული კაბა და თითქმის ყველას, პეტერბურგის ელიტასა და საიმპერატორო ოჯახის ოფიცრებს ასეთი ტანსაცმელი ემოსათ.

კავკასიაში დიდი მთავარი ნიკოლოზის საომარი მოქმედებები ბევრად უფრო წარმატებული იყო, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ქართველების მსხვერპლისა და სომხური მილიციის დამსახურებით. 300 ათასი მოხალისე ჩაეწერა კავკასიურ ჯარში მხოლოდ საქართველოდან, მოსახლეობის 13%. პირველი შეტევა 1914 წელს თურქეთის მესამე არმიამ ენვერ ფაშას მეთაურობით წამოიწყო 350 კილომეტრის ფრონტით და დაიკავა ბათუმი და არდაჰანი. რამდენიმე თვეში, 1915 წელს რუსულმა კავკასიურმა არმიამ განახორციელა წარმატებული კონტრშეტევა ოსმალების წინააღმდეგ და აიღეს ერზურუმი და ტრაბზონი, შემდეგ ერზიკანი და თურქეთის სხვა ქალაქები, რათა დაკავშირებოდნენ ბრიტანეთის ჯარს პალესტინაში და მესოპოტამიაში. 1916 წლის ზაფხულისთვის ისტორიული ლაზეთ-ჭანეთისა და ტაო-კლარჯეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი საქართველოს შეუერთდა. ამავდროულად, რუსებმა განახორციელეს ფრონტალური შეტევა ირანის წინააღმდეგ. 25 000-იანმა არმიამ ირანში ოკუპაციაში მოაქცია ენზელი, ჰამადანი, კერმან-შაჰი, ისპაჰანი და ქომი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1 მარტს კავკასიის წარმა-ტებულმა გენერალ-გუბერნატორმა ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა ოფიციალური ტელეგრამა მიიღო, რომ დროებითმა მთავრობამ (კერენსკი, როძიანკო, ჩხეიძე, შულგინი, სხვ.) მიიღო დადგენილება, რომ ნიკოლოზ II-ის ბიძაშვილი, ნიკოლაი ნიკოლაევიჩი გამოძახებულია დროებითი მთავრობის მიერ პეტერბურგში სახელმწიფო სამხედრო საბჭოზე. კავკასიის ბოლო გენერალ-გუბერნატორი დაემშვიდობა თბილისის გუბერნატორს ხათისიანს და ადგილობრივ თავადობას, როგორც მომავალი მეფე, რადგან ელოდა გვირგვინის შეთავაზებას, თუნდაც საკონსტიტუციო მონარქიას, და მატარებლით გაემგზავრა, თუმცა პეტერბურგში ვერ ჩავიდა, ყირიმიდან საფრანგეთში გადაიხვეწა, სადაც გარდაიცვალა.

ამასობაში, ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, ქართველები აგრეთვე რუსეთის წინააღმდეგაც იბრძოდნენ. გარდა ლენინისა, ელზას-ლოთარინგიის Alsace-Lorraine (Elsass-Lothringen) მოქალაქე ქართველები გაიგ-ზავნა საფრანგეთიდან და გერმანიიდან კონსტანტინოპოლში 1914 წელს, რათა გაეძლიერებინათ კავკასიაში რუსების წინააღმდეგ ბრძოლა. ამავე წლის

ოქტომბერში, კონსტანტინოპოლში ჩამოყალიბდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი Georgian Independence Committee გიორგი მაჩაბლის George Machabeli[1] და მიხეილ წერეთლის Mikheil Tsereteli[2] მიერ. საქართველოს დამოუკიდებლობის გასამყარებლად გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II-თან Wilhelm მიმდინარეობდა მოლაპარაკებები იმ მიზნით, რომ დაექორწინებინათ გერმანიის პრინცი იოაჰიმი და ქართველი უფლისწული მარინე მაჩაბელი Prince Joachim with Princess Marine Machabeli. მაგრამ გერმანიის რევოლუციამ ჩაშალა ეს გეგმა.

რამდენიმე გავლენიანმა გერმანელმა გენერალმა, რომლებიც მსახურობდნენ მოგვიანებით ევროპაში პირველ მსოფლიო ომში, მოიპოვა სამხედრო გამოცდილება კავკასიის მიმართულებით და ჰქონდათ პირადი ურთიერთობები ქართველებთან. ფელდმარშალი ბარონი ფონ დერ გოლცი Feldmarshal Baron von der Goltz, რომელიც ხელმძღვანელობდა თურქული არმიის მოდერნიზაციას 1883 წლიდან, დანიშნულ იქნა ოკუპირებული ბელგიის მმართველად. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური რეფერენტი აღმოსავლეთის მიმართულებით იყო ოტო გუნტერ ფონ ვეზენდონკი Otto Gunther von Wesendonck, თბილისის ყოფილი კონსული. გავლენიანი მეცნიერი ჰელმჰოლცი Helmholtz, რამდენიმე წიგნის ავტორი და საქართველოს ისტორიის ლექტორი, ა. ნიკურაძის A. Nikuradze მეგობარი იყო.

მაჩაბელს და წერეთელს გერმანიის მთავრობა აფინანსებდა, მარშალ დერ გოლტცის marshal der Goltz მანქანით ისინი მგზავრობდნენ ევროპის დედაქალაქებში იმ მიზნით, რომ მათ ეღიარებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს ნაკლები კავშირი ჰქონდა ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მთავრობასთან, რადგან ჟორდანია იყო ანტანტის მომხრე და არ სჯეროდა გერმანიის გამარჯვების. მაჩაბელი მოსკოვში გერმანიის ახალ ელჩს მირბახსაც Mirbach ახლდა 1918 წელს, რათა აეძულებინა რუსეთი რეალურად ეღიარებინა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ელჩი მირბახი რამდენიმე თვეში ბლუმკინმა მოკლა.

1916 წელს კაპიტანი გრაფი შულენბურგი Graf von der Schulenburg, თბილისის ყოფილი კონსული, დაინიშნა გერმანიის მიერ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მეთაურად. შულენბურგმა შეადგინა 6 მილიონი რეიხსმარკის ოდენობის ბიუჯეტი, თუმცა მხოლოდ 1 მილიონი მიიღო. ამავე წელს შეიქმნა ქართული ლეგიონი Georgian Legion, მისი ხელმძღვანელობით. ლეო კერესელიძეს Leo Kereselidze ებარა[3] ლაზების და

---

[1] მოგვიანებით, 1921 წ. ის ემიგრაციაში წავიდა აშშ-ში და დააარსა ნიუ იორკში პარფიუმერიული კომპანია „უფლისწული მაჩაბელი“ 1924-35 წწ-ში.

[2] ცნობილი ქართველი მწერალი, შუმეროლოგი, ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი.

[3] ლეო კერესელიძის მოადგილე იყო მაღალოვი (მაღალაშვილი) აგალოვ (აგალასშვილი), რომელიც მუსლიმი მხოლოდ იმის გამო გახდა, რომ უყვარდა სომეხი

ქართველი მუსლიმების (აჭარლების) სამხედრო ჯგუფების ფორმირება და ქართველი ტყვე ჯარისკაცების გერმანიიდან თურქეთში გადმოყვანა, ჯამში 2 000 ადამიანი.

დაწესდა „დედოფალ თამარის ორდენი“, რომელიც დაფუძნებული იყო ვარსკვლავზე და არა ჯვარზე, რადგან ჯვარი მუსლიმების ტრადიციების საწინააღმდეგო იყო. პირველი ორდენი გადაეცა გენერალ-ფელდმარშალ ჰინდენბურგს, შემდგომ გერმანიის პრეზიდენტს, ლუდენდორფს, შემდგომ ჰიტლერის მომხრეს, ლოსოვს, ვინც ჩაახშო ჰიტლერის ბავარიის ლუდის პუტჩი, შულენბურგს, საქართველოს მეგობარს, გალენს, ვიპერტ ფონ ბლუხერს, ირანული ენების სპეციალისტს,ირანში და ფინეთში ელჩს[1] General-Feldmarchal Hindenburg, Ludendorff, Lossow, Schulenburg, Galen, Wipert von Blucher და სხვა.

მაგრამ მათი სამხედრო ოპერაციები პირველი მსოფლიო ომის დროს ძალზედ წარუმატებელი აღმოჩნდა და გადაწყდა ლეგიონის დათხოვა, რადგან თურქები ეჭვობდნენ, თითქოს ქართველები რუსებს ეხმარებოდნენ. ოფიცრები გერმანია-რუსეთის ფრონტზე გადავიდნენ და 1917 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტიც კონსტანტინოპოლიდან ბერლინში გადავიდა. ლეო კერესელიძე 1918 წლის დამოუკიდებლობის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ 1921 წელს ისევ ემიგრაციაში წასვლა მოუწია და გერმანიაში გარდაიცვალა.

რუსეთის რევოლუციები

1917 წ. თებერვლის დემოკრატიული რევოლუცია რუსეთის ეროვნული უმცირესობების აქტიური მონაწილეობით განხორციელდა. როგორც ყოველთვის და ყველგან, ქართველები ორივე მხარეს იყვნენ: თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლება ხელში ჩაიგდო პეტროგრადის საბჭომ ნიკოლოზ ჩხენკელისა და ირაკლი წერეთლის თავმჯდომარეობით, ხოლო დროებითი მთავრობის შემადგენლოდაში შედიოდა ირაკლი წერეთელი, კომუნიკაციების მინისტრი და შემდგომში შინაგან საქმეთა მინისტრი. პეტერბურგში ჩასვლისას ლენინს რკინიგზის სადგურზე დახვდა კარლო ჩხეიძე,

---

ქალი, და თურქეთის ასიმილაციის კანონების მიხედვით, მხოლოდ მუსლიმს შეეძლო ცოლად შეერთო სომეხი.

[1] როგორც ელჩი ფინეთში, იგი წერდა ჰიტლერს, რომ ვინაიდან ფინეთი არ იყო ტოტალიტარული სახელმწიფო, ებრაელების დევნა აქ შეუძლებელია. ეს გაგებით იყო აღქმული ჰიტლერის მიერ. ფინელი ებრაელები ომობდნენ რუსეთის წინააღმდეგ ფინეთის ჯარის რიგებში, მათ შორის გერმანელების გვერდით და ვერმახტის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ფინეთში არსებობდა საველე სინაგოგა. სამი ფინელი ებრაელი დაჯილდოვდა გერმანული რკინის ჯვრით, მაგრამ მათ უარი განაცხადეს.

უსაზღვრო ძალაუფლების მქონე პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე. ლენინი აქ პირველად გამოვიდა მიტინგზე დიდი აუდიტორიის წინაშე. გერმანული ფულით გაზეთ „პრავდა“-ს ტირაჟი და ბოლშევიკების აქტიურობა მკვეთრად გაიზარდა. ამგვარად, ფართო მასებისათვის უცნობი ლენინი ასეთი მაღალი დონის დახვედრით ერთბაშად გახდა რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი. ედვარდ რაძინსკი წერს, რომ ეს იყო სტალინის დამასახურება, რომელმაც შეხვედრაზე მოიყვანა ქართველი ჩხეიძე და ეს ლენინმა მას დაუფასა. 1917 წლის მაისში სტალინი შევიდა ბოლშევიკების პარტიის ბიუროში (ლენინი, კამენევი და ზინოვიევი). მალე ამერიკიდან ჩამოვიდა ტროცკი და დაემატა ბიუროს (შემდგომ პოლიტბიურო).

გერმანელების დაფინანსებით გათამამებულმა ლენინმა დაიწყო დაპირისპირება დროებით მთავრობასთან. დროებითი მთავრობის ქართველი მინისტრები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში და, ამავე დროს, სტალინს მათთან კავშირი ჰქონდა. 4 ივლისს ბოლშევიკ-პროპაგანდისტებმა შეძლეს დაერწმუნებინათ კრონშტადტის გარნიზონის განარკომანებული სამხედრო მეზღვაურეები, რომ დროებითი მთავრობა მათ ფრონტზე გაგზავნას უპირებდა და მათ ასობით დახვრიტეს თავიანთი ოფიცრები და ადმირალები, შევიდნენ დედაქალაქში და დაიწყეს მოსახლეობის ძარცვა და ხოცვა-ჟლეტა. დამატებით, გერმანელებმა კრონშტადტის მეზღვაურებს ხელში ჩაუგდეს მორფინით დატვირთული გემი და მთელი შემადგენლობა განარკომანდა. მაგრამ დროებითი მთავრობის სამხედრო ნაწილები ფრონტიდან დროზე შემოვიდნენ და ბანდიტები გაანადგურეს.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა იატაკქვეშეთში გადავიდა ან დააპატიმრეს, სტალინის გარდა. ტროცკი და ლუნაჩარსკი დაიჭირეს, ლენინი და ზინოვიევი გადავიდნენ არალეგალურ მდგომარეობაზე. დარჩა პარტიის ერთადერთი ლიდერი სტალინი. ედვარდ რაძინსკი ამას ქართველების (ჩხეიძე, წერეთელი, გეგეჭკორი[1]), მფარველობით ხსნის.

საერთო სიტუაცია რუსეთში უარესდებოდა. შტაბის უფროსი კორნილოვი მოითხოვდა კერენსკისგან ნებართვას, რომ ჯარით შემოსულიყო პეტროგრადში და დაემყარებინა წესრიგი. კერენსკის შეეშინდა, რომ ამის შემდეგ კორნილოვი მასაც მიადგებოდა და იგი პუტჩისტად გამოაცხადა. მასთან ბრძოლაში ესერები, მენშევიკები და ბოლშევიკები გაერთიანდნენ. პუტჩის ჩახშობის შემდეგ ბოლშევიკი ლიდერები გათავისუფლდნენ.

1917 წლის 9-10 ოქტომბერს პეტროგრადის საბჭოში ბოლშევიკებმა უმრავლესობა მოიპოვეს და (ჩხეიძის და წერეთლის შემდეგ) თავმჯდომარე

[1] გეგეჭკორის („ხალხის მტრის“) დისშვილი შემდეგ გახდა ბერიას ცოლი. ასევე მისი შვილის გერმანული ენის მასწავლებელი გერმანელი ქალი ცხოვრობდა ბერიას ოჯახში ყოველგვარი გადასახლებისა და რეპრესიების გარეშე. მისი გერმანელი ძმა იყო ერთ-ერთი სამხედრო ქარხნის დირექტორი ციმბირში.

ტროცკი ხდება. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) წითელ ლატვიელმა მსროლელებმა, ფინეთის არმიის ქვედანაყოფებმა, ბუნდის ლიდერებმა, რამდენიმე ქართველმა და სომეხმა რევოლუციონერმა გერმანიის სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენლის პარვუსის Parvus მითითებებით განახორციელეს ბოლშევიკური რევოლუცია და ბოლშევიკი ჯარისკაცები იღებენ ზამთრის სასახლეს, დროებითი მთავრობის რეზიდენციას. სტალინმა, ორჯონიკიძემ, ენუქიძემ და სხვა ქართველებმა დაიკავეს წამყვანი პოზიციები[1]. კერენსკი მიიმალა. ბოლშევიკებმა დახურეს ყველა ოპოზიციური გაზეთი და დეკემბერშივე შეიქმნა ჩეკა პოლონელი ძერჟინსკის მეთაურობით. რუსეთის ჯარის შტაბს სტალინმა უფროსად წარუდგინა პრაპორშიკი კრილენკო და მეფის გენერალი დუხონინი იქვე დახვრიტეს.

ქართველი რევოლუციონერები ყველაზე გავლენიანები იყვნენ, მაგრამ მეფის სამსახურშიც ქართველი ოფიცრობა იყო გამოჩენილი. ზოგიერთო წყაროს მიხედვით, ნიკოლოზ II-ს დედა მარია ფიოდოროვნა იყო კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ იმპერატორის კარზე ბევრი ქართველი იმყოფებოდა. 1888 წელს მეფე ალექსანდრე III, მეფე ნიკოლოზ II-ს მამა, მეუღლესთან მარია ფიოდოროვნასთან Maria Fiodorovna ერთად სტუმრობდა საქართველოს. 1888 წლის 28 სექტემბერს რუსეთის მეფე ესტუმრა საქართველოს. მან გემით შემოვიდა სოხუმში და ეწვია ქუთაისს, თბილისს, წინანდალს, ბაქოს და ბათუმიდან უკან დაბრუნდა. აფხაზი თავადი შერვაშიძე თბილისის ვიცე-

---

[1] ცნობილი ლიდერების გარდა პეტერბურგში უამრავი ფარული პირი მოქმედებდა. რასპუტინის Rasputin საუკეთესო მეგობარი, რომელიც ყველა სამეფო კარის ჭორს ფლობდა, იყო თავადი ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) Andronikov (Andronikashvili). ის და რასპუტინი გაესაუბრნენ გორემიკინს მის პრემიერ-მინისტრად დანიშვნამდე, ისევე, როგორც შინაგან საქმეთა მომავალ მინისტრს ხვოსტოვს და მის მოადგილეს ბელეცკის. კონსტანტინოპოლში რუსეთის იმპერიის ელჩი წერდა, რომ უცხოელი დესპანები მას ეკითხებოდნენ: „ვინ მართავს რუსეთს – მეფე ნიკოლოზი, მისი მეუღლე, რასპუტინი, თუ ვინმე ანდრონიკოვი?“ თუმცა რასპუტინმა და მისმა არჩეულმა მინისტრებმა მას მალევე უღალატეს. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ანდრონიკოვი უკვე კრონშტადტის ჩეკას უფროსად დაინიშნა და ახლა მისი ჯერი იყო შური ეძია პატიმრობაში მყოფ მინისტრებზე, და ისინი დახვრიტეს წითელი ტერორის დროს კაპლანის ლენინზე თავდასხმის შემდეგ, 1918 წელს. მაგრამ მალე ის თავად იყო ლიკვიდირებული ძერჟინსკის Dzerjinski მოადგილის, თბილისში დაბადებული უკრაინელის გლებ ბოკის Gleb Bokii მიერ, რომელიც შემდგომ გახდება წითელი გულაგის დამაარსებელი, ცეკას წევრი.

დაუდასტურებელი ცნობებით ქართველები მონაწილეობდნენ რასპუტინის მკვლელობაშიც, მაგრამ რაც ნამდვილი ამბავია, რასპუტინის მკვლელობის ერთ-ერთი პირველი მცდელობა განახორციელა რასპუტინის ქალიშვილის საქმრომ, ქართველმა ოფიცერმა სიმონ ფხაკაძემ. 1915 წელს გრაფ ტოლსტოის სახლში პეტერბურგში, წვეულების დროს ფხაკაძემ რევოლვერი უკნიდან დაუმიზნა, მაგრამ მოულოდნელად ის შემოტრიალდა. ახალგაზრდა სიმონს ისე შეეშინდა, რომ საკუთარ თავს ესროლა.

გუბერნატორი იყო. შერვაშიძისა და იმპერატრიცას პირველ შეხვედრაზე თავადმა აჩუქა საუკეთესო არგენტინული ყვავილები. 1894 წელს მეფე ალექსანდრე გარდაიცვალა და მისმა მეუღლემ სამ წელიწადში თავისი აფხაზი მეგობარი დანიშნა პირადი კანცელარიის ხელმძღვანელად. არ არსებობს წერილობითი დოკუმენტაცია მათი პირადი ურთიერთობის შესახებ, მაგრამ მეფე ნიკოლოზი ძალზედ აფასებდა მას, ხშირად ერთად სადილობდნენ და 1903 წლიდან წყვილმა საზოგადოებაში გამოჩენა დაიწყო. დიპლომატები და ევროპელი სამეფო დინასტიები მათ აღიარებდნენ, როგორც მორგანატიკულ მეუღლეს. მხოლოდ 1917 წლიდან მოქალაქე რომანოვა და მოქალაქე შერვაშიძე ბოლომდე თავისუფალნი გახდნენ, მაგრამ შერვაშიძე 1918 წელს გარდაიცვალა. მეფის მეუღლე კი დაიღუპა 1928 წელს, არასდროს სჯეროდა, რომ მისი ვაჟი ნიკოლოზი და ოჯახი უკვე აღარ იყვნენ და ის მათზე ლაპარაკის დროს ყოველთვის აწმყო დროში საუბრობდა.

შერვაშიძეები რუსეთის მეფის კარზე კიდევ უფრო ადრე მსახურობდნენ ერთგულად. 1862 წელს აფხაზეთის საბოლოოდ ანექსიის შემდეგ, ტრადიციულად, უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე გადაასახლეს რუსეთში და აღარასოდეს უნახავს აფხაზეთი. აფხაზეთმა სასტიკი რეპრესიები გადაიტანა, როდესაც რუსი გენერალი კონიარი Koniar მოკლეს ლიხნში. პოლონეთში შერვაშიძემ გაიცნო იქაური გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრე ბარიატინსკი, დაღესტნელი ჩეჩენი შამილის დამატყვევებელი. ყოველ წელს მეფე ალექსანდრე II სტუმრობდა ბარიატინსკის და წვეულებაზე ქალიშვილი ბაბო შარვაშიძე დაუმეგობრდა ახალგაზრდა ალექსანდრე III-ს, მომავალ მეფეს. ბაბო გახდა მეფის დედის მხლებელი და ძმა გიორგი ალექსანდრე III-ის ადიუტანტი, მისი გამეფების შემდეგ. 1910 წელს ერთ-ერთი წვეულების დღეს უფლისწულის ოლდენბურგის სახლში, გაგრაში, ერთ-ერთი სტუმრის პალტო მოიპარეს, გერმანულმა გაზეთმა „Berliner Tagesbladt“ დაწერა სტატია „არაცივილიზებული ქვეყნის საქართველოს“ შესახებ. სწორედ გიორგი შერვაშიძე იყო, ვინც საპასუხო წერილში აღწერა საქართველოს ძველი ისტორია. მას მიეცა შესაძლებლობა, ენახა სოხუმი მხოლოდ რევოლუციის შემდგომ, სადაც დაიღუპა 1818 წელს.

ამასთან ერთად კავკასიელების დაახლოებას საიმპერატორო კართან იმპერატრიცა, ნიკოლოზ II-ის დედა, ხელს უწყობდა იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო მათ პირად ლოიალობაში, რომ ისინი დაეხმარებოდნენ ნიკოლოზის შემდეგ მის მეორე შვილს გიორგის გვირგვინის მოპოვებაში. პრობლემა ის იყო, რომ მეფე ნიკოლოზ II-ს ზედიზედ ოთხი გოგო ჰყავდა და უფლისწული ალექსი ჰემოფილიით დაიბადა. რუსეთის კარზე მოსალოდნელი იყო დავა, თუ ვინ გააგრძელებდა მეფობას. გიორგიმ ტუბერკულოზის გამო რამდენიმე წელი ლიკანში გაატარა, საქართველოს მთიან კურორტში, სადაც კავკასილების პირადი დაცვის ქვეშ იმყოფებოდა და მათ დაუახლოვდა. გიორგის ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ კავკასიელები ბოლომდე

ერთგულნი დარჩნენ ნიკოლოზ II-ის და მისი შვილის მიმართ. ყველა რევოლუციის კრიტიკულ დღეების დროს მხოლოდ კავკასიელი ოფიცრები მეთაურობდნენ ბადრაგს. არავინ იცოდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, კავკასიელები რომ მეფის გვერდით ყოფილიყვნენ, როდესაც მან ტახტიდან გადადგომაზე ხელი მოაწერა. 1915-16 წლებში მეფე პეტერბურგიდან გავიდა და მოგილიევში სამხედრო შტაბში ცხოვრობდა ისე, რომ დედაქალაქში კატასტროფულ მდგომარეობას რეაგირების გარეშე ტოვებდა. ხოლო მისი პირადი დაცვა ოჯახთან და უფლისწულთან იყო. ბოლო დღეებში მეფე კი ცდილობდა ოჯახთან ჩასვლას, მაგრამ მისი მატარებელი რამდენჯერმე გააჩერეს რევოლუციონერებმა და ბოლოს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც გზაში, ფსკოვში ხელი მოაწერა გადადგომას[1] 1917 წლის 15 მარტს, მას მიეცა საშუალება ჩასულიყო ცარსკოე სელოში, თავის ოჯახთან.

1917 წელს პოლკოვნიკი ივან რატიევი (რატიშვილი) ბოლშევიკების შტურმის დროს ზამთრის სასახლის კომენდატი იყო. ის და მისი 16 წლის ვაჟი პირადად იცავდნენ მეფის ძვირფასეულობას და ისეთი პატივი მოიპოვეს, რომ ამ ძვირფასეულობის დაცვა ბოლშევიკებმაც დაავალეს. ლენინმა მას უწოდა „მეგობარი თავადი“. მოგვიანებით მას დაენიშნა დიდი პენსია და თბილისში ცხოვრობდა 1958 წლამდე.

ქართველი გენერლები ბოლომდე ლოიალურნი იყვნენ მეფის მიმართ: აფხაზი, ამილახვარი, ანდრონიკაშვილი, ბარათოვი, ბაგრატიონი, ჭავჭავაძე, დუმბაძე, გაბაშვილი, იმერეტინსკი, ყაზბეგი, მაყაშვილი, მაზნიაშვილი, ორბელიანი, ოდიშელიძე, ციციანოვი, წულუკიძე და სხვები. Generals Abkhazi, Amilakhvari, Andronikashvili, Baratov, Bagration, Chavchavadze, Dumbadze, Gabashvili, Imeretinskiy, Kazbegi, Makashvili, Mazniashvili, Orbeliani, Odishelidze, Tsitsianov, Tsulukidze and others

1917 წლის რევოლუციების დროს ეროვნული უმცირესობების საიდუმლო ორგანიზაციები წარმატებით გამოიყენა გერმანიის დაზვერვამ, რომ რუსეთი ომიდან გამოსულიყო. პარვუსმა (ჰელპჰენდმა) Parvus (Helphand), ოდესაში დაბადებულმა და გერმანიაში განათლებამიღებულმა მეორე ინტერნაციონალის ლიდერმა, გერმანიის გენერალურ შტაბში წარადგინა მოხსენება, სადაც სულ

[1] ნიკოლოზმა მეფობა თავის ძმას მიხეილს გადასცა, კავკასიური კავალერიის მეთაურს, რომელიც იყო თავისი მეუღლის მესამე ქმარი. მეორე ქმარი, რომელიც საჯაროდ იმუქრეოდა ცოლის გაშორების შემთხვევაში თავის მოკვლით, დათანხმდა მომავალი მეფე ნიკოლოზის მიერ შეთავაზებულ 200 ათასს რუბლს და გაშორდა მეუღლეს. მაგრამ მათმა დაქორწინებამ ვენაში, რუსეთის სამეფო კარზე სასტიკი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და მან დაკარგა უფლება გამხდარიყო მეფე. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დროს პირადი მამაცობის გამო ოჯახური კავშირები აღდგა. 1918 წელს ბელშევიკებმა ის დააპატიმრეს და დახვრიტეს თავის მდივანთან ერთად პერმში, ხოლო შემდეგ დახვრიტეს მეფე ნიკოლოზი მთელი თავისი ოჯახით, ექიმით და მსახურებითურთ.

რამდენიმე ფურცელზე აღწერდა გეგმას, თუ როგორ შეიძლებოდა რუსეთში საზოგადოებრივი დესტაბილიზაციის გამოწვევა რუსეთის ომიდან გამოთიშვის მიზნით. გეგმა საჭიროებდა მხოლოდ რამდენიმე მილიონ გერმანულ მარკას, რაც სოციალისტური რევოლუციის ორგანიზაციას უნდა მოხმარებოდა. ლენინი და მისი კომპანია (მისი საყვარლის ანა არმანდისა და მეუღლე კრუპსკაიას ჩათვლით) გადაიყვანეს დალუქული ვაგონით გერმანიის ტერიტორიის გავლით და ის წარმატებით ჩაინერგა რუსეთის პოლიტიკაში. ლატვიელთა გვარდიისა და ფინეთის ჯარის დახმარებით რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა, რამდენიმე ქართველი ლიდერის ჩათვლით, დაამყარეს კონტროლი პეტერბურგზე 1917 წელს. ლატვიელი მსროლელები[1] იცავდნენ რუსეთის რევოლუციურ მთავრობას. ზოგიერთი ავტორის ცნობით, პეტერბურგში მოქმედებდნენ ფინეთის სპეციალური ოპერაციების რაზმები ინგლისელი მზვერავების მეთაურობით, ეგრეთ წოდებული „მუნჯი“ ჯარისკაცები, რადგან ისინი ლაპარაკს თავს არიდებდნენ უცხოური წარმოშობის დამალვის მიზნით.

ახლა ინგლისის საიდუმლო სამსახურის ჯერი იყო, ემსახურათ თავიანთი ქვეყნისთვის. ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმება მიჩნეული იყო ანტანტას მიერ, როგორც ღალატი და ინგლისმა გაგზავნა თავისი სუპერაგენტი სიდნი რეილი[2]

---

[1] პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, ლატვიელი კავალერიის შენართები დაარსდა რუსეთის სამეფო არმიაში. ათი ათასობით ლატვიელი ომში გაიწვიეს. 1915 წლიდან 1917 წლამდე ლატვიელი მსროლელები იბრძოდნენ რუსეთის არმიაში გერმანელების წინააღმდეგ მდინარე დაუგავასთან. დაახლოებით 20 000 ლატვიელი ჯარისკაცი დაიღუპა, დაიჭრა ან ტყვედ აიყვანეს. მძიმე დანაკარგებმა გამოიწვია უკმაყოფილება რუსი გენერლებისა და მეფის წინააღმდეგ და 1917 წელს ლატვიელმა ლეგიონებმა მხარი დაუჭირეს ბოლშევიკებს. ისინი ცნობილნი გახდნენ, როგორც წითელი ლატვიელი მსროლელები, აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას რუსეთის სამოქალაქო ომში და წარმოადგენდნენ ბოლშევიკი რევოლუციონერების პირად პრეტორეანულ დაცვას სმოლნის სასახლეში და შემდგომ კრემლში. ესტონელ და ლიტველ მსროლელებთან ერთად, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ანტიბოლშევიკური აჯანყებების ჩახშობაში 1918 წელს და იბრძოდნენ დენიკინის, იუდენიჩის და ვრანგელის წინააღმდეგ. 1919 წელს ლატვიელი მსროლელი Jukums Vācietis გახდა რუსეთის წითელი არმიის პირველი მთავარსარდალი. მაგრამ რაც ლატვია დამოუკიდებელი გახდა, 12 000 ყოფილი წითელი მსროლელი დაბრუნდა სამშობლოში.

[2]

სიდნი რეილი (სოლომონ როზენბლუმი) **Sidney Reilly** (Solomon Rosenblum) დაიბადა ებრაულ ოჯახში ოდესაში. 1896 წელს რეილი დასახლდა ინგლისში და შექმნა ოზონის კომპანია, რომელიც სასწაულებრივად კურნავდა. ენების ცოდნამ, რეილი გახადა ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის ფასიანი ინფორმატორი. რუსეთის პორტ არტურზე იაპონიის ფლოტის მოულოდნელი ღამის თავდასხმა, სავარაუდოდ, შესაძლებელი გახდა სიდნი რეილისა და ერთ-ერთი ჩინელი ინჟინრის მიერ მოპოვებული სადაზვერვო მონაცემების

Sidney Reilly რუსეთის ტერორისტ ბორის სავინკოვთან[1], რათა მოეწყოთ

წყალობით, რომლებმაც, სავარაუდოდ, მოიპარეს პორტ არტურის დაცვის გეგმა. შესაბამისად, იაპონურმა გემებმა თავიდან აიცილეს დანაღმული ადგილები და მოულოდნელად მიუახლოვდნენ რუსეთის გემებს.

1909 წელს რეილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სპეცოპერაციაში, რომლის შედეგადაც შოტლანდიელმა ბიზნესმენმა უილიამ კნოქს დარსიმ William Knox D'Arcy ირანის ხელისუფლებისგან ახლად შეძენილი ნავთობის კონცესცია მიყიდა ბრიტანეთის მთავრობას და არა საფრანგეთის როტშილდებს და ამით დაარსდა ცნობილი ბრიტიშ პეტროლეუმი BP. 1901 წელს შაჰ ყაჯართან 20 000 ფუნტის გადახდის შემდეგ დარსიმ მიიღო უფლება და დაიწყო ირანში ნავთობის მოძიება. 1907 წელს მან უკვე 500 000 ფუნტი დახარჯა უშედეგოდ და მზად იყო ბანკროტად გამოცხადებულიყო, მაგრამ უეცრად 360 მეტრის სიღრმიდან ნავთობმა ამოხეთქა. კათოლიკე მღვდლად გადაცმულმა რეილიმ მოახერხა როტშილდის იახტაზე მოხვედრა და საიდუმლოდ დაარწმუნა დარსი შეეწყვიტა მოლაპარაკებები საფრანგეთთან და დაბრუნებულიყო ლონდონში. ლოკარტის მიხედვით: „სიდნი რეილი ებრაული არტისტული ტემპერამენტისა და ირლანდიული დიაბოლიკური სიხისტის ნარევი იყო".

1918 წელს ინგლისის ელჩი რობერტ ლოკარტი და საიდუმლო სამსახურის აგენტი რეილი განუწყვეტლივ ხვდებოდნენ ბორის სავინკოვს, ანტიბოლშევიკური გადატრიალების მომავალ მეთაურს. რეილიმ დაგეგმა გადატრიალება ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, ლატვიელი მსროლელების მხარდაჭერით, რომლებიც იყვნენ ბოლშევიკების პრეტორიალური გვარდიელები და ევალათ კრემლის უსაფრთხოება. სანამ მზადდებოდა გადატრიალება, 1918 წლის აგვისტოში ინგლისმა დესანტი გადასხა არხანგელსკში, რათა თავიდან აეცილებინათ გერმანიის მიერ მოკავშირე რუსეთისთვის დასახმარებლად გამოგზავნილი სამხედრო მარაგის ხელში ჩაგდება, რომელიც ამ რეგიონში იყო დასაწყობებული. შურისძიების გამო ბოლშევიკებმა დაარბიეს ბრიტანეთის დიპლომატიური მისია ზუსტად იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა რეილის მიერ მოწყობილი საიდუმლო შეხვედრა ანტიბოლშევიკ ლატვიელებთან, სავნიკოვთან და ლოკარტთან (Cook 2004 წ.). ამას გარდა, იმავე დღეს, 1918 წლის 30 აგვისტოს, მოისეი ურიცკის, პეტროგრადის ჩეკას მდივანს, ესროლეს და ფანი კაპლანმა, სოციალ-რევოლუციური პარტიის წევრმა, ესროლა და დაჭრა ლენინი. ამ მოვლენების გამო ჩეკამ დაიწყო „წითელი ტერორის" ფართომასშტაბიანი კამპანია. ათასობით პოლიტიკოსი ოპონენტი იყო მოკლული. რეილის დაგეგმილი გადატრიალება ჩაიშალა. კომუნისტებმა რეილის დაუსწრებლად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ ეს მას ვერ გააჩერებდა. რეილი მალევე კვლავ ფარულად შემოვიდა რუსეთში, მაგრამ 1925 წელს დაიჭირეს და დახვრიტეს. იან ფლემინგმა გამოიყენა რეილი, როგორც ჯეიმს ბონდის პროტოტიპი.

[1]

ბორის სავინკოვი **Boris Savinkov** 1903 წელს გახდა სოციალ-რევოლუციური პარტიის საბრძოლო ორგანიზაციის უფროსის მოადგილე, ხოლო უფროსი იყო ლეგენდარული ევნო აზეფი Yevno Azef. აზეფის მეთაურობით ესერებმა რამდენიმე ცნობილი ტერორისტული აქცია მოაწყვეს, მათ შორის რუსეთის შინაგან საქმეთა ორ მინისტრზე: სიპიაგინზე 1902 წელს ბომბის სროლით იგორ საზონოვის მიერ, და დიდ მთავარზე სერგეიზე, მოსკოვის კომენდანტზე, მეფე ნიკოლოზ II-ის დისწულზე, და რამდენჯერმე სცადეს მეფის მოკვლა. უეცრად, 1908 წელს გამოაშკარავდა, რომ აზეფი ყოფილა

რუსეთში სახელმწიფოში გადატრიალება ინგლისის ელჩის ლოკარტის[1] Lockhart მეთაურობით. განხილული იყო რამდენიმე კანდიდატი, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთის რევოლუციის სათავეში: იაკობ სვერდლოვი[2]

ჟანდარმერიის აგენტი და მისი გასამართლების შემდეგ სავინკოვი გახდა საბრძოლო ორგანიზაციის მეთაური. რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ფონ პლევეს და დიდ მთავარ სერგეი ალექსანდროვიჩის მკვლელობის ორგანიზებისთვის სავინკოვი დაკავებული იყო 1906 წელს და მას სიკვდილი მიუსაჯეს. მან მოახერხა ციხის სხვენიდან გაქცევა ოდესაში და ემიგრაციაში წავიდა. საფრანგეთში სავინკოვი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, როგორც მოხალისე. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ის დაბრუნდა რუსეთში და გახდა სამხედრო მინისტრის თანაშემწე კერენსკის მთავრობის შემადგენლობაში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლეგენდარული ბრიტანული საიდუმლო სამსახურის აგენტთან, სიდნეი რეილისთან ერთად, ის ჩართული იყო კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში ბოლშევიკების წინააღმდეგ. ჩერჩილი სავინკოვს უწოდებდა „ლოკარტის რუს მეგობარს“. საბოლოოდ ის დააპატიმრეს, სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ მეფის წინააღმდეგ მისი ტერორისტული დამსახურების გათვალისწინებით, სასჯელი შეიცვალა 10 წლიანი პატიმრობით. ენკავედეს ცნობით, მან თავი მოიკლა, ფანჯრიდან გადახტა ლუბიანკას ციხეში 1925 წელს. მაინც, ალექსანდრე სოლჟენიცის და სხვათა მიხედვით, სავინკოვი ციხეში მოკლეს ოგეპუს ოფიცრებმა. პროფესორ ვარშავსკის მოხსენების მიხედვით, 1980 წელს, რომელიც მუშაობდა საიდუმლო პოლიციაში იმ წლებში, სავინკოვს ძერჟინსკის ბრძანებით აძლევდნენ ალკოჰოლს და ნარკოტიკებს.

1

სერ რობერტ ბრიუს ლოკარტი **Sir Robert Bruce Lockhart** (1887-1970 წწ.) იყო ბრიტანეთის კონსული მოსკოვში რუსეთის რევოლუციის პერიოდში, 1917 წელს. იგი დაიბადა შოტლანდიაში და მისი წინაპრები იყვნენ ბრუსი, ჰამილტონი, კამინგი, ვალასი და დუგლასი Bruces, Hamiltons, Cummings, Wallaces and Douglases. ის ამტკიცებდა, „ჩემს ძარღვებში ერთი წვეთიც არ ჩქეფს ინგლისური სისხლიო“. პირველი სპეციალური დავალება მან 1918 წელს პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯისგან მიიღო, რომ მას დაეყოლიებინა ახალი საბჭოთა მთავრობა, ნებადაერთო იაპონიის არმიისთვის საბჭოთა ტერიტორიაზე ებრძოლა გერმანიის წინააღმდეგ. ეს მისია შეუსრულებადი აღმოჩნდა. 1918 წელს სიდნი რეილისთან ერთად ის ორგანიზებას უწევდა ანტიბოლშევიკურ გადატრიალების, რის გამოც რუსებმა დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს. შემდეგ კი გაცვალეს რუს დიპლომატზე მაქსიმ ლიტვინოვზე. მეორე მსოფლიო ომის დროს, ჩერჩილის დავალებით, ის ჰიმლერის ლიკვიდაციის ორგანიზებას ახორციელებდა.

2 იაკობ სვერდლოვი **Yakov Sverdlov** 1914-16 წწ-ში გადასახლებაში იყო თურუ-ხანსკში, ციმბირში, იოსებ სტალინთან ერთად. ის იყო ოქტომბრის რევოლუციის აქტიური ორგანიზატორი და რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, სანამ მისი გრიპით გარდაცვალების დრო არ მოვიდა 1918 წელს. სვერდლოვი იყო მთავარი სულისჩამდგმელი წითელი ტერორისა. მან გასცა მეფე ნიკოლოზ II-ის ოჯახთან ერთად ლიკვიდაციის ბრძანება 1918 წელს, ვინაიდან ქალაქს უახლოვდებოდნენ ჩეხოსლოვაკი ლეგიონერები, ხოლო ინგლისის მეფემ უარი განაცხადა მის მიღებაზე რევოლუციის პროვოცირების

Jakov Sverdlov, მისი ძმა იმ დროს იყო საფრანგეთის მთავრობის მინისტრი; ტროცკი[1] Trotsky, საბჭოთა არმიის მეთაური; ზინოვიევსა და კამენევს Zinoviev-Kamenev მხარს უჭერდა მოისეი ურიცკი Moisei Uritski, საიდუმლო პოლიციის

შიშით, გერმანიაში და ავსტრია-უნგრეთში რევოლუციები მიმდინარეობდა, ხოლო საფრანგეთი რესპუბლიკა იყო. ეს ბრძანება იუროვსკის ეკატერინბურგში კომისარმა გოლოშჩიოკინმა ჩაუტანა, იაკობ სვედლოვის ახლო მეგობარმა და თანამშრომელმა, მაგრამ აქციაში მონაწილეობა არ მიუღია. დახვრეტის რაზმის უმეტესობა რუსი იყო. იაკობ სვერდლოვი, იუროვსკი და გოლოშჩიოკინს შორის მხოლოდ იუროვსკი მონაწილეობდა აქციაში, როგორც აქციის ხელმძღვანელი. სამმა ლატვიელმა უარი თქვა ბოლო მომენტში აქციაში მონაწილეობაზე, თუმცა ცემლისი მონაწილეობდა. ზოგი ვერსიის მიხედვით, აქციაში აგრეთვე ომის ყოფილი რამდენიმე ტუსაღი უნგრელი მონაწილეობდა.

სვერდლოვის უმცროსი ძმა ზინოვ პეშკოვი (იეშუა ზალმან სვერდლოვი) Zinovy Peshkov (Yeshua Zalman Sverdlov) იყო ფრანგი გენერალი და დიპლომატი. ზინოვ-სვერდლოვი მონათლული იყო მართლმადიდებლობაზე და ოფიციალურად შეიცვალა სახელი. რუსი მწერალი მაქსიმ გორკი (ალექსეი პეშკოვი) მისი ნათლია გახდა. ამის გამო ზინოვ-პეშკოვი უარყოფილი იყო მისი ოჯახისგან. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ იგი მოხალისედ მსახურობდა საფრანგეთის არმიაში და მარჯვენა მკლავი დაკარგა ბრძოლაში ზუსტად ისე, როგორც ის მამამ დაწყევლა ქრისტიანობაზე მოქცევის გამო. 1917 წელს იგი შეამკეს საპატიო ლეგიონის ორდენით, ხოლო მანამდე საქართველოში მუშაობდა დიპლომატად, შეუყვარდა სალომე ანდრონიკაშვილი და ის საფრანგეთში ემიგრაციაში წაიყვანა. 1940 წელს იგი შეუერთდა შარლ დე გოლის მთავრობას ლონდონში და მალე გაგზავნილ იქნა, როგორც ფრანგი ელჩი სამხრეთ აფრიკაში, ჩინეთსა და იაპონიაში. 1964 წელს მან მონაწილეობა მიიღო ჩან კაი-შისთან Chiang Kai-shek მოლაპარაკებებში ტაივანთან დაკავშირებით. მისი ძმა კი იყო USSR-ის „პრეზიდენტი – პრეზიდიუმის თავმჯდომარე“, რუსეთის მეფის ოჯახის მკვლელი.

[1] ლეონ ტროცკი **Leon Trotsky** თავის ავტობიოგრაფიაში წერს, რომ ის სწავლობდა მასონების ისტორიას, განსაკუთრებით შოტლანდიელების. ლეონ ტროცკი იხსენებდა ნიკოლოზ ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს, როგორც ცნობილ სოციალ-დემოკრატებს რუსეთში ორი რევოლუციის პერიოდში 1905-17 წწ-ში, ხოლო მათთან შედარებით სტალინს უჭკუოდ თვლიდა. არც ლენინი და არც ტროცკი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს არ იყვნენ რუსეთში და ლენინის აპრილში გერმანიიდან, ხოლო ტროცკის კანადიდან ჩამოსვლის შემდეგ ტროცკი ლენინის მოადგილე გახდა. მან ნებაყოფლობით დათმო პირველობა, რადგან ებრაელი იყო. ტროცკი ყოველთვის აღნიშნავდა „გადატრიალება“ „revolt, coupe d’état“ და არა „რევოლუცია“ 1917 წელს. ტროცკის იდეა „მთელი მსოფლიოს პერმანენტული რევოლუციების“ შესახებ დამარცხდა უფრო პრაქტიკული სტალინის იდეით, „სოციალიზმი ერთ ქვეყანაში“.

დაავადების გამო ტროცკი აფხაზეთში მკურნალობდა. ის არ წავიდა მოსკოვში ლენინის სიკვდილის დროს და ხელისუფლება სტალინმა ჩაიგდო ხელში. ის გადაასახლეს 1925 წელს თავიდან ალმა-ატაში და მოგვიანებით, 1929 წელს თურქეთში. ესპანელმა კომუნისტმა რამონ მერკადერმა Ramón Mercader საბჭოთა OGPU-ს გენერლის ნაუმ ეტინგონის Nahum Etingon ხელმძღვანელობით მოკლა იგი 1940 წელს. მისი მამა იყო მაქს ეიტინგონი Max Eitingon, ზიგმუნდ ფროიდის Sigmund Freud მიმდევარი, ფსიქოანალიზის პოპულარიზაციის აქტიური წევრი.

უფროსი პეტერბურგში; ლენინ-სტალინი[1] Lenin-Stalin, რომლებმაც საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ ყველაზე ძლიერნი იყვნენ. მთელი რუსეთის საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელი ფელიქს ძერჟინსკი[2] Felix Dzerjinski ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. 1918 წელს ლენინისათვის საფრთხე გარდაუვალი იყო: სავინკოვის ხალხმა დააკავა ძერჟინსკი; ბლუმკინმა[3] Blumkin, ტროცკის

---

[1] როგორ მოახერხა სტალინმა, რომელმაც მხოლოდ ქართული და რუსული ენა იცოდა და თითქმის არასდროს უმოგზაურია საზღვარგარეთ, დაემყარებინა კონტროლი ტერიტორიაზე გერმანია-ავსტრიიდან ჩინეთ-ვიეტნამამდე, ყოველთვის იყო მკვლევრების ძიების საგანი, მაგრამ საბოლოო პასუხი ჯერჯერობითაც არ არსებობს. ზოგიერთი ავტორი აღწერს მის იდუმალ პრაქტიკებს, მაგრამ ეს დღემდე არ არის გასაგები. მან წლები გაატარა ციმბირში გადასახლებაში, სადაც ხვდებოდა ბუდისტებს, შამანებს, ტიბეტელებს და სხვებს. რამდენიმე საიდუმლო კვლევა იყო ჩატარებული საბჭოთა კავშირში მკაცრი სახელმწიფო საიდუმლო კონტროლის ქვეშ. მიუხედავად სამღვდელოების სრული განადგურებისა 20-იან წლებში, ზოგი მღვდელი გადარჩა და თანამშრომლობდა საბჭოთა სისტემასთან. სტალინი რამდენჯერმე პირადად შეხვდა ცნობილ ეზოთერიკოსს გურჯიევს Gurdjieff, რომელთანაც ერთად სწავლობდა სკოლაში. როგორც ბერიამ დაწერა, სტალინს თავადი ნიჟარაძის საბუთები ჰქონდა, როდესაც პირველად ჟანდარმებმა დაიჭირეს ბაქოში, და აგრეთვე მას თან ჰქონდა გურჯიევის წიგნი „შეხვედრა არაჩვეულებრივ ადამიანებთან“, სადაც აღწერილია თავადი ნიჟარაძე. სხვა წყაროები იუწყება, რომ სტალინი გარიცხეს სემინარიიდან არა მარქსისტული იდეოლოგიის, არამედ რაღაცა სხვა საიდუმლო რიტუალებში მონაწილეობის გამო. კრემლში ღვინის სმის მის ცნობილ ტრადიციას, ქართველი ავტორების მიხედვით, საკრალური ეზოთერული მნიშვნელობა ჰქონდა.

[2] ფელიქს ძერჟინსკი Felix Dzerjinski იყო მთელი რუსეთის კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის უმაღლესი კომისარი ექსტრაორდინალური კომისიისა, რომელიც ცნობილი იყო როგორც ჩეკა, მოგვიანებით გადაირქვა სახელი, როგორც GPU, შემდეგ NKVD, KGB და ახლა FSB. ვილნიუსის გიმნაზიაში სწავლობდა შემდგომში მის მომავალ დაუძინებელ მტერთან იოსებ პილსუდსკისთან ერთად, პოლონეთის პრეზიდენტთან. ეროვნული უმცირესობის ეს ორივე წარმომადგენელი ერთად ებრძოდნენ ცარიზმის ეთნოპოლიტიკას, მაგრამ პოლონელებმა მიაღწიეს საკუთარ სუვერენულ ტერიტორიას, ხოლო ძერჟინსკი მსოფლიო ხანძრის იდეით იყო გატაცებული.

[3]

იაკოვ ბლუმკინი **Yakov Blumkin** დაიბადა ებრაულ ოჯახში ოდესაში. 1914 წელს ის შეუერთდა სოციალ-რევოლუციურ პარტიას და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გახდა ჩეკას ერთ-ერთი უფროსი, რომელიც ფელიქს ძერჟინსკის ემსახურებოდა. წითელი ტერორის დროს ბლუმკინი ცნობილი იყო სისასტიკით. პოეტი ოსიფ მანდელშტამი იხსენებს, რომ პირადად შეუსწრო მთვრალ ბლუმკინს, როდესაც ის ბარბაცით ამატებდა სახელებს ჩეკას უკვე ხელმოწერილ დასახვრეტ სიებში. მანდელშტამი ტროცკის დამ გადაარჩინა, რადგან ბლუმკინი მეგობრობდა ლეონ ტროცკისთან, მოგვიანებით კი მისი მდივანი გახდა. ამავე დროს ბლუმკინი ტროცკის გარდა ყველა იმდროინდელ პეტერბურგელ პოეტებსა და არტისტებთან მეგობრობდა. ბლუმკინი და ესენინი განუყრელი

ყოფილმა პირადმა მცველმა, მოკლა გერმანელი ელჩი მირბახი Mirbach, რათა გამოეწვია გერმანიის სამხედრო შეტევა და დაესრულებინათ პროგერმანული ლენინ-სტალინის რეჟიმი. 1918 წლის 30 აგვისტოს ფანი კაპლანმა Fani Kaplan

---

მეგობრები იყვნენ. ისინი „კარგად ეწყობოდნენ ერთმანეთს და არასდროს იძინებდნენ ფხიზელნი“. შეიარაღებული ბლუმკინი ხშირად ატარებდა დროს პოეტებთან და ესენინთან ერთად, რომელიც „იტანჯებოდა გადამეტებული ალკოჰოლისა და ქალების სიყვარულით“. ამან გამოიწვია ჭორები, რომ ესენინის შემთხვევითი თვითმკვლელობა რეალურად მკვლელობა იყო ბლუმკინის ეჭვიანობის გამო მის ცოლზე, ან ტროცკის ბრძანებით.

იმ მიზნით, რომ მოეწყო „მსოფლიო რევოლუცია“ და ჩაეშალა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და ბოლშევიკების რეჟიმი, ბლუმკინმა მოკლა ვილჰელმ მირბახი, გერმანიის ელჩი რუსეთში. ამ დანაშაულის მიუხედავად, ძერჟინსკიმ აპატია ბლუმკინს 1920 წელს და გაგზავნა ის ირანის პროვინცია გილანში, სადაც ჩამოყალიბდა ირანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა ირანის კომუნისტური პარტიის მეთაურობით რუს კომისარ აბუკოვის მიერ. ბლუმკინი გახდა ირანის წითელი არმიის მეთაური და ამზადებდა ლაშქრობას თეირანზე, მაგრამ უეცრად ლენინმა შეაჩერა ეს გეგმა, რათა მოეწერა ხელი დიდ ბრიტანეთთან ხელშეკრულებაზე. ბრიტანეთმა მიიღო ირანი, ხოლო რუსეთმა ბაქო და ამიერკავკასია. ამის შემდეგ, 1924 წელს, ის გააგზავნეს ფარულად ავღანეთში და პამირში, რათა დაკავშირებოდა ისმაილეტებს და აღა ხანს „ანტი-იმპერიალისტური ბრძოლის“ მიზნით ბრიტანეთის წინააღმდეგ. მან იმოგზაურა, როგორც დერვიშმა ისმაილიტთა ქარავანთან ერთად ბრიტანეთის სამხედრო პოზიციების დასაზვერად ინდოეთსა და ცეილონში. ბლუმკინმა იცოდა რამდენიმე აღმოსავლური (უფრო მეტად თურქული) ენა. 1925 წელს ის ეწვია ნიკოლაი რერიხსა და დალაი ლამას Nikolai Roerich and Dalai Lama. ამ მოგზაურობის შესახებ მოხსენება დღემდე გასაიდუმლოებულია. ზუსტად იმ დროს ნაცისტებმა დააარსეს ანენერბე Anenerbe, საიდუმლო ცოდნის ინსტიტუტი, და დაიწყო ექსპედიციები ტიბეტში. ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა მკვდარი ტიბეტელი ბერები აღმოაჩინეს ბუნკერში.

1926 წელს ბლუმკინი იყო გეპეუს აგენტი მონღოლეთში, ჩინეთში, ტიბეტსა და ინდოეთში. მონღოლეთში ის მმართველი დიქტატორიც კი გახდა. მაგრამ უკვე მოსკოვიც დაიღალა მისი სისხლიანი „გმირობებით“ და უკან გაიწვიეს. 1929 წელს GPU-მ გაგზავნა ბლუმკინი პარიზში, რათა მოეკლა რენეგატი და სტალინის ყოფილი პირადი მდივანი ბორის ბეჟანოვი. 1929 წელს ბლუმკინი იყო მთავარი არალეგალური რეზიდენტი თურქეთში, სადაც იგი ყიდდა ებრაულ ჰასიდურ ტექსტებს, რომელსაც აგროვებდა სინაგოგებიდან მთელს უკრაინაში და ლენინის ბიბლიოთეკიდანაც კი მოსკოვში, რათა დაეფინანსებინა ჯაშუშური ქსელი შუა აღმოსავლეთში, სანამ მას დეპორტაციას არ გაუკეთებდნენ პალესტინიდან ბრიტანელები.

დასასრული ბანალური იყო: ბლუმკინი წარსდგა გეპეუს ტრიბუნალის წინაშე. ჟორჟ აგაბეკოვი წერდა: „იაგოდა მოითხოვდა სიკვდილით დასჯას. ტრილისერი ამის წინააღმდეგი იყო. მენჟინსკი გადაუწყვეტელი იყო“. საქმე გადააგზავნეს პოლიტბიუროში, სადაც სტალინმა მხარი დაუჭირა სიკვდილით დასჯას. სხვა ავტორი, ალექსანდრე ორლოვი წერდა, რომ ბლუმკინი იდგა დამხვრეტი რაზმის წინ და ყვიროდა: „სიცოცხლე ტროცკის!“

ესროლა ლენინს და თითქმის იმავე დროს კანენგისერმა Kanengisser მოკლა პეტროგრადის საიდუმლო პოლიციის უფროსი ურიცკი Uritski. ლენინის მომხრეებმა ჩაახშეს აჯანყება, მაგრამ ძერჟინსკი დისკრედიტებული იყო და გადადგა. მის მაგივრად სვერდლოვის მხარდამჭერი ეკაბ პეტერსი Ekab Peters დაინიშნა, მაგრამ ის არ ატარებდა რეპრესიებს საჭირო რაოდენობით და მალე კვლავ ძერჟინსკით ჩაანაცვლეს. წითელი ტერორი ოფიციალურად გამოცხადდა ათიათასობით სიკვდილმისჯილი მსხვერპლით. როდესაც ორივე, სვერდლოვი და ძერჟინსი, გარდაიცვალა, იმავე წელს მენჟინსკი Menjinski (1926-34) დანიშნეს ძერჟინსკის (1923-26) ნაცვლად.

მთავარი საფრთხე ჯერ საგარეო იყო. 1917 წლის დეკემბერშივე ტროცკი დაინიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად და გაიგზავნა ბრესტში გერმანელებთან სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის. შედეგი პარადოქსული იყო. ტროცკიმ გამოაცხადა – „არც მშვიდობა და არც ომი!“ ჯარი უნდა დაიშალოს და დაბრუნდა პეტერბურგში. მართლაც, ერთ დოკუმენტზე გერმანელი ჰოჰენცოლერნი იმპერატორისა და ტროცკი-ბრონშტეინის ხელმოწერა მართლაც იმ დროისთვისაც კი წარმოუდგენელი იყო. გერმანელებმა შეტევაზე გადასვლა არ დააყოვნეს. ედვარდ რაძინსკის მონაცემებით, ეს პარადოქსი მარტივად აიხსნება. ანტიგერმანული ისტერიკა ლენინს სჭირდებოდა, რათა შემწყდარიყო ჭორები, რომ ბოლშევიკებს გერმანელები აფინანსებდნენ, ხოლო გერმანელები იღებდნენ იმას, რისთვისაც იხდიდნენ – ტერიტორიას. დარჩა მხოლოდ ერთი „მოწმე“, გერმანიის ელჩი მირბახი, რომელიც აფინანსებდა ბოლშევიკებს.

ტროცკი მდიდარი ოჯახიდან იყო და მუდმივად მდიდრულად ცხოვრობდა. ლენინის სახელით და ხელმძღვანელობით მან შემოიღო მასობრივად, ათი ათასობით ადამიანის და მძევლების დახვრეტა. კლასების კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი, საკონცენტრაციო ბანაკები, ტოტალური ექსპროპრიაციები და ა.შ. როდესაც მას სამხედრო მეზღვაურების ასეული ეახლა გარკვეული თხოვნით, მან პირადად დახვრიტა 3 ადამიანი და გასცა ბრძანება ყველას დახვრეტისა. მასთან შედარებით სტალინი ფერმკრთალად გამოიყურებოდა.

ლენინმა რუსული პატრიოტიზმის კარტი გაითამაშა – დედაქალაქი გადაიტანეს მოსკოვში, პარტიამ მიიღო სახელწოდება „კომუნისტური“. დაიწყო უსასტიკესი სამოქალაქო ომი. ტროცკის ჩააბარეს არმიის მეთაურობა და ის ჯავშვნიანი მატარებლით დაქროდა ფრონტიდან ფრონტზე და მასობრივად ხვრეტდა ადამიანებს.

სტალინი – კობა დაინიშნა სურსათის და ნაციონალური საკითხის სახალხო კომისრად და 1918 წლის მაისში გაიგზვანა სამხრეთისკენ, ცარიცინში. მან მატარებელში მოაწყო შტაბი და 400 ლატვიელი მსროლელის დაცვით ხელმძღვანელობდა რეკვეზიციებს. უსასტიკესი ტერორის პირობებში მან ამ დავალებას თავი გაართვა და ლენინის ქება დაიმსახურა. ამავე მატარებელში

მან „ცოლად შეირთო“ ალილუევა, რომელიც მისი შტაბის მდივანი იყო. ნაკლებად სავარაუდოა, რომ იქ რაიმე რომანტიზმს ჰქონოდა ადგილი, ალბათ იმოქმედა ნადეჟდას ძარღვებში ბოშა ქალის სისხლმა.

მალე მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. 1918 წლის 6 ივლისს ფრონტიდან დროებით ჩამოსული ნერვებაშლილი ტროცკი პეტროგრადის ყრილობაზე წაეჩხუბა ესერებს, რომლებიც ბოლშევიკებს გერმანელების ლაქიებად მოიხსენიებდნენ, და ესერებმა საპასუხო დარტყმა განახორციელეს. ჩეკა-ს მუშაკმა ბლიუმკინმა და ესერმა ანდრეევმა გერმანიის ელჩს აუდიენციაზე ესროლეს და მოკლეს.

ოსიპ მანდელშტამმა დაინახა, თუ როგორ ავსებდა ბლიუმკინი დასახვრეტ სიებს პირდაპირ რესტორანში. მან ფურცელი გამოსტაცა და დახია. ეს ამბავი ძერჟინსკიმ გაიგო და დაპირდა ბლიუმკინის დახვრეტა, მაგრამ სიტყვა არ შეასრულა. ახლა ძერჟინსკი დაცვის გარეშე პირადად ეწვია ესერების შტაბს და მოითხოვა ბლიუმკინის და ანდრეევის დასაპატიმრებლად გადმოცემა. ეს უზომოდ სარისკო იყო, მაგრამ როდესაც ძერჟინსკი თვითონ ესერებმა დააკავეს, მოსულმა ლატვიელმა მსროლელებმა ესერების შტაბი გაანადგურეს და ძერჟინსკი გაათავისუფლეს. საოცარია, მაგრამ ბლიუმკინი კვლავ მშრალად გამოვიდა ამ სიტუაციიდან და დახვრეტის ნაცვლად სპეციალური დავალებით შორეულ აზიაში გაემგზავრა. „ბევრის მცოდნე“ ელჩი ვეღარაფერს იტყოდა.

ელჩის მკვლელობის შემდეგ გერმანელების შეტევა გარდაუვალი გახდა და 1918 წლის იმავე დღეს, 6 ივლისს მოკავშირეებმა რუსეთში შემოიყვანეს ჯარები უზარმაზარი სამხედრო საწყობების დასაცავად, სადაც მოკავშირეების დახმარება ინახებოდა.

1918 წლის 30 აგვისტოს ლენინს ესროლა ძველმა ესერმა რევოლუციონერმა ფანი კაპლანმა და პეტერბურგში მოკლეს პეტერბურგის ჩეკა-ს უფროსი ურიცკი. კაპლანი ესერების, გ. სემიონოვის და ლ. კონოპლიოვის დავალებით მოქმედებდა. გასაკვირია, მაგრამ გასროლის შემდეგ ლენინი თვითონ ავიდა მესამე სართულზე და მეორე დღეს უკვე ადგა საწოლიდან. მაგრამ მეორე დღესვე, 3 სექტემბერს კაპლანი სასწრაფოდ, სასამართლოს გარეშე დახვრიტეს იაკობ სვერდლოვის განკარგულებით. საინტერესოა, რომ სემიონოვი და კონოპლიოვი გაათავისუფლეს ენუქიძის თავდებობით და შემდგომ ისინი მსახურობდნენ ჯარში და ჩეკა-ში. ორივე დახვრიტეს 37 წელს უკვე სხვა ბრალდებით.

ლენინის და ურიცკის მისამართით გასროლების შემდეგ უკვე დასაკარგი არაფერი იყო და გამოცხადდა წითელი ტერორი. ოფიციალურად დაწესდა მძევლების დახვრეტა. ურიცკის სიკვდილის გამო ოფიციალურად დახვრიტეს მეფის 500 ოფიცერი. ეკატერინბურგში დახვრიტეს რუსეთის ბოლო მეფის ოჯახი. ტერორის მიზანი იყო არა მარტო მტრების მოსპობა, არამედ მომხრეების გამხნევება, ერთგვარი განცხადება, რომ უკან დასახევი გზა არ არსებობს, წინ, საბოლოო გამარჯვებამდე. საინტერესოა, რომ

წინადადება წამების დაკანონების შესახებ ყრილობაზე არ იყო მოწონებული. პროლეტარიატის ინტერესებიდან გამომდინარე, ნებადართული იყო მხოლოდ სიკვდილი, დახვრეტა წამების გარეშე. ეს იგივე იყო, რაც ინკვიზიციის დროს, არ შეიძლებოდა სისხლის დაღვრა, მსხვერპლის მხოლოდ დაწვა იყო ნებადართული.

დიდი გაჭირვების ფონზე (შიმშილობა, ყაჩაღობა, დახვრეტები და სხვა), 7 ნოემბერს, ახალი სტილით, ჩატარდა ოქტომბრის რევოლუციის პირველი წლისადმი მიძღვნილი მიტინგი. ლენინი და მისი მემკვიდრე ტროცკი სიტყვით გამოვიდნენ. ყველაფერი სიურრეალისტური იყო. საყოველთაო განცდა იყო, რომ მალე მოვლენ გერმანელები და ამ საშინელებას ბოლო მოეღებოდა.

და მოხდა სასწაული – 10 ნოემბერს გერმანიაში მოხდა რევოლუცია. კრემლს ღამეები არ ეძინა, მოსკოვში მუდმივი მიტინგები და დემონსტრაციები იმართებოდა. ჰოჰენცოლერნების საიმპერატორო დინასტია გადადგა და სოციალისტმა კარლ ლიბკნეხტმა იმპერატორის სასახლის აივნიდან გამოაცხადა საბჭოთა რესპუბლიკა. ახლა რუსეთის ელჩი ადოლფ იოფე ეხმარებოდა გერმანელ რევოლუციონერებს იარაღით და ფულით. 12 ნოემბერს კიდევ ერთი რევოლუცია მოხდა და ამჟამად ავსტრიაში. კიდევ ერთი მონარქია დაინგრა. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ევროპაში გაიმარჯვეს ზომიერმა სოციალისტებმა, ანუ რევოლუცია რუსი ბოლშევიკებისათვის საძულველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო. რუსების იარაღით კარლ ლიბკნეხტმა და როზა ლუქსემბურგმა წამოიწყეს შეიარაღებული გადატრიალება, მაგრამ ორივე განადგურებულ იქნა. 1919 წლის მარტში უნგრელმა კომუნისტმა ბელა კუნმა შეძლო კომუნისტური აჯანყების ორგანიზება, მაგრამ ესეც მალე ჩაახშეს. წითელი ტერორის დოქტრინის შესაბამისად, რუსეთში ასობით ძველ ოფიცრებთან ერთად დახვრიტეს ნიკოლოზის ძმა და მისი სამი ძმისშვილი.

1918 წლის გერმანიის და 1919 წელს უნგრეთის რევოლუციების ფონზე საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და გამოსცა ბრძანებები წითელი არმიისთვის, რომ გადასულიყვნენ შეტევაზე ბელარუსის, უკრაინისა და ბალტიისპირეთის მიმართულებით. 1919 წელს მთავარსარდალმა ტუხაჩევსკიმ ბრძანება გასცა: „დასავლეთში წყდება მსოფლიო რევოლუციის ბედი. თქვენ პოლონეთის გვამზე უნდა გადაიაროთ. წინ – მინსკისკენ, ვარშავისკენ!“. თვით ტროცკი იყო გაოგნებული მოსკოვის კომუნისტი ლიდერების ასეთი ხარისხის აგრესიული აჟიტირებით. 1919 წლის იანვარში წითელი არმია შევიდა მინსკში თითქმის წინააღმდეგობის გარეშე, რამაც დაასრულა ბელარუსი ხალხის რესპუბლიკის არსებობა. იანვარში რუსეთის არმიამ გაილაშქრა კიევისკენ და აიღო ის მახნოს ბანდიტების დახმარებით (მახნო დააჯილდოვეს წითელი დროშის ორდენით ბურჟუაზიისა და ებრაელების მასობრივი მკვლელობების ფონზე). საპასუხოდ, პოლონეთის არმიამ დაიწყო შენაერთების გაგზავნა აღმოსავლეთისკენ. პოლონელები ცხადად აცნობიერებდნენ რუსეთის „მსოფლიო რევოლუციის“ ნამდვილ

იმპერიულ მიზანს და არ ტყუვდებოდნენ. ბოლშევიკების აგრესია დასრულდა გვიან თებერვალში და ცხადი გახდა, რომ წითელი არმია ვერ შეიჭრებოდა პოლონეთში. ესტონეთის და პოლონეთის არმიებმა დაამტკიცეს, რომ იყვნენ უფრო რთული ოპონენტები, ვიდრე წითელ არმიას წარმოედგინა. პროლეტერული სოლიდარობის პრინციპი, გერმანული რევოლუციის მიუხედავად, არ მუშაობდა.

გამოფხიზლებულმა ევროპელებმა დაიწყეს ბოლშევიკების ოპოზიციის სამხედრო და ფინანსური დახმარება. ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ მოწოდებული იარაღითა და ესტონური არმიის საოპერაციო დახმარებით, თეთრგვარდიელებმა დაიწყეს შეტევითი ოპერაცია 1919 წელს იმ მიზნით, რომ დაეკავებინათ პეტროგრადი, და მიაღწიეს ქალაქიდან 16 კილომეტრს, იუდენიჩის არმიის პეტროგრადთან გამოჩენისას, ლენინმაც კი, მიუხედავად ტროცკისა და სტალინის პროტესტისა, გადაწყვიტა, დაეთმოთ დედაქალაქი. მაგრამ მე-7 წითელმა არმიამ უკუაგდო ისინი უკან ესტონეთისკენ. ამიტომ მალე დედაქალაქი სასწრაფოდ მოსკოვში გადაიტანეს. სიტუაცია ყოველკვირეულად იცვლებოდა. როდესაც ოქტომბერში იუდენიჩმა უკან დაიხია, უკვე ლენინი დაემუქრა ესტონეთს, რომ, თუ იუდენიჩი შევიდოდა ესტონეთის ტერიტორიაზე, წითელი არმია გაჰყვებოდა მას ფეხდაფეხ. შედეგად იუდენიჩი არ შეუშვეს ესტონეთში და სრულად განადგურდა.

მაგრამ არა მარტო იუდენიჩმა, მთელმა თეთრგვარდიელთა მოძრაობამ – კოლჩაკი, იუდენიჩი, ვრანგელი და დენიკინი, პირწმინდად წააგო. მართალია, მთელი 1919 წელი ტროცკიმ და სტალინმა ბრძოლაში გაატარეს, მაგრამ 1920 წლისათვის ყველა მტრის განადგურების მიზეზი არ იყო სამხედრო: თეთრგვარდიელები ართმევდნენ გლეხებს მიწებს, აბრუნებდნენ ძველ მეპატრონეებს და, რაც მთავარია, განაცხადეს იმპერიის აღდგენა ძველ საზღვრებში, ამიტომ ეროვნული უმცირესობების ბრძოლა ზუსტად ამ განცხადებების შემდეგ გაძლიერდა. ხოლო რაც შეეხება რეპრესიებს, თეთრგვარდიელები უკეთესები ნამდვილად არ იყვნენ. 1920 წელს, სამოქალაქო ომის დამთავრებულად გამოცხადების შემდეგ, ვეჩეკა-მ გამოაცხადა სასჯელის უმაღლესი ზომის გაუქმება. თუმცა ეს ეხებოდა მხოლოდ ახალ შემთხვევებს და ვინც ციხეებში უკვე იჯდა, ათობით ათასი ადამიანი საწრაფოდ, რამდენიმე დღეში დახვრიტეს. საბოლოოდ, ჩეხოსლოვაკებიც გაურიგდნენ ბოლშევიკებს 1920 წელს და გადასცეს ანტიბოლშევიკური არმიის ბოლო ლიდერები (ადმირალი კოლჩაკი) და, ამერიკული წითელი ჯვრის დახმარებით, დაახლოებით 70 000 ჯარისკაცი შინ დაბრუნდა.

ახლა წითელი რუსეთის გაძლიერებასთან ერთად ისევ გაძლიერდა იმპერიული რიტორიკა და მუქარა მეზობლების მიმართ მსოფლიო რევოლუციის შესახებ, რაც პოლონეთის, ფინეთის, ბალტიის და კავკასიის რესპუბლიკებისათვის მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა – რუსეთის იმპერიის აღდგენას და მათი დამოუკიდებლობის წართმევას. პოლონეთის ქვეყნის მეთაური და მთავარსარდალი, მარშალი იოზეფ პილსუდსკი, რუსეთში ხანგ-

რძლივი რევოლუციური საქმიანობიდან გამომდინარე, პირადად კარგად იცნობდა რუსული პოლიტიკური დაჯგუფებების მენტალიტეტს. მან კარგად იცოდა ბოლშევიკების ავანტიურიზმი და მარტივი და ეფექტიანი გადაწყვეტილება მიიღო. 1920 წლის გაზაფხულზე პოლონეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, რუსები დნეპრის მიღმა გადასწიეს და 6 მაისს კიევი დაიკავეს.



ბოლშევიკების რეაქცია სასტიკი იყო. აღდგა სიკვდილით დასჯა. გამოიცა ტროცკის ბრძანება, რომ უკან დახევის შემთხვევაში წითელარმიელი უნდა დაიხვრიტოს. ლენინმა რუსულ პატრიოტიზმს მოუხმო და ხალხი გამოეხმაურა. პირველად ისტორიაში, კომუნისტებმა ხალხს „დედა რუსეთის“ გადასარჩენად პატრიოტიზმისკენ მოუწოდეს. თეთრი ემიგრანტებიც კი ამართლებდნენ წითელი მთავრობის მოქმედებას. კვლავ მობილიზებული რუსეთის წითელი არმია დასავლეთის ფრონტისკენ დაიძრა. ლენინის დაჟინებული მოთხოვნით, რამაც ტროცკიც კი გააოცა, წითელი არმია გადავიდა პოლონეთის ტერიტორიაზე და მიაღწია ვისლას, საიდანაც უკვე მოჩანდა ვარშავის გარეუბნები. მაგრამ წითელი ჯარი დაქანცული იყო. ტროცკიმ მოითხოვა ტუხაჩევსკისთვის ბუდიონის საკავალერიო ჯარის გადაცემა, რომელიც უკრაინაში ემორჩილებოდა სტალინს, რომელიც ლვოვის მიმართულებას მეთაურობდა. სტალინი არ იყო იმ ტიპის ადამიანი, რომ ტროცკის დახმარებოდა, რადგან არ უნდოდა გამარჯვების მის გარეშე მიღწევა. მას თავისი გეგმები ჰქონდა და ლვოვის აღების შემდეგ უნდოდა ვარშავის აღების გმირი გამხდარიყო. შედეგად ტროცკის პოლონური მარში კატასტროფით დამთავრდა, ხოლო კონფლიქტი სტალინთან საბოლოო და სასიკვდილო იყო. სასტიკი მარცხი ტროცკიმ სტალინს დააბრალა. ჯერ კიდევ 1918 წელს, როდესაც სტალინი ცარიცინში (სტალინგრადში) იბრძოდა, მისი მეთაური ტროცკი უკმაყოფილო იყო და ის გადააყენა. მხოლოდ ლენინის პირადი თხოვნით სტალინს მისცეს შესაძლებლობა ფრონტზე დაბრუნებულიყო. პოლონეთის ომი 1921 წლის მარტის ხელშეკრულებით დამთავრდა.

1921 წელს ტუხაჩევსკის ჯარი გაცილებით წარმატებული აღმოჩნდა ტამბოვის გლეხების წინააღმდეგ, მაგრამ ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა რეალურად დანგრეული იყო. ბოლშევიკების მარცხი კვლავ გარდაუვალი ჩანდა. და 1921 წელს მოულოდნელად გამოცხადდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა.

კომუნიზმი მივიწყებას მიეცა, კვლავ გაჩნდა მდიდარი ხალხი, რესტორნები, ამუშავდა ვაჭრობა, ეკონომიკა. ლენინი დასაწყისშივე წერდა: „გამდიდრდით, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გეგონოთ, რომ ტერორი დამთავრდა. საყვარლებო, მე თქვენ ყველას ჩამოგახრჩობთ!“.

კავკასიის ფრონტის დაშლა

მოულოდნელად, 1917 წელს რუსეთის არმია გამოცხადდა გადაღლილად და ყველამ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? დღემდე არ არსებობს არანაირი ოფიციალური ახსნა ამ მოვლენებისა. თუმცა გერმანული ფულის როლი რუსეთის რევოლუციაში, 28 რევოლუციონერის „დალუქული ვაგონით“ (მათ შორის ლენინი ცოლთან და საყვარელთან ერთად და ორი ქართველი მ. ცხაკაია და გ. სულიშვილი) ტრანსპორტირებაში და გაზეთი „პრავდა“-ს დაფინანსებაში (რომლის ტირაჟი ლენინის ჩამოსვლის დღიდან ერთბაშად 100 ათასს აღწევს) ახლა კარგად არის ცნობილი. ბოლშევიკების მიერ „მიწის დეკრეტის“ გამოქვეყნებამ აიძულა გლეხი ჯარისკაცები მიეტოვებინათ ფრონტი და დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სოფლებში, ვინაიდან მრავალმილიონიანი მსხვერპლის შემდეგ რუსეთის ჯარში აღარ დარჩა გაწვრთნილი პროფესიონალი ჯარისკაცი ან ოფიცერი.

ქართველებისა და სომეხი მილიციის მხარდაჭერით ყველა უძველესი ისტორიული ოლქი რუსეთის კონტროლის ქვეშ იყო. მაგრამ მალე, სომხეთისთვის საზღვრების დაბრუნების შანსი გაქრა, რადგან რუსეთმა მოულოდნელად თურქეთის მხარდაჭერა დაიწყო, ჯერ ფარულად, ხოლო ოფიციალურად გამოცხადდა ათათურქის დროს. ზუსტად ამ დროს სომეხი პატრიოტები დიდი მოლოდინით ელოდნენ რუსეთისგან სამხედრო მხარდაჭერას, მაგრამ რუსეთის სამეფო ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სომხების გათავისუფლება რუსეთის ინტერესებში არ იყო, რადგან ბულგარეთში უკვე ერთი დიდი იმედგაცრუება იგემეს. ბულგარეთის განთავისუფლების შემდეგ რეფერენდუმზე გადაწყდა რესპუბლიკის ჩამოყალიბება და არა რუსეთის ქვეშევრდომობა.

შესაბამისად, რუსების მიერ წაქეზებული და შემდგომში მიტოვებული სომხების აჯანყება კონსტანტინოპოლში 1896 წელს დამთავრდა ხოცვა-ჟლეტით, რამაც აბდულ ჰამიდი Abdul Hamid „სისხლიან სულთნად“ აქცია. რუსეთის წაყრუების ფონზე სომხების მასობრივი მკვლელობები გაგრძელდა ტრიუმვირატის დროსაც: ისმაილ ენვერი, აჰმედ ჯემალი და მეჰმედ ტალაატი Ismail Enver, Ahmed Djemal and Mehmed Talaat და 1915 წელს ქემალისტების Ataturk დროსაც.

ტრიუმვირატმა 1918 წელს გამოაცხადა კაპიტულაცია და კონსტანტინოპოლი და იზმირი ოკუპირებული იყო საფრანგეთისა და ბრიტანეთის ჯარების მიერ 1923 წლამდე, ხოლო სამივე ფაშა ემიგრაციაში წავიდა. თურქულმა

ტრიბუნალმა, სხვათა შორის, ასევე სომხების გასახლებების გამო, სიკვდილი მიუსაჯა მათ. ეს განაჩენი თურქების ნაცვლად სომხებმა აღუსრულეს.

ენვერ ფაშა გერმანიაში გაემგზავრა, სადაც იგი მუშაობდა გერმანელ კომუნისტ კარლ რადეკთან ერთად. 1919 წელს ენვერი მოსკოვში წავიდა, როგორც მისი მეგობრის გენერალ ჰანს ფონ ზეკტის General Hans von Seeckt საიდუმლო დესპანი, რათა დაემყარებინა გერმანია საბჭოთა ალიანსი პოლონეთის გაყოფის ხარჯზე. 1920 წელს ის შეხვდა ბოლშევიკ ლიდერებს, ლენინის ჩათვლით. 1921 წელს ლენინმა ის გაგზავნა ბუხარაში, რათა ჩაეხშო ადგილობრივი ანტირუსული აჯანყება. თუმცა ამის სანაცვლოდ მან გააბა საიდუმლო კავშირები და გადავიდა ბასმაჩის მხარეს. რამდენიმე წარმატებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ იგი გახდა უმაღლესი მეთაური, მაგრამ მალე მან თავი თურქესტანის ემირად გამოაცხადა 1922 წელს და ბუხარის ემირის მტრობა გამოიწვია. ბოლოს, ბაშკირი წითელი არმიის კავალერიის, იაკოვ მელკუმოვის ხელმძღვანელობით (აგოპ მელკუმიანი Agop Melkumian), შეტევის დროს ენვერი მოკლეს.

ტალაატ ფაშა თანამშრომლობდა ბრიტანეთის და რუსეთის დაზვერვასთან მანამ, სანამ ორივე დაზვერვის სამსახური არ შეთანხმდა, რომ მიეცათ საშუალება სომხებისთვის სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოეყვანათ. ტალაატი ერთი ტყვიით მოკლეს 1921 წელს, როდესაც ის გამოვიდა თავისი სახლიდან გერმანიაში. მისი მკვლელი იყო სომეხი სოგომონ თეჰლირიანი Soghomon Tehlirian, ერზერუმიდან. გერმანიის სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო, ვინაიდან ბავშვობაში იყო გენოციდის მოწმე, რამაც ძლიერი ტრამვა გადაატანინა.

ჯემალ ფაშა უფრო ნაკლებად იყო ანტისომხურად განწყობილი, ერთმნიშვნელოვნად დაგმო დეპორტაციები. იგი დაემუქრა კიდეც ტრიბუნალით ყველას, ვინც სომხებს ერჩოდა და მოგვიანებით გადასცა კიდევაც ოსმალთა არმიის ორი ოფიცერი ტრიბუნალს, მაგრამ ამან ჯემალი ვერ იხსნა სომხების ანგარიშსწორებისგან. ჯემალი თბილისში მოკლეს, მის მდივანთან ერთად 1922 წელს. „შავი სიის“ მიხედვით სულ 200 თურქი თანამდებობის პირის ლიკვიდაცია განხორციელდა სომხური გეგმის „ნემეზისის“ Nemesis თანახმად.

თურქეთში განვითარებული გენოციდის გამო გერმანიის რეპუტაცია მსოფლიო პრესაში შეილახა. გერმანელებს ბრალს სდებდნენ, რომ მათ არაფერი მოიმოქმედეს, რათა შეეჩერებინათ სომხების დეპორტაცია. უფრო მეტიც, გერმანიის მოკავშირე ოფიცერმა ხელიც კი მოაწერა თურქეთში დეპორტაციის ერთ ბრძანებას. გერმანელები შეეცადნენ (თუმცა უშედეგოდ) გაენადგურებინათ ეს დოკუმენტი, მაგრამ სომეხი ისტორიკოსების მიხედვით, თურქებმა გადაინახეს დაცულად, და მას გერმანელების დაშანტაჟებისთვის იყენებდნენ. გერმანელი ელჩი პორტაში ვანგენჰეიმი Wangenheim დაადანაშაულეს, რომ თითქოს განაცხადა: „მე დავეხმარები სიონისტებს, მაგრამ არაფერს გავაკეთებ სომხების დასახმარებლად“. შედეგად ვანგენჰეიმს ნერვიული აშლილობა დაეწყო და რამდენიმე თვეში ინსულტით გარდაიცვალა.

მუსტაფა ქემალი (მოგვიანებით ათათურქი) Mustafa Kemal (Ataturk), გარშემორტყმული შავოსანი ლაზების დაცვით, უცნაურად ცისფერთვალება ქერა ბიჭი იყო, რომელიც დაიბადა თესალონიკში, საბერძნეთში, თურქების ოჯახმა იგი შვილად აიყვანა და წარმატებული სამხედრო კარიერაც გაიკეთა. ამტკიცებენ, რომ ის წარმოშობით იყო ალბანელი, მაკედონიელი, სლავი, ბალკანელი ებრაელიც კი, თუმცა თურქეთის მთავრობა უარყოფს ამას.

გალიპოლის ომის დროს, როდესაც მან თავის ოფიცრებს უთხრა: „მე არ გიბრძანებთ, რომ შეუტიოთ, არამედ გიბრძანებთ სიკვდილს“, ამით იგი ეროვნულ გმირად იქცა. თუმცა ძირითადად თურქეთის წარმატება განპირობებული იყო ებრაელი წარმოშობის გერმანელი გენერლის მიერ (რაც ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო პირველი მსოფლიო ომის დროს). ოტო ლიმან ვან ზანდერსი Otto Liman von Sanders, ოსმალთა პირველი არმიის მეთაური, იყო ენიგმატური ფიგურა გალიპოლში Gallipoli, რომელიც ფართო აღიარებით, იყო მიჩნეული მოკავშირეთა არმიის გადმოსხმის მცდელობის მარცხის ორგანიზატორად. თურქები და ასევე გერმანელი ელჩიც სთხოვდნენ გერმანიის გენერალურ შტაბს გამოეგზავნათ კვალიფიციური ფსიქიატრი, რათა გაესინჯა ლიმანი, მაგრამ იგი იყო მხოლოდ სისტემური მოაზროვნე და მაღალი დონის პროფესიონალი. მარტო მისმა სიმშვიდემ და პროფესიონალიზმმა შეძლო გალიპოლში სიტუაციის განმუხტვა, როდესაც მთავრობა, სულთანი, მისი დიდებულები, ტოპკაპის ისლამის წმინდა ნაწილებიც კი, ყველაფერი შეკრიბეს და ანატოლიაში გაგზავნეს.

მოგვიანებით თურქეთმა სამხედრო წარმატებას მიაღწია საბერძნეთის წინააღმდეგ 1920 წელს, რაც განპირობებული იყო რუსეთის ბოლშევიკ მთავრობისგან 1920 წლიდან ოქროთი და იარაღით მტკიცე მხარდაჭერით. 1921 წელს ხელი მოეწერა საბჭოთა რუსეთთან საძმო შეთანხმებას და რუსეთის სამხედრო მრჩეველი ფრუნზე Frunze გაემგზავრა ანკარაში. ათათურქი მას იმდენად აფასებდა, რომ სტამბოლში, ტაკსიმის მოედანზე Taksim Square, თავისუფლების ქანდაკებაზე ათათურქის უკან დგანან მიხეილ ფრუნზე და კლიმენტ ვოროშილოვი. 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმება Treaty of Kars თურქეთს საშუალებას აძლევდა გაეფართოებინა საზღვრები სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხარჯზე. ბათუმი დაეთმო საქართველოს. ართვინი, ყარსი, მთა არარატი, არდაჰანი, ძველი ანის ნანგრევები Artvin, Kars, Mt Ararat, Ardahan, Ani ანექსირებული იყო თურქების მიერ. ალექსანდროპოლი (გიურმი) და ნახიჩევანი Alexandropol (Gyumri) and Nakhitchevan აზერბაიჯანს გადაეცა. სწორედ ამიტომ სომხეთი 1991 წლის დამოუკიდებლობის შემდეგ არ აღიარებს ამ შეთანხმებას ოფიციალურად.

1918 წლის 3 მარტს ლენინმა ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებას და გერმანიამ რუსეთს ჩამოართვა უკრაინა, ბალტიის სახელმწიფოები, ფინეთი და საქართველოსა და სომხეთის უძველესი ტერიტორიები (ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი, ართვინი, არტაანი (არდაჰანი), ყარსი და ერზურუმი Batumi,

Akhaltsikhe, Akhalkalaki, Artvin, Artaan (Ardahan), Kars and Erzurum) გადაეცა თურქეთს.

ბოლშევიკური ახალი ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი იყო რუსეთის ომიდან გამოსვლა ან ხალხის, ან გერმანული დაზვერვის ინტერესებიდან გამომდინარე. ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკება ტროცკიმ დაიწყო, მაგრამ შეთანხმებას ხელი არ მოაწერა: „არც მშვიდობა და არც ომი, ხოლო არმია დასაშლელია“. მოლაპარაკებებზე სასწრაფოდ ციმბირის გადასახლებიდან ახალდაბრუნებული ადოლფ აბრამოვიჩ იოფე მიავლინეს (თავი მოიკლა 1927 წელს). შედეგად პოლონეთი, ბელარუსი, უკრაინა, ბალტიისპირეთი, ფსკოვიც კი გადაეცა ავსტრია-გერმანიის ჰოჰენცოლერნ-ჰაბსბურგთა ჯარებს. გამოეყო ამიერკავკასია და შუა აზია. ინგლისმა და საფრანგეთმა ოკუპაციაში მოაქციეს მურმანსკი და არხანგელსკი, რადგან უდიდესი სამხედრო მარაგი დაუცველი ინახებოდა.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიხედვით, ჩეხოსლოვაკი, გერმანელი, ავსტრიელი და უნგრელი ტყვეები ევაკუირებულნი უნდა ყოფილიყვნენ თავიანთ ქვეყნებში – საფრანგეთსა და გერმანიაში, მაგრამ საზღვაო გზით და არა ფრონტის ხაზით, რასაც შეეძლო მოეხდინა გაუთვალისწინებელი გართულებების პროვოცირება. რადგან რუსეთის ევროპული პორტები უსაფრთხო არ იყო, ჩეხები ციმბირის გავლით, შემოვლითი გზით, უნდა წასულიყვნენ ვლადივოსტოკის წყნარი ოკეანის პორტებისკენ და აშშ-ში, მცველებისა და საკვების გარეშე. მრავალათასკილომეტრიან გზაზე მატარებლებში დაიწყო კონფლიქტი მეომარ მხარეებს შორის. როდესაც ქაოსმა პიკს მიაღწია, ლეგიონებმა აიღეს მნიშვნელოვანი არეალი რკინიგზის ირგვლივ მდინარე ვოლგადან მთელ გზაზე ციმბირში ვლადივოსტოკის მიმართულებით.

მდგომარეობის განსამუხტავად 1918 წელს ციმბირში გადმოსხეს რამდენიმე ქვეყნის დესანტი: იაპონიის 500 კაცი, 600 ბრიტანელი და ფრანგი ჯარისკაცი, 500 ამერიკელი. ისედაც გაურკვეველი სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. 1918 წლის ბოლოს დაემატა 70 000 იაპონელი, 829 ბრიტანელი, 1400 იტალიელი, 5002 ამერიკელი, 107 ვიეტნამელი, ფრანგების მეთაურობით, და 4000 კანადელი.

როდესაც 1918 წლის აგვისტოში ტროცკიმ მიიღო ლენინისგან სამხედრო კომისრის პოსტი და ავიდა ბრონირებულ მატარებელზე, კრიტიკულ სიტუაციაში, ყაზანისა და სიმბირსკის დაცემის შემდეგ, მან ორ წელიწადნახევარი გაატარა იქ. მან დაამკვიდრა ცნობილი რევოლუციონერის ტიპი შავი ტყავის ქურთუკში მაუზერით მხარზე. ის ნერგავდა მასობრივ ტერორს ყველგან, სადაც კი ფრონტზე გამოჩნდებოდა. მათ შორის მასობრივი დახვრეტები, ბურჟუაზიის წარმომადგენლების იძულებით მუშაობა სანგრების გასათხრელად, ბურჟუაზიული წარმოშობის ქალების მობილიზება წითელრაზმელების საჭიროებებისათვის. ტროცკიმ მოახერხა გაეზარდა წითელი არმია ბუნებრივი მტრებით, გერმანელი და ავსტრია-უნგრელი ტყვეებით, და წითელი არმიის შემადგენლობამ სამ მილიონს მიაღწია.

ბრესტ-ლიტოვსკში Brest-Litovsk ტროცკის Trotsky პირდაპირ ჰკითხეს, ეკუთვნოდა თუ არა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები რუსეთს და მან ეს დაადასტურა. ამ დროს თურქეთს ზურგს უმაგრებდა გერმანია და მას გადაეცა ყარსი-არდაჰან-ბათუმი, რასაც თურქეთი 4 საუკუნის განმავლობაში ფლობდა.

როდესაც თურქეთმა მოსთხოვა ქართველებს და სომხებს ქალაქების გადაცემა, ამიერკავკასიის სეიმიდან 3 რესპუბლიკის დიდი დელეგაცია გაიგზავნა მოლაპარაკებაზე თურქეთში. როდესაც ისინი გადმოვიდნენ გემიდან, თურქები გაოცებულნი იყვნენ: „თუ ეს ჯარია, ძალზედ მცირეა, მაგრამ თუ ეს დელეგაციაა, ძალზედ დიდია“. იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინა ბრესტ-ლიტოვსკის მიერ შეთანხმების შესრულება, 1918 წელს ამიერკავკასიის სეიმი იძულებული იყო, გამოეცხადებინა რუსეთისგან დამოუკიდებლობა და თურქეთს ომი გამოუცხადა 2 დიდი მძიმე შედეგით: რუსეთის არმიამ მიატოვა თურქეთის ფრონტი, ვინაიდან ამიერკავკასია აღარ იყო რუსეთის გუბერნია, და ამიერკავკასიის სეიმმა და ფედერაციამ შეწყვიტა არსებობა, რადგან აზერბაიჯანელმა თათრებმა უარი თქვეს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ამან თურქეთი არ შეაჩერა, მან დაიწყო ოცნება დიდი თურქეთის აღმოსავლურ იმპერიაზე. 1918 წლის თებერვალ-მარტში გადმოვიდნენ შეტევაზე და დაიკავეს არდაჰანი, ბიტლისი, ერზინკანი, ერზრუმი, მუსი, ტრაბზონი, ყარსი, ართვინი, Ardahan, Bitlis, Erzincan, Erzrum, Mus, Trabzon, Kars, Artvin. 1918 წელს 20 000-იანი რუსეთის არმია გამოვიდა ტრაბზონიდანაც კი, რომელიც ოკუპირებული იყო ორი წლის წინ, 1916 წელს რუსეთის მეფის გენერალ შვარცის მიერ. ამავე 1918 წლის აპრილში გენერალმა გედევანიშვილმა გამოიყვანა 3000 კაცი ბათუმიდან. ბრიტანელები გაოგნებული დარჩენ, თურქეთის მოკავშირე გერმანელებიც მიხვდნენ, რომ ეს არასამართლიანი იყო.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ 117 წლის დაკარგული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველო იყო ევროპის ისტორიაში პირველი ქვეყანა, სადაც სოციალ-დემოკრატიული პარტია მოვიდა ხელისუფლებაში. 1920 წელს მე-II სოცინტერნის II Socintern ლიდერები კარლ კაუცკი და რამსეი მაკდონალდი Karl Kautski and Ramsay Macdonald ესტუმრნენ თბილისს და მისალოცი სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს პარლამენტში. კარლ კაუცკი თავის წიგნში „საქართველო“ წერდა: „საქართველოს არაფერი აკლია, რომ გახდეს ყველაზე ლამაზი და უმდიდრესი ქვეყანა მსოფლიოში“.

ისევე როგორც 21-ე საუკუნეში, საქართველოს ხსნა იყო კარგი ურთიერთობები დაემყარებინა დასავლურ ქვეყნებთან. ქართული დელეგაცია, ჩხენკელის ხელმძღვანელობით, ჩავიდა გენერალ ოტო ფონ ლოსოვთან Lossow ბერლინში, ნიკო ნიკოლაძესთან (ფოთის მერი), ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორი, და ზურაბ ავალიშვილითან ერთად, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, რათა განეხილათ საქართველოს შეყვანა გერმანიის პროტექტორატში.

კრეს ფონ კრესენშტაინი, 1916

გერმანული ჯარი თბილისში, 1918

გერმანელებმა იცოდნენ კავკასიის მნიშვნელობა და მალე დაინტერესდნენ დამოუკიდებელი საქართველოთი, რადგან სომხეთი ანგლოფილური და აზერბაიჯანი ბუნებრივად პროთურქული იყო. ბაქოს ნავთობი და ბათუმის მილსადენი მსოფლიო ინტერესის საგანი გახდა. ბერლინმა აღიარა საქართველო ორ დღეში, 28 მაისს. გენერალი ფონ ლოსოვი ბათუმში გაემგზავრა, რათა ადგილზე შეესწავლა სიტუაცია. 1918 წლის 28 მაისს ფოთში, გერმანიის გემზე ხელი მოაწერა საქართველოს მინისტრ ჩხენკელთან შეთანხმებაზე, რომ საქართველოში განლაგებულიყო გერმანული ჯარები. 3000 ჯარისკაციანი გერმანული კავკასიური ექსპედიცია, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-მაიორი ფრიდრიხ ფრეიჰერ კრეს ფონ კრესენშტაინი Major General Friedrich Freiherr Kress von Kressenstein, თითქმის ექსკლუზიურად დაკომპლექტებული ბავარიის ჯარები (ჭორების თანახმად, ადოლფ ჰიტლერი სწორედ ამ დროს იმყოფებოდა საქართველოში) საქართველოში შემოვიდა. გერმანიის არმია მოვიდა, როგორც თურქებისგან დამცველი და გულითადად მიიღეს კიდეც. 1918 წლის 10 ივნისს გერმანიის ძალები თბილისში შემოვიდნენ და გერმანულ-ქართული პარადი გაიმართა. მათი გაერთიანებული ძალები საქართველოს რამდენიმე რეგიონში განლაგდა. პრემიერ-მინისტრი ნოე ჟორდანია და საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი შეამკეს გერმანიის უმაღლესი ჯილდოთი, რკინის ჯვრით. „გერმანელები დიდხანს იყვნენ პოპულარულნი საქართველოში, მადლობა ვურტემბერგ Wurtemberg კოლონისტებს, რომლებიც აქ დასახლდნენ ასი წლის წინ“, კარლ კაუცკი წერდა თავის წიგნში „საქართველო“ (1920 წ.). პარადოქსულია, საქართველო იყო თითქმის ერთ-ერთი გერმანოფილური ქვეყანა ანტანტის Entante ქვეყნებს შორის. გერმანიამ ქვეყანას მოუტანას ის, რაც ყველაზე მეტად აკლდა და რაც შეიძლებოდა მიღებულიყო სწრაფად მხოლოდ უცხოეთიდან – ეკონომიკის ორგანიზება.

1918-21 წწ-ში საქართველოში გერმანიის დიპლომატიური მისიის მეთაური იყო პოლკოვნიკი ფრედერიკ ფონ დერ შულენბურგი Fredrick von der Schulenburg, რომელიც მეთაურობდა საქართველოს ლეგიონს თურქეთში, ხოლო მოგვიანებით, 1941 წელს, რუსეთში გერმანიის კონსული, რომელმაც სტალინს დიდი მწუხარებით ამცნო ომის დეკლარაცია. მან პირადად მოამზადა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რითიც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ვინაიდან თურქულ-გერმანულ ძალებსა და ბაქოს ნავთს შორის არანაირი ძალა აღარ იყო, ბრიტანეთმა გადაწყვიტა გაეგზავნა სამხედრო მისია თბილისში. ბრიტანელებმა უკვე აიღეს ბაღდადი 1917 წელს და ევროპის ფრონტზე გერმანიამ მარცხი განიცადა. ბაღდადი ბაქოდან 800 მილის მანძილზეა, მაგრამ ამ მისიის პატივი ერგო გენერალ ლიონელ დუნსტერვილს General Lionel Dunsterville, მოგვიანებით ინდოეთის არმიის მეთაურს, კიპლინგის ბავშვობის მეგობარს, რომელმაც ბაღდადში ჩამოაყალიბა მოხალისეების პოლკი მანქანებზე. რაზმი ბაღდადიდან დაწინაურდა 1918 წლის იანვარს, რათა დახმარებოდნენ თბილისის და სომხეთის ქრისტიანებს მუსლიმებისა და გერმანიის წინააღმდეგ, როგორც მან აღწერა თავის წიგნში.

საბჭოთა ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რომ დუნსტერვილს ჰქონდა „40 ფორდის მანქანა ოქროთი და ვერცხლით დატვირთული“, რათა გადაეხადა სამხედრო ოპერაციის საფასური. მაგრამ ის გაიჭედა ენზელში, ჩრდილოეთ ირანში, კასპიის პორტში. ტექნიკურად, მისმა ლაშქრობამ მარცხი განიცადა, მან ვერც მიაღწია თბილისამდე! მაგრამ უზარმაზარი პოლიტიკური როლი შეასრულა რეგიონში ძალების დაბალანსების მიზნით.

ახალი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, გერმანიის გენერალურმა შტაბმა კრესენშტაინს ახალი ბრძანებები მიაწოდა. ბაქოს ნავთობის საბადოები სუეცის არხს ჩაენაცვლა, როგორც სტრატეგიული მიზანი. პოლკოვნიკმა კრესმა, გერმანიის მთავარმა ძალამ რეგიონში, ახლა მიიღო ბრძანება, ჩამოეყალიბებინა გერმანულ-ქართული პოლკი ამიერკავკასიის რკინიგზის დაცვის მიზნით. როგორც ყოველთვის, საქართველოს უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია ჰქონდა. ქართველებისთვის, კრესის მოხსენებით, „სიტყვა გერმანია იყო ... ხსნის სიმბოლო“. 1918 წლის 27 მაისს კრესმა საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკად გერმანიის მფარველობის ქვეშ. გერმანიისა და საქართველოს დროშები ახლა ერთად ფრიალებდა საქართველოში მდებარე ყველა ოფიციალურ შენობაზე. ლუდენდორფი Ludendorff, გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი, წარმატებისგან ენთუზიაზმით აღსავსე იყო და ბრძანა ოსმალთა ტერიტორიიდან, ოფიციალურად მოკავშირე, მაგრამ მოსახლეობის დონეზე მტრულად განწყობილი ქვეყნიდან, ყველა გერმანელი ჯარისკაცის საქართველოში გადმოყვანა.

გერმანიასა და თურქეთს შორის კონფლიქტი გარდაუვალი იყო. 1918 წლის ივნისში ოსმალთა არმიამ განაახლა შეტევა თბილისის ძირითად გზაზე ვეჰიფ

ფაშას Vehip Pasha მეთაურობით და მას წინ აღუდგა გერმანია-საქართველოს გაერთიანებული. ეს ორი ძალა ერთმანეთს დაეჯახა 1918 წლის 10 ივნისს, თბილისის გზაზე ვორონცოვკასთან. ეს პირველი საცეცხლე შეტაკება იყო გერმანიის და თურქეთის ძალების შორის პირველი მსოფლიო ომის დროს, რის გამოც ბერლინი ოფიციალურად დაემუქრა თურქეთს მხარდაჭერის შეწყვეტით. გერმანელების გასაკვირად, ამ მცირე შეტაკების დროს, თურქებმა აიყვანეს „მნიშვნელოვანი რაოდენობის პატიმარი“. ლუდენდორფმა Ludendorff მკაცრად მოითხოვა ტყვეების დაბრუნება. ენვერ ფაშას იმდენად ყელში ამოუვიდა ყველაფერი, რომ მან უფლება მისცა თურქეთის არმიას იერიში მიეტანა გერმანელებზე, თუ ისინი ხელს შეუშლიდნენ წინსვლაში. ეს იყო ყველაზე სერიოზული კრიზისი თურქეთ-გერმანიის ურთიერთობაში. ჰანს ფონ სეექტი Hans von Seeckt, გერმანიის გენერალური შტაბის ახალი უფროსი 1918 წლიდან, გაიგზავნა ბათუმში, თურქებთან მოლაპარაკებების საწარმოებლად. ოსმალეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, დაეთმო და შეაჩერა საქრთველოში თბილისისკენ წინსვლა და ოსმალთა შეტევა რეორიენტირებული იყო ბაქოზე, სომხეთის გავლით. ბაქოს განწირულმა სომხურმა მოსახლეობამ მობილიზაცია დაიწყო. სიტუაციას ართულებდა რამდენიმე თვის წინ, 1918 წლის მარტ-აპრილში, მომხდარი მოვლენები, როდესაც რამდენიმე ათასი აზერი-თურქი მუსლიმი ამოხოცეს იანვარში უკვე შამქორში რამდენიმე ასეული მეფის რუსეთის უიარაღო ჯარისკაცის ამოხოცვის გამო.

ბაქოს რევოლუციური კომიტეტის წევრების უმეტესობა და მეთაური შაუმიანი Shaumian სომხები იყვნენ. თურქეთის „ისლამური არმია“ ძალზედ სწრაფად მიიწევდა. 1918 წლის ივნისში ისინი რამდენიმე კილომეტრით იყვნენ დაშორებული ბაქოს. ევროპის ფრონტზე გერმანელებმა მასობრივი შეტევა განახორციელეს და პარიზს მიადგნენ. გერმანიის არმიას სჭირდებოდა საწვავი. შაუმიანი უამრავ ტელეგრამას უგზავნიდა ლენინს და ტროცკის თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების თხოვნით, მაგრამ რუსი ბოლშევიკები ვერც თვითონ ეხმარებოდნენ და ვერც „იმპერიალისტურ“ ბრიტანეთთან თანამშრომლობდნენ. ბაქოს საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ჩაეტა-რებინა პლებესციტი (!) ივლისში, მოეწვიათ თუ არა ბრიტანეთის არმია გენერალ დუნსტერვილის General Dunsterville მეთაურობით, რომელიც ენზელში იყო დაბანაკებული, ჩრ. ირანის კასპიის პორტში, მათ გადასარჩენად. ბრიტანეთის არმიამ სასწრაფოდ გაგზავნა აგენტები (მაკდონელი MacDonnell) მისიით, რომ გაეაქტიურებინა ქართველები, სომხები და ქურთები თურქეთის არმიის წინააღმდეგ.

ამასობაში ბაქოში პანიკა და ქაოსი დაიწყო. შაუმიანი და საბჭოთა ბაქოს 25 კომისარი ნავით გაემგზავრნენ ასტრახანში, სადაც კასპიის ზღვის აზიურ სანაპიროზე ისინი დახვრიტა რევოლუციური მილიციის გაურკვეველმა ნაწილმა 1918 წლის აგვისტოში. მოსკოვის ბოლშევიკებმა მაშინვე დაადანაშაულეს ინგლისი, მაგრამ ჭეშმარიტება დღემდე დაუდგენელია. რამდენიმე დღეში, 4

აგვისტოს, ბრიტანეთის ელიტარული ჯარები დუნსტერვილის მეთაურობით გადმოვიდნენ ბაქოში. მაგრამ განლაგებული ძალები საკმარისი არ იყო, რათა დაეცვათ სომხური ქრისტიანული მოსახლეობა.

ბაქოს გარშემო სიტუაცია არასდროს იყო ასეთი გაურკვეველი, როგორც 1918 წლის აგვისტოში. ქალაქის შიგნით, სომეხი რევოლუციონერები ცდილობდნენ, შეეჩერებინათ თურქეთის არმიის შემოჭრა ბრიტანეთის „იმ-პერიალისტებთან“ თანამშრომლობით, ხოლო უკანასკნელები შეცდომით თვლიდნენ, რომ წინააღმდეგობას გერმანიის ძალას უწევენ და არა თურქეთის არმიას. ადოლფ იოფე Adolf Joffe, საბჭოთა ელჩი გერმანიაში, სთხოვდა გერმანელებს შეეჩერებინა მათი მოკავშირეების, თურქების, შეტევა ბაქოზე. გერმანელები დათანხმდნენ, თუკი მოსკოვი გარანტიას მისცემდა, რომ გერმანია მიიღებდა მოსკოვისგან პერმანენტულად „ბაქოში წარმოებული ნედლი ნავთობის“ 25 პროცენტს. შესაბამისად, 27 აგვისტოს გაფორმდა შეთანხმება, რომლის არსებობას ამჟამად რუსეთის ოფიციოზი არ აღიარებს. გერმანიის მოთხოვნით, ლენინი დათანხმდა, დამატება შეეტანა ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებაში, სადაც აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთელ ამ ომზე სომხეთის მილიციისა 1000 დუნსტერვილის ბრიტანელ ჯარისკაცთან ერთად კავკასიის ისლამური არმიის წინააღმდეგ ბერლინს არანაირი გავლენის ბერკეტი არ ჰქონდა. გერმანიის მთავრობამ თურქეთისგან მოითხოვა შეეჩერებინა თავდასხმა აზერბაიჯანზე, მაგრამ ეს თხოვნა იგნორირებული იყო. თურქები დაწინაურდნენ და, როდესაც გენერალმა დუნსტერვილმა დაინახა, რომ მისი უზარმაზარი მონდომება რაიმე წესრიგის და დისციპლინის დამყარების მხრივ განწირული იყო, 1918 წლის 14 სექტემბერს ბრიტანეთმა გადაწყვიტა სრული ევაკუაცია. ოპერაცია ღამით უნდა განხორციელებულიყო ქალაქში ყველა იყო გაფრთხილებული, რომ ამას არ გამოეწვია არეულობა და ქაოსი. ადგილობრივმა რევოლუციონერებმა დააშანტაჟეს ბრიტანეთი, რომ მოღალატეებად გამოაცხადებდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ბრძანება გაიცა, ცეცხლი გაეხსნათ ნავებისთვის. და ბოლოს, თურქები შეიჭრნენ ბაქოში და სამი დღის განმავლობაში თურქები და აზერები ძარცვავდნენ ქალაქს. ყველა სომხური მაღაზია გაქურდული იყო. ათასობით სომეხი დაიღუპა. ორი თვის ძარცვის შემდეგ ოსმალეთის არმიამ დატოვა ცარიელი ბაქო.

გერმანიაშიც მძიმე კრიზისული პერიოდი დაიწყო, საქართველოც ქაოსის-კენ მიექანებოდა. არ შეიქმნა რეგულარული არმია, არსებობდა მხოლოდ ნაციონალური გვარდია, ოფიცრების არჩევნებით, ყოველგვარი დისციპლინის გარეშე, და მხოლოდ 6 საათიანი სამუშაო დღით (ჯარში!), გრიპის ეპიდემია თბილისში და სხვა. 1918 წლის 21 ოქტომბერს გერმანელებმაც სრულად დატოვეს რეგიონი და მუდროსის (ლემნოს) შეთანხმების Treaty of Mudros (Lemnos) თანახმად, ბრიტანეთის ძალები გენერალ ვოლკერის Walker მეთაურობით დაბანაკდნენ ბათუმში. 1919 წლის იანვარში კიდევ ერთი ბრიტანეთის

ბატალიონი განთავსდა ფოთში, ინდოელების ჩათვლით, რამაც ქართველებში შოკი გამოწვია. გერმანოფილი ჩხენკელი Chkhenkeli, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ჩაანაცვლა ფრანგულად მოლაპარაკე ევგენი გეგეჭკორმა Evgeni Gegechkori.

1919 წლის პარიზის კონფერენციაზე საბერძნეთი ცდილობდა, მიეღო ნებართვა დაეარსებია პონტოს ქვეყანა და სომხეთი – მათი ქვეყანა სამშობლო მთა არარატითურთ, მაგრამ ათათურქს მხარს უჭერდა რუსეთი და 1923 წელს 300 000 ბერძენი გადაასახლეს საბერძნეთში. სომხების მიმართ თურქების ქცევა გაცილებით ნაკლებად ცივილიზებული იყო და ასობით ათასი ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმეს.

სიტუაცია კიდევ ერთხელ გადაარჩინა საქართველოს ევროპასთან პირადმა ურთიერთობებმა. ორი ქართველი ინტელექტუალი კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი Karlo Chkheidze and Irakli Tsereteli დაუპატიჟებლად დაესწრო პარიზის სამშვიდობო კონფერენციას Paris Peace conference. ეს ბრიტანეთისთვის იყო „მოულოდნელი და არასასიამოვნო განვითარება“. ორ მამაკაცს საშუალება მიეცა ჩასულიყო სტამბოლის ახლოს პრინკიპოს კუნძულებზე Prinkipo Islands, სადაც იმართებოდა კონფერეინციის ნაწილი, რომელიც ეძღვნებოდა რუსეთის ბოლშევიკებისგან განთავისუფლებას. გამარჯვებული ძალები აღიარებდნენ საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას, მაგრამ სამწუხაროდ დამოუკიდებლობის ოფიციალურ აღიარებას აგვიანებდნენ.

კერზონი და ჩერჩილი ემხრობოდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების არსებობას, როგორც კედელს რუსეთსა და აზიის შორის, მაგრამ გაიმარჯვა პრმიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა, რომელიც უელსელი იყო და ინგლისური მისთვის მეორე ენა იყო, მაგრამ ემხრობოდა რუსეთის არსებობას მეფისდროინდელ საზღვრებში. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ინგლისში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ყველა მოქალაქეს მიეცა არჩევნებზე ხმის უფლება. მანამდე მოქალაქეებს მხოლოდ ქონებრივი ცენზით და შემოსავლით ჰქონდათ არჩევნის უფლება. შესაბამისად, ინგლისში მუშების დიდი რაოდენობით ამომრჩევლად გადაქცევამ აიძულა მთავრობა, არ განეხორციელებინა მკვეთრად მტრული პოლიტიკა კომუნისტების წინააღმდეგ.

ოლივერ ვორდროფი

გერმანიამ გაიყვანა ჯარი 13 დეკემბერს და 15 დეკემბერს კავკასიაში ბათუმიდან შემოვიდა ინგლისის ჯარი. 17 დეკემბერს ინგლისელები ირანიდან შევიდნენ ბაქოში. 1919 წლის ზაფხულში ბრიტანეთმა დანიშნა

ოლივერ ვარდროფი Oliver Wardrop თბილისში ამიერკავკასიის უმაღლეს კომისრად. ვარდროფი ძალზედ უყვარდათ საქართველოში: 1880-90 წწ-ში იგი მუშაობდა როგორც კონსული და შეისწავლა არა მხოლოდ ქართული, არამედ სვანური და გამოსცა ქართული ლიტერატურის თარგმანები. ვარდროფს სჯეროდა, რომ მან გადაარჩინა საქართველო ებრაელი ბოლშევიკების შეთქმულებისგან, რომ დაემონებინათ მთელი ქრისტიანობა (დ. რაიფილდი „საქართველოს ისტორია“ 2012 წ. D. Rayfield, „A history of Georgia“). ინგლისის მმართველობა ეკონომიკურად წარმატებული აღმოჩნდა. 30 000 ბრიტანული ძალა გარანტიას იძლეოდა ნავთობის წარმოებაზე და მის გადატანაზე ბათუმში რკინიგზისა და მილსადენების საშუალებით.

ახლა ლენინის ხელისუფლება დაჰპირდა ინგლისს ბაქოს ნავთობის 25%-ს. როდესაც ჰკითხეს, თუ როგორ ყოფდა ის ნავთობს, რომელიც დამოუკიდებელ აზერბაიჯანს ეკუთვნოდა (პირველი დემოკრატიული პარლამენტური რესპუბლიკა მუსლიმურ სამყაროში, როდესაც ქალ პოლიტიკოსს იგივე უფლებები ჰქონდა, როგორც კაცებს), ლენინმა უპასუხა, რომ მალე ეს „შეიცვლებოდა“.

საქართველოს მდგომარეობაც ძალზე რთული იყო. ჩრდილოეთიდან, სოჭიდან რუსი ბოლშევიკები თავს დაესხნენ აფხაზეთს, რის გამოც აფხაზეთმა მოითხოვა დახმარება საქართველოს დემოკრატიულიი რესპუბლიკისგან და დაიწყო სოჭის კონფლიქტი. 1918 წლის ივნისში, საქართველოს ძალები, გენერალ-მაიორ გიორგი მაზნიაშვილის Major General George Mazniashvili მეთაურობით შეუერთდა აფხაზთა კავალერიას, რომელიც 300 ადგილობრივი თავადაზნაურისგან შედგებოდა. მათ მხარში დაუდგა გერმანიის სამხედრო მისია და ადლერი (3 ივლისი), სოჭი (6 ივლისი), ტუაფსე (27 ივლისი) და შავი ზღვის მთელი სანაპირო განთავისუფლებული იყო. 18 სექტემბერს სოჭის საქალაქო საბჭომ გამოაცხადა ქალაქის უნიფიკაცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ლენინისა და დენიკინის ძალების საწინააღმდეგოდ. ეს იყო მიჩნეული როგორც ანექსია, რამაც გამოიწვია თეთრი რუსეთისა და ბოლშევიკების ლიდერების მწვავე პროტესტი.

თავდაპირველად, საქართველო განიხილავდა თეთრ ძალებს, როგორც მოკავშირეებს ბოლშევიკების წინააღმდეგ. მაგრამ დენიკინმა გამოაცხადა მიზნად „დიდი რუსეთი“ კავკასიითურთ, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. დენიკინმა დაიწყო მტრობა და დაიკავა სოჭის ჩრდილოეთ მისადგომი ლაზარევსკაია და მოგვიანებით გაგრა. მეთაურები კონიაშვილი და წერეთელი დაატყვევეს, როდესაც ნასვამები ბრუნდებოდნენ ქორწილიდან 1919 წლის თებერვალში. ბრიტანელი წარმომადგენლები ჩაერივნენ და ბზიფზე გაიყვანეს დემარკაციის ხაზი.

მაგრამ ამავე წლის 12 აპრილს საქართველოს არმიის ნაწილებმა გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით განახორციელეს კონტრშეტევა სოხუმზე. მათ თავიდან აირიდეს ბრიტანეთის სამშვიდობო გუშაგები და აიღეს გაგრა.

ბრიტანეთის ინტერვენციამ შეაჩერა საქართველოს წინ წაწევა. ახალი დემარკაცია გავიდა ადლერის სამხრეთით, მდინარე ფსოუზე. 23-23 მაისს ქართველები, თეთრგვარდიელები და ბრიტანელები შეიკრიბენ თბილისში და მიიღეს სამშვიდობო რეზოლუცია (მოგვიანებით, 1920 წლის მაისში, ეს საზღვარი აღიარა ბოლშევიკურმა რუსეთმაც).

როდესაც გერმანიის მაგიერ კავკასიაში ინგლისელები, სომხეთის მოკავშირეები, შემოვიდნენ, სომხეთი მოემზადა არა მარტო თურქული ანატოლიის მისაღებად, არამედ ყველა საზღვრის გაფართოებისთვის. როდესაც 1918 წ. გერმანიამ შემოიყვანა ჯარი საქართველოში და განალაგა ტიფლისის გუბერნიის საზღვარზე, სომხები უკმაყოფილო იყვნენ და თვლიდნენ, რომ საზღვარი სადღაც უფრო ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო. მაგრამ იმ დროს ამას ყურადღება არავინ მიაქცია, რეგიონში სხვა გაცილებით უფრო დიდი პრობლემების გამო. ხოლო ახლა, 1920 წლის 13 დეკემბერს სომხეთის ჯარი რამდენიმე ათასი მეომრის რაოდენობით მოულოდნელად გადავიდა საზღვარზე და შეუტია თბილისის მიმართულებით. მეთაურობდა გენერალი დრასტამატ კანაიანი (გენერალი დრო). მხოლოდ 16 დეკემბერს თბილისი იძულებული გახდა, სომხეთისთვის ომი გამოეცხადებინა, მაგრამ მობილიზაცია მხოლოდ 18 დეკებერს გამოცხადდა. გენერალმა წულუკიძემ მოახერხა გარკვეული წინააღმდეგობის ორგანიზება და 23 დეკემბერს სომხები შულავერთან დაამარცხა. მაგრამ მდგომარეობა მაინც მძიმე იყო და საქართველოს მთავრობამ აფხაზეთიდან გენერალი მაზნიაშვილი გამოიძახა. მან შეაფასა ქართული ჯარის არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ ერთადერთი პარადოქსული გადაწყვეტილება მიიღო – შეტევაზე გადასვლა. ის არ დაელოდა დამატებითი ბატალიონების მოსვლას და 24 დეკემბერს ქართული ჯარი კონტრშეტევაზე გადაიყვანა. 26-ში პირველად დასაბომბად გამოყენებული იყო ქართული სამხედრო ავიაცია. სომხების გასაკვირად, ინგლისელებმა არ დაიკავეს უპირობო პროსომხური მხარე. ფაქტია, რომ დღევანდელი არსებული საქართველო-სომხეთის საზღვარი სადახლოში (ისევე, როგორც საზღვარი ფსოუზე აფხაზეთში) ინგლისელების მიერ იყო დადგენილი 30-31 დეკემბერს. როდესაც შეტაკებები დაიწყო აგრეთვე ოსებთან, ეს უკვე მეტისმეტი იყო და ამ ქაოსის უიმედოდ შემყურე ბრიტანეთმა გაიყვანა თავისი ჯარები ამიერკავკასიიდან 1919 წლის სექტემბერში.

რუსეთიც ქაოსში ოყო გახვეული. სამხედრო საწყობების დაცვის და მსგავსი მიზეზების გამო იაპონიამ დაიკავა შორეული აღმოსავლეთი, ბრიტანეთმა – არხანგელსკი, საბერძნეთის არმიამ დაიკავა ოდესა და სევასტოპოლი. 1919 წელს ჩეხი მრავალათასიანი ტყვეები აკონტროლებდნენ ციმბირს, თეთრგვარდიელები ებრძოდნენ ყველას და მხოლოდ სტალინის რკინის ნებისყოფამ დაუქვემდებარა სიტუაცია კონტროლს, საქართველოსთვის სავალალო შედეგებით.

საბჭოთა ოკუპაცია



ამიერკავკასიის რესპუბ-ლიკების გათიშულობის გამო მათი ბედი კავკასიის გარეთ წყდებოდა. თურქეთის რეს-პუბლიკის ბრძოლაში რუსეთის დახმარების სანაცვლოდ ლენინ-მა მიიღო თურქეთის თანხმობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიერთებაზე. 1920 წლის 20 აპ-რილს აზერბაიჯანის მთავრო-ბის წევრთა ერთმა ჯგუფმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და საშუალება მისცა რუსეთის ჯარს ბაქოში სარკინიგზო ტრანსპორტით შესულიყო. სამწუხაროდ, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობამ მხოლოდ 23 თვე გასტანა, როდესაც ბოლშევიკების მე-11 საბჭოთა არმია, სერგო ორჯონიკიძეს მეთაურობით, შეიჭრა ბაქოში და გამოცხადდა მუშათა სოციალისტური რესპუბლიკა. ვლადიმერ ლენინი დაუფარავად ამართლებდა ამ შეჭრას იმით, რომ საბჭოთა რუსეთი ბაქოს ნავთობის გარეშე ვერ იარსებებდა. აზერბაიჯანთან ურ-თიერთ-თავდაცვის ხელშეკრულების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა არ ჩაერია კონფლიქტში და რუსეთის არმია საქართველოს კენ გამოეშურა. დაიწყო შიდა პროვოკაციები. პირველი მაისის მუშათა დემონსტრაციის შემდეგ ბოლშევიკებმა განახორციელეს მოულოდნელი თავდასხმა თბილისის სამხედრო კოლეჯზე, რომელსაც შემთხვევით სტუმრობდა მთავარსარდალი გენერალი კვინიტაძე. მან სასტიკი წინააღმდეგობის ორგანიზება მოახერხა. თავდამსხმელები დახოცეს და გადარჩენილები დახვრიტეს. ამ გეგმების ჩაშლამ და, ძირითადად, პოლონეთში გართულებული საომარი მდგომარეობის გამო, რუსეთის ჯარი (ორჯონიკიძის მეთაურობით) 1920 წლის მაისში ვერ შემოიჭრა და საზღვარზე კვინიტაძის ჯართან შეტაკებები რუსეთის მთავრობამ გაუგებრობით ახსნა. ამ ჯერზე დაკმაყოფილდნენ 1920 წლის დეკემბერში სომხეთის გასაბჭოებით.

ვინაიდან ამ დროს მდგომარეობა პოლონურ-რუსულ ფრონტზე გაურ-კვეველი იყო, მოსკოვმა გადაწყვიტა, რომ დასავლეთის ფრონტი ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი იყო და 7 მაისს (კიევის პოლონელების მიერ აღებიდან მეორე დღეს) ხელი მოაწერა საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც ცნობდა და აღიარებდა საქართველოს და გზავნიდა წითელი რუსეთის პირველ ელჩს კიროვს. როდესაც ლორდმა კერზონმა Lord Kerzon თავის რუს კოლეგას ჩიჩერინს Checherin გაუგზავნა პროტესტის შემცველი ტელეგრამა სამხედრო პროვოკაციების შესახებ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, მან ასეთი პასუხი მიიღო: „რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ჩვენ არ გვაქვს მის მიმართ რაიმე პრეტენზიები. რუსეთს არასდროს ჰქონია და არც ექნება საქართველოს რესპუბლიკის მიმართ მტრული დამოკიდებულება“. ევროპულ პრესაში ზედმეტი ხმაურის თავიდან აცილების მიზნით, რუსეთმა აღიარა საქართველოს მთლიანობა და დამოუკიდებლობა და გრიგოლ უროტაძემ და ლევ კარახანმა მოსკოვში ხელი მოაწერეს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას. თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ელჩი სერგეი კიროვი. ნოე ჟორდანიას დათმობის პოლიტიკის მიხედვით, გამოცხადდა ნეიტრალიტეტი, საქართველოში კომუნისტური პარტია გახდა ლეგალური და დაისვა ინგლისის ჯარების გაყვანას საკითხი. ამასთან ერთად, 1921 წლის დასაწყისში რუსეთმა ხელი მოაწერა ბრიტანეთთან სავაჭრო შეთანხმებას, რომელშიც ჩაწერილი იყო ვალდებულება, რომ ბრიტანეთი არ ჩაერეოდა რუსეთის საწინააღმდეგო საქმეებში, ხოლო რუსეთი აღიარებდა პირველი მსოფლიო ომისდროინდელ ყველა ვალდებულებას ბრიტანელი კრედიტორების მიმართ. ეს დიპლომატიური შამათი იყო, ძალზედ მარტივი და გამოუვალი. ზუსტად ამ დროს, კოლჩაკის დამარცხების შემდეგ, წითელი რუსეთის ჯარები ურალიდან წამოვიდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისკენ.

პოლონეთის ფრონტზე ზავის დადების შემდეგ რუსეთმა საქართველოსკენ დაიწყო სამხედრო შენაერთების გადმოსროლა. 1920 წლის დეკემბერს მე-11 წითელი არმია ორჯონიკიძის მეთაურობით ომის გამოუცხადებლად მოადგა სომხეთის საზღვრებს და მთელი ქვეყანა დაიკავა. საქართველო იძულებული იყო, მობილიზაცია გამოეცხადებინა. 1921 წლის 11 თებერვალს წითელმა რეგულარულმა სამხედრო შენაერთებმა, ამჯერათაც ომის გამოუცხადებლად, საქართველოს საზღვარი გადაკვეთეს სომხეთიდან. საქართველოს მთავრობის კითხვაზე რუსეთის მთავრობამ უპასუხა, რომ მომხდარის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდა და ვარაუდი გამოთქვა, ალბათ თქვენს და წითელ სომხეთს შორის რაღაც გაუგებრობა მოხდა მანდვე, ადგილობრივ დონეზე. როდესაც იგივე შეტევა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე დაიწყო და იგივე პასუხი გამეორდა, საქართველომ რუსეთს ომი გამოუცხადა. პარადოქსი იყო, რომ ზუსტად ამ დროს ერევანი რუსეთს წინ აღუდგა და ცოტა ხნით სომხეთიც განთავისუფლდა წითელი რეჟიმისგან.

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკების მე-11 არმია უკვე გეკერის Gekker (დაბადებული თბილისში და დახვრეტილი 1937 წელს) და სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, შემოვიდნენ თბილისში. გენერალი კვინიტაძე რიტორიკულ კითხვას სვამდა, თუ როგორ შეძლო რუსეთმა პირველი მსოფლიო ომის დროს 155 000 ქართველის მობილიზება 1914 წელს, როცა მას ახლა მხოლოდ 10 000 კაცი ჰყავდა შეგროვებული. ბოლშევიკური რიტორიკა ყოველთვის ერთნაირი იყო – „ამბოხებული დაჩაგრული ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა“, ხოლო კარლ კაუცკიც კი აღნიშნავდა, რომ „ეს შესანიშნავი ფაქტია, აჯანყება

ყოველთვის ხდება ზუსტად იმ ადგილებში და იმ დროს, სადაც რუსეთის ჯარები არიან მზად შეჭრისათვის“.

1921 წლის 23 თებერვალს, როდესაც მე-11 წითელმა არმიამ დაიწყო ლაშქრობა აღმოსავლეთიდან თბილისის მიმართულებით, თურქეთის ჯარმა დაიკავა არდაჰანი და ართვინი და წინ წაიწია ბათუმისკენ. ეს უკვე საბჭოთა რუსეთის პრობლემა გახდა. გიორგი ჩიჩერინმა, საბჭოთა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, გადასცა საპროტესტო ნოტა თურქეთის წარმომადგენელს მოსკოვში. ლენინი შეშინებული იყო საქართველოს კამპანიის არახელსაყრელი შედეგების გამო, თურქების და ქართველების წინააღმდეგობის გამო და 2 მარტს გაუგზავნა „საბჭოთა საქართველოს მილოცვები“, მაგრამ ნათლად ამჟღავნებდა სურვილს, საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან მტრობის სწრაფად დასრულებაზე. წერილში ის სთავაზობდა „უზარმაზარი მნიშვნელობას კოალიციურ კომპრომისს“ ქართველ მენშევიკებთან. 8 მარტს ქართული რევკომი (ასევე ქართველები, იმავე სოციალ-დემოკრატების პარტიიდან) სთავაზობდა მენშევიკებს კოალიციური მთავრობის შექმნას, მაგრამ მენშევიკებმა უარით უპასუხეს.

თუმცა, როდესაც თურქეთის მთავრობამ 16 მარტს მოითხოვა ბათუმის ანექსია, საქართველოს მთავრობა იძულებული იყო არჩევანი გაეკეთებინა. მათი იმედები საფრანგეთისა ან ბრიტანეთის ინტერვენციაზე გაქრა, რადგან საფრანგეთს არასდროს გამოუგზავნია საექსპედიციო ძალა საქართველოში და გაერთიანებულმა სამეფომ კი სამეფო ფლოტს უბრძანა არ ჩარეულიყო. უფრო მეტიც, 16 მარტს ბრიტანეთის და საბჭოთა მთავრობამ ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას, რომელშიც პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი Lloyd George პირდებოდა, რომ შეაჩერებდა ანტისაბჭოურ მოქმედებებს ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე.

ქართველი მენშევიკები დასთანხმდნენ მოლაპარაკებებზე რევკომს მხოლოდ ბათუმის საკითხთან დაკავშირებით. ქუთაისში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ და საბჭოთა ოფიციალურმა წარმომადგენელმა აველ ენუქიძემ 17 მარტს მოამზადეს ხელშეკრულება და 18 მარტს ხელი მოეწერა მას, რომელიც ითვალისწინებდა წითელი არმიის ძალების წინწასვლას ბათუმამდე. და მე-18 დივიზიონი, დიმიტრი ჟლობას Dmitri Zhloba მეთაურობით მიადგა ბათუმს.

ამავდროულად, რამდენიმე ათასი ქართველი ეროვნული გვარდიელი გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით შეგროვდნენ ბათუმის მისადგომებთან და ქუჩებში ბრძოლების შემდეგ აიღეს ქალაქი 18 მარტს. ამ ბრძოლების დროს საქართველოს მენშევიკური მთავრობა ავიდა იტალიურ გემზე და ფრანგული ფრეგატის ესკორტით გაემგზავრა ემიგრაციაში[1].

---

[1] საქართველოს მთავრობამ ნაციონალური ძვირფასეულობა ემიგრაციაში, პარიზში წაიღო და 1945 წლამდე ინახავდა ექვთიმე თაყაიშვილი Ekvtime Takaishvili. როდესაც გენერალ დე გოლს General de Gaulle დასჭირდა პოტსდამის კონფერენციაზე

ქართული და წითელი არმიის მეთურები ძალზე შეთანხმებულად მოქმედებდნენ. წითელ არმიას ასევე ქართველები ედგნენ სათავეში (ორჯონიკიძე და სხვები), ერთმანეთში ქართულად ლაპარაკობდნენ და მოსკოვში სტალინს ქართულად უგზავნიდნენ ტელეგრამებს. ქართველები სარგებლობდნენ იმ გარემოებით, რომ თურქეთის არმიას არ შეეძლო რუსულ არმიასთან დაპირისპირება, რადგან ათათურქმა და ლენინმა ხელი მოაწერეს „მეგობრულ შეთანხმებას". სწორედ ამიტომ საღამოობით ქართული შენაერთები უტევდნენ თურქებს, ათავისუფლებდნენ ტერიტორიას და დილით ტერიტორიაზე შემოდიოდა წითელი ჯარი. როდესაც მომდევნო დილით თურქეთის ჯარი მზად იყო კონტრშეტევისთვის, ისინი ხედავდნენ წითელ დროშას და ვერ გადადიოდნენ შეტევაზე. ასე მეორდებოდა რამდენჯერმე ბათუმის და სარფამდე სანაპიროს სრულ განთავისუფლებამდე. 19 მარტს მაზნიაშვილმა გადასცა ბათუმი რევკომის წარმომადგენელს ჟლობას.

ამავე 1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსის შეთანხმების Kars Treaty მიხედვით, ათათურქმა ოფიციალურად შეწყვიტა პრეტენზიები ბაქოზე და ბათუმზე (ნავთობის ექსპორტის გზა), არდაჰანისა და ყარსის სანაცვლოდ (სადაც რუსეთს არანაირი ინტერესი არ ჰქონდა)[1]. 1921 წლის 26 ივლისს რუსეთმა ხელშეკრულება გააფორმა ირანთან და ჯარები შეიყვანა ირანში. რუსული საემიგრაციო პრესა დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა ამ ამბებს.

საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ანექსია დიდწილად რეაქციის გარეშე დარჩა. შეიძლება ეს იმიტომ მოხდა, რომ ადგილობრივების რეაქცია არც თუ ისე ამაღელვებელი იყო. ახალგაზრდა იუნკერების წინააღმდეგობა და მათი ბოლშევიკური არმიის მიერ ამოხოცვა, უზარმაზარი მნიშვნელობის მოვლენა იყო, მაგრამ საქართველოს ეროვნული გვარდია, ყოველგვარი დისციპლინის გარეშე, არ ეწინააღმდეგებოდა რუსეთს. პირველი მსოფლიო ომის დროს 300 000 კაცი იყო მობილიზებული და მხოლოდ 40 000 დაბრუნდა საქართველოში. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური მთავრობა ბოლომდე ანტირუსული არ იყო, რადგან რამდენიმე წლის წინ ისინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები იყვნენ. ნოე ჟორდანია იყო ლენინის უფროსი მეგობარი და სტალინის მასწავლებელი. ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი, კაკი წერეთელი, ნოე რამიშვილი Noe Jordania, Karlo Chkheidze, Akakai Ckhenkeli, Kaki Tsereteli, Noe Ramishvili და სხვა იყვნენ გამოჩენილი ლიდერები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული რევოლუციისა პეტერბურგში, სახელმწიფო დუმის წევრები და 1917 წელს კი დროებითი

დასწრების უფლება, რასაც რუზველტი არ გულისხმობდა, ის დათანხმდა სტალინს და ბერიას ამ საგანძურის საბჭოთა საქართველოში დაბრუნებაზე.

[1] 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობამ აღიარა ყარსის შეთანხმება. მაგრამ სომხების პოზიცია სულ სხვა იყო. სომხეთის კონსტიტუციით, თურქეთის აღმოსავლეთის პროვინციები დასავლეთ სომხეთის ტერიტორიად ითვლებოდა. ეს უკანასკნელი არ აღიარებს თურქეთის იმ საზღვრებს, რომელიც შეთანხმებაშია მოხსენიებული.

მთავრობის. პოლიტიკურად ეს ერთი დემოკრატიული პარტიის მეორეთი ჩანაცვლება იყო, მენშევიკების ბოლშევიკებით შეცვლა. თუმცა არმია რუსებს ეკუთვნოდა, მაგრამ ადგილობრივი ადმინისტრაციის ლიდერები ქართველები გახლდათ.

ემიგრაცია

ლტოლვილები, რომლებმაც დატოვეს საქართველო, რუსეთის დაპყრობის შემდეგ, 1921 წელს, დასახლდნენ ძირითადად საფრანგეთში, ზოგი გერმანიაში და ზოგი კი პოლონეთში.

საფრანგეთში, ქართული არისტოკრატია თავმოყრილი იყო პარიზში, რომელიც ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი გახდა. ზოგი ქართველი საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის გამოჩენილი ოფიცერი გახდა, როგორც თავადი ამილახვარი Amilakhvari.



თავადი კონსტანტინე ანდრონიკოვი Constantin Andronikof (1916-1997) იყო ფრანგი დიპლომატი და თარჯიმანი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში 1945-1981 წწ-ში და ასევე მუშაობდა, როგორც ინგლისურის და რუსულის მთარგმნელი პრეზიდენტ დე გოლთან, ჯორჯ პომპიდუსთან და ვალერი ჟისკარ დესტენთან de Gaulle, Georges Pompidou and Valéry Giscard d'Estaing. ის ძალზედ ახლოს და მეგობრულად იყო დე გოლთან. ცივი ომის დროს ყოველთვის თან ახლდა ფრანგ პრეზიდენტებს აშშ-ში და საბჭოთა კავშირში ვიზიტების დროს. ის იყო ზინოვ-პეშკოვის Zinoviy Peshkov შვილი (მაქსიმ გორკის Maxim Gorky ნაშვილები, იაკობ სვერდლოვის Yakov Sverdlov ძმა, რომელმაც ლენინთან შეთანხმებით, ფორმალური ბრძანება გასცა მეფის ოჯახის სიკვდილით დასჯის), რომელიც მსახურობდა საქართველოში, როგორც დიპლომატი და მას შეუყვარდა სალომე ანდრონიკაშვილი და წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ის საფრანგეთში წაიყვანა.

ჯორჯ შარაშიძე Georges Charachidzé (1930-2010) იყო პარიზის ქართულ-ფრანგული სწავლული კავკასიური მითოლოგიისა და ჩრდილო კავკასიური ენების, რომელიც მონაწილეობდა უბიხების გამქრალი ენის რეკონსტრუქციაში და ჩაიწერა ამ ენის ბოლო ცოცხალი მოლაპარაკე თევფიკ ესენჩი Tevfik Esenç, რომელიც 1992 წელს გარდაიცვალა.

პრინცესა მარი ერისთავი Mary Eristavi (შერვაშიძე) (1888-1986); პრინცესა რიმა ერისთავი (ერისთოვი) Rimma Eristavi (Eristoff) (პარიზის

ნაცისტური ოკუპაციის დროს, მას უბრძანეს დაეტოვებინა საცხოვრებელი, და ნაცისტმა ოფიცერმა კედელზე დაინახა რუსი მეფის ნიკოლოზ II-ის პორტრეტი. მან უპასუხა, რომ ის ნამდვილად მეფე იყო თავის ბიძა გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე ერისთავთან ერთად. მაშინვე ბოდიში მოუხადეს და გაათავისუფლეს); ანა ვორონცოვა-დაშკოვა (ჭავჭავაძე), კავკასიის გენერალ-გუბერნატორის რძალი; მელიტა ჩოლოყაშვილი, პოლონელი როტვანდის Rotwand მეუღლე, ვალერი ჟისკარ დ'ესტენის მეგობარი; ლილია ზელენსკაია; რუსუდან მდივანი და სხვა (ასევე რუსი არისტოკრატები) იყვნენ გამოჩენილი ქართველი არისტოკრატი ქალბატონები, რომლებიც მუშაობდნენ მოდელებად ცნობილ კოკო შანელთან Coco Chanel. პირველი ამერიკული ვოგის VOQUE ნომერი დაიბეჭდა 1920 წელს, რომელიც გამოსცა ივა პასკიევიჩმა Iva Paskievich, სადაც ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ ქართველი და რუსი მოდელები.

თავადი მდივინის Mdivani ოჯახის 5 და-ძმა, რომლებიც ემიგრაციაში წავიდნენ რუსეთის რევოლუციის შემდეგ, 1917 წელს, ძალზედ პოპუ-ლარულები იყვნენ პარიზში ცნობილ ადამიანებზე ქორწინებებით. მათი „თავგადასავლები"აღწერა წიგნში დიმიტრი ობოლენსკიმ. იზაბელ რუსუდან მდივანი Isabelle Roussadana Mdivani (1906-1938), სკულპტორი ქალი, 1928 წელს მისთხოვდა იოსებ მარია სერტ ი ბადიას Josep Maria Sert i Badia, კატალონიის ესპანეთის მურალისტ მხატვარს, სალვადორ დალისა და კოკო შანელის მეგობარს. მისი საზოგადოდ ცნობილი ფრესკები არის პარიზის მერიაში Hôtel de Ville, კატალონიის კათედრალ ვიკში Cathedral of Vic, ჟენევის ერების ლიგაში League of Nations და ნიუ იორკში ვალდორფ ასტორიაში Waldorf-Astoria და როკფელერის Rockefeller GE ცენტრში. იქ მისმა „ამერიკულმა პროგრესმა" ჩაანაცვლა დიეგო რივერას Diego Rivera ფრესკა „კაცი გზაჯვარედინზე", რომელიც ნელსონ როკფელერმა დაიწუნა, რადგან იქ გამოხატული იყო ლენინი.

სერგი მდივანმა (1903-1936) ცოლად შეირთო პოლონეთის თეატრისა და კინოს მსახიობი პოლა ნეგრი Pola Negri, რომელმაც მსოფლიოში გაითქვა სახელი. ის იყო პირველი ევროპული ფილმის ვარსკვლავი, რომელიც ჰოლივუდში მიიწვიეს, გახდა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსახიობი ქალი ამერიკულ მუნჯურ ფილმებში. სასიყვარულო ურთიერთობის შემდეგ, ჩარლზ ჩაპლინის Charlie Chaplin ჩათვლით, ის ცოლად გაჰყვა ქართველ დიდგვაროვანს სერგი მდივანს. სერგის მეორე ცოლი იყო მარი მაკკორმიკი Mary McCormic, მსოფლიოში ცნობილი სოპრანო. ის მთავარ როლს ასრულებდა პარიზის, მონტე კარლოსა და ჩიკაგოს ოპერებში. შემდეგი მეუღლე იყო აშშ-ის არისტოკრატული ოჯახის ასტორის Astor წარმომადგენელი ლუის ასტორ ვან ალენი.

ალექსის მდივანი (1905-1935) 1933 წელს დაქორწინდა ვულვორთის Woolworth მემკვიდრე ბარბარა ჰუტონზე, იმ დროის ყველაზე მდიდარ ქალზე.

მისი სიკვდილის შემდეგ 3 მილიონი ამერიკული დოლარი მის დას, რუსუდანს ერგო მემკვიდრეობით.

დავით მდივანი (1907-1984), რომელმაც ცოლად შეირთო მაე მურაი Mae Murray (1885-1965), ამერიკელი მსახიობი და მოცეკვავე მუნჯური ფილმების ერაში. შემდეგი ცოლი იყო ფრანგი მსახიობი, მომღერალი და მოდელი არლეტი Arletty. 1944 წელს დავითმა ცოლად შეირთო ვირჯინია სენკლერი, სენკლერ ოილ Sinclair Oil კორპორაციის მემკვიდრე.

გენერალ ბაგრატიონის მეუღლე, ლიდია ბაგრატიონი Lydia Bagrationi (born Koudoyaroff), ემიგრაციაში გახდა ჰენრი დეტერდინგის Henri Deterding, ჰოლანდიის როიალ შელის Royal Dutch Shell ნავთობის კომპანიის თავჯდომარის ცოლი, რომელმაც აზერბაიჯანის ნავთობის საბადოები შეიძინა როტშილდების Rothschild ოჯახისა და ძმებ ნობელებისგან Nobel 1911 წელს. ეს იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი ნავთობის კომპანია, მათ შორის ჯონ როკფელერის Rockefeller სტანდარტ ოილი Standard Oil, ახლა შევრონი Chevron, ექსონ მობილი და ბიპი Exxon Mobil and BP. ლიდია ბაგრატიონი პარიზის დიზაინრების ყველაზე მდიდარი დამფინანსებელი იყო 1930-40 წწ-ში. საინტერესოა, რომ ის ასევე იყო 1925 წელს მეუღლე ნავთობის კიდევ ერთი მილიარდერის სომეხ-პორტუგალიელი კალუსტ გულბეკიანისა Calouste Gulbenkian, თურქეთისა და აგრეთვე ერაყის ნავთობის კომპანიის დამფუძნებელის და მფლობელის.

1936 წელს ნინა მდივანი ცოლად გაჰყვა დენის კონან დოილს Denis Conan Doyle, სერ არტურ კონან დოილის ვაჟს. მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მან მემკვიდრეობით მიიღო უფლება შერლოქ ჰოლმსის Sherlock Holmes გამოცემაზე.

თავადი გიორგი ვასილ მაჩაბელი (1885-1935) იყო ქართველი დიდებული და დიპლომატი. ის ბერლინში სწავლობდა ინჟინერიას და იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი ბერლინში თავისუფალი საქართველოს კომიტეტისა 1914 წელს. ის ემიგრაციაში გადავიდა აშშ-ში 1921 წელს და 1924 წელს დააარსა უფლისწულ მაჩაბლის პარფიუმერიული კომპანია Prince Matchabelli Perfume Company ნიუ იორკში, აშშ.

თავადი დიმიტრი ჯორჯაძე Dimitri Jorjadze (1898-1985), ჰილტონის Hilton სასტუმროების ბიზნესმენი, კარგად იყო ცნობილი ავტოსარბოლო წრეებში. 1931 წელს მან მერსედეს ბენცით მოიგო გრანდ პრიზი. 1954 წელს დაქორწინდა ამერიკელ კინოვარსკვლავზე სილვია ეშლიზე Sylvia Ashley, რომლის ერთ-ერთი ქმარი იყო კლარკ გეიბლი Clark Gable. მასთან ერთად, ორივე მეგობრობდნენ ახალგაზრდა კინომსახიობთან რონალდ რეიგანთან Ronald Reagan. ხოლო როდესაც ჯორჯაძის მეგობარი კონსულელო ბალსანი ჩარლზ სპენსერ-ჩერჩილზე დაქორწინდა, მან გაიცნო უინსტონ ჩერჩილი Winston Churchill.

1938 წელს ქართველმა დიდგვაროვანმა არჩილ გურიელ-ჭყონიამ Prince Gourielli-Tchkonia (1895-1955) ცოლად შეირთო ჰელენა რუბინშტეინი Helena Rubinstein, პოლონეთში დაბადებული ამერიკელი ბიზნესმაგნატი, მსოფლიოში

ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქალი, კოსმეტიკის ინდუსტრიის მეორე გამოჩენილი ქალბატონის ელიზაბეტ არდენის Elizabeth Arden სასტიკი მეტოქე. რუბინშტეინი თავის თავს უწოდებდა ჰელენა პრინცესა გურიელს Helena Princess Gourielli, გურიის დედოფალს. ამჟამად კომპანია ეკუთვნის ლორეალს L'Oréal.

თამარა თუმანოვა (თუმანიშვილი) Toumanova (Toumanishvili) (1919-1996 წწ.) იყო ცნობილი ამერიკელი პრიმაბალერინა და ქართული წარმოშობის მსახიობი. ის აღმოაჩინა თანამემამულემ, ბალეტის მაესტრომ ჯორჯ ბალანჩინმა George Balanchine, რომელმაც ის შეერთებულ შტატებში ვარსკვლავად აქცია. თამარა ასევე ჰოლივუდის ფილმშიც გამოჩნდა 1944 წლიდან 1970 წლამდე, სადაც ყოველთვის მოცეკვავის როლში იყო. მისი მხატვრულ ფილმში დებიუტი შედგა 1944 წელს გრეგორი პეკთან ერთად, რომლისთვისაც ასევე ეს ფილმი დებიუტი იყო.

შალვა ქიქოძე Shalva Kikodze (1894-1921), ქართველი ექსპრესიონისტი მხატვარი, დავით კაკაბაძე Davit Kakabadze (1862-1918), ქართველი ავანგარდისტი მხატვარი და ლადო გუდიაშვილი Lado Gudiashvili (1896-1980), ცნობილი ქართველი მხატვარი, რომელთა ნამუშევრებშიც ქართველი პრიმიტივისტი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის Niko Pirosmanashvili დიდი გავლენა იგრძნობოდა (1862-1918), ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ პარიზში 1920 წელს და მონაწილეობას იღებდნენ Société des Artistes Indépendants გამოფენებში, რომელიც ჩამოყალიბდა პარიზში ინოვაციური მხატვრების – პოლ სეზანის, პოლ გოგენის, ჰენრი დე ტულუზ-ლოტრეკის, კამილ პისაროს მიერ Paul Cézanne, Paul Gauguin, Henri de Toulouse-Lautrec, Camille Pissarro. ქართველები მეგობრობდნენ მოდილიანთან, პაბლო პიკასოსთან და სხვებთან Modigliani, Pablo Picasso. როდესაც საქართველოში დაბრუნდნენ, ყველა მათგანი რეპრესირებული იყო კომუნისტური რეჟიმის მიერ.

კონსტანტინე გამსახურდია Konstantine Gamsakhurdia (1893-1975) იყო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სწავლობდა პეტერბურგში, სადაც ის კამათობდა ნიკო მართან Nicholas Marr. მან დოქტორანტურა დაიცვა ბერლინის უნივერსიტეტში 1918 წელს. როგორც რუსეთის მოქალაქე, ის ხანმოკლედ ინტერნირებული იყო ბავარიაში, სადაც მას თომას მანმა Thomas Mann შოკოლადი გაუგზავნა. 1918 წელს, საქართველოს თავისუფლების დეკლარაციის შემდეგ, ის გახდა საქართველოს ატაშე ბერლინის საელჩოში. როდესაც დაბრუნდა წითელ საქართველოში, დააკავეს და დეპორტაცია გაუკეთეს. მას მოუწია ლავრენტი ბერიას პირობების შესრულება და შეძლო გაეგრძელებინა ისტორიული ნაწარმოებების წერა, მაგრამ იძულებული იყო, არ ესაუბრა გარკვეულ პოლიტიკურ საკითხებზე.

მიხეილ ჯავახიშვილი Mikheil Javakhishvili (1880-1937), გამოჩენილი ქართველი მწერალი, 1906 წელს მეფის პოლიტიკურმა რეპრესიებმა საფრანგეთში წასვლა აიძულა, სადაც ის პარიზის უნივერსიტეტში სწავლობდა ხელოვნებასა და პოლიტიკურ ეკონომიკას. ევროპაში მუშაობის შემდეგ ის

საიდუმლოდ დაბრუნდა სამშობლოში. 1923 წელს ჯავახიშვილი დააკავეს და სიკვდილით მიუსაჯეს, მაგრამ მოგვიანებით შეიწყალეს.

გრიგოლ რობაქიძე Grigol Robakidze (1880-1962) იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი, 1900 წელს წავიდა სასწავლებლად ტარტუს (ესტონეთი) და ლეიფციგის (გერმანია) უნივერსიტეტებში. მასზე ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა ფრიდრიხ ვილ-ჰელმ ნიცშეს Friedrich Wilhelm Nietzsche, მისი პროზა კონცენტრირებული იყო „მითოლოგიური არქეტიპების ძებნაზე და მის რეალიზებაზე ერის ცხოვრებაში“. ის დიდად პატივდებული იყო ევროპელი ლიტერატორების მიერ, როგორიცაა შტეფან ცვეიგი Stefan Zweig. 1919 წელს მან მონაწილეობა მიიღო პარიზის მშვიდობის კონ-ფერენციაში როგორც საქართველოს დემოკ-რატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციის აღმასრულებელმა მდივანმა. 1930 წელს წავიდა ემიგრაციაში გერმანიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს ის მუშაობდა დამოუკიდებელი საქართველოს კომიტეტში. ომის შემდეგ მისი ორი წიგნი ბენიტო მუსოლინი და ადოლფ ჰიტლერი, მიჩნეული იყო როგორც პროფაშისტური. ის საფრანგეთში გარდაიცვალა და დასაფლავდა Cemetery of Leuville ქართველების საემიგრაციო მიწაზე ევროპაში.

საქართველოს ემიგრაცია გერმანიაში, მართალია, ძალზედ პატარა იყო, მაგრამ საკმაოდ გავლენიანი. ახალგაზრდა ხალხს გერმანიის უნივერსიტეტებში იღებდნენ და ზოგიერთმა მათგანმა მიიღო დოქტორის ხარისხი. გერმანელ გენერლებს და ფაშიზმის იდეოლოგებს, მაგალითად, ალფრედ როზენბერგს და არმო შიკენდაცს Alfred Rosenberg and Arno Schickedanz, ჰქონდა კარგი ურთიერთობა ქართველ ინტელექტუალებთან. პოლკოვნიკი ვერნერ ფონ შულენბურგი და გენერალი კრეს ვფონ კრესენშტაინი Werner von Schulenburg and Kress von Kressenstein, საქართველოს ლეგიონის დამაარსებლები 1918 წელს, იყვნენ ყველაზე მეტად პატივცემული გერმანელები ქართველებს შორის.

პოლონეთში ქართველების უმეტესობა პოლონეთის არმიაში მიიღეს. ეს ქვეყანა რუსეთის მფლობელობაში იყო ასი წლის მანძილზე, ამიტომ კარგად ესმოდათ ქართველი ხალხის ტრაგედია. პოლონეთის სახელმწიფოს მმართველი, იოსებ პილსუდსკი[1] Józef Piłsudski ქართველი ოფიცრების მეგობარი იყო და ისინი თავის არმიაში სჭირდებოდა რუსეთთან საბრძოლველად.

[1] პილსუდსკის ძმა, ბრონისლავი, ალექსანდრ ულიანოვთან ერთად იყო გასამართლებული მეფე ალექსანდრ III-ის მკვლელობის მზადების გამო, როდესაც მეფე უნდა მისულიყო ეკლესიაში მისი მამის მკვლელობის ადგილას. მაგრამ მოგვიანებით შეიწყალეს და სახალინზე გადაასახლეს, სადაც მან შეისწავლა

პოლიტიკური მდგომარეობა პოლონეთში ვითარდებოდა ისევე, როგორც საქართველოში. ერთი მხრივ, რუსეთი აღიარებდა პოლონეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. მაგრამ ჟან კოვალევსკიმ Jan Kowalewski, ვარშავისა და ლვოვის უნივერსიტეტების მათემატიკოსებთან ერთად გაშიფრეს რუსეთის დიპლომატიური მიმოწერის კოდი. პილსუდსკის გაშიფრული ინფორმაცია წარუდგინეს, სადაც ნაჩვენებია, რომ საბჭოთა კავშირის მიერ აღიარება და 1919 წელს მშვიდობის შეთავაზება ტყუილი იყო და სინამდვილეში ისინი გეგმავდნენ თავდასხმას პოლონეთზე. პილსუდსკიმ ამ დროს ყველაზე დიდი, გამოუსწორებელი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. იმის მაგივრად, რომ გაეგრძელებინა შეტევა მოსკოვზე, დათანხმდა მოლაპარაკებებს და ამით გადაარჩინა ბოლშევიკების მთავრობა 1919 წელს. მოგვიანებით მან დაწერა თავისი გათვლების შესახებ, რომ თუ გაიმარჯვებდნენ რუსეთის თეთრი იმპერიული ძალები, აღმოსავლეთ პოლონეთს შეეძლო მოეპოვებინა მხოლოდ „ეთნიკური საზღვარი“. ამავე დროს, ლენინმა პოლონელებს შესთავაზა ტერიტორიები მინსკის, ჟიტომირის, ხმელინცკის ჩათვლით, ანუ უფრო მეტი, ვიდრე პოლონელებს სურდათ, რომ მიეღწიათ სლავების ზესახელმწიფოს სტატუსისათვის. შეტევის შეჩერების შედეგად მომავალ 1920 წელს ტუხაჩევსკის მიეცა საბჭოთა კონტრშეტევის შესაძლებლობა.

ლეონ ტროცკიმ Leo Trosky „მსოფლიოს პერმანენტული რევოლუციის ექსპორტი“ გამოაცხადა, თუმცა წარუმატებლად, რადგან ახლა მთელი ევროპა იცავდა პოლონელებს კომუნიზმისგან, მათ შორის ქართველები. რამდენიმე ფრანგმა ოფიცერმა, მომავალი პრეზიდენტის შარლ დე გოლის Charles de Gaulle ჩათვლით, მოიპოვა პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენები.

ნოე რამიშვილი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი 1918 წელს და მოგვიანებით შინაგან საქმეთა მინისტრი პრემიერ-მინისტრ ნოე ჟორდანიას მთავრობაში, ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში და სათავეში ჩაუდგა პოლონეთის ანტისაბჭოურ პრომეთეიზმის მოძრაობას Prometheism movement, მაგრამ ბოლშევიკმა აგენტმა ის მოკლა პარიზში 1930 წელს. მეტროს სადგურში რამიშვილს ესროლა და მოკლა ლავრენტი ბერიას ჯაშუშმა, პარმენ ჭანუყვაძემ.

ქართველების სამხედრო ჯგუფის მეთაური იყო გენერალი კონიაშვილი, საქართველოს არმიის ყოფილი მეთაური 1921 წლამდე. ქართველ ოფიცრებს შორის იყო აშშ-ის მომავალი გენერალი შალიკაშვილი. პოლონეთის არმიაში რამდენიმე გამოჩენილი ქართველი გენერალი იყო: ალექსანდრე ჩხეიძე, ზაქარია ბაქრაძე, ივანე ყაზბეგი, ადმირალი ჯერზი თუმანიშვილი და სხვები. ქართველი გენერალი ალექსანდრე სუმბათაშვილი იყო პოლონეთის არმიის

იაპონური, იაპონიაში დასახლდა და რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა. ამჟამად პილსუდსკის გვარის გამგრძელებლები (ძმას ჯოზეფს მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა) არიან იაპონიის მოქალაქეები.

შტაბის უფროსი 1941 წელს. ერთ-ერთი ქართველი ოფიცერი, მაიორი გიორგი მამალაძე დაიღუპა კატინის ხოცვა-ჟლეტვის Katyn Massacre დროს 1940 წელს.

საქართველოს გასაბჭოება

საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრებიც კი გამოირჩეოდნენ დაუმორჩილებლობით. „უკლონისტებისა და ნაციონალების“ საქმე გაიხსნა. 1921 წელს სტალინი ჩამოვიდა თბილისში და მოხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის მდივანი ფილიპე მახარაძე, ჩეკას უფროსი კოტე ცინცაძე და დანიშნეს ბუდუ მდივანი და კვანტალიანი-ბერია. ერთ წელიწადში ზუსტად იგივე პრობლემები გაჩნდა ბუდუ მდივანთან. ორჯონიკიძესთან დაპირისპირება ფიზიკურ ჩხუბშიც კი გადაიზარდა. ლენინი არ ენდობოდა რუსული შოვინიზმით შეპყრობილ „ეროვნული უმცირესობის“ ადგილობრივ წარმომადგენლებს და ვითარებაში გასარკვევად საქართველოში ტროცკი მიავლინა. ადგილობრივ ქართველებს ზოგიერთი ლეგიტიმური მოთხოვნა ჰქონდათ, როგორიცაა ქართული ფულის მოჭრა, ნაწილობრივი საგარეო და კულტურულ დამოუკიდებლობა, რომ საქართველო ცალკე შესულიყო საბჭოთა ფედერაციაში და არა ამიერკავკასიის სახით. მაგრამ მათ ასევე ექსტრემისტული კანონის შემოღება უნდოდათ, რომ საქართველოს მოქალაქე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ქართველი წარმოშობით, ასევე არაქართველზე დაქორწინებული ქართველის გამორიცხვითაც. ტროცკი დაუმეგობრდა ნესტორ ლაკობას, აფხაზეთის ლიდერს, სადაც დიდხანს მკურნალობდა. ტროცკიმ ქართველების მხარე დაიჭირა და ემხრობოდა საქართველოს დამოუკიდებლობასაც კი. ახლა კამენევი გამოაგზავნეს, რათა გარკვეულიყო „ქართულ საქმეში“, მაგრამ თბილისში ჩამოსვლისას მიიღო ტელეგრამა, რომ ლენინი კვდებოდა და მაშინვე უკან დაბრუნდა. სტალინმა გაიმარჯვა და მხოლოდ საქართველოში 1928-37 წლებში „ტროცკის ცენტრის“ 150 წევრი დახვრიტეს, მათ შორის მდივანი, ქავთარაძე, ცინცაძე, ოკუჯავა, ელიავა და სხვები. ლაკობა გარდაიცვალა კრემლში ბერიასთან სტუმრობისას 1936 წელს, სავარაუდოდ მოწამვლის შედეგად.

ამავდროულად, მიმდინარეობდა ღია პატრიოტული წინააღმდეგობა, განსაკუთრებით კი 20-იანების ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყება, რომელიც ჩაახშო რუსეთის წითელი არმიის მასობრივმა რეპრესიებმა. 1924 წელს სტალინმაც კი გაგზავნა დეპეშა რეპრესიების შესაჩერებლად. ორჯონიკიძემ აცნობა ცენტრალურ კომიტეტს: „შესაძლოა ცოტა გადავამეტეთ, მაგრამ ახლა აღარ ეშველება“. ბევრი ევროპელი ინტელექტუალი თვალს ხუჭავდა სიმართლეზე. კლარა ცეტკინი სწორედ ამ პერიოდში ეწვია გურიას და დაწერა უცხოური გაზეთებისთვის, თითქოს საქართველოში ყველა გახარებული იყო საბჭოთა მმართველობით.

1939 წელს საქართველო ისეთივე პარადოქსულ სიტუაციაში აღმოჩნდა, როგორც 250 წლის წინ, როდესაც ირანის უმეტეს ტერიტორიებს ჰყავდათ ქართველი მმართველები და მათ არმიებს უძღვებოდნენ ქართველი მეფეები და უფლისწულები. მოსკოვში სტალინი და ბერია, ქართველებთან და მეგრელებთან ერთად, უძღვებოდნენ საბჭოთა იმპერიას (დ. რაიფილდი D. Rayfield „საქართველოს ისტორია“, 2012 წ.).

მზადება მეორე მსოფლიო ომისთვის

აშშ-ის ელჩი დევისი Davis მხარს უჭერდა სტალინის რეჟიმს, მათ შორის იმიტომ, რომ თავის დროზე იმპერატრიცა ეკატერინე დიდმა უარი უთხრა ინგლისელ მეფეს გიორგი III-ს, რომ დაექირავებინა რუსული ჯარი ან ესესხებინა ფული, რათა ჩაეხშო ამერიკის რესპუბლიკა. ის ამტკიცებდა: „ჩვენ არ შეგვიძლია გერმანელებს ნება მივცეთ გაიმარჯვოს რუსებზე, რადგან კომუნიზმზე უფრო საშინელი ფაშიზმია. ძალზედ დიდი განსხვავებაა სტალინსა და ჰიტლერის რეჟიმს შორის. სტალინი გამუდმებით აცხადებს, რომ არ გააჩნია ტერიტორიული პრეტენზიები. მას არ გამოუცხადებია ომი გერმანელების ამოხოცვამდე. ის მხოლოდ ჰიტლერის წინააღმდეგია[1]. ქრისტიანობის პრინციპი „კაცობრიობის მეგობრობა“, რასაც იესო ქადაგებდა, რუსების კომუნისტურ იდეოლოგიას შეესაბამება. ფაშიზმი კი ქრისტიანულ ღირებულებებს დეკადენტურს უწოდებს და სისუსტედ აცხადებს. ომი ხდებოდა კაცის უმთავრესი ფუნქცია. დიქტატურის ფაქტები რუსეთში დროებითი ხასიათის იყო და გამოიყენებოდა ხალხის მასის დასაცავად, სანამ თავად შეძლებდნენ მმართველობას. ამას გარდა, ეკონომიკურად კომუნიზმი არ მუშაობს. ეს მთავრობა არ არის კომუნისტური. ის არის სოციალისტური ბევრი მახასიათებლით“.

სტალინი ამართლებდა რეპრესიებს ხაზგასმით, როგორც დროებით იძულებას მანამ, სანამ ქვეყნის არსებობას საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ როდესაც მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის არსებობა გამყარდა, რეპრესიებიც შემცირდა, ხოლო ატომური ბომბის შექმნის შემდეგ, როგორც დაპირებული იყო, შეწყდა.

ამ დროს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთი სიხარულს მიეცა, რამაც შემდგომი კატასტროფა გამოიწვია იმიტომ, რომ შობადობამ საფრანგეთში მკვეთრად იკლო, ხოლო გერმანიაში ახალგაზრდა მამაკაცების რაოდენობამ მკვეთრად იმატა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ფრანგი

[1] 1941 წლის ზაფხულში, საქართველოში მყოფი 19 186 გერმანელი დეპორტირებულ იქნა ყაზახეთში, მაგრამ ადამიანური გზით, მათ შეეძლოთ თან წაეღოთ თავიანთი ქონება.

ქალები სექსუალურად მეტად თავისუფალი იყვნენ და ფართოდ იყენებდნენ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, ვიდრე მეზობელი გერმანელი ქალები.

აშშ-ის ელჩი დევისი თავის წიგნში „მოსკოვის მისია“ Mission to Moscow აღწერს იმ მოვლენების ჯაჭვს, რამაც ევროპა ომამდე მიიყვანა:

– 1938 წელს პოლონეთმა ულტიმატუმი წაუყენა ლიტვას, რამაც გაზარდა ეჭვები გერმანია-პოლონეთის შეთქმულების შესახებ, სადაც გერმანია მხარს დაუჭერდა პოლონეთის მიერ პორტ მემელის მოთხოვნას და ამის სანაცვლოდ კი გერმანია პოლონეთისგან მიიღებდა თანხმობას დანცინგის რეიხისთვის დაბრუნებაზე;

– საბჭოთა კავშირთან ციმბირში ბრძოლისას იაპონია დამარცხდა, რადგან იაპონიას ამ ომებში სერიოზული პრობლემები ჰქონდა, მათი ქალაქები ხით იყო ნაშენები, რომლებიც მდებარეობდა რუსეთის ავიაციის ფრენის ზონის ფარგლებში;

– იმ დროს, როდესაც პრემიერ-მინისტრი ჩამბერლენი სამჯერ ჩაფრინდა ჰიტლერთან, რათა ხელი მოეწერა მიუნხენში ხელშეკრულებაზე სუდეტის რეგიონის გერმანიისთვის გადაცემასთან დაკავშირებით, ბრიტანეთისა და საფრანგეთის გასაოცრად, პოლონეთმაც წაუყენა ულტიმატუმი ჩეხოსლოვაკიას, რათა მათ გადაეცათ ტეშინის ოლქი. პოლონეთის მთავრობის კარი დასავლეთისთვის, რომელთაც ეს ქვეყანა შექმნეს 2 ათწლეულის წინ, დაკეტილი იყო. საბჭოებს არ შეეძლოთ დახმარებოდნენ ჩეხოსლოვაკებს პოლონეთში ან რუმინეთში გასასვლელის გარეშე. განცხადდა, რომ საბჭოთა კავშირი დაეხმარებოდა ჩეხოსლოვაკიას და „გზა იქნებოდა გამონახული“. მაგრამ ყველას ესმოდა, რომ ეს იქნებოდა პოლონეთისა და რუმინეთის საზღვრების დარღვევის ხარჯზე;

– ჩეხოსლოვაკიის კრიზისს კიდევ ერთი სერიოზული შედეგი მოჰყვა. ბენეშმა Benesh, პრემიერ-მინისტრმა, გერმანელებისგან გამაფრთხილებელი წერილი მიიღო, „რომ მას რაც შეიძლებოდა მალე უნდა გადაეწყვიტა სუდეტის საკითხი, რადგან მისი იმედები რუსეთის მხარდაჭერაზე მალე გაქრებოდა, იქიდან მიღებული ახალი ამბების გამო“. ბენეშმა შეკრიბა ყველა შესაძლო სადაზვერვო მასალა და აღმოაჩინა რუსეთის მაღალრანგიანი სამხედროების შეთქმულება და აცნობა სტალინს. წითელი არმიის გენერლები და ოფიცრები 1937 წელს დახვრიტეს. გენერალი ტუხაჩევსკი General Tukhatchevsky ვერ გაემგზავრა ლონდონში მეფედ კურთხევაზე დასასწრებად, ის გადმოიყვანეს მატარებლიდან და დააპატიმრეს. ღამის საიდუმლო პოლიციის რეიდები (განსაკუთრებით გამთენიის 1 საათიდან სამ საათამდე) ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. დევისი მოწმობს, რომ მის მიერ მიღებული ინფორმაციის მიხედვით, კრემლში შესასვლელები დაკეტილი იყო მოსახლეობისთვის, პანიკის ბევრი ნიშანი შეინიშნებოდა და დაცვა საგანგებო მდგომარეობაზე იყო გადაყვანილი. დაცვა მთლიანად შედგებოდა ახალწვეული ქართველებისგან, სტალინის

მშობლიური მხარიდან. სამაგიეროდ, გერმანელების შემოჭრისას, მეხუთე კოლონა აღარ არსებობდა;

– 1939 წლის 23 აგვისტოს რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტამდე Ribbentrop-Molotov pact მოსამზადებლად გერმანელებისა და საბჭოთა კავშირის დაახლოების ნიშნად სტალინი იძლებული იყო ებრაელი მინისტრი ლიტვინოვი ჩაენაცვლებინა რუსი მოლოტოვით, ხოლო გერმანელებმა ახალი ელჩი დანიშნეს – გრაფ ფრიდრიხ ფონ შულენბურგი, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის თანაავტორი, ქართული ლეგიონის პირველი მეთაური, სტალინის მშობლიური საქართველოს ძველი მეგობარი;

– მთელი ომის განმავლობაში ქიმიური იარაღის არც ერთი ჭურვი გამოყენებული არ ყოფილა, თუმცა ორივე მხარეს ჰქონდა ქიმიური იარაღის უზარმაზარი პოტენციალი დასაწყობებული და რამდენჯერმე უიმედო მდგომარეობაშიც ჩავარდნილან ხან ერთი და ხან მეორე მხარე. პარადოქსია, მაგრამ საკმარისი იყო ომის პირველ დღეებში მოკავშირეების ერთი განცხადება ჰიტლერის მისამართით, რომ მან არ გაბედოს ქიმიური იარაღის გამოყენება, თორემ მოკავშირეები დაასხამენ მთელ გერმანიის ტერიტორიაზე 3 სანტიმეტრის სისქის ქიმიკატებს, რომ ეს იარაღი არასოდეს გამოყენებულა;

– ერთი მილიონი გერმანელი ინჟინერი ჯერ კიდევ არ იყო მობილიზებული გერმანიის არმიაში 1945 წელს, ჰიტლერიუგენდის და ცირკის არტისტების მობილიზაციის შემდეგაც, რადგან ჰიტლერი ამტკიცებდა, რომ ისინი საჭირონი იქნებოდნენ ომის დამთავრების შემდეგ ეკონომიკის აღსადგენად.

მეორე მსოფლიო ომი და კავკასია

კავკასიის მთებში პირველი ექსპედიციები ბრიტანულმა ალპინისტურმა კლუბებმა მოაწყეს. ჰიმალაისა და ტიბეტის შემდეგ, კავკასია, ევროპელების წარმოშობის ქვეყანა, მითი პრომეთეზე, არგონავტების მოგზაურობის დანიშნულების ადგილი, ოქროს საწმისის სამშობლო, ახალი მომაჯადოებელი ადგილი იყო ალპინისტებისთვის. იალბუზი Elbrus (5642 მ) ყველაზე მაღალი მწვერვალია ევროპაში, შემდეგ უშბა Ushba (4710 მ), შხარა Shkhara (5193 მ), ყაზბეგი Kazbek (5034 მ) და სხვა. დუგლას ფრეშფილდი Douglas Freshfield, რომელმაც დაამთავრა ოქსფორდი და იტონი, იალბუზსა და ყაზბეგზე ავიდა 1868 წელს, ფრედერიკ გარდინერმა Frederick Gardiner ექსპედიცია დაგეგმა 1874 წელს. 1884-1890 წწ-ში 12 ევროპული ექსპედიცია, უფრო მეტად კი ინგლისური, გაიგზავნა კავკასიაში. 1888

წელს, როდესაც სამი ბრიტანელი ალპინისტი გაურკვევლად დაიღუპა მთებში, იყო კულმინაციური მომენტი ბრიტანეთის ექსპედიციებს შორის კავკასიაში. ასეთი საბედისწერო მოვლენის შემდეგ გერმანელი (ბავარიელი) ალპინისტები წინ წავიდნენ პირველ მსოფლიო ომამდე, როდესაც ისინი დააკავეს ჯაშუშობის ბრალდებით.

გერმანელების ერთ-ერთი მთავარი ინტერესი იყო კავკასიის მთებში გამოცხადებული ფიურერის პირდაპირი ბრძანებით „ედელვაისის“ „Edelweiss“ ოპერაცია. ლეიტენანტმა სპლინდერმა და მისმა მეთაურმა ჰეინზ გროთმა Spindler and Heinz Groth, თანამებრძოლებთან ერთად აიტანეს ფაშისტური დროშა იალბუზზე 1942 წლის აგვისტოში. ეს-ესის ეზოთერული იდეოლოგიის მიხედვით, იალბუზს, არიელების წარმოშობის ადგილს, დიდი საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს-ესის სამმა ოფიცერმა ავსტრიელ ალპინისტებთან ერთად საიდუმლო რიტუალი ჩაატარეს და მწვერვალზე მოათავსეს სვასტიკა. ნაცისტური პროპაგანდა იუწყებოდა, რომ გერმანელმა ჯარებმა მიაღწიეს 800 მეტრზე მაღალ სიმაღლეს, ვიდრე სადმე სხვაგან ევროპაში. გროთი და სპლინდერი ჰიტლერმა პირადად შეამკო რკინის ჯვრებით.

ჰიტლერის დამოკიდებულება კავკასიასთან ძალზედ სერიოზული იყო. 1920-30 წწ-ში ევროპელმა მკვლევრებმა (Georges Dumezil) აღმოაჩინეს ისტორიული, ლინგვისტური და ანთროპოლოგიური მტკიცებულებები, რომ არიანები Arians არიან წარმოშობით კავკასიიდან. ოსები მიჩნეულნი იყვნენ, როგორც მომთაბარე სინტიელების Scythians და ასევე ძველი სპარსელების, კავკასიელი არიანების უკანასკნელი გადარჩენილი შთამომავალნი. კავკასიაში გერმანიის არმიამ მიიღო ინსტრუქციები, რომ კავკასიელ ხალხს მეგობრულად უნდა მოპყრობოდნენ. უნდა დაარსებულიყო ადგილობრივი ადმინისტრაციები, ბუნებრივია, გერმანიის სამხედრო კონტროლის ქვეშ. ომი ამ რეგიონში ლიბერალური და ანტიკოლონიური უნდა ყოფილიყო.

გერმანელებს ზუსტი გეგმა ჰქონდათ ყირიმთან დაკავშირებით. ნაცისტებმა შეიმუშავეს იდეა, ყირიმში დაეარსებინათ გოთების დასახლება, გოთლენდი Gotland, სევასტოპოლისთვის გადაერქმიათ სახელი და გამხდარიყო თეოდორიკჰაფენი Theodorichafen, ხოლო სიმფეროპოლი გამხდარიყო გოთენბერგი Gotenberg. ამ გეგმას მხარს უჭერდა ჰიტლერი, რომელიც გეგმავდა მანდ სამხრეთ ტიროლიდან ტიროლელები გადმოესახლებინა, ვინაიდან ის ვერ ითმენდა, რომ გერმანელები სხვა სახელმწიფოში, თუნდაც მოკავშირე იტალიაში, ცხოვრობდნენ.

ომის დროს გერმანელები დაწინაურდნენ აფხაზეთის პირველ სოფლამდე კავკასიის სამხრეთ ბაქანზე, რომელსაც ახალი სახელიც კი დაარქვეს – ეინოდსბახი Einodsbach. სტალინმა ბუნებრივია იცოდა კავკასიის მნიშვნელობა და სასწრაფოდ გაგზავნა ბერია წინააღმდეგობის ორგანიზებისთვის. მას თან ახლდნენ მოსკოველი ალპინისტები, მაგრამ მათი შესაძლებლობები ძალზედ დაბალი იყო. მათ არ ჰქონდათ სპეციალური თბილი ტანსაცმელი,

ტენტები, საძილე ტომრები, მშრალი სპირტის გამაცხელებლები, სათვალეები, ფეხსაცმელები! მათ ეცვათ რეზინის „ვალინკები“ და ალპინისტის ინსტ-რუმენტებიც კი არ ენახათ. ბერიას კავკასიაში დაბრუნებამ შედეგი იქონია და იალბუზისა და სხვა მწვერვალების დაპყრობის შემდეგ, რამდენიმე თვეში, გერმანელები იძულებულნი იყვნენ, უკან დაეხიათ სტალინგრადში მარცხის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინი, ბერია და მრავალი სხვა ფუნქციონერი ქართველები იყვნენ, ქართველ ხალხს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ მათი სასტიკი რეჟიმის დროს და შედეგად მეორე მსოფლიო ომში ქართველები ორივე მხარეს იბრძოდნენ. 1940 წელს საქართველოს მოსახლეობა 3,6 მილიონ ადამიანს შეადგენდა და აქედან მეორე მსოფლიო ომის დროს, 100-დან-200 ათას ქართველს ეცვა გერმანული უნიფორმა, 500-750 ათასს კი წითელი არმიის ფორმა, 300 000 უკან არ დაბრუნებულა, რაც დემოგრაფიულ კატასტროფას უტოლდებოდა. თუ რა იყო რეალური ბალანსი გერმანელებისა და საბჭოთა კავშირის მომხრეებს შორის საჭიროებს შემდგომ გამოძიებას. იოაქიმ ჰოფმანი წიგნში „კავკასია 1942-3“ Joachim Hoffmann „Kaukasien 1942-3“ (Fribourg, 1991) წერს, რომ გერმანიის სადაზვერვო აგენტებმა შეაღწიეს სტალინის რეჟიმის უმაღლესს წრეებს. მისი მტკიცებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს რაფავას, თავდაცვის საბჭოს უფროსს დადიანს და საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივანს ჰქონდათ საიდუმლო კავშირი გერმანელებთან. 1942 წლის ზაფხულში ქართველების ჯგუფი, ვაჟა-ფშაველას უმცროსი ვაჟის ვახტანგის ჩათვლით, წავიდნენ მთებში, რათა დახვედროდნენ გერმანელებს.

ბევრი ემიგრანტი გერმანიის მხარეს იბრძოდა, თუმცა ყოფილი მთავ-რობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია საფრანგეთიდან წინააღმდეგი იყო გერმანელებთან თანამშრომლობისა, მაგრამ სპირიდონ კედია დიდად აქტიური იყო ამ თანამშრომლობაში, თუმცა ხშირად აღიზიანებდა გერმანელებს, ვინაიდან სერიოზული კონფლიქტი ჰქონდა რუს გენერლებთან, მაგალითად, ვლასოვთან, რომელიც იჩემებდა „რუსეთის“ ყველა ტერიტორიას. გერმანიის დამარცხების შემდეგ კედიამ სიცოცხლე სუიციდით დაასრულა, ჟენევაში ფანჯრიდან გადახტა.

გენერალი შალვა მაღლაკელიძე, თბილისის გენერალ-გუბერნატორი 1918 წელს, მსახურობდა როგორც ქართული ლეგიონის მეთაური. ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის მამა, აშშ-ის არმიის მომავალი შტაბის უფროსი, მსახურობდა პოლონეთში ქართულ ლეგიონში. ალექსანდრე ნიკურაძე (pseudonym A. S(Z)anders) 1918 წელს დამოუკიდებელმა საქართველომ გაგზავნა გერმანიაში სასწავლებლად, სადაც ის ახლო მეგობარი გახდა ა. როზენბერგისა და არნო შიკედანცის, კავკასიის კომისარიატის მეთაურის, ორივე ბალტიელი გერმანელი იყო. გენერალ მაღლაკელიძეს მეუღლეც ასევე ბალტიელი გერმანელი იყო და როზენბერგის პირადი მეგობარი გახდა. ის იყო კ. ჰაუსჰოფერის „ლებენსრაუმის

თეორიის“ K. Haushoffer „Lebensraum theory“ მიმდევარი. გრიგოლ რობაქიძე მეორე მსოფლიო ომის დროს წიგნებს წერდა მუსოლინსა და ჰიტლერზე. მ. ახმეტელი, სხვა ქართველი მკვლევარი გერმანიაში, სათავეში ჩაუდგა ფაშისტური იდეოლოგიის კვლევით ინსტიტუტს და ამტკიცებდა, რომ თითქოს ქართველები იყვნენ, როგორც „გერმანელები რუსეთში“. როგორც აღიარება ქართველების არიანული წარმოშობა, „ქართული ლეგიონი“ ვერმახტში დაარსდა და არა ეს-ეს-ში.

გერმანელებს შორის ორი ჯგუფი იყო, ვინც რჩევებს აძლევდა ჰიტლერს, თუ როგორ ემართა კავკასიის რეგიონი. პირველი ჯგუფი შედგებოდა – ალფრედ როზენბერგი Alfred Rosenberg, ოკუპირებული ტერიტორიების რაიხსკომისარი, ერიხ კოხი Erich Koch, გერმანიის პროკონსული უკრაინაში და არნო შიკედანცი Arno Schickedanz, კავკასიის კომისარი, ნაცისტური პარტიული ორგანოს „Voelkischer Beobachter“ ჟურნალისტი. შიკედანცს უკვე დაწყებული ჰქონდა თბილისის რეზიდენციის რეკონსტრუქციის დაგეგმვა. ალფრედ როზენბერგისა და არნოლდ შიკედანცის მეგობრები იყვნენ დამოუკიდებელი საქართველოს მიერ გერმანიაში გაგზავნილი სტუდენტები და ამჟამად გერმანული უნივერსიტეტების პროფესორები შალვა მაღლაკელიძე, ალექსანდრე ნიკურაძე (სანდერსი), მიხეილ ახმეტელი, ზურაბ ავალოვ-ავალიშვილი, გიორგი მაღალოვ-მაღალაშვილი, გრიგოლ რობაქიძე და სხვები.

გერმანიის ადმინისტრაციის მეორე ჯგუფი, დაკომპლექტებული ეკონომიკური და სამხედრო სპეციალისტებისგან და არა პარტიული ფუნქციონერებისგან, აღნიშნავდა რეიხკომისარ კოხის კატასტროფულ მმართველობას უკრაინაში, მისი ბრძოლით Untermensch-ის წინააღმდეგ, და ეს მეორე ჯგუფი მხარს უჭერდა გერმანიის ნაკლებ ჩართულობას კავკასიის ავტონომიაში, რაც ეკონომიკურად ნაკლებად ხარჯიანი იყო. ამ ჯგუფს სათავეში ედგა კლაუს შენკ ფონ შტაუფენბერგი Claus Schenk von Stauffenberg, ფიურერის წინააღმდეგ მომავალში შეთქმულების ხელმძღვანელი 1944 წელს, ექსპერტი ოტო ბრაუტიგანი Otto Brautigan, ყოფილი კონსული ხარკოვსა და თბილისში, და ყოფილი დიპლომატი გრაფ ფონ შულენბურგი Graf von Schulenburg, ორიენტალისტი თეოდორ ობერლანდერი Theodor Oberlander და პოლიგლოტი გერმანელი თბილისიდან ვალტერ ფონ კრუშენბახი Walter von Krutzschenbach. შტაუფენბერგმა დაარწმუნა თავის სისწორეში მარშალი ლისტი და გენერალი ვან კლეისტი Marshal List and general von Kleist, ვერმახტის სამხრეთის მიმართულების მეთაურები. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ადმირალი კანარისიც Admiral Canaris, აბვერის Abwehr მეთაური, მათ მხარეს იყო. მათი სლოგანი იყო „თავისუფლება და არა დაპყრობა“. 1942 წელს თეოდორ ობერლანდერმა[1] საფრანგეთიდან ქართველი ემიგრანტებისაგან

[1] ნაცისტური პარტიის წევრი ორბერლანდერი, რუსოფობი, ანტიკომუნისტი, ცნობილი ატლანტისტი, ომის შემდეგ გახდა კორნარდ ადენაუერის ჩონრად დენაუერ მრჩეველი და მთავრობის წევრი. იგი იძულებული გახდა, გადამდგარიყო რუსების უპრეცედენტო ზეწოლის გამო 1960 წელს. კავკასიის ფრონტიდან ის

ჩამოაყალიბა სპეცდანაყოფი ბერგმანი Sonderverband Bergmann თბილისელი გერმანელის ვალტერ ფონ კუშენბახის მეთაურობით, რომელიც საუბრობდა როგორც ქართულად, ასევე რუსულად. წითელი არმიიდან ტყვეების (მათ შორის ქართველების) დიდი ნაკადი მოდიოდა.

ამ ორ ჯგუფს შორის პაექრობა მთელი ომის განმავლობაში მიმდინარეობდა. მთიანი ებრაელების, ტატების Tats საკითხი მოგვარდა მეორე ჯგუფის გავლენით ვანზეეინსტიტუტის Wanseeinstitut სამეცნიერო გადაწყვეტილების საფუძველზე, რომ იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ასრულებენ ისრაელის რიტუალებს, მათი წარმოშობა ძალზედ მისტიკურია. ეს გადაწყვეტილება კი სასწრაფოდ გაიგზავნა კავკასიაში იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ ეს-ეს-ის შტურმბანფიურერ პერსრერერის SS Sturmbahnfurer Persrerer მიერ რამდენიმე ათასი ტატის ლიკვიდაცია. ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო, რომ ტატები რუსეთის მეფის დროსაც კი არ იყვნენ ტერორის ქვეშ (თუმცა ამან არ იმუშავა ყირიმის კარაიტეს Karaites of Crimea შემთხვევაში, ჰიტლერმა ისინი მაინც რეპრესიებში მოაყოლა). ვიშის მთავრობაში ქართველმა ემიგრანტებმა მოახერხეს დაერწმუნებინათ გერმანელები, რომ ქართველი ებრაელები ეთნიკურად ქართველები იყვნენ, რომელთაც უბრალოდ გადაწყვიტეს იუდაიზ-მის წეს-ჩვეულებაზე გადასულიყვნენ. 650 ებრაელმა ქართველმა საფრანგეთში ეროვნება „ებრაელი“ ამოიღო ოფიციალური პასპორტებიდან.

რუსი ისტორიკოსების წყაროების მიხედვით, მიუხედავად ალფრედ როზენბერგის მტკიცებულებებისა, რომ ქართველები და სომხები იყვნენ ან ინდოევროპელები ან არიანელები, ჰიტლერი თავის ეჭვებს გამოთქვავდა: „მე არ მჯერა ამ ქართველების. სარწმუნოდ მხოლოდ მუსლიმები მიმაჩნია... დანარჩენები კი არასაიმედოდ. ამჟამად სუფთა კავკასიელების ბატალიონების შექმნა სარისკო მგონია, კავკასიელი ხალხი ძალზედ სარისკოდ მიმაჩნია, თუმცა არ ვხედავ რაიმე საფრთხეს მუსლიმანური შენაერთების შექმნაში... მიუხედავად როზენბერგის და სამხედროების დეკლარაციებისა, მე მაინც არც სომხებს ვენდობი“.

ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმი ხალხები მიესალმებოდნენ გერმანელ გამანთავისუფლებლებს. ჯერ კიდევ გასაბჭოების დროს ბოლშევიკების მიერ დანიშნული პირველი მდივანი ჩერნოგლაზი თავმოკვეთილი იპოვნეს. რუს გამომძიებლებს ადგილობრივებმა შეუთვალეს, რომ მას თავი ინგუშეთში ჩამოსვლამდეც არ ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ჩამოვიდოდა. გერმანელებმა ნება მისცეს ყარაჩაელებს Karachi იარაღის ტარებისა.

შედეგად 1943-4 წლებში ნახევარი მილიონი ყალმუხი, ჩეჩენი, ინგუში, ყარაჩაელი და ბალყარელი ათასობით ვაგონით დეპორტირებულნი იყვნენ აზიაში ბერიას ბრძანებით, რომელიც ხელმძღვანელობდა ვლადიკავკაზის სადგურში მდგომი მატარებლიდან. ყაბარდოელები ძირითადად გადარჩნენ.

პირდად იცნობდა ლეონიდ ბრეჟნევს, მარშალ გრეჩკოს, იდეოლოგისტ სუსლოვს.

იალბუზის ირგვლივ მდებარე ტერიტორიები გაიყო ბალყარეთსა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის. მოგვიანებით, მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებლების გამო, ბერიას ადიუტანტი, ქობულოვი, პირადად ჩავიდა დასახლების ადგილებში და სიტუაციაზე კონტროლი დაამყარა.

ოფიციალურად, მათ ბრალი დასდეს გერმანელებთან თანამშრომლობაში, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ჩეჩნური და ინგუში სოფელი იყო ოკუპირებული, ისიც რამდენიმე თვე. გარდა ამისა, ისინი არ იყვნენ მობილიზებული წითელ არმიაში, რადგან არ იცოდნენ რუსული და არ ჭამდნენ ღორის ხორცს. მაგრამ ამ მიზეზების მიუხედავად, აზერები, თათრები და უზბეკები წითელ ჯარში მიჰყავდათ. სვანები, აჭარლები და ხევსურები აგრეთვე განთავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო სამსახურისაგან, ისინი ადგილობრივ ბაზებში მსახურობდნენ, რადგან არ ესმოდათ რუსული და ვერ იგებდნენ ბრძანებებს.

ყარაჩაელი ისტორიკოს ჩომაევის Tchomaev მიხედვით, ეს აიხსნებოდა სტალინ-ბერიას ჯგუფის გეგმით (ძმები ქობულოვები (ბოგდან და ამაიაკი), სტეფან მამულოვი, ნ. რუხაძე, ა. საჯაია, ს. გოგლიძე), რათა ჩამოეყალიბებინათ „დიდი საქართველო“ და ამისათვის ყირიმის ადმინისტრაციულად საქართველოსთან მიერთებაც იგეგმებოდა.

მოგვიანებით, 1944 წლის ნოემბერში, ყირიმელი თათრები ყირიმიდან და მესხები, ქურთები და ბოშები საქართველოდან დეპორტირებულნი იყვნენ, შავი ზღვისპირა ბერძნებიც კი. განთავისუფლებული მიწები ლოიალური ერების წარმომადგენლებით სახლდებოდა. შესაბამისად, ძლიერდებოდა უკრაინული და კავკასიური პატრიოტული მოძრაობა და ისტორიული იდეოლოგია. უკრაინიზაციის გაძლიერებას „რკინის“ კაგანოვიჩი ახორციელებდა სტალინის ხელმძღვანელობით. კავკასიაში ეს აიხსნებოდა, როგორც უსაფრთხოების ღონისძიება, რადგან „ნეიტრალურ“ თურქეთს ჰყავდა 60 დივიზია საბჭოთა კავშირის საზღვარზე. ბერძნები მოექცნენ რეპრესიებში იმის გამო, რომ უკრაინაში სამოქალაქო ომის დროს ოდესა და სევასტოპოლი ბერძნების მიერ იყო ოკუპირებული. იყო რამდენიმე გამონაკლისი – საქართველოს ადმინისტრაცია წინააღმდეგი იყო საქართველოს მოქალაქეების – ჩეჩენ-ქისტების დეპორტაციისა. გამონაკლისი იყო აგრეთვე ის ფაქტი, რომ დეპორტირებული ინგუშების დაბრუნების შემდეგ, ქართველებმა დაუტოვეს სახლები იგივე მდგომარეობაში და წავიდნენ, ხოლო ოსებთან ინგუშებს დღესაც უმწვავესი პრეტენზიები აქვთ.

1957 წელს პარტიის მიერ ყველა ხალხი რეაბილიტირებული იყო, გარდა ყირიმელი თათრებისა და გერმანელებისა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

ომი 1945 წელს დასრულდა, როდესაც რუსმა ეგოროვმა და ქართველმა ქანთარიამ სიმბოლურად აღმართეს საბჭოთა კავშირის წითელი დროშა რეიხსტაგზე. ბედის ირონიით, ქანთარია თავად გახდა თავის ქვეყანაში სოხუმიდან ლტოლვილი 90-იან წწ-ში, როდესაც რუსი კაზაკები შეიჭრენ აფხაზეთში, ხოლო 2008 წლის აგვისტოში რუსმა ჯარებმა დაბომბეს ქალაქი გორი, მათი დიდი ლიდერის სტალინის დაბადების ადგილი. რუსების ტანკების მიერ დაღუპული ქართველების სურათი სტალინის მონუმენტთან ისტორიულად აბსოლუტურად ალოგიკური ფინალია. გასაკვირი არ არის, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ აიღო სტალინის ძეგლი ქალაქის განთავისუფლების შემდეგ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა სცადა გაეუქმებინა ყარსის შეთანხმება და დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები. 1945 წლის 7 ივნისს საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლოტოვმა უთხრა თურქეთის ელჩს მოსკოვში, რომ ეს რეგიონები უნდა დაბრუნებოდა საბჭოთა კავშირს, კონკრეტულად კი საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიები. თურქეთს არ ჰქონდა იმის პირობები, რომ ებრძოლა საბჭოთა კავშირთან, რომელიც აღმოჩნდა ყველაზე დიდი ძალა მეორე მსოფლიო ომში. რუსეთმა თურქეთს მოსთხოვა სამხედრო ბაზა ბოსფორზე. თურქი პოლიტიკოსები აქტიურად მუშაობდნენ ბრიტანეთიც მთავრობის დახმარებით, რათა უზრუნველვყოთ აშშ-ის დახმარება. ამ პერიოდში ვაშინგტონში გარდაიცვალა თურქეთის ელჩი და ამერიკამ სტამბოლში გაგზავნა მისი ნეშტი არა თვითმფრინავით, არამედ სამხედრო კრეისერით USS Missouri. ეს იყო პირველი ფართომასშტაბიანი აშშ-ის სამხედრო ვიზიტი თურქეთში, რაც სიმბოლური ჟესტი იყო. მხოლოდ ამ შემთხვევის შემდეგ დაიხია რუსეთმა უკან.

1943 წლის თეირანის კონფერენციის დროს სტალინი ეწვია ირანის უკანასკნელ შაჰს მოჰამედ რეზა ფეჰლავის, რომელიც ისეთი შეშინებული იყო, რომ მუხლებზე დაემხო მის წინაშე. საოცარია, მაგრამ სტალინმა მასთან წაიყვანა მხოლოდ ქართველი წარმოშობის საბჭოთა გენერლები – ბერია, შალვა წერეთელი, პირადი დაცვის მეთაური, და ორი გენერალი, გრიგოლ კარანაძე და კაპიტონ ნაჭყებია.

1949 წელს, როდესაც სტალინი დაბადების დღეს აღნიშნავდა, ჩინეთის დელეგაცია ეწვია მას და მაო ძედუნმა მის წინაშე მუხლი მოიყარა. ამ დროს იქ იმყოფებოდა ქართველი მიხეილ ჭიაურელი, რომელმაც შეამჩნია, როგორც სხვა ბევრმა დელეგატმა, რომ სტალინმა ამ მომენტში პირდაპირ მას შეხედა და გაიღიმა.

მასობრივი წითელი ტერორი დასრულდა (ან სულ ცოტა, მნიშვნელოვნად შემცირდა), როდესაც თბილისიდან მოსკოვში გადაყვანილი ბერია ხელმძღვანელობდა საიდუმლო პოლიციას 1938 წელს იაგოდას (1934-36) და ეჟოვის (1936-38) შემდეგ, რომლებიც გასამართლებული იყვნენ ოფიციალურად

„საბჭოთა ხალხის მიმართ გადაჭარბებული რეპრესიების“ გამო. დაახლოებით 100 000 ადამიანი გათავისუფლდა შრომის ბანაკებიდან და ყველა გადარჩენილი სამხედრო ოფიცერი და გენერალი არმიას დაუბრუნდა. ბერიას მეუღლის ნინა გეგეჭკორის ბიძა იყო თეთრი ემიგრანტი, საქართველოს მენშევიკური მთავრობის წევრი, ხოლო თვითონ მისი დედა იყო ჯაყელი, საქართველოს სამცხეს პროვინციის მმართველი დინასტიის პირდაპირი შთამომავალი. ბერიას ეკუთვნის ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი მეორე მსოფლიო ომში: მან შექმნა ჯაშუშთა ქსელი, მაგ., რიხარდ ზორგე Richard Sorge ტოკიოში; კიმ ფილბი Kim Philby, კემბრიჯის ხუთეულის წევრი, ბრიტანეთის დაზვერვის მთავარი წარმომადგენელი ვაშინგტონში; კლაუს ფუქსი Klaus Fuchs, ატომური საიდულოებების მზვერავი ამერიკის მანჰეტენის პროექტში; ეთელ და იულიუს როზენბერგები Ethel and Julius Rosenberg, რომლებიც სიკვდილით დასაჯეს შეერთებულ შტატებში 1953 წელს საბჭოთა კავშირისთვის სამხედრო-სამეცნიერო ინფორმაციის მიწოდებისთვის; ფიშერი (რუდოლფ აბელი) Fisher (Rudolf Abel), საბჭოთა დაზვერვის ოფიცერი ინგლისში და აშშ-ში, რომელიც 1957 წელს გაცვალეს ტყვედ აყვანილ ამერიკის U-2-ის პილოტზე გარი პაუერსზე, და სხვა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, ბერიას ინიციატივით, აიკრძალა ციხეებში წამება. მან დასვა საბჭოთა კავშირის დეცენტრალიზაციის საკითხი და ოფიციალურ დაწესებულებებში პარტიის ლიდერების პორტრეტების შესახებ, გააკრიტიკა უკრაინისა და ლიტვის რუსიფიკაცია, ბალტიის სახელმწიფოებსა და ბელორუსიას შესთავაზა მეტი დამოუკიდებლობა. ბერიას განცხადებების მიხედვით, ის მხარს უჭერდა გერმანიის გაერთიანებას და ცივი ომის დასრულებას. ის აპირებდა აშშ-სგან დახმარების თხოვნას, როგორც ეს მიიღო მეორე მსოფლიო ომში. ბერია სთავაზობდა კალინინგრადის გერმანიისთვის გადაცემას, კარელიის – ფინეთისთვის, მოლდოვის – რუმინეთისთვის და კურილის კუნძულების – იაპონიისთვის. მან შესთავაზა ცეკას რამდენიმე ლიბერალური რეფორმა: კერძო საკუთრების აღიარება, ერთპარტიული სისტემის უარყოფა, რესპუბლიკებისთვის მეტი ავტონომიის მინიჭება, ენის გამოყენების მეტი უფლება. 1955 წელს მაისის დღის აღლუმი მოსკოვში გაიმართა ლიდერების სურათების გარეშე. დაიწყეს პოლიტპატიმრების განთავისუფლება. ასობით ათასი გაანთავისუფლეს გულაგიდან. მან უნგრეთში დააწინაურა ლიბერალი მოაზროვნე იმრე ნადი (ბერიას აგენტი „ვოლოდია“), რომელიც ხრუშჩოვმა ჩამოახრჩო უნგრეთის რევოლუციის გამო 1956 წელს. მან იუგოსლავიას შერიგება შესთავაზა. მან დაამთავრა კორეის ომი. გერმანიაში ვიზიტის დროს, ის დაჰპირდა გერმანიას გაერთიანებას. ზუსტად ამ ვიზიტის შემდეგ მოსკოვის აეროპორტში ტრაპზე ის იყო დაკავებული.

სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის უდიდესი მულტინაციონალური იმპერია რამოდენიმე თვეში დასრულდა. ბერიის ლიკვიდაციისას და პარტიის მე-20 ყრილობაზე გამოსვლისას ხრუშჩოვი მხოლოდ ნაციო-

ნალისტური მონოლითური აზროვნების იმედზე იყო და, როგორც ყოველთვის, ამან გაამართლა, მაგრამ, როგორც ასევე ყოველთვის, მხოლოდ დროებით. ნებისმიერ მონოცენტრისტულ იმპერიაში ტიტულარული ერის დომინირების ტირანიაში გადაგვარება გარდუვალია. მაო ძედუნი გაოგნებული იყო, თუ როგორ მოხვდა სტალინის შემდეგ საბჭოთა იმპერიის სათავეში ხრუშჩოვი, რომელსაც დაუფარავად "დურაკს" უწოდებდა. ეს უხილავი ძალა მხოლოდ იმპერიალისტური ნაციონალიზმი იყო. და ეს არა მარტო უზარმაზარ ქვეყნებს ეხება.

ამიტომ შემდგომ სასამართლო აცხადებდა, რომ „ბერია ცდილობდა მოეპოვებინა იმპერიალისტური სახელმწიფოების მხარდაჭერა საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ხარჯზე". როგორც ყოველთვის, საფრთხემ იმპერიული ტერიტორიის მხოლოდ უმცირესი ნაწილის დაკარგვისაც კი ინსტინქტურად გამოიწვია რუსეთის პოლიტბიუროს ერთობა და აგრესია ბერიას წინააღმდეგ. ბერია დააპატიმრა გენერალმა მოსკლენკომ და მოკლა გენერალმა ბატიცკიმ 1953 წელს. ფედოროვსკი ამტკიცებდა თავის წიგნში „De Rasputine a Poutine", რომ ალექსანდრე იაკოვლევის კომისიის მიხედვით, ბერიას ქალებისადმი ურთიერთობების შესახებ ისტორიები ხრუშჩოვის მიერ იყო შეთხზული.

ბედის ირონიით, KGB-ს ქართველმა გენერალმა ინაურმა 1964 წელს ხრუშჩოვი შავი ზღვის კურორტზე ბიჭვინთაში დააკავა, გააცილა ის კრემლში, სადაც ის ყველა დაკავებული პოსტიდან გაათავისუფლეს.

საქართველოს რუსეთისგან მეორე განთავისუფლება

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მარშალის გეგმის Marshall Plan მიხედვით, ამერიკამ გადასცა გერმანიას 13,5 მილიარდი დოლარი და ნახევარი მილიარდი იაპონიას, ამით კი შეიქმნა მდიდარი, წარმატებული და ერთგული მოკავშირეები. ამის შედეგად გაერთიანების დღეს დასავლეთ გერმანიაში არსებობდა მერსედესი, ხოლო რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფ აღმოსავლეთ გერმანიაში კი პლასტმასის (!) ტრაბანდი. სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეა ნათელი მაგალითია განსხვავებული მმართველობისა. სერბეთიც კი (ნატოს მიერ დაბომბილი) ცდილობს გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი.

საბჭოთა კავშირის ავტორიტარული მმართველობის და თავისუფალ სამყაროს შორის ხილული განსხვავება 1958 წელს მკვეთრად გამოაშკარავდა, როდესაც გამოფენაზე ნიუ იორკში საბჭოელებმა გაგზავნეს ტრაქტორები (ანუ ტანკები) და რაკეტები, რათა დაერწმუნებინათ კაპიტალისტები, რომ წინააღმდეგობის გაწევა ამაო იქნებოდა, ხოლო 1959 წელს ამერიკამ გაგზავნა მოსკოვში საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ისეთი როგორიცაა, სარეცხის მანქანა და სხვა. რუსული, აზიური, ბიზანტიური მმართველობის სისტემა ისტორიულად განწირული იყო. იმ დროს, როდესაც ევროპაში რომის პაპი იყო ცალკე და

ხელისუფლება ცალკე, ბიზანტიაში, კეისრიდან დაწყებული ქვევით, ყველა იყო ხელისუფლებისა და ღმერთის წარმომადგენელი ერთდროულად. და დღემდე ნებისმიერი უფროსი უტოლდება ღვთაებას. როდესაც კომუნისტების დროს კაპიტალისტური ფინეთიდან იმპორტით შემოიტანეს ხორბლის მოსავალის ასაღები კომბაინები, საველე პირობებში გამოცდის დროს პარტიულმა ბონზამ შურით აღნიშნა, რომ კომბაინის კაბინაში უკეთესი კონდიციონერი იყო, ვიდრე მის, ღვთაების, კაბინეტში. მეორე დღესვე კონდიციონერები მოხსნეს და დახუთულ კაბინაში მუშაობა შეუძლებელი გახდა, რაც არავის აღელვებდა. ეს მენტალიტეტი დღესაც გაბატონებულია ქართულ საზოგადოებაში.

ამით რუსეთის კომუნისტური ისტორია დასრულდა და დეგრადაცია განიცადა თბილისში ჯარების გაგზავნით 1989 წელს, ბაქოში 1990 წელს და ვილნიუსში 1991 წელს. მანამდე იყო აჯანყება ბუდაპეშტში 1956 წ., პრაღაში 1967წ. და ა.შ. 1956 წლის 8-9 მარტს თბილისში მოხდა რუსეთის ჯარის და სტუდენტების შეტაკება, რომლებიც ნაწყენები იყვნენ სტალინის მიმართ ბრალდებების გამო. ისე მოხდა, რომ ამ დროს ჩინეთის მთავრობის, სტალინის უახლოესი მეგობრის, ერთ-ერთი ოფიციალური წარმომადგენელი სტუმრობდა – მარშალი ჩჟუ დე, მაო ძედუნის მოადგილე. სწორედ მას წარუდგინეს აჯანყებულებმა თავინთი მოთხოვნა. ამას მოჰყვა შეტაკებები უკრაინაში, პოლონეთში დ ბუდაპეშტში 23 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე. ბუდაპეშტისგან განსხვავებით პოლონეთში საბჭოთა ტანკები ვერ შევიდა ჩინეთის ზეწოლის გამო.

ისტორიის განვითარების ამ ჩიხიდან გამოსვლის მიზნით 1990 წლის 9 აპრილს პრეზიდენტმა გამსახურდიამ პარლამენტში საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამის მერე საქართველო მუდმივად სპეცსამსახურების სამიზნეს წარმოადგენს. როდესაც ხელისუფლების სათავეში სპეციფიკური ფსიქოლოგიური ტიპის ადამიანები მოდიან და ამ მიზნით იყენებენ ქართველების ეროვნულ თეატრალურ, გარეგან ეფექტებზე მიდრეკილ ფსიქოტიპს, მასტაბილიზირებელი ტიპების ფიზიკური ლიკვიდაციით (კოსტავა, ბაქრაძე, ჟვანია), რაც, რა თქმა უნდა, სპეცოპერაციების მომავალ სახელმძღვანელოებში შეისწავლება, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ოპერაცია.

ზოგიერთი ქართული და ჩრდილოეთ კავკასიური წყარო და ვებ-საიტი ამტკიცებს, რომ თითქოს პუტინი დაიბადა კასპის სოფელში (გორის რეგიონი, სადაც სტალინი დაიბადა). მისი მამა ლოთობისგან

დაიღუპა და დედამ ის საქართველოში ჩამოიყვანა. 10 წლის ასაკში მამინაცვალმა ის უკან, რუსეთში ობოლთა სახლში გაგზავნა. როგორც ცნობილია, ყველა ელიტარული საბჭოთა ჯაშუში ობოლთა სახლში აღიზარდა. კასპში, ბავშვობაში, მან დაიწყო ძიუდოში ვარჯიში. ბევრი საბჭოთა ჩემპიონი კასპის რაიონიდან იყო. მისი ოფიციალური ბიოგრაფიის მიხედვით, იგი საბჭოთა საქართველოში ნამყოფია, რათა მონაწილეობა მიეღო შეჯიბრებებში, ხოლო ქართველი ათლეტები იხსენებენ, რომ მან სულ რაღაც რამდენიმე სიტყვა იცოდა ქართულად.

შევარდნაძემ რეალურად შესძლო დასავლეთის ინტერესის გაჩენა საქართველოს მიმართ ბი-პის მილსადენების პროექტით. ამერიკელებს და ქართველებს შორის ნდობა დამყარდა იმ დამთხვევის შემდეგ, რომ ამერიკული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი იყო ჯონ მალხაზ შალიკაშვილი John Shalikashvili, 1918-21 წლების საქართველოს არმიის პოლკოვნიკის ვაჟი. აშშ-საქართველოს კავშირი დაფიქსირდა, როდესაც თავდასხმის შემდეგ კგბ-ს რეზიდენტი გაძევებული იქნა რუსეთში, ხოლო შევარდნაძის დაცვა უზრუნველყვეს ამერიკელებმა. როდესაც Fred Woodruff-ი შევარდნაძის დაცვის მეთაურმა დაპატიჟა, რათა ენადირათ კავკასიის მთებში 1993 წელს, გზაზე გასროლილი ერთი ტყვიით მოკლეს. ეს ტყვია ნაპოვნი არ იყო (!). სხვა წყაროების მიხედვით, ეს დაკავშირებული იყო Aldrich Ames-თან, რუსეთის აგენტი ცერეუში, რომელიც საქართველოსა და შევარდნაძეს ერთი კვირით ადრე ესტუმრა. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი James Woolsey პირადად ჩამოფრინდა თბილისში, რათა პატივი მიეგო გარდაცვლილისთვის. უპრეცედენტო არის აგრეთვე ის ფაქტი, რომ ასევე ეფ-ბი-აის ხელმძღვანელი 2-ჯერ ეწვია პირადად თბილისს ერთდღიანი ვიზიტებით, ყოველგვარი საჯარო მიზეზების გარეშე.

შევარდნაძის რეჟიმის დროს ტოტალური კორუფცია უკმაყოფილებას იწვევდა და ნათელს ხდიდა, რომ თბილისში რეჟიმი შესაცვლელი იყო ან, სულ მცირე, პრეზიდენტი. 2003 წელს ჯეიმს ბეიკერი James Baker ეწვია შევარდნაძეს და ხაზი გაუსვა რეფორმების და ცვლილებების გატარების აუცილებლობას, მაგრამ უშედეგოდ. ტომას ადამსმა Thomas Adams, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოების დახმარების კოორდინატორმა, განაცხადა, რომ სამხედრო დახმარების გარდა, ფინანსური და ეკონომიკური დახმარება შემცირდებოდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც შეამცირა დახმარება, რამაც საქართველოს ადმინისტრაციაში პანიკა გამოიწვია. შურისძიების მიზნით, ამავე წელს რუსეთის გაზპრომთან გაფორმდა 25-წლიანი ხელშეკრულება და ელქტროენერგიის დისტრიბუციის AES კომპანია აიძულეს, დაეტოვებინა საქართველოს ბიზნესი და ის ჩაანაცვლა რუსეთის სახელმწიფო მონოპოლიამ.

ამ და სხვა მიზეზების გამო რუსეთი და ამერიკა შეთანხმდნენ, რომ შევარდნაძე უნდა წასულიყო (Rayfiled, „A history of Georgia“, 2012). ორივე

თანახმა იყო სააკაშვილზე, რომელმაც იურიდიული განათლება ამერიკაში მიიღო, მაგრამ ბიძა მოსკოვში იყო KGB-ს გენერალი. 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციამ“ დაასრულა შევარდნაძის რუსეთ-ამერიკას შორის ლავირების პოლიტიკა. რუსეთმა გაგზავნა თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი, რომელიც მამით ქართველი იყო და საუბრობდა ქართულად, რევოლუციის დროს და შემდეგ აჭარაში ასლან აბაშიძის პრობლემის მოსაგვარებლად. ერთ კვირაში დონალდ რუმსფელდმა Donald Rumsfeld გამოაცხადა აშშ-ს დამხმარების პროგრამების აღდგენა. მსოფლიო ბანკმა გამოყო 1 მილიარდი დოლარი სესხი, ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე საქართველომ მოითხოვა, რაც აქამდე არასდროს მომხდარა. 2005 წელს აშშ-ის პრეზიდენტი ბუში US President Bush თბილისს ესტუმრა. ამავე წელს რუსეთის ჯარები გავიდნენ საქართველოს ტერიტორიიდან (აფხაზეთსა და ოსეთში სამშვიდობოების გარდა), რაშიც ოფიციალურად ამერიკამ რუსეთს 250 მილიონი დოლარი გადაუხადა. თურქ-მესხებს ასახლებდნენ შვეიცარიაში და პანკისელ ჩეჩნებს – აშშ-ის შუა შტატებში. საქართველო ყველაზე დიდი კონტრიბუტორი გახდა ამერიკის და NATO-ს ძალებისთვის ერაყსა და ავღანეთში – რამდენიმე ათასი ჯარისკაცი ველზე.

მაგრამ აშშ-რუსეთის შეთანხმება მალე დამთავრდა. რუსი ჯაშუშების უპრეცედენტო საჯაროდ გაძევების შემდეგ რუსეთი გამოცხადდა მტრად, რამაც საპასუხო აგრესია გამოიწვია. აიკრძალა ვაჭრობა, ტრანსპორტი, მიმოსვლა. საქართველო-რუსეთის ომი დაიწყო 8 აგვისტოს. სამი დღით ადრე, 5 აგვისტოს ფსბ-ს დაფინანსებაზე მყოფმა ქურთების არმიამ თურქეთში ააფეთქა მილსადენი. ომი და ფინანსური კრიზისი მსოფლიოში ერთდროულად დაიწყო. 20 აგვისტოს ამოუცნობმა საფრენმა აპარატმა გადაიფრინა აფხაზეთის თავზე და კავკასიის მთებში აფეთქდა.

2008 წლის თებერვალში კოსოვო აღიარეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და პუტინი დაპირდა დასავლეთს სამაგიეროს გადახდას. კოსოვოს აღია-რებიდან ერთ კვირაში გენერალი ვასილი ლუნიოვი, პერმის მხარის სამხედრო კომისარი, სასწაულებრივად გახდა „სამხრეთ ოსეთის“ თავდაცვის მინისტრი. ომის მეორე დღესვე რუსეთის 58-ე არმიის მეთაური გენერალი ხრულიოვი სასიკვდილოდ დაიჭრა და, კვლავ სასწაული, რუსეთის 58-ე არმიის მეთაურად სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრი ლუნიოვი დაინიშნა. ასე რომ, რუსეთმა მეზობელი ქვეყნის „პატრიოტ“ მთავარსარდალს რუსეთის 50 ათას კაციანი ჯარი „ათხოვა“. ისტორიაში პირველად რუსეთმა ომის დროს დაკარგა სტრატეგიული ბომბდამშენი. მატერიალური თვალსაზრისით, ერთი ტუ-22 ღირს ასობით მილიონი დოლარი, რაც მეტია ყველა ტანკსა და მანქანაზე, რაც

რუსებმა გაანადგურეს და მიიტაცეს საქართველოსთან ომის დროს. ყველაზე შედეგიანად და ეფექტიანად ამ ომში ქართული არტილერია მოქმედებდა.

პარადოქსულია, როდესაც რუსი პარაშუტისტები არ იყვნენ თავიდანვე ჩართული ომში. მხოლოდ ის უტყუარი ფაქტი, რომ არასამხედრო ჩეჩნები, მეომრები სამხრეების გარეშე, გაუპარსავი და თმაშეუჭრელი, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ რუსეთის სამხედრო წესდებას, იყვნენ რუსეთის მიერ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გაგზავნილი იარაღით, წარმოადგენს ჰააგის ტრიბუნალის სამხედრო დანაშაულს. არასოდეს გაჟღერებულა, თუ რა იურიდიული გამართლება (თუნდაც ფორმალური) ჰქონდა რუსეთის არმიის შესვლას ოსეთისგან დამოუკიდებელ ტერიტორიაზე აფხაზეთში. არასოდეს ყოფილა ახსნილი, თუ რატომ „ჩაგრავდნენ“ ქართველები ეროვნულ უმცირესობების ზუსტად იმ ადგილას, რომლებიც რუსეთისთვის ძალიან მოსახერხებლად მდებარეობდა მეზობლად საზღვართან. 2008 წლის აგვისტოში საქართველოს 2 ათასი სამხედრო ერაყში იყო, ხოლო კავკასიის მთებზე გადასასვლელები (5 000 მეტრზე მეტი) ღია იყო. როკის გვირაბის განადგურების შემთხვევაში მთელი რუსეთის ჯარი აფხაზეთიდან წამოვიდოდა და საჰაერო იერიშები თბილისზეც განხორციელდებოდა. ოსებმა გაანადგურეს ყველა ქართული საცხოვრებელი სახლი, გარდა ეკლესიებისა. ისევე როგორც პალესტინაში, ეკლესიები მარტოდ დგანან მიწასთან გასწორებულ სოფლებში.

ყველაფერი ეს დასრულდა სარკოზი-კუშნერის Sarkozy-Kouchner სამშვიდობო წინადადებით. შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ 4 მილიარდი დოლარი გამოყო ინფრასტრუქტურის აღსადგენად და განვითარებისთვის. არც ერთი ქვეყანა (რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიაც კი) არ აღიარებს ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობას. ერთი წლის შემდეგ (2009 წლის ივნისში) სომხეთის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ყოველ შემთხვევაში, აფხაზი და ოსი ხალხი კავკასიელები არიან ბუნებით და ყოველთვის იქნებიან. ახლად პროვოცირებულ ძმათა კონფლიქტს არ შეუძლია შეცვალოს ფაქტი, რომ კავკასია უფრო ღრმა კულტურაა ჩრდილოეთის სტეპებისგან განსხვავებით, სადაც არ არის პირადი ცხოვრება, ინდივიდუალიზმი, კაცის სიტყვის ძალა, ოჯახური ფასეულობები, უფროსებისადმი პატივისცემა, ქალის პატიოსნება, ღვინის სმის კულტურა და მარტივად – კავკასიელები არასდროს ითამაშებენ ჰოკეის.

Schematic interactions of the ancient pre-Bible world



უძველესი მსოფლიოს ეთნოგენეზი

ბიბლიამდელი ერების ეთნოგენეზი (ძვ. წ.)
ბიბლიური ერების ეთნოგენეზი (ჩვ. წ.)
ბიბლიამდელი და ბიბლიური ცივილიზაციების ეთნოისტორიის რეკონსტრუქცია
თანამედროვე ევროპის ეთნოისტორია

მესოპოტამია:

შუმერ-შინარი, აკად-აქადი, ასურეთი, ამორეველები, ბაბილონი, არამეა ქალდეა Sumer – Shinar, Akkad – Accad, Assyria, Amorite, Babylone, Aramea, Chaldea

ლევანტი:

ქანაანი ან პალესტინა, ისრაელი, ფილისტინელები, ფინიკია, Canaan or Palestine, Israel, Philistine, Phoenicia

ანატოლია:

ხეთები, ჰატია, ურია, მითანი, ურარტუ, ფრიგია, ლიდია, გალათეა, ზღვის ხალხები Hittittes, Hattia, Hurria, Mitanni, Urartu, Phrygia, Lydia, Galatia, Sea people

კავკასია:

მტკვარ-არაქსი, კოლხეთი, იბერია Arax-Kura, Colchis, Iberia

ირანი:

ელამი, მიდია-მედესი, სპარსეთი, პართა Elam, Media – Medes, Persia, Parthia

ბერძენ-რომაელები:

საბერძნეთი, ეტრურია, რომი და ბიზანტია Greece, Etruria, Roman and Byzantine

აფრიკა:

ეგვიპტე, ნუბია, ლიბია Egypt, Nubia, Libya

იმიერკავკასია:

სარმატები, სკითები, კიმერიელები, თრაკიელები Sarmatia, Scythia, Cimmeria, Thracia

სხვები:

ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, ამერიკა India, China, Japan, America

დაკარგული ცივილიზაციები:

ატლანტისი, ჰიპერბორეა Atlantis, Hyperborea

ბიბლიამდელი ერების ეთნოგენეზი (ძვ. წ. პერიოდი)

შუმერი Sumer

შუმერი იყო ადრეული ცივილიზაცია მესოპოტამიაში ძვ. წ. მე-5-3 ათასწლეულებში. მისი არსებობა ცნობილი გახდა მხოლოდ 1849 წელს, როდესაც ინგლისელმა არქეოლოგმა ჰენრი ლეიარდმა Henry Leiard აღმოაჩნა პირველი თიხის ფილები შუმერული ლურსმნული წარწერებით თანამედროვე ერაყში.

მსოფლიოს პირველი ნამდვილად ცივილიზებული და წინ წასული რასა იყო შუმერების. შუმერის ცივილიზაციამდე ადამიანები ცხოვრობდნენ გამოქვაბულებში, ჰქონდათ ცეცხლი, პრიმიტიული იარაღი, ცხოველების ტყავის სამოსი, შეეძლოთ ნადირობა, აგროვებდნენ ხილს, ხატავდნენ გამოქვაბულის კედლებზე, შესაძლოა ჰქონოდათ რიტუალური ცეკვები და სიმღერები, მაგრამ მოულოდნელად გაჩნდა ქალაქები[1]. ლოურენს გარდნერი წიგნში „გრაალის მეფეების გენეზისი“ (2005 წ.) Laurence Gardner „Genesis of the Grail Kings“ (2005) წერს „შუმერების უეცარ და ექსტრაორდინარულ გამოჩენას თითქმის არსაიდან. უეჭველია, რომ სამხრეთ მესოპოტამიაში დასახლებამდე ისინი კულტურულად უკვე საკმაოდ განვითარებულნი იყვნენ. ისინი არც სემიტურ, არც ინდოევროპულ ენაზე საუბრობდნენ. მსოფლიოს პირველი ნამდვილად ცივილიზებული რასის წარმომადგენლები შუმერები იყვნენ“.



შუმერების (და ასევე ეგვიპტის) ცივილიზაცია ვითარდებოდა არა თანდათანობით და ნელა, არამედ ძალზედ სწრაფად. მხოლოდ ანატოლიაში ადამიანის პროგრესის ყველა ნაბიჯი იყო არქეოლოგიურად დადასტურებული.

მათმა გამოგონებებმა და ინოვაციებმა შუმერებს დაუმკვიდრა ადგილი ყველაზე კრეატიულ კულტურებს შორის ადამიანთა ისტორიაში. შუმერების ამ ტექნოლოგიების მაგალითებია: ყველაზე მნიშვნელოვანია ბორბალი, როგორც მეთუნეობის ბორბალი, შემდეგ წისქვილის ბორბალი და ეტლი, აგრეთვე ლურსმნული დამწერლობა, არითმეტიკა და გეომეტრია, სარწყავი სისტემა, ნავი, კალენდარი, ბრინჯაო, ხერხი, საჭრისი, ჩაქუჩი, ლურსმანი, ლაგამი, ქინძისთავი, ბეჭედი, თოხი, ცული, დანა, შუბი, ისრისპირები, ფარიკაობა, ქარქაშები, სანდლები, ჰარპუნები და ლუდი. მათ მოჰყავდათ ქერი, ბარდა, ოსპი, ხორბალი, ფინიკი, ხახვი, ნიორი, სალათის ფოთოლი, პრასი და მდოგვი. ისინი ასევე ზრდიდნენ რქოსან საქონელს, ცხვარს, თხას და ღორს. ისინი იყენებდნენ რქოსან საქონელს და ვირებს, როგორც სატრანსპორტო საშუალებას. სახლებს იცავდნენ ძაღლები. შუმერები იჭერდნენ თევზს და ნადირობდნენ ფრინველებსა და ქურციკზე. მათი ქალაქები გამოიყურებოდა, როგორც თანამედროვე პატარა სოფელი სახლებით, სკოლით, ეკლესიებით (ზიკურათები), კანალიზაციით, ხიდებით და სხვა. სარწყავი სისტემები მოიცავდა არხებს, კაშხლებს, საგუბარებსა და რეზერვუარებს.

მათთან შედარებით, ამერიკელმა ინდიელებმა განავითარეს ცივილიზაცია ბორბლის, ბრინჯაოსა ან რკინის, მოშინაურებული ცხენების გარეშე[1], მაგრამ მათ მაღალ დონეზე ჰქონდათ მიწათმოქმედება: მოჰყავდათ კარტოფილი, პომიდორი, ცერცვი, სიმინდი, ბადრიჯანი, მზესუმზირა, კაკაო, კვახი, თამბაქო და სხვ. მათ ჰყავდათ ინდაურები და აწარმოებდნენ მატყლს.

აფრიკა იყო ყავის, ანანასის, ბრინჯის, საზამთროს წარმოშობის ქვეყანა; ინდოეთი – კიტრის, ბადრიჯნის, ბანანის, მანგოს; ჩინეთი – ხახვის, ატმის, სოიოს. დანარჩენი წარმოიშვა მესოპოტამიაში: მარცვლეული, შვრია, წიწიბურა, ლეღვი, ატამი, ბროწეული, თალგამი, კომბოსტო, ვენახი, ასევე ცხენი, ღორი, ძაღლი, ძროხა, თხა, ვირი. ცხენები მოათვინიერეს ხეთებმა – ანატოლიაში, რადგან მხოლოდ იქ იყო საკმარისი საკვები (ბალახი) და რბილი კლიმატი ცხენების მოსაშენებლად.

შუმერები იყვნენ ერთ-ერთი პირველი ასტრონომები და იცოდნენ 5 პლანეტა, რისი დანახვაც შეიძლებოდა შეუიარაღებელი თვალით. მათ გამოიგონეს და განავითარეს არითმეტიკა და საათი 60 წამით, 60 წუთით და 12 საათით, ასევე 12-თვიანი კალენდარი, რომელიც დღემდე ხმარებაშია. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს ბაბილონელმა ქალდეველებმა გამოიგონეს.

მათ პირველებმა გამოიგონეს სასამართლო და ადმინისტრაციული სისტემები, ციხეები, სკოლა, ძირითადად ტაძარის ეგიდით. შუმერების ქალაქ-სახელმწიფოების ომების ძირითადი შედეგი იყო სამხედრო განვითარება. ქვეითი ჯარი ატარებდა შუბებს, აღჭურვილნი იყვნენ სპილენძის ჩაფხუტებითა

[1] ეგვიპტელებმაც პირამიდები ააგეს ბორბლის გარეშე. ბორბალი ეგვიპტეში ჰიქსოსებმა შეიტანეს.

და ტყავის ფარებით. შესაძლოა მათ გამოიგონეს სამხედრო ფორმირებები და ცხენოსანთა, ქვეითი და მშვლდოსანთა არმიის ძირითადი დანაყოფები. შუმერი სამხედროები ეტლებს იყენებდნენ. მათ ქალაქს გარს ერტყა დამცავი კედლები.

შუმერებმა გამოიგონეს ხატოვანი იეროგლიფური hieroglyph დამწერლობა, რაც მომავალში განვითარდა და გადაიზარდა ლურსმნულ cuneiform დამწერლობაში[1]. ტექსტები იწერებოდა არა პაპირუსზე, არამედ თიხის ფირფიტებზე – ტაბლეტებზე: გილგამეშის ლეგენდა, ჰამურაბის კანონები და სხვა. აღმოჩენილია ძვ. წ. 3500 წლის ამ ფირფიტებზე დაწერილი ასობით ათასი ტექსტი. ზოგი მათგანი გაშიფრულია და შეიცავს პირად, სავაჭრო გარიგებების წერილებს, კანონებს, ჰიმნებს, ქვითრებს, ლოცვებს, სამეცნიერო ტექსტებს, მათემატიკის, ასტრონომიის და მედიცინის ჩათვლით.

1952 წელს სტამბოლის ძველ ორიენტალურ მუზეუმში დოქტორმა სამუელ კრამერმა[2] Samuel Kramer („History Begins at Sumer“) გაშიფრა ასობით შუმერულ ენაზე, ლურსმნულით ნაწერი ტექსტი. ამან ერთ აღსანიშნავ აღმოჩენამდე მიიყვანა: რამდენიმე ეს ნაწერი ძალზედ იყო მიმსგავსებული ბიბლიის ისტორიებს, მაგრამ ის დაწერილი იყო 2000 წლით ადრე, ვიდრე ძველი აღთქმა. ერთ-ერთ ამბავში იყო კაცი, რომელიც იყო შეძლებული და ჯანმრთელი, დალოცვილი ოჯახითა და მეგობრებით, მაგრამ ავადმყოფობამ დაამარცხა ის. იგი არ ადანაშაულებდა უფალს, რომ ასეთი განსაცდელი მოუვლინა; ამის მაგივრად, ის ლოცულობდა. ასეთი ერთგულების გამო ღმერთმა დააჯილდოვა და ჯანმრთელობა დაუბრუნა. კიდევ არის მოთხრობა, რომელიც ძალიან ჰგავს ბიბლიურ წარღვნას. ის გადმოთარგმნა ერთ-ერთი ფირფიტიდან არნო პოებელმა Arno Poebel 1914 წელს. შუმერული თიხის დაფა ყვებოდა ამბავს, როდესაც ხალხმა დაიწყო გოდოლის აშენება და ღმერთებმა კი არ დაქსაქსეს ხალხი სხვადასხვა ენით, ამის ნაცვლად უცხო ურდოები დაესიათ.

შუმერული ენა მიეკუთვნება უცნობ ენათა ოჯახს. კავკასიური და ბასკური ენის მსგავსად, მათთაც აქვთ SOV სიტყვათა წყობა და ერგატიული სისტემა. საქართველოში არის რამდენიმე გამოცემა შუმერული და ქართული ანბანების მსგავსებაზე. პირველი პუბლიკაცია „შუმერული და ქართული: შედარებითი ფილოლოგიის სწავლება“ „Sumerian and Georgian: a study in comparative philology“ შექმნა ქართველმა შუმეროლოგმა მიხეილ წერეთელმა გერმანიაში 1913 წელს. ის წერდა, რომ საქართელოს უძველესი დასახელება „იბერია“ „Iberia“ ნიშნავდა „იბ-ერია“ „Ib-Eria“ ისევე, როგორც „შუმ-ერია“ „Sum-Eria“. „ერ“ „Er“ ქართულად, შუმერულად და ბასკურად ნიშნავს „ხალხს, არმიას“. შუმერულ ქალაქს ერქვა „ური“ (ქალაქი ურუკი) Uri (Uruk), რომელიც დღეს წარმოდგენილია ასევე საქართველოს ქალაქების სახელებშიც – ფასანაური,

[1] ლურსმნული დამწერლობა აახლოვებდა ცივილიზაციას ანბანურ დამწერლობიასთან, ვინაიდან ყოველი ნიშანი კარგავდა კავშირს რაიმე საგანთან და ხდებოდა სიმბოლო.

[2] ის გადასახლდა აშშ-ში რუსეთში კიევის გუბერნიაში პოგრომის შემდეგ 1905 წელს.

მახინჯაური, ამბროლაური, გუდაური, ბადაური, Pasanauri, Makhinjauri, Amblorauri, Gudauri, Badauri; ინდოეთშიც კი (არიელების შემოსევების შემდეგ) – ტანჯაური, პროდტაური, Tanjauri, Prodtauri, ასევე ბრიტანეთში – ივერური Iveruri. აღწერილია ასობით შუმერულის მსგავსი ქართული სიტყვა: გუდა, ტიკი, დოქი, სილა, გორა, ქალი, ერი, აგარა, „აშ“ „ერთი“ მეგრულ ენაზე, ბარი, ითუ-თვე, განა-ყანა, ხარი, ბულბული, ნანა-დედა, ასაკუ-ასაკი, ლამაზუ-ლამაზი, ნაზი, guda, tiki, doki, sila, gora, kali, eri, agara, ash-, bari, itu- tve, gana-kana, khari, bulbuli, nana, asaku-, lamazu-, nazi, ნარ-ნარ nar-nar- გუნდის სიმღერა, ფუსად fusad – „ღმერთი“ სვანურ ენაზე, ბაზისკუა baziskua- „ბარტყი“ მეგრულად, ეენგურა eengura- „წყლის ღმერთი“ მეგრულად, ენგურის მდინარე.

მათი ცივილიზაციის დასასრულს, შუმერების სასოფლო მეურნეობა დაზიანდა ეკოლოგიურად მაღალი მარილიანობის გამო. სარწყავი წყლის აორთქლებით ნიადაგში რჩებოდა მარილი, რაც ართულებდა მიწათმოქმედებას, საბოლოო ჯამში კი ამან გამოიწვია მოსავლის დაკარგვა და ადამიანების შიმშილი. მესოპოტამიაში დაიწყო დიდი დეპოპულაცია ძვ.წ 2000 წელს, რასაც წინ უძღოდა შუმერების კულტურის დაცემა. ეს გამოწვეული იყო შეცდომებით მიწათმოქმედებაში და არა რაიმე სამხედრო კატასტროფით. შუმერების მიწაზე დაიწყო სემიტური აქად-ელამის ტომების დასახლება[1].

აქადი AKKAD

აქადის იმპერია ჩამოყალიბდა ქალაქ აქადის ირგვლივ, შუმერის ჩრ-დილოეთით. სარგონ დიდი Sargon the Great of Akkad იყო სემიტი ლიდერი, რომელმაც დაიმორჩილა შუმერი და დააარსა აქადის იმპერია (ძვ. წ. 2350 წლიდან 2150 წლამდე – 200 წელი). აქადურ დასახლებებში შუმერული ენა გადაგვარდა სემიტურ აფრო-აზიურ აქადურ ენაში. ძვ. წ. 2150 წელს იმპერია დაიპყრეს გუთებმა[2], „ველურმა მთიელებმა“ სავარაუდოდ ზაგროსის მთებიდან.

ამორეველები AMORITE

ძვ. წ. 2000 წელს შუმერ-აქადური გაერთიანება, რომელიც გუთებმა უკვე დაანგრიეს, დაიპყრეს ამორეველებმა და ელამელებმა. ამორეველები მიეკუთვნებიან სემიტ (ჰამიტური) ხალხს, რომლებიც მოვიდნენ ევფრატიდან ძვ. წ. მესამე ათასწლეულში. ისინი მომთაბარეები იყვნენ, არ იცნობდნენ მემარცვლეობას, ცხოვრობდნენ კარვებში, მისდევდნენ მხოლოდ მეცხო-ველეობას, იცვამდნენ ცხოველების ტყავს და იკვებებოდნენ უმი ხორცით.

---

[1] Daniel-Rops წიგნში „Histoire Sainte, le people de la Bible“ (პარიზი, 1942 წ.) წერდა, რომ შუმერებს ჰქონდათ ოვალური სახის მოყვანილობა გლუვი კანით, მკაცრი მაგრამ მოკლე ცხვირი. შემოჭრილ სემიტებს ჰქონდათ არწივისებური ცხვირი და ხვეული თმა.

[2] მოისაზრება, რომ არიან კავკასიის ალბანეთის უძველესი მკვიდრი უთიანების წინაპრები.

ამავე დროს. ბიბლიაში ისინი აღწერილნი არიან როგორც ძლიერი, „ჭადრის მსგავსად მაღალი ხალხი“, რომლებმაც დაიპყრეს მიწები მდინარე იორდანეს გასწვრივ; მათი მეფე ოგი Og, „გიგანტების შთამომავალი“ (Deut 3:11). „ამორეველი ხალხი ჩვენზე მაღლები და დიდები არიან; ქალაქები უფრო დიდია და ცამდე ასული კედლები აქვს“ (1:28). მოსაზრება, რომ ამორეველები იყვნენ სასტიკი მებრძოლი მომთაბარეები საფუძვლად უდევს მე-19 საუკუნის მწერლების მოსაზრებას, რომ ისინი იყვნენ „გერმანული“ მებრძოლების ტომები, რომლებიც გარკვეული პერიოდით დომინირებდნენ ისრაელში. თეორია ეკუთვნის ფელიქს ვან ლუშანს Felix von Luschan, რომელიც იჩემებდა, რომ მეფე დავითი და იესო ორივე ამორეველების წარმოშობის იყო.

მაგრამ დროთა განმავლობაში ამორეველებმა სრულიად აითვისეს ცივილიზაცია. რამდენიმე მწერლის მიხედვით, სარგონ დიდი იყო წარმოშობით ამორეველი, რადგან ლეგენდის თანახმად, როგორც ეგვიპტეში მოსე, ისე მდინარეში იპოვნეს პატარა ობოლი[1], რომელიც იშვილა აქადელმა მეფემ და უმაღლეს პოზიციებს მიაღწია. ბაბილონელი მეფე ჰამურაბიც ასევე წარმოშობით ამორეველი იყო.

ამორეველებთან ერთად ბაბილონში და აქადში შემოვიდნენ არამეელები. მათი დამსახურება იყო მესოპოტამიაში (ბაბილონში) გავრცელებული დამწერლობითი სოლისებური შუმერული და სალაპარაკო აქადური ენის ჩანაცვლება. ებრაელების ბაბილონის ტყვეობიდან დაწყებული ქრისტეს დრომდე, ებრაელები არამეულად საუბრობედნენ და ბიბლიის პირველი ვერსიები არამეულ ენაზეა დაწერილი. ბიბლიაში (26-5) აღნიშნულია, რომ ისრაელები „მოხეტიალე არამელების“ „wandering Arameans“ შთამომავალნი იყვნენ.

მათი დამსახურება იყო მესოპოტამიაში (ბაბილონში) გავრცელებული დამწერლობითი სოლისებური შუმერული და სალაპარაკო აქადური ენის ჩანაცვლება. ძვ. წ. მე-7 საუკუნეში არამეელებმა გადმოიღეს ანბანური დამწერლობა ფინიკიელებისაგან და შემდეგ ბერძნულში და ყველა ევროპულ ენაში დამკვიდრდა. დამწერლობისთვის გამოიყენებდნენ პაპირუსს და თიხის ფირფიტებს, რომლებიც ათასობით იქნა აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების დროს.

ბაბილონი BABYLON

ამორეველები კარგი მმართველები აღმოჩნდნენ და ჰამურაბის Hammurapi მმართველობის დროს (ძვ. წ. 1792-1750 წწ.), ბაბილონმა[2], მიაღწია მწვერვალს და სულ ცოტა 1200 წლის განმავლობაში იყო კულტურულად ყველაზე

[1] ლეგენდის მიხედვით სარგონის დედა მაღალი რანგის ღვთისმსახური იყო და არ ჰქონდა უფლება ბავშვის გაზრდაზე გადაეტანა ყურადღება.

[2] შუმერულად ამ ქალაქს ერქვა კადინგარი და კურკური („მაღალი მთები“ – უდაბნოსთვის უცნაური სახელწოდება, თუკი ყურადღებას არ მივაქცევთ შუმერების შესაძლო კავკასიურ წარმოშობას).

დაწინაურებული ქვეყანა მთელს რეგიონში. ჰამურაბმა ააგო ქალაქის კედლები და უწოდა მას ბაბილონი. მან დაიმორჩილა შუმერების ური, სადაც აბრაჰამი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.

1901 წელს სუსაში Susa აღმოაჩინეს ჰამურაბის კანონების კოდი Hammurapi Code (მიიჩნევა, რომ პირველი კანონები შემოიღეს შუმერებმა[1]). ახლა მისი ასლი ლუვრში, პარიზში ინახება. ბაბილონელებმა გამოიგონეს წელიწადი 12 თვით, საათი 60 წუთითა და 60 წამით და 360 გრადუსი (მიიჩნევა, რომ ესეც პირველად შუმერებმა გამოიგონეს). სამუშაო კვირა პირველად დაწესდა ბაბილონში. ნიპურის „მეცნიერები“ ამ დროს კვადრატური და კუბური ფესვების გამოყვანაში ვარჯიშობდნენ. გასაოცარია, რა დიდ ყურადღებას აქცევდნენ გზების სიფართეს სიკვდილით სჯიდნენ უნებართვო მშენებლობაზე.

ძვ. წ. 1600 წლიდან ბაბილონში ჩასახლდნენ ხეთები და კასიტები Hittites and Kassites, ძვ. წ. მე-9 საუკუნიდან ბაბილონში დამკვიდრდა კასიტების სამეფო დინასტია. კასიტები ჩრდილოეთიდან, სავარაუდოდ ზაგროსის მთებიდან შემოვიდნენ და 400 წელი მმართავდნენ ბაბილონს. ქალაქი მხოლოდ ერთი პერიოდი აღორძინდა ქალდეველი ნაბუქოდონოსორის მართვის დროს Chaldean Nebuchadnezzar II, რომელმაც ჯერ დაამარცხა ელამი და მერე მიდიელებთან Medians ერთად დაამარცხა ასურელები ძვ. წ. 612 წელს და შეცვალა კასიტების დინასტია ბაბილონი. მან გააგრძელა ლაშქრობები, დაიპყრო ეგვიპტე და დაარბია იერუსალიმი ძვ. წ. 587 წელს. ამორეველებისა და კასიტების დინასტიის შემდეგ გაძლიერდნენ არამეელები და ქალდეველები. ძვ. წ. 539 წლის ბოლოს ეს ვეება ქალაქი ბაბილონი, 200 000 მცხოვრებით, ალყაში მოაქცია აქამენიდელმა სპარსელმა (კიროს დიდმა Cyrus the Great) და შეწყდა მისი, როგორც მნიშვნელოვანი ქალაქის არსებობა.

ქალდეა CHALDEA (Hebrew: KAŚDIM)

ქალდეა არის სამხრეთ ბაბილონის ნაწილი შუმერული ურის ირგვლივ, რომელიც ცნობილია როგორც „ქალდეის ური“ Ur of the Chaldees. ქალდეველები არამეელებთან და ამორეველებთან ერთად ბაბილონში შემოვიდნენ ჩრდილოეთიდან ძვ. წ. მე-10-11 საუკუნიდან. ქართველი ავტორების მიხედვით არამეელები იბერიელების უძველესი მონათესავე ტომი იყო, რომელიც ანატოლიიდან წავიდა სამხრეთისკენ და შემდეგ, ნაბუქოდონოსორის მეფობის შემდეგ, კვლავ უკან ქალდეაში დაბრუნდა. საქართველოს სვანეთში არის მთები და ველები, ქალდეის სახელით. ბიბლიასა და ძველ აღთქმაში ძველ

[1] კანონები შუმერულ ენაზეა დაწერილი, მაგრამ ის უკვე მხოლოდ ოფიციალურ და რელიგიურ დამწერლობაში დარჩა. სალაპარაკო ენა აქადური იყო. შემდგომ დაიწყო არამეელების და მათი ენის დომინირება, რომლებიც ხშირად მოიხსენებიან ბიბლიაში.

შუმერებს ქალდეველებს ეძახდნენ. ქალდეა Chaldea ურარტუში ღმერთი იყო. ძველი ბერძნები ქალდეველებს ასევე უწოდებდნენ იბერიელ და ლაზ ტომებს.

ქალდეველები სემიტებად ითვლებიან (თუმცა ქართველი ავტორები ამას არ ეთანხმებიან), ფრიად განვითარებული იყვნენ და მაღალი თანამდებობები ეკავათ ბაბილონში, მათ დაარსეს ძლევამოსილი ქალდეური დინასტია, თუმცა მუდმივად მიმდინარეობდა შიდა დაპირისპირება. ხურიტული ჰარანიდან Hurrian city Haran წარმოშობილი ქალდეველთა Chaldean დინასტიის მეფის ნაბუქოდონოსორის მმართველობის ქვეშ. ბაბილონელებმა დაამარცხეს ასურეთი, დაარბიეს იერუსალიმი ძვ. წ. 586 წელს, მაგრამ დამარცხდნენ სპარსეთთან კვლავ შიდა არეულობის გამო და ძვ. წ. მე-6 საუკუნეში გაუჩინარდნენ. თუმცა ქართველი ავტორები თვლიან, რომ ისინი დაბრუნდნენ სამშობლოში ანატოლიის ქალდეაში.

ქალდეის ური Ur of the Chaldees (or Ur Kaśdim) ნახსენებია ბიბლიაში როგორც აბრაამის დაბადების ადგილი. 12:1 გენეზისში ღმერთმა უბრძანა ძვ. წ. 1800 წელს, რომ აბრაამს Abraam და მის მამას ტერას Terah დაეტოვებინათ ური კასდიმი არამ-ნაჰარაიმის ჰარანის ქალაქის გამო (ხურიტული მითანი) Harran in Aram-Naharaim (Hurrian Mitanni). აბრაამი დაბადებით შუმერი იყო და როდესაც მისი დაბადების ადგილებში დაიწყო ჰამიტი ტომების დასახლება აბრაჰამი თავის ვაჟებთან ისააკთან და იაკობთან ერთად გადასახლდა ხურიტთა ქალაქ ჰარანში. შემდგომ ღმერთი დაპირდა აბრაამის შთამომავლობას ქანაანის მიწების, აბრაამმა მიიღო სახელი აბრაჰამი, მის ოჯახს პირველად დაერქვა ებრაელები Hebrew, დაიწყეს ძველ ებრაულად – ქანაანურ ენაზე საუბარი, შემოიღეს წინდაცვეთა და ა.შ. მაგრამ ქანაანში აბრაჰამის შთამომავლობა არ ერეოდა ადგილობრივ მოსახლეობასთან და აბრაჰამმა მის მსახურს დაავალა, რომ მისი ვაჟი ისააკისთვის ცოლი მოეგვარა ჰარანიდან (გენეზისი 24:4-10).

ქალდეველები სპარსელებს და აქადელებს მიაჩნდათ, როგორც ბაბილონის საღვთო ხალხი, ასტრონომიისა და მაგიის საკრალური ცოდნით. ქართველი ავტორების (ზ. კანცელიშვილის მიხედვით, ქალდეაში პირველად დამკვიდრდა მსოფლიოში მონოთეისტური რელიგია – ქალდეიზმი. ეს იყო ერთ-ერთი რელიგია, რომელიც იყენებდა ადამიანის ობიექტურ, მეცნიერულ აზროვნებას, გარემოს რეალურ აღქმას და არ წარმოადგენდა ადამიანთა გონების მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფს. ქალდეიზმსა და სხვა რელიგიების (იუდაიზმი, ინდუიზმი, ქრისტინობა, ისლამი და ა. შ.) შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა. შ.) და მათემატიკასა და ფილოსოფიას შორის, რაც მხოლოდ ადამიანის გონების უნარს ეყრდნობა. ქალდეველებმა შექმნეს კალენდარი და დღის 24 საათიანი დაყოფა.

სტრაბონი წერდა, რომ „თანამედროვე ქალდეველებს ეძახიან ხალიბებს“. ხალიბები Chalybes (Chaldoi) იყვნენ ჩრდილო ანატოლიის ტომები, მცხოვრები

ისტორიულ უბანში ქალდეაში Chaldia დედაქალაქით ტრაპიზონში, შავი ზღვის ნაპირებიდან, რომელთაც მიაწერენ რკინის მეტალურგიის გამოგონებას. ისინი იყვნენ პირველი მეტალურგები და კარგად იყვნენ ცნობილნი, როგორც იბერიულ-ლაზური ტომი. დღესაც ამ სანაპიროზე ქვიშა რკინის დიდი შემადგენლობით ხასიათდება და მანდვე არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია ასობით პრიმიტიული ღუმელი. ხალიბთა ისტორიის ძირითადი წყაროები ეკუთვნის კლასიკოს მწერლებს, ჰომეროსის, სტრაბონის, ქსენოფონტის და პლუტარქეს ჩათვლით. ჩალიბები/ჩალდოი, მოსინოიკოი და თუბალ/თაბალ/თიბარენი Chalybes/Chaldoi, Mossynoikoi, and Tubal/Tabal/Tibareni კლასიკოსი ავტორების მიერ ითვლებოდნენ პირველ მეტალურგებად. ხალიბი, ტომის სახელი, ბერძნულად ნიშნავს „მაგარ რკინას, ფოლადს“, ტერმინი, რომელიც ლათინურში შევიდა, როგორც chalybs „ფოლადი“.

ზოგი ქართველი ავტორის მიხედვით, ური კასდიმი იყო ურარტუს Urartu ქალაქი, სადაც ცხოვრობდნენ ძველი ურარტუელები, იბერიული ტომების ნათესავები. ზოგი ქართველი ავტორი თვლის, რომ ქალდეველები იყვნენ პროტო-ქართული იბერიული ხალხი, რომელიც ებრაელებთან ერთად (იბერიელები Iberian და ებარიელები Eberians მონათესავე ტომები იყვნენ) შუმერში (შინარში) ცხოვრობდა, და აბრაჰამის დროს, მიწის უნაყოფობის და უცხოტომელების ჩასახლების გამო, გადასახლდნენ თავისი უძველესი სამშობლოს მიმართულებით ანატოლიაში.

ასურეთი ASSYRIA

ძვ. წ. 2000 წელს ასურეთი აღმოცენდა, როგორც უდიდესი ქვეყანა, რომელიც მუდმივად ებრძოდა ყველა მეზობელს: ხეთებს, მითანელებს, ბაბილონელ ქალდეველებს, არამეელებს, ურარტუელებს Hittites, Mitanni, Babylonian Chaldeans, Arameans, Urartians და მხოლოდ ეგვიპტელები იყვნენ მათი მოკავშირეები. ასურელები იყვნენ ყველაზე სასტიკი დამპყრობლები იმ დროში. ძვ. წ. 722 წელს დიდმა ასურელმა მეფემ სარგონ II-მ Sargon დაიპყრო ისრაელი და გადაასახლა 20 000 მოსახლე. ძვ. წ. 612 წელს ისინი დამარცხდნენ და სრულად ამოიძირკვნენ სპარსეთის და მისი მოკავშირეების ქალდეველი ბაბილონელებისა და მიდიელების მიერ.

ასურეთის დაუძლურებიდან მხოლოდ 2 საუკუნის შემდეგ ბერძნული ჯარის ნაწილი ქსენოფონის Xenophon მეთაურობით უკან ბრუნდნებოდა სპარსეთიდან განადგურებული ასურეთის დედაქალაქ ნინევიას გავლით და გაოცებულნი იყვნენ კედლებისა და ციხესიმაგრეების მასიური გადმონაშთებით. მათთვის სახელი ასურეთიც კი უცნობი იყო. ასურეთი ხელახლა აღმოაჩინეს არქეოლოგებმა მხოლოდ მე-20 საუკუნეში. მათი შთამომავლები (ქურთები) დღემდე ცხოვრობენ კავკასიაში და წარმოადგენენ მსოფლიოს ყველაზე დიდ

ერს, სახელმწიფოს გარეშე. გზის სიფართე ასურეთის დედაქალაქ ნინევიაში აღწევდა 26 მეტრს. ვიკიპედიის მიხედვით შესაძლებელია ისინი კავკასიური ალბანეთის და ზაგროსის მთების გუთიელების შთამომავლები იყვნენ.

ისრაელი ISRAEL

ძველი აღთქმის Hebrew Bible მიხედვით, ებერი Eber იყო ნოეს Noah ვაჟის სემის Shem შვილიშვილი. ის გახლდათ აბრაჰამის წინაპარი და, შესაბამისად, ყველა ისრაელიტის. ასეთი გახლავთ მათი გენიალოგია – ადამი, სეთი, ნოე, შემი, ებერი, აბრაჰამი, ისააკი, იაკობი, იუდა, დავითი.

ძველ აღთქმაში, ანგლო-საქსების მეთოდის გამო „ებერი“ Eber იხმარებოდა „ჰ“ ასოს გარეშე, თუმცა ახალ აღთქმაში „Hebrew“ („იბრიტეს“ და „ებერიტეს“ „Ibrite“ or „Eberite“ ნაცვლად) გამოიყენება.

ებერმა უარი თქვა დახმარებოდა ბაბილონის გოდოლის მშენებლობაში, ასე რომ, მას ენა არ შეეცვალა, როცა ეს კოშკი დაეცა. მან და მისმა ოჯახმა შეინარჩუნეს პირველი ადამიანური ენა და ეს ენა იყო ძველი ებრაული Hebrew (დღეს უცნობი), რაც ებერის Eber აღსანიშნავად დაერქვა. ისევე, როგორც მხოლოდ ქართულ ენაში „ადამი“-ს შთამომავლობას „ადამიანები“ ეწოდება. ყველა სხვა ენაში ადამიანებს ეწოდება „Homo“, „Hombre“ და ა.შ.

აბრაჰამი გაემგზავრა ურიდან ჰარანში Haran და ჰარანიდან ქანაანში (ანუ პალესტინაში) ძვ. წ. 1800 წელს. ებრაელები, რომელთაც სათავეში ედგა მოსე, ეგვიპტიდან წამოვიდნენ ქანაანში ძვ. წ. 1200 წელს და დააარსეს ქვეყანა ისრაელი, მაგრამ მალე ის დაიპყრეს ფილისტიმელებმა (ზღვის ხალხები) Philistinians (Sea people). დავითი შეებრძოლა ფილისტიმელთა გოლიათს. ძვ. წ. 1000 წელს მეფე დავითმა გაათავისუფლა ისრაელი და 5 წელში აიღო იერუსალიმი. ბრძენი მეფის სოლომონის სიკვდილის შემდეგ ისრაელი გაიყო ორად, იუდეად და ისრაელად. ძვ. წ. 722 წელს ისრაელი დაიპყრეს ასურელებმა და მთელი მოსახლეობა აზიაში გადაასახლეს. ძვ. წ. 586 წელს ბაბილონელმა ნაბუქოდონოსორმა დაიპყრო იერუსალიმი და იუდეა. სწორედ ამ დროს პირველი ტალღა ებრაელი ემიგრანტებისა, ქართული სამეფო ოჯახის, ბაგრატიონების წინაპრებთან ერთად, ჩამოვიდნენ იერუსალიმიდან იბერიაში და მცხეთასთან ახლოს დასახლდნენ. ისრაელის ხალხისგან განსხვავებით, იუდეველებმა შეინარჩუნეს თავიანთი იდენტურობა ბაბილონში და ძვ. წ. 538 წელს მათ ნება დართეს იუდეაში დაბრუნებულიყვნენ. იუდეველები ყოველთვის იძულებულები იყვნენ თავი დაეცვათ ეგვიპტელების, მაკედონიელების, სელევკიდების და რომაელებისგან. კავკასიის ანექსიის შემდეგ პომპეუსმა აიღო იერუსალიმი და ისრაელი გახდა რომის იმპერიის პროვინცია ძვ. წ. 63 წლიდან.

ეგვიპტე EGYPT

ძვ. წ. 5000 წელს ეგვიპტე დასახლებული იყო მეზობელი შუმერის მონადირეებით. ძვ. წ. 3000 წლიდან დაარსდა ფარაონების მმართველობის სისტემა. ფარაონი ხეოფსი ცხოვრობდა დაახლოებით ძვ. წ. 2600 წელს და ააგო უზარმაზარი ხეოფსის პირამიდა და სფინქსი გიზაში.

ძვ. წ. 1600 წელს ეგვიპტე დაიპყრეს ჩრდილოეთელმა ჰიქსოსებმა Hyksos (ეგვიპტურად: „უცხო მმართველებმა“), რომლებმაც დააარსეს ახალი დედაქალაქი ავარისი Avaris. ზუსტად ამ დროს ისრაელიდან მოვიდნენ ებრაელები, იოსების, იაკობის ვაჟის, მეთაურობით.

ჰიქსოსმა მომთაბარეებმა შემოიტანეს ეგვიპტეში ბრინჯაოს იარაღი და ჩაფხუტები (ეგვიპტეს ჰქონდა სპილენძი, მაგრამ არასდროს უწარმოებია თუნუქისგან ბრინჯაო), კომპოზიტური მშვილდი, სამხედრო ეტლი, რადგან ეგვიპტელებმა არ იცოდნენ ბორბალი (პირამიდები აშენდა თვლების გარეშე).

ვოლფგანგ ჰელკი Wolfgang Helck ამტკიცებდა, რომ ჰიქსოსები იყვნენ ახლო აღმოსავლეთის ხურიტებისა და ინდო-არიანელების Hurrian and Indo-Aryan მიგრანტები. ქართველ მეცნიერებს სწამთ, რომ ისინი არიან იბერიულ-კავკასიურ-ხურიტული წარმოშობის. სწორედ ამიტომ მოვიდნენ ებრაელები ამ მიწაზე თავის შესაფარებლად და იძულებულნი იყვნენ, გაქცეულიყვნენ უკან პალესტინაში ეგვიპტის ჰიქსოსების ძალაუფლებისგან ჩამოშორების შემდეგ. 2006 წელს კანადელმა ებრაელმა რეჟისორმა სიმჩა იოკობოვიჩმა Simcha Jacobovici გადაიღო დოკუმენტური ფილმი, სადაც ის ამტკიცებს, რომ ჰიქსოსები და ძველი ებრაელები იყვნენ ერთნი, რადგან ისინი ერთად გაჩნდნენ და გაქრნენ.

სხვა თეორიის მიხედვით, ფარაონი ეხნატონი Akhenaten (Echnaton) ცდილობდა მონოთეიზმის დანერგვას. მისი დედოფალი იყო ცნობილი ნეფერტიტი Nefertiti თავისივე ცნობილი ვაჟით ტუტანჰამონით Tutankhamen. როდესაც ეხნატონი ძვ. წ. 1375 წელს გახდა ფარაონი, გადაწყვიტა, შემოეტანა მონოთეიზმი, მზის დისკოს ღმერთით და დედაქალაქი გადაიტანა ავესტაში Avesta, და იმის გამო, რომ სასულიერო პირები მისი წინააღმდეგნი იყვნენ, ის გიჟად გამოაცხადეს და მისი სიკვდილის შემდგომ აღდგა ძველი კულტი.

იოსებ ფლავიუსი Josephus Flavius ეგვიპტელი ისტორიკოსის მანეთოსგან Manetho გადმოგვცემს ისტორიას, როგორ გააძევეს ეგვიპტიდან 80 000 კეთროვანი, რომელთაც წინ უძღვოდა ეგვიპტელი ღვთისმსახური მოსე Moses. კეთროვნებაზე მინიშნება უფრო დაავადებაზე კი არ იყო, არამედ უცხო და მიუღებელი მონოთეისტურ რელიგიაზე, რასაც ისინი ემსახურებოდნენ.

ძვ. წ. 656 წელს ეგვიპტე დაიპყრეს ასურელებმა, ძვ. წ. 525 წელს ალექსანდრე დიდმა და ბოლოს ძვ. წ. 30 წელს – რომაელებმა. ათასწლიანი ომების შემდეგ, ძვ. წ. მე-5 საუკუნეში ძველმა ეგვიპტურმა ენამ და აბორიგენმა მოსახლეობამ შეწყვიტა არსებობა და ამ ტერიტორიაზე დასახლდნენ არაბები.

1914-1922 წწ-ში ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენა (ტუტანჰამონის საფლავი) გააკეთეს ინგლისელებმა და შემდგომ, მეორე მსოფლიო ომამდე, პრუსიული ისტორიული საზოგადოებამ Prussian Historical Society და გერმენელმა ნაცისტებმა, რომლებიც ეძებდნენ ნაცისტური სიმბოლიზმის ეზოტერულ მემკვიდრეობას.

ეგვიპტური იეროგლიფები გაშიფრეს როზეტას ქვის მეშვეობით Rosetta Stone, რომელიც ინახება ბრიტანეთის მუზეუმში ლონდონში და კომბინირებულად შეიცავს ძველ ბერძნულ ტექსტებსა და ეგვიპტურ იეროგლიფებს.

ხეთები და ხათები HITTITES AND HATTIANS



ხეთები უძველესი ხალხია, რომლებიც მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან, შესაძლოა კასპიის ზღვის სანაპიროებიდან და დააარსეს სამეფო ჩრდილოეთით, ცენტრალურ ანატოლიაში, სამხრეთ საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. 1800 წელს. დედაქალაქით – ჰატუსა Hattusa (ახლანდელი ბოგაზკოი Bogazkoy, თურქეთი). ძვ.წ. 1200 წელს დაიწყო არეულობა ლევანტში, რაც დაკავშირებულია ზღვის ხალხების ლაშქრობებთან, ტროას დაცემის შემდგომ, და ეს სამეფო სრულიად დასუსტდა. ხეთების ცივილიზაციის ისტორია ძირითადად ცნობილია ლურსმნულით ნაწერი ტექსტებიდან, რომელიც მათი იმპერიის ტერიტორიაზეა ნაპოვნი.

თუმცა ძვ.წ. 2000 წელს, სანამ ხეთები შემოვიდოდნენ, რეგიონი ცენტრით ჰატუსაში უკვე იყო დასახლებული ხათებით Hattian, განსხვავებული კულტურით, რომლებიც საუბრობდნენ არა ინდოევროპულ ენაზე. ქართველი მწერლები ამტკიცებენ, რომ ხათური ენა კავკასიური წარმოშობისაა, თუმცა ჯერჯერობით კარგად არ არის შესწავლილი. ხათური ენის გამოყენება გრძელდებოდა ხეთების სახელმწიფოში რელიგიური მიზნებისთვის. ხეთებმა ბევრი რამ შეითვისეს ხათების კულტურიდან.

ხეთური ენა ინდოევროპული იყო და დღესდღეობით გაშიფრულია. ბევრი სხვადასხვა ერის მეცნიერი (სლავები, გერმანელები და სხვ.) საჭიროდ თვლიან ამტკიცონ, რომ მათი ენა ჰგავს ხეთურ ენას.

იმხანად მათ საუკეთესო ცხენოსანთა ჯარი ჰყავდათ, განსაკუთრებით კი ეტლები. სამხედრო თვალსაზრისით, ისინი არასდროს დამარცხებულან

ისეთ დიდ მებრძოლებთანაც კი, როგორიც იყვნენ ასურელები. ისინი ბევრს ლაშქრობდნენ და დაამარცხეს ბაბილონი ძვ.წ. 1600 წელს, მითანი ძვ.წ. 1400 წელს, სირიაში – ეგვიპტის არმია ძვ.წ. 1312 წელს. ისინი იყენებდნენ რკინის იარაღს, რომლის ექსპორტი აკრძალული იყო, რაც იყო მათი სტრატეგიული ნოუ-ჰაუ, და კარგადაც მალავდნენ. ისინი იყვნენ კარგი მიწათმოქმედები, მეთევზეები და მონადირეები. ასევე აცხობდნენ პურს, აყენებდნენ ღვინოს, ლუდს, მიირთმევდნენ ვაშლს, ლეღვს, გარგარს. მათ მეფეები ღმერთებად არ მიაჩნდათ და მათი საზოგადოებასთან ურთიერთობა ძალზედ ლიბერალური და თავისუფალი იყო, რითიც კარგი მებრძოლები ფორმირდებოდნენ. მაგრამ ძვ. წ. 1200 წელს, ტროას დაცემის შემდეგ, ისინი გაუჩინარდნენ, არა სამხედრო დამარცხების, არამედ მუდმივი მიგრაციისა და ხალხთა შემოდინების გამო (ზღვის ხალხები).

ხეთების კვალის პოვნა შეიძლებოდა პალესტინა-სირიაში. როდესაც აბრაჰამი ძვ. წ. 1800 წელს ჩავიდა პალესტინაში და მისი მეუღლე სარა გარდაიცვალა, მან ხეთებს სთხოვა მიწა და გადაიხადა 400 შეკელი. ხეთებმა მიუგეს კიდევაც, რომ ხეთების მიწის ნაწილი ნათესაურად მასაც ეკუთვნის. აბრაჰამის მემკვიდრეებმა შეირთეს ცოლებად ხეთი ქალები. ბიბლია დეტალერად აღწერს, რომ ისინი არ იყვნენ ამ ქორწინებებით ბედნიერნი, რადგან ხეთი ქალები იყვნენ დამოუკიდებელი და აქტიური ბუნების.

ასევე ბიბლიიდან ვიგებთ, რომ უდაბნოში ხეტიალის შემდეგ აღთქმული მიწა ქანაანში ძვ.წ. 1200 წელს (ხეთების იმპერიის დაცემისა და ტროას ომის შემდეგ) უკვე დასახლებული იყო „ხეთებით, გირგაშელებით, ამორიტებით, ქანაანელებით, ფრიზებით, ჰივიანელებითა და იებუსელებით“ Hittites, Girgashel, Amorites, Canaan, Frisians, Hivians and Iebusels. დაიწყო კონფლიქტი ებრაელებსა და ადგილობრივებს შორის, იყო პირდაპირი ბრძანება, რომ მოესპოთ ყველა ადგილობრივი ტომი. აბრაჰამის დროის საპირისპიროდ ისინი მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ.

გასაკვირია, ხეთელი ქალების ისტორია კვლავ გრძელდებოდა, რადგან სავარაუდოთ ისინი ძალზედ მშვენიერები იყვნენ. მეფე დავითს შეუყვარდა ხეთელი ურიის Uria Hittites მეუღლე (ქალის ეროვნება მითითებული არ არის) და დაიბადა მისი ვაჟი სოლომონი. იესოც ამ ოჯახში დაიბადა. ეზეკიელი იერუსალიმის მოსახლეობას ამ სიტყვებით მიმართავს: „თქვენი მამა არის ამორიტი და თქვენი დედა კი ხეთი“ (16:3).

ხურიტები HURRIANS

ხურიტები Hurrians (Hurrites) ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში დაახლოებით ძვ.წ. 2500 წელს. ზოგი დასავლელი მწერალი თანხმდება, რომ ისინი ალბათ წარმოშობილნი არიან კავკასიაში და შემოვიდნენ ჩრდილოეთიდან.

ხურიტები საუბრობდნენ ენაზე, რომელიც არ იყო მსგავსი მეზობელი სემიტური თუ ინდოევროპული ენებისა, მაგრამ შესაძლოა დაკავშირებული

ყოფილიყო ურარტუს ენასთან. ზოგი აღმოსავლელი და ქართველი მეცნიერი ხურიტის ენას უკავშირებს ქართულს. ხურიტული ენის სიტყვების მსგავსება ასევე ნაჩვენებია მეზობელ მონათესავე ენებთან, მაგალითად, მეგრულთან, ქურთულთან, თუშურთან, ჩეჩნურთან, ინგუშურთან და სომხურთან. ხურიტული ენა იწერებოდა აქადური ლურსმნული დამწერლობით, რაც ახლახანს გაიშიფრა.

არქიბად ჰენრი საუსე Archibald Henry Sayce, ანატოლიის, მესოპოტამიისა და ეგვიპტის ბრიტანელი ისტორიკოსი და ლინგვისტი, ოქსფორდის უნივერსიტეტის კათედრის გამგე 1891 წლიდან 1919 წლამდე, ლუვრის მუზეუმში ესაუბრებოდა ცნობილ ქართველ მწერალს ე. თაყაიშვილს, რომ ქართული ენის ცოდნა დიდად დაეხმარა მას ხათებისა და ხურიტების ტექსტების გაშიფვრაში.

ხურიტებს ჰქონდათ სახელი, გვარი და მამის სახელი, რაც კაცობრიობის ისტორიაში კავკასიელების ოჯახებისთვის იყო დამახასიათებელი. ინდოევროპელებში და სლავებში ოჯახი გაცილებით მოგვიანებით, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ, დაარსდა. მაგალითად, თურქეთში გვარები ათათურქმა შემოიღო მე-20 საუკუნეში. გვარის და მამის სახელის არსებობა ნიშნავდა, რომ ისინი აღარ ცხოვრობდნენ კოლექტიურად და მკვიდრდებოდა მონოგამობა – დედამ იცოდა მისი შვილის მამის ვინაობა. კავკასიელებში, პირველად კაცობრიობაში, ქრისტიანობამდეც იცოდნენ უფროსების პატივისცემა, ქალებზე ზრუნვა და მათი შვილების ვინაობა.

ხურიტებს ასევე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ არიანებთან Arians. ადრე მეცნიერები (ბელარდი, ბუროუ, კამენჰუბერი, ლესნი Belardi, Burrow, Kammenhuber, Lesný) თვლიდნენ, რომ ხურიტებს ხელმძღვანელობდა უცხოელ მმართველთა ელიტა, რომელიც საუბრობდა ავესტას და ვედურ სანსკრიტთან Avestan and Vedic Sanskrit დაკავშირებულ ინდო-ირანულ ენაზე. თუმცა უცხოელმა არისტოკრატიამ დათმო თავისი ენა ხურიტი ქვეშევრდომების გამო, მათ შეინარჩუნეს ინდო-ირანული Indo-Iranian სახელები, ისინი თაყვანს სცემდნენ ვედურ ღმერთს. ზოგიერთი ინდო-ირანული სიტყვა გადარჩა, როგორც ნასესხები ხურიტულში, პრაქტიკულად ეს იყო ტექნიკური ტერმინოლოგია დაკავშირებული ცხენთან და მის გაწვრთნასთან (Mayrhofer, 1974). მითანის (Hurrian kingdom of Mitanna) მეომრებს უწოდებდნენ „მარია marya“, ისევე როგორც სანსკრიტის შემთხვევაშიც. მათ შემოიღეს მიცვალებულის კრემაცია და ასევე ცხენისა და ეტლების მოხმარება ბრძოლის ველზე – შემთხვევები, რომლებიც აშკარად მსგავსია იმ დროის ჩრდილოეთ ინდოეთის სიტუაციასთან. ანატოლიის ქალაქის იშუვას Ishuwa სახელწოდება, სადაც დასახლებული იყო ხურიტების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ნიშნავდა „ცხენების მიწას“.

ხურიტებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მეტალურგიას. ხაბურის მდინარის Khabur River ხეობა იყო ცენტრალური ადგილი მეტალით ვაჭრობაში (სპილენძი, ვერცხლი, კალა). ოქრო არ მოიპოვებოდა, და ამარნას წერილები Amarna letters გვამცნობს, რომ ის შემოდიოდა ეგვიპტიდან. ხურიტები ვირტუოზი კერამიკოსები იყვნენ. მათი თიხის ჭურჭელი მთელ მესოპოტამიაშია

აღმოჩენილი. არქეოლოგები დადასტურებით აღნიშნავენ მათი თიხის ჭურჭლის მსგავსებას მტკვარ-არაქსის კულტურის ჭურჭელთან Kura-Araxes culture, რომელიც შექმნეს ანატოლიის არაქსისა და მტკვრის რეგიონებში მცხოვრებმა ქართველმა ტომებმა.

ქართული მითიური ურჩხული „ვეშაპი veshapi“ და სომეხთა „ვიშაპი vishap“ შეესაბამება ხურიტთა Hurrian კერპს „ვიშანშაპს vishanshap“.

ძვ. წ. მე-13 საუკუნეში ხურიტთა ყველა სახელმწიფო ასურელებმა გაანადგურეს.

ბიბლიური ერეგის ეთნოგენეზი (ჩვ. წ-ის პერიოდი)

ძვ. წ. 1200 წელს ერთმანეთის მიყოლებით მოხდა რამდენიმე ისტორიული ფაქტი, რამაც შეცვალა ანატოლიის ისტორიის მიმდინარეობა და შესაბამისად ევროპისაც:

- რკინის ხანის დასაწყისი: ბრინჯაოსა და სპილენძის იარაღისა და ინსტრუმენტის ნაცვლად რკინის აღმოჩენა („ტექნოლოგიური“ რევოლუცია).
- ძვ. წ. 1200 წლის ტროას Troy ომი.
- ზღვის ხალხების Sea Peoples შემოსევები (რამსეს III-ის ბრძოლა ზღვის ხალხების წინააღმდეგ).
- ინდოევროპელების Indo-Europeans დაწინაურება.
- ისრაელიტიანების ეგვიპტედან გამოსვლა Israelite exodus, რომელთაც მოსე Moses მიუძღვებოდა.
- ხეთების, მიკენის და მითანის (ჰურიტების) Hittite, Mycenaean and Mitanni (Hurrites) კულტურების დასასრული.

ზღვის ხალხები SEA PEOPLES

ზღვის ხალხები იყვნენ უცნობი ზღვაოასანი თავდამსხმელები, რომლებიც ძვ. წ. 1200 წელს, ტროას ომის შემდეგ, ზღვებზე ბატონობდნენ და თავს ესხმოდნენ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს. მათ დაიწყეს რკინის იარაღის გამოყენება, რითიც დაიწყო რკინის ხანა. ეს იყო იმ დროს ყველაზე დიდი მისტერია და საიდუმლო უზარმაზარი სამხედრო უპირატესობისა.

ეგვიპტურ იეროგლიფებში არ იყო ხმოვნები და მათზე წერდნენ, რომ იყვნენ Shrdn, Shkrsh, Dnyn, Tkr, Trs, Prst. Shrdn, შესაძლოა იყვნენ შერდენები Sherden ან სარდინიელები Sardinians, Shkrsh- შეკლეშები Sheklesh ან სიკულები-სიცილიელები Sicilians. Dnyn ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ უნდა ნიშნავდეს დანაელებს Danaans, რასაც ჰომეროსი Homer ბერძნებს უწოდებდა. Tkr- შესაძლებელია იყვნენ ტევკრები ან ტროელები; Trs – ტირსენები ან ეტრუსკები. Prst უფრო მყარი საფუძველი აქვს: ის ნიშნავს პელასგელებს ან პელესტს Pelest, ფილისტინელების Philistines ეგვიპტური სახელი.

ზღვის ხალხებმა დაანგრიეს ანატოლიის უძველესი ცივილიზაცია გაერთიანებულ სახმელეთო და საზღვაო ბრძოლებში. ხეთების, მიკენის და მითანის სახელმწიფოების არსებობა უეცრად ძვ. წ. 1200 წელს დასრულდა. ზღვის ხალხები ცდილობდნენ ეგვიპტეში შეჭრას რამსეს III-ს მმართველობის პერიოდში ქანაანი/პალესტინის გავლით და ზღვით, მაგრამ ეგვიპტელებმა მოიგერიეს სახმელეთო შეტევა პალესტინაში და მდინარე ნილოსზე საანაოსნო ბრძოლაში. თუმცა სანაოსნოს მხრივ ზღვის ხალხები უპირატესობას ფლობდნენ. მათ უკეთესად აგებული ნავები ჰქონდათ და მათი იალქნები ზღვაში უფრო მოქნილნი იყვნენ, ვინაიდან ბერძნებისა და ფინიკიელების მსგავსად საჭიროების შემთხვევაში აფრები ზევით იწეოდა და არა ქვევით, როგორც ეგვიპტულებში, რაც ხელს უშლიდა მეზღვაურებს.

თვით ზღვის ხალხების წარმოშობა – სავარაუდოდ შავი ზღვისა და ანატოლიის რეგიონებიდან – ჯერ არ არის გარკვეულად დადგენილი. კარნაკის და ლუქსორის Karnak and Luxor წარწერები ერთადერთი წყაროა ამ ადამიანებზე, ტერმინი „Sea Peoples“ გამოიგონეს ეგვიპტელებმა: „უცხოური ქვეყნები... თავიანთ კუნძულებზე შეთქმულება მოაწყვეს. ყველა მიწა დაიძრა და ჩაერთო ომში. ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო მათი იარაღისთვის წინააღმდეგობა გაეწია“.

დასავლელი მწერლების სხვა თეორიის მიხედვით, ეგვიპტელები მარცვლეულით ამარაგებდნენ ანატოლიის ხალხს. ძალზედ შესაძლებელია, რომ სტიქიური უბედურების გამო (გვალვა, წარღვნა, ვულკანური აქტიურობა და ა. შ.) ადგილობრივად მოსავალი შეიზღუდა და ეგვიპტემ არ ან ვერ გაუგზავნა დახმარება. გაბრაზებულმა ანატოლიის ხალხმა ოჯახებით და ბავშვებით შეტევა განახორციელა ეგვიპტეზე, რათა საკვები მოეპოვებინათ. როგორც ხატოლოგი Trevor Bryce აღწერდა, „შემოსევები უბრალოდ სამხედრო ოპერაცია არ იყო, არამედ იყოლიებდა უზარმაზარ მოსახლეობას, ზღვასა თუ მიწაზე, რომლებიც ეძებდნენ მიწას დასასახლებლად“.

სანფორდ ჰოლსტის Sanford Holst თეორია (2005 წ.) აღწერს, რომ ზღვის ხალხები, რომლებიც დამშეულები იყვნენ, ანატოლიიდან და შავი ზღვის ტერიტორიიდან გადასახლდნენ, ნაოსან ფინიკიელებთან Phoenicians თანამშრომლობით, საკვებისა და დასასახლებლად მიწის მოპოვების მიზნით. ფინიკიელების თეორიის მხარდასაჭერად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ

ფინიკიელები გადაურჩნენ ზღვის ხალხების რისხვას, პირიქით, აყვავდნენ კიდეც მათი მტრების და კონკურენტების (მიკენის ბერძნების) განადგურების ხარჯზე. ერთი რამ, რაც დღემდე გაუგებარია, არის ის ფაქტი, რომ მდიდრული ქალაქების დაპყრობის შემდეგ დამპყრობლები აშკარად არ ცდილობდნენ ქალაქების შეენარჩუნებას, არამედ ანგრევდნენ ყველაფერს და აშენებდნენ დაბალი კულტურის შენობებსა და ეკონომიკას, რაც, სავარაუდოდ, შესაძლოა აიხსნებოდეს შურისძიების მიზნით, რელიგიით ან ტაბუებით.

მას შემდეგ, რაც ეგვიპტელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და უკუაგდეს, ზღვის ხალხები დასახლდნენ ხმელთაშუა ზღვის ბასეინში, როგორც ეს გააკეთეს შეკლეშებმა, რომლებიც დაფუძნდნენ სიცილიაში, ტურშა ეტრურიაში, შერდენები კი სარდინიაში Shekelesh in Sicily, Tursha in Etruria, Sherden in Sardinia. სხვა თეორიის მიხედვით, ისინი აპენინის ნახევარკუნძილზე ლტოლვილებად მოვიდნენ ტროას დამარცხების შემდგომ, მაგრამ ჰომეროსის პოემებიდან გამომდინარე, ტროელებმა არაფერი იცოდნენ რკინისა და რკინის იარაღის შესახებ.

ფინიკია PHOENICIA

ფინიკია იყო ქანაანის უძველესი კულტურული ცენტრი, სადაც ახლა არის ლიბანი, და ძვ. წ. 814 წელს დაარსებული კართაგენი Carthage (ახლანდელ ტუნისში). მათ გამოიგონეს საღებავი წითელი ფერის ქსოვილისთვის (ფინიკიური ფერი), რომელიც მიიღებოდა მოლუსკებისგან. ევროპა Europa, რომელიც ზევსმა Zeus გაიტაცა, იყო ფინიკიელი პრინცის და ამ ამბავმა გამოიწვია მსგავსი მოვლენების თანმიმდევრობა – მედეასა და ელენას ამბები.

ფინიკიელები არ იყვნენ მიწათმოქმედი ხალხი, ამის ნაცვლად ორიენ-ტირებულნი იყვნენ კომერციასა და ვაჭრობაზე. ისინი არასდროს იბრძოდნენ, არ ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფო, მაგრამ კარგი ვაჭრები და მეზღვაურები იყვნენ. ძველ ებრაულ სიტყვა ქენა'ანს (ქანაანიტე) kena'ani („Canaanite“) ჰქონდა მეორე მნიშვნელობა „ვაჭარი“. ისინი ბერძნების კონკურენტები იყვნენ.

ფინიკიელები აყვავდნენ, როდესაც ზღვის ხალხების დარტყმების შედეგად ბერძნები გაუჩინარდნენ „ბნელი წლების“ დროს ძვ. წ. 1200 წლიდან 500 წლამდე, როცა ფინიკიელები ჩამოყალიბდნენ მთავარ საზღვაო და სავაჭრო ძალად ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. ისინი სწორედ ამ ნაპირებზე დასახლდნენ კოლონიებად. სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კართაგენი. ესპანეთის სახელი Spain მოდის ფინიკიური სიტყვა I-Shaphan-იდან. ზოგ პორტუგალიელს, ლიბანელს, სირიელს, მალტელს, ტუნისელს, ალჟირელს და სომალელს დღემდე მიაჩნიათ თავი ფინიკიელთა შთამომავლებად.

ფინიკიური ენა, ისევე როგორც ქანაანური, სემიტურ ენათა ოჯახიდანაა. რადგან ვაჭრობაში ძნელი იყო იეროგლიფების გამოყენება საწერად, გამოიგონეს ძალზედ მარტივი ანბანი, როდესაც ასო აღნიშნავს ბგერას

და არა ნივთს. ბიბლიური არამეული, ბერძნული და მოგვიანებით ძველ ებრაული ანბანები – ევროპული ანბანების საფუძვლები, ჩამოყალიბდა ფინიკიური ანბანიდან გამომდინარე. ირონიულად, ფინიკიელები თავიანთ ისტორიაზე სდუმან, შესაძლოა იმიტომ, რომ სხვებისგან განსხვავებით, ისინი მალფუჭებად მასალაზე წერდნენ, პაპირუსზე ან ტყავზე. მათ შესახებ ვიცით მათი მეზობლებისგან, ბერძნებისა და ძველი ებრაელებისგან. პაპირუსით ცნობილი ფინიკიური ქალაქის ბიბლოსის Byblos გამო ბერძნებმა დაარქვეს წიგნს და აქედან შედგა სახელი ბიბლია Bible.

სოლომონის ტაძარი ფინიკიური დიზაინის მიხედვით აშენდა. ტერმინი ფინიკია იგნორირებულია ებრაულ ბიბლიაში და მოიხსენიება მხოლოდ ახალ აღთქმაში. მხოლოდ ქალაქებია აღნიშნული და არა ხალხი. კერპი მოლოხი Moloch ფინიკიური იყო და ამ კერპს მსხვერპლად სწირავდნენ ბავშვებს ფინიკიურ ქალაქებში.

კიროს დიდმა Cyrus the Great ფინიკია დაიპყრო ძვ. წ. 538 წელს და გამოიყენა მაღალკვალიფიციური კადრები სპარსი მეფეებისთვის კარგად აღჭურვილი ფლოტის მშენებლობაში, რაც გამოიყენეს ათენისა და სპარტანელების წინააღმდეგ ომში. ალექსანდრე დიდმა აიღო ტირი Tyre ძვ. წ. 332 წელს 7-თვიანი ალყის შემდეგ და იყო განსაკუთრებულად სასტიკი ტირის მიმართ, ამოხოცა 2000 მოქალაქე. ელინისტური საბერძნეთის აყვავების შემდეგ ფინიკიური კულტურა, საბერძნეთის სანაოსნო მეტოქე, სრულიად გაქრა. ჩრდილოეთ აფრიკის კოლონია, კართაგენი, საბოლოოდ რომმა დაანგრია პუნიკურ ომებში მე-2 საუკუნეში.

ფილისტინელები PHILISTINES

ფილისტინელები დასახლდნენ ქანაანის სანაპირო ზოლის მხოლოდ 5 ქალაქში. ისინი დაამარცხა ებრაელმა მეფე დავითმა, მაგრამ საბოლოოდ მათ ორივემ დაკარგეს დამოუკიდებლობა ასურეთთან ომში ძვ. წ. 722 წელს. მოგვიანებით, ბაბილონელმა ნაბუქოდონოსორ II-მ დაიპყრო მთელი სირია და იუდეას სამეფო, ყოფილ ფილისტინელების ქალაქებთან ერთად და ისინი გაუჩინარდნენ, როგორც ეთნიკური ჯგუფები.

ბიბლიამ არაერთხელ უწოდა ფილისტინელებს, სემიტური ხალხისგან განსხვავებით, „წინ დაუცვეთელები“. ავტორების უმეტესობა ეთანხმება, რომ ისინი არ არიან ისრაელ/პალესტინის რეგიონის მკვიდრნი, თუმცა სახელწოდება „პალესტინა“ მომდინარეობს ფილისტინელებისგან. მათ იცოდნენ რკინის დამზადება და ბიბლიაში გოლიათის ჯავშნის აღწერისას, აღინიშნება რკინის ტექნოლოგია.

ქართველი მწერლების მიხედვით, ფილისტინელები ქანაანში მოვიდნენ ძვ. წ. მე-12 საუკუნეში ეგეოსის აუზიდან ზღვის ხალხებთან ერთად და იყვნენ პელასგების შთამომავალნი, უძველესი იბერიული ტომისა, რომელიც საბერძნეთში დასახლდა ინდოევროპულ შემოსევებამდე.

ურარტუ URARTU

ძვ. წ. 900 წლიდან ურარტუელები ყველაზე წარმატებულნი იყვნენ ასურელებთან Assyrians ბრძოლაში. ისინი 300 წლის განმავლობაში უწევდნენ წინააღმდეგობას და ბოლოს დაამარცხეს ასურელებმა, რომლებიც იძულებულნი იყვნენ შეექმნათ პროფესიული არმია, რამაც დაასუსტა ასურეთი ეკონომიკურად და ზედიზედ ორივე (ასურეთი ოკუპირებულ ურარტუსთან ერთად) დაანგრიეს მიდიელებმა Medians და ბაბილონელებმა Babylonians.

ქართველი მწერლების მიხედვით, ურარტუ რამდენიმე ტომის კონფედერაცია იყო, უფრო მეტად კი იბერიისა და სომხეთის. ურარტუში მდებარეობდა ნოეს მთა არარატი.

საბერძნეთი GREECE – იხილეთ თავი არგონავტიკა.

რომაელები ROMAN

ძველი რომაული ცივილიზაცია აღმოცენდა ეტრუსკულ Etruscan ქალაქ-სახელმწიფოებებიდან ძვ. წ. მე-9 საუკუნეში. რომის ოფიციალური ლეგენდის მიხედვით, პრინცი ენეასი Prince Aeneas სათავეში ჩაუდგა ტროელებს საზღვაო ვოიაჟის დროს ძვ. წ. მე-12 საუკუნეში და აპენინის ნახევარკუნძულზე დააარსეს ახალი ტროა. ეტრუსკული კულტურა იყო რომაული ცივილიზაციის წყარო. ეტრუსკებმა დააფუძნეს ქალაქი რომი (ROMA – AMOR) ძვ. წ. 753 წელს. რომულუსი და პაპულე Romulus and Papule იყვნენ ეტრუსკელები.

რომი თავიდან იყო რესპუბლიკა, მაგრამ შემდეგ გარდაიქმნა იმპერიად. პირველი იმპერატორები იყვნენ არისტოკრატები – იულიუსების და კლავდიუსების Julius and Claudius ოჯახებიდან, მაგრამ მოგვიანებით ნერონისა და კალიგულა, Caligula and Nero დეგრადაციული მმართველობის შემდეგ პლებეი ფლავიუსები Flavians გახდნენ იმპერატორები. იმპერატორი ოთანი იყო ეტრუსკი, ტრაიანე, კომოდო და სხვები კი ესპანელები, ამას მოჰყვა აფრო-სირიული დინასტია, შემდეგ ფრიგიელები და მოგვიანებით გოთები. ბოლო საუკუნეებში მთავარსარდლები ყველა გოთები იყვნენ.

ლათინური ანბანი გადმოღებულია ბერძნულიდან, რომელსაც ფინიკიური უდევს საფუძვლად. რომაელთა კულტურა თითქმის მთლიანად ბერძნულიდანაა აღებული (და ეტრუსკებიდან), მაგრამ ქართველი მწერლების მიხედვით, არგონავტების ლეგენდა გვასწავლის, რომ კულტურის ეზოთერული წყარო კოლხეთიდან მომდინარეობს.

რომაელებს ნაკლებად უყვარდათ მოგზაურობა, ისინი არ აარსებდნენ კოლონიებს. არ ჰყავდათ ბევრი გემი, არ მოგზაურობდნენ ზღვით და არაფერი იცოდნენ გემთმშენებლობის შესახებ. ისინი ბერძნებზე ნაკლებად იყვნენ დაჯილდოვებულნი სახვით ხელოვნებაში და ბერძნული ქანდაკებების

ასლს ამზადებდნენ. ფილოსოფიაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში ბერძნები ბევრად უფრო პროდუქტიულები იყვნენ.

მაგრამ ბერძნებს ასევე შეეძლოთ საკუთარი შვილების მოკვლა, თუ მათი ცხვირის ან ყურის ზომა არ მოეწონებოდათ, ხელს უწყობდნენ მათი ქალიშვილების პროსტიტუციას მონასტრებში და ჰომოსექსუალიზმი კარგ ურთიერთობად მიაჩნდათ, როდესაც რომაელებთან ეს სასტიკად იყო აკრძალული. ისინი ყოველთვის დასცინოდნენ ბერძნების ჰომოსექსუალიზმისადმი მიდრეკილებას, რაც რომაულ საზოგადოებაში ძალზედ შეურაცხმყოფელი იყო. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კანონები. მამებს ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენები, თუკი ამას კანონი მოითხოვდა.

ეტრურია ETRURIA

ეტრუსკები იყვნენ იტალიის ძველი მოსახლეობა, რომლებიც ინდოევროპულ მიგრაციამდე და ლათინების მოსვლამდე ცხოვრობდნენ. ჰეროდოტე Herodotus (ისტორია I. 94) მათ აღწერს, როგორც ლიდიიდან Lydia ჩამოსულ მიგრანტებს, რომლებიც დასავლეთ ანატოლიიდან შიმშილის გამო გამოიქცნენ. ყველა ავტორის მიხედვით, რომაელები თავიანთ თავს ეტრუსკების შთამომავლებად მიიჩნევდნენ, რომლებიც ტროას ომში Trojan War დამარცხების შემდეგ გადმოსახლდნენ (იხილეთ ტროას ომის შესახებ თავები).

რომაულ სკოლებში ასწავლიდნენ ვერგილიუსის პოემას „ენეიდას“ Vergil „Aeneid“, სადაც აღწერილია, რომ რომაელი ხალხი წარმოშობილია ანატოლიის ქალაქ ტროადან. სწორედ ამიტომაა, რომ რომაული იმპერიის ახალი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი ძველი ტროას ადგილზე დაარსდა. იერუსალიმი იმ დროს უცნობი იყო, ხოლო რომის იმპერიის დედაქალაქის ათენში გადატანის შესაძლებლობა არც განხილულა.

ეტრუსკები ცნობილნი იყვნენ მეტალურგიის ცოდნით და ცხოვრობდნენ იტალიაში რკინის ხანაში ძვ. წ. მე-6 საუკუნეში. იმ დროს მხოლოდ იბერიელი ქალდეველი ტომები იყვნენ ცნობილნი მეტალის წარმოებით. მეტალის

კომერციამ, განსაკუთრებით კი სპილენძისა და რკინის, ეტრუსკების გამ-დიდრებას შეუწყო ხელი.

ეტრუსკების დასახლებები ძირითადად მდებარეობდა მთებზე და სქელი კედლებით იყო გარშემორტყმული. როდესაც რომულუსმა და რემუსმა დააარსეს რომი, იგი პალატინის გორაკზე Palatine Hill გააშენეს, ეტრუსკების სტანდარტების მსგავსად. ქალაქის კედლების გარდა, ეტრუსკები აშენებდნენ საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებს. კლოაკა მაქსიმა cloaca maxima „დიდი კანალიზაცია“ რომში არის ეტრუსკული. რომის გზები, ჯებირები და სადრენაჟე არხები ეტრუსკების იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მათ მოუტანეს ამ იმპერიას, იყო თაღები, რომელთაც შეხვდებით კარიბჭეებზე, ხიდებზე, ტაძრის შესასვლელებზე და გადასასვლელებზე. სახლებიც ეტრუსკელების სტილში შენდებოდა: ღია ეზოს გარშემო ოთხკუთხედი ოთახები. სახურავი იყო ისეთი ფორმის როგორსაც მას ლათინურად უწოდებენ „cavoedium tuscanicum“.

გლადიატორების არენა, ბანკეტები და გასართობები, ისევე როგორც თეატრები, მუსიკა და ცეკვები ეტრუსკებმა დაიწყეს იტალიაში. ეგვიპტელების მსგავსად, მათაც სწამდათ მარადიული სიცოცხლის. საფლავები გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ბევრი სახლი, ფართო კამერებით, კედლის ფრესკებითა და ავეჯით.

ეტრუსკები საუბრობდნენ არაინდოევროპულ ეტრუსკულ ენაზე. ისინი იყ-ენებდნენ ბერძნულ ანბანთან მიმსგავსებულ ანბანს. შემდგომში ქრისტიანმა ხელისუფლებამ შეაგროვა წარწერები, როგორც კერპთაყვანისმცემლობის ნიმუშები, და ყველა მათგანი დაწვეს. გადარჩენილია ერთი ეტრუსკული წიგნი „Liber Linteus“, რომელიც დაწერილია ტილოზე, და გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ მუმიების შესაფუთად გამოიყენეს. ლათინურში რამდენიმე ათეული ნასესხები სიტყვაა შემორჩენილი ეტრუსკებისგან, ბევრი მათგანი კულტურასთანაა დაკავშირებული, როგორც ელემენტი (წერილი), ლიტერა (წერა), არენა და სხვა. დღემდე ყველაზე ხშირად ხმარებადი ეტრუსკული სიტყვაა „populus“„ადამიანი“, რომელიც ეტრუსკული ღვთაება იყო. შესაბამისად, ინგლისური სიტყვები, მაგ., ხალხი, ადამიანი, მოსახლეობა, people, person, population, სწორედ ეტრუსკული წარმოშობისაა. ეტრუსკული ნუმერაცია დღესდღეობითაც ცნობილია, როგორც ლათინური.

ეტრუსკების მისტიკური ფესვები იპყრობდა ყურადღებას და ფანტასტიკურ თეორიებს ბადებდა. რუსეთში წიგნები იწერება, სადაც ამტკიცებენ, რომ ეტრუსკები არიან რუსები, რადგან მათ სახელებს აქვთ იგივე ფუძე „რუსკ“. ლინგვისტი მარიო ალინეი Mario Alinei ბოლო ნაშრომში (2003 წ.) გვთავაზობს იდეას, რომ ეტრუსკები იყვნენ არქაული უნგრელები. 2007 წლის 18 ივნისს Science Daily-იმ გამოაქვეყნა ადამიანთა გენეტიკის ევროპული საზოგადოების ყოველწლიური კონფერენციის შედეგები, სადაც ტურინის უნივერსიტეტის პროფესორმა ალბერტო პიაზამ Alberto Piazza გამოაქვეყნა მტკიცებულება, რომ ეტრუსკები იყვნენ ძველი ანატოლიის მკვიდრნი. ეს ზუსტად ემთხვევა

ჰეროდოტეს აზრს, რომ ეტრუსკები იყვნენ მცირე აზიიდან. ქართველი მეცნიერებიც გამოსცემენ ნაშრომებს ქართულ და ეტრუსკულ კულტურასა თუ ენებს შორის საერთო ფესვების დადასტურებასთან დაკავშირებით.

ბევრი იბერიული და ეტრუსკული სიტყვა ერთნაირი ფუძისაა, როგორიცაა „ტეტა“, „ნენე“ – ქართულად „დედა“, „ნანა“; „ცვილ“ – ქართულად შვილი, „ჩვილი“, „ლუთი“ – ქართულად „ლოდი“ და სხვა. ბიბლიაში ტუსკი Tusc არის იბერიული ტომების მეშეხის და თაბალის ძმა Meshekh (or Meskh) and Tabal. „თეოგონიაში“ ჰესიოდე „Theogonia“ Hesiodus (ძვ. წ. მე-7 საუკუნეში) წერდა, რომ „კოლხეთის მეფის აიეტის დამ კირკემ Kirke შვა აგრიოსი და ლათინოსი და იყო ტირანიანების Tyrrhenians დედოფალი კუნძულზე“. ეგვიპტური ჩანაწერების თანახმად, რამსეს III-მ გაიმარჯვა ზღვის ხალხებზე, მათი მოკავშირე თურშას Tursha (Trusk) ტომის ჩათვლით. დღემდე საქართველოს რეგიონს თუშეთს ბერძნულად ეწოდება თუსკი (თუსკოი) Tuski (Tuskoi).

ეტრუსკის სურათზე ვხედავთ ბიჭუნას, რომელიც უკრავს ორ სალამურზე ერთდროულად და ეს ტექნიკა ცნობილია ქართულ ნაციონალურ ფოლკლიორში. ვიკიპედია გვამცნობს, რომ ისტორიული ეტრუსკების განსახლების რეგიონში დადგენილია მაღალი y-haplogroup G-ის კონცენტრაცია, რაც აგრეთვე დამახასიათებელია ანატოლიისა და კავკასიის ხალხებში, განსაკუთრებით ოსებსა და ქართველებში.

ბულგარეთში ნაპოვნი ეტრუსკული წიგნი, ძვ. წ. 600 წ.

2003 წლის 26 მაისის BBC News ცნობით ბულგარეთის ნაციონალურ მუზეუმში ეტრუსკულ ენაზე ნაწერი მსოფლიოს უძველესი მრავალგვერდიანი წიგნი გამოიფინა. ის შედგება 6 შეკრული 24-კარატიანი ოქროს ილუსტრირებული ფურცლისგან. ეს ხელნაწერი, რომელიც ძვ. წ. 2500 წლით მეტი ხნისაა, 60 წლის წინ, კომუნისტების პერიოდში, ბულგარეთში მდინარის არხის გაყვანის დროს აღმოაჩინეს სამარხში, და გადასცეს მუზეუმს მხოლოდ 2003 წელს, მისი მპოვნელის ანონიმურობის დაცვით.

ფრიგია PHRYGIA

ფრიგია იყო ანატოლიის მთიანი ქვეყნის სამეფო დაახლოებით ძვ. წ. 1200 წლიდან. ხეთების იმპერიის დანგრევის, ტროას ომისა და ზღვის ხალხების შემოსევების შემდეგ, ძვ. წ. მე-12 საუკუნეში, ანატოლიის პოლიტიკური ვაკუუმი გაივსო ინდოევროპული მიგრანტებით, ფრიგიელების ჩათვლით. ისინი საუბრობდნენ ინდოევროპულ ენაზე, ჰქონდათ ფინიკიური ანბანი.

ბერძენული მითოლოგიის მიხედვით, ფრიგიელი მიდასი Midas იყო მოშის (მუშკის) Moschi (Mushki) მეფე. ძვ. წ. მე-8 საუკუნის ასურეთის წყაროებიდან ვიგებთ, რომ მუშკი მიდასი იყო ფრიგიის მეფე. ის იყო კიმერიელების მიერ Cimmerians დამარცხებული და თავი მოიკლა ძროხის სისხლის დალევით. ალექსანდრე დიდმა გაიარა ფრიგიის დედაქალაქი გორდიუმი Gordium ძვ. წ. 333 წელს და გაჭრა ცნობილი გორდიასის კვანძი Gordian Knot.

ფრიგიამ შეინარჩუნა კულტურული იდენტურობა ფრიგიული ქუდით „Liberty cap“, რომელიც გამოსახულია საფრანგეთის ყველა რევოლუციის პერიოდის ფრანგულ და ამერიკულ ნახატებში და იყო თავისუფლებისადმი ლტოლვის სიმბოლო. ძველი ბერძნებისთვის ამ ნივთს ნეგატიური მნიშვნელობა აქვს, როგორც ბარბაროსული აღმოსავლური ანატოლიის გავლენას, მაგრამ რომაელებისთვის იყო თავისუფლების ნიშანი. ფრიგიული ქუდი გამოხატულია ტროას ფრესკებზე და სკულპტურებში, მას ატარებდნენ სპარსელი ღმერთი მიტრა და ანატოლიის ღმერთები. რომაელი პოეტები სისტემატურად იყენებენ სიტყვა „ფრიგიელი“, როდესაც ტროელს გულისხმობენ. მაკედონიურ და მე-12 საუკუნის ნორმანულ სამხედრო მუზარადებს ჰქონდათ ფრიგიული ჩაფხუტის ფორმა. რესპუბლიკურ რომში, რევოლუციურ საფრანგეთში, ამბოხებულ ირლანდიაში და ა.შ. ფრიგიული ქუდი თავისუფლების სიმბოლო იყო. დღემდე, საფრანგეთის ნაციონალურ ემბლემაზე, მარიანეს ახურავს ფრიგიული ქუდი.

ეს ნივთი ასევე გამოიყენებოდა ამერიკის უამრავ ქვეყანაში თავისუფლების სიმბოლოდ. ფრიგიული ქუდი ასევე გამოსახულია აშშ-ის სენატის ბეჭედზე და არმიის „ომის ოფისის ბეჭედზე“ „War Office Seal“, აშშ-ის ზოგიერთი შტატის ბეჭდებზე და დროშებზე; ბევრ ლათინოამერიკული ქვეყნის ეროვნულ დროშაზე და გერბზე (ნიკარაგუა, ელ სალვადორი, არგენტინა, კოლუმბია, ჰაიტი, კუბა, ბოლივია, პარაგვაი და სხვა.).

აშშ-ს სენატის ბეჭედი

აშშ-ს ჯარის ბეჭედი

Delacroix, Liberty Leading the People, 1830

ფრიგიული ქუდი

ლიდია LYDIA

პირველი მონეტა,
ძვ. წ. VI საუკუნე

ლიდია (არზავა) Lydia (Arzawa) იყო მცირე აზიის დასავლეთი რეგიონი, რომლის დედაქალაქია სარდისი. მისი ენა ინდოევროპულია. ჰეროდოტე და სტრაბონი (5.2.2) წერდნენ, რომ ეს სახელი მათ ეწოდათ ჰერაკლიდის დინასტიის მეფე ლიდუსის გამო. ლიდიელი მებრძოლები ცნობილი მშვილდოსნები იყვნენ. ასევე ლეგენდაში აღნიშნულია, რომ ეტრუსკების ცივილიზაცია დააარსეს ლიდიელმა კოლონისტებმა ლიდუსის ძმის, ტირენუსის Tyrrhenus, მეთაურობით.

ჰეროდოტეს მიხედვით, ლიდიელები პირველნი არიან, რომელთაც დაიწყეს ოქროსა და ვერცხლის მონეტების მოჭრა დაახლოებით ძვ. წ. 650-600 წწ-ში და პირველებმა დააარსეს სავაჭრო მაღაზიები მუდმივ ადგილას. პირველი მონეტა დამზადდა ელექტრუმისგან electrum (ბუნებრივად არსებული ოქროს და ვერცხლის ნაერთი).

ძვ. წ. 546 წელს აქამენიდმა მეფემ კიროს II-მ დაიპყრო სარდისი და ლიდია, მოგვიანებით კი რომაელებმა და მაკედონელმა მეფემ ალექსანდრემ. როგორც ბიზანტიის იმპერიის ნაწილი, ლიდია საბოლოოდ შთანთქა ოსმალთა სახელმწიფომ 1390 წელს.

გალათეა GALATIA

ძვ. წ. 390 წელს დაახლოებით 10 000 მებრძოლმა კელტმა გალმა Celtic Gauls და იმავე რაოდენობის ქალმა და ბავშვმა დატოვეს რომი და წავიდნენ აღმოსავლეთის მიმართულებით ანატოლიამდე, სადაც მათ დააარსეს ქვეყანა გალია-გალათეა Gallia-Galatia დედაქალაქით ანკირაში (თანამედროვე ანკარა)

The Dying Gaul: a Hellenistic image of a noble adversary (Capitoline Museum, Rome)

Ancyra (Ankara). ქართველი და დასავ-ლელი ავტორების აზრით, ისინი დაბ-რუნდნენ თავიანთ ისტორიულ მშობლიურ ადგილებში. სტრაბონი აღწერდა, რომ გალები დიდი მეომრები იყვნენ, რომელთაც პატივს სცემდნენ ბერძნები და რომაელები. ძვ. წ. 64 წელს გალათეა შევიდა რომის იმპერიის შემადგენლობაში.

ანატოლიის ისტორია

ანატოლიაში საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა სასტიკი ბრძოლა დასავ-ლეთსა და აღმოსავლეთს შორის და ქვემოთ მოყვანილია იმპერიების ჩამონათვალი, რომლებიც ანატოლიის ტერიტორიაზე ცდილობდნენ დამკვიდრებას:

Alexander the Great

აქადის იმპერია Akkadian Empire ძვ. წ. 2400-2150 წწ.
აჰიაუას სამეფო Kingdom of Ahhiyawa ძვ. წ. 1700-1300 წწ.
კიზუვანტას სამეფო Kingdom of Kizzuwatna ძვ. წ. 1650-1450 წწ.
ხეთების სამეფო Hittite Kingdom ძვ. წ. 1800-1200 წწ.
(ტროა, კოლხეთი, ჰატები, კასკასები) (Troy, Colchis, Hattians, Kaskas)
ფრიგიის სამეფო Phrygian Kingdom ძვ. წ. 1200-700 წწ.
ლიდიის სამეფო Lydian Kingdom ძვ. წ. 685-547 წწ.
სპარსეთის აქამენიდური იმპერია Achaemenid Empire ძვ. წ. 559-331 წწ.
ალექსანდრე მაკედონელი დიდი Alexander the Great of Macedon ძვ. წ. 334-301 წწ.
სელევკიდების იმპერია Seleucid Empire ძვ. წ. 305-64 წწ.
პონტოს სამეფო Kingdom of Pontus ძვ. წ. 302-64 წწ.
რომის რესპუბლიკა Roman Republic ძვ. წ. 133-27 წწ.
რომის იმპერია Roman Empire ძვ. წ. 27-ჩვ. წ. 330 წწ.
ბიზანტიის იმპერია Byzantine Empire ჩვ. წ. 330-1453 წწ.
რუმის სელჩუკების სასულთნო Seljuk Sultanate of Rum 1077-1307 წწ.
სილიციის სომხეთის სამეფო Armenian Kingdom Cilicia 1078-1375 წწ.
ტრაპიზონის იმპერია Empire of Trebizond 1204-1461 წწ.
ნიკეის იმპერია Empire of Nicaea 1204-1261 წწ.
ოსმალთა გაძლიერება Rise of the Ottomans 1299-1453 წწ.
ოსმალთა იმპერია Ottoman Empire 1453-1922 წწ.
თურქეთის რესპუბლიკა Republic of Turkey 1922 წ.

მაგრამ ახლა, როგორც იერუსალიმი, საკრალური ადგილი ებრაელებისათვის, ანატოლია, საკრალური ადგილი იბერიელებისთვის, და არარატის მთა, სომხების საკრალური ადგილი, მუსლიმთა კონტროლსქვეშაა.

ელამი, მედესი (მიდია), აქემენიდული სპარსეთი, სასანიანი (სასანიდური) ირანი

Elam, Medes (Media), Achaemenid Persia, Sasanian (Sassanid) Iran

ელამი (მოგვიანებით სპარსეთი) განთავსებული იყო თანამედროვე ირანის ტერიტორიის ცენტრში ძვ. წ. 2700 წ-დან 539 წ-მდე, რომლის დედაქალაქიც იყო სუსა, შუმერის და აქადის მეზობელი. მისი კულტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მომავალი აქამენიდური სპარსეთის იმპერიაში, როდესაც ელამიტური ენა (იბერიულ-კავკასიური ენის მონათესავე) ოფიციალურად შემოვიდა. ეს არ იყო მეზობელ სემიტურ, შუმერულ და ინდოევროპულ ენებთან კავშირში. ელამო-დრავიდული Elamo-Dravidian ენათა ოჯახი შეიძლება დაკავშირებული იყოს ინდის ველის Indus Valley ცივილიზაციასთან. ელამიტები კასიტების, ლულუბიანების და გუთიანების[1] Kassites, Lulubians and Guthians ნათესავები იყვნენ. ისევე როგორც იბერიულ ტომებს, ყველა მათგანს ჰქონდათ ოჯახური სისტემა.

მედესები (მიდიელები) უძველესი ხალხი იყო ზაგროსის Zagros მთებში, რომლებიც მეზობელი სპარსების, არიანების წინაპრები იყვნენ. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიდია Media ძალზედ ახლო იყო მონათესავე ქართულ ტომებთან. ზაგროსის მთებში ადრე, შუმერების დროს, გუთები ცხოვრობდნენ. ქართული ენის მსგავსი ზანდური ენა მიდიის სამეფო კარის ენა იყო. მიდიელებს ჰეროდოტე არიელებად მოიხსენიებს. ჰეროდოტემ აღნიშნა, რომ „ამ მედესებს Medes ყველა ოდითგანვე ეძახდა არიანებს Aryans; მაგრამ, როდესაც კოლხელი მედეა მოვიდა ათენიდან, მათ სახელი შეიცვალეს“. ანუ, ბერძნული მითოლოგიით მედესი (მიდია) დააფუძნა იასონისა და არგონავტების მიერ მოტაცებულმა კოლხი მეფის აიეტის ასულმა მედეამ, ან ათენის მეფის ეგეოსისა და მედეას შვილმა – მედომ.

ძვ. წ. 620 წელს არიანელი ზარატუსტრა Aryan Zarathustra, „ავესტას“ ავტორი, დაიბადა მედესში (ალბანეთში, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) და ქვეყნის რელიგია იყო არიან-ზოროასტრიანიზმი. ზოროასტრულ წმინდა

[1] გუთიანები (გუთები) Guthians უძველესი იბერიული ტომი იყო ალბანიის ტერიტორიაზე (ახლანდელი აზერბაიჯანი), სადაც ცხოვრობდა და ლოცულობდა ზოროასტერი (ზარატრუსტრა) Zoroaster (Zarathustra) (ძვ. წ. 660-583 წწ.), „ავესტას“ „Avesta“ ავტორი. სხვა ავტორების მიხედვით, ის დაიბადა მედესში (ანუ თითქმის იმავე ხალხში. ის ავღანეთში, ბალხში Balkh, მოკლეს 77 წლის ასაკში თურანის (თურქების) Turan (Turks) და სპარსეთის იმპერიას შორის საღვთო ომში.

წიგნში „ავესტაში“ მიდიელთა ქვეყანა იწოდება „Airyanam Dalyunam“-ად[1], რაც ნიშნავს „არიების ქვეყანას“. სანსკრიტული სიტყვა „არია/აიჰრია“ ნიშნავს „თავისუფლებას, კეთილშობილებას“. ზუსტად ამ რეგიონიდან ეახლნენ ქრისტეს დაბადების დროს აღმოსავლელი მაგები the Magi.

მაგრამ დაახლოებით ძვ. წ. 550 წელს აქამენიდური სპარსეთის მეფე კიროს დიდი Cyrus (Kir) the Great გაერთიანდა (ან დაიპყრო) მედესი და ასე აღმოჩნდნენ მიდიელები თავიანთი ნათესავების, სპარსეთის შემადგენლობაში. აქამენიდური სპარსეთის იმპერია 200 წლის (ძვ. წ. 550-330 წწ.) განმავლობაში იყო იმ შორეული დროის ყველაზე დიდი კლასიკური იმპერია ტერიტორიის მხრივ. მასში შედიოდა ანატოლია, ბაბილონი, ინდოეთი, კავკასია, ცენტრალური აზია, ეგვიპტე (სადაც კიროსის ვაჟი გახდა ფარაონი, დაიწყო წარუმატებელი ომი კართაგენთან, მაგრამ რამდენიმე წელში გარდაიცვალა).

მოსახლეობა პატივს სცემდა იმპერიას მისი სიუხვისა და კანონების გამო. მონას შეეძლო ყოველწლიურად სამი თვით სახლში წასულიყო, მაგრამ ყველა მათგანი ნებაყოფლობით ბრუნდებოდა უკან, რადგან აქ უკეთესი ცხოვრება ჰქონდათ. კიროსმა ებრაელები ბაბილონის მონობიდან გაათავისუფლა, რათა იუდეაში დაბრუნებულიყვნენ და მათ ახლიდან ააშენეს იერუსალიმი ძვ. წ. 539 წელს.

სპარსელებმა დააგეს გზები, დააარსეს საფოსტო მომსახურება, ჭრიდნენ ოქროს მონეტებს – დარის და სხვა. ისინი განთავისუფლებულნი იყვნენ გადასახადებისგან. მაგრამ მათ ჰყავდათ მხოლოდ ერთი მტერი – ბერძენი ვაჭრები. ალექსანდრე დიდის ჩვენთვის ცნობილი იმპერია ისტორიულად სპარსეთის მეფეებმა კიროსიდან დარიოსამდე (ძვ. წ. 522-486 წწ.) ჩამოაყალიბეს ნაბიჯ-ნაბიჯ. ალექსანდრესგან რეალურად მხოლოდ ერთი რამ იყო საჭირო – დარიოსის დამარცხება, რაც მოხდა ძვ. წ. 330 წელს. ზუსტად იგივე მოხდა, როდესაც მონღოლთა უზარმაზარი იმპერია რუსებს ერთი ბრძოლით ხელში ჩაუვარდათ.

ალექსანდრე დიდმა დატოვა მმართველად იბერიაში აზო და ალბანეთში ძვ. წ. 328 წელს დარიუს ატროფატე Darius Atropates (Atrupat) და სავარაუდოდ ეს სახელი დაედო საფუძვლად სახელს „აზერბაიჯანი“. მაკედონიის დიდი იმპერია ძალზედ ცოტა ხანს არსებობდა ძვ. წ. 334-323 წწ. და გაიყო სელეკიდების Seleucid ქვეყნებად. ძვ. წ. 200 წლიდან ირანის ტერიტორიაზე გამოჩნდა პარფენი (პარტას) ტომები Parfen (Partha) tribes, რომელთაც დაიწყეს ბერძნული ენისა და კულტურის გამოყენება. ბოლოს, ძვ. წ. 66 წელს რომაელები წარმატებულნი იყვნენ და დაარბიეს მესოპოტამია. ჩვ. წ. 226 წლიდან არსებობა დაიწყო სასანიანთა ირანმა. 651 წელს უკანასკნელი სასანიანის სამეფო დაიპყრეს არაბებმა და დაიწყო ისლამის ისტორია.

[1] შეადარეთ ირლანდიის დასახელებას: Ireland, land of Ires or Airyas.

სარმატები და სკვითები SARMATIA AND SCYTHIA

ჰუნების შემოსევამდე ჩვ. წ. მე-4 საუკუნეში, ჰეროდოტე ძვ. წ. 512 წელს აღნიშნავდა, რომ სარმატები იყვნენ მრავალი ტომებით შემდგარი კონფედერაცია დასავლეთ სკვითებში.

ტაციტუსის „გერმანია“-ში Tacitus „Germania“ ვკითხულობთ „ორივემხრივ შიშზე“ გერმანელებს და სარმატებს შორის. ასევე ვკითხულობთ, რომ სპარსელების მსგავსად, მათ ეცვათ გრძელი კაბები. მათ „საზიზღრებს“ ეძახდნენ, რაც გვიჩვენებს, რომ რომაელებსაც, გერმანელების მსგავსად, ეშინოდათ მათი. სარმატები არსებობდნენ გოთებთან ერთად ცენტრალურ ევროპაში ჰუნების მიერ დარბევამდე, როდესაც ისინი ჩავარდნენ უნგრეთიდან ჰუნების მმართველობის ქვეშ და გაქრენ ისტორიიდან. ისინი იბრძოდნენ ჰუნებთან ერთად გერმანიისა და რომის წინააღმდეგ. სტრაბონის მიხედვით, სარმატები კავკასიიდან გავრცელდნენ და მათ უწოდებდნენ Caucasii, შეიძლებდა ეს ნიშნავდა ალანებს. ჰეროდოტე ფიზიკურად აღწერს მათ, როგორც ტანადებსა და ქერებს.

ხალხი, რომლებიც სარმატებად არიან ცნობილი, ინდოევროპულ ენაზე ლაპარაკობდნენ ირანულის დომინანტით. ისინი სავარაუდოდ ასევე ირანული წარმოშობის სკითების ნათესავები იყვნენ. უამრავი ირანული პირადი სახელი მიუთითებს, რომ სარმატელები ლაპარაკობდნენ ირანულ დიალექტზე, რომელიც მსგავსია კავკასიურ ოსურ ენასთან.

სარმატულ კოსტიუმში გამოწყობილი პოლონელი თავადი

„სარმატიზმი“ ეწოდებოდა თავადაზნაურობის კულტურასა და ცხოვრებისს წესს პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობაში მე-16 საუკუნიდან. თავადაზნაურობას Szlachta ეცვა გრძელი ბეწვიანი პალტოები (żupany) და მაღალყელიანი ჩექმები, ატარებდნენ ხმლებს (szable), „სარმატიულ“ კოსტიუმს, რითიც ხაზს უსვამდნენ მათ კავშირს ლეგენდარულ შთამომავლებთან, ისტორიულ სარმატებთან. ისინი თავს იპარსავდნენ, ატარებდნენ გრძელ ულვაშს (სარმატელ ლეხ ვალენსას Lech Walensa მსგავსად) და იცვამდნენ გრძელ კარტუზს ხმლით. მოკლედ, ისინი

გამოიყურებოდნენ, როგორც თურქი ან თურქი თათარი. სწორედ ამიტომ 1683 წელს ვენასთან მომხდარ ბრძოლაში, ჯონ სობიესკის John Sobieski პოლონელი ჯარისკაცები მტერს ძალზე ჰგავდნენ და იძულებულნი იყვნენ, ეტარებინათ ქუდზე ჩალის კოკარდი იმ შემთხვევისთვის, რომ მათ ჰაბსბურგელ მოკავშირეებს თურქებში არ არეოდათ.

1978 წელს ს. სკოტ ლიტლეტონმა და ანა ს. ტომასმა C. Scott Littleton and Ann C. Thomas შექმნეს თეორია სარმატელი ხალხისა და მეფე არტურის ლეგენდასთან დაკავშირებით. ალანო-სარმატი იაზიგები Alano-Sarmatian Iazygians იყვნენ სამხრეთ უკრაინის სტეპების მომთაბარეები. მათმა მიგრაციის ტალღამ შავი ზღვიდან უნგრეთის დაბლობამდე ჩვ. წ. მე-2 საუკუნეში მიაღწია. მათი მძიმე ცხენოსანი ჯარი ცნობილი იყო მე-2 საუკუნეში. მარკუს ავრელიუსმა Marcus Aurelius შესთავაზა მათ რომის სამსახური ბრიტანეთის კუნძულზე, რაც მიღებულ იქნა. 175 წელს მან დაიქირავა 8000 სარმატელი და 5500 ახალწვეული გაგზავნილ იქნა ბრიტანეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე. 20-წლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ სარმატები დასახლდნენ ამ კუნძულზე. 2004 წელს გადაღებულ კინო ფილმში ნაჩვენებია „სარმატელი რაინდები“ და მეფე არტური King Arthur.

რუსეთისა და საქართველოს ოსური რეგიონების ირანელი ოსი ხალხი დღემდე საუბრობს ოსურ ენაზე, ერთადერთ შემორჩენილ სარმატულ ენაზე. ოსური ნართების საგები Nart sagas შეიცავს ბევრ პარალელს არტურის ლეგენდასთან. როდესაც დაჭრილი მეომარი ბათროზი Batradz თავის თანამებრძოლს სთხოვს, ხმლის გადაგდებას ზღვაში, მისი მეგობარი ეცდება ორჯერ მოატყუოს ის. ეს შემთხვევა ძალზედ ჰგავს მეფე არტურის ხმლის ესკალიბურის Excalibur შემთხვევას, რომელიც უნდა დაბრუნებულიყო ტბის დედოფალთან მეფის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ მის თანამებრძოლს ენანებოდა ასეთი მშვენიერი ხმლის დაკარგვა და იძლებული იყო მისი პატრონი ორჯერ მოეტყუებინა.

კიმერიელები CIMMERIANS

კიმერილები იყვნენ მომთაბარე ცხენოსნები, რომლებიც, ჰეროდოტეს მიხედვით, დასახლდნენ კავკასიის ჩრდილოეთ რეგიონში და შავ ზღვასთან ძვ. წ. მე-8-7 საუკუნეებში. ძვ. წ. 714 წლის ასურული ჩანაწერებიდან ვიგებთ მათ ყოფნას აზერბაიჯანის რეგიონში. აღწერილია, თუ როგორ ეხმარებოდა კიმერიელი ხალხი სარგონ II-ს ურარტუს დამარცხებაში. ჩ.წ-მდე მე-7 საუკუნეში მათ დაიპყრეს ანატოლიის სამეფოები – ფრიგია, სილიცია, თაბალი და ლიდია. მაგრამ ძალიან მალე (შესაძლოა შავი ჭირის გამო) ძვ. წ. 637-626 წწ-ში კიმერიელების ძლიერება დასრულდა და მათი საბოლოო

ბედი გაურკვეველია. ნავარაუდებია მათი დასახლება კაბადოკიაში Cappadocia, რომელიც ცნობილია სომხურად, როგორც გამირი Gamir.

მათი წარმომავლობა ინდოევროპულია. მათი ენა დაკავშირებული იყო თრაკიისა ან ირანულ ენასთან, და შესაძლოა მათ ჰყავდათ ირანელი მმართველი კლასი, სკვითების მსგავსად. ზოგი მკვლევრის მიხედვით, თრაკიელები შესაძლოა ყოფილიყვნენ კიმერიელების დასავლური შტო.

უამრავ კელტ და გერმანელ ხალხს აქვს ტრადიცია, იყვნენ კიმერიელების ან სკვითების შთამომავალნი Cimmerians or Scythians (e.g. Cymru (i.e. Wales), Cwmry (i.e. Cumbria) or Cimbri). ზოგიერთი უელსელი ავტორის მიხედვით, ამ სახელების ეტიმოლოგია მოდის კელტური „Kom-broges"-დან, რაც ნიშნავს „თანამემამულეს" ან „თანამებრძოლს" „com-rades". ფრანკი სამეფო მემატიანეს მიხედვით, ფრანკი მეროვინგი Merovingian მეფეები თავიანთ წარმოშობას Sicambri-დან თვლიდნენ – „კიმერიელების" ჯგუფი, რომელიც ცხოვრობდა დუნაის მდინარის შესართავთან.

ქართველი წინაპრები მათ უწოდებდნენ „გიმირს" „gymir" და ქართველ ისტორიკოსს მელიქიშვილს მიაჩნდა, რომ ეს სიტყვა გადმოღებული იყო ქართული სიტყვიდან „გმირი".

თრაკიელები THRACIANS

თრაკიელები ეთნიკურად მიეკუთვნებიან ბალკანეთის ნახევარკუნძულის ინდოევროპულ ხალხებს, რომლებიც საუბრობდნენ თრაკიულ (ან დაჩიანურ) Thracian (or Dacian) ენაზე. მსგავსება უძველეს ირანულ ხალხებს შორის (სკვითები, კიმერიელები, სარმატები) მოგვიანებით დამტკიცებულია არქეოლოგიურად და ისტორიულადაც.

შემდეგ ისინი დაიმორჩილა მაკედონიელმა მეფემ ალექსანდრე დიდმა და შემდეგ რომის იმპერიამ და ეს უკანასკნელი გახდა ვლახი Vlach ხალხისა და თანამედროვე რუმინელების ეთნიკური საფუძველი. ზოგმა მეცნიერმა წამოაყენა წინადადება, რომ დღევანდელი ალბანელები შეიძლება იყვნენ თრაკიელების შთამომავალნი, მაგრამ ოფიციალურად ალბანური ისტორიოგრაფია აკავშირებს მათ უძველეს ილირიელებთან Illyrian. მე-6 საუკუნეში მდინარე დანუბეს სამხრეთ ნაწილის თრაკიელი ტომი სლავების შემოსევების შედეგად თავადაც გახდნენ სლავები. ბულგარელ თათრებთან ერთად, ისინი კონსოლიდირებულნი არიან ბულგარელ ერთან მე-8 მე-9 საუკუნეებში. 2005 წლის 19 აგვისტოს ბულგარელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს თრაკიის დედაქალაქი, რომელიც მდებარეობდა ბულგარეთში, ქალაქ კარლოვოსთან ახლოს. ბულგარეთში, დაბენეში Dabene, აღმოჩენილია 15 000 თრაკიული ფულის არტიფაქტი, ათასობით ბეჭდის ჩათვლით.

ინდოეთი INDIA

ინდის დაბლობის Indus Valley (later Harappan) ცივილიზაცია ჩნდება ძვ. წ. 3000 წლიდან, რომელიც ძალზედ მშვიდობიანი იყო და გასტანა ძვ. წ. 1500 წლიდან 1200 წლამდე, როდესაც მომთაბარე არიელებმა დაიწყეს გადასახლება ინდის ველის რეგიონში, შავი და კასპიის ზღვის შუა, ირანის, კაშმირის და პენჯაბის გავლით. არიელები იყვნენ სასტიკი მომთაბარეები, რომელთაც მართავდა რაჯა. ისინი ძირითადად მეცხოველეები იყვნენ, რომლებიც დიდ პატივს სცემდნენ ძროხებს. დღემდე ინდუსებში ძროხების კულტია შემორჩენილი. მეცნიერები არ თანხმდებიან, რომ არიელებმა ადგილობრივები იძულებით დაიპყრეს, უბრალოდ ისინი ერთად ცხოვრობდნენ. არიელებმა შექმნეს ინდოეთის ვედური Vedic კულტურა ძვ. წ. 1500-500 წწ-ში.

ისინი თავს მათ მიერ დაპყრობილ ჰარაპან Harappan ხალხზე უპირატესად მიაჩნევდნენ. ძალზედ უკმაყოფილო იყვნენ ადგილობრივებით და შექმნეს ინდუისტური Hindu კასტური სისტემა, იმ მიზნით, რომ არ შერეულიყვნენ მათთან. ინდოევროპული სიტყვის ფუძე „არ“ „ar“ ნიშნავს „კეთილშობილებას“ ან „წარჩინებულს“, სანსკრიტულად ისინი იყვნენ „არიასები“ („არიან“) „Aryas“ („Aryans“). ფუძე „არ“ ასევე გამოიყენება სხვა ქვეყნების სახელწოდებაში – „ირლანდია“ ან „აირე“, „ირანი“, „იბერია“ „Ireland“ or „Eire“, „Iran“, „Iberia“.

ისინი არ ცხოვრობდნენ ქალაქებში, არ აშენებდნენ ტაძრებს, არ ამუშავებდნენ მიწას, არ ეცვათ ძვირადღირებული ტანსაცმელი. სამაგიეროდ უყვარდათ თამაში, ცეკვა, სიმღერა. ისინი დიდად არ გამოირჩეოდნენ სახვითი ხელოვნების ნიჭით, არ ჰქონდათ დამწერლობა, მაგრამ მათი ინტერესი პოეზიაში შთამბეჭდავი იყო. არ შემორჩენილა არანაირი არიული ჩანაწერი ძვ. წ. 300 წლამდე – ძალზედ დიდი ხნის მანძილზე. ამიტომ არ არის რაიმე ისტორიული ჩანაწერი. ერთადერთი, რაც დარჩა, არის მათი ჰიმნი რიგ-ვედა Rig-veda, დაწერილი სანსკრიტით, ინდოეთის თანამედროვე ჰინდის Hindi ანბანი. საღვთო ვედურმა სანსკრიტულმა ტექსტებმა დააფუძნა ინდუიზმი ძვ. წ. ბოლოს და ჩვ. წ. ადრეულ საუკუნეებში.

ბუდიზმი გაჩნდა, როდესაც 29 წლის სიდჰარტა გაუტამამ Siddhartha Gautama გადაწყვიტა, დაეთმო სიმდიდრე და ცხოვრების ნამდვილი აზრის ძებნა დაეწყო. ძვ. წ. 528 წელს ის დაჯდა ბოდის ხის ქვეშ და შეიცნო „ნირვანა“. ის ცნობილი გახდა, როგორც ბუდა Buddha „გასხივოსნებული“. ბერები დაეხმარნენ მას გაევრცელებინა სწავლება ინდოეთში, ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში ჩვ. წ. მე-4-5 საუკუნეებში.

ძვ. წ. 530-520 წწ., კიროსმა და დარიოს I-მა, სპარსეთის აქამენიდურმა იმპერატორებმა, გადაკვეთეს ჰინდუკუშის მთები, რათა ხარკი მოეძიებინათ აღმოსავლეთ ტომებში და დღევანდლი ავღანეთის, პაკისტანისა და ინდოეთის ხალხები იყვნენ სპარსული აქამენიდური იმპერიის მმართველობაში 2 საუკუნის განმავლობაში მანამდე, სანამ ალექსანდრე დიდმა დაიპყრო სპარსეთი და

ავტომატურად ყველა ეს მიწა მის მორჩილებაში გადავიდა, თუმცა ბერძნული ისტორია გვიყვება მის გმირულ ლაშქრობებზე აზიაში და მის ბოლო შეტევაზე ინდოეთში ძვ. წ. 327 წელს. მისი სიკვდილის შემდეგ ინდოეთს მართავდნენ ადგილობრივი სამეფოები, როგორიც იყო მაურია Maurya (ძვ. წ. 320-200 წწ.) და მოგვიანებით გუპტის Gupta იმპერია[1] (ჩვ. წ. 320-550 წწ.). 720 წელს არაბმა მუსლიმებმა პაკისტანი დაიპყრეს და რამდენიმე სასულთნოდ დაყვეს. მე-12 მე-13 საუკნეებში თურქები და ავღანები შეიჭრნენ ინდოეთში და დააარსეს დელის სასულთნო. ინდო-მუსლიმების შერწყმამ დატოვა სინკრეტული ძეგლები არქიტექტურაში, მუსიკაში, ლიტერატურაში, რელიგიასა და ჩაცმაში. შესაძლებელია, რომ ურდუს ენა Urdu (რაც ნიშნავს თურქულად „ბანაკს“) წარმოიშვა დელის სასულთნოს პერიოდში.

თურქ-მონღოლი დამპყრობელი ცენტრალურ აზიიდან, თემურ ლენგი, თავს დაესხა დელის სასულთნოს 1398 წელს. იგი შეიჭრა დელიში და გაძარცვა ქალაქი, დაანგრია და ნანგრევები დატოვა, მისმა არმიამ ასობით ათასი მოსახლე მოკლა და სამი დღე-ღამის განმავლობაში ძარცვავდნენ ქალაქს. 1526 წელს ბაბურმა, თემურის და ჩინგიზ ყაენის Genghis Khan შთამომავალმა, დააარსეს მუგალის იმპერია Mughal Empire, რომელიც მოიცავდა თანამედროვე ავღანეთს, პაკისტანს, ინდოეთსა და ბანგლადეშს. 1739 წელს ნადირ შაჰმა, ირანის იმპერატორმა, დაამარცხა მუგალის არმია და აიღო და გაძარცვა დელი. თან წაიღო ბევრი ძვირფასეულობა, სამეფო გვირგვინის ჩათვლით. სიკხის იმპერია Sikh Empire დაარსდა 1799 წლიდან 1849 წლამდე. მისი არმია იწვრთნებოდა მაღალ დონეზე, რომ ყოფილიყო ევროპული ძალების მსგავსი, მაგრამ ბრიტანელებმა მალე მოუღეს ბოლო და ბრიტანელები რაჯები Rajas გაბატონდნენ მთელ ინდოეთის ტერიტორიაზე. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოიპოვა ინდოეთმა დამოუკიდებლობა მუსულმანურ-ჰინდუისტური სასტიკი ბრძოლების ფონზე.

ჩინეთი CHINA

პირველი ჩინური სახელმწიფოები გაჩნდა ძვ. წ. 2000 წელს. ძვ. წ. მე-3 საუკუნეში, ცინის Qin (Tsin) დინასტიამ (221-206 წწ.) (საიდანაც მოდის ჩინეთის სახელწოდება) დაიწყო ჩინეთის დიდი კედლის და მთელი არმიის ქანდაკებების მშენებლობა

[1] გუპტელებმა გამოიგონეს არითმეტიკაში ნული „0“, დეციმეტრული სისტემა და არაბული ქვეყნების მეშვეობით ევროპაში გაჩნდა „არაბული“ ციფრები. მათ ასევე გამოიგონეს შაჰმატის თამაში.

(ტერაკოტას არმია Terracotta army). თუმცა ჩინეთის დიდი კედელი ახლანდელი მასიური ქვის ბაქანი, ძირითადად მე-16 საუკუნის შემოქმედებაა. და ზუსტად მისი ძირითადი ნაწილის აგების შემდეგ მონღოლების ტალღამ გადაინაცვლა სამხრეთიდან დასავლეთისკენ.

ფილოსოფოსი კონფუცი Confucius ცხოვრობდა ძვ. წ. 551-479 წწ-ში. ჩინელებმა აღმოაჩინეს ქაღალდი ჩვ. წ. 105 წელს, ასევე ჩინური ფაიფური, ჩაი და აბრეშუმი. გაიხსნა „აბრეშუმის გზა“ Silk Road, რომლითაც მხოლოდ დასავლეთის ხალხი – ქრისტიანები და მუსლიმები მგზავრობდნენ (ჩინელი ვაჭრებისათვის დასავლეთში არ არსებობდა რაიმე ღირებული ან საჭირო). მათ აღმოაჩინეს ქაღალდი და თოფისწამალი (თუმცა ისინი მას მხოლოდ ფეირვერკებისათვის იყენებდნენ), რაც ევროპაში გავრცელდა თურქებისა და არაბების მეშვეობით.

უეცრად უზარმაზარი სიმდიდრის იმპერიამ არჩია იზოლაცია, რამაც ყველა მიღწევა დააკნინა. ჩინეთის საზღვაო ძალის გაზრდა შეაჩერა მინგის Ming დინასტიის აკრძალვამ ოკეანეს გაღმა ვაჭრობაზე. ყველა კავშირი შეწყდა მე-19 საუკუნამდე.

იაპონია JAPAN

იაპონიის ისტორია დაიწყო ძვ. წ. მე-6 საუკუნეში, როდესაც Ainu აბორიგენებთან ბრძოლაში პირველი ხალხი ჩამოვიდა კუსუდან Kusu ჰონსიში Honsy. ბუდიზმი იაპონიაში შემოვიდა კორეადან მე-5 საუკუნეში. მათ დაიწყეს აბრეშუმის წარმოება ექსპორტისთვის. 1639 წელს საზღვარგარეთ მოგზაურობა იაპონიაში აიკრძალა (ჩინეთის მსგავსად) და იზოლაციის მსგავსი პოლიტიკა ჩამოყალიბდა. მაგრამ ჩინეთის ჩამორჩენის შემხედვარე, იაპონელები პირველები დაადგნენ მოდერნიზაციის გზას.

ამერიკა AMERICA

ინკების მაჩუპიჩუ

სამხრეთ ამერიკის უძველეს ცივილიზაციას ძვ. წ. 3000-1600 წწ-ში წარმოადგენდა რამდენიმე დასახლება პერუს სანაპიროზე. ამ ადგილას არსებული ქვის პირამიდები მიიჩნევა, რომ გიზას პირამიდის დროისაა. ოლმეკის Olmec ცივილიზაცია სათავეს იღებს ძვ. წ. 1200 წელს და მთავრდება ძვ. წ. 400 წელს. სიმინდის გაშენება მიიჩნევა მათ ყველაზე დიდ მიღწევად. მაიას, აცტეკის და ინკას Mayan, Aztec and Inca ცივილიზაციების ქალაქების აშენება დაიწყო დაახლოებით ძვ. წ. 600 წელს.

უძველესმა ამერიკელებმა არაფერი იცოდნენ ბორბალზე, ეტლის ბორბალზე, მოშინაურებულ ძაღლებზე და ცხენებზე, რკინასა და ლითონზე, არ აშინაურებდნენ ცხოველებს (გარდა ინდაურისა და ლამასი), მაგრამ მაღალ დონეზე ჰქონდათ მიწათმოქმედება, ისეთი როგორიცაა სიმინდი, ლობიო და სხვა მცენარეები, რომელიც არ არსებობდა ველურ ბუნებაში. ინდიელებმა ევროპაში შეიტანეს სიფილისი, თამბაქო, კოკაინი, კარტოფილი, პომიდორი და ევროპელებისგან მიიღეს ქოლერა, ნატურალური ოსპა და ალკოჰოლი.

მესოპოტამიის კულტურასთან მათ კავშირს სისტემატურად სწავლობენ და უამრავი პუბლიკაციებია ამის შესახებ. არქეოლოგიური არტეფაქტები მოწმობს, რომ ოლმეკის დინასტია დააარსა თეთრკანიანმა ხალხმა წვერებით (ამერიკელი ხალხი არასდროს ატარებდა წვერს), ასევე აფრიკელებმა (სახასიათო მოკლე ცხვირი), ვინც იცოდა სპილოები, ბორბალიც კი, მაგრამ გადაადგილებისთვის არასდროს იყენებდნენ.

ქალაქები ამერიკასა და შუმერში ერთნაირი წყობის იყო, რომელიც ააგო „უცხოელმა“ მმართველმა ხალხმა, რომლებიც მოვიდნენ ოკეანიდან და უკან გაბრუნდნენ – თეთრები, მაღლები, ლურჯთვალება. ინკები საუბრობდნენ „საიდუმლო“ უცნობ ენაზე. მაიას ჰყავდა თეთრი ღმერთი იბერიელების მსგავსი სახელებით: იძამნა, თოში, *Idzamna, Toshi* და სხვა. მსგავსი თოკის ხიდები არის კავკასიაში, ბასკებისა და ინკების მიწაზე.

იტალიელმა მარიო გატონიჩელმა *Mario Gatonicheli* აღმოაჩინა ასობით საერთო სიტყვა ინდიელებისა *(Guinean Akarauos)* და ეტრუსკულ ენებში. ესპანელმა ვინსენტ ფიდელ ლოპესმა *Vincent Fidel Lopez* აღმოაჩნა ათასობით იბერიული ფუძის მქონე ინკების *(Kechua)* და სანსკრიტის სიტყვა:

კეჩუა სანსკრიტი ქართული

ნანა *nana-* და ნანდა *nanda* ნანდაური

ლაპი *lapi-* სიმღერა ლაპ *lap-* ლაპარაკი ლაპარაკი

სორო *soro-* ალკოჰოლის დალევა სურო *suro* – დალევა სურო – სასმელის დასალევი ჭიქა

მაიას, ინკას თვლის სისტემა ეფუძნებოდა 20-ს, როგორც ქართველებში და ბასკებში (და ფრანგებში) და იწყება ნულიდან, იბერიელების მსგავსად.

ფუძე „არგ *arg*“ ჰგავს ქართულს – არგვეთი, ეგრისი, სამეგრელო, არგო *Argueti, Egrisi, Margali, Argo*. მდინარე რიონი *Rioni*, ევროპაში – რიონა (რონა) *Riona (Rona)*, რიო *Rio* ამერიკის მდინარე – რიო-გრანდე *Rio-Grande დიდი მდინარე*. მდინარე არაგვი *Aragvi* არის საქართველოში და ბასკების ქვეყანაში – არაგონი *Aragon*, ჩეჩნეთში, არგუნი *Argun*. ბრაზილიაში – არაგვაია და არა-გუარი *Araguaia and Araguari*, სახელმწიფოები ურუგვაი და პარაგვაი *Uruguay and Paraguay*.

დაკარგული ცივილიზაციები

არის რამდენიმე ამოუცნობი ფაქტი უძველესი ისტორიკოსების მიერ აღწერილი და ასევე ლეგენდები, მაგრამ დღემდე არ არის აღმოჩენილი: ატლანტისი (ატლანტიდა), ჰიპერბორეა, ტულე (შესაძლოა კუნძული), შანგრი-ლა (შამბალა), ლემურია, ცოდვიანი სოდომი და გომორი, ედემის ბაღი გენეზიდან, მოუხელთებელი ელ დორადო და სხვა Atlantis (Atlantida), Hyperborea, Thule (possibly Island), Shangri-La (Shambala), Lemuria, sinful Sodom and Gomorrah, Garden of Eden in Genesis, elusive El Dorado.

პირველად ატლანტიდა აღწერა პლატონმა, მაგრამ არ არსებობს რაიმე სამეცნიერო მტკიცებულება. ქართველი ავტორების მიხედვით, შავი ზღვის ფსკერზე დიდი საიდუმლოება იმალება, რომელიც ჩაიძირა და დაფარულია გოგორდით 200 მეტრის სიღრმეზე.

ბერძნულ მითოლოგიაში, ჰიპერბორელები იყვნენ მითიური ხალხი, რომლებიც შორეულ ჩრდილოეთში ცხოვრობდნენ, „ბორეას (ჩრ. ქარი) უკან“. ბერძნებს სჯეროდათ, რომ ჩრდილოეთის ქვეყნები ძალზედ ცივი იყო ბორეას ცივი ჩრდილოეთის ქარის გამო. ბერძნები ამტკიცებდნენ ამას ქარვაში ნაპოვნი მწერებით, თუმცა ეს მწერები ცხოვრობდნენ მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ ევროპის კლიმატი თბილი იყო.

ჰიპერბორელებს შეეძლოთ ფრენა, წყალზე სიარული, ცეცხლში გავლა, სულებთან დაკავშირება. ისინი არ აგებდნენ სახლებს. ბერძნებმა ბევრი რამ ისწავლეს ჰიპერბორეასგან – მუსიკა, პოეზია, ბუნების ცოდნა, არქიტექტურა და სხვა. ბერძნები მღეროდნენ სიმღერებს, მხოლოდ სიტყვებით, მუსიკისა და ინსტრუმენტების გარეშე. არგონავტებს შორის იყო ორი ჰიპერბორიელი – ძეთესი და კალაისი Dzetes and Calais. ჰერაკლემ სწორედ ჰიპერბორაედან მოიტანა ზეთისხილი ოლიმპის მთაზე. ეგვიპტის ფარაონების პირველი დინასტია იყო ჰიპერბორიელი წარმოშობით. გერმანული ღვთაება ოდინი Odin, არიანული ტომის მმართველი, იყო ჰიპერბორელი.

ტულესთან Thule ერთად, ჰიპერბორეა იყო ბერძნებსა და რომაელებს შორის terrae incognitae, სადაც პლინიუსი და ჰეროდოტე Pliny and Herodotus, ისევე, როგორც ვერგილიუსი და ციცერონი, იუწყებოდნენ, რომ ადამიანები ცოცხლობდნენ ათასი წელი და ძალზედ ბედნიერად გრძნობდნენ თავს. ჰიპერბორელები ცნობილნი იყვნენ ეზოთერული აზროვნებით. ელენე ბლავაცკაია, რენე გუენონი და იულიუს ევოლა Helen Blavatsky, Rene Guenon and Julius Evola, ყველა იზიარებდა ჰიპერბორიანების რწმენას, რომ კაცობრიობა არ იყო წარმოშობილი მაიმუნისგან.

არქეოლოგები არ იზიარებენ დაკარგული ცივილიზაციის შესახებ მოსაზრებას, რადგან მიუხედავად ასწლიანი გათხრებისა, რაიმე საინტერესო აღმოჩენა დაკარგული ცივილიზაციების შესახებ არ აღმოჩენილა. შესაძლებელია, ამ ქალაქების აღმოჩენა ძნელია, მაგრამ უკვე ცნობილი უძველესი ქალაქების გათხრის დროს უნდა აღმოჩენილიყო დაკარგული ქვეყნებიდან წარმოშობილი თუნდაც ერთი რაიმე უჩეულო საგანი.

ბიბლიური ერების ეთნოგენეზი (ჩვ. წ. პერიოდი)

ჩვენ ყველა სკოლებში ვსწავლობდით ბოტანიკას მცენარეების შესახებ და ზოოლოგიას ცხოველების შესახებ, მაგრამ არასდროს გვისწავლია, რომ ერების აღმოცენება, განვითარება და გაქრობა თავისი გამანსხვავებელი ანთროპოლოგიური, ლინგვისტური, ფსიქოლოგიური მახასიათებლებით აგრეთვე კანონზომიერად მიმდინარეობს და მისი განვითარება, დანარჩენი სხვა ცოცხალი ობიექტების მსგავსად, იმავე ზეგავლენის ქვეშ ხდება.

არავინ იცის, თუ როგორ გაჩნდნენ დედამიწაზე პირველად ჰომო საპიენსები. მაგრამ მოულოდნელად ისინი გახდნენ საკმაოდ ჭკვიანები, რომ შეექმნათ ინსტრუმენტები, სახლები, ტანსაცმელი, სხვ. და ეს მოხდა ძვ. წ. 10 000 წლის წინ, როდესაც ნაკლებად თუ მეტად თანამედროვე კაცი გაჩნდა, როგორც არა ცხოველისმსგავსი, არამედ უმაღლესი არსება. ადამიანები გახდნენ უფრო სოციალურები და პროდუქტიულები იმ დონეზე, რომ ჰყოლოდათ ტომის წევრები, რომლებიც არ მუშაობდნენ მიწაზე, არ ნადირობდნენ, არ აკეთებდნენ რაიმე სხვა სახის იმწუთიერ საქმეს, არამედ მხოლოდ უნდა დაეხატათ, ეცეკვათ და ეფიქრათ და ამისთვის საკვებით უზრუნველყოფდნენ. ზუსტად ამ ადამიანების შედეგებს ვპოულობთ ათასწლების შემდეგ: ნახატებს, ინსტრუმენტებს, იარაღებს, მოგვიანებით შენობებს და ქალაქებსაც კი. სხვა დანარჩენი „სასიცოცხლო“ მოქმედება (ნადირობისა ან საჭმლის მომზადების მსგავსი) კვალს არ ტოვებდა, რადგან მაშინვე მოიხმარებოდა და არ იქმნებოდა სხვის დასანახად.

თუ რა მოხდა მაშინ, დანამდვილებით არავის შეუძლია თქმა, მაგრამ რაღაც მოხდა გამყინვარების პერიოდის დასასრულის მსგავსი, გლობალური დათბობა, დიდი წყალდიდობა და ნოემ Noah დაიწყო სიცოცხლის გავრცელება არარატის Ararat მთიდან. ეს მოხდა შავი, კასპიის, ხმელთაშუა და წითელ ზღვებს შორის ტერიტორიაზე. შინარის Shinar რეგიონი (მესოპოტამია), ადგილი სადაც მდებარეობდა ბაბილონი და ური და სადაც შენდებოდა ბაბილონის გოდოლი, ტრადიციულად, მიჩნეულია ებრაელების, ქრისტიანებისა და ისლამური მოაზროვნეების მიერ, როგორც ცივილიზაციის აკვანი cradle of civilization.

ეთნოგენეზი ბიბლიაში

ბიბლიის მიხედვით, მთელი კაცობრიობა მოდის ნოესგან, რომელიც არის ადამის Adam მე-9 თაობის შთამომავალი, ევასთან Eva ერთად ედემიდან Eden გამოძევების შემდეგ, მისი სამი ვაჟის ჩათვლით: სემი, ქამი და იაფეტი Shem

Shem, Ham and Japheth.

(Sem), Ham, and Japheth (გენეზი 5:32). იაფეტის ტომები ღვთისგან დალოცვილნი იყვნენ, უძველესი სემიტები იყვნენ მათი ძმები, მაგრამ ქამიტები დაწყევლილნი იყვნენ ღვთისგან. გენეზისში (Genesis 10) იაფეტი გაიგივებული იყო ევროპასთან, სემი აზიასთან და ქამი აფრიკასთან.

ერთხელ ნოე ვენახში დათვრა ღვინით და ქამმა იგი შიშველი იპოვა. როდესაც ნოემ გაიღვიძა და გამოფხიზლდა, მან დაწყევლა იგი (9:24): „წყეულიმც იყავ ქანაან Canaan [ქამის ვაჟი]; მსახურთა მსახური იყავ“ (9:25-26), რაც მოგვიანებით გამოიყენებოდა მონების ვაჭრობის გასამართლებლად. ეს უცნაური წყევლა, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა არა ქამს, არამედ მის ვაჟს ქანაანს. რატომ იყო ებრაელებისთვის აღთქმული მისი მიწა, და რატომ არის ის განსაკუთრებული (სანამ ის გახდებოდა სამი რელიგიის წმინდა მიწა) დამაკმაყოფილებელი ახსნა არავის მოცია.

ნოეს ვაჟები და შვილიშვილები გენეზის 10-ში:

იაფეტის ვაჟები – გომერი*მაგოგი*მადაი*იავანი*თუბალი*მეშექი*თირასი

სემის ვაჟები – ელამი*აშური*არამი*ლუდი*არპაქშადი

ქამის ვაჟები – ქუში*მიცრაიმი*ფუტი*ქანაანი

Sons of Japheth – Gomer • Magog • Madai • Javan • Tubal • Meshekh • Tiras

Sons of Shem – Elam • Ashur • Aram • Lud • Arpachshad

Sons of Ham – Cush • Mizraim • Phut • Canaan

იაფეტის Japheth (Iafet) ვაჟები:

- გომერი Gomer, უფროსი ვაჟი – რამდენიმე ერი იჩემებს გომერის შთამომავლობას (იხილავთ სხვა თავებში). თოგარმა (თარგამოსი) Togarmah (*Thargamos*) იყო გომერის მესამე ვაჟი (გენ. X.3 და ეზეკიელში 27:14). ტრადიციულად, ქართველების, სომხების და სხვა კავკასიელების მიხედვით, ისინი არიან თოგარმას შთამომავლები:

„ებრაელებისათვის ცნობილი მსოფლიო“, ისტორიული რუკა, ბიბლიური გეოგრაფიის ატლასი, რომელშიც კოლემანი Coleman (1854 წ.) მესეხს Mesech ადგილს უჩენს გოგთან და მაგოგთან Gog and Magog ერთად სამხრეთ კავკასიაში.

„ქართლის ცხოვრების“
ვახტანგისეული გამოცემა, 1770 წ.

1. ქართლოსი Kartlos – ქართველი ერის ლეგენდარული წინაპარი;
2. ჰაოსი – ჰაიკი – ჰაიაქი Hayos – Haik- Hayq – სომეხი ერის ლეგენდარული წინაპარი;
3. ბარდოსი Bardos
4. მოვაკოსი (მოვკანსი) Movakos (Movkans)
5. ლეკოს (ლეკი) Lekos (Lek)
6. ჰეროსი (ჰერანსი) Heros (Herans)
7. კავკასოსი (კოვკასესი) Kavkasos (Kovkases)
8. ეგროსი (ეგერსი) Egros (Egers).

ქართლოსს ჰყავდა რამდენიმე ვაჟი: მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი, გაქიოსი, უფლოსი, ოძრხოსი, ჯავახოსი Mzkhetos, Gardabos, Kakhos, Kukhos, Gachios, Uphlos, Odzrkhos, Javakhos, რომლებიც გახდნენ საქართველოს რეგიონების ეპონიმები. ეს ამბავი მოთხრობილია შუა საუკუნეების ქართულ ქრონიკებში „ქართლის ცხოვრება“ „Kartlis Tskhovreba“, სადაც გადმოცემულია ზეპირი ტრადიციები ლეონტი მროველის მიერ მე-11 საუკუნეში.

ეზეკიელში Ezekiel აღწერილია, რომ გოგი-მაგოგი Gog-Magog მართავდა მეშეკს და თუბალს, პროტოქართულ სამეფოებს. შესაძლოა ჩვ. წ. დასაწყიში ეს სახელმწიფოები დაიპყრო გოგ-მაგოგმა. უცნაურია, თუ რატომ იყო ეზეკიელი ასეთი მკაცრი გოგ-მაგოგის, შორეული ჩრდილოეთის ტომის მიმართ, რომ ის პირდებოდა მათ დარბევასა და დასაფლავებას ისრაელის მიწაზე (!?). საოცარია, რომ, იმავე დროს, ძალზედ ცნობილი ურარტუ საერთოდ არ არის ნახსენები ეზეკიელში.

- მადაი Madai – ირანის მედესი, არამეების Arameans წინაპრები.
- იავანი Javan – ეს სახელი დაკავშირებულია ეგეოსის ქვეყნის იონიასთან Ionia.
- თუბალი Tubal – დაკავშირებულია თაბალთან Tabali, ანატოლიის ტომი, კავკასიისა და იბერიის ნახევარკუნძულის იბერიელები, ასევე ილირიანები და იტალიკები Illyrians and Italics.

ბევრი ავტორი თუბალის სახელს უკავშირებს იბერს. რომაელი ებრაელი ავტორი იოსეფუსი Josephus (ჩვ. წ. 1 საუკუნე) წერდა, რომ: „თობალებმა Tobal

წარმოშვეს თობელები Thobeles, რომელთაც ახლა უწოდებენ იბერებს Iberes“. უელსელი ისტორიკოსი ნენიუსი Nennius დასძენს, თუბალი იყო იბერიელების, „იტალიელების“ და „ესპანელების“ წინაპარი (რომელთაც ასევე იბერიელებს უწოდებდნენ). ასევე ნათქვამია, რომ თუბალი შესაძლოა იყოს პორტუგალიის ქალაქის სეთუბალის Setubal დამფუძნებელი.

ბასკელმა ინტელექტუალებმა, როგორიცაა პოზა Poza (მე-16 საუკუნე), დაასახელეს თუბალი Tubal, როგორც ბასკების წინაპარი, და შესაბამისად, იბერიელების. ფრანგი ბასკი ავტორი აუგუსტინ ჩაჰო Augustin Chaho (მე-19 საუკუნე) „აიტორის ლეგენდაში“ „The Legend of Aitor“ ამტკიცებს, რომ ბასკების საერთო პატრიარქი იყო აიტორი, თუბალის შთამომავალი.

ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა თაბალი, თუბალი, ჯაბალი და ჯუბალი უძველეს ქართული ტომებად Tabal, Tubal, Jabal and Jubal. კავკასიასთან და ანატოლიასთან დაკავშირებული ტომები: თაბალი (ბერძნულად თიბარენოი), ჩალიბები (ხალიბი/ხალდი) და მოსინოესი (მეშეხი) Tabali (Tibarenoi), Chalybs (Khalib/Khaldi) and Mossynoeci (Meshekh), ანტიკურ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულნი არიან, როგორც მეტალურგიის დამფუძნებლები.

- მეშეხი Meshekh – მიჩნეულია, ანატოლიის მუშკი, ფრიგიული Mushki Phrygian ტომის ეპონიმად, ვინც, თაბალის მსგავსად, წვლილი შეიტანა ხეთების დამარცხებაში ძვ. წ. 1200 წელს. მუშკები Mushki მიჩნეულნი არიან ქართველების წინაპრად, მაგრამ ასევე დაკავშირებულნი იყვნენ ზღვის ხალხებთან, რომლებმაც გადალახეს შავი და ხმელთაშუა ზღვა და შური იძიეს დანგრეულ ტროას Troy გამო.
- ტირასი Tiras- ეს სახელი ძირითადად დაკავშირებულია ზღვის ხალხებთან, როგორიცაა ტურშა და ტირსენოი Tursha and Tyrsenoi, და უძველეს ქალაქ ტროასთან. შესაძლოა ამ ხალხმა ტროას Troy დაცემის შემდეგ ეტრუსკულ და რომაულ ცივილიზაციებს დაუდეს სათავე.

სემის (შემ) Sem (Shem) ვაჟები:

- ელამი Elam – იხილეთ სხვა თავებში.
- აშური Asshur – ასურელები თავს თვლიდნენ აშურის შთამომავლებლად. ასურეთის ღვთაებას ეძახდნენ – ნანას, რომელიც საქართველოში ქალის სახელია და მეგრულად ნიშნავს „დედას“. ასურეთის სიმბოლო არის ლომის შვილი, რაც ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთში და გამოსახული მონეტებზე.
- არამი Aram – არამეელები Arameans ცნობილნი იყვნენ ადრეულ ხანებში, როგორც ხურიტების Hurrians შთამომავლები, იბერიელებთან დაკავშირებული ტომის, და ცხოვრობდნენ მესოპოტამიაში. ბიბლია ძირითადად დაწერილი იყო არამეულ ენაზე და ებრაელები საუბრობდნენ იმავე ენაზე იმ დროს. აბრაამი შუმერულ ენაზე ლაპარაკობდა, ქანაანში მისმა შთამომავლობამ დაიწყო

ძველ ებრაულად (ქანაანურად) საუბარი, ბაბილონის ტყვეობის შემდეგ კი არამეულად ძვ. წ. მე-6 საუკუნიდან. ითვლება, რომ იესო არამეულად საუბრობდა. ბიბლიურ დროში ეს საერთაშორისო ენა იყო. საქართველოშიც ფართოდ იყო გავრცელებული და ჩვენ გვაქვს არმაზის ორენოვანი ტექსტი ქვაზე Armazi.

- ლუდი Lud – ეს სახელი უკავშირდება ლიდიელებს ან ადრეულ აღმოსავლეთ ანატოლიის ლუვიანებს Lydians or Luwians. ისინი დაკავშირებულნი არიან თანამედროვე კავკასიელ ლაზებთან, მეგრელებთან (კოლხა, დიაოხი).
- არფაქშადი Arpachshad – სემიტური ჯგუფის ენების მატარებელი ებრაელებისა და არაბების წინაპარი. ებერი, აბრაამი, ისააკი, იაკობი, იუდა, დავითი იყვნენ მისი შთამომავლები. ებერი Eber ერთადერთი იყო, რომელმაც არ მიიღო მონაწილეობა ბაბილონის გოდოლის მშენებლობაში და მისი ენა გადარჩა. ებერის შთამომავლები, ისტორიულად, საუბრობდნენ რამდენიმე ენაზე, მაგრამ არასდროს დაუკარგავთ ეთნიკური იდენტობა, რადგან ის მათ ენამდე არსებობდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავები იყო ის, რომ ებერის შთამომავლობა (და კავკასიელები) ცხოვრობდნენ ოჯახური სიტემით და არა კოლექტიურად.

ქამის (ჩამ) Ham (Cham) ვაჟები:

- ქუში Cush – ქუშის Kush იმპერია, ეგვიპტის სამხრეთი ნაწილი, ცნობილია ძვ. წ. 2 000 წლიდან, მაგრამ ეს სახელი დაკავშირებული იყო კასიტებთანაც Kassites, რომლებიც დასახლდნენ მესოპოტამიასა და ჰინდუ კუშში Hindu Kush.
- მიზრაიმი Mizraim – მიზრაიმი ეგვიპტის სახელია. თანამედროვე ეგვიპტელები თავიანთ ქვეყანას უწოდებენ მისრს Misr.
- ფუტი Phut – მას აიგივებენ ლიბიელებთან და ფინიკიელებთან.
- ქანაანი Canaan – ხალხი, რომელიც დასახლდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე, რასაც დღეს ისრაელს უწოდებენ.
- ფილისტინელები Philistinians – ეს ტომი კრეტადან გადავიდა პალესტინაში ძვ. წ. მე-18-17 საუკუნეებში. ალბათ ერთ-ერთი „ზღვის ხალხებიდან“. ფილისტინელი გოლიათი დაამარცხა დავითმა შურდულით. დღეს წარმოადგენს პალესტინას.

სიდონელები, ლიბიელები, ეთიოპიელები, ნუმიდიელები და სხვა შავკანიანი ხალხები არიან ქამიტები.

ბიბლია დასძენს – „ღმერთი განადიდებს იაფეტს“ (გენეზი 9:27). იაფეტი, ტრადიციულად, ევროპელთა წინაპარია და ითვლება კავკასიელების სინონიმად, რადგან იაფეტის მოდგმა მისი რასობრივი მახასიათებლებით განვითარდა კავკასიაში, სადაც მთა არარატი მდებარეობს. ლინგვისტები ძმები გრიმები, უილიამ ჯონსი, რასმუს ს. რასკი და სხვები იაფეტურს

უწოდებდნენ აგრეთვე ინდოევროპული ენების ჯგუფს, იმ ვარაუდით, რომ როგორც იაფეტის შთამომავლობა, ევროპის ძირითად ენებსაც საერთო წარმოშობა ექნებოდა. შემდგომ დადგინდა, რომ არსებობს გამონაკლისი – ფინო-უიგურული, ბასკური და კავკასიური ენები (აგრეთვე ძველი პონტის და ხათური ენები). საბჭოთა ლინგვისტმა ნიკო მარმა Nikolai Marr, თავის იაფეტურ თეორიაში გამოთქვა აზრი, რომ სწორედ კავკასიურ ენებში ჩამოყალიბდა პრეინდოევროპული ენების ჯგუფი, რომელიც აყვავდა ინდოევროპულის ევროპაში გავრცელებამდე.

ზოგ ქართველ მეცნიერს მიაჩნია, რომ იბერიელებს Iberians და ებერის შთამომავლებს Eberians არ მიუღიათ მონაწილეობა ბაბილონის გოდოლის Tower of Babylon მშენებლობაში. სწორედ ამიტომ მიიღეს მათ კავკასიაში მიწა, სადაც ნოეს კიდობანი Noah's Ark მიადგა და დაიწყო დასახლება დედამიწაზე, ებერის შთამომავლობა დასახლდა მესოპოტამიაში. დანარჩენი ხალხები – ქამიტები გაიფანტნენ აფრიკასა და აზიაში, იაფეთელები – ცივ ევროპაში.

საოჯახო სისტემა იყო უნიკალური ქალდეველთა მექანიზმი, რაც დამახასიათებელი იყო იბერიელებისთვის და ებერიალებისათვის, რაც შესაძლებლობას იძლეოდა ეგზოგამური და ენდოგამური ურთიერთობები არსებულიყო ტომის ფარგლებში, რაც სამედიცინო სამეცნიერო საფუძველს აძლევდა მათ არსებობას და თავიდან ააცილებდა ახლონათესაურ შეჯვარებას. გვარეულობის, მამიშვილობის და მეუღლეობის ინსტიტუტები არა მარტო თავადებში იყო, არამედ ხალხში, და ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე.

ნიშანდობლივია, რომ სემისა და იაფეტის შთამომავლებს შორის მხოლოდ იბერო-კავკასიელებმა შეინარჩუნეს თავიანთი ენა და მიწა დღემდე. ნოეს სხვა ვაჟები გაუჩინარდნენ ან გაიფანტნენ მსოფლიოში. მხოლოდ ებრაელებმა შეძლეს ალიაში გადარჩენა. ამიტომ ეზოთერიკულად ებრაელებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო თავიანთ მიწაზე დასახლება, რათა გადარჩენილიყვნენ, როგორც ერი და ოჯახური ღირებულებებისთვის უნდა მიენიჭებინათ მნიშვნელოვანი როლი. ოჯახური სისტემა უცხო იყო ინდოევროპელებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ საერთო სახლებში საერთო ქალებით და, შესაბამისად, საერთო შვილებით. მათ არ ჰქონდათ გვარები. თურქებმა გვარები მიიღეს 1935 წელს, ათათურქის რეფორმის შემდეგ, ნებისმიერი გვარის შერჩევით. პეტერბურგში ცნობილ კუნსტ-კამერაში წარმოდგენილი სიმახინჯეები გავრცელებული ახლონათესაური შეჯვარების შედეგად. რუსეთის ყველა სოფელში და მეფის კარზე გავრცელებული შუტების არსებობაც ახლონათესაური შეჯვარების ნიადაგზე გადაგვარების ნიშანი იყო. სხვა განსხვავება ის იყო, რომ იბერიელები ყველა პრობლემას აგვარებდნენ ხმათა უმეტესობით და არა ყვირილითა და ხმაურით, როგორც ვარანგიანებთან და რუსებთან, ან ცენზის მიხედვით, როგორც საბერძნეთში. კავკასიაში ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანი იყო.

გოგი და მაგოგი GOG AND MAGOG

გოგი და მაგოგი ბიბლიაში მოხსენიებულნი არიან, როგორც იაფეტის Japheth შვილები, „მეშეხისა და თუბალის Meshekh and Tubal „უფლისწული“, ასევე ეზეკიელის გენეზისის Genesis, Ezekiel წიგნში (38:2-3) და გამოცხადებაში (20:7-8:7). ისინი განსხვავებულად არიან წარმოდგენილნი, როგორც კაცები, ზებუნებრივი არსებები (გოლიათები ან დემონები), ეროვნული ჯგუფები ან მიწები.

ეზეკიელი (38 და 39) ამბობს, რომ გოგი დამარცხდება. წერია, რომ გოგი ცხოვრობდა ისრაელის ჩრდილოეთით. გოგი და მისი მოკავშირეები უნდა დასხმოდნენ თავს „უკედლო სოფლებს“, რათა შეეგროვებინათ ნადავლი, მაგრამ ისრაელში დამარცხდებიან (ეზეკიელი 39:15-17). და მას შემდეგ, რაც ათასი წლები გაივლის, ნათქვამია გამოცხადებაში, სატანა საპყრობილედან გაქრებოდა და გარეთ იხეტიალებდა, რათა მოეტყუებინა ადამიანები, რომლებიც დედამიწაზე არიან, გოგს და მაგოგს ისინი ერთად ბრძოლაში უნდა შეეკრიბა: მათი რიცხვი იმდენი იქნება, როგორც „ზღვის სილა“. გოგმა ამ ხედვით, წარმოადგინა ერების აპოკალიფსული კოალიცია, რომლებიც ისრაელის წინააღმდეგ იყვნენ მომართულნი. იოსებ ფლავიუსი მას სკითებს Scythians უკავშირებს, ზოგი თანამედროვე ავტორი მათ რუსეთს უკავშირებს.

გოთი მწერალი იორდანე Jordanes ისტორიაში „გოთების წარმოშობა და გმირობა“ 551 წლიდან, გოგს ამსგავსებს გოთებს. სევილიელი წმინდა ისიდორე, უმაღლესი ავტორიტეტი გოთების ისტორიაში, აგრეთვე წერდა, რომ გოთები გოგისა და მაგოგის შთამომავლები არიან. ჩვ. წ. 387 წელს წმინდა ამბროსიმ, მილანელმა მღვდელმა, გოთები გააიგივა ეზეკიელ გოგთან. კელტების ლეგენდები ამბობენ, თითქოს ისინი მაგოგის შთამომავლები არიან. ირლანდიელების მითოლოგიის კრებულში ლებორ გაბალა ერენისში Lebor Gabála Érenn (შემოსევების წიგნი Book of Invasions) გენეზისის მაგოგი ითვლება იაფეტის შვილად და მიიჩნია ირლანდიელებისა და მილესიანების წინაპრად. ირლანდიელი კელტები ამტკიცებენ, რომ არიან მაგოგის შთამომავლები, როცა უელსელი კელტები ამტკიცებდნენ, თითქოს გომერის Gomer შთამომავლები იყვნენ. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი Flavius Josephus წერდა, რომ მის თანამედროვე გალებს Gauls (ჩვ. წ. 93 წ.) მანამდე გომერიტს Gomerites ეძახდნენ. გომერიტების ნაწილი მიგრაციაში უფრო შორს წავიდა, რასაც ახლა უელსს Wales უწოდებენ. ისინი კელტურ ენას გომერაეგს Gomeraeg ეძახიან. ასე რომ, დღევანდელი კელტები არიან მაგოგისა და გომერის ტომების შთამომავალნი.

ქალაქ ლონდონის ლორდ მაიორის მიხედვით, გოლიათები გოგი და მაგოგი არიან ტრადიციულად ქალაქის მცველები და მათი გამოსახულებები ლორდ მაიორის თავზე მეფე ჰენრი V-ს დროიდან არსებობს.

სტრაბონი, პირველი საუკუნის ისტორიკოსი, თავის 17-ხმიან ნაშრომში „გეოგრაფიკა“ Geographica, რომელმაც წარმოადგინა ხალხებისა და ადგილების აღწერილობითი ისტორია, აღნიშნავს „გოგარენეს“, როგორც საქართველოს იბერიის რეგიონს. ჩვ. წ. მე-6 საუკუნეში ბიზანტიელი გეოგრაფი სტეფანუსი Stephanus ახსენებდა სომხეთის ძველ რეგიონებს, როგორც გოგარენეს ან გოუგარქს Gogarene or Gougarq. დღესაც არსებობს უძველესი სომხური რეგიონი გუგარკი Gugark, ისტორიული რეგიონი სომხეთში. ზოგი ავტორი თვლის, რომ საქართველოს სახელწოდებაც Georgia გოგარენესგან მოდის და დღეს თურქულად საქართველოს გურჯისტანს Gurgistan უწოდებენ. საქართველოში გავრცელებულია სახელი „გოგი“. კავკასიის მთების მწვერვალისა და მიწის მიდამოების სახელწოდებაში ასევე ხშირია „გოგ“.

გოგი და მაგოგი ასევე აღნიშნულია ყურანში 18:83-98, სადაც წერია, რომ ისინი გაუჩერებლად ესხმოდნენ თავს სამხრეთის ხალხებს, და იყვნენ ბოროტი ტომები მავნე ბუნებით, „სამყაროში ყველაზე დიდი კორუფცია აქ სუფევდა“. ორ მთას შორის ააგეს კედელი და ამან შეაჩერა გოგი და მაგოგის საფრთხე სამხრეთის ხალხზე. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა ეს კედელი იყო კავკასიის მთებში, დარიალის ხეობაში. სავარაუდოა, ეს შეესაბამებოდა ისლამის მტრებს – კავკასიის ქრისტიან ხალხს. კავკასიის მთათა სისტემა შესაძლოა სახელს იღებს გოგისგან Gog (კაუკ Cauc ბერძნულად გამოითქმება გოგს). ჰესიოდე Hesiod, რომელიც მიჩნეულია ბერძნული დიდაქტიკური პოეზიისა და ლიტერატურის მამად, აღნიშნავდა, რომ უძველეს ქალდეურ ენაში ჩრდილოეთ კავკასიას ერქვა „გოგ-ხასან“ Gog-chasan, რაც ნიშნავდა „გოგის ციხესიმაგრეს“. ზოგიერთი მწერალი ფიქრობს, სახელი „კავკასია“ მოდის „გოგ-ხასანი“-დან, რომელსაც ბერძნები თარგმნიან როგორც გოგასუს Gogasus ან კავკასია Caucasus.

ზოგ მუსლიმ სწავლულს სჯერა, რომ ისინი იყვნენ მონღოლები, რომლებიც განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ისლამურ ცივილიზაციებს, რამაც საბოლოოდ დაანგრია მუსლიმთა დინასტია ბაღდადსა და ხორასანში Baghdad and Khorassan (ცენტრალური აზია). ისლამელმა სწავლულმა იბნ ქატირმა გოგის და მაგოგის ტომები გააიგივა ხაზარებთან Khazars, რადგან ამ სამეფომ ჩრდილოეთ კავკასიაში მე-8-9 საუკუნეებში მიიღო იუდაიზმი.

ეთნოგენეზი და ეთნოპოლიტიკა

ბიბლიური და ბიბლიის წინა პერიოდის უძველესი ცივილიზაციების ეთნოისტორიის რეკონსტრუქცია

ეთნოგენეზი სწავლობს არა მარტო წარსულს, არამედ მომავალ ზეგავლენასაც ეთნოპოლიტიკაზე. შესაბამისად, ერები ქმნიან ლეგენდებსა და მითებს საკუთარ ეთნოგენეზზე საკუთარი მიზნებისთვის და, აქედან გამომდინარე, ეთნოპოლიტიკა შესაძლოა ოყოს კონსტრუქციული ან დესტრუქციული, ან თუნდაც სახიფათო. განვიხილოთ რამდენიმე ეთნოპოლიტიკური კონსტრუქცია.

არქეოლოგია ახალგაზრდა მეცნიერებაა. ჩვენ დრომდე მოაღწია შემდეგმა უძველესმა ტექსტებმა: ძველი ებრაული ბიბლია, ჩინეთის ხუთი კლასიკური ნაწარმოები, ინდური ვედა და ბერძენი პოეტის ჰომეროსის თხზულებები. ამ ტექსტებში მოხსენიებულმა ისტორიულმა მოვლენებმა ძლივს თუ მიაღწიეს ძვ. წ. 1000 წელს. როდესაც ნაპოლეონი 1799 წელს შეიჭრა ეგვიპტეში, მან მოიყვანა მეცნიერთა ლეგიონები, ვინც ასლი გადმოიღო ან ჩამოიტანა უძველესი იეროგლიფური ხელნაწერები, რომლებიც გაშიფრეს ფრანგმა ლინგვისტებმა 1820 წელს, მსოფლიოს უეცრად დაემატა 2000 წლის დოკუმენტური ისტორია. რომ არ ჩამორჩენილიყვნენ, ბრიტანელებმა დაიწყეს მიწის თხრა ირანსა და ერაყში და წარმოიშვა არქეოლოგია, რამაც ჩვენი წარმოდგენა წარსულზე კიდევ უფრო გაზარდა. მე-20 საუკუნეში გერმანელები, პრუსიის გეოგრაფიული საზოგადოებიდან დაწყებული და ძირითადად ნაცისტები (ცნობილი მხატვრული ფილმი „ინდიანა ჯონსი“) ფანატიკურად ეძებდნენ ეზოთერულ საკრალურ საგნებს. ბოლოს, 1970 წელს, როდესაც ბირთვულმა ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს რადიომეტრული თარიღი, გლობალურმა მოვლენებმა გარკვეული ფორმა მიიღო.

ეთნოგენეზის რეკონსტრუქცია ქართველი ავტორების მიხედვით

ქართველი მწერლების მიხედვით ძვ. წ. უძველესი ისტორია ბიბლიამდე, შესაძლოა შეჯამებული ყოფილიყო შემდეგნაირად:

გამყინვარება, წარღვნა და კავკასია

გამყინვარების ხანის შემდეგ, ათი ათასი წლის წინ, დაიწყო გლობალური დათბობა, რომელსაც ერთვოდა მასიური წყალდიდობები, ტყეების გავრცელება

და უდაბნოების დაბრუნება. დაახლოებით ძვ. წ. 7000 წელს რადიკალურად განსხვავებული ადამიანთა სამყარო გამოჩნდა. იმ ადგილას მონადირეები და შემგროვებლები იყვნენ ფერმერები; გაჩნდა ქალაქის ტიპის დასახლებები. ათასობით წლების განმავლობაში ადამიანთა განვითარება თანმიმდევრულად გრძელდებოდა, შემდეგ, მოულოდნელად, დაახლოებით ძვ. წ. 5000 წელს დიდი ცივილიზაცია აღმოცენდა მთელ მსოფლიოში.

კოლუმბიის უნივერსიტეტის ორმა გამოჩენილმა გეოფიზიკოსმა უილიამ რაიანმა და უოლტერ პიტმანმა („ნოეს წყალდიდობა: ახალი სამეცნიერო აღმოჩენები მოვლენაზე, რამაც შეცვალა ისტორია“, 1998 წ.) William B F Ryan and Walter Pitman („Noah's Flood: The New Scientific Discoveries about the Event That Changed History“, 1998) აღმოაჩინეს ფაქტი, რამაც შეცვალა ისტორია. აღმოჩნდა, რომ ხმელთაშუა ზღვა ერთ დროს იყო უდაბნო და მილიონი წლის წინ ატლანტიკის ოკეანე შეიჭრა გიბრალტარის სრუტედან. შესაძლოა ზუსტად იგივე წყარო იყო ნოეს წყალდიდობის მიზეზი? რაიანი და პიტმანი გაერთიანდნენ ოკეანოგრაფებთან და აღმოაჩინეს უტყუარი მტკიცებულებები, რომ 7600 წლის წინ ხმელთაშუა ზღვიდან ბოსფორის გავლით შავი ზღვის ტერიტორიაზე შემოიჭრა წყალი, რომელმაც გაანადგურა ყველაფერი, რაც მის ირგვლივ იყო. სოფლები რამდენიმე კვირაში წყალში გაუჩინარდა. ასე რომ, ეს წყალდიდობა გახდა მსოფლიოში ცნობილი კატასტროფა, როგორც მოთხრობილია ძველ აღთქმაში. ავტორები სწავლობენ არქეოლოგიურად, ლინგვისტურად და გენეტიკურად დაკავშირებულ მტკიცებულებებს, რითიც შესაძლოა მიჩნეულ იყოს ადამიანთა დიასპორის გავრცელება შორეულ დასავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიაში, ეგვიპტესა და სპარსეთის ყურეში. ისინი ვარაუდობენ, რომ შავი ზღვისპირეთის ხალხი შესაძლოა ყოფილიყვნენ პროტოშუმერები, რომლებიც განვითარდნენ მესოპოტამიის დიდ ცივილიზაციაში.

შავი ზღვის ფსკერზე არ არის არანაირი ცოცხალი რამ, არც თევზი, რადგან სავსეა გოგირდით, რაც ინახავს ყველაფერს, მაგრამ ეს არის აბსოლიტურად გაუმჭირვალე, და სწორედ ამიტომ ეწოდება მას „შავი“ ზღვა. ის არის მსოფლიოში ყველაზე დიდი გოგირდის წყალბადის რეზერვუარი. ის მთლიანად ანადგურებს სუნის შეგრძნებას ისე, რომ ერთი შესუნთქვით შეუძლებელია შეიგრძნო რამე. მხოლოდ ერთი ღრმა შესუნთქვა სასიკვდილოა ადამიანისთვის. 150-200 მეტრის ქვემოთ, შავ ზღვაში სიცოცხლე არ არსებობს. ჟანგბადის გარეშე შავი ზღვის 90% სტერილურია, რითიც ყველაფერი ფსკერ-ზეა შენახული. შხამიანი სიბნელე ძალზედ ქვემოთაა, ყველასთვის უცნობი და მიუწვდომელი.

წყალქვეშა რობოტის გამოყენებით, რობერტ ბალარდი Robert Ballard (ტიტანიკის აღმომჩენი) როდაილენდის უნივერსიტეტის ოკეანოგრაფი პროფესორი და დელავერის უნივერსიტეტის საზღვაო მეცნიერი ცდილობდა, გამოეკვლია შავი ზღვის გეოლოგია, ძველი ჩაძირული გემების ჩათვლით, საერთაშორისო ექსპედიციის ფარგლებში, 2007 წელს. ის წერდა: „150 მეტრის

სიღრმეზე შავი ზღვა ჰგავს ბუნებრივ სათავსოს, რომელიდანაც გამოდევნილია ჟანგბადი“. რადიომეტრული მეთოდით მოლუსკის ასაკი თარიღდება 7000 წლით.

თუ დავხედავთ რუკას, ყველა ლეგენდის მიხედვით, წარღვნის შემდეგ, კაცობრიობის აკვანს წარმოადგენს შავი, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის სამკუთხედი – მესოპოტამია და ანატოლია. სწორედ იქ არის არარატის მთა (საიდანაც ნოეს კიდობნით Noah’s Arch გავრცელდა სიცოცხლე მსოფლიოში), სამი მდინარის სათავე – ევფრატი, ტიგროსი და მტკვარი (კურა) ან არაქსი, ითვლება, რომ აქ იყო ედემის ბაღი. მეცნიერულადაც ეს გამართლებულია, ვინაიდან ეს რეგიონი ყველაზე მოხერხებულია უძველესი ხალხებისათვის მათი ნებისმიერი საქმიანობისათვის: მიწათმოქმედება ნაყოფიერი მიწით, მეცხოველეობა მდიდარი ფაუნით და რბილი კლიმატი საცხოვრებლად (არ იყო საჭირო ბევრი ძალა და ღონე სახლებისთვის და ტანისამოსისთვის). სამხრეთის მიწების უმეტესობა ძალზედ ცხელი იყო და ნაკლებად პროდუქტიული ნადირობისა და ფერმერობისთვის და ჩრდილოეთში, პირიქით.

საუკუნეების მანძილზე ეს რბილი კლიმატის საზღვარი მერყეობდა ჩრდილოეთისკენ ან სამხრეთისკენ. შესაბამისად, მიგრირებდა ყველა ცოცხალი არსება ადამიანების ჩათვლით. მაგრამ მაინც, ევოლუციის თეორის მიხედვით-აც, ყველა ადამიანი ამ სამ მდინარეს შორის რეგიონიდან წარმოიშვა, რადგან ბაზისურად მოსავლის მოსაყვანად და ცხოველების მოსავლელად ზუსტად იგივე ინსტრუმენტით და ცოდნით იყვნენ აღჭურვილი.

ქართველი ავტორების მიხედვით, იბერიელები Iberians ავტოქტონურად ცხოვრობდნენ კავკასიაში (იბერიელები (მეშეხ-მოსოხი და თუბალ-თაბალი) და კოლხები) (Iberians (Meshekh-Mosoch and Tubal-Tabal) and Colchis). შემდგომ იბერი-ელები გაიფანტნენ ევროპისკენ ანატოლიის მცირე აზიაში (ტროა), ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (პელასგები და მინოსელები), იტალიაში (ეტრუსკები), პირინეის ნახევარკუნძულზე (ბასკები), ბრიტანეთში (ირლანდია, კალედონია-შოტლანდია). იბერიელები ამერიკასაც კი მიადგნენ. ქართველი მეცნიერების მიხედვით, იბერიელი ხალხი, პელასგები, იყო ევროპის პირველი მოსახლეობა, რომლებიც კავკასიის რეგიონიდან მოვიდნენ. ისინი მხოლოდ შოტლანდიისა და ირლანდიის მიუწვდომელ ჩრდილო-დასავლეთში შენარჩუნდნენ და ისიც ადრეულ ინდოევროპელ კელტებთან ერთად. ქართველი ავტორების მიხედვით, მონადირე კავკასიელი იბერიელებისგან წარმოიშვნენ ევროპის უძველესი იბერიელები – პელასგები და თანამედროვე ბასკები და, სავარაუდოდ, ეტრუსკები, რისი აღიარება შემდგომ მუშაობას მოითხოვს.

მხოლოდ ერთი დიდი პრობლემა იყო ამ სამ მდინარეს შორის და განსაკუთრებით კი მესოპოტამიაში – ის არ იყო დაცული მშიერი ველური აღმოსავლელი მომთაბარეებისგან. არც მთები იყო, არც ღრმა და ჩქარი მდინარეები, ან უღრანი ტყეები, ან სხვა რაიმე ბუნებრივი დამცველი. ყველაზე ახლო ბუნებრივი თავშესაფარი იყო კავკასიონის მთები და მხოლოდ

ამის გამო კავკასიელი ხალხი გადარჩა ამ სასტიკი ისტორიული პერიოდის დროს. ბერნდ გეიგერი Bernd Geiger ეძახდა კავკასიას „უნიკალურს, როგორც გამყოფს და ასევე თავშესაფარს“, ისევე, როგორც ტიბეტში, რაც განაპირობებს საინტერესო ეზოთერულ ურთიერთობას ამ ორ რეგიონს შორის.

დასავლეთს და აღმოსავლეთს შორის მრავალსაუკუნიანი ომების შემდეგ მესოპოტამიისა და მცირე აზიის (ანატოლიის) უძველესი ხალხები სრულიად განადგურდა მონღოლების და მუსლიმების შემოსევებით: კავკასიის ალბანელები, ანატოლიის კაბადოკიელები, მესოპოტამიის ბიბლიური ხალხები და ბევრი სხვა. ზოგ თანამედროვე ერს აქვთ იგივე სახელები, როგორც უძველეს ხალხებს, მაგრამ რეალური კავშირის გარეშე, მაგ., ალბანელები, ეგვიპტელები, მაკედონიელები და სხვა. ზოგს ძალზედ მცირე მსგავსება აქვთ, როგორც სპარსელებს, ბერძნებსა და სხვებს.

ქართველების უძველეს წარმოშობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ისტორიულად არც ერთი სხვა ერი საქართველოს ტერიტორიაზე დაჩაგრული არ ყოფილა და ტრადიციულად ყველა ადამიანი ითვლება თანასწორუფლებიანად. ქართველები ყოველთვის დარწმუნებულები არიან თავის სიმართლეში და არანაირი ისტორიული მტერი ქართველებს არ ჰყავთ.

ბიბლიურ დროიდან მხოლოდ ებრაელები, სომხები და ქართველები გადარჩნენ ამ დრომდე. ებრაელები გადარჩნენ მხოლოდ ალიაში და ახლა იბრძვიან მიწისთვის და ტაძრის აგებისათვის, სომხები ნაწილობრივ ალიში, მაგრამ შეინარჩუნეს ისტორიული მიწის ნაწილი არარატის გარეშე, და მხოლოდ ქართველებმა ძირითადად შეინარჩუნეს მიწა და არასოდეს დაუტოვებიათ ის. ქართველების გენეტიკა შენარჩუნებული იყო კავკასიის მთებში, რაც შეამჩნია გერმანელმა ანთროპოლოგმა ბლუმენბახმა, რომელმაც დაამტკიცა, რომ კავკასიელები (ანუ ევროპული რასა) Caucasians (or European race) კავკასიის მთებიდან მოვიდნენ. რა თქმა უნდა, ამ თეორიას ჰყავდა და ჰყავს მოწინააღმდეგები, მაგრამ ამ თეორიის აშკარად ბუნებრივი საფუძვლების გამო არანაირი საწინააღმდეგო აზრი არ წარმოშობილა.

იბერები და შუმერები

როგორც ცნობილია, ისტორია იწყება შუმერებით. შუმერები მესოპოტამიაში მოვიდნენ „მთიანი“ რეგიონიდან და უახლოესი კი კავკასიაა. ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე, „განწყობის თეორიის“ ავტორი “Theory of Attitude and Set”, იკვლევდა შუმერების ისტორიას და 1919 წელს წერდა, რომ შუმერები შესაძლოა იყვნენ ქართველების მონათესავე ხალხი. შუმერული მითოლოგია მსგავსია ქართულისა. გილგამეშის Gilgamesh (შუმერთა გმირის) და ამირანის (ქართველი ლეგენდარული გმირის) მამებს ჰქონდათ ერთნაირი სახელი სულკალმახი Sulkalmakh, ნახევრად ღმერთი და ნახევრად ადამიანი.

შუმერები მოვიდნენ შუამდინარეთში-მესოპოტამიაში ჩრდილოეთიდან ძვ. წ. მე-5-3 ათასწლეულში და მემარცვლეობისათვის შექმნეს განვითარებული საირიგაციო სისტემა, განავითარეს ვაჭრობა.

ძვ. წ. მე-3 ათასწლეულიდან შუმერში შემოვიდნენ ქამიტი აქადელები. აქადელები შუმერების ქალაქებში მოვიდნენ თავიანთი ქამიტური ენით და შუმერებმა ცოლად შეირთეს მათი ქალები. დაარსდა უდიდესი აქადური Akkadian იმპერია. თითქმის მთელი მესოპოტამია უბრძოლველად გახდა ქამიტური. ომი მოგებული იყო ბრძოლის გარეშე.

საშველი არსაიდან ჩანდა. უეცრად, იბერიელების ნათესავები და მეზობლები გუთები (Gutians), კავკასიის მკვიდრი, ალბანეთის უძველესი უთიანების წინაპრები, დაიძრენ თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიიდან და დაარბიეს აქადის იმპერია. შუმერთა წყაროები გუთებს Gutians აღწერს, როგორც ბარბაროსებს, მკრთალი ფერის კანით, ქერათმიანი ხალხი მთებიდან, სავარაუდოდ, ცენტრალური ზაგროსიდან. მთიელი გუთები მართავდნენ აქადურ ქამიტურ შუმერს თითქმის 100 წლის მანძილზე ძვ. წ. 2150-2050 წლებში. ქართველი ავტორების მიხედვით, ამან შესაძლებლობა მისცა ბაბილონში კავკასიურ-იბერიულ ელემენტის გაძლიერებას: მასხარაშვილი თავის წიგნში „მატიანე ქართველთა“ აღნიშნავს პროტო–ქართველური ელემენტის შუმერებში კასიტებით გაძლიერებას, ხოლო ზურაბ კაცელაშვილი წიგნში „ზენაარელი ქალდეველ-ქართველები“ აღწერს, რომ შუმერში (შინარში) იბერიული წარმოშობის ქალდეველებმა დაიწყეს ჩამოსახლება.

ძვ. წ. მე-2 ათასწლეულში დაიწყო მიგრაციის ახალი ძლიერი ტალღა: დაიწყო ინდოევროპელების ექსპანსია: ხეთები გამოჩნდნენ ანატოლიაში, არიელები ინდოეთში, აქაველები ჩრდილოეთიდან შევიდნენ ბალკანეთში, გაქამიტებული შინარი დაიპყრეს სემიტმა ამორეველებმა. მათ უკვე ჩაიგდეს ხელში იბერიელების მეტალურგიის საიდუმლო და ჰქონდათ ბრინჯაოს იარაღი. ამავე დროს ინდოევროპელმა ბერძნებმა მოიპარეს ოქროს საწმისის საიდუმლო (მეტალურგიის და მედიცინის საიდუმლო) კოლხეთის ლაზ-მეგრელებისგან (არგონავტები). ძვ. წ. 1894 წელს შუმერთა ბაბილონი დაიპყრო ამორეველმა მეფე სუბუაბუმ Subuabu და ის მთლიანად ამორეველ-ქამიტური ქალაქი გახდა. სუბუაბუს შვილიშვილი ჰამურაბი Hammurabi გახდა ბაბილონის ძლევამოსილი სემიტი მმართველი ძვ. წ. 1792 წელს და მან გამოსახა ქვაზე ცნობილი კანონები, რომელიც ინახება ლუვრში, პარიზში.

ზუსტად ამ რთულ დროს, ძვ. წ. 1800 წელს ერთმა შუმერულმა ოჯახმა დატოვა ქალაქი ური Ur და გადავიდა ჩრდილოეთში, უფრო წმინდა მუშკიხურიტი–ქალდეური ქალაქის ჰარანის Haran გამო (კაბადოკიის საზღვართან). ესენი იყვნენ აბრაამი, მისი მამა, ძმის ვაჟი ლოტი და მეუღლე სარა. ჰარანი იყო აბრაამის მამის მშობლიური ქალაქი. ჰარანში აბრაამის ოჯახი გახდა რჩეული და ღმერთი დაჰპირდა მას, რომ აბრაამის ოჯახში დაიბადებოდა იესო. უფლის ნების მიხედვით, აბრაამი, ლოტი და სარა გადავიდნენ ქამიტურ

ქანაანში (პალესტინაში) (აბრაამის მამა გარდაიცვალა და დასაფლავდა თავის მშობლიურ ჰარანში).

ეს ოჯახი ჰარანიდან გამოვიდა, როგორც შუმერები, ხოლო ქანაანში გახდნენ პირველი ებრაელების შინაპრები. აბრაამის შთამომავლობა გადავიდა ქანაანურ ენაზე, მათ დაკარგეს თავიანთი შუმერული ენა, მაგრამ არა გენეტიკა. აბრაამის ვაჟმა ისააკმა და შვილიშვილმა იაკობმა შეირთეს ქალი მხოლოდ იბერიული-ხურიტი–ქალდეური ჰარანიდან და არასდროს არეულან ადგილობრივ ქანაანელებთან.

ცხოვრება ქანაანში პირველი ებრაელებისთვის არ იყო იოლი. ხშირი გვალვების გამო მოსავალი არ იყო. შიმშილს ემატებოდა რეგიონში მუდმივი ომი. საბედნიეროდ, ამ დროს შველა ისევ ჩრდილოეთიდან მოვიდა. ძვ. წ. 1653-1550 წწ-ში განხორციელდა ხურიტი ჰიქსოსების Hurrian Hyksos ლაშქრობა ეგვიპტისკენ, სადაც ისინი გახდნენ ეგვიპტის ფარაონები, და აბრაამის შთამომავალი 12 ოჯახი მათ მიჰყვნენ ქანაანიდან ეგვიპტეში. ჰიქსოსებმა დააარსეს ახალი დედაქალაქი ავარისი და ეგვიპტეში შემოიღეს ცხენები და ბორბლები. ჰიქსოსები არ იყვნენ სემიტები – ქანდაკებებს ჰქონდათ დიდი და ოვალური სახეები, პატარა ცხვირით, ძლიერი ყვირმლის ძვლებით, არაბებისგან განსხვავებით. ლოურენს გარდნერი Laurence Gardner თავის წიგნში „გრაალის მეფეების გენეზი“ (2005 წელი) წერდა, რომ „ჰიქსოსები იყვნენ წარმოშობით ტროადან“. ქართველი ავტორები მიუთითებენ მათ იბერიელებთან ნათესაობაზე. როდესაც ეგვიპტეს მართავდნენ იბერიელების მონათესავე ჰიქსოსები, ებრაელებს ეკავათ დიდი თანამდებობები, მათ პატივს სცემდნენ და მათი გენეტიკა შენარჩუნებული იყო. მაგრამ ჰიქსოსების ეგვიპტიდან გაძევების შემდგომ ძვ. წ. 1550 წელს, ისინი მონობაში ჩავარდნენ.

ამ დროს ძვ. წ. მე-14-15 საუკუნეებში მთლიანად ახლო აღმოსავლეთი ტოტალური ომების სცენას წარმოადგენდა ექვსი იმპერიის შორის- ეგვიპტე, ხეთა, ჰურია, ასურეთი, ბაბილონი და ელამი. იმ დროს ყველა დიდი იმპერია აირია სამხრეთიდან დიდი რაოდენობით ქამიტ მოსახლეობის შემოდინების გამო. მხოლოდ მმართველი ჰიქსოსები ეგვიპტეში, კასიტები და ქალდეველები ბაბილონში არასდროს არეულან ადგილობრივ ქამიტ მოსახლეობასთან. ასევე იბერიელმა ან მონათესავე ტომებმა ანატოლიაში (მეშეხი, ლაზი, კასკა, ხურიტი Meshekh, Laz, Kaska, Hurrian) და ებრაელებმა ჰიქსოსების დაცვის ქვეშ ეგვიპტეში შეინარჩუნეს ეროვნულობა.

დროებითი შველა კვლავ ჩრდილოეთიდან მოვიდა. ხეთებმა და იბერიელთა მონათესავე კასიტებმა Iberian relatives Kassites ანატოლიიდან დაიპყრეს ამორეველთა ბაბილონი და ძვ. წ. 1500 წელს კასიტების დინასტია გამეფდა 4-5 საუკუნის მანძილზე. მაგრამ მოსახლეობა ქამიტები იყვნენ და აქადურ ქამიტურ ენაზე საუბრობდნენ. შუმერული ენა და დამწერლობა საკრალურ და კანონების ენად ითვლებოდა. ამავე დროს, ძვ. წ. მე-13 საუკუნეში რთული ეთნიკური სიტუაცია იყო მცირე აზიაში (ანატოლიაში), სადაც გაბატონდნენ

ინდოევროპელები (ხეთები, მიკეანები) და თავს დაესხნენ იბერიულ ტომებს (ტროას კოალიცია). შექმნილი ეთნიკური მდგომარეობა უპერსპექტივო ჩანდა პროტოიბერიელებისა და ისრაელელების გადარჩენის თვალსაზრისით, მაგრამ ძვ. წ. ამავე დროს მე-12-13 საუკუნეში ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენების მთელი სერია განვითარდა: რკინის რევოლუცია; ტროას ომი; ზღვის ხალხების ლაშქრობები; ეგვიპტის მონობიდან ისრაელების გამოსვლა აღთქმულ მიწა პალესტინაში, ქალდეველების ჩასახლება ბაბილონში. ყველა ქვეყნის ავტორი თანხმდება, რომ ეს იყო კაცობრიობისთვის გადამწყვეტი ეტაპი.

თუ ძვ. წ. მე-3-4 ათასწლეულში ბრინჯაოს საიდუმლოება და ბრინჯაოს იარაღი უპირატესობას ანიჭებდა იბერიულ ტომებს, მოგვიანებით ეს საიდუმლო მოპარული იყო, მაგრამ ახლა, ძვ. წ. მე-12-13 საუკუნეში, ლაზმა ქალდეველებმა Laz Chaldean აღმოაჩინეს რკინა. რკინის ნედლეული – ჰემატიტი ლაზეთის სანაპიროზე დღემდეა ცნობილი. ასობით პრიმიტიული რკინის ღუმელი აღმოაჩინეს არქეოლოგებმა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე და სხვაგან არსად. დღემდე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიწა, შავ ზღვის სანაპირო, რომელიც დაიმკვიდრეს უძველესმა ლაზმა ტომებმა, არის შავი ფერის და შესაძლებელია მისი მაგნიტით მოზიდვა, როგორც ეს აჩვენეს „Discovery Channel“-ზე ფილმში არგონავტებზე.

სამწუხაროდ, იბერიულ ტროას ჰქონდა მხოლოდ ბრინჯაოს იარაღი და ისინი დაამარცხეს აქაველებმა[1]. საინტერესოა, რომ ჰომეროსის „ილიადაში“ რკინა მოხსენიებულია (როგორც რკინის დისკი სპორტულ შეჯიბრებებში), მაგრამ არ გამოიყენებოდა როგორც იარაღი, ვინაიდან, სავარაუდოდ, არ იცოდნენ მისი დამუშავების წესი. ხოლო ზღვის ხალხმა ვერ მიუსწრო ტროელებს დასახმარებლად, მაგრამ შური იძიეს მტრებზე რკინის იარაღით. ტროას ომის შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე წელში, შავი ზღვის რეგიონის ხალხმა დაიწყო გაფართოება და ისინი აღჭურვილნი იყვნენ რკინის იარაღით. ბერძნებს რომ არ მოეგონათ იმ დროისათვის უპრეცენდენტო სამარცხვინო ხრიკი ცხენის ქანდაკებით, ისინი ვერასდროს დაიპყრობდნენ ქალაქს, რასაც ისინი ომის წინა 10 წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ. ზღვის ხალხის ქცევა შურისძიებას ჰგავდა, ვინაიდან ისინი ყველაფერს სპობდნენ და არ ინარჩუნებდნენ არც შენობებს, არც მოსახლეობას. მიკეანის სამეფო საერთოდ უკაცრიელი გახდა, ნაწერები და რაიმე ცივილიზაციის ნიშანიც დაიკარგა და საბერძნეთში ბნელი წლები დაიწყო. მათ აგრეთვე გაანადგურეს დაუძლურებელი ხეთები (გაურკვეველი მიზეზის გამო ხეთების უზარმაზარი იმპერია არ არის მოხსენიებული „ილიადა“-ში საერთოდ[2]) და ეგვიპტესაც კი შეებრძოლნენ, თუმცა ეგვიპტემ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია.

---

[1] მაგრამ ამ დამარცხებამ გამოიწვია სხვა ისტორიული მოვლენა: ტროას სამეფო ოჯახი – ენეასები Aeneas გადავიდნენ დასავლეთში, სადაც გაშენდა რომი ძვ. წ. მე-8 საუკუნეში, ამან ხელი შეუწყო ევროპის ცივილიზაციის შექმნას.

[2] არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენთვის ბერძენ ისტორიკოსების მიერ გადაწერილი

ტროას ომის შემდეგ ბაბილონის იმპერიაში რამოდენიმე საუკუნის დომინირების შემდეგ კასიტები გაქრენ შუმერების ისტორიიდან, ან წავიდნენ გაურკვეველი მიმართულებით. მაგრამ იმავე დროს დაიწყო ქალდეველების შემოსვლა და დასახლება. ქალდეური Chaldea მოსახლეობა ბაბილონში (შინარი Shinar) ჩრდილოეთიდან ჩამოსახლდა და ნაბუქოდონოსორის მეფობის შემდეგ აგრეთვე გაუჩინარდნენ ბაბილონის ისტორიიდან. სავარაუდოდ, მოსავალის შემცირების გამო, ჩრდილოეთით მცირე აზიაში დაბრუნდნენ, სადაც შემორჩნენ ხალიბების Chaldoi (or Chalybes) სახით.

ბაბილონში და მის ირგვლივ შექმნილ პოლიტიკურ გარემოში ქალდეველი ტომები დიდ როლს თამაშობდნენ. ამ დროს მესოპოტამიაში 3 ძირითადი მეტოქე ექიშპებოდა ერთმანეთს: ასურეთი, ელამი და ბაბილონი. ჰიქსოსების განდევნის და ებრაელების გასვლის შემდეგ ეგვიპტემ განაგრძო ექსპანსია პალესტინისა და სირიის მიმართულებით. ეგვიპტელ ფარაონმა რამზესმა III-მ შეაჩერა ზღვის ხალხი ძვ. წ. მე-12 საუკუნეში, მაგრამ საბოლოოდ სირიაში მათ ასურეთი გადაეღობა.

მთიან ჩრდილოეთიდან წამოსული სემიტი ასურელები შეერივნენ მათ მიერ დამარცხებულ იაფეტურ სუბარიელებს (მესოპოტამიელ ხალხს), ამით თვალსაჩინოდ გაიზარდა მათი ძლიერება და სირიის ტერიტორიაზე დააარსეს ძლევამოსილი და აგრესიული იმპერია. ძვ. წ. მე-12 საუკუნეში ასურეთმა დაარბია დიაოხი, მეშეხი Diaochi, Meshekh და წაიწია შავ ზღვამდე. სამაგიეროდ, იბერიელი მეშეხები, ქალდეველები და ელამელები საპასუხოდ ლაშქრობდნენ ასურეთისა და ბაბილონის იმპერიების წინააღმდეგ.

ტროას ომის შემდეგ სამხრეთ ბაბილონში ჩასახლებული ქალდეველები მუდმივად ჯანყდებოდნენ და სამეფო ტახტს ეუფლებოდნენ. ამას მუდმივად ეწინააღმდეგებოდა ასურეთი და აწყობდა რეიდებს ხან ბაბილონის მეფის დასაცავად, ხან მის დასაპყრობად. შესაბამისად, მონაცვლეობით ელამი ხან ბაბილონის მხარეს, ხან მის წინააღმდეგ იბრძოდა.

ასე გასტანა რამოდენიმე საუკუნემ დაბოლოს ქალდეური დინასტია ბაბილონში კასიტების შემდეგ რამოდენიმე საუკუნის შემდეგ დამყარდა. ამ დროს ასურეთის უდიდესმა მეფემ სარგონმა (ძვ. წ. 722-705 წწ) მესოპოტამიაში არსებული ყველა სამეფო დაიმორჩილა: მათ შორის ურარტუ, კილიკია, ფრიგია, სირია-პალესტინა, ისრაელი, ელამი (მედესი და სპარსეთი), ეგვიპტე და ბაბილონი. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ძვ. წ. 705 წელს, ბაბილონში ხელისუფლება ხელში ჩაიგდო ქალდეველი დინასტიის წინაპარმა მეროდახ ბალადანმა Merodach Baladan (წარმოშობით ქალდეულ ჰარანიდან Chaldean Haran). ის მეზობლებთან – ასურეთთან და ელამთან – მუდმივად იბრძოდა და-

---

ისტორიაა ცნობილი და ასეთი ამოვარდნები არ უნდა გაგვიკვირდეს. რა გასაკვირია, რომ ასევე არც ერთი კავკასიური ან ანატოლიური სამეფო არ არის ნახსენები ჰომეროსის მიერ.

მოუკიდებლობისათვის ხან ერთთან, ხან მეორესთან მოკავშირეობით. ბალადანი ასურეთმა დაამარცხა და მან თავი ელამს შეაფარა. ასურეთმა ბალადანს დაედევნა და ელამი დაანგრია. გარკვეული დროის შემდეგ საპასუხოდ ელამი და ბაბილონი გაერთიანდა და ამჟამად თავს ასურეთს დაესხნენ. ამ დროს პირველად რეგიონში გამოჩნდა არაბი მეომრები აქლემებზე. შეტევა უიღბლო აღმოჩნდა და ასურეთმა ელამიც და ბაბილონიც დაანგრია და ეგვიპტეშიც გაილაშქრა ძვ. წ. 667 წელს. ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლა ქალდეველი დინასტიის ბალადანის შვილებმა და შვილიშვილებმა გააგრძელეს. ელამი ვეღარ გადარჩა და უკაცრიელ მიწებზე არიელი ინდოევროპელი სპარსელები დასახლდნენ, რომლებმაც აქემენიდი იმპერია შექმნეს. ასურეთის მეფისნაცვალი ბაბილონში ქალდეველი ნაბოპოლასარი Nabopolassar კვლავ აუჯანყდა ასურეთს და ბაბილონში თავი მეფედ გამოაცხადა ძვ. წ. 626 წელს. ნაბოპოლასარმა ძვ. წ. 612 წელს შეკავშირდა მონათესავე მიდიელებთან Medes (Medians) და დაარბია ასურეთის დედაქალაქი ნინევია Nineveh. ასურეთის დასახმარებლად ეგვიპტელების ჯარი დაიძრა. ბაბილონის ვასალებმა იუდეველებმა მათი შეკავება სცადენ, მაგრამ დამარცხდნენ და იუდეის მეფე Josiah დაიღუპა. ნაბოპოლასარის შვილი ლეგენდარული ნაბუქოდონოსორი Nebuchadnezzar[1] II გამეფდა ძვ. წ. 605 წელს. ნაბუქოდონოსორი წარმატებული სარდალი აღმოჩნდა, მან დაამყარა კავშირი მიდიელებთან, სპარსელებთან და სკვითებთან და ძვ. წ. 605 წელს წარმატებით შეუტია ასურეთს და მის მოკავშირე ეგვიპტეს. მან საბოლოოდ წაშალა ასურეთის იმპერია ისტორიიდან და დაიპყრო ეგვიპტე. ბერძნული ისტორიული წყაროების მიხედვით ჰერეკლეს მიმსგავსებული ნაბუქოდონოსორი II-მ აგრძელებდა ტრიუმფალურ ლაშქრობას ეგვიპტის დაპყრობით და აფრიკის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ შეიჭრა ჰიბერნიაში Hibernia და იქედან უამრავი ტყვე გადმოასახლა თავის ტერიტორიაზე მცირე აზიაში Iberia, რაც გახდა პირინეული და კავკასიური იბერიელების ნათესაობის კიდევ ერთი საფუძველი.

იბერები და ებრაელები

ტროის ომის შემდეგ ზღვის ხალხის ლაშქრობამ მისცა ისრაელს აღდგენის საშუალება. მოსე 40 წელი უცდიდა ამ კარგ ამბებს. ძვ. წ. 1200 წელს აღთქმულ მიწაზე ებრაელები ებრძოდნენ მეზობელ ქამიტებს და მხოლოდ ძვ. წ. მე-11 საუკუნეში დააარსეს ისრაელის დამოუკიდებელი სამეფო. მეფე დავითი (ძვ. წ. 1010-973 წწ.) და მეფე სოლომონი (ძვ. წ. 970-931 წწ.) იყვნენ უდიდე-

[1] მან დაირქვა სახელი ნაბუქოდონოსორი II, თუმცა ნაბუქოდონოსორ I ცხოვრობდა 6 საუკუნის წინ და ძვ. წ. მე-12 საუკუნეში იყო ბაბილონის უდიდესი მეფე, როგორც ძვ. წ. მე-18 საუკუნეში იყო მეფე ჰამურაბი Hammurabi, და ამით ხაზს უსვამდა ქალდეველების ისტორიულ წარმომავლობას ბაბილონიდან.

სი მმართველები. დავით მეფემ იერუსალიმი გამოაცხადა დედაქალაქად ძვ. წ. 1000 წელს და სოლომონმა აღმართა სოლომონის ტაძარი Solomon Temple. იმის გამო, რომ მომთაბარე ზნის ებრაელებს, სხვა მომთაბარეების (არაბები) მსგავსად, არ ჰქონდათ შენების კვალიფიკაცია, არ ჰქონდათ საცხოვრებელში ცეცხლის შენახვის საკრალური მნიშვნელობის ტრადიცია, ტაძრის მშენებლობისთვის სოლომონმა დაპატიჟა ფინიკიელი ქვისმთლელი მასონი ჰირამი (აბიფი) Phoenician mason Hiram (Abiff), შემდგომში მასონთა Masons საკრალური ფიგურა.

მას შემდეგ რაც ძვ. წ. 929 წელს ისრაელი გაიყო ისრაელისა და იუდეას სამეფოებად, ომები მათ შორის არ შეჩერებულა. ძვ. წ. 734-732 წ.წ. არამის და ისრაელის მეფეები გაერთიანდნენ და შესთავაზეს იუდეას მეფეს ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლა. აჰაზმა Ahaz არჩია ასურეთდან კავშირი და ასურეთმა მხარი დაუჭირა იუდეას ისრაელის წინააღმდეგ. ასურეთმა და იუდეამ დაიპყრეს არამი და ისრაელი. ამ ჯერზე ასურეთმა მხოლოდ არამის მოსახლეობა გახიზნა. მაგრამ ისრაელი კვლავ აუჯანყდა ასურეთს და ძვ. წ. 722 წელს ასურელმა სარგონ II-მ დალაშქრა ისრაელი და მოსახლეობა ასურეთში გადაასახლა. ამ დროს სარგონ II გარდაიცვალა და, როდესაც სარგონის ვაჟი სენახერიბი Sennacherib ძვ. წ. 704 წელს ავიდა ტახტზე, მის იმპერიაში ყველგან აჯანყება მძვინვარებდა. პირველ აჯანყებულებს შორის ძვ. წ. 705 წელს იყო იუდეას მეფე ეზეკია Hezekiah. ასურელი მეფისთვის მისი აჯანყებს მიზეზი განსაკუთრებით გაუგებარი იყო, რადგან მან რამოდენიმე წლის წინ სიკვდილს გადაარჩინა ეზეკიას მამა, მეფე აჰაზი Ahaz.

ამჟამად სენახერიბს მოუწია იუდეას, ეგვიპტესა და მის ეთიოპიელი მოკავშირეების გაერთიანებულ ძალებთან შეტაკება. ბიბლიის მიხედვით, 2 მეფეთა 18:13-15: „ეზეკიას მეთოთხმეტე წელს ასურეთის მეფე სენახერიბი იუდეას მდიდარ ქალაქებს თავს დაესხა და ალყაში მოაქცია ისინი. იუდეას მეფე ეზეკიამ ასურეთის მეფეს შემდეგი სიტყვა მიმართა: „მე შევცოდე. შეწყვიტეთ ჩემზე თავდასხმები და ყველაფერს გადავიხდი, რასაც დამიწესებთ“. ასურეთის მეფემ მას დაუწესა 300 ვერცხლის ტალანტი და 30 ოქროსი. ეზეკიამ დანაპირები ზუსტად შეასრულა და ტაძარს მოხსნა ძვირფასი ლითონები, მაგრამ სენახერიბის არმიამ მაინც ალყაში მოაქცია იერუსალიმი. მდგომარეობა სრულიად უიმედო იყო, როდესაც წინასწარმეტყველმა ისაიამ Isaiah მიმართა სენახერიბს: „ასე ეუბნება უფალი ასურეთის მეფეს: ის არ უნდა შემოვიდეს ამ ქალაქში“. 2 მეფეთა 19:35-37 მიხედვით, ამ წინასწარმეტყველებას ძალზედ მალე შეესხა ხორცი, როდესაც ინფექციურმა დაავადებამ გაანადგურა ასურეთის არმია. მაგრამ ისტორიული ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ სენახერიბამდე მივიდა ამბავი, რომ ბაბილონელები კვლავ აჯანყებას აპირებდნენ და მან მოხსნა ალყა. იერუსალიმი ამჯერად გადარჩა და მალე თვითონ ასურეთი განადგურდა ქალდეველი ბაბილონიელი ნაბუქოდონოსორის მიერ.

ნაბუქოდონოსორმა კვლავ ააყვავა ბაბილონი, ააშენა სასახლეები და ქალაქის ორმაგი კედელი. ე.წ. „დაკიდული ბაღები“ ნაბუქოდონოსორმა გააშენა თავისი მეუღლის, მიდიის მეფის ასულისთვის, რომელსაც ძალიან ენატრებოდა თავისი მთა-გორიანი სამშობლო. მაგრამ მშვიდობა რეგიონში ვერ დამყარდა. იუდეის ახალმა მეფემ ეგვიპტის წაქეზებით ძვ. წ. 596 წელს აჯანყება წამოიწყო ამ ჯერზე თავისი მოკავშირე–სუზერენის ბაბილონის წინააღმდეგ. ნაბუქოდონოსორმა ეს აჯანყება მალე დააშოშმინა, მაგრამ 10 წლის შემდეგ, ძვ. წ. 586 წელს ეგვიპტემ ჯარი კვლავ შემოიყვანა იუდეაში და ნაბუქოდონოსორი იძულებული იყო გაგეგზავნა თავისი დაცვის კაპიტანი ნაბუზარადანი Nabuzaradan (2 მეფეთა 25:8-21). ბაბილონელების ჯარის გამოჩენისას ეგვიპტელები გაბრუნდნენ და დატივეს იერუსალიმი დაუცველი. ნაბუზარადინმა ზედმეტი სიმკაცრე გამოავლინა და იერუსალიმი და სოლომონის ტაძარი სრულიად დაანგრია და მოსახლეობა ბაბილონში ტყვეობაში გამოდევნა.

ასე რომ, ისრაელის დანგრევის შემდეგ, იუდეა (სამხრეთ სამეფო) აგრძელებდა არსებობას კიდევ ერთი საუკუნის განმავლობაში, სანამ საბოლოოდ არ დაიპყრეს ბაბილონელებმა. ზოგი გაიქცა ეგვიპტეში, სირიაში, მესოპოტამიაში, სპარსეთსა და კავკასიაში.

ნაბუქოდონოსორის დანათესავებულმა მოკავშირეებმა მედეს-მიდიელებმა ამ დროს დაიპყრეს ურარტუ Urartu და მესხების Meshkhetian სამეფო. ასე, რომ ძვ. წ. მე-6 საუკუნეში ებრაელები და მეშეხები Hebrews and Meshekhs მოვიდნენ იბერიაში და დასახლდნენ ქართლის სამეფოში, დააარსეს დედაქალაქი მცხეთა Mtskheta. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ ძვ. წ. 608-586 წწ, როდესაც ბაბილონელმა ნაბუქოდონოსორმა და მედესმა ასურეთი და იუდეა დასცა, ებრაელები შემოვიდნენ იბერიაში და მოითხოვეს მიწა მეფისგან, რომელზეც დღესაც ცხოვრობენ. ქართველი ებრაელები არიან უძველესი ებრაული დიასპორის შთამომავლები: მათ თავი შეაფარეს კავკასიას ასურელების მიერ ჩრდილოეთ ისრაელის სამეფოს დანგრევის შემდეგ ძვ. წ. 722 წელს, გაექცნენ ნაბუქოდონოსორის ჯარებს ძვ. წ. 586 წელს და რომაელების მიერ მეორე ტაძრის დარბევის შემდეგ ჩვ. წ. პირველ საუკუნეში, როდესაც ებრაელი მოსახლეობა თითქმის მთლიანად ამოხოცილი იყო.

ისრაელის ხალხისგან განსხვავებით, რომლებიც ასურელების ბატონობით იტანჯებოდნენ, იუდეას მოსახლეობა ბაბილონში ნაკლებ რეპრესიებს განიცდიდა. მათ არ აიძულებდნენ ასიმილაციას და ჩამოაყალიბეს პირველი დიასპორა ბაბილონში. ბაბილონში მათ ჰქონდათ შესაძლებლობა შეედგინათ ძველი აღთქმის ბევრი წიგნი. იუდაიზმში გაჩნდა ახალი მცნებები – სატანა, აპოკალიფსი, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე. მით უმეტეს, რომ იუდეა დამარცხდა ისრაელის დამარცხებიდან 150 წლის შემდეგ, რამაც მისცა შესაძლებლობა ეროვნულობა ასულიყო უმაღლეს ხარისხში. ამას გარდა, იუდეველების გადასახლებამ გასტანა მხოლოდ 50 წელი და ისინი გახდნენ უფრო მონოლი-

თურები, რადგან შედგებოდნენ იერუსალიმის ირგვლივ გაერთიანებული ერთი კლანისგან და არა 10 ჩრდილოელი კლანისგან.

ებრაული წარმოშობის ქართველი მწერლის იაკობ პაპიაშვილის თეორიის მიხედვით, ებრაელები (ან ქართულად „ურია Uria") საქართველოს რეგიონის ურიას Uria ნათესავები არიან. ქართული ისტორიული ქრონიკების მიხედვით, „ქართლის ცხოვრება", უძველესი სოფელი ურია (ართანისი) Uria (Artanisi) არსებობდა ძვ. წ. მე-3 ათასწლეულიდან და მე-5-6 საუკუნეების რუკაზე აღნიშნულია მდინარე მტკვრის დასაწყისთან. პაპიაშვილის თეორიის მიხედვით, იბერიის ურია მდებარეობდა მდინარე ევფრატიდან 200 მილში, დაარსდა იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინა ვაჭრობა შუმერის ურთან Ur, რომელიც მდებარეობდა მდინარეების ტიგროსსა და ევფრატს შორის ძვ. წ. 3500-2500 წწ-ში. ქართველი ავტორების მიხედვით, შუმერის ურს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იბერიასთან: სომხები დღესაც ქართველებს უწოდებენ – ურატს, ვრატს urats, vrats. არის საქართველოს უძველესი რეგიონი – გურია, სოფლები – ური, ურეკი, ურბნისი და სხვა. არის ქართული გვარები დაბოლოებებით, რომელიც მათ საცხოვრებელ ადგილს აღნიშნავს – ური: ბექა-ური, წიკლა-ური. ზოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ „ურია" აღებულია „ჰურია, ჰურიტები"-დან Hurria, Hurrites.

ქართველი მეცნიერებისა და ლეგენდების მიხედვით, ძვ. წ. მე-6 საუკუნეში მუშკი Mushki მოსახლეობის ნაწილი პალესტინიდან დაბრუნდა საქართველოში ებრაელებთან ერთად, მიიღეს მიწა და დააარსეს მცხეთა. ისინი რამდენიმე თვე მიზანდასახულად მოდიოდნენ და არ ხეტიალობდნენ, რაც მიუთითებს, რომ მათ წინასწარ იცოდნენ ან დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ აქ დასახლების უფლება ჰქონდათ. ათასობით კაცს, ქალს და ბავშვს რამდენიმეთვიანი მგზავრობის დროს, არ შეეძლოთ ამოდენა მანძილი გაევლოთ რაიმე დამარწმუნებელი ცოდნის გარეშე. ისინი დასახლდნენ მცხეთაში და მდინარე ზანავთან. ეს გამორიცხული იყო მომხდარიყო ადგილობრივების დაშინების გზით, ვინაიდან პროქართველი ტომები იმ დროს ძალზედ აგრესიულები იყვნენ და ბევრი მეზობელი მათ ხარკს უხდიდა. პაპიაშვილის აზრით, ეს აიხსნებოდა მხოლოდ იმ ფაქტით, რომ ისინი ძველი ნათესავები იყვნენ. ის ვარაუდობს, რომ „ქართლის ცხოვრების" ავტორებმა კარგად იცოდნენ, რომ ურიანები Urians იყვნენ უძველესი ხურიტ-სუბარიანის Hurrian-Subarian ტომი და რომ გაემგზავრნენ პალესტინაში დიდი ხნის წინ ძვ. წ. მე-19 საუკუნეში. პირველად ისინი წავიდნენ კაბადოკიაში Cappadocia და შემდეგ, ჰიქსოსების Hyksos მსგავსად, ეგვიპტის მიმართულებით. ჰიქსოსებისგან განსხვავებით, რომლებიც განაგრძობდნენ ეგვიპტეში გადასვლას, ხურიტებმა აღმოაჩინეს სხვა მონათესავე ტომები და დარჩნენ ქანაანში Canaan, დააარსეს ხეთების პატარა სამეფო და დაარქვეს ურისტანი ან იუდეა Lesser Hittites kingdom, Uristan or Judea, მკვდარი ზღვის ირგვლივ. პაპიაშვილს მაგალითად მოჰყავს ქრონიკა „იესო დაიბადა ურისტანის ბეთლემში და მცხეთის ურიანებში დიდი სიხარუ-

ლი სუფევდა“. პაპიაშვილის მიხედვით, ცხადია, რომ ესენი არიან მონათესავე ტომები.

გენეზისში არის ამბავი, სადაც აბრაამი მისდევდა მის მტერს (ხ)ობამდე (K)hobih (ქალაქი და მდინარე იმავე სახელით მხოლოდ საქართველოში არსებობს დღემდე), სადაც ის ერთი ღამით დარჩა შალემის მელქისედეკის სახლში Melki-Cedek of Shalem. დასახლებას შალემის (Shalem მშვიდობა) სახელი უწოდა ნოეს შვილმა სემმა (შემმა) Sem (Shem). აბრაამი იქ მიიღეს ღვინით და პურით. პასუხად მან დალოცა ქალაქი სიტყვებით iir'e – „ღვთისგან დალოცვილი იყოს“ და ამ ადგილს ეწოდა irr'e Shalem „Ierushalaim-Jerusalem” – „მშვიდობით კურთხეული იყოს ღმერთისგან“. პაპიაშვილის მიხედვით, ეს ადგილი იყო მდინარე იორდანესთან, სადაც მელქისედეკის ხალხი დასახლდა ჰიქსოსების მიგრაციის შემდეგ და, როცა ხურიტები შეხვდნენ მას, ისინი დარჩნენ აქ და ჩამოაყალიბეს მცირე ხეთა Lesser Hittites.

ძველი აღთქმიდან ვიცით (Genesis, ch. 23), როდესაც აბრაამის მეუღლე სარა გარდაიცვალა, მან ხეთებს Hittites სთხოვა მიწა დაკრძალვისთვის და მან მიიღო ის (აკლდამა) არა როგორც საჩუქარი, არამედ როგორც ოჯახის უძველესი წევრის საკუთრება. ბევრი მეცნიერი (Maspero, etc) თვლის, რომ მცირე ხეთა ჰებრონთან და მკვდარ ზღვასთან ახლოს Hebron and Dead Sea იბერიელმა ხურიტებმა, მესხეთიელებმა, თაბალებმა, Iberian Hurrians, Meshkhetians, Tabals დააარსეს. მოგვიანებით, ისრაელის ჩამოყალიბების შემდეგ, ხეთების სამეფო შეერწყა ისრაელს, როგორც იუდეა და იუდეველები, რადგან მოსეს დროიდან (ძვ. წ. 14-13 სს.) მიიღეს თორა. საინტერესოა, რომ ისრაელის პირველი მეფის საულის სიკვდილის შემდეგ, ახალი მეფე გახდა არა მისი ვაჟი Ishbaal (რომელსაც იუდეველები არ ცნობდნენ), არამედ იუდეველი დავითი.

120-ე ფსალმუნში წერია, რომ ბიბლიური ისრაელის მეფე დავითმა, ვისი შთამომავალიც იყო იესო, თქვა „მაპატიეთ, რომ ვცხოვრობდი მეშეხში Meshekh“. პაპიაშვილის მოსაზრებით, მან მოინანია, რომ ცხოვრობდა წარმართულ ქართლ-მეშეხში. ქართველი ავტორების მიხედვით, ეს ადასტურებს ქართველ ბაგრატიონთა ოჯახის მტკიცებულებას, რომ ისინი არიან მეფე დავითის შთამომავლები. ფრანცის ასისი, მარტინ ლუთერი, ჰიუსტონ სტიუარტ ჩემბერლენი Francisof Assisi, Martin Luther, Houston Stewart Chamberlain მუშაობდნენ, რათა დაედგინათ იესოს წარმომავლობა. შემდეგ გარემოებებს მიექცია ყურადღება: მეფე სოლომონმა გალილეი Galilee მიჰყიდა მეფე ტირუსს Tyrus (1 *Kings* 9:11), რადგან, ჩემბერლინის მიხედვით, რეგიონი ნაკლებად იყო დასახლებული ებრაელებით. იესო დაიბადა არა ებრაულ იუდეაში, არამედ უცხოურ გალილეაში და გელილ ჰაგოიმი Gelil haggoyim ნიშნავდა „წარმართების უბანს“. შესაბამისად, რამდენიმე ერის წარმომადგენელი ცდილობდა და ცდილობს დამტკიცებას, რომ ზუსტად მათი წინაპარი იყო დავითი.

ქრისტეს სასამართლოსთვის ებრაელებმა ყველა ქვეყნიდან დაპატიჟეს წარმომადგენლები. საქართველოს ებრაელთა წარმომადგენლები (მღვდელი

ელიოზი თავის მხლებელ ლონგინოზთან ერთად) იერუსალიმში გაემგზავრნენ, მაგრამ ჩასულებს მათ იესო უკვა ჯვარცმული დახვდათ, ანუ საქართველოს ებრაელობას მის სასამართლო პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. ელიოზმა საქართველოში ჯვარცმული ქრისტეს კვართი ჩამოიტანა, რომელიც სვეტიცხოველში ინახებოდა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ამ სიწმინდის დაუფლების დიდი სურვილი გაუჩნდა მოსკოვის საპატრიარქოს. ის მოემზადა კიდეც ამ განძის ნებისმიერი გზით ხელში ჩასაგდებად და, ამ ქმედების წინაწარ გასამართლებლად, გაავრცელეს ხმა იმის შესახებ, რომ თითქოსდა შაჰ-აბასმა კვართი საქართველოდან გაიტანა ირანში 1615 და შემდეგ 1625 წელს ის საჩუქრად გაუგზავნა რუსეთის მეფეს. სინამდვილეში კვართის კონკრეტული ადგილსამყოფელი ყველასათვის უცნობია.

ზოგიერთი ავტორის მიხედვით, ქალდეველი Chaldean ნაბუქოდონოსორი Nebuchadnezzar, წარმოშობით ჰარანიდან, რომელსაც ცოლად ჰყავდა მიდიელი მეფის ქალიშვილი, ხვდებოდა, რომ იუდეის დარბევა არასამართლიანი იყო და რომ იერუსალიმის საკრალური ადგილების დარბევა დაუსჯელი არ დარჩებოდა. უკვე მისმა შვილმა ამელ-მარდუკმა Amel-Marduk გაანთავისუფლა იუდეას მეფე და უკან დააბრუნა, რაც ებრაულ ბიბლიაში არის აღნიშნული. ძვ. წ. 557 წელს ქალდეველთა დინასტია შეწყდა, რადგან გამეფდა ნაბუქოდონოსორის თანამებრძოლი ნაბონიდი Nabonidus , თუმცა ისიც წარმოშობით ქალდეველებისათვის საკრალურ ქალაქიდან ჰარანიდან იყო და ცდილობდა დედაქალაქის ჰარანში გადატანას.

ბაბილონისა და მათი მოკავშირე (კავკასიელების ახლო ნათესავების) მიდიას მიერ ასურეთის იმპერიის მიწების გაყოფა, რა თქმა უნდა, უკმაყოფილებით და განხეთქილებით დამთავრდა. ბაბილონელი ქალდეველები შიდა ქიშპობის გამო შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. ბაბილონელებსა და მიდიელების შორის შეტაკებებიც დაიწყო. ძვ. წ. 551 წელს ამით ისარგებლა მიდიელების ვასალმა სპარსელმა კირისმა და მიდიელებს აუჯანყდა. ირანელ-სპარსელების აღზევების შედეგად ჩამოყალიბდა მედეს-სპარსული იმპერია Medo-Persian Empire ცნობილი, როგორც აქემენიდების იმპერია Achaemenid Empire. ასე დააკარგინა ბაბილონს ქიშპობამ მთავარი მოკავშირე.

ნაბუქოდონოსორის მეორე შვილი ბალთაზარი Balthasar, Belshazzar, ამელ-მარდუკის ძმა, ნაბონიდის თანამმართველი იყო. ბალთაზარმა უგუნურად სცადა გამოეყენებინა იერუსალიმის სოლომონის ტაძრის საკრალური ჭურჭელი და იმავე დღეს დაისაჯა. იმავე ღამეს ძვ. წ. 539 წელს, ბაბილონი დაეცა აქამენიდი კიროს II Achaemenid Cyrus II წინაშე.

ისევ და ისევ ქალდეველი ქალდეველმა დაამარცხა. აქემენიდი კიროსის არმიას მეთაურობდა მიდიელი დარიუსი Darius the Mede, რომელიც სპარსელებმა დანიშნეს ბაბილონის მეფისნაცვლად და იყო ბაბილონის ქალდეური დინასტიის (ბალთაზარის შემდეგ) ფაქტიური ბოლო მმართველი. ბაბ-

ილონიელებს წინააღმდეგობაც არ გაუწევიათ, ვინაიდან ქალდეური სამეფო დინასტია გრძალდებოდა, უბრალოდ ახალი სუზერენი-მოკავშირის გავლენის ქვეშ[1]. ბიბლიის დანიელის წიგნში აღწერილია, თუ როგორ მიაღწია დანიელი დარიუსის იმპერიაში უმაღლეს თანამდებობებს (მოსეს მსგავსად), და როგორ აიძულეს დარიუსი ის სიკვდილისთვის გაეწირა ლომების გალიაში, რა სიხარულით გაიგო დარიუსმა, რომ დანიელი ღვთის ჩარევით გადარჩა, და პირიქით მისი მტრები გაანადგურა.

რა თქმა უნდა, დარიუსის სიკვდილის შემდეგ სპარსელებმა საერთოდ აღარ დაუშვეს ბაბილონის მეფის არსებობა. ასე დასრულდა პირველი ინტერნაციონალური იმპერია მესოპოტამიაში – შუამდინარეთში. შუმერები თვითონ იყვნენ ამ ადგილას ჩამოსახლებული ჩრდილოეთიდან, შემდეგ ისინი ომის გარეშე დაიპყრეს ქამიტმა აქადეველებმა, სემიტმა ამორეველებმა (და არამეელებმა). მაგრამ ჩრდილოეთიდან შემოსული მთიელი ხალხი: გუთები, კასიტები და ქალდეველები – კავკასიელი იბერიელების ახლო ნათესავები – მუდმივად იბრძოდნენ ამ იმპერიაში მმართველი პოზიციების გასამაგრებლად (ისევე როგორც ჰიქსოსები ეგვიპტეში), რაც შიდაქიშპობის გამო საბოლოოდ სრული კრახით დასრულდა.

მედეს-სპარსეთის იმპერია ყველა რელიგიას პატივს სცემდა და არ ცდილობდა მასში შემავალი ერების ასიმილაციას. იმპერიაში ორი ძირითადი რელიგია სუფევდა- მიდიელების მაგები და ირანელ-სპარსელების ზაროასტრიზმი. ორივე რელიგია პატივს სცემდა ებრაელებისა და სხვების რელიგიებს. ეს იყო პირველი იმპერია რამდენიმე ოფიციალური ენით: არამეული, სპარსული და ელამური. ყველა მონას სპარსეთში შეეძლო ყოველწლიურად სამი თვე გაეტარებინა თავის ოჯახში და ყველა მათგანი უკან ბრუნდებოდა, რადგან სპარსეთში ცხოვრების სტანდარტები ბევრად უფრო მაღალი იყო ვიდრე სხვა რომელიმე მეზობელ ქვეყანაში (დღემდე თითქმის იგივე სიტუაციაა სპარსეთის ყურის ნავთობით მდიდარ არაბულ ქვეყნებში). ეს ბიბლიური ცნობები აგრეთვე ეწინააღმდეგება ბერძნების ისტორიას, რომ სპარსეთი წარმოადგენდა არაცივილიზებულ აღმოსავლეთს ბერძნული ცივილიზაციისგან განსხვავებით.

აქამენიდმა მეფემ კიროს II-მ Cyrus ცოლად შეირთო ებრაელი პრინცესა მეშარი Meshar და მის ძმას ზერუბაბელს Zerubbabel ნება დართო გაეყვანა მისი ხალხი უკან იერუსალიმში ძვ. წ. 536 წელს. კიროსმა გაათავისუფლა ყველა ხალხი, არა მხოლოდ ებრაელები. მან ასევე ნება დართო აღედგინათ ყველა წმინდა ტაძარი. 150 ათასი ებრაელიდან მხოლოდ მეოთხედი დაბრუნ-

[1] ასევე მოხდა 1921 წელს საქართველოში, როდესაც სოციალ-დემოკრატიულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ შეცვალა მენშევიკური. მოსახლეობის მხოლოდ განათლებული პატრიოტული ფენა (ინტელიგენცია, იუნკერები) ხედავდა მოახლოებულ საფრთხეს, მაგრამ მასები სოციალისტური ზღაპრებით იყო დაბრმავებული.

და იერუსალიმში. განსაკუთრებული ზომები იქნა მიღებული ებრაული ერის შესანარჩუნებლად და იერუსალიმში ებრაელ და არაებრაელს შორის ქორწინება აკრძალული იყო. ძვ. წ. 444 წელს დაარსდა სინაგოგა და დაკანონდა თორას იერუსალიმში საზოგადოდ წაკითხვა.

თიხის ფილებზე ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ ბაბილონმა სპარსეთს წინააღმდეგობა არ გაუწევია ვაჭრობის აღორძინების იმედით. მაგ., მთავარი საქონელი, რომელიც გაჰქონდათ შუმერულ თემებს, იყო მარცვლეული. სამაგიეროდ შემოდიოდა ხის მასალა, ქვა, ლითონი. მაგრამ რჩებოდა უფრო ძლიერი მეტოქე – ეგვიპტე, სადაც მსახურობდნენ მათი მოკავშირე ბერძენი მეომრები. ბერძნებმა იცოდნენ, რომ ეგვიპტეს შემდეგ ნებისმიერი იმპერიის სამიზნე საბერძნეთი გახდებოდა. ხოლო სავაჭრო გზების გასახსნელად და იმპერიის გასამყარებლად საჭირო იყო, რომ კიროსი ბოლომდე, ეგვიპტემდე, გასულიყო. კიროსმა ებრაელები გაანთავისუფლა და მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან საზღვარზე იუდეაში ჩაასახლა, რასაც შემდგომ ეგვიპტის წინააღმდეგ პლაცდარმად გამოიყენა. კიროსმა გააგრძელა ლაშქრობა ეგვიპტის დასაპყრობად, მაგრამ გზაში გარდაიცვალა და ლაშქრობა დაამთავრა მისმა ვაჟმა კამბესმა Cambyses ძვ. წ. 525 წელს. ეს იყო სამიათასწლიანი ეგვიპტის იმპერიის დასასრული.

ამასობაში რარიუსის სიკვდილის შემდეგ მიდიელების დაშოშმინება ძნელი საქმე იყო. მიდიელმა გაუმატამ Gaumata თავი კამბუსის ძმად გამოაცხადა და, კამბუსის ეგვიპტეში ყოფნის დროს, თავის თავი სპარესთის იმპერიის მეფედ გამოაცხადა. არავინ იცის სიმართლე იყო ეს, თუ არა, მაგრამ კამბუსმა ეგვიპტეში თავი მოიკლა (მოკლეს?) და გაუმატა, მიდიელი მაგების მეთაური Median Magi, ძვ. წ. 522-21 წლებში აქემენიდების დედაქალაქიდან სუზადან Suza მმართავდა სპარსეთის იმპერიას ეგვიპტიდან ინდოეთამდე.

სპარსულმა ცივილიზაციამ არნახულ დონეს მიაღწია. მაგრამ უკიდეგანო სპარსეთის იმპერიის მმართვა შეუძლებელი იყო და იგი სუსტდებოდა. მონონაციონალურობისკენ მიდრეკილება ძირს უთხრიდა იმპერიას. სხვა ვასალი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, თვითონ ირანი არ იხდიდა არანაირ ხარკს და არ მონაწილეობდა საერთო სამუშაოებში (გზები, ფოსტა, ჯარი, და ა.შ.). სიმდიდრე და უძრაობა დეგრადაციას იწვევდა. როდესაც მიდიელმა გაუმატამ დაიწყო დედაქალაქის გადატანა ირანიდან თავის სამშობლოსკენ, ზაგროსის მთაბისკენ, არიან-ირანელებმა საფრთხე იგრძნეს და შეთქმულება მოაწყეს. შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა მომავალი ბოლო აქემენიდი იმპეროტარი დარიოსი Darius I, დიდი კიროსის ერთ-ერთი სარდალის შვილი. მან მუხანათურად მოკლა გაუმატა, ითხოვა მისი ქალიშვილი (ასევე მოიქცა ალექსანდრე მაკედონელიც) და თავი იმპერატორად გამოაცხადა. გეგმა წარმატებულად განვითარდა ვინაიდან მიდიელი მაგების წინააღმდეგ ბრძოლაში მას მხარში ამოუდგა სახელგანთქმული წინასწარმეტყველი ზარატუშტრა Zoroaster/ Zarathustra (ზოროასტრიზმის პიკს სასანიდურ ირანში მიაღწევს).

ამ დროიდან, ძვ. წ. 500 წლიდან, დარიუსმა დაიწყო იმპერიის ცენტრალიზაციის მცდელობა, მხოლოდ არამეული ენა იყო გამოცხადებული ოფიციალურად სპარსეთის იმპერიაში და ეს ენა ბატონობდა 1000 წლის განმავლობაში. ამას ბერძნები შეშფოთებით ადევნიდნენ თვალყურს. ბერძნების საბრძოლო კონტინგენტის ამოხოცვამ ეგვიპტეში და ბერძნულ-სპარსული ომების სერიამ ცხადყო, რომ ვებერთელა იმპერიის შემდეგი მსხვერპლი ევროპული საბერძნეთი იქნებოდა. ძვ. წ. 333 წელს ალექსანდრე მაკედონელის მიერ მცირე აზიიდან დაწყებული სასოწარკვეთილი ლაშქრობა უეცრად წარმატებული აღმოჩნდა და მან ერთი დარტყმით დაიპყრო აქემენიდების იმპერია. არგონავტებისა და ტროას ომის პოემებზე გაზრდილმა ალექსანდრემ გვერდი აუარა კავკასიურ იბერიულ ტომებს და მხოლოდ თავისი ოფიცერი გაუგზავნა და დამოუკიდებლობა უბოძა. ალექსანდრეს ბრძანებით ყველა წიგნი შეგროვდა ბიბლიოთეკებში და გადაიწერა, რაც საფუძვლად ჩაედო სულ სხვა ამბავს. შეიქმნა ახალი ბერძნული მეცნიერება – ისტორია.

იბერები და ბერძნები

ისტორიის შესწავლისას გასათვალისწინებელია, რომ სკოლაში ნასწავლი ისტორია დაწერა ჰეროდოტემ (ძვ. წ. 484-425) და „იწყება“ ალექსანდრე დიდით (ძვ. წ. 336-323). აზიაში ლაშქრობისას მას ჰქონდა მიზანი, შეექმნა მსოფლიოს ახალი ისტორია. დაპყრობილი ტერიტორიებიდან მილიონობით უძველესი ისტორიის დაწერილი წყაროები იყო თავმოყრილი ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ეგვიპტეში. ის არსებობდა 1000 წელი, რამდენჯერმე გადაწვეს, მათ შორის ქრისტიანებმა, და საბოლოოდ დაანგრიეს არაბებმა ჩვ. წ. მე-7 საუკუნეში. ანუ ძალზე ხშირად ორიგინალი ხელნაწერი „შემთხვევით“ იწვებოდა და მხოლოდ ბერძნების მიერ გადაწერილი ასლები გადარჩებოდა ხოლმე და მიჩნეულია „ორიგინალად“ თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიერ. ამდენად, ისტორია იწყება საბერძნეთით და ჰეროდოტეთი. ჰეროდოტე იმდენად თავდაჯერებული იყო, რომ ამტკიცებდა – „თუკი საჭიროა სიცრუე, უნდა იცრუო“. ალექსანდრეს მეორე იდეა – შეექმნა ამ „ახალი“ ისტორიის მატარებელი „მშვენიერი“ რასა, რის გამოც ძვ. წ. 324 წელს, ერთ საღამოს, მან დააქორწინა 10 000 ბერძენი კაცი 10 000 სპარსელ ქალზე, გაცილებით ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა.

ბერძნული ისტორია იჩემებს, რომ ალექსანდრეს ლაშქრობა იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მაღალი კულტურის ხალხის არმია საბრძოლველად წავიდა დაბალგანვითარებულ ტერიტორიებზე, სადაც არ არსებობდა რაიმე მიზეზი, რომ გარისკო საკუთარი სიცოცხლე რაიმეს ფასად, იდეის გარდა. მათი ლეგენდის მიხედვით, ეს მოხდა ალექსანდრეს უდიდესი ეგოს გამო. ეს ძნელად დასაჯერებელია. ქართველი და სხვა ავტორების მიხედვით, აზია

(მცირე აზიის, ანატოლიის, ჩათვლით) კულტურულად და ეკონომიკურად უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ეს აღწერილია ბერძნულ წყაროებში. ზოგი რამ შეუძლებელია დაიმალოს, როგორიცაა სპარსეთის დედაქალაქის სიმდიდრე და სიდიადე, ბაბილონის სიმდიდრე არქიტექტურასა და ხელობაში, რომელსაც ალექსანდრეც დიდად აფასებდა, და არგონავტების კოლხეთის ოქროს სამდიდრე. ახლა ჩვენთვის ცნობილი ანატოლიის ანტიკური გზები და ამფითეატრები იყო აშენებული ბერძნებამდე დარიოსის მიერ. ცნობილია, რომ სპარსეთის მეფეები დარიოსი და კიროსი ათავისუფლებდნენ თავიანთ მონებს ყოველ წელს 3 თვით, რათა მონები მისულიყვნენ სახლებში და შემდეგ ნებაყოფლობით ბრუნდებოდნენ აზიის მდიდარ ქვეყნებში.

300 სპარტელი აღწერილია თავისუფლებისა და კულტურისთვის მებრძოლებად, მაგრამ, სინამდვილეში, ისინი კლასიკური ინდოევროპელი „ბარბაროსები“ იყვნენ და მხოლოდ დროებით დაამყარეს მშვიდობიანი ურთიერთობა ბერძნებთან.

სწორედ ამიტომ, აღარვინ აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ ბერძნული მითოლოგიის მიხედვითაც კი კოლხეთის კულტურა ბერძნულზე უკეთესი იყო. ტროას ომის დროსაც კი ჰეროდოტე ძლივს თუ მალავს თავის სიმპათიას უფრო კეთილშობილი ტროელების მიმართ. ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე წერს, რომ „იბერიელები არასდროს იყვნენ დაპყრობილნი მედიანების ან სპარსელების მიერ, არასდროს გაქცეულან ალექსანდრე დიდისგან“. თუმცა წყაროების უმეტესობა თანხმდება, რომ რამდენიმე მისი ოფიცერი, მათ შორის აზო *(Azo),* შევიდა ტერიტორიაზე და მონაწილეობას იღებდა კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

„ქართლის ცხოვრების“ მემატიანის თქმით, ქართველთა მეფე ფარნავაზი (ძვ. წ. 299-234 წწ.) იყო ის პიროვნება, რომელმაც „შექმნა დამწერლობა ქართული“. სავარაუდოდ, ეს იყო ქალდეურ-არამეული დამწერლობა. მაკედონელის შემდეგ მთელ მსოფლიოში გაბატონდა ბერძნული დამწერლობა. შესაბამისად, ქრისტიანული სარწმუნოების მიღებისას, როგორც აღნიშნულია „ქართლის ცხოვრებაში“, არმენებს, ალბანელებს და გეორგიანებს არ ჰქონდათ საკუთარი ასოები (დამწერლობა) და ეკლესიური რიტუალებისათვის იყენებდნენ ბერძნულს. მე-5 საუკუნეში ცეცხლთაყვანისმცემელმა სპარსელებმა დაიპყრეს არმენიის დიდი ნაწილი და აკრძალეს ბერძნული წერა, რათა შემწყდარიყო კონსტანტინოპოლის ქრისტიანული გავლენა. ამ მდგომარეობაში 400 წელს წმინდა ბერმა მესროპ მაშტოცმა ღვთიური გამოცხადებით იპოვა არმენული ასოები და შექმნა ეკლესიური დამწერლობა. გეორგიანები უფრო მოგვიანებით იყვნენ დაპყრობილი, ამიტომ მათ მოასწრეს ბერძნული წიგნების გამოყენება ლიტურგიის წესების გასამტკიცებად. ამიტომ, როდესაც 520 წელს არმენები გამოეყვნენ ბერძნულ ეკლესიას, გეორგიანელები დაექვემდებარა ანტიოქიის პატრიარქს და ამით შეუერთდა ბერძნულ ეკლესიას.

მესროპის მიერ სომხური ანბანის შექმნას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ახალმა ანბანმა გადაარჩინა სომხური ერი და ის დღემდე მოიყვანა.

მოვსეს ხორენაცი „სომხეთის ისტორიაში“ წერს: სომხური ანბანის შექმნის შემდეგ „მესროპი წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მადლის ზეგარდმო მინიჭებით მათაც შეუქმნა ანბანი“. შემდგომ მან შექმნა ალბანთა ანბანი და „ამის შემდეგ წავიდა წმინდა იერუსალიმში მოსალოცად“. „ქართლის ცხოვრებაში“ იგივე წერია: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური, და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“. „ქართლის ცხოვრების“ მემატიანის, ლეონტი მროველის პროარმენობაზე არაერთი მკვლევარი მიუთითებდა, მაგრამ გასაკვირია, თუ რატომ არ მოხდა ამ ფრაზის ამოღება ქართული და არმენული ეკლესიების განხეთქილების (615 წ.) შემდეგ, როდესაც არმენებს აეკრძალათ ქართველებთან ურთიერთობა იმგვარადვე, როგორც ეს იყო დაკანონებული არმენებისთვის ებრაელების მიმართ[1].

ქართველი ავტორები თვლიან, რომ ეს ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან ქართული ანბანი გაცილებით უფრო სრულყოფილია არმენულ ანბანთან შედარებით, სადაც „ო“ და „ფ“ აღმნიშვნელი ასო-ნიშნები მხოლოდ მე-12-13 საუკუნეში მკვიდრდება, ამასთან დასტურდება „პ“-ს ცვლილება „ბ“-დ მაშინ, როდესაც, როგორც წერს ეპისკოპოსი კირიონი, ასო „ო“ ქართულ ანბანში თავიდანვე არსებობდა[2].

---

[1] კირიონ III-ს ეკუთვნის ამ ამბავთან დაკავშირებით მოსაზრება, რომ ვინაიდან ებრაელები არმენებს უწოდებენ „ამალეკებს“, მათ ქანაანის ედომის ქვეყნის მეზობლად ქვეყნის მცხოვრებლებლად აბრამიის შვილიშვილისგან ამალეკისგან წარმოშობილ ხალხად მიაჩნდათ. როგორც ცნობილია, ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს მცირე აზიაში შეჭრის შემდეგ პირველი საომარი დაპირისპირება სწორედ ამალეკებთან ჰქონდათ. ებრაელებმა ამ ომში საულის წინამძღოლობით ამალეკები სასტიკად დაამარცხეს, რის შემდეგაც მოხდა ამალეკების გახიზვნა მცირე აზიის ჩრდილოეთში. ძვ. წ. 480-550 წლების ებრაელებისა და ამალეკების მტრობის კიდევ ერთი ამბავი მოყვანილია ბიბლიაში, როდესაც ელამის სამეფო კარზე განდიდებულ ამალეკელ დიდებულებს განუზრახავთ ებრაელებზე შურისძიება, მაგრამ ებრაელი ქალის ესთერის ძალისხმევით, მოვლენები პირიქით განვითარდა (რის გამოც დღემდე ზეიმობენ პურიმს Book of Esther) და სპარსეთის აქემენიდი მეფის ნებართვით ებრაელებმა მოაწყვეს ამალეკელების სასტიკი ჟლეტა.

[2] ამ სახელთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მისტერია. არმენული ანბანის შემქმნელის სახელი „მესროპი“ შეიცავს ასოს „ო“, რომელიც სომხურ ანბანში მხოლოდ მე-12 საუკუნეში გაჩნდა. საინტერესოა, რომ მოვსეს ხორენაცი არმენული ანბანის შემქმნელს მხოლოდ ერთხელ მოიხსენიებს „მაშტოცის“ სახელით, სხვაგან კი ის მის სახელად წერს „მესროპს“. მაგრამ ასეთი დიდი მნიშვნელობისდა მიუხედავად, დღემდე ეს სახელი ვერ იქნა პოპულარული არმენებში. მე-5 საუკუნედან ვიდრე დღემდე მხოლოდ რამდენიმე ადამიანი თუ ატარებდა ამ სახელს და ამათგან უმეტესი საეკლესიო პირებს წარმოადგენდნენ.

ქართველი ავტორები თვლიან, რომ საქართველოს გაქრისტიანება დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო ძველ ისტორიაში. ვინაიდან საქართველოში უკვე არსებობდა ქალდეურ-არამეული დამწერლობა და ქალდეური მონოთეიზმი და გავლენიანი ზოროასტრიზმი, ქრისტიანული რელიგის დასანერგად საჭირო გახდა ახალი ანბანის შექმნა, რათა შეუძლებელი გამხდარიყო „ძველი“ წიგნების წაკითხვა. ახალმა ქართულმა ასომთავრულმა დამწერლობამ მრავალი სახეცვლილება განიცადა და ასე მე-8-9 საუკუნებში ბერძნული ანბანის საფუძველზე ჩამოყალიბდა დახვეწილი და სრულყოფილი ნუსხური (ხუცური), დაბოლოს, მხედრული დამწერლობა[1]. ხოლო ზოგი ქართველი ისტორიკოსი თვლის, რომ ქალდეველი პროტოიბერიელების დამწერლობამ გაიარა ყველა საფეხური – პიქტოგრაფული სახის დამწერლობიდან[2], ჯერ ანბანურ უძველეს ქალდეურ დამწერლობამდე, შემდეგ კი არამეულ-არმაზულ და მისი განვითარების შემდეგ წარმოშობილ „მხედრულს“ სრულყოფილ სახემდე. ის, რომ პიქტოგრაფიულ დამწრლობას იყენებდნენ ქართველთა წინაპრები უძველეს დროში, ფარნავაზის ეპოქამდე, დასტურდება „არგონავტიკის“ ავტორის, აპოლონ როდოსელის (ძვ. წ. 295-215 წწ.) თქმით, რომ კოლხები მის დრომდე ინახავდნენ თავიანთი წინაპრების („მამების“) ნაწერ კვირბებს, ანუ მაგარ საგნებზე ამოკვეთილ ნაწერებს. ხოლო ხუცური ასომთავრული და ნუსხური შეიქმნა საქართველოს სამეფო კარის ქრისტიანობაზე მოქცევის შემდეგ პერიოდში და უშვებენ, რომ ბერძნულიდან წარმოიშვა.

ქართველების ქალდეველებისგან წარმოშობას ასაბუთებს ზურაბ კაცელაშვილი და აღნიშნავს, რომ რომის პაპის ბიბლიოთეკარი აბატ ლორენსო ჰერვას პანდუროსი „მსოფლიო ენათა კატალოგში“ (1801) (El Abate Don Lorenzo Hervas, Catalogo de las Lenguas de la Nationes Conocidas“) დარწმუნებულია, რომ „გეორგიანელები“, ანუ ქართველები, ქალდეველებია. სწორედ ამის გამო ის სახელწოდება „ქართეას“ აკავშირებს „ხალდეა/კალდეას“-თან. ასევე ბევრი ქართველი მეცნიერი თვლის, რომ ქართველები ბაბილონელი ქალდეველები არიან, რომლებიც ინდოსტანიდან და აფრიკიდან შავკანიანი მოსახლეობის შემოსვლის შემდეგ შუმერეთიდან წავიდნენ (აბრაამის გადასახლება ჰარანში).

---

[1] ამავე დროს გოთებთან ტყვედ ჩავარდნილმა კაბადოკიელმა ეპისკოპოსმა ულფილამ Ulfilas (Wulfila; „Little Wolf“) (ჩვ. წ. 311-383) გადათარგმნა ბიბლია გოთურ ენაზე, რუნულ დამწერლობაზე უარის თქმის შემდეგ და ახალი გოთური ანბანის შექმნის შემდეგ, ბერძნულზე დაფუძნებით, რაც ცნობილი იყო საქართველოში გოთებთან მჭიდრო კავშირის გამო. აღსანიშნავია, რომ ეს ახალი გოთური (ბიბლიური) დამწერლობა განსხვავდება გოთური დამწერლობისგან, რომლისაგან შეიქმნა ლათინური ენა და დამწერლობა.

[2] ქალდეური (შემდეგ ქალდეურ-არამეული) დამწერლობა, ისევე როგორც ფინიკიური ანბანური დამწერლობა, სათავეს იღებს მესოპოტამიაში ძვ. წ. 3500 წელს შექმნილი პიქტოგრაფიკული ე. წ. სოლისებრი, ანუ ლურსმნული, დამწერლობიდან. თავდაპირველად არსებობდა 400-500 ნიშანი, რომელიც საბოლოოდ 30 ნიშნად ჩამოყალიბდა და შეიქმნა ანბანი.

არამეელები მონათესავე ტომს წარმოადგენდა: „არამეა“ – „მაღალი მხარე/ ქვეყანა“ და არამეული ენა წარმოადგენდა ქალდეურ ენას, რასაც აღნიშნავს აბატი თავის მრავალტომიან ნაშრომში.

როდესაც ქალდეველმა ნაბუქოდონოსორ II-მ (ძვ.წ. 605-563 წწ.) დაიბრუნა რა ბაბილონი (კარდუნიაში) და დაიპყრო იერუსალიმი, ბაბილონში ტყვედ წამოყვანილმა ებრაელებმა დაივიწყეს ქანაანური ენა, რის გამოც მღვდელმსახურებმა ბიბლიის ტექსტები თარგმნეს ქალდეურ (ანუ არამეულ) ენაზე[1]. ქართველი ენათმეცნიერების სპეციალისტების აზრით (მათ შორის ზ. კაცელაშვილის მიერ) დღემდე შემორჩენილი არამეული (ქალდეური) ენის სიტყვები შეესაბამება ქართულს. უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ ქართულ ენაში „ადამი“-ს შთამომავლობას „ადამიანები“ ეწოდება. ყველა სხვა ენაში ადამიანებს ეწოდება „Homo“, „Hombre“ და ა. შ.

ზურაბ კაცელაშვილი თვლის, რომ შეუძლებელია, ქართლში შემოსული ებრაელები „გამოქცეოდნენ“ ნაბუქოდონოსორს, რადგან მან შეძლო ჰიბერნიის (ესპანეთის) ნახევარკუნძულის დაპყრობაც და იქიდან ტყვეთა მასობრივი გადასახლება ქალდეაში. შესაძლებელია, რომ ქართლში (ქალდეაში) შემოსული ებრაელები ტყვეები იყვნენ. ზანავი ხარკით რომ ყოფილიყო აღებული, ისინი იქ დღემდე იცხოვრებდნენ და არ იქნებოდნენ გაფანტული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ვინაიდან რაშიც ფულია გადახდილი, ის გადამხდელის სამუდამო საკუთრებას წარმოადგენს. ქართლში მათ აგრეთვე დაემატათ ჰიბერია-ესპანეთიდან შემოსული მოსახლეობა და ამ კონგლომერატის ფორმირების შედეგებზე დღემდე მიმდინარეობს კამათი[2]. ზუსტად ამ კონგლომერატს შეეტაკა მე-2 საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელი. როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა კავკასიაში მმართველად აზო დატოვა, მან პირველ რიგში ყურადღება მიაქცია ჰარანს, რომელიც იერუსალიმივით უზარმაზარი რელიგიური მნიშვნელობის ქალაქი იყო, და ისევე, როგორც ტელ-ავივი, ჰარანის გასწვრივ დააარსა ანტიოქია, რათა ჰქონოდა მუდმივი საზღვაო კავშირი მის

---

[1] სინაის მთაზე მოსეს მეშვეობით ღმერთმა ებრაელებს დაუდგინა ათი მცნება, რაც ქვის დაფებზე იქნა აღბეჭდილი. მაგრამ ეს იყო სემიტური ქანაანური (ანუ ფინიკური) დამწერლობა. რატომ არ შეუქმნა ღმერთმა ებრაელებს საკუთარი ანბანი? მხოლოდ ბაბილონის ტყვეობის შემდეგ ქალდეველი ნაბუქოდონოსორის ჩარევით ებრაელები არამეულ (შემდგომ, იესო ქრისტეს ცხოვრების დროს არამეულ-ბერძნულ) ენაზე და დამწერლობაზე გადავიდნენ. მით უმეტეს, რომ „ძველ აღთქმაში“ ნაწინასწარმეტყველია იესო ქრისტეს მოვლინება, რომელსაც სწორედ ქალდეურ (ქალდეურ-არამეულ) ენაზე უნდა ემეტყველა და სიკვდილსაც ამ ენაზე მეტყველი უნდა შეხვდომოდა. შესაძლებელია ბაბილონის ტყვეობისას მოხდა „გენეზისის-დაბადების“ ტექსტის უცნობი სახეცვლილება. შესაბამისად, ჩვენ დღემდე შემოგვრჩა ძველ ბიბლიურ ქანაან-ებრაულ ენაზე დაწერილი ძველი აღთქმა და ბიბლიურ არამეულ-ბერძნულ ენაზე დაწერილი ახალი აღთქმა.

[2] სავარაუდოდ, მათ შეინარჩუნეს კავშირები დასავლეთ იბერიასთან, ვინაიდან კიდევ ერთი მასობრივი გადასახლება განხორციელდა რეკონკისტას შემდეგ, როდესაც ათასობით ებრაელი და მუსლიმი გადმოვიდა ანდალუსიიდან ანატოლიაში.

მშობლიურ მაკედონიასთან. ჰარანის დაცემის შემდეგ ანტიოქიასთან კავშირი დარჩა საქართველოს ეკლესიის უძველეს ტრადიციად.

სომეხი მემატიანე მოვსეს ხორენაცი წერს შემდეგს: „არმენთა მეფემ სთხოვა ნაბუქოდონოსორს დატყვევებულ ებრაელთა ერთი მეთაურთაგანი; მან მოუყვანა იგი ჩვენს ქვეყანაში და დიდი პატივი მიაგო“. სავარაუდოდ, მისგან მომდინარეობს ბაგრატიონთა გვარი. მაგრამ ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ეს მხოლოდ ქრისტიანობის შემდეგ შექმნილი მითია. თვლიან, რომ ქართველი ბაგრატიონები აქემენიდური წარმოშობის იყვნენ, ანუ პონტოს მეფეების დინასტიის შთამომავლები, მითრიდატენი, და არა დავითის დინასტიის. თუმცა თავად აქემენიდების დინასტიის ებრაელებთან ნათესაობას ადასტურებს მათი კეთილმოსურნე დამოკიდებულება ებრაელებისადმი. მაგალითად, კიროს II-მ ძვ. წ. 539 წელს ებრაელები გაანთავისუფლა ბაბილონის ტყვეობიდან და ამასთან მდიდრულად დაასაჩუქრა სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე. სპარსელი მეფე ქსერქსე Xerxes I ქორწინდება ებრაელ ქალზე ესთერზე და მისი თხოვნით ებრაელთათვის პირადი მტრების ხოცვის ნებართვა მისცა. აგრეთვე ზოროასტრიზმი შემწყნარებლური იყო იუდაიზმის მიმართ.

ძველი ქართული ქალდეური ენა ახდენდა გავლენას აგრეთვე ზოროასტრიზმზე. ინდური და სპარსული ენების სპეციალისტი, ევროპული ორიენტალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საფრანგეთის შორეაღმოსავლური ინსტიტუტის იდეის დამფუძნებელი, ავესტას ფრანგულ ენაზე პირველად მთარგმნელი აბრაჰამ-ჰიასინტე ანკეტილ დუპერრონი (1731-1805) Abraham Hyacinthe Anquetil-Duperron ამტკიცებდა ქართულ და ზანდურ ენების მსგავსებას. ზანდური ენა წარმოადგენს ძველ ავესტანის ენას, რითიც დაწერილია ზოროასტრიზმის საკრალური ტექსტები – ავესტა. ინდოეთში ეს ენა ენათესავება შემდგომ ვედურ სანსკრიტს, რითიც დაწერილია ჰინდუიზმის საკრალური ტექსტები და ჰიმნები ვედა და რიგვედა. ზანდურ ენას ზვიად გამსახურდია მიიჩნევდა იაფეტურ (პროტოქართულ, პროტოევროპულ, პროტოარიულ) ენად. ამის დადასტურება ამჟამად შეუძლებელია, რადგან ყველა ზანდური ტექსტი კავკასიაში ალექსანდრე მაკედონელის და მისი სარდლის აზოს მიერ განადგურებულ იქნა. ზოროასტრიზმი შენარჩუნდა, მაგრამ ფეჰლეურ (სპარსულ) ენაზე. ანეტილის ინდოსტანში მოგზაურობამ აჩვენა, რომ ინდოსტანელი ზოროასტრი მოგვები სპარსული წარმოშობისანი არიან და ავესტურ-ზანდურ ენას უკვე აღარ ფლობდნენ.

ზანდური ენა აგრეთვე მიდიის სამეფო კარის ენა იყო. მიდიელებს ჰეროდოტე არიელებად მოიხსენიებს. ზოროასტრულ წმინდა წიგნში „ავესტაში“ მიდიელთა ქვეყანა იწოდება „Airyanam Dalyunam“-ად[1], რაც ნიშნავს „არიების ქვეყანას“. სანსკრიტული სიტყვა „არია/აიჰრია“ ნიშნავს „თავისუფლებას, კეთილშობილებას“. ბერძნული მითოლოგიით მიდია შექმნა ათენის მეფის ეგე-

[1] შეადარეთ ირლანდიის დასახელებას: Ireland, land of Ires or Airyas.

ოსისა და კოლხი მეფის აიეტის ასულის მედეას შვილმა – მედომ. ამ მითით მიდიელები ქართველთა მონათესავე ეთნოსად არის წარმოჩენილი. მათი განსახლების ადგილი ზაგროსის მთიან ადგილს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, საზოგადოდ, ძველ ქართულ მატიანეთა უდიდესი ნაკლია ისტორიულ მოვლენათა ზუსტი ქრონოგრაფიული ჩაუწერლობა, რაც ბევრ თავსატეხს უჩენს თანამედროვე მკვლევრებს. განსამარტი რჩება „ქართლის ცხოვრების“ მემატიანის ნათქვამი იმის შესახებ, რომ თითქოს ქართველებმა „იპყრეს სჯული უბოროტესი... და ყოველსა სულიერსა ჭამდეს, საფლავი არ იყო, მკუდარსა ჭამდეს“. როგორც მემატიანე გვაუწყებს, ქართველებისთვის „მკუდართა ჭამა“ აზოს აუკრძალია მის მიერ ქართლში გამეფების შემდეგ. ვახუშტი ბატონიშვილი იმოწმებს რა „ქართლის ცხოვრების“ მემატიანის ცნობას ამის შესახებ, წერს: „რა მოკუდეს ვინმე კაცი, ანუ ბრძოლასა, მეორე ივასხის და შესჭამდიან“. ესეც ქრისტიანობის ხანაში შექმნილი ლეგენდაა, რაც არქეოლოგიურად არ დასტურდება. ასევე არ დასტურდება ქართველებში ახლონათესაური შეჯვარების არსებობა, რაც ინდოევროპელებში უფრო გავრცელებული იყო და ამის შედეგად ცნობილია რუსეთში და ევროპაში ე. წ. მასხარების-შუტების გავრცელება. ასევე არ დასტურდება ცნობები თითქოს ქართველები თავის უწლოვან (ყრმა) შვილებს სწირავდნენ მსხვერპლად თავისი ნებით. და ეს იმ ქვეყანაში, სადაც გარდაცვალებულთა დატირებისა და გლოვის წესი მეტისმეტად მძიმე ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით სვანეთ-სამეგრელოში, იმდენად, რომ ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, მეფე გიორგი ბრწყინვალეს უცდია ამ წესის მოშლა სპეციალური ბრძანების გამოცემით, მაგრამ უშედეგოდ.

X საუკუნის მოღვაწე იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ნაწინასწარმეტყველია ღვთის მიერ მეორედ მოსვლის გარემოებები, თუმცა ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, ღვთის მეორედ მოსვლის წინასწარმეტყველების ინტერპრეტირება აკრძალულია.

ისტორია და მომავალი

ეზოთერული ისტორია და ეთნოპოლიტიკა არ სწავლობს მხოლოდ წარსულს, უფრო მეტიც, ის ძირითადად მომავალს ეხება. როგორც ჩერჩილმა თქვა: „რაც უფრო შორს გაიხედავ უკან, მით უფრო შორს დაინახავ წინ“.

სამწუხაროდ, ქართველი მეცნიერების ნაშრომები დასავლეთში ჩნდებოდა ძალზედ იშვიათად, მეზობელი „კონკურენტების“ გამო ბიზანტიისა და საბჭოთა დროიდან, ასევე ფინანსური რესურსების სიმწირის და ქართული დიასპორის ნაკლები ძალისხმევის გამო. უინსტონ ჩერჩილი Winston Churchill აღნიშნავდა ბალკანელების შესახებ, რაც კავკასიისათვისაც ჭეშმარიტებაა, „მათ უფრო მეტი ისტორია აქვთ, ვიდრე მისი მონელება შეუძლიათ“.

სამაგიეროდ, სხვა ერები აქტიურობენ, რათა „შექმნან“ თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკისთვის შესაბამისი ისტორია. ბრიტანელი ისტორიკოსი ერიკ ჰობსბაუნი Eric Hobsbawm დასძენდა, რომ „ნაციონალიზმი თანამედროვეა, მაგრამ ის თავად ქმნის თავისთვის ისტორიას და ტრადიციებს“. ათასწლოვანი ისტორია გვასწავლის მარტივ ჭეშმარიტებას – მხოლოდ მშრომელი და მოაზროვნე ერი გადარჩება.

რაც ბერძნებმა ნამდვილად დააფუძნეს ევროპულ ცივილიზაციაში, აზიელებისაგან განსხვავებული, ძალზედ მნიშვნელოვანია, მაგრამ სულ სხვა რამეა – ისინი ყოველთვის ქმნიდნენ მღელვარებას, ჩართულნი იყვნენ ბრძოლაში, ომში ერთმანეთსა და მეზობლებთან, მაგრამ ეს იყო კონკურენციის საფუძვლები და, შესაბამისად, პროგრესის. ამაზე დაყრდნობით მათ განავითარეს პროტესტანტული აზროვნება, დემოკრატია, მეცნიერების საფუძვლები (ცდა, ექსპერიმენტი), ფილოსოფია (აზროვნების საფუძვლები ლოგიკის კანონებით და რელიგიის გარეშე), სახვითი ხელოვნება, ტექნიკა, ცდილობდნენ დაეწესებინათ კანონები მათ ქაოსში და სხვა. და შედეგად შექმნეს ის საფუძვლები (ფილოსოფია, მეცნიერება, პროგრესი და ა. შ.), რამაც განავითარა დასავლეთი და საბოლოოდ დაასრულა აზიის პატრიარქალური თვითკმაყოფილება.

იმ დროს, როდესაც ევროპელები ვითარდებოდნენ ბერძნული ფილოსოფიის საფუძვლებზე, სამწუხაროდ, შუა საუკუნეებში, ზუსტად იმ დროს, საქართველოს ქართლ-კახეთი იყო გაყოფილი თურქეთსა და სპარსეთს შორის და დადგა მშვიდობა („მშვიდობის გეშინოდეთ“). ამ დროს ყოფა-ცხოვრებაში შემოვიდა აზიური მორჩილება, შურიანობა, ბოღმა, მლიქვნელობით მოპოვებული თანამდებობები და ყმობა, მონობა, ნათესავების გაყიდვა, ჭორაობა, ინტრიგები, მექრთამეობა, ზღვარგადასული ფუფუნება, ლახვრის ზურგში ჩარტყმა, დაინერგა მდაბიო მუსიკა და კეთილშობილება და არისტოკრატია დასაძრახი და დასაცინი გახდა. ბიზანტიამ სრულიად გარყვნა საზოგადოება და დღემდე ეს წყლულები კი არა განიკურნა, არამედ არც არის გაცნობიერებული. მარტივად, ევროპაში იყო ცალკე კეისარი და ცალკე რომის პაპი. ბიზანტიურ ორთოდოქსებში რელიგიური და საერო მმართველი იყო ერთი და იგივე – კეისარი და ყველა მის ქვეშევრდომზე ნაწილდებოდა ღვთაებრივი წილი. ორთოდოქსია ქადაგებს ადამიანის მორჩილებას ღვთაებრივის წინაშე, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობა შეეჩვია იგივე მორჩილების გამოხატვას უფროსობის წინაშე და ეს სავალალო მდგომარეობა უკვე ორი ათასი წელი გრძელდება. ეს მონური მორჩილება უფროსობის წინაშე და უფროსობის მიერ ქვეშევრდომების არარაობად აღქმა აუცილებლად უნდა შეიცვალოს. რა თქმა უნდა, მონობაზე უარის თქმა, დემოკრატია, თავისუფლება, სწორი არჩევანის გაკეთება არ არის იოლი და სწრაფი პროცესი (40 წელი, როგორც ვიცით), მაგრამ მხოლოდ ამ შემთხვევაში არსებობს გადარჩენის ისტორიული შანსი.

პროტესტანტიზმის აღმოცენებამ უზარმაზარი ზიანი მიაყენა კათოლიციზმს და ნახევარი ევროპა დახოცა (30 მილიონი 60 მილიონიდან), მაგრამ კათოლიციზმი გადარჩა იმიტომ კი არა, რომ დაამარცხა პროტესტანტიზმი, არამედ იმიტომ, რომ თვითონაც შეიცვალა და გარდაიქმნა.

ევროპული ცივილიზაცია გვასწავლის განვითარების სწორ ისტორიულ გზას, მართვის ევროპული სისტემის დანერგვის შესაძლებლობას და გვთავაზობს დახმარებას მის განხორციელებაში. საჭიროა მხოლოდ საერთოეროვნული მკვეთრად გამხატული თანხმობა. ევროპელები დღესაც ვერ იგებენ, როდესაც აზიელი ლიდერები, საზოგადოდ, ჭეშმარიტებას ქადაგებენ, მაგრამ ყველა ქვეშემდგომი ინტონაციით ხვდება და ასრულებს სრულიად საპირისპიროს. ეს დაუჯერებელია დასავლეთის კულტურის მატარებლებისათვის, მაგრამ ათასწლიანი ომებისა და დაპყრობების გამო დაუწერელმა კანონებმა ჩაანაცვლა დაწერილი და ამით ყველა აზიური დიქტატორი და ტოტალიტარი სარგებლობდა და სარგებლობს. მაგალითად, თბილისში მუსლიმანების მმართველობის ქვეშ სულ ბოლო საუკუნეებში ქართველებმა თავიანთი ზნე-ჩვეულება შემდეგნაირად შეიცვალეს: ქალაქის მოსახლეობამ უარი თქვა ჰქონოდა ქონება და ამით მათ აღარ ჰქონდათ პრობლემები საგადასახადო სამსახურთან. მთელ დღიურ შემოსავალს ვაჭრობიდან თუ ხელოსნობიდან ყარაჩოხელები და კინტოები[1] ხარჯავდნენ ჭამასა და სმაში. და ამ მუდმივ ჭამა-სმას ქართული ტრადიცია დაერქვა.

რეალური არჩევანი არის არა ის, თუ სად გაიყიდება ღვინო, ციტრუსი თუ ვაშლი, რუსეთში ბევრი და იაფათ, თუ ევროპაში ნაკლებად, მაგრამ ძვირად, არამედ, თუ რა ტიპის ქვეყანა დარჩება მომავალ თაობებს. ეს არ არის ადვილი არა იმიტომ, რომ გარეშე მტერი ხელს უშლის ამ პროცესს, არამედ საკუთარი მმართველი ელიტა კატეგორიულად არ არის დაინტერესებული მოსახლეობის განათლებით და ემიგრანტების დაბრუნების ხელშეწყობით, ვინაიდან ეს ორივე პროცესი ხელს უშლის მათ კომფორტულ ცხოვრებას ბიუჯეტის ხარჯზე ან მოითხოვს მუშაობას, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში უკვე არავინ იცის. არადა, ახლა მსოფლიო ელოდება ქართველებისგან, რომ ისინი შესძლებენ გარდაიქმნან და საზოგადოებიდან, სადაც გაბატონებულია აზიური ტრადიციები – უფროსობის მორჩილება, უთქმელობა, არაკრიტიკული აზროვნება, რელიგიური ფანატიზმი, ნაცნობობით დაუმსახურებელი დაწინაურება, ღვინის უაზროდ დიდი რაოდენობით სმა და ყველა სხვა ბოროტება, რასაც უნდა უთხრათ უარი და რეალურად

[1] სიტყვა კინტო წარმოადგენს რუსულ ტერმინს „казначейский индивидуальный торговец“, იმდროინდელი „სახაზინო ინდმეწარმე“. რუსული აბრევიატურა «К.-Ин.-То» ქართულად წარმოითქმება „კინტო“. ამ მეწვრილმანე ვაჭრებისთვის დაწესებული იყო შავი ფერის უნიფორმა განიერი შავი შარვალით და ბრტყელი ქუდით.

დავიწყოთ ათ მცნებასთან ერთად ევროპული ცივილიზაციის ღირებულებების განხორციელება, როგორიცაა:

1. კანონების უზენაესობა
2. კრიტიკა
3. დემოკრატია
4. რელიგიური ტოლერანტობა
5. პიროვნული თავისუფლება
6. ჰუმანიზმი
7. ინდივიდუალიზმი
8. სექსუალური ემანსიპაცია
9. ათეიზმი

ეთნოგენეზის რეკონსტრუქცია რუსი ავტორების მიხედვით

ყველამ არ იცის და ვერც წარმოუდგენია, რომ მიხეილ ზადორნოვი, ცნობილი რუსი ნაციონალისტი და იუმორისტი-მწერალი, არის ყველაზე ცნობილი პროპაგანდისტი თეორიისა, რომ რუსების წინაპრები იყვნენ რომის, ბიზანტიის, მონღოლეთის, ტროას და იერუსალიმის დამაარსებლები. ამ „სამეცნიერო“ მრავალტომიანი თეორიის ავტორები არიან ფომენკო და ნასონოვი. მათ შეაჯამეს უზარმაზარი ლიტერატურა, რომელიც ამ საკითხზე არსებობდა რუსეთის მეფეების დროიდან.

2006 წელს ა. აბრაშკინი „ტროას ომისა და ხმელთაშუა რუსეთის საიდუმლო“-ში ამტკიცებს, რომ პროტორუსები (არიანები) რუსეთიდან გადავიდნენ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასაწ-ყისში. აბრაშკინს, კაზანსკის და მის მიმდევრებს სჯერათ, რომ არიანები ცხოვრობდნენ მდინარე ვოლგის ირგვლივ ძვ. წ. მე-5-4 ათასწლეულში, როცა კლიმატი ამ ტერიტორიაზე უფრო რბილი იყო.

ისინი წერენ, რომ არიანებმა, რუსების წინაპრებმა, აღმოაჩინეს რუსენა (ქანაანი, არზავა), მითანი Rusena (Canaan, Arzawa), Mitanni ძვ. წ. მე-3-2 ათასწლეულებში. იდუმალი ქვეყანა რუსენა მოხსენიებულია ეგვიპტის ხელნაწერებში ძვ. წ. 2 000 წელს, რომელიც ასევე წარმოითქმოდა, როგორც რუთენა, რუზენა და სხვა, Rutena, Ruzena, რადგან ეგვიპტურ ხელნაწერს ჰქონდა მხოლოდ თანხმოვნები. ის ამტკიცებს, რომ ყველა ტოპონიმი „-არ-“, „-ურ-“ არის რუსული „-იარ-“ წარმოშობის. ასე რომ, შემდეგი სიტყვები რუსული წარმოშობისაა: არაბეთი, სირია, იერუსალიმი, არამეანი, შუმერი, ური, რუსული იაროსლავ და კრასნოიარსკის მსგავსად. რუსი ავტორები რომ ბიბლიის ძველ ვერსიებში პალესტინას ეძახდნენ რუთენას და გალილეას, იესოს დაბადების ადგილს, მაღალ რუთენას.

მას მოჰყავს რუსი ფილოსოფოსის ხომიაკოვის (1804-60) სიტყვები, რომელიც წერდა, რომ არიანები, პელასგები და შუმერები რუსეთის

ტერიტორიიდან გადავიდნენ, ჰიპერბორეადან. ეს მისთვის ნათელია, ვინაიდან არსებობს რუსული სახელი „ბორის“, ასე რომ, „ჰიპერბორეა“ არის რუსეთი! რუსი მწერალი ჩერტკოვი მე-18 საუკუნეში უკვე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პელასგები იყვნენ კულტურულად მონათესავეები რუსებთან. ციტატა: „ბერძნული მითოლოგია აღმოცენდა და განვითარდა სლავურ და რუსულ საფუძველზე“. ის ამას ამტკიდებდა ფაქტით, რომ არსებობს უძველესი რუსული სახელი „ვინოგრად“ „grape“. მან დასვა რიტორიკული შეკითხვა: „როგორ შეიძლებოდა ასეთი სახელი არსებობდეს ქვეყანაში, სადაც ასეთი მცენარე საერთოდ არ იზრდება?“ ის წერდა, რომ პელასგები, ვენეტი, ქანაანელები და ფინიკიელები არიან რუსების წინაპრები იმიტომ, რომ „ქანაანი“ არის „ვან“-ის ვერსია, სადაც „ვ“ შეცვლილია „ქ“-თი და ისტორიული „ვან“-ის სახელწოდება მოდის „ივან“-იდან.

ისტორიის რუსული (აბრაშკინი) რეკონსტრუქციის მიხედვით, რუსების წინაპრების კოალიცია რუსენადამ (ქანაანი, ვანი) და მინოსელები კრეტადან იბრძოდნენ ეგვიპტის წინააღმდეგ ძვ. წ. მე-20-18 საუკუნეებში, დაიპყრეს მესოპოტამია და დააფუძნეს ხურიტული მითანი სხვა ტომებთან (პროტოსომხები ურარტუდან, არამეელები, ამორეველები და ფინიკიელები) ერთად. მას ფაქტად მიაჩნია, რომ „მითანი“ ჟღერს, როგორც „დედა-ანა“ რუსულად „მამა-ანა, მატ-ანა“. მოგვიანებით ეგვიპტემ შესძლო მითანის ჩრდილოეთში განდევნა და ქანაანი ეგვიპტის ხელში აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია ეგვიპტის ელემენტების ამ ტერიტორიაზე გამოჩენა, მათ შორის ეგვიპტელი ებრაელების ჩათვლით, ძვ. წ. მე-13 საუკუნეში.

რუსი მწერლების მიხედვით, ხეთები იყვნენ ინდოარიანები სალაპარაკო ენით, რომელიც ჰგავდა რუსულ ენას(!?). კიდევ ერთხელ რუსმა ავტორებმა მოგვცეს ძალზედ „ეგზოტიკური“ განმარტება, თუ ვინ იყო იდუმალი ტომი – კასკა და გადაწყვიტეს, რომ იყვნენ „კაზაკები“(!?). დიახ, ისინი ამბობდნენ, რომ კაზაკები იყვნენ კიმერიელების ნაწილნი და იბრძოდნენ ხეთებთან.

რა თქმა უნდა, რუსი ავტორები სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ ტროას ომს ძვ. წ. 1200 წელს და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ტროას კოალიცია ჩამოაყალიბეს რუსი წარმოშობის არიანელმა ტომებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ მეზობელ ქვეყანა არზავაში, ხმელთაშუა რუსეთის ნაწილში, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც ლიდია, დედაქალაქ ეფესუსით. რუსი ავტორების მიხედვით, ტროელები და მისი მოკავშირეები არიან წარმოშობით რუსები: ტროელები, დარდანები, პელასგები, ვენეტები, კარიანელები და სხვები. აბრაშკინი წერს, რომ ვენეტების სახელი წარმოშობილია რუსულ სახელიდან „ვანია“. რუსი პელასგები გადავიდნენ პალესტინაში და ეძახდნენ ფილისტინელებს. აბრაშკინი იჩემებს, რომ კარიანელები არიან უძველესი რუსული ტომი კურეტები, რომლებიც ცხოვრობდნენ კრეტას კუნძულზე პრინც კრესის მეთაურობით. სწორედ ამიტომ, ის ფიქრობდა, არის რუსული სიტყვები „კრესლო“ – „სკამი“, „ვოს-კრესენიე“ –

„აღდგომა“ და „კრასნოე“ – „წითელი“. მიზები და მინოანები არიან მოსხები, რომელთაგან გაჩნდა სახელი „მოსკოვი“ (და არა „მცხეთა“). თრაკიელებს ჰქონდათ ისეთი თმის სტილი, როგორც კაზაკებს. კიკონები იყვნენ რუსები იმიტომ, რომ „კიკნ“ ნიშნავს გედს, დაბოლოს, სვამს შემაჯამებელ კითხვას: „ვერავინ იკამათებს, რომ ეს ტომები პროტოსლავები იყვნენ“ (!?).

კარგად არის ცნობილი, რომ აქაველებს ასევე უწოდებდნენ დანაინებს და რუსი ავტორების მიხედვით, დანაინებს აქვთ რუსეთის მდინარეების მსგავსი სახელები – დუნაი, დნესტრი, დნეპრი, დონი. სახელი ჰელენ, რუსი მწერლების მიხედვით, არის რუსული წარმოშობის, რადგან მისი მსგავსი სახელებია „ალენა“, „ოლენა“ და „ოლენ“ „ირემი“. ბერძნების ღმერთი ეროსი მიჩნეულია, როგორც ოდნავ შეცვლილი „როსი“ ან რუსი.

თუმცა მათ გაუჭირდათ ახსნა, რომ როდესაც ზღვის ხალხებმა იცოდნენ რკინა, ყველა ბერძენი, ტროელი და აქილევსიც კი იბრძოდნენ სპილენძის იარაღითა და ფარებით და ეცვათ სპილენძის აბჯარი, როცა პოემაში აღნიშნულია რკინის დისკი შეჯიბრებისათვის. გასაგებია, რომ ალოგიკურია, რომ ვინმე ერთი შტო ყოფილიყო ორივე ბანაკში ერთდროულად.

აქილევსი მიჩნეული როგორც სკვითი (ან ტავროსკვითი) აზოვის ზღვის სანაპიროდან და უკვე მე-19 საუკუნეში (!) ის დასახელებულია როგორც რუსი ვ. ვასილიევის (1838-1899 წწ.) მიერ. იგივე იდეა აღწერილია ა. იუგოვის (1902-1979 წწ.) მიერ ცნობილი პოემის „პრინც იგორის“ პირველი რედაქტორის მიერ 1948 წელს. მაგრამ აბრაშკინიც კი აკრიტიკებდა ვასილიევის მტკიცებულებას, რომ აქილევსი იყენებდა რკინის იარაღს, რადგან მხოლოდ სპილენძის იარაღია ნახსენები პოემაში. თუმცა ეთანხმება, რომ აქილევსი ებრძოდა ყველა ბერძენ მეთაურს და აგამემნონს, მაშასადამე, შესაძლოა იგი რუსი იყო (!?). ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მიკენელები და აქილევსი იყვნენ რუსები იმ ფაქტით, რომ ის იყო ანტაგონისტი აგანემნონთან და იყო „კარგი მებრძოლი“. მათი აზრით, ისტორიაში მხოლოდ არიანელი რუსები იყვნენ კარგი მებრძოლები (!?). ისინი იჩემებდნენ, რომ პატროკლე დაკრძალული იყო რუსული ტრადიციების დაცვით.

მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტე რუსი მწერლების მიერ აღიარებული იყო, როგორც ყველაზე მტრული მათი წინაპრების მიმართ, ეგვიპტელი ღმერთებიც კი მათ მიაჩნიათ, რომ არიან რუსული წარმოშობის. მათ „აღმოაჩინეს“, რომ ეგვიპტურ ქვებზე ხელნაწერები რუსულია და რომ წმინდა კირილემ მხოლოდ გაათანამედროვა „უძველესი“ რუსული ნაწერი და შექმნაკირილიცური ანბანით.

სანაცვლოდ, რამდენიმე წელში, ტროას ომის შემდეგ, ზღვის ხალხები თავს დაესხნენ ბერძნულ მიკენს და ხეთას ძვ. წ. მე-12 საუკუნეში და დაანგრიეს ისინი. შედეგად ებრაელებმაც დაიწყეს ეგვიპტიდან გამოსვლა.

ძვ. წ. 1194 წელს ახალი ზღვის ხალხები დაესხნენ თავს ეგვიპტეს – პელასტს და ტევკრს. კიდევ ერთხელ ყველაფერი ცხადია რუსი ავტორებისთვის – პელასტები იყვნენ სლავი პელასგები, რომლებიც ეგვიპტის დამარცხების

შემდეგ დასახლდნენ პალესტინის ტერიტორიაზე და დაერქვათ ფილისტინელე-ბი. ფილისტინის ღმერთი იყო ვ(ბ)ელესი, რუსული ინტერპრეტაციით ის ამტ-კიცებს, რომ ისინი იყვნენ სლავი წარმოშობის, რადგან „ბელ-“ არის სლავური წარმომავლობის სიტყვა – „ბელ-ი“ „თეთრი“. ტევკრესებიც ასევე მიიჩნევიან ვან-ქანაანების წინაპრებად. რუსი მწერლების მიხედვით, ებრაელები ეგვიპტის მიერ გაიგზავნენ პალესტინის ტერიტორიაზე სპეციალური დავალებით. 40 წელი იყო საჭირო მათთვის, რომ შესულიყვნენ ქანაანში არა უდაბნოში ხეტიალით, არამედ რათა გაწვრთნილიყვნენ ეგვიპტელი ინსტრუქტორების მიერ, რომ ებრძოლათ ქანაანელ ყოფილ სლავებთან. რუსი ავტორები ფიქრო-ბენ, რომ მოსე ელოდებოდა ტროას ომს, როდესაც სლავები შესუსტდნენ, და შემდეგ თავს დასხნენ სლავურ ქანაანს.

რუსი ავტორები წერენ, რომ შურისძიების მიზნით ჩრდილოეთ ბალკანურმა სლავმა დორიელებმა გაილაშქრეს ბერძნების წინააღმდეგ და გაანადგურეს ისინი. შემდეგ არიან-სლავებმა გადაინაცვლეს ვანის ტბის მიდამოებში და დააარსეს ურარტუ და არმენია – „არიანების ქვეყანა“.

რუს ნაციონალისტ მწერლებს სწამთ, რომ ენეასმა (ტროას მეფის ოჯახის წევრი) გაცურა დასავლეთისკენ და დააფუძნა რომი. ენეასი აბრაშკინის მიხედვით, წარმოშობილია რუსული სახელი ივანისგან. ტროელ-ვენეტების სხვა ჯგუფი ჩრდილოეთ იტალიაში გადავიდა მდინარე პოთი, დააარსეს ვენეცია. რუსული ჩვეული სახელი ვანია ამტკიცებს ვენეციელების სლავურ წარმომავლობას. ირლანდია ნიშნავს „ირ-ის მიწას“ რუსული წარმომავლობის. ბრეტანია მიჩნეულია როგორც რეტანია ან რუტენია, როგორც რუსეთის ქა-ლაქი რიაზანი. პარიზის სახელი ჰგავს რუსულ სახელს „ბორის“, წერენ ისინი.

ეტრუსკები მიჩნეულნი არიან რუსებად ა. ხომიაკოვის მიერ და ასევე ე. კუზნეცოვის მიერ, როგორც ტიპური სლავი ტომი სახელით იტალიკ და რუსკ (იტ-რუსკ). რუსი მეცნიერები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეტრუსკების შრიფტი გამოიყურება როგორც უძველესი რუსული, რასაც სხვა არავინ ადასტურებს. ეტრუსკების საკრალური წიგნი იყო „სუდა“, რაც ჰგავს რუსულ „სუდს“- სასამართლო. რუსები ამბობენ, რომ ეტრუსკები თავიანთ თავს უწოდებდნენ „რას“, თუმცა ეს დანამდვილებით არ ნიშნავს „რუს“ ან „რუსულს“, მაგრამ ის, რომ ლათინური „ვინუმ“ და რუსულ „ვინო“ მსგავსია, არ ამტკიცებს, რომ ეტრუსკები იყვნენ რუსები, არამედ იმას, რომ ეს სიტყვა შეიძლება იყოს შუმერული ან კიდევ სხვა წარმოშობის. არაფერს ვიტყვით, რომ ქართული სიტყვა „ღვინო“ უფრო ძველია, რაც აღიარებულია ყველა დასავლელი მეცნიერის მიერ.

პ. ტრეტიაკოვი ამტკიცებს, რომ აღმოაჩინა მსგავსი სიტყვები ჰუნების და სლავების ენებში: „მიოდ“ თაფლი, „კვას“ უალკოჰოლო სასმელი, „სტრავა“ და-კრძალვა, ატილას ხის სახლი აშენებული იყო ძველი სლავური ტრადიციებით, რასაც ნამდვილად შეიძლება დავეთანხმოთ.

ა. ფორმენკოს, გ. ნოსოვსკის, ლ. ბოჩაროვს და სხვა მათ მიმდევარს სწამდა, რომ ისტორია ქრონოლოგიურად გაყალბებული იყო იმ მიზნით, რომ

დაემალათ რუსულ-სლავური რასის დომინირება, რაც შეიძლება არ იყოს შემჩნეული სხვის მიერ, მაგრამ რუსი კაცის მენტალიტეტში რუსეთის მოთხოვნა მათ ევრაზიის კონტინენტზე დომინირების პრეტენზიების ლეგიტიმაციის შესახებ აბსოლუტურად ბუნებრივია, ჩანერგილია ბავშვობიდან და ამ მიზნის გამო მზად არიან, დაიღუპონ ბრძოლაში. მთელ ერს გულახდილად სჯერა, რომ ყველა სხვა მოტყუებულია და სერიოზულად ამტკიცებენ, რომ ისტორიის ქრონოლოგია სახელმძღვანელოებში ხელოვნურად გაგრძელდა 1000 წლით. ისინი ამტკიცებენ, რომ ჯვაროსნებმა 1095 წელს დაიწყეს ომი იმ მიზნით, რომ დაესაჯათ იესოს ნამდვილი მკვლელები. მეტიც, მოჰყავთ ჯაკუს ლე გოფის Jacques le Goff „L'Europe Estelle nee au Moyen Age?" ნაშრომი, რომ მართლაც იყო რწმენა იმ დროს, რომ ჯვაროსნების მიზანი იყო იესოს ნამდვილი მკვლელების დასჯა.

ფომენკო ხაზს უსვამს, რომ თუ ტროას ომი იყო ძვ. წ. 1200 წელს და „ენეიდას" მიხედვით, გადარჩენილებმა და არა შთამომავლებმა დააფუძნეს რომი ძვ. წ. მე-8 საუკუნეში, გამოდის 500-წლიანი დეფიციტი. ან როდესაც ქალაქი პომპეი Pompey დაფარული იყო ვულკანი ვეზუვის Vesuvius ამოფრქვევით ჩვ. წ. 79 წელს, არის მოგზაური იაკობ სანაზარის Jacob Sannazar წიგნი პომპეის აღწერილობით ჩვ. წ. მე-15 საუკუნეში. გამოდის 1500 წლიანი დეფიციტი. ან რატომ ინგრევა უძველესი ტაძრები და კონსტრუქციები ასე მალე თანამედროვე დროში?

შეიძლება დავეთანხმოთ ევრაზიელებს, რომ მონღოლთა იმპერია სინამდვილეში რუსეთის იმპერია იყო. მათ სჯერათ, რომ რუსეთის ისტორია ამ მხრივ რომანოვების დინასტიის (პრუსიელი წარმოშობის) მიერ იყო გაყალბებული იმ მიზნით, რომ დაემალათ რუსების აზიური ფუძე. პეტრე I დიდმა და სხვა მეფეებმა ბრძანეს გაეგზავნათ ყველა ისტორიული წიგნი პეტერბურგში შესამოწმებლად და გადასაწერად. ისინი ამბობენ, რომ რუსულ ფოლკლორში არიან თათრები, მაგრამ ჩაგვრის გარეშე, ბრძოლისა თუ მტრობის გარეშე. ამასთან, მართალია, რომ მართლმადიდებლური რელიგია ძალზედ დაფასებული იყო მონღოლთა ურდოს მიერ. ყველა მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესია კარგად იყო შენარჩუნებული და კიდევ უფრო მრავლდებოდა რაოდენობრივად და ზომაშიც მონღოლთა მმართველობის დროს. ძირითადად, მონღოლებს არ დაუტოვებიათ რაიმე მნიშვნელოვანი მტკიცებულება მათი არსებობის შესახებ (დედაქალაქი, რელიგიური ტრადიციები, ტაძრები, ენა, ხელნაწერი, ნაწერი ტექსტები, ფული, ბრძანებები, სასაფლაოები, ლეგენდები, საკვები, სხვა რამ), არამედ მხოლოდ რუსები. რუსებისთვის ძალზედ ადვილი იყო მონღოლების ნებისმიერი ტერიტორიის დაპყრობა, რაც ხდებოდა არა იძულებით, არამედ უბრალოდ დეკლარაციით, რის მიხედვითაც, ახალი დედაქალაქი იქნებოდა მოსკოვი და სულ ეს იყო. ციმბირის „დაპყრობა" რუსი ჯარისკაცის ერმაკის მიერ (თურქული სახელით), მხოლოდ სიმბოლურია და სინამდვილეში ის უკვე იყო დაქვემდებარებული რუსეთზე.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ლ. გუმილევი წერდა, რომ ბრადენბურგი ნიშნავს რუსულ სიტყვას „ბრანი ბორ“ „ბრძოლის ადგილი“ და რომ ეს ადგილი ეკუთვნის სლავ ლუტიჩებს, რაც მე-5 საუკუნიდან გერმანელებმა დაიპყრეს. ლ. ბოჩაროვი და ნ. ეფიმოვი თავის წიგნში „შეთქმულება რუსეთის ისტორიის წინააღმდეგ“ აღნიშნავენ, რომ გერმანელი ისტორიკოსი კლედენი Kleden 1840 წელს წერდა, რომ ბერლინი დაარსდა სლავურ დასახლებაზე. შემდეგ ასობით თანამედროვე გერმანული ქალაქი დაარსდა ამავე გზით, განსაკუთრებით ლეიფციგი, რომელსაც 5 საუკუნის წინ ეწოდებოდა ლიპეტსკი. ისინი ამტკიცებენ, რომ იძულებითი გერმანიზაცია ჩატარდა ფრიდრიხ დიდის დროს, როდესაც თითოეული სლავი ქალი მიათხოვეს გერმანელ კაცს. სწორედ ამიტომ, ისინი ფიქრობდნენ, რომ სახელი „პ-რუსია“ წარმოიშვა „რუსია“-დან. ამიტომ არის, რომ რუსული და გერმანული ფოლკლორული სიმღერები და ტანსაცმელი ასე მსგავსია.

მაგრამ ამის შემდეგ საერთოდ წარმოუდგენელ რამეს იჩემებენ. რუსი აკადემიკოსის ბ. რიბაკოვის და მწერალ პეტუხოვის მიხედვით, ინგლისური და ირლანდიური კულტურები უმეტესად მემკვიდრეობად გადმოეცა პროტორუსულ ირანულ კულტურიდან. ციტატა: „ინგლისელი „ლედი“ წარმოიშვა რუსი ქალღმერთის სახელიდან „ლადა“. აგრეთვე ის დასძენს, რომ სტოუნჰენჯი Stonehenge ააგეს რუსებმა. აკადემიკოსი მოროზოვი ამტკიცებს, რომ იესო იყო ბიზანტიელი ცარი რუსი წარმოშობის ჩვ. წ. მე-5 საუკუნეში. აგრეთვე ისინი ამტკიცებენ, რომ ჰომეროსის პოემები დაწერილია ფრანგულად მე-15-16 საუკუნეებში და მოგვიანებით ნათარგმნია უძველეს ბერძნულად!

რუსეთში ყოველთვის იყო ისტორიული ფალსიფიკაციების შემთხვევები. ცნობილი ფალსიფიკატორები იყვნენ ალექსეი მუსინ-პუშკინი, რომელმაც აღმოაჩინა იაროსლავის მონასტრის ბიბლიოთეკაში ხელნაწერი „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ („სლოვო ო პოლკუ იგორეევე“) 1795 წელს და ალექსანდრე ივანეს ძის სულაკაძევი, რომელიც აღიარებულია, როგორც ლიტერატურული სიყალბის „ველესის წიგნი“-ს ავტორი, სადაც უძველესი სლავური ისტორია აღწერილია ხის ფიცრებზე. 1919 წელს თეთრგვარდიელმა ლეიტენანტმა ისენბეკმა აღმოაჩინა ხის ფიცრების შეკვრა უცნაური ნაწერით გაძარცვულ სახლში ხარკოვში. არმიის დამარცხების შემდეგ, ისენბეკი დასახლდა ბრიუსელში. 1941 წელს გერმანელებმა ოკუპაციაში მოაქციეს ბრიუსელი, ისენბეკი გარდაიცვალა და ფიცრები დაიკარგა. მხოლოდ ფოტოები და ხელნაწერები გადარჩა. ზოგი ფიქრობს, გერმანელებმა წაიღეს ფიცრები ანენერბეს Ahnenerbe არქივში. ველეს წიგნის მიხედვით, ძვ. წ. მე-10 საუკუნეში, პროტოსლავი ტომები ცხოვრობდნენ „ზღვის გაღმა, 7 მდინარის მიწაზე“. წიგნი აღწერს სლავების მიგრაციას სირიის მიწაზე, მეფე „ნაბსურ“-თან (ნაბონასარი?) მონობაში ყოფნას, სლავების ბრძოლას გოთებთან, ჰუნებთან, ბერძნებთან და რომაელებთან. წიგნი მთავრდება სლავთა დამარცხებით და ნორმანების გაბატონებით.

ძალზედ ცოტა ავტორია რუსეთში (ნოვოდვორსკაია), ვინც რეალისტურად აფასებდა რუსეთის როლს ისტორიაში. ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ რუსეთის ისტორია განწირულია პრობლემებისთვის ბუნებრივი რესურსების და დიდი მანძილების გამო. სამწუხაროდ, უძველესი დროიდან, მათ ჰქონდათ ბეწვი, ხორბალი, ნავთობი და უამრავი სხვა, მაგრამ ისტორია ამტკიცებს, რომ ბუნებრივი სიმდიდრე მხოლოდ აფერხებს ინტელექტუალურ და შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას. ამერიკულმა ოქრომ დაბლოკა ესპანეთის განვითარება, ხოლო „ღარიბი“ რესურსების მქონე ინგლისი და იაპონია მნიშვნელოვნად განვითარებული იყო „დიდ“ საფრანგეთთან და ჩინეთთან შედარებით, ისლამის ქვეყნების ნავთობმა არ შეუწყო ხელი მათ განვითარებას. საბერძნეთის სუსტმა გაფანტულმა ქალაქ-სახელმწიფოებმა დაამარცხეს უმდიდრესი სპარსეთის იმპერია მხოლოდ მათი თავისუფლების ჟინით, კონკურენტუნარიანი ინტელექტუალური განვითარებით. რუსეთის ეკონომიკის ბაზას წარმოადგენდა უზარმაზარი ხორბლის მინდვრები, რომელიც მხოლოდ კოლექტიურად შეიძლებოდა დამუშავებულიყო. და ისინი ცხოვრობდნენ ერთად ყოველგვარი პირადულის გარეშე, კერძო საკუთრებისა და საკუთარი ოჯახების გარეშეც კი, საერთო ცოლებითა და შვილებით. მაგალითად, იაპონიაში ყველა ოჯახი თავად თესავდა ბრინჯს და სადილს ოჯახში ცალკე ამზადებდნენ და მიირთმევდნენ. იგივე ხდებოდა მთებშიც, სადაც ინდივიდუალიზმმა პიკს მიაღწია. ყველა ევროპულ ქვეყანას ჰქონდა შეზღუდული ტერიტორიები. ყველამ იცოდა თავისი და სხვისი საზღვარი. მხოლოდ რუსებს არ ჰქონდათ საზღვრები. რამდენიმე დღე იყო საჭირო რუსეთის ორ დასახლებულ პუნქტს შორის გადასაადგილებლად. ასე რომ, ისინი არ უვლიდნენ მიწებს და არ გრძნობდნენ პასუხისმგებლობას, რათა გაეუმჯობესებინათ იგი, უბრალოდ გადადიოდნენ სხვა მიწაზე. ეს დესტრუქციული ექსპანსიონიზმის ინსტინქტი ღრმა ფსიქოლოგიურ ფენომენად დარჩა რუსულ მენტალიტეტში, რაც განსაზღვრავდა საგარეო პოლიტიკას საუკუნეების მანძილზე თანამედროვე დრომდე. მათ სჭირდებათ დიდი ტერიტორიები, რადგან ფსიქოანალიზურად ქვეცნობიერში სურთ ფლობდნენ უსაზღვრო ტერიტორიას არასასიამოვნო რეალობიდან გასაქცევად, რასაც XXI საუკუნის კონფლიქტების უდიდეს წყაროდ ჩამოყალიბდა.

ეთნოგენეზის რეკონსტრუქცია თურქი ავტორების მიხედვით

თუქრი ისტორიკოსების მიხედვით, მათი ერი გაჩნდა ალტაიში და გაიზარდა ველებზე. ისინი იჩემებენ, რომ ძირითადად წარმოდგენილნი იყვნენ როგორც ყივჩაყები. განსხვავდებოდნენ მონღოლებისგან, რადგან ჰქონდათ ქერა თმები და ცისფერი თვალები. ყივჩაყები, ან ჰუნები, სუბიექტურად და არასამართლიანად იყვნენ აღწერილნი რომაელი და ბერძენი ისტორიკოსების მიერ, რადგან მათთვის უცნობნი და მტრულნი იყვნენ. ყივჩაყებმა შემოტანეს

ევროპაში ცივილიზაციის შემდეგი ნიშნები: კოვზი, ჩანგალი, შარვალი, ჭამის წინ წყლით ხელის დაბანვა, როცა რომაელები იყენებდნენ არაბ ბიჭებს, რათა ქონიანი ხელები გაეწმინდათ მათ ხუჭუჭ თმებში.

ისინი წერენ, რომ თურქი ყივჩაყები იყვნენ სკვითები, არა მხოლოდ ჰუნები, არამედ გოთებიც, რომ მეფე დავითი იყო ლურჯთვალება თურქი, რომ ჩინგიზ ყაენმა შემოიღო ცეცხლსასროლი იარაღისა და თოფის გამოყენება. ამტკიცებენ, რომ ბრიტანეთის მეფე არტური და, რა თქმა უნდა, ატილა, იყვნენ ყივჩაყები. თანამედროვე ნაშრომებშიც კი, ისინი ვატიკანს აბრალებენ ატილას სიკვდილს. თურქი ავტორები იჩემებენ, რომ თურქებს და ვიკინგებს ჰქონდათ ერთნაირი რუნული ხელნაწერი და ეთნიკურად იყვნენ ერთნი; რომ ატილას დროშა ასახავდა ჯვარს, რაც იყო თურქი ღმერთის თენგრის სიმბოლო.

როგორც წესი, მომთაბარეებს ისტორიკოსები მიიჩნევენ, როგორც გაუნათლებელ ბუნებრივ დამპყრობლებს, მაგრამ ეს ბოლომდე სწორი არ არის. ოჯახთან ერთად მომთაბარის მოგზაურობას სჭირდება დიდი რაოდენობით საკვები ხალხისთვის და ცხენებისთვის, და შესაბამისად, პირიქით, მაღალი განვითარების ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა იძლეოდა საშუალებას ოჯახებთან ერთად დიდ მანძილზე ლაშქრობაში წასვლისა. როგორც წესი, თითოეულ მებრძოლს სჭირდებოდა 5-6 დამხმარე მუშა იარაღის შესანახად, ასევე აღჭურვილობისთვის, მარაგის გადასაადგილებლად და სხვა.

თუქრი მწერალი მურად აჯი თავის წიგნში „არმაგედონი“ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბერძნებმა გაანადგურეს ყველა უძველესი წიგნი, განსაკუთრებით კი ისტორიული წიგნები (რაც ცნობილია). მაგრამ ის უფრო შორს მიდის, და ამ ცენზურის გაგრძელებას, ინკვიზიციის ჩათვლით, დღემდე ხედავს. ის თვლის, რომ ინკვიზიცია შლიდა ევროპაში თურქული დამწერლობისა და ენის ყველა ნიშანს. ამავე დროს ამტკიცებს, რომ იგნასიო ლოიოლაც კი იყო ტიპური თურქი ალტაიდან, რადგან მისი ოჯახის ბიოგრაფიაში წერია, რომ მოვიდნენ აღმოსავლეთიდან. როგორც თურქული ისტორიის დამალული ცენზურის მაგალითს, ის აღწერს შემთხვევას, როდესაც ცნობილმა სომეხმა აკადემიკოსმა იოსებ ორბელმა დაწერა წიგნი ალბანური მონუმენტების ხელნაწერებზე 1919 წელს. შემორჩენილია მხოლოდ ასლები, რადგან ეს გამოცემა სრულად განადგურდა. სამაგიეროდ, ის გახდა სომხეთის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი და პეტერბურგის ერმიტაჟის დირექტორი.

მოსკოვში წითელ მოედანზე ვასილი ნეტარის კათედრალი Saint Basil's Cathedral აიგო ივანე მრისხანის მიერ ყაზანის აღების მოსახსენებლად, რომელიც ძალზედ იდუმალი შენობაა და არასდროს გამოყენებულა როგორც კათედრალი. ლუნაჩარსკი, ბოლშევიკური და საბჭოთა მთავრობის პირველი განათლების მინისტრი, განთავისუფლებული იყო თანამდებობიდან 1919 წელს, რადგან წინააღმდეგობას უწევდა ამ ტაძრის დანგრევას. ის იყო ყაზანის მეჩეთის მსგავსი, ასევე ჩინგიზ ყაენის დედაქალაქის ყარაყორუმის მეჩეთის ასლი. და მეფე ივანე იმეორებს მეჩეთის ნაგებობას ქრისტიანული ტაძრისთვის?

და რატომ იყო ყველა მეჩეთი აგებული მე-19 საუკუნემდე ცენტრალურ აზიასა და ინდოეთში, ტაჯ მაჰალის ჩათვლით, ორიენტირებული არა მექაზე, არამედ ალტაისკენ, თენგრის Tengri თურქული რელიგიის ცენტრზე. მ. აჯი მიიჩნევს ივანე მრისხანეს თათარ ხანად. ქრისტიანული პოლონეთის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსი ეროვნული გმირები, მინინი და პოჟარსკი, იყვნენ თათრები და ვერ საუბრობდნენ რუსულად. ის წერდა, რომ რიურიკები იყვნენ ნამდვილი სამეფო ოჯახის წევრები ალტაის თურქებისათვის და მონღოლებისთვის და ჩინგიზების შემდეგ ძალაუფლება ბუნებრივად გადავიდა რიურიკებზე.

1472 წელს მოსკოვის მეფემ ივანე III-მ ცოლად შეირთო ბიზანტიელი პრინცესა სოფია პალეოლოგი Sophia Paleologue. მაგრამ საოცარია, რომ ქორწილი იყო პეტრესა და პავლეს ბაზილიკაში რომში და მეფის ნაცვლად ქორწილის ცერემონიას სიძის მაგივრად ესწრებოდა რუსი ელჩი. რომის პაპს სურდა თურქები მოსკოვიდან ნებისმიერ ფასად გაეძევებინა. მალე ასობით ბერძენი ბერი გამოჩნდა სოფიას გარშემო მოსკოვში და მოსკოვი გახდა ქრისტიანული. რუსულ ეკლესიაში პატრიარქ ნიკონის რეფორმების მიერ გამოწვეული რასკოლი 1653 წელს მოხდა არა იმიტომ, რომ ორი თითის ნაცვლად პირჯვარი უნდა გადაეწერათ სამი თითის შეკვრით, ან „ალილუია“ ორის ნაცვლად უნდა წარმოთქმულიყო სამჯერ, ან სახელი ისუსის ნაცვლად უნდა დაწერილიყო იესო, არამედ იმ მიზნით, რომ გაექროთ თურქების ყველანაირი კვალი რუსეთის ისტორიიდან.

მ. აჯი შამილის სისხლიან მმართველობას კავკასიაში ნეგატიურად მიიჩნევდა. მიურიდიზმი არ იყო ისლამი, ის მხოლოდ კავკასიაში არსებობდა სუნიტი ლიდერის შიიტ მოსახლეობაში. ის კითხულობს, თუ რატომ იღებდა შამილი უზარმაზარ პენსიას მეფისგან და მისი შვილები კი მაღალხელფასიან სამსახურებში მუშაობდნენ. შამილი კალუგაში ცხოვრობდა სამსართულიან სახლში, რასაც აქამდე ვერც კი წარმოიდგენდა. იქვე ახლოს ცხოვრობდა გენერალი ბარიატინსკი, რომელმაც ის ტყვედ აიყვანა გუნიბში. ის გაცილებით პატარა სახლში ცხოვრობდა და ისინი წლებს ატარებდნენ ერთად, საღამოობით ჩაის სმაში. გენერალ ალექსეი ერმოლოვსაც ორიოლში ბევრად უფრო პატარა სახლი ჰქონდა. შამილის პირად საქმეს ინგლისის დაზვერვაც დღემდე საიდუმლოდ ინახავს.

რამდენიმე თვის წინ სატელევიზიო გადაცემაში თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა განაცხადა, რომ მუსლიმებმა აღმოაჩინეს ამერიკა კოლუმბზე ადრე. ის აცხადებდა, რომ მუსლიმები ამერიკაში მე-12 საუკუნიდან მოგზაურობდნენ. ამას ადასტურებდა იმით, რომ კოლუმბი თავის ჩანაწერებში ახსენებდა, რომ დაინახა მეჩეთი კუბის ერთ-ერთ მთაზე. რა თქმა უნდა, მეცნიერები ამას ხსნიან იმ გარემოებით, რომ რეკონკისტას სისხლიანი ბრძოლები ახალი დამთავრებული იყო და ბევრი ესპანელი ამერიკელებს უძახოდნენ მურებს და მათ შენობებს – მეჩეთებს. ასეთი მარტივი ინტერპრეტაცია დიდი პოლიტიკის საგანი ხდება.

თანამედროვე ევროპის ეთნოგენეზი და ეთნოისტორია



– იბერიელების ევროპული ცივილიზაცია
– ინდოევროპელები (კელტები, გოთები)
– ჰუნები-სლავები-აზიელები ევროპაში

ჩვ. წ. II-V საუკუნის მიგრაცია

მიგრაციის რამდენიმე ტალღამ განაპირობა თანამედროვე ევროპელი ხალხის ეთნოგენეზი:

– პირველად ევროპა დასახლებული იყო წყალდიდობის ან გამყინვარების პერიოდის (ძვ. წ. 10 000 წელს), შემდეგ უძველესი ტომებით, რომელთაც ააგეს მეგალითები Stonehenge და სხვა. ქართველი და დასავლელი (ჯანაშია, ჰუმბოლტი, სხვ.) ავტორების მიხედვით, ისინი ძირითადად იყვნენ **იბერიული** ელემენტები კავკასიიდან და საუბრობდნენ იბერიულ ენაზე, მათი ნარჩენები კი აღმოჩენილია პელასგურ, ეტრუსკულ, ბასკურ და ქართულ (მეგრული, ლაზური, ჭანური, სხვ.) ენებში. იბერიელი ხალხი წარმოშობილია კავკასიიდან (ნოეს მთა არარატი) და წარმოადგენს უძველეს სუბსტრატს თანამედროვე ევროპის მოსახლეობისა.

– იბერიელებზე დამკვიდრდენ **ინდოევროპული კელტური** ტომები ძვ. წ. 5000-2000 წწ-ში, რომლებიც ასევე მოვიდნენ კავკასიის და კიდევ უფრო შორეული ტერიტორიებიდან. ლიტვაში დაბადებული ამერიკელის მარიჯა გიმბაუტსის Marija Gimbautas და ბრიტანელი არქეოლოგი ც. რენფრიუს C. Renfrew ყორღან ჰიპოთეზის Kurgan hypothesis მიხედვით, შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორია მიჩნეულია, როგორც ინდოევროპელების სამშობლო: ანატოლია კელტებისთვის და უკრაინის სტეპები გერმანული ტომების. კელტ-იბერიული ნარევი იყო მთავარი სუბსტრატი ევროპისთვის დიდი ხნის განმავლობაში.

– **რომაული ცივილიზაციის** გავრცელება დაფუძნებული იყო ანატოლიიდან ტროას ცივილიზაციაზე. ბოლოს რომაელები აირივნენ ბარბაროსთა ახალი შემოსევების ტალღაში;

– ახალი მიგრაციის პერიოდი ევროპაში (**გოთების** მიგრაცია Völkerwanderung) განხორციელდა ჩვ. წ. 300-700 წწ-ში. ინდოევროპული გერმანული ტომები (ოსტოგოთები, ვესტგოთები, ბურგუნდიელები, სუები, ალამანები, ვანდალები და ფრანკები Ostrogoths, Visigoths, Burgundians, Suebi, Alamanni, Vandals and Franks) შევიდნენ კულტურულად წინ მდგომ რომაულ იმპერიაში. პირველები, ვინც შევიდნენ რომში, როგორც ლტოლვილები ჰუნებისაგან, იყვნენ ვესტგოთები ჩვ. წ. 376 წელს და დასახლდნენ იბერიის ნახევარკუნძულზე. მათ მოჰყვათ ოსტოგოთები, რომელთაც მართავდა თეოდორიკი დიდი Theodoric the Great, დასახლდნენ იტალიაში და შემდეგ ჩაანაცვლეს ლომბარდებმა (ლანგობარდებმა). ფრანკების სამეფო გახდა მომავალი საფრანგეთისა და გერმანიის ცენტრი. ამასობაში, რომაულ ბრიტანეთს ნელ-ნელა იპყრობდნენ ანგლები, საქსები და იუტები Angles, Saxons, Jutes.

სკანდინავიიდან ვიკინგები მთელ ევროპას მოედვნენ მე-8 საუკუნეში და დასახლდნენ ნორმადიაში, შოტლანდიასა და ირლანდიაში. მათ მე-11 საუკუნეში დაიპყრეს ინგლისის საქსების სამეფო, ირლანდიის უმეტესი ნაწილი, სამხრეთ იტალია, სიცილია და რუსეთი (ვარიაგები). ნორმანები ძირითადად შეადგენდნენ დაპყრობილ ქვეყნებში მცირე მმართველ წრეს.

– აზიის ტომები შეიჭრნენ ევროპაში: **ჰუნები** (ნაკლებად დასავლეთ ევროპაში), სლავები, ალანები, ავარები, მადიარები, ბულგარელები აღმოსავლეთ ევროპაში ჩვ. წ. მე-7-მე-9 საუკუნეებში.

არაბებიც ცდილობდნენ ევროპაში შეჭრილიყვნენ მცირე აზიიდან მე-7-მე-8 საუკუნეებში, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ კონსტანტინოპოლთან ბიზანტიასა და ბულგარეთის გაერთიანებულ ძალებთან 717-718 წწ-ში. ამავე დროს, ისინი შეიჭრნენ ევროპაში გიბრალტარის გავლით, დაიპყრეს ვესტგოთების ესპანეთი 711 წელს, სანამ საბოლოოდ 732 წელს არ შეაჩერეს ფრანკებმა პუატიესთან Poitiers (ან ტურსის Tours, ბრძოლა ამ ორი ქალაქს შორის გაიმართა). ამ ბრძოლამ დააფიქსირა ქრისტიანობასა და ისლამს შორის საზღვარი მომდევნო სამი საუკუნის მანძილზე. იბერიაში დასახლდნენ მუსლიმი არაბები, ბერბერები და მურები, მაგრამ რეკონკისტას Reconquista შემდეგ ისინი ძირითადად განადგურდნენ. ასევე უშედეგოდ დასრულდა თურქების ევროპაში შეჭრა ვენის მიდამოებში სობიესკის მიერ მათი დამარცხების შემდეგ.

ევროპელების ეთნოგენეზი – იბერიელები IBERIANS

დადგენილია, რომ მეგალითური მონუმენტები ევროპაში (იმ დროს არ იყო ცხენები და ბორბლები) წინ უსწრებდა კელტურ კულტურას, და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ისინი აგებულია უძველესი იბერიული ტომების მიერ, რომლებიც ამ შორეულ მიწებში ნადირობდნენ ყინულის უკან დახევის დროს ძვ. წ. 10000-6000 წწ-ში.

იბერეს *Iberes* და თიბერანის *Tiberani (T-Iberani) სახელით იყვნენ ცნობილი* თუბალის Tubal შთამომავლები (ასურელი მეფეების ანალებში მათ იბერიელებს *Iberian უწოდებდნენ*). ებრაელი ისტორიკოსის ფლავიუს იოსეფუსის Flavius

Josephus მიხედვით ჩვ. წ. პირველ საუკუნეში ბერძნები მათ უწოდებდნენ იურნოის *Iouernoi,* ასევე ჰიბერნის ან ჰიბერიანს *Hiberni* or *Hibernians* – რომაელები.

იბერიელები დასახლდნენ დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე და რომაელებმა მათი სახელი მიანიჭეს მთელ იბერიის ნახევარკუნძულს. იბერიელები დასახლდნენ ბრიტანულ ირლანდიაში ზღვის გადმოკვეთით ძვ. წ. მე-5 საუკუნეში.

ქართველი ავტორების მიხედვით, უძველესი იბერების გავრცელების ადგილები იყო – მესოპოტამია (შუმერი), ანატოლია (ტროა) და კავკასია (იბერიელები (მოსოხი და თუბალი), კოლხები, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩერქეზეთი), ბალკანეთის ნახევარკუნძული (პელასგები და მინოსელები), იტალია (ეტრუსკები), პირინეის ნახევარკუნძული (ბასკები), ბრიტანეთი (ირლანდია, კალედონია-შოტლანდია).

ევროპული ენები

მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი (3 მილიარდი) საუბრობს ინდოევროპულ ენებზე: ინგლისური, გერმანული, ესპანური, პორტუგალიური, ჰინდი, ბენგალური და რუსული. სინო-ტიბეტურ ენათა ოჯახში (ჩინეთი) მეორე დიდი მოლაპარაკეთა ჯგუფია. არაინდოევროპული ენები ევროპაში იყო და არის: უძველესი იბერიული, პელასგური, ხურიტული, ეტრუსკული, ბასკური, ქართული და სხვა კავკასიური ენები.

ახლა ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ერებს მონოპოლიზებული აქვთ მსოფლიოს კულტურული და მეცნიერული პროგრესი, მაგრამ ძვ. წ. 1-3 ათასწლეულს შუმერული, ანატოლიური და სემიტური ცივილიზაციების პერიოდში, ყველა ინდოევროპულად მოსაუბრე იყო ველური ბარბაროსი. ინდოევროპელებს არ ჰყავდათ მოშინაურებული არც ერთი ცხოველი, არ გამოუყვანიათ რაიმე მცენარე და არ დაუმზადებიათ რაიმე ინსტრუმენტი.

არის რამდენიმე ჰიპოთეზა, თუ სად და როდის დაიწყო საუბარი ინდოევროპულ ენაზე (მაგრამ არასდროს წერდნენ). ძვ. წ. მე-5-7 ათასწლეულს შავ ზღვასა და კასპიის სტეპებზე ყორღანის ჰიპოთეზის მიხედვით, რომელიც ეკუთვნის ლიტველ-ამერიკელ არქეოლოგს მარიჯა გიმბუტასს Marija Gimbutas 1956 წელს, ან ანატოლიაში კოლინ რენფრეუს Colin Renfrew ანატოლიის ჰიპოთეზის მიხედვით.

იაფეტური თეორიის თანახმად, ნიკო მარის (1864-1934 წწ.) თეორიის მიხედვით, იაფეტური ენა, რომელიც ნოეს ვაჟის სახელს ატარებდა, ევროპაში არსებობდა, სანამ გაჩნდებოდა ინდოევროპული ენები. მარი ამტკიცებდა, რომ კავკასიის ქართული ენა დაკავშირებული იყო იაფეტურ ენებთან.

საბჭოთა ლინგვისტმა თამაზ გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა (სამეცნიერო ამერიკა, 1990 წლის მარტი) აღწერეს, რომ ინდოევროპული ენები წარმოშობილია 6000 წლის წინ ანატოლიასა და ამიერკავკასიაში. რეკონსტრუირებული პროტოინდოევროპულ ენაში ლანდშაფტი აღწერილია, როგორც მთიანი, რომელიც დამოწმებულია უამრავი სიტყვით მაღალმთიან ადგილებზე და სწრაფ მდინარეებზე. ენას აქვს სიტყვები „მთის მუხა“, „არყის ხე“, „წიფელი“, „რცხილა“, „იფანი“, „ტირიფი“ ან „თეთრი ტირიფი“, „ურთხელი“, „ფიჭვი“, „ნაძვი“, „მანანა“ და „ხავსი“. აქ ისეთი ცხოველების სახელებია, რაც ევროპისთვის უცხოა: „ლეოპარდი“, „თოვლის ლეოპარდი“, „ლომი“, „მაიმუნი“ და „სპილო“.

ფრანგი ლინგვისტი მარი ბროსე Mari Brosse 1860 წელს წერდა, რომ პროტოქართული „გუთი Guti“-დან, მომდინარეობს სპარსული ღმერთი „ჰუდა Huda“-სგან, წარმოშვა ინგლისურად „God“, გერმანულად „Got“ და თანამედროვე ქართულად „ღმერთი“. ნიკოლაი ვავილოვი, ცნობილი საბჭოთა მცენარეთა გენეტიკოსი 1940 წელს ვარაუდობდა, რომ პროტოქართული „ღვინო“ იდენტურია იტალიურ „ვინ“-ის და გერმანულ „ვაინ“-ის, ასევე ინდოევროპული woi no ან wei no, პროტოსემიტური wajnu, ეგვიპტური wns, და ხეთური wijana. მან აღმოაჩინა ასევე, რომ ყველაზე ძველი ყურძნის ჯიში იყო კავკასიური და მოდის მხოლოდ ბასკეთის და საქართველოს ტერიტორიაზე.

ევროპელების ეთნოგენეზი – კელტები CELTS

ტერმინი „კელტური“ გამოიყენება ირლანდიის, შოტლანდიისა და უელსის კულტურასთან დაკავშირებით. კელტური ენა წარმოადგენს ინდოევროპული ენების ოჯახს, რომელზეც დღესაც საუბრობენ: შოტლანდიური, ირლანდიური და სხვა Scottish, Irish, Manx (Gaelic), Welsh, Breton and Cornish (Brythonic). დღესდღეობით, „Celt“ წარმოითქმის როგორც „კელტი“ და „კელტური“, როდესაც მიეთითება ეთნიკურ ჯგუფზე და მის ენებზე, ხოლო სპორტული გუნდის სახელები წარმოითქმება „სელტ“ და „სელტიკ“ (მაგ., ბოსტონ სელტიკი და სხვა).

კელტებიც ანატოლიიდან გავიდნენ (მტრების ან მოსავლის ნაკლებობის გამო) და დასახლდნენ შორეულ იბერიულ დასახლებებში ცივ ევროპაში. ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯის კვლევამ აჩვენა, რომ ირლანდიური და შოტლანდიური გენი დაკავშირებულია ბასკი ხალხის გენებთან. ეს გამოხატავს, რომ უძველესი კელტები (ბასკების ნათესავები) იბერიულ მოსახლეობასთან იყო შერეული. იგივე აზრი გამოთქვეს ლენერც-დე უაილდმა (2011:329) და უნტერმანმა Lenerz-de Wilde, Untermann, რომლებიც ხაზს უსვამდნენ მ. ლუისა რუიზ-გალვეზის Mª. Luisa Ruiz-Gálvez (1998 წ.) არქეოლოგიურ მტკიცებულებას, რომ იბერიის ნახევარკუნძულის კელტიზაცია განახორციელა ხალხმა,

რომელნიც ანატოლიიდან მოვიდნენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროთი ძვ. წ. მე-5 საუკუნეში. კელტებმაც სწორედ იმ ტერიტორიიდან იმოგზაურეს, სადაც იბერიელები მოვიდნენ ფეხით რამდენიმე საუკუნის წინ.

პოსეიდონის Poseidonius მონაცემებზე დაყრდნობით, დიოდორუსმა Diodorus (*Hist. Univ.*, 5, 33, 38) განსაზღვრა „კელტიბერიელები" Celtiberians, როგორც უძველესი იბერიელებისა და კელტების კომბინაცია. აპინი Appian (*Iber.*2) ამტკიცებს, რომ კელტიბერიელები იყვნენ კელტები, რომლებიც დასახლდნენ იბერიელებთან. ეს აზრი გაიზიარა სტრაბონმა Strabo (III, 4, 5), რომელმაც მოიხსენია „კელტები, რომლებიც ახლა თავიანთ თავს უწოდებენ კელტიბერიელებს".

თუ რა ენებზე საუბრობდნენ ირლანდიელი და ბრიტანელი ხალხი კელტების მოსვლამდე უცნობია, მაგრამ ესპანეთში ძველი ენა შემორჩა და ეს არის იბერიული (ბასკურთან დაკავშირებული) არაინდოევროპული ენა. მოგვიანებით, ძვ. წ. პირველი საუკუნიდან კელტებმა დაიწყეს კელტურ ენაზე საუბარი, რომელიც უკვე ინდოევროპული იყო.

კელტები იბრძოდნენ რომაელებისა და გოთების წინააღმდეგ. ლათინები მათ უწოდებდნენ „Galli"-ს, რომაელები კი „Gauls". სახელები რომლებსაც ბერძნები იყენებდნენ იყო Galatai, Galatae, Getae, Celtae, Keltoi. მათ დააარსეს ქალაქი მედიოლანუმი Mediolanum (თანამედროვე მილანი) და ძვ. წ. 309 წელს გალებმა გაძარცვეს რომი, რის შემდეგ მათი ნაწილი ნადავლით დაბრუნდა ანატოლიაში, რომელსაც მიიჩნევდნენ თავიანთ სამშობლოდ, და დააარსეს თავიანთი დამოუკიდებელი სამეფო გალათია. ისინი ცნობილნი იყვნენ, როგორც უსასტიკესი დამოუკიდებელი ხალხი, რომელთა შთამომავლებს მოციქულმა პავლემ ცალკე დაუწერა ცნობილი ეპისტოლე, გალათელთა მიმართ.

იულიუს ცეზარმა დაიპყრო კელტი გალები და კელტების ბრიტანეთი ძვ. წ. 50 წელს, სადაც აშენდა კედელი ჩრდილოეთ ბრიტანეთის გასწვრივ, რათა დაეცვა რომის მფლობელობაში მყოფი სამხრეთი ველური ჩრდილოელი კალედონიელი კელტური ტომებისგან.

კელტების საბოლოო დასასრული დადგა ჩვ. წ. მე-4 საუკუნეში, როდესაც ჰუნებმა აიძულეს გერმანული გოთების ტომები წასულიყვნენ რომის იმპერიაში და ვესტგოთებმა რომი აიღეს ჩვ. წ. 410 წელს. ჩვ. წ. მე-5 საუკუნეში იტალიაში დაარსდა ოსტოგოთური სამეფო და რომაელების ცივილიზაცია დასრულდა. ამავე დროს რომის ხელისუფლებამ ბრიტანეთს შეუთვალა, რომ მათ თავი უნდა დაეცვათ დამოუკიდებლად. თავდაცვის მიზნით რომაელ-ბრიტანელმა ლიდერმა ვორტიგენმა Vortigen დაიქირავა გერმანელი გოთები (საქსები, იუტები და ანგლები Saxons, Jutesand Angles), სანაცვლოდ ამ დაქირავებულებმა მიიღეს უფლება დასახლებულიყვნენ კელტების მიწაზე აღმოსავლეთ ბრიტანეთში ჩვ. წ. მე-6 საუკუნეში. ჩასახლებით, და უფრო ხშირად ომით და ძალით, ახალმა მიგრანტებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი სამეფოები და დაერქვა

ინგლანდი *Angleland, შემდგომ* ინგლისი[1] *England*. ზუსტად ამ დროს, ლეგენდის მიხედვით, მეფობდა მეფე არტური თავისი მეგობრებით, რომაელების მიერ დაქირავებული აღმოსავლელი რაინდებით.

გოთურმა ელემენტებმა კი არ ჩაანაცვლა კელტური, არამედ ჩასახლდენ მათ შორის, ზუსტად ისე, როგორც კელტები დასახლდნენ აბორიგენ იბერიელებთან. შესაბამისად, კელტ-იბერიული გენეტიკა შემოინახა ევროპის ყველაზე დასავლურ ნაწილში – ბრიტანეთის ჩრდიოლოეთსა და ბასკეთში.

ევროპელების ეთნოგენეზი – ირლანდიელები (მილეზიანები) IRISH (MILESIANS)

კელტურ-ირლანდიურ მითოლოგიაში ისინი არიან იაფეტისა და თუბალის მოდგმის მილეზიუსის Milesius (Míl Espaine) შთამომავლები. ტერმინი მილეზიანები Milesians არ უნდა ავურიოთ უძველესი ბერძენი ხალხის იმავევე სახელთან, მაგრამ ზოგადად სპეკულაციების სრული გამორიცხვა ძნელია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ბერძენი მილეზიანების და ირლანდიელი მილეზიანების წინაპრების საერთო წარმოშობას ანატოლიიდან, და მათ, როგორც ქართველი ავტორები აღნიშნავენ, ნათესაობას ქართველ პელასგებთან.

ლებორ გაბალა Lebor Gabala (შემოსევების წიგნი, ჩვ. წ. მე-11 საუკუნეში დაწერილი) აღწერს ირლანდიელი ხალხის წარმოშობას. მილეზიუსის მეფობის დროს ისინი მიგრაციაში წავიდნენ შავი ზღვის ტერიტორიიდან ეგვიპტეში. 1571 წელს ედმუნდ კამპიონი Edmund Campion წერდა, რომ ეგვიპტეში მილეზიუსმა ცოლად შეირთო ფარაონის ქალიშვილი სკოტა Scota. მოსემ იწინასწარმეტყველა, რომ მილეზიუსის შთამომავლები იბატონებდნენ ირლანდიაში („ბედნიერი დასავლეთ კუნძული, გველებისგან თავისუფალი“). მილეზიუსი და მისი ხალხი, ებრაელების მსგავსად, უსამართლო ფარაონმა გაუშვა და მრავალი წლის შემდეგ მათ მიაღწიეს ესპანეთს (იბერიას). 1320 წლის არბროატის დეკლარაცია Declarationof Arbroath გვამცნობს, თუ როგორ ჩამოაღწიეს შოტლანდიელებმა შოტლანდიაში იმის მერე, რაც „ცხოვრობდნენ ესპანეთში დიდი ხნის განმავლობაში ყველაზე ველურ ტომებთან ერთად“ და დააარსეს ქალაქი ბრიგანტია Brigantia (A Coruña) ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იქ აღმართული კოშკიდან გადმოხედვის დროს, მილეზიანები ხედავდნენ შეპირებულ კუნძულს ზღვის გასწვრივ და მრავალი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ სანაოსნო დესანტისთვის.

[1] ბრიტანეთის ფორმირებაში მიიღეს მონაწილეობა აგრეთვე ვიკინგებმა Vikings, რომლებიც შეიჭრნენ მე-9 საუკუნეში, და ნორმანებმა ორმანს (ან ჩრდილოეთ ხალხმა Northmen – ყოფილი დანიელი ვიკინგები), რომლებმაც დაიპყრეს ინგლისი 1066 წელს.

სეუმას მაკმანუსი Seumas MacManus თავის წიგნში „ირლანდიური რასის ისტორია“ წერდა, რომ მილეზიუსი გარდაიცვალა ესპანეთში და ვერ მიაღწია ირლანდიამდე, როგორც მოსე გარდაიცვალა, სანამ მისი ხალხი აღთქმულ მიწაზე შევიდოდა. დაბოლოს, მისმა რვა ვაჟმა მის ქვრივ სკოტასთან ერთად გაცურეს ბასკების ქვეყნიდან Basque Country ჩრდილოეთ კუნძულისკენ. კუნძული უკვე დასახლებული იყო უძველესი იბერიული წარმოშობის ხალხით, მაგრამ აბორიგენებთან რამდენიმე ბრძოლის შემდეგ მილეზიანმა კელტებმა დაიმორჩილეს ისინი ძვ. წ. 1-2 საუკუნეებში და კუნძულს ეწოდა ჰიბერნია (ირლანდია) Hibernia (Ireland) მილეზიუსის ერთ-ერთი ვაჟის მიერ, რომელსაც იბერია Iberia ერქვა. დღემდე შოტლანდიაში არის ადგილები – ივერ-ნეს, ივერ-გორდონ, ივერ-ურ Iver-ness, Iver-gordon, Iver-ur („ურ“ – ქალაქი შუმერულ და ბასკურ ენებში, „ერ „ – ქართველი ხალხი, „იბ“ – ბასკების წყალი (ასევე იბ-ერ, შუმ-ერ)).

ბრიტანეთში ჩასახლებისას კელტები (რომელთაც ეწოდებოდათ Goidels, Gaels) შეხვდნენ უძველესი იბერიელების ივერნის Iverni ტომებს (ასევე Euerni), და აღწერდნენ, რომ ისინი იყვნენ პატარები, მუქთმიანი რასა, მკაცრი შესახედაობითა და მოგრძო თავით. სტრაბონი პირველი საუკუნის ნაშრომში „გეოგრაფია“ *Geographia მოყვანილია ამ ჩრდილოეთის კუნძულის ბერძნული სახელწოდება*, როგორც *Iernh.* პტოლემეოსი მეორე საუკუნის ნაშრომში აღწერს ივერნის წინაკელტურ ტომებს როგორც *Eraind, Erainn, Everiu* და მოგვიანებით *Eire*, საიდანაც მომდინარეობს ტერმინი ირლანდიელი-ირლანდია Irish, Ireland, Eire.

სახელი ბრიტონი Briton წარმოდგება ბრუტუსიდან *Brutus*, ბრიტანეთის პირველი მეფის სახელი, პრე-კელტური იბერიული წარმოშობით, რომელმაც გაუძლო კელტების უამრავ შემოსევას (ან *Gaels*-ის) ძვ. წ. დაახლოებით მე-7 საუკუნეში, ვისთან ერთადაც ბრიტანეთის კუნძულების „გაკელტებული აბორიგენული მოსახლეობა“ შეიქმნა საბოლოოდ. მოგვიანებით რომაელებმა მოიხსენიეს ის, როგორც ბრიტანეთის *Britannia* მიწა, და დაიპყრეს ძვ. წ. 50 წელს.

ბოლო კვლევები ცხადყოფს, რომ ბრიტანეთის ირლანდიის მოსახლეობის 75%-ს და ირლანდიელი ხალხის 88%-ს აქვთ ბასკური (უძველესი იბერიული) წარმომავლობა. ბოლოს გამოცემულ ორ წიგნში „Blood of the Isles“ by Bryan Sykes and „Origins of Britons“ by Stephen Oppenheimer, გენეტიკური კვლევების შედეგად ირლანდიელი ხალხის უმეტესობა იბერიის ნახევარკუნძულის ხალხების შთამომავლები არიან სხვადასხვა მიგრაციის შედეგად. ჯონ ინესი სტატიაში „დნმი აჩვენებს, რომ შოტლანდიელები და ირლანდიელები წარმოშობით ესპანელები არიან“ John Innes „DNA shows Scots and Irish should look to Spainfor their ancestry“ წერდა, რომ შოტლანდიელები და ირლანდიელები შესაძლოა იყვნენ პორტუგალიელებისა და ესპანელების ნათესავები (იბერიელი შთამომავლები). დანიელ ბრედლი Daniel Bradley, დუბლინის კოლეჯის გენე-

ტიკოსი, ადამიანის გენეტიკის ამერიკულ ჟურნალში გამოცემულ სტატიაში ამტკიცებდა, რომ ბრიტანეთსა და ირლანდიაში კელტები შემოვიდნენ ესპანეთიდან დაახლოებით ძვ. წ. 500 წელს.

განსხვავებული (ბობოქარი, დაუმორჩილებელი, მეოცნებე, უწესრიგო, იმპულსიური, მსმელი) ირლანდიური (კელტური და იბერიულის ნარევი) გენი თანამედროვე სამყაროში არ იყო თავიდანვე დაფასებული. ანტიირლანდიური რასისტული უარყოფითი სტერეოტიპი, როგორც ლოთები და უწესრიგოები, ფართოდ იყო გავრცელებული მე-19 საუკუნის ვიქტორიანულ ბრიტანეთში. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, ესპანური არმადის Armada ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილი ესპანელები შეუღლდნენ იქაურ ქალებზე, მაგრამ მათი რაოდენობა უმნიშვნელო იყო. თუმცა ზოგი ესპანელი ჯარისკაცი მსახურობდა ირლანდიის თავკაცებთან, ბრაიან ო'რურკთან, მაკდონელთან და ჰიუ ო'ნეილ-თან Brian O'Rourke, MacDonnelland Hugh O'Neill.

ჯონ ბედოე John Beddoe, გაერთიანებული სამეფოს ვიქტორიანელი ეთნოლოგისტი, წიგნში „ბრიტანეთის რასები: წვლილი დასავლეთ ევროპის ანთროპოლოგიაში" 1862 წელს წერდა, რომ ყველა გენიოსი იყო „ორთოგნატი" (რომელთაც ჰქონდათ უკან შეწეული ყბა), როცა უელსელები და ირლანდიელები იყვნენ „პროგნატები" (ჰქონდათ გამოწეული ყბა). ბედოე ასევე დასძენდა, რომ კელტები ჰგავდნენ კრომანიონელ კაცებს, ეს უკანასკნელნი კი „აფრიკოიდულ" რასას. „აფროკოიდი კელტები" ბედოეს წიგნში ძალზედ განსხვავებულნი არიან ანგლო-საქსებისგან. ბენჟამინ დისრაელი Benjamin Disraeli, დედოფალ ვიქტორიას საყვარელი პრემიერ-მინისტრი, აცხადებდა, რომ „ირლანდიელებს სძულთ ჩვენი კანონები, ჩვენი ცივილიზაცია, სამეწარმეო ინდუსტრია და ჩვენი წმინდა რელიგია (დისრაელის მამამ უარი თქვა იუდაიზმზე ანგლიკანური ეკლესიის გამო)." სასოწარკვეთილმა ფროიდმა Freud გაღიზიანებით აღნიშნა, რომ ირლანდიელები ერთადერთი ხალხია, რომელთაც ფსიქოანალიზით ვერ დაეხმარები, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არასდროს შეიცვლებიან.

არის მსგავსება დღესდღეობით „კავკასიელებისადმი" რუსეთის შოვი-ნისტური დამოკიდებულებისა. მსგავსი „კავკასიური" მახასიათებლები აშკარაა ორივე – კელტური და კავკასიური ერებისთვის – სიმამაცე-აგრესიულობა, ემოციურობა-ძალადობა, მიზანდასახულობა-წინდაუხედულობა, თავისუფლე-ბის მოყვარეობა-მოუსვენრობა, ფიზიკური სიძლიერე-ძალადობა, შეუპოვრობა-ჯიუტობა, კრეატიულობა-უწესრიგობა, მჩაგვრელებისა და უსამართლობის მიმართ შეუწყნარებლობა-ველურობა და ბოლოს ალკოჰოლის უზომოდ სმა – ალკოჰოლის ამტანობა, რაც განპირობებულია ალკოჰოლდეჰიდროგენაზას ენზიმის არსებობით. ჩრდილოეთ და აღმოსავლეთის ხალხებში – რუსები, ესკიმოსები, ჩინელები და სხვა, სადაც არ არსებობს ყურძნი, ვენახი, ღვინო და ბევრი მზე, ეს ფერმენტი გენეტიკურად განუვითარებელია. მისი არსებობა ირლანდიელ ხალხში მხოლოდ მათი „სამხრეთული" წარმოშობით აიხსნება.

პოპულარული კელტური სტვირები bagpipes ასევე ცნობილია საქართველოს მთებში უძველესი დროიდან.

წმინდა პატრიკის მიერ ირლანდიელი ხალხის მონათვლამდე, კელტები ველურად ცხოვრობდნენ. მათი სექსუალური ჩვევები ძალზედ ამორალური იყო და ფართოდ იყო გავრცელებული ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა. ისინი წირავდნენ ტყვეებს ომის ღმერთებს და ახალშობილებს მოსავლის ღმერთებს. სამაგიეროდ ქრისტიანობა გავრცელდა ირლანდიაში სისხლის გარეშე. ზოგიერთი წარმართული დღესასწაული (ჰელოვინი Halloween) დღემდე შემორჩა. ირლანდიელმა ბერებმა დატოვეს ჩვეულებრივი ადამიანური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კომფორტი და სიამოვნება და წავიდნენ ყველაზე შორეულ ადგილებში განსამარტოებლად, რათა შეესწავლათ ბიბლია და ღმერთთან ურთიერთობა. ამ სიშორეზე ისინი გადაურჩნენ მტრების მიერ აწიოკებას. როდესაც 406 წელს მდინარე რაინი გაიყინა და ასობით ათასი დამშეული გერმანელი გოთები დაიძრნენ დასავლეთისკენ, შორეული ირლანდია გადარჩა, ხოლო რომაული ცივილიზაცია გაქრა. 410 წელს ალარიხი, ვესტგოთების მეფე, მთელი თავისი ძალებით თავს დაესხა და აიღო რომი. უკანასკნელი ლათინური იმპერია დაეცა და მხოლოდ ბერძნული იმპერია დარჩა ბოსფორზე აღმოსავლეთით. ევროპა ქაოსმა მოიცვა. საუკუნეების მანძილზე არ იყო განათლების საშუალება (ბნელი წლები).

ზუსტად ამ დროს ირლანდიელმა ბერებმა დაუფასებელი სამსახური გაუწიეს ევროპას და ცივილიზაციას. მათ დაიწყეს მოგზაურობა ზღვით და ფეხით ევროპის დარჩენილ ნაწილებში. კონტინენტის ყველა უდიდესი ბიბლიოთეკა გაუჩინარდა და წიგნები გადარჩა და გავრცელდა მხოლოდ მოხეტიალე ირლანდიელი ბერების მადლით. მათ შეინარჩუნეს და ხელახლა გაავრცელეს ევროპაში დასავლური ლიტერატურა – ყველაფერი, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდათ. ბიბლიოთეკები მხოლოდ ესპანურ ანდალუსიაში მუსლიმ მურებთან გადარჩა. ირლანდიელებმა დაიწყეს წიგნების მოპოვება, შეგროვება, გადაწერა. ნახევარზე მეტი ბიბლიური კომენტარი 650 წლიდან 850 წლამდე დაწერილია ირლანდიელი ბერების მიერ. ახლა ირლანდიელმა ბერებმა დაიწყეს გაველურებული ევროპის განათლება. დაარსდა ბევრი ირლანდიური სამონასტრო უნივერსიტეტი. საინტერესოა, რომ თანამედროვე წიგნის ფორმა, უფრო მაღალი, ვიდრე ფართო, განპირობებული იყო ცხვრის ტყავის ზომებით და მისი რაც შეიძლება უფრო ეკონომიური გაჭრით. რომ არა ირლანდიელი ბერების მისია, რომლებმაც ამ უიმედო „ბნელ“ საუკუნეებში“ ააღორძინეს ქრისტიანული მწიგნობრობა, ევროპის ცივილიზაცია სულ სხვა გზით განვითარდებოდა, ვინაიდან სულ მალე ევროპის ცენტრში ავსტრიაში მათ უწევდათ სასტიკი დაპირისპირება თურქულ არმიასთან.

ძველი აღთქმა ჩვენამდე მოვიდა გაფანტული ებრაელების მადლით, ბერძნული ბიბლია (და არა ბერძნული წინაქრისტიანული ფილოსოფია, რომელიც მხოლოდ მუსლიმანურ ქვეყნებში არაბულ ენაზე შენარჩუნდა და მხოლოდ

რენესანსის დროს გადაითარგმნა ევროპულ ენებზე) შენარჩუნებული იყო ბიზანტიაში, მაგრამ ლათინური ტექსტები, რომ არა ირლანდიელები, ნამდვილად დაიკარგებოდა. ირლანდიელი ბერები მონარქების წინააღმდეგაც ბედავდნენ წასვლას. „რა აშორებს სულელს ირლანდიელისგან?“ დაცინვით ეკითხებოდა იმპერატორი ირლანდიელ მისიონერს სადილის დროს. „მხოლოდ მაგიდა“– იყო თამამი პასუხი. და სწორედ ამ ირლანდიურ საგანმანათლებლო სამუშაომ გადაარჩა ევროპული ცივილიზაცია, ვინაიდან, როდესაც ისლამმა დაიწყო შუა საუკუნეებში გაფართოება, არ იქნებოდა არანაირი სამხედრო წინააღმდეგობა გაფანტული ევროპული სამეფოებისაგან, თუ არა თეთრ მატყლის მანტიაში ჩაცმული ირალნდიელი ქრისტიანი ბერების იდეური სიმტკიცე.

სამწუხაროდ, უბედურებების სერიამ ირლანდიის გავლენა ევროპაში დასასრულისკენ მიიყვანა: ვიკინგების შემოსევა მე-11 საუკუნეში და ნორმანების მე-12 საუკუნეში, ელიზაბეტის გენოციდური პოლიტიკა, ტყეების გაჩეხვა, რათა შემცირებულიყო პარტიზანული წინააღმდეგობა, კალვინისტ კრომველის რეპრესიები კათოლიკეების წინააღმდეგ, დიდმა შიმშილობამ 1845-1851 წწ-ში, როდესაც ერთი მილიონი ირლანდიელი დაიღუპა და მოსახლეობის ნახევარზე მეტის ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში ემიგრაცია. ახალ ქვეყნებში ირლანდიელების განვითარება და გავლენა მუდმივად მყარდება.

ევროპელების ეთნოგენეზი და ბასკებ-ქართველების ურთიერთკავშირი

ბასკები Basques ცხოვრობენ ბასკების ქვეყანაში ესპანეთში და საფრანგეთის გასკონიაში[1] Gascony. ბასკების ენას უწოდებენ ეუსკერას Euskera. დღევანდელი დასავლელი ავტორების მიხედვით, ბასკები არიან უძველესი ინდოევროპელამდელი იბერიელი მოსახლეობის წარმომადგენლები ევროპაში, რომლებიც მოვიდნენ აღმოსავლეთიდან და დასახლდნენ ძვ. წ. მე-4-მე-3 ათასწლეულში დასავლეთ ევროპაში და გადავიდნენ დიდ ბრიტანეთში. ასე ჩამოყალიბდა დასავლეთ იბერიელების ოჯახი (კელტების და შემდეგ გოთების სხვადასხვა რაოდენობის შერევით), ესპანელი, პორტუგალიელი, კორსიკელი, ბასკი, კატალონიელი, აკვიტანიელი, დიდი ბრიტანეთის აბორიგენი.

ბასკმა ინტელექტუალმა პოზამ Poza (მე-16 საუკუნე) ბასკების წინაპრად თუბალი Tubal დაასახელა, ანუ შესაბამისად იბერიელები. ფრანგი ბასკი ავტორი

[1] იულიუს კეისარი, რომელმაც დაამარცხა აკვიტანია Aquitaine გალების წინააღმდეგ თავის კამპანიის დროს, აღწერს მათ, არა როგორც კელტებს, არამედ იბერიელებს. ფილოლოგები თვლიან, რომ მათი ენა იყო ბასკური ენის დიალექტი, ამას გარდა, რეგიონი ცნობილი იყო, როგორც ვასკონია Vasconia ადრეულ შუა საუკუნეებში. გასკონია არის ფუა გრას foie gras, არმანიაკის კონიაკისა Armagnac brandy და მუშკეტერი დარტანიანის სამშობლო.

აუგუსტინ ჩაჰო Augustin Chaho (მე-19 საუკუნე) თავის წიგნში „აიტორის ლეგენდა“ ასევე ამტკიცებს, რომ ბასკების საერთო პატრიარქი იყო აიტორი Aitor, თუბალის შთამომავალი. ამას ეთანხმება ცნობილი ბასკი მწერალი მიგელ დე უნამუნო Miguel de Unamuno, რომ ყველა ბასკის ნამდვილი მამა იყო თუბალი, ნოეს შვილიშვილი.

ევსევი კესარიელი Evsevi Kesarieli ჩვ. წ. მე-3 საუკუნეში წერდა, რომ: „ნაბუქოდონოსორმა, ჰერაკლეზე უფრო ძლიერმა, ჩამოაყალიბა ძლიერი არმია და დაამარცხა ლიბია და იბერია. მან შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე გადაასახლა ამ მოსახლეობის ნაწილი“. ასევე მეგასტენი Megasthen წერდა იმავეს წიგნში „ინდოეთი“ ბიბლიური მეფის ლიბიაზე და იბერიაზე გამარჯვებას შესახებ, და რომ ისინი გადაასახლა პონტუსზე. პლატონი და ფლავიო ადასტურებენ იმავე ინფორმაციას ნაბუქოდონოსორის მიერ ესპანეთისა და პონტოს დაპყრობის შესახებ. ყველაფერი ეს გვაძლევს შესაძლებლობას ვიფიქროთ, რომ დამპყრობელი გაემართა შავ ზღვიდან ხმელთაშუა ზღვის აფრიკის ნაპირებზე ლიბიის გავლით და მიაღწია გიბრალტარს და ესპანურ იბერიას.

ქართველი მკვლევარი შოთა ძიძიგური წიგნში „ბასკები და ქართველები“ (1978 წ.) აღწერს „ეუსკარო-კავკასიელების ჰიპოთეზის“ რამდენიმესაუკუნიანი გამოძიების შედეგებს და მოჰყავს ბასკოლოგ-ქართველოლოგის იან ბრაუნის Ian Brown მონაცემები იბერი-ივერია-ჰიბერია-ჰიბერან-თიბერანი-თუბალ-თაბალის Iberi-Iveria-Hiberia-Hiberan-Tiberan-Tubal-Tabal კავშირზე. უძველესი იბერიელები დასახლდნენ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე იტალიაში (ეტრუსკები), საფრანგეთში (აკვიტანიელები, გასკონელები), ესპანეთში (ანდალუსიელები, ბასკები, კატალონიელები, ლიგურიელები), ჩრდილოეთ აფრიკაში (ლიბიელები, ბერბერები), სიცილიაში, სარდინიასა და კორსიკაში. შესაძლებელია ეთნოგრაფიულად და ანთროპოლოგიურად ეს ხალხი იყოს ანატოლიის ტროას მეომრების შთამომავლები. უძველესი ბერძენი და რომაელი ავტორებიც კი სწავლობდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ იბერიელების კავშირს.

ანთროპოლოგიურად, პროტოევროპელი იბერიელების თავისებური მახასიათებლები აღწერილი აქვს ასევე მარქსიზმის კლასიკოსს, ფრიდრიხ ენგელსს Fridriech Engels: „მოგრძო თავის ქალა, არც ძალიან მაღალი – 1,65 კაცები და 1,46 ქალები, გრძელი სწორი ცხვირით“. 1964 წელს არქეოლოგმა ფუსტმა Fust აღმოაჩინა 5 000-წლიანი ძველი სპილენძის მაღარო, სადაც დამარხული იყო 40 მუშა. ანთროპოლოგებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ყველა მათგანი იყო კავკასიური წარმოშობისა.

ბასკები არიან გრძელი სწორი ცხვირით (როგორც კარგად ცნობილი სირანო დე ბერჟერაკი, Cyrano de Bergerac, გასკონელი ფრანგულ ჯარში), სქელი წარბებით, ძლიერი ნიკაპითა და გრძელი ყურის ბიბილოებით. წინა წლებში, როდესაც ესპანელები და ფრანგები იყვნენ საკმაოდ დაბალი ადამიანები, ბასკი მამაკაცები ხასიათდებოდნენ დიდი, ფართო გულმკერდით, ფართო

მხრებითა და ახოვანი ტანით. ისინი ღვინოს დიდი რაოდენობით სვამენ. როგორც მთიელებისათვისაა დამახასიათებელი, მათ არა აქვთ თავადობის და ყმობის ტრადიცია. ბასკებს ახასიათებთ სიმღერის სიყვარული. ფრანგული გამონათქვამი „სიმღერა ბასკების მსგავსად“ ეკუთვნის მას, ვინც მღერის ხმამაღლა, კარგად და ხშირად.

სერვანტესის Cervantes „დონ კიხოტში“ Don Quixote de la Mancha მე-16 საუკუნეში ბასკები, ბისკაინები Vizcayan, ძლივს საუბრობენ ესპანურად. ბასკს აქვს დიდი ხმალი და დაჟინებით იჩემებს ბრძოლას. „მე მოკვლა შენ, ან მე არა ბისკანი“, ამბობს ის. მე-12 საუკუნეში ფრანგმა ბერმა დაწერა 5-ტომიანი ნაშრომი და გამოიტანა დასკვნა, რომ ბასკები იყვნენ შოტლანდიელების შთამომავალნი, რადგან ეცვათ ქვედა ბოლოები. ის წერდა, რომ ბასკები იყვნენ უხეშები, საუბრობდნენ პრიმიტიულად და მიდრეკილები იყვნენ დანაშაულისკენ. ისინი ძალზედ ველურები იყვნენ დელიკატური ფრანგებისთვის, რაც იწვევდა ანტიბასკურ სენტიმენტებს.

ცნობილი წიგნის გმირი დარტანიანი D’Artagnan იყო გასკონიიდან (ბასკონია) და კინოს გმირი ფანფან ტულპანი Fanfan la Tulipe აკვიტანიიდან (გასკონიიდან[1]), რომლებსაც ფრანგი მწერლებიც სხვა მოსახლეობისგან განსხვავებულად მიიჩნევდნენ. ალექსანდრე დიუმას Alexander Dumas წიგნის „სამი მუშკეტერის“ გმირი ჰგავდა იმ ადამიანებს, ვინც მან ნახა კავკასიასა და საქართველოში მოგზაურობის დროს, სადაც ის წერდა, რომ ქართველები არიან ყველაზე მამაცი და ლამაზი ხალხი მთელ კავკასიაში.

დასავლეთ და აღმოსავლეთ იბერიის ეთნოგენეტიკური ნათესაობის იდეა ასევე პოპულარული იყო შუა საუკუნეების საქართველოშიც. ცნობილი ქართველი რელიგიური მწერალი გიორგი მთაწმინდელი (1009-1065 წწ.)

---

[1] გასკონიელი იყო ფრანგი გენერალი ბერნადოტი Bernadotte, რომელმაც დააარსა შვედეთსა და ნორვეგიაში ბერნადოტის დინასტია 1818 წელს. გენერალი ბერნადოტი მსახურობდა ნაპოლეონის არმიაში და 1808 წელს გაუძღვა კამპანიას შვედეთის წინააღმდეგ დანიის გავლით. კამპანიის წარუმატებლობის მიუხედავად, ფრანგებს ბევრი ტყვე ჩაუვარდათ ხელში და გენერალმა ბერნადოტმა ისინი მოხიბლა თავისი რაინდული დამოკიდებულებით. 1810 წელს ის იყო უნდა დანიშნულიყო ახალ პოსტზე, როგორც საფრანგეთის რომის მმართველი, რომ ის მოულოდნელად აირჩიეს უშვილო და მოხუცი შვედეთის მეფის მემკვიდრედ. ბერნადოტიმ ნაპოლეონს აცნობა გვირგვინის შეთავაზების შესახებ, რამაც იგი ფრიად გააკვირვა, მაგრამ ნებართვა მისცა და გადადგომის პატაკზე ხელი მოაწერა. გენერალი ჩავიდა სტოკჰოლმში და რიკსდაგის მიერ არჩეულ იქნა, როგორც შვედეთისა და ნორვეგიის მეფე 1818 წლიდან. მეფე ბერნადოტი დაჯილდოვდა ესპანეთის ოქროს საწმისის ორდენის კავალრობით, რაც ნიშნავდა მისი მეფედ აღიარებას. ის რომაული კათოლიციზმიდან გადავიდა პროტესტანტულ ლუთერანიზმზე, არასდროს უსწავლია შვედური ან ნორვეგიული სასაუბრო ენა, რადგან შვედეთის არისტოკრატია უმეტესწილად ფრანგულად ლაპარაკობდა. როგორც შვედეთის არმიის მეთაური, მას გამარჯვებებიც აქვს მოპოვებული ფრანგული არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში!


+40%
+15%
+25%
+5%
+80%
+60%
+40%
+10%
+50%
+25%
+80%
+15%
+60%
+10%
+50%
+25%
+25%
+15%
+5%
+10%
+5%
Eupedia map of haplogroup R1b


Sparsely populated
+20%
+10%
+30%
+50%
+40%
+20%
+60%
+60%
+2.5%
+30%
+20%
+5%
+15%
+5%
+15%
+2.5%
Eupedia map of haplogroup R1a


X
U
I,W
J,T
K
C
F
R
Z
CZ
R0,HV,H,V
B
D
N
L3
L2
M
L1
M
"EVE"

აღნიშნავდა ქართველი თავადების სურვილს, ემოგზაურათ იბერიის ნახევარკუნძულზე, რათა მოენახულებინათ „ქართველები დასავლეთში“. ათონის მთაზე, ივერონის მონასტერში მოღვაწე მღვდლები დასავლელ იბერიელებს უწოდებდნენ კელტ-ქართველებს. სამწუხაროდ, სქიზმის schism შემდეგ, 1054 წელს ყველანაირი კავშირი ბოლო 1000 წლის მანძილზე შეწყვეტილია. მხოლოდ შორიდან, როგორც ფრანგი მოგზაური შარდენი Sharden წერდა, 1672 წელს ქართველმა მეფემ თეიმურაზმა ახსენა ესპანეთის მეფე, როგორც მისი ნათესავი. შემდეგ კაპუცინებიც ადასტურებდნენ, რომ ესპანელები და იბერიელები ძმები არიან.

ამჟამად რამდენიმე გენეტიკური კვლევაა ჩატარებული (Y-ქრომოსომის და მიტოქონდრიული დნმ-ის DNA), მაგრამ ჯერ ზუსტი პასუხი, ბასკები და კავკასიელები იზიარებენ საერთო არაინდოევროპულ წინაპრებს, არ არის. ორნელა სემინო Ornella Semino გამოყოფს ესპანელებს Rlb ჰაპლოჯგუფით – 50-80 % (განსაკუთრებით ბასკების ქვეყანში და დიდ ბრიტანეთში 80-90%) და კავკასიელებს (განსაკუთრებით აფხაზებს 33%), ხოლო R1a გავრცელებულია რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში.

მიტოქონდრიული დნმ-იდან mtDNA დასავლეთ ევროპაში ყველაზე გავრცელებულია hg H და 40% შეადგენს. მისი სიხშირე სხვაგან მხოლოდ კავკასიაშია მაღალი– 10-30%. ჰაპლოჯგუფი H13 ყველაზე მეტად მაღალია კავკასიასა და სარდინიაში.

სისხლის ჯგუფები ძალზედ განსხვავებულია რეგიონიდან რეგიონში. მაგალითად, ევროპელების 20% მიეკუთვნება B (III) ჯგუფს და 30%– A (II) ჯგუფს. კაცობრიობის დანარჩენი 45% მიეკუთვნება 0 (I) ჯგუფს. ძალიან იშვიათად (5%) გვხვდება AB (IV) ჯგუფი. აღმოსავლეთ ევროპელებს და რუსებს უფრო მეტად აქვთ B ჯგუფი, ყველაზე მეტი ინდოელებს. ბასკებს უმაღლესი კონცენტრაცია აქვთ O ჯგუფის სისხლის მთელ მსოფლიოში – 50%-ზე მეტი (თითქმის 75%). დანარჩენი კი არის სისხლის A ჯგუფის. ბასკებში B ჯგუფი ძალზედ იშვიათია. ირლანდიელებს, შოტლანდიელებს, კორსიკელებსა და კრეტელებს ასევე ახასიათებთ ძალზედ იშვიათი სისხლის O ჯგუფის მაღალი სიხშირე. O ჯგუფის ბასკების 27%-ის (21-36%) სისხლი ასევე რეზუს Rh უარყოფითია (ყველაზე მაღალი პროცენტი მსოფლიოში, ისევე როგორც კაკასიელებსა[1] და ბერბერებს). სწორედ ამიტომ არის ნაყოფის მოშლისა და მკვდარი ნაყოფის დაბადების მაღალი მაჩვენებელი. საშუალოდ ამერიკის,

[1] რეზუს-Rh უარყოფითი სისხლი, ოკულტური სწავლების მიხედვით, მიჩნეულია, როგორც წმინდა ადამიანური სისხლი, როდესაც რეზუს პროტეინი გამოხატავს პრიმატებთან კავშირს. მათი თეორიის მიხედვით, რეზუსის არქონა ნიშნავს მაღალ განვითარებას, სითეთრეს, ცისფერ თვალებს და სხვას, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ რეზუს უარყოფითი ქალები ბუნებრივად ბლოკავენ რეზუს დადებით ნაყოფს. რეზუს დაავადება (ჰემოლიზური ანემია ახალშობილებში) ძალიან ხშირია აგრეთვე კავკასიელებში.

აფრიკის, აზიისა და ავსტრალიის აბორიგენებში რეზუს დადებითების რაოდენობა თითქმის 100% აღწევს. ევროპელებში ეს პროცენტი 83-85%-ს შეადგენს. ყველაზე დაბალი ეს მაჩვენებელი ბასკებში – 65% Rh+.

ბერტორელე და ნასიძე Bertorelle and Nasidze (Eur J Hum Genet. 1995;3(4):256-63) პადოვას უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტიდან, იტალია, შეადარეს ბასკურ ენისა და კავკასიური ენების მატარებლების გენეტიკა კონტროლთან, მაგრამ აშკარა კავშირი დადგენილი ვერ იყო.

ქართველმა ენათმეცნიერმა პეტრე მირიანაშვილმა (1860-1944) ერთერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ირლანდიერ ჰიბერთა Hiberia და ქართველ იბერთა Iberia ენობრივ და კულტურულ კავშირს. გაზეთ „ივერიაში“ (1884) გამოქვეყნებულ თავის წერილში „არიელ ენათა ჯგუფი და ქართული ენა“ ის თვლის რა, რომ ირლანდიელები და ქართველები არიან არიული წარმოშობისანი, მათ ენებს აქცევს არიულ ენათა ჯგუფში. მირიანაშვილი თვლიდა, რომ ქართველთა ღვთაება „ბორი“, ირლანდიელთა ღვთაება „ვაჩი“ და ოსების ღმერთი „ვაჩილა“ უკავშირდება ინდოელთა „ვედაში“ „ვოტ/ვოქს“-ის სახელით ხსენებულ „ელვა-ჭექის მბრძანებელ“ ქალღმერთს. ირლანდიელებისა და ქართველების, საზოგადოდ კი დასავლელი ჰიბერებისა და აღმოსავლელი იბერების ნათესაობის იდეას იზიარებდა ზვიად გამსახურდიაც, რომელიც ეყრდნობოდა გერმანელი ენათმეცნიერის, ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტის დამაარსებლის, თანამედროვე განათლების სისტემის დამფუძნებლის, ვილჰელმ ჰუმბოლდტის (1767 – 1835) Wilhelm von Humboldt შრომებს, რომელიც ბასკების და საერთოდ იბერიელების კულტურას და ენას სწავლობდა. ის იყო ბასკოლოგიის დამაარსებელი და ჩაატარა პირველი კვლევები ბასკურ-იბერიულ კავშირებზე და მიიჩნევდა, როგორც ბევრი სხვა დასავლელი მეცნიერი, რომ იბერიელები ესპანეთში მცირე აზიიდან გადმოვიდნენ. ეს ასევე აიხსნება იმით, რომ უძველესი ისტორიის და ტრადიციული გადმოცემებით, ირლანდიელები მოსულები არიან ევროპაში აღმოსავლეთიდან და რომ თავდაპირველად ისინი ქალდეველთა და სპარსელთა მეზობლად ცხოვრობდნენ. ჰუმბოლტი და კრეშმერი Kretschmer, მე-19 საუკუნის ორი ევროპელი ლინგვისტი, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქართველები Kartvelians ლინგვისტურად და კულტურულად ახლოს იყვნენ დაკავშირებულნი უძველესი ევროპის აბორიგენ ხალხებთან, რომელთა შორისაა ეტრუსკები და ბასკები (ბენინგჰაუსი Benninghaus, 1989 წ, 475-497 გვ.). საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დარწმუნებით თვლიდა, რომ „ბასკური მეოთხე ქართველური ენაა“.

შედარებითი ფილოლოიის ავტორიტეტი, ფრიდრიხ მილერი Dr. Friedrich Miller, თავის ნაშრომში ლინგვისტურ მეცნიერებაზე, აღნიშნავდა, რომ ინდო-გერმანული ენები ეფუძნება დეციმალურ decimal რიცხვთა სისტემას, და დასძენს, რომ კელტ-იბერიელები იყენებენ ვიგისიმალურ vigesimal სისტემას, რაც შემორჩა თანამედროვე ბასკურ, ფრანგულ და ქართულ ენებში. იბერიელი ბასკების თვლა დაფუძნებულია ოცზე hogeis, ორმოცი იქნება „ორი ჰოგეისი“;

ოთხმოცი „ოთხი ჰოგეისი“. კელტებს შეუძლიათ ორივე სისტემაში ითვალონ, როგორც „ოთხი-ათი“, ან „ორი ოცი“. ფრანგული ენაში 97 იქნება „ოთხჯერ-ოცი და ათი-შვიდი“, როდესაც ყველა სხვა ევროპულ ენაში იქნება „ცხრაჯერ-ათი და შვიდი“. ქართული, ბასკური და, შესაძლოა, ინდური ენები ერთადერთნი არიან, რომლებიც წმინდა ვეგისიმალური სისტემით თვლიან. ამას გარდა, კავკასიურ და ბასკურ ენებს ახასიათებს ერგატიული შეთანხმება ergative case, განსხვავებით ინდოევროპული ენებისგან.

ლინგვისტი ჰუგო შუკარდტი Hugo Schukhardt 1895 წელს წერდა ვენაში, რომ ქართული ენა შინაგანად მსგავსია ბასკური ენისა. 1909 წელს გერმანელმა ლინგვისტმა ჰენრიხ უინკლერმა Henrich Winkler აღმოაჩინა ბასკურ-აფხაზური ენების მსგავსება. იმ დროს ცნობილმა საბჭოთა ლინგვისტმა ნიკო მარმა Niko Marr (1865-1935), შოტლანდიური წარმოშობის ქართველმა მეცნიერმა, იაფეტის (იბერიული) თეორიის ავტორმა, იმოგზაურა ბასკების ქვეყანაში ორჯერ: 1921 წელს ლაბორდში, ფრანგულ ბასკეთში, და მომავალ წელს ესპანურ ბასკეთში, სადაც აღმოაჩინა უამრავი მსგავსება ენაში, სიმღერებში, ცეკვებში, ჩვევებში, თამაშებში, არქიტექტურაში იმ დონეზე, რომ 1925 წელს დაწერა წიგნში „პირინეის გურია Pyrenean Guria“. სოფლის მეურნეობის საბჭოთა აკადემიკოსი ვავილოვი Vavilov (სტალინის რეჟიმის დროს დახვრიტეს 1939 წ.) წერდა, რომ შეისწავლა მიწის კულტივაციის წესები 60 ქვეყანაში და აღმოაჩინა ნათელი მსგავსება ბასკების ქვეყანასა და საქართველოს მიწათმოქმედების წესებში. ყველაზე ძველი (და მსგავსი) მარცვლეულის სახეობები მან აღმოაჩინა მხოლოდ ამ ქვეყნებში.

ბასკოლოგმა იური ზაცერმა Iuri Zacer აღმოაჩინა 3000 მსგავსი სიტყვა ქართულსა და ბასკურ ენებს შორის. პოლონეთის უნივერსიტეტის პროფესორმა იან ბრაუნმა – 400 სიტყვაზე მეტი: აგური, იცანი, ბურუსი, ლოგინი (ბასკურში ძილი), კიდე, ნენა, პატარა – კვატარა, დაბალ– აბალ, ერი, სავანე, პალო, საზანდარი, გოჭი, ცოლი, უკან, ბაია (ბა). „ბური“ ბასკურად ნიშნავს „თავს“ და ქართულად: „ბურ-თი“, „თავბრუ“. ბილბაოში არის მთა „არჩანდა“, რომლის მწვერვალიც ყოველთვის დამალულია ნისლში. ბილბაოში არის ცნობილი რესტორანი, რომელსაც ჰქვია „გურია“. მრავალხმიანი სიმღერა მხოლოდ საქართველოში, ბასკებში, კორსიკასა და სარდინიაზე არსებობს. კერძები, ცეკვები ერთნაირია. მსგავსი თოკის ჩამოკიდული ხიდები ცნობილია კავკასიაში, ბასკეთში და ამერიკელ ინკებში. მდინარე არაგვი, სოფელი არგვეთი არის საქართველოში, ხოლო ბასკეთში არის ქვეყანა არაგონი და მდინარე არგუნი ჩეჩნეთში.გვარების დაბოლოებები ესპანეთში, პორტუგალიაში, ბასკეთში და საქართველოში ხშირად მსგავსია: -შე, -სი, -დი, -ძი, -ტი, -ელი,

-ირ, -დუა,-ანი, -იანი, -ონი, და სხვა: ნოდია, იბარური, ინაური, ბექაური, წიკლაური, მიგრიაული, ერისთავი, ნარსანია. მითოლოგიაში ხარის კულტი პოპულარულია ორივე ქვეყანაში, როგორც კორიდა დასავლეთ იბერიაში, მინოსის კულტურა დაფუძნებულია მინოტავრის ლეგენდაზე და არგონავტები ებრძოდნენ ხარს კოლხეთში.

თუმცა, რა თქმა უნდა, არის ცნობილი კვლევების უარყოფითი შედეგიც. 2001 წელს არტურ ჰოლმერმა Arthur Holmer გამოაქვეყნა მოკვლევის მონაცემები ქართული და ბასკური ენების შედარებაზე „იბერიულ-კავკასიური ენების კავშირი ტიპოლოგიურ პერსპექტივაში „Birgit & Gad Rausings Stiftelse för humanistisk forskning, დასკვნით, რომ „არ არის აშკარა ტიპური მტკიცებულება გენეტიკურ ან ისტორიულ კავშირზე ბასკურ და ქართულ ენებს შორის, რადგან გარკვეული მსგავსებები არის უბრალოდ ზედაპირული ფენომენი“. თუმცა არასპეციალისტისთვის, ისიც უკვე საინტერესოა, რომ რაღაც (თუნდა ზედაპირული) მსგავსება მაინც არსებობს ასე დაშორებულ ერებს შორის. ამას გარდა, თუ ავტორს ეცოდინებოდა ქართული ენა, ნაშრომი უფრო მეტად სრულფასოვანი იქნებოდა, რადგან ქართულს აქვს რამდენიმე დიალექტი და უძველესი ვერსიები.

მთლიანობაში ბასკები არანაირად არ უჭერენ მხარს ამ თეორიას, ისევე როგორც ირლანდიელები უარყოფენ ბასკებთან ნათესაობას. შესაბამისად 2008 წლის ომის დროს ბასკების ტელევიზია პარადოქსულად ომის რუსულ ვერსიას უჭერდა მხარს. ენათმეცნიერი ზურაბ კაცელაშვილი უარყოფს ბასკური და ქართული ენის და კულტურის მსგავსებას. ის თვლის, რომ ცნობილი რესტორანი „გურია“-ს სახელი არ არის დაკავშირებული ქართულ მხარე გურიასთან, არამედ ფრანგულ სიტყვა „გურმანთან“. ბილბაოში არსებული ფუნიკულიორის სახელწოდება „არჩანდა“ არ არის კავშირში ქართულ სიტყვასთან „არ ჩანდა“, არამედ გერმანულ სიტყვასთან „ჰერცოგი“. ის თვლის, რომ ბასკურ ენის ლექსიკონში არ არის მთების, ზღვის, ნაოსნობის შესაბამისი საკუთარი ტერმინები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ხალხის მომთაბარე ბუნებას.

ალექსანდრე ბრაგინი Alexander Braghine, 1930 წელს წერდა იაპონური და ბასკური ენების მსგავსებაზე: „სიტყვა იოკოჰამა, იაპონური პორტის სახელი, მაგალითად, ბასკურ ენაზე ნიშნავს „ზღვისპირა ქალაქს“. არის თეორიები ბასკური ენის მსგავსებაზე სხვა კავკასიურ, ესტონურ და უიგუჰურის ენებთანაც კი. ხოლო ჯონ დ. ბენგტსონის დენე-კავკასიური ჰიპოთეზის მიხედვით Dene-Caucasian hypothesis of John D. Bengtson, ბასკური, კავკასიური, ალტაის, ინდური, იაპონური და ტიბეტურ-ჩინური ენები ერთი წარმოშობისაა.

ბასკების როლი ევროპულ ისტორიაში

ბევრი სიტყვები და ტოპონიმები აღმოაჩინა უკრაინელმა ლინგვისტმა არტემ ივანცოვმა თავის წიგნში „ორი იბერიის შორის (2014)“.

ზუსტად ბასკებმა გააჩერეს პირველად მუსლიმები, რომლებიც გადმოვიდნენ ჩრდილოეთ აფრიკიდან ესპანეთში 711 წელს და რომლებმაც ვერ შეძლეს ვასკონიის პამპლონის Pamplona დაპყრობა. ბოლოს, 732 წელს პარიზიდან 200 მილის დაშორებით, პუატიეში Poitier, მუსლიმები დაამარცხეს ფრანკებმა კარლოს მარტელის მეთაურობით Charles Martel. პარადოქსულია, რომ როდესაც შარლემანი Charlemagne საკმარისად გაძლიერდა და შეუტია ესპანეთის მუსლიმანებს ბასკების მიწის გავლით, წინააღმდეგობა ბასკებისგან შეხვდათ. ბასკებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და მოკლეს ყველა ფრანკი. ეს დამარცხება, 778 წლის აგვისტოში, შარლემანის არმიის ერთადერთი დამარცხება იყო მისი ხანგრძლივი სამხედრო კარიერის განმავლობაში. ბასკები მუდმივად ომობდნენ ფრანკების, მუსლიმების, ვიკინგებისა და ნორმანების (ყველას) წინააღმდეგ.

არაგონელმა ფერდინანდმა და კასტილიელმა იზაბელამ Ferdinand of Aragon and Isabella of Castile მოახერხეს ქრისტიანული ბანდების ორგანიზება და ჩამოაყალიბეს ევროპის საუკეთესო ძლიერ კათოლიკურ არმიად. იზაბელამ პირადად დაასრულა რეკონკისტა Reconquista 1492 წელს, გამოეწყო თეთრ აბჯარში კასტილიის წითელი ჯვრით, გაუძღვა გრანადის არმიას და დარჩენილი მავრები გააძევა იბერიის ნახევარკუნძულიდან. მან დააარსა ესპანეთში ინკვიზიცია Inquisition, რათა განეწმინდა ქვეყანა მურების, ებრაელებისა და ციგნებისგან. მათ მოქცევა, სიკვდილი ან გადასახლება უნდა აერჩიათ. 1492 წელს ებრაელები მასობრივად გადასახლდნენ საფრანგეთში, აღმოსავლეთ ევროპასა და თურქეთში. იზაბელამ დააფინანსა ქრისტეფორე კოლუმბის Columbus მოგზაურობა ამერიკაში, მაგრამ მალე გარდაიცვალა.

სამწუხაროდ, იზაბელას მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა და ფერდინადს ვაჟი სჭირდებოდა. მისი მცდელობები წარუმატებელი იყო და ის მიუბრუნდა თავის შვილიშვილს კარლოსს (კარლოს I) Charles (Carlos I), რომელიც ფლანდრიაში გაიზარდა, არ საუბრობდა ესპანურად და არც არასდროს წვევია ესპანეთს, რადგან მისთვის და ბევრი ჩრდილოეთ ევროპელისთვის ესპანეთი იყო არაცივილიზებული და არაკომფორტული. კარლოსის ესპანეთში ჩასვლის შემდეგ ის მალევე გაემგზავრა გერმანიაში, რათა გამხდარიყო საღვთო რომის იმპერატორი კარლოს V Holy Roman Emperor Charles V, მას შემდეგ რაც გარდაიცვალა მისი მეორე ბაბუა იმპერატორი მაქსიმილიანი. მაგრამ საფრანგეთის მეფეს, ფრანცისკ Francis I-საც სურდა საღვთო რომის იმპერატორი გამხდარიყო და შეიჭრა ესპანეთში, კიდევ ერთხელ ბასკების მიწის გავლით. პამპლონას Pamplona ალყაში ყოფნის დროს ყველაზე ექსტრაორდინალური ბასკი კაცი – ინიგო ლოიოლა Inigo Loyola დაიჭრა ფეხში. ლოიოლას ოჯახი განასახიერებდა კიდევ ერთ ბასკურ ტრადიციას,

დაქირავებულ მებრძოლებს. მას ღამით ტკივილისგან ძილი არ შეეძლო, დაიწყო თავისი ცხოვრების გააზრება და დაეწყო ხილვები. იგი შეუდგა ლოცვას და გახდა განდეგილი. მან დიდი ინტერესი გამოავლინა საიდუმლო სწავლებისადმი და უარესი, კაბალას და ებრაელებისა და არაბების სხვა მაგიური სწავლებებისადმი. ის დაპატიმრებულიც იყო ინკვიზიციის მიერ 3 კვირით. ის წავიდა პარიზში სასწავლებლად, სადაც მიიღო ლათინური სახელი იგნატიუსი Ignatius და მონმარტრზე დააარსა იესოს საზოგადოება ან იეზუიტების ორდენი 1534 წელს. ის რომის პაპმა მიიღო. იეზუიტთა ორდენში დღიდან მისი დაარსებისა, წამყვან როლს ბასკური წარმოშობის პირები ასრულებდნენ. სიმბოლოდ აირჩიეს არა ჯვარი, არამედ მზე და მისი სხივები. შეიფიცნენ გამხდარიყვნენ სპეტაკი, ღარიბი, ილოცონ იერუსალიმში, დისციპლინებული და საიდუმლო. ისინი ძალზედ ერთგულნი იყვნენ პაპის და გაუძღვნენ კონტრრეფორმაციას პროტესტანტიზმის წინააღმდეგ და მის ჩახშობას[1]. ბასკები გახდნენ ყველაზე ერთგული კათოლიკეები ევროპაში: „როდესაც ამბობ ბასკს, ესე იგი ამბობ კათოლიკეს“.

ვეშაპებზე პირველი მონადირეები მე-17-მე-18 საუკუნეებში იყვნენ ბასკები. ჰარპუნის ტყორცნა იყო დიდი, ძლიერი კაცების საქმე. ასეთები ევროპაში იყვნენ ბასკები. 1612 წელს ინგლისის მეფემ ჯონ I-მა ესპანეთის სამეფო ტახტს სთხოვა, ბასკებისთვის ინგლისში წასვლის ნება დაერთოთ, რათა მათ ესწავლებინათ ვეშაპებზე ნადირობა. პირველი ბრიტანული ვეშაპსაჭერი ფლოტი, ექვს ბასკ ოფიცერთან ერთად, დაარსდა კონტრაქტით. ჰოლანდიელებმაც ასევე მოიწვიეს ბასკები.

ხანგრძლივი მოგზაურობა შეუძლებელი იყო საკვების გარეშე. პირველი ზღვაზე ხანგრძლივად მოგზაურები ვიკინგები იყვნენ, რადგან მათ ჰქონდათ ვირთევზა, რომელიც არქტიკულ ჰაერზე ხმებოდა. მაგრამ ბასკები ხორცს ამარილებდნენ, რაც მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევდა. თანდათან ბასკები გახდნენ ლიდერები გემთმშენებლობაში, ასევე მოწინავე პილოტები, ნავიგატორები. გემები, რომლითაც გამოიკვლიეს ამერიკა, აფრიკა და აზია, აგებული იყო ბასკების მიერ და თვითონ მართავდნენ მას. სანტა მარია, კოლუმბის გემი, 1492 წელს, სავარაუდოდ, ბასკების აგებული იყო და ეკიპაჟშიც ძალზედ ბევრნი იყვნენ ბასკები. კოლუმბის მეორე მოგზაურობას ბისკაიდან Vizcaya 1493 წელს, ორგანიზება გაუკეთა ორმა ბასკმა და 6 გემი აშენდა ბასკეთში. ერთ-ერთ გემს მართავდა მომავალში წმინდა იგნატიუსის, იეზუიტების დამაარსებლის, ძმა. კოლუმბს უამრავი ბასკი ეკიპაჟის წევრი ახლდა მე-3 და მე-4 მოგზაურობების დროს. ათასობით ბასკი გადასახლდა ამერიკაში და ამერიკასთან ვაჭრობის უმეტესობა მიმდინარეობდა ბასკეთის გავლით.

მაგელანის Magellan 5 გემიანი ექსპედიციის 200 ეკიპაჟის წევრს შორის, სულ მცირე, 35 ბასკი იყო. 1522 წელს ამ ექსპედიციიდან მხოლოდ ერთი

[1] „ოპუს დეი“ Opus Dei დააარსა 1928 წელს ხოსე მარია ესკრივამ, დაბადებულმა არაგონში.

გემი 18 წევრით, რომელთა შორის 4 ბასკი იყო და ბასკი კაპიტანი ელკანო Elcano, 3 წლიანი ვოიაჟის შემდეგ დაბრუნდა. ელკანო დააჯილდოვეს ორდენით წარწერით „მას, ვინც პირველმა შემომიარა გარს მე“ და უხდიდნენ ყოველწლიურ ხელფასს ესპანეთის მეფისგან.

ბასკებმა ამერიკული პროდუქტი ევროპაში გაიტანეს: თამბაქო, ჩილი, ცერცვი, ყავა, ინდაურები, შოკოლადი, სიმინდი. მათ გაიტანეს სიმინდი აზიასა და ჩინეთში. თითქმის მთელი ერთი საუკუნე ესპანელები ინახავდნენ შოკოლადის მომზადების წესს ექსკლუზიურად იბერიულად. უცნაურია, მაგრამ ინკვიზიციამ დაანგრია ესპანეთის შოკოლადის მონოპოლია, როდესაც ესპანეთიდან და პორტუგალიიდან წამოსულმა ებრაელებმა ისწავლეს ეს ხელობა და გაავრცელეს საფრანგეთსა და ევროპაში ებრაული შოკოლადის სახელით. პარადოქსულია, კარტოფილი, რომელიც პისაროს Pizarro წარუდგინეს პერუელებმა, უფრო პოპულარული იყო დანარჩენ ევროპაში და არა ბასკებში. ევროპელების უმეტესობა მიირთმევდა კარტოფილს და სიმინდს მხოლოდ ღორებს აჭმევდნენ, ბასკები პირიქით აკეთებდნენ. 1783 წელს ფრანგმა დიეტოლოგმა, ბოლოს და ბოლოს, დაარწმუნა ფრანგები, რომ ეჭამათ სიმინდი ბასკების მიბაძვით: „არც ერთ პროვინციაში უფრო ჯანმრთელი და ენერგიული ხალხი არ არის“. კარტოფილი ირლანდიაში გამოჩნდა 1588 წელს ჩაძირული არმადას გადარჩენილი ეკიპაჟის მეშვეობით, რომელშიც უფრო მეტად ბასკები იყვნენ და მათ კარტოფილი ჰქონდათ მომარაგებული.

ბასკები ისტორიულად იყვნენ ყველაზე კარგი მეწარმეები და მდიდარი ერი ესპანეთში. ისინი ევროპის რკინის ერთ მესამედს ვისკაიას Vizcaya დიდი დეპოზიტიდან იღებდნენ. ისინი ასევე უშვებდნენ ხმლებს, მუშკეტის ლულებს და გემის იალქნებს. შექსპირი აღტაცებული იყო „ბილბაოს ხმლით“. მოგვიანებით ბრიტანეთმა რევოლუცია განახორციელა კოქსის და რკინის დნობაში და მიიღეს ფოლადი, რამაც დაანგრია ვისკაიაში რკინის ინდუსტრია. მაგრამ 1856 წელს მომდევნო ბრიტანული გამოგონება იყო ბესემერის მეთოდი, ჰაერის დაბერვით რკინიდან ფოლადის გამოდნობის პროცესის დაჩქარება, რამაც გააიაფა ფოლადი. მაგრამ აღმოაჩინეს, რომ ამ პროცესისთვის საჭირო იყო ფოსფორის მცირე რაოდენობის შემცველი რკინა, ჰემატიტი, და ევროპაში მხოლოდ ვისკაიაში იყო მისი საჭირო მარაგი. ბრიტანეთში ჰემატიტის ექსპორტზე გატანით და უკან ქვანახშირის მიღებით, ვისკაია უშვებდა ყველაზე იაფ ფოლადს ევროპაში. 1878 წელს პირველი ნავთობის გადამამუშავებელი ქარხანა აშენდა ბასკეთში. ისევე როგორც პირველი ბანკები და სადაზღვევო კომპანიები.

ბასკები არ მსახურობდნენ ესპანეთის არმიაში, რადგან მზად იყვნენ დაეცვათ თავიანთი პროვინციები, რომლებიც, ამავე დროს, საფრანგეთთან საზღვარს წარმოადგენდა. როდესაც ბასკებმა მარცხი განიცადეს ნაპოლეონის შემოჭრის დროს 1808-13 წწ-ში, მათ დაკარგეს ავტონომია ესპანეთსა და საფრანგეთში და დაიწყეს ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა. როდესაც ესპანურ-ამერიკულ ომში დამარცხების შემდეგ კუბა, პუერტო რიკო

და ფილიპინები აღებული იყო აშშ-ის სამხედრო ძალების მიერ, ანუ ესპანეთმა დაკარგა მიწები, რომლებიც მოიპოვა კოლუმბმა, მაგელანმა, ელკანომ და სხვა დიდმა ადამიანებმა, ბასკების ნაციონალურმა პარტიამ მილოცვა გაუგზავნა გენერალ ვაშინგტონს სიტყვებით: „მოკვდი ესპანეთო!“

ბასკები და კატალონიელები, კომუნისტი ლიდერის, ბასკი ქალის დოლორეს იბარურის მეთაურობით, იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის ფაშისტების წინააღმდეგ. თუმცა ბასკი ნაციონალისტები რესპუბლიკელების წინააღმდეგაც იბრძოდნენ. ფრანკო განადგურებით დაემუქრა და კანონგარეშე გამოაცხადა ეუსკერას ენა. ბასკებს ურჩიეს „ქრისტიანულად“ ელაპარაკათ. 1937 წელს ასობით ადამიანი იყო დაღუპული 3 საათიანი საჰაერო შეტევის დროს ბასკურ გერნიკაში Guernica, რაც უკვდავყოფილია პიკასოს ნახატში. ფრანკომ განაცხადა, რომ ეს არასდროს მომხდარა, რომ ეს ყველაფერი კომუნისტური სიცრუე იყო, რომ ცუდი ამინდის გამო ფრენა იმ დღეს საერთოდ არ ყოფილა, და რომ თავად ბასკებსაც შეეძლოთ აეფეთქებინათ დინამიტით საკუთარი თავი. მხოლოდ 1998 წელს გერმანიის მთავრობამ მოუბოდიშა ბასკ ხალხს და 1999 წელს ესპანეთის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომ ფრანკომ გერნიკას შესახებ მოიტყუა.

1938 წელს ბასკი მებრძოლები დანებდნენ და მუსოლინიმ ფრანკოსთან მოლაპარაკება აწარმოა, რომ მიეცა გარანტიები, რათა ტყვეები გადაცემოდათ იტალიელებს და არავითარი რეპრესიები არ განხორციელდებოდა მოსახლეობის წინააღმდეგ. ორ ბრიტანულ გემს უნდა გაეყვანა ბასკი პოლიტიკური ლიდერები და ოფიცრები იტალიაში, მაგრამ ფრანკოს გემებმა პორტი დაბლოკა და 4 დღის დგომის შემდეგ იტალიელებმა ტყვეები ფრანკოს დაუბრუნეს. ასობით ბასკი პატიმარი სიკვდილით დაისაჯა.

საინტერესოა, რომ გერმანელი ნაცისტები იცავდნენ ამ უძველესი ხალხის უფლებებს. ჰეინრიხ ჰიმლერს Heinrich Himmler, ღრმად მორწმუნე კათოლიკური ოჯახიდან, სჯეროდა, რომ ბასკები პირველყოფილ ევროპელ რასას წარ-მოადგენდნენ. გერმანელები სთავაზობდნენ მიუნხენის უნივერსიტეტში სტიპენდიას, თუ ახალგაზრდა ბასკებს სურდათ მოკვლევა გაეკეთებინათ მათი რასის წარმოშობაზე. ამავე დროს, ბასკები მონაწილეობდნენ მოკავშირეების პილოტების გადარჩენაში პირინეის მთებში. 1700 მონაწილე იყო ჩართული 700 მაღალ დონეზე გაწვრთნილი ბრიტანელი, კანადელი და ამერიკელი მფრინავების საზღვარზე გადაყვანაში და ამ რაოდენობაში მოღალატე თითქმის არ დაფიქსირებულა.

1973 წელს ფრანკოს Franco კარიერის ბოლოს, ბასკებმა დინამიტი დაამონტაჟეს ესპანეთის პრემიერ-მინისტრის ადმირალ კარერო ბლანკოს მანქანის ქვეშ და ეს ფრანკოს მეგობარი ჰაერში აიწია. პოპულარული ხუმრობის მიხედვით, ადმირალი გახდა პირველი ესპანელი ასტრონავტი. მეორე დღეს დაბერებული ფრანკო აქვითინდა, როდესაც კაბინეტში ადმირალის ცარიელი სკამი დაინახა. მხოლოდ ახლა გამოქვეყნდა ამ საქმეში აშშ-ის საიდუმლო

სამსახურის ჩართულობის შესახებ. ერთ-ერთი საელჩოს აგენტებმა შენიშნეს, რომ გარკვეული პირები ავტობუსის გაჩერებაზე ყველა ნომრებს ტოვებდნენ და შემდგომში გამოაშკარავდა, რომ ეს ბასკები აკვირდებოდნენ პრემიერ-მინისტრის მანქანის მოძრაობას ეკლესიისკენ. ვინაიდან ეს ამერიკელების ინტერესშიც შედიოდა, მათ არ შეუჩერებიათ გზის ქვეშ გვირაბის გათხრის სამუშაოები და პირიქით, ბოლო მომენტში აშშ-ის აგენტებმა დაუმატეს რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი უკეთესი ეფექტისთვის.

ფრანკოს შემდეგ ახალი სოციალ-დემოკრატული პარტია ფილიპე გონსალესის Filipe Gonzalez და ახალი მეფის ხუან კარლოსის მეთაურობით ბასკების დამოუკიდებლობის საკითხში ისეთივე „სისხლიანი“ იყო, როგორც ფრანკოს რეჟიმი. 1978 წელს ესპანეთის კონსტიტუციამ ბასკები და კატალონიელები მოიხსენია, როგორც ეროვნება, და მხოლოდ ესპანელები, როგორც ერი. ბასკებმა გააჩაღეს ბრძოლა პოლიციის Guardia Civil წინააღმდეგ, საპირისპიროდ კი საიდუმლოდ ჩამოყალიბდა სახელწიფოს ოფიცრებით დაკომპლექტებული ანტიტერორისტული განთავისუფლების ჯგუფი GAL, რომლებიც უკანონოდ კლავდნენ ბასკების ETA-ს მებრძოლებს. შვედი პრემიერ-მინისტრი ულოფ პალმე Olaf Palme ესპანეთის მთავრობას „მკვლელებს“ უწოდებდა. მექსიკის პრეზიდენტმა, ბასკი წარმოშობით, მოითხოვა ესპანეთის გაერთიანებული ერებიდან გარიცხვა. 1981 წელს 20 შეიარაღებული გვარდიელი შეიჭრა პარლამენტში და ცეცხლი გახსნა. მხოლოდ მეფე ხუან კარლოსმა King Juan Carlos გადაარჩინა მდგომარეობა. გამოაშკარავდა GAL-ზე სიმართლე, როდესაც საავტომობილო ავარიის გამო ესპანეთის მთავარი პოლიციელის სამხილებელი დოკუმენტები აღმოაჩინეს მანქანაში. ესპანეთის უსაფრთხოების უფროსს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და ბასკეთის (ესპანურად Vizcaya) გუბერნატორს 10 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი ფილიპე გონსალესი მოულოდნელად თანამდებობიდან გადადგა 1996 წელს, თუმცა ამტკიცებდა, რომ თავად არაფერი იცოდა GAL-ის შესახებ.

საფრანგეთის მთავრობა უფრო ლოიალური აღმოჩნდა ბასკი „ტერორისტების“ მიმართ და ინარჩუნებდა მშვიდობას საფრანგეთის ტერიტორიაზე აქტების არჩატარების სანაცვლოდ. მათ არასდროს გადაუციათ ბასკები ესპანეთისთვის. ფრანსუა მიტერენმა Francois Mitterrand მოხსნა აკრძალვა ეუსკერას Euskera ენაზე 1981 წელს, მაგრამ, როდესაც ფრანგმა ბასკებმა მოითხოვეს ავტონომია, მიტერანმა თავის გამოსვლაში 1984 წელს თქვა: „დროა ვუთხრა ჩვენ ბასკ თანამემამულეებს: თუ ავტონომია განიხილება როგორც ნაბიჯი დამოუკიდებლობისკენ, მაშინ მე ცხადად ვეუბნები: ჩემთან ერთად არა! მე არ დაუშვებ საფრანგეთის ერთიანობის დაშლას. მხოლოდ ბოლო დროს გახდა ნებადართული ბავშვის დარეგისტრირება არაფრანგული სახელით.

სიტუაცია ესპანეთშიც გაუმჯობესდა. აკრძალვა ეუსკერას Euskera ენაზე მოიხსნა. ჩამოყალიბდა პოლიტიკური გაერთიანება ჰერი ბატასუნა Herri Batasuna. მათი კანდიდატები მონაწილეობენ ესპანეთის პარლამენტის არჩევნებში, იგებენ არჩევნებს, მაგრამ მადრიდში არ მიემგზავრებიან. ბილბაოში დაარსდა ნიუ იორკის შემდეგ მეორე ყველაზე ექსტრავაგანტული გუგენჰაიმის Guggenheim მუზეუმი. ის თავისთავად უფრო მეტად ქანდაკებაა, ვიდრე შენობა, პარიზის პომპიდუს Pompidou ცენტრის მსგავსად. ბასკები იყვნენ, ვინც დააარსეს ბისკაის ყურეში პირველი სანაპირო ტურისტული კურორტები, რომლებიც ასე პოპულარულია მთელ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე. ბასკების გამოგონილია აგრეთვე ბერეტი, ეს ქუდი გახდა მათი მთავარი სიმბოლო დაკავშირებული პოლიტიკურ ბრძოლასთან და მოიპოვა საერთაშორისო პოპულარობა. არგენტინელი მემარცხენე რევოლუციონერი ერნესტო ჩე გევარა Ernesto Che Guevara ყოველთვის ატარებდა ბერეტს ბრძოლის სიმბოლოდ. სიმონ ბოლივარ დაიბადა კარაკასში, ბასკების Vizcayan ოჯახში.

დღესდღეობით ახალი და განსხვავებული პოლიტიკური მოვლენებია სამყაროში, რომლისთვისაც მზად უნდა იყვნენ ბასკები. მათი მოსახლეობის დიდი პროცენტი ბასკების ოჯახებისგან აღარ შედგება. ქალაქები უფრო და უფრო კოსმოპოლიტური ხდება. დღეს ბასკების ნაციონალისტური პარტიიდან არჩეული პოლიტიკოსებიც კი არ საუბრობენ ეუსკერიას ენაზე. შოტლანდიისა და ირლანდიის მსგავსად, ბასკებიც და კატალონიელებიც ცდილობენ იდენტურობის შენარჩუნებას უკვე თავისუფალ ევროპაში საზღვრების გარეშე და არავინ იცის, თუ რა იქნება 1000 წლის შემდეგ.

კავკასიელების ეთნოგენეზი

ნილ ირვინ პაინტერი Nell Irvin Painter „რატომ უწოდებენ თეთრკანიან ხალხს „კავკასიელებს Caucasian“?’“ (Yale University, 2003) წერდა, რომ „კავკასია არის ნეპალის შემდეგ ყველაზე მაღალმთიანი ქვეყანა ევროპაში. იდეა, რომ ხალხები წარმოშობილი იყო შავ და კასპიის ზღვებს შუა, უძველესია: გენეზის 6-8-ში აღნიშნულია მთა არარატი, როგორც კიდობანის ადგილსამყოფელი წყალდიდობის შემდეგ და მე-13 საუკუნეში მარკო პოლო არარატის მთის ადგილმდებარეობას მიუთითებს სომხეთში“. ბერძნულ მითოლოგიაში კავკასიის მთები და კოლხეთი უკავშირდება პრომეთეს, იასონს, მედეას და არგონავტებს. მე-18 საუკუნეში გერმანელმა ფილოსოფოსმა და ანთროპოლოგმა კრისტოფ მაინერმა Christoph Meiners პირველად ახსენა კონცეფცია „კავკასიური რასა“ და დაახასიათა კავკასიელები, როგორც „ნათელი“, „ლამაზი“ და „სიმპათიური“, რასაც „უძველესი გერმანელებიც აღიარებდნენ“.

ტერმინი „კავკასიური რასა“ ყველაზე ფართოდ გავრცელდა მე-19 საუკუნეში გერმანელი მეცნიერისა და ნატურალისტის ჯოან ფრიდრიხ

ბლუმენბახის მიერ Johann Friedrich Blumenbach (1752-1840 წწ.), რომელსაც მიაჩნდა, რომ კავკასია რასობრივ იერარქიაში სათავეში უნდა მდგარიყო. მან წამოაყენა თეორია, რომ ჩერქეზები ყველაზე მეტად იყვნენ მიახლოებულნი ღმერთის ადამიანურ მოდელთან, „უწმინდესი და ყველაზე ლამაზი თეთრკანიანები იყვნენ ჩერქეზები[1]“.

მე-19 საუკუნეში ევროპელმა მეცნიერებმა ბლუმენბახი მიიჩნიეს „ანთროპოლოგიის მამად“. 88 წლის ასაკში, გარდაცვალებამდე, 1840 წელს, ბლუმენბახის წევრობა 78 სამეცნიერო აკადემიაში ადასტურებს მის თვალსაჩინოობას. მისი სიცოცხლის ბოლოს ბლუმენბახს ეკუთვნოდა თავის ქალების დიდი კოლექცია (რასაც ის უწოდებს „გოლგოთას“): 245 მთლიანი თავის ქალა და ნაწილები და ორი მუმია.

ნაშრომში „Beitrage zur Naturgeshichte“ (Gottingen, 1806) ბლუმენბახი წერდა: კავკასიური სახეობა, მე ეს სახელი ავიღე კავკასიის მთების სამეზობლოდან და განსაკუთრებით სამხრეთ ფერდობიდან, სადაც ყველაზე ლამაზი ადამიანების რასაა, ვგულისხმობ ქართველებს; და ვინაიდან ყველა ფიზიოლოგიური მახასიათებლები მიგვითითებს, რომ ეს რეგიონი, უდიდესი ვარაუდით, უნდა მივიჩნიოთ კაცობრიობის დასაბამის (ავტოქტონობის) ადგილად.[2]“

ბლუმენბახი კავკასიური რასის კლასიფიკაციას უპირველესად თავის ქალის პარამეტრებით ამტკიცებდა, რომელიც ყველაზე ოპტიმალური იყო კავკასიელებში. მან ხუთჯერ გამოიყენა სიტყვა „ლამაზი beautiful“ ერთ გვერდზე, სადაც აღწერდა კავკასიელი ქალის თავის ქალას, რომელიც 1795 წელს გახდა მისი „ტიპური ლამაზი ახალგაზრდა ქართველი ქალის თავი“.

„კავკასიური“ რასის თავის ქალებს ბლუმენბახს უგზავნიდა ბარონი ფონ აში Baron von Asch პეტერბურგიდან, რომელიც იყო გერმანული წარმოშობის მედიცინის დოქტორი, სამედიცინო ხარისხი მიიღო გოტინგენის უნივერსიტეტში და სათავეში ჩაუდგა რუსეთის არმიის სამედიცინო სამსახურს ეკატერინე დიდის კავკასიაში პირველი ომების დროს 1780-1790 წწ-ში. 1788 წელს, მაგალითად, მან გაუგზავნა ბლუმენბახს თავის ქალა, რომელიც ყველაზე უშნოდ მიიჩნია: ყალმუხის თავის ქალა ასტრახანიდან, რომლებიც

---

[1] ეს აღვივებდა ჩერქეზთა სილამაზის იდეას. 1782 წლიდან აშშ-ში გავრცელდა მალამოს რეკლამა, „რომ ჩერქეზები მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალები იყვნენ, ბუნებრივი მომხიბვლელობით“. 1802 წელს, „მეკას მალზამის“ რეკლამა წერდა: „ეს დელიკატური და სურნელოვანი კომპოზიცია დიდი ხანი აღინიშნებოდა, როგორც კოსმეტიკის მწვერვალი ჩერქეზი და ქართველი ქალების მიერ დიდი სულთნის ჰარამხანაში“. „ჩერქეზული ლოსიონი“ კანისთვის იყიდებოდა 1806 წელს, 50 ცენტად თითო ბოთლი. „ჩერქეზთა თვალის წყალი“ იყიდებოდა, როგორც „დამოუკიდებელი წამალი თვალის ყველა დაავადების განსაკურნებლად“, და 1840 წელს „ჩერქეზული თმის საღებავი“ იყიდებოდა, რათა მოეღოთ ბრწყინვალე მუქი მდიდრული ფერი.

[2] ირანელები და თურქები საქართველოს უწოდებენ გურჯისტანს, „გურჯი“ სპარსულად ნიშნავს „სიმპათიურს“, „სიმპათიური ადამიანების მიწა“.

დასახლებულნი იყვნენ ამ ტერიტორიაზე მეფის რეჟიმის დროს იმ მიზნით, რომ ეკონომიკურად დაენგრიათ მეზობელი ჩეჩნების რეგიონი კავკასიაში. მომდევნო წელს აშმა ბლუმენბახს გაუგზავნა მთლიანი ჩონჩხი და ოთხი თათრის თავის ქალა, 1792 წელს მან კიდევ ცხრა მათგანი გაუგზავნა, 1797 წელს სპარსელის თავის ქალაც გაუგზავნა, 1793 წელს აშმა ბლუმენბახს ქართველი ქალის თავის ქალა გადასცა.

ბლუმენბახის თეორიის მიხედვით, ლოყების სიწითლე ძალზე სპეციფიკურია და არ ხასიათდება სხვებში. თომას ჯეფერსონიც თვლიდა, რომ კანის სიწითლე და სითეთრე წარმოადგენს თეთრი ხალხის განმასხვავებელს.

მე-17 საუკუნის ფრანგი მოგზაური ჯო. შარდენი Jo. Chardin წერდა: „ქართველების სისხლი საუკეთესოა აღმოსავლეთში, და შესაძლოა მთელ მსოფლიოშიც კი. მე ერთი შეუხედავი სახე არ შემხვედრია ამ ქვეყანაში, არც ერთი სქესის; მაგრამ ვნახე ანგელოზების მსგავსები. ბუნებამ აქ ქალები სილამაზით დააჯილდოვა ისე, როგორც არსად სხვაგან. მიმაჩნია, რომ ისე ვერ შეხედავ მათ, რომ არ შეგიყვარდეს. შეუძლებელია უფრო მომხიბვლელის ნახვა, ან უკეთესი ტანის, ვიდრე ქართველებს აქვთ“. შარდენი ორი ხანგრძლივი ვიზიტით იმყოფებოდა სპარსეთსა და ინდოეთში 1670 და 1680 წლებში კავკასიის გავლით. მისი ჰუგენოტი ოჯახი ლუი XIV-ის სამეფო კარს ამარაგებდა ძვირფასეულობით და პარიზში 1677 წელს ანტიპროტესტანტული დევნის შემდეგ, გადავიდა ლონდონში, სადაც მან დარჩენილი სიცოცხლე გაატარა, როგორც სერ ჯონ შარდენი, ბრიტანეთის გვირგვინის იუველირი და სამეფო სამეცნიერო აკადემიის წევრი.

გერმანელი მოგზაური მორიც ვაგნერი Moriz Wagner 1843-46 წწ. წიგნში „Reise nach Kolchis und nach den deutschen Colonien jenseites des Kaukasus“ წერდა: „დასავლეთ ქართველ-კოლხი (მამაკაცები და ქალები), მეგრელი, გურული, აჭარელი და იმერელი არიან სამყაროში ყველაზე ლამაზი ხალხი. სვანები ყველაზე კარგი მეომრები იყვნენ მსოფლიოში“. ის წერდა, „ქართველი ქალები ბევრ ფულს ხარჯავენ კაბების შეძენაში, რომლებიც სტილით ევროპულია და სახლებზე კი ნაკლებს იმეტებენ. გერმანელ კოლონისტებთან სიტუაცია საწინააღმდეგოა – მათ გაცილებით კარგი სახლები აქვთ, მაგრამ არასათანადო ტანსაცმელი ეცვათ, ქართველებთან შედარებით იყვნენ უფრო ღარიბები, ჭუჭყიანები, სტილის გარეშე“. ვაგნერი წერდა, რომ რუსეთის ოკუპაცია განსაკუთრებით სამწუხაროა იმერეთში, სადაც ადგილობრივი დიდებულები რასობრივად უფრო უპირატესები არიან, ვიდრე ჩრდილოელი ოკუპანტები. მან სინანული გამოთქვა, რომ ამ ანექსიის გამო ერთ დღეს სამეგრელოს ციურ მიწაზე მეგრელთა ლამაზი რასა აღარ იქნებოდა და მხოლოდ სლავები დარჩებოდნენ.

ტერმინი „კავკასიელი“ Caucasian სწრაფად შევიდა სამეცნიერო ტერმინოლოგიაში. პირველად ის გამოჩნდა 1807 წელს ბლუმენბახის წიგნის „Handbuch der vergleichenden Anatomie“ („შედარებითი ანატომიის სახელმძღვანელო“)

ინგლისურ თარგმანში ქირურგი უილიამ ლოურენსის William Lawrence მიერ (1783-1867 წწ.).

1915 წელს ფრანგმა დიპლომატმა არტურ დე გობინომ Arthur de Gobineau გააგრძელა ამ იდეის პოპულარიზაცია: „უნდა ვთქვა ერთხელ და ყველასთვის, რომ ... თეთრკანიანი კაცები წარმოადგენენ იმ რასას, რომლებსაც ასევე კავკასიელებს უწოდებენ ... (ისინი) თეთრკანიანი რასები ... პირველად დასახლებული იყვნენ კავკასიაში“.

აშშ-ში მედისონ გრანტი Madison Grant დაობდა იმიგრაციის აქტის წინააღმდეგ 1924 წელს, რომ ემიგრაცია სრულად უნდა შეზღუდულიყო არა-ევროპელებისათვის და არა – კავკასიელებისთვის. უზენაესმა სასამართლომ 1922 წელს დაადგინა, რომ აშშ-ის მოქალაქეები უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ „რასობრივად თეთრკანიანები, კავკასიური რასის პირების მსგავსად“. აქედან გამომდინარე, ოზავას აშშ-ის წინააღმდეგ შემთხვევაში 1922 წელს, სასამართლომ დაადგინა, რომ „ღია ფერის კანის იაპონელი, რომელიც იაპონიაში დაიბადა და, რა თქმა უნდა, არ იყო კავკასიელი, ვერც შეერთებული შტატების მოქალაქე გახდებოდა“. იმავე მიზეზის გამო უარი უთხრეს ინდოელებს და ჩინელებს[1].

გერმანელი ემიგრანტებიც კი აშშ-ში აღიარეს, როგორც თეთრკანიანები, მხოლოდ 1820 წელს და მანამდე ისინი მიიჩნეოდნენ არათეთრკანიანებად. იტალიელები აღიარეს, როგორც თეთრკანიანები თითქმის საუკუნის შემდეგ, მე-20 საუკუნის დასაწყისში. მეორე მსოფლიო ომამდე ზოგი იტალიელ-ამერიკელი ბავშვი სამხრეთში იძულებული იყო ესწავლა სეგრეგირებულ

---

[1] ბერლინში 1936 წლის ოლიმპიადის დროს, შავკანიანმა სპრინტერმა ჯესი ოუენსმა Jesse Owens ბევრი გააოცა (და ჰიტლერი ძალზედ გააღიზიანა) სამი ოქროს მედლის მოგებით, ხოლო როდესაც გერმანელებმა მოითხოვეს ჩაენაცვლებინათ ებრაელ-ამერიკელი სპორტსმენი, მან მოიგო მეოთხე ჯილდო. ეს მიღწევები მან მოიპოვა ძმები დასლერის Adi and Rudolf Dassler ფეხსაცმელებში, რომლებიც გერმანიაში ვერმახტისთვის Wehrmacht მუშაობდა ჰერცოგენაურახში Herzogenaurach. ნაცისტური რეჟიმის დროს ძმებს შორის განხეთქილება მოხდა. რუდოლფი იყო ნაციონალ-სოციალისტი და მსახურებდა ნაცისტურ არმიაში. კომპანია გაიყო, ადი დასლერმა დააარსა კომპანია ადიდასი (ადი-დას) Adidas, რუდოლფმა კი ჩამოაყალიბა პუმა Puma, ქალაქის მეორე მხარეს, მდინარის გასწვრივ. მიუხედავად ამისა, ჰიტლერმა ოუენს გაუგზავნა საკუთარი სამახსოვრო ფოტო. ოუენსი ამბობდა: „ჰიტლერმა მე არ მაწყენინა, ჩემმა პრეზიდენტმა FDR ტელეგრამაც კი არ გამომიგზავნა“. ჯესი ოუენსი არასდროს ყოფილა მიპატიჟებული თეთრ სახლში. გერმანიაში მას ნება დართეს, ემოგზაურა და დარჩენილიყო თეთრკანიანების სასტუმროებში. ქალაქ ნიუ იორკის მეხუთე ავენიუზე მის პატივსაცემად გამართული პარადის შემდეგ სასტუმრო ვალდორფ-ასტორიაში მის დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიაზე დასასწრებად მას მოუწია ცალკე ლიფტით ესარგებლა. ვიეტნამის ომის დროსაც კი საპირფარეშოები გაყოფილი იყო ორ ოთახად, თეთრებისა და შავებისთვის.

როგორც ცნობილია, SS-ის უნიფორმის დიზაინი შექმნა ჰუგო ბოსმა. ვატიკანის შვეიცარული დაცვის ფორმები სავარაუდოა, რომ იყო მიქელანჯელოს დიზაინის.

სკოლაში შავკანიანებისათვის. სომხები ამტკიცებდნენ, რომ იყვნენ „თეთრი რასის მამა“, მაგრამ ეს არ იყო აღიარებული.

დიდი ხნით დაგვიანდა ასევე შეერთებულ შტატებში ირლანდიელების აღიარება, როგორც თეთრკანიანებისა. 1860 წლის „ამერიკული ენციკლოპედიის“ მიხედვით: „ირლანდიურმა რასამ მემკვიდრეობით მიღო თვისებები, როგორიცაა „ველურობა, ცხოველურობა, უხეშობა, ზარმაცობა, პრიმიტიულობა, ავხორცობა...“ ირლანდიელი ემიგრანტები ისე მკაცრად იყვნენ დისკრიმინირებულნი მათი კათოლიკური რელიგიის გამო, რომ თავიანთ შვილებს სახელმწიფო სკოლებში არ ატარებდნენ. ამერიკელებს მიაჩნდათ, რომ ალკოჰოლიზმი ტიპური დაავადება იყო იტალიელებისა და ირლანდიელებისთვის, რომლებიც შეერთებულ შტატებში ფსიქიატრიული და სოციალური შემოწმების გარეშე არ უნდა შესულიყვნენ. რათა შეეჩერებინათ ეს დისკუსიები, ამერიკის მთავრობამ აკრძალა ალკოჰოლის გაყიდვა და მოხმარება 1919 წელს და 1921 წელს იტალიელებისა და ირლანდიელების საემიგრაციო კვოტა შემცირდა 85%-ით.

ევროპაშიც ებრაელები და აღმოსავლეთ ევროპელები დისკრიმინაციას განიცდიდნენ. საფრანგეთში, ნაცისტური ოკუპაციის დროს დეპორტაციების გამო, მიმდინარე კანონი უკრძალავს მთავრობას ინფორმაციის და სტატისტიკის შეგროვებას მოსახლეობის ეთნიკურ წარმოშობაზე.

ევროპელები ხშირად ყოფდნენ თეთრკანიანებს ორად: არიელები და სემიტები. ტერმინი არიანი ნიშნავს ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხს, რომელთაც დაიპყრეს უძველესი ირანი და მდინარე ინდუსის ველი. სიტყვა Aryan გადმოღებულია სანსკრიტული Sanskrit და ირანული ტერმინი არიასგან Aria, რაც ორივე ენაში ნიშნავს „დიდებულს/სულიერს“. მე-19 საუკუნეში საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ არიელების რასა წარმოიშვა შავი ზღვის სტეპებზე და კავკასიის მთებში. მაგრამ, ასევე მე-19 საუკუნის ზოგმა მწერალმა შექმნა თეორია, რომ ადრეული არიანელები მოვიდნენ ჩრდილოეთ ევროპიდან. ეს თეორია გერმანიაში მეტად გავლენიანი იყო, მაგრამ ნაცისტების დაუზარავი შრომისდა მიუხედავად, ვერანაირი არქეოლოგიური მტკიცებულება ამისი ვერ აღმოჩნდა. პირიქით, ანატოლიისა და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციების კულტურული უპირატესობა ეჭვგარეშე იყო და აღიარეს ნაცისტებმაც.

ჰიტლერი ძალზედ ღიზიანდებოდა ჰიმლერის უშედეგო არქეოლოგიური აქტიურობით. ალბერტ სპეერმა Albert Speer ციტირება გააკეთა მისი სიტყვებისა: „რატომ გვინდა მსოფლიოს ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ გერმანელებს არა აქვთ წარსული? არ არის საკმარისი, რომ რომაელები აგებდნენ მასიურ შენობებს, როდესაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ გასაცოდავებულ ფაცხებში. ჰიმლერი ახლა აწარმოებს ამ უმწეო საცხოვრებელი ადგილების გათხრას და უხარია ყველა ჭურჭლისა თუ ქვის ნატეხის, რასაც პოულობს. რაც აქედან ირკვევა, არის მხოლოდ ის, რომ ახლა ყველასათვის

გასაგები ხდება, რომ როდესაც ჩვენი წინაპრები ხმარობდნენ ქვის ცულებს და თბებოდნენ კოცონის ირგვლივ, ამ დროს ბერძნებმა და რომაელებმა მიაღწიეს კულტურის უმაღლეს დონეს. სინამდვილეში, ჩვენ ჩუმად უნდა ვიყოთ წარსულზე, მაგრამ ამის სანაცვლოდ ჰიმლერმა ზედმეტი აურზაური ატეხა თავისი ქმედებებით. თანამედროვე რომაელები ძალზედ იხალისებენ ჰიმლერის „აღმოჩენებით“!“

ნორმანული თეორიის პრობლემა იყო ის ფაქტი, რომ ხმელთაშუა ზღვის ხალხებმა შექმნეს მაღალი კულტურის ცივილიზაცია. ბევრი ნორმანისტი არ კამათობს იმაზე, რომ ხმელთაშუა ზღვის რასას ჰქონდა უპირატესობა არქიტექტურაში, სახვითი ხელოვნებაში და შემოქმედებით ნიჭში. სამაგიეროდ ნორმანული რასა ხასიათდება, როგორც მოწინავე დამპყრობელი და ინოვატორი, რომელსაც აქვს მოგზაურის სული, რომელსაც ვერცერთი რასა ვერ შეედრება. ისინი უძღოდნენ მსოფლიოს კანონმორჩილებაში, წარ-მოებასა და ტექნოლოგიებში, ხმელთაშუა ზღვის ხალხი კი მეტად იყვნენ დაჯილდოვებულნი წარმოსახვის უნარით.

ინდოეთსა და ირანში ტერმინი არიანი და სვასტიკას სიმბოლო არანაირ კავშრში არ არის ნაციზმთან და გააჩნია ისტორიული მნიშვნელობა. 2005 წელს ტაჯიკეთმა მხარი დაუჭირა სვასტიკის აღიარებას, როგორც ეროვნული სიმბოლო. პრეზიდენტი რახმონოვი აცხადებდა, რომ ამ სიმბოლოს ქვეშ უნდა აღზრდილიყო ტაჯიკების ახალი თაობა.

სპარსეთის მეფე, დარიოს დიდი (ძვ. წ. 521-486 წწ.), ერთ-ერთ წარწერაში აცხადებდა: „მე ვარ მეფე დარიოსი დიდი... სპარსელი, სპარსელის ვაჟი, არიანული მოდგმიდან...“. ის თავის ენას ასევე ეძახის „არიანულს“, რომელიც დღეს ცნობილია, როგორც ძველი სპარსული. სახელწოდება ირანი Iran მომდინარეობს სიტყვიდან არიანი Aryan. 1967 წელს ირანის ფეჰლავის Pahlavi დინასტიამ (1979 წელს ირანის რევოლუციის დროს გადააგდეს) დაუმატა წოდება „არიანების სინათლე“ Āryāmehr შაჰინაშაჰის (მეფეთა მეფეს) წოდებას. ავღანეთის ნაციონალური საჰაერო ავიაკომპანიას ჰქვია არიანა ეარლაინსი Ariana Airlines.

არიანები უბრალო და მებრძოლი, კარგი აგებულების ხალხი იყო, მიწათმოქმედები და მწყემსები, რომლებიც ლაპარაკობდენ ინდოევროპულ ენაზე და აზიიდან ომებით გავრცელდნენ ევროპასა და აზიაში. ინტენსიური კომპლექსური მუშაობის შემდეგ მათი სამშობლო ვერ დადგინდა, გარდა „სადღაც აზიისა“. განვითარებული ინდური ჰარაპანის ცივილიზაცია ძვ. წ. 3000-1700 წწ-ში გაქრა, როდესაც ჩრდილოეთიდან მოვიდნენ ცხენოსანი არიელები. დღემდე ინდოეთში აკრძალულია ძროხების მოკვლა ძველი არიელების პატივისცემის ნიშნად.

სხვებმა ბინა დაიდეს ირანის ან სპარსეთის მთებში. მაგრამ ემიგრანტების უდიდესი ნაწილი დაუსახლებელ დასავლეთში წავიდა. არიანელი კელტები ნელ-ნელა მოედვნენ ევროპის ბევრ ადგილს და შეერიენ ადრეულ არაარიანელ

აბორიგენებს, იბერიელებს, რომლებიც, ქართველი ავტორების მიხედვით, კავკასიური წარმოშობის არიან. რამდენიმე საუკუნის შემდეგ მოვიდნენ ელინები, შემდეგ გერმანო-გოთები, და ბოლოს – სლავ ხალხთა ტომები, რომლებიც დღემდე ცხოვრობენ კონტინენტის უკიდურეს აღმოსავლეთში. ჰუნები იყვნენ განსხვავებული, წმინდა აზიური წარმოშობისა და, სავარაუდოდ, მთლიანად განადგურდნენ.

პარადოქსულია, მაგრამ დასაწყიში რაიმე დიდი გამოგონება და აღმოჩენა, რომელიც განავითარებდა პროგრესს ადამიანთა მოდგმაში, არიანებს არ გაუკეთებიათ. ანბანი, მეტალის გამოდნობა, შუშის დამზადება, გემთმშენებლობა, მიწათმოქმედებისა და ტექსტილის დამზადების ნებისმიერი მეთოდი, გეომეტრიისა და ასტრონომიის კანონები მსოფლიოს აჩუქეს სხვა რასებმა – ებრაელებმა, არაბებმა, სირიელებმა და ფინიკიელებმა. იმ დროს ისტორიაში, როდესაც კაცობრიობის სემიტური და ჰამიტური შტოები სრულიად გაბატონებული იყვნენ დასახლებულ მსოფლიოში, ინდოევროპელი არიელების სავარაუდო სამშობლოს ადგილებში აღმოჩენილი კულტურული ძეგლები ძალზე პრიმიტიულია. ამავე დროს დღევანდელ დღესაც აღმოსავლური ერები, და მათ შორის არიელების აღიარებული წინაპრები, ირანელები, არ ავლენენ პროგრესისადმი არანაირ მიდრეკილებას.

მაშ როგორ გახდნენ ასეთი უკულტურო არიანები ევროპაში დასახლების შემდეგ ასეთი პროგრესულები? ერთადერთი ახსნა ამ პარადოქსის არის ის ფაქტი, რომ პირველი ინდოევროპელი კელტები და შემდგომ გოთები, რომლებიც მოვიდნენ ევროპის ველებში დასაფუძნებლად, იქ შეხვდნენ მცირერიცხოვან აბორიგენული მოსახლეობას, რომლებიც შეერივნენ მრავალრიცხოვან ინდოევროპულ ტომებს და წარმოიშვა უზარმაზარი ინტელექტუალური და ეკონომიკური პოტენციალის მქონე ევროპული ცივილიზაცია. ცნობილი ლინგვისტის Dr. Friedrich Miller მონაცემებით, გოთების თვლითი სისტემა ათზე იყო დაფუძნებული, როგორც ყველა თანამედროვე ევროპულ ენაში, მაგრამ კელტების თვლითი სისტემა დაფუძნებული იყო ოცზე, რაც დღესაც არის შემორჩენილი მხოლოდ ბასკურ, ქართულ და ნაწილობრივ ფრანგულ ენებში. საფრანგეთის მაგალითი აჩვენებს, რომ არიული კელტური ენა თან დაერთო უფრო ძველ აბორიგენულ იბერიულ ენას.

შესაბამისად, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ უნიკალური გენეტიკური თვისებები – ბობოქარი ხასიათი, თავისუფლების მოყვარულება, მოუსვენრობა, ცვლილებებისკენ ლტოლვა, კრეატიულობა არიელი კელტების ხასიათში იბერიული წარმოშობისაა. ზუსტად ამ უნიკალურმა შერწყმამ შედეგად მოგვიტანა ევროპული ცივილაზაციის ფენომენი.

ეთნოგენეზი ეზოთერულ ნაცისტურ იდეოლოგიაში

მე-19 საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსები და მეცნიერები (Arthur Gobenau „Inequality of Human Races“ and Social Darvinist Haeckel „Monist

League“) ინტენსიურად კამათობდნენ ადამიანებისა და ერების წარმოშობის საკითხებზე. ჰიტლერმა ეს პოლიტიკის საკითხად აქცია და თავისი წიგნიც კი დაასათურა „ჩემი ბრძოლა“, რომელიც იმეორებდა დარვინის ფრაზას „ბრძოლა გადარჩენისთვის“.

ნიცშეს Nietzsche სწავლებამ დიდი როლი ითამაშა ნაციზმის იდეოლოგიის საფუძვლების ჩამოყალიბებაში, თუმცა პირადად მასთან დამოკიდებულება ძალზე რთული იყო. ნიცშე მბრძანებელთა რასაზე საუბრობდა, მაგრამ მას მხედველობაში რომელიმე კონკრეტული რასა არ ჰქონდა და განსაკუთრებით კი გერმანელები. ის წერდა: „ერთ დროს გერმანელებს უწოდებდნენ მოაზროვნე ერს: ისინი ახლა საერთოდ აზროვნებენ? Deutschland, Deutschland uber alles არის, მე ვშიშობ, გერმანიის ფილოსოფიის დასასრული. რამდენი ლუდია გერმანულ ინტელექტში!“

დასაწყისში ნიცშე აღმერთებდა თავის შორეულ ნათესავს ვაგნერს Wagner, რომლის ოჯახის წევრი იყო ინგლისელი რასისტი ჩემბერლინი Houston Stewart Chamberlain, და ისინი ყველა შოპენჰაუერის Schopenhauer მიმდევრები იყვნენ, მაგრამ ბოლოს ეს კავშირი სკანდალურად დასრულდა, ვინაიდან ნიცშე უარყოფდა ქრისტიანობას, ანტისემიტიზმს და გერმანელების უპირატესობას. ამავე შინაარსის კონფლიქტის გამო ნიცშეს და ემიგრაციაში წავიდა პარაგვაიში, „ებრაელებისგან სუფთა ადგილას, სადაც გერმანული კულტურა შეუფერხებლად აყვავდებოდა“. ნიცშე კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ანტისემიტიზმისა, ხოლო მისი და კატეგორიულად არ ეთანხმებოდა მის ანტიქრისტიანობას. ყველა მისდევდა ჰომეოპათიასა და ვეგეტარიანიზმს. ფროიდმა და იუნგმა Freud and Jung ფართოდ გაავრცელეს ხმები მისი სიფილისით დაავადების შესახებ (როგორც ულიანოვ-ლენინი). პარადოქსულია, მაგრამ ჰიტლერი არასოდეს ციტირებდა ნიცშეს, მაგრამ დააარსა ნიცშეს მუზეუმი, რომელსაც ნიცშეს პატივის მისაგებად ფაშისტი ლიდერები ხშირად სტუმრობდნენ, ასევე მუსოლინი და სპარსელი ელჩებიც კი (ისინი ვერ გებულობდნენ ნიცშეს ფილოსოფიას, მაგრამ გაგონილი ჰქონდათ, რომ მისი მთავარი ნაწარმოების გმირი იყო სპარსელი ზარატუსტრა/ზოროასტერი Zarathustra/ Zoroaster).

გვარი ჰიტლერი Hitler ჰიდლერ-ის Hiedler შეცდომით დაწერის შედეგია. უცნაურია, რომ მისი დაბადების ადგილი ავსტრიის ანშლუსის Anschluss შემდეგ მისივე ბრძანებით განადგურდა. ამიტომ არ არსებობს მისი დაბადების აღსანიშნავად რაიმე მემორიალური ადგილი, სტალინის, ლენინის, მაოს, ტიტოს და სხვებისგან განსხვავებით. ადოლფი მამაცი მეომარი იყო, ის მოხალისედ წავიდა ბავარიის არმიაში[1] და არა ავსტრიულში[2], რადგან სურდა ებრძოლა

[1] შესაძლებელია ის საქართველოს სწვეოდა როგორც ჯარისკაცი 1918 წელს.

[2] ჰიტლერის მსგავსად ავსტრიელები განსაკუთრებული ფანატიკოსები იყვნენ: ზეის-ინკვარტი, ეიხმანი, კალტენბრუნერი Seyss-Inquart, Eichmann, Kaltenbrunner, ექვსი დიდი საკონცენტრაციო ბანაკიდან ხუთის მეთაური იყო ავსტრიელი, სადაც მილიონობით ებრაელი, სლავი, ჰომოსექსუალი, ბაპტისტი, იეღოველი, ბოშა და ლუნატიკი იყო მოკლული.

გერმანელი ჯარისკაცების გვერდით. მან მონაწილეობა მიიღო 46 ბრძოლაში და რკინის ჯვრის II ხარისხის ორდენით შეამკეს 1914 წელს, I ხარისხის ორდენით კი 1918 წელს, რაც ძალზედ იშვიათი იყო ჩვეულებრივი ჯარისკაცისთვის. იგი მოიწამლა გაზით მდინარე იპრთან Ypres შეტაკების დროს (საიდანაც მოდის მოსაწამლი გაზის სახელი – იპრიტი yperite) 1918 წელს და დროებით დაბრმავდა[1]. ჰიტლერი არასდროს ეწეოდა, სვამდა, იყო ვეგეტარიანელი, ვერ იტანდა ხორცს, არასდროს ჰქონია აშკარა ურთიერთობები ქალებთან. ის დიდი რაოდენობით ლიტერატურას კითხულობდა. ზეპირად ციტირებდა შექსპირს, უყვარდა დონ კიხოტი და ბიძია თომას ქოხი, რომელიც 1950 წელს აკრძალული იყო აშშ-ში რასობრივი კანონის გამო.

ზოგი დასავლელი ავტორის მიხედვით, ადოლფ ჰიტლერის მამა – ალოიზ შიკლგრუბერი Alois Schicklgruber ბავშობაში იღებდა პენსიას (ალიმენტს) ებრაელი ფრაკენბერგერის Franckenberger ოჯახიდან და ჰიტლერს ყოველთვის ეშინოდა, რომ მისი ებრაული წარმოშობა გამოაშკარავდებოდა. მან უარი თქვა თავის ნახევარ დისშვილთან გელი რაუბალთან Geli Raubal ინტიმური კავშირის გაოფიციალურობაზე, არა მარტო სისხლის აღრევის თავიდან აცილების გამო, არამედ ყველა მის თანამშრომელს სახლში ესმოდა გელის ისტერიკები, რომ ჰიტლერს ეშინოდა ყოლებოდა შავგვრემანი ბავშვები ხუჭუჭა თმით. უმაღლესი რანგის რამდენიმე სხვა ნაცისტის მიმართაც ისმოდა მსგავსი კითხვები, მაგ., ალფრედ როზენბერგის მიმართ. კარგად არის ცნობილი, რომ ჰიტლერი ამ ჭორების მოხსენებებზე პასუხობდა: „აქ მე ვწყვეტ ვინ არის ებრაელი და ვინ არა“. მან არ გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი იმ ებრაელებს, ვინც პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის არმიაში იბრძოდნენ. საკონცენტრაციო ბანაკი თერეზინსტადტი Terezinstadt დაარსდა მათთვის და ის გამოიყენებოდა პროპაგანდის მიზნით, ის ყოველთვის საჩვენებელი იყო საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებისათვის.

ნაცისტურ გერმანიაში რამდენიმე ოკულტური, ეზოთერული საზოგადოება არსებობდა: Kabbalists, Alchemists, Rosicrucians (Rosencreuz), Templers, Illuminates, Teutonic, Masons, Grail knights, Society Vril, Golden Dawn Society, British organization under Aleister Crowley, Society Thule (capital of Hyperborea). ისინი იყენებდნენ ფრიდრიხ ნიცშეს, შოპენჰაუერის, შპენგლერის, გობენაუს, ჰიუსტონ ჩემბერლენის, ბერნარდ შოუს Fredrick Nietzsche, Schopenhauer, Spengler,

[1] მეორე მსოფლიო ომის დროს ორივე მხარეს ჰქონდათ დიდი რაოდენობით ქიმიური იარაღის მარაგი, მაგრამ არასდროს გამოუყენებიათ. შესაძლოა მოკავშირეების ოფიციალური გაფრთხილების გამო, რომ ქიმიური შეტევის შემთხვევაში, მოკავშირეები გერმანიის ტერიტორიას დაფარავდნენ 3 სანტიმეტრის სისქის ქიმიური სითხით. ასევე შესაძლოა მისი პირადი ცუდი მოგონებების გამო. საინტერესოა, რომ ჰიტლერმა უარი თქვა 1 მილიონი ინჟინრის ჯარში გაწვევაზე ომის ბოლო დღეებში, რადგან ისინი საჭირო იქნებოდნენ გერმანიის აღორძინებისათვის წაგებული ომის შემდეგ.

Gobineau, Houston Chamberlain, Bernard Show, ასევე ებრაული წარმოშობის ანტისემიტის, ავტოკონსტრუქტორის ჰენრი ფორდის Henri Ford, იეზუიტ იგნასიო დე ლოიოლას Ignace de Loyola და პროტესტანტ ლუთერის Luther ნაშრომებს.

კარლ ჰაუსჰოფერი Karl Haushofer იყო გეოპოლიტიკის მეცნიერების ოფიციალური დამფუძნებელი. ჰაუსჰოფერმა იცოდა რამდენიმე აღმოსავლური ენა, სანსკრიტი და გადათარგმნა რამდენიმე უძველესი ტექსტი. ის რამდენჯერმე ეწვია ტიბეტსა და იაპონიას და დაჯილდოებული იყო უმაღლესი ეზოთერიკული წოდებით ტიბეტის მთებში. რუდოლფ ფონ ზებოტენდორფთან[1] Rudolf von Sebottendorf ერთად მან შექმნა ნაცისტების ეზოთერული ცენტრი – თულეს საზოგადოება Society Thule. მისი გურუ იყო ცნობილი გურჯიევი[2] Gurdjieff. გურჯიევმა და კარლ ჰაუსჰოფერმა ერთად იმოგზაურეს ინდოეთში, აზიასა და ავღანეთში. მან აირჩია მბრუნავი ჯვრის სიმბოლო, სვასტიკა, რომელიც ცნობილი იყო ძვ. წ. მე-14 საუკუნეში ტროაში. გურჯიევი თავაზობდა ჯვრის საპირისპირო მხარეს ბრუნვით.

საინტერესოა, რომ ჰაუსჰოფერს წინასწარხედვის უნარი გააჩნდა. პირველი მსოფლიო ომის დროს ის სასწაულებრივად წინასწარმეტყველებდა მტრის

---

[1] იგი დაიბადა როგორც გლანერი Glaner საქსონიაში და ბევრს დახეტიალობდა: ის სწავლობდა ეგვიპტეში, თურქეთში მან გაიცნო ისლამის ეზოთერიკული განშტოების სუფიზმის მიმდევრები და ებრაელი კაბალისტები. 1911 წელს, გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, იგი იშვილა გერმანელმა დიდებულთა ოჯახმა ფონ ზებოტენდორფმა და მემკვიდრეობით მიიღო მისი ქონება. როგორც თურქეთის მოქალაქე, ის არ იყო მობილიზებული გერმანიის არმიაში პირველი მსოფლიო ომის დროს, არამედ თურქეთის ჯარში და იბრძოდა ბალკანეთში. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ მან დააარსა თულეს საზოგადოება სვასტიკას სიმბოლოთი. 1934 წელს იგი დააპატიმრა გესტაპომ, მაგრამ ჰესის ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს და თურქეთში დაბრუნდა. ნაცისტების დამარცხების შემდეგ ის დაიხრჩო (ან მოკლეს) შავ ზღვაში 1945 წლის 8 მაისს.

[2] გურჯიევი Gurdjiev თბილისის სემინარიაში სტალინთან ერთად სწავლობდა და სავარაუდოდ, მას კრემლში სტუმრობდა. მან ბევრი იმოგზაურა, აზიიდან ევროპაში პირველად ჩაიყვანა მბრუნავი დერვიშები (swirling dervishes), იყო სუფიზმის მიმდევარი და ფლობდა ჰიპნოზის ტექნიკას. ის ხშირად სტუმრობდა ტიბეტს, ჰყავდა გავლენიანი მეგობრები მესამე რეიხში და მას ხელი არ ეშლებოდა ნაცისტების ოკუპაციის დროს პარიზში.

გურჯიევი თანამშრომლობდა ზებოტენდორფთან, რომელსაც შეხვდა ახალგაზრდა თურქების კონფერენციაზე თურქეთში, რომელიც მიძღვნილი იყო იმპერიული სამეფო ოჯახების წინააღმდეგ რევოლუციების გამოცდილების გაზიარებას.

ცნობილია, რომ ჰიტლერის პირადი ექიმი თეოდორ მორელი თჰეოდორ ორელლ წლების განმავლობაში გაურკვეველი წამლებით მკურნალობდა ჰიტლერს და მათ შორის იმით, რაც გურჯიევს ურდჯიეფფ ჩამოჰქონდა ტიბეტიდან დალაი ლამასგან Dalai Lama. რამდენჯერმე მორელი უნდა დაეპატიმრებინა გესტაპოს, მაგრამ ჰიტლერმა იგი პირადად გადაარჩინა.

შეტევის დროსა და მიმართულებას და ამით გახდა არმიის გენერალი! გერმანიის არმიიდან წამოსვლის შემდეგ, 1921 წელს ის წავიდა მიუნხენის უნივერსიტეტში და დააარსა ისტორიაში პირველად გეოპოლიტიკის ინსტიტუტი Institute of Geopolitics. გერმანიის საჰაერო ძალების პილოტი რუდოლფ ჰესი Rudolf Hess მისი პირველი სტუდენტი იყო. მიუნხენის პუტჩის მცდელობის მარცხის შემდეგ ჰაუსჰოფერი ჰესსა და ჰიტლერს ციხეში ყოველდღე სტუმრობდა! გეოპოლიტიკის 40 წიგნის ავტორმა, დიდი გავლენა იქონია ჰიტლერზე „მაინ კამფის" წერის დროს. მან უარი განაცხადა ანტისემიტიზმთან ყოველგვარ კავშირზე, მით უმეტეს, რომ მისი მეუღლე ნახევრად ებრაელი იყო, და ის გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ ნაცისტური პარტიის №2 პირი ჰესი მისი პირადი მეგობარი იყო. ვარაუდობენ, რომ მან ზუსტად იცოდა რუზველტის სიკვდილის დღე, და ჰიტლერის ზოგიერთი განკარგულება ამ მოსაზრებას ამტკიცებს. მან იწინასწარმეტყველა ის ადგილი, სადაც მუსოლინი დააპატიმრეს 1943 წელს და ოტო სკორცენი Otto Scorzeni მის დასახსნელად გაგზავნეს. მაგრამ მისმა ვაჟმა მონაწილეობა მიიღო შტაუფენბერგის Stauffenberg ჩაშლილ შეთქმულებაში ჰიტლერის წინააღმდეგ და 1944 წელს სიკვდილით დასაჯეს. თავის უკანასკნელ წერილში შვილი წერდა, რომ მისმა მამამ მონსტრი შობა. არავითარი დამსახურებები არ გაუთვალისწინებიათ და კარლ ჰაუსჰოფერიც გაუშვეს დახაუში. ის გადარჩა, მაგრამ ჰიტლერის მსგავსად, მან ფანატიკურად მოკლა მეუღლე, უმცროსი შვილები და სამურაივით ჰარაკირით დაასრულა სიცოცხლე თურქეთში 1946 წლის 14 მარტს.

რუდოლფ ჰესი Rudolf Hess დაიბადა და განათლება მიიღო ეგვიპტეში, მაგრამ გახდა გერმანიის საჰაერო ძალების პილოტი პირველი მსოფლიო ომის დროს. ომის შემდეგ ის სწავლობდა მიუნხენის უნივერსიტეტში და ესწრებოდა ჰაუსჰოფერის ლექციებს. მიუნხენის პუტჩის მცდელობის შემდეგ ჰესი დაპატიმრებას გადაურჩა, მაგრამ თვითონ ჩაბარდა და ერთი წელი ჰიტლერთან ერთად გაატარა საკანში. ფილიპე ვალოდეს მიხედვით Philippe Valode „Hitler et les Societes Secreteres" (2009), მას ფანატიკურად სწამდა და ჰიტლერს უმტკიცებდა, რომ ვალჰალა და ასგარდი Walhalla and Asgarde[1], ასების და ოდინის Ases and Odin სამეფოს დედაქალაქი, მდებარეობდა კავკასიაში, თანამედროვე ოსეთში[1]. მას სჯეროდა, რომ ნოეს კიდობანი გაჩერდა მთა იალბუზზე Elbrus ოსეთში[2]. 1941 წლის 10 მაისს ჰესი პირადად გადაფრინდა

---

[1] არიანების/არიელების სამოთხეს უწოდებდნენ ვალჰალას Walhalla, მათი სკანდინავიელი ღმერთი იყო ოდინი Odin ან გერმანული ვოტანი Wotan. ასები Ases იყვნენ უძველესი მითიური მეომრები გერმანელი ხალხის მითიურ სამშობლოდან ასგარდან Asgarda. გერმანიის აპოკალიფსის დღეს უწოდებენ რაგნარეკს ღაგნარეკ და ავატარი Avatar იყო მათი სატანა, რაც დაწერილი იყო რუნულ ხელნაწერში ქვებზე, რომელიც აღმოჩენილია ჩრდილოეთ ქვეყნებში.

[2] სწორედ ამიტომ, სპეციალური SS რაზმი, კაპიტან goTis Groth ხელმძღვანელობით, განათავსა იალბუზზე (5633 მ.) ფაშისტების დროშა 1942 წლის 21 აგვისტოს,

ბრიტანეთში იმ მიზნით, რომ შეხვედროდა შოტლანდიელ ლიდერს ლორდ ჰამილტონს, რომელიც იყო ჰაუსჰოფერის ვაჟის მეგობარი, რადგან ის შოტლანდიელებს მიიჩნევდა როგორც არიელ რასას. მაგრამ მან სიცოცხლე შპანდაუს ციხეში თვითმკვლელობით დაასრულა 1987 წელს. სასამართლოზე მიცემული მისი ჩვენებები ინგლისის საიდუმლო სამსახურის მიერ 100 წლით არის დახურული.

რუდოლფ ფონ ზებოტენდორფისა და კარლ ჰაუსჰოფერის მიერ ჩამოყალიბებულ თულეს ეზოთერული საზოგადოების წევრები იყვნენ ასევე რასობრივი თეორიის იდეოლოგი ალფრედ როზენბერგი Alfred Rosenberg, ბალტიელი გერმანელი (ან ებრაელი ბევრი ავტორის მიხედვით, როგორც ვლადიმერ ჟირინოვსკი (Eidelstein)), SS-ის მეთაური ჰეინრიხ ჰიმლერი Heinrich Himmler, დიტრიხ ეკარტი Dietrich Eckart, „Volkische Beobachter"-ის რედაქტორი

და თავად ადოლფ ჰიტლერი.

SS-ის საიდუმლო სამსახური ანენერბე[1] „Ahnenerbe" დააარსა ჰიმლერმა 1935 წელს და ის იყო პასუხისმგებელი ოკულტური და ეზოთერული კვლევის ორგანიზაციაზე ნაცისტურ გერმანიაში. ჰიმლერი და ანენერბეს დირექტორი ვოლფრამ ზივერსი Wolfram Sievers 1931 წლიდან აგზავნიან SS ჰაუპტშტუმფიურერს დოქტორ ერნესტ შეფერეს Dr Ernst Schäfer, ზოოლოგს და ორნითოლოგს, ტიბეტში, ლხასაში, იმ მიზნით, რომ აღმოაჩინოს შამბალა Shamballa, საკრალური ეზოთერული ქალაქი, არიან-ინდოევროპელების მშობლიური ქვეყანა. ზოგი ავტორი იჩემებს, რომ შესაძლოა მან აღმოაჩინა გარკვეული ცნობები ეს ქალაქის შესახებ (რაც ამჟამად შესაძლოა მოსკოვის

რომელიც აიღო ქართველმა საბჭოთა ალპინისტმა მიხეილ ხერგიანმა მხოლოდ 50-იან წლებში. ჰიტლერი წერდა მარშალ ლისტს, რომ სწრაფად შესულიყვნენ კავკასიაში: „შენ ვერ მიხვდები, თუ რაში მჭირდება მე ეს რეგიონი, კავკასია".

[1] კურიოზია, რომ ანენერბეში, ასეთ საიდუმლო ინსტიტუტში, აღმოაჩინეს პასტერიზებული რძის ტექნოლოგია.

Theosophical Seal

სვასტიკა სომხურ ციხესიმაგრეზე ანში, X საუკუნე

ირანული ყელსაბამი, ძვ. წ. 1 ათასწლეული,
ირანის ეროვნული მუზეუმი

საცავებში ინახება, როგორც ტროფეი), ვინაიდან ამის შემდეგ ტიბეტელი ბერები მუდმივად სტუმრობდნენ ნაცისტი ფიურერების კაბინეტებს. თითქმის ათასი თვითმკვლელობით დაღუპული ტიბეტელის გვამი იქნა ნაპოვნი ბერლინში რუსეთის მიერ ქალაქის აღების შემდეგ 1945 წელს, რაც საბჭოთა კინოდოკუმენტალისტების მიერაც არის დაფიქსირებული. საინტერესოა, რომ ბოლო ექსპედიციები დაგეგმილი იყო საბჭოთა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად, ალმა-ატის გავლით, მაგრამ ომის დაწყებამ ამ გეგმებს ხელი შეუშალა.

ნაცისტების მისალმება მარცხენა ხელის აწევით, გადმოღებული იყო რომაული და გერმანული მითების ტრადიციებიდან. სვასტიკა გავრცელებული იყო მესოპოტამიაში, ინდოეთში, იაპონიასა და კავკასიაში. სვასტიკას ამულეტს იყენებდნენ ტამპლიერი Templar რაინდები. ინდოეთში ეს სიმბოლო გამოჩნდა ჰარაპანის ცივილიზაციის დამარცხების შემდეგ არიანების მიგრაციის დროს და გავრცელდა ბუდიზმში. თუმცა თულეს საზოგადოება იყენებდა მარცხენა-მხრივ სვასტიკას, ჰიტლერი პირადად მოითხოვდა მარჯვენა-მხრივ სვასტიკის გამოყენებას, როგორც ფაშიზმის სიმბოლოს, როგორც ეს არის ინდოეთის ვერსიებში. ეს იყო მთავარი მიზეზი ჰიტლერსა და გურჯიევს შორის განხეთქილების ჩამოვარდნისა.

წმინდა შუბი (Holy Lance/Spear of Destiny) იყო ის შუბი, რომელიც ჯვარცმულ იესოს აძგერა ფერდში ცენტურიონმა ლონგინუსმა Longinus პილატეს ბრძანებით, რათა დარწმუნებულიყო მის სიკვდილში. ქრონიკების მიხედვით, შუბი წაღებული იყო კონსტანტინოპოლში და ინახება აია სოფიას Hagia Sophia ტაძარში. შუბი ბიზანტიის იმპერატორთა მფლობელობაში იყო,



Jesus' side is pierced with a spear, Fra Angelico (c. 1440), Dominican monastery of San Marco, Florence.

შემდგომ გერმანელი ფრანკი მეფეებისა და ბოლოს ჰოჰენშტაუფენების Hohenstaufen შვაბიური სამეფო დინასტიისა. ფრიდრიხ ბარბაროსა Fredrick Barbarossa მას ინახავდა მანამ, სანამ ჯვაროსნული ომის დროს მდინარეში ჩაუვარდა. 1424 წლიდან ის ნურნბერგში ჩამოიტანეს და სამუდამოდ იქ ინახებოდა. აუსტრელიცის გამარჯვების შემდეგ, 1796 წელს ნაპოლეონი სასწრაფოდ გადაადგილდა ნიუნბერგის მიმართულებით, რათა ხელში ჩაეგდო ეს საკრალური ნივთი. მაგრამ ნიუნბერგის ქალაქის საბჭომ გადაიტანა ეს რელიკვია ვენაში, რათა დაცულად ყოფილიყო ჰაბსბურგების მიერ. როდესაც მათ მოითხოვეს ძვირფასეულობა უკან, უარი მიიღეს. ანშლუსის შემდეგ, 1938 წელს, როდესაც ავსტრია ანექსირებული იყო გერმანიის მიერ, ჰიტლერმა შუბი ნურნბერგს დაუბრუნა და მას იცავდა Leibstandarte SS „ადოლფ ჰიტლერი", რომელიც შედგებოდა 120 SS ოფიცრისგან (პრეტორიანები) ობერგრუპენფიურერის იოსებ სეფ დიტრიხის Joseph Sepp Dietrich მეთაურობით. მაგრამ 6 წლის შემდეგ აშშ-ის ლეიტენანტმა ვოლტერ ჰორნმა ის გადასცა აშშ-ის პრეზიდენტს საკუთრებაში. ინგლისელმა მეტალურგმა რობერტ ფიზერმა Feather ტესტირება ჩაუტარა შუბს 2003 წელს და დაადგინა მისი დამზადების თარიღი – ჩვ. წ.-ით მე-7 საუკუნე, ხოლო რკინის გული შეესაბამება სიგრძითა და ფორმით, ჩვ. წ.-ით 1 საუკუნის რომაულ ლურსმანს.

The Holy Lance in Echmiadzin, Armenia

The Holy Lance in the Schatzkammer of Vienna

Holy Lance of Rome

მეორე ლეგენდა შუბის ვერსიაზე არის ის, რომ ის ჩასვეს ხატში და ბიზანტიის იმპერატორმა მიყიდა საფრანგეთის მეფე ლუი IX-ს Louis 1244 წელს. საფრანგეთის რევოლუციის დროს ეს რელიკვიები გამოფენილი იყო ნაციონალურ ბიბლიოთეკაში და შემდგომ გაუჩინარდა. რელიკვიის მეორე ნაწილი ხელში ჩაუვარდა თურქებს და 1492 წელს სულთანმა ბაიაზეთ II-მ გაუგზავნა ინოკენტ VIII-ს, რათა წაეხალისებინა პაპი, რომ მისი ძმა და მეტოქე ჰყოლოდა ციხეში. ახლა ეს რელიკვია დაცულია რომში, წმინდა პეტრეს ბაზილიკაში.

მესამე შუბი, რომელიც ამჟამად არის ეჩმიაძინში Echmiadzin, სომხეთში, გეგარდის Gegard მონასტერში („გეგარდ“ სომხურად ნიშნავს „შუბს“), აღმოჩენილ იქნა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. 1098 წელს, ერთ-ერთმა ჯვაროსანმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა ხილვა, სადაც წმ. ანდრია პირველწოდებულმა გაუმხილა, რომ წმინდა შუბი ინახებოდა წმ. პეტრეს ტაძარში ანტიოქიაში. გათხრის შედეგად შუბი აღმოაჩინეს.

ევროპელი ებრაელების გადარჩენის პირველი მცდელობები დაიწყო 1903 წელს, როდესაც რუსეთში პოგრომების შემდეგ ბრიტანეთის კოლონიების მდივანმა ჩემბერლენმა Joseph Chamberlain სიონისტების ლიდერს თეოდორე ჰერცლს Theodore Herzl შესთავაზა ებრაელების გადასახლება უგანდა-კენიაში. სიონისტების კონგრესზე ბაზელში მწვავე კამათის შემდეგ გადაწყდა კომისიის ადგილზე გაგზავნა, რომელმაც დაადგინა, რომ ეს ადგილი სავსეა ველური ცხოველებით, და 1905 წელს ბრიტანელების ამ შემოთავაზებაზე თავაზიანი უარი ითქვა.

1917 წელს გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა არტურ ბალფურმა Arthur Balfour გამოსცა თავისი ცნობილი დეკლარაცია, რომ „მისი უდიდებულესობის მთავრობა კეთილგანწყობილია პალესტინაში ებრაელი ხალხის ეროვნული სახლის დაარსებაზე“, რასაც ნაცისტებიც მიესალმნენ. მაგრამ იმ დროს ეს ტექნიკურად ძნელად განსახორციელებელი აღმოჩნდა. როდესაც ებრაელების პალესტინაში გადასახლების გეგმა გადასცეს ლორდ ბრენდს Lord Brand, იმ დროს პალესტინაში ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრმა უპასუხა: „და მე რა უნდა მოვუხერხო ერთ მილიონ ებრაელს? სად უნდა დავაბინაო?“

ებრაელების მდგომარეობა ნაცისტურ გერმანიაში კიდევ უფრო გამწვავდა კრისტალური ღამეების შემდეგ Crystal Nights, როდესაც დაარბიეს ებრაული მაღაზიები პოლონელი ებრაელის მიერ პარიზში გერმანიის სამხედრო ატაშეს მკვლელობის გამო. 1939 წელს ფაშისტებმა კანონი გამოსცეს, რის მიხედვითაც ებრაელებს ეკრძალებოდათ მანქანის ტარებაც. დაარსდა SS საიდუმლო ორგანიზაცია, რომელსაც პირადად ემორჩილებოდა ფიურერის „პრეტორეანული გვარდია“. მისი წევრებისთვის აკრძალული იყო ნარკოტიკები, ლოთობა, ჰომოსექსუალიზმი, ყავა და სხვა. მათ ოჯახი უნდა შეექმნათ 25-30 წლის ასაკში, სიმაღლეში უნდა ყოფილიყვნენ არა ნაკლებ 180 სმ-სა, ქერა და სწორი აღნაგობის. SS-ის ფორმა შექმნა ჰუგო ბოსმა Hugo Boss. მათი სლოგანი იყო: „მხოლოდ 4-შვილიანი ოჯახებისგან შემდგარ ერს შეუძლია გაუძღვეს ომს. ოჯახები 1-2 ბავშვით ყოყმანს დაიწყებენ“.

გერმანელების და ებრაელების შეურიგებელმა მტრობამ 1938 წელს აიძულა პრეზიდენტი რუზველტი President Roosevelt, ფრანგულ ევიანში Evian მოეწყო კონფერენცია, მაგრამ თავიდანვე გაცხადდა, რომ შეერთებულ შტატებში არ გაზრდიან საიმიგრაციო კვოტას ებრაელებისათვის, რის გამოც ეს კონფერენცია განწირული იყო წარუმატებლობისათვის. ასევე აშშ-ში Slattery Report-ში განიხილებოდა ავსტრიელი და გერმანელი ებრაელების ალასკაში დასახლება, ხოლო იაპონია, თავაზობდა მათ დასახლებას იაპონელების მიერ ოკუპირებულ მანჯურიასა ან შანხაიში. აგრეთვე იყო ეგვიპტის შემოთავაზება ებრაელების კვიპროსზე განსახლებისა, ასევე საუდის არაბეთში, სალონიკში, ალბანეთში.

საბჭოთა კავშირში განიხილებოდა ებრაელების ყირიმში განსახლება (მოლოტოვის მეუღლე ჟემჩუჟინა ამ საქმეზე იყო გასამართლებული), მაგრამ საბოლოოდ 1935 წელს გადაწყდა მათი განსახლება ავტონომიაში ჩინეთის საზღვარზე დედაქალაქით ბირობიჯანში.

1938 წელს ამ პრობლემის საბოლოო მოგვარება Endlosung/Final Solution ჰიმლერმა და გერინგმა Himmler and Goering სცადეს მათი მადაგასკარზე გადასახლების გზით. ებრაელების საკითხის ბოლშევიკური მეთოდებით ფიზიკური რეპრესიებით გადაჭრაზე ჰიმლერმა უარი განაცხადა, რადგანაც ეს იქნებოდა „არაგერმანული და შეუძლებელი“. 1940 წელს ამ პროექტის ფარგლებში 4 მილიონი ებრაელის მადაგასკარზე გადაყვანას დაახლოებით 4 წელი დასჭირდებოდა და შესაბამისი ტევადობის გემების მოთხოვნა გაეგზავნა საფრანგეთსა და ინგლისს. საფრანგეთის ვიშის მთავრობას გაეგზავნა შესაბამისი ნოტა, ვინაიდან კუნძული მას ეკუთნოდა. მაგრამ მალე დაიწყო მსოფლიო ომი, 1942 წელს ბრიტანელებმა დაიკავეს მადაგასკარი და გეგმა საბოლოოდ ჩაიშალა. 27 იანვარს ფიურერმა ახალი გეგმა განაცხადა: „ებრაელებმა უნდა დატოვონ ევროპა. საუკეთესო გზა იქნება, რომ წავიდნენ რუსეთში“. „ვანზეეს ოქმის“ „Wannsee Protocol“ თანახმად, დაიწყო ებრაელების საკონცენტრაციო ბანაკებში შეგროვება რუსეთში გაგზავნის მიზნით. მაგრამ ომის მიმდინარეობა არახელსაყრელი იყო, მით უმეტეს გაიზარდა გერმანიის სამხედრო წარმოებაში ყველა არსებული ადამიანური რესურსის მობილიზაციის მოთხოვნა. 1943 წელს გამოცხადდა გერმანელების ტოტალური მობილიზაცია ომისათვის. სამაგიეროდ რამდენიმე მილიონი უცხოელი მობილიზებული იყო გერმანიაში სამუშაოდ. 1944 წლის დასაწყისში ჰიტლერმა 4 მილიონი დამატებითი მუშა მოიხმო. გამოიცა საკონცენტრაციო ბანაკებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ბრძანება, რათა სამხედრო ქარხნებში გაზრდილიყო შრომის ხარისხი. 1942 წლის 22 დეკემბრის ჰიმლერის ბრძანებით „ბანაკებში სიკვდილიანობა უნდა შემცირებულიყო ყველა ხერხით და მეთაურებს პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, რომ გამოეყენებინათ ყველა შესაძლებლობა მომუშავეთა ფიზიკური გაძლიერებისთვის“. სხვათა შორის, იგივე განკარგულება იქნა გაცემული საბჭოთა კავშირის ციმბირის ბანაკებში, იმავე ეკონომიკური მიზეზების გამო.

ებრაელთა ეთნოგენეზი

ძვ. წ. 2000 წ. – ბაბილონის გოდოლი Tower of Babel დაინგრა,
– დაიბადა აბრამი
ძვ. წ. 1800წ. – მიგრაცია ჰარანსა და შემდგომ ქანაანში Harran and Canaan
– დაინგრა სოდომი და გომორი Sodom and Gomorrah
– ისმაილი Ishmael, აბრამის და სარას მსახურის, ჰაგარის, ვაჟი დაიბადა
– ღმერთი დაპირდა აბრამს, რომ მისი შთამომავლობა სარასგან იქნება რჩეული და იბატონებდა ქანაანში, დაპირებულ მიწაზე
– აბრამსა და სარაის Abram and Sarai უფალმა გადაარქვა სახელები და უწოდა აბრაჰამი/აბრაამი და სარა Abraham and Sarah
– აბრაამის წინდაცვეთა
– დაიბადა აბრაამისა და სარას ვაჟი ისააკი Isaac
– პირველი მიგრაცია ეგვიპტეში
ძვ. წ. 1730 წ. – იოსები Joseph მისმა ძმებმა გაყიდეს და ის გახდა ფარაონის მრჩეველი
ძვ. წ. 1700 წ. – შიმშილობის წლების შემდეგ იაკობ-ისრაელი Jacob-Israel გადავიდა ეგვიპტეში 130 წლის ასაკში
ძვ. წ. 1250 წ. – ისრაელიტებმა მასობრივად დატოვეს Exodus ეგვიპტე
ძვ. წ. 1200 წ. – მოსე და აარონი Moses and Aaron გარდაიცვალნენ
– ისრაელიტები შევიდნენ ქანაანში
ძვ. წ. 1041-1001 წწ. – დავითი David ტახტზე ავიდა, როგორც ისრაელის მეფე
ძვ. წ. 1034 წ. – დავითმა გადაიტანა დედაქალაქი იერუსალიმში
ძვ. წ. 1001-961 წწ. – დავითის ვაჟი, სოლომონი Solomon, ავიდა ისრაელის ტახტზე
ძვ. წ. 997 წ. – ტაძრის დაარსება
ძვ. წ. 961 წ. – გაერთიანებული მონარქია გაიყო ორ მეტოქე სამეფოდ: ჩრდილოეთით ისრაელი და სამხეთით იუდეა
ძვ. წ. 719 წ. – ისრაელის ჩრდილოეთ სამეფო გაანადგურა ასურეთმა Assyria
ძვ. წ. 587 წ. – ბაბილონთან ომში იუდეას Judah სამეფო დაეცა
ძვ. წ. 539 წ. – იუდეა ბაბილონის ტყვეობიდან გათავისუფლდა

ებრაელთა ეთნოგენეზი ყველაზე მეტად ცნობილია, შესწავლილია და დოკუმენტირებულია ბიბლიის ცნობებით. ის თვალნათვლივ გვაჩვენებს ამ პროცესის ყველა სირთულეს. იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი მოიაზრება, როგორც „აბრაამისეული და მწიგნობრული მონოთეისტური რელიგიები“, ვინაიდან სამივე რელიგია აღიარებს ერთ ღმერთს, ერთ პატრიარქს აბრაამს და სამივე დაფუძნებულია ნაწილობრივ ერთი და იმავე წმინდა წიგნებზე. იუდაიზმი აბრაამს მოიხსენიებს ისრაელის და იუდეას ხალხის მამად, მისი

ვაჟი იაკობის მეშვეობით, რომელიც ცნობილია ასევე ისრაელის სახელით (გენეზისი 35:10). ქრისტიანობაში ყველაზე მთავარი დაპირება აბრაამის მიმართ იყო გენეზის 12-ში, რომ მთელი მისი შთამომავლობა მსოფლიოში დალოცვილი იქნებოდა. ახალ აღთქმაში აბრაამი მოხსენიებულია, როგორც ქრისტეს (ან მესიას) წინაპარი (იხილეთ გალატელთა მიმართ ეპისტოლე 3:16). მუსლიმებში ის ცნობილია, როგორც იბრაჰიმი Ibrahim არაბულად და მიიჩნევა მუჰამედის წინაპრად მისი მეორე ვაჟის ისმაელის მხრიდან. მუსლიმებს სწამთ, რომ აბრაამმა დააარსა ქააბა Kaaba, წმინდა მეჩეთი მექაში. მისი ფეხის კვალი ქვაზე ინახება ქააბაში და მას იცავს რელიგიური პოლიცია. ყოველწლიური ჰაჯი, ისლამის მეხუთე დოგმა იმეორებს აბრაამისა და ისმაელის მოგზაურობას ქააბას წმინდა ადგილზე.

უნდა გავიხსენოთ, რომ ადამსა და აბრაამს შორის 19 თაობა ცხოვრობდა მესოპოტამიაში. ჯოშუას წიგნი (24:2) მოგვითხრობს, რომ იეჰოვამ Jehovah იცოდა, რომ აბრაამის მამა, თერახი Terach, „ემსახურებოდა სხვა ღმერთებს“. უფალი ბიბლიის გენეზისში საუბრობს იმ დროს მრავლობით რიცხვში: „ჩვენ“, „ჩვენი“ და „ღმერთები“: „დაე, კაცი იყოს როგორც ერთი ჩვენგანი“ (3:22) და „შექმნილი კაცი იყოს ჩვენი გამოსახულებით, ჩვენს მსგავსად“ (1:26). ამიტომ, როდესაც აბრაჰამი გაეშურა ქანაანისკენ, დაახლოებით ძვ. წ. 1800 წელს, ის იყო არა ებრაელი ან ქანაანელი, არამედ შუმერი Sumer, ბაბილონელი. მაგრამ ქანაანში, აღთქმულ მიწაზე Canaan, Promised Land ამოსვლის შემდეგ, ის გახდა ებრაელი და ებრაელთა რასის საბოლოო პატრიარქი. სახელი „Hebrew“ მოდის პატრიარქის Eber (Heber/Abbar) სახელიდან, აბრაამამდე ექვსი თაობით ადრე.

რამ აიძულა აბრაამის მამას თერახს მესოპოტამიიდან ჰარანში წასვლა ძვ. წ. 1800 წელს? ძალზედ მოულოდნელად სემიტი დამპყრობლები შემოვიდნენ ყველა მხრიდან: აქადეველები Akkadians სამხრეთიდან, სემიტი ამორეველები Amorites თანამედროვე სირიიდან და ელამიტები Elamites თანამედროვე ირანიდან. შუმერთა იმპერია დაეცა და აბრაამი იძულებული გახადა, უკან დახეულიყო თავისი მშობლიურ ქალაქ ურიდან Ur ჩრდილოეთით ჰარანში Haran, ანატოლიასა და კავკასიასთან ახლოს, თერახის წინაპრების ქვეყანაში (გენეზისი 11:31). გამოდის, რომ თერახი (ან მისი უახლოესი წინაპრები) დაიბადნენ ჩრდილოეთში ანატოლიის და სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე და სამხრეთ მესოპოტამიაში მიგრაციის შემდეგ დაესწრენ ბაბილონის გოდოლის მშენებლობას და დააარსეს ქალაქები ბაბილონი და ური, რომელსაც დაერქვა „ქალდეველთა ური“[1] Ur of the Chaldees. შესაბამისად, როდესაც მათ მოდგმას საფრთხე შეექმნა (და ნიადაგის მარილიანობის გამო მოსავალი დრამატულად შემცირდა) უფალმა აბრაამი თავის ოჯახით უკან ჩრდილოეთით ჰარანში დააბრუნა. თერახი იმდენად იყო დაკავშირებული ამ ადგილებთან, რომ არ

[1] გაცილებით მოგვიანებით, ნაბუქოდონოსორის დროს, ქალდეველებმა ჩრდილოეთიდან კვლავ დაიპყრეს ბაბილონი და ური.

გაჰყვა თავის შვილს უფლის მიერ აღთქმულ მიწაზე ქანაანში, დარჩა და გარდაიცვალა ჰარანში.

An angel prevents the sacrifice of Isaac. Abraham and Isaac, Rembrandt, 1634

ზუსტად ჰარანში ამ ხანმოკლე ყოფნის დროს, აბრაამმა ნახა იაჰვე Jakhve და შეუთანხმდა: ერთადერთი ღმერთის აღიარების სანაცვლოდ აბრაამის მთელი შთამომავლობა დალოცვილები იქნებოდნენ (გენეზისი, თავი 11-25) და მას ეწოდა აბრაჰამი Abraham. ამის აღსანიშნავად წინადაცვეთის პრაქტიკა სიმბოლურად გამოიყენება იუდაიზმსა და ისლამში. ჰარანიდან ქანაანში გადასახლებით ძვ. წ. 1800 წელს და ქანაანში შესვლით ისინი გახდნენ ებრაელები Hebrews. პრაქტიკულად 7-8 საუკუნე დასჭირდათ ებრაელებს აღთქმულ მიწაზე საბოლოოდ დასახლებისთვის, როდესაც მოსემ მეორეჯერ მოიყვანა ებრაელები ამ მიწაზე. ფაქტიურად, ეს შეთანხმება აბრაჰამთან კი არ იყო დადებული, არამედ, ჯერ არშობილ ისააკთან Isaac, სარასთან Sarah გაჩენილ ვაჟთან. არავითარი დაპირება არ გაკეთებულა აბრაამის უფროსი ვაჟის ისმაილისთვის Ishmael და არც არა რომელიმე დანარჩენი 6 ვაჟისთვის, რომელიც მეორე ცოლთან ქეთურასთან Keturah ჰყავდა (25:1-2).

რადგან სარა იმ დროს უნაყოფო იყო, მან აბრაამს ცოლად შეართვევინა თავისი ეგვიპტელი მოსამსახურე აგარი Hagar (გენ. 16:3). აგარის ვაჟი ისმაელი იყო აბრაამის პირველი ვაჟი, რომლის თორმეტი ვაჟებიც გახდნენ უდაბნოს არაბი მბრძანებლები (25:1-4), მაგრამ ეს არ იყო ის დაპირებული ვაჟი, რომელიც სარასგან უნდა ყოფილიყო. და სარას, უფლის დაპირებისამებრ, შეეძინა ვაჟი ისააკი აბრაამთან, ისრაელების საერთო წინაპარი. ისააკის მსხვერპლად შეწირვა ბიბლიის ერთ-ერთი ძალზედ დრამატული ნაწილია. იგი ამ დროს 25-37 წლის უკვე კარგად დავაჟკაცებული კაცი უნდა ყოფილიყო, იმდენად ძლიერი, რომ წინააღმდეგობა გაეწია მოხუცი აბრაამისთვის, როდესაც მისი დაბმა უნდოდა. რატომ მოთხოვა ანგელოზმა მისი ვაჟის ისაკის მსხვერპლად შეწირვა აბრაამს, როგორც „ერთადერთი ვაჟი“ (22:11), როდესაც იცოდა, რომ ჰყავდა კიდევ სხვა შვილი ისმაელი? ინტერესის საგანია ის, რომ როდესაც ყურანი მოგვითხრობს იმავე ამბავს, არ ასახელებს ვაჟის სახელს. აქედან გამომდინარე, ისლამისტი ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომ მსხვერპლი უნდა ყოფილიყო არა ისააკი, არამედ ისმაელი, აგარის ვაჟი.

ქანაანი საცხოვრებლად საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა და შიმშილობის დაწყების გამო აბრაამმა მალე დატოვა ქანაანი და თავშესაფარი იპოვა ეგვიპტეში (26:11, 41:57, 42:1). მისი ცოლის სილამაზის გამო, რაც ცუდ

ზრახვებს აღძრავდა ეგვიპტელებში, აბრაამი სარას მიმართავდა როგორც მის დას. მართლაც, სარა იყო მისი ნახევარდა მამის მხრიდან, დედა სხვა ჰყავდა. აბრაამის შიში გამართლდა ფარაონმა სარა წაიყვანა სამეფო ჰარამხანაში და მხოლოდ ზეციერი სასწაულების შემდეგ, რომელიც აბრაამმა გამოიწვია, მან სარასთან და დისშვილ ლოტთან ერთად დატოვა ეგვიპტე და დაბრუნდა ქანაანში.

აბრაამის ოჯახი, პირველი ებრაელები, ცდილობდნენ, რომ არ არეულიყვნენ ადგილობრივ ქანაანელ ტომებთან და ცოლად არ ირთავდნენ ადგილობრივ ქანაანელ ქალებს. აბრაამმა თავისი მსახური გაგზავნა მამის სამშობლოში ჰარანში, ანატოლიაში, რათა მოეძებნა ისააკისთვის Isaac ცოლი. მსახური დაბრუნდა რებეკასთან Rebecca, აბრაამის ძმისშვილთან ერთად. ბიბლიაში ნახსენებია, რომ რებეკა წამოვიდა არამეულ-ქალდეური წარმოშობის Bethuel ოჯახიდან (გენეზისი 28:5). მათ გაუჩნდათ ტყუპები ესაუ და იაკობი და დადგა მათი დაოჯახების დრო. ისააკი იცავდა მამამისის აბრაამის დანაბარებს, რომ არ შერეულიყვნენ ქანაანელ ქალებს, და თავისი შვილი იაკობიც გააგზავნა კვლავ ჩრდილოეთით ჰარანში, საიდანაც მან ორი და, დედის ძმისშვილები, ჩამოიყვანა. ხოლო ესაუმ, რომ გაიგონა მამამისის აკრძალვა ადგილობრივი ქალის ცოლის შერთვაზე, პირიქით, ქანაანალი და ხეთი ქალები მოიყვანა ცოლად, რაც ძალზე ეწყინათ მშობლებს[1]. შესაბამისად, იაკობი იყო დალოცვილი და დაერქვა ისრაელი Israel და მისი მოდგმიდან წარმოიშვნენ ისრაელის მეფეები.

მაგრამ ეს ყველა შემთხვევაში ასე არ ხდებოდა და ბიბლია ებრაელ ხალხს უწოდებს: „მამათქვენი იყო მოხეტიალე სირიელი“. ეზეკიელში ვკითხულობთ იერუსალიმისელებისადმი მიძღვნილ სიტყვებში: „მამა-ამორეველი, დედა – ხეთელი“. როდესაც სარა გარდაიცვალა, იგი დაკრძალეს პატრიარქების ქვაბულში ჰებრონთან ახლოს, სადაც მოგვიანებით აბრაამიც დაასაფლავეს. მან კი ეს ადგილი შეიძინა ეფრონ ხეთელისგან Ephron the Hittite (გენეზისი 23). აბრაამს ეს მიწა მიყიდეს ხეთებმა, რადგან იყო მათი ნათესავი. მათ უთხრეს „შენ ხან უდიდესი მეთაური ჩვენს შორის. დაკრძალე შენი მიცვალებული ჩვენ საფლავებთან“ (გენეზისი 23:4 და 5). ახლა იქ არის ისლამური მეჩეთი.

იაკობს ჰარანელი ორი დისგან და ორი მოსამსახურისგან 12 ვაჟი გაუჩნდა, საიდანაც წარმოიშვა ისრაელის თორმეტი ტომი. ქანაანში 100-წლიანი ცხოვრების შემდეგ, ძვ. წ. 1700 წელს, ქანაანს კიდევ ერთხელ დაატყდა თავს დიდი შიმშილობა, და იაკობი-ისრაელი შვილებთან ერთად კვლავ ეგვიპტისკენ გაეშურა[2]. აბრაამის, ისააკის, იაკობ-ისრაელის ჰარანელ-ქალდეველ-არამეელი

---

[1] ესაუ გახდა ედომიტების წინაპარი. ედომიტები იყვნენ ებრაელები, რომლებიც არ იმყოფებოდნენ ეგვიპტეში და მთელი ამ ოთხი საუკუნის განმავლობაში ქანაანში ცხოვრობდნენ. მათთანაც მოუწია ბრძოლა ებრაელებს მოსეს მეთაურობით ქანაანის მიწებისათვის ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ.

[2] ალტერნატიული თეორიების თანახმად, შიმშილობას თან დაერთო ჰიქსოსების შემოსევები. სამხედრო ტომი ჩრდილოეთიდან შეტევას ახორციელებდა

ქალებისგან 12 შთამომავალი ოჯახითურთ 400-450 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ეგვიპტეში ძვ. წ. 1700-1250 წწ-ებში. ბოლოს ფარაონი უკმაყოფილო გახდა ისრაელის მოსახლეობის გამრავლების გამო და ისინი აიძულა ფიზიკურად ეშრომათ და მამრობითი სქესის ებრაელი ბავშვების მოკვლაც კი ბრძანა. ამ დროს ერთ წყვილს ეყოლა ვაჟი, რომელიც ჩასვეს კალათაში და გაუშვეს მდინარე ნილოსში. ფარაონის ქალიშვილმა იპოვა იგი, დაარქვა მოსე Moses, ეგვიპტურად „ბავშვი“ (წყლიდან) და აღზარდა იგი, როგორც საკუთარი შვილი.

მოსე იყო ძვ. წ. მე-13 საუკუნის ბიბლიური ებრაელი რელიგიური ლიდერი და წინასწარმეტყველი იუდაიზმში, ქრისტიანობასა და ისლამშიც. ეგვიპტელი მცველის მოკვლის შემდეგ, რომელიც დევნიდა ისრაელიტებს, მოსე გაიქცა ეგვიპტიდან. მან იხილა უფალი, რომელმაც უბრძანა, რომ დაბრუნებულიყო ეგვიპტეში ისრაელიტების გასანთავისუფლებლად. მოსემ ჰკითხა, თუ როგორ დაუმტკიცებდა ის ებრაელებს მის წინამძღოლობას, რის შემდეგაც მიიღო რჩევა, რაც თეოლოგებისთვის დღემდე გამოცანას წარმოადგენს. თუმცა ბიბლია უარყოფს ყველა მაგიას, მოსეს მიეცა რჩევა ეჩვენებინა სამი მაგიური სასწაული (ექზოდუსი 4:1-9). მას, როგორც ჩანს, მინიჭებული ჰქონდა ღვთაებრივი ძალა. მაგრამ ეს მაგია წარმოდგენილი იყო არა მოსეს, არამედ მისი ძმის, აარონის მიერ, ვინაიდან მოსემ არ იცოდა კარგად ებრაული ენა და აარონი თარგმნიდა. მოსე დაბრუნდა და უფალმა ეგვიპტელებს მოუვლინა ბევრი უბედურება, რათა თავისი ძალა ეჩვენებინა. ამასთან ერთად, „მოსეს სიტყვებისამებრ მოიქცნენ ისრაელიანები: ინათხოვრეს ეგვიპტელებისგან ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი და სამოსელი. ასე გაძარცვეს მთელი ეგვიპტე“ (Exodus 12:35-36). მოსე მიუძღვებოდა ისრაელიტებს ეგვიპტის გარეთ და მათ უდაბნოში იხეტიალეს დაახლოებით 40 წელი. ისინი რაოდენობრივად 8-9 ათას აღწევდნენ.

ეს მოხდა ჰიქსოსების Hyksos მმართველობის დასასრულს[1] (ძვ. წ. 1200-1250 წწ.), ანატოლიაში ტროას ომის დროს. ლოურენს გარდნერი წიგნში

პალესტინასა და ეგვიპტეზე. ამავე დროს არიანებმა მიიტანეს იერიში ინდოეთზე. შეუძლებელი იყო ქანაანში დარჩენა და ებრაელები გაჰყვნენ მათ ეგვიპტეში. პირველად ისინი ჰიქსოსებმა დანიშნეს მაღალ თანამდებობებზე, რათა ემართათ ქვეყანა და ებრაელები ბედნიერად ცხოვრობდნენ, მაგრამ მალე ჰიქსოსი მეფეები მოკლეს და ჰიქსოსები გააძევეს ეგვიპტიდან.

[1] ჰიქსოსების გაძევების შემდეგ, ფარაონმა ამენჰოტებ IV-მ Amenhotep IV (Akhenaten or Echnaton) ცნობილ მეუღლესთან ნეფერტიტთან Nefertiti ერთად ისტორიულად პირველად შექმნა სახელმწიფო მონოთეისტური მზის დისკოს რელიგია დედაქალაქ ამარნაში Amarna ჰიქსოსების დედაქალაქის ავარისის Avaris და ეგვიპტის უძველესი დედაქალაქ მემფისის Memphis ნაცვლად. ყველა უძველესი ტაძარი დახურული იყო. მაგრამ მისმა ავადმყოფმა (ჰერმაფროდიტმა) ვაჟმა ტუტანჰამონმა Tutankhamun აღადგინა ძველი რელიგია და დედაქალაქი გადაიტანა მემფისში. ერთი თეორია დასძენს, რომ მოსე ამ მონოთეისტური რელიგიის დევნილი ბერი იყო.

„გრაალის მეფეების გენეზისი“ (2005 წ.) Laurence Gardner „Genesis of the Grail Kings“ (2005) წერს, რომ „სრულიად შესაძლებელია, რომ ჰიქსოსები იყვნენ წარმოშობით ტროადან“. ზოგი ავტორი ნათლად მიუთითებს, რომ მოსე ელოდებოდა ტროას შედეგებს. რატომ ხეტიალობდა ის 40 წლის მანძილზე? შესაძლოა ის ელოდა მხარდაჭერას ტროელებისგან და მათი მოკავშირე ხეთებისა და ჰიქსოსებისგან, მაგრამ ტროას ომში დამარცხებამ ძვ. წ. 1200 წელს ბევრი ისტორიული კატასტროფა გამოიწვია. იმ დროს ეგვიპტემ გააძევა ებრაელები პალესტინიდან და ახლიდან დაიპყრო მიწები, იერუსალიმისა და სირიის ჩათვლით, და გახდა მულტიეროვნული იმპერია. ყველა შესაძლებლობა ებრაელებისთვის, რომ მოეპოვებინათ ქანაანი სამუდამოდ დაიკარგა, მაგრამ სასწაულებრივი რამ მოხდა – უცხო ზღვის ხალხები Sea people გამოჩნდნენ ჩრდილოეთიდან, რკინის იარაღით აღჭურვილნი. ძალზედ მალე აქაველი ბერძნები გაქრნენ დორიანებთან ბრძოლის დროს, ხეთები გაქრენ ზღვის ხალხების შემოსევის შედეგად, ეგვიპტე ცდილობდა გაეწია წინააღმდეგობა, მაგრამ ძალზე გაუჭირდა. ზუსტად ამ დროს იყო სრული ქაოსის პერიოდი და სირია და ქალდეა იყო თავისუფალი ეგვიპტის არმიისგან, ებრაელებს კი მიეცათ შანსი დამკვიდრებულიყვნენ ქანაანის მიწაზე.



მიქელანჯელო. მოსეს სკულპტურა
რომის წმ. პეტრეს ტაძარი

მიქელანჯელო. დავითი, 1500-1504

როდესაც მოსე იმყოფებოდა სინაის მთაზე და იღებდა კანონებს, აარონმა, მისმა უმცროს ძმამ, შექმნა ოქროს კერპი. მოსე ჩამოვიდა მთიდან და ბრძანა: „ვინ არის ღმერთის მხარეს? დაე მოვიდეს ჩემთან“. ლევის Levi ვაჟები გაერთიანდნენ მოსეს ირგვლივ, რომელთაც უბრძანა დაეხოცათ კერპთაყვანისმცემლები (თუმცა 10 მცნებიდან ერთ-ერთი იყო: „არა კაცთ კლა“).

ბიბლია განმარტავს, რომ ეს ათი მცება ღვთის მიერ სიტყვიერად იყო მოვლენილი და მოგვიანებით უფრო დეტალურადაა ნაჩვენები, რომ „მან მისცა

მოსეს... ორი ქვის ტაბულა“ (31:28). შემდეგ ვიგებთ, რომ ეს თავდაპირველი ნაწერი ქვაზე მოსემ გატეხა, როდესაც კერპის დანახვისას აღშფოთებულმა მიწაზე დააგდო (32:19). უფალმა უთხრა მას, რომ მოეტანა პირველის მსგავსი ორი ქვის ტაბულა და ათი მცნება უფლის კარნახით მოსემ დაწერა მათზე (34:27-28). შესაბამისად, ათი მცნებების ორი ვერსია არსებობდა. ბევრს სჯერა, რომ მან ღმერთისგან მიიღო აგრეთვე დამატებითი ცოდნა, რაც წარმოადგენს ეზოთერული ცოდნის საფუძველს.

ებრაელებმა მიაღწიეს აღთქმულ მიწას ქანაანს, მაგრამ ხალხი შეშინებული იყო, ვინაიდან ადგილობრივი ტომები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ[1] (მათ შორის ებრაელები – ამალეკიტები[2] და არაებრაელი ქანაანელები Amalekites and Canaanites). მოდეანიტებმა დახოცეს თავიანთი ქალები და ბავშვები, მაგრამ არ დანებდნენ. მოსემ გამოუცხადა ხალხს, რომ 40 წელი უნდა ეხეტიალათ უდაბნოში, სანამ ყველა, ვინც ოცი წლის ან უფრო უფროსი იყო, ვინც უარი თქვა ქანაანში შესვლაზე არ დაიხოცებოდნენ, და მათი შვილები კი შევიდოდნენ და იბატონებდნენ ქანაანში.

40 წლიანი ხეტიალის შემდეგ, ძვ. წ. 1200 წელს, მათ დაიწყეს მეორე მცდელობა, რომ შესულიყვნენ ქანაანში და ქანაანამდე უნდა გაევლოთ ედომი, მოაბი და ამონი Edom, Moab, Ammon, ისააკის და იაკობის (ისრაელის) ძმების შთამომავალთა შორის[3]. ეს სამი ტომი მიჩნეული იყო ებრაელებად (მაგრამ არა ისრაელიტებად), ამიტომ ვერ მოხერხდებოდა მათზე იერიშის მიტანა. ასე რომ, მოსე მიუძღვებოდა თავის ხალხს ფრთხილად ამ ტერიტორიების საზღვრებს შორის. როდესაც მიადგნენ მოაბს, აღმოჩნდა, რომ ამორეველებმა Amorites დაარბიეს მოაბი. ებრაელები თავს დაესხნენ მათ და გაანადგურეს.

---

[1] ქანაანის დაპყრობის დროს, რომელსაც მოსეს სიკვდილის შემდეგ მეთაურობდა ჯოშუა, ძველი აღთქმა ასე აღწერს იმ დროს ქანაანში მცხოვრებ ტომებს: „ხალხი (ამორეველები Amorites) უფრო დიდი და მაღალია, ვიდრე ჩვენ; ქალაქებიც უზარმაზარია და კედლები ცამდეა აწვდენილი (1:28)“, „ისინი (ემიმები Emims) ბევრნი იყვნენ და დიდები, მაღალნი როგორც ანაქიმები Anakims (2:10-11)“, „ამონიტები Ammonites, მრავალრიცხოვანი ხალხი, რომლებიც იყვნენ დიდები და მაღალნი, როგორც ანაქიმები (2:19-21)“ და „შენ უნდა გადალახო იორდანი, უნდა შეებრძოლო იმ ერს, უფრო ძლიერს ვიდრე შენ, ქალაქებით დიდი და მაღალი კედლებით; ხალხი დიდი და მაღალი – ანაქიმის შვილები (9:1-2)“. ბიბლიაში ანაქიმები იყვნენ გიგანტები, ხოლო ებრაული ბიბლიის თორაში ოთხ ადგილას ანაქიმები ნახსენებია როგორც ნეფილიმები Nephilims, გამყინვარების წინა პერიოდის ღმერთების შვილები მიწიერი ქალებისგან. ძველი აღთქმის ყველაზე ცნობილი ტანად მაღალი იყო გოლიათი (3,27 მ.), ფილისტინელი მებრძოლი, რომელიც მოკლა მომავალმა მეფე დავითმა. თუ ვივარაუდებთ 25%-იან გადაჭარბებას, ნებისმიერი ანგარიშით, ეს მნიშვნელოვანი სიმაღლეა.

[2] ძველი ებრაული წყაროებიდან ცნობილია, რომ სომხები მიჩნეული არიან ამელეკიტების შთამომავლებად, რაც განაპირობებს მათ შორის შეუთავსებლობას.

[3] იაკობის (ისრაელის) ძმა ესავი (ან ედომი) არ გაჰყვა მას ეგვიპტეში და დარჩა ქანაანში, გადაიტანეს შიმშილი და მისი შთამომავლები, ედომიანები Edomites, 4-5 საუკუნის მანძილზე ცხოვრობდნენ იქ.

განსაკუთრებით განადგურდნენ ქანაანელები, ცნობილი იერიქონის დანგრევის მაგალითზე.

„თუ იყო ის ხალხი, ვინც გადავიდა ურიდან ჰარანში თერახსა და აბრაამთან ერთად ძვ. წ. 1800 წელს და ვინც ქანაანიდან გადავიდა ეგვიპტეში ძვ. წ. 1700 წელს, იგივე ხალხი ვინც დახეტიალობდა მოსესთან ერთად ძვ. წ. 1200 წელს, არ არის ცნობილი“, წერს მ. დაიმონდი M. Diamond „ებრაელები, ღმერთი და ისტორია“-ში. ეგვიპტიდან გამოსვლამდე ბიბლიაში ისინი მოხსენიებულნი იყვნენ, როგორც ებრაელები, მხოლოდ გამოსვლის შემდეგ მათ ეწოდათ ისრაელიანები. თვითონ აბრაამი შუმერი იყო ჰარანში ამოსვლისას და მხოლოდ შემდეგ, ქანაანის გზაზე უფლის მიერ აღთქმული მიწის დაპირების შემდეგ მოიხსენებოდა, როგორც ებრაელი.

თავად მოსეს არ ჰქონდა ნება დართული, რომ შესულიყო აღთქმულ მიწაზე და ის გარდაიცვალა 120 წლის ასაკში იორდანიის აღმოსავლეთ ნაწილში. იგი დამარხულია უცნობ ადგილას. ის იყო ერთადერთი მომაკვდავი, რომელმაც ღმერთი პირისპირ ნახა (Deut. xxxiv. 10)[1]. მიუხედავად იმისა, რომ მოსე ფიზიკურად კარგი მეომარი იყო, პირადად არ იღებდა მონაწილეობას ბრძოლებში, ის ყოველთვის მთიდან უყურებდა ბრძოლას და ლოცულობდა ან უხმობდა ზეციერ ძალებს, საჭიროების შემთხვევაში, ხოლო ბრძოლას სარდლები მეთაურობდნენ. მოსეს ეგვიპტური წარმოშობის შესახებ შესაძ-ლებლობა ავტორების დიდ ინტერესს იწვევს. მათი დიდი ნაწილი, ზიგმუნდ ფროიდიდან Sigmund Freud დაწყებული („მოსე და მონოთეიზმი“, 1937 წ.) ჯოზეფ კემბელამდე Joseph Campbell, ვარაუდობენ, რომ მოსემ შესაძლოა დატოვა ეგვიპტე ფარაონ ახენატონის Akhenaton სიკვდილის შემდეგ (ძვ. წ. 1334 წ.), როცა ფარაონთა მონოთეიზმის რეფორმები ძალისმიერად გაუქმდა. მოსე მოიხსენიება ექსოდუსში (2:19), როგორც „ეგვიპტელი“. ამან შესაძლოა ახსნას, თუ რატომ არ მიეცა მას ნება ქანაანში შესვლისა. მისი მიმდევრები მას ასევე ბრალს სდებდნენ ეთიოპელთან ქორწინებაში. ებრაული ტრადიციის მიხედვით, ღვთისმსახურების უფლება მხოლოდ ლევის[1] Levi შთამომავლებს გააჩნიათ. თუმცა მოსე ლევიტი იყო, მხოლოდ მისი ძმის აარონის (ექსოდუსი 6:25) შვილებს აქვთ ეს უფლება. შესაძლოა ისინი ღვიძლი ძმები არ იყვნენ. მოსეს ვაჟი არ იყო წინადაცვეთილი. მოსემდე ისრაელებს არ ჰყავდათ სამღვდელოება და არ ჰქონდათ ტაძრები. როგორც მომთაბარეებს, ისრაელებს არ ჰქონდათ ქვის სახლების ტრადიცია, საკრალური სალოცავი ადგილებით. მათი რწმენით, პირიქით, ნომადებს ეკრძალებოდათ ქვაზე რკინით შეხებაც კი, რადგან ეს დაამსხვრევდა მათ საკრალურ ღირებულებებს. მაგრამ ქანაანში დაბრუნების შემდეგ დაწესდა რიტუალები და ტაძარი. ლევის შტოს არ მიუღიათ მიწა

[1] ბიბლია ახსენებს კიდევ ერთ მომაკვდავს, რომელმაც, აბრაამის გარდა, ღმერთი პირადად ნახა, ენოხი Enoch, მაგრამ ის არ მომკვდარა, ღმერთმა ის ცაში წაიყვანა (Gen 5:22-29).

ქანაანში, რადგან მათ წმინდად უნდა ემსახურათ ღმერთისთვის. ტაძრის ბოლო დარბევის შემდეგ ჩვ. წ. 78 წელს, რაც განახორციელეს რომაელებმა, ლევის სამღვდელო პირების მსახურება შეჩერებულია ბოლო 2 000 წლის განმავლობაში ტაძრის აღდგენამდე და ამჟამად რელიგიურ ხელმძღვანელობას ახორციელებენ განათლებული პირები, რაბინები. ტაძრის ერთადერთი შემორჩენილი ადგილია გოდების კედელი.

ექსოდუსი 34:29-35 გვამცნობს, რომ ღმერთთან შეხვედრის შემდეგ მოსეს კანი და სახე გასხივოსნდა და მას უნდა ცმოდა ჩადრი. ამან დაბადა ხმები, რომ მოსე ატარებდა რქებს. ამან დაბადა ტრადიცია, რომ მეფეები და მეომრები ატარებდნენ რქიან ჩაფხუტებს. სწორედ ამიტომ მიქელანჯელოს ვატიკანის ცნობილ ქანდაკებაში მოსე გამოხატულია რქებით. ვენეციელმა მხატვარმა ტინტორენტომ მისი სახე გამოსახა სინათლით გასხივოსნებული.

ჩრდილოეთ ქანაანს (ისრაელს), უფრო ნაყოფიერი მიწა ჰქონდა და ებრაული ტომები უფრო სწრაფად დასახლდნენ, მაგრამ მოექცნენ ადგილობრივი ქანაანელების მეშვეობით ვალამის წარმართული რელიგიის გავლენის ქვეშ, სადაც იყო ადამიანთა მსხვერპლშეწირვა და რელიგიური, სექსუალური აქტები.

სამხრეთ ქანაანი (იუდეა) ნაკლებად ნაყოფიერი იყო და იქ უფრო მეტად გავრცელდა აგრესია და შეურიგებლობა. სწორედ ამიტომაა, რომ ძვ. წ. 1125 წ. ისრაელი უკვე ორად იყო გაყოფილი. მართალია, ყველა ებრაელს უნდა ჰქონოდა ერთი რელიგია, მაგრამ არაფერი თქმულა ისრაელის პოლიტიკურ სტრუქტურაზე. როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა უძველეს ისტორიაში, გაერთიანება შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი დიდი მტრის წინააღმდეგ. ძვ. წ. 1020 წელს ზღვის ხალხისგან ერთ-ერთი, ფილისტინელები, რომლებმაც იცოდნენ რკინის შესახებ, მოვიდნენ კრეტადან იმავე დროს, როდესაც ებრაელები, როგორც მოკავშირეები, მაგრამ, როგორც კონკურენტები. მათ დააარსეს ხუთი სანაპირო ქალაქი და დაიწყეს შეტევები ქანაანზე. ასე დაკარგა ისრაელმა ნოეს კიდობანი, დამოუკიდებლობა და ფილისტინელებმა დაიპყრეს ისრაელი.

ეს რთული პერიოდი იყო, როდესაც ქანაანი ეს-ეს არის ხმლით იყო დაპყრობილი ებრაელების მიერ, ამ დროს მოხდა ტროას ომი, რკინის იარაღიანი ხალხი შეესია აქაველებს და ხეთებს, ებრძოდნენ ეგვიპტელებს. ყველა ეს ომი მტრის სრული ამოჟლეტით მთავრდებოდა. მხოლოდ ფილისტინელების ომი ებრაელებთან არ ხასიათდებოდა ასეთი სისასტიკით.

სასწრაფოდ იყო საჭირო მეფის დასმა და საულმა Saul (პირველი მეფე) დაიწყო ებრაელების გაერთიანება. ის იყო უბრალო გლეხი, მაგრამ ამონიტების Ammonites შეტევამ აღმოსავლეთიდან ერთ-ერთ ებრაულ ქალაქზე, აიძულა იგი სათავეში ჩადგომოდა ბრძოლას მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. ამონიტებმა ალყაში მოაქციეს ერთ-ერთი ქალაქი და დაჰპირდნენ, რომ არ მოკლავდნენ იმას, ვინც დათანხმდებოდა მარჯვენა თვალის ამოთხრას. ამან გამოიწვია დიდი წინააღმდეგობა საულის მეთაურობით. ამის შემდეგ

ისრაელიტები, საულის მეთაურობით, შეხვდნენ ფილისტინელთა არმიას Philistines. როგორც ზევით აღნიშნულია, ისინი ისეთივე სისხლისმოწყურე არ აღმოჩნდნენ ებრაელების მიმართ, და დავითის მიერ ფილისტინელი გოლიათის დამარცხების შემდეგ ომიც დამთავრდა. საულმა დავითი დანიშნა თავისი არმიის მეთაურად, მაგრამ მისი ეჭვიანობის გამო დავითი იძულებული იყო გაქცეულიყო სადმე კი არა – ფილისტინაში. ამის შემდეგ ფილისტინელებმა საული მალე დაამარცხეს და მოკლეს. მისი სიკვდილის შემდეგ დავითი დაბრუნდა ფილისტინადან და იუდეას ტომმა ის აირჩია მეფედ და არა საულის შვილი. იუდეა ძირითადად დასახლებული იყო კენიტებით, კალებიტებით, ოთნიელიტებით, და იერუსალიმში ჯებუსიტებით Kenites, Calebites, Othnielites, Jebusites. საულის ვაჟის სიკვდილის შემდეგ დავითმა ცოლად შეირთო საულის ქალიშვილი და გააერთიანა ისრაელის სამეფო.

დავითი David (ძვ. წ. 1007-967 წწ.) იყო ისრაელის გაერთიანებლი სამეფოს მეორე მეფე. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება გვეუბნება, რომ მესია (იესო ნაზარეველი Jesus of Nazareth) უნდა მოსულიყო დავითის ოჯახიდან. ქართველი მეფეები (ბაგრატიონები) იჩემებდნენ თავიანთ წარმოშობას ბიბლიური დავითისგან.

მე-2 მეფეთა (5:6:7:8) მიხედვით, დავითმა დაიპყრო იერუსალიმი იებუსეველთა Jebusite ციხესიმაგრე სიონის მთასთან ერთად Mount Zion (იგივე მთა არის ტაძრის მთა Temple Mount და იგივე მორიას მთა Mount Moriah, სადაც აბრაამი ისააკს მსხვერპლად წირავდა) და ის თავის დედაქალაქად აქცია. თუმცა საოცრებაა, რომ ქალაქს არ ჰქონდა არანაირი დედაქალაქისთვის დამახასიათებელი თვისება, არა საზღვაო პორტი, არა მდინარე, არა რაიმე ბუნებრივი სტრუქტურა. ის დავითმა დაიპყრო 2 საუკუნის შემდეგ, რაც ებრაელები შევიდნენ ქანაანში. მაგრამ იერუსალიმი და სიონის მთა იმავდროულად გახდა უმნიშვნელოვანესი ადგილი. დავითმა კიდობანი იერუსალიმში წამოიღო და განათავსა იგი ტაძრის მთაზე. ღმერთმა შეთანხმება დაუდო დავითს, პირდებოდა, რომ იგი უსასრულოდ დააარსებდა დავითის სახლს: „შენი სამეფო ტახტი მუდამ იარსებებს“.

დავითის შთამომავლობის ეთნიკური შემადგენლობა ძალზედ კომპ-ლექსურია. ბიბლიის მეფეთა მეორე წიგნის მიხედვით, მეფე დავითს შეუყვარდა ქალი ბეჩებე Bethsheba, როდესაც სასახლის სახურავიდან მეზობლად დაინახა საკუთარ ეზოში ბანაობისას. ალბათ ამიტომ ისლამში საკუთარი ფანჯრიდან სხვის ეზოში ყურება აკრძალულია და ამიტომ აქვთ ძალზე მაღალი ყრუ გალავნები. მას ინტიმური კავშირი ჰქონდა ამ ქალთან, რასაც მოჰყვა ორსულობა. ზოგი თალმუდელი ავტორი კამათობს იმის შესახებ, რომ საქმე ღალატში სულაც არ იყო, ვინაიდან იმ დროს ომში წასვლის წინ, ტრადიციულად, ფორმდებოდა განქორწინება, რათა თავიდან აეცილებინათ ცოლების დაქვრივება. დავითმა ქალის მეუღლე ურია Uriah ომიდან მოიხმო იმ გათვლით, რომ ის თავის ცოლსაც შეხვდებოდა. ბიბლიიდან ვიცით, რომ

ურია ეთნიკურად ხეთი იყო Hittite. ისრაელში მცხოვრებლები, არაისრაელური წარმოშობით, რომლებიც მისდევდნენ ისრაელის რელიგიას, მიღებულნი იყვნენ, როგორც ისრაელიტები და ჰქონდათ მაღალი სტატუსი, როგორც დავითის არმიის ოფიცრებს. ურიას დავითთან სიახლოვეზე მიგვითითებს, თუ როგორ ახლოს ცხოვრობდა იგი სასახლესთან. დავითის არმია, ისევე როგორც მისი იმპერია, იყო ინტერნაციონალური, მაგრამ ერთიანი რელიგიით. სხვადასხვა ტომით: ქანაანი, ფილისტინელები, კრეტელები, ხეთები და მონათესავე ებრაელი ტომები: ამონიტები, მოაბი და იდუმიანები. ისინი იბრძოდნენ მის გვერდით Canaan, Philistinians, Cretans, Hittites, Ammonites, Moab, Idumeans.

როგორც თავდადებულმა მეომარმა, ურიამ უარი თქვა წასულიყო სახლში ცოლის სანახავად. ამიტომ დავითმა თავის მეთაურს უბრძანა ურია ბრძოლის წინა ხაზზე დაეყენებინა და ჯარისკაცები კი გამოსცლოდნენ მას, რომ ის მოეკლათ.

წინასწარმეტყველი ნათანი Nathan დაუპირისპირდა დავითს და უთხრა: „შენ ჩაარტყი ურიას ხმალი და მისი ცოლი კი შენთვის წაიყვანე. შენ მოკალი ის ამონიტების ხმლით. შენ მოიქეცი ცუდად და შეირთე ხეთელი ურიას ცოლი“. ნათანმა დავითს ამცნო, რომ მისი შვილი ბეჩებასთან, მეოთხე ცოლთან, მოკვდებოდა. მართლაც, მათი პირველი შვილი 7 დღეში გარდაიცვალა. დავითს და ბეჩებას მოგვიანებით მეორე ვაჟი ეყოლათ, მომავალი მეფე სოლომონი.

სოლომონი 20 წლის ასაკში გახდა მეფე რაიმე დიდი მიღწევების გარეშე და არც რაიმე დიდი ბრძოლა გადაუტანია, მაგრამ ისე მოხდა, რომ იყო ისრაელის გაერთიანებული სამეფოს ბრძენი მმართველი ძვ. წ. 970 წლიდან 931 წლამდე. ვინაიდან მომთაბარე ებრაელებს არ ჰყავდათ სპეციალისტები და ტრადიცია, რომ აეგოთ ნებისმიერი მუდმივი კონსტრუქცია, იერუსალიმში საკრალური კიდობანისთვის Ark of Covenant პირველი ტაძრის ასაშენებლად მან მოიწვია ფინიკიელი ჰირამ აბიფი Phoenician Hiram Abiff.

იერუსალიმის ებრაულ ტაძარში Jewish Temple of Jerusalem არ იყო ფრესკები, არანაირი სურათი არ იყო დაშვებული. მხოლოდ ღმერთი სახავდა თავის თავს ათი მცნების კანონებში. ტაძარი აღმართული იყო ფუნდამენტის მეგალითურ ქვებზე და თითო მათგანი იწონის 90-600 ტონას. თანამედროვე ტექნოლოგიებითაც კი შეუძლებელია ასეთი უზარ-მაზარი ქვების გადაზიდვა. შედარებისთვის, გიზას პირამიდა Giza pyramids აგებულია 2.5 ტონა წონის ქვებისგან. უფრო დიდი არაბუნებრივი ქვები ნაპოვნია მხოლოდ იუპიტერის ტაძრის საფუძველში ბაალბეკში, ბაქაას ველზე Jupiter's Temple in Baalbek in Bakaa ლიბანში, რომელიც იწონიდა 500-1100 ტონას.

Darius the Great

სოლომონის ზნეობრივ თვისებებს თავიდანვე აკრიტიკებდნენ, რადგან მას ჰყავდა 700 ცოლი და

დამატებით 300 საყვარელი. ეს ძალზედ ძვირი ჯდებოდა და საჭიროებდა უამრავ გადასახდელს მოსახლეობისაგან. ქანაანელი მოსახლეობა მონებად გამოაცხადეს. მეფე სოლომონი იყო მნიშვნელოვანი ოკულტური და კაბალისტური Kabbalah ფიგურა. ჯინი Jinn (djinn) დაილუქა სოლომონის ბეჭდით. ყურანშიც Quran (Koran) კი მეფე სოლომონი მოხსენიებულია, როგორც ჯინების ბატონი, რომელსაც ჰქონდა მფრინავი ხალიჩა, რომელიც დაფრინავდა ისე სწრაფად, რომ ერთ დღეში შეეძლო დამასკოდან მედინაში ჩასვლა.

ძვ. წ. 922 წელს მეფე სოლომონის სიკვდილის შემდეგ, ებრაული Hebrew სახელმწიფო კვლავ გაიყო ჩრდილოეთ ისრაელად დედაქალაქით სამარიაში და სამხრეთ იუდეად დედაქალაქით იერუსალიმში. ისრაელის სამეფოს ათი ჩრდილოელი ტომი აჯანყდა დავითის შტოს Davidic line წინააღმდეგ, უარს ამბობდნენ მიეღოთ რობოამი Rehoboam, სოლომონის და ამორეველი Amorite ქალის ვაჟი. მხოლოდ იუდეას სამეფო იმართებოდა დავითის შტოს მიერ.

ორი საუკუნე გრძელდებოდა ამ ორ ებრაულ სახელმწოფოს შორის მტრობა. ძვ. წ. 720 წელს ისრაელიტების არმია, სირიელებთან, ფინიკიელებთან და ამორეველებთან კავშირში (იუდეველების გარეშე) დამარცხდა ასურელი ხელმწიფის სარგონ II-ის Sargon II of Assyria მიერ და ეს ხალხი წაიყვანა ტყვეობაში: „სამარია ვნახე და ავიღე; 27 280 კაცი, ვინც მანდ ცხოვრობდა, ტყვედ წამოვიყვანე“. არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფს, რომ ბევრი ისრაელელი გადასახლდა სამხრეთ იუდეაში, რომლის დედაქალაქი იერუსალიმი იმ დროს 500%-ით გაიზარდა. მასობრივად გადასახლებული ისრაელიტები უკან არასდროს დაბრუნებულან და ცნობილნი არიან როგორც ისრაელის ათი დაკარგული ტომი[1].

---

[1] ისრაელის განთავისუფლებული მიწა კოლონიზებული იქნა ძირითადად აღმოსავლელი ტომების, განსაკუთრებით სირიელების მიერ (ეზრა 4:2, 10; 2 მეფეთა 17:24-29). ახალი მოსახლეობა თაყვანს სცემდა თავიანთ ღმერთებს, მაგრამ, როდესაც მეჩხერად დასახლებულ ადგილებში გამრავლდნენ ველური მხეცები, მათ თხოვნით მიმართეს ისრაელის ღვთისმსახურთ ესწავლებინათ, თუ როგორ უნდა ეცათ თაყვანი „ამ ქვეყნის ღმერთისთვის“. შედეგი იყო სინკრეტისტული რელიგია სამარიტანიზმი Samaritanism, სადაც ებრაელ და სხვა ღმერთებსაც თაყვანს სცემდნენ. საბოლოოდ, ძვ. წ. 1-2 საუკუნეებში, სამარიტანიზმის მიმდევრებს გალილეაში Samaria-Galilee თავს დაესხნენ ჰასმონელი ისრაელიტები ჩრდილოეთიდან და იუდეველები სამხრეთიდან. ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული გახდა მიეღოთ ერთი ღმერთი და ისინი ებრაელებად გამოცხადდნენ. აქედან მოყოლებული, ფანატიკოს იუდეველებს არ მოსწონდათ ნარევი სამარიტელები, მაგრამ ქრისტე გალილეადან იყო. გაებრაელებული გალილეას დედაქალაქის ზეფორისის Sepphoris მცხოვრებლები თანამშრომლობდნენ რომთან და აყვავდნენ. იესოს ბებია-ბაბუებმა, იოაკიმმა და ანამ Joachim and Anne, აღზარდეს მათი ქალიშვილი, მარიამი, ზეფორისში. იესომ 30 წელი ნაზარეთში Nazareth გაატარა, ზეფორიდან სამხრეთით სამ მილში, თუმცა დაიბადა ბეთლემში Bethlehem, სადაც მარიამი, აღწერის გამო, წავიდა. იესო, მამის, იოსების Josef მსგავსად, იყო დურგალი. იგი მამას ეხმარებოდა ზეფორისში ჰეროდეს Herod ციხესიმაგრის აშენებაში. ქრისტეს დროს რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილი უკვე იყი ბერძნული (ახლო მომავალში ბიზანტიური) კულტურული გავლენის

სარგონ II-ს გარდაცვალების შემდეგ ასურეთის პოზიციები მკვეთრად დასუსტდა და ბაბილონელი ქალდეველი ნაბუქოდონოსორი Nebuchadnezzar მიდიელებთან ერთად გაანადგურა ასურეთი. მაგრამ იუდეა არ დაემორჩილა ახალ სუზერენს და ნაბუქოდონოსორმა გაგზავნა მისი სარდალი ნაბუზარადანი Nebuzaradan (2 Kings 25:8-21). მან ზედმეტი სისასტიკე გამოავლინა და იერუსალიმი დაანგრია, ხოლო მოსახლეობა გადაასახლა. მუდმივი შიდა ქიშპობის გამო ეს ქალდეველების მხოლოდ ერთ-ერთი შეცდომა არ იყო. მათ შორის იყო კონფლიქტი მიდიელებთან, რის გამოც მიდიელები შეკავშირდნენ სპარსელებთან და ძვ.წ. 539 წელს მიდიელმა ქალდეველმა დარიუსმა Darius the Medes დაიპყრო ბაბილონი.

ეგვიპტეზე ლაშქრობის მიზნით მისმა ხელმწიფემ, მედეს-სპარსეთის აქემენიდმა იმპერატორმა კიორს II-მ Achaemenid Cyrus II ებრაელები გაანთავისუფლა და ბაბილონიდან ეგვიპტის საზღვრისკენ იერუსალიმში დააბრუნა. ასე დამთავრდა ებრაელების ბაბილონური ტყვეობა, იმ დროს როდესაც ასურეთში სარგონის მიერ გადასახლებული ებრაელების 10 კლანი ისტორიიდან გაუჩინარდა, იუდეას ებრაელები მხოლოდ 50 წელი იყვნენ ტყვეობაში და ეს ისრაელის ებრაელების გადასახლებიდან 100 წლის შემდეგ მოხდა.

სპარსეთის იმპერია ძვ. წ. 331 წელს დაამარცხა ალექსანდრე დიდმა. რადგან ბერძნებმა სავაჭრო გზები გადაიტანეს პალესტინიდან ეგვიპტეში, ბევრი ებრაელი არ დაბრუნებულა იუდეაში, არამედ შექმნეს ძლიერი დიასპორა ალექსანდრიაში (ეგვიპტე), მოგვიანებით რომში, და სხვა სავაჭრო ცენტრები. ძვ. წ. მე-3 საუკუნიდან ყველა ებრაული წიგნი ითარგმნა ბერძნულად და მათ დაიწყეს ბერძნულად საუბარი. პალესტინაში ისინი აგრძელებდნენ არამეულ ენაზე ლაპარაკს. ამგვარად, ელინიზმი დიდი კულტურული საფრთხე იყო იუდაიზმისთვის და თუმცა უცნობი მიზეზების გამო ებრაელები არ იბრძოდნენ დამპყრობელი ალექსანდრე დიდის წინააღმდეგ, სასტიკი ომი მიმდინარეობდა სელევკიდებთან Seleucids 25 წლის მანძილზე. სელევკიდების შემდეგ, ძვ. წ. 63 წელს რომაელი პომპეუსი Pompey კავკასიის კამპანიის შემდეგ მობრუნდა პალესტინისკენ და დაიპყრო იერუსალიმი. ძვ. წ. 57-55 წწ-ში სირიის პროკონსულმა სამეფო გაყო გალილეად, სამარიად (ეს ორი შეესაბამაბოდა ძველ განადგურებულ ისრაელს) და იუდეად.

რომის იმპერიაში ებრაელები გათავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო სამსახურისგან და სარგებლობდნენ სავაჭრო პრივილეგიებით. ზოგი წყაროს

ქვეშ და ბერძნული ენა, ლათინურის შემდეგ, მეორე ენად გამოიყენებოდა ადმინისტრაციასა და ვაჭრობაში, განსაკუთრებით კი ქალაქებში. ებრაული იყო საკრალური ენა, რომელსაც იყენებდნენ საღვთო წერილებისა და ფსალმუნების წერის დროს. ბიბლია ბერძნულად ითარგმნა ძვ. წ. მე-3 საუკუნეში ალექსანდრიაში. ასე რომ, ჩვეულებრივ, ხალხი იუდეასა და გალილეაში არამეულად საუბრობდნენ. იესომ, რა თქმა უნდა, იცოდა საკრალური მნიშვნელობის ებრაული და ჩვეულებრივი არამეული. ის შესაძლოა საუბრობდა პილატესთან არამეულად და არა ბერძნულად.

მიხედვით, იულიუს კეისარმა Julius Cesar (ძვ. წ. 100-44 წწ.) გეგმა შეადგინა შეექმნა კოსმოპოლიტური ერი ებრაელებზე დაფუძნებით და მას საოცრად აფასებდნენ ებრაელები. ისინი იცავდნენ მის საფლავს გარდაცვალებიდან 7 დღის განმავლობაში. ცეზარის შემდეგ ვითარება შეიცვალა. ძვ. წ. 26-36 წწ-ში იოანე ნათლისმცემელს თავი მოკვეთეს და იესო ჯვარზე აცვეს იუდეას, რომის პროვინციის მმართველის პილატე პონტოელის Pontius Pilate ბრძანებით. სავარაუდოდ, ქრისტე ნამდვილად იუდეველთა მეფე იყო. ჯვარზე გაკეთდა წარწერა „Iesus Nazareus Rex Iudearum – INRI“. ამიტომ მის სასამართლოზე ებრაელებმა ყველა ქვეყნიდან დაპატიჟეს წარმომადგენლები. საქართველოს ებრაელთა წარმომადგენლები (მღვდელი ელიოზი თავის მხლებელ ლონ-გინოზთან ერთად) იერუსალიმში გაემგზავრა, მაგრამ ჩასულებს მათ იესო უკვე ჯვარცმული დახვდათ, ანუ საქართველოს ებრაელობას მის სასამართლო პროცესში მონაწილეობა არ მიუღია.

ქრისტეს სამეფო წარმოშობაზე ასევე მიუთითებს ამ მოვლენებზე რომის რეაქცია. ყველა ებრაელი მთავარმსახური დასჯილი იქნა და პილატე გადაიყვანეს ბარბაროსებში ვენაში, სადაც პილატემ ერთი ვერსიით თავი მოიკლა, სხვა ვერსიით კი მოკლეს რომის იმპერატორის დავალებით (Jewish Encyclopedia: Pilate, Pontius). მაგრამ ზელოტების (სიონისტების პირველსახეობის) პარტიზანულმა ბრძოლამ იუდეის სამეფოს დამოუკიდებლობისათვის აიძულა რომი კვლავ გაეტარებინა რეპრესიები ებრაელების წინააღმდეგ.

ჩვ. წ. 67 წელს იმპერატორ ტიტუსის Titus ბრძანებით რომაელებმა ოკუპაციაში მოაქციეს იერუსალიმი. ალყის შემორტყმის დროს 100 000-მდე ებრაელი დაიხოცა და დაახლოებით 100 000 რომში წაიყვანეს მონებად. ისრაელის თითქმის მთელი ებრაული მოსახლეობა (1 მილიონზე მეტი) განადგურებული იყო. იერუსალიმი ტაძრებთან ერთად დაინგრა. 136 წელს რომის იმპერატორმა ადრიანემ Hadrian ქალაქს გადაარქვა სახელი და უწოდა აელია კაპიტოლია Aelia Capitolia და 5 საუკუნის განმავლობაში აკრძალული იყო ებრაელების შესვლა. ვარაუდობენ, რომ უძველესი საიდუმლოებები სწორედ მაშინ დაიკარგა და მხოლოდ 1000 წლის შემდეგ შესძლეს ტამპლიერებმა Templers ტაძრის აღმოჩენა მთის გათხრების დროს, რამაც წარმოშვა ახალი ლეგენდები ტამპლიერებსა და მასონებზე.

614 წელს ებრაელები გაერთიანდნენ სასანიდებთან, როდესაც ქრისტიანი ბიზანტიელი იმპერატორის ჰერაკლეს Heraclius არმია დამარცხდა, და იერუსალიმში დაარბიეს ქრისტიანული მონასტრები. 15 წელში, 629 წელს, ჰერაკლემ დაიბრუნა სასანიდებისგან იერუსალიმი, მაგრამ ზუსტად ამ შუალედში, 620 წელს, მოჰამედმა Mohamed განიცადა ღამის მოგზაურობა, როდესაც ის ცაში ავიდა, სადაც ესაუბრა უფალს, რომელმაც საღვთო განათლება მისცა, რის გამოც ტაძრის მთა გახდა წმინდა ადგილი და დღემდე დავის საგანი არა მარტო ებრაელებისა და ქრისტიანებისთვის, არამედ მუსლიმებისთვისაც.

თანამედროვე ევროპელები, რომლებიც შემდეგი ეთნიკური წარმომავლობის ნარევია:

წინაგერმანელი ხალხი Pre-Germanic people	კელტები, რომაელები, კელტ-იბერიელები, იბერიელები Celts, Romans, Celt-Iberians, Iberians
გერმანელი ხალხი Germanic people	ფრანკები, გოთები, ვანდალები Franks, Goths, Vandals
სარმატელი ხალხი Sarmatian people	ალანები (ვანდალებთან გაერთიანებულნი) Alans (united with Vandals)
აზიელები Asians	ჰუნები, სლავები Huns, Slavs

ევროპელების – გერმანელი ხალხის ეთნოგენეზისი
GERMANIC PEOPLES

კელტების შემდეგ (და კელტ-იბერიელების) Celts (Celt-Iberians), გერმანული ხალხები წარმოადგენენ შემდგომი ევროპული მოსახლეობის სუბსტრატს. გერმანელი ტომები იყვნენ ანგლები, ვანდალები, ბურგუნდიელები, დანიელები, ნორვეგიელები, გოთები, ლომბარდები, საქსები, ვალაგოთები, სუიონები (სვიარი) Angles, Vandals, Burgundians, Danes, Norwegians, Goths, Lombards, Saxons, Valagoths, Suiones (Svear) და საუბრობდნენ საერთო გასაგებ გერმანული დიალექტის (ინდოევროპულ) ენაზე.



Thor, Germanic thunder God, Mårten Eskil Winge, 1872.

ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი Strabo ჩვ. წ.-ით 190 წელს ციტირებს პოსიდონიუსის Posidonius სიტყვებს, რომ „გერმანელები შუადღეს მიირთმევენ შემწვარ ხორცს რძით, და სვამენ განუზავებელ ღვინოს“. ჰეროდოტე Herodotus წერდა, რომ გერმანელები და სკვითები იყვნენ კანიბალები და იკვებებოდნენ ადამიანის ხორცით, ეწეოდნენ მარიხუანას და მათი მტრის სისხლს სვამდნენ. ცეზარი Cesar წერდა, რომ გერმანელი

მამაკაცები იკავებდნენ თავს სექსისგან ოც წლამდე. მათ სჯეროდათ, რომ თავშეკავებულობა ასტიმულირებდა სხეულის ზრდას და სწორედ ამიტომ იყვნენ ასე მაღლები. ბრიტონელები Britons ათნი ან თორმეტნი ცხოვრობდნენ ერთად, ძმები და მამა, ქალები და შვილები საერთო იყო.

არქეოლოგები და ლინგვისტები ვარაუდობენ, რომ გერმანული ტომები დამკვიდრდნენ სამხრეთ სკანდინავიასა და შლეზვიგში ძვ. წ. 1000-500 წწ-ში. არ არის ცნობილი, თუ საიდან მოვიდნენ ამ ადგილას ძვ. წ. 2-3 ათასი წლებში და ამ სპეკულაციებზე არსებობს უამრავი პუბლიკაცია. ძვ. წ. მე-2 საუკუნეში მასობრივად დაიწყო მიგრანტი გერმანული ტომების შემოსვლა რომის იმპერიის ტერიტორიაზე, რასაც რომი ჯერ ეწინააღმდეგებოდა, მერე ქირაობდა მათ სხვა გოთების წინააღმდეგ საბრძოლველად და შემდეგ რომაული ჯარი ძირითადად გერმანელებისგან იყო ფორმირებული. გერმანელი ხალხი სწრაფად ასიმილირდა რომაულ კულტურაში. 377-8 წწ-ში რომაელების წინააღმდეგ იბრძოდა ძალზედ ცნობილი მებრძოლი ბაკურ იბერიელი, ძალიან თანამედროვე ქართული სახელი.

410 წელს რომაელებმა დატოვეს ბრიტანეთი და ანგლები, საქსები და იუტები Angles, Saxons and Jutes, რომლებიც მოვიდნენ შლეზვიგ-ჰოლსტეინიდან Schlezvig-Holshtein, გაერთიანდნენ (ხან ომით და ხან მშვიდობით) ადგილობრივ ბრიტანელებთან, რამაც შედეგად გამოიღო ინგლისური იდენტურობა. XI საუკუნიდან ნორმანები (ვიკინგები და დანიელები) შეიჭრენ რუსეთში (ვარიაგების ნორმანისტული თეორია), საფრანგეთსა და ბრიტანეთში და დააარსეს იქ მმართველი ელიტა. ინგლისში ნორმანებმა გავლენა იქონიეს ანგლო-საქსურ ინგლისსზე და შექმნეს ინგლისური ენა. ბიზანტიის იმპერიაში 900 წლიდან 1100 წლამდე ვარიაგები Vikings-Variags მსახურობდნენ, როგორც იმპერატორის დაცვა. ერთ დროს მეფობდნენ სიცილიაში და სამხრეთ იტალიაში.

საფრანგეთი ძირითადად გერმანელი ფრანკებით დასახლდა, სადაც ფრანკების მეფეები მეფობდნენ მე-6 საუკუნიდან მე-10 საუკუნემდე, მაგრამ შემდეგ ვიკინგებმა დაიწყეს ზღვით მოგზაურობა ელბაში და დაიპყრეს ჰამბურგი, პარიზი (845 წ.), ბორდო (848 წ.) და მე-9 საუკუნეში თითქმის მთელი

საფრანგეთი. 911 წელს ისინი დამკვიდრდენ საფრანგეთის ჩრდილოეთში, ნორმანდიაში.

რომის ჩრდილოეთ იტალიამ, როგორც ყველაზე მდიდარმა მიწებმა, რამდენიმე გერმანული ტომის შემოსევა გადაიტანა, როგორიცაა ვესტგოთები, ვანდალები და ოსტოგოთები Visigoths, Vandals, and Ostrogoths და დასახლდნენ იტალიაში უკვე ცარიელ მიწებზე ჩვ. წ. მე-5 საუკუნეში. მე-6 საუკუნეში იტალიაში თეოდორიხ დიდი Theodoric the Great, ოსტოგოთების მეფე, რომის ლეგიტიმურ მემკვიდრედ გამოცხადდა. ამავე დროს, ჩვ. წ. მე-6 საუკუნეში, სხვა გერმანული ტომი, ცნობილი როგორც ლომბარდები, შევიდნენ და დასახლდნენ ადგილას, რომელიც ახლა ცნობილია როგორც ლომბარდია და საბოლოოდ ჩაანაცვლეს გოთები მთელ იტალიაში.

პორტუგალი და ესპანეთიც დიდი რაოდენობით გერმანელი ვესტგოთებით იყო დასახლებულნი. ასევე ცხოვრობდნენ ვანდალები, სანამ გადავიდოდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც ისინი გაუჩინარდნენ.

სკანდინავიელები (დანიელები, ნორვეგიელები, შვედები) წარმოადგენენ ასევე გერმანული ხალხების ჯგუფებს. ლათინელი და ბერძენი ავტორები სკანდინავიის მიწას უწოდებდნენ – სკანძას ან სკანდიას Scandza or Scandia. ამავე დროს ისინი აღწერდნენ კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირზე (დაახლოებით ჩვ. წ. 350 წელს) რეგიონს საკასენეს *Sakasene* და მის მოსახლეობას საკებს *Saki*. სავარაუდოდ, ეს უკანასკნელი ტომები გადასახლდნენ ჩრდილოეთ ევროპაში, რომლებიც ჩვენ ვიცით, როგორც საქსები ან საქსონები *Sachsens* or *Saxons*. დაახლოებით 280 წელს რომაელებმა საქსები დაიქირავეს, რათა დაეცვათ აღმოსავლეთ ბრიტანეთის ნაპირები ბარბაროსებისგან. დაახლოებით ჩვ. წ. 565 წელს საქსები იბრძოდნენ ბალტიის რეგიონისთვის სხვა ძლიერ ხალხთან, სვეარებთან *Svear*. ისინი იყვნენ ტროას Troy უძველესი მოსახლეობის შთამომავლები. მათ აღწერდნენ, როგორც „წითური და ლურჯთვალება ადამიანებს“. მე-5 საუკუნეში, დანიაში იუტები Jutes შეუერთდნენ დანიელებს Danes, შვედეთში კი გეათები Geats შეუერთდნენ შვედებს Swedes.

ევროპელების ეთნოგენეზი – ფრანკები FRANKS

ფრანკ ხალხთა კონფედერანცია ჩამოყალიბებული იყო გერმანული ტომებისგან: სალიანები, სიკამბრი, ჩამავი, ტენქტერი, ჩატუარი, ბრუქტერი, უსიპეტესი, ამფსივარი და ჩატი Salians, Sicambri, Chamavi, Tencteri, Chattuarii, Bructeri, Usipetes, Ampsivarii and Chatti.

გალო-რომაელი მემატიანე ტურსელი გრეგორი Gregory of Tours „Historia Francorum“-ში დასძენს, რომ ფრანკები თავდაპირველად ცხოვრობდნენ პანონიაში და შემდეგ მდ. რაინის ნაპირებზე, სადაც მათ აიღეს სახელი ტომის მეთაურის ფრანციოს Francio პატივსაცემად – ჩაანაცვლეს წინა ტომობრივი სახელი სიკამბრი (ან სუგამბრი) Sicambri (or Sugambri) – სავარაუდოდ,

კიმერიელების ან სციტიელების შტო Cimmerians or Scythians.

შარლემანის ძეგლი
ფრანფურტში, გერმანია

ჩვ. წ. მე-4 საუკუნეში რომაელებმა ფრანკებს გადასცეს გალია ბელგიკა Gallia Belgica (ახლანდელი ფლანდრია და ჰოლანდია). ამ დროიდან ისინი გახდნენ რომაული იმპერიის ფედერატები foederati. ამგვარად, ფრანკები იყვნენ პირველი გერმანელი ხალხი, რომლებიც სამუდამოდ დასახლდნენ რომის ტერიტორიაზე. რომის დასუსტების გამო ფრანკებმა თანდათანობით დაიპყრეს რომის გალია და აკვიტინია Gaul and Aquitaine 507 წელს, ხოლო ალემანისი Alemanis 506 წელს. 508 წლიდან ისინი ქრისტიანები გახდნენ. მეროვინგების დინასტიის შემდეგ კაროლინგების Merovingians, Carolingians დინასტიის მეფემ კარლოსმა Charles-Karl 772 წელს დაიპყრო საქსები Saxons (რომლებმაც გაანადგურეს ავარები Avars), 773-774 წწ-ში ლომბარდები და ბავარია Lombards, Bavaria, ანუ დღევანდელი გერმანიის უმეტესი ნაწილი, ჩრდილოეთ იტალიისა და დღევანდელი ავსტრიისა და ხორვატიის ჩათვლით. მისი დედაქალაქი იყო აახენში Aachen. ქრისტეშობის დღეს, 800 წელს, პაპმა ლეო III-მ აკურთხა ჩარლზი-კარლოსი, როგორც „საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი“ რომის ცერემონიაზე. 812 წელს ბიზანტიის იმპერატორმაც კი აღიარა კარლოსი თანაიმპერატორად. 987 წელს უკანასკნელი ფრანკი მეფე გარდაიცვალა და კაროლინგური იმპერია დაიშალა. ჰუგო კაპეტი Hugh Capet აირჩიეს საფრანგეთის მეფედ, როგორც პირველი კაპეტი Capet დინასტიიდან.

რადგან ფრანკების სამეფო საუკუნეების მანძილზე ფლობდა დასავლეთ ევროპას, ტერმინი „ფრანკები“ იხმარებოდა, როგორც სინონიმი რომაელი ქრისტიანისა. ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ორივე, მუსლიმებიც და ქრისტინებიც, ჯვაროსნებს უწოდებდნენ „ფრანკებს“ მიუხედავად იმისა, თუ საიდან იყვნენ.

ევროპელების ეთნოგენეზი – გოთები GOTHS

გოთები იყვნენ აღმოსავლეთ გერმანული ტომი, რომლებმაც, იორდანის Jordanes მიხედვით, დატოვეს სკანდინავია (სკანძა, გოთლენდი Scandza, Gotland), დასახლდნენ დღევანდელ პოლონეთში და პანონიაში მე-2 საუკუნიდან. გეთიკა Getica აღწერს, რომ მე-2 საუკუნეში გოთები გადავიდნენ შავი ზღვის რეგიონში, შემდეგ პოლონეთში, შემდეგ დასავლეთ ევროპაში მათი მეზობლების – ჰუნების ზეწოლის გამო. იორდანის Jordanes მიხედვით, „გოთების ისტორია“


The Germanic Kingdoms and the East Roman Empire in 526
The bandstripe of Theodoric and the East Goths over the West Goths is indicated by underlining the name of the latter in white. The colorings of the district occupied by the Alamanni are intended to show how checkered their career was. Of this district the area bordered in green corresponds roughly to that of the later duchy of Franconia.
Scale 1:30000000
NORTH SEA
ATLANTIC OCEAN
KINGDOM OF THE EAST GOTHS
KINGDOM OF THE WEST GOTHS
KINGDOM OF THE VANDALS
KINGDOM OF THE FRANKS
Lombards
Gepids
ROMAN EMPIRE
EAST
BLACK SEA
Corsica
Sardinia
Sicily
Crete
Cyprus
Rhodes
Baleric Is.
Scots
Picts
Britons
Saxons
Franks
Burgundians
Ostrogoths
Visigoths
Sueves
Vandals
Alans
Huns
Avars
Slavonic peoples
Estonians
Finns
Lapps
Bulgars
Khazars
Saracens
Berbers
Moors
Nubians
Ethiopians
Arabs
Persians
Indians
Chinese
Tibetans
Mongolians
Turks
Tartars
Asia
Alexandria
Constantinople
Carthage
Rome
Ravenna
Milan
Verona
Pavia
Paris
London
Tournai
Cologne
Mainz
Metz
Reims
Tours
Poitiers
Bordeaux
Toulouse
Arles
Narbonne
Barcelona
Saragossa
Tarragona
Valencia
Toledo
Lisbon
Merida
Cordova
Malaga
Cadiz
Ceuta
Tangier
Algiers
Tunis
Tripoli
Cyrenaica
Sirmium
Salonica
Thessalonica
Dyrrhachium
Nicaea
Nicomedia
Ephesus
Antioch
Jerusalem
Damascus
Baghdad
Mecca
Medina
Aden
Axum
Nubia
Meroe
Adriatic Sea
Danube R.
Rhine R.
Elbe R.
Vistula R.
Dnieper R.
Don R.
Volga R.
Caspian Sea
Black Sea
Mediterranean Sea
Aegean Sea
Red Sea
Persian Gulf
Indian Ocean
Caspian Sea
Aral Sea
Lake Baikal
Gobi Desert
Tibet
Himalayas
Ganges R.
Indus R.
Euphrates R.
Tigris R.
Nile R.
Niger R.
Congo R.
Zambezi R.
Orange R.
Cape of Good Hope
Cape Verde Is.
Canary Is.
Madeira Is.
Azores Is.
Iceland
Greenland
Scandinavia
Norway
Sweden
Finland
Denmark
Jutland
Friesland
Saxony
Bavaria
Swabia
Thuringia
Burgundy
Aquitaine
Brittany
Normandy
Flanders
Lorraine
Alsace
Switzerland
Italy
Sicily
Sardinia
Corsica
Balkans
Hungary
Poland
Russia
Ukraine
Crimea
Caucasus
Armenia
Mesopotamia
Syria
Palestine
Egypt
Libya
Algeria
Morocco
Sahara
Sudan
Ethiopia
Somaliland
Kenya
Tanganyika
Mozambique
Madagascar
Angola
Namibia
Botswana
Zimbabwe
Zambia
Malawi
Uganda
Sierra Leone
Liberia
Ivory Coast
Ghana
Nigeria
Chad
Cameroon
Congo
Gabon
Zaire
Rhodesia
Transvaal
Natal
Cape Colony
Madagascar
Mauritius
Seychelles
Comoros
Socotra
Aden
Muscat
Oman
Yemen
Hejaz
Nejd
Persia
Afghanistan
Baluchistan
Sind
Punjab
Rajputana
Gujarat
Deccan
Malabar
Coromandel
Ceylon
Burma
Siam
Indochina
Malaya
Sumatra
Java
Borneo
Celebes
Philippines
Formosa
Korea
Manchuria
Mongolia
Tibet
Turkestan
Siberia
Kamchatka
Alaska
Yukon
Hudson Bay
Labrador
Newfoundland
Nova Scotia
New Brunswick
Quebec
Ontario
Manitoba
Saskatchewan
Alberta
British Columbia
Mexico
Texas
California
Nevada
Utah
Arizona
New Mexico
Colorado
Wyoming
Montana
Dakotas
Nebraska
Kansas
Oklahoma
Arkansas
Louisiana
Mississippi
Alabama
Georgia
Florida
Carolinas
Virginia
Tennessee
Kentucky
Ohio
Indiana
Illinois
Wisconsin
Michigan
Minnesota
Iowa
Missouri
Pennsylvania
New York
New Jersey
Maryland
Delaware
Massachusetts
Vermont
New Hampshire
Maine
Rhode Island
Connecticut
Cuba
Haiti
Jamaica
Puerto Rico
Bermuda
Bahamas
Yucatan
Guatemala
Honduras
Nicaragua
Costa Rica
Panama
Colombia
Venezuela
Guyana
Suriname
Ecuador
Peru
Bolivia
Paraguay
Chile
Argentina
Uruguay
Brazil
Amazon R.
Orinoco R.
Rio Grande
Mississippi R.
Missouri R.
Ohio R.
Hudson R.
St. Lawrence R.
Mackenzie R.
Yukon R.
Colorado R.
Columbia R.
Sacramento R.
Rio Negro
Paraná R.
Uruguay R.
Tocantins R.
Xingu R.
Madeira R.
Tapajós R.
Rio Branco
Rio Negro
Orinoco R.
Magdalena R.
Cauca R.
Amazon R.
Tigris R.
Euphrates R.
Indus R.
Ganges R.
Brahmaputra R.
Irrawaddy R.
Mekong R.
Yangtze R.
Yellow R.
Amur R.
Lena R.
Yenisei R.
Ob R.
Volga R.
Don R.
Dnieper R.
Vistula R.
Elbe R.
Rhine R.
Danube R.
Po R.
Tiber R.
Arno R.
Rhone R.
Loire R.
Seine R.
Thames R.
Shannon R.
Tagus R.
Ebro R.
Guadalquivir R.
Guadiana R.
Douro R.
Nile R.
Niger R.
Congo R.
Zambezi R.
Orange R.
Limpopo

წელს ვესტგოთებმა დაარბიეს რომი და წავიდნენ დასავლეთში. 488 წელს ოსტგოთმა თეოდოროხმა Theoderic (Theodoric) (რომელიც როგორც მძევალი 18 წელი ცხოვრობდა აღმოსავლეთ რომის იმპერატორის სამეფო კარზე) დაიპყრო მთელი იტალია და დააარსა ოსტგოთური სამეფო დედაქალაქით რავენაში Ravenna. თეოდოროხი ხაზს უსვამდა რასობრივი ჰარმონიის მნიშვნელობას და რომაულ-გოთური შერეული ქორწინება აკრძალული იყო. მოგვიანებით გოთები დამარცხდნენ ლანგობარდებთან ბრძოლაში და ისინი დასავლეთისკენ წავიდნენ ჩვ. წ. მე-7-8 საუკუნეებში. ამავე დროს ლანგობარდები დასახლდნენ იტალიაში. გოთებმა დაამარცხეს ვანდალები აკვიტანიაში და 475 წელს მართავდნენ იბერიის ნახევარკუნძულის უმეტეს ნაწილს დედაქალაქ ტოლედოს ჩათვლით 711-720 წწ-მდე, როდესაც დამარცხდნენ არაბებთან.

ვესტგოთებს მიიჩნევდნენ ესპანური თავადაზნაურობის წარმომშობლად. ამავე დროს, თვალსაზრისი, რომ შვედები იყვნენ გოთების შთამომავალნი, საყოველთაო იყო. ამან კურიოზული კონფლიქტი გამოიწვია ბაზელის საბჭოს დროს 1434 წელს. როდესაც შვედეთის დელეგაცია ამტკიცებდა, რომ შვედები იყვნენ დიდი გოთების შთამომავალნი, ესპანეთის დელეგაციამ უპასუხა, რომ მხოლოდ ზარმაცი და არამეომარი გოთები რჩებოდნენ შვედეთში მაშინ, როდესაც გმირმა გოთებმა დატოვეს შვედეთი, შეიჭრნენ რომის იმპერიაში და დასახლდნენ ესპანეთში.

ევროპელების ეთნოგენეზი – ვანდალები VANDALS

400 წელს ჰუნების შეტევის გამო ვანდალებმა, აღმოსავლეთ გერმანული ტომი, მოკავშირეებთან ერთად (სარმატები, არაგერმანელი ალანები Sarmatian Alans და გერმანელი სუებები Suebians), დაიწყეს გადასვლა დასავლეთში და შევიდნენ რომის იმპერიაში ახლანდელი პოლონეთისა და უნგრეთის ტერიტორიიდან. როდესაც ვანდალებმა მიაღწიეს რაინს 406 წელს, მათ შეხვდათ წინააღმდეგობა რომაელი ფრანკების მხრიდან გალიაში Gaul. ამ ბრძოლაში დაიღუპა 20 000 ვანდალი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვანდალებმა, ალანებმა და სუებებმა გადაკვეთეს გაყინული რაინი და შეიჭრნენ გალიაში, რომელიც სასტიკად ააოხრეს და მიაღწიეს აკვიტანიას Aquitaine. 409 წელს ვანდალებმა გადაკვეთეს პირინეის Pyrenees მთები იბერიის ნახევარკუნძულისკენ. რომაელები იძულებულნი იყვნენ ვანდალებისთვის დაეკანონებინათ გალასია

ვანდალები რომში

და ესპანეთი Gallaecia and Hispania, ხოლო მოკავშირე ალანებმა მიიღეს ლუზიტანიის მიწა და კართაგო ნოვას რეგიონში Lusitania and Carthago Nova. მაგრამ ვესტგოთებმა გაანადგურეს ალანები 426 წელს და გადარჩენილმა ალანებმა სთხოვეს ვანდალების მეფეს, რათა მიეღო ალანთა გვირგვინი. მოგვიანებით, ვანდალთა მეფეები საკუთარ თავს ამკობდნენ „Rex Wandalorum et Alanorum“ („ვანდალთა და ალანების მეფე“), თუმცა ალანები არ იყვნენ „გერმანული“ ტომი.

შესაბამისად, ახლა ვესტგოთებმა გაუჩაღეს ომი ვანდალებს და ისინი იძულებული იყვნენ, იბერიის სამხრეთ სანაპირომდე დახეულიყვნენ. ვანდალებმა Vandals სახელი მისცეს ესპანეთის ანდალუსიას Andalusia, რომელიც თავდაპირველად იყო ვანდალუსია Vandalusia. 429 წელს გეისერიკმა Geiseric, ვანდალთა ახალმა მეფემ, გადაკვეთა გიბრალტარის სრუტე იბერიიდან ჩრდილოეთ აფრიკისკენ 80 000 კაცთან ერთად და გადავიდნენ კართაგენისკენ Carthage. ვანდალებმა აიღეს და გაძარცვეს ქალაქი ბრძოლის გარეშე, როცა მთელი მოსახლეობა წასული იყო იპოდრომზე რბოლის სანახავად. მოგვიანებით გეისერიკმა 462 წლამდე დაიპყრო სიცილია, სარდინია, კორსიკა და ბალეარის კუნძულები.

ჰუნი ატილას სიკვდილის შემდეგ რომის მოსახლეობას მშვიდობა არ ელოდა. 455 წელს ვანდალებმა აიღეს რომი და ქალაქს ორი კვირის განმავლობაში ძარცვავდნენ. მემატიანე პროსპერი Prosper of Aquitaine გვაუწყებს, რომ პაპმა ლეომ Pope Leo მიიღო გეისერიკი და შეეხვეწა მას, თავი შეეკავებინა მკვლელობებისაგან და დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ძარცვით. და მართლაც, იყო მხოლოდ ძარცვა და არა ისეთი სასტიკი, როგორც შემდგომ სიტყვამ „ვანდალიზმი“ მნიშვნელობა მიიღო. ისინი უამრავ ძვირადღირებულ ნივთებთან ერთად წავიდნენ, იერუსალიმის ტაძრის ნადავლის ჩათვლით, რომელიც რომში მოიტანა ტიტუსმა (ან ის უკვე აღებული იყო ვესტგოთების, ალარიხის მიერ 410 წელს), თუმცა მოსახლეობა არ დაუხოცავთ.

468 წელს მათ გაანადგურეს ბიზანტიის უზარმაზარი ფლოტი და უკან დევნის დროს შეეცადნენ ბერძნული პელოპონესის ნახევარკუნძულზე გადამსხდარიყვნენ, მაგრამ უშედეგოდ. სამაგიეროს გადახდის მიზნით ვანდალებმა 500 ტყვე ნაწილებად დაჩეხეს და ყრიდნენ ზღვაში მათ ნაწილებს მთელი უკანა გზა კართაგენამდე. მაინც, ისევე რომაულ მიწაზე, სხვა გერმანული სამეფოების მსგავსად, ვანდალების აფრიკულმა სახელმწიფომ მალე დაიწყო დაცემა მოსახლეობას შორის რელიგიური და რასობრივი დაპირისპირების გამო. და ბოლოს, 534 წელს ვანდალთა მეფე გელიმერი Gelimer ჩაბარდა ბიზანტიის იმპერატორს და ვანდალთა სამეფო დასრულდა. ჩრდილოეთ აფრიკა გახდა რომაული პროვინცია. გელიმერი დიდი პატივით მიიღეს კონსტანტინოპოლში და დასახლდა გალათიაში Galatia (ანატოლია). ასე რომ, წრე დასრულდა: ვანდალთა და ალანთა გაერთიანება დაბრუნდა ანატოლიაში. მათ დაიწყეს ანატოლიიდან, შემოიარეს მთელი ევროპა, გადაკვეთეს გიბრალტარის სრუტე და ჩრდილოეთ აფრიკის გზით დაბრუნდნენ ანატოლიაში.

ევროპელთა ეთნოგენეზი – ალანები ALANS

ალანები იყვნენ სარმატული Sarmatian წარმოშობის მომთაბარე ტომი, რომლებიც საუბრობდნენ ირანულ Iranian ენაზე. ისინი ცხოვრობდნენ გოთებსა და ჰუნებს შორის ირანში, შავ ზღვასა და ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე. სახელწოდება „ალანი Alani“ გაჩნდა სტრაბონის Strabo ბერძნულ-რომაულ გეოგრაფიაში და პირველ საუკუნეში ისინი აღწერილნი იყვნენ, როგორც მეომარი ხალხი, რომლებიც დახელოვნებულნი იყვნენ ცხენების მოშენებაში. ისინი ხშირად არბევდნენ პართიის Parthian იმპერიას და კავკასიის პროვინციებს რომის იმპერიაში. Ammianus Marcellinus დასძენდა, რომ „თითქმის ყველა ალანი არის მაღალი და კარგი გარეგნობის; მათ თმა აქვთ ქერა და თვალები კი სასტიკად მკაცრი“. ამავდროულად, ებრაელი ისტორიკოსი იოსეფუსი Josephus (ჩ. წ.-დან 37-100 წწ.) იუწყება „ებრაულ ომებში“ (წიგნი 7, თავი 8.4), თუ როგორ ცხოვრობდნენ ალანები (ვისაც ის უწოდებს „სციტიანურ Scythian“ ტომს) შავ ზღვასთან ახლოს, გადაკვეთეს კავკასიის რკინის კარიბჭე Iron Gates გასაძარცვად და დაამარცხეს მედიისა და სომხეთის Media and Armenia არმიები.

370 წელს ალანები წალეკეს ჰუნებმა და ისინი გაიქცნენ დასავლეთისკენ. ალანების ნაწილი შეურთდა ვანდალებს და სუევებს Vandals and Sueves გერმანულ ტომებს მათი რომის გულში შეჭრის დროს. წიგნში „ფრანკების ისტორია“ ალანთა მეფე ზურგს უმაგრებდა ვანდალებს ფრანკების წინააღმდეგ ბრძოლაში რაინის გადაკვეთის დროს 406 წელს. გალიაში ალანები უფრო მეტად დასახლდნენ ორლეანსა და ვალენსიაში. ბრეტონული სახელი ალანი Alan და რამდენიმე ქალაქის სახელი, როგორიცაა ალანვილი Alanville, ცხადყოფს, რომ ისინი დასახლდნენ ბრიტანეთშიც. ვანდალების და სუევების მსვლელობის შესაბამისად, იბერიის ნახევარკუნძლზე 409 წელს ალანები დასახლდნენ ლუზიტანიასა და კართაგენიის პროვინციებში. 426 წელს ალანთა მეფე მოკლეს ვესტგოთების წინააღმდეგ ბრძოლაში და უმეტესობა წავიდა ჩრდილოეთ აფრიკაში ვანდალებთან ერთად. მოგვიანებით ვანდალთა მეფემ თავი შეიმკო ტიტულით „ვანდალებისა და ალანების მეფე“.

ალანები, ბულგარები და ავარები, 650 წ.

სავარაუდოდ, ალანებმა მასობრივად შემოიყვანეს ევროპაში სანადირო და მაჩხუბარა ძაღლები, ალაუნტები Alaunt. ეს ჯიში გადაშენდა, მაგრამ მისი

სახელი შენარჩუნდა უზარმაზარი ძაღლების სახელში ალანო Alano, რომელიც გადარჩა ბასკურ ქვეყანაში. დღესდღეობით ყველაზე დიდი ჯიშის ძაღლი არის საქართველოში Caucasian Shepherd Dog/Kavkasiuri Nagazi, რომელიც იღებს ყველა ძაღლის ჯილდოს 2000 წლიდან.

სხვა აღმოსავლელი ალანური ტომები ცხოვრობდნენ შავი ზღვის ჩრდილოეთით და შესაძლოა, გადასულიყვნენ დღევანდელ პოლონეთში, შეუერთდნენ სლავურ ხალხებს და გახდნენ ისტორიული სლავური ერის წინამორბედები (განსაკუთრებით სერბების და ხორვატების). მესამე საუკუნის ხელნაწერები ახსენებს ალანურ ტომს, რომელსაც უწოდებენ ხოროატოს Choroatos or Chorouatos. ისტორიკოსი პტოლემეოსი Ptolemy აიგივებს ალანურ „სერბოი Serboi"-ს სარმატულ ტომთან, რომელიც ცხოვრობდა კავკასიის ჩრდილოეთით. 620 წელს ალანების გარკვეული ნაწილი გადასახლდა ჩრდილოეთში, შეუერთდნენ ვოლგის ბულგარელებს და ბურტას, საბოლოოდ კი ტრანსფორმირდნენ ვოლგის თათრებად. ზოგი აღმოსავლელი ალანი ინარჩუნებდა ჰუნების მმართველობას. ამბობენ, რომ ეს „აღმოსავლელი" ალანები არიან თანამედროვე კავკასიელი ოსების წინაპრები, რომლებიც მონღოლებმა აიძულეს მე-8 საუკუნეში აღმოსავლეთ ალანიის სამეფო დაეარსებინათ ჩრდილოეთ კავკასიას, თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიას North Ossetia-Alania ადგილზე. მისი დედაქალაქი იყო მაგასი Maghas.

800 წელს კავკასიაში ალანიის სამეფო გაანადგურა ხაზართა ხაკანატმა Khazar Khaganat. ალანები, ისევე როგორც ხაზარები, იყვნენ იუდაიზმის მიმდევრები. 960 წელს ხაკანატის მარცხის შემდეგ, ალანიის მეფეები ხშირად ხდებოდნენ ბიზანტიისა და ზოგი ქართველი მმართველის მოკავშირეები სტეპის ხალხების წინააღმდეგ, როგორიცაა პაჩენიგები და ყივჩაყები Pechenegs and Kipchaks. მათმა საქართველოსთან ალიანსმა კულმინაციას მიაღწია 1187 წელს, როდესაც ალანელთა მეფის შვილმა დავით სოსლანმა David Soslan ცოლად შეირთო ქართველი დედოფალი თამარი. შუა საუკუნეების ალანელი პრინცესები ასევე არაერთხელ მისთხოვდნენ რუს რურიკ Rurikid მმართველებს. მაგალითად, ოსი წმ. მარია, იყო ალექსანდრე ნეველის Alexander Nevsky ბებია. მე-13-14 საუკუნეებში მონღოლთა ურდო და თემურ ლენგის Mongol hordes and Tamerlane არმია შეიჭრნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და დახოცეს მთელი ალანელი მოსახლეობა.

1767 წლის შემდეგ რუსეთის მმართველობა დამყარდა ჩრდილოეთ კავკასიაში და ისლამმა შეაღწია ჩეჩნეთში დაღესტნიდან, როგორც პროტესტი რუსეთის სასტიკი ასიმილაციის წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში. მხოლოდ ოსები არიან დღეს აღმოსავლელი მართლმადიდებელი ქრისტიანები ჩრდილოეთ კავკასიაში. ოსებმა ეს სახელწოდება Ossetia მიიღეს რუსებისგან, რომლებიც ხმარობდნენ ქართულ ტერმინს ოსეთი Oseti. ოსები, ალანების ლინგვისტური შთამომავლები, ცხოვრობენ რუსეთსა და საქართველოში, საუბრობენ ოსურ ენაზე, რომელიც მიეკუთვნება ირანულ ენათა ჯგუფს სკვითურ-სარმატული

დიალექტით არიანული, ინდოარიანული ან ინდოირანული საფუძვლით Aryan, Indo-Aryan or Indo-Iranian. ოსები არიან ერთადერთი ჯგუფი კავკასიაში, ვინც საუბრობს ინდოევროპულ ენაზე მათი კავკასიურ ენაზე მოსაუბრე მეზობლებისგან განსხვავებით. ანთროპოლოგიის გენეტიკის მაქს პლანკის ინსტიტუტმა Max Planck Institutefor Anthropology Genetics (Nasidze I, Ann Hum Genet. 2004 Nov; 68 (Pt 6):588-99) გააანალიზა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსების გენეტიკური მონაცემები. Y-ჰაპლოჯგუფის მონაცემები გამოყოფს, რომ ჩრდილოეთ ოსები უფრო მეტად არიან მსგავსნი სხვა ჩრდილოეთ კავკასიელი ჯგუფებისა და სამხრეთ ოსები კი, მსგავსნი არიან სხვა სამხრეთ კავკასიის ჯგუფებისა, ვიდრე ერთმანეთის.

თანამედროვე ოსეთს ორი ძირითადი დიალექტი აქვს: დიგორი Digor, საუბრობენ ჩრდილოეთ ოსეთში; და აირონი Iron, საუბრობენ „სამხრეთ ოსეთში“. ოსური ენის მესამე შტო, იასიკი Jassic (Jász), წარსულში იხმარებოდა უნგრეთში. ლიტერატურული აირონის ენას იყენებდა „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნული პოეტი კოსტა ხეთაგუროვი (1859-1906 წწ.). 1990 წელს, ვარაუდობდნენ, რომ სახელი „ოსეთი Ossetia“ უნდა ჩანაცვლებულიყო „ირისტონით Iryston“, რაც დაკავშირებულია „ირსების ან აირონების მიწასთან Irs or Irons“, რაც მთლიანად უგულებელყოფს დიგორიას Digoria. ეს ასევე არ აკმაყოფილებდა მუსლიმ დიგორებს. დიგორის ზეგავლენით, ის წარმოდგენილი იყო სკოლებში და ჟურნალ-გაზეთებში. შედეგად, 1992 წელს ოსების ეთნიკური მთლიანობა კითხვის ქვეშ დადგა. გამოსავალის პოვნის მიზნით, ოსებისთვის მიმზიდველი იყო გაეიგივებინათ თავიანთი თავი ალანების შთამომავლებთან, რადგან ალანები იყვნენ ირანულად მოლაპარაკე ხალხი. 1994 წელს სახელწოდება „ალანია“ ოფიციალურად დაემატა ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიის რესპუბლიკას, საფეხბურთო გუნდსაც დაერქვა „ალანია“. განმტკიცდა ოსების არიანული წარმოშობა, ვინაიდან ორივე ტერმინი, ალანი და აირონი Alan and Iron, მოდიოდა არიადან Aria.

ამავე დროს, მეზობელმა ყარაჩიმ და ბალყარეთმა Karachais and Balkars აშკარად გამოაცხადეს პრეტენზია ალანების შთამომავლობაზე, რაც არ იყო მხოლოდ სიმბოლური, არამედ ტერიტორიულიც. მსგავსი პროცესები ქმნიდა დაძაბულობას ბალყარეთის უმცირესობასა და ყაბარდოს უმრავლესობას შორის ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში, და ყარაჩის უმრავლესობასა და ჩერქეზთა უმცირესობებს შორის ყარაჩაევო-ჩერქეზეთში. 1999 წელს ინგუშთა რესპუბლიკამ გამოაცხადა, რომ მათ ახალ დედაქალაქს ეწოდება მაგასი Maghas („მზის ქალაქი“), ისტორიული ალანების დედაქალაქის შემდეგ. ასეთი გზით, ისტორიული კურიოზული საკითხები ნამდვილად ხდება პოლიტიკური პრობლემა.

ევროპელთა ეთნოგენეზი – ჰუნები HUNS

ჰუნები იყვნენ თურქულ-მონღოლური წარმოშობის ანთროპოლოგიურად სუფთა მონღოლოიდები და მოვიდნენ თანამედროვე ალტაიდან რუსეთისა და უკრაინის (სკვითები Skifs) ტერიტორიის გავლით, და გადავიდნენ ევროპაში მე-4 საუკუნეში ყველაზე ცნობილი ლიდერის ატილას მეთაურობით. რომაელი ისტორიკოსის ამიანუს მარსელიუსის Amianus Marcelinus, მიხედვით, ისინი ძალზედ ველურები და შეუხედავები იყვნენ, როგორც მონსტრები. ისინი ცხოვრობდნენ და ეძინათ კიდეც ცხენებზე, ჭამდნენ უმ ხორცს, მაგრამ ძალზედ სასტიკად იბრძოდნენ. ბრძოლებში მათი უპირატესობა იყო ცხენოსანთა ჯარი, დიდი რაოდენობა და მშვილდი. ატილას რელიგია შამანიზმი იყო, ცხოვრობდა უბრალო ხის სახლში, ჭამდა ხის თეფშზე და სვამდა ხის ჭურჭლიდან. შოკირებული იყო, როდესაც დაინახა უამრავი მეძავი დაპყრობილ ქრისტიანულ ქალაქში კორინთოში Corinth და ბრძანა, რომ ისინი მამაკაცებს ცოლად შეერთოთ ან გაესახლებინათ.

447 წელს ბულგარეთის ბიზანტიის არმიაზე გამარჯვების შემდეგ, ჰუნების მეფემ ატილამ მიაღწია კონსტანტინოპოლამდე ისე ახლოს, რომ მათ შეეძლოთ დაენახათ ეკლესიების ოქროს სახურავები (როგორც ნაცისტები მოსკოვთან ახლოს მეორე მსოფლიო ომის დროს), მაგრამ შავი ჭირი დაიწყო და ის იძულებული იყო, დაეწყო მოლაპარაკებები. 449 წელს დროებით მოხდა დაზავება და აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა ატილა დანიშნა რომის არმიის მეთაურად, თუმცა ეს გაგრძელდა ერთ წელზე ნაკლებ ხანს და ისინი კვლავ მტრები გახდნენ, რადგან ბიზანტიის იმპერატორმა შეიცვალა აზრი და გადაწყვიტა, თავის და მიეთხოვებინა არა ატილასთვის, არამედ ერთ-ერთი რომაელი სენატორისთვის. მომავლ წელს შეუძლებელი იყო კონსტანტინოპოლამდე მიღწევა იმავე გზით, რაც უკვე განადგურებული იყო და ატილამ გადაინაცვლა დასავლეთისკენ. როდესაც 451 წელს ატილამ გადაკვეთა რეინი და შევიდა გალიაში Gaul (Getica 36.194f), ფლავიუს აეტიუსმა Flavius Aëtius, რომაელმა სარდალმა, სწრაფად გადმოინაცვლა იტალიიდან და მოკავშირე ვესტგოთ ფრანკ მეფეებთან ერთად შეუტია ჰუნებს, ატილას მეთაურობით, ჩალონის Chalons ბრძოლაში (ასევე უწოდებდნენ კატალუნის Catalun ბრძოლა, პარიზიდან 150 კმ-ში). იორდანეს Jordanes ჩამოთვლილი აქვს აეტიუსის მოკავშრეები: ვესტგოთები, ფრანკები, სარმატები, არმორიკანები, ლიტიციანები, ბურგუნდიელები, საქსონები Visigoths, Franks, Sarmatians, Armoricans, Liticians, Burgundians, Saxons და სხვა





კელტური თუ გერმანული ტომები (გოთიკა 36.191). იორდანეს და სიდონიუსის (გოთიკა 38.199) ჩამონათვალი ატილას მოკავშირეები შემდეგია: გეპიდები, ოსტოგოთები, რუგიანები, გელონიანები, ბურგუნდიელები, სკირები, ბელონოტიები, ნეურიანები, ბასტარნაები, ტურინგიანები, ბრუქტერები და ფრანკებიც კი Gepids, Ostrogoths, Rugians, Gelonians, Burgundians, Sciri, Bellonotians, Neurians, Bastarnae, Thuringians, Bructeri and even Franks. ისტორიკოსი ჰიდატიუსი Hydatius, რომელიც ცხოვრობდა ატილას შემოსევების დროს, გვამცნობს მიცვალებულების რიცხვს, რომელიც შეადგენდა 165-300 000 ადამიანს.

ატილა დაამარცხეს, მაგრამ იგი გაექცა სრულ განადგურებას, რომაელი სარდლის „უცნაური“ ქცევის გამო. როგორც კი ვესტგოთების მეფე მოკლეს ბრძოლაში, აეტიუსმა მოკლული მეფის ერთ-ერთი ვაჟი დაარწმუნა, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო შინ და აეღო თავისი კუთვნილი გვირგვინი, სანამ მისი ძმები დაასწრებდნენ ამას. იგი საჩქაროდ დაბრუნდა ტოლოსაში Tolosa, დღევანდელ ტულუზში Toulouse, და გამეფდა. რატომ გადაარჩინა აეტიუსმა ატილა? აეტიუსი და ატილა ბავშვობაში იზრდებოდნენ ძმებივით ატილას სახლში, მის მამა დიდ მმართველ რუგასთან Ruga ერთად, რადგან აეტიუსი იქ იმყოფებოდა, როგორც მძევალი. რუგა ეხმარებოდა კიდეც აეტიუსს, რომ გამხდარიყო რომის არმიის მეთაური, რადგან იგი ეხმარებოდა მის მეტოქე რომის სარდლებთან ბრძოლაში. მაგრამ იორდანეს მიხედვით, ნამდვილი მიზეზი იყო ის, რომ აეტიუსს ეშინოდა, თუ ჰუნები ბოლომდე განადგურდებოდნენ, ვესტგოთები დაარღვევდნენ თავიანთ ერთგულებას რომის იმპერიის მიმართ და შეიქმნებოდა უფრო დიდი საფრთხე. ვესტგოთები აგრეთვე (Historia Francorum 2.7) ამტკიცებდნენ, რომ ასეთი გზით აეტიუსმა მოიცილა ბრძოლის ველიდან მისი ფრანკი მოკავშირეები და მთლიანად მოაგროვა ნადავლი თავისთვის. თუმცა აეტიუსი მალევე მოკლა ეჭვიანმა რომის იმპერატორმა.

452 წელს ატილამ პირდაპირ გაილაშქრა რომის წინააღმდეგ, ამჯერად ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და შეჩერდა მდინარე პოსთან Po, სადაც ის შეხვდა ელჩებს პაპი ლეო I-ის Pope Leo I ხელმძღვანელობით. კათოლიკური სამყარო სასიკვდილო საფრთხეში იყო, მაგრამ შეხვედრის შემდეგ ატილამ, სასწაულებრივად, თავისი არმია უკან გაიწვია. რამდენიმე ვერსია იყო მოყვანილი მის ასეთ ქცევაზე. შესაძლოა ეს იყო შავი ჭირი და შიმშილობა, რომელიც მის შემოსევას დაემთხვა, ან შესაძლოა შეუშინდა ლაშქარს,

რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა გამოგზავნა მდ. დუნაის გასწვრივ, ან იქნებ ორივე ერთად. რაც არ უნდა იყოს ამის მიზეზები, ატილამ დატოვა იტალია და დაუბრუნდა თავის ადგილს დუნაიზე, რათა დაეგეგმა მომავალი წლის დარტყმა. ევროპული ცივილიზაციის გაქრობა სრულიად რეალური იყო. მაგრამ მოულოდნელად, 453 წლის ზამთარში ატილა გარდაიცვალა. პრისკუსის Priscus გადმოცემით, ლამაზ და ახალგაზრდა ილდიკოსთან Ildico (სავარაუდოა, რომ ეს სახელი გოთური წარმოშობისაა) ქორწინების შემდეგ, მას აუტყდა ცხვირიდან სისხლდენა და დაიხრჩო საკუთარი სისხლით, მას შემდეგ რაც ძალზედ ბევრი დალია. ატილას ვაჟები დამარცხდნენ უნგრეთში 454 წელს და ჰუნების იმპერიამ შეწყვიტა არსებობა.

ბევრი ერი ცდილობდა დაემტკიცებინათ თავი ჰუნების კულტურულ[1] ან ეთნიკურ მემკვიდრეებად. ბულგარელ ხანებს, მაგალითად, სჯეროდათ, რომ ისინი იყვნენ ატილას შთამომავლები. მადიარები (უნგრელები) Magyars (Hungarians) გამოთქვამენ პრეტენზიებს ჰუნების მემკვიდრეობაზე. ჰუნების სახელები, როგორიცაა ატილა და რეკა დღემდე პოპულარულია უნგრეთში. უნგრელები და მადიარები არიან ეთნიკური ჯგუფები დაკავშირებულნი ხანთისთან, მანსისთან, ჩუვაშთან, ბაშკირთან, ფინელებთან (ფინ-უიგურის თეორია) Khanty, Mansi, Chuvash, Bashkir, Finnic (Finno-Ugric).

მადიარების ლიდერმა არპადმა Árpád მოიყვანა მადიარები, რომელთაც უკვე უწოდებდნენ უნგრ (უნგრელები) Ungri (Hungarians) კარპატებში, მორავიასა და ბალატონზე 896 წელს. უნგრელებს დასახლების ნება დართო პაპმა უნგრეთის პირველი მეფის სტეფან I-ის Stephen მეფედ კურთხევით 1001 წელს, როდესაც მათ მიიღეს ქრისტიანობა.

Prince Árpád crosses the Carpath. A canvas, painted to celebrate the 1000th anniversary of the Magyar conquest of Hungary, now displayed at Ópusztaszer National Memorial Site in Hungary

საინტერესოა, რომ უნგრელი ავტორი ლაიოშ ტარდი Laiosh Tardi წერდა, რომ მეფე მათიაშ ჰუნიადის Matiash Huniadis (1458-1490 წწ.) დროდან არსებობს თეორია, რომ უნგრელი და ქართველი ხალხები ერთი წარმოშობის იყვნენ. ის ფიქრობდა, რომ ურალიდან უნგრეთში მიგრაციის დროს ჩვ. წ. მე-9

[1] ჰუნების კულტურული მემკვიდრეობა არც ისე მდიდარია, თუ საერთოდ მოინახება, მაგრამ არიან ერები, რომელთაც ეამაყებათ ჰუნების დაპყრობლური და სასტიკი პოლიტიკა.

საუკუნეში, ზოგმა ტომმა შეიცვალა მიმართულება და დასახლდა თბილისთან ახლოს. მაგრამ თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ, ისინი დარბეულნი იყვნენ. საუკუნეების განმავლობაში უნგრეთის თავადების ოჯახებმა ორგანიზება გაუკეთეს რამდენიმე ექსპედიციას საქართველოსკენ იმ მიზნით, რომ ეპოვნათ ფესვები და მონათესავეები. მაგალითად, უნგრელი მეცნიერი ჰორ დეჩი Hor Dechi საქართველოს ეწვია 7-ჯერ, 1884-1907 წწ. ლაიოშ ტარდიმ ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღმოაჩნა რუკა, სადაც საქართველოს შემდეგი მინაწერი ჰქონდა „Georgia seu Hungaria antiqua“, რაც შექმნა გერმანელმა შონერმა Schoner 1527 წელს. მართლაც, ზოგი უნგრელი (მადიარი) ტომი შემოვიდა საქართველოში კავკასიიდან მე-7 საუკუნეში და ცოტა ხნით დასახლდნენ აქ, მაგრამ საბოლოოდ დამკვიდრდენ განჯის რეგიონში, მუსლიმურ აზერბაიჯანში. ზოგი უნგრელი ქრისტიანი დარჩა თბილისთან ახლოს და ცნობილნი იყვნენ მე-14 საუკუნემდე. ქართველი ავტორი ივანე ჯოჯიშვილი Ivane Joudshishvili აღნიშნავს, რომ ქართული სიტყვა „ხიდი“ მსგავსია ოსურ და უნგრულ ენებში. ქართველი ავტორი ვახტანგ გოილაძე Vakhtang Gioladze წიგნში „ჰუნ-თურქები კავკასიაში“ განმარტავს დასავლეთციმბირის ტარხუნის არსებობას, რომელიც ძალზედ პოპულარულია საქართველოს სამზარეულოში, ციმბირელი მცხოვრებლების ზეგავლენით.

აზიის დიდი სტეპის იმპერიები

სტეპებითა და უდაბნოებით დაფარულ აზიაში დასახლებულნი არიან ტომები, რომელთა ისტორიებიც არაა ცნობილი, რადგან ისინი იყვნენ მომთაბარეები და არ დაუტოვებიათ რაიმე მატერიალური კვალი. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ევროპის მოსახლეობას დიდწილად განსაზღვრავს მათი გენეტიკა, კერძოდ კი, გოთები, ჰუნები, სლავები და სხვ.

საკამ **Saka** შესძლო ალექსანდრე დიდის შეჩერება, როდესაც მიდიოდა აღმოსავლეთში შესაჭრელად და დღეს მათი შთამომავლები არიან ტაჯიკები **Tajiks**, რომლებმაც მიიღეს ისლამი.

არის მოსაზრება, რომ თურქული ენა და კულტურა სათავეს იღებს ძვ. წ. მე-5 საუკუნეში, მდ. ენისეის ზედა მიდამოებში, დღევანდელ ციმბირის ტერიტორიაზე. მათ აღმოაცენეს ჰუნები, რომლებმაც ატილას მეთაურობით მოგვიანებით ილაშქრეს აღმოსავლეთ ევროპაზე ჩვ. წ. მე-4 საუკუნეში. სხვა თურქულად მოლაპარაკე ტომები მიგრაციაში წავიდნენ ჩინეთის ჩრდილოეთით, სადაც ჩინეთის კედელი ააშენეს ცინისა და ჰანის **Qin and Han** დინასტიებმა, რათა დაეცვათ თავი. ჰანის დინასტიის დაცემის შემდეგ, 220 წელს, ტოპა Topa თურქებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ ჩინეთი ერთი საუკუნის შემდეგ, მიიღეს ბუდიზმი და დააარსეს ჩრდილოეთ ვეის **Wei** დინასტია.

ამ დროის განმავლობაში, მათმა მთავარმა მონღოლურ ენაზე მოსაუბრე მეტოქეებმა, დაიწყეს გაფართოება სტეპებზე. მე-5 საუკუნეში მონღოლი იუანის

Juan-Juan იმპერია აკონტროლებდა ტერიტორიას მანჯურიიდან ბალხაშის ტბამდე. მაგრამ ეს მონღოლთა იმპერია გაანადგურა თურქმა ბოუმინმა Boumin 552 წელს ჩრდილოელი ვეის დახმარებით, რომლებიც თურქული წარმომავლობის იყვნენ. თურქი უიგურის **Uighur** დინასტია დაარსდა ერთი საუკუნის მანძილზე (744-840 წწ.), სანამ ახალმა მტერმა – ყირგიზებმა Kyrgyz არ გადააგდეს იგი.

686 წელს მონღოლთა ხითანის Khitan ტომები, რომლებიც მანჯურიაში ჩამოყალიბდნენ, კიდევ ერთხელ დაესხნენ თავს ჩრდილოეთ ჩინეთს. 751 წელს ჩინეთი დაამარცხა მონღოლმა დაქირავებულმა მეომარმა ნან ლუჩანმა Nan Luchan. 929 წელს ყირგიზეთის ტომებთან (რომელთაც ჩაანაცვლეს უიგური) ბრძოლაში, უკან ენისეისკენ და უფრო შორს კასპიის ზღვისკენ, ხითანების ტომები ერთი საუკუნის მანძილზე მკვეთრად დასუსტდენ და ველურმა მონღოლმა იურჩენის **Jurchen** ტომებმა ააოხრეს ხითანის ტერიტორიები 1114 წელს, ჩამოაყალიბეს ჩინეთის ცინის (ქინგი) Kin (Qing) დინასტია, რომლის დედაქალაქიც იყო ბეიჯინგი (პეკინი) Beijing (Peking).

დასავლეთით, ირანის სასანიდური იმპერია გაიყო 999 წელს და არალის ზღვის ჩრდილოეთის თურქული ტომი, სელჩუკები **Seljuk**, შემოვიდნენ ამ რეგიონში 1040 წელს.

მე-12 საუკუნის ბოლოს მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლითაც დასრულდა თურქ-მონღოლების მტრობა, ამან კი გამოიწვია შეტევების ტალღები მიმართული ციმბირიდან, მონღოლეთიდან და ჩინეთიდან ცენტრალური აზიის, სპარსეთისა და ევროპის მიმართულებით.

თემუჩინი (ჩინგიზ ყაენი) Temudjin (**Genghis Khan**) დაიბადა 1155 წელს დღევანდელ ჩინეთ-რუსეთის საზღვართან. 12 წლის ასაკში დაობლდა, მან ბავშვობა გაატარა უკიდურეს სიღარიბესა და გაჭირვებაში. ცოლად შეირთო კლანის მეთაურის ქალიშვილი და 1196 წელს აირჩიეს მონღოლთა ტომების ხანად და სახელად მიიღო ჩინგიზი. ორ წელში დაამარცხა თათრები, რომელთაც მოკლეს მისი მამა. 1206 წელს მთელი თურქებისა და მონღოლების ტომების დიდმა კრებამ ჩინგიზი დაასახელა „უზენაეს ხანად“.

ახლა მან დაიწყო თავის იმპერიის აშენება, აიღო პეკინი 1215 წელს და ააოხრა თურქ-სელჩუკების ხორეზმის Khorezm სამეფო, აიღო სამარყანდი 1220 წელს. მისი სარდლები თავს დაესხნენ სპარსეთს, კავკასიას, დაამარცხეს თურქ-ყივჩაყთა ტომები და რუსეთი, აიღეს კიევი 1240 წელს. იგი გარდაიცვალა 1227 წელს და სახანო გაიყო რამდენიმე შტოდ, რომლებმაც მიიღეს ისლამი მე-14 საუკუნეში.

მაგრამ შიდაარეულობა, განსაკუთრებით თურქებსა და მონღოლებთან, გრძელდებოდა და თემური (ტამერლანი) Timur **(Tamerlane)** (გარდაიცვალა 1407 წელს), მონღოლების თურქი ვასალი, გახდა ახალი დიდი ლიდერი. მაგრამ ერთ საუკუნეში მონღოლები საბოლოოდ განადგურდნენ შიდა და გარე ფაქტორების გამო.

ზოგმა ყირგიზმა Kyrgyz ტომმა მიიღო სახელი უზბეკი **Uzbek** დაახლოებით 1350 წელს ყივჩაყთა ყაენის ოზბეგის Ozbeg პატივსაცემად, რომელმაც მისი ურდოს უმეტესობა გადაიყვანა ისლამზე, საუკუნით ადრე. უზბეკები შეიჭრნენ ხორეზმში და დღევანდელ უზბეკეთში, სადაც მათ აიღეს სამარყანდი 1500 წელს. ყირგიზ-ყაზახები გამოეყვნენ უზბეკებს, დააარსეს დამოუკიდებელი ურდო ჩრდილოეთ მონღოლეთში და გახდნენ დღევანდელი ყაზახები Kazakh. დაახლოებით 1560 წელს ყირგიზ-ყაზახი ტომები გადავიდნენ ისიკ კულის რეგიონში და ცნობილნი არიან, როგორც ყარა-ყირგიზები, დღევანდელი ყირგიზების Kyrgyz წინამორბედნი.

მუდმივმა ომებმა აიძულა ცენტრალური აზიის ტომები მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა მე-18 საუკუნიდან. რუსებმა ააგეს ციხესიმაგრეების მთელი სერია, მაგრამ ელოდებოდნენ, სანამ ტომები მასობრივად დახოცავდნენ ერთმანეთის მოსახლეობას, შემდეგ აუქმებდნენ სახანოებს და იერთებდნენ მათ, რა თქმა უნდა, მოსახლეობის გადარჩენის მიზნით. ეს იყო ჩვეულებრივი იმპერიული პოლიტიკა. ცხენოსანი მშვილდოსნები ვერ უმკლავდებოდნენ ზარბაზნებს და თოფებს და სტეპების იმპერიის ერა დასრულდა.

თურქი TURKIC ხალხები

დღესდღეობით, თურქული ქვეყნებია: თურქეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ბაშკირია, თათრეთი, ტუვა, იაკუტია, იუგური და ჩინეთში ქსინჯიანგი უიგურის Xinjiang Uyghur რეგიონი. საზოგადოდ ცნობილია, რომ პირველი თურქი ხალხები იყვნენ ცენტრალური აზიის, ციმბირისა და მონღოლეთის მაცხოვრებლები. თურქული ენის ლინგვისტური ფესვები მოდის ალტაის Altai მთის რეგიონიდან. პირველი ცნობა „თურქებზე Turks“ (Tujue) ჩნდება ჩინეთის წყაროებში მე-6 საუკუნეში. ზოგი ავტორი კამათობს იმის შესახებ, რომ ჰუნები იყვნენ ერთ-ერთი პირველი თურქული ტომები, როცა სხვები მხარს უჭერდნენ ან მონღოლურ ან ფინო-უიგურულ წარმომავლობას.

მონღოლთა ურდოებს შორის, რომლებიც შეიჭრნენ ევროპაში, იყვნენ თურქები, მონღოლები და ცენტრალური აზიის ტომები. მაგრამ თურქები ერთადერთნი იყვნენ, ვინც იბრძოდა ადმინისტრაციული შესაძლებლობებით, რადგან დანარჩენნი ცნობილნი იყვნენ მხოლოდ ხოცვასა და სისასტიკეში. ჩვენთვის ცნობილი „მონღოლი“ ომის მთავარსარდლები იყვნენ თურქები – ჩინგიზ ყაენი და მისი დინასტია, თემურლენგი, მოგულები, ნადირ შაჰი და სხვ. თურქებს არ ჰქონდათ რელიგია, მაგრამ, როდესაც დაუკავშირდნენ მუსლიმებს, მათ თანდათანობით მიიღეს ისლამი და დღეს მათი უმეტესობა არის სუნი მუსლიმი (შიიტური აზერბაიჯანელების გარდა).

ყველაზე მასობრივი შეჭრა თურქ-სელჩუკებმა დაიწყეს მე-11 საუკუნეში ანატოლიაში, საბოლოო ჯამში, დაარსდა რუმის Rum სასულთნო (რაც

არაბულად, ნიშნავს „რომს“). რადგან სელჩუკთა იმპერია დასუსტდა, წარმოიქმნა ოსმალთა იმპერია, რომლებიც ცენტრალურ ევროპაშიც კი შევიდნენ. 1526 წელს ოსმან-თურქები შეიჭრნენ უნგრეთში. 1529 წელს ვენა პირველად ალყაში მოაქცია ოსმალმა სულეიმან II-მ და ერთი საუკუნის შემდეგ თითქმის მთელი ევროპული ცივილიზაცია გადარჩა პოლონელთა მამაცი კონტრშეტევის წყალობით, რომელსაც მართავდა ჯონ სობიესკი John Sobieski 1683 წელს.

თურქების ნაწილი წავიდა ინდოეთისკენ. მუგალის Mughal იმპერია იყო მუსლიმური იმპერია ინდოეთის სუბკონტინენტში, რომელიც შედგებოდა ავღანეთის, პაკისტანისა და ინდოეთისგან მე-16-18 საუკუნეებში. მუგალის დინასტია დააარსა თურქმა უფლისწულმა ბაბურმა Babur (1526-30 წწ.-ში) სამარყანდიდან, რომელიც იყო თემურ ლენგის შთამომავალი მამის მხრიდან და მონღოლი მმართველის ჩინგიზ ყაენის, დედის მხრიდან. მუგალის დინასტია სახელგანთქმული იყო მმართველობის უნარით, რომელიც შვიდ თაობას ჰქონდა, ეს შესანიშნავი ნიჭი, და ეს ადმინისტრაციული ორგანიზაცია თამამად ცდილობდა ინდუსებისა და მუსლიმების ინტეგრირებას ინდოეთის გაერთიანებულ სახელმწიფოში.

პირველი მუგალი იმპერატორი ბაბური „ბაბურნამა“-ში Bāburnāma წერდა: „ინდუსტანი არასიმპათიური ადგილია. მათი ხალხი არ არის ლამაზი, არც მოხდენილი სოციალური ურთიერთობები აქვთ, არა პოეტური ნიჭი ან გაგება, არა ეტიკეტი, კეთილშობილება ან ვაჟკაცურობა. მათ ხელოვნებასა და ოსტატობაში არ არის ჰარმონია და სიმეტრია. არ ჰყავთ კარგი ცხენები, ხორცი, ყურძენი, ნესვი ან სხვა რაიმე ხილი. არ აქვთ ყინული, ცივი წყალი, კარგი საჭმელი ან პური ბაზარში. იქ არ მოიძებნება არც აბაზანა და არც მადრასა. არ მოიპოვება სანთლები, ლამპრები ან სასანთლეები“. მუგალებმა შეიტანეს ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება ინდოეთის საზოგადოებასა და კულტურაში, რაც მოიცავდა: ცენტრალიზებულ ხელისუფლებას, სპარსული სტილის ხელოვნებასა და კულტურას, მუგალის სამზარეულოს, ურდუ და სალაპარაკო ინდური ენებს და სხვა. ერთ-ერთი შესანიშნავი წვლილი იყო უნიკალური არქიტექტურა – ტაჯ მაჰალი Taj Mahal, რომელიც აშენდა ბაბურის მეუღლის მოსაგონებლად. ქართველი ავტორები ამტკიცებენ, რომ მუგალთა შორის ზოგი მმართველი ქართული წარმოშობის იყო.

რეკონკისტას შემდეგ ესპანეთიდან გამოძევებული ებრაელი დევნილები მიიღო თურქეთმა, რომელსაც სჭირდებოდა მათი განათლება და კვალიფიკაცია. ამის შემდეგ 5 საუკუნეა თურქეთ-ისრაელის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს. თურქეთმა ისრაელი ერთ-ერთმა პირველმა აღიარა სახელმწიფოდ 1948 წელს. ისრაელის პირველმა პრემიერ-მინისტრმა დავიდ ბენ-გურიონმა David Ben-Gurion განათლება მიიღო სტამბოლის უნივერსიტეტში, იყო ოსმალეთის ყოფილი მოქალაქე და თურქულის სრულყოფილი მცოდნე.

ყივჩაყები KIPCHAKS საქართველოში

ყივჩაყები არიან უძველესი მომთაბარე თურქული წარმომავლობის ხალხი, რომელიც სახლობდა ცენტრალურ აზიაში, აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიის ჩრდილოეთში. მეფე დავით IV „აღმაშენებელმა“ (1189-1125 წწ.) დაიწყო ათი ათასი ყივჩაყის ალანებთან ერთად დაქირავება მეზობელ მუსლიმებთან საბრძოლველად. მან ცოლად შეირთო ყივჩაყის პრინცესა გურანდუხტი, ხანი ათრაქა შარაღანისძის Otrak ქალიშვილი, და მოიწვია ისინი, რათა დასახლებულიყვნენ საქართველოში. 40 000 ყივჩაყი ოჯახი გადმოვიდა საქართველოში დასამკვიდრებლად. შეთანხმების მიხედვით, ომის შემთხვევაში თითოეულ ოჯახს უნდა გამოეყვანა ერთი იარაღით აღჭურვილი მებრძოლი. ყოვჩაყები უმეტესად დასახლდნენ თურქ-სელჩუკებთან სასაზღვრო რეგიონებში. თურქები დაქირავებულნი იყვნენ, რათა ებრძოლათ თურქებთან.

აღმოსავლეთ სლავების შუა საუკუნეების ქრონიკებში ნათქვამია, რომ დონ ყივჩაყების ყაენმა სირჩანმა, ყაენ ათრაქას ძმამ, სთხოვა მას შინ დაბრუნებულიყო. იგი ნოსტალგიაში ჩავარდა და საბოლოოდ დატოვა საქართველო. პატარა ნაწილი დარჩა მუდმივად საქართველოში, მიიღეს მართლმადიდებლური ქრისტიანობა და შემდეგ შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას. გაქრისტიანებული (და გაქართველებული) ყივჩაყი მეთაურები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბევრ ომში. სამეფო კარზე ერთგული სამსახურის გამო მათი გავლენა და პრესტიჟი მაღალი იყო. ჯერ კიდევ დედოფალი თამარი (1184-1213 წწ.) აგრძელებდა ახალი ყივჩაყების დაქირავებას, დაახლოებით 10 000. თუმცა ყივჩაყები მსახურობდნენ საქართველოს მხარეს, მათი ნაწილი მონღოლთა კამპანიების დროს საქართველოში 1230 წელს მათ მხარეზე იბრძოდა და ბოლოს კი სრულად გაქრნენ. ზოგი ქართველი ისტორიკოსი (ზურაბ კაცელაშვილი) თვლის, რომ ეს ქართველი მეფეების სერიოზული შეცდომა იყო. ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ შუა საუკუნეების ყივჩაყები შესაძლოა იყვნენ თურქი-მესხების წინაპრები.

სლავი და რუსი SLAVIC RUS ხალხები

სლავური ხალხები არიან ინდოევროპული ხალხების ლინგვისტური და ეთნიკური შტო. ისინი, რომლებიც ატარებდნენ სახელებს ვენეცები, ანთები და სკლავენები Venets, the Ants and the Sklavens პირველად გამოჩნდნენ ბიზანტიურ ჩანაწერებში ადრეულ მე-6 საუკუნეში. გერმანელების და კელტების დასავლეთის მიმართულებით მოძრაობით ჩვ. წ. მე-5-6 საუკუნეებში დაიწყო სლავების Slavs დიდი მიგრაცია, რომლებიც დასახლდნენ გერმანელი ტომების მიერ მიტოვებულ მიწაზე რუსეთში, უკრაინასა და აღმოსავლეთ ევროპაში.

ბულგარელები გახდნენ სლავები და მათი თურქული ენა გაქრა; ამავე გზით უძველესი სლავი ხორვატები მე-8 საუკუნეში გახდნენ სლავები და მათი ინდოირანული ენა უმეტესად გაქრა. სერბები სპეკულირებენ, რომ ასიმილირებულნი იყვნენ სარმატულ ტომთან, რომელსაც ეძახდნენ სერბოის.

გენეტიკური კვლევების მიხედვით, Rla არის სლავი ხალხის იდენტი-ფიკატორი. ჰაპლოჯგუფი Rla აღმოჩენილია მაღალი სიხშირით პოლონეთში (60%), სერბეთში, ხორვატიასა და ბოსნიაში (40-50%), მაკედონიის რეს-პუბლიკაში (35%) და ჩეხეთის რესპუბლიკაში (32%). და საპირისპიროდ, გერმანია არის Rlb-სგან შედგენილი, სადაც Rla-ს სიხშირე არის მხოლოდ 8%. ხოლო პოლონელების 30% შედგება Rlb-სგან.

დასავლეთის ისტორიკოსების უმეტესობა ემხრობა რუსების წარმოშობის ნორმანულ თეორიას, Normanist theory, რომ მე-9-11 საუკუნეებში სკანდინავიურმა (ნორმანულმა) ელემენტებმა შექმნეს სლავური ცივილიზაცია. პირველადი ქრონიკის მიხედვით, რომელიც დაწერა ნესტორმა Nestor, ჩუდები, სლავები, მერიანები, კრივიჩები და ვეპები Chuds, Slavs, Merians, Krivichs and Veps ცხოვრობდნენ ბალტიის ზღვის ნაპირებზე. მაგრამ მათთან არ მოქმედებდა კანონი და ტომი ტომის წინააღმდეგ აწყობდა აჯანყებას. შემდეგ ადგილობრივმა ტომებმა შეუთვალეს ვარანგიანს რუსებს Varangian Rus, რომლებიც ცხოვრობდნენ ბალტიის ზღვის სკანდინავიის მეორე მხარეს: „ჩვენი მიწა დიდი და მდიდარია, მაგრამ აქ არ არის წესრიგი. მოდით და იმეფეთ, როგორც უფლისწულები, გვმართეთ ჩვენ“. სამი რუსი ძმა, ნათესავებთან ერთად, წავიდა, რათა მმართველობა დაემყარებინათ სლავების და ფინელების ტომებზე ნოვგოროდში. მოგვიანებით მათ დაიპყრეს კიევის ხაკანატი და შექმნეს კიევის რუსეთის სახელმწიფო. ნორმანული თეორია ძირითადად ეყრდნობოდა სპარსელი მოგზაურის იბნ რუსტაჰის Ibn Rustah მოგონებებს, რომელიც სავარაუდოდ ეწვია ნოვგოროდს და აღწერა, თუ როგორ მოაქციეს ექსპლოატაციაში რუსებმა სლავები: „რუსები ცხოვრობენ კუნძულზე... ისინი ესხმიან სლავებს, იყენებენ ნავებს, რათა გადმოცურონ, მიჰყავთ მონებად და ყიდიან მათ. მათ არა აქვთ ნათესები, მაგრამ ცხოვრობენ იმაზე, რასაც სლავების მიწიდან ღებულობენ“.

ნორმანული თეორია პირველად შეიმუშავა გერმანელმა ისტორიკოსმა გერხარდ მიულერმა, Gerhardt Müller, რომელიც მიწვეული იყო რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში სამუშაოდ 1748 წელს. მისი ცნობილი გამოსვლა აღწერდა, თუ როგორ დაიპყრეს „დიდებულმა სკანდინავიელებმა იარაღით რუსეთის მიწები“. მიულერი იძულებული გახდა შეწყვიტა ლექცია დამსწრე საზოგადოების წამოძახილების გამო. მწვავე კრიტიკამ, ლომონოსოვისა და სხვა რუსი აკადემიკოსებისგან, მიულერი აიძულა შეეჩერებინა საქმიანობა და ტექსტი, რომელიც დაბეჭდა, განადგურებული იყო. მოგვიანებით მიულერმა მოახერხა, რომ ახლიდან დაებეჭდა „Origines Rossicae“ 1768 წელს. მაგრამ მალე, პარადოქსულად, თეორიას მხარი დაუჭირა ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა

ნიკოლაი კარამზინმა (1766-1826 წწ.), რომელიც ნორმანულ თეორიას იყენებდა, რათა შეექმნა საფუძველი და გაემართლებინა რომანოვების სამეფო ოჯახი, განსხვავებით ანარქიისა და რიურიკიდის პერიოდისგან. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის შემდეგ – რუსეთის ხელისუფლებისათვის ნორმანული თეორია სამუდამოდ იქნა დისკრედიტირებული.

ჰაროლდ ჰარდრატეს Harald Hardrate ამბავი ტიპურია – ის მიეკუთვნებოდა სკანდინავიელ-ვარიაგების სამხედრო ელიტას. დაიბადა ნორვეგიაში, 15 წლის ასაკში იბრძოდა სტიკლეშტადში Stiklestad (1030 წ.) დანიელების წინააღმდეგ და დამარცხებული გაიქცა მთავარ იაროსლავ ბრძენთან კიევში, ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი და მდინარე დნეპრთან ჩამოაყალიბა კიევის რუსის სამეფო. მოგვიანებით ის ჩაირიცხა ბიზანტიის სამხედრო სამსახურში იმპერატორ მიხაელ IV-ს მეთაურობით და მართავდა იმპერატორის დაქირავებულ ვარიაგებს ომებში სიცილიიდან პალესტინამდე. ბოლოს, გადაწყვიტა წასულიყო ბიზანტიიდან, რათა მიეღო ნორვეგიის სამეფო, მაგრამ მას იმპერატორმა აუკრძალა კონსტანტინოპოლის დატოვება და მისი დაკავება ბრძანა. შურისძიების მიზნით, ჰაროლდი თავს დაესხა და დააბრმავა იმპერატორი. შემდეგ მიბრუნდა კიევში და წავიდა ნორვეგიაში სამეფო გვირგვინის მოსაპოვებლად. ის მეფობდა ნორვეგიაში 1066 წლამდე, როდესაც მოკლეს ინგლისის დაპყრობისთვის ბრძოლაში სტამფორდ ბრიჯთან Stamford Bridge.

რუსეთი იყო უზარმაზარი ტერიტორია, სადაც ცხოვრობდნენ სლავები, თათრები და ფინები. მათ მართავდა შვედი ვარიაგი რიურიკი Rurik და ლიტველი გედიმინები Gedimins. 1147 წელს მათ დააარსეს მოსკოვი. 1223 წელს ის დაიპყრეს მონღოლებმა. მონღოლები რუსეთში დიდი რაოდენობით არ იბრძოდნენ, ისინი მხოლოდ მცირე ჯარებით შედიოდნენ და ითხოვდნენ მორჩილებასა და ხარკს. ისინი იცავდნენ რუსეთის ქრისტიანულ ეკლესიებს. მონღოლები ზოგავდნენ რუს გლეხებს, რადგან სჭირდებოდათ მოსავალი (არც ნაპოლეონმა და არც ჰიტლერმა არ დაარღვია გლეხების ტრადიციული მიწის დამუშავება). თათარი მონღოლები რუსეთში არ მიიჩნეოდნენ სასტიკ გაუნათლებელ ბარბაროსებად. არამედ პირიქით, ისინი იყვნენ მოსკოველ თათრებზე უფრო მეტად განათლებულნი და ორგანიზებულები. რუსულ ფოლკლორში არ არსებობს ლეგენდები მონღოლების საზიზღრობაზე ან სიბინძურეზე. ალექსანდრე ნეველი, ნოვგოროდის მთავარი, ოქროს ურდოს მოკავშრე იყო ქრისტიანი ლიტვის და ტევტონებთან ბრძოლის დროს. ცნობილ ბრძოლაში ყინულზე Ice Battle 1242 წელს გერმანელი ტევტონები Teutons დამარცხდნენ, ხოლო კენიგსბერგის რაინდები საბოლოოდ განადგურდნენ გრიუნვალდის Grunwald ბრძოლაში პოლონურ-ლიტვურ კოალიციასთან.

როდესაც რუსეთი გათავისუფლდა მონღოლთა უღელისგან და ბიზანტია დაეცა, ერთადერთი პასუხი ბუნებრივ კითხვაზე: „რას გულისხმობდა ღმერთი, ეს რომ დაუშვა?“ მოსკოვისთვის ნათელი იყო – მართლმადიდებლობის დაცვის

პასუხისმგებლობა კონსტანტინოპოლიდან უნდა გადმოსულიყო მოსკოვზე. და ივანე III-მ (1440-1505 წწ) შეირთო ბიზანტიელი პრინცესა. გასაოცარია, ეს იდეა კათოლიკე პაპს ეკუთვნოდა. ზოია, ან სოფია Zoeor Sophia, როგორც რუსები ეძახდნენ მას, იყო ბიზანტიის ბოლო იმპერატორის დისშვილი და ცხოვრობდა რომში, როგორც პაპის სტუმარი, თურქულ დაპყრობას გამოქცეული. პაპმა ივანეს სოფიას ხელი შესთავაზა. მას იმედი ჰქონდა, რომ ეს ქალი გახდიდა მეუღლეს მოკავშირედ ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ოსმალების წინააღმდეგ და რუსებს აშკარა მაგალითს მისცემდა მართლმადიდებლობიდან კათოლიკედ მოქცევისა. სოფიამ გამოიყენა რომის პაპის მიერ ბოძებული შესაძლებლობა, მაგრამ კათოლიკობაზე არ უფიქრია. ის ინარჩუნებდა თავის ბერძნულ რწმენას და რუსეთშიც დაუზარავად ავრცელებდა მას.

წვერებიანი სლავონურ ენაზე მოსაუბრე მღვდლის შეთავსება გაპარსულ, ლათინურ ენაზე მოსაუბრე პასტორთან შეუძლებელი იყო. მართლმადიდებლობა კრძალავს ყველა კავშირს უცხოელებთან. რუსეთის მეფეს ეკლესია აიძულებდა, დაებანა ხელები უცხო ელჩებთან კავშირის შემდეგ. არ არსებობდა მიმდინარეობა, ყველა განშტოება და მეცნიერება. პირველი წიგნი დაიბეჭდა ევროპაში და როდესაც გაიგზავნა რუსეთში, ის დაწვეს. რუსეთში დესპოტური ტერორი სუფევდა და მეფეს თან ახლდა ორი ჯალათი ნაჯახით, რომლებიც მზად იყვნენ თავი მოეკვეთათ ყველასთვის, ვისზედაც მეფე მიუთითებდა. ლოთობა, ჰომოსექსუალიზმი, საერთო აბანოები ორივე სქესისთვის იყო არა მარტო მონღოლების შემდეგ, არამედ მანამდეც. რუსი ვაჭრები ფულს ინახავდნენ პირში, 50 მონეტამდე ერთბაშად. შიმშილისგან სიკვდილი რუსეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

1435 წელს პოლონეთმა, რუსეთის ეგზისტენციალურმა ეთნოგენეტიკურმა მეტოქემ არჩია კათოლიციზმი. და ივანე III-მ გადაწყვიტა, გამოეცადა თავისი ძალა და გამოცხადდა, რომ მართლმადიდებლობა ნოვგოროდში საფრთხეში იყო, და მათი დაპყრობით მოსკოველები გადაარჩენდნენ მათ კათოლიკეებისგან. ნოვგოროდელებმა მოიხმეს კათოლიკე კაზიმირ IV იაგიელონი Casimir IV Jagiellon ლიტვიდან და პოლონეთიდან, რათა გადაერჩინათ ისინი, მაგრამ არ ამბობდნენ უარს მართლმადიდებლობაზე. ეს იყო შეუსრულებელი მისია. როდესაც ივანე 1485-9 წწ-ში შეიჭრა ქალაქში, მან მთლიანად მოსპო ნოვგოროდელები. საპასუხოდ ოქროს ურდოს ყაენმა და კაზიმირმა განახორციელეს წარუმატებელი შეტევა მოსკოვზე 1480 წელს.

1470 წელს ივანემ თავის თავს უწოდა მთელი რუსეთის „მეფე Czar“, რითიც გულისხმობდა რომაულ „კეისარს Caesar“. მალე მოსკოვი გამოცხადდა „მესამე რომად“ რომისა და კონსტანტინოპოლის შემდეგ და ახალი ბეჭედი იქნა არჩეული: ორთავიანი არწივი, რომელიც ასლია ბიზანტიურის ან საღვთო რომის იმპერიისა. მოსკოვმა დაიწყო რუსეთად ჩამოყალიბება. მისმა მოულოდნელმა აღმავლობამ ევროპა გააოცა. არა მხოლოდ ამერიკა, არამედ რუსეთიც სწორედ მაშინ იქნა აღმოჩენილი ევროპის მიერ.

1500 წელს გაჩნდა მოსკოვის სამთავრო ევროპისთვის, როგორც ველური აღმოსავლეთი, მაგრამ მდიდარი ბუნებრივი რესურსებით. ბეწვი იყო რუსეთის

სიმდიდრე, როგორც ესპანეთისთვის ამერიკული ვერცხლი და ინდური სანელებლები პორტუგალიისათვის. ევროპელები კარგად იხდიდნენ ფულს თბილი ქურქებისთვის. ამ შემოსავლიანი ბაზრის დაკმაყოფილების მიზნით მოსკოვი ითვისებდა ტუნდრას წყნარი ოკეანის ნაპირებამდე.

ზუსტად იგივე მეორდება 21-ე საუკუნეში. ევროპა კარგად იხდის გაზში და ნავთში, ხოლო რუსეთი იპყრობს სულ ახალ და ახალ ტერიტორიებს.

მაგრამ მიღებულ შემოსავალს, რუსეთის ხელისუფლება არასოდეს მიმართავდა ხალხის საკეთილდღეოდ. ყველაფერი მიდიოდა საკუთარი ბიუროკრატიის ფუფუნებაზე, ხალხის იდეოლოგიურ (ტელევიზია, პროპაგანდა) და რელიგიურ (უსიტყვო მორჩილება) დამონებაზე და გარეშე მტერთან ბრძოლაზე (ჯარი და პოლიცია). მოსახლეობის სასტიკი სიღარიბისა და უთქმელობის ხარჯზე, უზარმაზარი თანხები ბუნებრივი რესურსებიდან (რასაც დღემდე ეძახიან ღმერთისგან ბოძებულს, მაგრამ არა ხალხისთვის, არამედ ხელისუფლებისათვის, რადგან „კარგად“ მართავენ და ებრძვიან „მტრებს“) მიიმართებოდა უცხო ჯარისკაცების დასაქირავებლად და იარაღის შესასყიდად. ამით უზრუნველყოფილი იყო წესრიგი და გაფართოება. ეს სახელწიფოებრივი კონსტრუქცია უკვე ათას წელზე მეტია, რაც მყარად ფუნქციონირებს.

მონღოლთა ბატონობის გადაგდების შემდეგ, რუსეთი ჩარჩებოდა პოლონეთს, შვედეთსა და თურქებს შორის ივანე მრისხანეს[1] მმართველობის დროს (1505-1584 წწ.). უკრაინა და სხვა შორი ტერიტორიები გახდა ბრძოლის ადგილი სლავ ძალებს შორის, რამაც ის უდაბნოდ აქცია. ბოგდან ხმელინცკის გამანთავისუფლებელმა ბრძოლამ პოლონეთის წინააღმდეგ, ის შედეგი გამოიღო, რომ მილიონობით პოლონელი და ებრაელი იყო მოკლული. 1514 წელს მოსკოვმა დაიპყრო ნოვგოროდი, ფსკოვი და სმოლენსკი პოლონეთისგან.

---

[1] ის ყოველთვის ამაყობდა თავისი გერმანული წარმოშობით. მას ძლიერად სწამდა და არასდროს მალავდა, რომ რუსებისთვის უცხოურ რასას ეკუთვნოდა და ჰქონდა უფლება ემართა ისინი სადისტური მეთოდებით. ის ყოველთვის აყენებდა შეურაცხყოფას რუსებს და მათ ქურდებს უწოდებდა. ყოველთვის უსვამდა ხაზს, რომ იყო ბავარიელი წარმოშობით და არსებობს ჭორები, თითქოს მან თავისი ანდერძით ყველაფერი ჰაბსბურგს დაუტოვა. ამით შესაძლოა აიხსნას მისი მუდმივი წადილი, დაემყარებინა ურთიერთობა გერმანელ იმპერატორებთან, მაგრამ მათ ნეიტრალობა არჩიეს მაშინაც კი, როცა ივანე დაჰპირდა, რომ დატოვებდა ლივონიას და გახდებოდა კათოლიკე, თუ მის დინასტიას აღიარებდნენ.

თავდაპირველად ინგლისელი ვაჭრები ფლობდნენ უპირატესობებს, რადგან ივანე მრისხანეს იმედი ჰქონდა, რომ ცოლად მოიყვანდა ინგლისის დედოფალს ელიზაბეთს Elizabeth, იმ მიზნით, რომ გაეძლიერებინა თავისი დინასტია, რადგან მას ცოლად ჰყავდა უბრალო მუსლიმი ჩერქეზი ქალი თემრუკოვი, რომელიც მოგვიანებით მოინათლა როგორც მარია. ინგლისი ძალზედ შორს იყო და მის მიერ ტერიტორიის დაპყრობის საშიშროება არ არსებობდა. მაგრამ, როდესაც ინგლისის მეფე სიკვდილით დასაჯეს, რაც რუსებისთვის წარმოუდგენელი იყო, ყველა კონტაქტი ინგლისთან გაწყდა და ტრადიციული მეგობრობის პოლიტიკა ჰოლანდიასა და საფრანგეთთან, ინგლისის მეტოქეებთან, დაიწყო.

ყირიმელი თათრები შეიჭრნენ ლივონიაში და სასტიკად ააოხრეს იქაურობა. შემდეგ ივანე IV-მ შემოიერთა ყაზანისა (1552 წ.) და ასტრახანის სახანოები (1556 წ.), მიაღწია კასპიის ზღვას, მაგრამ რუსეთს სჭირდებოდა შავი და ბალტიის ზღვა, რათა ჰქონოდა გასასვლელი ოკეანეზე და გადარჩენილიყო. 1570 წელს ივანეს ტერორმა ნიჟნი ნოვგოროდი ვირტუალურ უდაბნოდ აქცია, იმ მიზნით, რომ დაეუძლურებინა მათი მისწრაფება ლიტვისა და პოლონეთისკენ. ორი კვირის განმავლობაში სისტემატური ხოცვა-ჟლეტის დროს 60 000 ადამიანი იყო მკვდარი. ნოვგოროდი არასდროს აღმდგარა ისტორიის მანძილზე. ფსკოვში მოსახლეობა გადარჩა და ისინი მხოლოდ სრულად გადაასახლეს რუსეთის აღმოსავლეთ უკაცრიელ პროვინციებში. ტერორი მეტი იყო, ვიდრე კალიგულასა და ნერონის დროს. საპასუხოდ, პოლონეთმა მოაწყო მოსკოვში თურქებისა და ყირიმელი თათრების შეჭრა 1571 წელს. ამჟამად მთელი მოსკოვი მოსახლეობასთან ერთად გადაიწვა. 1576 წელს თურქი სულთნის ულტიმატუმის გამო პოლონეთმა აირჩია ახალი მეფე ბატორი Bathory, ეროვნებით უნგრელი (ის არ ლაპარაკობდა პოლონურად), რომელიც კარგი მმართველი გამოდგა. ის დასვეს თურქებმა ავსტრიელი და გერმანელი კანდიდატების წინააღმდეგ. მან მოახერხა შეექმნა კარგი პოლონური არმია და თავს დაესხა რუსეთს 1578 წელს. ის იყენებდა უნგრელ, შოტლანდიელ და კაზაკ მეომრებს. მან პირველმა გამოყენა მუშკეტები. მაგრამ არ ჰქონდა ფული, რათა პირდაპირი იერიში მიეტანა მოსკოვზე. ბატორისგან განსხვავებით, მეფეს ჰქონდა ფული, არასდროს მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში და იცდიდა მოსკოვში. 1579 წელს პოლოცკი და სმოლენკი აიღეს რუსებმა. პოლოცკის აღების შემდეგ, 1563 წელს ყველა ებრაელი მდინარეში დაიხრჩო. მშვიდობას რომმა უშუამდგომლა, რამაც მოსკოვი გადაარჩინა სრულ განადგურებას ევროპული კოალიციისგან ბატორის მეთაურობით.

ამავე დროს მეფე ივანეს ისეთი შიში დასჩემდა თურქების გამო, რომ ორი წლის განმავლობაში ყაზანის უფლისწული ბახბულატოვიჩი გამოაცხადა რუსეთის მეფედ. 1575 წელს დაასახლა ის კრემლში, თავად კი მოსკოვის გარეთ ცხოვრობდა. ასევე მუსლიმი მმართველები იყვნენ სხვა რუსულ პროვინციებში.

მაგრამ მალე ნათელი გახდა დიდი აღმოსავლეთის პერსპექტივები და ძალები მიმართული იყო ციმბირისკენ. 1570-82 წლებში ვაჭრის ოჯახმა სტროგანოვებმა დაიქირავეს კაზაკების, ლიტველების და გერმანელების 840 კაციანი არმია ერმაკის მეთაურობით. მათ გადაკვეთეს ურალის მთები და წინააღმდეგობების გარეშე მიაღწიეს წყნარ ოკეანეს. იქაურ ხალხს არასდროს ენახათ ცეცხლსასროლი იარაღი, ამიტომ მათ ადვილად ხოცავდნენ. ის იყო რუსი ქრისტეფორე კოლუმბი. რუსეთისა და ჩინეთის ჯარები მალე შეეჯახნენ ერთმანეთს მდინარე ამურთან. საზღვარი დღესაც იქ არის, მდინარე არმურთან. თითოეულს ეშინოდა, რომ მოწინააღმდეგე დაიქირავებდა მონღოლებს, მაგრამ თოფებმა ეს ყველაფერი შეცვალა. მუშკეტების და ზარბაზნების წყალობით მომთაბარე კავალერიას აზრი დაეკარგა.

სომხები

სომხეთის ლეგენდარული დამაარსებელი იყო ჰაიკი Haik, ნოეს დიდი შვილთაშვილი (იაფეტის შთამომავალი). არარატის მთა (ახლა თურქეთშია), ტრადიციულად, მიიჩნევა ნოეს კიდობნის Noah's Ark გაჩერების ადგილად. ძვ. წ. 1200-800 წლებს შორის სომხეთის უმეტესობა გაერთიანებული იყო კონფედერაციულ სამეფოებში, რასაც ასურეთის წყაროები უწოდებდა ნაირის Nairi („მდინარეების მიწა" ასურეთში). ნაირი მოგვიანებით დაიშალა ურარტუს Urartu სამეფოდ, რომელიც არსებობდა დაახლოებით ძვ. წ. 1000 წ-დან ძვ. წ. 585 წ-მდე. იმის გამო, რომ სომხური ენა არის ინდოევროპული, ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ თანამედროვე სომხები არიან ინდოევროპელი არიელები. სომხეთის სამოციქულო ეკლესია დააარსა იესოს ორმა მოციქულმა თადეოზმა და ბართოლომეუსმა Thaddaeus and Bartholomew. 301 წელს სომხეთი იყო პირველი ერი, ვინც მიიღო ქრისტიანობა ბიზანტიის შემდეგ, როგორც სახელმწიფო რელიგია. 451 წელს ქალკედონის Chalcedon მეოთხე კრებამ დააცალკევა მართლმადიდებელი და მონოფიზიტური ეკლესიები. ეს უკანასკნელნი არ აღიარებენ ქრისტეს ორ ბუნებას, ადამიანურსა და ღვთაებრივს, არამედ არსებითად ღვთაებრივ ბუნებას, რომელიც ასევე ერეტიკულია კათოლიკეებთან და პროტესტანტებთან. მონოფიზიტობა ზოროასტრიზმს ახასიათებდა და დღესაც, ისლამის დროს, სომხები მაღალ თანამდებობეს იკავებენ ირანში.

სომხეთი დაიპყრო ალექსანდრე დიდმა და იყო სელეკიდების იმპერიის ნაწილი. ძვ. წ. 19 წლიდან დაარსდა ელინისტური სომხური სახელმწიფო. მისი ზენიტის დროს, ძვ. წ. 95 წ-დან 66 წ-მდე, სომხეთმა გააფართოვა მმართველობა კავკასიის ნაწილში, ანატოლიაში, სირიასა და ლიბანში, ჩამოყალიბდა სომხეთის დიდი სახელმწიფო. ბიბლიურ პერიოდში ეს სახელმწიფო იყო აღმოსავლეთ რომის ერთ-ერთი ძლევამოსილი მხარე, თუმცა ბიბლიის ფურცლებში მოხსენიებული არ არის. ჩ. წ.-დან სომხეთი საკამათო თემა იყო რომსა და სასანიდურ სპარსეთს შორის, მაგრამ ყველაფერი დამთავრდა თურქ-სელჩუკების მიერ ბიზანტიის ძალების დამარცხებით. 1071 წელს თურქებმა აიღეს დედაქალაქი ვანი და დიდი სომხეთის დანარჩენი ნაწილი. რათა თურქებს გაქცეოდა, ანის მეფე წავიდა სილიციის Cilicia ხეობაში. ამგვარად, დაახლოებით 1080 წ-დან 1375 წ-მდე, სომხეთის ნაციონალიზმმა გადაინაცვლა სამხრეთისკენ, სილიციის Cilicia სომხეთის სამეფოსკენ.

როდესაც მონღოლების პირველი შემოსევა დაიწყო და მათ მიაღწიეს ქრისტიანულ ქვეყნებს, ანატოლიის სომხეთის პატრიარქმა დაიწყო მოლაპარაკებები, რათა მონღოლები ქრისტიანობაზე გადაეყვანა, მაგრამ წარუმატებლად. მაგრამ მან დაამყარა კარგი ურთიერთობა მონღოლთა ლიდერებთან, და მისი სახელმწიფო მათ მიერ არ დანგრეულა საუკუნეების მანძილზე. მონღოლთა შორის იყო ბევრი ნესტორიანელი ქრისტიანი.

სომხური იმპერია ტიგრან დიდის დროს

ჯვაროსნების Crusade გამოჩენისას სომხებმა მათთან დაამყარეს ახლო კავშირები. ფრანგი ბოლდუინი I Baldwin of Boulogne გახდა ედესის საგრაფოს County of Edessa ჯვაროსნული ქვეყნის მეთაური მას შემდეგ, რაც სილიციის სომეხმა მეფემ თოროსმა Thoros ის იშვილა და მემკვიდრედ გამოაცხადა. მან მეორე ცოლად შეირთო სომეხი თავადის ასული, თუმცა შვილი არ ყოლია. შემდეგ ის იერუსალიმის პირველი მეფე გახდა 1100 წელს. იერუსალიმის მეორე მეფის ბოლდუინი II-ს Baldwin სომეხი მეუღლესგან მორფია მელიტენისგან Morphia of Melitene ოთხი გოგო შეეძინა. როდესაც ბოლდუინი ტყვედ ჩავარდა მორფიამ დაიქირავა სომეხი მეომრები, რომლებმაც სპეცოპერაცია ჩაატარეს და ფულით და მახვილით ბოლდუინი გაანთავისუფლეს. ოთხი ქალიშვილიდან უფროსი მელისენდა Melisende მამის სიკვდილის შემდეგ გახდა იერუსალიმის სამეფოს დედოფალი 1131-1161 წწ.

საუკუნის განმავლობაში სილიცია ექვემდებარებოდა საღვთო რომს და, ამავე დროს, სომხურ იდენტობას ინარჩუნებდა, რადგან სილიციის მეფეებს ეწოდებოდათ სომხეთის მეფეები და არა სილიციის. სიტუაციამ მოსახლეობა გაყო პროკათოლიკურ და პროსამოციქულო ბანაკებად. სომეხი ისტორიკოსი მათეს ედესონელის Mattew of Edessa ქრონიკები წარმოადგენს ჯვაროსნების ისტორიის ერთერთ სრულ წყაროს. ის აღწერს, როგორ გარდაიქმნა იმედის-მომცემი სომხურ-ჯვაროსნული მეგობრული ურთიერთობა აშკარა მტრობაში ხელისუფლებისა და რელიგიური განსხვავებების გამო. 1375 წელს თურქმა სელჩუკებმა და ეგვიპტელმა მამლუქებმა დაანგრიეს მცირე სომხეთი Lesser Armenia.

თურქებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს 1453 წელს და ოსმალთა იმპერიის დედაქალაქად აქციეს. მას შემდეგ სომხეთს თითქმის მუდმივად უწევდა მუსლიმ თურქებთან ომი. ასე რომ, ებრაელების მსგავსად, დიასპორა ძალზედ მნიშვნელოვანი იყო გადარჩენისთვის. მხითარისტებმა Mkhitarists, კათოლიკე სომეხმა ბერებმა ვენეციასა და ვენაში, აღმოაჩინეს და მე-18 საუკუნეში ითარგმნა უძველესი წიგნები, რომლებშიც საუბარი იყო სომხეთის ადრეულ ისტორიასა და რელიგიაზე. ერთადერთი იმედი იყო კავკასიაში რუსეთის

არმიის გამარჯვების. 1827 წელს პასკევიჩმა დაიპყრო ერევანი და სომეხი ხალხის ისტორია შესაძლოა სხვაგვარი ყოფილიყო, მაგრამ ეს არ შედიოდა რუსეთის გეგმაში.

1894 წელს ბრიტანეთმა რუსეთს შესთავაზა ოკუპაციაში მოექცია თურქეთის სომხეთი დიდი ბრიტანეთის პროტექტორატის ეგვიპტეზე აღიარების სანაცვლოდ (შიროკორადი, 2009 წ.). მაგრამ რუსეთმა ოფიციალურად თქვა უარი, რადგან მისი მიზანი იყო ბოსფორის სრუტე და არა სომხეთი. ამ შემთხვევამ განსაზღვრა სომხეთის ბედი, რომელიც საეჭვო სიტუაციაში იყო მიტოვებული და თურქეთი იძულებული იყო, მიეღო გადამჭრელი ზომები, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტა სომხეთის საკითხი. თურქეთმა აირჩია ის გზა, რაც მის შესაძლებლობის ფარგლებში შედიოდა. ასობით ათასი სომხეთის მოქალაქე იყო მოკლული თურქეთის სხვადასხვა ადგილას გადასახლების დროს ჯარისკაცებისა და დაქირავებული ქურთების მიერ. საპასუხოდ, ბრიტანეთის ფლოტი იძულებული გახდა მალტადან გასულიყო დარდანელის სრუტეში. ამის პასუხად 1896 წელს, მინისტრთა საბჭომ, მეფე ნიკოლოზ II-ის ბრძანებით, გადაწყვიტა განელაგებინა სამხედრო ძალა ბოსფორთან ახლოს იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ ინგლისის მიერ სრუტის ოკუპაცია. რუსეთში თურქეთის ელჩის ნელიდოვის სიგნალის მიხედვით, რუსეთის ფლოტი უნდა წასულიყო სევასტოპოლიდან კავკასიაში, მაგრამ ბოლო მომენტში უნდა შეეცვალათ მიმართულება და გაჩერებულიყვნენ ბოსფორთან. სირთულეების შემთხვევაში, რუსეთმა დაიწყო მზადება რუსეთის აზიიდან ინდოეთში ლაშქრობაზე, მაგრამ დაძაბულობა საბედნიეროდ განიმუხტა.

1903 წელს რუსეთმა სომხებზე ფრონტალური შეტევა განახორციელეს და სამეფო ადმინისტრაციამ გასცა ბრძანება, რომ სომხური ეკლესიის მთელი ქონება (უძველესი საკრალური ხელნაწერებიც) კონფისკაციას ექვემდებარება და ყველაფერი გადადიოდა საიმპერატორო კონტროლის ქვეშ. ამას დიდი წინააღმდეგობით შეხვდნენ, რადგან ეს აღიქმებოდა როგორც მუქარა სომხური ეროვნების არსებობაზე. კავკასიის გენერალ-გუბერნატორზე თავდასხმის შემდეგ მეფის ბრძანებით ეს შეტევა შენელდა.

გამარჯვების შემდეგი შანსი გაჩნდა თურქეთზე შეტევის დროს 1914-17 წწ-ში კავკასიის გენერალ-გუბერნატორის ვორონცოვ-დაშკოვისა და გენერალ იუდენიჩის მეთაურობით. რუსეთის ძალებმა აიღეს ერზერუმი, ვანი და ტრაპიზონი. ბრიტანეთმა და საფრანგეთმა შეთავაზეს მეფე ნიკოლოზ II-ს თურქეთის გაყოფა და მათ შორის ანატოლიის დიდი ნაწილი, მაგრამ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საზონოვის განმარტებით, რუსეთს არ სურდა თავის სამხრეთ საზღვრებთან რომელიმე დასავლური ძალის არსებობა. 1916 წლის მაისში რუსეთმა მოაწერა ხელი ამ საიდუმლო საიკ-პიკოს ხელშეკრულებას Sykes-Picot Agreement. 1917 წლის დასაწყისში რუსეთის ძალებმა, ადგილობრივების მხარდაჭერით, შეტევა განახორციელეს მოსულზე და კაზაკებიც კი გაგზავნეს, რათა შეხვედროდნენ ბრიტანეთის

შტაბს ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ მესოპოტამიაში ჯარისკაცების 80% დაემართა მალარია და რუსეთმა უკან დაიხია სპარსეთის უფრო ჯანმრთელი რეგიონებისკენ. რუსეთმა ამჯობინა განთავისუფლებულ ტერიტორიაზე სამხრეთ საზღვარზე ჰყოლოდა რომელიმე მუსლიმური სახელმწიფო ან პროტექტორატი. შეთანხმების მიხედვით, მოსაზღვრე თურქული ტერიტორიები (სახელი არ იყო ჯერ შერჩეული) გადაეცა რუს გენერალ-გუბერნატორს. მაგრამ ამ ტერიტორიებზე დაგეგმილი იყო დასახლებულიყვნენ მხოლოდ რუსი კაზაკები და გლეხები. ადმინისტრაცია იყო რუსული და ოფიციალური ენაც რუსული იყო. ერზერუმის აღების შემდეგ გამოიცა ოფიციალური ბრძანებულება, რითიც სომხებს ეკრძალებოდათ აქ დასახლება. ამ პოლიტიკას ხელს უწყობდა მინისტრი საზონოვი და გენერალი იუდენიჩი. თუმცა რუსეთის სიტუაცია ევროპულ სამხედრო თეატრზე ტრაგიკული იყო და რევოლუციის შემდეგ რუსეთის არმია დაიშალა. ბოლშევიკმა ტროცკიმ ეს საიდუმლო ხელშეკრულება პრავდაში, იზვესტიასა და მანჩესტერ გარდიანში გამოქვეყნა, რამაც სკანდალი[1] და ბრიტანეთის დიპლომატების გადადგომა გამოიწვია. თურქეთი გადარჩა. ასე კიდევ ერთხელ დაიკარგა დიდი შანსი, მაგრამ იმედი კვლავ გაჩნდა.

1920 წელს ევროპულ ქვეყნებსა და თურქეთს შორის გაფორმებული სევრეს Sèvres შეთანხმება შეიცავდა თავებს, რომ სომხეთის რესპუბლიკა უნდა დაარსებულიყო აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის Woodrow Wilson პროტექტორატის ქვეშ დავით ლოიდ ჯორჯის David Lloyd George მხარდაჭერით. შეთავაზებულ სახელმწიფოში, ვილსონის სომხეთში **Wilsonian Armenia**, უნდა შესულიყო ერზერუმი, ბიტლისი, ვანი და ტრაპიზონის პროვინციები. ვილსონმა გაგზავნა კრინგ-კრეინის King-Crane კომისია და გენერალი ჯეიმს ჰარბორდი James Harbord რეგიონში და ეს კომისია უკან დაბრუნდა გადაწყვეტილებით, რომ სომხეთის სახელმწიფო უნდა შემდგარიყო აშშ-ის მანდატით, ძალზედ მსგავსი მომავალი ბრიტანული დასკვნებისა ისრაელის არსებობაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შეთანხმდნენ, რომ ევროპაში მყოფი სომეხი ჯარისკაცები გაეგზავნათ კავკასიაში ახალი სახელმწიფოს დასაცავად. მაგრამ ადგილზე რეალობა განსხვავებული იყო. შეიქმნა სომხეთის სოციალისტური რესპუბლიკა და ბოლშევიკების რუსეთი უკეთეს მომავალს დაჰპირდა. მაშასადამე, „ვილსონის სომხეთზე“ ბრძოლა დაივიწყეს.

მალევე ყველა რუსეთის დაპირება კვლავ დავიწყებული იყო, როდესაც მუსტაფა ქემალმა Mustafa Kemal გაგზავნა დელეგაცია მოსკოვში, რათა მოეპოვებინა მხარდაჭერა ამერიკის „იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ საბრძოლველად. ლენინმა ხელი მოაწერა ოსმალ-რუსების თანამეგობრობის

[1] საიკ-პიკოს ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინეული იყო თურქეთის მოკავშირეების შორის დაყოფა და არაბული ქვეყნების დაარსება, ეწინააღმდეგებოდა ბალფურის დეკლარაციის, რომელიც 3 კვირის წინ გამოქვეყნდა, სადაც დაპირებული იყო პალესტინაში ებრაელებისათვის მიწების გამოყოფა.

ხელშეკრულებას 1918 წელს და აღიარეს ათათურქის მთავრობა 1920 წელს. ანკარაში გაგზავნეს გენერალი ფრუნზე[1] Frunze, როგორც დესპანი და სამხედრო მრჩეველი (სტამბოლში ტაქსიმის მოედანზე, დღესაც არის ათათურქის მონუმენტი ფრუნზესა და კლემენტ ვოროშილოვთან ერთად, რუსეთის სამხედრო მრჩევლები), ახალ დედაქალაქში (სტამბოლი ოკუპირებული ჰქონდათ აშშ-სა და ბრიტანეთს). მისიას თან ახლდა უზარმაზარი სამხედრო (40 000 მაშხალა, 54 ქვემეხი, და სხვა) და ეკონომიკური (200 კგ. ოქრო და ნავთობი ბაქოდან) დახმარება. ყველაზე გამორჩეული იყო ტერიტორიები, რომლებიც რუსეთისგან საჩუქრად გადაეცა ათათურქს – 20 000 კვ.კმ: ყარსი, არდაჰანი, ართვინი ნახევარი მილიონი სომეხი მოსახლეობით. ეს ალიანსი კატასტროფული აღმოჩნდა სომხებისთვის. „სომხების პრობლემის“ გადაჭრა თურქებმა ფაქტობრივად გადააბარეს ქურთების ფორმირებებს და ყველა ეთნიკური წმენდა ფრუნზესა და ვოროშილოვის თვალწინ განხორციელდა.

სომხეთის პრობლემის შემდეგ, 1921 წელს, ათათურქმა რუსეთის პრობ-ლემაც ეფექტიანად გადაჭრა – თურქეთის კომუნისტური პარტიის ყველა 15 ლიდერი, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ ქემალის მიერ რუსეთიდან უკან თურქეთში, დააპატიმრეს და ტრაბზონთან ახლოს ზღვაში ჩაახრჩვეს. ბოლშევიკებს ამანაც ვერ შეუშალა ხელი სომხეთის ინტერესების ხარჯ-ზე ათათურქთან უშედეგო ვაჭრობისთვის და მოსკოვმა ყარსის Kars ხელშეკრულებაზე ხელი მოწერა 1921 წელს, რითიც თურქეთმა მოიპოვა ყარსის ტერიტორია, ანის უძველესი ქალაქი და არარატის მთა, სომხეთის სულიერი სამშობლო. იმავე შეთანხმების მიხედვით, ბათუმი გადაეცა საქართველოს და ნახიჩევანი აზერბაიჯანს.

ყარსი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორი დინამიკა იყო იმ დროს: 1878 წელს ყარსი ანექსირებული იყო რუსეთის მიერ ოსმალეთის იმპერიისგან, მაგრამ 1918 წელს რუსეთმა დატოვა იგი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად და აპრილში ოსმალებმა დაიკავეს ყარსის რეგიონი. მოგვიანებით,

---

[1] გენერალი ფრუნზე იყო ბოლშევიკი ლიდერი რუსეთის რევოლუციის დროს, 1917 წელს. სამოქალაქო ომის დროს, ლეონ ტროცკიმ Leon Trotsky იგი აირჩია, როგორც წითელი არმიის მეთაური აღმოსავლეთ ფრონტზე. ფრუნზე იბრძოდა თურქესტანში ბასმაჩების წინააღმდეგ და დაიპყრო ხივა და ბუხარა. 1920 წელს მან აიღო ყირიმი. იგი მეთაურობდა ნესტორ მახნოს ანარქისტულ და სიმონ პეტლიურას ეროვნული მოძრაობების განადგურებას უკრაინაში. 1921-22 წწ-ში ის თურქეთში გაგზავნეს როგორც დესპანი. 1925 წელს ფრუნზეს მიერ ზინოვიევის მხარდაჭერამ მას მოუტანა კონფლიქტი იოსებ სტალინთან. ფრუნზე იტანჯებოდა ქრონიკული წყლულით და სტალინი და ანასტას მიქოიანი ოპერაციას იჩემებდნენ. იგი დაიღუპა ქლოროფორმის ჭარბი დოზირებით ოპერაციის დროს 1925 წელს და დაკრძალეს კრემლის კედელთან. ოთხივე ექიმი, რომლებიც მას ოპერაციას უკეთებდნენ (მარტინოვი, გრეკოვი, როზანოვი და გეტე) ერთმანეთის მიყოლებით დაიღუპნენ 1934 წელს. ირონიულია, რომ სახელი ფრუნზიკი ძალზედ პოპულარული იყო საბჭოთა სომხეთში (ფრუნზიკ მიკრტიჩიანი და სხვები).

იმავე წელს, ოსმალეთის არმია წამოვიდა კავკასიიდან და დეკემბერში სამხრეთ-დასავლეთ კავკასიამ დედაქალაქად გამოაცხადა ყარსი, რაც გააუქმა უმაღლესმა კომისარმა ადმირალმა სომერსეტ ართურ გოფ-კალტორფემ 1919 წელს High Commissioner Admiral Somerset Arthur Gough-Calthorpe. იმავე წლის 19 აპრილს გენერალმა უილიამ ტომსონმა William Thomson ყარსის რეგიონი კვლავ მოაქცია ოკუპაციაში, მაგრამ მალე თურქეთის გამო დატოვა ტერიტორია.

ამავე პერიოდში თურქეთში ზოგადად სიტუაცია ძალზედ არასტაბილური იყო. საბერძნეთის ძალებმა შეტევა განახორციელეს 1920 წლიდან. ყირიმიდან 150 000 ლტოლვილი, 70 000 ვრანგლერის თეთრგვარდიელთა რუსული არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების ჩათვლით, კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ რამდენიმე სამხედრო გემით. ამავე დროს ბოლშევიკები გეგმავდნენ ანარქისტი მახნოს არმიის გაგზავნა ქემალის ჯარის მხარდასაჭერად თურქეთში. კონსტანტინოპოლი ოკუპაციაში მოაქცია საფრანგეთისა და ბრიტანეთის ჯარებმა 1918-23 წწ-ში. თურქეთის არმია დაბრუნდა სტამბოლში 1923 წელს. ეს იყო პირველად, 1453 წლიდან როდესაც ოსმალებმა დაკარგეს კონტროლი კონსტანტინოპოლზე. ამის შემდეგ ათათურქს (ისევე როგორც რუსებს მოსკოვი) ერჩივნა დედაქალაქი ყოფილიყო დასავლეთის ძალებისგან მოშორებით, ანკარაში, სადაც ის გამოცხადდა პრეზიდენტად. რუსეთის დახმარებით ქემალმა გადაწყვიტა, დაემარცხებინა საბერძნეთის ძალები და გადაეგდო სულთანი. შესაბამისად, ბერძნებმაც გადააგდეს მეფე კონსტანტინე 1922 წელს და დახვრიტეს კიდეც ხუთი ყოფილი მინისტრი დამარცხების გამო.



Rewriting Caucasian History: The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles: The Original Georgian Texts and the Armenian Adaptation (Oxford Oriental Monographs) by Robert W. Thomson

წიგნი მაგალითია „არაზუსტი“ თარგმანისა უძველესი ქრონიკების სომეხი ავტორების მიერ. ეროვნული დამწერლობის შექმნის შემდეგ, ჩვ. წ. 400 წელს, ისტორიული ჩანაწერები იყო ყველაზე პოპულარული ჟანრი კლასიკურ და შუა საუკუნეების სომხეთის ლიტერატურაში. რობერტ ტომსონის Robert Thomson წიგნი „საქართველოს ქრონიკები“ და სომხური წყაროები ნათარგმნია ინგლისურად. კომენტარებზე ყურადღება გაამახვილა უცნობმა სომეხმა თარჯიმანმა, თუ როგორ შეცვალა ორიგინალი მასალა პროსომხურ სტილში, საიდანაც გამოდიოდა, რომ ქართველები სომხებამდე არ არსებობდნენ და ენაც არ ჰქონდათ, შესაბამისად, სომხებამდე და სხვა.

ევროპის ეთნოგენეზის და ეთნოპოლიტიკის ეზოთერული ასპექტები

ეზოთერიზმი ბიბლიურ დრომდე

ადამიანთა საზოგადოებისა და ერების განვითარების კანონები დიდწილად განპირობებულია ეზოთერული საფუძვლებით. რა ეზოთერული ფაქტორები განაპირობებს ევროპული ცივილიზაციის დომინირებას თანამედროვე მსოფ-ლიოში? ეზოთერიზმი სწავლობს ადამიანების მიერ შეგროვებულ საიდუმლო ცოდნას მათი არსებობის განმავლობაში, რომელიც იწყება მისტიკური პირამიდებით და სხვა მეგალითური კონსტრუქციებით Stonehenge და გრძელდება ბიბლიურ პერიოდში, როდესაც ყველა სხვა ცოდნა (წიგნები, მითები, რწმენები, ტრადიციები და სხვა) აკრძალული იყო. მხოლოდ ქვის კონსტრუქციები გადაურჩა საუკუნეებს და ამ მისტერიული მშენებლების საკრალური ცოდნისადმი პატივსაცემად (აბუ სიმბელი Abou Simbel, ლუქსორის

ობელისკი კონკორდის მოედანზე პარიზში

ობელისკი ვატიკანში

კონსტრუქტორი, და ჰირამ აბიფი Hiram Abiff, სოლომონის ტაძრის მშენებელი იერუსალიმში) ეგვიპტური ობელისკები აღმართულია ყველა ევროპულ დედაქალაქში (კონკორდის მოედანზე პარიზში, ლონდონში, ვენაში, ბერლინში, რომში, ვაშინგტონში და სხვა) და ნიუ იორკის ცენტრალურ პარკში. არ არის ობელისკი მხოლოდ პეტერბურგში, მაგრამ ეგვიპტის ხიდზე არის ოთხი სფინქსი. ასევე სიმბოლურია ორი ცამდე აწვდილი სვეტი, როგორც აღწერილია ეგვიპტური მკვდრების წიგნში, ასევე მეფე სოლომონის ტაძრის შესასვლელში, ასევე მასონურ ლოჟებში და ქალაქის ხიდებზე.

Pennsylvania State Capitol



Two Pillars in Mason symbolism



Spain, coat of arms

World Trade Center

Bridge in Toulouse, France

Didube bridge in Tbilisi

დღევანდელი მოსახლეობა შეადგენს მხოლოდ 7% დედამიწაზე ოდესმე მცხოვრები მოსახლეობისა. შესაბამისად, ამ ადამიანების გამოცდილება და ცოდნა შესწავლას და განზოგადოებას მოითხოვს. იყო აგრეთვე სხვა უფრო ადრეული ეზოთერული ადგილები და მოვლენები: ტიბეტი და მითოლოგიური ატლანტიდა, რომელიც აღწერა პლატონმა. ზოგი მწერალი მიიჩნევს კავკასიას, როგორც ატლანტიდის ადგილს ან ტერიტორიას ახლანდელი შავი ზღვის ადგილას. კავკასიელი პრომეთეს მითს კაცობრიობისთვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მან მოუტანა კაცობრიობას ცეცხლი და მან გაათბო ადამიანები. იასონის მოგზაურობა არგონავტებთან ერთად კოლხეთის

მიმართულებით ოქროს საწმისისთვის, ასევე უდიდესი ეზოთერული მნიშვნელობისაა ევროპულ ცივილიზაციაში. მედეა, იასონის კოლხი მეუღლე, ცნობილი იყო სამკურნალო მცენარეების გამოყენებით და ჯადოსნობით. სხვა არგონავტი დედალოსი და მისი ვაჟი იკარუსი ცნობილნი არიან ფრთების გამოგონებით და ფრენის პირველი მცდელობებით. არგონავტი ორფეუსი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო არა მარტო მისი მაგიური საგალობლებით, მას შეეძლო გაეგო ცხოველების ენა, გადაეადგილებინა ქვები დისტანციურად, იყო პირველი მათემატიკოსი.

ეზოთერიკა ასევე შეისწავლიდა გმირების და მოვლენების ისტორიებს – გილგამეში, შუმერი გმირი, ურუქის მეფე ძვ. წ. 2100 წელს, ზიკურათები, ბაბილონის კოშკი, ტროას ომი და ოდისევსი Odysseus (რომაულ მითოლოგიაში ულისე Ulysses), რომელმაც პირველად გამოიყენა ეპიკური ტყუილი – ტროას ცხენის ფანდი.

საინტერესოა, რომ ყველაზე ექსტრაორდინალური მოვლენები მოხდა ძვ. წ. 800-200 წლებს შორის პერიოდში: იუდაიზმი, ბერძნული ფილოსოფია, კონფუციანობა, ზოროასტრიზმი, დაოიზმი და ბუდიზმი, ეს ყველაფერი გამოჩნდა ძვ. წ. 600-300 წლებში. პალესტინაში გამოჩნდნენ წინასწარმეტყველები; საბერძნეთში – ჰომეროსი და სოკრატე. ბევრ ქრისტიანმდელ მოაზროვნეს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ეზოთერიზმში.

პლატონი (ძვ. წ. 427-348 წწ.), იყო კლასიკოსი ბერძენი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ათენის აკადემიის, დასავლეთ სამყაროს პირველი უმაღლესი განათლების ინსტიტუტის დამფუძნებელი. მან ჩაუყარა საფუძველი დასავლეთის ფილოსოფიასა და მეცნიერებას. ზოგი თანამედროვე აფროამერიკელი სწავლული ამტკიცებს, რომ სოკრატე იყო შავკანიანი, რადგან ქანდაკებაზე იგი წარმოდგენილია ბრტყელი ცხვირით. პლატონის 36 გამოქვეყნებული დიალოგი პირველად აღწერს მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორიცაა ფილოსოფია, ლოგიკა, ეთიკა, რიტორიკა და მათემატიკა. ნეოპლატონიზმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქრისტიანულ მისტიციზმსა და გნოსტიციზმზე, ებრაელ კაბალისტ და ისლამურ სუფისტ მოაზროვნეებზე.

არისტოტელე (ძვ. წ. 384-322 წწ.) იყო ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის შეგირდი და ალექსანდრე დიდის მასწავლებელი. არისტოტელეს ნაწერებმა შექმნა დასავლური ფილოსოფიის სისტემა, ფიზიკაზე დაფუძნებული მეტაფიზიკა, პოეზია, თეატრი, მუსიკა, ლოგიკა, რიტორიკა, ლინგვისტიკა, პოლიტიკა, მმართველობა, ეთიკა, ბიოლოგია და ზოოლოგია. არისტოტელე ასწავლიდა ყველაფრისთვის ეჭვს თვალით შეხედვას და ურჩევდა მხოლოდ არგუმენტებისა და ექსპერიმენტის შედეგების დაჯერებას, ერწმუნათ ფაქტები ხელისუფლებაზე დამორჩილების ნაცვლად. არისტოტელიანიზმი ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია ისლამურ ფილოსოფიაში. არისტოტელემ შემოიღო ტერმინი „მეცნიერება“, თუმცა მან არ იცოდა მასა, სიჩქარე, ძალა, ტემპერატურა, საათი, თუმცა ეშლებოდა, თითქოს მამაკაცებს უფრო მეტი

კბილი ჰქონდათ, ვიდრე ქალებს. მხოლოდ ათოსობით წლის შემდეგ გალილეომ ექსპერიმენტით აჩვენა, რომ არისტოტელეს თეორია, თითქოს მძიმე ნივთები უფრო მალე ვარდება მიწაზე, ვიდრე მსუბუქი, არ არის სიმართლე. ზუსტად ასევე არისტოტელე აღწერდა „მეტაფიზიკაში", რომ დედამიწა იყო სამყაროს ცენტრი (გეოცენტრიზმი), რომელიც მე-16 საუკუნემდე მიღებული იყო გალილეოს ჰელიოცენტრიზმამდე.

ბიბლიური ეზოთერული საიდუმლოებები

ბიბლიამ კაცობრიობაში რევოლუცია მოახდინა, მაგრამ როგორც დასავლელი ავტორები თვლიან, ის თავად აგრეთვე ინახავს დამალულ ეზოთერულ სწავლებას, რომელიც მხოლოდ ცოტასთვისაა ცნობილი. „მე უფრო მეტი მაქვს მოსაყოლი, მაგრამ ეს უფრო მეტი იქნება იმაზე, რაც თქვენ შეგიძლიათ აიტანოთ", ეუბნებოდა იესო თავის მოსწავლეებს საიდუმლო სერობის დროს (იოანე 16:12).

ახალ რელიგიას რამდენიმე ახალი ასპექტი აქვს: ერთი ღმერთი (მონოთეიზმი) ნიშნავს, რომ არ არის ომები ღმერთებს შორის, რადგან ის მარადიულია[1]. მათგან განსხვავებით, შუმერული ღმერთები არ იყვნენ უკვდავები. ბერძენი ღმერთებისგან განსხვავებით, ნაკლებად იყო სექსუალურობა. სანამ შუმერი მეფეები ამტკიცებდნენ, რომ ღმერთების მსგავსები იყვნენ, ეგვიპტელი მეფეები ამბობდნენ, რომ ისინი თავად იყვნენ ღმერთები. ყველა პრეისტორიული (მესოპოტამიური) ლეგენდები ქაოსიდან იწყებოდა; მხოლოდ ბიბლიაში ვხედავთ ჰარმონიასა და მშვიდობას ქვეყნის შექმნიდან. მაგრამ, ამავე დროს, კაცობრიობამ დაკარგა კავშირი ბუნებასთან, რადგან ის ღმერთმა ექვს დღეში შექმნა, ბუნების სიდიადე დაიკარგა. მხოლოდ ბიბლიაში შეიქმნა ადამიანი ღმერთის მსგავსად, ყველა სხვა ლეგენდაში ღმერთებს უზენაესის სტატუსი ჰქონდათ. სამაგიეროდ იესოს განკაცებამდე, ინდივიდუალურად, ადამიანს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

წინა ღმერთებისგან განსხვავებით, სემიტი ღმერთები ყველანი მამაკაცები იყვნენ, ქალი მხოლოდ დამატება იყო. მოსეს კანონში ყველაფერი ნებადართულია, რაც აკრძალული არ არის. სწორედ ამიტომ მცნებები მოცემულია იმ სახით, თუ რა არის აკრძალული – „არ იცრუო და სხვა". ამავე სახისაა აშშ-ის ადამიანის უფლებები, პირველად ისტორიაში, ვინაიდან ყველა სხვა კანონი აღწერდა, თუ რა უფლება აქვს ადამიანს. ზოგი აკრძალვა,

[1] სკანდინავიურ მითოლოგიაში ღმერთები მოკვდავნი არიან და საბოლოო ბრძოლაში გმირებს აქვთ გამარჯვების შანსი, სწორედ ამიტომ შეუძლებელი impossible ომი სკანდინავიურ მენტალიტეტში შესაძლებელია, რაც ცხადად ჩანს ფილმებითაც, სადაც ირლანდიელი და შოტლანდიელი პოლიციელები, ჯარისკაცები და სხვა გმირები ბოლომდე იბრძვიან ბოროტების წინააღმდეგ.

კერპების შექმნის აკრძალვა, არასწორი ინტერპრეტაციით საზიანო აღმოჩნდა და დათრგუნა ებრაელების სახვითი ხელოვნება.

ახალი აღთქმა დაიწერა ქრისტეს შემდეგ 66-130 წწ-ში მინიმუმ 50 ადამიანის მიერ. პირველი აპოკრიფი იყო მარკოზის სახარება 66 წელს. მარკოზის სახარებაში არაფერია ნათქვამი უმანკო ჩასახვაზე. იმ დროს რომაელების გავლენა ძლიერი იყო, იქ უფრო მსუბუქადაა აღწერილი პილატეს დანაშაული იესოს სიკვდილში, რადგან მხოლოდ ამ ვერსიით იყო შესაძლებელი ამ სახარების რომის იმპერიაში გავრცელება, რამაც შემდგომში მაინც გააჩინა ანტისემიტიზმი.

დღემდე არსებობს ბიბლიის 1500 უძველესი ასლი 80 000 ვარიანტითა და ათასობით შეცდომით. ბიბლიური ტექსტების უძველესი ტექსტი არის მე-4 საუკუნის სინაის ან ვატიკანის კოდი, რომელიც ნაპოვნია 1844 წელს წმ. ეკატერინეს მონასტერში სინაის მთაზე, ქრისტიანულ მონასტერში. ის აშენდა იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით მე-6 საუკუნეში, მოსეს ცეცხლმოკიდებული ბუჩქის ირგვლივ. ვატიკანის შემდეგ, იგი ინახავს ყველაზე მნიშვნელოვან ხელნაწერებს მსოფლიოში.

წმ. ეკატერინეს ორთოდოქსული მონასტერი
სინას მთაზე, ეგვიპტე

1975 წელს ხანძარის დროს ასობით ხელნაწერი (მე-14-18 საუკუნის) აღმოაჩინეს ფარულ სარდაფში. ტექსტების უმეტესობა ბერძნულია (დაახლოებით 800) და ქართული (141), ასევე არაბული, სირიული, კოპტური, სომხური და ებრაული. 1984 წელს სრულიად საქართველოს პატრიარქი, ილია II, ეწვია სინაის და მოიწვია თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის სპეციალისტები. 1988 წელს ზაზა ალექსიძემ, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა, ოთხი ექსპედიცია მოაწყო სინაიზე (1990-2000 წწ.). საოცარია, რომ ხანძარმა შესაძლებელი გახადა უძველესი ხელნაწერების აღმოჩენა. საქმე ისაა, რომ პერგამინტი იმ დროს უძვირფასესი საქონელი იყო და ზოგ შემთხვევაში ახალ ტექსტს გახუნებულ ძველ ტექსტზე ზევიდან აწერდნენ და მხოლოდ ხანძრის დროს მომატებული ტემპერატურის გამო ეს ძველი ტექსტები ხილული გახდა. აღმოჩნდა „მოქცევაი ქართლისაი“-ს უნიკალური ფრაგმენტები და ალბანური ხელნაწერის ნიმუშები.

ბიბლიის კრიტიკული შესწავლა პროტესტანტმა ქვეყნებმა დაიწყეს, მაგრამ მსგავსი ინტელექტუალური შრომა არ განხორციელებულა დოგმატურ

მართლმადიდებლურ ქვეყნებში, რამაც შედეგად მოიტანა ავტორიტეტებისადმი და უფროსებისადმი მონური მორჩილება და ყველა სამოქალაქო, სამეცნიერო და ეკონომიკური განვითარების დამუხრუჭება. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ტოტალური მორჩილება დაცვით ფუნქციასაც ასრულებდა ველური აზიური დამპყრობლების გარემოცვაში, მაგრამ რეფორმების დაგვიანებამ შეიძლება ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე დაგვაყენოს. ერთადერთი დისიდანტური მოძრაობის მიზეზი რუს მართლმადიდებლებთან მე-17-18 საუკუნეებში იყო პირჯვარი უნდა გადაესახათ ორი თუ სამი თითით და ამან გამოიწვია ათიათასობით ადამიანის ორგანიზებული ხოცვა. თუ პროტესტანტები და განსაკუთრებით კალვინისტები ეკლესიაში სწავლობენ, რომ მხოლოდ მდიდრები და წარმატებული ადამიანი მოხვდება სამოთხეში, მართლმადიდებლობაში ეს პირიქითაა, ფული ჭუჭყია, მდიდარი კაცი ვერასდროს შევიდოდა სამოთხეში. არ არის საჭირო კითხვების დასმა და მსოფლიოს შეცვლის მცდელობა, მთავარია ბევრს ნუ მუშაობ და მშვიდად ელოდე სიკვდილის შემდეგ სამოთხეს.

ბიბლიის შესწავლისას პროტესტანტებმა და დასავლურმა ინტელექტუალებმა რამდენიმე გარემოებას მიაქციეს ყურადღება. მაგალითად, არაფერია ნათქვამი ბიბლიაში პრეისტორიულ სიცოცხლეზე, დინოზავრების არსებობაზე. რატომ დგას ადამიანი ორ ფეხზე ყველა ცხოველისგან განსხვავებით? ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება არ მოიპოვება ბიბლიაში, როგორიცაა სომხეთი, როცა იმ დროს ის კარგად იყო ცნობილი. საქართველო წარმოდგენილია რამდენიმე წინაპარი ტომის სახელებით, რომლებიც ცხოვრობდნენ კავკასიაში. ბიბლია განმარტავს, რომ „ღმერთმა მისცა მოსეს ათი მცნება ამოტვიფრულ ქვის ორ ფილაზე“ (31:28). ეს ორგინალი ფილები მოსემ გატეხა, როდესაც მიწაზე დაანარცხა (32:19). შემდეგ ღმერთმა უთხრა მოსეს, რომ მიეტანა ორი მსგავსი ქვის ფილა და მოსემ „დაწერა ათი მცნება“ (34:27-28). ანუ ბიბლია მკვეთრად მიჯნავს ღმერთის ნაწერ ფირფიტას და ათ მცნებას, რომელიც მოსემ დაწერა. როზიკრუსიანების, მასონების, ტამპლიერების და ისააკ ნიუტონის მიერ დაარსებული სამეფო საზოგადოების ამოცანას წარმოადგენდა იმ საიდუმლო ეზოთერული ცოდნის პოვნა, რაც მოსეს გაუზიარა უფალმა პირადი საუბრებისას Rosicrucians, Freemasonry, Knights Templars and Royal Society under Isaac Newton.

რაც ნამდვილად დასტურდება არის ის, რომ მოსე ფლობდა ეგვიპტურ საკრალურ ცოდნას. ეგვიპტურსა და ქრისტიანულ ცოდნას შორის მნიშვნელოვანი მსგავსებებია. საკრალურ ეგვიპტურ წიგნში „მიცვალებულთა წიგნი“ არის წინადადებები – „არა კაცთ ჰკლა, არ მისცე ცრუ ჩვენება და სხვა“. ჰამურაპის კოდიც Code Hammurabi აგრეთვე შედგება მცნებებისგან – „არ სცე პატივი კერპებს, არ იცრუო, არა კაცთ ჰკლა, არ იმრუშო და სხვა“. ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა უძველეს ეგვიპტურ საკრალურ ცოდნაზეა დაფუძნებული, როდესაც იესომ თქვა „ადექი და წადი“, იგივე სიტყვები

დაწერილია პირამიდებზე. წინადაცვეთა უნიკალური ეგვიპტური წესია, დამოწმებული ჰეროდოტეს, ისტორიის მამის მიერ, რომელიც ეგვიპტეს ეწვია დაახლოებით ძვ. წ. 450 წელს და აღწერა მუმიები. ბევრი რამ ქრისტიანულ რიტუალებში და ტრადიციებში ეგვიპტური წარმოშობისა, ხოლო ისინი თავის მხრივ მესოპოტამიური (შუმერული) წარმოშობისაა. ტრადიციული ქრისტიანული ლოცვაც ეგვიპტური ლოცვისგანაა გადმოღებული, რომელიც იწყება: „ამინ, ამინ, ცათა შინა...". უდაბნოში ყოფნის დროს მოსე შეხვდა ითროს Jethro, აფრიკელ ეთიოპიელს, და მისი ქალიშვილის ცოლად მოყვანის შემდეგ მიიღო საკრალური ცოდნა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მისი და მისი ძმის აარონის ეგვიპტის ფარაონთან მისვლა და ებრაელების გათავისუფლების მოთხოვნა. სასწაულებრივი ჯოხით, რომელიც სამოთხის ხისგან იყო დამზადებული, მოსე ბევრ სასწაულს ახდენდა.

ებრაელები პირველები იყვნენ, ვინც ისტორიაში შევიდნენ არა ქვის მდიდრული არქიტექტურული მემკვიდრეობით, როგორც ეგვიპტელები, არამედ მხოლოდ წიგნებით. მათ დატოვეს კაბალისა და ზოჰარის წიგნი და 5 ტომი ძველი აღთქმისა სავსე მისტიკური ნუმეროლოგიური შენობებით. სოლომონი განსაკუთრებულად ცნობილი ჯადოქარი იყო. როდესაც ტაძარი უნდა აშენებულიყო, იგი იძულებული გახდა, მოეწვია ფინიკიელი მშენებელი ჰირამ აბიფი, რადგან, ებრაელები იყვნენ მომთაბარეები და არ ჰქონდათ მშენებლობის რაიმე გამოცდილება. მცნებების კიდობანი, ესეც ეგვიპტური წარმოშობის საკრალური საგანი იყო.

მაგრამ დღევანდელ დღისთვის ყველა უძველესი ეგვიპტური და შუმერული (მესოპოტამიური) ტექსტი დაკარგულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამას ხელი შეუწყო ალექსანდრე მაკედონელის მცდელობამ ყველა ქვეყნიდან შეეგროვებინა ყველა წიგნი და ახლიდან დაეწერა მსოფლიო ისტორია. ძვ. წ. 48 წელს მხოლოდ იულიუს ცეზარის მიერ ეგვიპტეს დაპყრობის დროს 1 მილიონი დოკუმენტი იყო განადგურებული და საბოლოოდ ბიბლიოთეკა მოისპო ქრისტიანების მიერ ჩვ. წ. 391 წელს.

ბიბლიის გენეზის 1:3 ვკითხულობთ, რომ პირველ დღეს „უფალმა თქვა – „იყოს ნათელი" და გაჩნდა სინათლე. მან სინათლე გამოყო სიბნელისგან". თუ რა სინათლე უნდა ყოფილიყო მზის შუქამდე უცნობია, რადგან მზე მხოლოდ მეოთხე დღეს შეიქმნა.

მას შემდეგ, რაც ადამმა გასინჯა ხილი (ეს ხილი, სავარაუდოა, რომ იყო ვაშლი, თუმცა ეს გვიანდელი ავტორების მიერ იყო გამოგონებული. გენეზისი არ ასახელებს ხილს), ღმერთმა დასაჯა ადამი იმის გამო, რომ ეცადა მიეღო ცოდნა, რაც უფრო დამოუკიდებელს გახდიდა მას. სამოთხის ბაღიდან ადამის გამოძევების მიზეზად „პირველყოფილი ცოდვის" დასახელება მოგვიანებით დაინერგა, ვინაიდან არაფერი არ ამბობს ტექსტში, რომ ადამსა და ევას შორის რაიმე კონტაქტი იყო. პირიქით, წერია, რომ ცოლქმრული ურთიერთობა მათ შორის გაძევების შემდეგ დაიწყო.

ამიტომ იყო გველი ყოველთვის მიჩნეული, როგორც სიბრძნის და ცოდნის სიმბოლო. გველს არაფერი აქვს საერთო სატანასთან, რადგან ეს ჯოჯოხეთური

ასპექტი იესოს შემდგომ პერიოდში გავრცელდა. მეფეთა პირველ წიგნ-ში (29:4), დავითი წარმოდგენილია, როგორც ფილისტინელების სატანა (მტერი). სატანის (ზოგჯერ უწოდებდნენ ლუციფერს და სხვ.) ჯოჯოხეთური გამოვლინება გაჩნდა იეჰოვა-სატანას კონფლიქტის კონცეფციასთან ერთად, რაც წარმოადგენს სინათლესა და სიბნელეს შორის სიმბოლური ბრძოლის უძველეს ქრისტიანმდელ ტრადიციას როგორც შუმერულ მითოლოგიაში, ასევე ზოროასტრიზმში. გენეზისში არ არის სატანის ხსენება.

ევას პირველი ვაჟი კაენი მიწის დამუშავებით იყო დაკავებული, ხოლო მისი უმცროსი ძმა აბელი ნადირობით. კაენის სიცოცხლე უფრო ძნელი და ერთფეროვანი იყო და, როდესაც კაენმა დაინახა, რომ აბელის მიერ ხორცის შეწირულობაც მეტი კმაყოფილებით მიიღებოდა, ვიდრე მისი ხილის კალათა, შურის გამო მოკლა ძმა. ღმერთმა ნიშანი დაადო კაენს, რომ ვინც კი შეხვდებოდა მას, მოკლავდა (გენეზისი 4:15-16). კითხვა ყოველთვის ისმოდა, თუ ვის შეეძლო კაენის მოკვლა, და საერთოდ არ არის აღნიშნული, თუ როგორ მონახა კაენმა მეუღლე (გენეზისი 4:17). თუმცა ცნობილია, რომ ევას კიდევ რამდენიმე შვილი ეყოლა.

ბიბლიაში არ არის ახსნილი კაენის მიერ აბელის მოკვლის ამბავი, ვინაიდან კაენს, როგორც მიწათმოქმედს, არ შეიძლებოდა სცოდნოდა ვინმეს ან რაიმეს მოკვლის ხერხი. „ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფული ტექსტი გაცილებით უფრო სრულყოფილად გადმოსცემს, ვიდრე კანონიკური „დაბადების“ ტექსტი. „ქართლის ცხოვრებაში“ წერია, რომ კაენმა ერთ დღეს იხილა, თუ როგორ მოკვდა ცხვარი მთიდან დაგორებული ლოდით და ამის ნახვის შემდეგ სწორედ ლოდის დარტყმით მოკლა თავისი ძმა აბელი.

გენეზისის წიგნი (5:32) მოგვითხრობს, რომ ნოეს მეუღლემ შვა სამი ვაჟი – სემი, ქამი და იაფეტი. ნოე ნასვამი იყო მისი ვენახის ღვინისგან და ის იპოვა ქამმა გაშიშვლებული. იაფეტმა და სემმა მას ტანისამოსი გადააფარეს. როდესაც ნოემ გაიღვიძა, მან ქამი კი არ დაწყევლა, არამედ მის ვაჟი ქანაანი. ამის განმარტება არასდროს მომხდარა დამაკმაყოფილებლად.

ბიბლიაში ნახსენებია რამდენიმე იდუმალი ფიგურა, ვისაც სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ეზოთერიკოსები. უპირველეს ყოვლისა, სამი აღმო-სავლელი მაგი[1] Magi, რომლებიც ეწვივნენ ნაზარეთს, როდესაც იესო დაიბადა და მიუტანეს მას საჩუქრები (ოქრო, საკმეველი და მური[2]).

---

[1] მარკო პოლო აცხადებდა, რომ მას აჩვენეს მაგების სამი საფლავი თეირანთან ახლოს, სპარსეთში, 1270 წელს (Marco Polo, The Book of the Million). ამავე დროს „სამი მეფის ტაძარი“ კიოლნის კათედრალში, ტრადიციების მიხედვით, ინახავდა სამი ბრძენი კაცის ძვლებს. ცნობილია, რომ ისინი აია სოფიას ეკლესიაში ინახებოდა კონსტანტინოპოლში და 1164 წელს რომის საღვთო იმპერატორმა, ჯვაროსანმა ფრედერიკ I-მა გადაიტანეს კიოლნში.

[2] წმ. პავლეს ტაძარში ათონის მთაზე არის მე-15 საუკუნის ოქროს ზარდახშა, რომელშიც ინახება მაგების მიერ გადაცემული საჩუქრები. ის მონასტერს

პალესტინაში აბრაჰამი შეხვდა მისტიკურ პიროვნებას მელქისედეკს Melchisedek, სალემის Salem (სავარაუდოდ, იერუსალიმის) მეფეს. კაბალაში მელქისედეკი დიდი ეზოთერული მნიშვნელობისაა, რომელიც სახარებაში (ებრაელებს 7: 3-4) მოხსენიებულია, როგორც უძველესი ბიბლიამდელი რელიგიის ღვთისმსახური, რომელსაც პატრიარქი აბრაჰამი სწირავდა შემოსავლის მეათედს. აპოკრიფული ტექსტები იუწყება, რომ ის ნოეს ძმისშვილი იყო და დედამიწაზე წარღვნის დროს ანგელოზებმა სამოთხეში წაიყვანეს, შემდეგ კი დაბრუნდა. მორმონები მას თვლიან მოციქულად.

პარადოქსულია, რომ იესოს სხეული არა იესოს მოწაფეებმა, არამედ იოსებ არიმათიელმა Josef of Arimathea მიიღო და დაკრძალა ის თავის აკლდამაში. და შემდგომ ის არ არის მოხსენიებული ბიბლიაში.

ბიბლია მოიხსენებს ფარისევლებსა და სადუკეველებს Pharisees and Sadducees, მაგრამ არ არის მოხსენიებული ზეალოტები და ესენები Zealots and Essenes. ახლა ჩვენ დეტალურად ვიცით იმდროინდელი პალესტინის პოლიტიკური ისტორია იოსებ ფლავიუსის (დაიბადა 37 წ.) წიგნიდან „იუდეველთა ომი“, რომელიც იყო ცნობილი იუდეველი სახელმწიფო მოხელე, გალილეის მმართველი, მაგრამ გახდა კოლაბორაციონისტი და იბრძოდა ებრაელების წინააღმდეგ რომაელ ლეგიონებთან ერთად.

პავლე მოციქული **Paul the Apostle** (ჩვ. წ.-ით 5-67 წწ.) იყო ადრეული ქრისტიანი მისიონერი, რომელმაც ახალი აღთქმის დიდი ნაწილი დაწერა და ქრისტიანული ეკლესია და მისი რიტუალები ჩამოაყალიბა. 14 სამოციქულო ეპოსტოლე ახალ აღთქმაში პავლეს უკავშირდება, თუმცა ის პირადად არასდროს შეხვედრია იესოს. პირიქით, ბიბლიის მიხედვით, პავლე ცნობილი იყო მისი ებრაული სახელით სავლე, რომელიც იესოს მოწაფეების დევნაში იღებდა მონაწილეობას. იერუსალიმიდან დამასკოში მოგზაურობის დროს აღმდგარი იესო გამოეცხადა და მან დაიწყო ლოცვა. პავლემ ანტიოქიაში დაიწყო მსახური, სადაც იესოს მიმდევრებს პირველად უწოდეს „ქრისტიანები“. იესოს, ბუდას მსგავსად, არ დაუწერია საკრალური ტექსტი (მუჰამედისგან განსხვავებით), და მხოლოდ 50-იან წლებში პავლე მოციქული (რომელსაც არასდროს უნახავს იესო) იბრძოდა, რათა შეეთანხმებინა ქრისტიანები ძირითად კონცეფციებზე. პავლე-სავლემ შექმნა თეოლოგია, რომ წარმართები შეიძლება გამხდარიყვნენ ქრისტიანები იუდაიზმის გარეშე (სქიზმი), არ მოითხოვდა წინადაცვეთას და არ კრძალავდა ტრადიციულ ევროპულ საკვებს (ღორის ხორცი და სხვ.). მან დააარსა ქრისტიანული ეკლესია, როგორც ქრისტეს სხეული და ახლა ჩვენ გვყავს სამღვდელოება და ეკლესიური რიტუალები, რაც არ არის აღწერილი

შესწირა მე-15 საუკუნეში მარა ბრანკოვიჩმა, სერბეთის მეფის ქალიშვილმა, ოსმალი სულთნის მურად II-ის მეუღლემ და მეჰმედ II დამპყრობლის გამზრდელმა ბებიამ. ათენის მიწისძვრის შემდეგ, 1999 წელს, დროებით იყო ნაჩვენები ათენში, რათა გაეძლიერებინა რწმენა და თანხა შეეგროვებინათ მიწისძვრისგან დაზარალებულთათვის.

ბიბლიაში. საერთოდ მუდმივი ქვის შენობა უცხო რამ იყო მომთაბარე ებრაელებისათვის.

ტიმოთეს წერილი ტრადიციულად პავლეს მიეწერება (1 ტიმოთე 2:12-13) – „ქალმა არ უნდა ასწავლოს კაცს და არ უნდა ისწრაფოდეს კაცს ზევით ავტორიტეტის მოპოვებას, მაგრამ ჩუმად უნდა იყოს. ადამი უფრო ადრე შეიქმნა, ვიდრე ევა.“ ამას ხშირად იყენებდა ეკლესია ქალების სამღვდელოებიდან გამორიცხვისთვის, რომ დაეკავებინათ რაიმე ღვთისმსახურის ადგილი და ქრისტიანობის ლიდერობა. პავლე და პეტრე ქალების როლის წინააღმდეგნი იყვნენ. იესო მათგან განსხვავებით არასდროს განასხვავებდა ქალებს.

ნიკეის კრების შემდეგ, 325 წელს, ის სხვა რელიგია გახდა. ეკლესიამ გადაწყვიტა, რომელი ტექსტი იყო „კანონიკური“ და რომელი „აპოკრიფული“ (სასარგებლო, მაგრამ არა ღვთისმიერი), დოგმები, დღესასწაულებები, რიტუალები, რომ იესო იყო ღმერთი და კაცი, სხვა. დაარსდა ეპისკოპოსი და ეკლესია და ნებისმიერი დისკუსია აკრძალული იყო. რჩეული ხალხის სტატუსი მოეხსნა ისრაელიტებს და ახალ აღთქმაში არ იყო საჭირო ყოფილიყავი ებრაელი სამოთხეში მოსახვედრად. პავლეს პროტესტანტ კრიტიკოსთა შორის იყო თომას ჯეფერსონიც Thomas Jefferson, რომელმაც დაწერა, რომ პავლე იყო „იესოს სწავლების პირველი გარდამქმნელი“. ზოგი თანამედროვე მწერალი კამათობს, რომ პავლე იყო გნოსტიკოსი და თავის ქადაგებებში იყენებდა ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის ბევრ იდეას, ზოგჯერ ზუსტად იმავე მეტაფორებისა და ენის გამოყენებით.

მისტიკური ეზოთერული ნაწერები

„ვოინიჩის ხელნაწერი“ Voynich manuscript წარმოადგენს მე-15 საუკუნის ხელით ნაწერი წიგნი და შედგება 240 გვერდისგან ილუსტრაციებით. წიგნს სახელწოდება მისცა პოლონელ-ლიტველ-ამერიკელმა წიგნის დილერმა ვილფრიდ მ. ვოინიჩმა, რომელმაც ის შეიძინა რომში 1912 წელს და ამჟამად ეკუთვნის იელის უნივერსიტეტს. ავტორი და ენა უცნობია. მას სწავლობდა ბევრი პროფესიონალი და მოყვარული კრიპტოგრაფი და კოდის გამტეხი, მაგრამ ამაოდ. ის დარჩა, როგორც „მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ხელნაწერი“.

„ენოქის წიგნი“ Book of Enoch დაწერილი იყო ენოქის, ადამის დიდი შვილიშვილის და ნოეს დიდი ბაბუას შესახებ (გენეზისი 5:22-29). ანგელოზებმა ენოქი რამდენჯერმე ამოგზაურეს ზეცაში და მოგვიანებით ამ მოგზურობების შესახებ დაიწერა წიგნი, რომელიც დაიკარგა და დღემდე მოაღწია მხოლოდ მოთხრობილიდან გაკეთებული ჩანაწერების ფრაგმენტებმა.

ცნობილმა შოტლანდიელმა მოგზაურმა ფრანკ-მასონმა ჯეიმს ბრუსმა James Bruce 1773 წელს აბისინიიდან ჩამოიტანა „ენოქის წიგნის“ სამი ასლი. ერთი ინახება ბოდლეინის Bodleian ბიბლიოთეკაში, მეორე საფრანგეთის სამეფო



ოჯახის ბიბლიოთეკაში და მესამეს ბრუსი ინახავდა. ეს წიგნი ფრანკ მასონების მოძღვრების საფუძველია. 1821 წელს გამოქვეყნდა პირველი ინგლისური თარგმანი ბოდლეინის ხელნაწერისა რიჩარდ ლოურენსის მიერ Richard Laurence. წიგნი მოგვითხრობს ენოქის მოგზაურობებს ზეცაში და დარაჯებზე watchers (Grigori), ანგელოზების ჯგუფზე, რომლებიც დედამიწაზე გაგზავნეს, რათა თვალყური ედევნებინათ ყველა ადამიანისთვის და გაენათლებინათ ისინი. ეს ანგელოზები ქორწინდებოდნენ ადამიანის ქალიშვილებზე და დასაბამი მისცეს ისეთ უდიდეს ჰიბრიდულ რასას, როგორც ნეფილიმები nephilim.

ენოქი ცენტრალური ფიგურაა ეზოთერულ მისტიკურ კაბალისტურ რაბინულ ებრაულ ტექსტში. ენოქი მოიაზრება დამწერლობის გამომგონებლად, ასტრონომიისა და არითმეტიკის მასწავლებლად. ადამის შთამომავალთა შორის ის ერთადერთი გამონაკლისი იყო, რომელიც არ მომკვდარა, ის უბრალოდ ღმერთმა თავისთან წაიყვანა. გენეზისი 5 გვაუწყებს, რომ ენოქი „უფალთან ერთად სეირნობდა: და ის აღარ იყო; უფალმა წაიყვანა ის“. ის უკვდავყოფილია, როგორც წმინდა წინაპარი სომხეთის სამოციქულო ეკლესიაში და უკანასკნელ დღეს წმინდა მოძრაობით.

მორმონის წიგნი The Book of Mormon წარმოადგენდა ოქროს ფირფიტებზე ამობეჭდილ ტექსტს „ძველ ეგვიპტურ“ ენაზე. მორმონების რწმენის მიხედვით, მკვდრეთიდან აღდგომის შემდეგ ქრისტე მოევლინა ამერიკის კონტინენტს. მომაკვდავმა სახელად მორმონიმ ჩაწერა მისი ახალი ქადაგებები ეგვიპტურ ენაზე ოქროს ფირფიტებზე და დამარხა მომავალი ნიუ-იორკის ადგილას. მორმონიზმის დამაარსებლის ჯოზეფ სმიტის Joseph Smith (1805 – 1844) განცხადებით, ანგელოზი მორმონი გამოცხადდა მის წინაშე ნიუ-იორკში 1827 წელს და მიუთითა ამ საკრალური განძის ადგილი. სმიტის გადათარგმნილმა და გამოქვეყნებულმა ტექსტებმა უამრავი მიმდევარი გაუჩინა და ჩამოყალიბდა ახალი რელიგია. კრიტიკოსები მრავლად იყო. ოქროს ფირფიტები „ძველი ეგვიპტური“ ნაწერით არავის უნახავს, ვინაიდან გადათარგმნის დასრულებისთანავე მორმონიმ ის წაიღო. მორმონიზმი სახელმწიფოს მიერ დევნას განიცდიდა და მორმონები ამერიკის ყველაზე უნაყოფო მიწებზე, მოშორებით იზოლირებულად სახლდებოდნენ. თვითონ


MISCELLANEOUS FOR SALE

"The Four Dead Sea Scrolls"

Biblical Manuscripts dating back to at least 200 BC, are for sale. This would be an ideal gift to an educational or religious institution by an individual or group.

Box F 206, The Wall Street Journal.

Ad for "Dead Sea Scrolls" in the Wall Street Journal in 1954

სმიტი დაპატიმრებული იყო და ლინჩის წესით მოკლული მრავალცოლიანობის გამო.

მკვდარი ზღვის გრაგნილები Dead Sea Scrolls – 972 წლის ტექსტების კოლექცია ებრაეული ბიბლიიდან. დათარიღებულია ძვ. წ. 150 და 70 წწ.-ით, აღმოჩენილი იქნა ქუმრანის აკლდამაში მკვდარი ზღვის სანაპიროზე. ის დაწერილია ებრაულად, არამეულად და ბერძნულად, უფრო მეტად პერგამენტზე, მაგრამ აგრეთვე პაპირუსზე. 1947 წელს გრაგნილები იყო მარ სამუელის Mar Samuel ქონება და ის შეიძინა პროფესორმა მაზარმა Mazar ნიუ იორკის ვალდორფ-ასტორია Waldorf-Astoria სასტუმროში 250 000 ამერიკულ დოლარად და წაიღო იერუსალიმში, სადაც გამოფენილი იყო როკფელერის მუზეუმში არაბულ სექტორში. ექვსდღიანი ომის შემდეგ ისრაელმა გრაგნილები გადასცა ისრაელის წიგნის მუზეუმს Shrine of the Book. იორდანია დღემდე მოითხოვს გრაგნილების როკფელერის მუზეუმისთვის დაბრუნებას.

ეს ტექსტები არის უდიდესი მისტიკური და ისტორიული მნიშვნელობის, რადგან შეიცავს ბიბლიის დამატებითი დოკუმენტების უძველეს გადარჩენილ ასლებს. ახლა უფრო ცხადი ხდება, რომ ძველი აღთქმის საღვთო წერილი უკიდურესად ცვალებადი იყო მის კანონიზაციამდე დაახლოებით ჩვ. წ.-ით 100 წელს. გრაგნილების გამოქვეყნებამ რამდენიმე ათწლეული წაიღო და დაყოვნება იყო აკადემიური დაპირისპირების წყარო, ვინაიდან გამოუქვეყნებელ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა ლიმიტირებული იყო მხოლოდ რედაქციის კომიტეტისთვის.

ეზოთერული საზოგადოებები

გნოსტიციზმი – გნოსტიკი არის ის, ვისაც ცოდნა გააჩნია.

ეზოთერული ქრისტიანობა აღიარებს გარკვეული ეზოთერული დოქტრინის და პრაქტიკის არსებობას, რომელიც საზოგადოებისგან დამალულია, მაგრამ ცნობილია მხოლოდ „განათლებულების“ და „ინიციირებულების“ ვიწრო წრისთვის. ორიგენი Origen იყო ყველაზე ნაყოფიერი მწერალი ეზოთერულ ქრისტიანობაში და დაწერა დაახლოებით 6 000 თეოლოგიური ბერძნული წიგნი, რომლიდანაც მხოლოდ ფრაგმენტები გადარჩა. ეზოთერული ქრისტიანობა დასძენს, რომ არის ორი ტიპის „მაგია“, ღვთაებრივი და დემონური. რუდოლფ შტაინერი Rudolf Steiner იყო ანტროფოსოფიის ავტორი. გიორგი გურჯიევი George Gurdjieff (1877-1949 წწ.), თეოსოფიის ერთ-ერთი ავტორი, მის სწავლებებს

უწოდებდნენ „მეოთხე გზას“ – აზროვნების გზა („ცხოვრება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მე ვარსებობ“).

შროდინგერის **Schrodinger** ექსპერიმენტში კატა მოათავსეს ყუთში რადიოაქტიურ ნივთიერებასთან ერთად და მას 50%-ით შეეძლო კატა მოეკლა. მაგრამ ამის დადასტურება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა ყუთში ჩავიხედავდით. კატაზე შეხედვით (ანუ ცოდნის შეძენით) ჩვენ ან ვკლავთ, ან გადავარჩენთ მას. ეს პრინციპი სრულიად ეწინააღმდეგება მატერიალიზმის პრინციპებს. და ამ პრინციპს აქვს უდიდესი მნიშვნელობა საიდუმლო ეზოთერულ სწავლებებში.

ჰერმეტიზმი **Hermeticism** არის ფილოსოფიის და რელიგიური რწმენის ნაკრები, დაფუძნებული ბერძნულ გნოსტიკურ ნაწერებზე, რომელიც ჰერმეს ტრისმეგისტუსს Hermes Trismegistus მიეკუთვნება, რომელიც თავის 42 წიგნში ხსნის ფარული სიბრძნის ზოგიერთ დებულებას. ამ წიგნების უმეტესი ნაწილი განადგურდა, როდესაც ალექსანდრიის დიდი ბიბლიოთეკა დაინგრა. ჰერმეტიზმი ახლიდან იქნა აღმოჩენილი დასავლეთში რენესანსის დროს, როდესაც 1460 წელს ამ შეხედულებებს დიდი გავლენა ჰქონდა დასავლეთის ეზოთერულ ტრადიციებზე და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. გადარჩენილია სამი ძირითადი ნაშრომი: 1) 18 ტომიანი „კორპუს ჰერმეტიკუსი“, რომელიც შეიცავს ჰერმესის დიალოგებს, 2) „ჰერმესის ტაბლეტი“ – მოკლე ნამუშევარი, რომელიც აღმოაჩინა ალექსანდრე დიდმა ჰებრონში, შესაძლოა ჰერმესის საფლავში; და 3) კიბალიონი The Kybalion: ჰერმეტიზმის ფილოსოფიის წიგნი დაწერილია 1912 წელს სამი ანონიმი ავტორის მიერ, რომლებიც თავიანთ თავს უწოდებდნენ „სამ მაცნეს“.

ჰერმეტული პრინციპები განმარტებულია ამ წიგნებში: ალქიმია სწავლობს არა ფიზიკური ტყვიის ფიზიკურ ოქროში გარდაქმნას, ან პანაცეის აღმოჩენას, არამედ სიცოცხლის სულიერ კონსტიტუციას. ასტროლოგიაში ჰერმესი ამტკიცებს, რომ ზოროასტერმა აღმოაჩინა სამყაროს ასტროლოგიური სიბრძნე. მაგია არის ორი სახის – შავი მაგია, დაკავშირებული ბოროტ სულებთან, და ჯადოქრობა, საღვთო მაგია, ღვთაებრივ სულებთან დაკავშირებული (მაგალითად, ანგელოზები, მთავარანგელოზები, ღმერთები). ჰერმეტიზმის სიმბოლო ზოგჯერ არის შეცდომით გამოყენებული, როგორც მედიცინის სიმბოლო, მაგრამ სამედიცინო სიმბოლოში გამოსახულია მხოლოდ ერთი გველი ფრთების გარეშე.

ერთხელაც ჰერმეტიზმი და ებრაული კაბალა Kabbalah აღარ იყო მოწონებული ქრისტიანული ეკლესიის მიერ და ჩამოყალიბდა რამოდენიმე საიდუმლო ჰერმეტიკული საზოგადოება. მე-19 საუკუნეში ჰერმეტულმა მაგიამ გადაინაცვლა დასავლეთ ევროპის საიდუმლო საზოგადოებებში – Hermetic Order of the Golden Dawn, Rosicrucianism or Freemasonry.

კათარიზმი, ალბიგენსიანები, **Catharism,** Albigensians იყო ქრისტიანული სექტა საფრანგეთის ლანგედოკის Languedoc რეგიონში მე-11-მე-13 საუკუნეებში დუალისტური და გნოსტიკური ელემენტებით, რასაც თავისი ფესვები ჰქონდა პაულიჩიანის Paulician მოძრაობაში მე-7-8 საუკუნეში სომხეთში, ბოგომილებში Bogomils ბულგარეთში და მანიქეანელებში Manicheans აღმოსავლეთ ბიზანტიის იმპერიაში. მათი პაპი ბულგარეთში იყო. მათ უარყვეს ეკლესია, როგორც ადამიანსა და ღმერთს შორის შუამავალი, და ყველა ადამიანს თანაბრად მიიჩნევდნენ. მათ უარყვეს ჯვარი. კათარები, ტამპლიერების მსგავსად, ეწეოდნენ მევახშეობას და ძალზედ მდიდრებიც იყვნენ. მათი სიყვარულის ეზოთერული ტრადიცია იყო ქორწინების გარეშე სიყვარული, ყოველგვარი ოჯახისა და სიცოცხლის გაგრძელების და სხეულის შეხების გარეშე. მათთვის ქალი ყოველგვარი ფიზიკურობის გარეშე სუფთა სიყვარულის ობიექტი იყო (როგორც დულსინე ტობოსელი დონ კიხოტიდან), მათ პირველად უწოდეს ქალს „სენიორა“. მკვლელობა, ომი და სიკვდილით დასჯა კათარსებისთვის მიუღებელი გახლდათ და უცნაურია, მაგრამ სექსისაგანაც თავს იკავებდნენ. თავის შეკავება და უშვილობა მათი კანონი იყო. ამიტომ ისინი თავს არიდებდნენ სექსუალური გამრავლებით მიღებულ საკვებს, ანუ ცხოველურ საჭმელს. მაგრამ ხმების მიხედვით საიდუმლოდ აწყობდნენ ორგიებს არაბუნებრივი სქესობრივი გზით, რათა არ მომხდარიყო დაორსულება (სიცოცხლის გაგრძელება). ბრიტანულ სლენგში ბუგერ bugger (sodomite) გაჩნდა ტერმინ ბულგარელის შემდეგ, რომელთაც კათარებს უწოდებდნენ.

სიტუაცია ისეთი იყო, რომ კათარიზმში ეჭვმიტანილ პირს საკმარისი იყო ინკვიზიციისთვის[1] დაოჯახებლობის დადასტურება და ის თავისუფლდებოდა. ბუნებრივია, რომ ამ ყველაფერმა გამოიწვია გადაგვარება და 1147 წელს რომის პაპმა წამოიწყო ომი ლანგედოკში კათარების წინააღმდეგ: ალბიგენსიური ჯვაროსნული ომი და 1208-15 წწ-ში ომი გადაიზარდა მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში. 1209 წელს საფრანგეთის ჯვაროსნების 30 000-კაციანი არმია შეიჭრა ლანგედოკში. ზუსტად ამ დროს მთელი ევროპის იუდეველებს დაუწესდა დავიდის ვარსკვლავის ტარება. ჯვაროსანი ლიდერები კითხულობდნენ, თუ როგორ უნდა განესხვავებინათ კათარი კათოლიკესგან. მისი პასუხი იყო „დახოცეთ ყველა, ღმერთი თავად გაარჩევს“. კათარები, რომლებმაც უარი თქვეს რწმენის შეცვლაზე, ჩამოახრჩვეს ან დაწვეს. 1244 წელს ალბიგენსიანობა

[1] ინკვიზიციამ ოფიციალურად დასაბამი დაიდო 1233 წელს, კათარებზე აქტიური სამხედრო თავდასხმების დროს. მწვალებლობის საბოლოო გაწმენდის უფლება ერგოთ დომინიკელებს. 1216 წელს დომინიკ დე გუზმანმა Dominic de Guzman ჩამოაყალიბა დომინიკელების ორდენი ყველაზე აქტიური ინკვიზიციის რიგებში. ეს ორდენები შეიქმნა იესოს სიტყვების შესაბამისად: „მე მოვედი არა მშვიდობით, არამედ მახვილით“ (მათე. 10:34). მწვალებლებისთვის სიკვდილი ითვლებოდა სათანადო საშუალებად, მაგრამ სისხლის ღვრის გარეშე, რაც არაეთიკური იყო ეკლესიისთვის. ცეცხლში დაწვა ყველაზე საუკეთესო ალტერნატივა გახლდათ.

– კათარიზმა შეწყვიტა არსებობა. კათარები საკმაოდ მდიდრები იყვნენ, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. ყველა ძვირფასეულობა გაქრა, ისევე როგორც ტამპლიერების შემდეგ.

ტამპლიერები არასდროს იბრძოდნენ კათარებთან, ორივენი ქალებს დიდ პატივს სცემდნენ და ჰყავდათ ქალი მღვდლები, ორივე მათგანი თაყვანს სცემდა მარია მაგდალინელს Maria Magdalena, იესოს მეუღლეს გნოსტიკური ხედვით. ახალგაზრდა გერმანელის ოტო რანის Otto Rahn მიერ გამოცემულმა წიგნმა კათარებსა და წმინდა გრაალს შორის კავშირზე 1930 წელს მიიპყრო ნაცისტი ჰენრიხ ჰიმლერის ყურადღება, რომელმაც ის აქცია SS-ის არქეოლოგად.

ტემპლარები (ან ტამპლიერები)
KNIGHTS TEMPLAR (TEMPLIERS)

1099 წელს პირველმა ჯვაროსნებმა დაიპყრეს იერუსალიმი. 1118 წელს 9 ფრანგი რაინდი, რომელთა მეთაური იყო ჰუგო დე პეინი Hugues de Payens, შეიკრიბნენ გოლგოთას მთაზე, იესოს ჯვარცმის ადგილას იერუსალიმში, და დააარსეს სამონასტრო ორდენი „ქრისტეს ღარიბი რაინდები და სოლომონის ტაძარი“ – პილიგრიმების დასაცავად[1].

საინტერესო იყო „ღარიბი“ ორდენის 9 წევრს თუ როგორ უნდა დაეცვა მთელი ევროპის ყველა პილიგრიმი, მაგრამ იერუსალიმის მეფე ბოლდუინ II


Templar cross

Jerusalem cross


Hospitaller cross


Teutonic cross

Baldwin რაღაცამ დაარწმუნა, რომ სერიოზულად მიეღო ისინი და დააბანაკა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას – თავის სამეფო სასახლეში, განადგურებული სოლომონის ტაძრის Solomon Temple საკრალურ ადგილას, ტაძრის მთაზე, ალ-აქსას მეჩეთში Al-Aqsa Mosque და მათ უწოდებდნენ „ტამპლიერებს“ (მეტაძრეები).

---

[1] ჰოსპიტალარების (მალტის) ორდენი შავ ტანისამოსზე თეთრი ჯვრით დაარსდა 1023 წელს კუნძულებზე: კვიპროსი, როდოსი და ბოლოს მალტაზეც, რათა დაეცვათ ძირითადად საზღვაო გზები. ორდენის საუკეთესო რაინდები სირიის ბრძოლაში გაანადგურეს 1289 წელს. 1530-1798 წწ-ში კვიპროსიდან გადაინაცვლეს როდოსსა და მალტაზე.

ტაძრის მთაც, როგორც ადგილი, სადაც აბრაამი აპირებდა ისააკის მსხვერპლად შეწირვას, და სადაც იყო აგებული იუდეველთა ორი ტაძარი, ატარებდა დიდ საკრალურ და ეზოთერულ მნიშვნელობას. პირველი ტაძარი, სადაც განთავსებული იყო საკრალური აღთქმის კიდობანი (ან/და ათი მცნების ფილები), ამ ადგილას აშენდა დავითის ვაჟის სოლომონის მიერ ძვ. წ. 957 წელს და ბაბილონელებმა ის გაანადგურეს ძვ. წ. 586 წელს. ძვ. წ. 538 წელს სპარსეთის მეფე კიროს II-მ Cyrus დაამარცხა ბაბილონელები და იუდეველებს, ზერუბაბელის Zerubbabel მეთაურობით, ნება დართო დაბრუნებულიყვნენ იერუსალიმში, სადაც მათ ააგეს მეორე ტაძარი ძვ. წ. 515 წელს, რომელიც გაანადგურა რომის იმპერიამ 70 წელს ებრაელების აჯანყების შემდეგ, სადაც დაახლოებით 600-1200 ათასი ებრაელი გაანადგურა რომაელი კეისრის ტიტუსის არმიამ და მოხდა ებრაელების ტოტალური განდევნა პალესტინიდან. იუდეველთა რწმენის მიხედვით, ტაძარი უნდა აღდგეს მესამედ და საბოლოოდ. მხოლოდ ამის შემდეგ ლევიტები განაგრძობენ ღვთისმსახურება, დღეს არჩეული რაბინების სანაცვლოდ. ეს ტაძარი უწმინდესია იუდაიზმში და ებრაელები ლოცვის დროს სწორედ მისკენ ბრუნდებიან. ამავე დროს, სუნიტ მუსლიმებს შორის ეს წმინდა მთა მიჩნეულია, როგორც მესამე უწმინდესი ადგილი ისლამში. მუჰამედი ზეცაში სწორედ ამ მთიდან ავიდა. მუსლიმთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, 637 წელს, უმაიადის ხალიფებმა Umayyad Caliphs ააგეს ალ-აქსას მეჩეთი და კლდის გუმბათი al-Aqsa Mosque and Dome of the Rock. ისინი მსოფლიოს უძველესი ისლამური ნაგებობებია ქააბას Kaabah შემდეგ. კლდის გუმბათი დღესდღეობით იკავებს ადგილს, სადაც ბიბლიის ცნობით, იუდეველთა მესამე ტაძარი უნდა იქნეს აღდგენილი. ეს მსოფლიოში ყველაზე სადავო ტერიტორიაა.

1127 წელს ჰიუ დე პეინი დაბრუნდა ევროპაში და მას ტრიუმფით დახვდნენ. რომის პაპმა მოიწვია საბჭო ტროაში Troyes (ამ ფრანგულ ქალაქს სახელი უძველესი აზიური ტროას გამო დაერქვა) შამპანის ჰერცოგის Duke Champagne კარზე, სადაც კათოლიკურმა ეკლესიამ ორდენი ოფიციალურად აღიარა. პაპმა ტამპლიერები ასევე დააჯილდოვა განსაკუთრებული სამოსით – თეთრი მანტია წითელი ჯვრით[1]. ტამპლიერების ემბლემაზე გამოსახული იყო ორი რაინდი, რომელნიც ერთ ცხენზე ისხდნენ, და ამით ხაზს უსვამდნენ ორდენის სიღარიბეს. არანაირი სამკაული არ იყო ნებადართული იარაღსა ან აბჯარზე. საკვები ერთად უნდა მიეღოთ სიჩუმეში და მაგიდაზე არც წყალი და არც ღვინო არ იდგმებოდა. ერთი მეათედი პური მოწყალებისთვის უნდა გაეღოთ ყველა პურიდან. ხორცი ნებადართული იყო მხოლოდ კვირაში სამი დღე. მთელი ღამის განმავლობაში ტამპლიერის საერთო საცხოვრებელ ოთახებში სინათლე უნდა ყოფილიყო ანთებული. ისინი ინახავდნენ მარხვას Lent, თუმცა ის არ იყო მკაცრი, რადგან ფიზიკური ვარჯიში აუცილებელი იყო

[1] სწორედ ასეთივე ფერებს ატარებდნენ მუსლიმანთა საიდუმლო ორგანიზაციის Assassin Fedayins წევრები.

ბრძოლისუნარიანობისთვის. მძიმედ შეიარაღებული ტამპლიერები ჯვაროსნულ ბრძოლებში პირველ დარტყმით ძალად გამოიყენებოდნენ მტრის ხაზების გასარღვევად. ნადირობა აკრძალული იყო, გარდა ლომებზე ნადირობისა (1 პეტრე 5:8). ყველანაირი ქონება საერთო იყო, პირადი წერილიც კი მეთაურთან ხმამაღლა უნდა წაკითხულიყო. ორდენი ღია იყო მხოლოდ მამაკაცებისთვის და რაინდებისთვის მკაცრად იყო ნაბრძანები დაუქორწინებლობა, კათარების მსგავსად. აკრძალული ჰქონდათ ეკოცნათ დედისთვის ან დისთვის, ან ნებისმიერი ქალისთვის. გაფრთხილებულებიც კი იყვნენ არ შეეხედათ ქალებისთვის.

თუმცა ორდენის მთავარი მისია იყო სამხედრო, მხოლოდ მცირე რაოდენობა იყო მებრძოლი. ძირითადად ტამპლიერები მართვდნენ ფინანსურ ინფრასტრუქტურას. ორდენმა 1150 წელს წმინდა მიწაზე დაიწყო პილიგრიმებისთვის „საკრედიტო წერილების“ შემოღება: ევროპელი პილიგრიმები აბარებდნენ ფასეულობას ადგილობრივ ტამპლიერებს, იღებდნენ ამ წერილს და პალესტინაში ანაღდებდნენ იმ თანხებს ტამპლიერებთან წმინდა მიწაზე. ეს ინოვაციური შეთანხმება იყო ჩეკებისა და ბანკების ადრეული ფორმა. ტამპლიერებმა დააარსეს ფინანსური ქსელები მთელს საქრისტიანოსაში. ქრისტიანობაში (ისევე როგორც ისლამში) მევახშეობა აკრძალული იყო, მაგრამ ეს დაფარული იყო, როგორც ადმინისტრაციული ხარჯები ან კურსით მანიპულირება.

არავისთვისაა ცნობილი, თუ რა აღმოაჩინეს ტამპლიერებმა სოლომონის ტაძრის გათხრების დროს, მაგრამ მალე ისინი ძალზედ გამდიდრდნენ, გავლენიანები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეტად ინოვაციურები გახდნენ. ისინი აშენებდნენ ტაძრებსა და სასახლეებს, ჰქონდათ თავიანთი სანაოსნო ფლოტი და კვიპროსის მთელი კუნძულიც მათ ეკუთვნოდათ. ტამპლიერებმა დაიწყეს მთელს ევროპაში გოთური კათედრალების მშენებლობა და მამაცურად იღებდნენ მონაწილეობას ჯვაროსნულ ლაშქრობებში წმინდა მიწაზე პალესტინაში. მათ დაამყარეს ფარული კავშირები ასასინების Assassin მისტიკური ისლამურ სამხედრო ჯგუფთან. 1300 წელს აღწერილია მათი კონტაქტები მონღოლებთან. საერთოდ მონღოლების გამოჩენას ახლო აღმოსავლეთში, როგორც ისლამის მტრების, ტამპლიერების საიდუმლო

Al-Aqsa Mosque with the Dome of the Rock on the Temple Mount in Jerusalem, the place where the Solomon Temple is generally accepted to have stood. Temple is said to have housed the Ark of the Covenant containing the Tablets of Stone on which the Ten Commandments were inscribed. Muslims believe that Muhammad during the Night Journey ascended from al-Aqsa to heaven where he spoke to God, who gave Muhammad instructions. Now It is considered “the most contested piece of real estate on earth.”

გეგმას მიაწერენ. ტამპლიერები არასოდეს ებრძოდნენ კათარებს, თუმცა იმავე რეგიონში მოღვაწეობდნენ – საფრანგეთის სამხრეთში, ლანგედოკში, მეროვინგების სიმაგრეებში.

მაგრამ 1185 წელს იერუსალიმის მეფე ბალდუინ II გარდაიცვალა, ორ წელიწადში ქრისტიანები და ტამპლიერები დაამარცხეს და იერუსალიმიც დაკარგეს. 1291 წელს პალესტინაში ყველა წმინდა მიწა დაკარგული იყო. 1306 წელს ეგვიპტელი მამლუქების მიერ კვიპროსის ანექსიასთან ერთად ჯვაროსნებმა მათი უკანასკნელი ფეხის დასადგმელი წმინდა მიწაც დაკარგეს.

კატასტროფა მოხდა, როდესაც საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზმა Philip IV the Fair (Philippe le Bel), რომელიც ღრმად იყო ჩაფლული ვალებში, რამდენჯერმე გაიმეორა მისი მამის ხრიკი და ბრძანა გადასახადების გაზრდა მდიდარი ებრაელებისთვის, მაგრამ მოულოდნელად მათ ველარ შესძლეს გადახდა. 1306 წელს მან დააკავა ყველა ფრანგი იუდეველი და ბრძანა მათი გასახლება. ასევე მან სცადა გადასახადების დაკისრება ეკლესიისთვის. პაპმა 1303 წელს მაშინვე მოკვეთა ეკლესიიდან ფილიპე და მზად იყო მთელი საფრანგეთის მოსახლეობა განეკვეთა, მაგრამ ფილიპე შეშინდა. ფინანსური ერთადერთი წყარო ტამპლიერები დარჩნენ. შესაფერისი დრო აარჩია, როდესაც ჯვაროსნები დასუსტდნენ და დაკარგეს მიწები პალესტინაში. სარაცინებსა და მამლუქებთან მუდმივი შეტაკებების გამო ტამპლიერების ახალი დიდი მაგისტერი ჟაკ დე მოლე Jacques de Molay იძულებული გახდა დაეტოვებინა კვიპროსი 1306 წელს. ამ დროს ჰოსპიტალიერები უფრო წარმატებულნი იყვნენ როდოსის დაპყრობაში თურქებისგან 1306 წელს და ტევტონები ჯვაროსნულ ლაშქრობაში სლავებისა და რუსების წინააღმდეგ. რომის პაპის ერთგული ძალების დაბრუნება საფრანგეთში მეფე ფილიპს საფრთხეს უქმნიდა, ვინაიდან ის კონფლიქტში იყო პაპთან. კიდევ ერთი მიზეზი ფილიპეს სიძულვილისა ტამპლიერების მიმართ პირადული იყო – მათ უარი თქვეს გამოსასყიდის გადახდაზე, რათა დაეხსნათ მისი ბაბუა ლუი IX Louis მეცხრე ჯვაროსნული ომის დროს. მით უმეტეს, როდესაც მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ფილიპემ სცადა ორდენში გაწევრიანება, მის აპლიკაციაზე უარი თქვეს.

ფილიპემ საგულდაგულოდ შეიმუშავა გეგმა ტამპლიერების გასანადგურებლად: გაცხადდა, რომ ტამპლიერები და ჰოსპიტალიერები უნდა გაერთიანებულიყვნენ და ისინი მოიპატიჟეს საფრანგეთში მეფემ და პაპმა მოლაპარაკებებზე 1306 წელს. ტამპლიერების დიდი მაგისტრი გაემგზავრა 60 რაინდთან ერთად 18 გემით კვიპროსიდან ლა როშეს მიმართულებით საფრანგეთში. პარასკევს, 1307 წლის 13 ოქტომბერს (ეს არის ცრურწმენის მიზეზი – უბედურების მომტანი პარასკევის ცამეტი რიცხვი), საფრანგეთის სამეფო ძალები თავს დაესხნენ საფრანგეთში 15 000 ტამპლიერს, ყველანი დააკავეს და ციხეებში გამოკეტეს[1]. გემები, რომლებიც დატვირთული იყო

[1] არადა, ერთი დღით ადრე, 12 ოქტომბერს, დე მოლე მეფის მიწვევით, როგორც საპატიო სტუმარი, დაესწრო მეფე ფილიპეს ცოლის დის დაკრძალვის ცერემონიალს.

ტამპლიერების ძვირფასეულობით, საფრანგეთის პორტიდან გაუჩინარდა და მას შემდეგ არავის უნახავს.

ფილიპეს მიმართვა სხვა ევროპელი მონარქების მიმართ, რომ დაეპატიმრებინათ ტამპლიერები, იგნორირებული იყო. პაპის ავტორიტეტი იყო საჭირო საფრანგეთის მეფის მოთხოვნის ლეგიტიმაციისათვის. და პაპმა კლემენტიმ ვერ გაუძლო საფრანგეთის მეფის ზეწოლას და შანტაჟს, გადაწყვიტა, შეერთებოდა ფრანგი მეფის შეთქმულებას და 1307 წელს გამოაქვეყნა პაპის ბულა papal bull, რომლითაც ინსტრუქცია ეძლეოდა ყველა ქრისტიან მონარქს ევროპაში დაეპატიმრებინათ ყველა ტამპლიერი და საკომპენსაციოდ კონფისკაცია გაეკეთებინათ მთელი მათი ქონების.

ტამპლიერებს ბრალი დასდეს კერპთაყვანისმცემლობაში[1], ქრისტესა და ჯვრის უარყოფაში[2], ჰომოსექსუალიზმში[3]. სასამართლოზე დე მოლე ადასტარებდა ქრისტეს და ჯვრის უარყოფას, მაგრამ მტკიცედ უარყოფდა ჰომოსექსუალიზმში ბრალს. 1314 წელს ოთხი ლიდერი ცოცხლად დაწვეს პარიზში, მდინარე სენის პატარა კუნძულზე. ლეგენდის მიხედვით, დე მოლემ ცეცხლიდან შესძახა, რომ პაპ კლემენტსა და მეფე ფილიპეს მალე ნახავდა ზეცაში. პაპი კლემენტი (კუჭის სიმსივნით) და მეფე ფილიპე (ნადირობისას უბედური შემთხვევის გამო) რამდენიმე თვეში დაიღუპნენ. ამას გარდა, ეკლესიაში, დაკრძალვის დროს, პაპის გვამს მეხი დაეცა და დაიწვა.

საოცარია, რომ ზოგადად ტამპლიერებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, თუმცა კარგად დაცულ ციხესიმაგრეებში ცხოვრობდნენ. ამან გააჩინა ეჭვი, რომ სინამდვილეში ტამპლიერების ლიდერები არ დაიღუპნენ, არამედ თვითონ გადაწყვიტეს დაეშალათ ორდენი, განეწმინდათ თავიანთი რიგები და შექმნეს სხვა საიდუმლო საზოგადოებები. მართლაც, ორდენის ჩვეულებრივ წევრებს არავითარი რეპრესიები არ შეხებიათ. სულ ეს ორდენი დაახლოებით ორი საუკუნის მანძილზე არსებობდა 1129-1312 წწ.

---

[1] ტურინის სუდარა Shroud, ნაჭერზე გამოსახული სახით, იყო განხილული როგორც კერპი. იგი ეკუთვნოდა ბიზანტიის იმპერატორს და გაქრა კონსტანტინოპოლის განადგურების შემდეგ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს 1204 წელს. ის კვლავ გამოჩნდა საფრანგეთის შამპანის რეგიონში 1357 წელს, ტამპლიერის ოჯახში, რომელიც დაწვეს ჟაკ დე მოლესთან ერთად 1314 წელს. ტაროს კარტიც აგრეთვე აკრძალული იყო, რადგან ტამპლიერებმა შექმნეს ის, რათა გაევრცელებინათ მათი საიდუმლო გზავნილები.

[2] კუ კლუქს კლანის სამოსი ტამპლიერების ფორმის მსგავსი იყო, ჯვარი იყო მოთავსებული მკერდზე. ჯვრის დაწვის ტრადიცია მიუთითებს უდანაშაულო ტამპლიერების წამების გაპროტესტებაზე. კუ კლუქს კლანის დამაარსებელი კონფედერატი გენერალი ნათან ბედფორდ ფორესტი Nathan Bedford Forrest მალე დარწმუნდა, რომ სახედაფარული წევრები მალე დეგრადირდენ და ჩვეულებრივ კრიმინალებს დაემსგავსნენ და კლანი 4 წელიწადში დატოვა.

[3] ზოგი თანამედროვე მწერალი აღიარებს, რომ პირადად ჟაკ დე მოლე შესაძლებელია მართლაც იყო ჰომოსექსუალი.

სხვა ევროპელი მონარქები პაპის ბრძანებებსაც კი არ ემორჩილებოდნენ და ტამპლიერები შესაძლოა გადასულიყვნენ სხვა ტერიტორიაზე პაპის კონტროლისგან მოშორებით. ინგლისის მეფე ედვარდ II მხარს უჭერდა და იცავდა ტამპლიერებს. მეფე რიჩარდი დასაწყისში ახლო მეგობარი იყო ორდენის და ჯვაროსნული ომის შემდეგ პალესტინიდან ინგლისში დაბრუნდა 1192 წელს ტამპლიერის სამოსში გამოწყობილი ტამპლიერების გემითვე, რომელსაც თან ახლდა 4 ტამპლიერი. მაგრამ საბოლოოდ ტამპლიერები ინგლისშიც დააპატიმრეს. ინკვიზიტორებმა შესჩივლეს პაპს, რომ ვერ შეძლეს ეპოვნათ კომპეტენტური ინგლისელი ჯალათი და თხოვდნენ ტამპლიერების საფრანგეთში გადაყვანას „სათანადო“ დაკითხვისთვის.

ტამპლიერების სიმდიდრით დატვირთული გემები, ლეგენდების მიხედვით, შოტლანდიაში აღმოჩნდა, რაც შემდგომში შოტლანდიური მასონური ლოჟის დაარსებისთვის იყო გამოყენებული. ითვლება, რომ ტამპლიერები იბრძოდნენ შოტლანდიელების ომში ინგლისელების წინააღმდეგ ბენოკბურნში Bannockburn 1314 წელს, რომელიც ძალზედ დიდი გამარჯვება იყო შოტლანდიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებს დრის.

გერმანიაში ისინი გახდნენ ჰოსპიტალიერებისა და ტევტონების ორდენების წევრები, რომლებიც მოგვიანებით, ორი საუკუნის შემდეგ (1522 წელს), მხარს უჭერდნენ პროტესტანტ მარტინ ლუთერს Martin Luther რომაული კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ.

ტამპლიერების ორგანიზაციებმა ესპანეთსა და პორტუგალიაში შეიცვალეს სახელი და გახდნენ „ქრისტეს რაინდები“ „Knights of Christ“. ქრისტოფერ კოლუმბმა Christopher Colombo ცოლად შეირთო ამ ორდენის ლიდერის ქალიშვილი. კოლუმბის მოგზაურობის რეალური მიზანი იყო აღმოეჩინა ოქრო, რათა დაფინანსებულიყო კიდევ ერთი ჯვაროსნული ლაშქრობა. ტამპლიერების წიგნებში ეწერა, რომ შორეულ დასავლეთში არსებობს მიწა, რომელიც ცნობილია, როგორც „La Merica“, „A-merica“. ვასკო და გამა Vasco da Gamma და კოლუმბი გაემგზავრნენ ერთი აღმოსავლეთისკენ და მეორე დასავლეთისკენ გემებით, რომლებზეც გამოსახული იყო ტამპლიერების წითელი ჯვარი. ყოველ შემთხვევაში, ამერიკის სახელწოდება ამერიგო ვესპუჩის Amerigo Vespucci გამო არადამაჯერებელია. მედიჩის ფლორენციული ბანკის სევილიის ფილიალის მმართველმა ამერიგო ვესპუჩიმ პორტუგალიის მეფის სახელით გადაკვეთა ატლანტის ოკეანე არა გეოგრაფიული აღმოჩენების და არც ფულის გამო, არამედ რელიგიური ფანატიზმის გამო. ის ცდილობდა კათოლიკური ქრისტიანობის მსოფლიოში გაბატონებას და ახალ მიწებში ეძებდა „იუდაიზმის ფარულ მიმდევრებს“. პორტუგალიაში იმ დროს ამისთვის სიკვდილით სჯიდდნენ დაწვით. შემდგომ მოსულმა ინკვიზიციამ 400-მდე ადამიანი დაწვა მხოლოდ ბრაზილიაში ამ ბრალდების გამო.

იტალიაში ტამპლიერები ცოტანი იყვნენ და ყველანი უდანაშაულოდ გამოცხადდნენ.

ზოგი ავტორის მიხედვით, ტამპლიერების ორდენი გადავიდა როზიკრუსიანიზმის (როზენკროიცერის) და მოგვიანებით მასონურ ორდენში,

ფრანკმასონებში. დიახ, ჯვაროსნული ლაშქრობები სამხედრო შედეგებით დამარცხდა, მაგრამ ისტორიული პერსპექტივიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ჯვაროსნებმა ჩაუყარეს საფუძვლები ევროპის მსოფლიოში ბატონობას.

როზიკრუსიანიზმი (როზენკროიცერები) **Rosicrucian (Rosenkreuz)** არის მისტიკური საიდუმლო ვარდის ჯვრის საზოგადოების თეოლოგია, რომელიც დაარსდა გერმანიაში მე-17 საუკუნეში ქრისტიან როზენკროიცერის მიერ Christian Rosenkreuz (1378-1485), რომელმაც იმოგზაურა იერუსალიმში, ინიციირებული იყო ეგვიპტის და კაბალას ეზოთერულ სწავლებაში და გერმანიაში დაბრუნების შემდეგ მისმა სამმა პამფლეტმა: the Fama, the Confessio Fraternitatis and Chymical Wedding, დასაბამი მისცა პროტესტანტიზმს, ანუ ლუთერანიზმს, და სერიოზული გავლენა იქონია მასონებზე. ცნობილი იყო, რომ ის კითხულობდა აზრებს, ესმოდა ყველა ენა, გამოსახავდა ნებისმიერ ნივთს, კომუნიკაციას ამყარებდა შორ დისტანციაზე და უხილავი ხდებოდა. ვარაუდობენ, რომ ინგლისის როზიკრუსიანული ორდენი გარდაქმნა მასონურ ლოჟად ოლივერ კრომველმა.

როზიკრუსიელები იყენებდნენ ალქიმიას და პარაცელსი Paracelsus, შვეიცარიელი მაგი, თანამედროვე ექსპერიმენტული მედიცინის მამა, იყო თუთიის, ჰიგიენისა და ჰომეოპათიის ფუძემდებელი. თანამედროვე დროს პასტერმა Paster აღმოაჩინა ვაქცინა ჰომეოპათიის მეთოდის გამოყენებით. აგრეთვე ცნობილი როზეკრუსიელები იყვნენ: ვოლტერი, ნიუტონი, ფრენსის ბაკონი, ვაშინგტონი, რუდოლფ შტაინერი ანტროპოსოფიური საზოგადოებით და სხვა. 1939 წელს პოლონეთში მანქანა დაეჯახა ახალგაზრდა კაცს. სანამ კომაში იყო, მას ჰქონდა არაბუნებრივი მისტიკური ხილვა და მივიდა როზიკრუსიელ დამრიგებელთან. მოგვიანებით ის გახდა კრაკოვის მღვდელი და მოგვიანებით პაპი იოანე პავლე II John Paul.

ილუმინატთა **Illuminati** („განათლებულები“) მოძრაობა დაარსდა 1776 წლის 1 მაისს, ინგოლსტადში Ingolstadt (ბავარია), იეზუიტების მიერ აღზრდილ ადამ ვაისჰაუტის მიერ Adam Weishaupt. ზოგი ავტორი ამტკიცებს, რომ ბევრი პოლიტიკოსი იყო ან არის ილუმინატების წევრი. ისინი ითხოვდნენ სრულ თავისუფლებას, ინტელექტუალური თავისუფლების ჩათვლით, ემანსიპაციას, ქონების, ქორწინების, ოჯახის და რელიგიის გაუქმებას. ყველაზე დაცული საიდუმლო იყო, რომ „საიდუმლო არ არსებობს“. ილუმინატები საფრანგეთის რევოლუციის სათავეებში იყვნენ, რადგან დანტონი, დესმულენი, მირაბო, მარატი, რობესპიერი და ნაპოლეონი Danton, Desmoulins, Mirabeau, Marat, Robespierre and Napoleon ილუმინატები იყვნენ. კარლ მარქსის „კაპიტალი“ და „კომუნისტური მანიფესტი“ დაფუძნებული იყო ქონების უფლების და ოჯახის გაუქმებაზე, საერთო ცოლებისა და ბავშვების ყოლაზე, მემკვიდრეობითი უფლების გარეშე. ილუმინატების დაარსების თარიღი განმარტავს, თუ რატომ არის 1 მაისი, ყოველგვარი დამაჯერებელი ახსნის გარეშე, ყველა კომუნისტისთვის აღსანიშნავი დღე.

მასონების **Freemasonry** საძმო არსებობს მე-16-17 საუკუნეებიდან და ახლა მთელ მსოფლიოში არსებობს, რომლის წევრებიც დაახლოებით ექვსი მილიონია

დიდ ლოჟებში Grand Lodges შოტლანდიაში, ირლანდიაში, ინგლისში, აშშ-ში, საფრანგეთსა და იტალიაში. მათი ლოზუნგია: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. ისინი ტიტულებს არ იყენებენ, ისეთებსაც როგორიცაა Mr, Mrs, და სხვა. მასონების საზოგადოების კანდიდატი უნდა იყოს: მამაკაცი, სულ მცირე 18 წლის, კარგი მორალით, კარგი რეპუტაციით, საღი გონებითა და სხეულით, დაბადებული არამონობაში, ორი მასონის დახასიათებით. ცნობილი მასონები იყვნენ მოცარტი, ისააკ ნიუტონი, ვოლტერი, ნიცშე, გარიბალდი, ამერიკელი მამები, ოლივერ კრომველი Mozart, Isaac Newton, Voltaire, Nietzsche, Garibaldi, American fathers, Oliver Cromwell, რომელთაც დააარსეს საპარლამენტო სისტემა და აქტიურად მონაწილეობდნენ კათოლიკური ეკლესიისა და მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამეფო საზოგადოების Royal Society დამაარსებელი, ელიას აშმოლი Elias Ashmole მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ფრანკო მასონების ჩამოყალიბებაში 1646 წელს. თომას ჯეფერსონი Thomas Jefferson ემხრობოდა ეკლესიისა და სახელმწიფოს სეკულარიზაციას. ის წერდა თავის „შესწორებულ“ ბიბლიას, დააარსა სეკულარული უნივერსიტეტი, მაგრამ იყო რასისტი, ანუ მოწინააღმდეგე იყო აფრო-ამერიკელებთან თანასწორობისა.



Freemasons Hall, London,
home of the United Grand Lodge of England.

ამერიკული დოლარის ბანკნოტას აქვს მასონური ნიშნები: შორსმჭვრეტელი თვალი და პირამიდა. სიტყვები „Annuit coeptis“ და „Novus ordo seclorum“ რომაელ პოეტს ვირგილიუსს Virgil ეკუთვნის. „Annuit coeptis“ მოდის ენეიდადან Aeneid, წიგნი IX, 625 ხაზი, რომელიც ითარგმნება „ყოვლისშემძლე, დალოცე (ჩემი) წამოწყებული საქმეები“, რაც არის ენეასის Aeneas შვილების ლოცვა, ისტორიული პერსონის, რომელიც დამარცხებული ტროადან წავიდა და დააარსა რომი. ფრაზა „Novus ordo seclorum“ (ლათინურად „წლების ახალი წყობა“) ხშირად ითარგმნება „მსოფლიოს ახალი წესრიგი“, რომელიც ლათინურად იქნება Novus Ordo Mundi.

ეზოთერული საიდუმლოებანი

წმინდა გრაალი HOLY GRAIL (GRAAL)

ბევრი ლეგენდა არის დაკავშირებული ნივთებთან, რომლებიც ტამპ-ლიერებმა შესაძლებელია გათხრების დროს აღმოაჩინეს ტაძრის მთაზე, როგორიცაა წმინდა გრაალი ან ათი მცნების კიდობანი. გრაალზე პირველი რომანსი „Le Conte du Graal“ დაწერა 1180 წელს ქრისტიან დე ტროამ Chrétien de Troyes[1]. ოცი წლის შემდეგ 1210 წელს, „პარციფალი“ დაწერა ვოლფრამ ფონ ეშენბახმა „Parzival“ (Percival, Parsifal) Wolfram von Eschenbach, სადაც რაინდებს უწოდებდნენ „ტამპლიერებს“ და მოხსენიებულნი იყვნენ, როგორც გრაალის სამეფოს მცველნი. ის წერდა, რომ გრაალს ინახავდნენ კათარები. ეს ისტორია დაწერილია ხელნაწერის მიხედვით, რომელიც აღმოაჩინეს ტოლედოში, არაბულად დაწერილი. გალფრიდ მონუთმა Galfrid Monuth წიგნში „ბრიტანელი მეფეების ისტორია“ აღწერა მრგვალი მაგიდის რაინდები მეფე არტურის მეთაურობით, რომელთა მოვალეობაც იყო გრაალის გათავისუფლება.

იოსებ არიმათიელი Josef of Arimathea მოხსენიებულია კანონიკურ ბიბლიაში როგორც ადამიანი, რომელსაც გადასცეს იესო ჯვრიდან ჩამოხსნის შემდეგ. მაგრამ არაკანონიკურ აპოკრიფულ წიგნებში მას უფრო თვალსჩინო როლი აკისრია. ლეგენდების მიხედვით იოსები გაემგზავრა ევროპაში და გრაალი გადასცა კელტებს. მითუმეტეს ცნობილია, რომ 66 წელს პალესტინა ისევ აჯანყდა რომის წინააღმდეგ და 4 წლის შემდეგ 70 წელს იმპერატორ ტიტუსის ლეგიონებმა სრულად გაანადგურეს იერუსალიმი. 135 წელს რომაელებმა ებრაელებს საერთოდ აუკრძალეს პალესტინაში ცხოვრება. ყველა მათი საკრალური ნივთები ხრამებიდან გადაიტანეს რომში. სამწუხაროდ, ვიზიგოთების მეფის ალარიკის მიერ რომის ძარცვის შემდეგ ყველა ეს საგანი უგზოუკლოდ დაიკარგა. მის სემდეგ პერიოდულად ჩნდებოდა ლეგენდები, რომ ეს სიწმინდეები იყო ნაპოვნი ხან ტამპლიერების მიერ, ხან კატარებისა და ა.შ. მითუმეტეს ტამპლიერებმა ასევე შესაძლოა რაღაცა მოიპოვეს იერუსალიმში ტაძრის მთაზე გათხრების დროს.

ბევრი ავტორი ფიქრობს, რომ ტამპლიერმა რაინდებმა საუკუნეების მანძილზე გაასაიდუმლეს იესოს სისხლის ხაზი და ეს არის ნამდვილი საიდუმლო წმინდა გრაალზე. „San Grail“ ფრანგულად ნიშნავს წმინდა გრაალს Holy Grail – „სანგ რიალი“ Sang real სამეფო სისხლი Royal blood. გნოსტიკური სახარებები გვაცნობენ, რომ იესო ახლოს იყო მარიამ მაგდალინელთან Mary Magdalene, ცოლად შეირთო იგი და შვილიც ეყოლა. ლეგენდებში

[1] საფრაგეთის ქალაქებს ტროა და პარიზი დაარქვეს მეროვინგელმა მეფეებმა მათი ლეგენდარული წინაპრების მოსაგონრად აზიის ტროის ისტორიიდან. ასევე საინტერესოა, რომ ოქროს საზომი ერთეული „ტროის უნცია“ troy ounce ამ ქალაქის სახელიდან წარმოიშვა.

მარიამ მაგდალინელმა იმოგზაურა იოსებ არიმათიელთან ერთად ევროპაში და სათავე დაუდო მეროვინგთა დინასტიას, რომლებიც განსაკუთრებული გარეგნობის დიდი პროპორციების ადამიანები იყვნენ. საინტერესოა, რომ როზიკრუსიული ლეგენდაც Chymical wedding მოგვითხრობს სამეფო სისხლის ბავშვზე, რომელიც მუსლიმების გამო დაკარგა სამეფო და იძულებული იყო თავშესაფარი უცხოეთში ეპოვნა. ზოგი ავტორი წერს, რომ არ იყო შემთხვევით, რომ ფრანგულ ტროაში დაბადებული ტამპლიერების დამაარსებელი ჰუგო დე პეიენი ასე იყო დაახლოებული იერუსალიმის მეფესთან, ვინაიდან მან იცოდა მეროვინგების ქრისტესგან წარმოშობის საიდუმლო და, სავარაუდოდ, ჰუგო დე პეიენის, როგორც შამპანის საჰერცოგოს წარმომადგენლის, მეროვინგების დინასტიის შესაძლო შთამომავლობის შესახებ.

„გრაალის ლეგენდაში“, რომელიც დაწერა კრისტიან დე ტროამ, ის იყო ჭურჭელი. ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“ ის ქვა იყო. საბოლოოდ რობერტ დე ბორონმა Robert de Boron წიგნებში „რომაელები გრაალის შესახებ“ და „მერლინი“ გააქრისტიანა ლეგენდა და აღწერა, რომ ეს იყო თასი, საიდანაც იესომ შესვა საიდუმლო სერობის Last Supper დროს, როდესაც ეუქარისტია იყო წარმოდგენილი, და შესაძლოა ეს არის სწორედ ის ჭურჭელი, რომელშიც ჯვარზე გაკრული იესოს სისხლი მოაგროვა იოსებ არიმათიელმა.

ქრისტიანულ ევროპაში, ტრადიციულად, გრაალი წმინდა ფინჯანია, რომელიც გამოიყენა მხსნელმა საიდუმლო სერობაზე. მასში იყო ღვინო, მაგრამ მაცხოვარმა მიმართა თავის მოწაფეებს: „შესვით აქედან. რადგან ეს ჩემი სისხლია“. ქართველი მწერლების მიხედვით (ზ. გამსახურდია „საქართველოს სულიერი მისია“), იოსებ არიმათიელმა აავსო იგივე თასი ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით. ქართულ ფრესკებზე და ხატებზე იგი გამოსახულია თასით ხელში. უსაფრთხოების მიზნით, მან ეს თასი შორეულ წერტილში წაიღო – ირლანდიაში. მოგვიანებით, შუა საუკუნეების ევროპაში, ევროპელი რაინდების, მრგვალი მაგიდის რაინდებისა და ტამპლიერების მფლობელობაში იყო. ჯვაროსნები დაბრუნდნენ იერუსალიმში და დაამყარეს ახლო კავშირი საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელთან. ქართველი მწერლების მიხედვით, მე-12 საუკუნის გერმანელმა პოეტმა ვოლფრამ ფონ ეშენბახმა მიუთითებდა „პარციფალში“, რომ გრაალი საქართველოში ჩამოიტანეს მეფის დავითის დროს. გელათის ცნობილ ფრესკაზე მეფე დავითი გამოსახულია ეკლესიით ხელში. ეს არის მეფისა და ღმერთის კომბინაციის სიმბოლო. იმ დროს არსებობდა ტრადიცია საიდუმლო ბერ-მონაზვნობისა და სამონასტრო ცხოვრებისა. ის იყო ვისაც ჯვაროსნებმა მიმართეს, როგორც მეფე-მღვდელ იოანეს და რომელსაც გადასცეს გრაალი, მაგრამ მონღოლთა შემოსევების დროს დამალეს ან დაკარგეს.

იდუმალი მეროვინგები MEROVINGIANS

მნიშვნელოვანი დასავლური ეზოთერული მითები დაკავშირებულია მეროვინგთა დინასტიასთან. ლეგენდის მიხედვით, მარია მაგდალინელმა და იოსებ არიმათიელმა გასცურეს ევროპისკენ ძვ. წ. 44 წელს და დასახლდნენ მარსელში, ლანგედოკის პროვინციაში, სამხრეთ საფრანგეთში, სადაც კათარებსა და ტამპლიერებს ეპყრათ რამდენიმე ციხესიმაგრე. მარიამმა იესოს შვილთან და ფრანკებთან ერთად დააარსა ახალი სამეფო მეროვინგული დინასტია. იოსებმა შესაძლოა გააგრძელა მოგზაურობა უფრო შორს, ირლანდიაში და ბრიტანულ კუნძულებზე ავალონში (კელტების სამოთხე) მეფე არტურთან. იმხანად, პეტრემ, იესოს მოწაფეთაგან ერთ-ერთმა, და პავლემ, მოგვიანებით მოციქულმა, დააარსეს რომაული ეკლესია. ისინი ქალების წინააღმდეგნი იყვნენ. მათგან განსხვავებით იესო არასდროს ჩაგრავდა ქალებს.

მეროვინგების დინასტიის მეფეები მეფობდნენ თანამედროვე საფრანგეთის და გერმანიის ტერიტორიაზე მე-5-6 საუკუნეებში, ინგლისში მეფე არტურის დროს, და კათოლიკურმა ეკლესიამ ისინი აკურთხა, როგორც საღვთო რომის იმპერატორები[1]. თუმცა ისინი ბიზანტიელ იმპერატორებისთვის კონკურენტებს წარმოადგენდნენ, გარკვეული მიზეზების გამო მეროვინგები უმალ იყვნენ აღიარებული ბიზანტიელების მიერ. მეროვინგები ამტკიცებდნენ მათ შთამომავლობას ნოესა და ტროელებისგან. მეროვინგელმა ფრანკებმა დააარსეს და სახელი დაარქვეს ქალაქებს, როგორიცაა ტროა და პარიზი Troyes and Paris. ადრეული მეროვინგები იდუმალები იყვნენ, ზებუნებრივი უნარებით, თანამედროვეების მიერ ზოგჯერ მოხსენიებული იყვნენ, როგორც „გრძელთმიანი მეფეები“, რადგან გრძელი თმით გამორჩეულნი იყვნენ ფრანკებისგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, თმას მოკლეზე იჭრიდნენ. მეროვინგ მეფეებს მრავალი ცოლი ჰყავდათ და არასდროს ზრუნავდნენ სამეფო დინასტიის ქორწინებით გამყარებაზე, რადგან თავი მიაჩნდათ, ყველაზე წმინდა სისხლის მატარებლად, რადგან ისინი იყვნენ იესოს დინასტიის შთამომავალნი მარიამ მაგდალინელისგან, ნამდვილი წმინდა სისხლის sang real Saint Grail.

არსებობს ევროპელი ავტორების ვერსია, რომ იესო მართლაც იყო იუდეველთა მეფობის პრეტენდენტი. ვარაუდობდნენ კაენის Cain დინასტიის ხაზს (შუმერის მეფეებისა და ეგვიპტის ფარაონებისგან) მეფე დავითამდე და შემდგომში იესომდე. თუ იესო მართლაც არ იყო იუდეის სამეფოს უფლებამოსილი კონკურენტი, მაშინ რატომ იყო ჰეროდე Herod ასეთი შეშინებული ნაზარეთელ ემიგრანტზე და ბრძანა ყველა ბავშვის მოკვლა. მაგრამ ნაზარეთი დაარსდა ჩვენი წელთაღრიცხვის შემდეგ. იესოს ცხოვრების

[1] სამწუხაროდ, 800 წელს, რომის პაპმა აკურთხა კაროლინგი კარლოსი, ფორმალურად მეფის გვირგვინის უზურპატორი, როგორც რომაელი იმპერატორი, და ამ ფაქტის რომის ეკლესიის მიერ დაფარვის მცდელობამ საფუძვლიანად შეცვალა მსოფლიოს ეზოთერული ისტორია.

დროს ნაზარეველი ნიშნავდა ტიტულს, როგორც ახლა რაბინის სახელწოდება. უძველესი ებრაული ტრადიციების მიხედვით, მხოლოდ ამ სახელითა და დაქორწინებულ ადამიანს შეეძლო ვინმესთვის სწავლება.

ძველი აღთქმიდან ვიცით, რომ პირველი ებრაული სამეფო დინასტია დააარსა მეფე საულმა ბენიამინის ტომიდან, რომელიც დავითმა იუდეის მეფობას ჩამოაშორა და დედაქალაქი იერუსალიმში გადაიტანა. რომაული ადმინისტრაცია და რომის ეკლესია ცდილობდნენ დაემალათ ყველა ცნობა, რაც დაკავშირებული იყო დავითის სამეფო ოჯახის და იესოს შორის, რადგან მარია მაგდალინელთან იესოს ქორწინებით, ბენიამინის ტომის შთამომავალთან, სერიოზულ პრეტენდენტად იქნებოდა იუდეის მეფობაზე.

ამასთან დაკავშირებით წყლის ღვინოდ გადაქცევის ამბავია გასახსენებელი: თუკი ეს მხოლოდ ბანალური ცერემონია იყო, მაშინ რატომ იყო იესოსთვის ასეთი მნიშვნელოვანი, რომ თავისი პირველი სასწაული ეჩვენებინა, სადაც ნეფე-დედოფლის სახელებიც კი არ არის დასახელებული. კარგად არის ცნობილი, რომ ღვინისადმი ყურადღება საქმროს პასუხისმგებლობაა. ამას გარდა, იესოს დედის კითხვები და ნერვიულობა იმ საკითხზე, რაც უცხო ადამიანის ქორწილში იყო, ძალზედ უჩვეულო გახლდათ. წერია, რომ იესომ 600 ლიტრი დაამატა უკვე დალეულ ღვინის რაოდენობას, რაც აშკარად გამოყოფს ქორწილის მაღალ მნიშვნელობას და სტუმრების დიდ რაოდენობას. შესაძლოა ეს იესოს მარიამზე ქორწინება იყო?

რატომ მოჰყვა მის საზოგადოებაში გამოჩენას დიდი ყოყმანი, თუ ის მართლა არ იყო სამეფო სისხლის. სინოდს უფლება ჰქონდა, ნება მიეცათ ქვებით ჩაექოლათ, მაგრამ აკრძალული იყო სამეფო გვარის წარმომადგენლების ქვებით ჩაქოლვა და იგი პილატეს გაუგზავნეს. პილატე აშკარად არ იყო ხუმრობის გუნებაზე, როდესაც იესოს ეკითხებოდა, იყო თუ არა ის იუდეას მეფე. რატომ იყო პილატე დასჯილი რომის იმპერატორის მიერ და სასწრაფოდ გადაყვანილი დასაკარგავში, ცივ ევროპაში ველურ გერმანელებთან საზღვარზე?

იმ მიზნით, რომ დაემალათ სანგრეალი – სამეფო სისხლი ან წმინდა გრაალი, დაარსდა წმინდა დაწესებულება Holy Office (კათოლიკური ინკვიზიცია Inquisition). ეს კონსპირაცია იყო მიზეზი, რის გამოც ამდენი მნიშვნელოვანი ნაწერი არ იყო შესული ახალ აღთქმაში; რატომ იყვნენ მეროვინგელი და სტიუარტის დინასტიები გადაყენებული. ბიბლიაში არაფერია ნათქვამი იესოს 33 წლიანი ცხოვრების შესახებ.

სრულიად გაუგებარი იყო კათოლიკური ეკლესიის (და არა ბიბლიის) ქალის დისკრიმინაცია საეკლესიო ცხოვრებაში: „ქალებისთვის არ იყო ნებადართული ტაძარში საუბარი... ქალზე უპირატესი კაცია“. რომის ეკლესია ისეთი შეშინებული იყო ქალით და დედობით, რომ 1138 წელს დამკვიდრდა დაუქორწინებლობის კანონი მღვდლებისთვის, რაც არ იყო ბიბლიაზე დაფუძნებული.

უცნაურია, რომ იესოს სხეული ჯვარცმის შემდეგ გადასცეს „უცხო“ ადამიანს, იოსებ არიმათიელს. მაგრამ, თუ იესომ ცოლად შეირთო მაგდალინა, იოსები შესაძლოა მისი ნათესავი ყოფილიყო. როდესაც იოსებ არიმათიელმა

პილატეს იესოს სხეული სთხოვა, პილატე დაინტერესდა, თუ რატომ გარდაიცვალა იესო ასე სწრაფად და გაგზავნა ჯარისკაცი შესამოწმებლად. ცნობილია, რომ ჯვარცმული ადამიანები ძალზედ ნელა კვდებოდნენ. ჯარისკაცმა იესო შუბით განგმირა (ლონგინოზის შუბი Longinus Spear) და დაადასტურა მისი სიკვდილი. ცნობილია, რომ იესომ გრძნობა დაკარგა მაშინვე, რაც ძმრიანი ღრუბელი მიუტანეს პირთან იმ მიზნით, რომ წყურვილი მოეკლათ. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო, მაგრამ მაშინვე ამის შემდეგ და მანამდე, სანამ ფეხებს გადაუმტვრევდნენ სწრაფი სიკვდილისთვის, „ის აღესრულა". ზოგი ავტორი ამტკიცებს, რომ მას ღრუბელში გაჟღენთილი ნარკოტიკი მიაღებინეს, რამაც სიკვდილის ნიშნები გამოიწვია, ხოლო მოგვიანებით ის აღსდგა. ყურანიც ნათლად ამტკიცებს, რომ იესო ჯვარზე არ გარდაცვლილა.

მეროვინგებმა შექმნეს უდიდესი საღვთო რომის იმპერია, მაგრამ მე-8 საუკუნეში, კათოლიკე ისტორიკოსების მიხედვით, დეგრადირებულ იქნენ ფუფუნებაში. 732 წელს კარლოს (ჩარლზ) მარტელი Karl (Charles) Martel მეთაურობდა ფრანკებს მურ-სარაცინების წინააღმდეგ ბრძოლას ტურსში (პუატიე) Tours (Poitie) და მან შეაჩერა მუსლიმების ევროპაში გაფართოება. 741 წელს მისმა ვაჟმა პეპინმა ოფიციალურად გადააყენა მეროვინგები და 754 წელს დააარსა ახალი კაროლინგული დინასტია, რომელმაც დაიმსახურა კათოლიკური ეკლესიის მდუმარე მხარდაჭერა, რამაც საფუძვლიანად შეცვალა მსოფლიოს ეზოთერული ისტორია. შესაძლოა რომის ეკლესია გეგმავდა კათარებთან ბრძოლას და მათ არ აწყობდათ საფრანგეთში მარია მაგდალინელის სამეფო დინასტია, რომელსაც დიდად აფასებდნენ კათარები.

ევროპელი ავტორების მიხედვით, მალე აღმოჩნდა, რომ უკანასკნელი მეროვინგელი მეფე დაგობერტი Dagobert არ მომკვდარა და მისი ვაჟი იესოს სისხლთან ერთად გადარჩა. მას შემდეგ დაიწყო ფარული ბრძოლა უფლებამოსილი ლოტარინგია-ლორეინის დინასტიის[1] Lotharingia-Lorraine (Anjou, de Guise, Luxembourg and Armagnac) dynasty აღდგენისათვის, კაპეტინგების და ვალუა-ბურგუნდიის[2] დინასტიების Capet and Valois-Burgundy ნაცვლად

---

[1] ჰაბსბურგ-ლორეინის დინასტიას ახლა ხელმძღვანელობს კარლ ჰაბსბურგ-ლოტრინგენი Karl Habsburg-Lothringen (1961 წ.), ავსტრიის ტიტულოვანი მეფე (თუმცა ტიტულების ტარება ავსტრიაში აკრძალულია), ასევე უნგრეთის, ბოჰემიის, სხვა და ასევე იერუსალიმის, ოქროს საწმისის ორდენის დიდი ხელმძღვანელი Grand Master of the Order of the Golden Fleece, ევრო-პარლამენტის წევრი არჩეული ავსტრიელი ხალხის მიერ 1996-9 წწ.

[2] ტრადიციულად, ფრანკი კაპეტინგების სამეფო დინასტიაც ასევე ამტკიცებდა მათ წარმომავლობას ტროელებისგან. კიდევ ერთი ლეგენდის მიხედვით, ტროელები ხმელეთით მოგზაურობის დროს დროებით დასახლდნენ უძველეს ქალაქ აკვინკუმში Aquincum (ახლანდელი ბუდაპეშტი), რაც ამტკიცებდა მათ უნგრული სამეფო დინასტიის წინაპრობას. თუმცა უნგრელები, მადიარები, 1000 წელს შემოვიდნენ აქ საცხოვრებლად ციმბირიდან.

Godefroy or Godfroi (Godfrey) de Bouillon, იერუსალიმის ქრისტიანული სამეფოს დამაარსებელი

(ასწლიანი ომი 1337-1453 წწ.). ახლა უკვე შეიძლება აიხსნას ნაკლებად ცნობილი ფიგურის გოდფრი დე ბუიონის Godfrey (Godefroy or Godfroi) de Bouillon აღიარება, როგორც იერუსალიმის მეფის, რადგან ის ლორეინის ჰერცოგი იყო და შესაძლოა მეროვინგების შთამომავალიც[1]. ეს პირველი ჯვაროსნული ლაშქარი ოთხმა ევროპელმა მეფემ წამოიწყო, მაგრამ მხოლოდ გოდფრი დე ბუიონმა გაყიდა მთელი თავისი ქონება, მოიჭრა ყველა დასაბრუნებელი გზა, თითქოს წინასწარ დარწმუნებული იყო, რომ ის გახდებოდა წმინდა მიწის მეფე. და ეს მართლაც სასწაულებისამებრ, გამართლდა. ის ყველა მონარქმა აღიარა ყოველგვარი კითხვის გარეშე. თუმცა მან, ღრმა მორწმუნემ, უარი თქვა მეფობაზე იმ ქალაქში, სადაც ქრისტე მეფობდა და მხოლოდ სეკულარულ მმართველად თვლიდა თავს – „ღვთის საფალვის მცველად“ Defender of the Holy Sepulchre (1099-1100). მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ მისი ძმა ბოლდუინ I Baldwin (1100-1118) იკურთხა, როგორც იერუსალიმის პირველი ლათინი მეფე.

1289 წელს იერუსალიმი დაიკარგა, მაგრამ ამ ამბავს მოულოდნელი გაგრძელება ჰქონდა ერთი საუკუნის შემდეგ 1428 წელს, როდესაც ანჟუ რენე René of Anjou, ლორეინის ჰერცოგი და იერუსალიმის ტიტულარული მეფე, გოდფრი დე ბუიონის შთამომავალი, აქტიურად უჭერდა მხარს ჟანა დ’არკს Joan of Arc (Jeanne d’Arc), დაბადებულს იგივე ლორეინში, პროინგლისელი ფრანგი ბურგუნდია-ვალუას დინასტიის მეფის ფილიპე ლამაზის Philip the Good, წარმართული ოქროს საწმისის კათოლიკური ორდენის დამაარსებლის წინააღმდეგ. ცნობილია ეპოქალური დაპირისპირება ფრანგული სამეფო დინასტიისა ჰაბსბურგების წინააღმდეგ, რომლებიც ორივე ბანაკიდან წარმართული ოქროს საწმისის კათოლიკური ორდენის წევრები იყვნენ. 1633 წელს, 30-წლიანი ომის დროს, კათოლიკე საფრანგეთის კათოლიკე კარდინალმა რიშელიემ Richelieu გაგზავნა ჯარები პროტესტანტების მხარდასაჭერად კათოლიკე ესპანეთისა და ავსტრიის ჰაბსბურგების წინააღმდეგ. შემდეგ ცდაზე

[1] გოდფრი ბუიონი გაიზარდა მეფე არტურისა და წმინდა გრაალის ლეგენდებზე, იყო ფლორენციელი მედიჩისა Medici და მილანელი სფორცას Sforza, ევროპაში რენესანსის Renaissance ფუძემდებლების, მეგობარი. მედიჩებმა გახსნეს პირველი საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა ევროპაში, სან მარკოში 1444 წელს, ამით კი დასრულდა ეკლესიური მონოპოლია განათლებაზე. იქ ითარგმნებოდა ბერძნული და არაბული ეზოთერული წიგნები.

ლოტარინგული ოჯახი, მათი ავსტრიელ ჰაბსბურგელ მარია-ანტუანეტასთან Maria-Antoinette ნათესაობის მეშვეობით, რომელიც გახდა მმართველი მეფე ლუი XVI-სთან ერთად, ცდილობდა აღედგინა თავდაპირველი დინასტია საფრანგეთის სამეფოსთვის, მაგრამ დაიწყო რევოლუციების სერია და მეროვინგების ოცნება სამუდამოდ დასრულდა.

როგორც ჩანს, ნაპოლეონმაც იცოდა მეროვინგების დინასტიის შესახებ, პოზიტიურად იყო განწყობილი და ეს ისტორია გამოიყენა დასამტკიცებლად, რომ ბურბონების დინასტია არ იყო ლეგიტიმური მან მიატოვა ჟოზეფინა Joséphine ყოველგვარი მიზეზის გარეშე ცოლად შეირთო მარია-ლუიზა Mari-Louise, ჰაბსბურგ-ლორეინის ოჯახის ავსტრიელი იმპერატორის ქალიშვილი, მეროვინგელი ოჯახის შთამომავალი, და ერთადერთი მემკვიდრეც მასთან ჰყავდა.



„თავისუფალი საფრანგეთის“ სიმბოლოდ დე გოლმა De Gaulle აირჩია ლოტარინგული (ლორეინის) ჯვარი. ტამპლიერების თავდაპირველმა რაინდებმა ლორეინის ჯვარი ჯვაროსნებს გადასცეს, რომელიც მათ იერუსალიმის პატრიარქმა გადასცა სამსახურისთვის.

ლოტარინგების ოჯახი და სტიუარტები ნათესავები იყვნენ. ამით შეიძლება აიხსნას, რომ შოტლანდიელმა კარლ (ჩარლზ) II სტიუარტმა (რომელიც ტიუდორების შემდეგ მოვიდა) დააარსა მასონური სამეფო საზოგადოება 1645 წელს, თუმცა კრომველს მხარს უჭერდნენ ინგლისელი მასონები. შოტლანდიელი სტიუარტები ამოგდებულნი იყვნენ სამეფო ტახტიდან გერმანელი ჰანოვერელი ვინდზორის Windsor დინასტიის მიერ, რაც არ აღიარეს შოტლანდიელმა მასონებმა. მაგრამ ბრიტანელი პროტესტანტები იძულებულნი იყვნენ, მხარი დაეჭირათ პროტესტანტ ჰანოვერელ მეფისთვის კათოლიკე შოტლანდიელი სტიუარტების წინააღმდეგ. ასე დაიწყო ქიშპობა ლონდონის ლოჟისა, რომელიც დაარსდა, როცა მთელი ევროპიდან ყველა მშენებელი ჩამოვიდა, რათა აღედგინათ ლონდონი დიდი ხანძრის შემდეგ 1666 წელს, და შოტლანდიის ლოჟას შორის, რომელიც ეზოთერულად უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო. თავდაპირველი მასონური საიდუმლოებები, სავარაუდოდ, დაკარგულია და თანამედროვე მასონობა მხოლოდ გარეგნულ რიტუალებს მოიცავს.

პროტესტანტული ეკლესიები

ტამპლიერების დროიდან რომაული დოგმატური ეკლესიის ტრადიციები განიცდიდა შეტევებს რეფორმატორებისგან. ბნელ შუა საუკუნეების წლებში (ბარბაროსი გოთების შემოსევების შემდეგ მე-3-4 საუკუნეებში) ხელოვნება, ფილოსოფია, ლიტერატურა, ასტრონომია, მათემატიკა, მედიცინა და სექსი აკრძალული იყო. კულტურის და ტექნიკური პროგრესის ექსტრემალურად

სწრაფი განვითარება დაიწყო თომა აქვინელის Phoma Aquin მიერ დოგმატური რელიგიების კრიტიკის შემდეგ. „ექსპერიმენტი, ექსპერიმენტი“, რაც არის მთავარი ლოზუნგი სერ როჯერ ბეკონის Roger Bacon სწავლებისა: „თავი დაანებე დოგმებითა და ავტორიტეტებით თქვენივე მართვას; შეხედეთ მსოფლიოს!“ რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელი იყო ევროპის შორეულ დასავლეთში, სადაც ეკლესიის სისუსტით ვერანაირი გარეშე მტერი ვერ ისარგებლებდა და ვერ შემოიჭრებოდა. მხოლოდ იქ იყო შესაძლებლობა თავისუფალი კრიტიკული აზროვნების განვითარებისა.

ოფიციალურად პროტესტანტიზმი ჩამოყალიბდა მე-15 საუკუნეში. როდესაც რომის კათოლიკე ეკლესიამ გადაწყვიტა რომში წმინდა პეტრეს და პავლეს ბაზილიკის აგება 1517 წელს, რომის პაპმა უფლებები აღუდგინა ინდულგენციებით ვაჭრობას. ფასების პრეისკურანტი შეიცავდა ისეთი გაუკუღმართოებების აღწერას, რომ აღაშფოთა სრულიად ევროპის საზოგადოება. მარტინ ლუთერმა Martin Luther, ვიტენბერგის Wittenberg პროფესორმა, გამოსცა 95 თეზისი, სიმბოლურად მიაჭედა უახლოესი ეკლესიის კარზე და დაიწყო პროტესტანტული რეფორმაცია.

ამის შემდეგ დაიბადა კონტრრეფორმაცია. სკულპტორი ბერნინი Bernini, ბაროკოს დამფუძნებელი და რომის უდიდესი არქიტექტურული ქანდაკების შემქმნელი, იყო უდიდესი ინიციატორი კონტრრეფორმაციისა. მან შექმნა ჩონჩხის სახე, როგორც დროის ჩავლის სიმბოლო.

კონტრრეფორმაციის მიზნით გაფორმდა სამხედრო იეზუიტების ორდენი. ბასკმა იგნასიო დე ლოიოლამ Ignace de Loyola დააარსა 8-კაციანი საძმო. 1540 წელს პაპმა ორდენი აღიარა. ისინი გახდნენ კათოლიკე ეკლესიის ინტელექტუალი ელიტა. 30-წლიანი ომის გამო კათოლიკე ჰაბსბურგელებსა და პროტესტანტების შორის (1618-1648 წწ.) 5 მილიონი ევროპელი განადგურებული იყო და ცენტრალური ევროპა უდაბნოდ იქცა.

ჰენრი VIII-ისა და ელიზბეტ ტიუდორის დროს ანგლიკანებმა Anglicans გამოაცხადეს დამოუკიდებლობა რომის ეკლესიისგან. ფრანგმა რეფორმატორმა ჯონ კალვინმა მე-16 საუკუნეში წინ წამოსწია კალვინიზმი Calvinism. პრესვიტერიანიზმი Presbyterianism სათავეს იღებს შოტლანდიაში ჯონ კალვინის John Calvin მაგალითით, რომელიც პრაქტიკულად ჟენევაში ძალზედ გავლენიანი იყო. მეთოდიზმი Methodism სათავეს იღებს ჯონ ვისლის John Wesley ევანგელისტური მოძრაობისგან ანგლიკანიზმში მე-18 საუკუნეში.

ბაპტისტების Baptists უძველესი ეკლესია 1609 წელს ამსტერდამში დაარსდა ინგლისელი სეპარატისტის ჯონ სმითის მიერ John Smyth. 1639 წელს როდ აილენდი Rod Island ნიუ იორკში ეკუთვნოდა ამ სექტას. კვაკერები Quakers ინგლისსა და უელსში დაარსებულია პრესვეტერიანელი ჯორჯ ფოქსის George Fox მიერ 1647 წელს.

მორმონიზმი Mormonism დააარსა ჯოზეფ სმიტმა Joseph Smith 1830 წელს და მათთვის მიღებული იყო მრავალცოლიანობა. 17 წლის ასაკში მას გამოეცხადა უფლის ანგელოზი, სახელად მორონი, და გამოუცხადა, რომ

ოქროს ფირფიტებზე გრავირებული უძველესი წინასწარმეტყველების ნაწერი, დამარხული იყო ნიუ იორკის ახლოს მთის ქვეშ.

ადვენტიზმი Adventism დაიწყო უილიამ მილერის William Miller მიერ და მათ განსაკუთრებით სჯეროდათ მეორედ მოსვლის.

იეჰოვას მოწმეები Jehovah's Witnesses დაარსდა 1870 წელს სიონის საგუშაგოს Zion's Watch Tower საზოგადოებასთან ერთად იოსებ ფრანკლინ რუთერფორდის Joseph Franklin Rutherford მიერ. იეჰოვას მოწმეები კარგად არიან ცნობილნი კარდაკარ ქადაგებით, ლიტერატურის დისტრიბუციით, როგორიცაა საგუშაგო კოშკი და გამოღვიძება! ისინი არ აღნიშნავენ დღესასწაულებს, როგორიცაა ქრისტეს შობა, აღდგომა ან დაბადების დღეები. იეჰოვას მოწმეები არ ეწევიან და არ სვამენ ალკოჰოლს, არ ჭამენ შავ პუდინგებს და სისხლიან ძეხვეულს, უარს ამბობენ სამხედრო სამსახურზე, ეროვნული დროშებით მისალმებასა და სისხლის გადასხმაზე. ამიტომ იეჰოვას მოწმეების საქმიანობა დაბლოკილი იყო ან ზოგ ქვეყანაში აკრძალულიც კი.

სიენტოლოგია Scientology შეიქმნა ლ. რონ ჰუბარდის L. Ron Hubbard მიერ 1952 წელს. ჰუბარდმა საენტოლოგია დაახასიათა, როგორც რელიგია, მაგრამ საფრანგეთში, გერმანიასა და ბრიტანეთში მას რელიგიური სტატუსი არ ჰქონია. იგი ასწავლის, რომ ადამიანები უკვდავნი არიან, რომელთაც დაავიწყდათ მათი ნამდვილი ბუნება.

ზოგადად პროტესტანტებს აქვთ კარგი განათლება, ბევრს კითხულობენ, არიან ცნობისმოყვარენი, ინოვაციურები, უარს ამბობენ ომში მონაწილეობაზე, ავრცელებენ სოციალურ სამართალს და თანასწორუფლებიანობას, ყოველთვის სვამენ „რთულ" შეკითხვებს, არიან დამკვიდრებული კანონების წინააღმდეგნი, არასდროს ნებდებიან, იბრძვიან ბედნიერებისთვის, წარმატებულნი და მდიდრები არიან, მე-19 საუკუნეში მონაწილეობას იღებდნენ ანტიმონათმფლობელურ და ადამიანის უფლებებისთვის მოძრაობაში, ეცვათ ჩვეულებრივი ტანსაცმელი (უბრალო კაბა), ისეთივე მიმართვის ფორმა ჰქონდათ, როგორც სხვებს (მაგ., არ იყენებდნენ წოდებებს როგორიცაა Mr, Mrs, სხვა); უარს ამბობდნენ ფიცზე. კათოლიკე ფილოსოფოსები ამბობდნენ, რომ პროტესტანტები ძალზედ პრაგმატულები არიან, რადგან მათთვის მნიშვნელოვანია მატერიალური წარმატება და „ღმერთი ეხმარება მათ, რომლებიც თავიანთ თავს ეხმარებიან". პროტესტანტულ ქვეყნებში დაიწყო მსოფლიოში პირველად ბავშვების ადრეულ ასაკში განათლება და მშობლიურ ენაზე წიგნის კითხვის კულტურის დანერგვა, ვინაიდან ბიბლიის გააზრებული წაკითხვა ყველა მოქალაქეს შეეძლოს.

საპირისპიროდ, მართლმადიდებლობა ქადაგებს, რომ წარმატებული ცხოვრება დედამიწაზე უმნიშვნელოა და უნდა მოვემზადოთ სიცოცხლის შემდეგ ცხოვრებისთვის. პროტესტანტებს სჯერათ, რომ ორივე სიცოცხლე კეთილშობილური უნდა იყოს. მძიმე ისტორიული გამოცდილების გამო მართლმადიდებლობა არ ცნობს ძირითადი აზროვნებიდან გადახვევას,

არანაირ ცვლილებას. ეკლესიაში პოლიფონიური სიმღერაც კი უზარმაზარ წინააღმდეგობას ხვდება.

პროტესტანტიზმის გარდა, ბოლო 20 საუკუნის განმავლობაში რამდენიმე საიდუმლო ეზოთერული საზოგადოება გამოჩნდა და გაქრა. კაბალა, სუფიზმი, ალქიმიკოსობა, ტამპლიერები, როზენკროიცერები, მასონური ლოჟები და სხვა აისბერგის მხოლოდ ხილულ ნაწილს წარმოადგენენ. ვატიკანს აქვს ოკულტური ლიტერატურის ყველაზე მდიდარი კოლექცია.

ევროპის ეზოთერული რენესანსი და ტექნიკური რევოლუცია

ამრიგად, ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ ევროპაში დაწყებულმა ტექნიკურმა პროგრესმა შეცვალა მთელი მსოფლიო. დაიწყო ახალი ტაძრების მშენებლობა გოთურ სტილში (ფრანკული სტილი); ძირითადი აგროკულტურული პროდუქტი იყო პური და სამი სახის სასმელი – ღვინო, ლუდი და სიდრი. აყვავდა ვაჭრობა. ხის სახნავი ჩანაცვლდა უფრო პროდუქტიული მეტალის სახნავით და შემდგომ ბორბლიანი სახნავით. ხარი ცხენმა შეცვალა. გაჩნდა წისქვილები, გემთმშენებლობა, სანახაობები, რუკები. ამავე დროს, დაიწყეს კარტის თამაში, რაინდული ტურნირები (თუმცა ტურნირების აგრესიული ბუნების გამო ეკლესია მას კრძალავდა). რაინდულ-კეთილშობილური მანერებით გამოხატავდნენ ქალის პატივისცემას, იცავდნენ უძლურებს, ბავშვებს. თუმცა იმდროინდელი რაინდობა ხასიათდებოდა უცოლობის ფიცით, როგორც დონ კიხოტის დულსინეა ტობოსელის შემთხვევაში, მაინც პირველად ჩნდება სიყვარული და ეროტიული გრძნობები. ყურადღება ექცეოდა მაგიდასთან ქცევის წესებს (რომაელები დაწოლილი მიირთმევდნენ, ევროპელები მაგიდასთან, მაგრამ ჩანგლის ხმარება პირველად შემოვიდა მე-15 საუკუნეში, თუმცა ბიზანტიაში ჩანგალს მანამდეც იყენებდნენ). ქალის პატივისცემა ასევე დედის და ღვთისმშობლის კულტად იქცა. ეკლესია მკაცრად აკონტროლებდა, რათა ქორწინება არ მომხდარიყო ნათესავებს შორის ინცესტის თავიდან ასაცილებლად. ჰომოსექსუალიზმი დაუშვებელი იყო. ბავშვი დაბადებისთანავე ინათლებოდა. ტაძრებში შემოვიდა ზარის რეკვის ტრადიცია. თეატრი და ცეკვა იკრძალებოდა. მკვდრებს ასაფლავებდნენ ქალაქის შიგნით ან ქალაქგარეთ, შემოსასვლელ გზასთან ახლოს; პროსტიტუცია ლეგალიზდა. ინტენსიურად იყენებდნენ 7 დღიან კალენდარს, პატივს სცემდნენ განათლებას და შრომას. ხმამაღლა კითხვის ტრადიცია ჩაანაცვლა ხმადაბლა კითხვამ. ლათინურის მნიშვნელობა სწავლების სისტემაში შემცირდა (გამოიყენებოდა უფრო ლიტურგიაში). გაჩნდა მშობლიური ენის ფენომენი, კათოლიკურმა ეკლესიამ ევროპაში დაუშვა სამი ენის (ლათინური, ბერძნული, ებრაული) და მშობლიურის თანაარსებობა. ითარგმნა არისტოტელე. ებრაელები იზოლირებულად ვითარდებოდნენ და ამიტომ იდევნებოდნენ.

რა თქმა უნდა, ევროპა ტექნოლოგიურად ყოველთვის უფრო წინ იყო: ინგლისის უძველესი წისქვილის არსებობა თარიღდება 1185 წლით, სათვალე შემოიღეს იტალიაშ 1280-იან წლებში. პიზელმა ლეონარდომ ინდური ციფრები წარუდგინა ევროპას თავის წიგნში Liber Abaci 1202 წელს. მაგრამ 1315-22 წლებში დაიწყო ბუნებრივი კატასტროფები – ამინდი გაუარესდა, რამაც იმოქმედა მოსავალზე. დაიწყო „ეროვნული“ ომების პერიოდი – ასწლიანი ომი, როდესაც პირველად გამოიყენეს ზარბაზნები და რაც დასრულდა შავი ჭირით 1348-1720 წლებში. ევროპელი ქრისტიანების 50-70% განადგურდა.

მე-14-15 საუკუნეებში ევროპული ეკონომიკური დინამიკის და მისი ინტელექტუალური ცხოვრების მამოძრავებელი გახდა ის, რომ არ აღიარებდნენ ერთპიროვნულ ძალაუფლებას. ევროპა იყო ქვეყანათა გაერთიანება და მათ შორის მუდმივად იყო უთანხმოება. ჩრდილოეთ იტალიის რესპუბლიკურ ქალაქებში დაიწყო ევროპული კულტურის განვითარება, რასაც ეზოთერულად, ლოგიკურად მოჰყვა ტექნიკური პროგრესი. წამყვანი ძალა ფლორენციაში იყო მედიჩების ოჯახი. ამ პერიოდში ითარგმნა პლატონის დიალოგები. სამწუხაროდ, ყველა წინაქრისტიანული წიგნი განადგურდა ბარბაროსთა შემოსევების დროს. ამ წიგნების მხოლოდ ასლები შემოინახა არაბულ და ესპანეთის მუსლიმანურ ტერიტორიებზე ანდალუსიაში (ტოლედო) და ასევე ირლანდიისა და ბრიტანეთის შორეულ კუნძულებზე. ლეონარდოს მონა ლიზამ, საიდუმლო სერობამ და ა. შ. განსაზღვრა ევროპული ქვეყნების ტექნიკური და კულტურული უპირატესობა დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით. ხალხი გათავისუფლდა, დაიწყეს კითხვა და აღარ ჰქონდათ ხელისუფლების შიში. ამან განაპირობა გონებრივი და ტექნიკური პროგრესი. თუ დანტე იყო რენესანსის შთამაგონებელი ლიტერატურაში, რეფორმაციის შთამაგონებელი აღმოჩნდა როჯერ ბეკონი, იგივე ჯონ დიი Roger Bacon or John Dee (1214-1294 წწ.). ის ასევე ცნობილია დოქტორ მირაბილის სახელით, რომელიც იყო ინგლისელი ფილოსოფოსი. მისი აზრები დაეფუძნა პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომებს. ბეკონი ასწავლიდა ოქსფორდსა და პარიზში. მას გამუდმებით აპატიმრებდნენ შუა საუკუნეობრივი ეკლესიის წინააღმდეგ აზრების გამოხატვის გამო. მისი შრომები ეხებოდა ალქიმიას, დენთის გამოყენებას, მათემატიკას. ბეკონი სწავლობდა ასტროლოგიას და სჯეროდა, რომ ციურ სხეულებს გავლენა აქვს ადამიანის ბედზე.

თუმცა რენესანსის სწავლულები პირდაპირ არ ესხმოდნენ თავს ქრისტიანობას, რენესანსმა დაიწყო სეკულარიზაციის პროცესი ევროპაში. ეკლესიას შეუმცირდა აზრების კონტროლის შესაძლებლობა. პროტესტანტული რეფორმაცია მე-16 საუკუნეში პირდაპირი შეტევა იყო რომის ეკლესიაზე, მაგრამ მიზანი იყო ძველი „სუფთა“ ქრისტიანული ეკლესიის დაბრუნება. სამეცნიერო რევოლუცია, დარვინიზმი, ფრანგული განმანათლებლობა და ენციკლოპედია უძღვოდა ევროპის აზროვნების სრულ გათავისუფლებას. ფეოდალიზმის უარყოფით და კომერციის გაზრდით, ამერიკის აღმოჩენით,

ქაღალდის გამოგონებით, ბეჭდური პრესით, ცეცხლსასროლი იარაღით, საზღვაო კომპასით და ტელესკოპით მოხდა კულტურული და ტექნოლოგიური აღმავლობა ევროპაში. ამერიკის აღმოჩენა შეუძლებელი იქნებოდა ჩინური კომპასის გარეშე. ჩინელების მიერ ქაღალდის გამოგონება ევროპაში ჯვაროსნებმა შემოიტანეს, რომლის გარეშეც გუტენბერგის ბეჭდვა შეუძ-ლებელი იქნებოდა. ბეჭდვა მხოლოდ 50 წლის გამოგონება იყო, როდესაც ლუთერმა დაიწყო თავისი სწავლება და ყველა მის პამფლეტს მაშინვე ბეჭდავდნენ და ის მოდებული იყო მთელ ევროპაში.

16-17 საუკუნეებში პროტესტანტული ევროპა ჩქარი ნაბიჯებით წინ წევს ტექნიკურ პროგრესს. ამ წლებში ჩატარდა „ასტრონომების პროცესები". 1543 წელს გერმანელ-პოლონელი მეცნიერის ნიკოლას კოპერნიკის Nicolas Copernicus სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა მისი მათემატიკური წიგნი „On the Revolutions ofthe Heavenly Spheres". ამ წიგნში მოყვანილი ფორმულების საფუძველზე გალილეო გალილეიმ Galileo Galilei გამოსცა წიგნი „Le Message celeste". იგი შეიცავდა რომის ეკლესიისთვის გაუგებარ მათემატიკურ ფორმულებს, მაგრამ მაინც აიკრძალა, ხოლო 1633 წ., სასამართლოს ძალით, გალილეო აიძულეს გაჩუმებულიყო. გარდა ამისა, გალილეიმ გააუმჯობესა ტელესკოპი, რისი საშუალებითაც გააკეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი აღმოჩენა, იუპიტერის ოთხი დიდი მთვარის ჩათვლით, ვენერას ფაზების აღმოჩენით და სატურნის რგოლების დაფიქსირებით. მან დეტალურად შეისწავლა მზის ლაქები. დაამტკიცა, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს. ეს კათოლიკური ეკლესიისთვის ძირგამომთხრელ იდეოლოგიას წარმოადგენდა, ვინაიდან მტკიცდებოდა, რომ ნებისმიერი მოვლენა, მით უმეტეს პლანეტებისა და მზის მოძრაობა, ექვემდებარება მხოლოდ ფორმულებს, ანუ მეცნიერულად კანონებს. ჯორდანო ბრუნო რომში დაწვეს[1] 1600 წელს ზუსტად იმავეს გამო, რომ ამტკიცებდა, დედამიწა მზის გარშემო ბრუნავსო. მაგრამ გალილეოსგან განსხვავებით, მისი ცოდნა იყო ეზოთერული, ყოველგვარ ასტრონომიულ საფუძველს მოკლებული. მეცნიერება წინ მიიწევდა და 1609 წელს იუჰან კეპლერმა გამოთვალა სამი პლანეტის მოძრაობა.

ისააკ ნიუტონი Isaac Newton (1643-1727) კეპლერისა და გალილეოს წიგნებზე გაიზარდა. მან აღმოაჩინა მიზიდულობის კანონი. ის ამბობდა, რომ მეცნიერება უნდა ეფუძნებოდეს ექსპერიმენტს. ამავე დროს, მან შეისწავლა არგონავტების მარშრუტი, სოლომონის ტაძრის ზომები, რათა აღმოეჩინა ალქიმიური ფორმულა. ის დარწმუნებული იყო, რომ ბიბლიური ტექსტების მათემატიკურ ფორმულებად გადაყვანის შემთხვევაში, ამოხსნიდა სოლომონის ტაძრის საიდუმლოს. მას სჯეროდა „განსაკუთრებული" ადამიანების

[1] ბრუნოს და გალილეოს პროცესებზე მთავარი ინკვიზიტორი იყო კარდინალი ბელარმინი Bellarmin, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად გამოაცხადა 1931 წელს.

არსებობისა. ნიუტონი თვალთმაქცობდა და ამბობდა, რომ იყო შოტლანდიელი. ნიუტონი გახდა სამეფო საზოგადოების პრეზიდენტი 1703 წელს. 1687 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი კალკულაციის ახალი სისტემით, რათა აეხსნა ზეცის მათემატიკური მოდელი. სავარაუდოდ, იგივე მეთოდი დამოუკიდებლად შეადგინა გერმანელმა მათემატოკოსმა გოტფრიდ ლაიბნიცმა Gottfried Leibnitz (1646-1716), მაგრამ პლაგიატობაზე ურთიერთბრალდებებმა გააფუჭა მათი ურთიერთობა.

მსოფლიოში გამოიგონეს ენერგიის ახალი წყარო – ნახშირი. 1650 წელს ბრიტანეთში ენერგიის ნახევარზე მეტი მოდიოდა ნახშირზე. საჭირო იყო ამ ენერგიის გარდაქმნა ძრავაში. 1776 წელს ვატმა და ბულტონმა Watt and Boulton წარადგინეს ნახშირის ენერგიით შექმნილი ახალი ძრავა, ორთქლის ძრავა. საფეიქრო ქარხნებმა რევოლუცია მოახდინეს მსოფლიოში. ქსოვილი იმდენად გაიაფდა, რომ მისი ექსპორტი დაიწყო უკან ინდოეთსა და ჩინეთში. ორთქლმა შეამცირა მილიონობით ფეიქარი ქალი აზიაში მონური შრომისგან, მაგრამ გააჩინა მილიონი მონა ამერიკაში ბამბის პლანტაციებში. მომდევნო ტექნოლოგიური აღმოჩენა იყო ფოლადის გამოდნობის გაუმჯობესება და გაიაფება. 1825 წელს ინგლისში გაიყვანეს პირველი რგინიგზა, შემდგომი ოცდახუთი წლის განმავლობაში კი უკვე თითქმის მთელი ევროპა იყო დაფარული. სუეცის სანაოსნო არხი, სან ფრანცისკო-ნიუ იორკის და ბომბეი-კალკუტას სალიანდაგო გზები დაიგო 1870 წელს. 1885 წელს გოტლიბ დაიმლერი და კარლ ბენცი Gottlieb Daimler and Karl Benz მუშაობდნენ საწვავის ეფექტიან გამოყენებაზე, რომელიც მოთავსდებოდა მობილურ ძრავაში. უინსტონ ჩერჩილმა სამეფო საზღვაო ფლოტის გემებზე ნახშირის გამოყენება შეცვალა ზეთით. 1858 წელს ბრიტანეთის დედოფალმა და ამერიკის პრეზიდენტმა გაცვალეს ტელეგრამები. პირველად ტელეფონის ზარის ხმა გაისმა 1876 წელს, 1895 წელს გამოიგონეს უკაბელო ტელეგრაფი, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საზღვაო ფლოტისთვის. 1906 წელს შეიქმნა რადიო. როგორც კი ინდუსტრიული რევოლუცია დაიწყო, მან შთანთქა მთელი მსოფლიო.

დასავლეთის ამ განვითარებას მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი საგრძნობლად ჩამორჩებოდა. ტექნიკური პროგრესით სარგებლობა შეეძლო მხოლოდ განათლებულ და, თუ ჯერ ბოლომდე თავისუფალი არა, არამონურად მცხოვრებ მოსახლეობას. იაფი ბეჭდვის საშუალებით ჟურნალისტები აქვეყნებდნენ კრიტიკულ სტატიებს. აღმოცენდა ისეთი რამ, რაც არასოდეს არსებობდა: ეს იყო საზოგადოებრივი აზრი. ვოლტერის ენციკლოპედია პირველად გამოიცა 1750 წელს. ხალხმა დაიწყო თავისი შრომის გაყიდვა. შრომა გახდა გასაყიდი საქონელი და დაწესდა მისი ფასი. ვაჭრობა იზრდებოდა, რამაც ფასების ვარდნა გამოიწვია. ხალხი სულ უფრო თანახმა იყო მთავრობების მართვის ქვეშ ეცხოვრა, სამაგიეროდ იყო დაცული, სუფევდა წესრიგი და დაცული იყო პატიოსანი შრომით ნაშოვნი კერძო საკუთრება.

ცნობილია, რომ დიდ ომებს დიდი ინოვაციები მოჰყვება შედეგად: ტანკები, თვითმფრინავები, ჰიროსიმაში ჩამოაგდებული ატომური ბომბი Enola Gay,

რომელსაც პილოტმა თავისი ირლანდიელი ბებიის სახელი დაარქვა. 1957 წელს ხელოვნური სატელიტი და 1961 წელს პირველი ადამიანი გაგზავნეს რუსებმა კოსმოსში. 1969 წელს ამერიკელებმა პირველი ასტრონავტი გაგზავნეს მთვარეზე. ამ პროგრამის მთავარი ინჟინერი იყო გერმანელი გენიოსი ვერნერ ფონ ბრაუნი Wernher von Braun (1912-1977), რომელმაც გამოიგონა რაკეტული ტექნიკა. მან შექმნა ფაო რაკეტები V-2 ნაცისტებისთვის ლონდონის დასაბომბად და აპოლო Apollo რაკეტები ნასასთვის NASA მთვარეზე გასამგზავრებლად. კომპიუტერებმა და ინტერნეტმა ძირეულად შეცვალა კაცობრიობის განვითარება.

საინტერესოა, რომ ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები აღმოსავლეთისთვის შეუმჩნეველი დარჩა. მაგ., ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ჰიგიენური რევოლუცია პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. ომის შემდგომ ხალხმა დაიწყო რეგულარულად ბანაობა, თვეში ერთხელ ან ყოველ ორ კვირაში და ეს დაინერგა სოფლებშიც კი. შედეგად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მუშათა კლასის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა, ვინაიდან მათ გააჩნდათ სამუშაო ადგილები და ქარხნებისა და სხვა სამსახურების ექიმები მათი ჯანმრთელობის რეგულარულ მონიტორინგს ახორციელებდნენ. დღესაც კი გერმანელები ავტომანქანას წელიწადში 19-ჯერ რეცხავენ, ინგლისში 14-ჯერ და ფრანგები 10-ჯერ, ხოლო ამერიკელები 28-ჯერ. მანქანების მოვლა გაცილებით მნიშვნელოვანია ანგლო-საქსურ და გერმანულ ქვეყნებში, ვიდრე ლათინური წარმოშობის ქვეყნებში, სადაც გაცილებით დიდ ყურადღებას აქცევენ პირად გარეგნობას, ანუ უნდა გამოიყურებოდნენ ელეგანტურად და მოდას მისდევდნენ.

თანამედროვე ევროპული ქვეყნების ფორმირების ეთნოპოლიტიკა

ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ ამოუხსნელი შემთხვევების ჯაჭვი მოხდა ევროპაში, რამაც შეცვალა სამყაროს მომავალი. იბერიელების, კელტების, რომაელებისა და გოთების შერწყმით მოხდა თანამედროვე ევროპული ერების ეთნოგენეზი, რაც დღეს განაპირობებს ეთნოპოლიტიკას და ევროპისა და მსოფლიოს მომავალს. გადავხედოთ ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის ისტორიის ეთნოპოლიტიკურ ასპექტებს.

ბრიტანეთის ისტორია

ბრიტანეთის კუნძულის უპირველესი მცხოვრებლები იყვნენ ქვის ხანის მონადირეები (იბერიელები), რომლებიც მოვიდნენ კონტინენტიდან, სავარაუდოდ, კავკასიიდან Caucasian, არარატის მთიდან. კელტები მოვიდნენ რკინის ხანამდე და შეერივნენ იბერიელ მოსახლეობას. რომის იმპერატორმა იულიუს კეისარმა ორი ექსპედიცია მოაწყო ძვ. წ. 55-54 წწ-ში დიდი წარმატების

გარეშე, მაგრამ იმპერატორ კლაუდიუსის ლეგიონებმა ოკუპაციაში მოაქციეს ბრიტანეთის კუნძული ჩვ.წ-ით 43 წელს. ოკუპაცია გაგრძელდა სამ საუკუნეზე მეტ ხანს და რომაელები თავიანთ მისიას ხედავდნენ ადგილობრივების გაცივილიზებაში. ჩვ.წ-ით 120 წელს იმპერატორმა ადრიანემ ააგო დიდი კედელი, რათა დაეცვა გარომანიზებული სამხრეთის ხალხი ველური კელტი შოტლანდიელების, პიქტების ჩრდილოეთში და ზღვისიქითა საქსებისგან. მაგრამ მე-5 საუკუნეში რომაელი ლეგიონები უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ რომში. მაშინვე ბარბაროსმა ტევტონურმა ტომებმა ანგლებმა, საქსებმა და იუტებმა დაიწყეს რეიდები სამხრეთ ბრიტანელების წინააღმდეგ. ბრიტანელი კელტები ნახევრად ლეგენდარული მეფე არტურისა და მისი მრგვალი მაგიდის რაინდების მეთაურობით იცავდნენ ქრისტიანობას წარმართი გერმანული ანგლო-საქსებისგან მე-6 საუკუნეში. ბოლოს ანგლები დასახლდნენ ანგლიაში – ინგლისში და მცირე სამეფოებისგან ჩამოყალიბდა ანგლო-საქსური ინგლისი.

მე-11 საუკუნიდან ნორვეგიელებმა და დანიელებმა (ან ვიკინგებმა) Norsemen, Danes, Vikings დაიწყეს შეტევა ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროზე. 1016 წელს ინგლისი დაიპყრეს დანიელმა მეზღვაურებმა. დანიელებმა და ნორმანებმა უკვე ჩამოაყალიბეს სლავების სამეფო რუსეთში და სიცილიაზე, სადაც ისინი იბრძოდნენ არაბებთან და დააარსეს სამეფო სამხრეთ იტალიაში. საქსმა მეფემ ალფრედ დიდმა დანიელებს მიაღებინა ქრისტიანობა და დაასახლა აღმოსავლეთ ინგლისში, ისინი აგრეთვე დასახლდნენ არხის სხვა მხარესაც, ჩრდილოეთ საფრანგეთში, რომელსაც ახლა ნორმანდია ეწოდება. გადამწყვეტი ბრძოლა ანგლო-საქასებსა და დანიელების ჰაროლდ II-ს მეთაურობით Anglo-Saxons and Danes under Harold II და ნორმანებს შორის უილიამ დამპყრობელის მეთაურობით Normans under William the Conqueror მოხდა 1066 წელს ჰასტინგთან battle of Hastings, სადაც ანგლო-საქასები და დანიელები დამარცხდნენ. ტომობრივი აღრევა ანგლების, საქსების, კელტების, კელტიბერიელების, იუტებისა და დანიელებს შორის გამდიდრდა ნორმანების სისხლით. ასე რომ, ინგლისური ენა დღემდე ნარევია ძველი გერმანული და რომანული (ფრანგული) ენების სიტყვებისა. ნორმანი პლანტაგენეტი Plantagenet მეფეების ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი იყო ჯვაროსანი რიჩარდ ლომგული Richard I the Lion-Heart (1189-1199 წწ.).

არსებობს ცნობები, რომ დაპყრობის შემდეგ ბევრი ანგლო-საქსი დიდგვაროვან გაიქცა ქვეყნიდან 1070 წელს. ფლოტი, რომელიც შედგებოდა 235 გემისგან, გაემგზავრა ბიზანტიის იმპერიაში, სადაც ქრისტიან მეომრებზე დიდი მოთხოვნილება იყო. სკანდინავებთან ერთად ინგლისელები გახდნენ ელიტარული ვარანგიული გვარდიის Varangian Guard წევრები, საიდანაც შედგა იმპერატორის პირადი დაცვა. ინგლისელი მიგრანტების ნაწილი დასახლდა ბიზანტიის საზღვრისპირა რეგიონებში შავი ზღვის სანაპიროზე და დააარსეს ქალაქები სახელებით „ახალი ლონდონი“ და „ნიუ იორკი“ „New London“ and „New York“ .

რადგან ინგლისი დაპყრობილი იყო ნორმანების სამეფო ოჯახის მიერ, რომლებიც საუბრობდნენ ფრანგულად და ნომინალურად იყვნენ ფრანგი მეფეების ვასალები, ეს ოფიციალურად აძლევდა შესაძლებლობას ნორმან მეფეებს გამოეცხადებინათ პრეტენზია არა მარტო ინგლისის, არამედ საფრანგეთის ტახტზეც, მით უმეტეს, როდესაც ფრანგულ სამეფო ოჯახში მემკვიდრე ვერ დაიბადა. ინგლისელი ნორმანი მეფის პრეტენზია საფრანგეთის გვირგვინზე გადაიზარდა საშინელ ასწლიან ომებში (1337-1453 წწ.). ინგლისელი მებრძოლები, სამხედრო თვალსაზრისით, უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე საფრანგეთის გლეხების ჯარი და ინგლისი იპყრობდა საფრანგეთის სულ უფრო მეტ მიწებს. ეს დაასრულა ჟანა დ'არკმა Joan of Arc და ამით საფრანგეთი კი არა, ინგლისი გადაარჩინა, რადგან საფრანგეთის ტერიტორია მეტად იყო დასახლებული და მათი გაერთიანების შემთხვევაში საუკუნეების მანძილზე ინგლისის მოსახლეობა უდავოდ საფრანგეთის მოსახლეობაში განზავდებოდა.

შავი ჭირის ეპიდემიის (1348-53 წწ.) და ვარდების ომების (1455-1485 წწ.) შედეგად პლანტაგენეტების სამეფო სახლის ორივე შტო, ლანკასტერები და იორკები, განადგურებული იყო და 1485 წელს შორეული ნათესავი – ჰენრი VIII ტიუდორი Henry Tudor აკურთხეს მეფედ.

ბრიტანეთის კავშირის ფორმირება დაიწყო უელსით. ლეგენდის მიხედვით, 1301 წელს ინგლისის მეფე დაჰპირდა უელსს Wells შეუძლებელს – რომ ის დაასახელებს უელსის პრინცს, რომელიც იქნება დაბადებული უელსში და რომელიც „ერთ სიტყვასაც ვერ ამბობდა ინგლისურად" და შემდეგ წარმოადგინა ჩვილი ვაჟი, ყველას გასაკვირად. ის დაბადებული იყო უელსში და არ (ან ვერ) ლაპარაკობდა ინგლისურად. მით უმეტეს, რომ იმ დროის ინგლისელი არისტოკრატია საუბრობდა ნორმანულ ფრანგულად, არა ინგლისურად. ამის შემდეგ წოდება „უელსის პრინცი" ნაბოძები იყო ინგლისის მეფის უფროსი ცოცხალი ვაჟისთვის. სიტყვა „ცოცხალი" ძალზედ მნიშვნელოვანია. წოდება ავტომატური არაა: უფლისწულის სიკვდილის შემდეგ ეს წოდება გადაეცემა სუვერენის მიერ არა მემკვიდრეობით, არამედ მისი შეხედულებისამებრ.

ირლანდიის Ireland მეფის წოდება ჰენრი VIII ტიუდორმა იარაღით მოიპოვა და დღემდე კონფლიქტების წყაროა.

The flag of the Kingdom of Scotland. St Andrews flag

The flag of the Kingdom of England St George flag

Union Flag entered into common use under Cromwell's Protectorate.

სამაგიეროდ, შოტლანდიის Scotland ინკორპორაცია ხანგრძლივი, მაგრამ ლეგიტიმური იყო. ეს იყო დაკავშირებული ჰენრი VIII ტიუდორის პირად ცხოვრებასთან, რომელიც სასოწარკვეთილი იყო, რადგან არ ჰყავდა მემკვიდრე და მან თავი მოჰკვეთა თავის 6 მეუღლეს, რომელთაც ვერ შეძლეს ვაჟის გაჩენა. ეს მოხდა მისი მენტალური დაავადებისა და სიფილისის გამო ტიუდორების დინასტიაში. რომის პაპის წინააღმდეგობის გამო კათოლიკე მეუღლესთან, კატერინ არაგონელთან[1] გაყრაზე და ქორწინებაზე ანა ბოლეინთან Anne Boleyn, რომელმაც შვა მომავალი დედოფალი ელიზაბეთი, ჰენრიმ თავის თავი გამოაცხადა ანგლიკანური ეკლესიის მმართველად 1531 წელს. თუმცა ის აგრძელებდა ლუთერის მიმდევრების დევნას, ინგლისი სამუდამოდ იყო დაკარგული რომაული კათოლიკური ეკლესიისათვის. ამის საწინააღმდეგოდ, შოტლანდიელები (ნაწილობრივ) და ირლანდიელები (მასობრივად) ინარჩუნებდნენ კათოლიკობას.

ჰენრის სიკვდილის შემდეგ ინგლისში ძალზედ არასტაბილური სიტუაცია შეიქმნა. ანგლიკანი პროტესტანტების ომი კათოლიკური შოტლანდიის წინააღმდეგ დამაუძლურებელი აღმოჩნდა. მემკვიდრის გარეშე, პაპის დაჟინებული თხოვნის შედეგად, 1553 წელს ინგლისმა დედოფლად მიიღო ჰენრი VIII-ის ქალიშვილი, რომელიც კათოლიკე მეუღლე კატერინ არაგონელისგან ჰყავდა, ფანატიკოსი კათოლიკე დედოფალი მარია I ტიუდორი მის მეუღლესთან, კათოლიკე ესპანეთის მეფესთან, ერთად. მისი 5 წლიანი მეფობის განმავლობაში მარიამ 280 პროტესტანტი დაწვა და ფანატიზმისა და ინკვიზიციით სიკვდილით დასჯის გამო შეარქვეს სისხლიანი მერი[2] Bloody Mary.

1558 *წელს მარია ტიუდორი გარდაიცვალა და არც მას ჰყავდა მემკვიდრე. მეფე ფილიპე არ იყო პოპულარული ინგლისში და მხოლოდ კონსორტი იყო დედოფლის. ახლა პროტესტანტმა ელიზაბეთ ტიუდორმა, ჰენრი* VIII-სა და ანა ბოლეინის ქალიშვილმა, მიიღო მემკვიდრეობით ტახტი 1558 წელს. ათწლეულების მანძილზე ელიზაბეთს არ ჰყავდა შვილი და არასდროს გათხოვილა, თუმცა მის ხელს თხოვდნენ არა მხოლოდ კათოლიკე ესპანეთის მეფის ფილიპე II-ს მხრიდან, არამედ ყველა ევროპელი მმართველისგან და

---

[1] ის იყო მეფე ფერდინანდ II არაგონელისა და კასტილიელი დედოფალ იზაბელა I-ის ქალიშვილი, რომლებმაც განახორციელეს რეკონკისტა და დაავალეს ქრისტეფორე კოლუმბს აღმოეჩინა დასავლეთის საზღვაო გზა, რათა მიეღწიათ აზიამდე 1492 წელს, რამაც გამოიწვია ამერიკის აღმოჩენა ესპანელების მიერ.

[2] საფრანგეთში ფილიპე II-ის მიმდევრები უფრო მეტად სისხლისმღვრელნი იყვნენ და მოკლეს 30 000 ჰუგენოტი-პროტესტანტი ბართლომეს ღამეს, 1572 წელს. შედეგად მოხდა ჰუგენოტების მასობრივი ემიგრაცია და მათ შორის იყო ფაბერჟეს ოჯახი, ცნობილი იუველირი რუსეთის სამეფო კარზე, საქართველოში მოგზაური შარდენი, ირანის და შემდგომ ინგლისის სამეფო ოჯახის იუველირი, უინსტონ ჩერჩილისა და ფრიდრიხ დიდის წინაპრები, აფრიკელი ბურები და სხვა.

შორეული ეგზოტიკური რუსეთის მეფის ივანე მრისხანესგანაც. ლეგენდების მიხედვით, იმ მიზნით, რომ არ გართულებულიყო სიტუაცია ნებისმიერი მხრიდან, ის ოფიციალურად გაუთხოვარი იყო (ქალწული დედოფალი), მაგრამ საიდუმლოდ მას რამდენიმესთან ჰქონდა ურთიერთობა და შვილიც კი (ვარაუდობენ შექსპირის რეალური პიროვნებაზე და სხვა).

ელიზაბეთმა მტკიცედ დაამკვიდრა პროტესტანტული ანგლიკანური ეკლესია, გამოაცხადა ის, სახელმწიფო რელიგიად და პაპმა 1570 წელს იგი ეკლესიიდან მოკვეთა. მეზობელ შოტლანდიაში, საპირისპიროდ, კათოლიკე დედოფალი მარია შოტლანდიური სტიუარტების დინასტიიდან, ებრძოდა პროტესტანტებს. კათოლიკე მარია სტიუარტი ელიზაბეთ ტიუდორის ბუნებრივი მტერი იყო და რომის პაპის დახმარებით 1000 ახალგაზრდა ინგლისელი იეზუიტი მღვდლი გაგზავნილნი იყვნენ ინგლისში რომიდან. თავის მხრივ ელიზაბეთმა უამრავი ოქროს ფული გაგზავნა შოტლანდიაში, რათა დაეცვა პროტესტანტიზმი და ბოლოს, 1560 წელს ინგლისის ჯარები შეიჭრნენ შოტლანდიაში. როდესაც მარია სტიუარტის მეუღლე, საფრანგეთის მეფე გარდაიცვალა, მარია დაბრუნდა შოტლანდიაში და დაიწყო შეთქმულებების მოწყობა, რათა აღედგინა შოტლანდიის სამეფო გვირგვინი. ელიზაბეთი იძულებული იყო, გამოემწყვდია ის სასახლეში, მის ვაჟ შოტლანდიელ ჯეიმს VI-თან ერთად. მარიას ყოველგვარ პატივს სცემდნენ, მაგრამ ის აგრძელებდა შეთქმულებებს უცხოელ კათოლიკე სამეფო ოჯახებთან ერთად და 1587 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით ის სიკვდილით დასაჯეს, როდესაც მის ოთახში დასმენისა და ჩხრეკის შედეგად მიმოწერა აღმოაჩინეს. ელიზაბეთი განაჩენის სისრულეში მოყვანაზე დიდხანს არ აწერდა ხელს, მაგრამ როდესაც პოლიტიკური ვითარება მკვეთრად დაიძაბა, მოსამართლეებმა თითქმის თვითნებურად განახორციელეს განაჩენის აღსრულება.

ელიზაბეთის მთავარი მტერი იყო კათოლიკური ესპანეთი, რომელმაც უეცრად დაიწყო ამერიკიდან უამრავი სიმდიდრის მიღება. ელიზაბეთმაც ასევე სცადა დაეწყო ექსპედიციები ამერიკაში, მხარი დაუჭირა ინგლისელი მეკობრეების ესპანეთის გემების წინააღმდეგ შეტევებს და ჰოლანდიელი პროტესტანტების ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ მარტო ეს ძალისმიერი ღონისძიებები არასკმარისი იქნებოდა. ელიზაბეთმა ხელი შეუწყო რენესანსის აყვავებას – ლიტერატურა (უილიამ შექსპირი, ფრანცის ბეკონი და სხვა), ვაჭრობა, ინდუსტრია, საზოგადო განათლება, თეატრი და სხვა. წიგნის ბეჭდვა ინგლისში ჯერ კიდევ 1477 წელს დაიწყო უილიამ კექსტონმა William Caxton. ძალზე წინდახედულად, დედოფალმა აკრძალა ინგლისის ისტორიის ქრონიკების წერა, რადგან იცოდა, რომ ისტორიას შესაძლოა უთანხმოება და შუღლი გამოეწვია.

ელიზაბეთის ხანაში საიდუმლო ომები მიმდინარეობდა კათოლიკე ესპანეთისა და იტალიისა პროტესტანტ ინგლისსა და გერმანიასთან. ევროპა სავსე იყო ჯაშუშებით, საიდუმლო სამსახურებით, კონტრდაზვერვით. ინგლისის

საიდუმლო სამსახურმა ელიზაბეთის წინააღმდეგ რამდენიმე შეთქმულება გამოააშკარავა. რობერტ სესილი, მოგვიანებით ლორდი სოლსბერი Robert Cecil later Lord Salisbury იყო ინგლისის დაზვერვისა და საიდუმლო სამსახურის მეთაური ელიზაბეთის პერიოდის დროს. ფრანცის ბეკონის Francis Bacon ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია „ტრაქტატი დაზვერვაზე და დედოფლის პირადი დაცვის შესახებ“.

იდუმალება სუფევდა არა მარტო პოლიტიკაში, არამედ კულტურულ ცხოვრებაშიც. განათლებული ხალხის თაობებისთვის ეს იყო სიცოცხლის ან სიკვდილის საკითხი, ვინაიდან ინგლისისა და სკანდინავიის პროტეს-ტანტებისთვის კათოლიკურ ქვეყნებში განათლების მიღება უკან დაბრუნებისას სიკვდილით ისჯებოდა. ხოლო იმ დროს ბიბლიოთეკები და უნივერსიტეტები მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიას ჰქონდა იტალიაში და განათლების სხვა წყარო არ არსებობდა. პროტესტანტულ ინგლისში დაარსებული ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტები ძალზედ ღარიბი იყო პადუასა და ბოლონიის კათოლიკურ უნივერსიტეტებთან შედარებით. ბეკონის ყველაზე ცნობილი ნაშრომები, სადაც ის ადიდებდა პრომეთეს, რომელმაც კაცობრიობას გაუზიარა ცეცხლის საიდუმლო, რამაც ადამიანების სიცოცხლე შესაძლებელი გახადა, ლათინურად იყო ნაწერი, რადგან ინგლისური იყო გაუნათლებელი ხალხისთვის.

ჩრდილოეთ ევროპის ყველა პროტესტანტი ინტელექტუალი საიდუმლოდ მოგზაურობდა კათოლიკურ რომაულ ქალაქებში, რათა ესწავლათ უნივერ-სიტეტებში, მაგრამ პროტესტანტულ ქვეყნებში დაბრუნების შემდეგ სტუდენტები იძულებულნი იყვნენ დაემალათ თავიანთი განათლება და ფსევდონიმებით ეწერათ, როგორც უილიამ შექსპირი (1564-1616 წწ.), რომელსაც ჰქონდა 15-20 ათასი სიტყვა ლექსიკონში და დაწერა 60 პიესა, რაც შეუძლებელია თანამედროვე მწერლებისთვისაც კი. შექსპირმა გამოამჟღავნა იმდენი ლათინური წიგნის ცოდნა, რომ ეს წარმოუდგენელია ჩვეულებრივი მწერლისთვის. მას არ ჰქონდა ასეთი წიგნები სტრატფორდსა ან ლონდონში. მას უნდა სცოდნოდა ლათინური და იტალიური, რადგან იმ დროს ზოგი წიგნი არ იყო გადმოთარგმნილი ინგლისურ ენაზე. ევროპულ ქვეყნებში წიგნების ნაციონალურ ენაზე ბეჭდვა, ლათინურის ნაცვლად, მხოლოდ მის დროს დაიწყო. ყველა მისი ნაწარმოები შესაძლოა გაყოფილიყო ორ ძირითად ჯგუფად, კომედიები და ძალზედ სერიოზული ისტორიული ნაწარმოებები, უზარმაზარი ინფორმაციით უძველეს სამეფოებზე ევროპაში, მცირე აზიასა და შუა აღმოსავლეთში. უცნაურია, შექსპირი დაიბადა სტრატფორდში სწორედ იმ დღეს, როდესაც მიქელანჯელო Michelangelo გარდაიცვალა რომში და როდესაცე სერვანტესი Cervantes გარდაიცვალა მადრიდში.

პროტესტანტ-კათოლიკე ჩრდილოეთ-სამხრეთის ბრძოლის ველმა გადაი-ნაცვლა ცოდნისა და განათლების სფეროში, რამაც ფანტასტიკური შედეგი მოიტანა. ამერიკული სიმდიდრის საფუძველზე შექმნილი ძლევამოსილი

ესპანური ფლოტის ფონზე შექმნილი ინგლისის ფლოტი დასაწყისში საწყლად გამოიყურებოდა. ინგლისურ გემებს მხოლოდ მეკობრეობა შეეძლოთ ესპანეთის გემების წინააღმდეგ. თუმცა 1587 წელს ადმირალმა დრეიკმა Drake (სინამდვილეში ჩვეულებრივი მეკობრე) ავანტიურისტული თავდასხმა მოაწყო ესპანურ კადიზზე. ამას დაემატა ელიზაბეთის უარი ფილიპეს ცოლობაზე და შედეგად პროტესტანტმა ინგლისმა მიიღო 130 გემიანი უძლეველი არმადის Armada შეტევა. ესპანეთის ფლოტი სასწაულებრივად დაამარცხა 1588 წელს დრეიკმა ძირითადად შტორმის გამო. მაგრამ ამის შემდეგ პროტესტანტებმა დაიწყეს ტექნიკური პროგრესი და გახდნენ მსოფლიო დომინანტები, ხოლო ინგლისის ფლოტი დღემდე უძლიერესია მსოფლიოში.

1603 წელს, ელიზაბეთის სიკვდილის შემდეგ, გადაწყდა შოტლანდიის ბედის და არსებობის საკითხი. ელიზაბეთს არ ჰყავდა მემკვიდრე და გვირგვინი შესთავაზეს სიკვდილით დასჯილ კათოლიკე მარია სტიუარტის ვაჟს, შოტლანდიელ მეფეს ჯეიმს VI სტიუარტს, და სახელით ჯეიმს I აკურთხეს, როგორც დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მეფე, რითიც დაიწყო დიდი ბრიტანეთის სამეფოს შოტლანდიელი სტიუარტების დინასტია. შოტლანდიელი არისტოკრატების დიდი ნაწილი და კარიერის სხვა მაძიებელნი გაემართნენ ლონდონისკენ, მზად იყვნენ ებრძოლათ მაღალი თანამდებობებისთვის. შესაბამისად, შოტლანდიის ელემენტი განზავდა ინგლისში. იგივე არ მოხდა საფრანგეთში, როდესაც ჟანა დ'არკმა Jeanne d'Arc (Joan of Arc) „გაანთავისუფლა" საფრანგეთი ინგლისელი დამპყრობლებისგან. სინამდვილეში მეტად დასახლებული საფრანგეთი განაზავებდა ინგლისელებს საუკუნეების მანძილზე და დღეისთვის დარჩებოდა საფრანგეთი და არა ინგლისი. ისევე როგორც ქართველი დიდგვაროვნები გადავიდნენ რუსეთში და გაქრნენ.

ახლა შოტლანდიელი სტუარტები იყვნენ იძულებული, ებრძოლათ შოტ-ლანდიელ სეპარატისტებთან და ამისთვის ესაჭიროებათ ფული. სტიუარტების მეორე მეფემ ჩარლზ I-მა (კარლ I) 1625 წელს მოიწვია პარლამენტი და დაფინანსების მიღების შემდეგ უმალვე დაშალა. აჯანყდნენ პურიტანელი პროტესტანტები, რადგან მეფემ უარი თქვა თავისუფლების ქარტიაზე „მაგნა კარტა", რასაც ხელი მოაწერა 4 საუკუნის წინ ჯვაროსანმა მეფემ ჯონმა, და 1649 წელს ოლივერ კრომველმა Oliver Cromwell თავი მოკვეთა მეფე *კარლ* (ჩარლზ) I-ის Karl (Charles), თავმოკვეთილი მარია სტიუარტის შვილიშვილს.[1]

გამოცხადდა რესპუბლიკა და 10 წლის განმავლობაში, კრომველის მმართველობით, შოტლანდია და ირლანდია სისხლში იყო ჩახრჩობილი. 1653-8 წწ-ში მან სასტიკად გაანადგურა ირლანდიელები და შოტლანდიელები

[1] მმართველი მეფის ხალხის მიერ მკვლელობის ეს პირველი გახმაურებული პრეცენდენტი, რამაც გამოიწვია ივანე მრისხანეს მიერ ინგლისთან ყოველგვარი კავშირების შეწყვეტა და შემდგომი მუდმივი მტრობა.

100 ათასობით ინგლისელი ჯარისკაცის მსხვერპლის ხარჯზე. სასტიკი ცივსისხლიანი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ მან გააერთიანა ინგლისი, შოტლანდია და ირლანდია, ამდენად, თუ არსებობს ერთი ისტორიული ფიგურა, რომელსაც ყველა ირლანდიელი, ინგლისელი და შოტლანდიელი სიძულვილით მოიხსენიებს, ეს არის ოლივერ კრომველი. კრომველის სიკვდილის შემდეგ სიკვდილით დასჯილი მეფის ვაჟი აღადგინეს, ხოლო პარლამენტის წინ დგას კრომველის ქანდაკება.

ამ ეთნოპოლიტიკურმა გარემოებამ განაპირობა დიდ ბრიტანეთში უძველესი იბერიული და კელტიბერიული შტოების – შოტლანდიელებისა და ირლანდიელების ეთნოპოლიტიკური თავისებურებანი. შოტლანდიელები ახლა უფრო ინტეგრირებულნი არიან ბრიტანულ საზოგადოებაში და არიან უფრო მეტად ნიჭიერები. ირლანდიელები ფორმალურად არ არიან შერიგებული ინგლისელებთან, თუმცა ფაქტობრივად არიან შოტლანდიური წარმოშობის, რომლებიც ახლიდან დასახლდნენ ირლანდიაში, როდესაც ირლანდიის მოსახლეობის უმრავლესობა გაანადგურა ინგლისის არმიამ შუა საუკუნეებში.

თაობების მანძილზე მცირემიწიან შოტლანდიელების მამრობითი სქესის წარმომადგენლებს მთელს ევროპაში დაქირავებულ მეომრებად უწევდათ გამგზავრება. კილტებში და დუდუკებით ისინი შიშის ზარს სცემდნენ ნებისმიერ მტერს, მაგრამ ეკონომიკურად შოტლანდიაში დიდი სიდუხჭირე სუფევდა. გადარჩენისთვის საჭირო ერთადერთი კალორიების წყარო იყო კარტოფილი. 1745 წელს შოტლანდიაში კატასტროფულად დაბალი მოსავალი მოვიდა, რამაც გამოიწვია საშინელი შიმშილობა. ერთი საუკუნის შემდეგ, 1845 წელს, კარტოფილის მოსავალი ირლანდიაში კიდევ უფრო ნაკლები იყო და მოსახლეობა განახევრდა.

ინგლისელებმა შოტლანდიელებისგან მოითხოვეს, რომ შეეცვალათ მათი პოლიტიკური ავტონომია ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, ან, უფრო უხეშად, გაეყიდათ დამოუკიდებლობა ფულზე. და მათ მიიღეს ბრიტანეთის შეთავაზება. იმ დროს შოტლანდიელების უმეტესობისთვის ინგლისურად წერა და საუბარი ისეთივე რთული იყო, როგორც სხვა ენის სწავლა.

ეს შერწყმა ორივე მხარესთვის და, როგორც ვხედავთ, მთელი მსოფლიოსთვის ძალზე სასარგებლო აღმოჩნდა. ეთნოგენეზურად შოტლანდიელები და ირლანდიელები მამაცი, ნიჭიერი, მოუსვენარი, კრეატიული, წინააღმდეგობრივი, ძლიერი ხალხი იყო, მაგრამ აკლდათ ის, რაც ეთნოგენეზურად აქვთ და ჰქონდათ ნორმან ანგლო-საქსებს – ეკონომიკური დისციპლინა, წესრიგისმოყვარეობა, კანონმორჩილება, კანონის აღსრულება, მოთმინება, ყოველდღიური მონოტონურობის ატანა, კონსერვატიზმი და ა. შ.

მიზეზი, თუ რატომ ურჩევნიათ შოტლანდიელებს ინგლისის მიერ დაწესებული გადასახადების გადახდა, იყო ის, რომ ამ ფულით უკეთეს მმართველობას იღებდნენ. მე-16 საუკუნიდან ინგლისი ინარჩუნებს საზოგადო კანონებს და ზედმიწევნით ახორციელებს მათ, აშენებს საუკეთესო ხარისხის

გზებს, უზრუნველყოფს საუკეთესო სამეფო საფოსტო სამსახურს მსოფლიოში, საუკეთესოდ წვრთნის და კვებავს ჯარს, რომელიც საუკუნეების მანძლზე ეფექტიანად იცავს შექმნილ ეკონომიკურ სიმდიდრეს. მარტივი ჭეშმარიტებაა – რატომ არსებობს კანონები? რათა დაიცვან საკუთრება. ხოლო დაცული საკუთრებისა და ქონების გარეშე შრომას და წარმოებას აზრი არა აქვს. ძლიერ ადმინისტრაციულ სახელმწიფოში შოტლანდიელებმა თავი იგრძნეს მშვიდად და დაცულად. რა თქმა უნდა, შოტლანდიელებს გაუმართლა, რომ მათ ტერიტორიაზე მოვიდა ეთნიკურად ასეთი მომგებიანი გერმანული მოწესრიგებული ელემენტი.

ირლანდიელებისგან განსხვავებით, შოტლანდიელები პროტესტანტები იყვნენ, არა ანგლიკანები, მაგრამ პრესვიტერიანელები[1]. პროტესტანტების მთავარი თვისებები იყო მედიატორების უარყოფა ადამიანსა და ღმერთს შორის, პროტესტანტი მღვდლები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომელთაც ჰყავთ ოჯახები და სხვა, შესაბამისად, ყველა პროტესტანტს მოეთხოვებოდა წაეკითხა და გაეგოთ ბიბლია, რაც კათოლიკეებისთვის აკრძალულია, და სწორედ ამიტომ მათ პირველებმა გადათარგმნეს ბიბლია ლათინურიდან ინგ-ლისურ ენებზე. ამან იმ დროისთვის მოულოდნელი შედეგები გამოიწვია: იმ მიზნით, რომ ბავშვებს ჰქონოდათ საშუალება აერჩიათ ქრისტიანობა, რაც შეიძლებოდა მალე, პირველი სკოლები ბავშვებისთვის დაარსდა შოტლანდიაში და საუკუნეების მანძილზე ისინი იყვნენ მსოფლიოში ყველაზე განათლებული ერი. შოტლანდია გახდა ევროპის პირველი წიგნიერი ქვეყანა. 1727 წელს გამოიცა „შოტლანდიის გაზეთი“ და დღემდე იბეჭდება. ამ ვითომდა უბრალო მიზეზის გამო ეს ერი გახდა და არის პიონერი მეცნიერებაში, გამომგონებლობასა და კულტურაში.

ინგლისი გარშემორტყმული იყო ძლევამოსილი კათოლიკური მტრებით: ესპანეთი ფლობდა ჰოლანდიასა და საფრანგეთი აკონტროლებდა შოტლანდიას. ამერიკიდან სიმდიდრის დიდი რაოდენობით შემოდინება ესპანეთში, რაც პროტესტანტ ინგლისს უიმედო მდგომარეობაში ამყოფებდა. ერთადერთი ფასეული, რაც ბრიტანეთს ჰქონდა, იყო განათლება და თუ როგორ გამოიყენა ეს ბრიტანეთმა, ჩვენ ვხედავთ დღევანდელ დღეს. პროტესტანტულმა აზროვნებამ მოიტანა უზარმაზარი ეკონომიკური და მენტალური უპირატესობა, მაშინ როდესაც ესპანეთმა იმ დროს ვერ წარმოშვა ვერც ერთი მსოფლიო დონის მოაზროვნე.

მე-16 საუკუნიდან რელიგიის მეშვეობით მათ შემოიღეს დემოკრატიული ფორმულა: ხალხის მთავრობა და მთავრობა ხალხისთვის. შოტლანდიურმა იდეებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ამერიკის რევოლუციაზე და შოტლან-

[1] შოტლანდიური პრესვიტერიანიზმი და ინგლისური პურიტანიზმი წარმოადგენს შვეიცარული კალვინიზმის შოტლანდიურ ვარიანტს. ისინი არ მუშაობდნენ კვირა დღეს, არ ცეკვავდნენ. აზარტული თამაშები, კარტით თამაში და თეატრი აკრძალული იყო. ღალატი სიკვდილით ისჯებოდა.

დიელების როლი წამყვანი იყო ამერიკის დამოუკიდებლობისთვის Declaration of Independence ბრძოლაში: „უწოდეთ ამ ომს, რაც გნებავთ, მაგრამ ნუ დაარქმევთ ამერიკის რევოლუციას. ეს არის შოტლანდიელ-ირლანდიელი პრესვიტერიანელების აჯანყება“. 1760 წელს ჩრდილოეთ კოლონიები პრაქტიკულად პატარა შოტლანდია იყო: „მაკ-ოკრატია“.

ეთნოპოლიტიკამ განაპირობა ის, რომ ურთიერთობა შოტლანდიელ-ირლანდიელებს შორის ყოველთვის რთული იყო. ირლანდიელები არიან კათოლიკეები, შოტლანდიელები კი პროტესტანტები. თუმცა ისინი ძმები არიან, თანამედროვე ბრძოლა ოლსტერში არ არის ირლანდიურ-ინგლისური, არამედ ირლანდიურ-შოტლანდიური. 1606 წელს შოტლანდიელმა თავადებმა, როგორც ლონდონში ინგლისელებთან მეტად დაახლოებულებმა, იშუამდგომლეს ამნისტია ირლანდიელ აჯანყებულებისათვის ჩრდილოეთ ირლანდიაში, ოლსტერში მიწის სანაცვლოდ, სადაც ჩამოასახლეს შოტლანდიელები. ამან საბოლოოდ გამოწვია უთანხმოება და კონფლიქტი დღემდე მიმდინარეობს. ბრძოლა კათოლიკე ირლანდიელებსა და პროტესტანტ ოლსტერის შოტლანდიელებს შორის სასტიკი იყო საუკუნეების მანძილზე, როგორც ოლსტერში, ასევე ამერიკაშიც, სადაც ამერიკის რევოლუციის დროს ინგლისის არმიაში საუკეთესო მეომრები იყვნენ ოლსტერის შოტლანდიელები (ასევე კათოლიკე ნაპოლეონის წინააღმდეგ ომებშიც). მაგრამ ჰიტლერის წინააღმდეგ ომში ორივე ერი, შოტლანდიელები და ირლანდიელები, გაერთიანდნენ და სასტიკად იბრძოდნენ თავისუფლების დასაცავად, მიუხედავად ირლანდიის სახელმწიფოს ნეიტრალიტეტისა. რუდოლფ ჰესი Hess, ნაცისტი N2, გაფრინდა შოტლანდიელ ლორდთან იმ იმედით, რომ ინგლისის წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ, მაგრამ ეს დაგეგმილი კავშირი ჩაიშალა. 210 ათასი მოხალისე კათოლიკე ირლანდიელი იბრძოდა ბრიტანეთისთვის გერმანიის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს.

შოტლანდიურმა განმანათლებლობამ წარმოშვა „თავისუფალი საზოგადოების“ იდეა და შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა Adam Smith, პოლიტიკური ეკონომიკის მამამ, დაწერა სანიმუშო წიგნი „ერის სიმდიდრე“ Wealth of Nation. სამუელ მორზე, ალექსანდრე ბელი, ჩარლზ მაკინტოში (ვულკანიზებული რეზინა), ჯეიმს ვატი, თომას ლიპტონი, ენდრიუ კარნეგი შოტლანდიელები იყვნენ Samuel Morse, Alexander Bell, Charles Macintosh, James Watt, Thomas Lipton, Andrew Carnegie. კარნეგმა აღმოაჩინა ეკონომიკის ძირითადი პრინციპი: წარმოებული პროდუქტის ღირებულების შემცირების და მოგების გასაზრდელად საუკეთესო გზას წარმოადგენს ამ პროდუქტის წარმოების რაოდენობის ზრდა: „პროდუქციის სიიაფე დამოკიდებულია წარმოების რაოდენობაზე“.

თანამედროვე შოტლანდიელი, როგორიცაა ჯეიმს ბონდი James Bond, ინგლისელი ჯენტლმენი, ბრიტანეთის ღრმა პატრიოტი, უძველესი ისტორიისა და ტრადიციების მატარებელი, წარმოადგენს მსოფლიოს მოქალაქეს.

უკანასკნელი შოტლანდიელი სტიუარტი დედოფალი ანა უშვილო იყო და დინასტია დასრულდა 1714 წელს. სამეფო დინასტია გადაეცა მის მეუღლეს გეორგ I-ს, ჰანოვერელი დინასტიის პროტესტანტს, რომელიც იყო გერმანელი და ვერ საუბრობდა ინგლისურად. პირველი მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის ანტიგერმანული განწყობების გამო საქს-კობურგის და გოტას შტო ჰანოვერელი საქსონის სახლის Saxe-Coburg and Gotha branch of Hanoverian Saxon house ბრიტანეთის სამეფო დინასტიის სახელი შეიცვალა და გახდა უინძორი 1917 წელს Windsor (როგორც რუსეთში პეტერბურგს დაერქვა პეტროგრადი).

საფრანგეთის ისტორია

არაბებმა დაიპყრეს ესპანეთი და მიაღწიეს ფრანკების მეროვინგულ Merovingian სამეფოს. კარლოს მარტელი Charles Martel (688-741) იყო სარდალი, რომელმაც გააჩერა არაბები, ხოლო მისმა ვაჟმა პეპინმა Pepin (714-768) დაამარცხა ისინი, მაგრამ აგრეთვე გადააგდო მეროვინგები და მისმა შვილმა შარლემანმა Charlemagne (748-814) (ჩარლზ მაგნა – კარლოს დიდი) დასაბამი მიეცა კაროლინგების Carolingian ახალ დინასტიას. მან გააერთიანა საფრანგეთი და გერმანია. გაანადგურა აზიელი ავარები იმდენად საფუძვლიანად, რომ მათი კვალი აღარ იყო. შემდეგ იბრძოდა სლავებთან და გახდა საღვთო რომის იმპერიის პირველი ქრისტიანი გერმანელი იმპერატორი. იმ დროს მხოლოდ ის, კონსტანტინოპოლის იმპერატორი და ბაღდადის არაბი ხალიფა იყვნენ მსოფლიოს უდიდესი მმართველები. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ფრანკების დიდი სამეფო გაიყო სამ ვაჟს შორი. ვაჟებმა დაიწყეს ერთმანეთში ბრძოლა და იმპერია სამ ნაწილად გაიყო: გერმანია, საფრანგეთი და იტალია (ინგლისი უბრალოდ კუნძული იყო და ნორმანდიელმა ჰერცოგმა უილიამმა დაიპყრო 1066 წელს). კაროლინგების დინასტია ჩაანაცვლა კაპეტინგების Capetian დინასტიის ორმა შტომ – ვალუამ და ბურბონებმა Valois and Bourbon, რომლებიც მეფობდნენ 987 წლიდან საფრანგეთის ნაპოლეონის რესპუბლიკამდე.

ყველაზე დიდი უბედურება შუა საუკუნეების ევროპაში მე-14 საუკუნეში იყო შავი ჭირის Black Death ეპიდემია[1], რამაც 1349 წლიდან 1400 წლამდე რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. ევროპის მოსახლეობა თითქმის განახევრდა, ყოველგვარი ეკონომიკა და სოციალური

[1] შავი ჭირი ევროპაში გავრცელდა ყირიმიდან, სადაც გენუას ხორბლის სავაჭრო კოლონია-ქალაქს კაფას (ახლანდელ ფეოდოსიას) Caffa (Kaffa, Feodosia) 1475 წელს მონღოლებმა ალყა შემოარტყეს. მონღოლებმა ჩამოიტანეს ეს დაავადება ციმბირის ტრამალების მღრღნელებისგან აბრეშუმის გზის გავლით და კაფას ალყის დროს შავი ჭირით გარდაცვლილთა სხეულებს ქალაქში გალავნის ზევიდან აგდებდნენ.

ცხოვრება ჩაკვდა. ქრისტიანული სამყარო ძალზედ შეიცვალა. აპოკალიფსურმა რელიგიურმა ფანატიზმმა პიკს მიაღწია. დაიწყო ებრაელების დევნა[1].

შავი ჭირის ეპიდემიის შემდეგ დასავლეთ ევროპაში პროტესტანტიზმი და განმანათლებლობა აღმოცენდა. მხოლოდ საფრანგეთი იყო გამონაკლისი, სადაც მეფის ძალაუფლება აბსოლუტური იყო. საფრანგეთის მეფის ქვრივი, ეკატერინე დე მედიჩი Catherine de' Medici, გახდა რელიგიური ომების მთავარი ფიგურა. მისი წაქეზებით ათასობით ჰუგენოტი Huguenots იყო მოკლული წმ. ბართლომეს St. Bartholomew's ხოცვა-ჟლეტის დღეს, 1572 წელს.

საღვთო რომის იმპერიაში ოცდაათწლიანი რელიგიური ომი Thirty Years' War (1618-1648 წწ.) პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის თანდათანობით გადაიზარდა ბურბონების და ჰაბსბურგების მეტოქეობაში ევროპაში პოლიტიკური დომინანტობისთვის. კათოლიკე კარდინალმა რიშელიემ, საფრანგეთის მთავარმა მინისტრმა, ჰაბსბურგების ძლევამოსილებით შეშფოთებულმა (ამერიკიდან მიღებული განძეულების გამო), მიიღო პარადოქსული გადაწყვეტილება და 1635 წელს შევიდა ალიანსში პროტესტანტ შვედებთან კათოლიკე ჰაბსბურგების წინააღმდეგ. 30 წლიანი ომის მთავარი შედეგი იყო ცენტრალური ევროპის, განსაკუთრებით კი გერმანიის სრული განადგურება.

მუდმივმა ომებმა პროტესტანტებთან და მათ ინგლისელ მხარდამჭერებთან შედეგად გამოიღო საფრანგეთის ფინანსური და სახელმწიფოებრივი კრიზისი. ამასთან ერთად ფრანგი განმანათლებლები: დენის დიდრო, მონტესკიე, რენე დეკარტი, ჟან ჟაკ რუსო და ვოლტერი Denis Diderot, Montesquieu, René Descartes, Jean Jacques Rousseau and Voltaire (1694-1778) უძღვოდნენ აბსოლუტიზმის საწინააღმდეგო რევოლუციების მთელ სერიას. 1789 წელს დესმულინის Desmoulins შეძახილით დაიწყო საფრანგეთის რევოლუცია და დაინგრა ბასტილია. 1791 წელს შემოიღეს პირველი კონსტიტუცია და პარლამენტი. ლუი XVI-სა Louis და მარია ანტუანეტას Marie Antoinette, კარლ (ჩარლზ) I-ის მსგავსად ინგლისში, გილიოტინით თავი მოჰკვეთეს 1793 წელს.

რევოლუციამ ადამიანთა საშინელი დანაკარგი გამოიწვია. რევოლუციამ თავისივე შვილები არ დაინდო: ჟან პოლ მარატი Jean Paul Marat გილიოტინაზე მოკლეს 1793 წელს. რობესპიერმა Robespierre გამოაცხადა, რომ ქრისტიანობა იყო ცრუმორწმუნეობა და ღმერთი დადგენილებით გააუქმა. უფრო მეტიც, შედგა ახალი დადგენილება, რომელიც იუწყებოდა, რომ ღმერთი არსებობდა და თვით რობესპიერი იყო უზენაესი. მას ეხურა დეკორაციული შლაპა ბუმბულით და ყვავილების ბუკეტით. ძალზედ სასაცილოდ გამოიყურებოდა, მაგრამ ყველა ადამიანს, რომელიც მას არასერიოზულად შეხედავდა, გილიოტინით სჯიდნენ სიკვდილით, მათ შორის ჟან ჟაკ დანტონიც Jean-Jack Danton. მაგრამ მალე რობესპიერსაც თავი მოჰკვეთეს.

---

[1] მსგავსი ჭორები ვრცელდებოდა მუსლიმანურ ქვეყნებშიც, მაგრამ მათ არასდროს დაუდანაშაულებიათ ებრაელები.

ჩამოყალიბდა დირექტორიატი და ნაპოლეონმა[1] Napoleon Bonaparte *მიიღო შანსი გამხდარიყო დიდი მმართველი*[2]. ნაპოლეონმა უნიკალური რამ განახორციელა – რევოლუციით მოსულმა, რესპუბლიკელ მოსახლეობას მეფედ, იმპერატორად აარჩევინა თავი, ხოლო გადადგომის შემდეგ კვლავ მობრუნდა ხელისუფლებაში. მისი კარიერა დაიწყო 1793 წელს, როდესაც 25 წლის ასაკში ზარბაზნების ბალისტიკის სწორი გათვლით აიღო ტულონი ინგლისელებისგან. 1798-99 წწ-ში ის ომობდა ეგვიპტეში. 1804 წელს გახდა იმპერატორი. 1804 წელს მან გამოსცა სამოქალაქო კოდექსი. 1805 წელს გაიმარჯვა აუსტერლიცის ბრძოლაში. რუსეთის მეფის ალექსანდრე I-ს ლაშქრობა საფრანგეთის წინააღმდეგ საერთოდ გაუგებრობა იყო. რა უნდოდათ რუსებს ევროპის დასავლეთში? რა თქმა უნდა, მონარქია ებრძოდა რესპუბლიკას, მაგრამ როგორ ხსნიდა მოსახლეობისათვის რუსეთის მეფე ამ მსხვერპლს? მარტივად, ნაპოლეონის მიერ ყველა ადამიანის თანასწორუფლებიან მოქალაქედ გამოცხადების შემდეგ ებრაელები, პირველად ევროპის ისტორიაში, გახდნენ სრულუფლებიანი მოქალაქეები. მაგრამ ალექსანდრეს ინტერპრეტაციით, ნაპოლეონმა ქრისტეს მკვლელები გაამართლა, რაც რუსებისგან მსხვერპლს მოითხოვდა.

1805 წელს საფრანგეთი დაამარცხა ადმირალმა ნელსონმა ტრაფალგარის საზღვაო ბრძოლაში. ნაპოლეონი მიხვდა, რომ მისი ძირითადი მეტოქე ბრიტანეთი საზღვაო გზით დაუმარცხებელი იყო. მან გამოაცხადა კონტი-ნენტალური ბლოკადა და მის უზრუნველსაყოფად დაიწყო სანაპირო ევროპული ქვეყნების ოკუპაცია. 1805-7 წწ-ში ნაპოლეონმა აიღო ბელგია, ჰოლანდია, ჩრდილოეთ გერმანია, იტალია. იგი თავს დაესხა ყველა ქვეყანას, რომელიც ბლოკადას საბოტაჟს უკეთებდა: ესპანეთი, პორტუგალია[3], ფლორენცია, რომი. 1807 წელს, ტილზიტის ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთის მეფე ალექსანდრე I-ც შეუერთდა ინგლისის ბლოკადას, მაგრამ საბოტაჟს უწევდა და, ჰიტლერის მსგავსად, ამ პრობლემის მოგვარება ტრაგიკული აღმოჩნდა. 1812 წელს 600 ათას კაციანმა საფრანგეთის არმიამ გაილაშქრა რუსეთისკენ ალექსანდრე I-ის წინააღმდეგ, რაც კატასტროფით დასრულდა.

---

[1] 2012 წლის 15 იანვრის „ფიგაროში“ ფრანგმა გენეტიკოსმა ჟერარ ლუკოტემ Gerard Lucotte *გააკეთა დასკვნა*, *რომ ნაპოლეონ ბონაპარტის წარმოშობის ადგილი კავკასიაა.*

[2] თავდაპირველად კორსიკაში ნაპოლეონი კლავდა ფრანგ ჯარისკაცებს და ამისთვის დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ მალე ფრანგი გენერალი გახდა. სტალინის მსგავსად, რომელიც ებრძოდა რუსეთის მეფის ჯარისკაცებს და მოგვიანებით გახდა მათი დიდი მბრძანებელი. ასევე გერმანიაში ღარიბმა ემიგრანტმა ავსტრიიდან შიკლგრუბერმა (ჰიტლერი) Schicklgruber (Hitler) მიიღო დიდი ძალაუფლება.

[3] ინგლისი ყოველთვის უჭერდა მხარს პორტუგალიას კათოლიკე ესპანეთის წინააღმდეგ და მისი მუდმივი აშკარა თუ ფარული მოკავშირე იყო.

ნაპოლეონი არ აპირებდა რუსეთის ტერიტორიაზე შესვლას და ამიტომ არმიას არ ჰქონდა რუკები, ზამთრის ტანსაცმელი, საკვები პროდუქტი. ფრანგებს საერთოდ არ სჯეროდათ, რომ ეს სმოლენსკი-მოსკოვის გზა საერთოდ გზა იყო. ფრანგები აპირებდნენ საკვების ყიდვას რუსეთში მაღაზიებში, როგორც ევროპაში, სადაც საფრანგეთის ჯარი იხდიდა ოქროთი. როდესაც რუსეთში იკითხეს, სად არის მაღაზია, რუსებმა ვერ გაიგეს რას ეკითხებოდნენ და მერე ურჩიეს, რომ წელიწადში ორჯერ ეწყობოდა ბაზრობა, სადაც ფრანგები საკვებს რამეში თუ გაცვლიდნენ. ეს სამამულო ომი ვერ იქნებოდა, ვინაიდან რუსები ყმა-მონები იყვნენ, რომლებმაც არ იცოდნენ წერა-კითხვა, რა ქვეყანაში ცხოვრობდნენ, საერთოდ რომ ომი მიმდინარეობდა, რა იყო უახლოესი ტყის გაღმა. მოსკოვის კომენდანტმა როსტოპჩინმა გადაწვა ქალაქი და მათ შორის მიგდებული 20 ათასი დაჭრილი რუსი ჯარისკაცი.

1814 წელს პარიზი მოკავშირეების მიერ იყო ოკუპირებული. რუსეთის ჯარის ევროპაში სტუმრობის შემდეგ 40 ათასი არ დაბრუნდა უკან, ანუ რუსეთის ჯარის მესამედმა სამშობლოს მაგივრად ევროპაში ცხოვრება არჩია. 1815 წელს ვატერლოოს ბრძოლამ დაასრულა ნაპოლეონის ეპოქა ევროპაში. ბრძოლის დასაწყისში ნაპოლეონი იგებდა, მაგრამ მისმა ერთ-ერთმა გენერალმა არასწორად გაიგო ბრძანება და ჯარი არასწორი მიმართულებით წაიყვანა. პირიქით, შეუპოვარი პრუსიელი გენერალი ბლუხერი Blucher სიტყვებით: „ძალზედ უიმედოდ ჩანს, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავთმოთ“, შეუძახა დაუძლურებულ ჯარისკაცებს, უკან დააბრუნა ბრძოლისკენ და მოიგეს კიდეც. ნაპოლეონი გარდაიცვალა წმ. ელენეს კუნძულებზე 1821 წელს. 1792 წლიდან 1815 წლამდე ნაპოლეონის ომებში ევროპაში თითქმის 3 მილიონი ადამიანი დაიღუპა.

გერმანიის ისტორია

რადგან მე-8 საუკუნიდან ჩინეთის იმპერიამ თავი დაიცვა კედლით, აზიელების ტალღები ზეწოლას ახდენდნენ და აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობას დასავლეთით მიერეკებოდნენ. მეფე შარლემანმა Charlemagne გაათავისუფლა ბავარია ავარებისგან მე-8-9 საუკუნეებში და გაანადგურა ისინი უკანასკნელ ადამიანამდე. გერმანელი საქსი მხედართმთავარი ჰენრი ებრძოდა მადიარების შემოსევას 900 წელს და გაასახლა ისინი გერმანიიდან, მაგრამ არ გაჟლიტა, და ისინი დამკვიდრდნენ უნგრეთსა და ავსტრიაში, როგორც მცველები ყივჩაყი თურქების წინააღმდეგ.

მე-11-12 საუკუნეებში მონღოლებმა ჩინგიზ ყაენის მეთაურობით გადაკვეთეს ჩინეთის დიდი კედელი და დაიპყრეს ჩინეთი, შემდეგ დადგა სპარსეთის ჯერი, რის შემდეგაც დაადგნენ კავკასიის, რუსეთის, უნგრეთის და პოლონეთის გზას და მიაღწიეს გერმანიის საზღვრებს, ქალაქ ბრესლაუს რომელიც გადაწვეს 1241 წელს. მხოლოდ მათი დიდი ჩინგიზ ყაენის სიკვდილმა

ციმბირში მოაბრუნა ისინი უკან. მონღოლთა შიდა ომებმა ვერ მისცა მათ შესაძლებლობა უფრო ღრმად შეჭრილიყვნენ ევროპაში.

ტევტონების ჯვაროსანთა სამხედრო ორდენი, ისევე როგორც ტამ-პლიერები ან ჰოსპიტალიერები, ჩამოყალიბდა მე-12 საუკუნეში აკრაში, ლევანტში, რათა დახმარებოდნენ ქრისტიანებს მათ პილიგრიმობაში წმინდა მიწაზე და დაეარსებინათ საავადმყოფოები დაჭრილებისა და ავადმყო-ფებისთვის. ჯვაროსნების დამარცხების შემდეგ, 1211 წელს ტევტონებმა გადაინაცვლეს ტრანსილვანიაში, რათა დახმარებოდნენ უნგრელ მადიარებს ყივჩაყი თურქების წინააღმდეგ, მაგრამ რაინდები გააძევეს უნგრეთიდან 1225 წელს, რადგან თითქოსდა ცდილობდნენ ადგილობრივი მეფეების გადაგდებას. მათ გადაინაცვლეს ჩრდილოეთით, გერმანიის ტერიტორიებზე, სადაც მიიღეს რომის პაპისგან კურთხევა აღმოსავლური მიწების, პრუსიის დაპყრობისა და დაუფლებისთვის. ბრძოლა რაინდებსა და წარმართი პრუსიელებს შორის სასტიკი იყო, მაგრამ პრუსიელების მოქცევა წარმატებით განხორციელდა.

ორდენი მმართველობდა პრუსიაში როგორც სუვერენული სამონასტრო სახელმწიფო, როგორც ჰოსპიტალიერები როდოსში და მოგვიანებით მალტაზე. კენიგსბერგი დაარსდა 1255 წელს პრუსიის დანგრეული დასახლების ადგილას. ტევტონმა რაინდებმა დაიწყეს ლაშქრობები წარმართი პოლონეთისკენ, ლიტვისკენ, ნოვგოროდისკენ (რუსეთის მონღოლ ალექსანდრე ნეველის წინააღმდეგ), ბალტიისპირისკენ, რასაც უწოდებდნენ პრუსიის ჯვაროსნულ ლაშქრობას.

1308 წელს პოლონელებს დავა ჰქონდათ პომერანიელებთან დანციგის გამო და მოითხოვეს დახმარება ბრანდენბურგელებისგან, რომლებმაც შემდეგ ოკუპაციაში მოაქციეს დანციგი. მაგრამ ჩაერივნენ ტევტონი რაინდები, გააძევეს ბრანდენბურგელები და გაჟლიტეს ქალაქის მოსახლეობა. 1454 წელს ბრადენბურგი-პრუსიის კონფედერაცია აღდგა ორდენის წინააღმდეგ. ტევტონების ორდენი დამარცხდა გრიუნვალდის Grunewald ბრძოლაში 1410 წელს წარმართ პოლონურ-ლიტვურ გაერთიანებასთან (რუსეთის სმოლენსკის სამი რაზმის მონაწილეობით) და შეწყვიტა არსებობა. 1525 წელს ბრანდენბურგელმა მმართველმა პრუსიას მიაღებინა პროტესტანტული ლუთერანიზმი. გერმანელები იმ დროს რომ არ დამარცხებულიყვნენ და მათ გაეგრძელებინათ აღმოსავლეთისკენ სვლა, შემდგომ საუკუნეებში ევროპა თავიდან აიცილებდა გერმნაულ-სლავურ მსოფლიო ომებს.

გერმანელი მეფეების ჰოჰენსტაუფენის Hohenstaufen დინასტიის არსებობა დასრულდა მე-13 საუკუნეში და 1273 წელს, როგორც გერმანიის მეფე, აირჩიეს ახალი უფლისწული რუდოლფი ჰაბსბურგების სახლიდან Habsburg შვეიცარიაში. 1438 წლიდან ნაპოლეონის რევოლუციებამდე ევროპა იყო ჰაბსბურგების: ჰაბსბურგის დინასტიის ავსტრიის შტო (ერთგული კათოლიკეები), საღვთო რომის (გერმანიის) იმპერატორები თავიანთი მმართველობის პიკზე ფლობდნენ სრულიად ევროპას: ავსტრიას, გერმანიას, იტალიას, ჰოლანდიას, ბოჰემიას

(ჩეხეთი), სილეზიას (პოლონეთი) და უნგრეთს (ინგლისის, სკანდინავიისა და საფრანგეთის გარდა). ესპანეთის შტო ფლობდა ესპანეთს, პორტუგალიასა და ესპანურ ამერიკას. 1527 წელს უდიდესმა ჰაბსბურგმა კარლოსV-მ გაბედა თვით კათოლიკე რომშიც შეჭრა.

მაგრამ დაიწყო რენესანსი და პროტესტანტიზმი. წიგნები გაიაფდა და მეტად ხელმისაწვდომი გახდა 1450 წლიდან, როდესაც გერმანელმა გუტენბერგმა Gutenberg გამოიგონა ბეჭდვა. ხალხმა დაიწყო ბიბლიის კითხვა, რამაც მეტად სერიოზული შედეგები გამოიღო. 1517 წელს მარტინ ლუთერმა Martin Luther პროტესტი გამოუცხადა ღვთაებრივი მიტევებებით ვაჭრობას ვიტენბერგში Wittenberg და დაიწყო რეფორმაცია. ლუთერმა გადათარგმნა ბიბლია გერმანულად და ამით შექმნა დამწერლობითი გერმანული ენა. კალვინი Calvin ძალზედ აქტიური იყო ჟენევაში. იან ჰუსი[1] Jan Hus იმავეს ასწავლიდა პრაღაში და 1415 წელს დაწვეს, როგორც ერეტიკოსი.

1618 წელს პროტესტანტებმა პრაღის სეიმიდან კათოლიკეები ფანჯრებიდან გადაყარეს და დაიწყო კათოლიკე-პროტესტანტების 30 წლიანი ომი (1618-1648 წწ.). ომის დასაწყისში კათოლიკე ჰაბსბურგების ესპანელი და ავსტრიელი ჯარები წარმატებით ანადგურებდნენ პროტესტანტი გერმანიისა და უნგრეთის ჯარებს. მაგრამ პროტესტანტების გადასარჩენად ჩაერია შვედეთის მეფე გუსტავ II ადოლფი. შვედების არმიაში მებრძოლების უმეტესობა იყვნენ გერმანელი ლუთერანები და შოტლანდიელები (მოგვიანებით ისინი მასობრივად ემსახურებოდნენ რუსეთის მეფეს). გუსტავის სიკვდილმა სიტუაცია შემოაბრუნა, ამ გადამწყვეტ დროს საფრანგეთის კათოლიკე კარდინალმა რიშელიემ ჰაბსბურგების ამერიკული სიმდიდრით შეშფოთებულამა, მიიღო პარადოქსული გადაწყვეტილება, რომ ომში შესულიყო კათოლიკე ჰაბსბურგების წინააღმდეგ და 1635 წელს შვედებთან გაერთიანდა. 30 წლიანი ომის შედეგი იყო ევროპის მთელი რეგიონის განადგურება, შიმშილობა და მოსახლეობის მნიშვნელოვნად შემცირება. 1645 წელს ხელი მოეწერა ვესტფალიის ზავს. საფრანგეთმა მიიღო ელზასი სტრასბურგის გარეშე, ჰოლანდია და შვეიცარია გახდნენ დამოუკიდებელი. თანდათანობით დამკვიდრდა ბურბონ-ჰაბსბურგების მტრობა ევროპაში პოლიტიკური უპირატესობისთვის.

თურქ მუსლიმებს მიეცათ შანსი ჩარეულიყვნენ ევროპის რელიგიურ ომში. ავსტრიის ჰაბსბურგების კათოლიციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უნგრელები და ბოჰემიელები (ჩეხები) დახმარებას ოსმალებს სთხოვდნენ. გაცვალეს ელჩები და სულთანი ეწვია პრაღას 1620 წელს. ამავე დროს, ოსმალებმა შესთავაზეს 60 000 კაციანი ჯარი ავსტრიის ჰაბსბურგებს პოლონეთში შეჭრისათვის და ამას მოჰყვა პოლონეთ-ოსმალეთის ომი 1620-21 წწ-ში.

ბოლოს და ბოლოს, პოლონეთ-ლიტვის მეფე ჯონ სობიესკმა John Sobieski გადაარჩინა ვენა და ევროპა თურქებისგან 1683 წელს, მაგრამ სობიესკის

[1] ბოჰემიაში (ჩეხეთში) იან ჰუსმა მონაწილეობა მიიღო გერმანია-ჩეხეთის ბრძოლაში და მოითხოვა გერმანელი მასწავლებლების გამოძევება პრაღის უნივერსიტეტიდან, მაგრამ 1415 წელს დაწვეს.

ჯარი დაბრუნდა პოლონეთში, ხოლო ავსტრიის საიმპერატორო კათოლიკური ჯარი ფრანგი გენერლის, სავოის პრინცის იუჯინის Prince Eugene of Savoy მეთაურობით, თურქებს დაედევნენ. სულთანი იძულებული გახდა უნგრეთი ავსტრიისთვის დაეთმო, მომავალი ავსტრო-უნგრეთი. ვენის გადარჩენიდან 6 წლის შემდეგ, 1689 წელს, რუსეთის ტახტზე მომავალი პეტრე დიდი ავიდა და მალე ევროპის სცენაზე კიდევ ერთი ახალი იმპერია გამოჩნდა.

1740 წელს ჰოჰენცოლერნმა ფრიდრიხმა Frederick II the Great გააძლიერა პრუსია და დაიწყო გერმანიის გაერთიანება ავსტრიასთან ბრძოლით. 1792 წელს პრუსიის არმიამ აიღო ვერდენი, პარიზიც კი ემზადებოდა ოკუპაციისთვის, მაგრამ მოულოდნელად 80 000 კაციანმა გერმანიის არმიამ ბრძანების თანახმად უკან დაიხია, რაზეც ფრიდრიხს Frederick William II განმარტება არასდროს გაუკეთებია. ის გატაცებული იყო მისტიციზმით, შეუერთდა მასონებს და როზენკროიცერებს. შედეგად საფრანგეთში დაიწყო რევოლუცია, რამაც ნაპოლეონს ძალაუფლება მოუტანა. 1806 წელს უკვე პრუსიის არმია დამარცხდა ნაპოლეონის მიერ და სამეფო ოჯახი მემელში, აღმოსავლეთ პრუსიაში, გადასახლდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მფარველობის ქვეშ (რომელსაც, ჭორების მიხედვით, დედოფალი ლუიზა მოსწონდა ისევე, როგორც ნაპოლეონს).

ნაპოლეონის ლაშქრობის დროს რუსეთში 1812 წელს, პრუსიამ გაგზავნა პოლკი გენერალ ლორკის მეთაურობით და მონაწილეობა მიიღეს რიგის აღებაში. მაგრამ რუსეთის დაწინაურების შემდეგ პრუსიელმა გენერალმა სეპარატული მშვიდობა გამოაცხადა ცნობილი გენერლის კლაუზიევიცის Carl von Clausewitz მეშვეობით, რომელიც ომის წინ გადმოვიდა რუსეთიდან გერმანიის გენერალურ შტაბში[1].

1866 წელს პრუსიამ საბოლოოდ დაამარცხა ავსტრიის არმია და გამხდა ჰეგემონი გერმანულ სამყაროში. 1871 წელს პრუსიის ჯარმა აიღო პარიზი. ელზასი და ლოთარინგია გადავიდა პრუსიელების მფლობელობაში. კანცლერმა ოტო ფონ ბისმარკმა Otto von Bismarck დაარწმუნა რამდენიმე გერმანელი მეფე და უფლისწული, რომ პრუსიის მეფისთვის შეეთავაზებინათ გერმანიის იმპერატორის ტიტული. გერმანიის საბოლოო უნიფიკაცია და ამ იმპერიის შექმნა საზეიმოდ დიდებულად გამოცხადდა ვერსალის დიდ სარკეებიან გალერეაში, სადაც 1871 წელს განლაგებული იყო გერმანიის შტაბი. ჰოჰენცოლერნების მეფობა 1918 წლის რევოლუციამდე გასტანა.

საინტერესოა, რომ ბისმარკი თავის წიგნში „Gedanken und Erinnerungen“ წერდა, რომ „სლავები და კელტები უფრო მეტად იყვნენ მონათესავე ტომები, ვიდრე გერმანელები და არ მიეკუთვნებოდნენ ტყის მოყვარე ხალხს. პოლონური და ფრანგული სოფლები და დასახლებები განთავსებულნი არიან მინდვრებზე, სადაც არ არის ხეები“. ასევე ბისმარკი წერდა, რომ

[1] პოლონელები, პირიქით, პირველები იყვნენ, ვინც გადაკვეთა მდინარე ბერეზინა, ჩაერთო ბოროდინოს ბრძოლაში და შევიდა მოსკოვში, მაგრამ ნაპოლეონმა არ დაუფასა ეს თავდადება, არ შექმნა გაერთიანებული პოლონური სამეფო.

გერმანელებს „აქვთ გატაცება, იკამათონ და დისციპლინა არ გააჩნიათ, რაც არის გამანადგურებელი ნებისმიერი კეთილშობილი წამოწყებისათვის“. გერმანელები თვლიან, რომ ერის ასეთი ცვლილებები დიდწილად ამ ერთი ადამიანის ორგანიზატორული ნიჭის დამსახურება იყო.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

313 წელს წარმართი ინდოევროპელების და აზიელი ტომების იტალიაში აღრევის გამო (გოთები, ვესტგოთები, ვანდალები, ჰუნები, სხვ.) რომის იმპერატორმა კონსტანტინემ იმპერიის გადასარჩენად ბოლო შანსი დაინახა რელიგიის რეფორმაციაში და ხელი მოეწერა მილანის კულტის თავისუფლების ედიქტს Milan edict of liberty of cult (ყველა რელიგიის, ქრისტიანობის ჩათვლით). კონსტანტინე ცდილობდა გაეერთიანებინა ორი ყველაზე გავრცელებული რელიგია: მითრაიზმი და ქრისტიანობა და აღიარა ორივე[1].

325 წელს კონსტანტინემ მოიწვია ნიკეას კრება Nicean Council და მასში 3 000 ეპისკოპოსმა მიიღო მონაწილეობა. ნიკეას კრების შემდეგ ქრისტიანობა სხვა რელიგია იყო. დაარსდა კათოლიკური ეკლესია და ეპისკოპოსები. კრებამ გადაწყვიტა, რომელი ევანგელია არის ღვთაებრივი და რომელი უბრალოდ სასარგებლო: „კანონიკური“ ან „აპოკრიფული“ canonical and apocryphal. დაწესდა აქსიომები და დოგმები: წმ. სამება, მამა, ძე და სულიწმიდა – სამი ერთში და ერთი სამში, დოგმები, დღესასწაულები, რიტუალები, კვირის დასვენების დღე და ა.შ. გამორჩეული ხალხის სტატუსი ისრაელიტებს ჩამოერთვათ და ახალ აღთქმაში არ იყო საჭიროება აუცილებლად ყოფილიყავი ებრაელი, რათა მოხვედრილიყავი სამოთხეში. ნებისმიერი დისკუსია აკრძალული იყო. ბრძანების მიხედვით, სხვა წიგნები ექვემდებარებოდა დაწვას და ამ ბრძანების შეუსრულებლობა ისჯებოდა სიკვდილით. წინა იმპერატორი დიოკლეტიანე იყო ქრისტიანობის წინააღმდეგი და მას უკვე საპირისპირო ჰქონდა ნარძანები – ყველა ქრისტიანული წიგნის განადგურება. 707 წელს პაპმა აკრძალა ხატების გამოყენებაც კი, როგორც არის იუდაიზმსა და ისლამში.

სპეციალურად ამ ახალი რელიგიისთვის – ქრისტიანობისთვის 325 წელს დაარსდა ახალი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი რომის ისტორიული სამშობლოს – *ტროას* ადგილზე. კონსტანტინემ ასევე იერუსალიმში ააშენა წმინდა საფლავის ტაძარი Church of the Holy Sepulcher, სადაც მხსნელის საფლავი იყო და ინახავს ნამდვილი ჯვრის ნაწილს, რომელზეც აცვეს იესო. კონსტანტინოპოლი ურყევად მიიჩნევდა თავს რომის იმპერიად ბოლომდე და არასდროს შეწყვეტილა ამ ტერმინის ხმარება ბერძნულ ენაშიც კი. *თუმცა დასავლელები* იჩემებდნენ აღმოსავლურ იმპერიის სახელად – „ბერძნების

[1] 25 დეკემბერს აღინიშნებოდა სპარსული ღმერთის მითრას დაბადება, ეს გულისხმობდა ღვინისა და პურის მოხმარებას, რაც გადავიდა ქრისტიანულ ტრადიციაში.

იმპერია“ Imperium Graecorum. *სიტყვა* ბიზანტია Byzantine პირველად გამოიყენა გერმანელმა მწერალმა მე-16 საუკუნეში.

მაინც კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი კოზირი იყო ახალი აღთქმა, რომელიც დაწერილი იყო ბერძნულად და მხოლოდ მერე გადაითარგმნა ლათინურად. ბიბლია ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად გადათარგმნილი სხვა ენებზე და ეს მოხდა მხოლოდ პროტესტანტების რეფორმაციის დროს 5 საუკუნის შემდეგ. შესაბამისად, ევროპული ენები წარმოიშვა ვულგარული ლათინურიდან მე-6-დან მე-9 საუკუნემდე.

პრინციპში რომის იმპერია არსებითად ყოველთვის იყო ბერძნულ-რომაული. რომის ელიტას შეეძლო ორივე ენაზე საუბარი, ბერძნულად და ლათინურად, და მისი ვაჟები იგზავნებოდნენ ათენის უნივერსიტეტში. რომაელები უკეთ იბრძოდნენ, ვიდრე ბერძნები, ასევე უკეთესი კანონები, ინჟინერია ჰქონდათ, მაგრამ ხელოვნებასა და მეცნიერებაში ბერძნები უპირატესნი იყვნენ. ბერძნული ქანდაკებების რომაული ასლები ისეთი კარგი არ არის. ადამიანის სხეული, როგორც ლამაზი ქმნილება, არის ბერძნების გამოგონილი. ბერძნები აღმერთებდნენ შიშველ სხეულს, რაც აგრეთვე ქრისტიანულ მხატვრობაში გადავიდა. მაგრამ ხშირად ისინი ძალზედ შორს მიდიოდნენ და კლავდნენ დაავადებულ ბავშვებს. ამას გარდა, ბერძნების ჰომოსექსუალიზმი ყოველთვის სძულდათ რომაელებს და მათი მუდმივი საგანი იყო ბერძნებზე დასაცინად.

ბერძნებს და რომაელებს სწამდათ, რომ ბევრი ღმერთი არსებობდა. მხოლოდ ებრაელები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ იყო მხოლოდ ერთი ღმერთი. რომაელებს და ბერძნებს ჰყავდათ ღმერთები, რომლებიც ზოგჯერ ამორალურადაც კი იქცეოდნენ, მრუშობდნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ აწყობდნენ შეთქმულებებს. ასეთი ღმერთები ბერძნებს ნებას რთავდნენ, ებრძოლათ არა მარტო პირდაპირი ხერხებით, არამედ ტყუილი გამოეყენებინათ (ტროას ცხენი), რაც იმდროინდელი სხვა ერის მეომრებისთვის სამარცხვინო იქნებოდა. ამ გზით მსოფლიო შეიცვალა – კეთილშობილი საქციელი მარცხდებოდა და აღდგა მხოლოდ შუა საუკუნეების რაინდების დროს. ასე რომ, ბერძნების ავტორიტეტი რომში ისეთი სუსტი იყო, რომ დედაქალაქის გადატანის აუცილობლობის შემთხვევაშიც კი, რომაელებს არც კი მოსდიოდათ აზრად, რომ ამ მიზნით ათენი განეხილათ.

ბიზანტიის იმპერია ყველაზე ხანგრძლივად (ათას წელზე მეტხანს) არსებული იმპერია იყო მსოფლიო ისტორიაში. ბიზანტიამ დასავლელ რომაელებს მისცა მაგიდასთან ქცევის წესები. კონსტანტინოპოლის არისტოკრატები იყენებდნენ მაგიდის სუფთა გადასაფარებლებსა და ჩანგლებს, რასაც ჯვაროსნები მიიჩნევდნენ მორალური დეგენერაციის ნამდვილ ნიშნად. რომაელებმა ტახტზე წამოწოლილი სადილობის ჩვევა შეწყვიტეს და დაიწყეს მაგიდასთან დასხდომა მხოლოდ მე-10 საუკუნეში. სალათების მომზადება ზეთითა და ძმრით მოდის ბიზანტიიდან და ასევე ხიზილალა. ბიზანტიელები უმეტესად ბერძნულად საუბრობდნენ. ბიზანტიის ტრადიციების მიხედვით, მათ ეცვათ ტუნიკები.

თუმცა, სავარაუდოდ, უმთავრესი მიზეზი ბიზანტიის ხანგრძლივი არსებობისა იყო მისტიკური ბერძნული ცეცხლი (დღევანდელი ატომური იარაღის ეკვივალენტი), რაც იწვევდა გამანადგურებელ ეფექტს მტრის არმიასა და ფლოტზე. სამწუხაროდ, ბიზანტიის ეს საიდუმლო დღეს დაკარგულია და არავის შეუძლია ცეცხლის წარმოშობის ახსნა.

იმპერატორმა თეოდოუს I-მა Theodosius (379-395) გააძლიერა ქრისტიანობა, აიკრძალა რომაული ღმერთები, მსხვერპლშეწირვა, ოლიმპიური თამაშები, გლადიატორების ბრძოლა, ფილოსოფია და მეცნიერება. 1000-წლიანი ათენის ფილოსოფიური სკოლა დაიკეტა. 391 წელს ალექსანდრიის და იერუსალიმის ბიბლიოთეკები გადაწვეს. 5 000 დღემდე გადარჩენილ ახალი აღთქმის ასლებს შორის არც ერთი არ არის მე-4 საუკუნეზე უფრო ძველი. ყველა ეგვიპტური ტაძარი დაიკეტა. მხოლოდ ებრაელები ინარჩუნებდნენ იდენტურობას. თეოდოუსის კოდექსი (438 წ.) დასძენდა: „ვერც ერთი ებრაელის ცოლი ვერ იქნება ქრისტიანი, ისევე როგორც ქრისტიანი მამაკაცი ვერ შეირთავს ცოლად ებრაელ ქალს“.

თეოდოუსის სიკვდილის შემდეგ, 395 წელს იმპერია საბოლოოდ გაიყო ორ ნაწილად. რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილის ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა. 410 წელს რომი დაეცა გოთების არმიასთან, რომელსაც მეთაურობდა ალარიხი Alaric. 455 წელს რომი ააოხრეს ბარბაროსმა ვანდალებმა. 476 წელს დასავლეთ რომის იმპერია და რომი აიღო გოთმა ოდოაკრმა Odoacer.

ამავე დროს კონსტანტინოპოლში ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე Justinian (527-565) იყო უმდიდრესი და ძლევამოსილი ქრისტიანი მმართველი შუა საუკუნეების განმავლობაში. მან მოახდინა კანონების კოდიფიკაცია (იუსტინიანეს კოდექსი), გამოაცხადა ქრისტიანობა ერთადერთ სარწმუნოებად რომის იმპერიაში, დაიწყო ებრაელების დევნა, დაკეტა ნეოპლატონური აკადემია ათენში, დააარსა ბიზანტიური სტილი ხელოვნებაში, ააგო წმინდა სოფიას Santa Sophia ტაძარი. მისმა სარდლებმა ვანდალებისგან გაათავისუფლეს კართაგენი, სიცილია, ჩრდილოეთ აფრიკა, მაგრამ ის შეპყრობილი იყო რომის იმპერიის გაერთიანების იდეით და მისი არმია სამჯერ შეიჭრა იტალიაში ოსტგოთების წინააღმდეგ და მოუღეს მათ ბოლო. თუმცა გოთებიც ასევე უკვე ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ არ სწამდათ სამების (ერთი ღმერთის სამი ბუნების: მამაღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა). ბოლოს და ბოლოს, ოსტგოთების უმეტესობა გადავიდა იბერიის ნახევარკუნძულზე და იტალიის ისტორიიდან გაუჩინარდნენ. 536 წელს იუსტინიანეს ჯარებმა ქრისტესშობაც კი აღნიშნეს რომში. მაგრამ გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა. იუსტინიანეს სიკვდილიდან სამ წელიწადში ყველაფერი კვლავ დაიკარგა. 586 წელს ახალმა გერმანელმა ტომებმა ლომბარდებმა დაიპყრეს მთელი დასავლეთ რომის ტერიტორია და დაიწყო ევროპის ბნელი წლები.

ბნელ წლებში დასავლეთ ევროპაში გაბატონდა ქაოსი, ომი, კულტურული დეგენერაცია, წიგნიერება გაქრა და ა. შ. თითქმის არავინ დარჩა, ვისაც

შეეძლო წერა-კითხვა. ველურმა ტომებმა, ჭირმა და შიმშილმა გაანადგურა მოსახლეობა. ეკლესიის მიერ სიშიშვლისა და შესაბამისად, ბანაობის აკრძალვის გამო გავრცელდა კანის დაავადებების ეპიდემია. მოსახლეობის თითქმის სამი მეოთხედი გაწყდა. შუა საუკუნეების ქრისტიანების ცხოვრება მხოლოდ სიკვდილისთვის სამზადისს წარმოადგენდა. სექსის ცოდვა საყოველთაოდ იდევნებოდა. დამკვიდრდა ბატონისთვის პირველი ღამის ტრადიცია. რომანტიული სიყვარული უცხო იყო დასავლეთის კულტურაში. მეომარი რაინდების ორდენები დაფუძნებული იყო დაუქორწინებლობაზე.

სიტუაციით ისარგებლა ზაროასტრიულმა სასანიდურმა Zoroastrian Sassanid ირანმა (224-651), რომელიც აღმოცენდა აქემენიდების Achaemenid (ძვ. წ. 550-330) და პართის Parthian (ძვ. წ. 247- ჩვ. წ. 224) იმპერიის ადგილზე. სასანიდები გამუდმებით უტევდნენ ბიზანტიის აღმოსავლეთის შესუსტებულ საზღვრებს. მათ გაძარცვეს კავკასია (არმენია, იბერია, ლაზიკა, ალბანია), სირია და 614 წელს სპარსეთის მეფემ ხოსრო II-მ (590-628) Khosrau (Khosrow)[1] აიღო იერუსალიმი. მან გაიტაცა წმინდა რელიკვიები: ჯვრის ნაწილები, რომელზეც იესო იყო გაკრული, წმინდა ლახვარი, რომელიც გვერდში აძგერეს, წმინდა ღრუბელი, რომლითაც შვება მისცეს. ბიზანტიური ქრონიკები გვაუწყებს, რომ სასანიდების არმიამ და ებრაელებმა ამოხოცეს ათი ათასობით ქრისტიანი ქალაქში და დაანგრიეს ბიზანტიის მონუმენტები და ეკლესიები. ამით შური იქნა ნაძიები ალექსანდრე დიდის დაპყრობებზე დაახლოებით ათასი წლის შემდეგ. როდესაც ხოსრომ დაიპყრო ეგვიპტეც, სიტუაცია უიმედო გახდა.

მდგომარეობა გადაარჩინა სომხური წარმოშობის ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა ჰერაკლემ Heraclius (610-641). მან აიღო ოქრო და ვერცხლი ეკლესიიდან და გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში, რათა დაექირავებინა მომთაბარე მხედრები თურქული ტომებიდან (მათ შორის სელჩუკების წინაპრები და ნათესავები), რომლებიც სტეპებში იყვნენ. 628 წელს მან საბოლოოდ შეძლო გაეერთიანებინა ძალები და დაამარცა ხოსრო. 630 წელს ჰერაკლე პირადად მოვიდა იერუსალიმში, რათა დაებრუნებინა წმინდა ჯვარი თავის ადგილას, მაგრამ რაღაც გარდაუვალი რამ უკვე მოხდა: ისლამი დამკვიდრდა იერუსალიმში. ყურანის მიხედვით, წინასწარმეტყველმა მოჰამედმა ღამით, 620 წელს, იმოგზაურა მაღლა ზეცაში ტაძრის მთიდან, სადაც ესაუბრა ღმერთს. შედეგად ძველი ქალაქი გახდა სამი რელიგიის საკრალური ადგილი – ტაძრის მთა, წმინდა საფლავის ტაძარი, როკის გუმბათი და ალ-აქსას მეჩეთი. ასე მოულოდნელად გაჩნდა ახალი საერთო გლობალური მეტოქე – ისლამი. მალე მუსლიმმა არაბებმა დაასრულეს სასანიდების დინასტია და ირანი გამაჰმადიანდა. ასევე მუსლიმებმა შთანთქეს ბიზანტიის ტერიტორიები და

[1] ხოსრო ტახტზე ავიდა ბიზანტიის ჯარის დახმარებით, ვინაიდან შეთქმულებაში მონაწილეობდა და დევნილი იყო. ბიზანტიაში ფოკასის გადატრიალების შემდეგ ხოსროს შესაძლებლობა მიეცა შურისძიების მიზნით დაეწყო ლაშქრობა ბიზანტიის წინააღმდეგ.

674 წელს მათი არმიები დაბანაკდა კონსტანტინოპოლის კედლებთან. 732 წელს აღმოსავლეთში მუსლიმები იდგნენ ინდის ნაპირებთან პაკისტანში და დასავლეთში შეჩერდნენ საფრანგეთის საზღვარზე.

მე-8 საუკუნეში სიტუაცია ევროპული ცივილიზაციისთვის სრულიად დრამატული იყო. დასავლური რომის იმპერია ძირფესვიანად განადგურდა, მხოლოდ ეკლესია არსებობდა, რომელსაც უტევდნენ ლომბარდები და ესპანეთში მუსლიმები, აღმოსავლეთ იმპერიას უტევდნენ სპარსელები და არაბები. კათოლიკური ეკლესია ცდილობდა ევროპული ცივილიზაციის დაცვას. ბნელი წლების საუკუნეების მანძილზე წიგნები, როგორც ცივილიზაციის წყარო, გადარჩა მხოლოდ შორეულ ირლანდიის მონასტრებში და ბრიტანეთის კუნძულებზე (და როგორც ახლა ვიცით, არაბული თარგმანით მუსლიმურ სამყაროში). წარმართი გერმანელები და მუსლიმი არაბები უმეტესად უტევდნენ ხმელეთიდან. შესაბამისად, მონასტრები შენდებოდა უსაფრთხო ადგილებში – კუნძულებსა თუ სანაპიროებზე. საზღვაო ფლოტი იმ დროს არ არსებობდა, მაგრამ მოულოდნელად გამოჩნდნენ ნორვეგიელი ვიკინგები. ეკლესიამ კიდევ ერთხელ სასწაული მოახდინა და ევროპა გადაარჩინა – ეკლესიამ გაგზავნა თავდადებული მისიონერები მტრებთან ნორვეგიასა და შვედეთში და მათ შესძლეს ვიკინგების ქრისტიანობაზე მოქცევა.

ამავე დროს, მე-8 საუკუნეში წარმართი არიანი გერმანელი ლომბარდები უკვე იტალიის სრულ ტერიტორიას მოედნენ და გარშემორტყმულ რომს ემუქრებოდნენ. პაპი ეძებდა დახმარებას აღმოსავლეთის იმპერატორისგან, მაგრამ ის ძალზედ დაკავებული იყო მუსლიმების შემოსევებთან გამკლავებით თავის ტერიტორიაზე. მოულოდნელად დახმარება პაპმა ჩრდილოეთიდან მიიღო. ესპანური მურების დამარცხების შემდეგ კაროლინგის დინასტიის ქრისტიანმა ფრანკმა მეფეებმა: პიპინმა Pippin (Pepin) და მისმა ვაჟმა კარლოს დიდმა Charlemagne, ილაშქრეს იტალიაში, დაამარცხენ ლომბარდები და გააფართოვეს ქრისტიანი ფრანკების სამეფოს ტერიტორია შორს აღმოსავლეთით. 800 წელს შარლემანი ეწვია რომს და პაპმა მას უბოძა სამეფო გვირგვინი და გამოაცხადა საღვთო რომის იმპერატორად. ეს ნიშნავდა აღმოსავლეთის იმპერატორის შეურაცხყოფას, მაგრამ ხალხს დაცვა სჭირდებოდა. პოლიტიკური ლოგიკის მიხედვით, წყენის დრო არ უნდა ყოფილიყო: 1076 წელს თურქებმა ჩაიგდეს ხელში იერუსალიმი და აგრძელებდნენ ლაშქრობას კონსტანტინოპოლისკენ. ბიზანტიელებმა ქრისტიანებს მოუწოდეს აღმოსავლეთისაკენ, ჯვაროსნული ლაშქრობისკენ. მაგრამ ამავე დროს რელიგიური დაპირისპირება უფრო ძლიერდებოდა[1], რამაც საბოლოოდ განხეთქილება გამოიწვია 1054 წელს.

[1] დასავლეთ ევროპაში მეფეები გამოცალკევებულნი იყვნენ რელიგიური ლიდერებისგან, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორი ეკლესიის ლიდერიც იყო. აღმოსავლეთის ეკლესიამ მიიღო იმპერატორი, როგორც ქრისტეს წარმომადგენლად დასმული დედამიწაზე, რაც არასდროს გადაუღია დასავლეთს მეფეთა ღვთაებრივ უფლებათა დოქტრინაშიც კი. ამის შემდეგ, მართლმადიდებლური დოგმატიზმი

საერთო ისლამური მტრის წინაშე განსხვავებების დროებით გვერდზე გადადებამ არ უშველა და ჯვაროსნული ლაშქრობებიც წარუმატებლად დასრულდა. მონღოლების მიერ სტეპებიდან შემოტანილმა შავი ჭირის ეპიდემიამ (1348-53 წწ.) მდგომარეობა სრულიად უიმედო გახადა.

ქრისტიანული ევროპული ცივილიზაციას სასწაული თუ გადაარჩენდა და ეს მოხდა კიდეც: ეს რთულად ასახსნელი ფენომენი – რენესანსი Renaissance – Rinascimento 1400 წელს დაიწყო და სამხედრო საქმესთან, ერთი შეხედვით, არავითარ კავშირში არ იყო. რატომ იყო ევროპაში, რომ ეკონომიკა და სამხედრო ძალა გაიზარდა ისეთი ტემპებით, როგორც სხვაგან არსად. პარადოქსულად, ეს გამოიწვია ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცვლილებამ საზოგადოებაში – ჰუმანიზმმა, რომანტიზმმა, ქალებისა და ხანდაზმულების პატივისცემამ, ადამიანის უფლებების დაცვამ, თავისუფლებამ და ა. შ. რამაც გამოიწვია ადამიანების შიდა ძალების გაღვიძება და მეცნიერული რევოლუციის გაღვივება. ჯერ კიდევ ჯვაროსანმა რაინდებმა შემოიღეს სუსტების დაცვა, ქალების პატივისცემა, განსაკუთრებით ხანში შესული ქალების. მას შემდეგაც კი, რაც თოფისწამალის გამოგონების შემდეგ მე-15 საუკუნეში ხმლით მებრძოლმა ცხენოსანმა რაინდებმა შეწყვიტეს არსებობა, „ჯენტლმენების“ ტრადიცია ინარჩუნებდა ევროპის მენტალიტეტში ქალებისადმი პატივისცემას, ფეხზე ადგომით, როდესაც ქალი შემოდიოდა ოთახში, უარის თქმა დაჯდომაზე, სანამ ქალი ფეხზე იდგა და ქუდის მოხდით მათ წინაშე. შედეგი წარმოუდგენელი აღმოჩნდა.

ისევე როგორც ძვ. წ. 1200 წელს ტროას დაცემა, კონსტანტინოპოლის დაცემა 1453 წელს გახდა გლობალური მნიშვნელობის მოვლენა. ეზოთერულად სწორედ ამის შემდეგ აღმოაჩინეს ამერიკა, რადგან დაიწყო ყველა შესაძლო და წარმოუდგენელი გზების ძიება, რომ ეპოვათ ოქრო, რათა დაეფინანსებინათ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა. კონსტანტინოპოლის დაცემამ აიძულა აღმოსავლეთის სწავლულები წასულიყვნენ ვენეციისკენ ძველი კლასიკოსი ბერძენი ფილოსოფოსების და მოაზროვნეების წიგნებითა და ხელნაწერებით. მე-12 საუკუნიდან ანდალუსიის (მუსლიმური ესპანეთის) ბიბლიოთეკებში და სიცილიაში შემოვიდა არაბულ ენაზე ნათარგმნი იგივე წიგნები და დაიწყო მათი ლათინურ ენაზე თარგმნა. ეს უძველესი წინაქრისტიანული ლიტერატურა თავისუფალი იყო ქრისტიანული რწმენისა და დოგმებისგან. ამავე დროს, არისტოტელე ასწავლიდა რაციონალურ აზროვნებას, ლოგიკას, სამეცნიერო მეთოდებს, მეტაფიზიკას, ეთიკას, ფსიქოლოგიას, პოლიტიკურ თეორიას და ა.

იბრძოდა დასავლეთის პრაგმატიზმთან. ასევე განსხვავებები იყო ენობრივი ბარიერი ლათინურსა და ბერძნულს შორის, ბერძნები თანაბარ ჯვარს იყენებდნენ, როცა რომაელები იყენებდნენ Calvary სტილს; ბერძნები ლოცვის დროს იდგნენ, როდესაც ლათინები იჩოქებდნენ (ან ისხდნენ); ბერძენი მღვდლები დაქორწინებულნი იყვნენ, რომაული სამღვდელოება დაუქორწინებლობას მოითხოვდა.

შ., რაც შუა საუკუნოვანი ბნელი პერიოდის შემდეგ შოკის მომგვრელი იყო. კათოლიკური ეკლესია იძულებული გახდა, ნება მიეცა ინტელექტუალებისთვის თავისუფლად და მეცნიერულად ეაზროვნათ. დასაკარგი არაფერი იყო, მუსლიმები ისედაც მალე შუაგულ ევროპას მოაღწევდნენ. ამ თავისუფლებამ წაახალისა ახალი აზროვნება, გაზარდა ადამიანის პატივისცემა და უფლებები და ბიძგი მისცა ტექნიკური პროგრესის აქამდე უნახავი ტემპით განვითარებას.

1400 და 1500 წლების პერიოდში რენესანსი დაიწყო პატარა ქალაქ-სახელმწიფოებში ჩრდილოეთ იტალიაში: ფლორენცია და ტოსკანა, ეტრუსკული ცივილიზაციის გადმონაშთი, მედიჩების Medici დინასტიის მეთაურობით (ლორენცო, კოზიმო), მილანი სფორცასა და ვისკონტის Sforza and Visconti დინასტიების მეთაურობით, ვენეციის, გენუის და პიზას რესპუბლიკები (ნეაპოლი და სიცილია მუდმივ ომში იყვნენ მუსლიმებთან). ამ ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებში დაიწყეს იმ ძველი ბერძნული ტექსტების ლათინურზე თარგმანა, რომლებიც თავის დროზე მხოლოდ არაბულ ენაზე შემორჩა ნათარგმნი, ან კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ჩამოიტანეს ლტოლვილებმა. ფლორენციაში ჩამოყალიბდა ნეოპლატონური სკოლები. პარადოქსულად, ყველა ეს თარგმანი გამოყენებული იყო საპირისპიროდ, დასამტკიცებლად, რომ ძველი ბერძნები არ იყვნენ მართლები, მაგრამ ეს დოგმატურად კი არა (ხისტი არაარგუმენტირებული უარყოფა), არა-მედ შეძლებისდაგვარად მეცნიერულად საბუთდებოდა. ანუ პოლემიკა მიმდინარეობდა ექსპერიმენტებით, ლოგიკით და მტკიცებულებებით და არა ლოცვით და რწმენით, რაც რევოლუციური იყო ევროპული აზროვნებისთვის და წარმოუდგენელი სხვა რელიგიებისთვის. ეს იყო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დასაწყისი.

ახალმა აზროვნებამ შეცვალა საზოგადოებრივი ცხოვრებაც. ფლორენციის კონსტიტუცია იყო ყველაზე დემოკრატიული არჩევნებითა და აღმასრულებელი საბჭოს წევრების შეცვლით 2 თვის ინტერვალში, რათა თავიდან აეცილებინათ ძალაუფლების მუდმივი შენარჩუნება. ცნობილი ლორენცო დე'მედიჩი Lorenzo de'Medici (Lorenzo il Magnifico) (1449-92 წწ.) იყო ფლორენციის რესპუბლიკის დე ფაქტო მმართველი 20 წლის მანძილზე იტალიის რენესანსის აღმავლობის დროს. ის იყო სწავლულების, ხელოვანებისა და პოეტების მფარველი, აძლევდა დიდ ფულს ხელოვანებს, რათა შეძლებოდათ საუკეთესო ნამუშევრების შექმნა. 1471 წელს ლორენცომ დაიანგარიშა, რომ მისმა ოჯახმა დახარჯა 663 000 ფლორინი (დაახლოებით 460 მილიონი დოლარი დღევანდელი ღირებულებით) მოწყალებაზე, მშენებლობასა და გადასახადებზე.

პლატონის აკადემია დააარსა კოზმო დე მედიჩიმ Cosmo de Medici (1389-1464), რომელიც მიუძღვნა ბერძნული ფილოსოფიის სწავლებას და ფუნქ-ციონირებდა, როგორც რენესანსის ნეოპლატონიზმის ცენტრი. 1460 წელს მან შეიძინა ბერძნული ხელნაწერი „Corpus Hermeticum“ და დაიწყო მისი შესწავლა. ამ დროს განავითარა ეზოთერული კაბალას სწავლება, თუმცა დასავლელი

ავტორების მონაცემებით, იტალიის რენესანსის დროს არც ერთი ებრაელი ხელოვანი არ არის ცნობილი. როდესაც რომის პაპი მედიჩების ოჯახიდან გახდა, მათ ჩამოიყვანეს დიდი ხელოვანები რომში და შექმნეს ულამაზესი ნამუშევრები. ამავე დროს ფუნქციონირებდნენ მსოფლიოში უძველესი და იმ დროისთვის უმდიდრესი უნივერსიტეტები ბოლონიაში, პადუაში, ფლორენციაში და ა. შ.

ფლორენციის წარმოშობილი გენიალურობა, როგორც ჩანს, ამოუწურავი იყო. ლორენცოს სამეფო კარზე იყვნენ ხელოვანები, ისეთები, როგორიცაა ანდრეა დელ ვეროკიო, ლეონარდო და ვინჩი, სანდრო ბოტიჩელი და მიქელანჯელო ბუონაროტი Andrea del Verrocchio, Leonardo da Vinci, Sandro Botticelli and Michelangelo Buonarroti და შემდგომ რაფაელი Raphael, ტინტორეტო Tintoretto, ჯორჯიო ვაზარი Giorgio Vasari, რომლებიც იყვნენ მე-15 საუკუნის რენესანსის უდიდესი ოსტატები. მიქელანჯელო (1475-1564) ცხოვრობდა ლორენცოსთან და მის ოჯახთან 5 წელი, სადილობდნენ საოჯახო მაგიდასთან და მონაწილეობას იღებდა დისკუსიებში. ლეონარდო და ვინჩიმ (1452-1519), ვეგეტარიანელ-ჰომოსექსუალმა ცაცია მხატვარმა დაიწყო გვამების გაკვეთა, ცდილობდა შეექმნა მფრინავი კონსტრუქცია, ზოგადად აკეთებდა ექსპერიმენტებს. ის წერდა საიდუმლო მისტიკურ ტექსტებს სარკით საპირისპირო მიმართულებით. ის წერდა: „ბუნება არ არღვევს თავის კანონებს“ და „მზე არ მოძრაობს“, თუმცა ბოლო მტკიცებულება იყო (ახლა უკვე ვიცით) არასწორი, მაგრამ არსობრივად ერეტიკული, რადგან ვარაუდობდა ღვთაებრივ ძალაზე უფრო ზემოთ მდგომ ძალის არსებობას. იმ დროისთვის ეს ისეთი თამამი განცხადება იყო, რომელსაც თანამედროვე თითქმის ვერც ერთი მოაზროვნე ვერ გაბედავს. მაზაჩო Masaccio, რევოლუციონერი მხატვარი, რომელმაც პირველად ევროპაში შემოიღო (მეცნიერულ ხედვაზე დამყარებული) პერსპექტივა ფრესკებზე მუშაობისას ეკლესიაში სანტა მარია დელ კარმინი Santa Maria del Carmine 1430 წელს. დასავლეთის ეკლესიები აღიარებდნენ ხატებს და მხატვრობას, განსხვავებით ისლამის, იუდაიზმისა და აღმოსავლეთ ეკლესიის მე-8 საუკუნის ხატების განადგურების პერიოდისა. მოქანდაკე ანდრეა ვეროკიო Andrea Verocchio და მხატვარი სანდრო ბოტიჩელი Sandro Botticelli (1445-1510) ცხოვრობდნენ მოგზაური ამერიგო ვესპუჩის Amerigo Vespucci გვერდით სახლში, რომლის სახელთან, ერთ-ერთი ვერსიით, დაკავშირებულია ამერიკის სახელწოდება.

კიდევ ბევრი ძნელად შესამჩნევი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი რამ მოხდა იმ დროს. მაგ., მედიჩების ოჯახში პირველად შემოიღეს მაგიდასთან დასხდომის არაიერარქიული წესი. ადრე ყველა სტუმარს მუდმივი ადგილი ჰქონდა თანამდებობის შესაბამისად, ხოლო ახლა ვინც ადრე მოდიოდა, ჯდებოდა მასპინძელთან გვერდით თანმიყოლებით – ძალზედ უბრალო პრინციპი, უდიდესი დემოკრატიული შედეგებით. ადამიანები უფრო თავისუფალნი

ხდებოდნენ. ამან ხელი შეუწყო კომუნიკაციას საზოგადოების სხვადასხვა ფენკს შორის. ადამიანები მართავდნენ პირდაპირ დებატებსა და დისკუსიებს.

რენესანსის მწერლები იყვნენ დანტე და პეტრარკა. დანტე ალიგიერი Dante Alighieri (1265-1321) იყო მთავარი შთამაგონებელი რენესანსისა. 1274 წელს დანტეს მეუღლე ბეატრიჩე Beatrice გარდაიცვალა ძალზედ ახალგაზრდა და მთელ მის სექსუალურ ენერგიას დანტე პოემებში გამოხატავდა. ეროტიზმის პირველი ნიშნები აისახა „ღვთაებრივ კომედიაში“ „Divine Comedy“, სადაც პირველად იყო, როცა აღმოსავლეთის, სუფის, არაბეთის ეროტიული მოტივები გაჩნდა დასავლეთის ლიტერატურაში. აქამდე ყველა სექსუალური გრძნობა დათრგუნული იყო რელიგიით. რენესანსმა აღმოაჩინა სიყვარული და ვარსკვლავები (ასტრონომია), რაც მანამდე აკრძალული იყო. ბოტიჩელი, ლეონარდო (ღვთაებრივი პროპორცია, მონა ლიზა), რაფაელი და მიქელანჯელო ცდილობდნენ გამოეხატათ სექსუალური ენერგია. რომანტიზმის წარმოშობა მუსიკასა და პოემებში არის ეზოთერული სექსუალურობა და საიდუმლო სექსუალური ტექნიკა.

იტალიელმა გალილეო გალილეიმ Galileo Galilee (1564-1642) და პრუსიელ-პოლონელმა კოპერნიკმა Copernicus (1473-1543), რომლებიც სწავლობდნენ ბოლონიასა და პადუაში, მიუსადაგეს მათემატიკური დაანგარიშება ბუნების ნაწილების (მზე, დედამიწა, ვარსკვლავები) მოძრაობას და მიიღეს ერეტიკული შედეგები მათ მუდმივ მექანიკურ გადაადგილებაზე. გალილეო იყენებდა ახლად გამოგონებულ ტელესკოპს, რათა დაემტკიცებინა ჰელიოცენტრული თეორიის მეცნიერული სიზუსტე, ხოლო კოპერნიკი ციტირებდა ჰერმეს ტრისმეგისტუსისგან დასკვნების გაკეთების დროს, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო. რელიგიური ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ მზე არ ემორჩილება მექანიკურ კანონებს, არამედ ღმერთის სურვილს, რასაც ადასტურებდნენ ძველი აღთქმით, რომელიც ამბობს, რომ ჯოშუას თხოვნის საპასუხოდ, ღმერთის სურვილის შესაბამისად „მზე იდგა მშვიდად და მთვარეც, სანამ ადამიანებმა შური არ იძიეს მათ მტრებზე“. ეს ასტრონომიული დავა ძალზედ სახიფათო იყო. ჯორდანო ბრუნო Gordano Bruno დაწვეს 1600 წელს, როდესაც არისტოტელეს წინააღმდეგ დაწერა, რომლის სწავლებებიც კანონიზირებული იყო კათოლიკური რელიგიის მიერ. ქრისტოფორე კოლუმბის (1451-1506) მიერ ამერიკის აღმოჩენა იყო პირველი მართლაც სერიოზული დარტყმა ტრადიციულ ავტორიტეტებსა და სწავლებებზე. დამტკიცდა, რომ დედამიწა არ იყო ბრტყელი. მალე დამტკიცდება, რომ დედამიწა არ არის მზის სისტემის ცენტრი.

მაგრამ კათოლიკური ეკლესია ჯერ კიდევ უძლიერესი და ყოვლისშემძლე იყო. დაიწყო ჩრდილოეთ იტალიის „ექსპერიმენტების“ აღმოფხვრა. ფლორენ-ციის მმართველობაში მოვიდა კათოლიკე ფანატიკოსი სავონაროლა Savo-narola. მან მედიჩები ქალაქიდან გააძევა, მაგრამ ისეთი ფანატიკოსი აღმოჩნდა, რომ პაპიც კი იძულებული გახდა მოეკვეთა ეკლესიისგან და ის

საბოლოოდ ჩამოახრჩვეს და დაწვეს ფლორენციის მთავარი მოედანზე 1498 წელს. 1555 წელს მთავარი ინკვიზიტორი გახდა რომის პაპი და გაძლიერდა კონტრრეფორმაცია. ნაბრძანები იყო ყველა მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ან გათხოვილიყო, ან სიკვდილით დაესაჯათ. რომში ყველა ჰომოსექსუალი სიკვდილით დასაჯეს. მხოლოდ ხანგრძლივი განხილვების შემდეგ უბრალო მრუშობა არ იყო გამოცხადებული სიკვდილით დასჯად საქციელად. ჩამოყალიბდა იეზუიტების ორდენი. პირველად ისტორიაში ებრაელებისათვის რომში დაწესდა გეტოები და მათ უნდა ეტარებინათ ყვითელი ვარსკვლავი. ასე გაგრძელდა ნაპოლეონის საზოგადოებრივ რეფორმებამდე. აიკრძალა კარტოფილის საკვებში გამოყენება, რის გამოც ათასობით გლეხი შიმშილით კვდებოდა, მაგრამ კარტოფილს ვერ ეკარებოდა.

რენესანსის ბედი საფრთხეში იყო და მხოლოდ სასწაული თუ შეცვლიდა ევროპის ისტორიას. მართლაც, ერთმა „რომანტიკულმა“ შემთხვევამ შეცვალა ევროპის ცივილიზაციის ბედი. ეს დაიწყო, როდესაც 1483 წელს საფრანგეთის ტახტზე ავიდა ახალგაზრდა მეფე ჩარლზ VIII. ის იყო „მეფის სამი ვაჟის წიგნი“-ს გავლენის ქვეშ, სადაც აღწერილია საფრანგეთის, ინგლისისა და შოტლანდიის სამეფო გვირგვინის ახალგაზრდა მემკვიდრეები, რომლებიც საიდუმლოდ წავიდნენ ნეაპოლის მეფის ქალიშვილისთვის საბრძოლველად. მით უმეტეს ეგვიპტის სულთანმა, თურქების მტერმა, შესთავაზა ნებისმიერ ევროპელ ლიდერს მილიონი დუკატი ახალი ჯვაროსნობის წამოწყებისთვის. მით უმეტეს, იერუსალიმის მეფის ტიტული სიცილიის გვირგვინს ეკუთვნოდა. გრანადას დაცემის ამბავმა 1492 წელს გაიჟღერა, როგორც ხმამაღალი მოწოდება დიდებისთვის საბრძოლველად. მართლაც, 1494 წელს ჩარლზმა დატოვა საფრანგეთი და გაილაშქრა ნეაპოლისა და სიცილიისკენ 40 000 კაციანი არმიით. პაპმა აღიარა ის, რაც გარდაუვალი იყო და დაუმორჩილა რომი ფრანგ მეფეს, მაგრამ შეთქმულება მოაწყო ესპანეთის, ვენეციის, ინგლისის, მილანის არაკეთილმოსურნე მმართველებთან ერთად და ჩარლზის წამოწყებული ჯვაროსნული ლაშქარი ჩაიშალა. ეს ევროპაში ჩვეულებრივი ამბავი იყო, როდესაც ინტრიგებში ბევრი კათილშობილი წამოწყება მარცხდებოდა, მაგრამ კონკრეტულად ამ ეპიზოდს ერთი შედეგი მოჰყვა, რომელიც მოულოდნელად გლობალური მასშტაბის აღმოჩნდა. რენესანსს, რომელიც განწირული იყო დარჩენილიყო იტალიის ფარგლებში, მიეცა შანსი გავრცელებულიყო მთელს ევროპაში. ლაშქრობის დროს ჩარლზმა გახსნა იტალიის საზღვრები, ხელში ჩაიგდო იტალიის ხელოვნების ნიმუშები და იდეები და ალპების გადაღმა წაიღო. შედეგად რენესანსი მთელ ევროპაში გავრცელდა.

იტალიის გაერთიანება სავოის დინასტიის სახლის სამეფო გვირგვინის ქვეშ მხოლოდ ნაპოლეონის ომების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ესპანეთის ისტორია

იბერიელი, კელტი, ბასკი, რომაელი და გერმანელი გოთების და ვანდალების შერეული მოსახლეობის ესპანეთი მურებმა (აფრომუსლიმანებმა) დაიპყრეს 711 წელს და 5 საუკუნის მანძილზე ინარჩუნებდნენ. მუსლიმთა გაფართოება დასავლეთით შეწყვიტა კარლოს მარტელმა Charles Martel და პიპინმა Pepin (Pippin) 732-759 წწ-ში. მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მუსლიმთა კულტურა და მეცნიერება გაცილებით განვითარებული იყო პრიმიტიულ გოთებთან შედარებით. კორდოვა მე-10 საუკუნეში ევროპის ყველაზე დახვეწილი ქალაქი იყო დაგებული ტროტუარებით, განათებული ქუჩებით, ხიდებით, წყალსადენებით, ბაღებითა და უნივერსიტეტებით. რა თქმა უნდა, არავინ დავობს, რომ ქაღალდი ჩინური გამოგონებაა, მაგრამ ზუსტად ანდალუსიაში მუსლიმებმა პირველად ააგეს ქაღალდის საწარმოები და შესაძლებლობა მისცეს მწიგნობრობის განვითარებას. მე-10 საუკუნეში, იმ დროს, როდესაც პარიზის ერთადერთ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში რამდენიმე ათასი ტომი წიგნი ინახებოდა, ტოლედოსა და კორდოვაში რამდენიმე ბიბლიოთეკა იყო, რომლებშიც თითოში ნახევარმილიონი წიგნი ინახებოდა. ტოლედო ის იშვიათი ქალაქი იყო ესპანეთში, რომელიც რეკონკისტას დროს მშვიდობიანად გადავიდა ქრისტიანულ მმართველობაში და ორი (მე-11-13) საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანი, მუსლიმი და ებრაელი მწიგნობრები ერთად მუშაობდნენ წიგნების თარგმნისა და გადაწერის დროს. ქრისტიანული ჩრდილოეთ ესპანეთი ღარიბი და სუსტი იყო მუსლიმური სამხრეთისგან განსხვავებით.

იმ დროს ფერდინანდი და იზაბელა Ferdinand and Isabella, არაგონისა და კასტილიის Aragon and Castile მონარქები, გაერთიანდნენ. იზაბელა გათხოვდა ფერდინანდზე იმ პირობით, რომ გაერთიანებული სამეფოს პირველი მეფე იქნებოდა მათი საერთო შვილი. ამ სამეფოს დაარქვეს ესპანეთი España (Spain), რომლის ფუძეს წარმოადგენდა უძველესი სახელი Hispania. ისინი მმართველობდნენ არა მუდმივი ცენტრალური დედაქალაქიდან, არამედ მათი გრძელი ქარავანი კვეთდა ქვეყანას ქალაქიდან ქალაქამდე. გაერთიანების შემდეგ ისინი ნელ-ნელა უტევდნენ მუსლიმებს. უკანასკნელი დარჩენილი ტერიტორია იყო გრანადა. მასთან ბრძოლის ეკონომიკური საფუძველი არ არსებობდა. ტრადიციულად, გრანადა ყიდულობდა მშვიდობას ხარკის გადახდით კასტილიისთვის ყოველ სამ წელიწადში ერთხელ და მისი ოდენობა უდრიდა კასტილიის სრული შემოსავლების 20-25%-ს. მაგრამ რეკონკისტა უფრო რელიგიური მოვალეობა იყო. ამას გარდა, ისლამის ზეწოლა ქრისტიანობის მისადგომებთან სულ უფრო საშიში ხდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თურქებმა ალყა შემოარტყეს კონსტანტინოპოლს.

რეკონკისტამ ბოლო მოუღო მუსლიმთა 780 წლიან კონტროლს ალ-ანდალუსზე (Al Andalusia = Vandalusia ვანდალების მიწა) 1492 წელს. მუსლიმები ან უნდა მოქცეულიყვნენ, ან მიგრაციაში წასულიყვნენ. ქრისტიანობაზე

მოქცეული მუსლიმები განთავისუფლებულნი იყვნენ ინკვიზიციის კონტროლისგან 40 წლით. მათ შეეძლოთ ემოსათ ტრადიციული ჩაცმულობა „სანამ არ გაიცვითებოდა“. სახელმწიფო ენა მხოლოდ კასტილიური იყო, მაგრამ მუსლიმებს შეეძლოთ შეენახათ პირადი ჩანაწერები არაბულად. ასევე შეეძლოთ შეენარჩუნებინათ თავიანთი საზოგადოებრივი აბაზანები. ისინი მხოლოდ ქრისტიანულ გადასახადებს გადაიხდიდნენ, მაგრამ სამჯერ უფრო მაღალს, ვიდრე „ძველი ქრისტიანები“. წარსული დავიწყებას მიეცა და ვინმესთვის დაძახება „მავრი“ შეურაცხყოფად იქცა. იგივე მოთხოვნები წაუყენეს ესპანელ ებრაელებს, მაგრამ ებრაელებმა ემიგრაცია ამჯობინეს. 1497 წელს იგივე მოთხოვნა წაუყენეს ებრაელებს პორტუგალიაში და 1512 წელს ნავარაში. ყველაზე დაცული მიმართულება გამოსახლებული ებრაელებისთვის იყო ოსმალეთის იმპერია. შესაბამისად, მათ არ მიუღიათ მონაწილეობა ევროპულ რენესანსში, შესაძლოა მათი შიდა პრობლემების გამო.

როდესაც ფერდინანდი და იზაბელა გაემგზავრნენ გამარჯვებულ გრანადაში, მხოლოდ ერთს არ შეეძლო ეზეიმა ტრიუმფი: ქრისტეფორე კოლუმბმა, გენუელმა იტალიელმა, მხოლოდ მაშინ შეიტყო, რომ ექსპერტების კომიტეტმა უარი თქვა შეთავაზებაზე დასავლეთ ოკეანის გადაკვეთაზე და იგი საფრანგეთში მიემგზავრებოდა.

სულ რამდენიმე თვით ადრე კოლუმბმა მიიღო უარი პორტუგალიის მეფისგან და ახლა საფრანგეთის მეფისკენ მიეშურებოდა. საინტერესო იქნებოდა ევროპის ალტერნატიული ისტორია, თუ კოლუმბი თანხმობას სხვა მეფეებისგან მიიღებდა.

პორტუგალიელები პიონერები იყვნენ ოკეანის დაპყრობაში. პორტუგალიის მკვლევრებმა აღმოაჩინეს მადეირა, აზორის კუნძულები და სენეგალი 1444 წელს და მიადგნენ მდინარე კონგოს 1473 წელს. მათ დაიწყეს აფრიკელი მონების შემოყვანა, რათა მათ ეშრომათ შაქრის პლანტაციებში აზორიესა და კანარის კუნძულებზე. ბართლომე დიასი არტოლომეუ იას დაბრუნდა პორტუგალიაში 1488 წელს ახალი ამბით, რომ წარმატებით შემოუარა აფრიკის კონცხს (ჩაპე ოფ ოოდ ოპე). შესაძლოა ამიტომ პორტუგალიელმა მეფემ ჯონმა უარყო გენუელი მოგზაურის გიჟური იდეა, რომ მიეღწია ინდოეთისთვის, თუ გაცურავდა დასავლეთით. საბედნიეროდ, დანაწევრებულ ევროპაში კოლუმბს ყოველთვის შეეძლო ეპოვა ვინმე სხვა მონარქი, ვისაც გემებს და დაფინანსებას სთხოვდა. დედოფალმა იზაბელამაც კი სამჯერ უთხრა უარი, სანამ ამ შეთავაზებაზე დადებით პასუხს მისცემდა. კოლუმბი რვა წელი ელოდა პასუხს. როდესაც კოლუმბმა 1492 წელს ბაჰამას მიაღწია, პორტუგალიელმა ვასკო და გამამ Vასცო და ამა, ფლორენციის ბანკირების მიერ დაფინანსებულმა, იმოგზაურა კეთილი იმედის კონცხის ირგვლივ ოთხი გემით, მართლაც მიაღწია ინდოეთამდე 1498 წელს და ევროპაში შემოიტანა წიწაკა. სპეციები იმდროინდელ ევროპაში ოქროზე და ნებისმიერ სხვა პროდუქტზე უფრო ძვირი იყო. ევროპელების საკვები იმ დროს უგემო, არადამუშავებული

და ჯანმრთელობისთვის საზიანო იყო. ჯერ კიდევ არსებული აბრეშუმის გზა ანატოლიის და კონსტანტინოპოლის გავლით თურქების და ვენეციელების კონტროლქვეშ იყო და მონღოლები შემდეგ სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა.

ვასკო და გამამ სამჯერ იმოგზაურა პილპილით მდიდარ ინდოეთის პორტ კალკუტაში და გახდა პორტუგალიის ინდოეთის მმართველი. პორტუგალია იყო საზღვაო პიონერი ამ მომგებიან ბაზარზე. მათ მიაღწიეს ინდოეთსაც და ჩინეთსაც, სადაც დააარსეს მაკაო. კომერციულად ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე განუსაზღვრელი მიწის მითვისება დასავლეთში, სადღაც დასაკარგავში. მიუხედავად ამისა, მალევე, კოლუმბის შემდეგ, 1500 წელს, პორტუგალიელი პედრო ალვარეს კაბრალი Pedro Alvares Cabral გაგზავნილ იქნა დასავლეთში, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ბრაზილია „ხელს უშლიდა“ გზას ინდოეთისკენ.

იმავე 1500-იან წლებში პორტუგალიელმა მეფემ უკვე რამდენიმე ექსპედიცია გააგზავნა „ჩვეულებრივი“ აღმოსავლური, აფრიკის შემოვლითი გზით, ზოგი წარმატებული და ზოგი ნაკლებად. წარმატებული იყო 1513 წელს კოლუმბის ნათესავის, ცოლისძმის, რაფაელ პერესტელოს Rafael Perestrello მოგზაურობა ჩინეთში, ხოლო ექსპედიცია პირესის Fernão Pires მეთაურობით ჩინეთში, გუანჯოუში Guangzhou, რათა უკვე დაემყარებინა ოფიციალური დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობები, სავალალოდ დამთავრდა 1552 წელს. ჩინელებმა დელეგაცია დაანაწევრეს. სავარაუდოდ, ჩინეთის იმპერატორს მიუვიდა ხმები, რომ პორტუგალიელები იტაცებდნენ ჩინელ ბავშვებს. ჩინელებს ისინი კანიბალები ეგონათ, ხოლო სინამდვილეში პორტუგალიელები ცნობილი მონათმოვაჭრეები იყვნენ. უკვე 1557 წელს ჩინელმა მოხელეებმა თვალი დახუჭეს პორტუგალიელ ვაჭრებზე, რომლებიც მაკაოში სახლდებოდნენ. მათ გახსნეს მაღაზიები ნაგასაკშიც კი, იაპონიაში. არაორდინალური მცენარეები – სიმინდი, კარტოფილი, მიწის თხილი გაჩნდა აღმოსავლეთში, რომელიც ევროპაში ამერიკიდან შემოვიდა. 1520 წელს პორტუგალიელმა მოგზაურმა ფერდინანდ მაგელანმა Ferdinand Magellan, რომელიც ესპანეთის დროშის ქვეშ ცურავდა, აღმოაჩინა დედამიწის გარშემო შემოსავლელი გზა.

ინგლისი უკანასკნელი იყო, ვინც რბოლას შეუერთდა და ინგლისის მეფე ჰენრი VII-მ მისცა დავალება ჯონ კაბოტს (ჯოვანი კაბოტო) John Cabot (Giovanni Caboto) (1450-1499 წწ.), იტალიელ ნავიგატორს და მკვლევარს, რომელმაც აღმოაჩინა ჩრდილოეთ ამერიკა იმავე გზით, როგორც ჩრდილოეთის ვიკინგებმა Norse Vikings მიაღწიეს ვინლენდს Vinland მე-11 საუკუნეში. კანადისა და ბრიტანეთის მთავრობების ოფიციალური პოზიცია არის, რომ ის მიადგა კუნძულ ნოუფაუნდლანდს Newfoundland. პერუს დარბევის შემდეგ, 1579 წელს, ფრანცის დრეიკი Francis Drake გაემგზავრა ამერიკის დასავლეთით და მიადგა კალიფორნიას.

საფრანგეთისკენ ერთი დღის მგზავრობის შემდეგ კოლუმბს სამეფო მაცნე დაეწია და მოსთხოვა, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო სამეფო კარავში ახლახან

აღებული ქალაქის გრანადის კედლებთან. კოლუმბის მოთხოვნები მეტისმეტად ამბიციური იყო. რაც მას სჭირდებოდა იყო არა ის, რასაც იქ აღმოაჩენდა, არამედ ის, რაც აქ დახვდებოდა აღმოჩენის შემდეგ. მან მოითხოვა: „მე უნდა დამიძახონ დონ და ოკეანე-ზღვის დიდი ადმირალი და მეფისნაცვალი და სამუდამო გუბერნატორი ყველა კუნძულისა და ადგილისა, რაც შეიძლება, რომ აღმოვაჩინო და მოვიპოვო, და ჩემი უფროსი ვაჟი მემკვიდრე იქნება და ამას იქეთ მისი მემკვიდრეები, თაობიდან თაობამდე, ყოველთვის და მუდამ“. და ის მოითხოვდა ყველა შემოსული გადასახადის მეათედს.

რაც მთავარია, და რამაც გადააწყვეტინა ესპანელ მეფეს ამ ტრანსატ-ლანტიკურ თავგადასავალში მონაწილეობა, იყო კოლუმბის დაპირება, რომ მოგება იმხელა იქნებოდა, რომ მისცემდა მას მუსლიმებისგან იერუსალიმის წმინდა მიწის გათავისუფლების შესაძლებლობას[1]. კოლუმბი წერდა, რომ მონარქებმა გაიღიმეს, როდესაც ეს თქვა.ზოგი ისტორიკოსი ვარაუდობს, რომ ეს იყო სკეპტიციზმის ღიმილი, ხოლო ზოგი თვლის, რომ სინამდვილეში ეს სიამოვნების ღიმილი იყო მონარქებისა, რომლებმაც ეს-ესაა დასავლეთ ევროპა გაათავისუფლეს და კიდევ უფრო დიდ გმირობაზე ოცნებობდნენ.

ამ გადაწყვეტილების სუფთა ეკონომიკური მიზეზი ნაკლებად სავარაუდოა. კოლუმბამდე იმდენად ბევრი უსარგებლო კუნძული იქნა აღმოჩენილი კანარის და აზორის არქიპელაგში, რომ ზედმეტის აღმოჩენა არანაირად არ იყო მნიშვნელოვანი. აღმოჩენილი კუნძლები საკმარისი იყო შაქრის წარმოებისთვის. მაშინაც კი, თუ ახალი კონტინენტი იარსებებდა დასავლეთში, ძნელი იქნებოდა წარმოდგენა, თუ რა სარგებელი იქნებოდა მისგან. ერთადერთი ღირსეული მიზანი იქნებოდა ახალი გზის გახსნა ჩინეთთან ან ინდოეთთან მისასვლელად (ნაკლებად საინტერესო იყო იაპონია, ან „სიპანგუ Cipangu“)[2]. ამიტომაც დღემდე ამერიკელ აბორიგენულ მოსახლეობას ინდიელებს Indians უწოდებენ.

---

[1] ტამპლიერების ლეგენდის მიხედვით, დასავლეთით მდებარეობდა ლამაზი ქვეყანა ვარსკვლავ მერიკას Merica ქვეშ. სწორედ ამიტომაა, ზოგ ავტორს სჯერა, რომ კოლუმბი მიზანდასახულად წავიდა დასავლეთით, არა ინდოეთის საძებნელად, არამედ ამ ქვეყნის. კოლუმბის მეუღლეც პორტუგალიელი ტამპლიერების შთამომავალი, ორდენის მაგისტრის შვილი იყო. ბევრი ავტორი ამერიკის სახელის დარქმევას ამ ლეგენდას უკავშირებს – ქვეყანა „ლა მერიკა“ „La Merica“, ნაცვლად ამერიგო ვესპუჩის AmerigoVespucci სახელთან დაკავშირებულ ვერსიისა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ოფიციალური დოკუმენტებით, ესპანეთის მეფე მას აგზავნის გაურკვეველ „კუნძულებსა და კონტინენტებისკენ ზღვა-ოკეანეებში“. მონარქები აძლევდნენ მას წერილებს, რომელთა ადრესატია „პატივცემული უფლისწული, ჩვენი ძვირფასი მეგობარი“, რომელიც კოლუმბს უნდა გადაეცა ახალი მიწის შესაძლო მმართველისთვის, ხოლო ჩინეთი ნახსენები არ იყო.

[2] ამერიკის აღმოჩენაში ჩინეთის როლი ხშირად შეუმჩნეველი რჩება. ჩინეთის მიერ კომპასის გამოგონებამ შესაძლო გახადა ხანგრძლივი საზღვაო მოგზაურობები ოკეანეში. ევროპელები იძულებულნი იყვნენ, ეპოვნათ სავაჭრო გზა მდიდარ ჩინეთთან, რადგან ჩინეთს თავად არ აღელვებდა ეს. ევროპულ ბაზარზე

როდესაც ცხადი გახდა, რომ კოლუმბის პროექტი შესაძლოა დაფინანსებული ყოფილიყო არა ესპანეთის ხაზინის მიერ (ამბავი თითქოსდა იზაბელამ თავისი ძვირფასეულობა დააგირავა, რათა შეეგროვებინა კოლუმბის ექსპედიციის თანხა, მხოლოდ მითია), არ არსებობდა მიზეზი, არ დაერთოთ ნება და ენახათ, რა მოხდებოდა. ეს სათქმელად უფრო ადვილი იყო, ვიდრე გასაკეთებლად. ნამდვილმა ინვესტორებმა, იტალიელი ბანკირების ჯგუფმა სევილიიდან, შესთავაზეს სამი პატარა გემი და მეზღვაურები ბასკი ძმები პინზონების Pinzon მეთაურობით.

ბოლოს და ბოლოს, 1492 წლის 11 ოქტომბერს, დილით, ორ საათზე, ქვემეხმა გაისროლა ერთ-ერთი გემიდან, რაც ნიშნავდა „ვხედავ მიწას!“ „Land ahoy!“[1]. ეს იყო სან სალვადორი (ბაჰამა) San Salvador (Bahamas). ყველაზე მეტად, რაც შთაბეჭდილებას ახდენდა კოლუმბზე, იყო ადგილობრივი მოსახლეობა. უპირველესად, თრგუნავდა ხალხის სიშიშვლე, თუმცა ისინი ფიზიკურად ნორმალურები გახლდნენ, და ეს ნიშნავდა, რომ პოტენციურად შესაძლებელი იყო მათი გაქრისტიანება. მაგრამ ოქროს გარეშე, მას სასაცილოდ აიგდებდნენ ესპანეთში დაბრუნებისას. დანარჩენი – ანანასი, თამბაქო, კანოე, ჰამაკი, თუთიყუში, არ იყო მომგებიანი. მხოლოდ ოქროს აღმოჩენა იყო მონარქების ყურადღების ღირსი. კოლუმბი მეორედ გაემგზავრა ამერიკაში 1493 წლის სექტემბერში. მაგრამ ახლა ადგილობრივები აღარ იყვნენ მეგობრულად განწყობილნი. კანიბალების ამბავი დასტურდებოდა სასტიკ სინამდვილედ. ადგილობრივებმა გაჟლიტეს გარნიზონი, რომელიც მან დატოვა. უზომო ტენიანობამ გაანადგურა ნაგებობები. კოლუმბი თავისმა გაუმაძღრობამ ისეთი აუტანელი გახადა, რომ დააპატიმრეს და შინ ჯაჭვებით გაამგზავრეს. ამასობაში Pizarro ძმებმა პისაროებმა და დიეგო დე ალმაგრომ Diego de Almagro დაიპყრეს პერუ, ძმებთან კონფლიქტის შემდეგ ალმაგრომ დაიპყრო ჩილე და ერთ-ერთმა პისარომ ის მოკლა კიდეც.

ამერიკის აღმოჩენამ რადიკალურად შეცვალა მსოფლიოს რელიგიური რუკა და მსოფლიოს ცივილიზაციების ბალანსი. ქრისტიანობამ, რომლის განვითარება შეაჩერა ისლამმა, დაიწყო რაოდენობრივი და ტერიტორიული ზრდა. თუმცა ქრისტიანობა ნაკლებად ეფექტიანი იყო ვაჭრობაში, ვიდრე

ყოველთვის იყო საკვები სანელებლების დეფიციტი, ხოლო სანაცვლოდ ჩინეთს ევროპაში არაფერი აინტერესებდა. მათი გადასახედიდან ევრაზიის ეს პერიფერიული კუთხე ძალზედ ღარიბი იყო. პარადოქსულია, გამოსავალი იპოვეს ამერიკაში. ამერიკაში ვერ მოინახა ოქრო, რაც კოლუმბის ტრაგედია იყო, მაგრამ, იყო დიდი რაოდენობით ვერცხლი, ერთადერთი, რაც საჭირო იყო ჩინეთისთვის. შესაბამისად, ევროპელებმა შემოიტანეს სიმდიდრე ჩინეთიდან ამერიკის ვერცხლის სანაცვლოდ.

[1] კოლუმბის პირველი მოგზაურობის დროს დაინახეს უცნობი, მისტიკური სინათლე, რომელიც შენიშნეს სანტა მარიას და პინტას ეკიპაჟის წევრებმა. კოლუმბმა სინათლე აღწერა, როგორც „პატარა ცვილის სანთელი, რომელიც ზევით-ქვევით მოძრაობდა და მიწაზე მიანიშნებდა“.

ისლამი ან იუდაიზმი, ხოლო მეცნიერული ცნობისმოყვარეობის ტრადიცია ისლამსა და ჩინეთში, სულ მცირე, ისეთივე ძლიერი იყო, მაგრამ ქრისტიანი დასავლეთ ევროპელები გახდნენ წარმატებულნი.

იზაბელას, Trastámara დინასტიის წარმომადგენლის, სიკვდილის შემდეგ მისი ქალიშვილი ჰაბსბურგის პრინცს გაჰყვა ცოლად და ჰაბსბურგების სახლის ესპანური შტო და საღვთო რომის იმპერატორი კარლოს V (1500-1558 წწ.) გახდა პირველი ნამდვილი გლობალური „იმპერიის, სადაც მზე არასდროს ჩადის“ მმართველი და დომინანტი მუსლიმებთან ბრძოლაში ევროპაში. 1529 წელს თურქებმა დაიპყრეს უნგრეთი და მივიდნენ ვენის კარიბჭესთან. ჰაბსბურგები ევროპაში ყველგან იბრძოდნენ. მაგრამ უმეტესად მაინც პროტესტანტების და „მოღალატე“ კათოლიკე საფრანგეთის წინააღმდეგ. როდესაც 1517 წელს გერმანელმა ბერმა მარტინ ლუთერმა მიაჭედა 95 პროტესტი ვიტენბერგის კათოლიკური ეკლესიის კარზე ჰელოუინის დროს, ის იმედოვნებდა, რომ კარლოსი მას მხარს დაუჭერდა, მაგრამ იმპერატორს სწამდა, რომ ქრისტიანობის დაცვა ითვალისწინებდა ერთ ეკლესიას, განუყოფელს. მან მოლაპარაკება აწარმოა მარტინ ლუთერთან და აიღო კიდეც კათოლიკური რომი 1527 წელს. ბოლოს და ბოლოს, კარლოსV-მ[1] გაუყო უზარმაზარი იმპერია ძმას ფერდინანდს Ferdinand (გერმანია, ავსტრია და საღვთო რომის იმპერიის ტიტული) და ვაჟ ფილიპე II-ს Philip (ესპანეთი, ჰოლანდია და ბელგია) და მოხუცი და მოტეხილი წავიდა მონასტერში.

40 წლის მანძილზე ესპანეთის მეფე ფილიპე II ჰერკულესის მსგავსად იბრძოდა ჰაბსბურგების იმპერიის გასაფართოებლად პროტესტანტების და მუსლიმების წინააღმდეგ. ვენეციურ ფლოტთან ერთად მან პირველი გამარჯვება მოიპოვა თურქულ ფლოტზე და გაანადგურა ის ლეპანტოსთან 1571 წელს. ვენის ალყის მოხსნა და ლეპანტოსთან ბრძოლა მთავარი მოვლენები იყო, რის შემდეგაც მუსლიმებმა უკან დახევა დაიწყეს მთელ მსოფლიოში და უკვე ვერასოდეს გაუმარჯვიათ ქრისტიანებზე.

მაგრამ ფილიპე მეორეს ბრძოლა პროტესტანტებთან ნაკლებად წარმატებული იყო. 1572 წელს ფრანგმა დედოფალმა, მისმა მეუღლემ, მოიპატიჟა ყველა ჰუგენოტი Huguenot პროტესტანტი მაღალი საზოგადოება ქორწილზე სამეფო კარზე ბართლომეს St. Bartholomew ღამეს და ყველა მათგანი ამოახოცინა. ინგლისისა და ელიზაბეთის შუამდგომლობით, თურქეთის მხარდაჭერით, 1579 წელს ჰოლანდიელმა ბიურგერებმა, რომლებიც იტანჯებოდნენ მაღალი გადასახადებით, რაც საჭირო იყო ფილიპეს ბრძოლისთვის

[1] კარლოსი იტანჯებოდა გენეტიკური დეფორმაციით, გაფართოებული ქვედა ყბით, ჰაბსბურგებისთვის დამახასიათებელი ყბა. ეს დეფორმაცია გამოწვეული იყო ოჯახის ვიწრონათესაური კავშირის ხანგრძლივი ისტორიის გამო, რათა შეენარჩუნებინათ სამფლობელო ტერიტორიის დინასტიური კონტროლი. ქორწინებები პირველ ბიძაშვილებს ან ბიძასა და ძმიშვილს შორის, ოჯახში ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ.

მუსლიმებთან (ამერიკიდან მიღებული რესურსების მიუხედავად), აჯანყება წამოიწყეს და გაითავისუფლეს თავი ესპანეთის მმართველობისგან. ფილიპე ჯარს გზავნიდა, იმარჯვებდა ბრძოლებში, თუმცა ომში გამარჯვება ვერ შესძლო.

ინგლისის დედოფალმა, პროტესტანტმა პურიტანელმა ელიზაბეთ I-მა, გადარჩენის ერთადერთი გზა დაინახა განათლებასა და პროგრესში, მხარი დაუჭირა მეცნიერებას, აზროვნების თავისუფლებას. მან მხარი დაუჭირა პროტესტანტულ ჰოლანდიის აჯანყებას და პორტუგალიას. ესპანური არმადა, 132 გემითა და 3165 ზარბაზნით, გაგზავნილ იყო ინგლისის წინააღმდეგ. ფრანცის დრეიკმა დაამარცხა ესპანური ფლოტი 1588 წელს ინგლისური გემების ტექნიკურ უპირატესობაზე დაყრდნობით და ძირითადად შტორმის დახმარებით.

ჰაბსბურგებისთვის შველა იყო ამერიკის ვერცხლი, რათა გადაეხადათ ვალები იტალიელი ფინანსისტებისთვის, რომლებიც მას ჩინეთისკენ აგზავნიდნენ, სადაც განვითარებად ეკონომიკას სჭირდებოდა ყველა ვერცხლი, რისი მოპოვებაც შეიძლებოდა. მაგრამ მაინც, ფილიპეს სესხი იტალიელი ფინანსისტებისგან წმინდა ომებისთვის იმდენად დიდი იყო, რომ ფილიპემ გაკოტრება გამოაცხადა. როდესაც 1598 წელს იგი გარდაიცვალა, მისი იმპერია უკვე ნანგრევებად იყო ქცეული. ამერიკიდან რესურსების შემოდინების ერთი საუკუნის მანძილზე ესპანეთი ყველაზე მდიდარი ქვეყანა იყო ევროპაში, მაგრამ ყველაფერი დაიხარჯა და ოცდაათწლიანი ომის დროს (ბურბონ-ჰაბსბურგების ან კათოლიკე-პროტესტანტების ომი) 1618-48 წწ-ში სიღარიბემდეც კი მივიდა.

მეორე მხრივ, ამერიკის განძეულით გამდიდრებული კათოლიკე ესპანეთის მეზობელ პროტესტანტ ქვეყნებს და, პირველ რიგში, ჰოლანდიის ქალაქებს თავის გადასარჩენად და გამოსაკვებად რაღაცა უნდა ეღონათ, ანუ სიახლეები უნდა დაენერგათ. პრეტესტანტიზმმა ხელი შეუწყო მოსახლეობის მასობრივ განათლებას და თავისუფლების განვითარებას, ვინაიდან ადამიანების გარდა სხვა არაფერი ჰქონდათ. სრულიად ბუნებრივად ჩამოყალიბდა განათლებული პროგრესული კლასიკური კაპიტალიზმი. აბეზარი მეფეებისა და თავადების ნაკლებობის გამო მდიდარი ბიურგერები ინარჩუნებდნენ თავიანთ ქალაქებს ბიზნეს-მეგობრულად და ჩამორჩენილი ჰოლანდია გახდა ევროპის საბანკო ცენტრი.

ევროპის სამეფოებს სჭირდებოდათ დაფინანსება და ჰოლანდიამ მოძებნა გამოსავალი: კრედიტი. ანუ პიროვნებას წინასწარ აძლევდნენ ფულს რაიმე მომგებიანი საქმისათვის, რომელიც შემდგომ ყველასათვის მომგებიანი იქნებოდა. ეს სისტემა დღემდე მუშაობს და წარმოადგენს თანამედროვე განვითარების საფუძველს, მაგრამ იგი გულისხმობს პიროვნების თავისუფლებას. წარმოუდგენელია, მონურ ან ბატონყმურ სისტემაში კრედიტის გაცემა. შესაბამისად, კრედიტი მუდმივად ავსებდა ესპანეთის მტრებს, ბრიტანეთის არმიასა თუ ფლოტს. რამდენიმე წელში კაპიტალიზმი გამყარდა და

1650 წელს პროტესტანტური ჰოლანდია გახდა ეკონომიკურად დომინანტური ევროპაში, რაც ამტკიცებდა პროტესტანტიზმის ინტელექტუალურ და ტექნიკურ უპირატესობას. 1620 წელს ჰოლანდიელი ბეწვით მოვაჭრეები დასახლდნენ მანჰეტენზე, შემდეგ კი მთელი კუნძული იყიდეს. 1688 წელს უსისხლო გადატრიალებამ ჰოლანდიის პრინცი ინგლისის სამეფო გვირგვინზეც კი წარმოაჩინა, რომლის შემდეგ ხელისუფლება ჰანოვერების ხელში გადავიდა.

ამ დროს, საპირისპიროდ, ჰაბსბურგების ესპანეთის ინკვიზიცია ებრძოდა მეცნიერებას ისე ეფექტიანად, რომ იმ დროის ესპანელი მეცნიერი საერთოდ არ არის ცნობილი[1]. ამას გარდა, დიდი რაოდენობით ვერცხლისა და სიმდიდრის შემოდინება ამერიკიდან სამეცნიერო და ინტელექტუალურ პროგრესს ქვეყანაში არასაჭიროდ ხდიდა[2]. მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, როდესაც ჩუტყვავილამ მასობრივად მოსპო ამერიკელი მოსახლეობა[3].

თანამედროვე ევროპის რუკის ჩამოყალიბება

რენესანსის შემდეგ, 1500 წლისთვის, ევროპაში განვითარდა ერთი შეხედვით აბსტრაქტული ჰუმანიზმი, მხატვრობა, მოქანდაკეობა, თავისუფლება, კრიტიკული აზროვნება, პარლამენტარიზმის და დემოკრატიის საფუძვლები და უნივერსიტეტები. მხოლოდ სამმა ევროპულმა ქვეყანამ – ინგლისმა, საფრანგეთმა და ესპანეთმა მიაღწიეს ტექნიკური განვითარებისა და აღჭურვილობის ისეთ დონეს, რომ რამდენიმე საუკუნის მანძილზე დომინირებდენენ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. მხოლოდ ამ სამი ქვეყნიდან თითოეულს გააჩნდა რამდენიმე ასეული ზარბაზანი, რასაც შეეძლო გაენადგურებინა ყველაფერი, რაც გზაზე გადაეღობებოდა. დანარჩენი მრავალრიცხოვანი, ყოველგვარ აზროვნებას მოკლებული, უძრავი

---

[1] პრაქტიკული თვალსაზრისით, ინკვიზიციისთვის აკრძალული იყო ებრაელებისთვის, მუსლიმებისა და კერპთაყვანისმცემლებისთვის კონტროლის გაწევა. მათი ყურადღება მხოლოდ ქრისტიანებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ქრისტიანობიდან ნებისმიერი გადახვევა – პროტესტანტიზმი, ერეტიკოსობა, სატანისტობა უმკაცრესად ისჯებოდა. არ იყო საჭირო არც მოწმე და არც მტკიცებულება. ანონიმური წერილი საკმარისი იყო სიკვდილით დასჯისთვის. იმავე დროს და ადგილას, ჩვეულებრივ სასამართლოში, ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. ეკლესია კრძალავდა სისხლღვრას, ამიტომ ცეცხლით სჯიდნენ. ებრაელები უმეტესად უსაფრთხოდ იყვნენ, მათი მიმართულებით კითხვები არ ისმოდა.

[2] იგივე სიტუაცია იყო პორტუგალიაში, სადაც მძვინვარებდა აფრიკელი მონებით ვაჭრობა. იგივე მდგომარეობაა ენერგეტიკული მატარებლებით მდიდარ თანამედროვე იმპერიებში, რაც საბოლოოდ, ჩვეულებრივ, ტრაგიკულად მთავრდება.

[3] ზუსტად ეს მუშახელის დეფიციტი ბამბის ბუმის ფონზე გახდა პორტუგალიის შემოსავლის წყარო. 3 საუკუნის განმავლობაში აფრიკიდან ამერიკაში პორტუგალიელმა მეზღვაურებმა 12 მილიონი მონა გადაიყვანეს.

აღმოსავლური სამყარო მათთვის დღემდე ბოლომდე უცნობი გაუგებარი მიზეზების გამო განუვითარებელი დარჩა.

თანამედროვე ევროპის საზღვრებიც მე-17 საუკუნის პროტესტანტ-კათოლიკური ომების შემდეგ ჩამოყალიბდა: 30-წლიანი ომი (1618-1648 წწ.) კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის, დასრულებული ვესტფალიის ზავით Westfal peace; ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში (1701-1714 წწ.) ბრძოლა მიდიოდა რამდენიმე ევროპელ ძალას შორის, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ესპანეთისა და საფრანგეთის სამეფოების შესაძლო გაერთიანებას ბურბონი Bourbon მონარქის მმართველობის ქვეშ; შვიდწლიანი ომი (1756-1763 წწ.), რომელიც მიმდინარეობდა პროტესტანტ დიდ ბრიტანეთსა (Hanoverian dynasty) და კათოლიკე ბურბონებს Bourbons (საფრანგეთი და ესპანეთი), ჰოჰენცოლერნებსა Hohenzollerns (პრუსია) და ჰაბსბურგებს Habsburgs (საღვთო რომის იმპერია ავსტრიაში) შორის. საბოლოოდ ევროპაში ჩამოყალიბდა დღევანდელი კონფიგურაცია შემდეგი ცენტრებით: ბრიტანეთი-გერმანია-ავსტრია-საფრანგეთი-ესპანეთი-იტალია-შვედეთი.

ამავე დროს რთული პროცესები მიდიოდა მსოფლიოში. იანიჩრების აჯანყების დროს მოკლულ იქნა ორი სულთანი და 1648 წელს დაიწყო 50-წლიანი სამოქალაქო ომი თურქეთში. 1644 წ. აჯანყებულებმა აიღეს პეკინი, ხოლო მინგების უკანასკნელმა იმპერატორმა სასახლის უკან, ხეზე ჩამოიხრჩო თავი და მოსახლეობის მესამედი განადგურდა.

ნაპოლეონმა ევროპაში ახალი ეპოქა დაიწყო. ნაპოლეონის წინაშე შემდეგი სურათი იყო წარმოდგენილი: ესპანეთი მკვეთრად დასუსტებული იყო და ის მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის ვასალს წარმოადგენდა. პრუსია ჯერ კიდევ განცალკევებული იყო დანარჩენ გერმანიისაგან[1]. იტალია, გერმანიის

[1] რუსეთმა არ დააყოვნა გერმანიის სისუსტის და დაქსაქსულობის გამოყენება და თავისი მოდერნიზებული ძალებით პირველად პრუსიას შეუტია. 1760 წელს რუსულმა სამხედრო ძალებმა დაიპყრეს კენიგსბერგი და ბერლინი. რუსეთის გამარჯვებამ პრუსიის დიდ ფრიდრიჰს Frederick the Great სერიოზული საფრთხე შეუქმნა, მაგრამ 1762 წელს მოხდა სასწაული და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა გარდაიცვალა. იმპერატორმა პეტრემ დატოვა ჰაბსბურგების ალიანსი და 1762 წელს რუსეთის სამხედრო ძალები ბერლინიდან ავსტრიის წინააღმდეგ იქნა მიმართული. რუსეთის წარმატება ეპიზოდად დარჩა. სადავეები კვლავ ფრიდრიხ დიდის ხელში აღმოჩნდა. ბედისწერის მსგავს საჩუქარს მოელოდა ჰიტლერიც მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას. ფიურერს თვალები ცრემლებით აევსო, როდესაც კარლ ჰაუსჰოფერის წინასწარმეტყველობის შესაბამისად, აშშ-ის პრეზიდენტის რუზველტის სიკვდილის შესახებ შეატყობინეს. ფრიდრიხ მეორემ გააძლიერა პრუსიელების ავტორიტეტი გერმანელ ერებში (ავსტრიელები დღესაც „სხვა“ გერმანელებად ითვლებიან). პარადოქსულია, ამერიკა გერმანიას უნდა უმადლოდეს, ვინაიდან ინგლისი იძულებული იყო თავისი ჯარი ამერიკის მაგივრად ევროპის თეატრთან ახლოს ჰყოლოდა. მსგავსი მიზეზის გამო ამერიკელები დღესაც არიან რუსების მადლიერები, რადგან ეკატერინამ არ ასესხა ინგლისის მეფეს არც ჯარი და არც ფული ამერიკულ კოლონიებში ჯანყის ჩასახშობად.

მსგავსად, დაყოფილი იყო. ინგლისი „ბრწყინვალე“ იზოლაციაში Splendid Isolation იმყოფებოდა. ის არ ერეოდა ევროპაში მიმდინარე მოვლენებში და საკუთარი კოლონიების შენარჩუნებაზე იყო ორიენტირებული. რუსეთი და თურქეთი კი ევროპის შორეულ პერიფერიებს წარმოადგენდნენ. მხოლოდ ჰაბსბურგების ავსტრია წარმოადგენდა კონტინენტზე სერიოზულ მოწინააღმდეგეს.

რესპუბლიკელი ნაპოლეონის წინააღმდეგ გაერთიანდნენ დანარჩენი ევროპის მონარქები ავსტრიისა და რუსეთის მეთაურობით[1]. მათ შეთანხმებული თარიღების მიხედვით უნდა ემოქმედათ, მაგრამ რუსული ჯარი ორი კვირის დაგვიანებით მოქმედებდა, ვინაიდან ქვეყანა თურმე ძველი კალენდრით სარგებლობდა, რაც ევროპელებისათვის წარმოუდგენელი იყო. შესაბამისად, ნაპოლეონმა ავსტრიისა და რუსეთის არმიები ერთი-ორი კვირის შუალედებით გაანადგურა. კუტუზოვის მეთაურობით რუსეთის არმიამ ბრძოლის თავიდან აცილების ტაქტიკა აირჩია და მუდმივად უკან იხევდა (რაც რუსეთშიც განმეორდა). საფრანგეთის არმია კუტუზოვის დევნით დაიღალა. ნაპოლეონმა თავისი თითქოსდა გადაღლილი ადიუტანტი გაგზავნა რუსეთის შტაბში ზავის მოთხოვნით. ახალგაზრდა მეფე ალექსანდრე პირველი (28 წლის) მახეში გაება და გენერალური ბრძოლა გადაწყვიტა. 1805 წლის 2 დეკემბერს ყველაფერი აუსტერლიცის ბრძოლაში ავსტრიისა და რუსეთის დამარცხებით დასრულდა.

ნაპოლეონის ერთადერთ დაუმარცხებელ მტერს ინგლისი წარმოადგენდა, ვინაიდან ინგლისის ფლოტი მთელი ევროპის ფლოტზე ძლიერი იყო. ესპანეთის დიდ არმადაზე გამარჯვების მოპოვების შემდეგ ინგლისი საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა ქვეყანაში სტაბილურობას, მაგრამ არა თვითკმაყოფადობის, არამედ მეცნიერების, განათლების, მუდმივი მუშაობის და ეკონომიკური ზრდის ხარჯზე. ინგლისს მსოფლიოს ნებისმიერი ადგილზე მიუწვდებოდა ხელი. ინგლისს მსოფლიოში უძლიერესი სადაზვერვო ქსელი ჰქონდა მთელ ევროპაში. როდესაც მოულოდნელად ნაპოლეონმა მხარდაჭერა რუსეთის მეფის პავლესაგან მიიღო, რომელიც ინგლისზე იყო განაწყენებული მალტის დაკარგვის გამო და აპირებდა არა მარტო მალტის დაბრუნებას, არამედ შუა აზიიდან ინდოეთზე ლაშქრობას, ინგლისის საიდუმლო სამსახურმა ეფექტიანად იმოქმედა და რუსეთის მეფე საკუთარ სასახლეში იპოვეს

[1] გავრცელებული თვალსაზრისის მიუხედავად, ნაპოლეონს არასოდეს უწარმოებია იმპერიალისტური, დამყრობლური ომი, ანუ საფრანგეთის ტერიტორია სხვა ქვეყნების ხარჯზე არ გაუზრდია. მან სამჯერ დაამარცხა ავსტრია და ორჯერ პრუსია, მაგრამ მათი ტერიტორიები არ მიუერთებია. ხოლო რუსეთის მეფემ სახალხო რაზმები შექმნა არა 1812 წელს, არამედ რამდენიმე წლით ადრე, რათა რუსი გლეხების მასებით მისულიყო საფრანგეთამდე. პამფლეტში ნაპოლეონთან ომის აუცილებლობას რუსეთის მეფე ალექსანდრე ხსნიდა იმ მიზეზით, რომ იქ მოკლეს მეფე და იმიტომ, რომ ნაპოლეონმა ებრაელების უფლებები გაათანასწორა ყველა სხვა ადამიანების უფლებებთან, რაც ცარიზმის დროს ორივე ერთი ძალის წარმოუდგენელი დანაშაული იყო.

დამხრჩვალი 1801 წელს. ინგლისური სპეცსამსახური არა მარტო რუსეთში აქტიურობდა. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟოზეფ ფუშემ Josef Fouché[1] რამდენჯერმე გადაარჩინა ნაპოლეონი სიკვდილისგან.

მალე აშკარა გახდა, რომ ინგლისის ბლოკადამ ვერ გაამართლა რუსეთისა და პორტუგალიის მხრიდან ფარული საბოტაჟის გამო და 1807 წელს მადრიდსა და პორტუგალიაში საფრანგეთის არმია შევიდა, ხოლო 1812 წლის 22 ივნისს (ჰიტლერის შემოჭრაც ამავე რიცხვით თარიღდება), 600-ათას კაციანმა არმიამ ნემანი გადაკვეთა. კუტუზოვი იმავე ტაქტიკით მოქმედება, როგორც ევროპაში და განუწყვეტლივ უკან იხევდა. ნაპოლეონი იმდენად სასოწარკვეთილი იყო, რომ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, რუსეთში არანაირი სამოქალაქო რეფორმა არ გაუტარებია, არც ბატონყმობა გაუუქმებია. ის შოკირებული დაბრუნდა პარიზში.

ვენის კონგრესმა ოფიციალურად გამოაცხადა მონობის და ებრაელთა უფლებების გაუქმებისა და საავტორო უფლებების დაწესების შესახებ. რუსეთის ოდესის მმართველი რიშელიე Richelieu საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. 1830 წლის ბურბონების დინასტიის წინააღმდეგ კიდევ ერთმა რევოლუციამ და მეფედ ლუი ფილიპის Luis-Philip გამოცხადებამ გადაღლილ მონარქისტულ ევროპაში უკვე არავითარი რეაქცია არ გამოიწვია, პირიქით, კმაყოფილება. მხოლოდ „ევროპის ჟანდარმი“ რუსეთი დაიძაბა მონარქიის რღვევის გამო, მაგრამ ვარაფერს გახდა. მისი პოლიტიკური წონა არ იყო საკმარისი ევროპის გრანდებისთვის მისი აზრის გათვალისწინებისათვის.

რუსეთის პოლიტიკური ამბიცია გამოსავალს ეძებდა და შესაბამისი მიზეზიც გამოჩნდა. 1830 წ. კათოლიკური ბელგია ჰოლანდიის სამეფოს გამოეყო და დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც რუსეთის მეფის მოულოდნელი ულტიმატუმი მოჰყვა. რა თქმა უნდა, გაკვირვებულმა ბელგიელებმა ის უყურადღებოდ დატოვეს, მაგრამ პარადოქსულად, ამის გამო პოლონეთში აჯანყება დაიწყო, ვინაიდან ხმები დაირხა, რომ პოლონეთის ჯარი, რომელიც რუსეთის ვასალს წარმოადგენდა, უნდა გამგზავრებულიყო ჰოლანდიაში ბელგიის დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ საბრძოლველად

[1] ჟოზეფ ფუშე სახელმწიფოებრივად მოაზროვნის და იდეოლოგიური მებრძოლის მაგალითია. მას და რობესპიერს Robespierre შორის კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ამ უკანასკნელმა თავი „უზენაესად“ გამოაცხადა. იმისდა მიუხედავად, რომ რობესპიერის ბრძანებით ათასობით მოქალაქეს გილიოტინაზე აგზავნიდნენ, ანტიკლერიკალი ფუშე, რომელიც ნებისმიერი რელიგიის, ანუ ბრმა რწმენის იდეური მოწინააღმდეგე იყო, არ მოერიდა რობესპიერის საჯარო კრიტიკას. ამან განაპირობა რობესპიერის ნერვიული აშლილობა, რამაც დააკარგინა კონტროლი პოლიტიკაზე და მან სიციცხლე გალიოტინაზე დაამთავრა. ცნება „კრიტიკა“ საერთოდ უცნობი იყო აღმოსავლურ საზოგადოებებში. არსებობდა ან მონობა, ან განურჩეველი სისხლიანი ჯანყი ყველასი ყველას წინააღმდეგ.

იმ დროს, როდესაც თავად იბრძოდნენ რუსეთისგან დამოუკიდებლობისათვის. პოლონელები დახმარებას ინგლისისა და განსაკუთრებით საფრანგეთისაგან მოელოდნენ, რადგან ეს უკანასკნელი პოლონეთის მსგავსად კათოლიკური ქვეყანა იყო. მიუხედავად ამისა, 1831 წელს, პრუსიასთან შეთანხმებით, პასკევიჩმა დაუნდობელი სისასტიკით ჩაახშო პოლონეთის რევოლუცია. პრუსია ღიად არ მონაწილეობდა 1830-31 წლების პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში, მაგრამ პასკევიჩის რუსული არმია თავისუფლად გადაადგილდებოდა გერმანიის ტერიტორიაზე და მთელი კამპანიის განმავლობაში პრუსიის არმია საზღვარზე იდგა და მზად იყო პოლონეთში შესასვლელად. ამ არმიის შტაბს მეთაურობდა ყველასთვის ცნობილი გენერალი კლაუზევიცი, რომელიც რუსეთის სამსახურიდან გადმოვიდა პრუსიის სამსახურში 1812 წლის ომის დროს და განაპირობა პრუსიის ნეიტრალიტეტი ამ ომის განმავლობაში. ამის შედეგად კათოლიკურმა ავსტრიამ და პრუსიამ პოლონეთის ტერიტორიის რაღაც ნაწილიც კი მიისაკუთრეს.

1831 წლის ნოემბრის აჯანყების შემდეგ პოლონეთის ჯარის დიდი ნაწილი რუსეთის არმიაში კავკასიელების წინააღმდეგ იბრძოდა. ნიკოლოზ პირველი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ გარემოებას და ახალისებდა ამას. ამავე დროს, პოლონელების დიდი დანაყოფი თეოფილ ლაპინსკის (1827-1886 წწ.) მეთაურობით კავკასიელების რიგებში იბრძოდა. ის უნგრეთის აჯანყების გმირი იყო. ყირიმის ომის დროს თურქეთის მხარეს იბრძოდა. 1862 წელს ის ვიზიტით იმყოფებოდა ინგლისში, სადაც მიიღო აუდიენცია ინგლისის პრემიერ-მინისტრთან პალმერსტონთან, მაგრამ კავკასიელების ომისთვის ოფიციალურ დახმარებაზე უარი მიიღო. ლონდონშივე გაიცნო მან კარლ მარქსი. ამავე ომის დროს პოლონელი პოეტი ადამ მიცკევიჩი თურქეთში პოლონური სამხედრო ქვედანაყოფების ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა.

რუსეთის თურქეთის მიმართულებით აქტიურობაა ისეთივე ლეგიტიმაციით ოყო განპირობებული, როგორც ახლა ყირიმის მიმართულებით – რუსული მართლმადიდებლობის სამშობლო და ა. შ. 1825 წ. რუსეთის მეფემ ნიკოლოზმა თურქეთსაც წაუყენა ულტიმატუმი, რაც უფრო შედეგიანი აღმოჩნდა და 1828 წ. რუსეთის სამხედრო ძალებმა კონსტანტინოპოლის სიახლოვეს მიაღწიეს. გენერალმა პასკევიჩმა ერზრუმი აიღო კავკასიის ფრონტზე. ამით ისარგებლა ეგვიპტის მმართველმა მუჰამედ ალიმ Muhammad Ali, 1831 წ. ეგვიპტის სამხედრო ძალები თურქ სიუზერენს დაუპირისპირა და სირია დაიპყრო. მაგრამ თურქეთის ასეთი დასასრული არავის აწყობდა. რუსეთის წარმატება ინგლისს უქმნიდა საფრთხეს ინდოეთისთვია, ხოლო რუსეთს არ აწყობდა თურქეთის დანაწევრება, ვინაიდან საბოლოოდ არ აწყობდა მის საზღვრებთან დასავლური ძალების ანკლავის გაჩენა. თურქეთის დასასრულის მაგივრად მთელმა ევროპამ სამხედრო ძალები მის დაცვას მოახმარა და ეგვიპტემ უკან დაიხია.

1844 წ. მეფე ნიკოლოზი ინგლისის სამეფო კარს ესტუმრა იმ იმედით, რომ თურქეთის ტერიტორიის დაკავების კურთხევას მიიღებდა, მაგრამ

ამაოდ. ინგლისის ინდოეთის დაცვა შავი ზღვიდან იწყებოდა. შემდგომმა მოვლენამ რუსეთი გაათამამა. 1849 წელს გენერალმა პასკევიჩმა უნგრეთში ავსტრიის საწინააღმდეგო აჯანყება ჩაახშო და ყოველგვარი დათმობისა და გადასახადების გარეშე თავისი ჯარი უპირობოდ გაიყვანა. ყველა ელოდებოდა რუსეთის შემდეგ სვლას, რამაც არ დააყოვნა. რუსეთმა თურქეთს ულტიმატუმი წაუყენა, სადაც უნგრელი რევოლუციონერების ავსტრიისათვის გადაცემა მოთხოვა. ყველასთვის გასაგები გახდა, თუ რა მიზანს ისახავდა ეს „უანგარო“ დახმარება ავსტრიისთვის და თურქეთისათვის „შეუსრულებელი“ ულტიმატუმის წაყენება. ინგლისი ჩაერია და ულტიმატუმი მოხსნილი იქნა. ყოველ შემთხვევისთვის 1849 წ. ინგლისის ჯარები ბოსფორის სრუტეში განთავსდა თურქეთის დასაცავად. რუსეთმა გეგმები გადადო, მაგრამ სულ ცოტა ხნით.

ამასობაში 1848 წ. საფრანგეთში მორიგი რევოლუცია ევროპაში უკვე ტრივიალურად მიიღეს. ნაპოლეონის ძმისშვილმა ნაპოლეონ III ბონაპარტემ Napoleon Bonaparte მოიპოვა ძალაუფლება, თუმცა ბიძის მსგავსად რევოლუციის იდეას გადაუხვია და 1852 წ. საფრანგეთი იმპერიად გამოაცხადა. კვლავ მხოლოდ რუსეთმა გამოხატა უკმაყოფილება, მაგრამ ვერაფერი სხვა ვერ იღონა გარდა იმისა, რომ უარს აცხადებდა საფრანგეთის ახალი იმპერატორისთვის „ძმა“ ეწოდებინა, როგორც ეს იყო მიღებული მონარქებს შორის და „მეგობრით“ მოიხსენიებდა. მაგარამ რევოლუციები და თავისუფლება საფრანგეთის ეკონომიკას კატასტროფული ტემპებით ზრდიდა და იმპერიალისტურ ფაზაში ახალ ბაზრებს მოითხოვდა. 1851 წ. საფრანგეთის იმპერატორმა თურქეთისაგან წმინდა მიწების იერუსალიმის კათოლიკური ეკლესიისათვის გადმოცემა მოითხოვა, რამაც რუსეთის მეფე მოთმინებიდან გამოიყვანა[1]. რუსეთმა მიიჩნია, რომ დიდების ხანა მოახლოვდა, ვინაიდან მეზობელი ავსტრია რუსეთის მადლიერი იყო უნგრეთის აჯანყებისას დახმარების გაწევისათვის, ხოლო რუსეთის მეფეს იმედი ჰქონდა, რომ მარტო საფრანგეთი და ინგლისი ვერ შესძლებდნენ ამ სიშორეზე წინააღმდეგობის ორგანიზებას. ამ დროს პრუსია დაკავებული იყო გერმანიის გაერთიანების გეგმებით ბისმარკის და გერმანელი წარმოშობის ინგლისის მეფე ალბერტის დახმარებით.

ინგლისმა და საფრანგეთმა, რა თქმა უნდა, სამხედრო გემები კონსტანტინოპოლისკენ გააგზავნეს, მაგრამ რუსეთს განზრახული ჰქონდა ეჩვენებინა, ვინ ვინ იყო ევროპაში და 1853 წ. შეიყვანა ჯარები მოლდოვეთსა

[1] დღემდე რელიგიური მოტივებით ომის და ანექსიის გამართლება რუსეთის პოლიტიკის დღევანდელ რეალობად რჩება, როგორც ეს არა მარტო 2015 წელს ყირიმის ანექსიის დროს მოხდა, არამედ 2008 წელს „ერთმორწმუნე“ ოსების ქართველებისგან „განთავისუფლების“ მცდელობის დროს, ან სხვა რწმენის „მშვიდობიანი“ მოსახლეობის „დახმარების“ დროს ჩეჩნეთსა, თუ ავღანეთში, რაც მეზობლების თავზე დამოკლეს მახვილივით მუდამ იარსებებს, სანამ ეს ფაქტორი არ შეიცვლება.

და ვალახეთში. ამან პირველი მოულოდნელობა მოიტანა – ძალაუნებურად ამან ავსტრიაში წინააღმდეგობა გამოიწვია, ვინაიდან რუსეთის შეიარაღებული ძალა დუნაის ბასეინში შეიჭრა, ამით კი ავსტრიის ნავიგაციის და ზღვაზე გასასვლელი გზის კონტროლს ამყარებდა. რუსეთის მეფე ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორებს შეხვდა, თუმცა მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. ამან გაათამამა თურქეთი. მან დუნაი გადაკვეთა და რუსეთის ჯარს თავს დაესხა. 1853 წ. ნოემბერში რუსეთის სამხედრო სანაოსნო თურქეთის სანაოსნოს დაესხა სინოპში და სრულად გადაწვა. ამ „არაპროპორციულმა პასუხმა“ ანგლო-ფრანგული სამხედრო ფლოტის შავი ზღვის აუზში შემოსვლა გამოიწვია თურქეთის დასაცავად. ნაპოლეონ მესამემ რუსეთის მეფეს დაზავება შესთავაზა და წერილს სარკასტულად მოაწერა: „თქვენი მეგობარი ნ.ბ“. რუსეთის პასუხი იყო: „1854 წელს მოხდება იგივე, რაც მოხდა 1812 წელს“. ეს ნიშნავდა ომს. ევროპის ყველა ძალა: ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრია, პრუსია და შორეული სარდინიის სამეფოც ალიანსში გაერთიანდნენ და რუსეთს ულტიმატუმი წაუყენეს. მხოლოდ შვედეთმა ვერ გაბედა რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა.

ყველაფრის მიუხედავად, 1854 წლის მარტში რუსეთის ჯარმა დუნაი გადალახა და თურქეთში შეიჭრა. პალმერსტონმა სასწრაფოდ ჩამოაყალიბა კოალიციის შემდეგი მიზნები: რუსეთის შავი ზღვის ფლოტის განადგურება, რუსეთისგან დამოუკიდებელი პოლონეთის გამოყოფა, გერმანიის გაერთიანება, ფინეთის დაბრუნება რუსეთიდან შვედეთისთვის, კავკასიური ჩერქეზეთისა და ყირიმის თურქეთისთვის დაბრუნება. თურქეთის ნებართვით, ავსტრიამ ჯარები მოლდოვეთში და ვალახიაში (რუსეთის დუნაის კორპუსის ზურგში) შეიყვანა და ავსტრიის ასეთმა უმადურობამ რუსეთის სასტიკი რისხვა გამოიწვია. სევასტოპოლის დასაცავად რუსეთის გემები პორტის შესასვლელში ჩაძირეს, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთზე არა საზღვაო, არამედ სახმელეთო თავდასხმა გადაწყვიტეს. ამას ვერავინ წარმოიდგენდა. ევროპელები სევასტოპოლთან ახლოს ნაპირზე გადმოვიდნენ და ქვეითად განაგრძეს სვლა. ალყის შემდეგ, 1855 წლის სექტემბერში, სევასტოპოლი აღებული იყო. რუსეთის ჯარები განადგურდა და ნახევარი მილიონი რუსი დაიღუპა, ხოლო ნიკოლოზი ნერვიული შეტევის გამო გარდაიცვალა.

1858 წელს ლუი ნაპოლეონ მესამემ ყირიმის ომში სარდინიას მონაწილეობა დაუფასა (პოლონეთისგან განსხვავებით[1]) და დაეხმარა სარდინიელ ვიქტორ ემანუელს Victor Emmanuel II (Vittorio Emanuele) ავსტრიის წინააღმდეგ ბრძოლაში. გარიბალდიმ Garibaldi ნეაპოლი ბურბონებისგან გაათავისუფლა

[1] მეფე ალექსანდრეს მიერ პარიზში ვიზიტის დროს ხალხი ქუჩებში ყვიროდა „პოლონეთი, პოლონეთი!“. პოლონელმა ნაციონალისტმა თავდასხმაც კი მოაწყო. ავსტრიაც წავიდა ეროვნულ უმცირესობებთან გარკვეულ თათმობაზე და ავსტრიას ოფიციალურად დაერქვა ავსტრო-უნგრეთი.

და სარდინიის მეფე ვიქტორ ემანუელს გადასცა, რომელმაც 1861 წ. იტალია გააერთიანა და იტალიის მეფის ტიტულიც მოიპოვა. ასე დამკვიდრდა იტალიის სამეფოს სავოის დინასტია dynasty of Savoy, თუმცა სავოის და ნიცას მიწები, რომლებიც სარდინიას ეკუთვნოდა, საფრანგეთს ამ დახმარებისთვის გადაეცა, ხოლო რომში საფრანგეთის ჯარი კვლავ იდგა.

1864 წ. პრუსიამ და ავსტრიამ მოახდინეს დანიის ოკუპაცია და გაიყვეს შლეზვიგ-ჰოლშტაინი Schleswig-Holstein, მაგრამ მეგობრობა ვერ გამოვიდა და კონფლიქტი საომარ დაპირისპირებაში გადაიზარდა. პრუსიის გენშტაბის უფროსი მოლტკე დარწმუნებული იყო ავსტრიელებზე უპირატესობაში და მართლაც, პრუსიის ჯარი ვენას მიუახლოვდა. გამჭრიახმა ბისმარკმა უმალ გათვალა ვენის დაცემის საფრთხე პრუსიისთვის, ვინაიდან იმ დროს ნეიტრალური მეზობლები საუკეთესო საბაბს მიიღებდნენ გაერთიანებისათვის გერმანიის შემდგომი გაერთიანების წინააღმდეგ. მას ისტერიკის 2 დღე და თვითმკვლელობის მუქარა დასჭირდა, რათა დაერწმუნებინა საკუთარი მეფე ავსტრიასთან ზავს დათანხმებოდა.

1868 წ. საფრანგეთსა და პრუსიას შორის წარმოიშვა კონფლიქტი, როდესაც ჰოჰენცოლერნების დინასტიის წარმომადგენელი ლეოპოლდი Hohenzollern Leopold ესპანეთის მეფედ დაასახელეს მაშინ, როცა ესპანეთი ისტორიულად საფრანგეთის გავლენის სფეროდ მიიჩნეოდა. ბისმარკი მალე მიხვდა მათ შორის თავის შეცდომას, დაუყოვნებლივ ჩაერთო სიტუაციაში და აიძულა ლეოპოლდს უარი ეთქვა გვირგვინზე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ცხადი გახდა, რომ საფრანგეთსა და პრუსიას მოუწევდათ ძალებისა და ამბიციების ერთმანეთთან შეჯახება. საფრანგეთმა ულტიმატუმი წაუყენა ბერლინს და მოსთხოვა გერმანელ მეფეს გამოეცა ვერდიქტი, რომლის მიხედვითაც, გერმანია არასოდეს იმოქმედებდა საფრანგეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ცხადია, ეს სერიოზულად არავინ მიიღო გერმანიაში და დაიწყო ომი. პრუსიელები კმაყოფილები იყვნენ, რომ ომი საფრანგეთმა დაიწყო, ვინაიდან სწორედ ამის გამო სამხრეთ კათოლიკური გერმანიის სამეფოებიც (ბავარია და სხვა) პრუსიელებთან გაერთიანდნენ, რაც ფრანგებისთვის შოკისმომგვრელი იყო. ეროვნულობამ სძლია რელიგიას. 80 ათასიან ფრანგულ არმიას, ლუი ნაპოლეონით სათავეში, მდინარე სედანთან ალყა შემოარტყეს. გერმანელებმა პარიზი აიღეს. საფრანგეთი 1870 წელს კიდევ ერთხელ გამოცხადდა რესპუბლიკად. ბისმარკი მიხვდა, რომ ეს ისტორიული მომენტი იყო და ვერსალის სასახლეში გამოსცა დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც, 1871 წელს პრუსიის მეფე გახდა გაერთიანებული გერმანიის იმპერატორი. ამისდა მიუხედავად, ბისმარკი წინააღმდეგი იყო ავსტრიასთან გაერთიანებისა, ვინაიდან იცოდა, რომ ესოდენ დიდი ტერიტორიის მფლობელი გერმანია აუცილებლად გაიჩენდა მტრებს ევროპაში.

ამ დროს სიტუაცია თურქეთის ირგვლივ კვლავ რადიკალურად შეიცვალა. ევროპელებმა შესთავაზეს თურქეთს ევროპეიზაციის პროცესში დახმარება[1],

[1] 1854 წელს ფერდინანდ დე ლესეპსმა Ferdinand de Lesseps, ვეტერანმა ფრანგმა დიპლომატმა და ეგვიპტის ცნობილი ალბანელი მმართველის მუჰამედ ალის

მაგრამ რეფორმები არ მოეწონა გაუნათლებელ ხალხს და ფანატიკოსთა ბრბომ გერმანელი და ფრანგი ელჩები დახოცა. ამავე დროს, 1876 წელს სერბეთში, მონტენეგროსა და ბულგარეთში რუსეთის წაქეზებით აჯანყებები წამოიწყო, რომელსაც თურქები სასტიკად გაუსწორდნენ. სისასტიკით ჩერქეზები გამოირჩეოდნენ, რომლებიც რუსებმა სამშობლოში დახოცეს და ნაწილი გააძევეს თურქეთში. ათობით ათასი სამხრეთელი სლავი იქნა ამოჟ-ლეტილი. დასავლური მხარდაჭერის გარეშე რუსეთი ვერაფრის გაკეთებას ვერ ახერხებდა და ბოლოს, პრესაში გავრცელებული საშინელი ამბების გამო ინგლისმა, პრუსიამ და ავსტრიამაც მხარდაჭერა გამოუცხადეს რუსეთს. 1877 წელს რუსეთმა თურქეთს ომი გამოუცხადა. ფრონტის ამბები რუსეთისთვის არც თუ ისე სახარბიელო აღმოჩნდა. ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრასი Count Andrássy იყო უნგრეთის რევოლუციის მონაწილე და სასტიკი რუსოფობი და ყოველ ძალას ხმარობდა, რუსეთის ხელის შეშლისთვის. მისი გეგმები რუსეთის არმიაზე თავდასხმის შესახებ ავსტრიელებისთვისაც კი მეტისმეტი იყო. რუსეთმა მოახერხა ფრონტის გარღვევა და კიდევ ერთხელ მიაღწია კონსტანტინოპოლამდე. მხოლოდ ინგლისურმა ფლოტმა მოახერხა აეძულებინა რუსეთი, ხელი მოეწერა სან-სტეფანოს ხელშეკრულებაზე.

1878 წელს ლონდონსა და ბერლინში ჩატარდა კონფერენციები, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი მაკედონია, ბულგარეთი, სერბეთი, მონტენეგრო და რუმინეთი. რუსეთმა მიიღო ბათუმი, ყარსი, არდაგანი და ბესარაბია, ავსტრიამ – ბოსნია და ჰერცოგოვინა. თურქეთმა მიიღო გარანტია საკუთარ საზღვრებზე. ინგლისს კი კვიპროსი ერგო. საფრანგეთმა მხოლოდ წმინდა ადგილებზე პროტექტორატი მიიღო, მაგრამ ტუნისსაც დაპირდნენ. ყველაზე უკმაყოფილონი რუსეთი და იტალია იყვნენ, ამ უკანასკნელმა რეალურად ვერაფერი მიიღო. რუსული დიპლომატიის მეთაური გორჩაკოვი იმდენად იმედგაცრუებული იყო, რომ ფაქტობრივად სახელმწიფო სამსახური დატოვა კიდეც. სლავურ ქვეყნებში ანტიბისმარკული ისტერია დაიწყო, თუმცა ოფიციალურად თურქეთის საკითხში გერმანია სრულ ნეიტრალიტეტს ემხრობოდა და არავითარ ინტერესს არ აცხადებდა. ამ კონფერენციის მოწყობის მიზეზს ზუსტად ამით და მშვიდობის დამყარების სურვილით ასაბუთებდა. მაგრამ მაინც, სლავები იმედგაცრუებას არ მალავდნენ, რადგან მოელოდნენ ბისმარკისგან მეტ მხარდაჭერას.

მეგობარმა, მოახერხა დაეთანხმებინა ეგვიპტე სუეცის არხის Suez Canal გაყვანაზე. როდესაც 1875 წელს ეგვიპტის მმართველმა ვალების გამო გადაწყვიტა სუეცის არხის გაყიდვა, ერთადერთი მყიდველი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დიზრაელი Disraeli იყო, ვინაიდან ის ებრაელი იყო და მხოლოდ მას ენდობოდა ბანკირი როტშილდი Rothschild ასეთი დიდი რაოდენობის ფულის სესხებას.

მოგვიანებით დე ლესეპსმა სცადა გაემეორებინა თავისი წარმატება და 1880-იან წლებში გაეყვანა პანამის არხი, მაგრამ პროექტი მალარიის ეპიდემიის გამო ჩაიშალა და ვერ დასრულდა. საბოლოოდ ის 1914 წელს აშშ-მ გაიყვანა.

კიდევ ერთი შოკი რუსეთში გამოიწვია ამბავმა, რომ უკვე თავისუფალმა სლავებმა ზურგი აქციეს რუსეთს. სერბეთმა თავისი სავაჭრო და საგარეო ეკონომიკა განუვითარებელი ერთმორწმუნე რუსეთის ნაცვლად ტექნიკურად პროგრესულ ავსტრიას მიუერთა. გაიყვანეს რკინიგზა კონსტანტინოპოლი-ბელგრადი-ვენა. ბულგართიდანაც კი რკინიგზა ვენისკენ გაიყვანეს. ამან საშინელი რეაქცია გამოიწვია რუს ნაციონალისტებში, თუმცა მათ რეალურად არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. გარდა ამისა, პარადოქსულად, პანსლავური მოძრაობა ჩახშობილ იქნა თვით რუსული მთავრობის მიერ, ვინაიდან ეშინოდა პოლონური ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობისა. რუსეთს უნდოდა ბულგარეთი თავის პროტექტორატის ქვეშ ჰყოლოდა, რათა თავისი ჯარი განეთავსებია შემდგომში კონსტანტინოპოლის დასაპყრობად. მაგრამ მოძმე ბულგარეთის კონსტიტუციურმა ასამბლეამ დაჟინებით მოითხოვა, რომ ახ-ლად არჩეული ბულგარეთის მეფე არ უნდა ყოფილიყო რუსი, და ტახტზე ავიდა პრინცი ალექსანდრე ბატენბერგელი Alexander of Battenberg. უფრო მეტიც, პრინცმა ალექსანდრემ ინგლისის დედოფლის ვიქტორიას შვილიშვილი დანიშნა, რაც უკვე მეტისმეტი იყო რუსეთისთვის და ქორწინება ჩაიშალა. მაგრამ სიტუაცია ძალიან სწრაფად ვითარდებოდა.

1885 წელს ევროპული თურქეთის კიდევ ერთ ოლქში რუმელიაში Rumelia მოხდა აჯანყება, რის შედეგადაც ის ბულგარეთს შეუერთდა და ასე შეიქმ-ნა დიდი ბულგარეთი. ახლა გამოაშკარავდა ბულგარელების ამბიცია. ისინი მიხვდნენ, რომ ვინც აიღებდა კონსტანტინოპოლს, ის გახდებოდა უდიდესი სლავური იმპერიის ცენტრი. ამ ამბიციების გასანეიტრალებლად, ავსტრიამ მხარი დაუჭირა სერბეთს, რომელიც მოულოდნელად ამბიციური ბულგარეთისთვის კონსტანტინოპოლის გზაზე პირველი მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. მომავალი დიდებით დაბრმავებულ ბულგარეთს დაავიწყდა სლავური სოლიდარობა და ძმობა და თავს დაესხა სერბეთს. ავსტრიის დახმარებამ სერბეთის გაძლიერება გამოიწვია და უკვე შეტევაზეც გადავიდა ბულგარეთის წინააღმდეგ. ეს მდგომარეობა კარგად გამოიყენა რუსეთმა და ჯინაზე, ფარულად მხარი დაუჭირა სერბეთს. რუსეთმა თავისი ოფიცრებიც კი გამოიწვია ბულგარელთა არმიიდან. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, ბულგარეთმა დაამარცხა სერბეთი და ბელგრადის გადარჩენა მხოლოდ ავსტრიის ჩარევის შედეგად მოხერხდა. ბულგარეთი იმდენად გათამამდა, რომ ავსტრიის საზღვრებს მიუახლოვდა. 1886 წელს რუსეთმა დაუფარავად მოაწყო სამხედრო გადატრიალება და ბულგარეთის მეფის ალექსანდრეს ნაცვლად რუსი გენერალი დასვა. ბულგარეთის ოცნება დაიმსხვრა. მალე ბულგარელებმა რუსი ჩამოაგდეს ტახტიდან და ავსტრიელთა მხარდაჭერით გაამეფეს გერმანელი პრინცი ფერდინანდ საქს-კობურგი Prince Ferdinand Saxe-Coburg and Gotha. რუსეთმა შეწყვიტა ბულგარეთთან დიპლომატიური კავშირი და ორივე მსოფლიო ომში მოწინააღმდეგე ბანაკებში ომობდნენ.

სერბეთს არანაკლები ამბიცია აღმოუჩნდა, რამაც გამოიწვია პირველი მსოფლიო ომი, როდესაც სარაევოში სერბმა ნაციონალისტებმა მოკლეს

ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე, კრონ-პრინცი ფერდინანდი. მეზობელი ავსტრიის დახმარების მიუხედავად, სერბეთი იმ დროსაც კოსოვოს თვლიდა თავის ტერიტორიად.

1887 წელს გერმანიამ აკრძალა რუსული ობლიგაციები თავის სახელმწიფოში და ის საფრანგეთმა შეისყიდა დიდძალ თანხად, 500 მილიონ ფრანკად. ასე ჩამოყალიბდა ევროპული პოლიტიკის ორი ღერძი: ინგლისურ-ფრანგული და გერმანულ-ავსტრიულ-უნგრული, რომელიც ორივე მსოფლიო ომის განმავლობაში შენარჩუნდა.

აშშ

მე-16 საუკუნის განმავლობაში, სანამ ანგლო-საქსები დაკავებული იყვნენ ერთმანეთთან პროტესტანტ-კათოლიკეთა ბრძოლით, ამეირკის კოლონიზაცია მთლიანად ესპანელებზე იყო დამოკიდებული. 1519-21 წლებში ჰერნან კორტესმა Hernan Cortes დაიპყრო აცტეკების Aztec მექსიკა და 1530 წელს ფრანცისკო პისარომ Francisco Pizarro დაიპყრო ინკების Inca პერუ. რამდენიმე ასეულმა ესპანელმა დაიპყრო 5-10 მილიონი აბორიგენი. დღევანდელ ფასებში ასობით მილიარდი დოლარის ღირებულების ასობით ათასი ტონა ვერცხლი იყო გატანილი ევროპასა და აზიაში.

ხოლო, როდესაც პირველი ანგლო-საქსი ემიგრანტები დასახლდენენ ჩრდილოეთ ამერიკაში, მათ არავითარი ბუნებრივი სიმდიდრე არ დახვდათ და ისინი განწირული იყვნენ უპერსპექტივო მუშაობისთვის ნაკლებად ნაყოფიერ მიწაზე. მაგრამ რატომღაც დღეს არსებობს მდიდარი ჩრდილოეთი და ღარიბი სამხრეთი. ამის მიზეზი არის, სხვათა შორის, მიწის ფლობის განსხვავებული კანონები, ანუ საერთოდ კანონის არსებობა-არარსებობა. ესპანურ ამერიკაში მიწა ეკუთვნოდა ესპანეთის მეფეს და ეკლესიას. შესაბამისად, იურიდიულად ესპანელი თავადები მხოლოდ სახლდებოდნენ და ამუშავებდნენ. მათ რაიმე მიწის შემოღობის უფლებაც არ ჰქონდათ. სულ 200 თავადი ფლობდა მთელ სამხრეთ ამერიკას. ჩრდილოეთ ამერიკაში პირველი რაც გააკეთეს, შექმნეს საკადასტრო რეესტრი და დააფიქსირეს ნებისმიერი მონაკვეთის საკუთრება, რაც იყო ურყევი და გარანტირებული. ამის საფუძველზე დაიწყო ბუნებრივი კაპიტალისტური განვითარება[1]. რაც მთავარია, დაუშვებელი იყო ნებისმიერი

[1] გარდა ამ იდეალისტური განმარტებებისა იყო კიდევ სხვა მიზეზი – სამხრეთში მონათმფლობელობა ნაკლებად მკაცრი იყო. მონები უფრო ადვილად თავისუფლებოდნენ, ჰქონდათ დასვენების დღეები, ქორწინების უფლება და ა. შ. ჩრდილოეთში დემოკრატია არსებობდა მხოლოდ ქონების მფლობელებისათვის, ვინც იხდიდა გადასახადებს. კაროლინას შტატის ერთ-ერთი პირველი კონსტიტუციის შესაბამისად, იმ დროისათვის აბსოლუტურად ლოგიკურად, ბუნებრივად და გამართლებულად, როგორც ნებისმიერ კორპორაციის მმართველობაში მონაწილეობენ მხოლოდ მოწილეები. მოწილეები (გადამხდელები) ირჩევენ

რელიგიური ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია, რაც უზარმაზარი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

კაპიტალისტური კანონების გარდა, კიდევ სხვა, და მათ შორის, ეთნოგენეტიკური ფაქტორები განაპირობებს განვითარებას, რაც სამხრეთ ამერიკის მაგალითზე აშკარაა დღესაც. ნაპოლეონის რეფორმებით აღტაცებულმა სიმონ ბოლივარმა წამოიწყო გამანთავისუფლებელი რევოლუცია ესპანეთის გვირგვინის წინააღმდეგ. 7 ათასამდე ბრიტანელი და ირლანდიელი შეუერთდა მას ამ ბრძოლაში. მაგრამ ყველაფერი ბანალურ დიქტატურაში და დესპოტიაში გადაიზარდა და ყველა ბრიტანელი დაბრუნდა ინგლისში. ბოლივარმა დაამთავრა სისცოცხლე ბოლო წერილით, რომ „ოცი წლის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ [სახრეთ] ამერიკის მართვა შეუძლებელია, ყველა შემთხვევაში ძალაუფლება ბრბოს ჩაუვარდება ხელში, ცივილიზირებული ევროპელები არც კადრულობენ ჩვენს დაპყრობას, თუ დედამიწის რომელიმე ნაწილი მიდრეკილია ქაოსისკენ, ეს [სახრეთ] ამერიკაა“. არა უმნიშვნელო მიზეზი იყო სამხრეთის ჰეტეროგენობა, სადაც მეტად იყო გავრცელებული შერეული ქორწინებები. ეს განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში ოჯახებით მიგრირებდნენ ევროპიდან, ხოლო ესპანელები მხოლოდ ახალგაზრდა მამაკაცები ჩამოდიოდნენ ამერიკაში სიმდიდრის მოსახვეჭად. ჩრდილოეთ ამერიკაში რასებს შორის ქორწინებები კანონმდებლობით აკრძალული იყო. ეს კანონები 1915 წლამდე ძალაში იყო, 16 შტატში 1967 წლამდე და ბოლო შტატში გაუქმდა 1987 წლის დეკემბერში.

ორი მსოფლიო ომის შემდეგ დასავლური ცივილაზაციის განვითარების კულმინაციას აშშ წარმოადგენს. აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი შეადგენს 625 მილიარდ დოლარს, რომელიც რამდენჯერმე მეტია ყველა სხვა დანარჩენი ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტებისა ჯამში. ანუ მთელი მსოფლიოს სამხედრო ხარჯების 2/3-3/4-ს წარმოადგენს. ის შედგება შემდეგი ხარჯებისაგან:

- სამხედრო ოპერაციები 283 მილიარდი აშშ დოლარი
- ხელფასი სამხედრო მომსახურებისათვის 253 მილიარდი აშშ დოლარი
- სამხედრო შესყიდვები 140 მილიარდი აშშ დოლარი
- სამხედრო კვლევები და გამოცდები 179 მილიარდი აშშ დოლარი
- სამხედრო მშენებლობა 24 მილიარდი აშშ დოლარი
- სამხედროებისთვის სახლების მშენებლობა 3 მილიარდი აშშ დოლარი
- სხვა 297 მილიარდი აშშ დოლარი

ამას უნდა დაემატოს მსოფლიოს საუკეთესო საუნივერსიტეტო განათლება და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კონცენტრაცია, მსოფლიოში ნობელის პრემიის ლაურეატების, გამომგონებლებისა და საავტორო უფლებების მეპატრონეების უმეტესობით. აგრეთვე ყოველწლიურად სახელმწიფო

გამგეობას (მთავრობას) და იკრიბებიან ორ წელიწადში ერთხელ კენჭისყრით გადაწყვეტილებების მისაღებად – აქციონერთა კრება (პარლამენტი).







ბიუჯეტი გამოყოფს 124 მილიარდ დოლარს სამხედრო ვეტერანების მხოლოდ პენსიებზე და 50 მილიარდამდე ტერორიზმთან ბრძოლისთვის.

მაგრამ სამხედრო ხარჯები აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 18%-ს წარმოადგენს, რომელიც სულ 3500 მილიარდ დოლარს უტოლდება. სამხედრო ბიუჯეტი მხოლოდ მესამე ადგილზეა სამედიცინო და საციალური ხარჯების შემდეგ.

თავის მხრივ, ეს სამედიცინო ხარჯები მხოლოდ ფედერალური ბიუჯეტიდანაა, ანუ წარმოადგენს მხოლოდ მედიკეა Medicare და მედიკეიდის Medicaid პროგრამებს. მედიკეიდი Medicaid უზრუნველყოფს ყველასათვის სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების ხარჯებს, ხოლო მედიკეა Medicare პენსიონერების და ინვალიდების მომსახურებას. ამას ემატება გაცილებით მეტი ღირებულების ყველა მომუშავე პირის კერძო სამედიცინო დაზღვევა. ეს ციფრები შედის, როგორც სხვა ეკონომიკური ბიზნესი, საერთო ეროვნულ პროდუქტში, რომელიც უდრის 17 000 მილიარდ დოლარს. ანუ აშშ-ის ეროვნული პროდუქტი ათასჯერ აღემატება საქართველოს და ათჯერ რუსეთის იგივე მაჩვენებელს.

დასავლეთ-აღმოსავლეთის ცივილიზაციათა დაპირისპირება

ICW (I Civilization War) – Iberian – Indo-European Trojan War (1200 BC)
IICW (II Civilization War) – Christian – Muslim Crusade War (1200 AD)
IIICW (III Civilization War) – Democracy – Totalitarism Wars (2000 AD)
Democracy – Royal War (1914-1918),

Democracy – Fascism War (1939-1945),
Democracy – Communism Cold War (1950-1989),
Democracy – Fanatism War (9.11)

დასავლეთის და შორეული აღმოსავლეთის დაპირისპირება

ჩინეთი საუკუნეების განმავლობაში სხვა სამყაროსგან უდაბნოებით, მთებითა და ოკეანით იზოლირებული ცხოვრობდა. მათ შექმნეს ისეთი საგნები და პროდუქტები, რაც არ იყო დასავლეთში:

– აბრეშუმი,

– ფაიფური, საერთოდ ჩინეთში ჭურჭლის წარმოების მსოფლიოში ყველაზე ძველი და დახვეწილი გამოცდილება ჰქონდათ, ვინაიდან ერთადერთი საკვების, ბრინჯის კერძის მოსამზადებლად საჭირო იყო მისი მოხარშვა,

– ქაღალდი, რამაც საბოლოოდ ევროპას ბეჭდვის გამოგონების და შემდგომი განათლების შესაძლებლობა მისცა,

– დენთი, რომელსაც ჩინელები მხოლოდ ფეიერვერკებისთვის იყენებდნენ. ამ პროდუქტის გამოყენება ადამიანების მოსაკლავად ევროპელებმა მოიგონეს,

– კომპასი და სხვა სანავიგაციო ხელსაწყოები, რამაც შესაძლებლობა მისცა ევროპელებს ოკეანეები გადაელახათ,

– უარყოფითი ციფრები მათემატიკაში, რელიეფური რუკა, ქაღალდის ფული (ბანკნოტები), სეისმომეტრი.

– მაგრამ ყველაზე ძვირი და მოთხოვნადი გახლდათ სპეციები, რაც სასურველი იყო ყველა ევროპელისთვის საკვების დასამზადებლად. იმდროინდელი ევროპის ულუფა საკმაოდ ერთგვაროვანი, ხშირად უმი, უგემური და არაჯანსაღი იყო. შედეგად ვრცელდებოდა ინფექციური დაავადებები, კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებები და ნაადრევი სიკვდილიანობა. ყველამ არ იცის, რომ აბრეშუმის გზაზე ჩინელები არ მოგზაურობდნენ. ქარავნები მხოლოდ ევროპიდან და მცირე აზიიდან მიდიოდა ჩინეთში. ჩინეთს ევროპის არანაირი პროდუქტი არ აინტერესებდა.

ჩინეთის ძირითადი პრობლემა იყო ძმათაშორისი ბრძოლა. ქვეყანა იშვიათად იყო გაერთიანებული. შემდეგი პრობლემა იყო მონღოლები თურქების მეთაურობით. ჩინგიზ ყაენმა გაძარცვა ჩინეთი და გადაწვა პეკინი 1215 წელს. მისმა შვილიშვილმა ყუბლაი ყაენმა Kublai Khan ჩინეთის იმპერატორთა იუანის დინასტია **Yuan Dynasty** დააარსა 1271-1368 წლებში. დღესაც ჩინეთის ვალუტას იუანი ჰქვია.

ჩინეთის ეკონომიკური სიმდიდრე ვერანაირად ვერ ვლინდებოდა სამხედრო სიძლიერეში, განსაკუთრებით სავაჭრო გზების კონტროლზე. მონღოლთა ბატონობის დროს, მე-13 საუკუნეში, მათ წესრიგი დაამყარეს აბრეშუმის გზაზე და გააადვილეს კომუნიკაციები, მაგრამ 1368 წელს ჩინეთის რევოლუციამ გააძევა მონღოლთა მემკვიდრეები და დასავლეთ-აღმოსავლეთის ყოველგვარი

სახმელეთო გზები განადგურდა. უკანასკნელი მოგზაური მარკო პოლო იყო 1271-91 წწ-ში. კიდევ ერთმა უბედურებამ საბოლოოდ მოუღო ბოლო ჩინეთის კეთილდღეობას. 1351 წელს აბრეშუმის გზაზე გავრცელდა შავი ჭირი მონღოლეთიდან ევროპამდე. დაავადებამ ამოწყვიტა ევროპელი მოსახლეობის მესამედი (შესაძლოა ნახევარიც), ხოლო ჩინეთის არმია განახევრდა.

მინგთა დინასტიამ **Ming Dynasty** (1368-1644 წწ.) მოახერხა მშვიდობისა და კეთილდღეობის აღდგენა. 1405 წელს ჩინეთის მუსლიმმა[1] საჭურისმა ადმირალმა ზენგ ჰიმ Zheng He ნანკინიდან შრილანკაში გაცურა 300 ხომალდით, 27 000 მეზღვაურით, 180 ექიმითა და ფარმაცევტით. მათ ბლომად ჰქონდათ მომარაგებული საკვები და სასმელი სპეციალურ გემებზე. იმავე დროს, ევროპელი კოლუმბი მოგზაურობდა 3 გემით, თითოზე 90 კაცით და მათ არ გააჩნდათ არც წყალი, არც საკვები, არ ჰყავდათ ექიმი. ზენგს მაგნიტური კომპასიც კი ჰქონდა.

თუმცაღა აბსოლუტური ძალაუფლება დეგრადირებისკენ ილტვის. კარლ მარქსის თანახმად, „აღმოსავლური იმპერიები იმდენად ცენტრალიზებული და ძლევამოსილი იყვნენ, რომ მათ ფაქტობრივად შეაჩერეს ისტორიის დინება“. ჩინეთის იმპერატორები და ხალხი იმდენად მდიდარი, თავდაჯერებული და თვითმყოფადი იყვნენ, რომ 1424 წელს აკრძალეს გაუგებარი, არასაჭირო ოკეანის გავლით შორ მანძილზე მოგზაურობა, ხოლო 1470 წელს გაანადგურეს ზენგის ჩანაწერებიც[2]. მთლიანად დაიკარგა ჩინეთის ნავიგაციის ისტორია და დაიწყო სრული იზოლაცია. უფრო მეტიც, შემდეგი გადაწყვეტილება უკვე სასიკვდილო შეცდომა იყო. მინგთა იმპერატორის გადაწყვეტილებით, შეწყდა საზღვაო და სახმელეთო ჯარის დაფინანსება. მონღოლთათვის ქრთამის გადახდა უფრო იაფი იყო, ვიდრე მათთან ბრძოლა დაქირავებული ძალებით. ამრიგად, ჩინელი მოსახლეობისათვის გაქრა სამხედრო ვალდებულება.

მეზობელ იაპონიაში სამხედრო საფრთხე იმდენად არ არსებობდა, რომ მათ ერთ დროს შეწყვიტეს სასროლი იარაღის წარმოება და ისევ ცივი იარაღის დამზადებას და გამოყენებას დაუბრუნდნენ. იაპონია ასევე გადაურჩა მონღოლების შემოსევას მე-13 საუკუნეში, როდესაც მონღოლების მიერ

---

[1] მინგთა დინასტიის დროს მუსლიმანები დაწინაურდნენ. ჩინეთის სანაოსნო მთლიანად მუსლიმანებისგან იყო დაკომპლექტებული, ვინაიდან ითვლებოდა, რომ „ისინი გენეტიკურად მიდრეკილნი არიან საბაზრო კანონებით ბიზნესის კეთებისკენ“.

[2] გევინ მენზიესის ავინ ენზიეს თანახმად, ზენგ ჰის Zheng ე ფლოტის ნაწილი ვენეციაში შევიდა 1434 წელს და შეასწავლეს იტალიელებს ჩინური საიდუმლოებები, რამაც დასაბამი მისცა რენესანსს Renaissance. ის ასევე აღნიშნავს, რომ ლეონარდოს Leonardo გამოგონებათა უმეტესობა აგებულია ჩინურ პროტოტიპებზე. სწორედ ამიტომ ევროპელთა ზოგიერთი დანადგარი ასე ძლიერ ჰგავდა უფრო ადრე შექმნილ ჩინურ მანქანებს. უფრო მეტიც, თანამედროვე პერიოდიკაში იწერება, რომ ლეონარდოს დედა ჩინელი იყო, ამიტომაც მას მოუვიდა აზრად წერა მარჯვნიდან მარცხნივ, რომ მონა ლიზა ჩინელი ქალის პორტრეტია და ა. შ.

ჩინეთში აშენებული ფლოტი შტორმის „კამიკაძე“-ის მიერ იყო განადგურებული და გადაურჩა შავ ჭირს მე-14 საუკუნეში. 1630 წელს იაპონელებმაც დაასკვნეს, რომ გარე საზღვაო ვაჭრობა მათთვის არ იყო საჭირო. ყველა ევროპელი ქვეყნიდან გააძევეს, ხოლო იაპონელებს აუკრძალეს ქვეყნის საზღვრების დატოვება. 1760 წელს აიკრძალა იმპორტი.

მე-15 საუკუნის დასაწყისში ჩინეთი თავისი ძალაუფლების და ეკონომიკური სიმდიდრის ზენიტში იყო. მინგების დინასტია აშენებდა მდიდარ ქალაქებს, გრანდიოზულ არხებს მდინარეებზე და ა. შ. აღმოსავლეთის სოფლის მეურნეობა უფრო პროდუქტიული იყო ვიდრე დასავლეთში. ჩინეთში მიწის 1 აკრი საკმარისი იყო ოჯახის შესანახად, მაგრამ ევროპაში ამისათვის 20 აკრამდე იყო საჭირო. თურქების სასიკვდილო მტრის ტამერლანის სიკვდილის შემდეგ მათ მიეცათ შესაძლებლობა კონცენტრაცია მოეხდინათ დასავლეთის მიმართულებაზე და აიღეს კონსტანტინოპოლი. ირანისა და მუგალების იმპერიებში იწყებოდა უზარმაზარი სიმდიდრის დაგროვება. მათთვის ნათელი მომავალი მოჩანდა.

ამ სინოცენტრულ სამყაროში ევროპა წარმოადგენდა შორეულ, ცივ, უსარგებლო კუნძულს. ჩინელებს არ აინტერესებდათ ევროპული საქონლის იმპორტი. ხოლო ევროპელების ინტერესი აღმოსავლური საქონლის მიმართ ძალიან დიდი იყო. ჩინური აბრეშუმი პირველად გამოჩნდა საფრანგეთის ბაზარზე 1257 წელს და მისი წარმოება ჩინეთში ყველაზე მეტად გასაიდუმლოებულ ტექნოლოგიას წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე. ევროპელ მოვაჭრეებს სჯეროდათ, რომ აბრეშუმი ხეზე იზრდებოდა. ევროპელები საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ საზღვაო გზის აღმოჩენას აბრეშუმის და სპეციების ქვეყნისკენ, მაგრამ უზარმაზარი, ველური და იმ დროისთვის დიდად უსარგებლო ამერიკა, სადაც დიდი რაოდენობით ოქრო ვერ აღმოჩნდა, ქმნიდა დაბრკოლებას[1].

დასავლეთში ამ დროს შავმა ჭირმა ევროპის მოსახლეობის ნახევარი იმსხვერპლა. მიმდინარეობდა მუდმივი შიდა ომები და ერთმანეთს შორის ბრიტანეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, შოტლანდიაში. მუსლიმები ესპანეთში იყვნენ. ერთადერთი მშვიდობიანი ადგილი იყო ჩრდილო-იტალიური

[1] ევროპელებმა მოიფიქრეს ამ დაბრკოლების ისევ აზიასთან ვაჭრობაში გამოყენება. ერთადერთი რამ, რაც ჩინეთში აკლდათ, იყო ვერცხლი. ჩინეთში მუდმივად იყო ვერცხლზე მოთხოვნა, რაც ამერიკის წისქვილზე ასხამდა წყალს – მას ხომ ვერცხლის აუარებელი მარაგი გააჩნდა. ამრიგად, სამი საუკუნის მანძილზე ევროპელებმა ამოიღეს 150 ათასამდე ტონა ძვირფასი ლითონი პერუსა და მექსიკის მთებიდან. მესამედი მიდიოდა ჩინეთში. მაგრამ 1750 წლის შემდეგ ვერცხლის მარაგმა დაიწყო გამოლევა. ამან აიძულა ევროპელები, ვერცხლი ჩაენაცვლებინათ რაიმე სხვა სარფიანი ბარტერით აზიისთვის. დაიწყო ინდუსტრიული რევოლუცია. და მოხდა სასწაული – ტექნიკური რევოლუციის შემდეგ ევროპის დომინირება აზიაში შესამჩნევი გახდა.

ქალაქები: ფლორენცია, ვენეცია, გენუა, პიზა და სხვა. ამ დროს ვინმეს რომ ეწინასწარმეტყველა, რომ მომდევნო ნახევარათასწლეული ამ ევროპის დომინირების ქვეშ გაივლიდა, სასაცილო იქნებოდა. მაგრამ ეს ასე მოხდა. ამ ჩრდილო-იტალიურ ქალაქებში მოხდა საოცარი ძალის სინთეზი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ლათინური და ბერძნული ენების და ადგილობრივი კილოების გაურკვეველი ნაზავი, ნაზარეთელი ებრაელის რელიგიური სწავლება, აღმოსავლური მათემატიკური, ფილოსოფიური და ასტრონომიული ცოდნა, ასევე ხელოვნება და მხატვრობა. საბოლოოდ ამ გაურკვევლობამ მოიპოვა გაცილებით მეტი (მიწა, ძალაუფლება, გავლენა, სიმდიდრე), ვიდრე შეიძლებოდა იმავეს ხმლით მოპოვება. დასავლეთ ევროპის ეკონიმიკური და სოციალური პირობები მკვეთრად გაიზარდა[1].

გერმანელმა ფილოსოფოსმა მაქს ვებერმა Max Weber და ინგლისელმა ინტელექტუალმა დევის ლენდმა David Landes წიგნში „ერების სიმდიდრე და სიღატაკე“ The Wealth and Poverty of Nations პირველად სცადეს ამ ფენომენის ახსნა და დაადგინეს, რომ ეს შესაძლებელი გახდა ანგლოსაქსური ინდივიდუალიზმის და პროტესტანტული ეთიკის გამო. ზუსტად ამ ეთნოგენეტიკურმა თვისებებმა შემდგომში განავითარას რაციონალიზმი, მეცნიერული აზროვნება, კანონმორჩილება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ჯანსაღი მმართველობა, არჩევნები და, რაც მთავარია, ინსტიტუტები. ორი კორეის, ორი ჩინეთის და წარსულში ორი გერმანიის მაგალითები აშკარად გვაჩვენებს ინსტიტუტების მნიშვნელობას ერთი და იმავე ხალხის კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამ ინსტიტუტების (უმცირესობის პატივისცემა, საწინააღმდეგო აზრის გათვალისწინება, არჩეული ხელისუფლების ხალხის ინტერესებისათვის დამორჩილება და სამსახური, ტრანსპარენტობა, სიტყვის თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა, კანონმორჩილება და ა. შ.) დანერგვა წარმოადგენს ევროპულ არჩევანს, რაც ჩვენისთანა აზიური ტიპის ფსიქოლოგიის ქვეყნისათვის ძალზედ ძნელია. სამუელ ჰუნტინგტონი საერთოდ თვლის, რომ ორთოდოქსული ქვეყნები ვერ გაიზიარებენ ამ ევროპულ ღირებულებებს და რომ საბერძნეთი ამ ბანაკში მხოლოდ ბერძნული ფილოსოფიის წინაქრისტიანული წარსული ისტორიული როლის გამო მოხვდა. ამიტომ ისტორიული განვითარების ორიენტაციის არჩევანი ერისგან მოითხოვს უკიდურეს ძალისხმევას და აუცილებელ რეფორმებს. ერთი შეცდომა ან დაგვიანება საკმარისია ფატალური შედეგისთვის.

იან მორისი Ian Moris წიგნში „რატომ ბატონობს ახლა დასავლეთი“ კიდევ ერთხელ აჯამებს, თუ როგორ მოხდა ეს, როგორ მოხდა რომ ჩინელები დღეს ევროპელებს მიმართავენ: „მე მაცვია თქვენი ტანსაცმელი, მე ვსაუბრობ

[1] ამერიკიდან შემოტანილმა კარტოფილმა და შაქარმა მოხსნა კვების პრობლემა, ხოლო ზედმეტი მოსახლეობა თავისუფლად სახლდებოდა ამერიკის კონტინენტზე.

თქვენს ენაზე, ვუყურებ თქვენს ფილმებს და დღეს ის თარიღია, რასაც თქვენ იტყვით“. ყველაზე თვალნათელი ახსნა არის ის, რომ ევროპელები უბრალოდ ყველაზე უკეთ იყვნენ შეიარაღებული. თუმცა ამ დაშვების შემთხვევაშიც კითხვა მაინც რჩება: როგორ მოახერხა ევროპამ საუკეთესო იარაღის ფლობა? ამ საკითხს არკვევენ არა მხოლოდ ჩინელები, არამედ მუსლიმებიც და რუსებიც. რეალური პასუხი ერთადერთია და ძალზე მარტივი. ეს არის დასავლური (ევროპული) ღირებულებები. ყველაფერი დაიწყო იქედან, როდესაც ძველმა ბერძნებმა შექმნეს უნიკალური კულტურა და თავისუფლების ცნება. ბერძნების მიერ შემუშავებული მართვის და მთავრობის ფორმები იყო სწორედ რომ რევოლუციური. იმის ნაცვლად, რომ მღვდლისთვის ეკითხათ, რა ჰქონდა უფალს განზრახული, ბერძენი ხალხი ერთად შეიკრიბა მთის ერთ მხარეს და დაიწყო მსჯელობა, კამათი, დასკვნების გამოტანა, ხმის მიცემა. სწორედ ამ იდეებმა გადაიყვანა ევროპა სულ სხვა ტრაექტორიებზე მსოფლიოს სხვა ერებთან შედარებით.

1580-დან 1650 წლამდე კონფლიქტებმა და ეპიდემიებმა ჩინეთის მოსახლეობა შეამცირა 35-40%-ით. ამის შედეგად განვითარებულ ქაოსში მინგთა უკანასკნელმა მმართველმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. 1644 წელს ჩრდილოელმა მანჯურებმა აიღეს ბეიჯინგი და დააარსეს **Qing** ცინის ბოლო იმპერიული დინასტია, რომლებიც მმართველობაში იყვნენ 1912 წლის რევოლუციამდე. მანჯურები იმდენად არაცივილიზებული იყვნენ, რომ არანაირ რელიგიას არ მისდევდნენ და გადაწყვიტეს თვითონ აერჩიათ. შეჯიბრებისას იეზუიტებმა ეფექტიანად იწინასწარმეტყველეს მზის დაბნელება. შედეგად, 1644 წელს იეზუიტების ავტორიტეტი ბეიჯინგში მკვეთრად ამაღლდა. მათი ძალაუფლება არასოდეს ყოფილა ასეთი მყარი. ისინი იმპერატორის გაქრისტიანებასაც კი მოელოდნენ 1656 წელს! სანამ გარდატეხის ასაკში მყოფმა მონარქმა არ გაიგო, რომ ქრისტიანებს ეკრძალებოდათ მრავალცოლიანობა. ამიტომ იმპერატორმა ბუდიზმი აირჩია. ამავდროულად, მუსლიმების რეპრესიები სისასტიკით ხორციელდებოდა მილიონობით მსხვერპლით.

მსოფლიოს დანარჩენ ნაწილთან შედარებით ჩინეთს ჰქონდა კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, მათ კიდევ ერთი რამ სჭირდებოდათ – ოპიუმი. ჩვეულებრივ, ბრიტანელები ოპიუმს აზავებდნენ და სვამდნენ. ოპიუმი მოიპოვებოდა ინდოეთში, სადაც მას ჭამდნენ. ოპიუმის მომზადების ორივე ხერხი საშუალო ნარკოტიკული ეფექტის წარმომქმნელი იყო, რაც საკმარისი იყო შთაგონების გასაღვიძებლად. ჩინელები ოპიუმს ეწეოდნენ, რაც სულ სხვა, უფრო ძლიერ ეფექტს ტოვებდა ადამიანის გონებაზე[1]. ისევე, როგორც ალკოჰოლზე აზიელებს და ჩრდილოელებს სწრაფად უვითარდებათ დამოკიდებულება, ჩინელები ძალიან სწრაფად და ძლიერად გახდნენ

[1] ერთ-ერთი ვერსიით, ეს ეფექტი აღმოაჩინეს, როდესაც წვავდნენ კონფისკაციაში მოხვედრილ არალეგალურ ოპიუმს.

ოპიუმზე დამოკიდებულნი. ევროპამ ამით ისარგებლა და სწრაფად დაიწყო ოპიუმის ამერიკიდან ჩინეთში იმპორტი. სიტუაცია იმდენად დამძიმდა, რომ ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებმა ომიც კი გამოუცხადეს ჩინეთის მთავრობას, როდესაც მან დაარღვია ოპიუმის სავაჭრო კონტრაქტი. შედეგად „ნემეზისი“ Nemesis, მსოფლიოში პირველი სრულად ფოლადისგან დამზადებული ბრიტანული სამხედრო ხომალდი, შევიდა მდინარე იანძში 1842 წელს და ბლოკადაში აღმოჩენილი ბეიჯინგის მოსახლეობა შიმშილის ზღვრამდე მიიყვანა. ჩინეთი ყველაფერზე დათანხმდა.

1853 წელს ამერიკელმა კომანდორმა მეთიუ პერიმ Metthew Perrry გაცურა იაპონიისკენ. მას თან ახლდა მხოლოდ 4 თანამედროვე გემი, მაგრამ თითოეული მათგანი ბლომად იყო დატვირთული იმაზე მეტი დენთით, ვიდრე იაპონიაში არსებული იარაღის სრული რაოდენობა ერთად აღებული. იაპონიამ ამერიკას ვაჭრობის უფლება მისცა.

1860 წელს ჩინეთის მთავრობამ კვლავ ვერ შეასრულა მორიგე ანგლო-ფრანგული ულტიმატუმი და 5 ოქტომბერს ანგლო-ფრანგულმა ჯარმა დაიკავა ბეიჯინგი Beijing და გაძარცვა ჩინეთის იმპერატორის სასახლე. რუსეთის ელჩის იგნატოვის შუამდგომლობით, ჩინეთი დაეთანხმა უზარმაზარი კონტრიბუციის გადახდას, ზავს ხელი მოეწერა და ნოემბერში ანგლო-ფრანგული ჯარი გავიდა ბეიჯინგიდან. სამაგიეროდ ჩინეთმა უბოძა რუსეთს უსურიის მხარე და „პრიმორსკი კრაი“. დაიწყო ინფრასტრუქტურული მშენებლობა: რკინიგზა, ტელეგრაფი. 1891-6 წლებში დაიწყო ტრანსციმბირის და ჩრდილოეთ ჩინეთის (НКВЖД) რკინიგზის მშენებლობა. დაარსდა პორტი ვლადივოსტოკი სიმბოლური სახელწოდებით „ვლადი-ვოსტოკ“. მაგრამ წელიწადში 110 დღის განამავლობაში ვლადივოსტოკის პორტი გაყინული იყო. რუსებმა თვალი დაადგეს ჩინურ პორტ-არტურს, მოსახერხებელ ნავსადგურს სამხრეთით, რომელიც ფრანგმა ინჟინერმა არტურმა დააპროექტა.

ამ დროს, 1895 წლის ჩინურ-იაპონიის ომის შემდგომი ზავის პირობების შემუშავებაში რუსეთი ჩაერია და იაპონიას პირობების შერბილება მოსთხოვა. იაპონია იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო და უარი ეთქვა ნახევარკუნძულზე, სადაც პორტ-არტური მდებარეობდა. რუსეთმა აგრეთვე გაითვალისწინა, რომ გერმანიამაც თვალი დაადგა ერთ-ერთ პორტს ჩინეთის სანაპიროზე, მას მოელაპარაკა ერთობლივ მოქმედებაზე იმ პირობით, რომ სამაგიეროდ გერმანია მხარს დაუჭერდა რუსეთის ანალოგიურ მოთხოვნას სხვა ადგილას. 1897 წელს ჩინეთში მოკლეს ორი გერმანელი მისიონერი და ამ საბაბით გერმანიამ მოახდინა ამ პორტის ოკუპირება ჩინელების წინააღმდეგობის გარეშე. ამის შემხედვარე, რუსეთს ანალოგიური ქმედებების სურვილი გაუჩნდა. 1897 წლის 22 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურავიოვმა წარუდგინა მეფეს ანალოგიური პროექტი პორტ-არტურის დაკავების შესახებ. მეფემ დააწერა რეზოლუცია: „Вполне справедливо“. ვიტე, როგორც ყოველთვის, წინააღმდეგი იყო, მაგრამ იმ რაიონში გამოჩნდა ინგლისელების კრისერი და დასწრება იყო აუცილებელი.

18 დეკემბერს პორტ-არტურში რუსული დესანტი გადასხეს[1]. გაოგნებული და ნაწყენი იაპონიის პროტესტს არავინ ყურადღება არ მიაქცია. სერგეი ვიტე თავის მემუარებში წერდა: „რუსული საზოგადოება დაპყრობის ვნებით არის შეპყრობილი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყველაფრის მიტაცების ვნებით“. მალე თავისი ნავსადგურები მიიტაცეს ინგლისმა ჰონკონგში, ფრანგებმა, აშშ-მ. იტალიამაც კი გამოთქვა პრეტენზია, მაგრამ მან 1899 წელს წააგო ომი ეთიოპიასთან და იმდენად დაბალი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ ჩინეთმაც კი გაუბედა უარის თქმა.

1900 წელს დაიწყო ბოქსიორების Boxers რევოლუცია და ივნისში მათ დაიკავეს ბეიჯინგი. საპასუხოდ აგვისტოში ბეიჯინგის მიმართულებით კვლავ დაიძრა კოალიციური ჯარი და 14 აგვისტოს შევიდა ქალაქში. კოალიციაში შედიოდნენ 8 ათასი იაპონელი, 5 ათასი რუსი, 3 ათასი ინგლისელი (ინდოელი), 2 ათასი ამერიკელი, 800 ფრანგი და 50-50 ჯარისკაცი იტალიიდან და ავსტრია-უნგრეთიდან. გერმანელები სხვა ქალაქებში იბრძოდნენ. კოალიცია მალე გავიდა ბეიჯინგიდან, მაგრამ რუსეთი დარჩა მანჯურიაში. ამ სიხარბემ და პორტ-არტურთან დაკავშირებულმა მუხანათობამ სავალალო შედეგი მოიტანა. 1904 წლის 8 თებერვალს, ომის გამოცხადების გარეშე, პორტ-არტურში იაპონიის გემების ზარბაზნებმა დაიქუხა.

სანამ ჩინეთი ეწინააღმდეგებოდა თანამედროვეობას, ჩინეთის უბედურობის შემხედვარე, იაპონიამ თავის დროზე დააჩქარა რეფორმები. 1889 წელს იაპონიამ გამოსცა კონსტიტუცია, სადაც ნებას რთავდა დასავლური ტიპის პოლიტიკურ პარტიებს, შემოიღო საყოველთაო დაწყებითი განათლება. 1900 წელს იაპონელი მოაზროვნეები, რომლებიც ხედავდნენ დასავლეთის უპირატესობას, ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ დემოკრატია, ქალთა უფლებები და სურდათ ინგლისური ეროვნულ ენად დაეწესებინათ. იაპონელები აღმოჩნდნენ საუკეთესო სტუდენტები მთელს მსოფლიო ისტორიაში. შედეგად, 1904 წელს იაპონიამ ევროპა კიდეც გააოცა და აჩვენა, რომ აღმოსავლეთის იმპერიას შეეძლო დაემარცხებინა დასავლური იმპერია, თუმცა რუსეთი არასოდეს ყოფილა ევროპული ტიპის ქვეყანა. 1904 წელს იაპონიამ ჩაძირა რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტი. როდესაც მეფე ნიკოლოზმა გაგზავნა თავისი ძირითადი ფლოტი ევროპიდან 20000 მილის დაშორებით აფრიკის შემოვლით, იაპონურმა ხომალდებმა ისიც ჩაძირა.

---

[1] ოფიციალურად გაფორმდა 99-წლიანი იჯარა. რუსეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ვიტე აღშფოთებული წერდა თავის მემუარებში, რომ იგი აიძულეს ნებისმიერი მეთოდებით დაეკანონებინა ეს ქმედებები, რისთვისაც მიუღებელი საქციელი ჩაიდინა, კერძოდ, მოქრთამა ჩინეთის პრემიერ-მინისტრი ლი ჰუნ ჩანი Li Hongzhang, როდესაც ის 1896 წელს ესტუმრა რუსეთს ნიკოლოზ II-ის კორონაციისას. რა თქმა უნდა, ვიტე უარყოფდა ქრთამის პირადად გადაცემას, მაგრამ აღიარებს ლი-ს დაქვემდებარებაში ფონდის დაფინანსებას 5 მილიონი რუბლით.

დასავლეთის და ისლამის ISLAM დაპირისპირება

622 – მუჰამედმა დააარსა პირველი მუსლიმური დასახლება მედინაში

762 – ბაღდადი გახდა ისლამური იმპერიის დედაქალაქი

1187 – მუსლიმურმა არმიამ დაიკავა იერუსალიმი, წაართვა რა ის ჯვაროსნებს

1258 – მონღოლებმა დაიპყრეს ბაღდადი

1453 – თურქებმა დაიპყრეს კონსტანტინოპოლი

1492 – ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა

1517 – მარტინ ლუთერი იწყებს რეფორმაციას

ისლამი საფუძველს იღებს 610 წ. იმ დროიდან, როცა მთავარანგელოზი გაბრიელი (ჯიბრაილი) Gabriel გამოეცხადა მუჰამედს Muhhamad და მოუთხრო ტექსტი, რომელსაც წერა-კითხვა უცოდინარი 40 წლის მუჰამედი ზეპირად იმეორებდა და მისი მიმდევრები ნაწილ-ნაწილ იწერდნენ. საბოლოოდ მალე, მუჰამედის სიკვდილის შემდეგ, მისი მეუღლის ჰაფსას ნაქონი ვერსია იყო კანონიზებული უტმანის მიერ და დაერქვა ყურანი. ყველა სხვა ასლები და ჩანაწერები დაწვეს. მუჰამედი ამტკიცებდა, რომ ის სხვა არაფერი იყო, თუ არა ღვთის მოციქული (Nabi), ღმერთის შუამავალი (Rasul) ხალხთან და მას არანაირი ღვთიური ბუნება არ გააჩნდა. ყურანში არ არის მინიშნება, რომ მუჰამედი პირადად ხედავდა ღმერთს. ისლამური რელიგიის 5 ძირითადი დოქტრინა Five Pillars of Islam მარტივია: 1) ღმერთად მიიღება ალაჰი Allah და მის მოციქულად მუჰამედი. მუსლიმს აქვს ოთხი მოვალეობა: 2) დღეში ხუთჯერ ლოცვა, სახით მექასკენ, 3) ღარიბთა დახმარება, 4) მარხვა (ღვინისა და ღორის ხორცის ამოღება კვებიდან, ერთთვიანი რამადანის მარხვა, რომელიც დღის მანძილზე მარხვას გულისხმობს და დაღამებისას ხსნილდება) და 5) პილიგრიმობა მექაში, სულ მცირე ერთხელ მაინც ცხოვრების მანძილზე.

ისლამური სწავლების თანახმად, ქრისტიანობა და იუდაიზმი მათ წმინდა წიგნებთან ერთად ისლამის წინამდებარე რელიგიებს, ანუ ისლამისთვის მოსამზადებელ რელიგიებს წარმოადგენდა. თუმცა ისინი არასრულად და სიმართლისგან გადახვევად მიიჩნეოდა. რაც ქრისტიანობაში ჭეშმარიტებად მიიჩნიეს, ის ისლამშიც იქნა გადატანილი, ხოლო დანარჩენი მცდარად აღიარეს. ამ რელიგიის დაბადება განსხვავებული იყო. ქრისტიანობის დაბადება დაკავშირებულია ტანჯვასა და ტკივილთან, იესო ქრისტე ჯვარს აცვეს, მისი მიმდევრები სასტიკ დევნას განიცდიდნენ, ებრაელი მონები უდაბნოში დახეტიალობდნენ ორმოცი წელი, მოსემ ვერ მიაღწია აღთქმულ მიწამდე და ა.შ. საპირისპიროდ, მუჰამედმა სიცოცხლეშივე მიაღწია გამარჯვებასა და ტრიუმფს, მან მიაღწია აღთქმულ ქვეყანას, შექმნა საკუთარი სახელმწიფო და მართავდა მას.

ისლამური სულიერება და ინტელექტი ძლიერ გავლენას ახდენდა ევროპაზე, განსაკუთრებით მუსლიმურ ესპანეთზე – ანდალუსია. აქ პირველად აშენდა

ქაღალდის ფაბრიკები, რამაც ხელი შეუწყო მწიგნობრობის განვითარებას. საერთოდ მუსლიმური რელიგიის ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი მოითხოვდა ასტრონომიის, გეომეტრიისა და ალგებრის ზედმიწევნით დაუფლებას. რელიგია მოითხოვდა ლოცვასა და მეჩეთების აშენებას მექას მიმართულებით, რისი გამოთვლაც შუა საუკუნეებში უაღრესად კვალიფიციურ გაზომვებს მოითხოვდა. მეცნიერებათა დარგები, როგორებიცაა ქიმია და ალგებრა არაბული წარმოშობისაა. არისტოტელის ნაშრომები არაბულ ენაზე ითარგმნებოდა. ნული და ზოგადად ციფრები[1], ათეულებით თვლა სწორედ არაბულის მეშვეობით შემოვიდა ინდოეთიდან ევროპაში. ამ ციფრებს ჩვენ არაბულ ციფრებს ვუწოდებთ, რომელმაც მოუხერხებელი რომაული ციფრები ჩაანაცვლა. ქაღალდი ევროპაში არაბეთიდან შემოვიდა, თვითონ მათ კი ქაღალდის დამზადება ჩინელი ტყვეებისგან ისწავლეს. 751 წელს სამარყანდში ჩინელები თავს დაესხნენ არაბ მუსლიმებს. აქ ჩავარდნილი ტყვეებისგან ისწავლეს არაბებმა ქაღალდის დამზადება. არაბული ქაღალდის მონუსკრიპტები მე-9 საუკუნიდან მოყოლებული არსებობს. ევროპაში კი მისაღები ფასის მქონე ქარალდი მე-13 საუკუნემდე არ იყო ხელმისაწვდომი. მე-14 საუკუნეში კი ქაღალდის ფასმა დაიწია და წიგნების ბეჭდვაც შესაძლებელი გახდა. ქაღალდმა ევროპის ინტელექტუალური განვითარების პროცესის წამოწყება განაპირობა. ხელმისაწვდომი გახდა ნაბეჭდი ბიბლია და სასკოლო წიგნები. მე-13 საუკუნეში ირანის მონღოლი მმართველის მიერ ნაბეჭდი ქაღალდის ფული იქნა შემოღებული. მიუხედავად უმაღლესი სასჯელით მუქარისა, მისი არმიღების შემთხვევაში, ეს მცდელობა მაინც წარუმატებელი აღმოჩნდა. ისლამმა ევროპას დაუბრუნა ასტროლოგიის მეცნიერება, რომელიც კეისრისა და კათოლიკური ეკლესიის მიერ იყო აკრძალული. პოპულარული გახდა ლაბირინთები. ყავა თავდაპირველად ეთიოპიიდან თურქეთის გავლით შემოვიდა ევროპაში. შაქარი შემოვიდა ინდოეთიდან და სპარსეთიდან. 1562 წელს ავსტრიელმა დიპლომატმა ოგიერ გისლან დე ბუსბექმა Ogier Ghislain de Busbecq ტიტის პირველი ძირხვენა გაგზავნა თურქეთიდან ევროპაში. ევროპულმა ცივილიზაციამ ბევრი რამ ისესხა და ისწავლა ისლამისგან. მუსლიმებისგან გადმოიღეს წყლის წისქვილები, ცხენით და არა ხარებით მიწის ხვნა, მეტალის ნალიების დამზადება. მუსლიმებმა კოლონიზებულ სიცილიაში გამოიგონეს პასტა და ნაყინი. მათ ევროპაში რეიტუზების ნაცვლად შარვლები შემოიღეს.

ისლამი ტრიუმფით ვრცელდებოდა. არაბები შევიდნენ დამასკოში 634 წელს, იერუსალიმში 638 წელს, სირიაში, სასანიდურ სპარსეთსა და ეგვიპტეში.

---

[1] არაბულ ციფრებში მათი მნიშვნელობა იზრდება მარცხნიდან მარჯვნივ, ანუ 247 შვიდი ერთეული, მარცხნივ ოთხი ათეული და ბოლოს მარცხნივ 2 ასეული, მაგრამ მარჯვნიდან მარცხნივ წაკითხვის ლოგიკის შესაბამისად უნდა ნიშნავდეს ორ ერთეულს, შემდეგ მარჯვნივ ოთხ ათეულს, დაბოლოს, მარჯვნივ შვიდ ასეულს. რომაული ციფრები შერეული წესით ფორმირდება.

დამასკოსა და იერუსალიმის მოსახლეობა (ძირითადად მონოფიზიტები) უკმაყოფილო იყო ბიზანტიური მმართველობით და სიამოვნებით მიიღეს ახალი რეჟიმი, ვინაიდან მუსლიმები მათ ისლამზე მოქცევას არ ითხოვნენ. ერთადერთი მოთხოვნა არამუსლიმთათვის იყო გადასახადის, ჯიზიას „jizya“, გადახდა. არაბთა ხალიფა იერუსალიმში პირადად ეხმარებოდა ებრაელებს ტაძრების გაწმენდაში. მუსლიმებს ევალებოდათ პატივი ეცათ სხვა რელიგიის წარმომადგენელთათვის და მათი წმინდა ადგილებისთვის. ებრაელებს უფლება მიეცათ თავისუფლად ჩაეტარებინათ მსახურება იერუსალიმში. ეს იყო პირველი შემთხვევა მას შემდეგ, რაც იერუსალიმი 5 საუკუნით ადრე რომაელებმა დაიპყრეს. ფაქტობრივად თავდაპირველად არაბები არ ცდილობდნენ სხვების გამუსლიმანებას, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ისლამი მხოლოდ არაბების რელიგიაა, თუმცა მალე არაარაბი მოსახლეობაც გამუსლიმდა და არაბები მუსლიმანთა შორის უმცირესობაში აღმოჩნდნენ, თუმცა ყურანი თანამედროვე პერიოდამდე მხოლოდ არაბულ ენაზე არსებობს. 711 წელს არაბებმა და ბერბერებმა დაიპყრეს ესპანეთი, 715 წელს გადალახეს პირინეის მთები და მიაღწიეს ფრანკების მეროვინგების სამეფოს. მხოლოდ 732 წელს შეძლო ფრანკმა მეფე მარტელმა მათი დამარცხება.

პირველი პრობლემები მას შემდეგ დაიწყო, რაც მუჰამედმა მისი მემკვიდრე არ დაასახელა. მუჰამედს დარჩა მხოლოდ ერთადერთი ქალიშვილი ფატიმა Fatimah. ვინც აბუ-ბექრს Abu Bakr, ანუ მუჰამედის სიმამრს, უჭერდა მხარს სუნიტებად Sunnis იწოდნენ, ხოლო ისინი, ვინც ფატიმას ქმრის ალის Ali, მუჰამედის ბიძაშვილის და სიძის, ემხრობოდნენ შიიტები Shiites ეწოდათ. დაიწყო შიდა ომების სერია. შიიტები იძულებულნი იყვნენ დამალულიყვნენ უმრავლესობაში მყოფ სუნიტებში და შეიმუშავეს თვითგადარჩენის დოქ-ტრინა ტაკია taqiyya, რომელიც საშუალებას აძლევდათ, დაემალათ თავიანთი რწმენა. ისინი აღიარებდნენ სუნიტთა მმართველ ხელისუფლებას, მაგრამ სულიერ ლიდერად შიიტთა იმამი მიაჩნდათ. სუნიტთა ომაიდების დინასტიამ Umayyad (Omayyad) (661-750 წწ.) წესად დანერგა ყოველ პარასკევს დამასკოში დაეწყევლათ ალი. ომაიდების სახალიფო გამაგრებული იყო დამასკოში და ძირითადად არაბებისგან შედგებოდა. 750 წელს სუნიტთა აბასიდების Sunni Abbasids დინასტიამ განდევნა ომაიდები და დედაქალაქი დამასკოდან ახლად აშენებულ ქალაქ ბაღდადში გადაიტანა, ერაყში, სადაც 762 წელს აბასიდების სახელიფო (750-1258 წწ.) ჩამოაყალიბეს და მისი არსებობა მონღოლების გამოჩენამდე გაგრძელდა. აბასიდების მმართველობის პერიოდში ისლამში გაძლიერდა სპარსული და ერაყული ელემენტი. 909 წელს შიიტმა ფატიმიდებმა Shiite Fatimids, მუჰამედის ქალიშვილის შთამომავლებმა, ბერბერების დახმარებით სუნიტი აბასიდებისგან გაათავისუფლეს ეგვიპტე და ააშენეს დედაქალაქი ქაირო al-Qahirah (Cairo) 969 წელს.

მონღოლები უეცრად გამოჩნდნენ და ევროპის შუაგულამდე მიაღწიეს. ჩინეთის კედელმა შეუცვალა მათ თავდასხმების მიმართულება და ისინი

პოლონეთამდე მივიდნენ. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ტამპლიერების სპეცოპერაცია იყო და მათ მონღოლები გაწრთვნეს და აღჭურვეს მუსლიმების წინააღმდეგ საბრძოლველად. ქრისტიანთა გასაოცრად, არც ერთმა მუსლიმანმა არ უღალატა თავის რელიგიას მაშინაც კი, როცა დამასკო და ბაღდადი სრულიად განადგურდნენ მონღოლების მიერ. მომთაბარე შამანისტმა მონღოლებმა მონღოლური წარმოშობის მუსლიმი სელჩუკი თურქებიც არ დაინდეს და წალეკეს ბაღდადიც და სელჩუკებიც 1258 წელს. თურქ ოტომანთა დინასტიამ მე-14 საუკუნეში ხელახლა ააშენა იმპერია, მაგრამ ახლა ტამერლანი დაესხა თავს მუსლიმურ სამყაროს. 1400 წელს მონღოლებმა კიდევ ერთხელ გაანადგურეს დამასკო და 1401 წელს უკვე საბოლოოდ – ბაღდადი.

ისლამის წინააღმდეგ ქრისტიანების ერთადერთი წარმატებული მცდელობა ჯვაროსნებმა წამოიწყეს, მაგრამ მალევე იყვნენ გაჩერებული და განადგურებული. მუსლიმებისთვის ეს მხოლოდ ეპიზოდი იყო[1]. შავი ჭირის ეპიდემიამ (1348-53 წწ.) ევროპელების ძალა სრულიად გაანადგურა. ჯვაროსნები აღფრთოვანებული იყვნენ მუსლიმთა ცივილიზაციის განვითარების დონით, მათი ხელოვნებით, ქსოვილებით. სალადინი დიდი პატივიცემითა და ღირსებით იყო მოხსენიებული მათ მიერ. თუმცა, პირიქით, მუსლიმები არ იყვნენ აღფრთოვანებული აყროლებული, ველური ჯვაროსნებით, რომელთაც საჯარო აბაზანის ცნებაც კი არ იცოდნენ რა იყო და ქმედებებიც უგვანი ჰქონდათ. საქრისტიანო, რომელიც იმ დროს მხოლოდ ბიზანტიის იმპერიით ვლინდებოდა, თანდათან დასუსტდა და საბოლოოდ სრულიად გაქრა თურქ სელჩუკთა მიერ 1453 წელს კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ.

ევროპაში არ იყო არც ერთი ქვეყანა, სადაც მუსლიმთათვის წმინდა ადგილები იქნებოდა და არც ევროპული ბაზარი იყო საინტერესეო მუსლიმი ვაჭრებისთვის. მათთვის ევროპა ბარბაროსებით დასახლებული ბნელი მხარე იყო, საიდანაც არც არაფრის იმპორტირება შეიძლებოდა და არც არაფრის სწავლა. მუსლიმი ტყვეები სახლში დაბრუნების შემდეგ არაფერს ყვებოდნენ, ხოლო პირიქით, არსებობს უამრავი ლიტერატურა, სადაც ევროპელი მეომრები გვიამბობენ თურქეთში ტყვეობის დროს ნახულზე.

---

[1] იმ დროს არავინ განიხილავდა ჯვაროსნულ ომებს, როგორც აგრესიას მუსლიმანური სამყაროს წინააღმდეგ. ყველა ჯვაროსნული ლაშქარი წამოწყებული იყო მხოლოდ მუსლიმანების შეტევის საპასუხოდ. მართალია, არაბებმა ის დიდი ხნის წინ დაიპყრეს, მაგრამ პირველი ჯვაროსნობა დაიწყო 1095 წელს, როდესაც სელჩუკებმა მცირე აზია დაიკავეს და თვით კონსტანტინოპოლს შეექმნა მუქარა. მეორე ჯვაროსნობა დაიწყო მუსლიმანების მიერ ედესას აღების გამო 1144 წელს. მესამე ჯვაროსნობა დაიწყო მუსლიმების მიერ იერუსალიმის კიდევ ერთხელ აღების გამო 1187 წ. არც იმდროინდელი მუსლიმანი ისტორიკოსების ჩანაწერებში ეს ომი არ მოიხსენიება, როგორც უსამართლო ან რელიგიურად რაიმე განსაკუთრებული. ჩვეულებრივი ომი უცხო დამპყრობლის წინააღმდეგ, რომელიც მალევე დავიწყებას მიეცა და მუსლიმანურ ლიტერატურაში და ლეგენდებში საერთოდ გაქრა ხსენებიდან.

თანამედროვე დროსაც დასავლეთის უნივერსიტეტებში მოღვაწეობს უამრავი აღმოსავლეთმცოდნე, ვიდრე დასავლეთისმცოდნე სპეციალისტი მუსლიმურ ქვეყნებში. მე-18 საუკუნემდე მუსლიმურ ქვეყნებს ელჩებიც კი არ ჰყავდათ ევროპულ ქვეყნებში. სულთანი ელჩს მხოლოდ მაშინ გზავნიდა, როცა რაიმე ჰქონდათ სათქმელი და ელჩიც სამუშაოს დასრულების შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდა. ომის შემდეგ მუდმივად მუსლიმები იყვნენ გამარჯვებულები და პირობებსაც ისინი ადგენდნენ, რასაც ყოველგვარი მოლაპარაკებების გარეშე იღებდა მოწინააღმდეგე. დამარცხებების დაწყების შემდეგ მათ ვერ მონახეს მუსლიმი დიპლომატები და ელჩებად დაასაქმეს ებრაელი დევნილები, რომლებიც ესპანეთიდან ოტომანთა მიწებზე მოვიდნენ საცხოვრებლად.

ისლამისთვის განგაშის პირველი ნიშნები გამოვლინდა 1444 წელს, როდესაც უნგრეთის ზარბაზნებმა ოტომანების კავალერიის შეჩერება შეძლო, რაც თურქთათვის შოკის მომგვრელი იყო. ამის საპასუხოდ თურქებმა იყიდეს ევროპული ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ძალიან ძვირი ღირდა, მაგრამ ყველაზე მდიდარი ევროპული სახელმწიფოები გენუა და ვენეციაც კი სულთანთან შედარებით მათხოვრებად წარმოჩნდებოდნენ. დიდი ფულის მეშვეობით თურქებმა დაიქირავეს იტალიელი ადმირალები და უნგრელი მეზარბაზნეები. 1453 წელს კონსტანტინოპოლის კედლები მისი არსებობის მანძილზე პირველად და ერთადერთხელ დაინგრა. მუსლიმანთა საქმეები ზოგადად კვლავ კარგად მიდიოდა.

პროტესტანტი ინჟინრები, მათემატიკოსები, მშენებლები, მასწავლებლები და სხვანი დასაქმებულ იქნენ თურქთა მიერ (მათ შორის გერმანული წარმოშობის რუსეთის იმპერატორების რომანოვების მიერ). თურქებმა ასევე თავიანთ სამსახურში ჩააყენეს ებრაელები, ბერძნები და სომხები. ოტომანი მმართველები ტოლერანტულები იყვნენ ქრისტიანებისა და ებრაელების მიმართ, ვინაიდან მათ საკმაოდ დიდ ხარკს ახდევინებდნენ. 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაპყროპის შემდეგ, ხალხი ისევ რომაელებს ეძახდა თავის თავს. სულთანი მეჰმედი თავის თავს უძველესი საბერძნეთისა და რომის იმპერიის ლეგატად თვლიდა. მან თავს არა მხოლოდ სულთანი, არამედ კეისარი და იმპერატორიც უწოდა. მას სასახლეში ჰყავდა იტალიელი ჰუმანისტები, რომლებიც ყოველდღე უკითხავდნენ იულიუს კეისრისა და ალექსანდრე დიდის შესახებ ისტორიებს. სულთანი პორტრეტებსა და მედლებზეც რენესანსის სტილში გამოისახებოდა, შეისწავლა ბერძნული და ლათინური ენები და ამასთანავე გაერკვა ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში. მაგრამ მალე ეს დამთავრდა. როდესაც ტახტზე ავიდა ახალი სულთანი ბაიაზიდ მეორე, მან ისლამური კანონები გაამკაცრა. თუმცა 1492 წელს, ებრაელების ესპანეთიდან გასახლების დროს, მათ თურქეთში დასახლების უფლება მიანიჭა.

ოტომანებმა აიღეს კონსტანტინოპოლი 1453, ბელგრადი 1521, როდოსი 1522, მიადგნენ ვენას 1529, აიღეს ბუდა 1541, კრეტა 1669 და ისევ მიადგნენ ვენას 1683 წელს. პროტესტანტ-კათოლიკეთა კონფლიქტით თურქეთი

კარგად სარგებლობდა. ის დაუკავშირდა ინგლისის დედოფალ ელიზაბეთს და თვითონ კათოლიკეებში იყენებდა ვალუას დინასტიის საფრანგეთის მეფეებს ჰაბსბურგების წინააღმდეგ ბრძოლაში. თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ოტომანი სულთნები ჰაბსბურგებს თავიანთ უმთავრეს მტრად მიიჩნევდნენ (ვინაიდან ისინი იერუსალიმის მეფის ტიტულსაც ატარებდნენ) და დიდი ფულის სანცვლოდ მიაღწიეს ინგლისისა და საფრანგეთის ჰაბსბურგებთან კონფლიქტის გაღვივებას. მთლიანად, მე-16 საუკუნეში ქრისტიანებმა ძირითადად ერთმანეთთან და არა მუსლიმებთან ბრძოლაში გაატარეს.

მაგრამ თურქთს პირველად შეექმნა პრობლემა ზურგში, აღმოსავლეთის ფრონტზე. 1501 წელს სპარსეთის შაჰმა თავი ალის მემკვიდრედ გამოაცხადა. შიიტთა ძალადობრივმა პოლიტიკამ თვითონ თურქებიც კი გააოცა. ახლა უკვე ევროპელებს მიეცათ საშუალება, ჩარეულიყვნენ სუნიტებისა და შიიტების დაპირისპირებაში. მუგალების ინდოეთი ირანის კულტურული მოკავშირე იყო.ამას დაემეტა რუსეთის გათავისუფლება მუსლიმი თათრებისგან და მურების დამარცხება ესპანეთში 1492 წელს. ისლამის ჩამოყალიბებული სამი ცენტრიდან – ოტომანთა თურქეთი, სეფევიდთა ირანი და მამლუქთა ეგვიპტე, თურქეთი ყველაზე ძლიერი იყო, მაგრამ ინგლისის აგენტებმა Sir Anthony and Sir Robert Shirley მიაწოდეს უახლესი იარაღი სპარსეთს, გაწვრთნეს მისი ჯარი და თურქეთს დაუპირისპირეს. დაიწყო დაუსრულებელი და წარუმატებელი ომი ნაკლებად განვითარებულ ირანთან 1730-იან წლებში. შემდეგ რუსეთმა აიღო ყირიმი 1783 წელს. ეს იყო პირველი შემთხვევა ათასი წლის მანძილზე, როცა ქრისტიანულმა სახელმწიფომ მოახერხა მუსლიმური მიწის ოკუპირება.

1682 წელს თურქები ვენიდან და 1686 წელს ბუდაპეშტიდან გამოაძევეს. ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო სასწრაფო და ახლებური ზომების მიღება. უკვე აღარ იყო საკმარისი დასავლური იარაღის გამოყენება, ვინაიდან ამას არ მოჰქონდა სასურველი შედეგი. საჭირო იყო ჯარის წვრთნის ევროპული სისტემის, სტრუქტურის და ტაქტიკის შემოღება. მაგრამ კატასტროფები გრძელდებოდა. 1798 წელს ახალგაზრდა ფრანგმა გენერალმა (ნაპოლეონმა) მცირერიცხოვანი ჯარით დაამარცხა თურქებისათვის ძლიერი მეტოქე მამლუქები და დაიპყრო მეტად მნიშვნელოვანი ტერიტორია – ეგვიპტე. სულთნის კიდევ უფრო გასაოცრად, ნაპოლეონს ეგვიპტე დაატოვებინა არა თურქულმა არმიამ, რის გამოც სულთანმა უარი განაცხადა ამ ჯარისთვის ხელფასის გადახდაზე, არამედ ბრიტანულმა მცირერიცხოვანმა კორპუსმა ადმირალ ჰორაციო ნელსონის Horatio Nelson მეთაურობით. 1807 წელს ბრიტანული არმია ადმირალ დაკვორტსის Duckworth მეთაურობით სტამბოლსაც კი დაემუქრა და მისი გადარჩენა მხოლოდ ფრანგი ელჩების ჩარევის შედეგად მოხერხდა.

თავიდან თურქები ცეცხლსასროლ იარაღს წარმატებულად იყენებდნენ და ევროპაში ბრძოლებში იმარჯვებდნენ. ბაიაზიდ I-მა ქვემეხების გამოყენება დაიწყო 1397 წელს ბალკანეთში, თუმცა დუბროვნიკში მათი წარმოება უკვე

დაწყებული იყო 1378 წლიდან. მაგრამ იარაღის შემქმნელები ძირითადად იყვნენ იტალიელები, უნგრელები, გერმანელები და ფრანგები. მეჰმედ II-მ უნგრელი ქვემეხის შემქმნელი დაიქირავა. ორი ოსმალო ზარბაზნის შემქმნელი ეხმარებოდა ბაბურს, მუგალის სახელმწიფოს დამაარსებელს ინდოეთში, რათა მოეპოვებინათ საბრძოლო უპირატესობა მოწინააღმდეგეებზე.

1683 წელს ოსმალებმა მეორედ შემოარტყეს ალყა ვენას და ჰაბსბურგები დაუპირისპირდნენ ოსმალების იმპერიას (1684 წელს საღვთო გაერთიანება: ვენეცია, ავსტრია და პოლონეთი) და ავსტრიამ დაიპყრო უნგრეთი. 1696 საღვთო გაერთიანებას შეუერთდა რუსეთიც, ასე რომ, მას ნება დართეს ევროპული სახელმწიფოს სისტემაში შესვლისა მაშინ, როდესაც წელს ოსმალეთის იმპერია ამ სისტემის გარეთ დარჩა. ამის გამო საბერძნეთი, სერბეთი, მონტენეგრო და ბულგარეთი გამოეყო ოსმალეთს.

ვენის ბოლო ალყაში მოქცევა იყო თურქეთის უკანასკნელი შეცდომა, რამაც დაანგრია მათი იმპერია. ეს მოულოდნელად, 1670 წელს დაიწყო, როდესაც ავსტრო-უნგრელი პროტესტანტები ამბოხდნენ და იმრე ტოკოლიმ Imre Thokoly დასახმარებლად ოსმალებს მიმართა. ახლად დანიშნულმა დიდმა ვეზირმა კარა მუსტაფა ფაშამ Grand Vizier Kara Mustafa Pasha წინააღმდეგობა ვერ გაუწია ცდუნებას და უნგრეთში გაგზავნილი ჯარი უფრო მდიდარ ავსტრიაში გადაამისამართა. სულთანი პოლიტიკაში უფრო გამოცდილი იყო და ამ სტრატეგიულმა შეცდომამ იგი შოკში ჩააგდო. სასწრაფოდ გამოცხადდა ფეტვა Fetwa, რელიგიური აკრძალვა ამ ომის გაგრძელებაზე და კამპანია არალეგიტიმურად ცნეს. მაგრამ უკვე გვიან იყო. ქრისტიანთა ჯარებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა ჯონ სობიესკი ჟან (ჟოჰნ) შობიესკი, პოლონეთის მეფე, 1683 წელს დაამარცხეს ოსმალების არმია. ბრძოლა წაგებული იყო, როდესაც ყირიმელი თათრების ყაენმა, რომელიც აგრეთვე შეეწინააღმდეგა ვენის კამპანიას თავიდანვე, ოსმალთა ჯარის მარჯვენა ფლანგიდან თავისი რაზმი გამოიყვანა. 600 ტომარა სავსე ოქროთი, ყველა ქვემეხი, ასობით ტომარა ყავა, ათასობით მკვდარი და სხვა სახის ქონება იქნა დატოვებული. სულთანმა ფაშას სიკვდილი მიუსაჯა. სტამბოლიდან გაგზავნილმა ორმა ოფიცერმა აღასრულეს განაჩენი და დაახრჩეს უიღბლო ფაშა.

ოსმალთა არმიის რეპუტაცია შეირყა და მომდევნო 15 წლის განმავლობაში ავსტრიელებთან 12 ბრძოლაში დამარცხდნენ, იმისდა მიუხედავად, რომ სასტიკი 30 წლიანი (1618-1648) პროტესტანტ-კათოლიკეების ომი ახალი დამთავრებული იყო. 1699 წლის კარლოვიცას ხელშეკრულების Treaty of Carlovitza მიხედვით, თურქებმა დაკარგეს უნგრეთი. 1768 წლიდან იწყება ომების სერია დასუსტებულ თურქეთსა და რუსეთს შორის ისე, რომ ევროპა უზრუნველყოფდა, არც ერთ მხარეს არ მოეპოვებინა საბოლოო გამარჯვება.

1683 და 1699 წლების დამარცხების შემდგომ თურქეთის მმართველ წრეებში შეიცვალა მენტალიტეტი. მათ აღიარეს დასავლეთის გადაულახავი

უპირატესობა და გადაწყდა ევროპული განვითარების გზის მიბაძვა. სულთანმა აჰმედმა Sultan Ahmed დაიწყო პირველი ცდა გაევროპელებისა. პირველი ბეჭდვითი სახლი დაარსდა 1727 წელს სტამბოლში. მაგრამ ეს კატასტროფით დამთავრდა და 1730 წელს პატრონა ჰალილის Patrona Halil მეთაურობით ხალხის აჯანყებამ იფეთქა. სულთანი და მისი რეფორმატორი ბიუროკრატები ამოხოცეს.

ოცდაათწლიანი ომი 1618-48 წწ-ში დიდი იმპულსი იყო საბრძოლო ტაქტიკის განვითარებისა ევროპულ არმიებში. შვედეთის მეფეები, გუსტავ ადოლფ II და ჩარლზი (კარლი) XII, Gustav II Adolf and Charles XII, თურქების მიერ მიჩნეულ იყვნენ, როგორც სამხედრო გენიოსები, ისევე როგორც სავოის პრინცი ევგენი Prince Eugene of Savoy. ევროპულ არმიებში დაიწყო რეგულარული ჯარის სამსახური (პროფესიული და მოგვიანებით ჯარში გაწვევა). 1683 წლიდან, ევროპული ტექნიკური რევოლიციის შემდეგ, თურქები მუდმივად მარცხდებოდნენ. ოსმალებმა მე-17 საუკუნეში ევროპასთან საბოლოოდ წააგეს კონკურენცია ტექნოლოგიებში და ამის შემდეგ მხოლოდ მიბაძვა შეეძლოთ. 1878 წლიდან ოსმალები მიხვდნენ, რომ საკუთარი ძალებით ვერ განახორციელებდნენ მოდერნიზაციას და უნდა მოეწვიათ ევროპელი ექსპერტები.

ვაზნებისა და ღარეებიანი სასროლო იარაღის გამოგონებით ევროპის ჯარებმა უპირატესობა მოიპოვეს. მხოლოდ იანიჩარების არმიის წევრებს, რომელიც სულთანმა მურად I-მა Sultan Murad I (1362-1389 წწ.) შექმნა, სლავი და კავკასიელი ტყვეების ჯარში გაწვევით, შეეძლოოთ ტექნიკურად რთული თოფების გამოყენება, რომელთა ექსპორტს თურქეთი დაუბრკოლებლად ახორციელებდა ინგლისიდან მე-16 საუკუნეში. ეს პროტესტანტი ქვეყანა ყურადღებას არ აქცევდა რომის პაპის მიერ აკრძალვას, რომ ექსპორტზე არ გაეტანათ საბრძოლო აღჭურვილობა თურქეთში. ინგლისელი ოფიცრები მუდმივად მსახურობდნენ თურქეთის ჯარში მრჩევლებად, როგორც ფორპოსტი ინდოეთის დასაცავად.

თურქული არმიის ყველაზე ძლიერი ნაწილი იყო იანიჩარი პროფესიონალი მებრძოლები, რომელიც დაფუძნებული იყო „გულამ-გილმანის ჰულამ-ჰილმან“ სისტემაზე, როდესაც მოღალატე ქრისტიანი მონები წარდგენილ იყვნენ, რათა ემსახურათ თურქულ ჯარში. მხოლოდ ერთი ვაჟი მიჰყავდათ ქრისტიანული ოჯახიდან, ხოლო ოჯახი, რომელშიც დედისერთა ბიჭი იყო, იწყნარებდნენ. ასევე არ მიჰყავდათ ობლები, მელოტები, ყმაწვილები, დაქორწინებულები და ვინც მუშაობდა სახელოსნოში. ალბანელები, სერბები, ბულგარელები, ხორვატები, ბერძნები და ბოსნიელები უპირატესობით სარგებლობდნენ. თურქები, სპარსელები, რუსები, ქურთები, ებრაელები და ბოშები სხვადასხვა მიზეზის გამო არ მიჰყავდათ. იანიჩარები არ ვარჯიშობდნენ და არანაირ სიახლეს არ ღებულობდნენ. რამდენიმე სულთანი მოკლულ იქნა მათი განზრახვის გამო, რომ გაეუქმებინათ ეს კორპუსები და გაეწვრთნათ სხვა

ჯარისკაცები. ბოლოს სულთანმა მეჰმედ II-მ აიღო ფეტვა კლერიკალებისგან აჯანყებული იანიჩარების მოკვლის ლეგიტიმაციაზე და 1826 წელს ლოიალურმა ჯარისკაცებმა გადაინაცვლეს იანიჩარების ყაზარმის წინააღმდეგ და ალყაში მოაქციეს ისინი. სროლა 5 საათს გაგრძელდა და 10 ათასამდე იანიჩარი ძირს ეგდო, ყველა გადარჩენილი კი სიკვდილით დასაჯეს. სტამბოლში ძებნა გრძელდებოდა და სულ 20 ათასი მოკლეს. ყველა საფლავის ქვა აღებული იყო, დოკუმენტაცია კი დამწვარი.

თურქი სულთნებისთვის ამას მოულოდნელი შედეგები მოჰყვა. მათი თვითმპყრობელობის ძირითადი პრინციპები დამსხვრეული და ცენტრალური ადმინისტრაცია დაუცველი იყო სხვა ძლევამოსილი არისტოკრატებისგან. დაიწყო სამეფო ტახტის განადგურების მთელი სერიები. ასევე ვერაფერი შველოდათ ომებში, დამარცხებები გრძელდებოდა: 1832 წელს თურქეთი სასოწარკვეთილ სიტუაციაში აღმოჩნდა, რაც ეგვიპტის მეჰმედ ალის ეჰმედ ლი ეხებოდა, რომელთა არმიამ დაიპყრო ანატოლია, როცა განადგურების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა არა მარტო თურქეთი, არამედ კავკასიაც და მხოლოდ ინგლისის სწრაფმა მოქმედებებმა სირიაში, იხსნა კავკასიელი ქრისტიანები. ნაპოლეონის დაცემის შემდეგ რუსეთი სამხრეთისკენ გადავიდა და თურქები იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ რუსეთის განსაკუთრებული სტატუსი ბოსფორის სრუტესთან დაკავშირებით 1833 წელს. პოსტ-ნაპოლეონური საფრანგეთის პროეგვიპტური პოლიტიკა გზას უღობავდა დასავლეთს შეკრულიყო რუსეთის გაფართოების წინააღმდეგ. და ბოლოს ეს გაერთიანება მოხდა ყირმის ომამდე 1854-56 წ-ში და თურქეთი მიღებულ იქნა ევროპულ პოლიტიკაში. პორტამ მიიღო ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან და ავსტრიიდან ტერიტორიის მთლიანობის გარანტიები. სამაგიეროდ ბერლინის კონგრესის მიხედვით 1878 წელს ინგლისმა მიიღო კვიპროსი (1878 წ.) და ეგვიპტე (1882 წ.). კაიზერ ვილჰელმ II-ის აისერ ჭილჰელმ სტამბოლში ვიზიტის შემდეგ, 1899 წელს ოსმალების საგარეო პოლიტიკა შეიცვალა გერმანიის მიმართ.

ფაქტობრივად, დამარცხების მიზეზები დღემდე აქტუალურია და უფრო ფილოსოფიური ხასიათისაა. მონტესკიეს ონტესქუიეუ მიხედვით, ცივი კლიმატის ხალხი, ევროპელები, ყოჩაღი და თავისუფალია. აზიის პოლიტიკური სტრუქტურა დაფუძნებულია შიშზე, როცა ევროპაში ეფუძნება ადამიანების პირად პატივისცემას, გონებამახვილობასა და ღირსებას. კ. ვიფოგელი თავის წიგნში „ორიენტარული დესპოტიზმი“. ჭიფოგელ „რიენტალ ესპოტისმ“, გამოვლენილი იყო იგივე თეორია, რომ ისტორიაში დესპოტური რეჟიმი, ხელისუფლების განმსაზღვრელი ტიპების მიხედვით იყო გეოგრაფიული პირობები. ვიტფოგელის მიხედვით, ეგვიპტეში, მესოპოტამიასა და ჩინეთში აუცილებელი იყო შეექმნათ და შეენარჩუნებინა საირიგაციო სისტემები. ამ რეგიონებში, გარდაუვალი იყო მთელი მოსახლეობის დამორჩილება მთავარ ძალაზე, რასაც „ჰიდრავლიკურ იმპერიას“ „ჰყდრაულიც ემპირეს“ უწოდებდნენ. მაგრამ უფრო დეტალურ ახსნა-განმარტებას თავისუფლების უპირატესობასა და განვითარებულ დასავლურ საზოგადოებაზე მომდევნო თავებიდან შეიტყობთ.

მხოლოდ მე-18 საუკუნეში შეამჩნიეს ოსმალებმა, რომ ევროპელებმა მიაღწიეს სხვადასხვა სფეროში ისეთ უპირატესობას (ტექნოლოგიებში და სამხედრო ხელოვნებაში), რომ მასთან შეჯიბრებას აზრიც აღარ ჰქონდა. თურქეთის პოლიტიკური სტრუქტურა, ინდუსტრია, მიწათმოქმედება უკვე მოძველებული იყო. ევროპულმა პროდუქტმა მოიხვეჭა სახელი, როგორც მაღალი ხარისხის მქონე და იაფფასიანმა ნაწარმმა. 21-ე საუკუნის რუსეთის მსგავსად, ოსმალეთის იმპერია დასჯერდა პერიფერიული ეკონომიკური ძალის სტატუსს. საგარეო პოლიტიკაში თურქეთი მხოლოდ საფრანგეთისა და ინგლისის (მოგვიანებით გერმანიის) იმედზე რჩებოდა ჰაბსბურგებისა და რუსეთის წინააღმდეგ.

დიდი ხნის მანძილზე მუსლიმებისთვის (როგორც ჩინელებისა და რუსებისთვის) უპასუხოდ რჩებოდა შეკითხვა, რატომ მოხდა, რომ ახალი ტექნოლოგიები სწორედ დასავლურმა ხალხმა გამოიგონა. ევროპა უკვე აშკარად დაწინაურდა ტექნოლოგიებში და ეკონიმოკაში და ეს უფსკრული უფრო იზრდებოდა, რაც განაპირობებდა სამხედრო სიძლიერესაც. მათთვის წარმოუდგენელი იყო, რომ ეს ყველაფერი განპირობებული იყო ევროპაში ხელოვნების, ჰუმანიზმის, ადამიანის უფლებების და თავისუფლების რენესანსით. ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო ცხოვრების სტილის გაევროპულება. მსგავს სიტუაციაში დღესდღეობით რუსეთიცაა, რომელიც იმავე გზას გადის, რასაც თურქეთი და ჩინეთი.

ბერნარდ ლუისი Bernard Lewis სვამს კითხვას: რაში მდგომარეობს პრობლემა? ის წერს, რომ მუსლიმურ სამყაროში ისმის კითხვა: ვინ გაგვიკეთა ეს ჩვენ? დიდი ხნის მანძილზე ისლამური ცივილიზაციის დანგრევაში ბრალეულად მონღოლები მიაჩნდათ. ზოგიერთი ავტორი იმასაც ამტკიცებს, რომ ისინი სწორედ ამ მიზნით იყვნენ გაწვრთნილნი და ჩინეთიდან ჩამოყვანილი ტამპლიერების მიერ. არაბები თავიანთ პრობლემებს თურქებს აბრალებენ, ვინაიდან თურქეთი მათ საუკუნეების მანძილზე მართავდა. თურქები, თავის მხრივ, არაბებს სდებდნენ ბრალს. სპარსელების აზრით, მათი ძველი დიდების დაკარგვის ბრალი ეკუთვნით არაბებს, თურქებს და მონღოლებს ერთად[1]. მცდელობა იმისა, რომ ბრალი ამერიკისთვის დაედოთ, არც ისე დიდი ხნის წინ, კომუნისტების კარნახით დაიწყო, ისინი თვითონ მხოლოდ ბოლო ორი საუკუნე არსებობენ. იგივე ბრიტანულმა მმართველობამ ერთი მხრივ სიღარიბე მოიტანა ადენში და მეორე მხრივ კეთილდღეობა სინგაპურში. ვერც რაიმე ცუდი ითქმოდა ებრაელების წინააღმდეგ, ისინი მუსლიმური მმართველობის ქვეშ გაცილებით კარგად ცხოვრობდნენ, ვიდრე ქრისტიანებთან.

---

[1] ყველა ერი თავის პრობლემებში დამნაშავეს სხვაგან ეძებს. მაგალითად, რუსები ადანაშაულებენ ებრაელებს და კავკასიელებს, კავკასიელები რუსებს, აფხაზები და ოსები ქართველებს, აზერბაიჯანელები სომხებს და სომხები აზერბაიჯანელებს და ა.შ. მხოლოდ ევროპამ შესძლო ამ მანკიერი წრის გარღვევა.

კონკრეტული პასუხის ვერსიები მრავალფეროვანია: ძვირფასი ლითონების ამოწურვა, რომელიც დაემთხვა ევროპის მიერ ახალი მსოფლიოს (ამერიკის) აღმოჩენას; ბიძაშვილთა შორის ქორწინებებით გამოწვეული ახლონათესაური შეჯვარების გართულებები; გამრავლებული თხების მიერ ხეების ქერქის გატყავება და ბალახის ფესვებიანად მოგლეჯა, რაც ნაყოფიერ მიწას უდაბნოდ აქცევდა; აღმოსავლეთში ბორბლიანი სატრანსპორტო საშუალებების გამოუყენებლობა და ა. შ.

მაგრამ ნამდვილი მიზეზი მარტივია, რაც ისლამურ საზოგადოებაში დღემდე ვერ იცვლება: ქალების უთანასწორობა, სოციალური უძრაობა, უსამართლობა, დოგმატიზმი, თავისუფლების შეზღუდვა და ა.შ. ბევრი ეს მიზეზი საქართველოსთვისაც დღეს უდიდეს პრობლემას წარმოადგენს:

1. ქალთა ადგილი საზოგადოებაში: მუსლიმანები აღწერდნენ საოცარ სცენას: როდესაც ევროპელი იმპერატორი ქუჩაში შეხვდებოდა ქალს, თუკი ის ცხენით სეირნობდა, ცხენს გააჩერებდა და გზას დაუთმობდა ქალბატონს. თუ იმპერატორი ფეხით სეირნობისას შეხვდებოდა ქალს, ის ზრდილობიანად შეჩერდებოდა. ქალი მიესალმებოდა იმპერატორს, რომელიც ქუდს მოიხდიდა, რათა ქალის მიმართ პატივისცემა გამოეხატა. ქრისტიანებს ერთადერთი ცოლი სიცოცხლის ბოლომდე უყვარდათ. ევროპაში მუსლიმანები გაოცებულნი იყვნენ დასავლელი ქალების თავისუფლებით და ევროპელი მამაკაცების მხრიდან ნაკლები ეჭვიანობით. მუსლიმან კაცსა და არამუსლიმან ქალს შორის ქორწინება დაშვებული და არცთუ იშვიათი იყო, მაგრამ მუსლიმანი ქალისა და არამუსლიმანი კაცის ქორწინება აკრძალული იყო;

2. განათლების სისტემა და თავისუფალი ადამიანის აღზრდა;

3. ქმედითი ბიუროკრატიული მმართველობა, რომელშიც თანამდებობები და დაწინაურება არის დამსახურებისა და კვალიფიკაციის და არა მფარველობის და კეთილგანწყობის მიხედვით;

4. ტრადიციული მუსლიმანური თვალსაზრისით, მონობის გაუქმება ძნელად შესაძლებელი იყო. იმის აკრძალვა, რაც ღმერთმა დაუშვა, ისეთივე დიდი დანაშაულია, როგორც იმის დაშვება, რასაც ღმერთი კრძალავს. ბატონისგან გაჩენილი მონა ქალის შვილი დაბადებისთანავე თავისუფალი იყო. აბასიდების დინასტიის 37 ხალიფადან, სამის გარდა, ყველა დანარჩენის დედა მონა იყო.

5. ღმერთის და კეისრის მსახურის ცალკე არსებობა მხოლოდ ქრისტიანობაშია. იუდეველთათვის და მუსლიმებისთვის კეისარი იყო ღმერთი. დასავლელი ქრისტიანები განასხვავებენ ღმერთსა და კეისარს. ღვთაებრივი საწყისით პოლიტიკური ხელისუფლება დესპოტიით, სრულ მორჩილებითა და დემოკრატიისა და თავისუფლების ჩახშობით მთავრდება[1]. რელიგიური

[1] სამწუხაროდ, საქართველოში დიდი გავლენა დატოვა ბიზანტიური ქრისტიანობის დოგმებმა, როდესაც კეისარი იყო რელიგიური და საერო-პოლიტიკური ლიდერი. თუმცა საქართველოში მეფეები არ იყვნენ ეკლესიური წოდებით, ბიზანტიურმა 1000-წლიანმა კულტურულმა მემკვიდრეობამ დამანგრევლად იმოქმედა ქართვე-

მიზნით ქრისტიანებმა განავითარეს განსაკუთრებული ინსტიტუტი – ეკლესია. იუდეველისთვის ან მუსლიმანისთვის სინაგოგა ან მეჩეთი უბრალოდ ნაგებობაა, ღვთისმსახურების ადგილი, სხვა არაფერი. ისლამი არ აღიარებს მღვდლის შუამავლობას ღმერთსა და მორწმუნეს შორის და თეოლოგიური თვალსაზრისით, არ არსებობს სამღვდელოება. კლასიკურ ისლამში არ არსებობენ ეპისკოპოსები, კარდინალები, პაპები. ირანული აიათოლა Ayatollah უცნობია კლასიკური ისლამისთვის, ამგვარად, ირანულ შიიზმს ისლამის გაქრისტიანებაში სდებენ ბრალს.

6. ქრისტიანები იმსახურებდნენ სიბრალულს, რადგან მუსლიმანებისგან განსხვავებით, არ ჰქონდათ ღვთისგან გამოცხადებული კანონები (ათი მცნების გარდა) და ამიტომ საწყლად, იძულებული არიან, დააწესონ საკუთარი კანონები.

7. ისლამში არის ის უპირატესობა, რომ არ არსებობს მწვალებლობა (ერესი) და დისიდენტობა და შესაბამისად, ინკვიზიციის მსგავსი არაფერი არსებულა. შიიტებად და სუნიტებად დაყოფა მხოლოდ ისტორიული კონფლიქტის საფუძველზე აღმოცენდა და არა რაიმე იდეოლოგიური საფუძვლით. ისლამი არასოდეს აღიარებდა ინდივიდუუმის მნიშვნელობას, რომ მან შესძლოს ღვთის წერილებს კონკურენცია გაუწიოს. ვერც ისლამმა და ვერც ორთოდოქსობამ შობა მარტინ ლუთერის დონის მოაზროვნე, რომელიც შესძლებდა ეკლესიის კარზე მიეჭედა კითხვები ეკლესიის წინააღმდეგ.

8. არსებობს ისლამის საყოველთაო, მაგრამ არა ეროვნული ისტორია – არც არაბეთის, არც არაბების, არც თურქეთის, არც თურქების, მაგრამ შეიძლება არსებობდეს დინასტიური ისტორია, ასევე ქალაქისა თუ რეგიონალური ისტორიები. ისლამში არ არსებობს საზღვრები და დემარკაცია. ისლამი უდაბნოს განიხილავს, როგორც საერთაშორისო სტატუსის ნეიტრალირ ზონას (როგორც ოკეანე ქრისტიანულ სამყაროში). ამიტომ ეგვიპტეში ექსკურსიაზე უდაბნოში გასვლისას და შემოსვლისას საჭიროა პასპორტის წარდგენა, ხოლო ბერბერები უკონტროლოდ მომთაბარეობენ მეზობელი ქვეყნების უდაბნოებში. ისლამური კანონები არეგულირებს ურთიერთობას ადამიანებს და არა სახელმწიფოებს შორის. ისლამი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერი ეთნიკური ისლამური მოძრაობის შექმნას ან ღვთისმსახურებისას არაბულის რომელიმე ადგილობრივი ენით ჩანაცვლებას.

9. ისლამი (როგორც მართლმადიდებლობა) სიმდიდრესა და ამქვეყნიურ წარმატებას ღირებულად არ მიიჩნევს და ქადაგებს, რომ ღარიბ ხალხს სამოთხეში შესვლის უფრო მეტი შანსი აქვს. მევახშეობა აკრძალულია ისლამურ ბანკებში. ალკოჰოლი აკრძალულია, მაგრამ ამაზე კონტროლი

ლებისა და რუსების პოლიტიკურ კულტურაზე, რომელიც ხასიათდება მონური მორჩილებით, მლიქვნელობით, ორპირობით, დესპოტიზმით, ინტრიგებით, ღალატით და ა. შ.

საჭიროებს პირადი ცხოვრებისა და თავისუფლების კონტროლს. ისლამი კრძალავს სხვის ეზოში ჭვრეტას, ამიტომ აზიაში ჩვენ გვხვდება მაღალი ღობეები, ყრუ კედლები, უფანჯრო ოთახები და ა. შ.

10. ისლამურ ქვეყნებში არ არსებობდა საზოგადოებრივი საათები (ქუჩის საათები), ნაბეჭდი წიგნები, საკითხავი სათვალეები და ტელესკოპი; არ არსებობდა დროისა და მანძილის საზომი სისტემა. მუსლიმანებისთვის, ისევე როგორც ებრაელებისთვის, დღე მზის ჩასვლისას იწყება: „და საღამო და დილა იყო პირველი დღე“ (გენეზისი 1:5). ებრაულ ბიბლიაშიც კი სიტყვა დრო (საათი) მხოლოდ ხუთჯერ არის მოხსენიებული, მხოლოდ ბაბილონის ტყვეობის შემდეგ, სადაც ებრაელები გაეცნენ ამ ახალ გამოგონებას. მიუხედავად იმისა, რომ მექანიკური საათი ევროპაში XIV საუკუნიდანაა ცნობილი, პირველი საზოგადოებრივი საათი ისპაჰანის ბაზარში დამონტაჟებულ იქნა ინგლისელების მიერ 1620 წელს შაჰ აბასის ბრძანებით და მხოლოდ 1850-იან წლებში სტამბოლსა და ქაიროში[1].

დასავლური მუსიკა, პოლიტიკა, ისტორია, ფილოფოსია, თეატრი, ნოველები, კოლექტიური თამაშები, სამეცნიერო კვლევები, პოლიფონია უგულებელყოფილია მუსლიმანურ ტრადიციაში. შესაბამისად, რკინიგზა, ცხრილი-განრიგი, კალენდარი, პროგრამა, შეხვედრების დანიშნვნა და მასზე მისვლა შეუძლებელი იყო. მაგრამ სამხედრო მუსიკა და მარში გამონაკლისი იყო. ისლამური სახელმწიფოს დიპლომატებს დასავლური კოსტიუმები აცვიათ, თუმცა არ ატარებენ ჰალსტუხს, რათა სიმბოლურად გამოეხატათ უარყოფა გაურკვეველი ჯვრის ფორმის საგნის მიმართ.

სამაგიდო თამაშებს, განსაკუთრებით ნარდსა და ჭადრაკს, მსოფლიოს ამ კუთხეში დიდი ხნის ისტორია აქვს. ბანქო, ნადირობა, ორთაბრძოლა ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობდა მხოლოდ ერთი ჯგუფური სპორტი: ცხენბურთი და ისიც ძალიან იშვიათი და არისტოკრატული იყო. ფეხბურთი, კალათბურთი, საპარლამენტო პოლიტიკა ძირითადად ინგლისური საწყისის იყო და ისლამის მიერ უარყოფილია. მამაკაცებისა და ქალბატონების ერთად სადილობა და წვეულებაზე ყოფნა (ცეკვა) ევროპული შთაბეჭდილებებიდან ყველაზე შოკისმომგვრელი იყო მუსლიმანებისთვის. ისლამურ ქვეყნებში სიფილისი ამერიკიდან და ევროპიდან გავრცელდა და მას უწოდებდნენ ფრანგულ დაავადებას. ფოტოგრაფია ზოგჯერ დაშვებულია, მიუხედავად მუსლიმანური აკრძალვისა ადამიანისთვის ფოტოების გადაღებაზე. ისლამში ღმერთი არ შეიძლება იყოს გამოსახული და ჰქონდეს ადამიანური ფორმები – მოხუცი თეთრი კაცი, თეთრი წვერითა და თეთრი სამოსით. ქრისტიანული ხელოვნება მუსლიმანებისთვის შოკისმომგვრელია. ბერძნებსა

[1] 1882 წლის საერთაშორისო კონფერენციის შემდეგ, რომელიც ვაშინგტონში ჩატარდა, პირველად ისტორიაში მსოფლიოს ყველა საათი და მაჯის საათი გასწორდა ერთი, სტანდარტული დროის მიხედვით 1883 წლის 17 ნოემბერს.

და სომხებს ნება დართეს გამომცემლობა ეწარმოებინათ საკუთარ ენაზე, მაგრამ მკაცრად იკრძალებოდა მათ მიერ არაბულად ბეჭდვა, რომელზეც დაწერილი იყო ღვთაებრივი ყურანი. იუდაიზმსა და ისლამს ბევრი აქვს საერთო: სემიტური წარმოშობა, წინდაცვეთა, ღორის ხორცის აკრძალვა, რიტუალური განწმენდა და ა. შ. მუსლიმებს ეკრძალებოდათ ადამიანის ან ცხოველის გამოსახულება, ასე რომ, ისინი სახლის დეკორაციისთვის ორნამენტებს იყენებდნენ. ხოლო სალოცავი დღე განსხვავებულია – შაბათი ებრაელებისთვის, კვირა ქრისტიანებისთვის და პარასკევი მუსლიმანებისთვის.

ეთნოგენეზი და ნაციონალური საკითხი

გასაოცარია, როგორ შეეძლო ერთ ადამიანს, რომელიც საკუთარ კაბინეტში ზის, მოეფიქრებინა რაიმე იდეა, რომელიც შემდგომში ომს გამოიწვევდა და ამაში უამრავ ქვეყანას, მილიონობით ჯარისკაცს ჩაითრევდა და მილიონობით ადამიანს დაღუპავდა. ხშირად ეს შეიძლება ეთნოპოლიტიკით იყოს ახსნილი და განპირობებული და არა სუფთა ეკონომიკური მიზეზებით. როდესაც რუსი ჯარისკაცები იხოცებიან შეტევის დროს, ეს ეთნოგენეზური თვისებებით არის განპირობებული. ხოლო მოხერხებული მმართველი ამას ეთნოპოლიტიკის მიზნებისთვის იყენებს ან კეთილსინდისიერად, ან ბოროტად.

ნებისმიერი იმპერიის პოლიტიკაში ნაციონალური ბალანსის საკითხი ეგზისტენციალური მნიშვნელობისაა. რუსეთში 1918-21 წლებში, სამოქალაქო ომის დასაწყისში, წითელი არმია დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. პარადოქსია, მაგრამ ომის ბედი თეთრების საწინააღმდეგოდ მკვეთრად მაშინ შეიცვალა, როცა თეთრგვარდიელებს მატერიალური და გადამწყვეტი სტრატეგიული უპირატესობა გაუჩნდათ. მათ მხარი აშკარად დაუჭირეს დასავლეთის შეირაღებულმა ძალებმა, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინ კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ომი გამარჯვებით დაასრულეს. დენიკინის, ვრანგლერისა და კოლჩაკის უზარმაზარი ჯარები განადგურდნენ წითელი არმიის შეტევებით. ერთადერთი მიზეზი არის მოახლოებული გამარჯვების იმედით თეთრგვარდიელთა იმპერიალისტური განცხადებები „რუსეთის იმპერიის მიწების თავმოყრის“ შესახებ. როცა ბრიტანეთის დესპანები პოლონეთისა და საქართველოს მთავრობებისაგან ითხოვდნენ გენერალ დენიკინთან ეთანამშრომლათ, მათ ცივი და მტკიცე უარი მიიღეს.

არადა, ეს ენერგია უზარმაზარი ძალისაა. ბალტიისპირეთი და კავკასია საბჭოთა კავშირის ხელში აღმოჩნდა, ვინაიდან ამ ქვეყნებს არ სურდათ შეწინააღმდეგებოდნენ აგრესიას. ფინელები არ დანებდნენ და სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნეს. 1939 წელს ფინეთმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია წითელ ჯარს დასავლეთის დემოკრატიული კოალიციის მხარდაჭერით და ფინეთი გადარჩა. უფრო მეტიც, წელიწად-ნახევრის შემდეგ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა კვლავ აეღო იარაღი და კვლავ გაუწია

წინააღმდეგობა რუსეთს, რომელიც ამ დროს დასავლეთის დემოკრატიების მოკავშირე იყო. ფინეთი ოფიციალურად ორივე კოალიციის წინააღმდეგ იბრძოდა და ორივე ომში, ფორმალურად მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ, გამარჯვებული გამოვიდა.

დასავლეთი თავის დროზე შეცდომას უშვებდა. ნაპოლეონისა და ჰიტ-ლერის შეცდომა იყო რუსეთის დედაქალაქის წინააღმდეგ იერიშის მიტანა. დასავლეთი კარგად არ იცნობდა დამონებული, დაჩაგრული ერების ფენომენს. არც ერთ ევროპულ ნაციას მეზობელი ნაცია დამონებული არ ჰყავდა (სულ სხვა შინაარსის გამონაკლისებით: ბასკები, ირლანდიელები და ა. შ.). ამჟამინდელი შეტევა ეთნოგენეტიკურად სწორად მიმდინარეობს, ეროვნული უმცირესობების პერიფერიებიდან მომდინარეობს და გამოიყენება დაპყრობილი ერების: ცენტრალურ ევროპელების, შემდეგ ბალტიისპირელების, კავკასიელების და უკრაინელების საბრძოლო ენერგია.

რუსეთმა კარგად იცის ეს თავისი სუსტი წერტილი და მას მუდმივად ებრძვის. ის ყველა ღონეს ხმარობს, რათა დაასუსტოს და მოსპოს ეროვნული მოძრაობა თავის ქვეყანაში და მეზობელ ქვეყნებში, იყენებს პირდაპირ აგრესიას თუ ფარულ ოპერაციებს. ეკატერინე მეორე 1764 წელს წერდა: „არ დაუშვათ პოლონეთში არანაირი რეფორმის ჩატარება, რომელსაც ამ ქვეყნის ძალების გამოცოცხლება შეუძლია“.

ივანე ნანუაშვილი, ქართველი ემიგრანტი პოლონეთში და აშშ-ში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წიგნში „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ წერდა: „მეზობლებთან სამოქალაქო ომის მიმ-დინარეობისას (უმეტესად რუსეთის პროვოცირებით) რუსეთი ერთ კონკრეტულ მხარეს კი არ უჭერდა მხარს, არამედ მონაცვლეობით. ეს ლოგიკურია, ვინიდან მისი მიზანია მეზობელ ქვეყანაში ომის გაჩაღება. როგორც წესი, რუსული ჯარის შესვლა დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთმა უნდა ითხოვოს. რუსული დიპლომატია დახელოვნებულია ამ საქმეში“.

რუსეთი 240 წლის განმავლობაში მონღოლეთის უღელქვეშ ცხოვრობდა. სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო მანქანის და პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც დღემდე არსებობს. ამ პოლიტიკის თვისებებია – არასოდეს პირდაპირ არ იწყებენ სამხედრო ძალის გამოყენებას, შესაბამისად, ფორმალურად არასოდეს უცხადებენ ომს მოწინააღმდეგეს. ყოველთვის იყენებენ „რბილ“, „ჰიბრიდულ“ ძალას მეტოქის დასასუსტებლად, ეძებენ მოკავშირეებს, უცხადებენ ბლოკადას და იზოლაციას, ერევიან შიდა საქმეებში, ქმნიან და აღვივებენ ნებისმიერ შიდა კონფლიქტს, აიარაღებენ კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარეს და ჯარი მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნით შედის ამ ტერიტორიაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნათელი გახდა, რომ თანამედროვე ტიპის ეკონომიკისათვის კოლონიები ანაქრონიზმს წარმოადგენდა და ყველა მეტროპოლიამ გაანთავისუფლა თავისი კოლონიები. შესაბამისად, გერმანიის

მისწრაფება აღმოსავლეთისკენ ისტორიას ჩაბარდა. მაგრამ ეს მე-19 საუკუნის პოლიტიკა კვლავ ძალაშია რუსეთში.

ისევე, როგორც მონღოლები იყვნენ შემწყნარებლები დაპყრობილი ქვეყნების რელიგიის მიმართ, ყველაფერი მთავრდებოდა დაპყრობილი ქვეყნების ელიტის (მოაზროვნე ნაწილი და არისტოკრატია) გადასახლებით და მათი ასიმილაციით. 20-30 წლებში ხდება დაპყრობილთა ეთნოგენეზური განადგურება. სავალალო შედეგები ვიცით ისტორიიდან. 1812 წელს ბოროდინოს ბრძოლაში (საქართველოში ამ დროს რუსების უსამართლოებების წინააღმდეგ აჯანყებების სერია მიმდინარეობდა) რუსეთის მხარეს 12 ქართველი წარმოშობის გენერალი იბრძოდა.

1402 წელს ანკარაში გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში, სადაც თურქები თემურ ლენგთან ბრძოლაში დამარცხდნენ და სულთანი ბაიაზიდი ტყვედ ჩავარდა, მათი ერთადერთი იმედი სერბების კავალერია იყო. ხოლო ანკარის ბრძოლამდე ცამეტი წლით ადრე, 1389 წელს, იმავე სულთანმა ბაიაზიდმა კოსოვოს ბრძოლაში სერბების ჯარი გაანადგურა და მთელი ქვეყანა ააოხრა. ანკარასთან კავალერიის ბრძოლაში უთუოდ იქნებოდა კოსოვოს ბრძოლის ბევრი ვეტერანი, რომლებმაც თავი დააღწიეს სიკვდილს. პარადოქსია, რომ ცამეტი წლის შემდეგ ისევ სერბებს მოუწიათ თურქების იმედად ყოფნა (თუნდაც ამ შემთხვევაში უშედეგოდ).

სიტუაცია ტიპურია ყველა იმპერიისათვის. 1683 წელს ვენის მისადგომებთან ევროპის დასაპყრობად წაყვანილ თურქულ ჯარში თავად თურქები უმცირესობას წარმოადგენდნენ. იგივე მდგომარეობა იყო რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ევროპული კამპანიების დროს.

ეროვნულმა საკითხმა სერიოზული გავლენა იქონია სამხედრო რეფორმებზე. XIX საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია მკვეთრად შეიცვალა. ადრე ჯარისკაცის განათლებასა და მის პატრიოტულ თუ იდეოლოგიურ მომზადებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. უბრალოდ, უმეტესობა უცხოელი დაქირავებული იყო. პირველად საყოველთაო სამხედრო სამსახური პრუსიამ შემოიღო ტილზიტის შეთანხმების შემდეგ 1807 წელს. ამ სამხედრო რეფორმის შედეგად პატარა პრუსია გახდა ძლიერი სამხედრო ძალა, რამაც დაამარცხა საფრანგეთი (1870-71 წწ.) და შექმნა გერმანიის იმპერია (1871 წ.). მოლტკემ თქვა: „გამარჯვება სოფლის მასწავლებლის დამსახურებით მოვიდა“. ეს ნიშნავდა, რომ ბრძოლის ველზე უპირატესი გახდა პატრიოტული განათლება და აღზრდა.

სულ უფრო გამანადგურებელი იარაღის გამოგონებამ აიძულათ, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცებს აღარ ეცვათ ფერადი უნიფორმები და ფრონტის ხაზზე მეომრები გაფანტულად ლაგდებოდნენ. შესაბამისად, ცალკეული ჯარისკაცები დაბალი ჩინის ოფიცრების თვალთახედვის (კონტროლის) მიღმა აღმოჩნდნენ. ამგვარად, ბრძოლაში დასავლური ჯარი ინდივიდუალურად ჯარისკაცის აზროვნებაზე აკეთებს აქცენტს, ხოლო აღმოსავლური ჯარი არაეფექტიან სასტიკ დისციპლინასა და რიცხოვნობაზე.

რუსეთისათვის საყოველთაო-სამხედრო სამსახური მიუღებელი აღმოჩნდა. მიზეზი იყო მოსახლეობის საერთო წერა-კითხვის უცოდინრობა და ის, რომ საყოველთაო გაწვევა ნიშნავდა ჯარის გარკვეულწილად დემოკრატიზაციას ქვეყანაში, სადაც ბატონყმობა მხოლოდ 1861 წელს გაუქმდა. მაგრამ მთავარი იყო ის, რომ რუსეთს არ სურდა დამორჩილებული ხალხის შვილების ჯარში გაწვევა, სხვაგვარად ისინი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. გერმანელებს დამორჩილებული ერები არ ჰყავდა და მის ჯარში მხოლოდ გერმანელები იყვნენ. შესაბამისად, რუსეთში საყოველთაო-სამხედრო გაწვევა მხოლოდ 1871 წელს შემოვიდა. ამ შემადგენლობით მეფის რუსეთის ჯარმა მხოლოდ ბოლო ორი ომის ჩატარება მოასწრო სავალალო შედეგებით. ძალიან მძიმე რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა 1877-78 წწ., ხოლო რუსეთ-იაპონიის ომში 1904-5 წლებში ფრონტზე გასულმა რუსულმა არმიამ სრული დემორალიზაცია განიცადა და საკუთარ ოფიცრობას გაექცა. შემდეგაც, საბჭოთა პერიოდის მსოფლიო ომებში რუსეთის არმიას ჰყავდა სამხედრო ტყვეების უდიდესი რაოდენობა. გარდა ამისა, რუსული წარმოშობის ტყვეების უდიდესი ნაწილი სამშობლოს წინააღმდეგ დაპირისპირებაზე უარს არ ამბობდა. ამიტომ დღესაც რუსეთის რეგულარული სამხედრო ნაწილები ბრძოლისუუნაროებია. და აქ მოინახა შემდეგი პოლიტკორექტული გამოსავალი. შეიქმნა სპეცნაზი (კომუნისტების დროს ე.წ. დესანტნიკები), სადაც შერჩევას ოფიციალურად ვითომ ჯანმრთელობის მიხედვით აკეთებდნენ, ხოლო სინამდვილეში მხოლოდ სლავებს იღებდნენ. მათ იყენებენ შეტევისას, ხოლო დანარჩენი არმია გათვლილია მხოლოდ სანგრებში დაკავებული პოზიციების დასაცავად.

ნაციონალური საკითხი ბოლშევიკებისათვის ურთულესი იყო. ლენინი იძულებული გახდა შემდეგი მარტივი გამოსავალი მოენახა. ნოე ჟორდანია გვიამბობს, – „ჯენტლმენური შეთანხმების“ შესახებ, რომელიც შედგა 1907 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ კონფერენციაზე ლონდონში. იმ დროს მენშევიკები და ბოლშევიკები ფორმალურად ერთ პარტიაში იყვნენ. ბოლშევიკები უმრავლესობაში იყვნენ, მაგრამ კენჭისყრის დროს რეზოლუციები ვერ გაჰქონდათ, რადგან მენშევიკები ქართველ მენშევიკებთან ერთად საპირწონე ძალა იყო. ერთხელ, სხდომებს შორის შესვენებაზე, ქუჩაში სეირნობისას, ჟორდანიას მიმართა ბოლშევიკების წარმომადგენელმა ლენინმა და შესთავაზა, სიტყვასიტყვით: „ქართველებო, არ ჩაერიოთ რუსების საქმეებში. რატომ გვიშლით ხელს რუსებს, ჩვენი საქმეები ჩვენებურად მოვაგვაროთ? აიღეთ თქვენი ავტონომია და რაც გინდათ, ის გააკეთეთ, ჩვენ ხელს არ შეგიშლით, მაგრამ არც თქვენ უნდა შეგვიშალოთ ხელიო“.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ დადგა დრო დაპირებების შესრულებისა და ეროვნული საკითხის კომისარიატი სტალინს ჩააბარეს. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ გამოიცა უამრავი თვალისმომჭრელი დეკრეტი, რომელიც შეცდომაში შეიყვანდა ნებისმიერ ადამიანს: მშვიდობის, მიწის, ქალთა თანასწორობის, არმიის დემობალიზაციის შესახებ. მნიშვნელოვანი იყო 1917 წლის 3 ნოემბერს მიღებული რუსეთის ერთა უფლებების დეკლარაცია,

რომლის ძალითაც, ყველა დამონებულ ხალხს თვითგამორკვევის უფლება მიენიჭა, რუსეთიდან ნებაყოფლობით გასვლის ჩათვლით. 1917 წლის 5 დეკემბერს აღიარეს ფინეთის დამოუკიდებლობა; 1918 წელს – უკრაინის და კავკასიის დამოუკიდებლობა, 1918 წლის 29 აგვისტოს გაუქმდა პოლონეთის გაყოფა, 1918 წელს 3 დეკემბერს აღიარეს ესტონეთის, 27 დეკემბერს ლატვიისა და ლიტვისა, 1919 წლის 5 თებერვალს ბელორუსიის დამოუკიდებლობა.

შემდგომში ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა – მშვიდობა გადაიზარდა სამოქალაქო ომში, ქარხნები მუშებს არ მისცეს, მიწები გადაეცა კოლმეურნეობებს, ჯარი გაძლიერდა. ახალი კონსტიტუცია ადასტურებდა ჩაგრული ხალხის გამოყოფის უფლებას, თუმცა იგივე კონსტიტუცია ამბობდა, რომ ყველა მოქალაქე მთელი კავშირის მოქალაქეა და არა რომელიმე კონკრეტული ფედერალური რესპუბლიკისა და რომ სამშობლოს დაცვა სსრკ-ის ყოველი მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობაა და მისი ერთიანობის საზიანოდ მიმართული საქმიანობა განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულია. ამგვარად, პრაქტიკაში „თვითგამორკვევის“ განხორციელება შეუძლებელი იყო.

ეთნოპოლიტიკურად სწორედ რუსეთში პოლიტიკური პოლიციის ხელმძღვანელად უმეტესად უცხოელი ინიშნებოდა: თათარი მ. სკურატოვი, მეფის ჟანდარმერიის უფროსები გერმანელები იყვნენ, შემდეგ პოლონელი ფ. ძერჟინსკი, ქართველი ლ. ბერია და ა. შ. რუსეთის საქმე ცუდად მიდიოდა, როდესაც ამ თანამდებობაზე ეთნიკურად რუსი ინიშნებოდა (ანდროპოვი, პუტინი და ა.შ.).

რუსეთში ნებისმიერ დიასახლისს და პენსიონერს (რაც უფრო სახიფათოა, ჟურნალისტს, მწერალს, მეცნიერს და ა. შ.) გააჩნია სახელმწიფოებრივი გაფართოების კოლექტიური ინსტინქტი, რომელიც მემკვიდრეობით მონღოლებისგან მიიღეს. ამის გარეშე, მათი შეგნებით, ვერც ერი და ვერც კონკრეტულად მათი ოჯახი ვერ გადარჩება. ეს ეთნოგენეზურად ადვილად აიხსნება. ეს ახალგაზრდა ერია, რომელიც სტეპების და ციმბირის მომთაბარეებისგან წარმოიშვა. მათი ინსტინქტი კარნახობს, რომ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა შეიძლება ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლით. ისინი არ აწესრიგებენ რუდუნებით თავიანთ საცხოვრებელ ადგილს. მის არსებობას უსასრულო სივრცის შეგრძნება სჭირდება. ის სულ მზადაა წავიდეს სადმე, თუნდაც საომრად. ნებისმიერი რუსი ჯარისკაცი არ იბრძვის თავისი სოფლისთვის, სადაც გაიზარდა, იქ არც არასოდეს ომის მერე არ ბრუნდება. ის იბრძვის ტომისთვის და იდეისთვის, არა მისი კონკრეტული სამშობლოსთვის. ამიტომ მათ მენტალიტეტში დიდი ადგილი უკავია ბელადს და არა მისი სოფლის პრობლემები. ამიტომ კოლექტიური უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი საკუთარი[1].

[1] ამიტომაც მე-20 საუკუნის სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსები თვლიდნენ, რომ პროლეტარიატის ნაკლები განვითარების პირობებშიც, რუსეთის კოლექტივიზმის ინსტინქტი განაპირობებს კომუნიზმის აშენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ პრლეტარიატი ხელისუფლებას ხელში ჩაიგდებს და დიქტატურას დაამყარებს.

სხვა ქვეყნები სხვა ეთნოპოლიტიკით ხასიათდება. იაპონია შეზღუდულია ტერიტორიულად და იაპონელმა იცის, რომ წასასვლელი და გასაქცევი არსად აქვს, ამიტომ თავის არსებულ საცხოვრებელ გარემოს უმაღლეს დონეზე აწესრიგებს. ჩინელები თვლიან, რომ მათი გადარჩენა განპირობებული უნდა იყოს გამრავლებით და განსახლებით. გერმანელები გეგმავენ სამომავლოდ თავის ქვეყნისთვის კეთილდღეობას მეთოდური, უწყვეტი, ხარისხიანი მუშაობით. ბრიტანელები (ანგლო-საქსები) ყოველთვის და სრულიად სამართლიანად განათლებისა და ინტელექტუალური უპირატესობის იმედზე იყვნენ და არიან. ფრანგები ყველა დარგში წარჩინებულები არიან. ასევე ესპანელები და იტალიელები. ებრაელები ხედავენ გადარჩენას იზოლაციონიზმში, რათა შეინარჩუნონ გამორჩეულობა. ისეთი ერები კი, როგორიც მაგალითად საქართველოა, გადარჩენის უმთავრესს პირობად ტრადიციების შენარჩუნებას მიიჩნევს.

სხვადასხვა ერს სხვადასხვა განსაკუთრებული უნარები გააჩნია, მაგალითად, რუსეთის მიდრეკილება ტერიტორიების დაპყრობის; ამერიკაში თავისუფლების მოყვარეობა და მუდმივი კონკურენცია; გერმანიას თავისი ორგანიზებული მაღალკვალიფიციური მოსახლეობა და წარმოების დისციპლინა; ჩინეთის მოსახლეობის შრომის და გამრავლების უნარი; იაპონია არ ქმნის ახალ პროდუქტებს, რადგან ეს აკრძალულია სინტოიზმით, რათა ბუნებრივი ბალანსი სამყაროში დაცული იყოს, მაგრამ ყველაფერს უმაღლეს დონეზე აუმჯობესებს, მან შექმნა უმაღლესი კულტურა და ტექნოლოგიები ბუნებრივი რესურსების სრული არქონის პირობებში. აღსანიშავია უნიკალური ეროვნული ფენომენები: იტალიური ოპერა, ფრანგული რომანი, ინგლისური სიმღერები, ებრაული ბიზნესმენობა, გერმანული ფილოსოფია და გერმანული კინოს არარსებობა. არ არსებობს ალტერნატიული როკის შავკანიანი ან აზიელი შემსრულებელი ან მუსიკოსი და ა. შ.

წარსულიდან უნდა ვიცოდეთ, რომ რესურსების დიდი რაოდენობით არსებობა არ იწვევს განვითარებას, მაგალითად, ესპანეთის მიერ ამერიკის აღმოჩენა და ნავთობით მდიდარი რუსეთი.

კავკასიელები ყოველთვის ლიდერები არიან ნებისმიერ კოლექტივში, განსაკუთრებით სამხედროებში, ამიტომაა ამდენი ქართველი, სომეხი, ოსი, ჩერქეზი, დაღესტანელი გენერლები და ოფიცრები რუსეთის, საბჭოთა და სხვა ქვეყნების არმიებში[1]. ქართველები არასოდეს იყვნენ დაკავებული ვაჭრობით,

[1] სტალინი, შალიკაშვილი, ბაგრატიონი, კაიროსა და ბაღდადის მამლუქები. აბუომარალ-შიშანი (თარხან ბათირაშვილი) ჯიჰადისტი პანკისიდან, რომელიც ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ლიდერია. ბათირაშვილს ჰყავს ქრისტიანი მამა და მუსლიმი დედა. იგი მსახურობდა ქართულ ჯარში დაზვერვაში და მონაწილეობა აქვს მიღებული ჩეჩნეთის ომებში და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში რუსეთის წინააღმდეგ. არაფორმალურ გარემოში დაწერილი კანონების გარეშე ისტორიულად კავკასიელები აუცილებლად აღწევენ ლიდერის პოზიციებს. დღესაც მაგ. რუსეთის „კანონიერი ქურდებისა“ და „ავტორიტეტების“ 80 პროცენტამდე კავკასიელები წარმოადგენენ.

მეზობელი იმპერიების დედაქალაქებში ისინი მიდიოდნენ სამხედრო ან პოლიტიკური ხელისუფლებისთვის. მიზეზი მარტივი იყო, სამხედრო სამსახური და პოლიტიკა გაცილებით შემოსავლიანი იყო. მაგრამ ერთი ძირითადი პრობლემით ხასიათდებოდა: ომით და ინტრიგებით მოხვეჭილი სიმდიდრე არ იყო კანონით დაცული, განსხვავებით ვაჭრობით და ბიზნესით მოპოვებული კერძო საკუთრებისა. შესაბამისად, პოლიტიკის ნებისმიერი ცვლილების დროს ამ გზით მოპოვებული სიმდიდრე იკარგებოდა.

უახლოეს წარსულში ეროვნულ თვისებებს სერიოზულ არგუმენტად გამოიყენებდნენ. როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთმა მოითხოვა რეინლენდის დაბრუნება Rhineland, ერთ-ერთ არგუმენტად იყენებდა, იმისდა მიუხედავად, რომ მოსახლეობა გერმანულად საუბრობდა, ისინი მაინც შინაარსობრივად ფრანგები იყვნენ, რადგან ღვინისადმი სიყვარული და საერთოდ ცხოვრების სიხარული აშკარად იყო გამოხატული.

პროცენტული სესხები და მონებით ვაჭრობა ის საკითხებია, რომელთაც ებრაელთა ტრაგედია გამოიწვია ევროპაში. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ფულადი სესხების პრაქტიკა ტამპლიერებს და კატარებსაც ჰქონდათ და მონებით მუსლიმებიც ვაჭრობდნენ, მაგრამ ამ კონკრეტული მიზეზის გამო არ დაჩაგრულან და არც დაპირისპირებიან ქრისტიანებს. გარდა ამისა, დღესდღეობით ვხედავთ, რომ ფულადი სესხის გარეშე ეკონომიკური წარმატების მიღწევა ფაქტობრივად შეუძლებელია. ასევე ქრისტიანობას არ გამოუწვევია ანტისემიტიზმი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული უძველეს ბერძნულ და რომაულ სამყაროებში ქრისტეს ჯვარცმამდე. ისინი იზოლირებული იყვნენ, მათ ვერ ეხებოდა ინკვიზიცია. შუა საუკუნეების ევროპაში გოთური კანონის „Forum Judicum“ მიხედვით, გარკვეული შეზღუდვები არსებობდა ებრაელთა მიმართ, მაგრამ არ იჩაგრებოდნენ და პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობამდე მათი ფინანსური გავლენა ყოვლისმომცველი იყო. როდესაც დაიწყო დიდი რაოდენობით რაინდების შეგროვება, რომელნიც ებრაელთა ვალებით იტანჯებოდნენ, დაიწყო პოგრომები. 1181 წელს ებრაელებს უბრძანეს დაეტოვებინათ ფრანკთა სამეფო და მსგავსი განმეორდა 1306-94 წლებშიც. მათ უფლებები ნაპოლეონის რევოლუციურმა მმართველობამ აღუდგინა. რიჩარდ ლომგულმა და მეფე ედუარდ I პლანტაგენეტმა ყველა ებრაელი გააძევა ინგლისიდან 1290 წელს, გარდა ექიმებისა. 1669 წელს, ანუ 350 წლის შემდეგ, კრომველის პარლამენტმა ებრაელები ინგლისში დააბრუნა. რეკონკისტას შემდგომ, 1492 წელს, ებრაელები გააძევეს ესპანეთიდანაც და მათ თავშესაფარი თურქეთში პოვეს. ამ ყოველივეს საპირისპიროდ, მუსლიმურ ესპანეთში ებრაელები პატივისცემით სარგებლობდნენ და მეცნიერებასა და ლიტერატურაში დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. თურქებმა დაუყოვნებლივ მიიღეს ებრაელები, ვინაიდან მათ გონებრივად განვითარებული ხალხის არსებობს ესაჭიროებოდათ თავიანთ ქვეყანაში. ესპანელი ექიმი, კორდოვოდან, იყო დიდი სულთნის, სალადინის პირადი ექიმი. ამ რთული პერიოდის გამო

მათ არ მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ მონაწილეობა ევროპულ რენესანსში და არც ერთი იმ დროის ებრაელი მხატვარი არ არის ცნობილი.

კათოლიკურ ეკლესიაზე თავდასხმების კონტექსტში, მარტინ ლუთერი ასევე თავს ესხმოდა ებრაელებს. წიგნში „ებრაელებსა და მათ ტყუილებზე" „On the Jews and Their Lies" (1543 წ.) მარტინ ლუთერი Martin Luther წერდა, რომ იუდეველები არ არიან „რჩეულები" და რომ მათი სინაგოგები და სკოლები ცეცხლს უნდა მიცემულიყო, ლოცვის წიგნები განადგურებულიყო, სახლები და ქონება ჩამორთმეულიყო და გადასახლებულიყვნენ სამუდამოდ. ის სთავაზობდა კოშერი საკვების აკრძალვას ქრისტიანულ ქვეყნებში. ლუთერმა მიიღო მონაწილეობა იუდეველთა გაძევებაში საქსონიიდან 1537 წელს და 1573 წელს ებრაელები გაძევებული იყვნენ მთლიანად გერმანიიდან. 1670 წელს ისინი გაუშვეს ვენიდან და მიიღო ფრედერიკ-ვილჰელმმა Frederick William (გერმანულად Friedrich Wilhelm) ბერლინში, პრუსიაში. განსაკუთრებული ნიჭიერების გამო. მე-17 საუკუნეში მათ ნება დართეს დაბრუნებულიყვნენ ინდუსტრიალურ პროტესტანტულ ქვეყნებში, მაგრამ ქრისტიანებისგან იზოლირებულ პირობებში: ეცხოვრათ გეტოებში, ეტარებინათ ყვითელი ვარსკვლავი და საქმიანობდნენ მკაცრად შეზღუდული თავისუფალი პროფესიებით – ექიმები, იურისტები, მწერლები და ა. შ., რამაც პოზიტიური გავლენა იქონია ეკონომიკაზე. ნაპოლეონმა დაშალა ებრაელების გეტოები ევროპაში და ყველა მოქალაქეებად გამოაცხადა. ვატერლოოს შემდეგ ებრაელები იძულებულნი იყვნენ, დაბრუნებოდნენ გეტოს.

რუსეთის იმპერია იყო „ხალხთა საპყრობილე" და „ევროპის ჟანდარმი". როგორც ყველა მომთაბარე ერი, რუსეთი ცდილობდა მეტის შთანთქმას და ამავე დროს არ შეეძლო მოეწესრიგებინა ის, რასაც ფლობდა და სადაც სახლობდა. მათი დაპყრობის შესაძლებლობები, მუშაობის შესაძლებლობებს აღემატება. სიცოცხლის ფასი ძალზედ დაბალი იყო, რაც ბოლო მსოფლიო და სამოქალაქო ომების მსხვერპლმა ნათლად ცხადყო. იმქვეყნიური აქაური ცხოვრებისაგან დასვენება სანატრელი ჰქონდათ. სიკვდილისთვის მზად მყოფი ადამიანების რაოდენობა და ქალების რეპროდუქციის უნარი ულევი იყო. კლასიკური მეტროპოლიისაგან განსხვავებით, რუსეთს აქვს კოლონიები, მაგრამ არა ზღვისიქითური, არამედ საზღვრებს ირგვლივ, იმდენად, რომ დღეს რთულიც კი არის რუსეთის ისტორიული სამშობლოს საზღვრების დადგენა. როგორც ყველა მეტროპოლიაში, სწორი ნაციონალური პოლიტიკის, ანუ ეთნოპოლიტიკის, ფორმირება და განხორციელება რუსეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, და ამ საკითხში შეცდომებმა იმპერია კრახამდე მიიყვანა. ეგვიპტის იმპერიიდან (მოსეს აჯანყებიდან) დაწყებული ეს ყოველთვის ცუდად მთავრდება, როდესაც იმპერიის ერთი ძირითადი ერი გარკვეულ ეტაპზე ჩათვლის, რომ ის საკმარისად ძლიერია, რომ იმპერიაში შემავალი სხვა ერების ასიმილიცია, ანუ გაუმჯობესება, განახორციელოს, რამეთუ არ მოეწონებათ სხვისი ენა, ტრადიციები, აზროვნების წყობა,

ასევე ჩაცმულობა, თუ საუბრის მანერა. საპასუხოდ ჩაგრულების ენერგია იმპერიის წინააღმდეგ მიემართება და ირთვება თვითლიკვიდაციის ბუნებრივი მექანიზმი. მჩაგვრელი ეთნოპოლიტიკის მსხვერპლნი, პირველ რიგში, იყვნენ ნაციონალური უმცირესობები, როგორიცაა ებრაელები, ქართველები, სომხები, ბალტიისპირელები, უკრაინელები, შუა აზიელები და სხვა.

რუსეთის ჩამოყალიბების დასაწყისში ისინი ცხოვრობდნენ იუდეველთა რელიგიის ხაზართა ხაკანატის Khazar Kaganate (7-10 საუკუნე) მეზობლად. სვიატოსლავმა დაანგრია ხაზართა დედაქალაქი ბელაია ვეჟა 996 წელს და მისმა ვაჟმა ვლადიმერმა მიიღო ქრისტიანობა და გადაასახლა ებრაელები კიევის რუსეთიდან. მონღოლთა ბატონობის დროს ისინი დაბრუნდნენ და მუშაობა დაიწყეს, როგორც გადასახადების ამგროვებლებმა. მათ აკრძალული ჰქონდათ რუსეთში ცხოვრება ივანე მრისხანეს მიერ. რიურიკების და რომანოვების დინასტიების დროს ებრაელების გასახლების ბრძანება რამდენჯერმე გამოცხადდა. პეტრე პირველის და ეკატერინე II-ს დროს იუდეველებს ეკრძალებოდათ რუსეთში ცხოვრება[1], მაგრამ ნიჭიერების გამო შეუძლებელი იყო მათი ჩანაცვლება და ნება დართეს, ეცხოვრათ უკრაინაში (ყირიმში[2]), პოლონეთში, ლიტვაში და ამიერკავკასიაში. ალექსანდრე I-მა ნება მისცა ყველა ებრაელს რუსეთში (დაახლოებით 1 მილიონი) ემუშავათ, ეცხოვრათ და ესწავლათ რუსეთის ნებისმიერ ადგილას. მაგრამ ნიკოლოზ I-მა შეწყვიტა ეს თავისუფლება და აკრძალა მათთვის განათლება და პროფესიის დაუფლება. ნიკოლოზ II-ის ანტისემიტურმა პოლიტიკამ განაპირობა, რომ ტროცკის წითელი არმია ასე თავდადებით იბრძოდა ცარისტული თეთრგვარდიელთა ჯარების წინააღმდეგ.

ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ნიშნები გაჩნდა რუსეთში ფრანგული რევოლუციური იდეების შეღწევის შემდეგ. როგორც ყველაფერი პარადოქსულად, რუსეთში სიონისტები გაერთიანდნენ ევროპიდან შემოსულ

---

[1] კარაიტებს სურდათ გათავისუფლებულიყვნენ რუსეთის მეფის მიერ დაწესებული ანტიებრაული დისკრიმინაციისგან და ამტკიცებდნენ, რომ იყვნენ დაკარგული ათი ტომის ან ხაზარების შთამომავალნი და ამიტომ ვერ იქნებოდნენ პასუხისმგებელნი ქრისტეს ჯვარცმაზე. სამხრეთ რუსეთის ყირიმში საფლავის შესაბამისი ქვები მზადდებოდა შეძლებულ კარაიტების მიერ. ეს ქვები ატარებდა იმ ხალხის სახელებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ისინი იყვნენ ისრაელის ტომების შთამომავალნი, რომლებიც გადაასახლეს ასურეთში. ამან იმუშავა. კარაიტები გათავისუფლდნენ შეზღუდვებისგან, რაც დაწესებული იყო რუსეთში ებრაელების წინააღმდეგ. კარაიტი ლიდერები, ორივე რუსეთისა და ჰიტლერის წინაშე, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ისინი რასობრივად არ იყვნენ ებრაელები ან ისრაელიტები წარმოშობით. ზოგი მათგანი აქტიური ანტისემიტიც კი იყო.

[2] მოლოტოვის მეუღლე პოლინა ჟემჩუჟინა გასამართლებული იყო იმის გამო, რომ იყო გოლდა მეიერის მეგობარი და ემხრობოდა ყირიმში ებრაული რესპუბლიკის შექმნის იდეას, როდესაც მისი მეუღლე იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მასონურ ორგანიზაციებში. 1792 წელს ბევრი ცნობილი მასონი დააპატიმრეს. ეკატერინე გაშმაგებული იყო მათი საიდუმლო საქმიანობისა და მიმოწერის გამო. პავლე I ნებას აძლევდა მასონებს თავისუფლად ემუშავათ, მაგრამ კრძალავდა საიდუმლო მასონებს, და თვითონ ინგლისის მიერ ორგანიზებული საიდუმლო მასონების მსხვერპლი ხდება. 1801 წელს ნაპოლეონის ზენიტში ყოფნის დროს, ალექსანდრე I უკვე ვეღარ აჩერებდა პროცესებს და ნება დართო მასონური ლოჟების არსებობაზე. რუსი მასონები (პრინცი გოლიცინი) მონაწილეობას იღებდა ბასტილიაზე შტურმში საფრანგეთში. ლევ ტოლსტოი აღწერს „ომი და მშვიდობა“-ში მასონურ ლოჟას რუსეთში. 1812 წლის ომის შემდეგ ევროპაში მყოფი რუსი ოფიცრები შევიდნენ ევროპელი მასონების ლოჟებში და დაიწყეს რუსეთისთვის კონსტიტუციის მოთხოვნა. ევროპელი მონარქების კონფერენციაზე ვერონაში 1822 წელს, მეტერნიხმა გააკეთა მოხსენება მასონების ანტიმონარქიული საქმიანობის შესახებ, რამაც იმდენად ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ავსტრიის იმპერატორ ფრანცისკ I-სა და რუს ალექსანდრე I-ზე, რომ მაშინვე აკრძალეს ყველა მასონური ლოჟა თავიანთ ქვეყნებში. 1825 წელს განხორციელდა დეკამბრისტების წარუმატებელი მასონური აჯანყება. 1848 წელს პეტრაშევსკის შეთქმულება იქნა აღმოჩენილი, ხოლო ევროპაში 1848 წლის მასონური რევოლუციების სერიები უფრო წარმატებული იყო. ევროპა გარდაიქმნა, ხოლო რუსეთში რეპრესიები გაძლიერდა, რედიკალიზაციამ მდგომარეობა ორივე მხრივ სრულმასშტაბიან ტერორამდე და 1905 წლის რევოლუციამდე მიიყვანა.

პირველმა მსოფლიო ომმა კვლავ არია ეთნოპოლოტიკური საკითხები. გერმანელი სიონისტების უმეტესობა გერმანელ ჰოჰენცოლერნების ტახტს უჭერდნენ მხარს, სადაც ებრაელები თანასწორუფლებიანი მოქალაქეები იყვნენ, განსაკუთრებით რუსეთთან ბრძოლის დროს, რომელიც აშკარად ანტისემიტური იყო, მაგრამ 1919 წელს სოციალ-დემოკრატების აქტიურობის დროს, ვილჰელმი ისე გადაგვარდა, რომ ჰიტლერიც კი ვერ იტყოდა უარესს იუდეველებზე, როგორიცაა „ისინი შხამიანი სოკოებივით არიან გერმანულ მუხის ხეზე და უნდა მოისპოს“. „რევოლუციურმა“ დემოკრატიამ გერმანელებს მოუტანა სრული დამარცხება ბრძოლაში და შიმშილობა. პირველი მსოფლიო ომის დანაკარგებმა გაამწვავა შეთქმულების თეორიები და ნაცისტური ანტიებრაული პროპაგანდა.

ფაშისტები და კომუნისტები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ეთნოპოლიტიკას. ნაცისტები საკონცენტრაციო ბანაკებში აგზავნიდნენ ებრაელებს, სლავ ტყვეებს, ბოშებს, მთვარეულებს, ფსიქიურად დაავადებულებს და იეჰოვას მოწმეებსაც კი. 1928 წლიდან 1949 წლამდე საბჭოთა კავშირმა დეპორტაცია გაუკეთა 6 მილიონ მოქალაქეს – ყირიმელ თათრებს, ლიტველებს, ესტონელებს, უკრაინელებს, პოლონელებს, გერმანელებს, მოლდოველებს, ბერძნებს, სომხებს, კორეელებს, ირანელებს, ყალმუხებს, ქურთებს, ჩეჩნებს და ინგუშებს. 1934 წელს საბჭოთა ებრაელები გაგზავნილ იყვნენ ჩინეთის საზღვარზე

რეზერვაციებში, სადაც დღემდე არსებობს ბირაბიჯანი, ებრაელების საბჭოთა სამშობლო.

ფაშისტური ტერორი კომუნისტურისაგან ეთნოპოლიტიკურად განსხვავებული იყო. ფაშისტების ტერორი არ იყო სელექციური, ხოლო კომუნისტების ტერორის დროს ერის ან ოჯახის ყველა წევრი არ იყო სასიკვდილოდ განწირული, არამედ მსხვერპლის ვაჟსაც კი და ძმასაც შეეძლო მაღალ თანამდებობეზე მოხვედრილიყო. შესაბამისად, კომუნისტებმა უხელმძღვანელეს მილიონობით ადამიანის ლიკვიდაციას კაცობრიობის წინააღმდეგ რაიმე დანაშაულში ოფიციალური განაჩენის გარეშე. ამდენად, თუ ფაშიზმი შესაძლოა ნებისმიერ ქვეყანაში გავრცელებულიყო მინიმალური მომზადების შემდეგ, კომუნიზმი არსებითად ადვილად დასანერგი არ იყო და ხანგრძლივ მოსამზადებელ პერიოდს და იდეოლოგიურად ტვინის გარეცხვას საჭიროებდა. ჰიტლერს სულ რაღაც 8-9 წელი დასჭირდა ფაშიზმის დასამკვიდრებლად 1932 წლიდან (ვაიმარის რესპუბლკიდან) მეორე მსოფლიო ომამდე, ხოლო რუსეთში კომუნისტებს 1917 წლიდან კომუნისტური იდეოლოგიის გასამარჯვებლად მეორე მსოფლიო ომამდე 25 წელი დასჭირდათ. 2000 წლიდან უკრაინაში ომამდე პუტინს 14 წელი დასჭირდა.

ფაშიზმმა და კომუნიზმმა ერთად დაიწყო მცდელობა „გაეუმჯობესებინათ“ კაცობრიობა და შექმნათ „ახალი“ ადამიანი. 1929 წელს ევგენიკის კვლევითმა ინსტიტუტმა ლენინგრადში შესთავაზა დაეარსებინათ განაყოფიერების ცენტრები, რომლებშიც შერჩეული ადამიანები გაანაყოფიერებდნენ საბჭოთა ქალებს. 1927 წელს დაარსდა კაიზერ ვილჰელმის სახელობის ანთროპოლოგიის, ადამიანის გენეტიკისა და ევგენიკის ინსტიტუტი, სადაც სწავლობდა მომავალი ჯოზეფ მენგელე. ამ ინსტიტუტის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა იმ გერმანელი ქალების სტერილიზაცია, ვინც იყო ფრანგი აფრიკელი ჯარისკაცების ძალადობის მსხვერპლი პირველი მსოფლიო ომის დროს. სახელმწიფო ბიოლოგიის ინსტიტუტი Statens Institut för Rasbiologi (რასობრივი ბიოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი) იყო შვედური სამთავრობო კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დაარსდა 1922 წელს უფსალაში ევგენიკის შესწავლის მიზნით და დაკავშირებული იყო იძულებითი სტერილიზაციის პროგრამასთან, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა 63 000 ადამიანზე და გრძელდებოდა 1975 წლამდე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევგენისტებმა დანერგეს სტერილიზაცია იმ მიზნით, რომ აემაღლებინათ ევროპული მოსახლეობის ხარისხი. ბევრ ქვეყანაში ნებადართული იყო თავისუფალი აბორტი ოკუპანტებისგან ფეხმძიმობის შესაწყვეტად. 1945 წელს იაპონიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაავალა ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს დაეარსებინათ პროსტიტუციის სერვისი მოკავშირე ჯარისკაცებისთვის, რათა შეენარჩუნებინათ „სიწმინდე“ და „იაპონური რასა“. იაპონელ-ამერიკელი წყვილის ქორწინების რეგისტრაცია აკრძალული იყო, ხოლო ამერიკელებს ეკრძალებოდათ იაპონელი მეუღლეების აშშ-ში ჩამოყვანა.

ჩინეთის დედათა და ჩვილთა მოვლის კანონი ითვალისწინებს ექიმის სამედიცინო ნებართვას ქორწინებაზე. სხვადასხვა პროვინციებმა გონებრივად შეზღუდულ ხალხს კანონით შეუზღუდა ქორწინება და გამრავლება 1980-იან წლებში. გარკვეული გენეტიკური დაავადებების მატარებელ ადამიანებს ნება ჰქონდათ დაქორწინებულიყვნენ, თუ ისინი სტერილიზებულნი იქნებოდნენ. 1970 წელს სკრინინგის პოლიტიკამ და სამედიცინო აბორტმა კვიპროსში თალასემიით დაავადებულ ბავშვთა რაოდენობა ნულამდე დაიყვანა იმ დროს, როდესაც ადრე ყოველ 158 დაბადებულიდან ერთი ავადყოფი იბადებოდა. აშკენიზი ებრაელი ხალხის უმეტესობა ახორციელებს სასკრინინგო პროგრამებს მომატებული გენეტიკური დაავადებების პროფილაქტიკისათვის. პირველ რიგში ჩვილთა სიკვდილიანობის ჰომოზიგუტერი ტეი-საქსიბის სინდრომის თავიდან ასაცილებლად.

თანამედროვე ეთნოპოლიტიკა იმავე შედეგს აღწევს სხვა მექანიზმებით. ქალების ემანსიპაცია, პარტნიორის თავისუფალი არჩევანი, განათლება, კონტრაცეფცია, ტამპონების გამოგონება, ლეგალური გაშორების მექანიზმი, სამუშაოს პოვნის თანაბარი პირობები აძლევს ქალს შესაძლებლობას, თვითონ აირჩიოს ჯანმრთელი პარტნიორი ყოველგვარი ქონებრივი ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. დღესდღეობით კვერცხუჯრედის ან სპერმის კატალოგით არჩევის შესაძლებლობა გაჩნდა. ჩინეთის პროვინცია სიჩუანში 1999 წელს გაიხსნა სპერმის ბანკი, სადაც დონორები მხოლოდ პროფესორები არიან. სხვა ქვეყნებში შესაძლებელია თმის ფერის, სიმაღლის ან სხვა პარამეტრებით სპერმის ამორჩევა. ეს კაცობრიობას კიდევ ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს (თუნდაც გაუკონტროლირებადი ახლონათესაური შეჯვარების რისკის ზრდის საშიშროების გამო).

დღეს მსოფლიო კლონირების, სუროგაციის, ქრომოსომული დაავადებების მკურნალობის და ღეროვანი უჯრედების რევოლუციის და ორგანოების ინდივიდუალური კულტივაციის წინაშე დგას, რამაც შეიძლება დადებითი და ნეგატიური შედეგებიც მოიტანოს.

ეთნოპოლიტიკა და რელიგია

მონღოლებს თავდაპირველად (ციმბირში) არ ჰქონდათ რელიგია, მხოლოდ შამანიზმი. როდესაც მონღოლთა პირველი შემოსევა დაიწყო და მათ მიაღწიეს ქრისტიანულ ქვეყნებს, ეს იყო სომხეთი და უფრო ზუსტად კი სომხეთის სილიციის Armenian Cilicia სამეფო. მათმა პატრიარქმა დაიწყო მოლაპარაკებები, რათა მოექცია მონღოლები ქრისტიანობაზე, მაგრამ ამაოდ. ეს რელიგია მომთაბარეებისათვის ძალზე რთული იყო. ქრისტიანობა მოითხოვს სტაციონარულ ცხოვრებას: ეკლესიას, ხატს, კვირას დასვენებას და ა.შ. მიუხედავად ამისა, მან დაამყარა ისეთი კარგი ურთიერთობები მონღოლ ლიდერებთან, რომ სომხეთის სამეფო მათ არ გაუნადგურებიათ.

გაცილებით მკაცრი იყვნენ მონღოლები მუსლიმების წინააღმდეგ. საერთოდ მონღოლების გამოჩენა მუსლიმური სამყაროს შუაგულში ზოგიერთ ავტორს ტამპლიერების საიდუმლო მუშაობის შედეგად მიაჩნია. არაორგანიზებული მომთაბარეების მიერ მუსლიმური ციხესიმაგრეების ორგანიზებული ალყა და კედლის საწინააღმდეგო ჩინური იარაღის გამოყენება გარკვეული ფარული ძალის გარეშე ძნელად წარმოსადგენია. მით უმეტეს, რომ უცბად გაქრნენ, როცა არაბების და თურქი-სელჯუკების განადგურების შემდეგ მონღოლების საჭიროება ევროპელებისთვის შემცირდა.

მონღოლების შეხვედრამ მუსლიმებთან განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიარა ბაღდადსა და სირიაში, მაგრამ მოგვიანებით მონღოლი მუსლიმანი გახდა, სავარაუდოდ, რადგან ეს ძალზედ მარტივი იყო და შეესაბამებოდა მომთაბარე ცხოვრებას. უნდა შეგესრულებინა სამი მოთხოვნა: 1) „ალა აკბარის“ ფორმულის მიღება; 2) დღეში 5-ჯერ ლოცვა, სადაც უნდა ყოფილიყავი. ისლამი ძალზედ დემოკრატიულია: არ ხარ ვალდებული იარო მეჩეთში და გყავდეს მამაო, როგორც შენსა და ღმერთს შორის შუამავალი. ლოცვა და თხოვნა პირდაპირ უფლისკენაა მიმართული; 3) გადასახადია ზაკიატი, შემოსავლის მეხუთედი გაჭირვებულთათვის. ასევე მამაკაცების დიდი დანაკარგების გამო მუდმივ ბრძოლებში, რამდენიმე ცოლის ყოლა ძალზედ მოხერხებული იყო.

რუსმა უფლისწულმა ცოტა ხნით ადრე, 980 წელს გადაწყვიტა, მიეღო ქრისტიანობა[1] ძალზედ პრაქტიკული მიზეზის გამო – მათ არ შეეძლოთ უარი ეთქვათ ღვინის სმის გაგრძელებაზე, „სმა რუსების გართობაა“, განსაკუთრებით ლუდის და ერჩივნათ ღორის ხორცის ჭამა. უფლისწულ ვლადიმირს ასევე არჩევანი ჰქონდა მიეღო იუდეველთა რელიგია ებრაელებისგან, რომლებიც ცხოვრობდნენ კიევის რუსეთში და ხაზართა ხაკანატში Khazar Kaghanate (იუდევლობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად 830 წლიდან მე-15 საუკუნემდე), მაგრამ მან არჩია არ მიეღო რელიგია ერიდან, რომელიც ღმერთმა დასაჯა მათი მიწის დაკარგვით. მას არჩევანი უნდა გაეკეთებინა კათოლიკე და მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რელიგიებს შორის და აირჩია ბიზანტიური ორი მიზეზის გამო – ის იყო ომში იუდეველ ხაზართა ხაკანატთან, ხოლო დასავლეთ ევროპაში ებრაელი ვაჭრები ძალზედ აქტიურად ვაჭრობდნენ, მათ შორის სლავი მონებით, ესპანეთში არაბების ჰარამხანების შესავსებად.

მეორე მიზეზი იყო ის, რომ ვლადიმირის ემისრები დაბრუნდნენ ბიზანტიიდან გაოცებული, როდესაც ნახეს აია სოფია Hagia Sophia და თავი სამოთხეში ეგონათ. ეს კონტრასტში იყო იმდროინდელ გერმანულ უღიმღამო ეკლესიებთან შედარებით. მხოლოდ მოგვიანებით დასავლეთმა დაიწყო ეკლესიებში რელიგიურ ნახატებში რეალისტური სცენების გამოსახვა,

[1] ამ მოვლენებიდან 2 საუკუნის შემდეგ შეიქმნა რუსული ხალხური ეპოსი „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, რომელიც პოლიტიკურ მოვლენებს აღწერს, მაგრამ საოცარია, არ არის მოხსენიებული იესო და მოციქულები საერთოდ.

თავად უფალის გამოსახულებაც კი, და არა სიმბოლურად, როგორც ეს აღმოსავლურ ეკლესიებში შემორჩა. ამით მნიშვნელოვნად წაიწია წინ დასავლეთის მხატვრობამ აღმოსავლეთისგან განსხვავებით. ისევე როგორც დასავლეთმა, ნება დართო ეკლესიებს მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენებისა, როდესაც მხოლოდ მონოვოკალური გრეგორიანული საგალობლებია ნებადართული აღმოსავლეთის ეკლესიებში. ქრისტიანობის ნაკლად მიიჩნევდნენ ერთცოლიანობას და ახლონათესაური კავშირის კატეგორიულ აკრძალვას. მხოლოდ ამ მიზეზით დაიწყო რუსეთის თავადებში (და საერთოდ ინდოევროპელებში) დაბადების საეკლესიო აღრიცხვიანობა, ხოლო ბატონყმობის წყობის დროს მფლობელს უფლება ჰქონდა გაეყიდა ყრმა ცალ-ცალკე ოჯახის მიუხედავად, ვინაიდან ისტორიულად რუსეთში ყმის ოჯახის ცნება არ არსებობდა. ქალები საერთო ჰყავდათ და ბავშვების მამის სახელის დადგენა შეუძლებელი იყო.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ რუსეთის მეფემ ცოლად შეირთო ბიზანტიელი პრინცესა სოფია პალეოლოგი Sophia Paleolog, რომელმაც რუსეთში ჩაიყვანა ასობით ბერძენი ბერი. ქორწინების ორგანიზატორი რომის პაპი იყო იმ მიზნით, რომ საზღვარზე რუსები ჰყოლოდათ თურქების წინააღმდეგ, და ქორწინების ცერემონია გაიმართა რომში რუსეთი მეფის დაუსწრებლად. მაგრამ პრინცესამ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო და რუსეთი მესამე რომის იმპერიად გამოაცხადა[1]. სოფია იყო პირველი ქალი, რომელმაც დაარღვია ეტიკეტი და თავისუფლად გადაადგილდებოდა სასახლის ყველა ოთახში და არა მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილში, იღებდა მონაწილეობას მამაკაც დესპანებთან მოლაპარაკებებში.

რადგან რელიგია გავლენას ახდენს ეკონომიკურ ცხოვრებაზე, შედეგები ფატალურად შეიცვალა: მონღოლებს ნაკვალევი არ დაუტოვებიათ კულტურულ ცხოვრებაში და მთლიანად გაუჩინარდნენ. ქრისტიანულმა რუსეთმა დაიწყო მეზობლების შემოერთება და შექმნეს უზარმაზარი მოსახლეობა ინტერრასობრივი შერევის ბიოლოგიური კანონებით, რაც რამდენიმე თაობაში ეფექტიანად მუშაობს. ამიტომაც მას მუდმივად სჭირდება გაფართოება. მათ ვერ შესძლეს შეექმნათ რაიმე სასარგებლო ნივთი: არა კომპიუტერი, მაცივარი, რადიო, ტელევიზორი, ავტომობილი, თვითმფრინავი, ნახევარგამტარი. რუსული წარმოშობის სიტყვებიც კი სპეციფიკურია: ტროიკა, სამოვარი ჭუჭყიანი ჩექმით, კომუნიზმი, გოლოდომორი, გულაგი და სხვა. ატომი, სპუტნიკი და რაკეტები მათ ბერიას ჯაშუშებმა მიართვეს[2].

---

[1] ბიზანტიური ორთავა არწივი დღესაც რუსეთის სახელმწიფო გერბად არის აღიარებული და ნებისმიერი რუსი ოფიცრის ქუდზეა გამოსახული.

[2] მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსებმა ხელში ჩაიგდეს ვერნერ ფონ ბრაუნის, გენიოსი გერმანელი ინჟინრის, ყველა ნახაზი და მასალა, ხოლო ინგლისელებმა მხოლოდ რამდენიმე ინტერვიუს შემდეგ, რომელიც ინჟინერმა სნელმა L. S. Snell ბრაუნისგან აიღო, მისცა მას შესაძლებლობა შეექმნა როლს-როისის და კონკორდის

ეკონომიკური განვითარების სისწრაფე განსხვავებულია არა მარტო ინდუიზმის, ისლამისა და ქრისტიანულ ქვეყნებს შორის, არამედ აგრეთვე ქრისტიანობის შიდა შტოებს შორისაც. ორთოდოქსობა მეტ ყურადღებას აქცევს იმქვეყნიურ ყოფას და ნაკლებს ამ ცხოვრების მატერიალურ ასპექტებს. სწორედ ამიტომ ისინი არიან კოლექტივისტი ადამიანები, საერთო ქონებით, არ მოსწონთ ინდივიდუალიზმი, მდიდარი ხალხი. მათ არ ჰქონდათ არც პირადი ცხოვრება, არც პირადი ოჯახი, არც პირადი ქონება.

პროტესტანტიზმი უფრო მეტად, ვიდრე კათოლიკობა კეთილგანწყობილია ადამიანის პირადი კეთილდღეობისა და გამდიდრების მიმართ. რა თქმა უნდა, თუ ქონება მოპარული არ არის, არამედ მძიმე შრომით ან ნიჭით და ჭკუით არის მოპოვებული. განსაკუთრებით კალვინიზმი ამტკიცებს, რომ ადამიანი უნდა იყოს მდიდარი და ჰქონდეს ბევრი ფული, რათა სამოთხეში მოხვდეს, რაც ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ იდეებს. იგივე მდგომარეობაა იუდაიზმშიც. ამ შემთხვევაშიც ადამიანები მეტად აქტიურები იყვნენ ეკონომიკური თვალსაზრისით, ამით უფრო წარმატებულნი და მდიდრები.

რუსული ტიპის ორთოდოქსულობა და ისლამი ორივე აღმოსავლურია, და აგრეთვე კომუნისტური იდეოლოგიაც. რუსული მართლმადიდებელი ერი ხასიათდება სუსტი ინსტიტუტებით და ცივილიზებული კანონების განუვითარებლობით. ეს არ არის ქართული მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული რელიგის ნაწილი. ორთოდოქსულობის ეს ფორმა ჩაინერგა 1800 წლიდან, რუსეთის მიერ ოკუპაციისა და ავტოკეფალიის ჩამორთმევის შემდეგ. უძველესი მოაზროვნე, განათლებული ქართული ეკლესია გარდაიქმნა რუსული სინოდის ნაწილად და მას დაავიწყეს ათონის მთის, ასურელი და იერუსალიმის განმანათლებლების და მოაზროვნეების ტრადიციები. აიკრძალა უძველესი ტრადიციები, ფრესკები, განათლება, ქართული ენა, აზროვნება, მუშაობა, სიმდიდრე; დაიწყო და განვითარდა ეროვნული მენტალური გადაგვარება. შედეგად დღევანდელი ქართველს ბევრი რამ აკლია ისტორიიდან ცნობილ მეომარ გმირებთან შედარებით. პროგრესი, განვითარება, კრიტიკა, ინოვაცია, კონკურენცია, რაც ნიშნავს საუკეთესოს არასენტიმენტალურ შერჩევას, მართლმადიდებლურ ქვეყნებში არ მუშაობს. ის გარემოება, რომ ხელი შეეწყოს საზოგადოების ნაწილის გამდიდრებას, რათა გაზრდილი გადასახადებით გაუმჯობესდეს უუნარო მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, არ არის წახალისებული, რადგან ადამიანების დიფერენციაციას ააშკარავებს.

ძრავები. მხოლოდ ამ სქემების შემდეგ საბჭოთა მეცნიერებმა (კოროლიოვმა) შექმნა რაკეტა, ხოლო რაკეტების რეაქტიული ძრავების ცნობილი კონსტრუქტორი ჩალომეი, რომელიც აგრეთვე გერმანული სქემებით მუშაობდა, მხოლოდ ბრაუნს თვლიდა რაკეტების კონსტრუქტორად. ბერიას შვილის გადმოცემით, ატომური ბომბის მამა ფერმი საერთოდ ომამდე საიდუმლოდ ბერიას საკუთარ სახლში ცხოვრობდა.

ქართველი ერის რუსიფიკაციას და რელიგიური რწმენის განადგურებას მუდმივად მფარველობდა და ხელმძღვანელობდა რუსული ეკლესია. რუსეთის სასულიერო წრეები ერის აგრესიულ მისწრაფებებს სახელმწიფო აპარატთან ერთად მხურვალედ მიესალმებოდნენ, მხარს უბამდნენ და ხშირად იყენებდნენ ჯვარს იქ, სადაც რუსული თოფები უძლური იყო. 1515-1521 წლებში ფსკოვის მონასტრის იღუმენი ფილოფეი წერდა: „ორი რომი დაეცა, მესამე მოსკოვია, ხოლო მეოთხე არასდროს იარსებებს“.

მაგრამ ისტორია არ იტანს უძრაობას და გვაჩვენებს, რომ გადარჩება ის, ვინც განათლებულია და ნასწავლია. ამიტომ ნაკლები რაოდენობის ქრისტიანები (კათოლიკეები, პროტესტანტები და ქრისტიანობის დასავლური შტოები) აწარმოებენ უფრო მეტ სასარგებლო ნივთს და უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე გაცილებით მეტი რაოდენობის მუსლიმები, ინდუსები, ბუდისტები და კონფუციანელები. აღმოსავლეთის ხალხი უფრო მშვიდობიანი და ნაკლებად აგრესიული მოჩანს, მაგრამ უფრო მეტად სასტიკი და სისხლიანია (პოლ პოტა კამბოჯიაში, ლენინი რუსეთში, იაპონია ჩინეთში მეორე მსოფლიო ომის დროს, ეთნიკური ბრძოლები ინდოეთში, კულტურული რევოლუცია ჩინეთში და სხვა), რადგან ადამიანის ფასი აღმოსავლურ რელიგიებში ძალზე მცირეა და ზოგჯერ უმნიშვნელოც. ისლამში თბილი კლიმატი არჩენს მოსახლეობის უზარმაზარ მასებს გამოკვებისათვის მძიმე შრომის აუცილებლობის გარეშე. გამოკვების ფუნქციაც მრავალი ცოლის მხრებზე გადადიოდა. მაგრამ ისლამი ქვიშაზე დაიბადა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, შრომის მაგივრად, დაპყრობებს ამჯობინებდა. იგივეა რუსეთის მართლმადიდებლობაში. ადამიანის სიცოცხლე არ არის ღირებული, ხოლო სამშობლოსთვის სიკვდილი ეკლესიის მიერ ყველანაირად წახალისებულია. საერთო „საძმო“ სასაფლაოები ევროპაში მხოლოდ რუსეთის ჯარშია ცნობილი.

საინტერესოა, რომ „41 პარალელის“ თეორიის მიხედვით, შესაძლებელია ამ ფენომენის ეთნოგენეზურად ახსნა. ყველა გლობალური პოლიტიკური ცენტრი მდებარეობდა 41-ე პარალელზე: ნიუ იორკი, მადრიდი, რომი, კონსტანტინოპოლი და პეკინი (მე-40 პარალელი). ბრიტანეთის და ჰოლანდიის დედაქალაქები 50-ე პარალელზე მდებარეობენ, მაგრამ ინსტინქტურად ორივემ დააარსა ნიუ იორკი – ახალი ამსტერდამი ახალ ინგლისში, 41-ე პარალელზე. თბილისი 41-ე პარალელზე მდებარეობს. ეს კარგად აიხსნება ბუნებრივი ეზოთერული ფაქტორებით. ყველა ბუნებრივი სეზონი: ზამთარი, შემოდგომა, ზაფხული და გაზაფხული არსებობს 41-ე პარალელზე. ასეთ გარემოში მცხოვრები ხალხი მეტად ორგანიზებულნი არიან, რადგან ესაჭიროებათ იმუშაონ სეზონურ საკვებზე, ტანსაცმელზე, თავშესაფარზე, გათბობაზე და სხვა. ისინი ხვდებიან, რომ არ არსებობს ძალა უფრო მაღალი, ვიდრე ბუნების ეს კანონი. ეს სეზონურობა უფრო მეტი არგუმენტი იყო უზენაესი ბუნების კანონების არსებობის შესახებ, ვიდრე გაცილებით მოგვიანებით აღმოჩენილი კანონი, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო. რომულუსმა რომის ტერიტორია

შეარჩია იმ პრინციპით, რომ მუდმივად ცვალებადი ამინდი შთააგონებდა და აძლიერებდა მოსახლეობის კრეატიულობის და წარმოსახვით ძალებს. თურქი ხალხი გენეტიკურად და კულტურულად ზუსტად იგივეა, როგორც სხვა მეზობელი ქვეყნების მუსლიმანები, მაგრამ 41-ე პარალელზე დედაქალაქში შესვლით მათ მიეცათ შესაძლებლობა, გამხდარიყვნენ მათ შორის ყველაზე ორგანიზებულნი და აქტიურნი.

ამისგან განსხვავებით, 30-ე პარალელი ძალზედ კონსერვატული და მონოტონურია. ყველა რელიგია დაარსდა ამ პარალელზე: უძველესი ეგვიპ-ტური რელიგიები, ბუდიზმი, ლამაიზმი, ინდუიზმი, იუდაიზმი, ისლამი და ქრისტიანობა. არ არის საჭიროება რაიმე მოქმედების განხორციელებისა უკე-თესი მომავლისთვის, არ არსებობს არანაირი სტიმული რაიმეს გასაკეთებლად. სინაი, პალესტინა, ტიბეტი, ჰიმალაი ქმნის მისტიკურ ატმოსფეროს.

ევროპის ეკონომიკის დინამიზმი და მისი ინტელექტუალური ცხოვრება მოდის ფაქტიდან, რომ რელიგიური და საერო ხელისუფლება გამიჯნული იყო და არ არსებობდა არც ერთი უპირატესი ძალაუფლება. ევროპა იყო ქვეყნების ერთობლიობა და კონფლიქტი ყოველთვის იყო მათ შორის. ეს მხოლოდ აზიური თვალსაზრისით იყო ნაკლი, მაგრამ მხოლოდ ამ კონკურენტულ გარემოში ვითარდებოდა ცივილიზაცია. ეგვიპტე ჰიდრავლიკური ძალის მაგალითი იყო, როდესაც ერთი მდინარე და მისი კონტროლი შესაძლებელი იყო მთელი მოსახლეობის მობილიზებით და კოლექტიური მორჩილებით. ჩინელები ძალზედ ჭკვიანები იყვნენ, მაგრამ მათი სიჭკვიანე იმპერატორის კონტროლიდან ვერასდროს გამოვიდა, სიახლეები არასდროს ყოფილა შემაშფოთებლად ფუნდამენტური, რაც საბოლოოდ დაკნინებაში გადაგვარდა.

დასავლეთის სიცოცხლისუნარიანობაში ზოგიერთ გარე მდგარ პიროვნებას ეჭვი შეაქვს. მახათმა განდის ცნობილი არაძალადობრივი წინააღმდეგობის პოლიტიკა აგრეთვე დაფუძნებული იყო მის მოსაზრებაზე, რომ დასასვლეთის განვითარება, გლობალიზაცია, ტრანსპორტი, ურბანიზაცია და ა. შ. აუცილებლად გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას და დაავადებებს, რაც გარდაუვალად კრახით დამთავრდება, და ის მხოლოდ მოუწოდებდა არაფრის კეთებას და მხოლოდ ამის დალოდებას. მაგრამ ყველაფერი პირიქით აღმოჩნდა: ყველაზე სუფთა და ჯანსაღი გარემო ინდუსტრიალურად განვითარებულ და ურბანიზებულ დასავლეთშია. ვერც ერთი მოლოდინი დოლარის კრახის, გარე აგრესიის, რასობრივი ბალანსის დარღვევის, ან სხვა კატასტროფის, რაც ეს მოხდა რომის იმპერიის შემთხვევაში, არ მართლდება.

ისტორიაში ჩვენ ვხედავთ რამდენიმე კრიტიკულ პერიოდს და მსგავს სიტუაციაში მაინც ხერხდებოდა გამოსავლის პოვნა. ბრინჯაოს იარაღი გამოჩნდა იბერიულ მოსახლეობაში, მას მოჰყვა რკინის იარაღი ასევე იბერიულ ტომებში, შემდგომ ანგლო-საქსონური, ირლანდიულ-შოტლანდიური, კელტ-იბერიული რევოლუციები: ტექნიკური რევოლუცია, აგრარული რევოლუცია, თანამედროვე ინფორმაციული რევოლუცია და ა. შ. ამავდროულად, რამდენიმე

პარადოქსული შედეგიც გამოვლინდა: მიუხედავად საშინელი ომებისა და ნგრევისა, რომელიც ბიბლიამდელ ხანაში მოხდა, გადარჩნენ მხოლოდ ის ერები, რომლებიც ოჯახური წყობილებით ცხოვრობდნენ. ესენი იყვნენ ებერის შთამომავლები – ებრაელები და კავკასიელები – იბერიელები. როდესაც ბრინჯაოს იარაღი ველურ და აგრესიულ ტომებში გავრცელდა და ტროას ომის მერე ველური ინდოევროპული ტომებისგან განადგურება დაემუქრა, მათ რკინის იარაღი მოიპოვეს. ოჯახური სისტემა და ბაბილონის გოდოლის მშენებლობაში მონაწილეობაზე უარი არის იბერებისა და იბერო-სემიტების მახასიათებელი და სხვათაგან განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ, თუ რატომ გაჩნდა ბრინჯაოსა და რკინის იარაღი მაინცდამაინც იმ მიწებზე, სადაც ოჯახური სისტემა მტკიცედ იყო ჩამოყალიბებული, რამაც მათ უპირატესობა მისცა უზარმაზარ აღმოსავლურ მომთაბარე მასებზე. ასევე ჩვენ არ ვიცით, რატომ გაჩნდა ნავთობი სხვა მხრივ ყოველნაირად განუვითარებელ ქვეყნებში, რამაც მათ გადარჩენის შანსი მისცა.

ქართველი ავტორები ამტკიცებენ, რომ იბერიელებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ისეთ მსოფლიო დონის გამოგონებებში, როგორებიცაა ცეცხლი (პრომეთე), ბორბალი, მეტალები (ბრინჯაო, რკინა, ფოლადი), სოფლის მეურნეობა, ცხენების და ძაღლების მოშინაურება და ა. შ. როდესაც მუსლიმთა გამანადგურებელი ძალები ევროპის შუაგულამდე მივიდა, სამხედრო-ტექნიკურმა ინოვაციებმა ისინი უკან გააბრუნა. როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინი გეგმავდა ევროპის დამონებას, დასავლეთში აღმოჩნდა ატომური ბომბი. როდესაც კომუნისტებმა სამხედრო ექსპანსია წამოიწყეს, თავისუფლებამ და ინოვაციებმა (კომპიუტერმა და ინტერნეტმა) მოახდინა მათი პარალიზება და დანგრევა. როდესაც აგრესიის იარაღად ენერგომატარებლები გახადეს, დასავლეთმა გამოიგონა ის, რაც ავტორიტარული რეჟიმებისთვის დასაცინი რამ იყო და უეცრად ნავთობის ფასი მკვეთრად შემცირდა. მსგავსი შემთხვევები ისტორიაში მრავლადაა.

მედიცინა და სამკურნალო მცენარეების გამოყენება კი მედეას მიერ იქნა დანერგილი. თითოეულ ასეთ გამოგონებას შეეძლო მსოფლიოში დრამატული ცვლილებები გამოეწვია ისევე, როგორც ეს ბირთვული ენერგიის, გენმოდიფიცირებული საკვების, ნანოტექნოლოგიების ან კიბოსი და შიდსის მკურნალობის შემთხვევებში მოხდა. წარმოიდგინეთ, როგორ შეცვლიდა სამყაროს ტვინის შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოყენება, ან სიცოცხლის ხანგრძლივობის 120 წლამდე გაზრდა. მომავალი ომები შესაძლოა უნიკალური შესაძლებლობების ადამიანებმა განაპირობონ, როგორიც იყო კარლ ჰაუსჰოფერი პირველი მსოფლიო ომის დროს, ან როგორც ბულგარელი ვანგა, ქართველ-ასირიელი ჯუნა დავითაშვილი და ა. შ.

კოლხეთი და იბერია ბერძნულ მითოლოგიაში

ქვის ხანა – ძვ. წ. 3000 წლამდე
ბრინჯაოს ხანა – ძვ. წ. 3000-1200 წწ.
ძვ. წ. 3000-2000 წწ. – მინოსელები კრეტაზე Minoans on Crete
ძვ. წ. 2000-1800 წწ. – მიკენელების (აქაველების) შემოსევები
Mycenaean (Achaean) invasions (ინდოევროპელი არიანები) ბალკანეთში
– კელტების შემოსევა ევროპაში (ინდოევროპელი არიანები)
– არიანების Aryan შემოსევა ინდოეთში
ძვ. წ. 1400 წ. – მიკენელების მიერ მინოსელების განადგურება
End of Minoans by Mycenaeans
რკინის ხანა – ძვ. წ. 1200 წ. არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში
– ისრაელიტების 40-წლიანი ხეტიალი მოსეს ხელმძღვანელობით
– ტროას ომი Trojan War
– უცნობი წარმოშობის ზღვის ხალხების Sea people რკინის იარაღი
(არ არის ცნობილი არც ტროელების, არც მიკენელებისთვის)
– დორიანელების Dorians შემოსევა (ინდოევროპელელების ახალი ტალღა)
ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მიკენელების დასასრული
ძვ. წ. 1200-800 წწ. – ბნელი წლები საბერძნეთში, დამწერლობის დაკარგვა
ძვ. წ. 730 წ. – აღორძინების დასაწყისი, ჰომეროსმა Homer დაწერა
ილიადა და ოდისეა Iliad & Odyssey,
– ოლიმპიური თამაშები Olympic games
ძვ. წ. 430 წ. – ელინიზებული სპარტანელები (დორიელები) Spartans
(Dorians) ქსერქსეს Xerxes წინააღმდეგ
ძვ. წ. 338 წ. – მაკედონელების Macedonian შემოსევები,
ელინიზებული ალექსანდრე მაკედონელი
ძვ. წ. 300 წ. – აპოლონიუსმა დაწერა „არგონავტიკა“ Apollonius
„Argonautica“
ძვ. წ. 30-19 წწ. – ვირგილიუსმა დაწერა „ენეიდა“ Virgil „Aeneid“

1870 წელს ჰეინრიხ შლიმანმა Heinrich Schliemann აღმოაჩინა უძველესი ტროა და მიკენი, რაც ამტკიცდება ჰეროდოტეს, ისტორიის მამის გამონათქვამს, რომ ისტორია დაიწყო საბერძნეთიდან. მაგრამ მოგვიანებით ინგლისელმა არქეოლოგმა არტურ ევანსმა Arthur Evans კრეტაზე აღმოაჩინა უფრო ძველი ცივილიზაცია, ვიდრე მიკენური კულტურაა – მინოსელები. ასე რომ, უფრო

სწორად, ევროპული ცივილიზაცია იწყება კრეტას კუნძულიდან, რომელიც ფაქტობრივად უფრო ახლოა აზიასთან, ვიდრე ევროპასთან. ჰეინრიხ შლიმანს სურდა უფრო შორს წასვლა და რუსეთის მეფეს სთხოვა ნება დაერთო, რათა ეხელმძღვანელა არქეოლოგიური ექსპედიციისთვის გონიოში, ბათუმთან ახლოს, მაგრამ უარი მიიღო, რადგან არქეოლოგია რუსეთის ცარიზმიდან დღემდე მკაცრად კონტროლდება.

მინოსელები – პელასგები

ახლა ვიცით, რომ დაახლოებით ძვ. წ. 3000-დან 2000 წლებს შორის, ბრინჯაოს იარაღების გამომყენებელი სასოფლო-სამეურნეო ცივილიზაცია ყვაოდა კრეტაზე (კნოსოსი) Crete (Knossos): მინოსელები, შუმერების თანამედროვეები, ეგვიპტის პირამიდების აგებამდე. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ფ. შაჩერმაიერი F. Schachermeyr (1979 წ.) ასკვნის, რომ მინოსელები მიგრაციაში წავიდნენ ეგეოსის ყურეში ანატოლიიდან. კრეტას ლეგენდარული მეფე მინოსი იყო პასიფაეს მეუღლე, კოლხეთის მეფის აიეტის და. მინოსელები ცნობილნი იყვნენ სასახლეებით და ჩანს, რომ პირველნი იყვნენ, რომელთაც ააშენეს რამდენიმეოთახიანი შენობა. ოჯახი ძველ დროში ერთ ოთახში ცხოვრობდა და ეს 1600 წლამდე ევროპაში ნორმალური იყო. კრეტელები იყვნენ პირველნი, ვინც შენობაში გააკეთა წყალსადენი. მათ პირველად გამოსახეს ცხოველი და ადამიანი სწრაფ მოძრაობაში.

ქართველი მწერლები და მეცნიერები (რობაქიძე, გამსახურდია და სხვა) ამტკიცებდნენ, რომ მინოსელები იყვნენ პელასგების, კოლხების ნათესავები, ტომების ჯგუფი იბერიის ოჯახიდან. ქართველმა ავტორებმა (მ.გ. წერეთლის, რ.ვ. გორდეზიანის, მ. აბდუშელიშვილის და ზვიად გამსახურდიას ჩათვლით) პელასგები დაუკავშირეს პრეისტორიული კავკასიის იბერიულ-კავკასიურ კულტურას, რომელიც ბერძნებისთვის ცნობილია როგორც კოლხური. ანატოლიაში იმ დროს ბევრი ავტოქთონური კავკასიელი ხალხი ცხოვრობდა (ხატიელები Hattians), სანამ ხეთი ინდოევროპელები გამოჩნდებოდნენ.

ორივეს, ჰეროდოტესა და სტრაბონის მიხედვით, კოლხები იყვნენ პელასგების, მაკრისიანების, მაკრონების და დოლიონების ნათესავები Pelasgians, Macrisians, Macrons and Doliones. კოლხეთში წარმოიშვა მეტალურგია. როდესაც ინდოევროპელი მიკენელები შემოვიდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე, ისინი თავდაპირველად მშვიდობიანად სახლდებოდნენ უძველესი მოსახლეობის გვერდზე და სწავლობდნენ მათგან, მაგრამ მალე დაიწყეს მათი განდევნა. აპოლონიუსი ამბობდა, რომ ჰომეროსი ზევსს „პელასგელს“ უწოდებდა. ბერძენი ისტორიკოსის ეფოროსის მიხედვით (ძვ. წ. მე-4 საუკუნე), დოლიონებს და მაკრონებს სძულდათ ბერძნები (მიკენელები), რადგან მათ მონათესავე პელასგები განდევნეს საბერძნეთიდან. პელასგურ-მინოსული ენა აშკარად არ იყო ინდოევროპული ელინისტური ენა, არამედ „ბარბაროსული“, სიტყვა „ბარბარიკ“-დან, რაც ნიშნავს „საუბარი სისულელეა“ („ბარ ბარ“). ისინი

იეროგლიფურ დამწერლობას იყენებდნენ (ხაზოვანი), რომელიც აღმოაჩინეს, რომ ახლოსაა ეტრუსკულ ხელნაწერებთან, მაგრამ მეცნიერების მიერ გაშიფრული არ არის. 2007 წელს ქართველმა მეცნიერებმა (გია კვაშილავა) მოახერხეს ფესტოსის ხელნაწერის გაშიფრვა, რომელიც თითქოს მსგავსი იყო კოლხური ენისა.

ბუნებრივია, რამდენიმე ერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ არიან პელასგების შთამომავალნი. თურქმა ავტორმა პოლატ კაიამ Polat Kaya, შემოგვთავაზა ლემნოს სტილის ხელნაწერის თარგმანი (პელასგების ხელნაწერი), იმ თეორიაზე დაყრდნობით, რომ ეს ენა ენათესავება თურქულს. მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდოდ ამ ხელნაწერის დროინდელი თურქი ხალხი ცხოვრობდა ციმბირის რეგიონში. ბულგარელი ლინგვისტი გეორგიევი ამტკიცებს, რომ პელასგები არიან ინდოევროპელები და დაკავშირებულნი არიან მეზობელ თრაკიელებთან Thracians. რუმინელი ავტორი ნიკოლაი დენსუსიანუ Densusianu პელასგებს მიიჩნევს პროტოლათინურად მოლაპარაკე ხალხად.

სამწუხაროდ, უძველეს ისტორიულ წყაროებში და ბიბლიაში არ არის სრულად აღწერილი ადამიანის ანთროპოლოგიური ნიშნები, როგორიცაა სიმაღლე, თმის ან თვალის ფერი და სხვა. ეს იწვევს გაუგებრობას. ზოგი თანამედროვე დასავლელი ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ადამის შთამომავლები იყვნენ ფერადი, შავებიც კი. ბიბლია არ აღნიშნავს ნოეს და მისი ვაჟების თეთრკანიანობას. მათ სჯერათ, რომ იაფეტის შთამომავლებიც შავები იყვნენ. ისინი ამბობენ, რომ მინოსელები Minoans იყვნენ ფერადი ხალხი: პრე-ისტორიული ბერძნები არ იყვნენ თეთრები, რადგან ისინი თაყვანს სცემდნენ შავ ღმერთებს (კერპებს). ბერძნები უწოდებდნენ უდიდეს ღმერთს ზევსს „ეთიოპს“, რაც ნიშნავდა „შავი“. ისინი ამბობენ, რომ „შავკანიანი“ ბერძნები იბრძოდნენ „თეთრი“ სპარსეთის გაერთიანებისა (ქსერქსეს-დარიოსის Xerxes-Darius) და მედესის (არიანების) Medes (Arians) წინააღმდეგ. ისინი წერენ, რომ ჰეროდოტე აღნიშნავდა, რომ კოლხები შესაძლოა ყოფილიყვნენ ეგვიპტელები, მათი მუქი კანის ფერისა და ხვეული თმის გამო.

სხვა მახასიათებლები ძალზედ დეტალურადაა აღწერილი, მაგ., ბერძნები ძალზედ გაოცებულნი იყვნენ, რომ სკვითები ცხოვრობდნენ ერთ სახლში საერთო ქალებითა და ბავშვებით და ბოლომდე თვრებოდნენ; სკვითებს სძულდათ ბერძნების ჰომოსექსუალიზმი; ებრაელებს სძულდათ რომაელები, რომლებიც მიირთმევდნენ ღორის ხორცს და ა. შ.

სამწუხაროდ, მინოსელების უნიკალურმა კულტურამ მხოლოდ რამდენიმე საუკუნე გასტანა. ახალი დამპყრობლები, ინდოევროპელი ბერძნები (მიკენ-აქაველები) მოვიდნენ თრაკიიდან და აზიიდან და დასახლდნენ საბერძნეთის ყველა ნაწილში აბორიგენ პელასგების (მინოსელების) მოსახლეობასთან, სადაც მათ ჩამოაყალიბეს სამხედრო ქალაქ-სახელმწიფოები. კელტები მოვიდნენ ევროპაში, არიანები ინდოეთში და აქაველები საბერძნეთში ერთდროულად ძვ. წ. 2000-1800 წწ-ში. „გრძელთმიანი აქაველები“, მიკენის ცივილიზაციის წარმომადგენლები, აღწერა ჰომეროსმა, როგორც ეგვიპტელებმა აღწერეს

ზღვის ხალხები: ქერები, მოგრძო თავის ფორმით, თეთრი კანითა და ცისფერი თვალებით, როგორც კელტები. მიკენელები იყვნენ ინდოევროპელები, არასდროს ენახათ ზღვა და არ იცოდნენ გემთმშენებლობა, იპყრობდნენ მხოლოდ პელასგების მოსახლეობის მიწას, მაგრამ მოგვიანებით მიიღეს ინფორმაცია ზღვით მოგზაურობაზე და დაიწყეს მინოსელების კუნძულების დაპყრობა. ძვ. წ. 1400 წელს მიკენელების ტალღამ დაასრულა კრეტაზე სასახლის ცივილიზაციის არსებობა. ზოგი დასავლელი ავტორი ვარაუდობს, რომ მინოსელების კულტურის დაცემა გამოწვეული იყო ვულკანის ამოფრქვევით ან მიწისძვრით.

მინოსის (კრეტა) განადგურების შემდეგ მიკენელებმა განაგრძეს ზღვით მოგზაურობა ანატოლიისა და შავი ზღვის მიმართულებით.

არგონავტიკა ARGONAUTICA

„არგონავტიკა“ არის ძველ ბერძნული ეპიკური პოემა, რომელიც აპოლონიუს როდოსელმა Apollonius Rhodius დაწერა ძვ. წ. მე-3 საუკუნეში. ის მოგვითხრობს იასონისა Jason და არგონავტების Argonauts (ბერძენი მიკენელები) მოგზაურობაზე ხომალდ „არგო“-თი ძვ. წ. 1200 წელს (ტროას ომამდე რამდენიმე წლით ადრე), რომელთაც უნდა ეპოვნათ კოლხეთში ოქროს საწმისი Golden Fleece, რაც ყველაზე მდიდრული და განვითარებული ცივილიზაციის ნიშანი იყო. მეფე აიეტის Aeëtes (Ayetes) და, პასიფეი Pasiphaë (Passifei) იყო კრეტას დედოფალი, მინოსელი მეფის მეუღლე, აფროდიტესა და ეტრუსკის ნათესავი. ბერძნული კოლონიები უძველესი დროიდანაა ცნობილი შავი ზღვის სანაპიროზე: ფაზისი (დღევანდელი ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი), ანაკოფია (ახალი ათონი) და პიტიუნტი (ბიჭვინთა) Phasis (Poti), Gyenos (Ochamchiré), Dioscurias (Sukhumi), Anakopia (Akhali Atoni), Pityus (Bichvinta).

როდესაც კოლხეთისკენ მიდიოდნენ, გზად ბევრ ცნობილ მიწას ეწვივნენ: მათ ჩაუარეს იმ ადგილს, სადაც პრომეთე Prometheus იყო მიჯაჭვული; ამაზონების Amazons მიწას, შეხვდნენ მებრძოლ ქალებს, რომლებიც ცხოვრობდნენ შავი ზღვის ნაპირზე.

კოლხეთის მეფე აიეტის Aeëtes ქალიშვილს მედეას Medea შეუყვარდა იასონი. მედეას მაგიური ძალა ჰქონდა, დაამარცხა ურჩხული, რომელიც ოქროს საწმისს იცავდა, რადგან თავისი წამლებით მიაძინა ის და იასონმა მოიპოვა ოქროს საწმისი.

მათ დაედევნენ კოლხელები და მედეამ ახლა ძმას უღალატა. ხაფანგი მოუწყო და იასონმა მოკლა მისი ძმა, ის დაანაკუწეს და კუნძულის სხვადასხვა ადგილას დამარხეს. ამგვარად, კოლხები იძულებულნი იყვნენ, მოეძებნათ ეს ნაწილები, რათა თავიანთი მეთაური შესაბამისად დაეკრძალათ.

ოქროს საწმისი არა მარტო მისტიკური ნივთი იყო მითოლოგიაში, არამედ გამოხატავდა კულტურის საგანს. ყველაზე გავრცელებული ინტერპრეტაცია მას უკავშირებს ოქროს მოპოვების მეთოდს. ცხვრის ტყავი ჩაძირული იყო

მდინარეში და მასზე გროვდებოდა ოქროს ნაწილაკები. შემდეგ საწმისი ხეზე შრებოდა და ოქროს ნაწილაკები ან ცვიოდა ან ჩამოივარცხნებოდა. ეს პრაქტიკა დღემდე გამოიყენება სვანეთის მთებში. მაგრამ ქართველი მწერლების (ზ. გამსახურდია და სხვა) თვალსაზრისით, ეზოთერული, კულტურულად დაწინაურებული კოლხების ოქროს საწმისს საკრალური მნიშვნელობა აქვს.

პარადოქსულია, კავკასიოლოგებისთვის ლეგენდის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილი არის არგონავტების უკანა გზა საბერძნეთამდე. რადგან კოლხები გამოედევნენ მათ, ისინი საპირისპირო მიმართულებით გაიქცნენ, კასპიის ზღვისკენ, შემდეგ მდინარე ვოლგის მიმართულებით, ასევე ბალტიის ზღვის, დასავლეთ ევროპის, გიბრალტარის სრუტის და იტალიის გავლით დაბრუნდნენ საბერძნეთში. არგონავტების დაბრუნების რამდენიმე გზა აღწერა მაიკლს ვუდსმა Michel Woods BBC-ის ფილმში „მითების და გმირების ძიებაში“. ყველა მათგანი მიმართული იყო კასპიის ზღვისა და შემდეგ ევროპის რეგიონებისკენ, რაც მალე გახდა ცივილიზაციის წარმოშობის პირველი კერები. ქართველი ავტორების მიხედვით, კოლხებმა ამ მოგზაურობის დროს დატოვეს თავიანთი წევრები და ასეთ ადგილებში აღმოჩენილია კულტურის კერები, როგორიცაა სკანდინავია, საფრანგეთი, ბრიტანეთი, ბასკეთი, ეტრურია, ლიბია, ყველა მათგანის კულტურული განვითარება იმ დროს ერთდროულად დაიწყო.

არგონავტების უკანა გზა BBC-ის დოკუმენტური ფილმის და Wikipedia-ს მიხედვით

მითოლოგიის ეზოთერული და სულიერი ღირებულებების გამო 1430 წელს ოქროს საწმისის ორდენი the Order of the Golden Fleece (ფრანგული: Ordre de la Toison d'Or; გერმანული: Orden vom Goldenen Vlies; იტალიური: Ordine del Toson d'Oro; ესპანური: Orden del Toisón de Oro) დაარსდა ბრიუგეში Bruges ფილიპ ლამაზის ბურგუნდიის ჰერცოგის მიერ Philip the Good, Duke of Burgundy, იბერიელი პორტუგალიელი პრინცესა ინფანტა იზაბელას Infanta Isabella ცოლად შერთვის აღსანიშნავად[1]*. ის იყო და არის ყველაზე*

[1] იმავე 1430 წელს მისმა ჯარებმა შეიპყრეს ჟანა დ'არკი Joan of Arc და გადასცეს ინგლისს, რომელმაც ის სიკვდილით დასაჯა.

პრესტიჟული ორდენი ევროპაში, რომელიც მიენიჭება მხოლოდ სამეფო დინასტიის წარმომადგენლებს. ორდენის რაინდებს უფლება ჰქონდათ თავისი სახელებისთვის თავში დაემატებინათ ტიტული მისი აღმატებულება His/Her Excellency[1]. ორდენის ორი განშტოება არსებობს: ესპანური და ავსტრიული. ორივე შტოს მონარქები იყვნენ და არიან ხუან კარლოს I Juan Carlos I და მისი ვაჟი ფილიპე VI Felipe VI, ესპანეთის მეფეები, და ოტო ფონ ჰაბსბურგი Otto von Habsburg და მისი ვაჟი კარლ ფონ ჰაბსბურგი Karl von Habsburg, ავსტრიის ბოლო იმპერატორის კარლოს I-ის შვილი და შვილიშვილი. რაინდების რაოდენობა შეზღუდულია 30 – 50 წევრით. შუა საუკუნეების ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის თითქმის ყველა მეფე ამ ორდენის წევრი იყო. ჰაბსბურგების ყველა გერბი შეიცავს ოქროს საწმისის (ცხვრის) გამოსახულებას და ყველა ჰაბსბურგი ოფიციალურ სურათებზე გამოსახულია ამ ორდენით, იხ. ფერადი ჩანართები. მათ ენიჭებოდათ უჩვეულო პრივილეგიები სხვა ორდენებთან შედარებით: მონარქები ორდენში გადიოდნენ კონსულტაციას, სანამ ომს დაიწყებდნენ; რაინდებს შორის ყველა დავა ორდენის შესაბამისად უნდა მოგვარებულიყო. ორდენი ექსკლუზიურად კათოლიკური იყო და უმეტესად ჰაბსბურგების სამეფო ოჯახის წარმომადგენლებისათვის. სავსებით უჩვეულოა, რომ კოლხეთის ქართული სამეფოს წარმართული ოქროს საწმისი მიჩნეულ იქნა კათოლიკური ქრისტიანული ორდენის სიმბოლოდ. ესპანეთის, იაპონიის, საუდის არაბეთისა და ევროპელი მეფეების უმეტესობა ამ ორდენის მოქმედი წევრები არიან. 2011 წელს ესპანეთის ხელისუფლებამ ოქროს საწმისის ორდენით დააჯილდოვა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლას სარკოზი, შეიარაღებული ბასკების სეპარატისტულ ჯგუფთან ETA-ს წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერისთვის.

საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ, კორინთელი მეფე იასონს არწმუნებდა, რომ მისი ქალიშვილის გამო მიეტოვებინა მედეა. მედეამ მოკლა თავისი შვილები, რომლებიც იასონთან ჰყავდა. ალტერნატიულად, არსებობს მეორე ვერსიაც, რომ მედეამ მოწამლა საბერძნეთის მეფე და გაიქცა, შვილები კი შურისძიების მიზნით ბერძნებმა მოუკლეს. მაგრამ ტრაგიკული ისტორიის პირველი ვერსიაა აღწერილი ევრიპიდეს Euripides ტრაგედიაში „მედეა“, რომელიც პირველად შესრულდა ძვ. წ. 431 წელს. იმ დროის ევრიპიდეს თანამედროვე ზოგი კრიტიკოსი ბრალს სდებდა მდიდარი კორინთელებისგან Corinthians საჩუქრების მიღებაში, 5 ატიკური ტალანტის, რაც დიდი რაოდენობის ფული იყო, რადგან კორინთელებს არ სურდათ რაიმე ბრალი ჰქონოდათ ბავშვების სიკვდილში.

არგონავტიკის სხვა ვერსიაა წარმოდგენილ ზურაბ კაცელაშვილის წიგნში „ზენაარელი ქალდეველ-ქართველები“, სადაც მის მიერ გადათარგმნილია რომის პაპის ბიბლიოთეკარის და ბასკური ენის დაცვის საზოგადოების წევრის აბატ ლორენსო ჰერვას პანდუროსის ნაშრომი „მსოფლიო ენათა კატალოგი“ (1801) (El Abate Don Lorenzo Hervas, Catalogo de las Lenguas de la Nationes

[1] არსებობს აგრეთვე დანიის მეფის მიერ დაარსებული სპილოს ორდენი, რომელიც აგრეთვე მხოლოდ სამეფო გვარის წარმომადგენლებს ენიჭებათ, მაგრამ ის მხოლოდ 1850 წლიდან არსებობს. სხვა ორდენებიც გაცილებით ახალია.

Conocidas“). კაცელიშვილი წერს, რომ არგონავტების დროინდელი მსოფლიო დაპირისპირების (ტროის ომი) მოლოდინში ბერძნები ცდილობდნენ ძლიერი მოკავშირეების შეძენას. ამ მიზნით ბერძნები ცდილობდნენ ქართველ-კოლხთა თავისკენ გადაბირებას, რაც შესაძლებელი იყო ბერძენთა და ქართველთა ოჯახების დამოყვრებით. სწორედ ამ მიზნით არიან კოლხეთში გამგზავრებულიო ბერძენი გმირები. ტაციტუსის მიხედვით, ბერძნებს კოლხეთში „დიდი თავაზით“ ღებულობენ (Tacite, Annales VI). არგონავტებს საბერძნეთში დაბრუნებისას თან გაჰყვა მედეას ძმა აფსირტე კოლხთა სამხედრო ფლოტით, რომელმაც მხარი უნდა დაუჭიროს ბერძენთა ლაშქრობას. მაგრამ საბერძნეთში ჩასვლისას იასონსა და არგონავტებს ხვდებათ შეცვლილი პოლიტიკური გარემო, რის გამოც ომი რამდენიმე ათეული წლით გადაიდო[1]. როგორც ჩანს, იასონმაც შეიცვალა პოლიტიკური ორიენტაცია და შეეცადა კორინთის მეფის ასულის ხელის თხოვნას მედეასთან ქორწინების გაუქმებით. ამას მოჰყვა საბერძნეთში დაყოვნებული მედეას ძმის უკმაყოფილება, რის გამოც ის ღალატით იქნა იასონისგან მოკლული[2]. ბერძნები ხოცავენ ყველა თანმხლებ კოლხ მეომარს და მედეას შვილებს, როგორც ტახტის კანონიერ მემკვიდრეებს. მედეას უდანაშაულობას ამტკიცებს იგივე ბერძნული ლეგენდები და ისტორიული ფაქტები, რომ იგი შემდგომ ცოლად ითხოვა ათენის მეფე ეგეომ, რასაც ის ვერ გაბედავდა, თუკი მედეა შვილების მკვლელად იქნებოდა აღიარებული.

ჰომეროსი თავის პოემას ასათაურებს ქალაქის არა ბერძნული სახელწოდებით (ილიონი), არამედ მისი ისტორიული სახელით – ტროა. ჰომეროსი მის პოემაში არ იყენებს სიტყვას „ბარბაროსები“, ვინაიდან ის მისთვის იმ დროს უცნობი იყო, ვინაიდან მსოფლიო ჯერ არ იყო მკვეთრად დაყოფილი ბერძნები-არაბერძნები.

მე-18 საუკუნეში კ.ჯ. შპრენგელის K. J. Sprengel მედიცინის კლასიკური ისტორია იწყებს „კურა მედიანით“ (მედეას მიერ მკურნალობა) „Cura Mediana“ და ამით იგი აღიარებს კოლხეთ-იბერიის მედიცინის სიძველეს. არსებობს ვერსია, რომელიც აკავშირებს სიტყვა „მედიცინა“-ს კოლხ მედეასთან, რადგან ის ერთ-ერთი პირველია ისტორიასა და მითოლოგიაში უამრავი სახეობის სამკურნალო მცენარეებისა და საწამლავების ცოდნითა და გამოყენებით.

ცნობილია, რომ როდესაც აპოლონიუსმა დაწერა არგონავტიკის პირველი ვერსია, იგი გაკიცხეს არალოიალურობის გამო და გადაასახლეს შორეულ კუნძულზე (რაც შემდეგ გახდა როდოსი). ქართველი მწერლების მიხედვით, მეორე გამოცემაში კოლხეთის შესახებ ყველა ინფორმაცია ამოღებული იყო და ამის შემდეგ, მაშინვე, ეს პოემა ბესტსელერი გახდა საბერძნეთში.

---

[1] ტროის ომი არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის 70 წლის შემდეგ დაიწყო, რომლის დროსაც ექსპედიციაში მონაწილე 50 ბერძენი გმირიდან მხოლოდ რამდენიმე, საკმაოდ ხანდაზმულ ასაკში, წარმოადგენდა აგამემნოსის სამხედრო მრჩეველს.

[2] ასევე უკმაყოფილო იყო აქილევსი თავისი ბელადების პოლიტიკით და პრინციპულად არ იღებდა მონაწილეობას ტროას ომში, სანამ ტრაგედია არ დატრიალდა, როდესაც მისი ძმისშვილი დაიღუპა.

Jason et Medea by Gustave Moreau (1865).

The Judgment of Paris, Peter Paul Rubens, ca 1636 (National Gallery, London).

ახალ ვერსიაში, არგონავტებს ხელმძღვანელობს არა უცხოელი „ფინიკიელი“ ჰერაკლე, არამედ „უცნობი“ ბერძენი იასონი, რომელსაც თან ახლავს 50 მუნჯი არგონავტი. პირველი ვერსია იყო კოლხეთის შესახებ, მეორე კი არგონავტების. თუ რა ბედი ეწია ოქროს საწმისს საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ, აღნიშნული არ არის, მაგრამ მედეამ დიდი სამსახური გაუწია საბერძნეთის კულტურის განვითარებას. მედიცინა, სოფლის მეურნეობა, ვაზი და სხვა მის სახელს უკავშირდება. არგონავტების ნამდვილი მისია უდავოდ დამალულია. თუმცა დადასტურებულია, რომ არსებობდა რამდენიმე პოემა არგონავტებზე, თუმცა დღემდე მხოლოდ შემოკლებული ვერსია არის ცნობილი. არგონავტიკის ახალმა ვერსიამ აპოლონიუსს საშუალება მისცა, გამხდარიყო ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ძვ. წ. 260-247-წწ-ში, რომელიც ისტორიული წიგნების გადაწერით იყო დაკავებული და მოგვიანებით იდუმალად დაიწვა ცეცხლში ყველა ძველი ორიგინალი ხელნაწერითურთ.

ასე რომ, ჰეროდოტე – ევრიპიდე (კლეპტომანიით დაავადებული) – პლატონი (არისტოტელეს მასწავლებელი) – არისტოტელე (ალექსანდრე დიდის მასწავლებელი) – აპოლონიუს როდოსელი არიან ელინიზმისა და „ახალი“ პოსტიბერიული დასავლეთის მსოფლიო ისტორიის თანამედროვე ვერსიის მამამთავრები.

ტროას ომი TROJAN WAR

არ არსებობს რაიმე სხვა ტექსტი, რომელიც ასეთ ცენტრალურ ადგილს იკავებდეს დასავლურ მენტალიტეტში, როგორც ორი პოემა „ილიადა“ და „ოდისეა“ ტროას ომის შესახებ. „ილიადა Iliad“-ში მოთხრობილია ტროას 10-წლიანი ომის ბოლო 50 დღე, „ოდისეა“„Odyssey“ კი აღწერს ოდისევსის, ერთ-ერთი აქაველი ლიდერის მოგზაურობას ტროას ომის შემდეგ. ითვლება, რომ ტროას ომი დაიწყო ძვ. წ. 1200 წელს, არგონავტების მოგზაურობის შემდეგ

რამდენიმე წელში, სწორედ მაშინ, როდესაც ებრაელები 40 წლის განმავლობაში დახეტიალობდნენ უდაბნოში.

1870 წელს გერმანელმა არქეოლოგმა ჰეინრიხ შლიმანმა Heinrich Schliemann გათხარა ტროა. თუმცა მას არ გადაუცია ძვირფასეულობა (16 000 ოქროს არტეფაქტი!) თურქებისთვის და მალულად წამოიღო, როგორც კონტრაბანდა, მაგრამ იმ დროს არ არსებობდა რაიმე რეგულაციები, რადგან ის იყო პირველი „არქეოლოგი“ და არქეოლოგიის დამფუძნებელი. ბერლინის შტურმის დროს შლიმანის ძვირფასეულობა მოიპარეს 1945 წელს და მოგვიანებით „აღმოაჩინეს“ მოსკოვისა და პეტერბურგის სახელმწიფო მუზეუმებში, მაგრამ უკან არასდროს დაუბრუნებიათ.

პრაქტიკულად, ომში არ იბრძოდნენ „ბერძნები“ კლასიკური გაგებით, არამედ მიკენელ-აქაველები Mycenaeans-Achaeans. საინტერესოა, რომ დიდ ბერძნულ ეპიკურ პოემაში „ილიადა“ შთამბეჭდავად არის გამოხატული ტროელების დამარცხება, მაგრამ აქაველების დიდი გამარჯვება დაფიქ-სირებული არ არის. ამ თვალსაზრისით, ეს არის უნიკალური შემთხვევა. საბერძნეთის ბნელი წლების განმავლობაში, როდესაც დაიკარგა დამწერლობა, ხალხი სიტყვასიტყვით იმახსოვრებდა ჰომეროსის პოემას (პოეზიის 25000 ხაზი) ჩანაწერის გარეშე.

„ილიადა“ ყვება დიდი გმირის აქილევსის Achilles შესახებ ამბავს. ლეგენ-დის ზოგი ვერსიის მიხედვით, აქილევსის დედა იყო კოლხეთის მეფის, აიეტის ერთ-ერთი ცოლი. ასე რომ, იგი მედეას ნახევარძმა იყო. აქილევსის მშობლების ქორწილში ქალღმერთები ჰერა, ათენა და აფროდიტე კამათობდნენ განხეთქილების ვაშლის Apple of Discord გამო (ვინ არის მსოფლიოში ყველაზე ლამაზი?) და ზევსმა ისინი განსასჯელად პარისთან Paris, ტროას Troy პრინცთან გაგზავნა. ქალღმერთები მასთან შიშვლები გამოცხადნენ და სცადეს მოექრთამათ იგი. ათენამ შესთავაზა პარისს დიდი მეომრის შესაძლებლობები, ჰერამ – პოლიტიკური ძალაუფლება და აფროდიტემ კი მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალის სიყვარული. პარისმა ვაშლით აფროდიტე დააჯილდოვა. მოგვიანებით, სპარტაში დიპლომატიური მისიით მყოფ პარისს შეუყვარდა ელენე, სპარტას მეფის მეუღლე, აფროდიტეს დახმარებით მოიტაცა იგი და ჩამოიყვანა ტროაში. არსებობს ვერსია, რომ ეს იყო შურისძიების მიზნით ჩადენილი, რადგან ბერძენმა იასონმა მოიტაცა კოლხეთის პრინცესა მედეა. თავის მხრივ, რამდენიმე ხნის წინ ზევსს შეუყვარდა ევროპა, ფინიკიის მეფის ქალიშვილი. ულამაზესი ევროპა მიუახლოვდა მას, მან მოიტაცა იგი, გადაკვეთა ზღვა აზიიდან ევროპისკენ და მათ ეყოლათ ვაჟი მინოსი.

რათა დაებრუნებინა ელენე, მიკენის (აქაველების) ჯარებმა ალყა შემოარტყეს ტროას ათი წლის განმავლობაში. ქართველი ავტორების მიხედ-ვით, ტროელები იყვნენ იაფეტის (იბერიელი, პელასგელი) ხალხი, რომლებიც ახლოს იყვნენ დაკავშირებულნი კოლხებთან. ილიადაში ჩამოთვლილია ტროას მოკავშირეები: დარდანელები, რომელთაც უძღვოდა ენეასი, ზელეანები, ადრასტეინები, პერკოტიანები, პელასგები, თრაკიელები, კიკონიელი მშვილ-

დოსნები, პაიონიანი მშვილდოსნები, ჰალიძონები, მიზიანები, ფრიგიელები, მეონიანები, მილეთიანები, ლიკიელები Dardanians led by Aeneas, Zeleians, Adrasteians, Percotians, Pelasgians, Thracians, Ciconian spearmen, Paionian archers, Halizones, Mysians, Phrygians, Maeonians, Miletians, Lycians. მათ შორის იყო რამდენიმე ქართული და მასთან დაკავშირებული ტომები. ზოგმა წყარომ აჩვენა, რომ ინდოელი და ეთიოპელი მეფეები გამძვინვარებულ მებრძოლებთან ერთად იბრძოდნენ ტროას მხარეს. მისტიკური გმირებიც კი იყვნენ მოხსენიებულნი, როგორიცაა კენტავრები და ამაზონები.

როდესაც აქილევსი, აქაველების საუკეთესო მეომარი, დაიბადა, ნაწინასწარმეტყველი იყო, რომ იგი ახალგაზრდა დაიღუპებოდა ბრძოლის ველზე და უკდავებას შეიძენდა პოეზიაში. ამიტომ მისი დედა ცდილობდა აქილევსი უკვდავი გაეხადა, როდესაც ის ყრმა იყო. მან ვაჟი დაბანა მიწისქვეშა მდინარეში, ამითი უვნებელს გახდიდა მას, მაგრამ დედას გამორჩა მისი ქუსლი – „აქილევსის ქუსლი“, სუსტი ადგილი. საბოლოოდ ის მოკლეს ისრით, აპოლონის ხელმძღვანელობით, ის კი მიიჩნევა ღმერთად აზიიდან და არა საბერძნეთიდან, რადგან ყველა სურათში აცვია აზიური ფეხსაცმელები და არა ბერძნული სანდლები და ატარებდა აზიურ მშვილდს.

მაგრამ ომი ერთი ოინის გამო დასრულდა. სხვა ბერძენმა „გმირმა“ ოდისევსმა Odysseus (or Ulysses) შექმნა ფუღუროიანი ხის უზარმაზარი ცხენი. ტროელებმა ის ქალაქის შიგნით შეიტანეს. ღამით ჯარისკაცები გადმოვიდნენ ცხენის შიგნიდან და დახოცეს მცველები. ეს მართლაც ლაჩრული საქციელი იყო, მაშინდელი ბრძოლის ეტიკეტისთვის შეუფერებელი.

სირცხვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ დღემდე მოაღწია ლეგენდამ, თითქოს აქაველი ბერძნები არ იყენებდნენ ისრებს და მშვილდოსნებს და იბრძოდნენ მხოლოდ ფალანგებში ჩამწკრივებულნი ხმლებით და შუბებით. ხოლო, ამ ლეგენდის მიხედვით, ტროელებმა აქილევსი ისრით მუხანათურად მოკლეს. მაგრამ პოემიდანაც და არქეოლოგიიდანაც ჩანს, რომ ეტლი ბერძნების ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი იყო და ეტლებით ბრძოლაში საუკეთესო საშუალება მშვილდი და ისრები იყო. ამასთან, ევროპელების (ბერძნების) სამხედრო ტრადიციების სისასტიკე კარგადაა ცნობილი. ევროპელები კლავდნენ ყველას, როდესაც აზიელები (უძველესი სპარსელები, შორეული აღმოსავლეთის – მონღოლებისა და თურქების გარდა) იმონებდნენ ხალხს და ინდოელებმა კი ჩამოაყალიბეს გამარჯვების უფრო დიდებული სიმბოლური ნიშანი, მხოლოდ ეხებოდნენ მტერს.

თუმცა გენეტიკურად განსხვავებული ხალხები – იბერიელი ტროელები და ინდოევროპელი ბერძნები, ორივე ემსახურებოდა ერთ ღმერთს (ღმერთების ოლიმპიური და ანატოლიის პანთეონი): ტროას მხარეს, აპოლონი, ბერძნების მხარეს – ათენა და სხვები. ტროას დაცემის შემდეგ ყველა ღმერთი განრისხებული იყო მათი ტაძრების დანგრევისა და ხალხის განადგურების გამო და გადაწყვიტეს, რომ აქაველების უმეტესობა ვერ დაბრუნდებოდა სახლში. უკან მიმავალ ფლოტს შტორმი დაატყდა თავს და ბევრი გემის დაიღუპა.

ისტორიულად, ტროაზე „გამარჯვების“ შემდეგ ერთი თაობის მანძილზე ყველა მიკენელი სრულიად განადგურებული იყო „ახალი“ დამპყრობლების, ასევე ინდოევროპელი დორიელების მიერ Dorians. როდესაც ალექსანდრე მაკედონელი თითქმის ათასი წლის შემდეგ დაბრუნდა ტროაში (ჰელესპონტი ან დარდანელი Hellespont or Dardanelles) ძვ. წ. 344 წელს, მან ღმერთს მსხვერპლი შესწირა, რადგან თავს დამნაშავედ გრძნობდა, რომ მისმა წინაპარმა აქილევსმა მოკლა ტროას მეფე.

ჰომეროსის მეორე დიდებულ პოემაში – „ოდისეა“ მოთხრობილია ტროას ომის შემდეგ ოდისევსის შინ დაბრუნების 10-წლიანი მოგზაურობა, როცა უამრავი სახიფათო თავგადასავალი გადახდა, მისი ერთგული ცოლი პენელოპე კი ელოდებოდა. აქილევსისგან განსხვავებით, ოდისევსი არ არის ცნობილი თავისი უდიდესი ძალითა და სიმამაცით, არამედ მოტყუების უნარითა და ოინებით. ტროას ცხენი ოდისევსის იდეა იყო. მიკენელები ღმერთისგან დაწყევლილები იყვნენ. მხოლოდ უმცირესობამ მიაგნო სახლს. დაბრუნების შემდეგ აგამემნონი მალევე მოკლა მისი ცოლის საყვარელმა.

ამ მოგზაურობასა და ტროას ომს რომაულ ისტორიაში აქვს გაგრძელება. შუა საუკუნეების ყველა წყარო ადასტურებს, რომ ტროას დანგრევის შემდეგ მათი გმირები წავიდნენ დასავლეთში და დასახლდნენ ადრიატიკის ნაპირებზე, ლათინების მიწაზე, ვენეციაში და სხვა.

რომაულ ეპიკურ პოემაში „ენეიდა“ Aeneid, რომელიც დაწერა ვირგილიუსმა Virgil ძვ. წ. 30-19 წწ-ში, აღწერილია დარდანიანების ლიდერი ენეასი Aeneas, რომელიც ტროას დამცველების ნაწილთან ერთად გაიქცა ქალაქიდან და დასახლდა მდინარე ტიბრის შესართავთან, იტალიაში. ენეასმა ცოლად შეირთო ადგილობრივი მეფის ქალიშვილი და მათმა შთამომავლებმა რომულუსმა და რემუსმა 3-4 საუკუნის შემდეგ, რომაული მითის მიხედვით, დააარსეს რომი ძვ. წ. მე-8 საუკუნეში, ამგვარად, ენეასი (ტროელები) გახდნენ რომაელი ხალხის წინაპრები.

ენეიდა ჩაფიქრებული იყო, როგორც რომაული ეროვნული ეპიკა და ისწავლებოდა ყველა სკოლაში. ვირგილიუსის ლეგენდაში ამაღლებულ რომს

ტროას ცხენი

ენეასი Aeneas ტოვებს ტროას,
Federico Barocci, 1598 Galleria Borghese, Rome

გააჩნია უმაღლესი მორალი მატყუარა საბერძნეთთან შედარებით. ლათინები ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ ბერძნებს არ შეეძლოთ ნამდვილი ომის მოგება. ენეასი აფრთხილებდა ყველა შემდგომ კაცობრიობას: „Timeo Danaos et dona ferentis“ „გეშინოდეთ ბერძნების (დანაელების), რომლებიც საჩუქარს მოგართმევთ“. თუმცა ხელოვნებასა და მოქანდაკეობაში (რაც გადმოღებული იყო ანატოლიის ცივილიზაციისგან) ბერძნები მიჩნეულნი არიან რომაელებზე უმაღლესებად. ბერძნების ჰომოსექსუალიზმი ყოველთვის იყო რომაელების დაცინვის საგანი.

რომაული იულიუსების ოჯახის წარმოშობა სათავეს იღებს ენეასისგან. ვირგილიუსმა თავად წაიკითხა თავები „ენეიდადან“ ცეზარისთვის, როდესაც გემით მოგზაურობდა საბერძნეთიდან იტალიის მიმართულებით. იულიუს კეისარს სჯეროდა, რომ მისი წინაპარი იყო ენეასი და ზრუნავდა ტროაზე. ილიონი Ilion ტროას Troy მეორე სახელი იყო და სწორედ ამიტომ დაირქვა მან სახელი იულიუსი (ილიუს) Julius (Ilius). ჰორაციო Horace „ოდა“-ში Ode“ (აქედან წარმოიშვა სიტყვა „ოდა, საქებარი პოემა“) წერდა კეისრის განზრახვაზე, რომ გადაეტანა რომის დედაქალაქი ტროასთან მცირე აზიაში. ეს განზრახვა აღასრულა კონსტანტინემ, როდესაც დააარსა კონსტანტინოპოლი უძველეს ტროასთან ახლოს.

სტატია „უძველესი ეტრუსკები იყვნენ ანატოლიიდან ემიგრანტები“-ს მიხედვით, „საიენს დეილი“ Science Daily (2007 წლის 18 ივნისი), „ხანგრძლივი დისკუსია ეტრუსკი ხალხის წარმოშობის შესახებ ძალზედ ახლოსაა დასასრულთან. ადამიანის გენეტიკის ევროპული საზოგადოების ყოველწლიურ კონფერენციაზე პროფესორი ალბერტო პიაცა Alberto Piazza, ტურინის იტალიის უნივერსიტეტიდან, იუწყება, რომ არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომ ეტრუსკები, რომელთა ბრწყინვალე ცივილიზაცია აყვავდა 3000 წლის წინ და ახლა შემორჩენილია ტოსკანაში Tuscany, იყვნენ ძველი ანატოლიის შთამომავლები“. ასე რომ, შესაძლოა ენეასი გაემგზავრა იმ ადგილას, სადაც შეხვდნენ მონათესავე (ეტრუსკ) ტომს. ჰეროდოტე წერდა, რომ ეტრუსკები წამოვიდნენ მიგრანტებად ლიდიის Lydia უძველესი რეგიონიდან, მცირე აზიიდან, ხანგრძლივი შიმშილობის გამო. ლტოლვილები გაემგზავრნენ, რომ სადმე უკეთესი ცხოვრება ეპოვათ, ამბობდა ის, და ზღვით წამოვიდნენ სმირნადან (ახლა იზმირი) Smyrna (now Izmir), სანამ არ მიაღწიეს უმბრიას Umbria იტალიაში.

ტროელები, როგორც გმირი წინაპრები, მოხსენიებულნი იყვნენ არა მარტო რომაელებში, არამედ დასავლეთის რამდენიმე ერის მატიანეში, როგორიცაა გალია, ოსტგოთები, ფრანკები, ველები, ბრიტები, ტიუდორების დინასტია, Galia, Ostgoths, Franks, Wells, Britts, Tudors სხვა. ბრიტანეთის ლეგენდარული მეფეების წარმომავლობა მომდინარეობს ენეასის შვილიშვილის, ბრუტუსისგან Brutus. ბევრი ერი: ბასკები, ირლანდიელები, თურქებიც კი,

ჩრდილოეთ აფრიკელები და სხვები იჩემებენ, რომ ენეასი იყო მათი წინაპარი. ტრადიციულად, რომაელები, რომლებიც თავს მიიჩნევდნენ ტროას პრინცის ენეასის შთამომავლებად, ოდისევსს Ulysses თვლიდნენ უსინდისო მატყუარად. ვირგილიუსის ენეადაში ოდისევსი მუდმივად მოხსენიებულია, როგორც „ვერაგი ან მატყუარა ოდისევსი“, ამით დისტანცირებული იყვნენ ბერძნული ცივილიზაციისგან. პირიქით, არისტოტელეს მიერ აღზრდილ ალექსანდრე მაკედონელს სჯეროდა, რომ იყო აქილევსის შთამომავალი და ჰომეროსის ილიადას ყოველთვის ბალიშის ქვეშ ინახავდა.

საინტერესოა, ვირგილიუსის მომდევნო უდიდესი პოემა იყო „გეორგიკა“ Georgics, დიდი მოცულობის სახელმძღვანელო რჩევებით ოთხ სასოფლო-სამეურნეო სფეროში: პურის მოშენება, მევენახეობა, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა – მთავარი დარგები მცირე აზიაში, და მას არ აღუნიშნავს არც ერთი სიტყვით მეთევზეობის, ღორისა და წიწილების მოშენებაზე, რაც პოპულარული იყო საბერძნეთსა და რომში.

დასავლეთ-აღმოსავლეთის (საბერძნეთ-სპარსეთის) ომების ეპოქა

ძვ. წ. 1200 წელს მიკენელების „გამარჯვებები“-დან რამდენიმე წელში: მინოსელების განადგურება, ოქროს საწმისის მოპარვა და ტროელების მოტყუებით დამარცხება, სასტიკი დორიელების, ბარბაროსი ინდოევროპელი არიანი ტომების ახალმა ტალღამ ჩამოიქროლა ჩრდილოეთიდან და მიკენის ყველა ქალაქი განადგურდა. ბნელი საუკუნეები დაიწყო პელოპონესის ნახევარკუნძულზე. დორიელებისთვის, მიკენელების მონათესავე ტომისთვის, ვითომდა ეს უმიზეზო სისასტიკე (უბრალოდ შემოდიოდნენ ქალაქებში და სოფლებში და ყველას კლავდნენ, იმდენაად, რამდენადაც არც ერთი ადამიანი არ შემორჩა, ვინც იცოდა მიკენელების დამწერლობა და ცივილიზაციის სხვა ნიშნები), შეიძლება აიხსნას მათი მოკავშირეების, ზღვის ხალხების, შურისძიებით. რომლებიც ამ დროს მტრებს სხვა მიმართულებით, ანატოლიაში, პალესტინაში და ეგვიპტეში, ებრძოდნენ. დამწერლობა, ანბანი, წერა-კითხვა, სამოქალაქო ცივილიზაცია დაკარგული იყო. ბერძნული ცივილიზაცია ბნელ წლებში გადაეშვა, გახდა არაურბანიზებული ტომი და მიკენელები გაუჩინარდნენ ისტორიიდან. მათი დამწერლობის (B lineal) ენა ახლა გაშიფრულია, რომელიც მივიწყებული იყო. დამწერლობის გარეშე, არანაირი ისტორია არ არსებობს იდუმალი 5 საუკუნის მანძილზე 1200 წლიდან 750 წლამდე.

ამ პერიოდში დორიელებმა ერთადერთი რამ ისწავლეს – ბერძნულად საუბარი, მაგრამ ამას მოჰყვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოვლენა, რამაც შემდგომ შეიძინა ევროპის ცივილიზაციისათვის ისტორიული მნიშვნელობა. დორიანები იმდენად განუვითარებელი იყვნენ, რომ ვერ აღადგინეს ძველი ბერძნული (მიკენის) დამწერლობა და უფრო ადვილად აითვისეს ფინიკიელების მარტივი ანბანი. ამით ბერძნებმა მიიღეს დამწერლობა, რომელიც შეიძლებოდა

ადვილად და სწრაფად შესრულებულიყო, როცა სპარსული და სხვა ენები დასაწერად ძალზედ რთული გახლდათ. აღმოჩნდა, რომ ანბანით ბერძნებმა შეიძინეს დიდი მოცულობის მოთხრობებისა და ისტორიების, რომელიც მათ ცხოვრებაში ხდებოდა, აღწერის შესაძლებლობა. ეს მწერლები გახდნენ ისტორიკოსები, არა მარტო თავიანთი ქვეყნის, არამედ მათ ირგვლივ ყველა ერისა. ყველა სხვა მოსახლეობის ჩანაწერები თითქმის მთლიანად უგულებელყოფილი და დავიწყებული იყო. ახლა ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ამ მწერლების მიერ დაწერილმა ისტორიებმა კაცობრიობაზე უფრო დიდი გავლენა მოახდინა, ვიდრე მოვლენებმა.

ბერძნები, ისევე როგორც ქართველები, შესაძლოა ყოფილიყვნენ სხვადასხვა ტომის, სხვადასხვა სახელებითა და ენით, მაგრამ, ვისაც ესმოდა საერთო ბერძნული ენა (დანარჩენები იყვნენ ბარბაროსები), ჰქონდა ერთი და იგივე რელიგია და ღმერთები, თავიანთ თავს უწოდეს – ელინები Hellenes, ანუ ბერძნები. პირველი ოლიმპიური თამაშები დაიწყო ძვ. წ. 776 წელს იმ მიზნით, რომ 4 წელიწადში ერთხელ მაინც ელინებს დროებით შეეწყვიტათ სასტიკი ომები ერთმანეთში. მხოლოდ 1976 წელს საბერძნეთის მთავრობამ საბოლოოდ გამოსცა ბრძანება, რომ თანამედროვე ბერძნული ყოფილიყო ოფიციალური ენა, რადგან კლასიკური ბერძნული, რომელიც სკოლებში ისწავლებოდა, ძალზედ განსხვავებული იყო იმისგან, რომელზეც საუბრობდნენ. ისევე, როგორც კასტილიის დიალექტი მიიღეს ბრძანებით, როგორც ოფიციალური ესპანური ენა და ასევე ტოსკანების დიალექტი გახდა იტალიური ენა. თანამედროვე გერმანულის მსგავსად, დაფუძნებული იყო მარტინ ლუთერის ბიბლიის თარგმანზე, საქსების პროტესტანტულ გერმანულ ენაზე. საქართველოს სხვადასხვა რეგიონიც გაერთიანებულია ქართული ბიბლიით და ღვთისმასხურობის ენით.

სპარსეთის მეფეები:
კიროს დიდი ძვ. წ. 550-530 წწ. (ებრაელების განმათავისუფლებელი)
კამბესი ძვ. წ. 530-522 წწ. (ეგვიპტის დამპყრობელი)
დარიოს I ძვ. წ. 522-486 წწ. (ინდოეთის დამპყრობელი)
ქსერქსე I ძვ. წ. 486-465 წწ. (სპარტას ომი)
დარიოს III ძვ. წ. 336-330 წწ. (დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელმა)

Cyrus the Great 550-530BC (Liberator of Jews)
Cambyses 530-522BC (Conqueror of Egypt)
Darius I 522-486BC (Conqueror of India)
Xerxes I 486-465BC (Spartan War)
Darius III 336-330 BC (defeated by Alexander Macedonian)

აზიაში იმ დროს ასურეთის მეფემ სარგონ II-მ შეტევა განახორციელა ისრაელზე, აიღო მისი დედაქალაქი სამარია (ძვ. წ. 722 წელს) და გადაასახლა ისრაელის ათი ტომი Ten Tribes ტყვეობაში ასურეთში, სადაც ისინი შეერივნენ

ადგილობრივებს და გაქრნენ ისტორიიდან. სარგონის ვაჟის ლაშქრობა იუდეას დარჩენილ ნაწილზე წარუმატებელი აღმოჩნდა ან ასურეთის ჯარში გავრცელებული ჭირის, ან ბაბილონში აჯანყების გამო.

ძვ. წ. 612 წელს შეიცვალა პოლიტიკური მდგომარეობა, როდესაც ბაბილონი (ჩრდილოეთ ირანის მიდიასთან გაერთიანებული) გახდა საკმაოდ წარმატებული, შეუტია ასურეთის დედაქალაქ ნინევიას Nineveh და სრულად გაანადგურა ის. ასურეთის Assyria იმპერია გაიყო – მიდიას წილი იყო თვითონ ასურეთი, ხოლო ბაბილონმა მიიღო ევფრატის ველი, სირია და იუდეა, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა. ახლა ბაბილონმა სცადა იუდეას დამორჩილება და ნაბუქოდონოსორმა Nebuchadnezzar მის დასაპყრობად თავისი დაცვის უფროსი მიავლინა, რომელმაც გაუთვალისწინებელი სისასტიკე გამოავლინა და დაანგრია იერუსალიმი ძვ. წ. 586 წელს, გადაწვა ტაძარი და იუდეველი ებრაელები ტყვეობაში წაიყვანა საუკუნენახევარში ისრაელის კატასტროფიდან.

მაგრამ მოხდა სასწაული და პოლიტიკური სიტუაცია კიდევ ერთხელ შეიცვალა ძვ. წ. 550 წელს – სპარსეთი გაერთიანდა მეზობელ მიდიასთან[1] აქამენიდელი Achaemenid კიროს დიდის Cyrus the Great ხელმძღვანელობით და ძვ. წ. 539 წელს კიროსი შევიდა ბაბილონის სამეფო ქალაქში. მალევე მან ნება დართო ებრაელებს, რომლებიც ბაბილონში იყვნენ გადმოსახლებული, დაბრუნებულიყვნენ იუდეაში, რათა აღედგინათ დანგრეული ტაძარი. კიროსის ვაჟმა და მემკვიდრემ კამბესმა Cambyses (ძვ. წ. 530-522 წწ.) განაგრძო ლაშქრობა, მიადგა ეგვიპტეს და ბოლო მოუღო ფარაონების ხანგრძლივ მმართველობას, ერთ დროს თვითონაც იყო ფარაონი.

შესაბამისად, კამბესის ვაჟი, დარიოს I Darius (ძვ. წ. 522-486 წწ.) მართავდა მთელ სპარსეთის იმპერიას, უდიდესს და უმდიდრესს, რაც კი მსოფლიოს უნახავს, ეგვიპტიდან ინდოეთამდე, რამაც 2 საუკუნე გასტანა, სანამ ძვ. წ. 330 წელს ალექსანდრე დიდმა დაიპყრო. თუმცა ინდოეთი ალექსანდრემ მაინც ვერ დაიპყრო, რაც სპარსელებმა 2 საუკუნით ადრე შესძლეს. დარიოსმა (და არა ბერძნებმა) გაიყვანეს ქვაფენილის გზები მთელ იმპერიაში, სადაც განლაგებული იყო მგზავრობისათვის მზადმყოფი ცხენები – პირველი საფოსტო სამსახური. მან გამოუშვა ცნობილი „დარი“ „Dari“, მოჭრილი მონეტა, რომელიც გათხრების დროს უამრავი რაოდენობით მთელ აზიაში მოიპოვება, რომელიც ლიდიელებისგან Lidia, პირველი მონეტების მჭრელი ქვეყნისგან გადმოიღო. სპარსეთის იმპერიის დიდებულება აღტაცებას იწვევდა ბერძენ პოეტებში, მაგრამ, არა ბერძენ ისტორიკოსებში. სპარსეთი აგებდა გზებს, ქალაქებს, ქმნიდა საფოსტო მომსახურებას, ადმინისტრაციას და სხვა. ის ისეთი მდიდარი და ტოლერანტული იყო, რომ ყველა მონა გაათავისუფლეს (არა მარტო ებრაელები) და ბევრი მათგანი კი დარჩა. არავის

[1] ქართული კავკასიური სამეფოები, მიდიელების მეზობლები და ნათესავები, პირველად იმ დროს გახდნენ აქამენიდი კიროსის სპარსეთის იმპერიის ნაწილი.

სურდა თავის მშიერ ქვეყანაში დაბრუნება. მიდიელები იყვნენ მონოთეისტური ზაროასტრიანები და მისდევდნენ მაზდაიზმსა და მაგიანიზმს Zoroastrianism (Zarathustraism, Mazdaism, Magianism). მათი მღვდელმსახურები იყვნენ „მაგები“ Magi. სპარსელები აგრეთვე მისდევდნენ მანიქეიზმს, მანდეიზმს და მითრაიზმს Manichaeism, Mandaeism, Mithraism.

მაგრამ ბერძნები ყველაზე მოუსვენარი ხალხი აღმოჩნდა, ისინი ყოველთვის კამათობდნენ და იბრძოდნენ. მხოლოდ პატარა საბერძნეთი ბედავდა წინააღმდეგობა გაეწია. უზარმაზარი სპარსეთის იმპერიისთვის. ძვ. წ. 500 წელს იონელმა Ionian ბერძნებმა, რომლებიც მცირე აზიაში ცხოვრობდნენ, გადაწყვიტეს, გადაეგდოთ სპარსეთის ბატონობა. ათენმა 20 საბრძოლო გემი გაგზავნა ეფესოში, რათა მხარი დაეჭირა აჯანყებისთვის. დარიოსმა მყისიერად შეძლო იონიის ქალაქების (მცირე აზიის საბერძნეთი) დაშოშმინება, მაგრამ გაღიზიანებული იყო იონიის ბერძნებისადმი ათენელების დახმარების გამო და განიზრახა ევროპულ ნაპირზე ათენის განადგურება. მან უბრძანა მონას, რათა დღეში სამჯერ, ყველა ჭამამდე, დაეძახა: „თქვენო უდიდებულესობავ, გახსოვდეთ ათენელები!“ ძვ. წ. 490 წელს 10 000 სპარსელით დატვირთულმა ფლოტმა (ათენის მოსახლეობის სრული რაოდენობის შესაბამისი) ღუზა ჩაუშვა მარათონთან Marathon ახლოს. ახლად გაელინიზებული მაკედონია Macedonia დანებდა სპარსეთს, მაგრამ ათენელებმა უარი განაცხადეს, ხოლო სპარტელები უფრო შორსაც წავიდნენ და მოკლეს სპარსეთის დესპანი. ამ კრიზისის დროს ათენელებმა მიმართეს თავიანთ მტრებს სპარტელებს საერთო მტრის წინააღმდეგ დასახმარებლად. ჰეროდოტე იუწყება, რომ სპარტელები სიმპათიით იყვნენ განწყობილი, ებრძოლათ მათი საერთო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ მათი რელიგიური რიტუალის გამო სავსე მთვარის დროს ლაშქრობა არ შეეძლოთ. ასე რომ, ათენელებს მარტო უწევდათ ბრძოლა. ათენელმა მეთაურმა მილტიადემ Miltiades 10 000 ბერძენი მეომრის ფალანგის ფორმირებით შეუტია სპარსელებს და დაამარცხა ისინი, მაგრამ უკან გამგზავრების მაგივრად, სპარსეთის გემები ათენისკენ გაეშურა, რომელიც დაუცველად იყო დატოვებული. მილტიადემ მაცნე გაგზავნა, რომელიც, რაც შეეძლო სწრაფად მირბოდა, რათა გაეფრთხილებინა ათენელები. ეს იყო ცნობილი მარათონის გარბენი. საბოლოოდ სპარტელები მოვიდნენ დასახმარებლად, მაგრამ ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო. რათა დაეჯერებინათ ათენელების გამარჯვება, ისინი ბრძოლის ველს მარათონზე ეწვივნენ. მათ გასაოცრად, მართლაც, ათენელებმა დაამარცხეს დასავლეთ მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილი იმპერია. საბერძნეთი გადარჩა – მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით. მხოლოდ ათი წელი აშორებდა მარათონის ბრძოლას თერმოპილეს Thermopylae ბრძოლისგან.

ბერძნების წარმატების საიდუმლო ის იყო, რომ აზიის იმპერიები იყვნენ თვითკმაყოფილი, ტრადიციული და უძრავნი. ბერძნები კი საპირისპიროდ იქცეოდნენ, ყოველთვის რაიმე სიახლეს ეძებდნენ, იქ ყოველთვის ყველაფერი იცვლებოდა, ახალ იდეებს ცდიდნენ, არასდროს იყვნენ კმაყოფილები, არ ისვენებდნენ, თავიანთ ლიდერებსაც კი არ ზოგავდნენ. მილტიადესაც კი,

სპარსეთის ომის გმირს, უზურპაციაში დასდეს ბრალი და გადაასახლეს. აზროვნების მოუსვენრობამ მოიტანა გამოგონებები და ექსპერიმენტები, განხილვები და არგუმენტები. ათენში დემოკრატიული მმართველობა იყო, „ხალხის კანონებით“, ერთი მეფის, დრაკონის Draco, გამოკლებით და დღემდე შემორჩა გამოთქმა „დრაკონული“ Draconian, ანუ სასტიკი, უკანონო. არგუმენტებით აზროვნებას ეწოდება ფილოსოფია. ისინი ქანდაკებებში გამოსახავდნენ სილამაზეს, როგორიცაა აკროპოლისი, ცხოვრების რეალურ სახეს, არ ქმნიდნენ მისტიკურ სახეებს. მათ გამოიგონეს რაღაც ახალი: თეატრი, კომედია. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე Herodotus, რომელიც მოგზაურობდა სპარსეთის იმპერიაში, აგროვებდა მასალას თავისი „ისტორიისთვის“ History და იგი აღნიშნავს, თუ რატომ არ იღებდნენ დემოკრატიას სპარსელები ისევე, როგორც ბერძნები. მას მოჰყავს არისტოტელეს სიტყვები, რომ აზიელი ხალხი „ბუნებით არიან, როგორც მონები“, და ეს დემოკრატიისთვის შეუფერებელი იყო, რომ ისინი „არ ირჩევდნენ თავიანთი სახელმწიფოს მეთაურს თავად“. ჰიპოკრატე წერდა, რომ ევროპელები არიან მამაცი, მებრძოლი და აგრესიულნი, აზიელები კი ბრძენი, განათლებული და მშვიდნი, აპათიურიც კი. ევროპელები აფასებდნენ თავისუფლებას და მზად იყვნენ, ებრძოლათ და მომკვდარიყვნენ ამისთვის, აზიელები ნაკლებად ეწინააღმდეგებოდნენ დესპოტიზმს ან დამონებას, თუკი მინიმალური შრომის და ცხოვრების შესაძლებლობით უზრუნველყოფილი იყვნენ.

ყველა მეზობელი ტომი მოხიბლული იყო ბერძნული კულტურით. პელოპონესში შემოჭრილი ყველა ძალა საბოლოოდ ღებულობდა ბერძნულ ენას, კულტურას, და არსებითად, ბერძნული ხდებოდა. სპარტელები იყვნენ დორიელები და საბერძნეთში მოვიდნენ დაახლოებით ძვ. წ. 1100 წელს. ძვ. წ. მე-5 საუკუნეში სპარტა და ათენი პელოპონესის ხანგრძლივ ომებში იყვნენ ჩართული. მთელი ქვეყანა დანგრეული იყო. მაგრამ სპარტა თანდათანობით ელინიზდებოდა და გახდა საბერძნეთის ბრძოლის სიმბოლო. ცნობილმა მათემატიკოსმა პითაგორამ Pythagoras იშუამდგომლა სპარტასთან მშვიდობის დამყარება და გაერთიანებაზე მოლაპარაკება, რასაც ჩვენ ახლა პოლიტიკას ვეძახით. ამ დროს მაკედონია იწყებდა ელინიზებას, იყო ძალზედ პატარა და სუსტი, რომ რაიმე როლი ეთამაშა ისტორიაში.

480 წელს დარიოსის ვაჟმა ქსერქსემ Xerxes (ძვ. წ. 486-465 წწ.) შეკრიბა კოლოსალური კოსმოპოლიტური არმია სპარსეთის, მედესის, ჰირკანიის, ასურეთის, ბაქტრიის, პართელების, ხორაზმელების, სციტია საკაების, ინდოელების, პარიკანიების, ბაქტრიელების, არაბების, ეთიოპიელების, ლიბიელების, პაფლაგონიელების, ლიგიანების, მათიენის, მარიანდინიანის, სირიელების, ფრიგიელების, ლიდიელების, თრაკიელების, პისიდების, კაბალების, მოსხების, ტიბარენების, მაკრონების და მოსინოკესების (უძველესი პროტოქართული ტომები) შემადგენლობით Persians, Medes, Hyrcanians, Assyrians,

Bactrians, Parthians, Chorasmians, Scythian Sacae, Indians, Paricanians, Pactyans, Arabs, Ethiopians, Libyans, Paphlagonians, Ligyans, Matieni, Mariandynians, Syrians, Phrygians, Lydians, Thracians, Pysidians, Cabalians, Moschians, Tibareni, Macrone and Mossynoeci.

ამ ჯარის საწინააღმდეგოდ სპარტელები წავიდნენ თერმოფილესკენ Thermopylae, რადგან ებრძოლათ რაც შეიძლებოდა შორს, რადგან მათი ქალაქები უნიკალური იყვნენ იმით, რომ არ ჰქონდათ კედლები (ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ვერავინ გაბედავდა მათზე თავდასხმას). საბერძნეთის ძალა რადიკალურად მცირე იყო: 300 სპარტელი, 80 მიკენელი, 500 თეგეანი, 500 თესალიელი და ა.შ., ჯამში დაახლოებით 4900 კაცი. სპარტას მეფე ლეონიდასმა Leonidas (თუმცა სპარტას არ ჰქონდა ნამდვილი მეფობა) აარჩია 300 მეომარი: ყველა იყო შუახნის შვილიანი მამაკაცი. მან ისინი ფაქტიურად სასიკვდილოდ გაწირა ყოველგვარი ფილოსოფიური ახსნების გარეშე. ლეონიდასი და მისი სპარტელები გაწვრთნილნი იყვნენ, რომ შეესრულებინათ თავისი მოვალეობა, და ლეონიდასი დარწმუნებული იყო, რომ მათი საბოლოო მოვალეობა სიკვდილი იყო. ბერძნების ბანაკში გაგზავნილი სპარსელი მზვერავები საკმაოდ განცვიფრებული იყვნენ – სპარტელები შიშველი ვარჯიშობდნენ ან მშვიდად ივარცხნიდნენ თმას. ეს სპარტელების საერთო ჩვევა იყო, რომ სიცოცხლესთვის საფრთხის წინაშე თმებს იწესრიგებდნენ. როდესაც მათ შეუთვალეს, რომ სპარსელების ისრებით მზე დაიმალებოდა, მათ უპასუხეს, რომ მით უკეთესი, ისინი ჩრდილში იომებდნენ.

ლეონიდასი, თავის 300 სპარტელთან და 700 თესალიელთან ერთად, დაიხოცნენ ბრძოლის ველზე. ფაქტობრივად, სპარტელებმა ვერც კი შეანელეს ქსერქსეს წინსვლა და ათენი მალე დამარცხდა, მაგრამ კიდევ ერთხელ, მნიშვნელოვანი არ არის, თუ რა მოხდა სინამდვილეში, არამედ თუ რა გავლენა იქონია ამ ამბავმა მომავალზე. პარადოქსია, რომ ბერძნული სახელმწიფოებისგან ყველაზე დესპოტური ქვეყანა სპარტა გახდა საბერძნეთის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო. ყველაფერი რაც საბერძნეთს დიდებულს გახდიდა, მეცნიერება, ხელოვნება, პოეზია, დრამა, ფილოსოფია, სპარტასთვის უცხო იყო. სპარტაში ადამიანი მთლიანად დაქვემდებარებული იყო კოლექტივზე. იქაური უფროსები წყვეტდნენ, თუ რომელ ბავშვს უნდა ეცოცხლა და რომელი მომკვდარიყო, ბიჭებს 7 წლის ასაკში სამხედრო სამსახურში გზავნიდნენ, სპარტელი კაცები ბარაკებში ცხოვრობდნენ, ცოლებისგან მოშორებით, ისინი საერთო მაგიდაზე ჭამდნენ, მიწას თანაბრად იყოფდნენ, თითქმის კომუნისტური სტილით და აკრძალული ჰქონდათ რაიმე უსაგნო ხელოვნებით დაკავებულიყვნენ. დორიელი სპარტელები თვითონ იყვნენ ჩრდილოეთიდან შემოსეული დამპყრობლები აზიიდან და ათენელების სასტიკი მტრები და მხოლოდ იმ დროს იყვნენ ათენელებთან დაზავებული. ლაკონიაზე Laconia თავდასხმამდე, მაკედონელებმა მუქარის შეტყობინება გაუგზავნეს, რომ თუ გაიმარჯვებდნენ, ყველას გაანადგურებდნენ. პასუხი „ლაკონური“ იყო: „თუ“.

როგორც ბერძნების მტერი, მაკედონია, დაარსებული ძვ. წ. 540-498 წწ., ცდილობდა დაემყარებინა კარგი ურთიერთობა თავისი მტრის მტერთან სპარსეთთან და ისტორია საპირისპირო მიმართულებით წავიდოდა, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა, როდესაც სპარსელი დიპლომატები დათვრნენ და განიზრახეს მაკედონიელი ქალებისთვის შეურაცხყოფის მიყენება. მაკედონელმა პრინცებმა მაშინვე მაგიდასთან 7 სტუმარი მოკლეს. მაკედონიის მეფეს ამან არჩევანი გააკეთებინა და გახდა „აზიელი ბარბაროსების“ მოსისხლე მტერი. მაკედონელებმა დაიწყეს ბერძნულ ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება. მათ აირჩიეს არისტოტელე, მაკედონიის მეფის ვაჟისა და მემკვიდრის, ალექსანდრე დიდის მასწავლებლად.

მეფე ფილიპ II-ს (ძვ. წ. 359-336 წწ.) სიკვდილის შემდეგ ალექსანდრე გახდა მეფე ძვ. წ. 336 წელს 20 წლის ასაკში და რამდენიმე წლის განმავლობაში, დაიპყრო ყველა ცნობილი ქვეყანა. მომდევნო 300 წლის მანძილზე ბერძნები მსოფლიო ცივილიზაციის ფლაგმანები იყვნენ. ძვ. წ. 334 წელს ალექსანდრე აზიის მიმართულებით წავიდა. როდესაც მან მიაღწია აზიის ერთ-ერთ ქალაქს დელეგაციამ ალექსანდრეს სთხოვა წინასწარ დაპირებას, რომ მათ მოთხოვნებს არ შეასრულებდა. შემდეგ მათი მოთხოვნა იყო „ქალაქის დარბევა“. ამ გზით ქალაქი გადარჩა. დარიოს III ძვ. წ. 333 წელს დამარცხდა. მისი ოჯახი (6 წლის ვაჟი, მეუღლე და ორი ქალიშვილი) ალექსანდრემ მიიღო, როგორც სამეფო ოჯახი. გაქცეულ დარიოსს სირიაში მხოლოდ 4000 ბერძენი მცველი ჰყავდა (აზიურ პოლკში დეზერტირი ჯარისკაცები სპარტელები იყვნენ). როდესაც ის შევიდა სპარსეთის მეფის სასახლეში და მის სკამზე დაჯდა, მისი ფეხები მიწას ვერ წვდებოდა, რადგან აქამენიდი მეფეები დიდი ტანისანი იყვნენ. აქამენიდელების ძვირფასეულობა მან ხელშეუხებლად დატოვა. მან დარიოსის ოჯახი დააბინავა იმავე სამეფო სასახლეში.

ალექსანდრემ სირიაში გადაინაცვლა, ფინიკიასა და ეგვიპტეში. ძვ. წ. 332 წელს მან აიღო ღაზა, იერუსალიმი და წავიდა ეგვიპტეში. ადგილობრივმა მმართველმა ის ალექსანდრეს საკუთრებად გამოაცხადა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. ძვ. წ. 331 წელს ალექსანდრე დაბრუნდა ეგვიპტიდან და დარიოსის დევნაში მესოპოტამიასა და ბაბილონისკენ გადაინაცვლა. 4-წლიანი ტოტალური ომის შემდეგ, ალექსანდრე შევიდა ბაბილონში, რამაც მასზე ძალზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინდა და 34-დღიანი ორგია მოაწყო. ამის შემდეგ დიდი ქვეყნების მიმართულებით წავიდა, როგორიცაა ცენტრალური აზიის პართია, ხორასანი, ბაქტრია, არიანა და სხვა ინდოეთის ინდუკუშამდე. მმართველად ყველგან ადგილობრივს ტოვებდნენ და ამიტომ ძალზედ სწრაფად და ადვილად გადაადგილდებოდნენ. ბერძნების წინააღმდეგ სასტიკ მებრძოლეებსაც თავის ადგილას ტოვებდნენ. ალექსანდრეს პირადი სამეფო კარი უფრო აზიური გახდა, ვიდრე დარიოსს ჰქონდა. სქემატურად იგივე გაიმეორეს რუსებმა მონღოლებისგან მემკვიდრეობის გადაბარების დროს.

ამის გამო ალექსანდრეს არმიაში პირველი არეულობა მოხდა. თესალიელებმა უარი თქვეს შორს წასვლაზე და ალექსანდრემ ნება დართო უკან, საბერძნეთში დაბრუნებულიყვნენ მდიდრული ნადავლით. იგი განაგრძობდა დარიოსის დევნას. ბაქტრია შემდეგი დანიშნულების ადგილი იყო. მის მცხოვრებლებს ეშინოდათ ალექსანდრესი და გადაწყვიტეს, დარიოსის ალექსანდრესთვის ჩაბარება. მათ გაქცეული დარიოსი ცრუ სიხარულით მიიღეს, გარს შემოეხვივნენ, გამოარიდეს ბერძენ და სპარსელ მცველებს და მოკლეს. ალექსანდრემ დაკრძალა ბოლო აქამენიდელი მეფე პერსეპოლისში დიდი პატივით და ახლა, დე ფაქტო და დე იურე, გახდა აზიის უდიდესი მეფე. ახლა, როგორც ლეგიტიმური მემკვიდრე, ალექსანდრე გაჰყვა დარიოსის მკვლელებს და შევიდა პართიაში.

ბერძნებს, რომლებიც დარიოსის სამსახურში იყვნენ, ეშინოდათ ალექსანდრეს შურისძიების, მონანიებით მიმართეს მას და 1500 ბერძენი, სპარტელების გარდა, შეწყალებულნი იყვნენ. მთელი ამ წლების განმავლობაში სპარტელებს არასდროს შეუწყვეტიათ ბრძოლა მაკედონელებთან არც აზიაში და არც ბალკანეთში. სპარტელების ფლოტმა აიღო კრეტა და დაანგრიეს მაკედონელების გარნიზონები. ათენელებიც მზად იყვნენ შეტევისთვის მაკედონელების წინააღმდეგ, მაგრამ ცუდ ამბებს ელოდებოდნენ ალექსანდრეს ექსპედიციიდან აზიაში. თესალიენლებსაც კი სურდათ მაკედონელებისგან გათავისუფლება. ეს კონკურენცია დღემდე დამახასიათებელია დემოკრატიისთვის.

დარიოსის მკვლელების დევნაში ალექსანდრე შევიდა ბაქტრიაში პართიის გავლით. მკვლელები შეიპყრეს ინდოელებმა და, ალექსანდრეს მითითებით, სიკვდილით დასაჯეს დარიოსის ღალატისთვის ძვ. წ. 330 წელს. ძვ. წ. 329 წელს ალექსანდრე შევიდა ბაქტრიაში და აიღო მისი დედაქალაქი ბრძოლის გარეშე, მიაღწია ამუდარიასა და სირდარიამდე. მან ცოლად შეირთო ბაქტრიის მმართველის ულამაზესი ქალიშვილი – როქსანა. იმ დროს პონტოელმა მეფემ შესთავაზა გაერთიანება, რათა ებრძოლათ კოლხების წინააღმდეგ, მაგრამ ალექსანდრემ უპასუხა, რომ მას ახლა ინდოეთზე ჰქონდა გეგმები და ამის შემდეგ წამოიწყებდა ლაშქრობას პონტოელების მხარდაჭერით კოლხების წინააღმდეგ. ძვ. წ. 327 წელს 120 000, უმეტესად აზიელ არმიასთან ერთად, მან გაილაშქრა ინდოეთის მიმართულებით. როგორც მოგვიანებით მონღოლებმა რუსეთში, ან რუსეთმა საქართველოში, ალექსანდრემ გააერთიანა ყველა ინდოელი მმართველი ერთ ინდოეთის ოლქში და მათი პრინცი დასვა მეფედ. ძვ. წ. 326 წელს მან მიაღწია მდინარე ინდუსამდე და არმიამ საბოლოოდ უარი თქვა შორს წასვლაზე.

ალექსანდრეს სურდა ევროპისა და აზიის გაერთიანება. ალექსანდრემ გადაწყვიტა გაეწვრთნა 30 000 აზიელი ყმაწვილი ბერძნულ ენაში და საბრძოლო შესაძლებლობებში. იგი იმოსებოდა აზიური კაბითა და ითვისებდა ზნე-ჩვეულებებს. ალექსანდრე გაშმაგებული იყო, რომ ბერძენ-მაკედონელები აზიელებთან თავს გრძნობდნენ, როგორც „ღმერთი მხეცებთან“. მან უამრავი

მაკედონელი გაგზავნა სახლებში და ახლა თითქმის მხოლოდ აზიელი მეომრები ჰყავდა. ის არასდროს ყოყმანობდა, რომ ჩამოეხრჩო რომელიმე ბერძენი მმართველი, თუ ადგილობრივი აზიელი საჩივარს გამოთქვამდა უსამართლო მმართველობის შესახებ. მან ცოლად შერთო 10 000 ბერძენს აზიელი ქალები სუსაში. ალექსანდრემ ცოლად შეირთო დარიოს III-ის ქალიშვილი. მაგრამ სინთეზი ევროპელ და აზიელ ხალხს შორის, ეთნოგენეზისის წესების უგულვებელყოფით, შეუძლებელი აღმოჩნდა და ეს დაამტკიცა ალექსანდრე მაკედონელმა.

ალექსანდრეს მომდევნო გეგმა კიდევ უფრო გრანდიოზული იყო. ბაბილონში დაბრუნების შემდეგ მან ბრძანა ფლოტის აგება და გეგმავდა დაპყრობები ზღვით განეხორციელებინა. ძვ. წ. 323 წელს მან ბაბილონი თავისი იმპერიის დედაქალაქად გამოაცხადა და დაიწყო მისი ბოლო ლაშქრობა გემებით მთელი მსოფლიოს დასაპყრობად. 10 000 საქონელი შესწირეს მსხვერპლად და მთელი არმია ნადიმზე დაპატიჟეს. მაგრამ იგი დაიღუპა ნაბუქოდონოსორის ზაფხულის სასახლეში ბაბილონში ძვ. წ. 323 წელს. ალექსანდრეს მეუღლე როქსანა Roxana და ვაჟი ალექსანდრე III მოკლეს. მაკედონიის დინასტიიდან ყველა მოკლული იყო. იმპერია გაიყო. ეგვიპტეს მართავდნენ პტოლემეები Ptolemies, სელევკიდები Seleucids მესოპოტამიას, ხოლო ატალიდები Attalids-მცირე აზიას.

პრომეთე PROMETHEUS

ბერძნულ მითოლოგიაში ზევსმა Zeus უარი თქვა ადამიანებისთვის გაემხილა ცეცხლის საიდუმლო. პრომეთეს ებრალებოდა ეს ქმნილებები, როცა უყურებდა, თუ როგორ კანკალებდნენ ყინვაში და ზამთრის ღამეებში. მან ღმერთებს მოპარა ცეცხლი და მოკვდავებს გადასცა. ზევსი გაბრაზდა, რადგან რაც ცეცხლი გადაეცა, დაიწყო ადამიანების განათლება და პრომეთე კავკასიის მთებს მიაჯაჭვა, სადაც არწივი პერიოდულად კორტნიდა ღვიძლს. უცნაურია, თუ როგორ იცოდნენ უძველესმა ავტორებმა, რომ ეს ორგანო ადამიანის ორგანიზმში ყველაზე სწრაფი რეგენერაციის მქონე იყო. დაახლოებით 12 თაობის შემდეგ, ჰერაკლემ Heracles (რომაულად ჰერკულესი Hercules) გაანთავისუფლა პრომეთე, როდესაც არწივს ესროლა ისარი და გაწყვიტა ჯაჭვები. სწორედ ამ დროს მისი მეგობრები მოგზაურობდნენ არგოთი კოლხეთში. ზევსი ამ პერიოდში არ იყო წინააღმდეგი, რომ პრომეთე თავისუფალი ყოფილიყო, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ზევსის გადაწყვეტილებები არასდროს იცვლებოდა. საბოლოოდ, გამოსავალი ნაპოვნი იქნა. ზევსმა პრომეთეს მისცა ბეჭედი, რომელშიც იყო იმ კლდის ნაწილი, რომელზეც მიაჯაჭვეს.

პირველად, როდესაც ზეთისხილის გვირგვინი გამოიყენეს, ჰერაკლემ ის დაადგა გათავისუფლებულ პრომეთეს. ზეთისხილის ხე მოიტანა ჰერაკლემ ჰიპერბორეადან Hyperborea, სადაც ის დაედევნა მაგიურ რქებიან ირემს.

პრომეთეს (სინათლის წყაროს) ქანდაკება, General Electric Building, როკფელერის ცენტრი, ნიუ-იორკი

ცეცხლისა და ხელობის შემომტანი პრომეთე დანახული იყო, როგორც საკრალური და ეზოთერული ფიგურა, რომელიც დადებითად იყო განწყობილი ადამიანების მიმართ და იყო ქომაგი მათი ცივილიზაციისა. მსგავსი ამბავია ქართულ მითოლოგიაში ცნობილ ამირანზე. ჰეროდოტე, სტრაბონი და სხვები პრომეთეს ლეგენდას მიიჩნევდნენ კავკასიურ ლეგენდად, სადაც ეს გმირი იყო მიჯაჭვული.

გიორგი შარაშიძე Georges Charachidze „Promethee ou le Caucase“-ში, რომელიც გამოიცა საფრანგეთში 1942 წელს, ანალიზს უკეთებს პრომეთეს ლეგენდის ყველა ასპექტს (ქართველი ამირანი) აფხაზურ, ჩერქეზულ და ოსურ (ნართი) მითოლოგიაში.

ჯვაროსნები და საქართველო
CRUSADES AND GEORGIA

ჯვაროსნული ლაშქრობები იყო ომების მთელი სერია 1095-1291 წწ-ში იერუსალიმის მუსლიმების მმართველობისთვის წართმევის მიზნით და უფლის საფლავის გასანთავისუფლებლად.

ასეთი სტრატეგიული მოძრაობა შესაძლებელი გახადა:

– კაროლინგების Carolingian იმპერიის დასასრულმა მე-9 საუკუნეში,

– ვიკინგების, სლავების და მადიარების გაქრისტიანებამ[1],

– ესპანეთისა და პორტუგალიის რეკონკისტამ Reconquista მუსლიმი მავრების წინააღმდეგ, რომელთაც დაპყრობილი ჰქონდათ იბერიის ნახევარკუნძული ორი საუკუნის მანძილზე,



რომის პაპის ურბან II-ის საბჭო კლერმონტში

– სამხრეთ იტალია-კალაბრიას დაპყრობამ ნორმანელი მეომრის რობერტ გისკარდის Robert Guiscard მიერ 1057 წელს და მისმა ბრძოლამ მუსლიმების წინააღმდეგ სიცილიაში,

– ნორმანელი ვილჰელმ დამპყრობელის Wilhelm Conquer შემოსევამ ანგლო-საქსურ ბრიტანეთში და ჰაროლდის Harold ჰასტინგთან Hastings დამარცხებამ 1066 წელს,

– კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის დიდმა განხეთქილებამ schism,

– ევროპის საზღვრების შედარებით სტაბილიზაციამ,

– კათოლიკური ევროპის ერთიანობამ (პროტესტანტიზმის არანაირი ნიშანი ჯერ არ იყო), დიდი ომების გარეშე, გაფართოების საჭიროებამ[2]: „ევროპული ძალა, მთლიანად შეიარაღებული და ჯავშანში, მზად იყო სადმე წასასვლელად“.

---

[1] გერმანულ ტომებს, რომელთაც არ სურდათ წმინდა მიწაზე წასვლა, ამცნეს, რომ შეეძლოთ ხორცი შეესხათ მათი რელიგიური ვალდებულებებისთვის წარმართი სლავური ტომების წინააღმდეგ ბრძოლით ბალტიაში. 1242 წელს კათოლიკე ტევტონელმა რაინდებმა გაილაშქრეს რუსეთის მართლმადიდებლური ნოვგოროდის, ალექსანდრე ნეველის, ოქროს ურდოს მბრძანებლის წინააღმდეგ. მძიმედ შეიარაღებული გერმანელები ჩაიძირნენ გაყინულ ტბა ლაგოდაში, თუმცა თანამედროვე არქეოლოგიურმა კვლევამ მეტალის მძიმე ჯავშნის ვერანაირი კვალი ვერ აღმოაჩნა.

[2] იერუსალიმი ორჯერ დაეცა: ზოროასტრელ სასანიდ სპარსეთთან 614 წელს (როდესაც წინასწარმეტყველმა მუჰამედმა იერუსალიმიდან ზეცაში იმოგზაურა).

პირველი ჯვაროსნული ომი 1095-1099 წწ.

1095 წელს ბიზანტიელი იმპერატორი ალექსი I კომნენოსი Alexius I Comnenus (Komnenos) ეწვია პაპს, რომელმაც სპეციალურად ამ შემთხვევისთვის მოხსნა ექსკომუნიკაცია. განხეთქილების დასასრული ძალზედ ახლოს იყო. მის მოთხოვნაზე საპასუხოდ პაპმა ურბან II-მ კლერმონტის კრებაზე Council of Clermont მომავალ 1096 წელს ყველა ქრისტიანს მოუწოდა შეერთებოდნენ თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ომს, რომლებმაც იერუსალიმზე კონტროლი დაამყარეს 1071 წელს.

ბიზანტიელი იმპერატორი ალექსი I კომნენოსი, კომნენების სამეფო დინასტიის დამაარსებელი, მოვიდა ხელისუფლებაში გადატრიალების შემდეგ ქართველი სამხედრო კლანების მხარდაჭერით. იგი კარგი მეომარი იყო და ჩაატარა რამდენიმე წარმატებული შეტევა ბიზანტიის მტრების: თურქ-სელჩუკების, ნორმანების, ბოგომილების, პაულიჩიანების, პეჩენიგების და კუმანების წინააღმდეგ. იმდროინდელმა იმპერატრიცა მარიამმა (მართამ) Maria (Martha) of Alania, რომელიც ქართველი მეფის ბაგრატ IV-ის Bagrat ქალიშვილი იყო, ის იშვილა, თუმცა მხოლოდ 5 წლით უფროსი იყო, და ამით მისცა შესაძლებლობა იმპერატორობისთვის ებრძოლა. ბიზანტია დიდ გასაჭირში იყო. მუდმივად ხორციელდებოდა თავდასხმები დასავლეთიდან ნორმანების მიერ, რომლებიც თავს ესხმოდნენ ბალკანებს, ჩრდილოეთიდან პეჩენიგები და ყივჩაყები, აღმოსავლეთიდან კი თურქები. ამავე დროს ბიზანტია-რომის ურთიერთობა დაძაბული იყო 1054 წლის განხეთქილების შემდეგ. კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ ნორმან ვარიაგებთან, რომლებიც დამკვიდრდნენ რუსეთის ტერიტორიაზე და გახდნენ ქრისტიანები 988 წელს. ისინი ბიზანტიის იმპერატორის პირად დაცვაში მსახურობდნენ – ვარანგები Varangians. იმ დროს ქართული იბერია საკმაოდ ძლიერი იყო, რათა ებრძოლა ბიზანტიასთან (ტაოს მიწისთვის) 1021 წელს და, ამავე დროს, ეხმარებოდნენ იმპერატორ

ბიზანტიამ დაიბრუნა ქალაქი 629 წელს, 9 წლის შემდეგ, მაგრამ ის კვლავ დაკარგეს არაბ მუსლიმ ძალებთან 637 წელს. მალე სპარსეთი მთლიანად შთანთქა ხალიფატმა. 624 წელს მუჰამედი გადავიდა მედინაში, იერუსალიმმა დაკარგა მუსლიმანებისათვის ლოცვის მიმართულების მნიშვნელობა და მემა გახდა ლოცვების მისამართი. მუსლიმი ასტრონავტი ლოცვის დროს უნდა იყოს მიმართული დედამიწისკენ (1985 წელს აშშ-ს ხომალდზე სულთან ბინ სალმან ალ საუდი Sultan bin Salman Al Saud გახდა პირველი მუსლიმი, პირველი არაბი, პირველი სულთანი კოსმონავტი).

ბასილი II-ს ბულგარელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგ ბიზანტიელ კეისარს ჰყავდა იბერიელი ცოლი და მართა-მარიამი, ქართველი მეფის ქალიშვილი, იყო ბიზანტიის დედოფალი.

ჯვაროსანთა არმიებს (60 000 მებრძოლი) საფრანგეთიდან ხელმძღვანელობდა გოდფრი ოფ ბუიონი Godfrey of Bouillon (Godefroy de Bouillon) და მისი ძმა ბალდუინი Baldwin, ნორმანდიას მართავდა ვილჰელმ დამპყრობელის William the Conqueror ვაჟი, გერმანიასა და იტალიას ბოჰემონდი Bohemond, ნორმანელი უფლისწული. ისინი ერთი წლის განმავლობაში ფეხით მოდიოდნენ და შეერთდნენ კონსტანტინოპოლთან 1096 წელს, როცა სელჩუკებმა დაკარგეს იერუსალიმი ეგვიპტიდან არაბ შიიტ ფატიმიდებთან ბრძოლაში Shiite Fatimids. ბიზანტიის იმპერატორმა ალექსიმ სწრაფად გადაიყვანა ეს არმია ბოსფორზე. დიდი დანაკარგის შემდეგ, ისინი მიადგნენ პირველ ნამდვილად მტრულ ქალაქს იერუსალიმის გზაზე – ანტიოქიას Antioch. ქალაქის ალყაში ყოფნამ რამდენიმე თვე გასტანა და ის აიღეს ჯვაროსნებმა, როცა სომხებმა ღამით საიდუმლოდ გახსნეს ქალაქის კარი. თურქები დამარცხდნენ დისციპლინებულ ევროპულ ძალებთან და გოდფრი ბუიონი გაეშურა იერუსალიმისკენ Jerusalem. 5-კვირიანი იერუსალიმის ალყა დასრულდა პარასკევის იერიშის დროს, 1099 წლის 15 ივნისს, შუადღით, ზუსტად ქრისტეს ჯვარცმის საათს Crucifixion. ჯვაროსნები კოჭებამდე მტრის სისხლში იდგნენ. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოხოცილი იყო. ეს იყო საწინააღმდეგო ქცევისა, რომლითაც იერუსალიმი დაეცა დისციპლინებულ არაბ ძალებთან 5 საუკუნით ადრე, როცა ხალიფა უმარი Caliph Umar პირადად დაეხმარა ებრაული ტაძრის გაწმენდაში. ზოროასტრი სასანიდები და ებრაელები გაცილებით სასტიკად მოექცა იერუსალიმის ქრისტიან მოსახლეობას და ტაძრებს, ვიდრე მუსულმანი არაბები. ბიზანტიაში ებრაელების მდგომარეობა არასახარბიელო იყო. 330-იან წლებში კონსტანტინე I-მა აკრძალა მათი დასახლება იერუსალიმში და მხოლოდ 637 წელს არაბმა ხალიფმა დააბრუნა ისინი იერუსალიმში. ეს პირველი ჯვაროსნული ბრძოლა ცნობილი იყო იერუსალიმის მოსახლეობისადმი სასტიკი მოპყრობით, ასევე ებრაელებისა და მართლმადიდებელი ქრისტიანების მიმართ. პირველმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ გააღვივა ხანგრძლივი ტრადიცია ევროპის კულტურაში ებრაელებისადმი ორგანიზებული სისასტიკისა[1].

გოდფრი ოფ ბუიონის XVI საუკუნის ბრინჯაოს ქანდაკება ინსბურკში, გერმანია.

[1] პაპ ურბანს თავის გამოსვლაში კლერმონტის კრებაზე არსად მოუხსენიებია სიტყვა „მუსლიმი“ ან „ისლამი“. მაგრამ მოხსენება ეხებოდა არა მარტო თურქებს

პირველმა ჯვაროსნებმა წარმატებით დააარსეს „ჯვაროსნული სახელმწიფოები“ პალესტინაში: ედესა Edessa ბალდუინის ხელმძღვანელობით, ანტიოქია Antioch ბოჰემონდის, იერუსალიმი Jerusalem გოდფრი ბუიონის, ტრიპოლი Tripoli და სირია Syria ნორმანების და სომხეთის სილიციის სამეფო Cilicia. გოდფრი ბუიონი ვერასდროს ბედავდა საკუთარი თავისთვის ეწოდებინა „იერუსალიმის მეფე“, არამედ იწოდებოდა „Advocatus Sancti Sepulchri (წმინდა საფლავის – იესოს საფლავის დამცველი)“. იგი ერთ წელში გარდაიცვალა და მისი ძმა ბალდუინი, ედესას მმართველი, მეფედ აკურთხეს 1100 წელს, როგორც იერუსალიმის მეფე ბალდუინ I. მისი სიკვდილის შემდეგ, 1118 წელს, სამეფო გვირგვინი გადაეცა მის ბიძაშვილს, ბალდუინ II-ს. ფრანგებმა დააწესეს რაინდთა ტამპლიერების ორდენი, გერმანელებმა ტევტონების და იტალიელებმა – ჰოსპიტალიერების Knights of Templar (Tamplier), Teuton, Hospitalier. წმინდა იოანეს ორდენი იერუსალიმში (ახლა მალტის რაინდები) დაარსდა დაახლოებით 1080 წელს.

ტამპლიერთა მიზანი იყო, დაეცვათ ქრისტიანები წმინდა მიწაზე და აღდგინათ სოლომონის ტაძარი. იერუსალიმი გეოგრაფიულად გამოყოფილი იყო ევროპელების სხვა სამფლობელოებისგან პალესტინაში ზღვის ნაპირზე და შემოგარული იყო მუსლიმებით. ორდღიანი, 35 მილის მანძილის მოგზაურობა ჯაფას Jaffa პორტიდან (თანამედროვე ტელ ავივი Tel Aviv) იერუსალიმის Jerusalem მიმართულებით ძალზედ სახიფათო იყო, ჯერ მარტო გარეული ცხოველების გამო, როგორიცაა ლომები. მეფე ბალდუინ II-მ ტამპლიერები დააჯილდოვა საცხოვრებელი ბინით ალ-აქსას მეჩეთში Al-Aqsa Mosque, კლდის გუმბათის Dome of the Rock ახლოს, სოლომონის ტაძრის Temple of Solomon

---

და არაბებს, არამედ წარმართებსა და ურწმუნოებს. სამწუხაროდ, იუდაიზმისა და მართლმადიდებლობის მიმდევრები მათ შორის მოხვდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ კონსტანტინოპოლის ეკლესიას ეხებოდა. საქართველოს ეკლესია ინარჩუნებდა კათოლიკებთან მეგობრულ ურთიერთობას სავარუდოდ ლათინების მიერ კონსტანტინოპოლისა და ათონის მთის აღებამდე.

თავდაპირველ ადგილთან. მაგრამ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ისინი დაადანაშაულეს ქრისტიანობის დეგრადირებაში და პარიზში ცეცხლში დაწვეს 1313 წელს. თუმცა ზოგიერთი გადარჩა და გაერთიანდა საიდუმლო მასონურ ორგანიზაციებში.

ქართულ წყაროებში ნაჩვენებია, რომ დავით აღმაშენებელი ეხმარებოდა ჯვაროსნებს როგორც არმიით, ასევე პირადად, მაგრამ ამას არ ადასტურებს დასავლეთის ყველა წყაროები. ზოგი ჯვაროსანი მონაწილეობას იღებდა დიდგორის ბრძოლაში საქართველოში და ზოგი მათგანი დასახლდა კიდეც აქ. მეფე დავითი და სხვა ქართველი მეფეები ძალზედ დაფასებულნი იყვნენ ტამპლიერებისგან.



მეორე ჯვაროსნული ომი 1145-1149 წწ.

ოთხ ცალკეულ ჯვაროსნულ სახელმწიფოს შორის: იერუსალიმის სამეფო, ანტიოქიის სამთავრო, ტრიპოლისა და ედესას ოლქები, მუდმივად მიმდინარეობდა კონფლიქტები. 1118 წელს გარდაიცვალა ბიზანტიის იმპერატორი ალექსი, რამაც პოლიტიკური სიტუაცია ჯვაროსნებისთვის მკვეთრად გააუარესა. ალექსის შვილი, იოანე II John II Komnenos, წარმატებული სარდალი იყო თურქების, უნგრელებისა და სხვა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში და ფრანკებს მოსთხოვა, მათ მიერ ოკუპირებული ანტიოქიის მიწის დაბრუნება. 1137 წელს იოანეს ჯარებმა დაიკავეს ანტიოქია. ქრისტიანები იბრძოდნენ ქრისტიანებთან. უარესიც, იერუსალიმის მეფემ უარი თქვა, დახმარებოდა ანტიოქიის უფლისწულს და ანტიოქია ჩაბარდა ბიზანტიას, თუმცა, გარკვეულწილად, ეს განპირობებული იყო იმით, რომ ჯვაროსნების ნაწილი აღიარებდა ბიზანტიის მოთხოვნების ლეგიტიმურობას. საბედნიეროდ, სელჩუკები (აბასიდები), ფატიმიდები და ომაიადები Seljuks (Abbasids), Fatimids and Omayyads ასევე ჩართულნი იყვნენ მუდმივ ურთიერთბრძოლებში. მაგრამ 1144 წელს მუსლიმებმა დაიპყრეს ქალაქი ედესა.

მოუხმეს ახალ ჯვაროსნებს. ფრანგული არმია ლორენიდან, ბრეტანიდან, ბურგუნდიიდან Lorraine, Brittany, Burgundy და აკვიტანიიდან Aquitaine და გერმანულმა ჯარებმა, რომელიც შედგებოდა ფრაკონიანების, ბავარიელებისა და შვაბიელებისგან Franconians, Bavarians, and Swabians, მეფეების ლუი VII-სა და კონრად III-ის Kings Louis VII and Conrad III მეთაურობით გაილაშქრეს იერუსალიმისკენ 1147 წელს. ურთიერთკავშირი ცუდი იყო და ლორენელებს, რომლებიც საფრანგეთის ჯარის წინ მიდიოდნენ, კონფლიქტი მოუვიდათ ნელ გერმანელებთან, რომელთაც გზად შეხვდნენ. ლუისსა და კონრადის არმიებმა

მონაწილეობა მიიღეს წარუმატებელ შეტევაში დამასკოზე Damascus. 1150 წელს ორივე ლიდერი უშედეგოდ დაბრუნდა თავის ქვეყანაში. მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა ევროპისთვის იყო სასტიკი დამარცხება. ერთადერთი გამარჯვება ევროპაში იყო ლისაბონის გათავისუფლება 1147 წელს. იმედგაცრუებულმა ევროპელებმა ახლა ჯვაროსნები ბიზანტიის წინააღმდეგ საბრძოლველად მოიხმეს. ქრისტიანი ემზადებოდა ომში წასულიყო ქრისტიანის წინააღმდეგ.

იერუსალიმის სამეფოს არმიის მიერ 1153 წელს ასკალონის (აშკელონის) Ascalon (Ashkelon) ალყის დროს მოხდა ცნობილი ფაქტი, რომელიც ტამპლიერების რეპუტაციაზე ნეგატიურად აისახა. როდესაც კედლის ნაწილი ჩამოიშალა ტამპლიერების ბანაკის წინ, გავრცელებული ინფორმაციით, ორდენის მეთაურმა უარი თქვა, ნება დაერთო სხვა ჯარებისთვის ამ ადგილას შესულიყო, რათა შეძლებოდა ნადავლის სრულად ხელში ჩაგდება. ამ სიხარბის გამო კედლის უკან ჩასაფრებულმა დამცველებმა სრულად ამოჟლიტეს მცირერიცხოვანი ტამპლიერების რაზმი. მათი თავები საჩუქრად კაიროს ხალიფას გაუგზავნეს.

მესამე ჯვაროსნული ომი 1189-1192 წწ.

1187 წელს სალადინმა Saladin, ეგვიპტის დიდმა სულთანმა, წარმოშობით ქურთმა, ხელახლა აიღო იერუსალიმი. 2 თვით ადრე მან აიღო აკრა, ნაბლუსი, იაფა, ტორონი, სიდონი, ბეირუთი და ასკალონი Acre, Nablus, Jaffa, Toron, Sidon, Beirut and Ascalon. სალადინმა გამოამჟღავნა თავისი ლეგენდარული რაინდობა, როდესაც ებრაელებს ნება დართო დასახლებულიყვნენ ქალაქში და მკვიდრ ქრისტიანებს საშუალება მისცა, დარჩენილიყვნენ იქ. მომდევნო წელს სალადინი განაგრძობდა თავის ძლევამოსილ ომს ქრისტიანული არმიების წინააღმდეგ და თითქმის მთელი წმინდა მიწა დაიმტკიცა ისლამისთვის. ქრისტიანული ტერიტორიები შემცირდა სანაპირო ქალაქებამდე, რომლებიც იყო ტირი და ტრიპოლი Tyre and Tripoli და სალადინმა ნება დართო ბოჰემოდს შეენარჩუნებინა, სამთავროს ნაცვლად, მხოლოდ ქალაქი ანტიოქია.

პაპმა გრეგორი VIII-მ მოიხმო ჯვაროსნები, რომელთაც ხელმძღვანელობდა საფრანგეთის უფლისწული ფილიპე II, ინგლისელი რიჩარდ I და ბარბაროსი ფრიდრიხ I, საღვთო რომის იმპერატორი Philip II of France, Richard I of England and Frederick I Barbarossa. ბარბაროსამ დატოვა ევროპა 100 000 კაციანი არმიით 1189 წელს. მაგრამ ის სომხეთში დაიღუპა, როდესაც მდინარეში დაიხრჩო და მისი არმია დაიშალა. ორმა დანარჩენმა აიღო კვიპროსი Cyprus და 2 წელი დაჰყვეს აკრეს Acre ალყაში, რომელიც დაიპყრეს 1191 წელს. სალადინის დასანახავად რიჩარდის ჯარისკაცებმა 7200 ტყვე მოკლეს. მისი ასეთი არადამახასიათებელი სისასტიკის მიზეზი უცნობია. ტამპლიერების ტაქტიკურ მხარდაჭერასთან ერთად, რიჩარდმა დაამარცხა სალადინი არსუფში Arsuf და იერუსალიმი ამოიღი მიზანში. ჰისპიტალიერებთან და ტამპლიერებთან ერთად, რიჩარდმა თითქმის მოიგო ბრძოლა იერუსალიმისთვის, მაგრამ მას ესმოდა,

რომ შეუძლებელი იქნებოდა მისი დაცვა მუსლიმებისგან, როგორც კი მისი არმია დაბრუნდებოდა ევროპაში. სხვა ვერსიის მიხედვით, რიჩარდს ეშინოდა მისი მებრძოლების მოქმედებებისა, მას შემდეგ რაც შევიდოდნენ იერუსალიმში, ტრაგიკული მაგალითის გამო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, როცა მთელი მოსახლეობა იყო ამოხოცილი. და მან გადაწყვიტა. მოლაპარაკება მშვიდობისთვის და თავისი ქალიშვილის მითხოვებაც კი შესთავაზა სალადინის ძმაზე.

სალადინი და რიჩარდი ურთიერთპატივსაცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს და რიჩარდმა შესთავაზა იერუსალიმის მმართველობა. როდესაც რიჩარდი ავად გახდა, დაემართა ცხელება, სალადინმა თავისი პირადი ექიმიც კი გაუგზავნა. სალადინი ასევე უგზავნიდა მას ხილს ყინულებში გასაგრილებლად. არსუფში, როდესაც რიჩარდმა დაკარგა ცხენი, სალადინმა ორი გაუგზავნა მათ სანაცვლოდ. 1192 წელს რიჩარდმა და სალადინმა დაასრულეს ხელშეკრულება, რომლითაც იერუსალიმი რჩებოდა მუსლიმების კონტროლის ქვეშ, მაგრამ შეუიარაღებელ ქრისტიან პილიგრიმებს ნება დართეს შესულიყვნენ ქალაქში.

მისი ძმის ჯონის ღალატის გამო რიჩარდი იძულებული იყო ევროპაში დაბრუნებულიყო, მაგრამ ტამპლიერების გემმა კატასტროფა განიცადა და იგი მოხვდა ავსტრიაში, სადაც მისმა მტერმა, ჰერცოგმა ლეოპოლმა, შეიპყრო და გამოსასყიდი მოითხოვა. ეს ის პერიოდია, როდესაც ინგლისი მეფე რიჩარდ ლომგულის გარეშე იყო, რაც აღწერილია ლეგენდაში რობინ ჰუდზე.

მალე მომდევნო 1193 წელს სალადინიც გარდაიცვალა და ისლამური სახელმწიფოები კიდევ ერთხელ გაითიშნენ.

მეოთხე ჯვაროსნული ომი 1201-1204 წწ.

მეოთხე ჯვაროსნული ომი ინიცირებული იყო პაპი ინოკენტ III-ის მიერ 1202 წელს. ვენეციელები წარმატებულნი აღმოჩნდნენ, ჯვაროსნების მოძრაობა გამოეყენებინათ თავიანთი კომერციული მიზნებისთვის. საზოგადოებრივი ცერემონიის დროს ვენეციაში, სან მარკოს San Marco ეკლესიაში, ვენეციელებმა შესთავაზეს, რომ ჯვაროსნები გადაიხდიდნენ ფლოტისთვის პორტ ზარაზე Zara თავდასხმით დალმატიაში. ვენეცია დამოკიდებული იყო ადრიატიკის ნაპირებიდან ხის მარაგზე, რათა აეშენებინათ და დაეცვათ თავიანთი კომერციული ფლოტი. ზარა მანამდე ვენეციელების კონტროლის ქვეშ იყო, მაგრამ უნგრეთის მეფემ აიღო ის 1170 წელს. თუმცა ეს ხელმწიფე კათოლიკე იყო და დათანხმდა შეერთებოდა ჯვაროსნებს. პაპი ინოკენტი ეკლესიიდან მოკვეთით ემუქრებოდა ჯვაროსან ლიდერებს კათოლიკეების წინააღმდეგ ლაშქრობის გამო, მაგრამ ეს წერილი არმიას არ უნახავს და შეტევა განახორციელეს. ზარას მცხოვრებლებმა კათოლიკური ჯვრები გამოფინეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხანმოკლე ალყის შემდეგ ქალაქი დაეცა. ერთადერთ რაინდს, რომელმაც უარი თქვა ზარაზე შტურმში მონაწილეობაზე, უწოდეს „პაპზე უფრო მეტი პაპი“. ორივე, ვენეციელები და ჯვაროსნებიც, მაშინვე ეკლესიიდან მოკვეთა ინოკენტ III-მ.

ჯვაროსნები კონსტანტინოპოლში,
ეჟან დელავრუა, 1840

ამასობაში ბიზანტიაში შინააშ-ლილობა დაიწყო, როდესაც ბი-ზანტიის უკანასკნელმა კომნე-ნოსების დინასტიის მეფემ ანდ-რონიკმა Andronikos I Komnenos ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მცდელობა დაიწ-ყო, და დიდგვაროვნებმა შეთქ-მულება მოაწყეს. აჯანყების მი-ზეზი ტრადიციული იყო: საფ-რთხე უცხოელებისგან, ანუ ლა-თინებისგან. 1182 წელს კონს-ტანტინოპოლის ყველა უცხოელი ამოხოცილი იყო ანტილათინური აჯანყების დროს და ყველა ვენე-ციელი ვაჭარი გააძევეს ბერძნებმა. ანდრონიკოსის გამეფების შემდეგ, 1183 წელს ვენეციის დელეგაცია ესტუმრა მას და უზარმაზარი თანხა ოქროთი გადახდილი იყო ანდრონიკის მიერ კომპენსაციის სახით.

კეისარი ანდრონიკის დედა იყო ან ირინა გალიციიდან, ან ქართველი კატა Irene of Galicia or Kata of Georgia. გამეფებამდე ის ბევრს მოგზაურობდა, ეწვია საქართველოს მეფეს გიორგი III-ს, George III of Georgia, რომელმაც ის კახეთში მიწებით დაასაჩუქრა და, შესაძლოა, მისი და ხანმოკლედ ანდრონიკის პირველი ცოლი იყო. 1173-74 წლებში ის მონაწილეობდა ქართველთა რამდენიმე ლაშქრობაში მეზობელი მუსლიმანების წინააღმდეგ. 1180 წელს მისმა შვილმა მანუელმა ითხოვა რუსუდანი, მეფე გიორგის ქალიშვილი, და მათ ეყოლათ ორი ვაჟი ალექსი და დავითი, რომლებიც იზრდებოდნენ ქართველი ბაგრატიონების კარზე და გახდნენ კომნენოსების დინასტიის გამგრძელებლები არა კონსტან-ტინოპოლში, არამედ ტრაპიზონის იმპერიაში.

მაგრამ კონსტანტინოპოლში ფეოდალებმა თავიანთი საქმე დაასრულეს და ანდრონიკი სასტიკი წამებით მოკლეს. ტახტს დაეპატრონა ისააკ II ანგელოზი Isaac II Angelos, ანგელოზის დინასტიის დამაარსებელი. სავარაუდოდ, მას ცოლად ჰყავდა საფრანგეთის მეფის ფილიპეს და, და ბიზანტიის საელჩო ჩავიდა საფრანგეთში დანიშვნაზე მოსალაპარაკებლად. ფრანგები გაოცებულნი იყვნენ ამ დელეგაციის მდიდრული შესახედაობით. ბიზანტიური კულტურა უპირატესი იყო ყველა სფეროში[1]. მაგრამ ბერძნები კვლავ ეჭვიანობდნენ დასავლეთის ზეგავლენაზე და მოითხოვდნენ ყველა ფრანგის გაძევებას ბიზანტიიდან. იმპერატორი ისააკიც მოკლეს, მაგრამ მისი ქალიშვილი შვაბიის ჰოჰენშტაუფენის Hohenstaufen დინასტიის მეფეს ჰყავდა ცოლად და

[1] კვადრიგა (ოთხი ცხენის ქანდაკება) წმ. მარკოზის ბაზილიკის ფასადზე ვენეციაში, სან მარკოს მოედანზე, იყო ვენეციელი ჯვაროსნების მიერ 1204 წელს კონსტანტინოპოლის იპოდრომიდან მოხსნილი და ჩამოტანილი.

ცხოვრობდა გერმანიაში ძმა ალექსისთან ერთად. ვენეციელებმა შესთავაზეს მას დახმარება სამეფო ტახტის მოპოვებაში ყველა ჯვაროსნის ვალების გადახდისა და ბერძნული ეკლესიის პაპის მმართველობაში გადმოცემის სანაცვლოდ. ალექსიმ ეს პირობა სიამოვნებით მიიღო.

ფლოტი კონსტანტინოპოლს 1203 წელს მიადგა და ჯვაროსნები თავს დაესხნენ ქალაქს. ბერძენ-ლათინების ურთიერთობები ისედაც დაძაბული იყო 1054 წელს დიდი განხეთქილების შემდეგ, ხოლო პირველი და მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ბერძნები ღალატში პირდაპირ იყვნენ ბრალდებულები. ვენეციელებმა და ჯვაროსნებმა წარმატებით განახორციელეს შტურმი კონსტანტინოპოლის კედლებზე და აირჩიეს ახალი იმპერატორი ალექსი Alexios IV. მაგრამ მალე დაძაბულობა დაიწყო, რადგან დანაპირები, რომ გადაეხადათ ჯვაროსანთა ვალები, ძნელად შესასრულებელი აღმოჩნდა. ახალი იმპერატორი ალექსი უვიცი იყო და დაუპირისპირდა ყოფილ მოკავშირეებს. დაძაბულობა მოქალაქეებსა და ლათინ ჯარისკაცებს შორის გაიზარდა. კიდევ ერთხელ, ახალი პრეტენდენტი, რომელიც ბერძნებს ჰპირდებოდა ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლას, აკურთხეს მეფედ და ალექსი დაახრჩვეს. ჯვაროსნები და ვენეციელები, მათი პროტეჟეს მკვლელის მიერ შეურაცხყოფილნი, კიდევ ერთხელ დაესხნენ თავს ქალაქს 1204 წელს, სასტიკად სისხლიანი ბრძოლა გაიმართა ვარანგებთან (სკანდინავიელები (ანგლო-დანიელები), რუსი და უკრაინელი მებრძოლები). ბერძნულ ცეცხლს ორივე მხარე იყენებდა. ბერძნები ებრაელებზე უარესებად გამოცხადნენ, იმიტომ, რომ მათ უღალატეს მეფეს ისე, როგორც ებრაელებმა პილატეს განაჩენის დროს. ჯვაროსნებმა სასტიკად დაარბიეს კონსტანტინოპოლი სამი დღის განმავლობაში, როცა ბევრი უძველესი და შუა საუკუნეების რომაული და ბერძნული ნამუშევარი იქნა მოპარული და დანგრეული. გაძარცვული ძვირფასეულობა უდრიდა მსოფლიოს 40 ყველაზე უმდიდრესი ქალაქის სიმდიდრეს. ზოგიერთი წყარო იუწყება, რომ მეძავი იყო დაბრძანებული საპატრიარქო ტახტზე.

ამ მოვლენების შემდეგ განხეთქილება კათოლიკურ დასავლეთსა და მართლმადიდებლურ აღმოსავლეთს შორის ბოლომდე გამყარდა. ამ მოვლენების გამო პაპმა ინოკენტი III-მ მიმართა ჯვაროსნებს შემდეგნაირად: „ლათინები იძლევიან მხოლოდ თავნებობისა და ბნელეთის მაგალითს. არ არის გასაკვირი, რომ ბერძნები მათ ძაღლებს უწოდებენ!“ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობიდან 800 წლის შემდეგ, პაპმა იოანე პავლე II-მ John Paul ორჯერ გამოხატა მწუხარება იმ მოვლენებზე, რაც მეოთხე ჯვაროსნული ომის დროს განვითარდა.

ბიზანტიაში არეულობის პერიოდში, ქართველები ლათინების მხარეს იყვნენ და დედოფალმა თამარმა დააარსა ტრაპიზონში ქართული სამეფო (ბერძნებმა კი ნიკეას Nicean სახელმწიფო ბიზანტიასა და ტრაპიზონს შორის). ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1261 წელს, ნიკეას იმპერატორმა დაიპყრო კონსტანტინოპოლი და გააერთიანა ბიზანტიის იმპერია.

დაბოლოს, ყველაფერი თურქებმა და მონღოლებმა დაასრულეს.

მეხუთე ჯვაროსნული ომი 1217-1221 წწ.

1213 წელს პაპმა ინოკენტი III-მ მოუხმო ყველა ქრისტიანს, რომ შეერთებოდნენ ჯვაროსნებს. ჯვაროსანთა არმიას უძღვებოდა ავსტრიელი ლეოპოლდ VI და უნგრელი ენდრიუ II Leopold VI and Andrew II. მათ აკრი Acre 1217 წელს დატოვეს და შეუერთდნენ ჯონ ბრიენს, იერუსალიმის მეფეს, მეფე ჰიუზ I-ს კვიპროსიდან და უფლისწულ ბოჰემუნდ IV-ს ანტიოქიიდან John of Brienne, Hugh I and Bohemund IV, აუბიდების Ayyubids, მუსლიმი დინასტიის, ცნობილი სალადინის წინააღმდეგ.

1218 წელს ჯვაროსნებმა დაიწყეს დამიეტას Damietta ალყაში მოქცევა, მაგრამ უნიჭო მეთაურმა შესძლო „გამარჯვების ხელიდან დამარცხების გამოგლეჯვა“. 1221 წელს 50 000 ჯვაროსნის ლაშქარი კაიროსთან Cairo განადგურებელი იყო. საბოლოოდ ჯარი მუსლიმებს ჩაბარდა. ეგვიპტის სულთანმა დიდსულოვნად შესთავაზა ჭეშმარიტი ჯვრის დაბრუნებაც კი, რომელზედაც ქრისტე აცვეს, მაგრამ ის აშკარად დაკარგული იყო ასწლეულების მანძილზე. სულთანმა ბრძანა, ყურადღებით მოეძებნათ, მაგრამ ვეღარ მიაგნეს.

მეექვსე ჯვაროსნული ომი 1228-1229 წწ.

ფრიდრიხ II Frederick, საღვთო რომის იმპერატორი, გერმანიისა და სიცილიის მეფე, პიროვნულად ეგზოტიკური გახლდათ, საუბრობდა 6 ენაზე, სიამოვნებდა ისლამური სამეფო ოჯახების სხვადასხვა წევრთან მეგობრობა და ჰარამხანა სიცილიაშიც კი ჰქონდა. 1225 წელს ფრიდრიხ II-მ ცოლად შეირთო იერუსალიმის ნომინალური მმართველის იოან ბრიენის John of Brienne ქალიშვილი და განაცხადა განზრახვა წასულიყო ჯვაროსნულ ომში. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, 1227 წელს მისი ჯარი გაემგზავრა ზღვით ბრინდისიდან აკრამდე, მაგრამ ეპიდემიამ აიძულა მეფე დაბრუნებულიყო იტალიაში. საქართველოს მეფების – თამარისა და ლაშა გიორგის- ელჩები და მიმოწერა რომის პაპთან ცხადყოფს, რომ ქართველები გამოხატავდნენ მზადყოფნას ჯვაროსნების 40-ათასიანი ლაშქრით მხარდაჭერისთვის და რომის პაპი გამოხატავდა სიხარულს ამ დაპირების გამო. მაგრამ ევროპაში ჯვაროსნობის ლაშქრობის გადადებისა და შეფერხებებს დაემატა საქართველოზე შუააზიელი ჯალალედინის თავდასხმა 1225 წელს და ეს გეგმები ჩაიშალა. შურიანმა და შეშინებულმა პაპმა გრეგორი IX-მ გამოიყენა ეს შესაძლებლობა, რომ ეკლესიიდან მოეკვეთა იგი ჯვაროსნული ფიცის გატეხვის გამო 1228 წელს. ფრიდრიხმა გადაწყვიტა არად ჩაეგდო ეკლესიიდან განდევნა და კვლავ წამოიწყო სვლა სირიისკენ 1228 წელს.

ფრიდრიხის არმია და ტევტონი რაინდები ერთად იყვნენ, მაგრამ პატრიარქი და სამღვდელოება ემორჩილებოდა პაპის მტრულ ხაზს. ჰოსპიტალიერებისა და ტამპლიერების რაინდების პოზიცია რთული იყო, რადგან, თუმცა უარი თქვეს პირდაპირ შეერთებოდნენ არმიას, მათ მხარი დაუჭირეს ჯვაროსნებს,

როდესაც ფრიდრიხი დათანხმდა ამოეღო მათი სახელები ოფიციალური ბრძანებულებიდან. რაინდები მიდიოდნენ მის ზურგს უკან ერთი დღის დაშორებით იმიტომ, რომ ბრალი არ დაედოთ ერთად ლაშქრობის გამო. ამას გარდა, რაინდებმა ისე მოილაპარაკეს, რომ ფრიდრიხის ბრძანებები ღმერთის სახელით იწერებოდა, და არა საკუთარი სახელით.

მიუხედავად ამისა, ფრიდრიხის ძალები ძალზედ მცირე იყო და მან გადაწყვიტა იერუსალიმის დანებებაზე მოლაპარაკებები ეწარმოებინა. ეგვიპტის აიუბიდებთან, რომლებიც სირიაში აჯანყებით იყვნენ დაკავებული. დიპლომატიის მეშვეობით ფრიდრიხმა II-მ მოულოდნელ წარმატებას მიაღწია: იერუსალიმი, ნაზარეთი, დასავლეთ გალილეი და ბეთლემი 10 წლით გადაეცათ ჯვაროსნებს. მუსლიმები ინარჩუნებდნენ იერუსალიმის ტაძრის მთის და ალ-აქსას მეჩეთზე კონტროლს. ფრიდრიხს ასევე არ ჰქონდა ნება დართული აღედგინა იერუსალიმის ციხესიმაგრეები. ტამპლიერები გაბრაზებულები იყვნენ, რადგან მათი ტაძრის ადგილი მუსლიმების ხელში იქნებოდა და 2-დღიანი ყოფნის შემდეგ დატოვეს იერუსალიმი.

ფრიდრიხი შევიდა იერუსალიმში 1229 წელს და იგი მეფედ აკურთხეს. ტამპლიერების ნაცვლად, მეფე ეხმარებოდა ტევტონის რაინდებს[1] გაძლიერებაში. მომდევნო დღეს, კესარიის Caesarea არქიეპისკოპოსმა იერუსალიმის მთელი ქალაქი ეკლესიიდან განკვეთა, რადგან შეიფარა ეკლესიიდან მოკვეთილი იმპერატორი.

შეტაკებები დაიწყო ტამპლიერებს, ჰოსპიტალიერებსა და ტევტონებს შორის. ტამპლიერებმა შეთქმულება მოაწყვეს ეგვიპტის სულთანთან ერთად ფრიდრიხის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა გაშმაგებულმა დაიწყო შეტევა აკრაზე. 1242 წელს სამოქალაქო ომი გაჩაღდა აკრას კუჩებში.

ასე თუ ისე, ზავი შენარჩუნდა ათი წლის მანძილზე, მაქსიმუმი პერიოდი, რასაც ისლამის კანონი აძლევდა საშუალებას „ურწმუნოებთან“ ხელშეკრულებას. ზუსტად 10 წელში, ზავის ამოწურვის შემდეგ, 1239 წელს მუსლიმებმა დაიწყეს შეტევები და იერუსალიმი აიღეს ხვარაზმელმა თურქებმა 1244 წელს.

მეშვიდე ჯვაროსნული ომი 1248-1254 წწ.

1244 წელს კაიროს სულთანმა დაიქირავა ხვარაზმელები (ხორასანი ცენტრალურ აზიაში) Khwarezmian (Khorassan), რომლებიც მონღოლებმა განდევნეს შუა აზიიდან დასავლეთით, და მამლუქების ხელმძღვანელობით თავს დაესხნენ იერუსალიმს. ჯვაროსანთა არმიები, რომლებმაც ამ ჯერზე გადადეს გვერდზე ადგილობრივი უთანხმოებები და დამასკოს სულთანთაც კი

[1] ტევტონი რაინდები, გერმანული სამხედრო ორდენი, ჩამოყალიბდა 1198 წელს. პრუსიული ჯვაროსნობა, რომელიც დაიწყო წარმართი ბალტიის პრუსიელებისა და სლავების მოსარჯულებლად, მიჩნეული იყო, როგორც კარგი წვრთნა რაინდებისთვის, მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლამდე.

შეკავშირდნენ, ვერაფერს ვერ გახდნენ ურიცხვი რაოდენობით ხვარაზმელთა ტომების წინააღმდეგ და დამარცხდნენ ორმოცდარვა საათში.

საფრანგეთი ლუი Louis IX-სთან ერთად შესაძლოა ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო იმ დროს ევროპაში. 1248 წელს დაახლოებით 20 000 კაციანმა საფრანგეთის ძლიერმა არმიამ გადაინაცვლა ზღვით მარსელიდან კვიპროსისკენ და ზამთარი კუნძულზე გაატარეს. 1249 წელს ისინი დამიეტას Damietta მიწაზე გადმოვიდნენ ეგვიპტეში ნილოსზე, რამაც ეგვიპტელების მცირე წინააღმდეგობა გამოიწვია. როდესაც ლუიმ განაგრძო მოძრაობა კაიროს მიმართულებით 1250 წელს, მათ თავს დაესხა მამლუქი ბაიბარსი Baibars, კავკასიელი ლურჯთვალება მებრძოლი მონა, რომელიც იყო მამლუქების არმიის ათაბაგი (სარდალი) კუტუზ აიუბიდის Qutuz Ayyubid სულთანთან. ლუი დამარცხდა და მისი არმია სრულად ამოხოცეს. ლუი ტყვედ აიყვანეს, დიზენტერიით ავად გახდა და მას მკურნალობდა არაბი ექიმი. ის გამოისყიდეს დამიეტას დაბრუნებითა და 400 000 ლივრის სანაცვლოდ. მან მაშინვე დატოვა ეგვიპტე და გადავიდა ჯვაროსანთა პალესტინაში ბოლო სამფლობელოში აკრაში Acre. რადგან აღარ ჰქონდა თანხა ჯვაროსნული ომის გასაგრძელებლად, ლუის წარმომადგენლებმა სესხი ითხოვეს ტამპლიერების მბრძანებლისგან, მაგრამ უარი მიიღეს. 1254 წელს ლუის ფული აღარ ჰქონდა და დაბრუნდა საფრანგეთში შერცხვენილი, მაგრამ მისი ფანტასტიკური ერთგულების გამო ჯვაროსანთა იდეის მიმართ, კანონიზებული იყო კათოლიკე ეკლესიის მიერ.

მერვე ჯვაროსნული ომი 1270 წელს

მამლუქმა ბაიბარსმა Baibars გამოიყენა შესაძლებლობა ვენეციისა და გენუის ომის შემდეგ 1256-1260 წწ-ში და თავს დაესხა სირიის პორტებს, რომლებიც იტალიის ამ ორი ქალაქის მიერ კონტროლდებოდა. 1265 წელს ბაიბარსმა აიღო ნაზარეთი, ჰაიფა, ტორონი და არსუფი Nazareth, Haifa, Toron and Arsuf. არა მხოლოდ ჯვაროსნები, ქრისტიანებიც განწირულნი იყვნენ. მაგრამ მოხდა სასწაული. აღმოსავლეთიდან[1] გამოჩნდნენ მონღოლები და დაანგრიეს მუსლიმთა სამყარო (ბაღდადის, დამასკოს და სხვ. მოსახლეობა სრულად იყო ამოჟლეტილი). მათი შეჩერება მხოლოდ მამლუქებმა შესძლეს ბაიბარსის მეთაურობით აინ ჯალუტთან Ain Jalut ბრძოლაში 1260 წელს[1]. მონღოლების დამარცხების შემდეგ ბაიბარსმა მოკლა სულთანი, ეგვიპტის სასულთნო თავისთვის დაიმტკიცა და დააარსა ბაჰრის Bahri დინასტია, რომლებიც ისტორიულად ცნობილნი გახდნენ მონღოლების შეჩერებით. იგი გახდა ეგვიპტისა და სირიის ეროვნული გმირი მონღოლებზე გამარჯვების

[1] ბევრი დასავლელი ავტორი თვლის, რომ ტამპლიერებმა მოიწვიეს მონღოლები ჩინეთიდან და გაწვრთნეს ისინი, რათა გაენადგურებინათ მუსლიმები. როდესაც ბაიბარსი ეგვიპტიდან წინ წავიდა, რათა შებრძოლებოდა მონღოლებს, მათ შესძლეს გადაეკვეთათ ჯვაროსანთა ტერიტორია ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

შემდეგ. ახლა, როგორც სულთანს, ბაიბარსს ესაჭიროებოდა მეტი დიდება და მან განაგრძო თავდასხმები ქრისტიან ჯვაროსნებზე, აიღო ანტიოქია და იაფა Antioch and Jaffa 1268 წელს და დაემუქრა ტრიპოლის Tripoli ჯვაროსანთა ქვეყანას. მან ერთი ღამე მისცა ტამპლიერებს, რათა გადაეწყვიტათ, აირჩევდნენ ისლამის რწმენაზე მოქცევას, თუ დაიხოცებოდნენ. მათ სიკვდილი არჩიეს ჯვარზე უარის თქმას.

კვიპროსიდან, იერუსალიმის ნომინალური მეფე ჰუგო III Hugh, გადმოვიდა აკრას მიწაზე, რათა დაეცვა ქალაქი, როცა ბაიბაროსი ლაშქრობდა 1266 წელს სომხეთში, რომელიც იმ დროს მონღოლთა კონტროლქვეშ იყო. 1270 წელს ლუი IX Louis კიდევ ერთხელ გაემართა აფრიკის სანაპიროსკენ ივლისში, ყველაზე შეუფერებელ სეზონში. არმიის უმეტესობა ავად გახდა არაჯანსაღი წყლის გამო და ლუი თავად დაიღუპა დიზენტერიით. მისი ბოლო სიტყვა იყო „იერუსალიმი, იერუსალიმი!“

მეცხრე ჯვაროსნული ომი 1271-1272 წწ.

პრინცმა ედუარდმა Edward, ინგლისის მომავალმა მეფე ედუარდ I-მა, ჩარლზ ანჟუსთან Charles of Anjou ერთად წამოიწყო ექსპედიცია 1271 წელს აკრის მიმართულებით იერუსალიმისკენ, რათა დახმარებოდა ბოჰემუნდ VI-ს Bohemund, ანტიოქიის უფლისწულსა და ტრიპოლის დიდგვაროვანს. იმ დროს ბაიბარსი ალყას არტყამდა ტრიპოლს, რომელიც სავსე იყო 10 000 ქრისტიანი ლტოლვილით. კვიპროსსა და აკრაზე დაყრდნობით, ედუარდმა და ჩარლზმა უხელმძღვანელეს ბაიბარსის შიდა ხაზებზე თავდასხმას და გაარღვიეს ალყა.

ინგლისის მეფე ედუარდ I ცდილობდა კავშირი დაემყარებინა მონღოლებთან ბაიბარსის წინააღმდეგ. ამავე დროს მან დაიწყო მოლაპარაკებები ზავზე ბაიბარსთან, მაგრამ ეს მოლაპარაკება თითქმის დასრულდა მაშინ, როდესაც ბაიბარსმა მისი მოკვლა სცადა (მოწამვლა) და მკვლელები მიუგზავნა. ედუარდმა და მისმა რაინდებმა პირადად დახოცეს მკვლელები და დაიწყეს იერუსალიმზე პირდაპირი შეტევისთვის მზადება. მაგრამ ამ დროს მოვიდა ედუარდის მამის, ინგლისის მეფის, გარდაცვალების ამბავი. იგი იძულებული იყო სასწრაფოდ დაბრუნებულიყო ევროპაში და ინგლისის მეფედ აკურთხეს 1272 წელს.

ჯვაროსანთა სახელმწიფოებს დასასრული მოუტანა ეგვიპტის ახალმა სულთანმა ქალავუნმა Qalawun. ის იყო ყივჩაყი თურქი, რომელმაც არც იცოდა არაბული ენა კარგად. დიდი სულთნის ბაიბარსის ვაჟს ცოლად ჰყავდა ქალავუნის ქალიშვილი. ბაიბარსის სიკვდილის შემდეგ ქალავუნმა ჩაიგდო ხელისუფლება ხელში და მის გასამტკიცებლად შეუტია ჯვაროსნების დარჩენილ მიწებს პალესტინაში: მან აიღო ტრიპოლი 1289 წელს და აკრა 1291 წელს. ჯვაროსანთა სახელმწიფოებმა შეწყვიტეს არსებობა.

ჯვაროსანთა რაინდების უკანასკნელი მიწა აღმოსავლეთში იყო ჰოსპიტალიერების კუნძული როდოსი, რომელსაც მე-16 საუკუნემდე ინარჩუნებდნენ, როდესაც მალტაზე გადავიდნენ.

მე-13 საუკუნის შემდეგ მონღოლთა შემოსევებით დაიწყო კაცობრიობისთვის ბნელი პერიოდი. მონღოლების ევროპაში სილეზიამდე მიღწევის გამო 1241 წელს ევროპის პოზიცია იერუსალიმის მიმართ შეიცვალა და ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა მიტოვებული იყო. ევროპის სამეფოებში პანიკამ დაისადგურა. შორეული პალესტინა კი არა, უნგრეთი და პოლონეთი გახდა არა მარტო მონღოლებთან ბრძოლის ასპარეზი, არამედ წარმართი პრუსიელებისა და ლიტველების წინააღმდეგაც (მავრებიც კი უკანა პლანზე გადავიდნენ). მით უმეტეს, რომ შავი ჭირის ეპიდემიამ (1348-53 წწ.) სრულიად მოშალა ევროპის ეკონომიკა და სოციალური ცხოვრება.

მე-14 საუკუნეში გაჩნდა მცირე შესაძლებლობა, როდესაც სელჩუკები Seljuks დასუსტდნენ შიდა არეულობის გამო, მაგრამ ევროპაში ეკონომიკის აღმავლობამ გამოიწვია მათი ინტერესი მიწასა და ქონების მიმართ, რაც ხელს არ უწყობდა შორეულ ომებში წასვლის სურვილს. მე-14 საუკუნის ბოლოს მუსლიმური სამყარო და უფრო სახიფათო თურქ-ოსმალები Ottoman აღდგნენ მონღოლთა აოხრების შემდეგ, და კვლავ დაიწყეს ევროპის მიმართულებით შეტევა. ახალმა საოცრებამ გადაარჩინა ევროპა თურქ-ოსმალების მიერ სასტიკი დამარცხებისგან. მონღოლმა თემურლენგმა[1] სასტიკად დაამარცხა თურქები ანკარასთან Ankara ბრძოლის დროს 1402 წელს, როდესაც დანაკარგი შეადგენდა 100 000 მებრძოლს.

მიუხედავად ამისა, ოსმალებმა Ottoman აიღეს კონსტანტინოპოლი (Istanbul) 1453 წელს, სადაც დიდი რაოდენობით ვენეციელი და გენუელი რაინდები დაიღუპნენ ქალაქის დაცვის დროს. მე-15 საუკუნეში ლათინური ეკლესია ცდილობდა მოეწყო ჯვაროსნული ომი, რომლის მიზანიც იყო ბიზანტიის იმპერიის აღდგენა, მაგრამ ეს სტრატეგია საბოლოოდ ჩაიშალა, რადგან ბიზანტიელი ბერძნების უმეტესობა ფიქრობდა, რომ ბიზანტიის კულტურა უფრო მეტად იქნებოდა დაცული ოსმალების მმართველობის დროს.

სილიციის სომხეთის სამეფო ARMENIAN KINGDOM OF CILICIA

სილიციის სომხეთის სამეფო ჩამოყალიბდა 1078 წლიდან 1375 წლამდე, დღევანდელ სამხრეთ თურქეთში. სილიციის სამეფო დააარსა რუპენიდის Roupenid დინასტიამ, დიდი ბაგრატიდების Bagratid ოჯახის განშტოებამ, რომლის დედაქალაქიც იყო სისი Sis. სილიცია იყო ძლიერი მოკავშირე ევროპელი ჯვაროსნებისა, თავს მიიჩნევდა, ქრისტიანობის ბურჯად აღმოსავლეთში. სომხები ყველანაირად ეხმარებოდნენ ჯვაროსნებს, რაც აღნიშნა პაპმა

[1] თემურლენგის, ჩინგიზ ყაენის თურქ-მონღოლთა დინასტიის კანონიერი შთამომავლის, მიზანი იყო დაესაჯა ოსმალი თვითმარქვიები, რომელთაც ტახტიდან ჩამოაგდეს სელჩუკთა დინასტია. ამ გამარჯვებას სიხარულით შეხვდა ყველა ევროპელი მმართველი, ხოლო საქართველოსთვის ამის შემდეგ განვითარებული შეტევები ყველაზე მომამკვდინებელი აღმოჩნდა.

გრეგორი XIII-მ Gregory: „როდესაც ქრისტიანი უფლისწულები და მებრძოლები წავიდნენ წმინდა მიწის Holy Land დასაბრუნებლად, არც ერთი ადამიანი ან ერი, იმავე ენთუზიაზმით, სიხარულითა და რწმენით არ დახმარებია მათ, როგორც სომხები, რომლებმაც ჯვაროსნები მოამარაგეს ცხენებით, პროვიზიითა და რჩევებით“ (Ecclesia Romana, 1584 წ.).

მე-12 საუკუნეში რუპენიდის მთავრები ეჯიბრებოდნენ ძალაში ბიზანტიის იმპერიას აღმოსავლეთის რეგიონების კონტროლში. ლეონ I-მა Leon შეუერთა სილიციის სანაპირო ქალაქები სომხეთის სამთავროებს, მაგრამ ის დაამარცხა ბიზანტიის იმპერატორმა 1137 წელს და მიწები კვლავ მიიჩნეოდა ბიზანტიის პროვინციად. საღვთო რომის იმპერატორის ფრიდრიხ ბარბაროსას Frederick Barbarossa მხარდაჭერით, ლეონ II-ს მიეცა შესაძლებლობა, მისი სამფლობელოს სტატუსის ამაღლებისა და 1198 წელს რუპენიდის მთავარი ლეონ II გახდა სომხეთის სილიციის პირველი მეფე.

Fortress of Cilician Armenia. 13th century

სამეფო გვირგვინი მოგვიანებით მეტოქე ჰეტუმიდების Hethoumid დინასტიას ჩაუვარდა ხელში. იმ დროს მონღოლებმა დაიპყრეს კავკასია, დიდი სომხეთი, მესოპოტამია, სირია და ეგვიპტისკენ მიიწევდნენ. ჰეტუმმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ოქროს ურდოსთან. მან ისიც კი სცადა, რომ მოექცია მონღოლები ქრისტიანობაზე, მაგრამ ამაოდ, თუმცა იმ დროს მონღოლებს შორის ბევრი ქრისტიანი ნესტორიელი იყო. ჰეტუმიდები მართავდნენ სილიციას ლეონ V-ს მკვლელობამდე 1341 წელს, როცა მისი ბიძაშვილი ლუზინიანი Guy Lusignan, კვიპროსის კუნძულის მფლობელი, აირჩიეს მეფედ. მაგრამ, როდესაც პროლათინმა ფრანგმა ლუზინიანმა აიღო ძალაუფლება, ის ცდილობდა შემოეღო კათოლიკობა. ამან კი სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. გვიან მე-14 საუკუნეში, სილიცია დაიპყრეს მამლუქებმა. მის ბოლო მეფეს უბოძეს დაცული გასასვლელი და პარიზში გადასახლებაში გარდაიცვალა. მამლუქები სილიციიდან თემურლენგმა გამოაძევა. შედეგად, 30 000 მდიდარმა სომეხმა დატოვა სილიცია და დასახლდნენ კვიპროსში, რომელიც კვლავ საფრანგეთის მმართველობის ქვეშ იყო 1489 წლამდე. სომხეთის მეფის წოდება ლუზინიანის დინასტიამ დაუთმო სავოის Savoy სახლს 1485 წელს. იტალიის ბოლო იმპერატორის ვიქტორ ემანუელ III-ს Victor Emanuel (1900-1946 წწ.) წოდება მოიცავდა სიტყვებს „...კვიპროსის, იერუსალიმის, სომხეთის მეფე...“.

ქართველები იერუსალიმში

წმინდა ადგილები: ჯვრის მონასტერი Monastery of the Cross იერუსალიმში და ივერთა მონასტრები Holy Monastery of Iviron or Iveron ათონის მთაზე საბერძნეთში ეკუთვნოდა ქართველებს ჯვაროსნული ომების, მამლუქებისა და თურქების პერიოდში. წმინდა საფლავის ეკლესია Church of the Holy Sepulchre ასევე ყველაზე საკრალური ადგილია ქრისტიანებისთვის, სადაც იესო ჯვარს აცვეს, დაკრძალეს (საფლავი) და მკვდრეთით აღდგა. მართლმადიდებელი ტრადიცია ფლობს წმინდა ცეცხლის სასწაულს, რომელიც ყოველ წელს ხდება წმინდა საფლავის ტაძარში მართლმადიდებლურ აღდგომის შაბათს.

ჯვრის მონასტერი იერუსალიმში

ივერთა მონასტერი ათონის მთაზე, საბერძნეთი

გერმანელი მღვდელისა და პილიგრიმ ლუდოლფ ფონ ზიუდჰაიმის Ludolf von Sudheim მიხედვით, როდესაც პირველი ლაშქრობის ჯვაროსნები შევიდნენ იერუსალიმში 1099, წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები „ძველი ქართველების“ ancient Georgians ხელში იყო, როგორც ეს აღწერილია „ვენეციელი მოგზაურის მიერ: „ცხოვრება და მარკო პოლოს დრო,“ გვ. 88 „Venetian Adventurer: The Life and Times of Marco Polo, p.88 და „იერუსალიმის წმინდა საფლავის მოკლე აღწერა და სხვა ქრისტიანული ტაძრები წმინდა ქალაქში: შუა საუკუნეების ასლები წმინდა საფლავის გადარჩენაზე ევროპაში, ჯორჯ ჯეფრი, გვ. 69“ „A Brief Description of the HolySepulchre Jerusalem and Other Christian Churches in the Holy City: With SomeAccount of the Mediaeval Copies of the Holy Sepulchre Surviving in Europe, George Jeffery, p.69“. 1173 წელს დასავლელმა მოგზაურმა ბენჟამინ ტუდელელმა Benjamin Tudelel აღწერა იერუსალიმის მოსახლეობა, რომელიც ძირითადად შედგებოდა იაკობიტების, სირიელების, ბერძნების, ქართველებისა და ფრანკებისგან.

1812 წელს ჯვრის მონასტერიდან ბერმა ლავრენტი ოკრიბელმა 1155-1187 წლებში ჩამოიტანა ქართული ნუსხულით შესრულებული ხელნაწერი

“გოლგოთას სვინაქსარი”, რომელიც ახლა ინახება ხელნაწერთა ეროვნულ მუზეუმში (H-1661) თბილისში, სადაც მოიხსენიებდნენ ტამპლიერების ორდენის იმ დროისათვის ბევრ ცნობილ რაინდთა შესაწირს. ისინი მოხსენიებულნი არიან, როგორც “მეგობრები”, ანუ ერთმორწმუნე. ასევე ლათინები მოიხსენებდნენ გეორგიანებს, როგორც ქრისტიანებს- კათოლიკებს. ტამპლიერებთა შორის ბევრი ბასკი იყო, რომლებიც ქართველებს ენათესავებოდნენ. იმდროინდელ წერილებში რომის პაპს ქართველი მეფეები მოიხსენიებდნენ “სრულიად საქრისტიანოს მამად და მეთაურად”. იმავე ჯვრის მონასტერში აღმოჩენილი ქართული სახარების გვერდებზე, რომელიც ახლა ინახება პარიზის მეზეუმში, აგრეთვე მიწერილია ტამპლიერი მაგისტრებისა და რაინდების სახელები, რაც ქართველ მეფეებსა და ტამპლიერების შორის მჭიდრო ურთიერთკავშირზე მიანიშნებს. ანტიოქიის სათავადოდან და ედესის საგრაფოდან ზღვით გადმოყვანილი 100 ან 200 მძიმედ შეიარაღებული რაინდი ცენტრალურ დარტყმით ძალას წარმოადგენდა დიდგორის ბრძოლის დროს 1121 წელს. იმ პერიოდში ანტიოქიის ჯარის სრულ შემადგენლობაში შედიოდა 700 მხედარი რაინდი და 3000 ფეხოსანი.

1187 წელს ქრისტიანული წმინდა ადგილები და ეკლესიები გადაეცა სალადინს და მას შემდეგ თითქმის უწყვეტად იერუსალიმი მუსლიმების კონტროლის ქვეშ იყო. მაგრამ ქრისტიან პილიგრიმებს ნება ეძლეოდათ წვეოდნენ სალოცავებს იერუსალიმში იმის სანაცვლოდ, რომ კონსტანტინოპოლში იფუნქციონირებდა მეჩეთი. ქართველებს შენარჩუნებული ჰქონდათ იერუსალიმის წმინდა ადგილებზე გავლენა ჯვაროსნების შემდეგ ეგვიპტელ მამლუქებთან პირადი ურთიერთობების გამო. როდესაც ჯვაროსნების მე-5 ლაშქრობის დროს დაიპყრეს დამიეტი, სირიის სულთანმა განიზრახა, დაენგრია იერუსალიმის კედლები, მაგრამ ქართველი მეფეები დაემუქრენ მას, რომ არ ჩაედინა ასეთი რამ და ამით ეს ვანდალიზმის საფრთხე თავიდან იყო აცილებული, რამაც ჯვაროსნების მადლიერება დაიმსახურა. ქართველები მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებლობდნენ სხვა ქრისტიანებთან შედარებით. ჯეკ დე ვიტრი Jack de Vitry წერდა 1226 წელს, რომ, სანამ ქრისტიანების უმეტესობა იძულებულნი იყვნენ შესულიყვნენ იერუსალიმში ფეხით, შეუიარაღებელნი და შეუმჩნევლად ეარსებათ, ქართველი პილიგრიმები შედიოდნენ გაშლილი და მაღლა ამართული დროშებით, სრული შეიარაღებით. ისინი არ იყვნენ ვალდებულნი, გადაეხადათ გადასახადები, რომელიც დაკისრებული ჰქონდათ სხვა ქრისტიანებს. „სარაცინებს მათი ეშინოდათ, ხოლო თვითონ გეორგიანები მუდმივად იჭრებოდნენ მტრის ტერიტორიაზე და ამარცხებდნენ მათ“.

მე-13 საუკუნეში ქართველ მეფე გიორგი V ბრწყინვალეს (1300-1314) ინტენსიური მიმოწერა ჰქონდა ეგვიპტის ბაჰრი დინასტიის მამლუქ სულთნებთან. მან მიავლინა ელჩები შალვა ფიფიას Shalva Pipia ხელმძღვანელობით მამლუქებთან 1317 წელს გოლგოთას მთაზე სამ ეკლესიაზე კონტროლის დაბრუნების თხოვნით. მამლუქების დახმარებით ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაიბრუნა ეკლესიები წმინდა მიწაზე.

ამ დროს დაიწყო იერუსალიმის დროშის გამოყენება როგორც სამხედრო დროშისა, რომელიც ახლა საქართველოს სახელმწიფო დროშაა.

სამწუხაროდ, თემურლენგის შემოსევებმა ბოლო მოუღო საქართველოს ყველანაირ პრეტენზიებს და გავლენას პალესტინაში და 1407 წლიდან სომეხმა ბერებმა მეტი გადაიხადეს და მონასტრების მართვის უფლება მათ მოიპოვეს. 1440 წელს ქართველმა მეფემ ალექსანდრე I-მა მისწერა თურქეთის ახალ სულთანს წერილი იერუსალიმის ეკლესიების თხოვნით. მაგრამ 1470-90 წლებიდან კათოლიკე-ფრანცისკანელები ჩაერთვენ თურქეთის სულთანთან ვაჭრობაში, რამაც ყველაფერი გადაწონა. 1470-90 წლებში ქართული მოსახლეობა იერუსალიმში რაოდენობით მესამე იყო კათოლიკეებისა და ბერძნების შემდეგ.

1504 წელს ჩამოყალიბდა ანტიოსმალური კოალიცია – ქართველები, ირანელები და ეგვიპტის მამლუქები. ფრანგებმა აირჩიეს ფრთხილი ნეიტრალიტეტი, მაგრამ ოტომანმა სულთანმა ის მიიჩნია მოკავშირედ, რამაც შექმნა ანტიფრანგული დამოკიდებულება ეგვიპტეში ნაპოლეონის დრომდე. შესაბამისად, ფრანცისკანელები გოლგოთადან ქართველებმა გამოაძევეს 1511 წელს, მაგრამ 1514 წელს ისინი კვლავ დაბრუნდნენ დიდი ფულით და აღიდგინეს პოზიციები.

ამავე დროს, ოტომანებიც ცდილობდნენ მოკავშირედ ჰყოლოდათ ქართული კავალერია სირიაში მამლუქებთან წინააღმდეგ ბრძოლაში და პირდებოდნენ ქართველებს იერუსალიმში წმინდა ადგილებზე უპირატესობის მინიჭებას. ქართველი სამხედროების აქტიური მონაწილეობით სულეიმან I-მა 1517 წელს შესძლო იერუსალიმის გათავისუფლება მამლუქებისგან.

1555 წლიდან ქრისტიანულ ეკლესიებზე კონტროლი მერყეობდა ფრანცისკანელებსა და მართლმადიდებლებს შორის, რაც ხშირად ქრთამის საფუძველზე გვარდებოდა. 1767 წელს ღვთაებრივმა პორტამ Sublime Porte გამოსცა ფირმანი, რითიც წმინდა საფლავის ეკლესია გაყოფილი იყო მოსარჩელებზე status quo-ს, შესაბამისად: აღმოსავლეთ მართლმადიდებლურ (რუსული, ქართული, სხვ.), რომაულ კათოლიკე და სომხეთის სამოციქულო ეკლესიებს, ყველას ჰქონდა უფლება ეკლესიაში შესვლისა, ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობით.

რაც ქართველებმა დაკარგეს იერუსალიმის ქრისტიანული ეკლესიების გასაღებებზე კონტროლი, ჯვაროსნული ომის შემდეგ სალადინმა პასუხისმგებლობა დააკისრა მუსლიმ ნუსეიბეს Nuseibeh ოჯახს. რამდენიმე ასობით წლის შემდეგ ოსმალებმა წმინდა საფლავის გასაღებები მიანდეს იუდეას ალ-გუდიას Joudeh Al-Goudia ოჯახს, და ახლა ორივე ოჯახი იზიარებს პასუხისმგებლობას. ეს შეთანხმება დღემდეა შენარჩუნებული. და ყოველ დღე ამ ოჯახის წარმომადგენელი დილით აღებს ეკლესიის კარებს.

1582 წლიდან დაიწყო ქართველებისთვის წმინდა ადგილების დაკარგვის პროცესი. რადგან მხოლოდ კათოლიკეებს ჰქონდათ საშუალება, გადაეხადათ თურქების მიერ დაწესებული მაღალი გადასახადები, და 1640 წლისთვის იერუსალიმში თითქმის არც ერთი ქართველი ბერი აღარ დარჩა.

კავკასიის ხევსურეთი

კავკასიის მთებში იზოლირებულად მცხოვრები ხევსურები შესაძლოა იყვნენ ჯვაროსნების პირდაპირი შთამომავლები. რუს სამხედრო მოსამსახურეს და ეთნოგრაფს ზისერმანს Arnold Zisserman, რომელმაც 25 წელი (1842-67 წწ.) გაატარა კავკასიაში, სჯეროდა, რომ ქართველი მთიელების ეს ეგზოტიკური ჯგუფი იყო უკანასკნელი ჯვაროსნების შთამომავალნი, მათი ჩვეულებებით, ენითა და ხელოვნებით. ამერიკელმა მოგზაურმა რიჩარდ ჰალიბარტონმა Richard Halliburton ნახა და ჩაწერა ტომის წესები 1935 წელს. მას სჯეროდა, რომ ესმოდა ფრანგული და გერმანული ფრაგმენტები მათ დიალექტში. ყველა სახლის კედელზე ეკიდა ჯავშანი, თოფი და ჯვრიანი ფარი. ხანჯალს ყველა კაცი მუდმივად ატარებდა.

ისინი საუბრობენ ქართული ენის ადგილობრივ დიალექტზე, რომელიც ჰგავს შუა საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენას. ხევსურეთი ცნობილია შუა საუკუნეების ბალადებითა და ფოლკლორული მუსიკით. ყველაზე დიდი სოფლებია ბარისახო და შატილი Barisakho and Shatili. ხევსურეთის არქიტექტურას ახასიათებს ციხესიმაგრეების სტილი და მთებზე სამეთვალყურეო კოშკების აგება.

ხევსურები Khevsurs. მარჯვნივ რიჩარდ ჰალიბარტონი ხევსურულ სამოსში

ჰიპოთეზა, რომ ხევსურებს ჰქონდათ ფრანგული ეთნიკური ფუძე, დაფუძნებული იყო მათი ფოლკლორის კულტურაზე: ნივთები, სოციალური და რელიგიური პრაქტიკა ძალზედ ჰგავს ჯვაროსნების სტილს. ხევსურები თავს ჯვაროსნების ნაწილის პირდაპირ შთამომავლებად თვლიდნენ, რომლებიც გამოეყვნენ არმიას და შერჩენ შორეულ ადგილას. ხევსურმამაკაცებს აცვიათ ჯაჭვის პერანგი და შეიარაღებულნი არიან ორპირიანი მახვილებით, სამოსი, რომელიც აცვიათ, ჯვრებით არის შემკული. ისინი თაყვანს სცემდნენ ჯვრიან დროშებს, თავს მიიჩნევდნენ საღვთო დროშებიანი არმიის მუდმივ წევრებად და ქართველი მეფეების პირად მცველებად. ხევსურების ძირითადი მიზანია მათი წინაპრების რელიგიის, ქრისტიანობის დაცვა და გაძლიერება.

ქართველი მამლუქები GEORGIAN MAMLUKS

An Ottoman Mamluk, from 1810

მამლუქი (არაბულად „კუთვნილი“) იყო მონა ჯარისკაცი, რომელმაც მიიღო ისლამი. დროთა განმავლობაში ისინი ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ სამხედრო ძალად და ხელთ ჩაიგდეს ძალაუფლება, როგორიცაა სულთანი, შაჰი, შეიხი, ფაშა, ბეი ან ხალიფა, მაგალითად:

– მამლუქები ეგვიპტეში 1250 წლიდან 1517 წლამდე, რომელთაც შეაჩერეს მონღოლების გაფართოება დასავლეთში,

– გულამი Ghulam სპარსეთში,

– იანიჩარები Janissaries ოსმალეთის (ოტომანთა) Ottoman იმპერიაში,

– ინდოეთში მუგალის (ან მოგული) Mughal (or Moghul) იმპერიაში,

– ერაყში ბაღდადის მამლუქებმა გამოაცხადეს ოსმალეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობა მე-18 საუკუნეში, ოსმალების მიერ ახლიდან დაპყრობამდე, 1832 წელს.

Histoire de Thamas Koulikan (Amsterdam & Leipzig, 1740, p.36) აღნიშნავს, რომ დაქირავებული ქართველები, შვეიცარიელების მსგავსად ევროპაში, მსახურობდნენ სპარსეთის გულამში, თურქეთის იანიჩრებად, ეგვიპტის მამლუქებთან და სხვა.

მამლუქებს ბავშვობაშივე იწვევდნენ არამუსლიმური ადგილებიდან – კავკასიიდან და ბალკანეთიდან. ყურანის მიხედვით, ნებისმიერ ადგილას დაბადებული ბავშვი მუსლიმია და მხოლოდ მოგვიანებით ისინი იღებენ ქრისტიანობას ან სხვა რელიგიებს. ასე რომ, მოპარული, მოტაცებული ან ნაყიდი ბავშვები მონათვლამდე არ ითვლებოდნენ ქრისტიანებად. ისლამის მიღების შემდეგ მამლუქებს წვრთნიდნენ, როგორც მხედარ ჯარისკაცებს და ისინი მიჰყვებოდნენ ღირებულებებს, როგორიცაა სიმამაცე და სულგრძელობა.

პრაქტიკულად, წვრთნის შემდეგ ისინი აღარ იყვნენ მონები და უკვე ერთგულობის ნიშნით ემსახურებოდნენ სულთანს. ბევრი მამლუქი მაღალ თანამდებობებს აღწევდა იმპერიაში, არმიის მეთაურობის ჩათვლით. თავდაპირველად მათი სტატუსი არამემკვიდრეობითი იყო და ვაჟები ვერ აგრძელებდნენ მამების დამსახურებით სარგებლობას, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მამლუქებმა მოიპოვეს დიდი გავლენა და ძალა. ისლამური ცივილიზაციის გარდა, ამ ფენომენს არ ჰყავდა მსგავსი.

ეგვიპტის ქართველი მამლუქები

ეგვიპტის მამლუქთა სასულთნო წარმოიშვა აიუბიდის დინასტიიდან, რომელიც ქურთმა Kurd სალაჰადდინმა (ევროპაში ცნობილია, როგორც სალადინი) Salah-ad-Adin (Saladin) დააარსა 1174 წელს. სალადინი დაიბადა თიკრიტში Tikrit (ერაყი) ქურთების ოჯახში, რომლებიც წამოვიდნენ ქალაქ დვინიდან Dvin, სომხეთიდან. 1169 წელს სალადინმა მოკლა მეტოქე და ის, სუნიტი Sunni, დაინიშნა ეგვიპტის ფატიმიდ შია[1] (შიიტი) Fatimid Shia სულთნის ვეზირად.

ფატიმიდი ხალიფის კარზე შავკანიანი საჭურისები დიდი გავლენით სარგებლობდნენ. მათ ეხმარებოდნენ შავი ნუბიელი მონები, რომლებიც ეგვიპტის ფატიმიდების არმიის ძირითად ელემენტს წარმოადგენდნენ. მაგრამ ამას ვერ ითმენდნენ თეთრკანიანი ჩერქეზი მონები, რომლებმაც დიდი რაოდენობით დაიწყეს შემოსვლა შავი ზღვის რეგიონებიდან. რასობრივი განსხვავება თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ეგვიპტის არმიის ორგანიზაციაში, სადაც შავკანიანი მონები მსახურობდნენ ქვეით ჯარში, თეთრები კი ცხენოსანთა ჯარში, რომელიც ელიტარულ არმიად ითვლებოდა. თანდათანობით დამკვიდრდა სიტყვა მამლუქი და აღნიშნავდა მხოლოდ თეთრ-კანიან ცხენოსანს.

1169 წელს თეთრი მამლუქების მხარდაჭერით სალადინმა ჩაახრჩო კაიროს სასახლეში შავკანიანი მეომრების შეთქმულება. შედეგად, 1171 წელს ფატიმიდის შიიტური დინასტია ეგვიპტესა და სირიაში ჩაანაცვლა სუნიტმა აიუბიდის სალადინის დინასტიამ (1171-1250 წწ.). ამით მამლუქთა დინასტიის მთელი სერია დაიწყო საუკუნეების მანძილზე. სალადინი ცნობილი გახდა წარმატებული ბრძოლით ჯვაროსნებთან. მიუხედავად მისი სისასტიკისა, რაც ბუნებრივი იყო იმ დროისთვის, მას ძალზედ აფასებდნენ ქრისტიანები ბრძნული პოლიტიკისა და ბრძოლის რაინდული წესის გამო.

სალადინი დამასკოში გარდაიცვალა ცხელებით 1193 წელს, მესამე ჯვაროსნული ომის შემდეგ. მას შემდეგ, რაც სალადინმა ქონების უმეტესობა

---

[1] ფატიმიდის (ისმაილი შია (შიიტი) Ismaili Shia მუსლიმი) დინასტიის (909-1171 წწ.) დამაარსებელი ეგვიპტეში იყო სპარსელი აბდულა Abdullah, სექტის ერთ-ერთი ლიდერი, ზოროასტრიანიზმის Zoroastrianism (მაზდაიზმი და მაგიანიზმი Mazdaism and Magianism) მიმდევარი, დაფუძნებული ძვ. წ. მე-6 საუკუნეში წინასწარმეტყველ ზოროასტერის Zoroaster სწავლებებზე (ავესტაში Avesta ასევე ცნობილია, როგორც ზარატუსტრა Zarathustra). აბდულა გაექცა ბაღდადის აბასიდ ხალიფას Abbasid Caliph საპატიმროდან და ეგვიპტეში ისეთი პოპულარული გახდა, რომ ჩამოაყალიბა ისმაილიტური სექტა და თავი გამოაცხადა ეგვიპტის მმართველად 969 წელს შავკანიანებისა და ბერბერის არმიების დახმარებით. ბაღდადის აბასიდმა ხალიფამ სთხოვა პატივცემულ სწავლულებსა და კანონმდებლებს შეედგინათ ედიქტი (ბაღდადის მანიფესტი) მტკიცებით, რომ ფატიმიდები არ იყვნენ ალის Ali შთამომავლები. ამით სუნიტი Sunni ოპონენტები ამტკიცებდნენ ფატიმიდების დინასტიის ებრაულ წარმოშობას.

სალადინი დამასკოში

ქველმოქმედებას შესწირა, აღმოჩნდა, რომ არ ჰქონდა შემონახული საკმარისი თანხა დაკრძალვისთვის. 7 საუკუნის შემდეგ გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ II-მ უმაიდის Umayyad მეჩეთს დამასკოში, სირიაში, შესწირა ახალი მარმარილოს სარკოფაგი. თუმცა სალადინი მაინც არ გადაასვენეს იქ, რათა არ შეეწუხებინათ მისი სული.

სალადინის სიკვდილის შემდეგ აიუბიდის დინასტიამ ეგვიპტეში არსებობა დაასრულა მეშვიდე ჯვაროსნული ომის დროს, როცა საფრანგეთის ლუი IX გადმოქვეითდა ეგვიპტეში და აიღო დამიეტი. თავიდან ეგვიპტის ჯარებმა უკან დაიხიეს. როდესაც ეგვიპტის სულთანი (სალადინის შთამომავალი) გარდაიცვალა, ძალაუფლება გადაეცა მის საყვარელ მეუღლეს შაჯარს Shajar. მან კონტროლი აიღო მამლუქ აიბეკის Aibek დახმარებით და დაიწყო კონტრშეტევა. მამლუქებმა დაამარცხეს ლუის ჯარები და იგი ტყვედ აიყვანეს 1250 წელს. მამაკაცი ლიდერის პოლიტიკურმა აუცილებლობამ აიძულა შაჯარი მითხოვებოდა მამლუქთა მბრძანებელს აიბაკს, რომელმაც კარიერა დაიწყო, როგორც სულთნის საკვებისა და სასმელის მოწამვლის საწინააღმდეგო დაგემოვნებელმა. 7-წლიანი მმართველობის შემდეგ იგი აბაზანაში მისმა მეუღლემ შაჯარმა მოკლა და სულთნად გამოცხადდა ჩერქეზი კუტუზი[1] Qutuz. კუტუზმა ჩამოაყალიბა მამლუქთა სასულთნო ბაჰრის Bahri დინასტია (1250-1382 წწ.), მის წინაპართა ტომის სახელის პატივსაცემად, რომელიც შედგებოდა ყივჩაყ თურქებით Kipchak Turks ჩრდილოეთ კავკასიიდან ძლიერი ჩერქეზული ელემენტით. მათ ეძახდნენ ჩერქეზებს, მაგრამ ქართულად საუბრობდნენ.

მოულოდნელად აღმოსავლეთიდან მოვიდნენ მონღოლები, რომლებმაც დაიპყრეს ჩინეთი, ციმბირი, აზია, ირანი, რუსეთი და კავკასია. სანამ შეხვდებოდნენ მამლუქებს, ისინი არასდროს დამარცხებულან. 1257 წელს ჰულაგუ ხანმა და ჩინელმა სარდალმა გუო კანმა Hulagu Khan and Guo Kan წამოიწყეს ლაშქრობა იმ დროს სპარსეთში ყველაზე მდიდარი ქალაქის აბასიდი დინისტიის სახალიფოსი 500-წლიანი ბაღდადის და შემდეგ აიუბიდის დინასტიის დამასკოს ასაღებად. მონღოლთა ამ ჯარში იყო ქრისტიანი ქართველების კავალერიის დიდი კონტინგენტი (60 000), დავით VII ულუს[2] David

[1] 500 წლის შემდეგ იმავე გვარს ატარებდა რუსი გენერალი კუტუზოვი, რომელიც ომობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ. „კუტუზ(ოვ)“ ჩეჩნებში დღემდე ჩვეულებრივი სახელია.

[2] ქართველები მონღოლთა სამსახურში: ქართველების დიდი კონტინგენტი იბრძოდა მონღოლებთან ალამუტში (1256 წ.), ბაღდადში (1258 წ.), აინ ჯალუტში (1260 წ.) და სხვაგან, ვინაიდან მონღოლები ბრძოლის ნადავლს გამარჯვებულს უტოვებდნენ.

VII Ulu მეთაურობით, რომლებსაც ძლიერ სურდათ შური ეძიათ თბილისის განადგურების გამო ათწლეულით ადრე ჯალალ ედ დინ ხვარაზმელის მიერ Jalal al-Din Khwarazmshah. აგრეთვე იყო 12 000 სილიციელ სომეხთა არმია, ფრანკების რაზმი ანტიოქიის სამთავროდან და ცეცხლიანი ისრებით 1 000 ჩინელი მშვილდოსანი.

ბაღდადის შტურმი და დარბევა მოხდა 1258 წელს. მოსახლეობის 100 000-დან ერთ მილიონამდე მკვდარი იყო. ბაღდადის ცნობილი ბიბლიოთეკები და მეჩეთები – დანგრეული. ხალიფა შეიპყრეს და აიძულეს ეყურებინა მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტისთვის. ზოგი ანგარიშის მიხედვით, ხალიფა გათელვით მოკლეს. მონღოლებმა ხალიფა ხალიჩაში გადაახვიეს და ცხენებით გადაუარეს, როგორც მათ სჯეროდათ, რომ თუკი მიწას შეეხებოდა სამეფო სისხლი, ის შეურაცხყოფილი იქნებოდა. მონღოლი დოკუზ ხათუნის Dokuz Khatun, ჰულაგუს ნესტორიანელი ქრისტიანი ცოლის ჩარევით, ბაღდადის მხოლოდ ქრისტიანი მოსახლეობა დაინდეს. შედეგად, ბაღდადი და დამასკო ნანგრევებში რამდენიმე საუკუნის მანძილზე იყო, და ეს მოვლენა ისე გამოიყურებოდა, როგორც ისლამის ოქროს ხანის დასასრული. შემდეგ აიღეს ისმაილიტების ასასინების ციხესიმაგრე ალამუტი.

მონღოლებისა და მამლუქების ბრძოლა აინ ჯალუტთან

1260 წელს ჰულაგუმ აიღო და დაანგრია დამასკო. იმავე წელს გაილაშქრა ეგვიპტის სულთნის კუტუზის წინააღმდეგ, მაგრამ მოულოდნელად, მონღოლეთში დიდი ყაენის სიკვდილის გამო ჰულაგუ და სხვა მაღალი რანგის მონღოლები დაბრუნდნენ უკან, რათა გადაეწყვიტათ მემკვიდრის ამბავი. ჰულაგუმ ჯარის უმეტესობა თან წაიყვანა და მხოლოდ მცირე ნაწილი დატოვა, ნესტორიანელი ქრისტიან-თურქ კიტბუქა ნოინის Kitbuqa Noyan მეთაურობით. იგი ცდილობდა ჩამოეყალიბებინა ფრანკო-მონღოლური ალიანსი იერუსალიმის ჯვაროსან სამეფოსთან ერთად, მაგრამ პაპმა ალექსანდრე IV-მ აკრძალა ეს.

მონღოლების ომებში საზღვარგარეთ ქართველებმა 10 000-მდე ცხენოსანი დაკარგეს, როდესაც სამშობლოში საქართველო ებრძოდა მუსლიმთა ზღვას. კოსე დაგის Köse Dag ბრძოლაში (1243 წ.), სადაც მონღოლებმა გაანადგურეს რუმის Rüm სელჩუკები, სულ მცირე, 3 000 ქართველი ებრძოდა მონღოლებს, ხოლო ქართველი უფლისწული ახალციხიდან შამადავლე Shamadavle იყო სელჩუკთა არმიის მთავარსარდალი.

ჯვაროსნებს მამლუქებმაც მიმართეს, ეძებდნენ სამხედრო მხარდაჭერას მონღოლების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ჯვაროსნებმა ნეიტრალობა არჩიეს, თუმცა უცნობი მიზეზის გამო ეგვიპტელი მამლუქების ლაშქარს ნება მიეცა ჩრდილოეთით ჯვაროსანთა ტერიტორიის გავლაზე ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

დაპირისპირებული ძალები ერთმანეთს შეხვდნენ აინ ჯალუტთან Ain Jalut პალესტინაში, გალილეაში 1260 წელს. ორივე მხარეს დაახლოებით 20000 კაცი იყო. მამლუქები (უმეტესად თურქები ან ჩერქეზი წარმოშობის) სულთან კუტუზის მეთაურობით ათაბაგ მამლუქ ბაიბარსთან Baibars ერთად სპეციალურად იწვრთნებოდნენ, რათა მორგებოდნენ მონღოლთა ტაქტიკასა და იარაღს. მონღოლთა ძალებში ასევე შედიოდა საქართველოს სამეფოსა და სილიციის სომხეთის სამეფოს ჯარები. კავკასიელები ორივე მხარეს იყვნენ. კუტუზმა დამალა თავისი ძალების ნაწილი მთებში და როდესაც მონღოლები თავს დაესხნენ, ბაიბარსმა მოაჩვენა, თითქოს უკან დაიხია, შეიტყუეს მონღოლები, სადაც ჩასაფრებულნი იყვნენ და ესროლეს ცეცხლმოკიდებული ისრები. კუტუზმა გადააგდო თავისი საბრძლო მუზარადი ისე, რომ მის მეომრებს შეძლებოდათ ბრძოლაში მისი დანახვა. მონღოლები აგრესიულად იბრძოდნენ, მაგრამ, საბოლოოდ, იძულებულნი იყვნენ, უკან დაეხიათ. კიტბუქა დაფრთხა, ბრძოლის ველიდან გაიქცა, მაგრამ საბოლოოდ ტყვედ ჩაიგდეს და თავი შესაძლოა თავად კუტუზმა მოკვეთა. ამ ბრძოლაში ეგვიპტელმა მამლუქებმა პირველად გამოიყენეს ასაფეთქებელი ნივთიერება მონღოლთა ცხენების დასაშინებლად. ეს ნივთიერება წამალი იყო, რომელიც ჩინეთიდან შემოვიდა და შემდეგ არაბებმა ცეცხლსასროლ იარაღში გამოიყენეს.

შიდა კონფლიქტების გამო ჰულაგუ ყაენს აღარ ჰქონდა შესაძლებლობა მამლუქებზე შური ეძია. ჰულაგუს მეტოქე ბერქე ყაენი, რომელიც რუსეთში ისლამზე მოექცა, გამძვინვარებული უყურებდა თავის ბიძაშვილს, რომელიც არბევდა აბასიდ ხალიფას, ისლამის სულიერ მეთაურს. მუსლიმი ისტორიკოსი რაშდ ად-დინი Rashid al-Din ახდენს ბერქეს ციტირებას, რომელიც უგზავნიდა საჩივრებს დიდ ყაენს მონღოლეთში, აპროტესტებდა ბაღდადზე თავდასხმებს: „მან (ჰულაგუ ყაენმა) გაანადგურა მუსლიმთა ყველა ქალაქი, ხალიფა მოკლა. ღმერთის დახმარებით პასუხს მოვთხოვ ამდენი უდანაშაულო სისხლის დაღვრისთვის“. როდესაც ჰულაგუ დაბრუნდა მამლუქების დასასჯელად, ბერქე თავს დაესხა მის ჯარს უკნიდან კავკასიის ჩრდილოეთით 1263 წელს. ეს იყო პირველი აშკარა ომი მონღოლებს შორის და იმპერიის დასასრულის ნიშანი.

ბევრი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ეს ბრძოლები და იაპონიაში მონღოლების ფლოტის დანგრევა კამიკაძის მიერ („ღვთაებრივი ქარი“), იყო ნიშნები მონღოლების იმპერიის დასასრულისა, თუმცა ამას 250 წელი დასჭირდა. იაპონიაში აღარავინ შეჭრილა 1500 წლის მანძილზე, მეორე მსოფლიო ომამდე.

აინ ჯალუტთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, 1260 წელს ბაიბარსმა მოკლა სულთანი კუტუზი. ნადირობის დროს ბაირბასი მიუახლოვდა სულთანს,

რათა ეამბორებოდა ხელზე, მაგრამ მოულოდნელად ხელი დაუჭირა, რათა მას ვერ ამოეღო იარაღი, როცა შეთქმულების სხვა წევრმა ხმალი ჩაარტყა ყელში. ბაიბარსი ყივჩაყი თურქი იყო მონღოლების მიერ ტყვედ აყვანილი და გაყიდული ეგვიპტეში, სადაც მან დაიწყო თავისი კარიერა, როგორც აიუბიდის სულთნის მცველმა. მას არაჩვეულებრივი გარეგნობა ჰქონდა: მუქი ფერის კანი, ძალზედ მაღალი და ერთ-ერთ ლურჯ თვალში ჰქონდა კატარაქტა. ამბობდნენ, ბაიბარსმა მოაწყო შეთქმულება, რადგან ელოდა, რომ აინ ჯალუტში გამარჯვების გამო მას ალეპოს მმართველად დაასახელებდნენ. მაგრამ კუტუზმა, მისი ამბიციების შიშით, არ მისცა ეს თანამდებობა და იმედი გაუცრუა. ბაჰრის დინასტიის ეგვიპტის სულთანი ბაიბარსი (ძლიერი ჩერქეზული ელემენტით) შევიდა ისტორიაში, როგორც მონღოლთა შემაჩერებელი (მუსლიმთა მტრების) და ეროვნული გმირი ეგვიპტისა და სირიისთვის. მან გააერთიანა სირია და ეგვიპტე ერთ სახელმწიფოდ.

ბაიბარის ჯარები ასევე ცნობილნი გახდნენ ჯვაროსნების დამარცხებით წმინდა მიწაზე. 1265 წელს იგი თავს დაესხა სომხეთის სამეფოს, 1266-76 წწ-ში აიღო ქალაქები არსუფი, ატლიტი, ჰაიფა, საფედი, კესარია და იაფა Arsuf, Atlit, Haifa, Safed, Caesarea and Jaffa. 1277 წელს ბაიბარსმა დალია ერთი ჭიქა საწამლავი და გარდაიცვალა დამასკოში, სადაც დაკრძალეს.

ჯვაროსანთა სახელმწიფოებს საბოლოო დასასრული მოუტანა ეგვიპტის სულთანმა კალავუნმა Qalawun. ის იყო ყივჩაყი თურქი, რომელსაც არასოდეს უცდია ესწავლა არაბული ენა. დიდი სულთნის ბაიბარსის ვაჟმა ცოლად შეირთო კალავუნის ქალიშვილი. ბაიბარსის სიკვდილის შემდეგ კალვუნმა მოიპოვა ძალაუფლება და აიღო ტრიპოლი 1289 წელს, აკრა და ანტიოქია – 1291 წელს და სხვა Tripoli, Acre, Antioch. ჯვაროსანთა სახელმწიფოებმა შეწყვიტეს არსებობა. 1323 წელს მონღოლებმა მიიღეს ისლამი და ალიანსი ჩამოაყალიბეს მამლუქ სულთნებთან.

რაც ბაღდადი (და დამასკო) ძირფესვიანად გაანადგურეს მონღლებმა 1258 წელს, კაირო გახდა უდიდესი ეკონომიკური დედაქალაქი მუსლიმთა სამყაროსი. უამრავი საზოგადოებრივი შენობა აშენდა მამლუქების პატრონაჟით: მეჩეთები, საავადმყოფოები, მედრესები და ქარვასლები. 1348-1349 წწ-ში ეგვიპტეში მონღოლების შემოტანილი შავი ჭირი გავრცელდა და მილიონობით მოსახლე გარდაიცვალა.

1382 წელს ბარქუქმა Barkuk (Barquq) ბოლო მოუღო ბაჰრის დინასტიას და სათავე დაუდო ბურჯი (ან ბუქრი) Burji (Bukri) მამლუქთა დინასტიას (1382-1517 წწ.), რომელიც ძირითადად შედგებოდა ჩერქეზებისა და ქართველებისგან. ამ დროის მანძილზე მამლუქები ებრძოდნენ თემურლენგს და დაიპყრეს კვიპროსი 1421 წელს. მამლუქი სულთნები თემურლენგის მტრებად იქცნენ 1405 წელს, როდესაც თემურლენგის ერთ-ერთი დესპანი მოკლეს. მამლუქებს კვლავ მოუწიათ თემურლენგის მეთაურობით მოსეულ მონღოლებთან შერკინება, რომლებიც შეიჭრნენ სირიაში, აიღეს ბაღდადი, ალეპო და სხვა მუსლიმური ქალაქები 1400 წელს. ბარქუქმა მოამზადა დიდი არმია თემურლენგთან

საბრძოლველად, მაგრამ ეს უკანასკნელი გაიქცა, როცა ბარქუქის ჯარის შესახებ შეიტყო.

როდესაც 1453 წელს ოსმალებმა აიღეს კონსტანტინოპოლი, ამან დიდი სიხარული გამოიწვია ეგვიპტეში, მაგრამ 1467 წელს მამლუქმა სულთანმა აწყენინა ოსმალთა სულთან ბაიაზიდ II-ს, რომლის ძმაც მოწამლეს კაიროში მოგზაურობის დროს. ბაიაზიდმა დაიპყრო ადანა, ტატუსი და სხვა ადგილები ეგვიპტის ტერიტორიაზე. 1515 წელს ომი გრძელდებოდა უკვე ოსმალ თურქ სულთან სელიმ I-თან, რომელსაც წინ უძღვოდა ეგვიპტისა და სირიის გაერთიანება ოსმალთა იმპერიაში 1517 წელს. მამლუქთა ცხენოსანთა ჯარი ვერაფერს შვებოდნენ ოსმალთა საზღვაო ფლოტის, არტილერიისა და იანიჩრებს წინააღმდეგ, სადაც აგრეთვე ბევრი კავკასიელი იყო.

ძალაუფლების ცენტრმა კაიროდან სტამბოლში გადაინაცვლა. მაინც, ოსმალთა იმპერია მამლუქებს ინარჩუნებდნენ, როგორც ეგვიპტელ მმართველთა კლასს და ბურჯის დინასტიამ გავლენა მოიპოვება, მაგრამ ნომინალურად კვლავ რჩებოდნენ ოსმალების ვასალებად საუკუნეების მანძილზე მე-18 საუკუნემდე, ნაპოლეონის ინტერვენციამდე.

მოჰამედ ბეი კატამიში Mohammed Bey Katamish ქართველი ავტორების მიხედვით იყო, პირველი წმინდა ქართველი მბრძანებელი ეგვიპტეში 1711 წლიდან, მაგრამ იგი მოკლეს 1736 წელს. მისი ისტორია მოთხრობილია „ალი ბეის აჯანყების ისტორია“-ში, რომელიც ეკუთვნის ცნობილ მოგზაურ სოვერ ლუზინიანს Sauveur Lusignan. უფრო რეალურია, რომ ის იყო ქართული დინასტიის დამფუძნებული, თავის ორ შვილთან ერთად Ibrahim and Ridwan Kathudas, მაგრამ თვითონ ოფიციალურად ოსმალების მიერ აღიარებული არ ყოფილა, ვინაიდან ვიკიპედიის მიხედვით, ამ წლებში ათამდე სხვა „ოფიციალური“ მმართეევლი გამოცვალეს.

ალი ბეი ალ-ქაბირი Ali Bey Al-Kabir, ეგვიპტის მამლუქი სულთანი 1768-1772 წწ-ში, Qazdagli დინასტიის, წარმოშობით იყო აფხაზეთიდან ან სამეგრელოდან. დანიელი მოგზაური კარსტენ ნეიბური Carsten Niebuhr მის მამას ახსენებდა, როგორც ქართველ მღვდელს. 1741 წელს იგი გაიტაცეს თურქმა ჯარისკაცებმა, გაყიდეს ქაიროში და თანდათან შეიხობამდეც კი მიაღწია 1760 წელს. 1768 წელს ალი ბეი აჯანყდა ოსმალების წინააღმდეგ, ჩამოაგდო ოსმალი მმართველი და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1770 წელს მან მოიპოვა ჰიჯაზე Hijaz კონტროლი და ერთ წელში ოკუპაციაში მოაქცია სირია. მას ეძახდნენ მექას ხალიფას Caliph of Mecca, რამაც ეგვიპტე გახადა ოსმალეთის იმპერიისგან დამოუკიდებელი სახელმწიფო. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდიდან მამლუქები შემოდიოდნენ ეგვიპტეში მხოლოდ კავკასიიდან და განსაკუთრებით საქართველოდან, სადაც ეს მომგებიან ბიზნესად იქცა. ახალგაზრდა მამაკაცები ნებაყოფლობით ან იძულებით მიდიოდნენ შორეულ ეგზოტიკურ მუსლიმანურ ქვეყნებში კარიერის გასაკეთებლად, ზუსტად ისევე, როგორც დღევანდელ ეკონომიკურად დუხჭირ დროს. ამ პერიოდში მამლუქები ინარჩუნებდნენ მასობრივ სიწმინდეს და სისტემის ლოიალობას. ეგვიპტეში

ქართველი მამლუქები ლაპარაკობდნენ მშობლიურ ქართულ ენაზე, საქმის კურსში იყვნენ კავკასიის რეგიონის პოლიტიკის შესახებ, მასპინძლობდნენ მათი მშობლების ან ნათესავების ბევრ ვიზიტს, და უგზავნიდნენ საჩუქრებს ოჯახის წევრებს ან აძლევდნენ ფულს, რათა აეშენებინათ ნაგებობები (თავდაცვითი კოშკი ან ეკლესია) მშობლიურ სოფლებში საქართველოში. ალი ბეის გარემო განსაკუთრებულად ქართული იყო: რვიდან 5 მოსამსახურე და თვრამეტიდან 9 ბეი ეთნიკურად ქართველი იყო. მაგრამ 1773 წელს სულთანი ალი ბეი კაიროში მოკლა თავისმა სიძემ მოჰამედ ბეი აბუ ზაჰარმა Mohamed Bey Abu Zahar. ლუზინიანის მიხედვით, აბუ ზაჰარიც აფხაზეთიდან იყო და მის გარემოცვაში აგრეთვე ძირითადად ქართველები იყვნენ.

ღაზი ჰასანი ალ იაზარლი Ghazi Hassan Al Jazarl (ოსმალთა ფლოტის მთავარსარდალი და ადმირალი) ოსმალებმა გაგზავნეს, რათა გაძღოლოდა სადამსჯელო ექსპედიციას ეგვიპტის მამლუქების აჯანყების ჩასახშობად. ალ იაზარლი ნიშნავს ალჟირელს, რადგან ბავშვი ღაზი ჰასანი მოიტაცეს საქართველოდან სოფელი ფშავიდან და ის აღიზარდა ალჟირში. მან საკმაოდ დიდი ძალაუფლება მოიხვეჭა ოსმალეთის იმპერიაში. ამით ეგვიპტე მოექცა ომის ცენტრად ორ ქართულ ელიტარულ ჯგუფს შორის ოსმალეთის იმპერიასა და ეგვიპტეში.

იბრაჰიმ ბეი Ibrahim Bey (1773-1817 წწ.) (ნამდვილი გვარი: სინჯიკაშვილი Sinjikashvili) იყო ეგვიპტის შემდეგი მამლუქი მმართველი. ის დაიბადა პატარა სოფელ მარტყოფში, თბილისთან ახლოს, და ტყვედ აიყვანეს ოსმალმა თავდამსხმელებმა. იბრაჰიმი ეკუთვნოდა ეგვიპტის მმართველს, და ერთგული სამსახურისთვის დაინიშნა ქალაქ კაიროს თავად. როდესაც მისი ყოფილი მასწავლებელი დაიღუპა, ის გახდა ქვეყნის მმართველი. მას ყოველთვის ახსოვდა სამშობლო და თავისი სახსრებით ააშენა ციხესიმაგრე მარტყოფში, რომელიც დღემდეა შემონახული. იბრაჰიმ ბეის დროს ეგვიპტის 18 ოლქიდან 12-ს ქართველი ბეი მართავდა.

1797 წელს ნაპოლენმა გადაწყვიტა, თავს დასხმოდა ეგვიპტეს მისი სტრატეგიული მიმართულების გამო ინდოეთისკენ. მან შესჩივლა თურქ სულთანს, რომ მამლუქები ხელს უშლიდნენ ფრანგი ვაჭრების აქტიურობას. სულთანმა სიხარულით გასცა პასუხი, რომ მამლუქები მის კონტროლის ქვეშ არ არიან და არ იქნებოდა წინააღმდეგი, თუ ფრანგები წესრიგს დაამყარებდნენ ეგვიპტეში. სწორედ ამიტომ საფრანგეთის ძალებმა თავდაპირველად გამოფინეს თურქული და ფრანგული დროშები. 1798 წელს საფრანგეთის ექსპედიციური არმია, 32 000 ჯარისკაცის შემადგენლობით და ნაპოლეონის მეთაურობით (გენერლები მენუ, კლებერი, ბონე, მიურატი Menou, General Kleber, General Bonet, General Murat) მალტას დაპყრობის შემდეგ, გადმოვიდნენ ალექსანდრიის მიწაზე. საფრანგეთმა ეგვიპტელ ხალხს განუცხადა, რომ „დიდი ხანია, რაც მონებმა საქართველოდან და ზოგადად კავკასიიდან მიიტაცეს ძალაუფლება ეგვიპტეში და ეს უნდა შეჩერდეს“.

იბრაჰიმ ბეი და მისი თანამებრძოლი (მოგვიანებით თანამმართველი) მურად ბეი Murad Bey (1750-1801 წწ.), რომელიც დაიბადა თბილისში, მამლუქთა ცხენოსანი ჯარის მეთაური, იბრძოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ პირამიდებთან Pyramids ომში და ჰელიოპოლისში Heliopolis 1798 წელს, მაგრამ დამარცხდნენ ორივეჯერ, რადგან ამ დროისთვის მამლუქებმა თავიანთი არმიის ტაქტიკაში ახლახანს შეიტანეს მუშკეტები და არ იყვნენ გამოცდილნი ცეცხლსასროლი იარაღით ბრძოლაში. ქართული კავალერია ხმლებით ბრძოლაში ყოველთვის პირველი იყო, მაგრამ მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამდე. ივლისში ფრანგები შევიდნენ კაიროში და აგვისტოში – დამიეტაში.

ფრანგი რევოლუციური ჯარი არ განიხილებოდა ეგვიპტეში, როგორც ქრისტიანული ძალა. ისინი არ დადიოდნენ ეკლესიებში და არ ესწრებოდნენ ქრისტიანულ რიტუალებს, არ ლოცულობდნენ და ა.შ. გენერალმა მენუმ მიიღო ისლამი და ცოლად შეირთო მუსლიმი ეგვიპტელი ქალი. ნაპოლეონმა ხელი შეუწყო მალტის დაპყრობის შესახებ ხმების გავრცელებას, როგორც გამარჯვება ისლამის მტრებზე და ნაპოლეონმა თავი გამოაცხადა ისლამის მეგობრად. მან მეჩეთის მშენებლობაც კი წამოიწყო, სადაც ფრანგები მიიღებდნენ ისლამს. ეგვიპტეში გარკვეული დროის გატარების შემდეგ, მათ გააანალიზეს, რომ არა მამლუქები, არამედ თურქები ჩაგრავდნენ ეგვიპტელებს და შეიცვალეს მამლუქების მიმართ დამოკიდებულება, მამლუქი პატიმრებიც კი გაათავისუფლეს. ფრანგების ძალაუფლება ვრცელდებოდა მხოლოდ რამდენიმე ქალაქში, ქვეყნის დანარჩენი ნაწილი კვლავ მამლუქების კონტროლქვეშ იყო.

ამ დროს ინგლისის ფლოტმა, ადმირალ ნელსონის მეთაურობით, საფრანგეთის ფლოტი გაანადგურა აბუკირის Abukir ბრძოლაში 1798 წლის აგვისტოში. ყველა შესაძლებლობა ფრანგებისთვის სახლში დაბრუნებისა გადაჭრილი იყო. ამავე დროს, თურქეთმა დაინახა, რომ ფრანგები არ სჯიდნენ მამლუქებს და არ აპირებდნენ ეგვიპტის დატოვებას და ინდოეთისკენ წასვლას. 1798 წლის სექტემბერში ინგლისის, რუსეთისა და თურქეთის წარმომადგენლებმა სიტუაცია განიხილეს სტამბოლის კონფერენციაზე. დაარსდა რუსეთ-თურქეთის ერთობლივი ფლოტი რუსი ადმირალის უშაკოვის მეთაურობით, და თურქეთმა სექტემბერში გამოუცხადა ომი საფრანგეთს და თავისი ანატოლიის არმია სირიაში გადაიყვანა.

ნაპოლეონმა პასუხი სწრაფადვე გასცა. მან პალესტინაში დაამარცხა სულთნის ჯარი, აიღო ღაზა დეკემბერში, იაფა კი მომდევნო 1799 წლის მარტში, 30 კმ-ით მიუახლოვდა იერუსალიმს და თავს დაესხა აკრას, მაგრამ წარუმატებლად, რადგან ქალაქმა ზღვით მიიღო დახმარება ინგლისის როდოსის არმიისგან 1799 წლის მაისში. აკრას ალყის დროს ნაპოლეონმა შეიტყო მისი ყოფილი ამხანაგისგან პოლკოვნიკ ფილიპოსგან Phillipaux, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ინგლისის სამსახურში შევიდა და იბრძოდა აკრაში თავისი ერის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთში პოლიტიკური სიტუაცია აირია (საფრანგეთს თავს დაესხნენ რუს-ავსტრიელი როიალისტები დუნაიზე და ალპებში). მან გადაწყვიტა, დაესრულებინა აღმოსავლური ლაშქრობა და დაბრუნებულიყო პარიზში.

ნაპოლეონი აგვისტოში დაბრუნდა პარიზში. ჯარი კი დატოვა ელზასელი გენერლის ჟან ბაპტისტ კლებერის მეთაურობით. ეგვიპტის კონტროლისთვის კლებერს მოკავშირე სჭირდებოდა და მან მამლუქების ძალაუფლება მურად ბეის მეთაურობით სრულად აღადგინა. კლებერი კიდევ უფრო შორს წავიდა და მიიღო ადგილობრივი ტრადიციები, უარი თქვა ქუდების ტარებაზე და ვიწრო შარვლებზე, და სხვ. 1800 წელს მურად ბეის მამლუქების ჯარი კაიროშიც დაბრუნდა. კლებერთან ეს ზავი მურად ბეის არასდროს გაუტეხია.

1800 წლის მარტში თურქმა სულთანმა სელიმ III-მ კიდევ ერთხელ გაგზავნა ეგვიპტისკენ სირიის ჯარი იუსუფ ზია ფაშას Yusuf Zia Pasha მეთაურობით (ქართული წარმოშობის, რუსი ელჩის ვ. ტამარას და ფრანგი დიპლომატის ამედეო ჟობერის მოხსენების მიხედვით V. Tamara and Amédée Jaubert). დაიწყო ზავზე მოლაპარაკება. ფრანგები უნდა გამოსულიყვნენ ეგვიპტიდან და სახლში გამგზავრებულიყვნენ. მაგრამ საფრანგეთის ჯარის გამოჩენა ევროპაში არ იყო მისაღები ინგლისისთვის და ადმირალი ჯორჯ კეითი George Keith სრულ კაპიტულაციას მოითხოვდა, ხოლო რუსი ელჩი უფრო მეტიც – ყველა ფრანგი ჯარისკაცის სიკვდილით დასჯას. ეს მეტისმეტი იყო. იუსუფ ზიამ გადაწყვიტა კაპიტულაციის მოთხოვნა და მისი არმიის მსვლელობა განაგრძო. მამლუქების უმეტესობამ თანამორწმუნე თურქების მხარე არჩია და გააააქტიურეს შეტევები ფრანგების წინააღმდეგ, გარდა მურად ბეისა, რომელიც თავის სიტყვას არ ღალატობდა. ფრანგების წინააღმდეგობა მტკიცე იყო. თურქეთის არმია შეჩერდა. 1800 წლის ივნისში ეგვიპტეში მცხოვრებმა სირიელმა სტუდენტმა კაიროს ცენტრში დანით მოკლა კლებერი. მკვლელი გაატყავეს და ისე მოკლეს. ფრანგების ახალი მეთაური გახდა გამუსლიმანებული ჟაკ მენუ Jacque Menou, სახელად აბდულა.

მაგრამ პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა. ნაპოლეონი წარმატებული იყო ევროპაში. რუსეთის იმპერატორმა პავლემ დაშალა გაერთიანება თურქეთთან და დაიწყო საფრანგეთთან ერთად ინდოეთის მიმართულებით ლაშქრობისთვის მზადება. გენერალმა მენუმ ახალი იარაღი და ჯარისკაცებიც კი მიიღო ნაპოლეონისგან, მაგრამ ეს გეგმები კიდევ ერთხელ დაიმსხვრა. ფრანკოფილი პავლე I მოკლეს მისივე ოფიცრებმა. 1801 წლის მარტში იუსუფ ზიას თურქულმა არმიამ მამლუქ იბრაჰიმ ბეისთან (ორივე ქართველი) ერთად განაგრძო წინსვლა ეგვიპტის მიმართულებით. ინგლისის 20 000-კაციანი არმია აბუკაირის მიწაზე გადმოვიდა იმავე თვეში და უკვე ინგლის-თურქ-მამლუქთა კოალიციამ დაიწყო სვლა კაიროსკენ. ცნობილი მურად ბეი, ფრანგების მოკავშირე, გარდაიცვალა შავი ჭირით, და ზემო ეგვიპტის მამლუქთა ძალები, ქართველი მამლუქის კაბუდან Kabudan ფაშას მეთაურობით ასევე შეუერთდენ შეტევას.

1801 წლის ივნისში კაიროს ფრანგულმა 13 000-კაციანმა გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა. იმავე წლის სექტემბერში საფრანგეთის არმიის ეს კონტინგენტი იარაღის გარეშე საფრანგეთში გაუშვეს. ყველა ფრანგი მეცნიერი თავიანთი შეგროვებული არტიფაქტებითურთ გაამგზავრეს, როზეტას ქვის Rosetta stone გარდა, რადგან აშკარა იყო, მაღალი ღირებულების გახლდათ და დღემდე ინახება ბრიტანეთის მუზეუმში.

ახლა სიტუაცია კიდევ უფრო აირია. ვის უნდა მიეღო მემკვიდრეობით ძალაუფლება? თურქებს, ინგლისს თუ მამლუქებს? პრეტენდენტების რიცხვიდან საფრანგეთიც არ გამოირიცხებოდა. ინგლისს შეეძლო მიეღო საფრანგეთის პრეტენზია, თუ საფრანგეთი უარს იტყოდა მალტას მფლობელობაზე, ასევე ცეილონზე, ანტილის კუნძულებზე, იმედის კონცხზე, გვინეაზე, მარტინიკზე და სხვა კოლონიებზე. საფრანგეთი თანახმა იყო თავი დაენებებინა ინდოეთის მიმართ მოქმედებებისთვის. ეს არ იყო საკმარისი ინგლისისთვის. ამასობაში თურქეთმა კიდევ ერთხელ გამოაცხადა სუვერენიტეტი ეგვიპტეზე, ხოლო მამლუქები, იბრაჰიმ ბეის მეთაურობით, ჩვეულებრივ შეუდგნენ ქვეყნის მართვას. თურქებმა გააანალიზეს, რომ ისინი არაფრის გარეშე დარჩნენ და დაიწყეს მეტოქეების თავიდან მოშორება. 1801 წლის ოქტომბერში ფრანგმა ტალეირანმა Talleyrand და თურქმა ელჩმა ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას და ამით ინგლისს გამაფრთხილებელი ნიშანი მისცეს. შემდეგ თურქებმა მიიღეს ზომები, რათა შეეზღუდათ კავკასიელი მონების შემოდინება ეგვიპტეში, რამაც დაამტკიცა, რომ იყო ყველაზე ეფექტიანი საშუალება მამლუქების წინააღმდეგ. რუსეთის მიერ საქართველოში მონებით ვაჭრობაზე შეზღუდვამ მისი ანექსიის შემდეგ, 1800 წელს, დაასრულა მამლუქების ძლიერება. დაახლოებით 3-5 ათას ქართველ და ჩერქეზ ყოველწლიურად იპარავდნენ, ყიდდნენ ან ნებაყოფლობით ჩამოდიოდნენ, რომ ემსახურათ, რაც დიდ რიცხვს აღწევდა 4 საუკუნის მანძილზე, ანუ მილიონამდე 13-14 წლის ახალგაზრდა.

სულთნის ბრძანების მიხედვით, იუსუფ ზიამ დააკავა რამდენიმე მამლუქი ბეი და სტამბოლში გაამგზავრა, მაგრამ მათ მოკლეს მცველები და ზოგი მათგანი ინგლისის ბანაკში გაიქცა. გენერალმა ჰაჩინსონმა და გენერალმა რამსეიმ General Hatchinson and General Ramsey მაშინვე მოახდინეს რეაგირება და მკაცრად მოითხოვეს თურქებისგან შეეჩერებინათ მტრობა და გაეთავისუფლებინათ დანარჩენი მამლუქები. თურქებმა წერილით უპასუხეს, რომ ინგლისი არ უნდა ჩარეულიყო შიდა მუსლიმურ საკითხებში და 2500 მამლუქი გაგზავნეს ინგლისის ბანაკში, რათა მათ პირადად დაედასტურებინათ თურქებთან მეგობრობა, მაგრამ არავინ დაბრუნებულა. მოგვიანებით ყველა მათგანი ინგლისელებმა ზემო ეგვიპტეში გაგზავნეს, რადგან მთელი ამ წლების განმავლობაშიეს რეგიონი, ჩვეულებრივ, მამლუქების ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა ფრანგებისა თუ თურქების ჩარევის გარეშე.

1802 წლის კაიროს კონფერენციაზე თურქებმა შესთავაზეს 12-15 000 მამლუქის ინდოეთში, ან რომელიმე ინგლისის კუნძულზე გადაყვანა, ევროპასა ან აზიაშიც კი. 1803 წელს იბრაჰიმ ბეგმა და უსმან ბეგმა Ibrahim Beg and Usman Beg წერილი მისწერეს რუსეთის გენერალ-კონსულს და სთხოვეს, ნება დაერთოთ საქართველოში დაბრუნებაზე. რუსმა ელჩმა სტამბოლში კატეგორიული უარი განაცხადა, რადგან რუსეთის მთავრობას ეშინოდა მამლუქების საქართველოში ყოფნისა, სადაც უკვე იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემა.

1802 წელს მამლუქებმა კიდევ ერთხელ დაამარცხეს თურქეთის ჯარი. სულთანმა განაცხადა, რომ მას არ სჭირდებოდა ასეთი არმია ეგვიპტეში და შეწყვიტა ხელფასების გადახდა. ამან გამოიწვია ეგვიპტეში თურქეთის არმიის აჯანყება ალბანელი მოჰამედ ალის Mohamed Ali მეთაურობით. მათ მოკლეს ყველა მბრძანებელი და შეუერთდნენ მამლუქებს, რომელთაც აიღეს კაირო და კვლავ დაამყარეს თავიანთი მბრძანებლობა. რადგან იბრაჰიმ ბეი ძალზედ მოხუცი იყო, ახალი მმართველი აირჩიეს, რომელიც ძალზე უნიჭო აღმოჩნდა. ხოლო ოსმალთა სულთნის ახალი არმია ძალზედ წარმატებული იყო 1803-4 წწ-ში. თურქებმა, ქართული წარმოშობის ადმირალ კუჩუკ ჰუსეინ კაპუდან ფაშას Küçük Hüseyin Kapudan Pasha ხელმძღვანელობით, აიღეს კაირო და მამლუქები კიდევ ერთხელ დაბრუნდნენ ზემო ეგვიპტეში. ის მამლუქებს ქართულად ესაუბრებოდა.

ჰურსიდ (ხურშიდ) აჰმედ ფაშა Hursid (Khurshid) Ahmed Pasha (დაბადებული საქართველოში, ქრისტიანი მღვდლის ოჯახში, მაგრამ მოიტაცეს, მიიღო ისლამი და იანიჩარების Janissaries სიაში იყო ჩაწერილი) დაინიშნა სულთნის მიერ ეგვიპტის მმართველად 1804 წელს. ბრიტანეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან მეგობრობით, ჰურსიდი ცდილობდა მისი მეტოქის მუჰამედ ალისა და მისი ალბანელების ეგვიპტიდან მოშორებას და ამისათვის აპირებდა ინგლისელების დახმარებით სირიიდან ჯარი მოულოდნელად გადმოეყვანა, მაგრამ მუჰამედ ალიმ დაასწრო და 1805 წელს თავი გამოაცხადა ეგვიპტის მმართველად. ჰურსიდი ალყაშემორტყმული იყო კაიროს ციხესიმაგრეში, რომელიც მან დატოვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაინახა, რომ მოჰამედ ალის სულთნის ფირმანი ჰქონდა, სადაც ის გამოცხადებული იყო ეგვიპტის მმართველად[1].

ალბანელი მუჰამედ ალი, აჯანყებულთა ლიდერი, ახლა მოულოდნელად სულთანმა ეგვიპტის მმართველად დანიშნა 1806 წელს. ეს იყო მამლუქების ორი ეთნიკური ჯგუფის (ბალკანურის და კავკასიურის) ოსტატურად დაპირისპირება. ალი საკმაოდ ჭკვიანი და ვერაგი აღმოჩნდა და მან მოახერხა დინასტიის დაარსება, რომელმაც 1952 წლამდე გასტანა. მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ მამლუქებს ეკავათ ეგვიპტის დიდი ნაწილი, ზემო ეგვიპტის ჩათვლით. მუჰამედ ალი კი ცდილობდა დაეპყრო ისინი, მაგრამ სულთნის არმია დაუფინანსებელი და დემორალიზებული იყო. სტამბოლმა გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეღიარებინა მამლუქები და გამოაცხადეს მათზე ამნისტია. სულთნის წარმომადგენლები შეხვდნენ მამლუქებს ალექსანდრიაში 1806 წელს, მაგრამ

[1] ჰურსიდი განაგრძობდა თავის კარიერას სერბიასა და ბოსნიაში. 1809 წელს სერბიაში მან ჩაახშო პეტროვიჩის აჯანყება, შემდეგ ობრენოვიჩის Petrović, Obrenović და კვლავ აიღო ბელგრადი 1813 წელს. 1812 წელს იგი დანიშნეს დიდ ვეზირად (პრემიერ-მინისტრი) და ეს პოსტი ეკავა 1815 წლამდე. 1820 წელს ის დანიშნეს პელოპონესეს მმართველად, სადაც აჯანყების ჩახჩობის და მშვიდობის დამყარების რეალურ შანსს მიაღწია, მაგრამ ყველაფერი ჩაიშალა, როდესაც შურით სავსე სულთნის სხვა მინისტრებმა ქონების ქურდობა დააბრალეს და შეურაცხყოფილმა ჰურსიდმა თავის მართლებას თვითმკვლელობა არჩია.

კონსესუსს ვერ მიაღწიეს და ეს კარგი შანსი ხელიდან გაუშვეს. ამას გარდა, ინგლისი ჰპირდებოდა მამლუქებს დახმარებას 6000 ჯარისკაცით.

1807 წლის დასაწყისში ზემო ეგვიპტის განათლებული და უნარიანი მმართველის ალფი ბეის[1] Alfi Bey მიერ ფრანგების მსგავსად ორგანიზებული მამლუქთა ჯარი მიადგა კაიროს და ამ მწყობრი ძალის დანახვისას თურქეთის ურდოები განძრევასაც კი ვერ ბედავდნენ. მაგრამ მოულოდნელად,1807 წლის იანვარში იგი დაიღუპა სისხლდენით. 40 დღეში ინგლისის ძალები გენერალ მაკკენზი-ფრეიზერის MacKenzie-Frazer მეთაურობით ჩამოვიდნენ ეგვიპტეში 42 გემით და 6000 ჯარისკაცით ალი ბეის თხოვნის შესაბამისად. ინგლისელებმა მოიხმეს იბრაჰიმ ბეი სამხედრო საბჭოს გასამართად, რომ დაეგეგმათ თურქებთან ბრძოლის ტაქტიკა, მაგრამ მოხდა საშინელება და ტრადიციულმა უგუნურობამ და ფანატიზმმა კვლავ იჩინა თავი. მამლუქებმა უარი თქვეს ინგლისის დახმარებაზე სულთნის დაპირების გამო, რომ ყველაფერს მისცემდა, რაც სურდათ. პოლიტიკური იმწუთიერი ინტერესი დაუქვემდებარეს რწმენის საკითხს, რასაც მალევე ძალზე ლოგიკური და სასტიკი შედეგები მოჰყვა. ინგლისის ჯარები იძულებული იყვნენ 1807 წლის სექტემბერში უკან გაბრუნებულიყვნენ, მაგრამ კატასტროფა ჯერ წინ იყო.

1811 წლის 1 მარტს ალბანელმა მუჰამედ ალიმ, თურქმა მმართველმა, თითქმის ოთხწლიანი „ბედნიერი“ თანაცხოვრების შემდეგ თავის სასახლეში დაპატიჟა ყველა მამლუქი, რათა ეზეიმათ ომის დეკლარაცია ვაჰაბისტი Wahhabis არაბების, თანამედროვე საუდიტების Saudis წინაპრების წინააღმდეგ. კაიროს პარადზე დაახლოებით 600 მამლუქი იყო. კაიროს ციტადელის ვიწრო გზაზე მუჰამედ ალის ძალები (ძირითადად ალბანელები) ჩასაფრდნენ და ყველა ამოხოცეს. მომდევნო კვირას ასობით მამლუქი მოკლეს ეგვიპტეში. კაიროს ციხესიმაგრეში 1000 მამლუქი და ქუჩებში 3000 და ასევე მათი ნათესავები იყვნენ მოკლულნი. მამლუქების ათასობით ჯგუფი გაიქცა სუდანში და დასახლდა დონგოლას Dongola პატარა სოფელში. ბევრი მათგანი დაიღუპა და მათ შორის იბრაჰიმ ბეგი, რომელიც 1817 წელს გარდაიცვალა. 1820 წელს მუჰამედ ალიმ აპატია მათ და ნება დართო, დაბრუნებულიყვნენ ეგვიპტეში, მაგრამ მხოლოდ 80 მამლუქმა გადაკვეთა საზღვარი და როგორც ჯეიმს ოლდრიჯი James Oldridge წერდა, ეს არის ის, თუ როგორ დასრულდა 600-წლიანი ქართველი მონების მმართველობა[2].

---

[1] დიპლომატ მ. კაჭკაჭიშვილის წერილში გ. პოტიომკინის მიმართ მიწერილში 1787 წელს, ალფი ბეი მოხსენიებული იყო, როგორც ჩერქეზი, მაგრამ ის აღიზარდა, როგორც იბრაჰიმ ბეის ვაჟი და სხვების მსგავსად მანაც მოითხოვა საქართველოში გადასახლების უფლება.

[2] შემდეგ წლებში ქართველების გავლენა ეგვიპტეში იშვიათად ფიქსირდებოდა. 1890 წელს კაიროს პოლიციის უფროსმა სელიმ აღამ Selim Agha (ქართული გვარი ძანანაშვილი) გაგზავნა თავისი რძალი, რათა მიეტანა ფული და საჩუქრები თავის ნათესავებთან და ნაცნობებთან საქართველოში. ყველაზე გავლენიანი კაცი ეგვიპტეში აგრეთვე გეგმავდა ეყიდა მიწა და დასახლებულიყო საქართველოში.

ალი ფაშამ კარგად მხოლოდ ალბანური ენა იცოდა, მაგრამ გააძლიერა ეგვიპტეში ძალაუფლება ისე, რომ დაემუქრა არამხოლოდ ოსმალთა ცენტრალური ძალას, არამედ რუსეთის კავკასიასაც. 1840 წელს მუჰამედ ალის ძალები შეიჭრნენ ანატოლიაში და დაემუქრენ რუსეთის კავკასიის ფრონტს. ბრიტანეთის მთავრობამ სასწრაფოდ მოაწყო ლონდონის კონფერენცია ავსტრიასთან, პრუსიასთან და რუსეთთან ერთად. მათ შესთავაზეს მოჰამედ ალის ეგვიპტის მმართველობის მემკვიდრეობით გადაცემის უფლების აღიარება, როგორც ოსმალეთის იმპერიის ნაწილისა, თუ ის დატოვებდა სირიასა და ლიბიას. მუჰამედ ალი ყოყმანობდა, საფრანგეთისგან დახმარების იმედი ჰქონდა. როდესაც ჩაიშალა საფრანგეთისგან მხარდაჭერის განხორციელება, ბრიტანეთის საზღვაო ფლოტი გაემართა სირიასა და ალექსანდრიისკენ. ევროპული სამხედრო ძალის პირისპირ მუჰამედი დათანხმდა, რითაც ბრიტანეთის მთავრობამ გადაარჩინა არა მარტო თურქეთი, არამედ ანატოლია და ქრისტიანული კავკასია.

ნაპოლეონი ძალზედ მოხიბლული იყო მამლუქების სიმამაცით და რაინდობით: „10 000 მამლუქი არ მერყეობს ოსმალთა 50 000-კაციან არმიის წინაშე... მომეცით ეს ერთი მუჭა მეომრები ჩემი ახალწვეულებებით და პროვიანტით და მსოფლიოს ყველა ადგილს დავიპყრობ“. და მან ჩამოაყალიბა მამლუქთა დანაყოფი. 1800 წელს გენერალმა კლებერმა და შემდეგ მენუმ ჩამოაყალიბეს სამი ბატალიონი, თითოში ასი კაცით, და დაარქვეს „Mamluks de la Republique“. 1803 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით, მამლუქები ჩაირიცხნენ საიმპერატორო გვარდიაში. საფრანგეთის გვარდიის მატრიკულურ რეესტრში რუსეთთან ომის დროს, 1812 წელს დარეგისტრირებული იყო 582 მამლუქი, მათ შორის იყვენენ: ქართველები – Ayoub George, Barre Gerogie, Chahin, Cherkes George, Chirkoury George, Georgie Cherkes, Georgie Moussaha, Georgie Nicole, Georgie Roustan, Gourgui Daoud, Hassan Megralie, Lambre, Roustam Raza, Sera Joseph, და ქალიც Nia-Anna. რამდენიმე Guirques-Guergues (სავარაუდოდ, აგრეთვე ქართველები): Aboukas, Baroume, Fessal, Habrie, Koury, Kouzy, Kruchon, Masserie. სომხები – Armenie Bogdassar, Armenie Jacob, Armenie Joseph, Armenie Joseph, Armenie Ouannis, Armenie Tunis, Azaria, Bagdoune Moustapha, Ouannis, Mardiros, Mirza, Petrous. ხოლო დანარჩენები მცირე რაოდენობით იყვნენ არაბები, კოპტები, ეგვიპტელები, ჩერქეზები, სირიელები, მაკედონიელები, უნგრელები, სპარსელები, ბერძნები, აფრიკელები, აბისინიელი, მორავიელები, დრუზი, ყირიმიდან ვინმე ამზა და მოსკოველი სოლიმანი.

მამლუქები კარგად იბრძოდნენ აუსტერლიცთან 1805 წელს. ქართველი 12 მამლუქიდან ერთ-ერთი, რომლებიც ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ, ყველაზე ცნობილი იყო შაინი (ჩაჰინი) Shahin (Chahin). 1806-13 წწ-ში ის 35-ჯერ დაიჭრა ჰელიპოლისში, ილაუში, მადრიდში, მიიღო ქვემეხით დარტყმა და გადაარჩინა გენერალი ჟან რაპი Jean Rapp აუსტრელიცთან 1805 წელს რუსების გვარდიის წინააღმდეგ მამლუქების გვარდიის ცნობილი შეტევის დროს, გახდა გმირი და საფრანგეთის სამეფო ორდენის კავალერი და საპატიო

ლეგიონის კავალერი; 1838 წელს გარდაიცვალა მელუნში. ნაპოლეონის შემდეგ, რესტავრაციის დროს მამლუქების წინააღმდეგ რეპრესიები განახორციელდა, მათ შორის 1815 წელს ტრაგიკული ინცინდენტი მოხდა მარსელში, როდესაც რამდენიმე ათეული მამლუქი და მათი ოჯახები, ბავშვებისა და ქალების ჩათვლით, პორტში ელოდებოდნენ ტრანსპორტს, რათა გამგზავრებულიყვნენ უკან ეგვიპტეში, და იყვნენ დახოცილნი.

ნაპოლეონის იტალიური არისტოკრატული ოჯახი კორსიკაში მე-16 საუკუნეში დასახლდა, როდესაც ტოსკანიიდან ჩამოვიდნენ. ზოგი ავტორის მიხედვით, მისი ოჯახი ტოსკანაში ტრაპიზონიდან გადმოსახლდა, ქალაქიდან თურქეთის ტერიტორიაზე, საქართველოს მეზობელ ქვეყნიდან, ვისთანაც საქართველოს მჭიდრო კავშირები ჰქონდა, საქართველოს პროტექტორატის ქვეშ დაარსდა და არსებობდა (მე-12 საუკუნე). შესაძლებელია ამით აიხსნება ნაპოლეონის სამხრეთული „აზიური“ თვისებები და ინტერესი, რომელსაც ის იჩენდა კავკასიური წარმოშობის მამლუქებისადმი. ქართული წყაროების მიხედვით, მისი საუკეთესო გენერლის იოაკიმ მიურატის Joachim Murat ვაჟმა ახილმა Achille Murat (გარდ. 1847 წ.) ცოლად შეირთო მეგრელი პრინცესა დადიანი, ცხოვრობდა საქართველოში და გარდაიცვალა ზუგდიდში, სადაც ახლა არის მისი მუზეუმი, რომელსაც მისი ნათესავი ზედამხედველობს, ნაპოლეონის პირად ნივთებთან და ნაპოლეონის სიკვდილის შემდგომ ნიღაბთან ერთად. ხოლო ვიკიპედიის მონაცემებით, ახილი ცოლთან ერთად ამერიკაში, ფლორიდაში ცხოვრობდა და იქ არის დასაფლავებული. კიდევ უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიურატი, სომხური წყაროების მიხედვით, სომხურად საუბრობდა. ადგილობრივი ლეგენდის მიხედვით, ნაპოლეონის ეგვიპტეში კამპანიის დროს, მამლუქი რუსტამი დაიჭრა და სომხურად ყვიროდა და ამით მიიქცია მიურატის ყურადღება. მიურატმა იგი ნაპოლეონთან მიიყვანა და ის მისი პირადი მცველი გახდა.

თუმცა რუსტამის Roustam პირადი ჩანაწერები სხვა ამბავს გვიყვება. რუსტამი თავის წიგნში „ნაპოლეონის მამლუქი“ „Mamluk of Napoleon“ წერს, რომ დაიბადა თბილისში 1780 წელს. იგი ამბობს, რომ მისი მამა დაიბადა სომხურ სოფელ აპერკანში Aperkan და დედა კი თბილისში, ამიტომ მან იცოდა ორივე ენა, სომხურიც და ქართულიც. მან თავის დას უწოდა ყველაზე ლამაზი მთელს საქართველოში. ბავშვობაში მისი ოჯახი გადავიდა სომხეთის სოფელ შუშაში (ყარაბაღი) Shusha (Karabagh) და მონაწილეობა მიიღეს სპარსელებთან ომში. იგი დაიჭირეს თათრებმა და გაამგზავრეს კიზლიარის გავლით ყირიმში, მოგვიანებით კი კონსტანტინოპოლში, სადაც ის იყიდა ქართველმა სალა ბეიმ, რომელიც ქართულად ესაუბრებოდა მას. 15 წლის ასაკში, გადაწყვიტა

გამხდარიყო მამლუქი, მაგრამ ეს რომ მომხდარიყო, უნდა ყოფილიყო ქართველი ან მეგრელი მამლუქი, ან, სულ მცირე, სომეხი მაინც, რადგან რუსტამის აზრით, სომხებიც კარგი მეომრები იყვნენ. მან წინადაიცვითა და გაემგზავრა მექაში სალა ბეისთან ერთად. უკანა გზაზე ისინი შეუერთდნენ ქართველ მურადს და იბრაჰიმ ბეის Mourad and Ibrahim Beys პირამიდების დიდ ბრძოლაში ნაპოლეონის წინააღმდეგ. ბრძოლა წააგეს, მაგრამ მალე მშვიდობა დამყარდა ფრანგ გენერლებსა და ქართველ ბეის შორის. სალა ბეის მეგობარი შეიხ ელ ბექრი Sheikh El Bekri დაეხმარა რუსტამს, ქრისტიანად დაბადებულს, რათა დაეწყო ფრანგებთან მსახური. როდესაც ნაპოლეონმა გადაწყვიტა პარიზში დაბრუნება, შეიხ ელ ბექრიმ შესთავაზა ორი ქართველი – რუსტამი და ალი. რუსტამი ნაპოლეონს თურქული სახელით გაეცნო, მაგრამ მან დაიჩემა, რომ ქართული სახელი უნდა ეტარებინა – როსტომი. ნაპოლეონმა უბრძანა მის კართან დაეძინა და მისი პირადი მცველი ყოფილიყო. ალი შედარებით უიღბლო აღმოჩნდა, იგი გაუშვეს ჟოზეფინასთან ფონტენბლოში, სადაც დააბრალეს ხასიათის „სიხისტე“ (არ იქნებოდა გასაკვირი ფრანგი დედოფლის კარზე) და გაათავისუფლეს სამსახურიდან რამდენიმე თვეში.

რუსტამი იმპერატორს თან ახლდა ყველა კამპანიის დროს პრუსიაში, პოლონეთში, იტალიასა და რუსეთში. ფრანგი გოგოს ცოლის შერთვისთვის მას ნაპოლეონის პირადი ნებართვის აღება მოუწია, რადგან ფრანგული ადმინისტრაცია ჯვარს არ წერდა. მას მტკიცება უწევდა, რომ „ის არის ქართველი; და ქართველები ქრისტიანები არიან“. ტილზიტში Tilsit, სადაც ნაპოლეონმა გამართა მოლაპარაკებები რუსეთის მეფე ალექსანდრესთან, რუსეთის მეფე ძალზედ მოხიბლა ნაპოლეონის გვარდიის, მათ შორის მამლუქების პარადმა. სხდომის შემდეგ, წვეულების დროს, ნაპოლეონმა უთხრა მეფე ალექსანდრეს: „შესაძლოა რუსტამი თქვენი ქვეშევრდომი ყოფილიყო“. რუსი მეფე გაოცდა. „დიახ“, განაგრძო ნაპოლეონმა, „ის საქართველოდანაა და ქართველები თქვენი ქვეშევრდომები არიან“. რესტავრაციის მერე, როგორც ყველა მამლუქმა, რუსტამმა დაკარგა ყველა პოზიცია და უსახელოდ გარდაიცვალა ფრანგი ცოლის სახლში.

ქართველები ირანში

ქართველების სამსახური შაჰის ჯარში დაიწყო შაჰ თამაზ I-ის მეფობის დროს (თამაზ I) Tahmasb I (Tamaz I) (1534-76 წწ.). ირანში მცხოვრები თანამედროვე ქართველები არიან იმ 200 000 ადამიანის შთამომავლები, რომლებიც სეფევიდმა შაჰ აბას I-მა Abbas გამოდევნა ქართლ-კახეთიდან 1614 და 1617 წწ-ში.

ირანში ცნობილი იყო ოთხი ქართული ოჯახი (კლანი): ბარათაშვილი, სააკაძე, უნდილაძე და მირიმანიძე Baratashvili, Saakadze, Undiladze and Mirimanidze და ისინი ირანის ლიტერატურაში მოიხსენიებოდნენ, როგორც გურჯი – ქართველი.

ქართველი მეომარი

როსტომ მეფე (ხოსრო მირზა)

გიორგი სააკაძე

ალავერდი ხან უნდილაძე Allahverd Khan Undiladze (გარდაიცვალა 1613 წ.) იყო ქართული წარმოშობის ირანელი სამხედრო მეთაური და სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც „მონა“ ჯარისკაციდან მაღალ რანგამდე მიაღწია სეფევიდების Safavid სახელმწიფოში. იგი დაიბადა ქართველ ქრისტიანად, დაიჭირეს და მიიღო ისლამი. 1586 წელს ალავერდი ხანმა მოაწყო შეთქმულება შაჰ ა ბასის სასარგებლოდ. შედეგად, იგი დანიშნეს ფარსის პროვინციის მმართველად, ასევე ისფაჰანის, სეფევიდების დედაქალაქის, გულამის არმიის მეთაურად. ეს იყო სპეციალური სამხედრო სტრუქტურა, რომელიც შედგებიდა ქართველების, სომხების, ჩერქეზი ქრისტიანებისგან, რომელიც აბასმა შექმნა თურქ ყიზილბაშების ძალის საპირწონედ (რ.მ. საორიR. M. Saory „სეფევიდების სპარსეთი“, ისლამის კემბრიჯის ისტორია, 1970 წ., გვ. 419). ალავერდ ხანმა მოკლა იმდენად ბევრი ყიზილბაში, რომ შაჰ აბასმა მოუწოდა შეემცირებინა მკვლელობები. ჰიროთაკე მაედა Hirotake Maeda, იაპონელი მკვლევარი, წიგნში „ოთხი გულამის ოჯახის ეთნო-სოციალური ფონი სეფევიდთა ირანში“ წერს, რომ შაჰ აბას I ალავერდს „მამას“ უწოდებდა. ხშირად იტყოდა, „სპარსეთი მე მემორჩილება, მე კი უნდილაძეს ვემორჩილებიო“.

1598 წელს ალავერდ ხანის სარდლობით ჰერატი განთავისუფლდა უზბეკების ათწლიანი მმართველობისგან და ალავერდ ხანი შაჰის შემდეგ სპარსეთის იმპერიის ყველაზე ძლევამოსილი კაცი გახდა. 1600 წლიდან, სერ რობერტ შირლის Sir Robert Sherley კონსულტაციებით, მან რეორგანიზაცია გაუკეთა არმიას და გააძლიერა გულამის ჯარი 4000-დან 25000 კაცამდე (ლ. ბელანი L. Bellan, შაჰ აბას I, პარიზი, 1932, 111 გვ.). ალავერდ ხანის მეთაურობით სპარსეთის არმიამ წარმატებული კამპანია აწარმოა 1601-1602 წწ-ში, როდესაც პორტუგალია სპარსეთის ყურედან გააძევეს და დაიპყრეს ბაჰრეინი 1602 წელს, რომელიც პორტუგალიის ხელში იყო 1516-17 წლებიდან. 1603-12 წლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ოსმალეთთან ომში. არის ცნობები, რომ შაჰმა რამდენჯერმე მოუხმო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის

ხიდი ისპაჰანში

იმამ ყული ხანის ძეგლი, 1990 წ.

მისაღებად, გიორგი სააკაძის მსგავსად, მაგრამ, ალავერდი-ხანმა ყველა შემთხვევაში მოახერხა უარის თქმა, ჩვეულებრივ, ავადმყოფობის გამო.

მას და მის ქრისტიან მეუღლეს უკავშირდება ბევრი შენობის, კარგად ცნობილი ისპაჰანის Isfahan ოცდაცამეტთაღიანი ხიდის აშენება, რომელიც დღემდე ინარჩუნებს მის სახელს. ქართველი ავტორების მიხედვით, ციფრი 33 საიდუმლოდ დაკავშირებულია ქართულ ანბანთან. შაჰ აბასმა გამოავლინა პატივისცემა და სიყვარული მის მიმართ, როცა პირადად უხელმძღვანელა მის დაკრძალვას მეშხედში 1613 წ. და ესტუმრა ხანის სახლს მეორე დღეს, რათა მიესამძიმრებინა მისი ოჯახისთვის.

იმამ-ყული ხან უნდილაძე Imam-Quli Khan Undiladze, ალავერდ ხანის ვაჟი, მამის სიკვდილის შემდეგ, 1613 წელს, შაჰ აბასმა დანიშნა ფარსის და სხვა პროვინციების მმართველად. როგორც სეფევიდების მეფისნაცვალი, იმამ ყული ხანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პორტუგალიის ძალაუფლების შესუსტებაში სპარსეთის ყურეში (ისკანდარ ბეგი, გვ. 614-16) და გააძევა ისინი ახლანდელ ბანდარ-აბასიდან Bandar-e Abbas.

სპარსეთის ყურეში ინგლისის აღმოსავლეთ ინდოეთის English East India კომპანიის გემების შემოსვლამ. შაჰ აბასს მისცა შანსი პორტუგალიელები ასევე გაეძევებინა ქემადან და ჰორმუზიდან Qeæm and Hormuz, რადგან შაჰს სჭირდებოდა გემები, არმია რომ გადაეყვანა ამ კუნძულებზე. ინგლისელები არ თანხმდებოდნენ შაჰის ჯარების გადაყვანაზე და იმამ-ყული ხანი დაემუქრა, რომ ჩამოართმევდა სავაჭრო პრივილეგიებსა და არ დართავდა ქარხნების გახსნის ნებას ირანში, რაც ინგლისის აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიას გადასცა შაჰ აბასმა 1615 წელს (ბელანი, გვ. 261; საორი, გვ. 195). კომბინირებული ოპერაცია წარმატებული აღმოჩნდა და ირანმა მოიპოვა საზღვაო გზებზე გავლის შესაძლებლობა. შეიქმნა პოემები იმამ-ყულის წარმატების აღსანიშნავად. მისი ძმა და ვაჟი დანიშნეს ირანის პროვინციების მმართველებად. ამირის სიმდიდრე ისეთი იყო, რომ ერთხელ შაჰმა ხუმრობით უთხრა: „იმამ ყული, მე გთხოვ, რომ დღეში ერთი დირჰამით ნაკლები დახარჯო, რომ მცირე განსხვავება მაინც იყოს ხანისა და მეფის ხარჯებში!“ (მალკოლმი Malcolm, გვ. 382). 1633 წელს, შაჰ აბასის სიკვდილის შემდეგ, იმამ ყული ხანი

და მისი სამი ვაჟი ოჯახებთან ერთად შიდა ინტრიგების მსხვერპლნი გახდნენ, რადგან აბასის მემკვიდრე, შაჰ სეფი, ქართველების სხვა ჯგუფის ხოსრო მირზა ბაგრატიონის მხარდაჭერით სარგებლობდა. მაგრამ ზოგი ავტორი აღნიშნავს, რომ ყველაფერი ასე მარტივადაც არ იყო. ჭორების მიხედვით, შაჰ აბასი ზოგჯერ მისი ჰარამხანიდან უგზავნიდა ქალებს ვეზირ ალავერდი ხანს. ამბობდნენ, რომ ერთი ქალი ორსულად დარჩა და უნდილაძის ოჯახმა განიზრახა, რომ ეს ბავშვი ყოფილიყო შაჰი, შაჰ სეფის ნაცვლად.

როსტომი ან რუსტამ ხან ბაგრატიონი (ხოსრო მირზა) Rostom or Rustam Khan (Khosrow Mirza) Bagrationi (1565-1658 წწ.) სპარსეთის შაჰმა ქართლის მეფედ დასვა 1633 წელს. ის იყო დაუდ ხანის უკანონო ვაჟი, გამაჰმადიანებული დავით XI-ის შვილიშვილი, მეფე სიმონის ძმა. მან მალე მიიპყრო შაჰ აბასის ყურადღება და 1618 წელს დაინიშნა (ასევე გიორგი სააკაძის მხარდაჭერით) დედაქალაქის, ისპაჰანის პრეფექტად. 1625 წლიდან 1626 წლამდე მონაწილეობა მიიღო საქართველოში წინააღმდეგობის აღკვეთაში: იგი მეთაურობდა მარაბდის ბრძოლაში მარჯვენა ფლანგს და სპარსეთის არმიის ნაწილი გადაარჩინა სრულ განადგურებას ქართველების მიერ, ქსანთან ბრძოლაში. 1626 წელს ხოსრო მირზა საქართველოდან უკან გაიწვიეს და შაჰის დაცვის ყულის Quli მეთაურად დანიშნეს. 1630 წელს სიკვდილის სარეცელზე მწოლიარე აბასმა დააფიცა, რომ დაეცვა მისი შვილიშვილი, მომავალი შაჰ სეფი, რომელსაც ხოსრო პატიოსნად ემსახურებოდა. 1630 წელს ის უძღვებოდა სპარსეთის არმიას, რომელმაც დაამარცხა ოსმალთა ძალები და აიღო ბაღდადი. ჯილდოდ, 1633 წელს ის იქნა დანიშნული მშობლიურ ქართლში 67 წლის ასაკში. მან მიიღო სახელი რუსტამი და საქართველოში მოვიდა მრავალრიცხოვანი სპარსეთის არმიით. მან მალე დაამყარა კონტროლი ქართლზე და ყველა ძირითად ციხესიმაგრეში სპრასეთის ძალები ჩააყენა. ამას მოჰყვა მშვიდობისა და აყვავების პერიოდი, ქალაქები და ქვეყნები აღორძინდა, ბევრი უდაბნოდ ქცეული ადგილი კვლავ დასახლდა და ვაჭრობა აღმავლობისკენ წავიდა. თუმცა მუსლიმი რუსტამი, ხელს უწყობდა მთავარი ქართული მართლმადიდებლური კათედრალის სვეტიცხოვლის აღდგენას მცხეთაში და მფარველობდა ქრისტიანების კულტურას, მის სა-თავადოში ბატონობდა ისლამი და სპარსული წესები, რამაც ბევრი მავნე აზიური ზნე-ჩვეულებები გაავრცელა საქართველოში, რამაც საზოგადოების დეგრადაცია და მენტალური ჩამორჩენა გამოიწვია.

გიორგი XI ბაგრატიონი, სპარსეთში ცნობილი როგორც გურგინ ხანი ან შაჰნავაზ II George XI (Giorgi XI) Bagrationi, Gurgin Khan or Shah Nawaz II. ისლამზე მოქცეული ქართლის მეფე 1676-1709 წწ., ვახტანგ V-ის ვაჟი. ის ყველაზედ კარგად ცნობილია ირანში, როგორც სეფევიდი მებრძოლი სარდალი აჯანყებული ავღანი ტომების წინააღმდეგ. ის მფარველობდა კათოლიკე მისიონერებს და მიმოწერა ჰქონდა რომის პაპთან ინოკენტ XI-თან. ვენის გათავისუფლებამ ოსმალების ალყისგან გიორგი XI-ს იმედი მისცა ოსმალების შესუსტებაზე. ინოკენტ XI-სადმი მიწერილ წერილში, 1687 წლის 29 აპრილს, ფიცი დადო, რომ იქნებოდა კათოლიკე მეფე და გამოაცხადა მზადყოფნა

პაპის ნებისმიერი ბრძანების შესასრულებლად. კათოლიკე მისიონერების მიხედვით, გიორგი ფარულად ინარჩუნებდა კათოლიკობას სიკვდილამდე. მან სცადა, თუმცა ამაოდ, მოეპოვებინა ევროპელების მხარდაჭერა სპარსეთის სეფევიდების წინააღმდეგ, მაგრამ ევროპას სჭირდებოდა ძლიერი ირანი თურქეთის ზურგს უკან და ყველანაირად ეხმარებოდნენ იარაღით თუ ჯარის წვრთნით. შაჰ სულეიმანამდე ხმები მივიდა და მან გიორგი თანამდებობიდან გადააყენა და ისპაჰანში მოიხმო 1696 წელს.

პორტუგალიელი დესპანი გრეგორიო პერეირა ფიდალგო Gregorio Pereira Fidalgo მოწმე იყო, თუ როგორ გამოჩნდა გურგინ ხანი შაჰის კარზე ორმოცდაათი სპარსელი ჯარისკაცით გარშემორტყმული 1697 წელს. ფიდალგოს სავარაუდო გათვლით, გურგინ ხანი უნდა მომკვდარიყო საცოდავად, მაგრამ ასე არ მომხდარა. გურგინ ხანის ენერგიამ და ვაჟკაცობამ, ასევე შაჰის სურვილმა, რომ სამხედრო სამსახურში ჰყოლოდა, ითამაშა როლი შაჰის გადაწყვეტილებაზე და ის დაინიშნა ქერმანის პროვინციის მმართველად (ბეგლერბეგად) იმ მიზანით, რომ აღეკვეთა ავღანი ბელუჩის Afghan Beluchi ტომების თავდასხმები, რამაც ააოხრა ირანის აღმოსავლეთი. გიორგიმ წარმატებით განახორციელა მისია 1700 წელს რამდენიმე შეჯახების შემდეგ (ბროსე Brosset, 1854-57 წწ.). ჯილდოდ, გიორგი აღადგინეს ქართლის ტახტზე 1703 წელს. რადგან გურგინ ხანს არ ჰყავდა საკუთარი მემკვიდრე, მან დისწული ქაიხოსრო ხანი Kaikhosrow Khan დაასახელა ქართლის შემდეგ მმართველად.

ავღანთა ტომები, მირვაის ხან ჰოტაკის Mirwais Khan Hotak მეთაურობთ, მაინც არ ისვენებდნენ და გურგინ ხანი კიდევ ერთხელ გაგზავნეს კანდაჰარში 1704 წელს, რათა დაემყარებინა წესრიგი. ეს აჯანყება გურგინ ხანმა ჩაახშო და მირვაისი გაგზავნა ისპაჰანში, როგორც ძალზედ საშიში პატიმარი. წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როდესაც მურვაისი მალევე დაბრუნდა კანდაჰარში გამოწყობილი ბრწყინვალე საპატიო მანტიაში პატივისა და ნდობის ნიშნად. სპარსეთის შაჰი შეშინებული იყო შესაძლო კოალიციით რუსეთსა და საქართველოს შორის (კრუსინსკი, 179-81 გვ; ტარდი, 323-33 გვ., ლოკარტი 86-87 გვ.) და ამით გამოხატა მირვაის, და არა გურგინის, მხარდაჭერა სპარსეთის სამეფო კარზე.

1709 წლის 21 აპრილს, როდესაც ქართველების უმრავლესობა კანდაჰარიდან წასული იყო აჯანყებულებზე თავდასასხმელად, მირვაისმა დაპატიჟა გურგინი ნადიმზე ქალაქგარეთ. აქ სტუმრები მდიდრული თეფშებიდან ჭამდნენ და ძლიერი ღვინით უმასპინძლდებოდნენ. იმ დროს მირვაისმა განგმირა გურგინი და მისმა მხლებლებმა კი დახოცა ქართული ესკორტი. მან ისპაჰანში გაგზავნა ჯვარი და ფსალმუნები, რომლებიც იპოვეს მოკლული ქართველი მმართველის ბალიშის ქვეშ, როგორც დამამტკიცებელი საბუთი მის განდგომილებაზე. მიუხედავად ამისა, ავღანეთის მიწებზე სადამსჯელო ექსპედიცია გაიგზავნა, რომელთაც უძღვოდა გიორგის დისწული, ქაიხოსრო, მაგრამ ეს კატასტროფულად დასრულდა 1711 წელს.

მალე 1715 წელს მირვაისიც დაიღუპა. ლურჯგუმბათიანი მავზოლეუმი, ხილნარის გვერდით, სადაც გურგინი მოკლეს, არის ავღანეთის პირველი დიდი ეროვნული გმირის მირვაის მონუმენტი. მისმა ამბიციურმა 18 წლის ვაჟმა მანჰუდმა Manhood შეკრიბა თავისი მიმდევრები, გაილაშქრა სპარსეთის მიმართულებით და სეფევიდების სამეფო გვირგვინიც მოიპოვა 1722 წელს. ამ ავღანური გილზაის Ghilzai დინასტიის არსებობა დაასრულა რიგითმა ჯარისკაცმა, თურქმა ნადირ ყული ბეგმა 1730 წელს.

ქაიხოსრო ბაგრატიონი Kaikhosro იყო ქართლის მეფე ბიძამისის, გურგინ ხანის სიკვდილის შემდეგ, 1709 წლიდან 1711 წლამდე. მას არასდროს უმეფია ქართლში, ვინაიდან მუდმივად სპარსეთის არმიაში სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. 1703 წლიდან ქაიხოსრო მაღალ პოსტებზე მსახურობდა სპარსეთის ადმინისტრაციაში, დედაქალაქ ისპაჰანის პრეფექტიც კი გახლდათ. 1709 წელს ის უძღვებოდა სპარსულ-ქართულ არმიას, რათა შური ეძიათ გურგინ ხანის სიკვდილის გამო მირვაისის მეთაურობით გილზაის აჯანყებული ავღანი ტომების წინააღმდეგ. მაგრამ ირანელები ფრთხილობდნენ და ქართველებს არ ეხმარებოდნენ. მისი მცდელობა, რომ აეღო კანდაჰარი, ვერ განხორციელდა. ბალუჩი ტომების თავდასხმების გამო ქაიხოსრომ კანდაჰარის დანებება ბრძანა. გილზაიმ შეტევა განახორციელა უკან წასულ არმიაზე და მოიპოვა გამარჯვება, დახოცეს ქაიხოსრო და მისი 25 000 ჯარისკაცი 1711 წელს. ქართველი მეომრები უკმაყოფილობას აშკარად გამოთქვამდნენ სპარსეთის ჯარის ქცევის გამო, რადგან ისინი არ ანებებდნენ ქართველებს შეტევაზე გადასულიყვნენ იმის შიშით, რომ ამით შესაძლოა გაძლიერებულიყო საქართველოს პოზიციები ირანის იმპერიაში. კრნსინსკი Krnsinski „Tragica vertentis belli Persici historia“-ში წერდა, რომ ავღანების აჯანყება და ირანის შეცდომა, ნება რომ არ დართო ქართველთა ჯარის ჩაეხშოთ ეს ამბოხება, ინტენსიურად ისწავლებოდა, რადგან ამ ამბებმა სასტიკი შედეგები მოუტანა ირანს.

ალი-ყული ხან (იესე) ბაგრატიონი Ali-Quli Khan **მუსტაფა ფაშა** (Mustafa Pasha) ქართლის მეფისნაცვალი 1714-1727 წწ-ში. ალი ყული ხანი იყო ირანის მთავარი მოსამართლის ვაჟი. 1714 წელს ის გაგზავნეს თბილისში მეფისნაცვლად, მაგრამ მას ძალზედ უყვარდა ალკოჰოლი და ამიტომ, შაჰის ბრძანებით, გადაყენებულ იქნა. იგი კახეთში გაიქცა და ქრისტიანობას დაუბრუნდა. ავღანების შემოსევის და სეფევიდის დინასტიის დაცემის შემდეგ, 1722 წელს, თბილისი დაიკავეს ოსმალთა სულთნის ძალებმა და ალი ყული ხანმა ისევ შეიცვალა რელიგია. შიიტის ნაცვლად ახლა ის სუნიტი გახდა და მართავდა თბილისს მუსტაფა ფაშას სახელით სიკვდილამდე, 1727 წელს.

ერეკლე II (Erekle Khan), კახეთის მეფე (1744-62 წწ.) და ქართლ-კახეთის მეფე (1762-98 წწ.). კახეთის მეფეს ყოველთვის სპარსულ სტილში ეცვა. ერეკლე ნადირ შახის უსაყვარლესი სარდალი იყო. მხოლოდ ნადირის სიკვდილის შემდეგ ისარგებლა მან ირანში პოლიტიკური არასტაბილურობით და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1748 წელს ერეკლე კონტრშეტევაზე გადავიდა და მოიპოვა სპარსელებზე მტკიცე გამარჯვება. ერეკლემ მამასთან,

ქართლის მეფე თეიმურაზთან ერთად, 1762 წელს, წარმატება მოიპოვა და გააერთიანა აღმოსავლეთ საქართველო პოლიტიკურად, სამი საუკუნის მანძილზე პირველად. ამავე დროს,1752 წელს მან და მისმა მამამ გაგზავნეს მისია პეტერბურგში, რათა რუსეთისთვის ეთხოვათ ჯარები. ერეკლეს მცდელობები რუსეთთან თანამშრომლობაზე უშედეგო აღმოჩნდა. თუმცა ერეკლემ და ეკატერინემ შეადგინეს გეორგიევსკის ტრაქტატი 1783 წელს. ახალ, რუსეთ-თურქეთის ომის მანძილზე 1787-92 წწ-ში, რუსეთის ჯარები საერთოდ გავიდნენ ქართლ-კახეთიდან და ერეკლე დატოვეს სპარსეთის საფრთხესთან პირისპირ. ერეკლემ მოახერხა სიტუაციის გადარჩენა და მაინც საქართველო სპარსეთთან ალიანსიდან ქრისტიანი რუსეთისკენ მიბრუნდა.

ქართული წარმოშობის იყვნენ: მირზა ალი ასგარ ხანი Mirza Ali Asghar Khan, იუსტიციის მინისტრი Amin al-Soltan და პრემიერ-მინისტრი Atabak (1883-1896 წწ.). მამამისი ასევე იყო ნაზირ შაჰის იუსტიციის მინისტრი აქა ებრაჰიმი Agha Ebrahim (1882-83 წწ.). მისი მამა, ქრისტიანად მოქცეული ზაალ ხანი, 1795 წლის აღა მოჰამედ ხანის კამპანიის დროს ქართველი ტყვეს ვაჟი იყო (კ.მ. სასანი, თეირანი, 1958 წ, II, 143).

ბაჰრამ არიანა Bahram Aryana (1906-1985 წწ.) იყო ირანის სამხედრო მეთაური, რომელიც გახლდათ ქართველი წარმოშობით (ჰყავდა ქართველი დედა), ირანის შაჰის ფეჰლევი II-ს Pahlavi დროს. მან განათლება მიიღო Ecole Speciale Militaire de Saint-Cyr და შაჰის პოლიტიკას ახორციელებდა 1950-1970 წწ. ის საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი იყო, ხომეინის ფანატიკოსების წინააღმდეგ გამოვიდა და ემიგრაციაში პარიზში გარდაიცვალა.

თავადი გრიგოლ მიქელაძე (1898-1955 წწ.) დაიბადა თბილისში. ის რუსეთიდან წავიდა ირანში, მას შემდეგ, რაც მისი ძმა კონსტანტინე (კოსტია) მიქელაძე ირანის არმიაში მსახურობის დროს აჯანყებულმა ქურთებმა მოკლეს. ის შვედების მიერ შექმნილ ირანულ ჟანდარმერიაში მსახურობდა. გმირული სიკვდილის გამო იგი ირანის უმაღლესი სამხედრო ორდენით დააჯილდოვეს. ახლა მისი ძმა ჩამოვიდა თავრიზში Tabriz კვლავ ქურთებთან საბრძოლველად 1918-1922 წწ-ში. 1930 წელს რეზა შაჰ ფეჰლევის Pahlavi ბრძანებით, თავრიზიდან თეირანში გადაიყვანეს და რამდენიმე წლის განმავლობაში მსახურობდა ფეჰლევის დაცვაში. მიქელაძე დააწინაურეს პოლკოვნიკის თანამდებობაზე, უმაღლესი პოსტი, რომელზეც ირანის არმიაში უცხოელ ქრისტიანს შეეძლო მიეღწია. 1941 წელს საბჭოთა და ბრიტანეთის ჯარებმა ირანი დროებით ოკუპაციაში მოაქციეს. რეზა შაჰის ბრძანებით, პოლკოვნიკი მიქელაძე გადაიყვანეს ისპაჰანში Isfahan უსაფრთხოების მიზნით, რადგან რუს ოკუპანტებს შესაძლოა დაეპატიმრებინათ იგი და სიკვდილი მიესაჯათ, როგორც დეზერტირისთვის. 1955 წელს, მისი სიკვდილის დღეს, ირანის

სამხედრო არმიამ პოლკოვნიკ მიქელაძეს დაკრძალვის ცერემონიაზე სრული პატივი მიაგეს ცხენოსნებით, ეტლით და ქვემეხებით. იგი დაკრძალეს თეირანში ქრისტიანულ სასაფლაოზე.

ნინა ანდრონიკაშვილი (თუბა ხანუმ სოჰეილი Tuba Khanum Soheili) იყო 1942-44 წლების (თეირანის კონფერენციის დროს) ირანის პრემიერ-მინისტრის ალი სოჰეილის Ali Soheili მეუღლე. ისინი დაქორწინდნენ, როდესაც ალი საქართველოში იყო ელჩად 1928 წელს. 1944 წელს ანდრონიკაშვილის ოჯახი მიიწვიეს ირანში სამი თვით და თბილისში ირანის პრემიერ-მინისტრის პირადი თვითმფრინავი ჩამოფრინდა. ფოტოზე ასახულია ალი სოჰეილი, ირანის პრემიერ-მინისტრი, რომელიც უყურებს, თუ როგორ ესალმება ირანის შაჰი უინსტონ ჩერჩილს Winston Churchill, ჩერჩილის სამოცდამეცხრე დაბადების დღეზე 1943 წლის 30 ნოემბერს თეირანის კონფერენციის დროს.

უკანასკნელი ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლავი Mohamed Reza Pahlavi თბილისს ეწვია საბჭოთა კავშირის დროს და ის იხსენებდა, რომ ირანის ყველა შაჰს ჰყავდა ქართველი დედა ან ცოლი. ამბობენ, რომ რეზა ფეჰლავის ბებიაც ქართველი იყო მაზანდარადან. ასევე ამბობენ, რომ მის მეუღლეს, დედოფალ სორელასაც Sorela, ქართველი ბებია ჰყავდა – აბაშიძე ახალციხიდან.

ქართველები თურქეთში

ოსმალეთის იმპერია ყოველთვის ცდილობდა მიეზიდა ყველა ნიჭიერი ადამიანი, თუ ისინი სახელმწიფოს დიდებისთვის იმსახურებდნენ. მას შემდეგ, რაც ესპანეთიდან გააძევეს ებრაელები მე-16 საუკუნეში, თურქებმა სიამოვნებით მიიღეს თავიანთ იმპერიაში.

დიდი ვეზირები Grand Viziers (პრემიერ-მინისტრები) ოსმალთა იმპერიაში, რომელთაც ჰქონდათ აბსოლუტური ძალაუფლება და ხელთ ეპყრათ საიმპერატორო ბეჭედი ტოპკაპის სასახლეში Topkapı Palace, ქართული წარმოშობის იყვნენ: Hadim Mehmed Pasha in 1622-3; Gürcü Mehmed Pasha in 1651-2; AğaYusuf Pasha in 1711-2; Gürcü İsmail Pasha in 1735; Yirmisekizzade Mehmed SaidPasha in 1755-6; Şahin Ali Pasha in 1785; Koca Yusuf Pasha in 1786-9 and 1791-2; Cenaze Meyyit Hasan Pasha in 1789-90; Kör Yusuf Ziyaüddin Pasha in 1798-1811; Laz Ahmed Pasha in 1811-2. აგრეთვე რამდენიმე დიდი ვეზირი აფხაზი იყო. მათგან ყველაზე ცნობილი იყო ჰეირედინ ფაშა Hayreddin Pasha თურქეთის დიდი ვეზირი 1878-9 წლებში და ტუნისის დიდი ვეზირი 1873-77 წლებში. იგი სოხუმში დაიბადა. მამამისი რუსებთან ბრძოლაში დაიღუპა. რუსებმა ის მონობაში

გაყიდეს და პატარა ბავშვი ტუნისში მოხვდა. იქ ჭკვიანი ბავშვი სულთნის შვილს დაუმეგობრდა, მიიღო განათლება საფრანგეთის სამხედრო აკადემიაში და ორი ქვეყნის დიდი ვეზირი გახდა!

ცეზაირლი გაზინ ჰასან ფაშა ან ალჟირის ჰასან ფაშა Cezayirli Gazi Hasan Pasha იყო დიდი ვეზირი 1790 წ. მისი სახელი ცეზაირლი Cezayirli ნიშნავს ალჟირელს, რადგან ის ერთხანს იყო ალჟირის სანაპიროზე მეკობრე და შემდეგ დიდი ადმირალი 1770-90 წწ. ცნობილია, რომ ის მოიყვანეს, როგორც მონა საქართველოდან, ფშავიდან. 1787-1792 წწ-ის რუსეთ-თურქეთის ომში ჰასან ფაშა მეთაურობდა თურქეთის ჯარს, რომელიც რუსებმა ალყაში მოაქციეს ოჩაკოვში. ის ყველგან თავის ლომთან ერთად ჩნდებოდა, რომელიც აფრიკაში ყოფნისას მოათვინიერა.

ჰურსიდ (კურშიდ) აჰმედ ფაშა Hurşid (Khurshid) Ahmed Pasha, ოსმალი გენერალი და დიდი ვეზირი 1812-5 წწ, წარმოშობით ქართველი. ის დაიბადა ქრისტიანი მღვდელის ოჯახში საქართველოში. მიიღო ისლამი ყრმობის პერიოდში და იანიჩრების სამსახურში ჩაირიცხა. იქ მან მოიპოვა სულთან მუჰამედ II-ის სიმპათია და დაიკავა რამდენიმე მაღალი თანამდებობა.

ნაპოლეონის ეგვიპტედან ევაკუციის შემდეგ, 1801 წელს თურქებმა ის დანიშნეს ალექსანდრიის მერად, ხოლო 1804 წელს გამოცხადდა ეგვიპტის მმართველად მუჰამედ ალის (მამლუქთა მკვლელი) ნაცვლად. ბრიტანეთის დიპლომატიური წარმომადგენლთან მოკავშირეობით, ჰურსიდი ცდილობდა მუჰამედ ალი და მისი ალბანელები გამოეყვანა ეგვიპტიდან და სირიიდან მოიყვანა ჯარები. მუჰამედ ალიმ მოახერხა სიტუაციის თავის სასარგებლოდ წარმართვა სულთანთან და მოიპოვა ეგვიპტის მმართველის პოსტზე დამტკიცების ფირმანი 1805 წელს. ჰურსიდი ალყაშემორტყმულ ქაიროს ციხესიმაგრეში გამაგრდა, რომელიც დატოვა მას შემდეგ, რაც დაინახა სულთნის ფირმანი.

1805 წელს ჰურსიდი გაგზავნეს სერბეთში, რათა ჩაეხშო ამბოხება. 1812-5 წწ-ში ის დაინიშნა დიდი ვეზირად (პრემიერ-მინისტრი). ის უძღვებოდა სერბეთის კამპანიას, როგორც ხელმძღვანელი და ბოლო მოუღო აჯანყებულ პეტროვიჩსა და ობრენოვიჩს მას შემდეგ, რაც აიღო ბელგრადი 1813 წელს. იმ წელს იგი ბოსნიის მმართველი გახდა. 1820 წელს ის დაასახელეს პელოპონესის მმართველად და საბერძნეთის პირველი ამბოხებები დაიწყო. ჰურსიდმა სულთანს მაშინვე აცნობა ეს მოვლენები, და ინსტრუქციის მიღებამდე გაგზავნა ჯარები აჯანყების ჩასახშობად. 1822 წელს მან მოახერხა მოღალატის მეშვეობით ბერძენი ამბოხებულების ალბანელი ლიდერის ალი ფაშას Ali Pasha მოკვლა და მისი თავი სულთანს გაუგზავნა, მაგრამ მოულოდნელი საშინელება დაატყდა თავს. პოლიტიკური მტრები სტამბოლში შეაშფოთა მისმა მიღწეულმა დიდებამ და ძალაუფლებამ, და მათ სულთნის კარზე ხმები გაავრცელეს, რომ მან დიდი რაოდენობით ძვირფასეულობის მიითვისა. ჰურსიდმა 40 მილიონი პიასტრი გაუგზავნა სულთანს, რაც იპოვა ალბანელი ლიდერის ხაზინაში, როცა სულთნის მინისტრები 500 მილიონი პიასტრის სიმდიდრეს ითვლიდნენ. როდესაც სულთანმა მოითხოვა დეტალური ანგარიში, შეურაცხყოფილმა

ჰურსიდმა პასუხი არ გასცა. ამის შემდეგ მალევე, იგი გაკიცხეს საზოგადო სიმდიდრის ცუდად გამოყენებისთვის და შეარცხვინეს. აგენტები გაგზავნეს მის მოსაკლავად. იმის მაგივრად, რომ თავი ემართლებინა, მან 1822 წელს საწამლავი დალია. მისი ადგილი საბერძნეთსა და ბოსნიაში დაიკავა მეორე ქართველმა რეშიდ მეჰმედ ფაშამ.

რეშიდ მეჰმედ ფაშა Reşid Mehmed Pasha (1829-33 წწ.) დაიბადა საქართველოში ბერძენი მართლმადიდებელი მღვდლის ოჯახში. როდესაც ის ბავშვი იყო, თურქებმა ტყვედ აიყვანეს და მონად გაყიდეს. რეშიდ მეჰმედ ფაშა ებრძოდა აჯანყებულ ალბანელებს, როცა სულთანმა უბოძა სერბეთს ბოსნიის ექვსი ოლქი ადრიანოპლის შეთანხმების საფუძველზე. უკმაყოფილი ბოსნიელებმა Bosnia 50 000-კაციანი ჯარით გაილაშქრეს პრიშტინას Priština წინააღმდეგ, მაგრამ რეშიდ ფაშა თავს დაესხა ქვემეხებით და დაამარცხა ბოსნიელების არმია. შემდგომ წლებში ის მეთაურობდა ანატოლიის ჯარს ეგვიპტე-ოსმალეთის ომში და ქურთების წინააღმდეგ.

მაჰმუდ ნემიდ ფაშას Mahmud Nedim Pasha, დიდი ვეზირი 1871-76 წწ., ხშირად უწოდებდნენ ნედიმოვს Nedimoff, რუსოფილური პოლიტიკის გამო. ის იყო ბაღდადის ყოფილი მმართველის, ქართველი ნესიფ ფაშას Necib Pasha ვაჟი.

მაჰმუდ შევკეთ ფაშა Mahmud Shevket Pasha იყო ოსმალი გენერალი და სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ვეზირი 1913 წელს, წარმოშობით ქართველი. მან გარკვეული პერიოდი საფრანგეთსა და გერმანიაში გაატარა, სადაც სამხედრო ტექნოლოგიებს სწავლობდა. ის იყო დიდი ვეზირი მეჰმედ V-სთან 1913 წელს, როდესაც სტამბოლში პოლიტიკური მოტივით მოკლეს. მის დაქვემდებარებაში გაიკეთა სამხედრო კარიერა მუსტაფა ქემალმა Mustafa Kemal. მისი დამსახურებაა ოსმალთა სამხედრო ავიაციის ჩამოყალიბება 1911 წელს და სტამბოლში პირველი ავტომანქანა ჩამოიყვანა.

გარდა თურქებისა, დიდი ვეზირები იყვნენ აგრეთვე: ალბანელები, ბერძნები, ბოსნიელები, სერბები, რამდენიმე იტალიელიც და არაბი, რამდენიმე ჩერქეზი, აბასინიელი და სომეხი, რუსიც კი. ზოგადად, ქართული წარმოშობის ოჯახებიდან საპატიო ადგილებზე ინიშნებოდნენ, ესენი იყვნენ ხოსროშვილები, ჯაყელები, შალიკაშვილები, დიასამიძეები.

უკანასკნელი სულთნების ისტორიაც ასევე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან:

მიჰრიშა ვალიდე სულთანი Mihrişah Valide Sultan ოსმალთა **26-ე სულთნის მუსტაფა III-ის** (1757-74 წწ.) მეუღლე და რეფორმატორი სულთან სელიმ III-ის დედა იყო და 16 წლის მანძილზე დე ფაქტო თანამმართველი 1789-1805 წწ-ში. ის ეხმარებოდა თავის ვაჟს მმართველობისას და დააარსა დიპლომატიური კორპუსი, დააფუძნა ბევრი სკოლა და მეჩეთი. მიჰრიშა ვალიდე სულთანი და მისი ვაჟი სელიმ III, ორივე სუფისტი მისტიკოსების წევრები იყვნენ, რომლებიც ცნობილნი არიან, როგორც მბრუნავი დერვიშები Sufi Whirling Dervishies. ის ხშირად ხვდებოდა კუტუზოვს, 1812 წლის ომის რუს გენერალს, რომელიც სტამბოლში იმყოფებოდა რუსეთის ელჩის სტატუსით.

ძალზედ საინტერესო ფაქტი მოხდა, როდესაც მიჰრიშა იყო ჰარამხანის ლიდერი. აემე Aimee buc de Rivery, იმპერატრიცა ჟოზეფინას Joséphine de Beauharnais, ნაპოლეონის მეუღლის, ბიძაშვილი, ზღვაში დაიკარგა 11 წლის ასაკში. არსებობს ლეგენდა[1], რომ ის ტყვედ აიყვანეს ბარბაროსმა მეკობრეებმა, გაყიდეს ჰარამხანაში და იყო ნაშკიდილ ჰასეკის Nakşidil Haseki სახელით, 27-ე სულთნის აბდულ ჰამიდ I-ის (1774-89 წწ.) მეუღლე და 30-ე სულთნის დედა. ქართული წყაროების მიხედვით, ჰარამხანაში ის თბილად მიიღო ქართველმა მიჰრიშამ და ისინი გახდნენ მეგობრები და მოკავშირეები. როდესაც აიმე გახდა აბდულ ჰამიდ I-ის მეუღლე, სულთანს ფრანგული ასწავლა, დაიწყო ფრანგული გაზეთების ბეჭდვა, სასახლე როკოკოს სტილში მოაწყვეს და მუდმივი ელჩი გაგზავნა სტამბოლიდან პარიზში. როდესაც 1815 წელს პატარა ბიჭი, ნაპოლეონის ძმის ვაჟი, მომავალი ნაპოლეონ III ესტუმრა თურქეთს, მან მოინახულა „ნათესავი დიდი ბებია“ და ის დააჯილდოვეს მდიდრულად შემკული ხმლით. ამის შესაბამისად, ყირიმის ომის შემდეგ, როდესაც ნაპოლეონ III თურქეთს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა, მან პატივი მიაგო მისი „ნათესავის“ საფლავის, აღმოსავლეთის დიდ დედოფალს.

აბდულ ჰამიდ I-ის სიკვდილის შემდეგ, მიჰრიშას ვაჟი სელიმ III გახდა **28-ე სულთანი** (1789-1807 წწ.). მისმა მტერმა მუსტაფამ გამოიყენა რეფორმების მოწინააღმდეგე იანიჩრები, რომლებმაც ჩამოაგდეს სულთანი სელიმი და მუსტაფა IV გახდა **29-ე სულთანი** (1807-1808 წწ.), მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თვით.

საინტერესო ფაქტს გვიყვება მე-19 საუკუნის ოსმალი ისტორიკოსი ჩევდეტ ფაშა Cevdet Pasha: მუსტაფამ ბრძანა ტახტიდან გადამდგარი სელიმისა და მისი მემკვიდრის, აიმეს ვაჟის, მომავალი მაჰმუდ II-ის, სიკვდილით დასჯა. სელიმი მოკლეს და როდესაც მკვლელებმა (მათ მეთაურობდა სულთნის კარის უფროსი ფეტა ქართველი Fettah the Georgian) მიაღწიეს ჰარემს, სადაც პატარა მაჰმუდი ცხოვრობდა, ქართველმა მონა გოგონამ ჩევრი ქალფამ Cevri (Jevri) Kalfa მათ თვალებში ნაცარი შეაყარა და ამით დრო დააკარგინა. ეს დაეხმარა მაჰმუდს გაქცეულიყო ფანჯრიდან და მისმა მიმდევრებმა გამოაცხადეს იგი ფადიშაჰად და მაჰმუდ II გახდა ოსმალთა იმპერიის **30-ე სულთანი** (1808-1839 წწ.). მონა გოგონა დააჯილდოვეს სიმამაცისა და თავდადებისთვის და აირჩიეს საიმპერატორო ჰარამხანის ხაზინადარად. მაჰმუდმა ფართო რეფორმები ჩაატარა, მათ შორის იანიჩრების 130 ათასიანი კორპუსის გაუქმება და ათასობით აჯანყებული ლიდერის სიკვდილით დასჯა.

სულთან მაჰმუდ II-ს სულ ახსოვდა თბილი ურთიერთობები მის ფრანგ დედასა და ქართველ სულთანს შორის (თუმცა ზოგი ისტორიკოსის მონაცემებით, დედაც ფრანგი კი არა, ქართველი იყო) და მისი სასწაულებრივად გადამრჩენი ქართველი გოგონა. ამიტომაც გასაკვირი არ იყო, რომ მეუღლეც ბეზმიალემი Bezm-i Âlem, მისი შვილის და მემკვიდრის **31-ე სულთნის**

[1] ვიკიპედიის მიხედვით, ამ ლეგენდას არ ეთანხმება იბრაჰიმ პაზანი Ibrahim Pazan, რომელიც თვლის, რომ ის იყო კავკასიელი ქალი, სავარაუდოდ, ქართველი.

აბდულმესიდ I-ის (1839-61 წწ.) დედაც, იყო ქართველი ქალი, ანჩაბაძის Anchabadze (Achba) ქართულ-აფხაზური თავადის ოჯახიდან. მაჰმუდს ასევე ჰყავდა ცოლად ტუსკია, ჩიკოტუა, ჩაცბა, ლაკერბაია, შერვაშიძე, კუჩბა, 2 ფოთელი ქალი, 3 შაფსუგი ქალი, 4 უბიხი, სულ 8 აფხაზი და ა. შ. აბდულმესიდ I გაერთიანებული სამეფოს და საფრანგეთის მოკავშირე გახდა ყირიმის ომში რუსეთის წინააღმდეგ 1856 წელს. მან გააგრძელა მამამისის რეორგანიზაცია და მოდერნიზაცია Tanzimat ოსმალთა იმპერიისა. როგორც მის მამას და სხვა სულთნებს, მასაც ბევრი (ოცდაათამდე) ცოლი ჰყავდა, რამდენიმე ქართველი, მათ შორის, როგორც მამის შემთხვევაში, მემკვიდრე ქართველი ცოლისგან ჰყავდა. მისი ვაჟის, **33-ე სულთნი**ს მურად V-ის (1876 წ.) დედა, იყო მეგრელ-აფხაზი გოგო ფოთიდან სახელად ვილმა Şevkefza Kadınefendi, ხოლო მეუღლეები იყვნენ თარხნიშვილი, ნაკაშვილი, სულ 3 ქართველი, 2 აფხაზი და ჩრდილო კავკასიელი. შუალედში, **32-ე სულთანი** (1861-76 წწ.) იყო ბიძა აბდულაზიზი, დაბადებული ვალახელი დედისგან, რომელსაც რამდენიმე ქართველი ცოლი ჰყავდა – ჩიკოტუა, არედბა, ცამბა და Hayrân-ı Dil Kadın Efendi, შაფსუგი, ჩერქეზი ემიგრაციაში, ბოლო ხალიფას Abdülmecid II-ს დედა. უკანასკნელ **34-ე სულთან** აბდულ ჰამიდ II-ს (1876-1909 წწ.), ასევე რამდენიმე ქართველი მეუღლე ჰყავდა, მათ შორის ცანბა, მიკანბა, კაია, აგირბა, ემუხვარი, აჩბა, კუჩბა და შერვაშიძე. თურქეთის პრემიერ-მინისტრის ერდოღანის Erdoğan ოჯახი რიზას პროვინციიდან თურქეთში გადავიდა. ის ამბობდა ინტერვიუში: „მეც ქართველი ვარ, ჩემი ოჯახი ქართული ოჯახია, რომელიც მიგრაციაში წავიდა ბათუმიდან რიზაში“. ისევე, როგორც, მაგალითად, თურქეთის მე-8 პრეზიდენტი თურგუთ ოზალი Turgut Özal ქურთული წარმოშობის იყო[1].

ქართველი მამლუქები ერაყში

მონღოლების, ტამერლანისა და თურქმენი მომთაბარეების დამანგრეველი შემოსევების შემდეგ ერაყის ტერიტორია გახდა თურქეთ-სპარსული მტრობის არეალი. სეფევიდების ირანზე შეტევის მიზნით, ოსმალეთის სულთანმა გადაწყვიტა, გაეძლიერებინა ირანის საზღვრებთან ერაყში არსებული თურქული კონტინგენტი და ნება დართო 1702 წელს ქართული წარმოშობის ჰასან ფაშას Hassan Pasha და მის ვაჟს აჰმედ ფაშას Ahmed Pasha შეექმნათ ერაყში მამლუქთა ძალები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ქვეყნის თანამედროვე საზღვრები, ადმინისტრაცია და ეფექტიანად აკონტროლებდნენ მას ორი საუკუნის განმავლობაში პირველ მსოფლიო ომამდე.

ბაღდადის მმართველებმა ჰასან ფაშამ (1704-1723 წწ.) და მისმა ვაჟმა აჰმედ ფაშამ (1723-1747 წწ.) შექმნეს მამლუქების ელიტარული 2000-კაციანი

[1] 2012 წლის ექსჰუმაციამ დაადასტურა, რომ მისი უეცარი სიკვდილი 1993 წ. პრეზიდენტობის დროს მოწავლით აიხსნება და ბრალდება უშიშროების გენერალს წარუდგინეს, ვინაიდან ის აპირებდა ქურთული პრობლემის გადაჭრას ავტონომიის გაფართოების გზით.

ცხენოსანთა კორპუსი („ქართული გვარდია“) და ცხენოსანთა პოლკი „ლე-ვანდა“, რომელიც შედგებოდა იანიჩრებთან საბძოლველად გაწვრთნილი ერაყელებისგან. აჰმედის სიკვდილის შემდეგ სულთანი ეცადა, თავიდან აეცილებინა მამლუქთა დამოუკიდებლობა ერაყში და თავისი რწმუნებული გაგზავნა ბაღდადში.

აჰმედის სიძემ სულეიმან აბუ ლაილამ Sulaiman Abu Layla ბასრადან გაილაშქრა ბაღდადზე ქართული გვარდიის მეთაურობით და გააგდო ოსმალი ადმინისტრატორი. მისი წარმატებული ბრძოლის გამო სპარს ნადირ შაჰთან, არაბებთან და ქურთებთან პორტა იძულებული იყო, ეღიარებინა სულეიმან აბუ ლაილა (ითარგმნება როგორც ბნელეთის მეფე), როგორც ერაყის პირველი მამლუქი ფაშა (1749-62 წწ.).

შემდეგი კრიზისი მოხდა 1776 წელს ასევე ქართველი წარმოშობის ომარ ფაშას Omar Pasha (1762-76 წწ.) დროს, როდესაც ირანმა დაიპყრო ბასრა მამლუქების შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად. პორტამ იჩქარა ესარგებლა კრიზისით და ფაშა ჩაანაცვლა არამამლუქით, ვინც წესრიგის დამყარება ვერ შეძლო. მალე, 1779 წელს მამლუქებმა ირანს დაატოვებინეს ბარსა და სულეიმანი კვლავ დაბრუნდა ბაღდადსა და ბასრაში 1780 წელს. სულეიმან ფაშამ თავის ტიტულს დაუმატა ბუიუკ Büyük „დიდი“ და მართავდა ერაყს 1780-1802 წწ-ში. მან შემოიყვანა დიდი რაოდენობით ქართველები, რათა გაეძლიერებინა თავისი კლანი. წაახალისა ეკონომიკა და ვაჭრობა, დაამყარა დიპლომატიური კავშირი ევროპასთან. დართო ნება ინგლისის აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის მუდმივი წარმომადგენლობის დაარსებას ბაღდადში. ვიკიპედიის ცნობით, ქურთული ქალაქი სულეიმანია მის სახელს ატარებს.

სულეიმან ფაშა ჩაანაცვლა მისმა სიძემ ჰაფიზ (ალი) ფაშამ Hafiz (Ali) Pasha (1802-1807 წწ.), ასევე ქართველმა სამეგრელოდან, რომელიც დაიღუპა ბრძოლაში. შემდეგი მმართველი იყო ასევე ქართველი სულეიმან კუჩუკი (უმცროსი) Suleiman Kuchuk აფხაზეთიდან (1807-13 წწ.). ის ბრძოლაში ტყვედ აიყვანეს ირანელებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა მოჰამედ ალი-მირზა დავლათშაჰი Mohammad Ali Mirza Dowlatshah, ფეტ ალი შაჰის ვაჟი, რომელიც ქართველი მეუღლისგან Ziba Chehr Khanoum-ისგან ჰყავდა, მაგრამ ერზერუმისა და ბაღდადის ქართული წარმოშობის ფაშების მოთხოვნით, ის გაათავისუფლეს და დააბრუნეს უკან ერაყში.

სულეიმან კუჩუკის სიკვდილის შემდეგ, 1813 წელს თურქეთის სულ-თანმა მისადმი ლოიალური საიდ ფაშა Said Pasha (1813-16 წწ.) დანიშნა, დიდი სულეიმანის ვაჟი. მაგრამ იმავე სულეიმანის ენერგიულმა, სრული დამოუკიდებლობის მოყვარულმა სიძემ დაუდ ფაშამ Daud-Pasha (1816-31 წწ.) გააძევა საიდი, ბაღდადზე ხელისუფლება მომდევნო 20 წლით ხელში ჩაიგდო და გახდა ერაყის სულთანი და ბაღდადის ხალიფა. ოსმალთა მთავრობამ უხალისოდ აღიარა მისი უფლებამოსილება.

დაუდ ფაშა, რომელიც იყო ერაყის უკანასკნელი მამლუქი მმართველი, დაიბადა ქრისტიანულ ოჯახში, ქვემო ქართლში (საქართველო), მშობლები იყვნენ გიორგი და მარიამ მანველაშვილი-ბოჭოლაშვილი (თავად ორბელიანის ყმა). ის 5-6 წლის ასაკში მოიტაცეს და გაყიდეს მონად 13 წლის ასაკში. დაუდ ფაშამ შეუტია ირანს, თურქეთს, დაიბრუნა ქურთისტანი და განამტკიცა თანამედროვე ერაყის საზღვრები. შემდეგ მან ხელი მიჰყო მნიშვნელოვან მოდერნიზაციის პროგრამებს, რაც მოიცავდა არხების გაწმენდას, ინდუსტრიული წარმოების დამკვიდრებას, არმიის რეფორმას ევროპელი ინსტრუქტორების დახმარებით. მან გახსნა პირველი ფაბრიკები და აბანოები, პირველად დააარსა სტამბა, სადაც მან მიიწვია მბეჭდავები თბილისიდან. მისი პირადი დაცვა შედგებოდა შესანიშნავად გამოწყობილი 1000-კაციანი ქართული კავალერიისგან. 1749-1831 წწ-ში ერაყის ყველა ქალაქში ქართველი მმართველი იყო. ფრანგი მოგზაური ოშე-დუა წერდა, რომ დაუდ ფაშა გამოიყურებოდა უფრო მეტად ევროპელი მეფესავით, ვიდრე აზიელი შაჰივით. ის ძალზედ ბრძენი და ავტორიტეტიანი გახლდათ. მან დაწერა რამდენიმე წიგნი და მისი ფილოსოფიური წიგნები იმ დროს ძალზედ პროგრესული იყო, რასაც აღნიშნავდა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ლონგრიგი.

„ბაბილონის ღვთით კურთხეული მეფე, თქვენი ვაჟი დაუდ ფაშა, მოგმართავთ თქვენ, ჩემო დედა მარიამ, საუკეთესო სურვილებით და ღრმა სურვილით, რომ კიდევ ერთხელ გიხილოთ. გთხოვთ, მობრძანდით ჩემს მოსანახულებლად, თქვენი ვაჟი დაუდ ფაშა, ბაღდადის მეფე, 1821 წლის აგვისტო“, – წერდა დაუდ ფაშა თავის ქართველ დედას 1821 წელს. ის სთხოვდა რუსეთის მეფესა და ერმოლოვს, კავკასიის მეფისნაცვალს, გაეთავისუფლებინა მისი ოჯახი ორბელიანის ყმობიდან. თავადი ორბელიანი თავად ეწვია გლეხის ოჯახს, გაათავისუფლა და წერილიც გადასცა. შესაბამისად, ორი მისი ძმა, შიო და დიმიტრი, ეწვიენ მას ბაღდადში. დედამ მაინც უარი თქვა წასვლაზე და მალევე გარდაიცვალა კიდეც.

ერაყში ავტონომიის არსებობა აიძულებდა თურქეთის სულთანს 1830 წელს მიეღო გადაწყვეტილება დაუდ ფაშას გათავისუფლების შესახებ. მაგრამ ემისარი, ვინც წარმოადგინა ბრძანება ბაღდადში, დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს. 1831 წელს ოსმალთა არმიამ ლაზი ალი რიდა (რიზა) ფაშას Ali Rida (Riza) Pasha (1831-1842 წწ.) ხელმძღვანელობით გაილაშქრა ალეპოდან ერაყში. შავი ჭირისგან გაჩანაგებული ბაღდადი დანებდა სიმბოლური წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ. მას შემდეგ რაც რუსეთმა გააძლიერა კავკასიაში თავისი ადმინისტრაცია და აღკვეთა ახალგაზრდა მეომრების საზღვრის გადაკვეთა, მამლუქების რიგები მნიშვნელოვნად შესუსტდა. ბევრი კავკასიელი მიდიოდა სამხრეთით არა მარტო იძულებით, არამედ თავის გამოჩენის მიზნით. 1831 წლიდან ოსმალთა პირდაპირი მმართველობა დამყარდა ერაყში. იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა მშვიდობა და ძალაუფლება, ალი რიდამ, წარმოშობით კავკასიელმა, ბევრ მამლუქს დაუბრუნა თანამდებობა თავის მმართველობაში.

დანებებულ დაუდ ფაშას პატივი მიაგეს და დანიშნეს ბოსნიის და შემდეგ ანკარის მმართველად. ის დასაფლავებულია მექაში ცნობილ ხალიფებს შორის. ალი რიდა ფაშას შემდეგ ბაღდადის მმართველად ასევე ქართველი წარმოშობის მეჰმედ ნესიბ ფაშა დაინიშნა Mehmed Necib Pasha. მისი შვილი იყო თურქეთის დიდი ვეზირი.

ნაჯი შავკატი Naji Shawkat, ერაყის პრემიერ-მინისტრი 1932 წლიდან 1933 წლამდე, იყო ქართველ მამლუქთა ერთ-ერთი შთამომავალი. მეორე მსოფლიო ომის დროს შავკატი მსახურებდა როგორც იუსტიციის მინისტრი ერაყის გერმანოფილურ მთავრობაში. 1940 წლის ივლისში ის გაუშვეს საიდუმლო მისიაზე ანკარაში, რათა შეხვედროდა ფრანც ფონ პაპენს Franz von Papen, გერმანიის ელჩს თურქეთში, რომ მოლაპარაკებოდა სამხედრო დახმარების შესახებ გერმანიას, როცა მისი არმია მიაღწევდა ახლო აღმოსავლეთს. ამ შეხვედრის შედეგი, გერმანელების საწინააღმდეგოდ, იყო ბრიტანეთის მიერ ერაყში ჯარის შეყვანა 1941 წელს.

ქართველები ინდოეთში

დიდ მუგალის მუსლიმურ იმპერიასა (1526-1739 წწ.) და ინდუსების სახელმწიფოს შორის ომის დროს ორივე მხარე იყენებდა ქართველ დაქირავებულ მებრძოლებს.

არსებობს ქართული ლეგენდები, რომ მეფე ვახტანგ გორგასალი ლაშქრობდა ინდოეთის წინააღმდეგ და იქ ბევრი მებრძოლი დატოვა, ასევე ბევრი ქართველი იყო შაჰ აბასისა და ნადირ შაჰის ჯარებში. ათასობით ქართველი მებრძოლი გადაასახლა თემურლენგმა ინდოეთში, ავღანეთსა და პაკისტანში. ქართველი მწერლების მიხედვით, უცხოელი მოგზაურის ზოგ მოხსენებაში არის დაკვირვებები, რომ მათ შეხვდათ სოფლები, სადაც ადამიანები ქართულად საუბრობდნენ. ინდოეთის შტატი გუჯარათი Gujarat დასახლებული იყო 100 000 ადამიანით გუჯარათის ტომებიდან. საქართველოში არის მდინარე გუჯარათი, მდელო და ქალაქი გუჯარათი.

ისლამურ ენციკლოპედიაში აღნიშნულია გუჯარი (გურჯარი, გურგარი, გურჯი) Gujar (Gurjar, Gurgar, Gurj), როგორც ენერგიული და მამაცი საზოგადოება, რომელთაც გაანადგურეს ბევრი ერი და იმპერია, და ვისი სიმბოლოც იყო მგელი, ადგილობრივი გურჯი. გუჯარები დაუნდობელი მებრძოლები იყვნენ, რომელთაც უარი თქვეს ქედი მოეხარათ უცხოელი, ცენტრალურ აზიის დამპყრობლების წინაშე. ისლამური იდეოლოგია გვკარნახობს, რომ ყველა კაცი თანაბარი იყო, მაგრამ არის გამონაკლისი გუჯარების სახით. გუჯარის კლანი გამოჩნდა უძველეს ჩრდილოეთ ინდოეთში მე-5-6 საუკუნეში. რამაიანაში Ramayana აღწერილია, რომ ომი გაჩაღდა დემონებსა და ღმერთებს შორის და გუჯარებიც იბრძოდნენ დემონების წინააღმდეგ. მაჰაბჰარათას Mahabharata ომში ისინი იბრძოდნენ ღმერთ კრიშნასთან ერთად გუჯარათში. ისტორიულად, გუჯარები იყვნენ მზის თაყვანისმცემლები.

ზოგ დასავლელ ავტორს და გუჯარებს სწამთ, რომ გუჯარის კასტა დაკავშირებულია ჩეჩნებთან და ქართველებთან. ისინი ამტკიცებენ, რომ საქართველოს ტრადიციულად უწოდებენ გუჯარისტანს (გურჯისტანს, გორჯესტანს) Gujaristan (Gurjistan, Gorjestan) და ქართველები ნამდვილი გუჯარები არიან. მე-20 საუკუნის ავტორები ვარაუდობენ, რომ ათასობით წლის წინ ეს საზოგადოება საქართველოდან გადასახლდა ინდოეთში ავღანეთის გავლით. ინდოეთის ანთროპოლოგიური მკვლევრები ადასტურებენ ამ თეორიას. მაგრამ მხოლოდ შარშან ამოიღეს ვიკიპედიიდან გუჯარების საქართველოდან წარმოშობის თეორია, ვინაიდან ვიკიპედიის „გუჯარის“ სადიკუსიო გვერდზე აღნიშნულია, რომ ამ თემაზე არ არის პუბლიკაციები. სიქხების უმეტესობა მოდის გუჯართა კასტიდან. გუჯარები დღეს მნიშვნელოვანი კასტაა პაკისტანში, ჯამუსა და ქაშმირში, პენჯაბში. დღეისათვის მათი საერთო რაოდენობა აღწევს 30 მილიონს პაკისტანსა და ინდოეთში. ყველა გუჯარი პოლიტიკოსი ამაყობს, რომ არის გუჯარი. გუჯარები ქორწინდებიან მხოლოდ გუჯარებზე. 2014 წლის მაისში ინდოეთის პრემიერ-მინისტრად აირჩიეს გუჯარათის შტატის მთავარი მინისტრი ნარენდრა მოდი Narendra Modi, ჰინდუ გუჯარი ნაციონალისტი, ანტიგლობალისტი და ანტიმუსლიმანი.

გაზეთ „ტრიბუნაში“ (ჯამუ და კაშმირი) გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, ეროვნული სემინარი „გუჯარების ჯამუში და ქაშმირში ეთნო-კულტურული მემკვიდრეობა: გუჯარები საქართველოდან“ გაიმართა 1999 წლის 13 მაისს. დ.რ. ხათანამ R.P. Khatana განაცხადა, რომ გუჯარები მოვიდნენ საქართველოდან. მან გამოაქვეყნა გუჯარების მიგრაციის გზის რუკა, რომელიც იწყება საქართველოდან ჰიმალაიმდე. პროფესორი ხათანა ამბობს, რომ გუჯარები, სადაც არ უნდა წასულიყვნენ, ყველა ადგილს თავის სახელს არქმევდნენ. ცენტრალურ აზიაში არის ადგილები გურჯარნის, გუჯარი პილი, გუჯრეთი, ირანში არის ჯურჯა, ჯურჯარი, გურჯური და ჯუსური (ჯურ არის გურჯების არაბული სახელწოდება), სამარყანდში არის ჩაფაკ გუჯარი და ჩუსაკ გუჯარი, ადგილები გუჯარ-ი-პამი, გუჯარ-ი-დამი, გურჯისტანი და გუჯარ-ი-ჰისარი არსებობს ავღანეთში, სადაც არის მდინარე გუჯარი ბალაუჩისთანში. აგრეთვე პაკისტანში გუჯარათი, გუჯარ ხანი, გუჯარანვალა და სხვ. დაერქვა მხოლოდ გუჯარების შემდეგ. მსგავსი თვალსაზრისი წარმოადგინა პროფესორმა დევენდერ კაუშიკმა Devender Kaushik (აზიური სწავლებების მაულანა ასადის ინსტიტუტი Maulana Asad Institute), რომელიც ასევე მიმართული იყო გუჯარების წარმოშობაზე შავი და კასპიის ზღვისა და კავკასიის მთებს შორის ტერიტორიიდან.

მეჰერაფროზე მირზა ჰაბიბი Meherafroze Mirza Habib მოგვითხრობს ამბავს ახალგაზრდა ბიჭზე (ქართული საგა: კავკასიიდან ინდუსამდე, AGeorgian Saga: From the Caucasus to the Indus“ ოქსფორდი, 2005 წ.). როდესაც თბილისი აიღო აღა მაჰმად ხანმა 1795 წელს, ორი ახალგაზრდა ბიჭი (ერთი მალე დაიღუპა ციებ-ცხელებით) იპოვეს ქართველი მეფის სასახლეში დაღუპულებთან ერთად

და წაიყვანეს სპარსეთის არმიის მეთაურის კარავში. იგი შემბრალებელი ადამიანი იყო, შეწუხდა ბავშვებზე და ბრძანა მათი დაცვა. გადარჩენილი ბიჭი მან წაიყვანა ოჯახში და შესაბამისად ექცეოდნენ, ასწავლიდნენ სპარსულ ენას. 20 წლის ასაკში, შაჰის ბრძანებით, ის გაგზავნეს ინდოეთის სინდის მირთან Mir of Sindh (ახლა პაკისტანი) ჰაიდერაბათში, რომელსაც არ ჰყავდა საკუთარი შვილები და ეძებდა კეთილშობილი წარმოშობის ბავშვს ასაყვანად. ის დიდი პატივისცემით შეხვდა და ეპყრობოდა, როგორც საკუთარ ვაჟს. ხოსრო მირზა ბეგის Mirza Khusro Beg სახელით იგი შეძენილი მამის, სინდის მმართველის, თანაშემწე გახდა 1811 წელს. მან მოახერხა ბრიტანეთის დახმარებით თავიდან აეცილებინა ომი მეზობელ პენჯაბის რაჯასთან და ის პატივისცემით მიიღეს ვიზიტით ბომბეიში 21 ზარბაზნის გასროლით. ბრიტანეთმა გაუგზავნა გემი მირზა ხანს მოგზაურობისათვის კარაჩიდან ბომბეიში. მას მიმოწერა ჰქონდა ქართული წარმოშობის ეგვიპტის ფაშასთან.

მისი შვილიშვილი ქართველი სიძისგან მირზა კალიჩ ბეგი Mirza Kalich Beg, მირზა ფარიდუნ ბეგისგან Mirza Faridun Beg, არის სახელგანთქმული სწავლული, რომელსაც პატივს სცემდნენ დამსახურებისთვის სინდის Sindhi ლიტერატურაში. ის არის სინდში 400 წიგნზე მეტის ავტორი. ის ასევე მონაწილეობას იღებდა თეოსოფიური საზოგადოების მუშაობაში.

საინტერესოა, რომ მე-18 საუკუნის განმავლობაში, ერეკლე II-ს ჰქონდა ინტენსიური მიმოწერა სომეხ ბურჟუაზიასთან ინდოეთში იმ მიზნით, რომ დაეარსებინა ქართულ-ინდური პოლიტიკური გაერთიანება და გადაერჩინა ბაგრატიონთა მმართველი დინასტია, მაგრამ ამაოდ. მოგვიანებით სომხებმა ინდოეთიდან შესთავაზეს 2 მილიარდი რუპია რუსეთის მეფე ნიკოლოზ I-ს, იმ მიზნით, რომ დაეარსებინა სომხეთის სამეფო ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე, მაგრამ იმ დროს (როდესაც ალასკას გაყიდვა მიიჩნიეს შეცდომად) რუსეთმა უარი თქვა. ამასთან, ნავთობით მდიდარი მოსულის პროვინცია ათათურქმა გადასცა ინგლისის ერაყს, რადგან მან არაფერი იცოდა ამ სიმდიდრის შესახებ.

კავკასიელები აზიაში

სტატიაში „The Caucasian Borderland“ (The Geographical Journal, Vol. 99,No. 5/6. (1942), pp. 225-237) ვ.ე.დ. ალენი W.E.D. Allen წერდა: „კავკასიის რასობრივი ელემენტები შუა აღმოსავლეთში: ქართველებს და სომხებს, დაღესტნისა და ჩერქეზების ტომებს ჰქონდათ ფართო გავრცელება შუა აღმოსავლეთის მიმართულებით. მოგვიანებით რომის იმპერია ახდენდა ძლიერ გავლენას სომხეთზე და უფრო ნაკლებად საქართველოზე. რამდენიმე სომეხი იმპერატორი მეფობდა ბიზანტიაში: იზაურიანები და ჯონ ზიმისკესი Isaurians and John Zimiskes. ქართული კლანები (ფოკასი Phocas და სხვა) ძირითადად იყვნენ ბიზანტიის არმიის სამხედრო ლიდერები. მაკედონიის იმპერატორთა

არმიები, განსაკუთრებით სომხეთის თემებიდან იყვნენ გაწვეულნი. სომხების დევნა ანატოლიაში იწვევდა რამდენიმე ასობით ათასი სომეხის გადანაცვლებას ბალკანეთზე. როდესაც მონღოლებმა დაამყარეს ჰეგემონია მცირე აზიასა და კავკასიაში ქართველები და სომხები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, როგორც დაქირავებული მებრძოლები. ქართველთა დიდი კონტინგენტი იბრძოდა მონღოლების მეთაურობით ბაღდადში, ალა-მუტში ასასინების წინააღმდეგ, და მამლუქებთან აინ ჯალუტში; ქართველი უფლისწული მეთაურობდა სელჩუკთა არმიას“.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კავკასიელი გადასახლდა აზიაში რუსეთის ცარიზმის იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგად გენოციდის შემდეგ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანელი აგენტის ტ. ე. ლოურენსის T. E. Lawrence მიერ ტრანს-იორდანიაში შექმნილ არაბულ ლეგიონში შედიოდა ჩეჩნებისა და ჩერქეზების მნიშვნელოვანი კონტინგენტი. ამანის Amman თანამედროვე დედაქალაქი შეიქმნა მას შემდეგ, რაც იქ ჩერქეზები დასახლდნენ 1887 წელს. ეთნიკურად ჩეჩენი იორდანიელები იყვნენ მინისტრები დუდაევის იჩქერიის მთავრობაში და ჩერქეზები დღემდე მსახურობენ, როგორც იორდანიის მეფის პირადი დაცვა. ადიღეებს ეკავათ მთავარი როლი იორდანიის სამეფოს ისტორიაში. წლების მანძილზე რამდენიმე ადიღელი მსახურობდა ამ სამეფოს წამყვან თანამდებობებზე. ისინი მსახურობდნენ, როგორც პრემიერ-მინისტრები, სამხედრო მაღალი ჩინის ოფიცრები, სხვა. მათი მნიშვნელოვანი როლის გამო იორდანიის ისტორიაში, ადიღელები შეადგენენ იორდანიის ჰაშემიტების Hashemites სამეფო დაცვის საპატიო გვარდიას.

ქართველები იმყოფებოდნენ ტუნისში, ლიბიასა და ალჟირის სამეფო ოჯახებში. ცნობილია, რომ 200-300 მამლუქი ცხოვრობდა ტუნისში. ქართველი ქალი მაჰბუბა Mahbuba იყო ტუნისელი ფაშას ალი იბნ ჰუსეინის Ali II ibn Hussein მეუღლე (1759-1782 წწ.). მათი ორი ვაჟი ჰამუდა იბნ ალი Hammuda ibn Ali (1782-1814) და უტმანი Uthman ibn Ali (1814), მოგვიანებით გახდნენ ტუნისელი მმართველები. ბრიტანელი მოგზაური მაკ გილი Mac Gill წერდა 1807 წელს, რომ ჰამუდა ბეის მმართველი კლასი შედგებოდა თეთრკანიანი ქართველი მამლუქებისგან.

ჩერქეზული კავალერია ხვდება ფრანგულ კავალერიას დამასკოს სადგურთან, 1941 წლის 26 ივნისი

ცნობილი იყო აფხაზური წარმოშობის ჰეირედინ ფაშა Hayreddin Pasha, ტუნისის დიდი ვეზირი 1873-77 წლებში და შემდეგ თურქეთის

დიდი ვეზირი 1878-9 წლებში. მისი წარმატების შესახებ ფართოდ წერდნენ პეტერბურგსა და საქართველოში, თუმცა აღიარებდნენ, რომ, როგორც რუსეთის რეპრესიების მსხვერპლი, იგი არ ატარებდა რუსოფილურ პოლიტიკას.

1791-1799 წლებში ალჟირის ფაშა იყო ქართველი ბაბა ჰასანი Baba Hassan Ben Usuf Ahiskal, მესხეთელი კაცი ახალციხიდან. იგი ალჟირში გადაიყვანეს ადრეულ წლებში და მიიღო ისლამი. 1770 წელს ის ხელმძღვანელობდა ალჟირის შავი ზღვის ფლოტს რუსეთ-თურქეთის ომის დროს. იგი დანიშნეს საზღვაო მინისტრად ალჟირში, მოგვიანებით, იანიჩრების მხარდაჭერით, მან მოიპოვა პრემიერ-მინისტრის პოსტი 1791 წელს და გახდა ფაშა. ალჟირელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ერთ-ერთი ამერიკელი, ჯეიმს კასკარტი James Cascart, გახდა ჰასანის მდივანი. მას კარნახობდა წერილებს ჰასანი შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონისთვის, სადაც აღწერილია ამერიკელი ტყვეების გათავისუფლებას პირობები და მათი ასლი დღემდე ინახება აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში. ის ემხრობოდა ახლად გათავისუფლებულ ქვეყანას, შეერთებულ შტატებს ბრიტანეთის სამეფოსთან ბრძოლის დროს. ამერიკელებმა ალჟირელ ფაშას ხომალდი უბოძეს სახელად „ჰასან ფაშა“. მისი ხელმოწერა დაფიქსირებულია აშშ-ტრიპოლის სამშვიდობო შეთანხმებაზე.

კიდევ ერთი ქართველი იყო ალჟირის ფაშა – ალი ბენ აჰმედი Ali Ben Ahmed (Ali Khodja, Meguer Ali, Megrelian Ali) (1817-18 წწ.) სამეგრელოდან. სხვების მსგავსად, მან მოკლა წინა ფაშა და თვითონ გახდა ფაშა. ამერიკელი კონსული უწოდებს მას „კარგად განათლებულ და ნაკითხ ადამიანს“, მაგრამ ტირან მმართველს. ერთ დღეს, შეთქმულების შიშით, მან სიკვდილით დასაჯა 1500 მცველი ჯარისკაცი.

ცნობილი ქართველები

იოსებ სტალინი Joseph Stalin (გარდ. 1953 წელს), კომუნისტური საბჭოთა კავშირის ბელადი.

ლავრენტი ბერია Lavrentiy Beria (გარდ. 1953 წელს), NKVD (თანამედროვე KGB-FSB) უფროსი. მეორე მსოფლიო ომის დროს ის იყო საბჭოთა კავშირის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის უფროსი. მან მოიპოვა ატომური ბომბის და რაკეტების საიდუმლო პროექტები. სტალინის სიკვდილის შემდეგ პირველობა რუს მალენკოვს დაუთმო, რომელმაც მყისიერად, დაუფიქრებლად უღალატა, და ის დახვრიტეს 1953 წელს.

დიმიტრი ამილახვარი Dimitri Amilakhvari (1906-1942 წწ.) იყო საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ქართველი ოფიცერი, მეორე მსოფლიო ომის გმირი. 1926 წელს მან დაამთავრა École Spéciale Militaire de Saint-Cyr და მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა ჩრდილოეთ აფრიკაში. 1941 წელს დიმიტრი ამილახვარმა მონაწილეობა მიიღო ბრიტანეთისა და თავისუფალი საფრანგეთის კამპანიაში ერიტრეაში (იტალიის წინააღმდეგ) და სირიაში (ვიშისტური საფრანგეთის წინააღმდეგ). მისმა ლეგიონერებმა აიღეს დამასკო. ამილახვარი დაეცა ელ ალამეინის მეორე ბრძოლაში 1942 წელს. 1955 წელს ამილახვარი დაჯილდოვდა საფრანგეთის საპატიო ლეგიონის უმაღლესი ორდენით. გენერალმა შარლ დე გოლმა მას და მის ლეგიონერებს შეარქვა „საფრანგეთის ღირსება“. საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო აკადემიის ერთ-ერთი გამოშვება მის სახელს ატარებს. როგორც დე გოლმა უთხრა სტალინს, ამილახვარი იყო მისი მეგობარი, როდესაც Saint-Cyr-ში სწავლობდნენ.



ჯონ მალხაზ შალიკაშვილი John Malchase Shalikashvili (დაიბადა 1936 წელს), ოთხვარსკვლავიანი აშშ-ის გენერალი (მისი ძმაც ასევე არის ოთხვარსკვლავიანი აშშ-ის გენერალი), გაერთიანებული შტაბის თავმჯდომარე 1993 წლიდან 1997 წლამდე. მისი მამა იყო დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოფიცერი

და საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის დროს, 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში პოლონეთში, სადაც დაიბადა ჯონი და მისი ძმა. ჯონის მამა იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონეთის ჯარის რიგებში და ქართულ ლეგიონში მაღლაკელიძეს მეთაურობით. ომის დასასრულს ოჯახი გაექცა რუსეთის ჯარს და მოკავშირეებს ჩაბარდა. 1952 წელს, როდესაც იგი 16 წლის იყო, ოჯახი ემიგრაციაში წავიდა აშშ-ში. ჯონმა გაიხსენა, რომ ის „სწავლობდა ინგლისურს ჯონ ვეინის ფილმების ყურებით“. მან დაიწყო აშშ-ის არმიაში სამსახური, როგორც ჯარისკაცი და მიაღწია უმაღლეს წოდებას, შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის თავმჯდომარეობას.



ედუარდ შევარდნაძე Eduard Shevardnadze (1928-2014 წწ.) საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და პოლიტბიუროს წევრი. მოსკოვში პუტჩის შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში, როგორც საქართველოს მეორე პრეზიდენტი 1995-2003 წწ. პირველი პრეზიდენტის გამსახურდიას შემდეგ ვარდების რევოლუციამდე, როდესაც მესამე პრეზიდენტი გახდა მიხეილ სააკაშვილი. გერმანიის მთავრობამ მას შესთავაზა პოლიტიკური თავშესაფარი გერმანიაში, სადაც აფასებდნენ 1990 წელს გერმანიის გაერთიანებაში მისი ღვაწლის გამო, მაგრამ მან არჩია თბილისში ცხოვრება.

გიორგი კვინიტაძე (ჩიქოვანი) Giorgi Kvinitadze (Chikovani) (1874-1970 წწ.) იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი გენერალი. 1884 წელს ის შევიდა თბილისის კადეტთა კორპუსში და შემდეგ განაგრძო სწავლა პეტერბურგში. ის იბრძოდა რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905 წწ.). დაამთავრა რუსეთის გენერალური შტაბის აკადემია 1910 წელს. დამოუკიდებლობის შემდეგ სომხეთთან 1918 წლის დეკემბერში მცირე სასაზღვრო კონფლიქტის დროს, ის მსახურობდა შტაბის უფროსად. 1919 წელს უძღვებოდა საქართველოს დივიზიას, რომელმაც აღკვეთა პანთურქული აჯანყება ახალციხის პროვინციაში და აიღო თურქების მიერ ოკუპირებული ართვინი. 1921 წელს საბჭოთა ჯარის შემოსვლის დროს, ის დაინიშნა ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად, მაგრამ დამარცხების შემდეგ, 1921 წლის მარტში ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, სადაც ის გარდაიცვალა და დაკრძალეს ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

მისი ქალიშვილი მისთხოვდა ჰოლანდიელ დ’აბოს და ისინი არიან მარიამ დ’აბოს Maryam d’Abo მშობლები, მსახიობის, რომელიც 1987 წელს თამაშობდა ჯეიმს ბონდის ფილმში „The Living Daylights“.

გიორგი მაზნიაშვილი Giorgi Mazniashvili (1872-1937 წწ.), დამოუკიდებელი რესპუბლიკის გენერალი (1918-1921 წწ.). როგორც რუსეთის არმიის გენერალი, იგი დაიჭრა რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905 წწ.) და მას ჰოსპიტალში ეწვია მეფე ნიკოლოზ II. მეფის უფროსი ქალიშვილები, ოლია და ტანია, პირადად უვლიდნენ მას საავადმყოფოში. ის შეამკეს წმ. გიორგის უმაღლესი ორდენით პირადად მეფე ნიკოლოზ II-მ და პატივისცემის ნიშნად მიიწვია ზამთრის სასახლეში პეტერბურგში პირად სადილზე მის მეუღლე სოფია კარაევასთან და ქალიშვილ ანასთან ერთად. იგი საქართველოში დაბრუნდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. სულ დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნდა 10 000 ოფიცერი, 25 გენერალი და 23 წმ. გიორგის ორდენის კავალერი. მაზნიაშვილმა ჩამოაყალიბა ნაციონალური დივიზია და 1918 წლის აპრილში წარმატებით დაიცვა საქართველოს პროვინცია გურია ოსმალთა აგრესიისგან, მოიგო ბრძოლა მდინარე ჩოლოხთან. 1918 წლის ივნისში ის მსახურობდა, როგორც აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი და ჩაახშო პრობოლშევიკური აჯანყება; შემდეგ მან აიღო გაგრა, სოჭი და ტუაფსე სოჭის კონფლიქტის დროს. საქართველო-სომხეთის ხანმოკლე ომის დროს, 1918 წელს ის აირჩიეს მთავარსარდლად და წარმატებით დაიცვა საქართველოს საზღვრები გენერალ დროს ჯარებისგან, რომელიც მოგვიანებით გახდა ვერმახტის სომხური ლეგიონის მეთაური. 1919 წელს ის მსახურებდა, როგორც ახალციხის, ახალქალაქისა და თბილისის გენერალ-გუბერნატორი. 1921 წელს მან მოიგერია წითელი არმია თბილისის გარეუბნებიდან, მაგრამ ომი მაინც წაგებული იყო. მაზნიაშვილი არ გაჰყვა ქვეყნის ლიდერებს ემიგრაციაში და ბოლშევიკების ლიდერის სერგო ორჯონიკიძის მოთხოვნით, შეკრიბა საქართველოს შეიარაღებული ძალების დარჩენილი ნაწილი, რათა დაებრუნებინათ შავი ზღვის ქალაქი ბათუმი თურქეთის ოკუპაციისგან 1921 წლის მარტში. საბჭოთა ხელისუფლებამ მას შესთავაზა პოსტი წითელ არმიაში, მაგრამ 1923 წელს, წითელი ტერორის დროს, იგი დააპატიმრეს და გაასახლეს სპარსეთში, საიდანაც გადავიდა საფრანგეთში. პარიზის რესტორანში იგი შეხვდა თურქ გენერალ კიარიმ ფაშას, რომელიც მან დაამარცხა ბათუმში და იქ სერიოზული ინციდენტიც მოხდა. ზოგი მწერალი მიიჩნევს, თუმცა, როგორც ჩანს, უსამართლოდ, რომ სწორედ ის იყო, რომელმაც ამცნო საბჭოელებს საქართველოს ნაციონალური აჯანყების შესახებ 1924 წელს. რამდენიმე წელში მას კომუნისტებმა ნება დართეს, დაბრუნებულიყო და ცხოვრობდა მშობლიურ სოფელ სასირეთში, პოლიტიკისგან შორს. დიდი წმენდის პერიოდში იგი მაინც დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს გამოძიების გარეშე 1937 წელს ვაჟთან ერთად.

შალვა მაღლაკელიძე Shalva Maglakelidze (1893-1970 წწ.), გერმანული ვერმახტის ქართული ლეგიონის უფროსი. მან ბერლინის უნივერსიტეტის

იუსტიციის ფაკულტეტი PhD ხარისხით დაამთავრა და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში დაიწო მუშაობა მაღალ თანამდებობაზე 1918-1921 წწ-ში. 1919-1920 წწ-ში ის იყო თბილისის გუბერნატორი. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, 1921 წელს მაღლაკელიძე იძულებული იყო დაეტოვებინა ქვეყანა. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი ხელმძღვანელობდა „თეთრ გიორგის" (ქართულ ლეგიონს) ვერმახტში, რომელიც ჩამოაყალიბეს ქართველმა პატრიოტებმა, რათა ებრძოლათ საბჭოთა კავშირთან და აღედგინათ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა. მისი მეუღლე ბალტიელი გერმანელი იყო და მისი ძმის მეშვეობით მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა ნაცისტ იდეოლოგებთან (ალფრედ როზენბერგთან Alfred Rosenberg და სხვებთან). 1944 წელს მაღლაკელიძეს მიანიჭეს ვერმახტის გენერლის წოდება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949-1954 წწ-ში ის ცხოვრობდა და მუშაობდა დასავლეთ გერმანიაში და იყო კანცლერ კონრად ადენაუერის Konrad Adenauer სამხედრო მრჩეველი. 1954 წელს მაღლაკელიძე გაიტაცეს საბჭოთა KGB-ს აგენტებმა. მან ბოლო წლები გაატარა ქალაქ რუსთავში, საბჭოთა საქართველოში და გარდაიცვალა 1970 წელს 77 წლის ასაკში.

გიორგი გურჯიევი George Gurdjiev (1866-1949 წწ.) იყო ქართველ-ბერძენ-სომეხი მისტიკოსი და ოკულტისტი მწერალი, „ეზოთერული ქრისტიანობის" დამფუძნებული. მან იმოგზაურა მსოფლიოს ბევრ ადგილას, როგორიცაა ცენტრალური აზია, ეგვიპტე, ტიბეტი, რომი, და დაიწყო თავისი სწავლების გავრცელება მოსკოვსა და პეტერბურგში 1913 წელს, საქართველოსა და თურქეთში 1918-1920 წლებში, ბერლინსა და ლონდონში 1921 წელს. 1919 წელს მან სკოლა დააარსა თბილისში, დამოუკიდებელ საქართველოში, და ოკუპაციის შემდეგ,1922 წლიდან ეს საქმე პარიზში განაგრძო, სადაც ჩამოყალიბდა ადამიანის ჰარმონული განვითარების ინსტიტუტი. გურჯიევი არ აღიარებდა ნაციების არსებობას. ელენა ბლავაცკაიასთან ერთად Helena Blavatsky მან შექმნა თეოსოფია და მეოთხე გზა.

საინტერესოა, რომ ის სწავლობდა მართლმადიდებლურ სემინარიაში სტალინთან ერთად და ისინი შემდგომ მუდმივად ინარჩუნებდნენ კავშირს ერთმანეთში. ლუბა გურჯიევა თავის წიგნში წერდა, რომ იოსებ სტალინი მათ სახლში ცხოვრობდა 1894-1899 წწ-ში. თავის მხრივ, გურჯიევი რამდენჯერმე

ეწვია სტალინს კრემლში. ამავე დროს, გურჯიევს ჰქონდა სულიერი გავლენა ჰიტლერის პირად ექიმზე თეოდორ მორელზე Theodor Morell, რომელმაც გურჯიევის მხარდაჭერით სცადა ორგანიზება გაეკეთებინა ჰიტლერის ვიზტისთვის ტიბეტში დალაი ლამასთან, რომელიც იყო გურჯიევის მეგობარი. მორელი ჰიტლერს ბოლო დღემდე აძლევდა აბებს, რომელიც მას ჰიტლერისთვის დალაი ლამა აგზავნიდა გურჯიევის ტიბეტში რეგულარული ვიზიტების მეშვეობით. გურჯიევის ჰიტლერთან უთანხმოების ძირითადი მიზეზი იყო, ნაცისტური სიმბოლო სვასტიკა მარცხნივბრუნვადი თუ მარჯვნივბრუნვადი უნდა ყოფილიყო. არიანული თეორიის დამაარსებელი, ჰაუსჰოფერი Haushofer, იყო გურჯიევის მეგობარი და მათ ერთად ბევრი იმოგზაურეს ტიბეტსა და ავღანეთში. მათ რეგულარული კავშირი ჰქონდათ ტიბეტთან და ასობით მკვდარი ტიბეტელი იყო ნაპოვნი რუსი ჯარისკაცების მიერ ჰიტლერის ბუნკერში.

ალექსანდრე ნიკურაძე Alexander Nikuradze (1900-1981 წწ.), რომელიც ცნობილია ფსევდონიმით ალ. სანდერსი Al. Sanders, იყო ფიზიკოსი და გეოპოლიტიკოსი და საქართველოს მთავრობამ გაგზავნა, რათა დაემთავრებინა სწავლა ბერლინში, სადაც ის გახდა გერმანიის მოქალაქე 1921 წელს, საქართველოს საბჭოური ოკუპაციის შემდეგ. იყო საბჭოთა მმართველობის მკაცრი მოწინააღმდეგე და აქტიურად ჩართული ქართველი ემიგრანტების საქმიანობაში, ჰქონდა ახლო კავშირი ნაცისტებთან და გახდა ნაცისტური პარტიის ევროპის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. ის მეგობრობდა ალფრედ როზენბერგთან Alfred Rosenberg, ოკუპირებული აღმოსავლური ტერიტორიების რეიხსკომისართან Reichskommissar, რომლის ხედვაც ომისშემდგომი კავკასიის შესახებ დიდწილად ჩამოყალიბდა ნიკურაძის ზეგავლენით. ის ასევე გახლდათ არნო შიკენდაზის Arno Schickedanz, იმავე სამინისტროს კავკასიის კომისარიატის უფროსის Reichskommissariat Kaukasus, მეგობარი. მანდვე ქართული კომისარიატის Generalkommissariat Georgien უფროსი იყო გიორგი მაღალოვი (მაღალაშვილი) George Magalov (Magalashvili).

ნაცისტური დოქტრინის მიხედვით, კავკასია ქართველების მიერ უნდა ყოფილიყო მართული თბილისიდან გერმანელების მინიმალური ჩარევით. ნიკურაძე მუშაობდა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ კავკასიის კონფედერაციის შექმნის ამბიციურ პროექტზე, რომელშიც ქართველებს უნდა ეთამაშათ მთავარი როლი. მეორე მსოფლიო ომის დროს ის იყენებდა თავის პრესტიჟსა და გავლენას, რათა გადაერჩინა ბევრი ქართველი ნაცისტების რეპრესიებისგან. როგორც ფიზიკოსი, ის უმთავრესად დაკავებული იყო გამოყენებითი ფიზიკით; პრაქტიკულად, მან გამოიკვლია დიელქტრიკული მასალები და ელექტრონებისა და იონების თეორია. ის მიუნხენში გარდაიცვალა 1981 წელს.

მიხეილ ახმეტელი Mikheil Akhmeteli (1895-1963 წწ.) დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დაფინანსებით სასწავლებლად იენის უნივერსიტეტში გაემგზავრა და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სამშობლოში ვერ დაბრუნდა. ფსევდონიმით კონსტანტინე მიხაელი ითვლებოდა საბჭოთა ეკონომიკის ექსპერტად. იგი ნაცისტური პარტიის NSDRP-ს ძალძე იშვიათი არაგერმანელი წევრი იყო და მეგობრობდა ალფრედ როზენბერგთან. ნაცისტების დროს მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების SS-ის ვანზეის კვლევითი ინსტიტუტის Wannsee Institute დირექტორად, რომელიც ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიის გელენის უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში შევიდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ის იყო ბერლინში ქართული ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ახმეტელმა გადაინაცვლა მიუნხენში, სადაც დაეხმარა დაარსებულიყო აღმოსავლეთ ევროპის და საბჭოთა კავშირის სწავლების ინსტიტუტი და მუშაობდა, როგორც პროფესორი, ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტში, მიუნხენში.

მარშალი გელოვანი Marshal Gelovani (1915-78 წწ.), საბჭოთა კავშირის სტრატეგიული სარაკეტო იარაღის ქვედანაყოფის დამფუძნებელი და უფროსი 1962 წლიდან. 1974 წლიდან ის საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეა კონსტრუქციების დარგში.

ალექსანდრე ნადირაძე Alexander Nadiradze (1914-1987 წწ.). დაიბადა გორში, დაამთავრა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი 1940 წელს. მეორე მსოფლიო ომის დროს მან მონაწილეობა მიიღო „კატიუშას“ სარაკეტო სისტემის შექმნაში. იყო „SS-20 საბერი Saber“-ს რაკეტების კონსტრუქტორი (პიონერი, ტოპოლი, სხვა), რის საწინააღმდგოდაც ნატომ განათავსა პერშინგ II-ის Pershing რაკეტები დასავლეთ ევროპაში 1979 წელს. 1961-1987 წლებიდან იყო დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპეციალურ საწარმოო ინსტიტუტში. იგი იყო საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი და ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

გალაქტიონ ალფაიძე Galaktion Alpaidze (1916-2006 წწ.), გენერალ-ლეიტენანტი. მონაწილეობდა კუბაზე 1962 წელს სარაკეტო კრიზისში. მისი ხელმძღვანელობით აშენდა პლესეტსკის კოსმოდრომი Plesetsk Cosmodrome, მსოფლიოში ყველაზე ხშირი გაშვებით. ამ პოლიგონზე იყო განლაგებული პირველი რეაგირების და პრევენციული დარტყმის რაკეტები და ისინი მუდმივ მზადყოფნაში იყო. შესაბამისი ბრძანების მიღების შემთხვევაში, ალფაიძე ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყო, დაეწყო ატომური ომი. 1963-1975 წლებში

გენერალი ალფაიძე ხელმძღვანელობდა 700 სარაკეტო დანადგარის და კოსმოსური ხომალდის გაშვებას.

ალექსანდრე ქართველი-ქართველიშვილი Alexander Kartveli (1896-1974 წწ.), ავიაკონსტრუქტორი და შეერთებული შტატების ავიაციის პიონერი. მან დაამთავრა თბილისის გიმნაზია 1914 წელს, 1922 წელს კი – პარიზის უმაღლესი საავიაციო სკოლა. 1922-1927 წწ-ში ის მუშაობდა ლუის ბლერიოტის Louis Bleriot კომპანიაში და შექმნა თვითმფრინავები „ბერნარი Bernard“ და „ფერბუა „Ferbois“. 1924 წელს მისმა ხომალდმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა სისწრაფეში. 1931 წელს ის გახდა სევერსკის Seversky საავიაციო კორპორაციის მთავარი ინჟინერი („რესპუბლიკური საავიაციო კომპანია“). ქართველმა და სევერსკიმ შექმნეს თვითმფრინავების სერია მეორე მსოფლიო ომის დროს (რესპუბლიკა Republic P-47) და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქართველმა შექმნა მთავარი USAF საჰაერო ხომალდი, როგორიცაა Republic F-84 თანდერჯეტი Thunderjet და Republic F-105 თანდერჩიფი Thunderchief.

P-47

F-105

გრეგორ მიხეილი, დაბადებით გრიგორაშვილი Michael Gregor-Grigorashvili (1888-1953 წწ.) იყო ქართველი ავიოკონსტრუქტორი, ერთ-ერთი პიონერი ავიატორი რუსეთის იმპერიაში, შეერთებულ შტატებსა და კანადაში. სევერსკის Seversky (ქართველის Kartveli უფროსის) მამა, რომელიც ცხოვრობდა თბილისში, იყო პირადი თვითმფრინავის ერთ-ერთი პირველი მფლობელი (მოდიფირებული ბლერიოტ XI Bleriot, რომელიც ააგო მიხეილ გრიგორაშვილმა). გრეგორ FDB-1 იყო კანადური გამანადგურებელი ბიპლაინი, რომელიც შექმნა მიხეილ გრეგორმა 1938 წელს.

თემურ აფაქიძე Timur Apakidze (1954-2001), ქართული წარმოშობის რუსი გენერალ-მაიორი, რუსეთის საზღვაო ავიაციის მეთაურის მოადგილე და რუსეთის ფედერაციის გმირი. ის დაიბადა თბილისში და 1975 და 1983 წლებში მსახურობდა საბჭოთა ბალტიის ფლოტის

საზღვაო ავიაციაში, როგორც საუკეთესო გამომცდელი პილოტი. 1983 წლის შემდეგ აფაქიძე შავ ზღვაზე ხელმძღვანელობდა კუზნეცოვის ავიამზიდის საჰაერო დაჯგუფებას და Su-33-ზე დაფრინავდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისი საზღვაო ავიაციის გაერთიანებამ, რომელიც ყირიმში ბაზირებდა, უარი თქვა შეერთებოდა ახლად შექმნილ უკრაინულ საჰაერო ძალებს და ასევე უარი თქვა შეთავაზებაზე ეხელმძღვანელა საქართველოს საჰაერო ძალებისთვის. ამის ნაცვლად, ის ინარჩუნებდა ლოიალობას რუსეთთან და ავიამზიდ კუზნეცოვთან ერთად სევერომორსკში, ჩრდილოეთის ფლოტში გადავიდა. 1995 წელს მისი განსაკუთრებული წვლილისთვის რუსეთის საზღვაო ავიაციაში თემურ აფაქიძე გახდა რუსეთის ფედერაციის გმირი. 2001 წელს გენერალი აფაქიძე დაიღუპა ქალაქ ოსტროვთან ახლოს, ფსკოვის რეგიონში, როდესაც მისმა მოიერიშე ხომალდმა Su-33 ავარია განიცადა საჰაერო წარმოდგენის დროს. სიცოცხლის ბოლო მომენტში მან მოახერხა, რომ თვითმფრინავი დასახლებული ადგილიდან მოეშორებინა.

ზურაბ წერეთელი Zurab Tsereteli (დაბ. 1934) რუსეთის ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი. მისი მეუღლე არის თავადი ანდრონიკაშვილი, ქართველ დიდგვაროვანთა ოჯახიდან, წარმოშობით ბიზანტიელი იმპერატორის ანდრონიკოს I კომნენოსისგან. წერეთლის ნამუშევრებია:

- პეტრე დიდის ქანდაკება ქალაქ მოსკოვის ცენტრში, მსოფლიოში სიმაღლით (94 მ) მეექვსე ქანდაკება.
- ამერიკის პერშინგისა და საბჭოთა SS-20 ბირთვული რაკეტების ნაწილებისგან შექმნილი ქანდაკება სახელწოდებით „ბოროტსა სძლია კეთილმა“, რომელიც დგას გაერთიანებული ერების შენობასთან, ნიუ იორკში.
- „მწუხარების ცრემლი“ – მდინარე ჰუდზონის ნაპირზე – მასზე 2001 წლის 11 სექტემბრის WTC-ს ყველა მსხვერპლის სახელია ამოტვიფრული. ბილ კლინტონი სიტყვით გამოვიდა გახსნის ცერემონიაზე.
- 2006 წელს შეიქმნა პეტრე დიდის ახალი ქანდაკება ვასილიევსკის კუნძულზე, პეტერბურგში.

ელენე კარერა დანკოსი Hélène Carrère d'Encausse (დაბ. 1929 წელს, ელენე ზურაბიშვილი Zourabichvili), კარდინალ რიშელიეს მიერ დაარსებული საფრანგეთის აკადემიის, რომელიც 40 „უკვდავი“ აკადემიკოსისგან შედგება, მუდმივი მდივანი და რუსეთის ისტორიის სპეციალისტი, იგი მე-14 ადგილზეა 1990

წლიდან და მისი აკადემიკოსის ხმალი შექმნა ქართული წარმოშობის ფრანგმა მოქანდაკემ გუჯიმ Goudji.



გუჯი, გიორგი ამაშუკელი Goudji, Guy Georges Amachoukeli (დაბ. 1941), მოქანდაკე და ოქრომჭედელი საფრანგეთში, დაიბადა ბათუმში. ის სწავლობდა მოქანდაკეობას თბილისის ხელოვნების სკოლაში და მოსკოვში. მას საფრანგეთში ემიგრაციის ნება დართეს 1974 წელს პრეზიდენტ ჟორჟ პომპიდუს Georges Pompidou პირადი ჩარევის შემდეგ. მისი ნამუშევრები შეიძინეს პრეზიდენტებმა ფრანსუა მიტერანმა, ჟაკ შირაკმა და ნიკოლას სარკოზიმ François Mitterrand, Jacques Chirac or Nicolas Sarkozy. პირად კოლექციებსა და რამდენიმე მუზეუმში არის მისი ნამუშევრები: პარიზში, ნანტიში, ლიონში, ბავარიასა და ვატიკანში. პაპი ატარებს გვირგვინზე მის შექმნილ რელიკვიას, როდესაც რომში წმინდა პეტრეს ბაზილიკის წმინდა კარს ხსნის.

პრინცესა ირინე გალიცინა Princess Irene Galitzine (1916-2006 წწ.), მოდის ცნობილი დიზაინერი, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარია „palazzo pyjama“. მისი დედა ქართველი იყო, პრინცესა ნინა ლაზარევა. რევოლუციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, სწავლობდა ხელოვნებას რომში, ინგლისში კემბრიჯში და საფრანგეთში, სორბონაში. 1943 წელს გალიცინამ დაიწყო მუშაობა იტალიელ დიზაინერებთან, ფონტანას დებთან. 1946 წელს მან გახსნა საკუთარი სალონი და წარმოადგინა პირველი კოლექცია. 1960 წელს მან დიდ წარმატებას მიაღწია „palazzo pyjama“ გამოშვებით, რომელიც იყო ფართოტოტებიანი ღამის შარვალი, დამზადებული რბილი აბრეშუმისგან. მისი ნამუშევრები ეცვა მსოფლიოს ცნობილ ქალბატონებს, როგორიცაა სოფი ლორენი, ელიზაბეტ ტეილორი, ჟაკლინ კენედი-ონასისი, ბელგიის დედოფალი პაოლა, საბერძნეთის დედოფალი ანა-მარია, მარია-ჰელენა დე როტშილდი, უინძორის დედოფალი, სორაია ესფანდიარი-ბახტიარი, სპარსეთის შაჰის მეუღლე, ოდრი ჰეპბერნი, მარელა აგნეილი, ფიატის მფლობელის მეუღლე, გრეტა გარბო და კლაუდია კარდინალე Sofia Loren, Elizabeth Taylor, Jacqueline Kennedy Onassis, Queen Paola of Belgium, Queen Anne-Marie of Greece, Marie-Hélène de Rothschild, Duchess of Windsor, Soraya Esfandiary-Bakhtiari, Audrey Hepburn, MarellaAgnelli, Greta Garboand Claudia Cardinale.

თავადი პეტრე ბაგრატიონი Prince Pyotr Bagration (1765-1812 წწ.), ის და მისი ძმა რომან (რევაზ) ბაგრატიონები იყვნენ რუსეთის არმიის გენერლები.

ბაგრატიონი რუსეთის არმიას შეუერთდა 1782 წელს და რამდენიმე წელი მსახურებდა კავკასიაში. 1785 წელს პოტიომკინმა გაგზავნა რაზმი ალდიში, ჩეჩნეთში, მაგრამ ალყაში მიხვდა და 1500 ადამიანზე მეტი დაიღუპა. 160 მძევალი გამოსასყიდის სანაცვლოდ დააბრუნეს, ხოლო ახალგაზრდა დაჭრილი ოფიცერი ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე გადასცეს. ის იბრძოდა უკანასკნელ შესაძლებლობამდე. ჩეჩნებმა თქვეს: „ჩვენ არ ვვაჭრობთ მამაცი ჯარისკაცებით“. ეს იყო ახალგაზრდა ბაგრატიონი. ის მონაწილეობას იღებდა ოჩაკოვის აღებაში 1788 წელს და პოლონეთის კამპანიაში 1794 წელს. მისი დამსახურებები შეამჩნია სუვოროვმა, რომელსაც თან ახლდა იტალიისა და შვეიცარიის კამპანიის დროს 1799 წელს. 1805 წელს აუსტერლიცში ბაგრატიონი იბრძოდა საფრანგეთის არმიის მარცხენა ფლანგის წინაარმდეგ, რომელსაც მიურატი მეთაურობდა. 1809 წელს ის უძღვებოდა რუსეთის არმიას თურქების წინააღმდეგ. 1812 წელს ბოროდინოს ბრძოლის დროს მან მიიღო სასიკვდილო ჭრილობა. იგი აღიარებულია, როგორც რუსეთის ეროვნული გმირი.

ნიკო ბური ბაგრატიონი Niko the Boer Bagrationi (1868-1933 წწ.), საქართველოს სამეფო ოჯახიდან. მან წარმოადგინა ქართული დიდგვაროვნება რუსეთის მეფის ალექსანდრე III-ის მეფედ კურთხევის დროს 1881 წელს. იყო 2 მეტრი და 10 სმ სიმაღლის, დიდი ძალის მქონე. პეტერბურგიდან მან გააგრძელა მოგზაურობა სამხრეთ აფრიკაში ლომებზე სანადიროდ და 1900 წელს შეუერთდა ანგლო-ბურების ომს პატარა რესპუბლიკის მხარეს (ისევე, როგორც რუსეთის სახელმწიფო დუმის მომავალი თავმჯდომარე გუჩკოვი, ნახევრად ფრანგი). ის იყო პირველი მოხალისე რუსეთიდან, რომელიც ჩავიდა პრეტორიაში, სადაც იგი მიღებული იყო ბური Boer პრეზიდენტის პოლ კრუგერის მიერ Paul Kruger. პრინცი ბაგრატიონი მამაცურად იბრძოდა, სწრაფად მოიპოვა პოპულარობა ბურებს შორის და დააწინაურეს პოლკოვნიკის წოდებაზე. მაგრამ ის დაიჭირეს ბრიტანელებმა და სიკვდილი მიუსაჯეს. დახვრეტის მოლოდინში, მან უკანასკნელად დედის ფოტოს დახედა. აშკარად დიდგვაროვანი ქალის ფოტომ მიიპყრო ინგლისელი ოფიცრის ყურადღება. როდესაც ინგლისელმა ოფიცერმა გაიგო გვარი ბაგრატიონი, მან ჰკითხა, ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი რუსეთის გენერალ ბაგრატიონთან, რომელიც ცნობილი იყო ინგლისელების მტერთან ფრანგ ნაპოლეონთან ბრძოლით. ახლა ის მიჩნეულ იქნა, არა როგორც პარტიზანი, არამედ ომის პატიმარი და არ ექვემდებარებოდა დახვრეტას. იგი გადაასახლეს წმ. ელენეს კუნძულზე, სადაც ნაპოლეონი ცხოვრობდა. ირონია იყო, რომ მისი ნათესავი პეტრე ბაგრატიონი იბრძოდა რუსეთთან ერთად ნაპოლეონის წინააღმდეგ და ის იბრძოდა ინგლისის წინააღმდეგ. ყველა ევროპული გაზეთი (უინსტონ ჩერჩილის ჩათვლით) წერდა

მამაც ქართველ თავადზე. საბოლოოდ ის გაათავისუფლეს და დაბრუნდა უკვე საბჭოთა საქართველოში, ცხოვრობდა თბილისში სიღარიბეში, სიკვდილამდე 1933 წ.

თავადი ლორის მელიკოვი (მელიქიშვილი) Loris-Melikov (Melikishvili) (1825-1888 წწ.), ქართულ-სომხური წარმოშობის სახელმწიფო მოღვაწე რუსეთში. დაიბადა თბილისში 1825 წელს და განათლება მიიღო პეტერბურგში. ის ხშირად ამბობდა, რომ იყო ქართველი თავადი, სომეხი გრეგორიანი და რუსი გენერალი. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ 1877-78 წწ. ლორის-მელიკოვი გახდა დროებითი მეფისნაცვალი ვოლგის რეგიონში, სადაც ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა. ზომები, რომელიც მან მიიღო, იმდენად ეფექტიანი იყო, რომ იგი გადაიყვანეს ცენტრალური რუსეთის პროვინციებში, რომ ებრძოლა ნიჰილისტებისა და ანარქისტების ტერორთან. მან წარმატებას მიაღწია და დაინიშნა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრად 1880 წელს. იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე III-მ აირჩია რეაქციონერული პოლიტიკა და გრაფი ლორის-მელიკოვი გადადგა.

ნოე ჟორდანია Noe Zhordania (1868-1953 წწ.) იყო დემოკრატიული საქართველოს და იმპერიული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკი პოლიტიკური მოღვაწე. მან განათლება მიიღო ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტში 1891 წელს, სადაც ჩამოყალიბდა ცნობილ მარქსისტად. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მე-2 კონგრესზე იგი შევიდა ცენტრალურ კომიტეტში. 1906 წელს აირჩიეს რუსეთის სახელმწიფო დუმაში და გახდა დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სპიკერი. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში და გახდა იმ პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის მაისში. 1918 წლის ივლისიდან საბჭოთა ოკუპაციამდე იყო დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. გარდაიცვალა ემიგრაციაში პარიზში.



ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე Nikoloz (Karlo) Chkheidze (1864-1926 წწ.) იყო ქართველი მენშევიკი პოლიტიკოსი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთის რევოლუციებში 1917 წელს. რუსეთის სოციალ-დემოკ-რატიული ფრაქციის ლიდერები რუსეთის სახელმწიფო დუმაში 1907 წლიდან 1916 წლამდე ქართველი პოლი-ტიკოსები იყვნენ: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი, კაკი წერეთელი, ნოე რამიშვილი Noe Jordania, Karlo Chkheidze, Akakai Ckhenkeli, Kaki Tsereteli, Noe

Ramishvili. 1917 წელს, რუსეთის თებერვლის რევოლუციის დროს, ჩხეიძე გახდა პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე (ანუ პირველი „პრეზიდენტი“). როდესაც 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება რუსეთში, ჩხეიძე შვებულებაში იყო თავის მშობლიურ საქართველოში. იგი დარჩა საქართველოში და გახდა ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე 1918 წლის თებერვალში და მაისში ის აირჩიეს ახლად გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში პარიზში, სანამ სიცოცხლე თვითმკვლელობით არ დაასრულა 1926 წელს.

ირაკლი წერეთელი Irakli Tsereteli (1881-1959 წწ.) იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და ქართველი მენშევიკი. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში სამართალს, სადაც ის ჩაერთო რევოლუციურ მოძრაობებში და 5 წელი გადასახლებაში გაატარა ციმბირში. ის პეტროგრადში დაბრუნდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პეტროგრადის საბჭო (კარლო ჩხაიძე) და შეუერთდა კერენსკის დროებით მთავრობას, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლენინმა ბრძანა წერეთლის დაკავება. ის საქართველოში რჩებოდა, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1918-1921 წწ.). როდესაც 1921 წელს საქართველო ოკუპაციაში მოექცა რუსეთის წითელი არმიის მიერ, წერეთელი ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, მოგვიანებით შეერთებულ შტატებში, სადაც გარდაიცვალა 1959 წელს.

თავადი ვარლამ ჩერქეზიშვილი (ჩერქეზოვი) Prince Varlam Cherkezishvili (Cherkezov) (1846-25 წწ.) შეუერთდა საიდუმლო რევოლუციურ მოძრაობას პეტერბურგში 1864 წელს. კარაკოზოვის თავდასხმის შემდეგ ალექსანდრე II-ზე 1886 წელს ჩერქეზოვი დააპატიმრეს, რადგან „იცოდა და არ აცნობა შეთქმულების შესახებ“ და პატიმრობა მიუსაჯეს. 1869 წელს ის დაბრუნდა მოსკოვში, სადაც მიემხრო ბაკუნინის ანარქისტულ იდეებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ნეჩაევის ორგანიზაციაში. 1871 წელს ნეჩაევის მიმდევრების სასამართლო პროცესზე მას გადასახლება მიუსაჯეს ციმბირში. 1876 წელს გადასახლებიდან გაიქცა ლონდონში. ჟენევაში ის გახდა კროპოტკინის ახლო მეგობარი. 1880-81 წწ-ში მუშაობდა ანარქისტული ინტერნაციონალის პარიზის და ჟენევის სექციებში. 1903 წელს პარიზში ჩერქეზოვი ანარქისტების სახელით ოპონირებას უწევდა დებატებში ლენინს აგრარულ საკითხზე. როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველმა, 1907 წელს მან გააკეთა განსაკუთრებული დეკლარაცია მშვიდობის ლიგის ჰააგის კონფერენციაზე. 1917 წელს ის დაბრუნდა რუსეთში და მალე დატოვა საქართველოს გამო, სადაც ის ცხოვრობდა წითელი არმიის მიერ მის ოკუპაციამდე (1921 წლის

თებერვალში). საბჭოების გამარჯვება მისთვის დიდი ტრაგედია იყო. 1921 წელს ის ემიგრაციაში ლონდონში წავიდა.

მერაბ კვიტაშვილი Merab Kvitashili საქართველოდან ემიგრაციაში წავიდა დიდ ბრიტანეთში 1919 წელს, სადაც შეიცვალა სახელი და გვარი და გახდა ნიკოლას ქეი Nicolas Kay. ცოტა ხნის შემდეგ, ის ჯარში გაიწვია ბრიტანეთის დაზვერვამ და საბჭოთა კავშირის საკითხებში ჩერჩილის კონსულტანტი გახდა. მან მონაწილეობა მიიღო 1943 წელს თეირანში სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრაში. თავის მემუარებში ის წერდა, რომ მას შეეძლო გაეგო სტალინისა და ბერიას ქართული საუბარი. ბერიამ ეს მალევე შეამჩნია და პირადად ჰკითხა: ვინ იყო? პირდაპირი პასუხის თავიდან აცილების მიუხედავად, მეორე დღეს ბერიამ მთელი მისი ბიოგრაფია იცოდა.

სტალინის პირადი დაცვა მთლიანად ქართველებისგან შედგებოდა. ერთხელ, კონფერენციის დარბაზის შესასვლელში, სადაც მსოფლიო მნიშვნელობის საკითხები წყდებოდა, პირადი დაცვის სამი წევრი იყო: ორი სტალინის მცველი, გენერლები შალვა წერეთელი და კაპიტანი ნაჭყებია და მერაბ კვიტაშვილი (ნიკოლას ქეი), ამას გარდა, ორი ქართველიც ოთახში იყო – სტალინი და ბერია. ყველა მათგანი სრული ნდობით სარგებლობდა, არც ერთ მათგანს არ ჩხრეკდნენ კონფერენციის შესასვლელში და ყველგან შესვლის უფლება ჰქონდათ. როდესაც სამივე სახელმწიფოს ხელმძღვანელი გამოვიდა სათათბირო ოთახიდან, დაცვის სამივე ოფიცერი რაღაც ხუმრობაზე იცინოდა. ჩერჩილი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და დაინტერესდა, თუ რა ხუმრობაზე იცინოდნენ. მერაბმა უთხრა, რომ ხუმრობა ქართულ ენაზე იყო, და ჩერჩილმა თქვა: „ვხედავ, რომ ირგვლივ სულ ქართველები გვყავს“. ჩერჩილი დაინტერესდა საქართველოს ისტორიით და კვიტაშვილის ისტორიული მოთხრობების წაკითხვის შემდეგ გაოცებული დარჩა, რომ უგუნურობაა იოცნებო ძველი, მაგრამ პატარა საქართველოს აღდგენაზე, როცა ქართველები უკვე მსოფლიოში უდიდესი იმპერიის სათავეებში დგანანო.

ზოგი წყაროს მიხედვით, მისი ნათესავი ზინაიდა კვიტაშვილი იყო ლენინის პირადი მდივანი დაწყებული ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე ბოლო დღეებამდე, როდესაც ნადეჟდა კრუპსკაია და ის ლენინის ცხედარს საფლავამდე გაჰყვნენ.



აჰმეტ ოზკანი (მელაშვილი) Ahmet Özkan (Melashvili) (1922-1980 წწ.), ეთნიკურად ქართველი ინტელექტუალი და კულტურის მოღვაწე თურქეთში, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა ქართული იდენტობა, მაგრამ მოკლეს თურქმა რადიკალმა ნაციონალისტებმა. აჰმეტ ოზკანი დაიბადა ბალიკეშირში, ქართველი მუჰაჯირების ოჯახში. მიიღო განათლება სტამბოლის უნივერსიტეტში 1962 წელს, 1968 წელს მან გამოსცა

ისტორიები საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე, რაც აკრძალა თურქეთის ადმინისტრაციამ. 1979 წელს მან დააარსა გაზეთი ჩვენებური Çveneburi, დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელოვან გამოცემებს თურქეთში იბერია İberya, რომელსაც ამჟამად ხელმძღვანელობს ოზკანის ვაჟი. ოზკანის მუშაობას, რომ აღედგინა ნაციონალური იდენტობა ქართველ მოსახლეობას შორის თურქეთში ეწინააღმდეგებოდა თურქი ულტრა-ნაციონალისტური ორგანიზაცია ბოზკულტრალი Bozkurtlar („ნაცრისფერი მგლები“), რომლის აქტივისტებმაც მოკლეს ოზკანი ბურსაში 1980 წელს. ეპიტაფიაზე, რომელიც მისი საფლავის ქვაზეა წარწერილი, თურქულად და ქართულად იკითხება: „მე ვიცხოვრე ჩემი ხალხისთვის და არა მარადისობისთვის“.



ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე) George Balanchine (Giorgi Balanchivadze) (1904-1983 წწ.) იყო მე-20 საუკუნის ერთ-ერთი მოწინავე ქორეოგრაფი და ამერიკული ბალეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. ის დაიბადა პეტერბურგში, რუსეთში, მისი მამა იყო ცნობილი ქართველი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე (1862-1937 წწ.), ქართული ოპერის ერთ-ერთი დამაარსებელი. გიორგის ძმა, ანდრია ბალანჩივაძე (1906-1992 წწ.), იყო ცნობილი ქართველი კომპოზიტორი. ახალგაზრდა გიორგი ბალანჩინი სამეფო ბალეტის კლასებში იყო ჩაწერილი 9 წლის ასაკში. 1924 წელს მისი გუნდი დააჯილდოვეს დასავლეთ ევროპაში მოგზაურობით. როდესაც ლონდონში გამოდიოდნენ, სერგი დიაგილევმა შესთავაზა თანამშრომლობა. ბალანჩინმა დაიწყო საკუთარი ქორეოგრაფიის განვითარება. შეერთებულ შტატებში ჯორჯ ბალანჩინმა დააარსა ამერიკული ბალეტის სკოლა 1934 წელს. დასი წარდგა მეტროპოლიტენ-ოპერაში და მოგვიანებით ჩამოყალიბდა ახალი ცეკვის დასი, ქალაქ ნიუ იორკის ბალეტი 1948 წელს. 1954 წელს ამერიკაში მან შექმნა ტრადიცია შობის დღეებში ბალეტ მაკნატუნას წარმოდგენებისა. მაკნატუნას დადგმიდან შემოსული თანხები შეადგენდა შეერთებული შტატების დასების ყოველწლიური ბილეთების შემოსავლების დაახლოებით 40%-ს. ბალანჩინის პირველი ვიზიტის დროს რუსეთში მოხდა კუბის კრიზისი და მან მაშინვე დატოვა რუსეთი. მას სატელეფონო საუბარი ჰქონდა ჯონ კენედისთან, რომელმაც ურჩია, აშშ-ში დაბრუნება. 1983 წელს ბალანჩინი კროიცფელდ-იაკობის დაავადებით გარდაიცვალა.

ქართული ნაციონალური ბალეტი Georgian National Ballet იყო პირველი პროფესიული სახელმწიფო ცეკვის ანსამბლი საქართველოში, ჩამოაყალიბეს ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა 1945 წელს, და ამ ანსამბლის ქართული ნაციონალური ცეკვებისა და მუსიკის დამსახურებით გახდა

ცნობილი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ის წარმოდგენილი იყო ალბერტ ჰოლში, კოლიზეუმში, მეტროპოლიტენ ოპერასა და მადისონ სქვეა გარდენში Albert Hall, The Coliseum, The Metropolitan Opera and Madison Square Garden. 1967 წელს ლა სკალამ La Scala უმასპინძლა მათ – პირველად ფოლკლორულ ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა გამოსულიყო ამ სცენაზე. ბალანჩინს ძალზედ მოსწონდა ეს ცეკვის ანსამბლი.

დიმიტრი უზნაძე Dmitry Uznadze (1886-1950 წწ.) იყო ცნობილი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი. მან დაამთავრა ფილოსოფიის ფაკულტეტი ლაიფციგისა და ვიტენბერგის უნივერსიტეტებში. ის იყო მსოფლიოში ცნობილი განწყობის თეორიის ავტორი.

ალექსანდრე ბოროდინი Alexander Borodin (1833-1887 წწ.) იყო ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი და სახელგანთქმული ქიმიკოსი. იგი დაიბადა პეტერბურგში ქართველი თავადის ლუკა გედევანიშვილის უკანონო ვაჟად, რომელიც გააფორმეს ერთ-ერთი მოსამსახურის შვილად. ოპერა „პრინცი იგორი“ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარი და ერთ-ერთი ცნობილი ისტორიული რუსული ოპერაა. ბოროდინის რუსეთის იმპერიის გარეთ პოპულარობა განპირობებული იყო ფერანც ლისტის მიერ, რომელმაც მოაწყო გერმანიაში პირველი სიმფონიის წარმოდგენა 1880 წელს.

ბადრი პატარკაციშვილი Badri Patarkatsishvili (1955-2008 წწ.) იყო ქართველ-ებრაული წარმოშობის ბიზნესმენი, რომელსაც დაახლოებით 12 მილიარდი დოლარის ქონება ჰქონდა. იგი ეხმარებოდა ქართულ კულტურასა და ბიზნესს.

ბიძინა ივანიშვილი Bidzina Ivanishvili (დაბ. 1956 წ.), ქართველი ბიზნესმენი, დაახლოებით 7 მილიარდი დოლარის ქონებით. მან მილიარდები დახარჯა ქართულ კულტურაზე, ინფრასტრუქტურაზე, ეკონომიკასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე. 2012-2013 წწ. აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკაში.

ნონა გაფრინდაშვილი Nona Gaprindashvili (დაბ. 1941 წ.), ქართველი მოჭადრაკე, ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი (1962-1978 წწ.). 1961 წელს, 20 წლის ასაკში, გაფრინდაშვილმა მოიგო პირველი მსოფლიო ჩემპიონატი და ეს ტიტული წარმატებით ოთხჯერ დაიცვა.

მაია ჩიბურდანიძე Maia Chiburdanidze ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში გახდა 17 წლის ასაკში 1978 წელს – ყველაზე ახალგაზრდა ქალი, რომელმაც ეს შეძლო. არა მხოლოდ ჩემპიონები, არამედ ვიცეჩემპიონებიც (ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი) და ზოგადად ქართველი ქალების მოჭადრაკე გუნდი საუკეთესო იყო მსოფლიოში 1960 წლიდან 1990 წლამდე. შემდგომ წლებში ჩემპიონობა მოიპოვეს უნგრელმა ჟუჟა პოლგარმა მის დასთან ერთად, საქართველოდან ისრაელში წასული იონა ქოსაშვილის შვილიშვილებმა, და ჩინელმა სპორტსმენებმა. 2015 წელს ჩინეთში მსოფლიო ჩემპიონობა კვლავ საქართველოს ქალთა გუნდმა მოიპოვა.

ქეთევან მელუა „ქეთი“ Ketevan „Katie“ Melua (დაბ. 1984 წ.) არის ბრიტანელი მომღერალი, დაიბადა საქართველოში ქუთაისში 1984 წელს და 1993 წელს ოჯახი გადავიდა ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, რადგან მისი მამა მოეწყო სამეფო ვიქტორიას საავადმყოფოში. მელუამ გაიმარჯვა ტალანტების შეჯიბრებაში ბრიტანულ სატელევიზიო არხზე სიმღერით „Without You“. „Call Off the search“ გამოჩნდა ბრიტანეთში 2003 წელს და ის გახდა მაშინვე ჰიტი, რომელიც ბრიტანეთის ჩარტებში პირველ ადგილს იკავებდა და 1.2 მილიონი ალბომი გაიყიდა. სულ მსოფლიოში მისი 3 მილიონი ალბომი გაიყიდა. მელუა 2004 და 2005 წლებში ბრიტანეთის საუკეთესო ქალი მომღერალი გახლდათ. 2005 წელს სამხრეთ აფრიკაში მან აღისრულა თავისი ბავშვობის ოცნება და სიმღერა „Too Much Love Will Kill You“ ინგლისის დედოფალთან ერთად შეასრულა. 2005 წელს ნიდერლანდების სამეფო ქორწილზე მელუამ კონცერტი გამართა.

საქართველოს ნაციონალური გუნდი რაგბიში Georgian National Rugby team იკავებს მე-14 ადგილს რაგბის საერთაშორისო რეიტინგში (უფრო მაღლა, ვიდრე აშშ და რუსეთი).

აშშ-ს ნაციონალური კალათბურთის ასოციაციის NBA ლეგიონერები ეროვნული წარმოშობით არიან 9 ბრაზილიელი, 8 რუსი, 7 უკრაინელი, 6 ჩინელი, 2 ინგლისელი, 1 იაპონელი და ირანელი და 5 სპორტსმენი საქართველოდან: ზაზა ფაჩულია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, თორნიკე შენგელია და 2 ყოფილი მოთამაშე: ვლადიმერ სტეფანია სლოვენიიდან და ჯეიკ წაქალიძისი საბერძნეთიდან.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში (1950-2000 წწ.) საქართველოს ჰყავს 22 ოლიმპიური ჩემპიონი და 300 მსოფლიო ჩემპიონი:

ჰელსინკი 1952 წელი

1. ტანვარჯიში – ოქროს მედალი – ჯუღელი მედეა
2. ტანვარჯიში – ვერცხლის მედალი – ჯუღელი მედეა
3. ათლეტიკა – ვერცხლის მედალი – ლევან სანაძე
4. ათლეტიკა – ბრინჯაოს მედალი – ნინა დუმბაძე
5. კალათბურთი – ვერცხლის მედალი – ნოდარ ჯორჯიკია
6. კალათბურთი – ოქროს მედალი – ოთარ ქორქია
7. ჭიდაობა – ოქროს მედალი – არსენ მეკოკიშვილი
8. ჭიდაობა – ოქროს მედალი – დავით ციმაკურიძე
9. ჭიდაობა – ვერცხლის მედალი – შალვა ჩიხლაძე

მელბურნი/სტოკჰოლმი 1956 წელი

10. წყალბურთი – ბრინჯაოს მედალი – პეტრე მშვენიერაძე
11. წყალბურთი – ბრინჯაოს მედალი – ნოდარ გვახარია
12. ჭიდაობა – ოქროს მედალი – მირიან ცალქალამანიძე
13. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – ვახტანგ ბალავაძე
14. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – გიორგი სხირტლაძე
15. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – რომან ძნელაძე
16. ჭიდაობა – ოქროს მედალი – გივი კარტოზია

რომი 1960 წელი

17. ათლეტიკა – ოქროს მედალი – რობერტ შავლაკაძე
18. კალათბურთი – ვერცხლის მედალი – გურამ მინაშვილი
19. კალათბურთი – ვერცხლის მედალი – ვლადიმერ უგრეხელიძე
20. ფარიკაობა – ბრინჯაოს მედალი – გურამ კოსტავა
21. წყალბურთი – ვერცხლის მედალი – პეტრე მშვენიერაძე
22. წყალბურთი – ვერცხლის მედალი – გივი ჩიკვანაია
23. წყალბურთი – ვერცხლის მედალი – ლერი გოგოლაძე
24. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – ვლადიმერ რუბაშვილი
25. ჭიდაობა – ვერცხლის მედალი – გიორგი სხირტლაძე
26. ჭიდაობა – ოქროს მედალი – ავთანდილ ქორიძე
27. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – გივი კარტოზია

ტოკიო 1964 წელი

28. კალათბურთი – ვერცხლის მედალი – ლევან მოსეშვილი
29. ფარიკაობა – ბრინჯაოს მედალი – გურამ კოსტავა
30. ფარიკაობა – ოქროს მედალი – გურამ ასათიანი
31. ძიუდო – ბრინჯაოს მედალი – ანზორ კიკნაძე
32. ძიუდო – ბრინჯაოს მედალი – ფარნაოზ ჩიკვილაძე
33. სროლა – ვერცხლის მედალი – შოთა ყველაშვილი
34. ფრენბურთი – ოქროს მედალი – ვასილი კაჭარავა
35. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – ნოდარ ხოხაშვილი
36. ჭიდაობა – ვერცხლის მედალი – გულიკო საღარაძე
37. ჭიდაობა – ვერცხლის მედალი – რომან რურუა
38. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – დავით გვანცელაძე

მეხიკო 1968 წელი

39. კალათბურთი – ბრინჯაოს მედალი – ზურაბ საკანდელიძე
40. წყალბურთი – ვერცხლის მედალი – გივი ჩიხვანაია
41. ძალოსნობა – ვერცხლის მედალი – დიტო შანიძე
42. ჭიდაობა – ვერცხლის მედალი – შოთა ლომიძე
43. ჭიდაობა – ოქროს მედალი – რომან რურუა

მიუნხენი 1972

44. კალათბურთი – ოქროს მედალი – ზურაბ საკანდელიძე
45. კალათბურთი – ოქროს მედალი – მიხეილ ქორქია
46. ველოსპორტი – ბრინჯაოს მედალი – ომარ ფხაკაძე
47. ფეხბურთი – ბრინჯაოს მედალი – მურთაზ ხურცილავა
48. ფეხბურთი – ბრინჯაოს მედალი – რევაზ ძოძუაშვილი
49. ძიუდო – ბრინჯაოს მედალი – გივი ონაშვილი
50. ძიუდო – ოქროს მედალი – შოთა ჩოჩოშვილი
51. ძალოსნობა – ვერცხლის მედალი – დიტო შანიძე
52. ჭიდაობა – ოქროს მედალი – ლევან თედიაშვილი
53. კალათბურთი – ბრინჯაოს მედალი – მიხეილ ქორქია

მონრეალი 1976 წელი

54. ფეხბურთი – ბრინჯაოს მედალი – დავით ყიფიანი
55. ძიუდო – ვერცხლის მედალი – რამაზ ხარშილაძე
56. ძიუდო – ბრინჯაოს მედალი – შოთა ჩოჩოშვილი
57. ჭიდაობა – ოქროს მედალი – ლევან თედიაშვილი

მოსკოვი 1980 წელი

58. მშვილდოსნობა – ოქროს მედალი – ქეთევან ლოსაბერიძე
59. ყვინთვა – ბრინჯაოს მედალი – ლიანა ცოცაძე
60. ფეხბურთი – ბრინჯაოს მედალი – თენგიზ სულაქველიძე

61. ფეხბურთი – ბრინჯაოს მედალი – ალექსანდრე ჩივაძე
62. ფეხბურთი – ბრინჯაოს მედალი – რევაზ ჩელებაძე
63. ძიუდო – ოქროს მედალი – შოთა ხაბარელი
64. ძიუდო – ვერცხლის მედალი – თენგიზ ხუბულური
65. წყალბურთი – ოქროს მედალი – გიორგი მშვენიერაძე
66. ჭიდაობა – ოქროს მედალი – ვახტანგ ბლაგიძე

სეული 1988 წელი

67. ტანვარჯიში – ოქროს მედალი – ვლადიმერ გოგოლაძე
68. ფეხბურთი – ოქროს მედალი – გელა ქეთაშვილი
69. ძიუდო – ბრინჯაოს მედალი – ამირან ტოტიკაშვილი
70. ძიუდო – ბრინჯაოს მედალი – გიორგი თენაძე
71. ხუთჭიდი – ბრინჯაოს მედალი – ვახტანგ იაგორაშვილი
72. სროლა – ვერცხლის მედალი – ნინო სალუქვაძე
73. სროლა – ოქროს მედალი – ნინო სალუქვაძე
74. წყალბურთი – ბრინჯაოს მედალი – გიორგი მშვენიერაძე
75. წყალბურთი – ბრინჯაოს მედალი – მიხეილ გიორგაძე
76. ჭიდაობა – ოქროს მედალი – დავით გობეჯიშვილი
77. ჭიდაობა – ოქროს მედალი – მიხეილ მამიაშვილი

ატლანტა 1996 წელი

78. ძიუდო – ბრინჯაოს მედალი – სოსო ლიპარტელიანი
79. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – ელდარ კურტანიძე

სიდნეი 2000 წელი

80. ბოქსი – ბრინჯაოს მედალი – ვლადიმერ ჭანტურია
81. ძიუდო – ბრინჯაოს მედალი – გიორგი ვაზაგაშვილი
82. ძალოსნობა – ბრინჯაოს მედალი – გიორგი ასანიძე
83. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – ელდარ კურტანიძე
84. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – აკაკი ჭაჭუა
85. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – მუხრან ვახტანგაძე

ათენი 2004 წელი

86. ძიუდო – ვერცხლის მედალი – ნესტორ ხერგიანი
87. ძიუდო – ოქროს მედალი – ზურაბ ზვიადაური
88. ძალოსნობა – ოქროს მედალი – გიორგი ასანიძე
89. ჭიდაობა – ვერცხლის მედალი – რამაზ ნოზაძე

ბეიჯინგი 2008 წელი

90. ჭიდაობა – ოქროს მედალი – მანუჩარ კვირკველია
91. ძიუდო – ოქროს მედალი – ირაკლი ცირეკიძე
92. ჭიდაობა – ოქროს მედალი – რევაზ მინდორაშვილი
93. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – ოთარ თუშიშვილი
94. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – გიორგი გოგშელიძე
95. სროლა – ბრინჯაოს მედალი – ნინო სალუქვაძე

ლონდონი 2012 წელი

96. ძიუდო – ოქროს მედალი – ლაშა შავდათუაშვილი
97. ჭიდაობა – ვერცხლის მედალი – რევაზ ლაშხი
98. ჭიდაობა – ვერცხლის მედალი – ვლადიმერ ხინჩეგაშვილი
99. ჭიდაობა – ვერცხლის მედალი – დავით მოძმანაშვილი
100. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – მანუჩარ ცხადაია
101. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – დათო მარსაგაშვილი
102. ჭიდაობა – ბრინჯაოს მედალი – გიორგი გოგშელიძე

სარჩევი

ქართველები 3
ქართული ენა და დამწერლობა 4
ქართული მართლმადიდებლური ეკლესია 5
ქართველი მეფეები 7
ქართული დროშა ქართული კულტურა 8
საქართველოს უძველესი ევროპული წყაროები და რუკები 9
ძველი ისტორიკოსები და მოგზაურები საქართველოს შესახებ 13

საქართველოს ისტორიის ძირითადი საფეხურები: 15
უძველესი პროტოქართული ტომები 16
პროტოქართველების გაერთიანება იბერიის სახელმწიფოში 22
სპარსეთისა და ბიზანტიის იმპერიები 29
არაბები საქართველოში 30
თურქ-სელჩუკები საქართველოში 38
მონღოლები საქართველოში 44
თურქ-მონღოლები საქართველოში 51
თურქ-ოსმალები საქართველოში 58
თურქეთის იმპერია 60
ირანელები საქართველოში 65
რუსეთი პოლონეთის, შვედეთის და თურქეთის წინააღმდეგ 75
რუსეთი და საქართველო 79
რუსეთის შეტევა სამხრეთისკენ 89
საქართველო რუსეთში 119
ინგლისელებისა და ფრანგების მიერ ირანისა და
თურქეთის ურთიერთბრძოლის მხარდაჭერა 127
კავკასიის ფრონტი ნაპოლეონთან ომის დროს 131
პასკევიჩი 142
შამილი 147
ევროპიდან ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის 151
წევრების მონაწილეობა კავკასიის საქმეებში 151
ეკონომიკური განვითარება ვორონცოვის დროს 156
ყირიმის ომი 160
შამილის მძევლები 166
შამილის დასასრული 169
ჩრდილოეთ კავკასიის განადგურება 171
რუსეთი აზიაში 175

რუსეთის ომი თურქეთთან ევროპის ფრონტზე 177
ამიერკავკასიის ხანმოკლე ეკონომიკური ბუმი 180
არასტაბილურობა კავკასიაში..... 182
1905 წლის ქაოსი..... 183
გერმანიის პოლიტიკა კავკასიაში და პირველი მსოფლიო ომი 193
რუსეთი პირველ მსოფლიო ომში..... 197
რუსეთის რევოლუციები 200
კავკასიის ფრონტის დაშლა 216
საბჭოთა ოკუპაცია 228
ემიგრაცია 232
საქართველოს გასაბჭოება 238
მზადება მეორე მსოფლიო ომისთვის..... 239
მეორე მსოფლიო ომი და კავკასია..... 241
მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 247
საქართველოს რუსეთისგან მეორე განთავისუფლება 249

უძველესი მსოფლიოს ეთნოგენეზი..... 255
ბიბლიამდელი ერების ეთნოგენეზი (ძვ. წ. პერიოდი)..... 256
შუმერი Sumer..... 256
აქადი Akkad..... 259
ამორეველები Amorite 259
ბაბილონი Babylon..... 260
ქალდეა Chaldea 261
ასურეთი Assyria 263
ისრაელი Israel..... 264
ეგვიპტე Egypt..... 265
ხეთები და ხათები Hittites and Hattians..... 266
ხურიტები Hurrians 267
ბიბლიური ერების ეთნოგენეზი (ჩვ. წ-ის პერიოდი) 269
ზღვის ხალხები Sea Peoples..... 269
ფინიკია Phoenicia 271
ფილისტინელები Philistines..... 272
ურარტუ Urartu 273
რომაელები Roman..... 273
ეტრურია Etruria..... 274
ფრიგია Phrygia..... 276
ლიდია Lydia..... 278
გალათეა Galatia..... 278
ანატოლიის ისტორია..... 279

ელამი, მედესი (მიდია), აქემენიდული სპარსეთი, ... 280
სასანიანი (სასანიდური) ირანი 280
სარმატები და სკვითები SARMATIA AND SCYTHIA 282
კიმერიელები CIMMERIANS 283
თრაკიელები THRACIANS 284
ინდოეთი INDIA 285
ჩინეთი CHINA 286
იაპონია JAPAN 287
ამერიკა AMERICA 287
დაკარგული ცივილიზაციები 289
ეთნოგენეზი ბიბლიაში 290

ბიბლიური ერების ეთნოგენეზი (ჩვ. წ. პერიოდი) 290
იაფეტის Japheth (Iafet) ვაჟები: 291
სემის (შემ) Sem (Shem) ვაჟები: 293
გოგი და მაგოგი 296
ეთნოგენეზი და ეთნოპოლიტიკა 298
ბიბლიური და ბიბლიის წინა პერიოდის უძველესი 298
ცივილიზაციების ეთნოისტორიის რეკონსტრუქცია 298
ეთნოგენეზის რეკონსტრუქცია ქართველი ავტორების მიხედვით 298
იბერები და შუმერები 301
იბერები და ებრაელები 306
იბერები და ბერძნები 314
ისტორია და მომავალი 320
ეთნოგენეზის რეკონსტრუქცია რუსი ავტორების მიხედვით 323
ეთნოგენეზის რეკონსტრუქცია თურქი ავტორების მიხედვით 329

თანამედროვე ევროპის ეთნოგენეზი და ეთნოისტორია 332
ევროპელების ეთნოგენეზი – იბერიელები 333
ევროპული ენები 334
ევროპელების ეთნოგენეზი – კელტები 335
ევროპელების ეთნოგენეზი – ირლანდილები (მილეზინები) 337
ევროპელების ეთნოგენეზი და ბასკებ-ქართველების ურთიერთკავშირი 341
ბასკების როლი ევროპულ ისტორიაში 349
კავკასიელების ეთნოგენეზი 354
ეთნოგენეზი ეზოთერულ ნაცისტურ იდეოლოგიაში 360
ებრაელთა ეთნოგენეზი 370

თანამედროვე ევროპელები 384
ევროპელების – გერმანელი ხალხის ეთნოგენეზისი 384
ევროპელების ეთნოგენეზი – ფრანკები Franks 386
ევროპელების ეთნოგენეზი – გოთები Goths 387
ევროპელების ეთნოგენეზი – ვანდალები Vandals 389
ევროპელთა ეთნოგენეზი – ალანები Alans 391
ევროპელთა ეთნოგენეზი – ჰუნები Huns 394
აზიის დიდი სტეპის იმპერიები 397
თურქი Turkic ხალხები 399
ყივჩაყები Kipchaks საქართველოში 401
სლავი და რუსი Slavic Rus ხალხები 401
სომხები 407

ევროპის ეთნოგენეზის და ეთნოპოლიტიკის ეზოთერული ასპექტები 413
ეზოთერიზმი ბიბლიურ დრომდე 413
ბიბლიური ეზოთერული საიდუმლოებები 416
მისტიკური ეზოთერული ნაწერები 422
ეზოთერული საზოგადოებები 424
ტემპლარები (ან ტამპლიერები) Knights Templar (Templiers) 427

ეზოთერული საიდუმლოებანი 435
წმინდა გრაალი Holy Grail (Graal) 435
იდუმალი მეროვინგები Merovingians 437
პროტესტანტული ეკლესიები 441
ევროპის ეზოთერული რენესანსი და ტექნიკური რევოლუცია 444
თანამედროვე ევროპული ქვეყნების ფორმირების ეთნოპოლიტიკა 448
ბრიტანეთის ისტორია 448
საფრანგეთის ისტორია 458
გერმანიის ისტორია 461
იტალიის ისტორია 465
ესპანეთის ისტორია 475
თანამედროვე ევროპის რუკის ჩამოყალიბება 482
აშშ 492
დასავლეთ-აღმოსავლეთის ცივილიზაციათა დაპირისპირება 494
დასავლეთის და შორეული აღმოსავლეთის დაპირისპირება 495
დასავლეთის და ისლამის Islam დაპირისპირება 502
ეთნოგენეზი და ნაციონალური საკითხი 515

ეთნოპოლიტიკა და რელიგია 526

კოლხეთი და იბერია ბერძნულ მითოლოგიაში 533
მინოსელები – პელასგები 534
არგონავტიკა Argonautica 536
ტროას ომი Trojan War 540
დასავლეთ-აღმოსავლეთის (საბერძნეთ-სპარსეთის) ომების ეპოქა 545
პრომეთე Prometheus 553

ჯვაროსნები და საქართველო 555
პირველი ჯვაროსნული ომი 1095-1099 წწ. 556
მეორე ჯვაროსნული ომი 1145-1149 წწ. 559
მესამე ჯვაროსნული ომი 1189-1192 წწ. 560
მეოთხე ჯვაროსნული ომი 1201-1204 წწ. 561
მეხუთე ჯვაროსნული ომი 1217-1221 წწ. 564
მეექვსე ჯვაროსნული ომი 1228-1229 წწ. 564
მეშვიდე ჯვაროსნული ომი 1248-1254 წწ. 565
მერვე ჯვაროსნული ომი 1270 წელს 566
მეცხრე ჯვაროსნული ომი 1271-1272 წწ. 567
სილიციის სომხეთის სამეფო 568
ქართველები იერუსალიმში 570
კავკასიის ხევსურეთი 573

ქართველი მამლუქები 574
ეგვიპტის ქართველი მამლუქები 575
ქართველები ირანში 589
ქართველები თურქეთში 596
ქართველი მამლუქები ერაყში 600
ქართველები ინდოეთში 603
კავკასიელები აზიაში 605

ცნობილი ქართველები 608

სტამბა
დამანი

თბილისი, პორფირე ჩანჩიბაძის ქუჩა №6
ტელ: (995 32) 95 05 23, (995 32)14 34 01